https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ფიოდორ
დოსტოევსკი

ძმები კარამაზოვები



ლიტერატურული ძეგლები

ფიოდორ
დოსტოევსკი

ძმები კარამაზოვები



ეკლესია

ლიტერატორი

ძმები კარამაზოვები

ფიოდორ დოსტოევსკი

ავტორისაგან

ანა გრიგორევნა დოსტოევსკაიას

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მიწაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება; ხოლო თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს.

(სახარება იოანესი, თავი XII, 24)

ვიწყებ ჩემი გმირის - ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვის ცხოვრების აღწერას და საგონებელში ვარ ჩავარდნილი. მართალია, ალექსეი ფიოდოროვიჩს ჩემს გმირს ვუწოდებ, კარგად ვიცი, არ არის დიდი ადამიანი, ამიტომაც, აუცილებლად ველი თქვენგან, ჩემო მკითხველო, ასეთ კითხვებს: მამაცხონებულო, რითაა გამორჩეული ეგ თქვენი ალექსეი ფიოდოროვიჩი, გმირად რომ წარმოგვიდგინეთ? რა გაუკეთებია? ვინ რა იცის მის შესახებ? რატომ უნდა გავისარჯო მე, მკითხველი მისი ცხოვრების ფაქტების შესასწავლად?

ყველაზე საბედისწერო ბოლო კითხვაა, რადგან მას მხოლოდ ასეთი პასუხი შემიძლია გავცე: „იქნებ ეს თავად შეიტყოთ რომანიდან“. მაგრამ თუ წაკითხვის შემდეგაც ვერავინ დაინახა ჩემი გმირის გამორჩეულობა, თუ არ დაეთანხმნენ ჩემს აზრს, რომ ის განსაკუთრებულია, მაშინ რა ვქნა? ამას იმიტომ მოგახსენებთ დამწუხრებული, წინასწარ ვგრძნობ ყველაფერს. ჩემთვის იგი განსაკუთრებულია, მაგრამ ძალიან ვეჭვობ, მოვასწრებ კი ყოველივე ეს დავუმტკიცო მკითხველს. საქმე ის გახლავთ, რომ იგი მოღვაწეა, ჯერ გაურკვეველი, არაცხადი მოღვაწე. თუმცაღა უცნაური იქნებოდა, ჩვენს დროში ადამიანებს სიცხადე მოსთხოვო. ერთი კი უეჭველია, ეს არის უცნაური კაცი, ერთი ახირებული ვინმე. მაგრამ უცნაურობა და ახირებულობა ადამიანს უფრო ვნებს, ვიდრე რამეთი გამოარჩევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველა მიილტვის, განაზოგადოს კერძო და გამოიტანოს რაღაც საერთო აზრი ამ საყოველთაო აბდაუბდიდან. ახირებულობა, უმეტეს შემთხვევაში, განკერძოებაა, საზოგადოებისგან განცალკევება. ასე არ არის?

თუ თქვენ ჩემს უკანასკნელ თეზისს არ დაეთანხმებით და მიპასუხებთ: „არა, ეს ასე არ არის,“ ან „ყოველთვის ასე არ არისო“, მაშინ სულიერად გამხნევებული ვირწმუნებ ჩემი გმირის მნიშვნელობას. რამეთუ ახირებულობა „ყოველთვის არ არის“ განკერძოება და საზოგადოებისაგან გარიყულობა, პირიქით, ასეც ხდება ხოლმე - ახირებული კაცი თავის თავში ატარებს მთელის არსს, ხოლო დანარჩენები, მისი ეპოქის ადამიანები კი, დინებას აყოლილნი, გარკვეული დროით დაშორებულები არიან მისგან...

ამ არასაინტერესო და ბუნდოვან ახსნა-განმარტებებს აღარ გავაგრძელებ და უბრალოდ, შესავლის გარეშე ვიტყვი: თუ მოგეწონებათ - წაიკითხავთ კიდეც. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ნაწარმოების გმირის ცხოვრების აღწერას ორი რომანი უნდა მივუძღვნა, რომელთაგან მთავარი მეორე რომანი[1] - ესაა ჩემი გმირის მოღვაწეობა ჩვენს დროში, დღევანდელ დღეს. პირველ რომანში

ცამეტი წლის წინანდელი ამბავია მოთხრობილი, ის რომანიც არ არის - ჩემი გმირის ადრეული სიჭაბუკის ერთი პერიოდის აღწერაა. პირველი რომანისათვის გვერდი რომ ამევლო, მეორეში ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა. მაგრამ ახლა უფრო გართულდა ჩემი თავდაპირველი გასაჭირი: თუკი მე, ბიოგრაფი, ვთვლი, რომ ერთი რომანიც ზედმეტია ასეთი უბრალო და გაურკვეველი გმირის შესახებ, მაშინ რაღა საჭირო იყო ორი, ან როგორღა ავხსნა ჩემი მხრიდან ამგვარი ქედმაღლობა?

ამ საკითხებმა ისე ამირია თავგზა, გადავწყვიტე, ყოველგვარი გადაწყვეტილებების გარეშე გავიდე ფონს. რასაკვირველია, გამჭრიახი მკითხველი დიდი ხანია მიმიხვდა, რომ თავიდანვე საქმე განზრახ მიმყავდა აქეთ და გულიც მოსდიოდა ჩემზე - რისთვის ხარჯავს ამდენ სიტყვას და ძვირფას დროს უქმადო. ამაზე კი ზუსტი პასუხი მაქვს: ჯერ ერთი, ამდენ სიტყვას და ძვირფას დროს თავაზიანობის გამო ვხარჯავდი; მეორეც, ვეშმაკობდი: წინასწარ მაინც ხომ გაგაფრთხილეთ-მეთქი. თუმცაღა, მოხარულიც კი ვარ, ჩემი რომანი, როგორც „არსებითად ერთიანი მთელი“, თავისთავად ორ მოთხრობად რომ იქცა. პირველი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მკითხველი თავად გადაწყვეტს, წაიკითხოს თუ არა მეორე? ცხადია, არავინ არის ვალდებული, თავიდან ბოლომდე ჩაიკითხოს რომანი, ნებისმიერს შეუძლია, მოისროლოს წიგნი ერთი-ორი გვერდის წაკითხვის შემდეგაც. მაგრამ არიან დელიკატური მკითხველები, რომლებიც მოინდომებენ წიგნის უკანასკნელ ფურცლამდე წაკითხვას, რომ შემდგომ არაფერი შეეშალოთ მასზე მიუკერძოებელი მსჯელობისას. ასეთ მკითხველთა რიგს განეკუთვნება ყველა რუსი კრიტიკოსი. სწორედ მათ გამო გული მშვიდად მაქვს: მიუხედავად მათი დიდი აკურატულობისა და კეთილსინდისიერებისა, მაინც ვაძლევ კანონიერ საბაბს, რომანის პირველივე ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მოისროლონ წიგნი. სულ ეს არის ჩემი წინასიტყვაობა. გეთანხმებით, სავსებით ზედმეტი იყო ამის დაწერა, მაგრამ, რადგან უკვე დაიწერა, დაე, ასე დარჩეს.

ახლა კი საქმეს მივხედოთ.

კარი პირველი

წიგნი პირველი. ერთი ოჯახის ისტორია

I ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვი

ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვი ჩვენი მაზრის მემამულის, ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვის მესამე ძე გახლდათ. თავის დროზე (ჩვენში ახლაც იგონებენ ამ ამბავს), ასე ცამეტი წლის წინათ, მამამისმა სახელი გაითქვა თავისი ტრაგიკული და იდუმალებით მოცული აღსასრულით, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ. ახლა კი, ამ „მემამულის“ (ასე უწოდებდნენ მას, თუმცა თავისი სიცოცხლის განმავლობაში მამულში თითქმის არ უცხოვრია) შესახებ ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ. ფიოდორ პავლოვიჩი ერთი ისეთი ახირებულ ტიპი იყო, რომლის მსგავსი ძალზე ხშირად გვხვდება ხოლმე. ის არა მარტო საძაგელ და გარყვნილ პიროვნებას წარმოადგენდა, არამედ გონებაჩლუნგი ადამიანიც გახლდათ - მაგრამ გონებაჩლუნგების იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებსაც შესანიშნავად შეუძლიათ თავიანთი ქონებრივი საქმეების მოკვარახჭინება. ფიოდორ პავლოვიჩმა ცხოვრება თითქმის არაფრიდან დაიწყო. ახალგაზრდობაში ამ მცირემიწიან მემამულეს, სულ მუდამ სხვისი ლუკმის შემაცქერალს, კეთილი ადამიანები სამადლოდ არჩენდნენ. მიუხედავად ამისა, გარდაცვალების შემდეგ მას ასი ათასამდე მანეთი ნაღდი ფული აღმოაჩნდა. ამავე დროს, იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჩვენს მაზრაში ერთ-ერთ ყველაზე გონებაჩლუნგ ნაგიჟრად ითვლებოდა. ვიმეორებ: ბრიყვი კი არ იყო; უმეტესობა ასეთი ნაგიჟრებისა, საკმაოდ ჭკვიანი და ეშმაკია, - არამედ სწორედ რაღაც განსაკუთრებულად ყეყეჩი, ეროვნული გონებაჩლუნგობის განსახიერება.
მას ორი ცოლისაგან სამი ვაჟი დარჩა - უფროსი დმიტრი, პირველი ქორწინებიდან, ივანი და ალექსეი კი მეორიდან. ფიოდორ პავლოვიჩის პირველი ცოლი, წარმოშობით მდიდარი და წარჩინებული აზნაურის, მიუსოვის ოჯახიდან გახლდათ. მიუსოვებიც ჩვენი მაზრის მემამულეები იყვნენ. როგორ მოხდა, რომ მზითვიანი, თანაც ლამაზი და უფრო მეტიც, გამჭრიახი ქალიშვილი, როგორიც არაიშვიათია ჩვენს თანამედროვე თაობაში, მაგრამ აქა-იქ ადრეც გვხვდებოდა, ასეთ საცოდავ „ბენტერას“ (მაშინ კარამაზოვს ასე ეძახდნენ) ცოლად გაჰყვა?! ამის დაწვრილებით ახსნას ახლა არ შევუდგები. მე ადრე ვიცნობდი ძველი „რომანტიკული“ თაობის წარმომადგენელ ქალიშვილს, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ფარულად უყვარდა ერთი ბატონი. მას თავისუფლად შეეძლო, ამ ვაჟბატონს ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ არ ქნა; ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ქალიშვილმა შეიქმნა ათასგვარი გადაულახავი დაბრკოლება და ერთ ქარბუქიან ღამეს კლდის მაღალი ნაპირიდან საკმაოდ ღრმა, ჩქარ მდინარეში ისკუპა; იგი დაიღუპა საკუთარი ახირების გამო, ვინაიდან ძალიან სურდა ჰგვანებოდა შექსპირის ოფელიას. მის მიერ წინასწარ, დიდი ხნით ადრე შერჩეული და ამოჩემებული ლამაზი კლდის ადგილას პროზაული, სწორი

სანაპირო რომ ყოფილიყო, თვითმკვლელობა ალბათ არც მოხდებოდა. ეს ნამდვილი ამბავია და საფიქრებელია, რომ ჩვენი რუსული ყოფის უკანაკნელ ორსამ თაობაში ასეთი ან მსგავსი ფაქტი კიდევ არაერთი მომხდარა. მსგავსად ამისა, ადელაიდა ივანოვნა მიუსოვას მიერ გადადგმული ნაბიჯი, ეჭვი არ არის, სხვათა იდეების ზეგავლენის შედეგი და, აგრეთვე, რაღაც აკვიატებულ ფიქრთა გამოძახილი იყო. შესაძლოა, ამით მას უნდოდა თავისი ქალური დამოუკიდებლობის გამოცხადება, საზოგადოებრივი პირობითობების, თავისი ოჯახისა და მოდგმის დესპოტიზმის წინააღმდეგ ამხედრება, ხოლო საკუთარმა მაამებელმა ფანტაზიებმა (დავუშვათ, გარკვეულ მომენტში) დააჯერა იგი, რომ ფიოდორ პავლოვიჩი, მიუხედავად მუდამ სხვის კმაყოფაზე მყოფის სახელის მქონე კაცი, მაინც ამ უკეთესობისაკენ გარდამავალი ეპოქის ერთ-ერთი მამაცი და სარკასტული პიროვნება გახლდათ. თუმცა სინამდვილეში ბოროტ მასხარას წარმოადგენდა და მეტს არაფერს. ვითარების პიკანტურობა კიდევ იმით გამოიხატებოდა, რომ ქალი მოიტაცეს, რაც ძალზე ეამაყებოდა ადელაიდა ივანოვნას. ფიოდორ პავლოვიჩი, თავისი სოციალური მდგომარეობით, ამგვარი გამოხდომებისათვის კარგად იყო მომზადებული, რადგან ცდილობდა, თავისი კარიერა ნებისმიერი ხერხით მოეწყო; ეშოვა მსუყე მზითვიანი ცოლი და მიტმასნებოდა გავლენიან მოყვრებს, მისი სანუკვარი ოცნება იყო. რაც შეეხება ორმხრივ სიყვარულს, ის საერთოდ არ ყოფილა - არც პატარძლისა და არც სიძის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ პატარძალს სილამაზე არ აკლდა. ასე რომ, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ფიოდორ პავლოვიჩის ცხოვრებაში, როდესაც ქალმა ვერავითარი განსაკუთრებული ვნებები ვერ აღძრა მასში, და ეს დაემართა ისეთ ავხორც კაცს, როგორსაც იგი წარმოადგენდა; კაცს, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ ქალს აჰკიდებოდა, ოღონდ კი ვინმეს მისთვის ხელი დაექნია.

ადელაიდა ივანოვნა პირველ ღამესვე მიხვდა, რომ ქმარი მასში მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს იწვევდა. ასე და ამგვარად - ქორწინების შედეგი ძალზე მალე გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, ქალს ოჯახი მალე შეურიგდა, ის კი არა და, სახლიდან გაქცეულს მზითევიც კი მისცა. ცოლ-ქმარს შორის დაიწყო არეულ-დარეული ცხოვრება და გაუთავებელი შეხლა-შემოხლა. თვითმხილველები ჰყვებოდნენ: ცოლი უფრო კეთილშობილურად იქცეოდა, ვიდრე ფიოდორ პავლოვიჩიო. როგორც ახლა გახდა ცნობილი, მან ცოლს მაშინვე გამოსცინცლა ოცდახუთი ათასი მანეთი, რის შემდეგაც ეს ათასები ცოლისთვის სამუდამოდ გაქრა. ფიოდორ პავლოვიჩი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, რაიმე შესაფერისი აქტის საშუალებით თავის სახელზე გადაეფორმებინა ცოლის მზითევში მოყოლილი სოფელი და ქალაქის საკმაოდ კარგი სახლი. მიაღწევდა კიდეც ამას. ქალს იმდენად ეზიზღებოდა ქმარი, რომელიც ყოველ წუთს ურცხვი გამოძალვებითა და თხოვნით აბეზრებდა თავს, იმდენად იყო მისგან სულიერად გადაღლილი, რომ ამაზეც დათანხმდებოდა, ოღონდ თავიდან მოეშორებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, საქმეში ჩაერია ადელაიდა ივანოვნას ოჯახი და შეზღუდეს წამგლეჯი. ისიც ცნობილია, რომ ცოლ-ქმარი ხშირად ცემა-ტყეპაზეც გადადიოდა, მაგრამ, გადმოცემით, ფიოდორ პავლოვიჩი კი არ სცემდა, არამედ ადელაიდა ივანოვნა - ქალი ფიცხი, თამამი, თავშეუკავებელი, შავგვრემანი და განსაკუთრებული ჯან-ღონით აღსავსე იყო. ბოლოს და ბოლოს, მან მიატოვა სახლი და გაიქცა ერთ გაღატაკებულ სემინარისტ- მასწავლებელთან ერთად და ქმარს სამი წლის მიტია დაუტოვა. ფიოდორ პავლოვიჩმა არ დააყოვნა, სახლში

ჰარამხანა მოაწყო და თავაშვებულ ღრეობას მიჰყო ხელი, შიგადაშიგ გუბერნიის ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დაძრწოდა, ყველასთან აცრემლებული ჩიოდა ადელაიდა ივანოვნაზე, თანაც ისეთ რამეებს ჰყვებოდა ცოლზე, რაზე საუბარიც ნებისმიერი ქმრისათვის სამარცხვინოა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ მას მოსწონდა ყველას წინაშე სასაცილო და მოტყუებული ქმრის როლის თამაში და თავის გულისტკივილს დაწვრილებით, თანაც შელამაზებულად აღწერდა ხოლმე. „რა მოხდა მერე, ფიოდორ პავლოვიჩ, ჩინი ხომ მიიღეთ, ასე რომ კმაყოფილი ხართ, მიუხედავად თქვენი მწუხარებისა“, - დასცინოდნენ მას. ზოგიერთი იმასაც ამბობდა, რომ მას უხაროდა ხალხში დამწუხრებული მასხარას როლის თამაში და განგებ, ხალხის გასაცინებლად იღებდა ისეთ გამომეტყველებას, თითქოს ვერ ამჩნევდა თავის კომიკურ მდგომარეობას. ვინ იცის, შესაძლოა ეს ყველაფერი გულუბრყვილობითაც მოსდიოდა. ბოლოს და ბოლოს, მან მიაგნო გაქცეული ცოლის კვალს. ის საცოდავი თავის სემინარისტთან ერთად პეტერბურგში აღმოჩნდა, სადაც თავდავიწყებით შესდგომოდა ემანსიპირებული ქალის ცხოვრებას. ფიოდორ პავლოვიჩი მაშინვე დაფაცურდა, დაიწყო პეტერბურგში წასასვლელად მზადება, - რისთვის? - ცხადია, თავადაც არ იცოდა. მას შეეძლო, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო, მაგრამ აუცილებლად ჩათვალა, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, გასამხნევებლად, წასვლამდე ერთი გემოზე გამოთრობა. სწორედ ამ დროს მისი ცოლის ოჯახი ღებულობს ცნობას პეტერბურგში ადელაიდა ივანოვნას გარდაცვალების შესახებ. საცოდავი ქალი სადღაც სახლის სხვენში უცბად გარდაცვლილა, ზოგი ამბობდა, ტიფისგან, ზოგი - თითქოს შიმშილისგანო. ფიოდორ პავლოვიჩმა ეს ამბავი მთვრალმა შეიტყო. ზოგნი ყვებოდნენ: გამოვარდნილა ქუჩაში, ზეცაში ხელები აღუპრია და აყვირებულა: „აწ განუტევებო“[2], ზოგნი კი ამბობდნენ: ისე გამწარებული ტიროდა, მაინც შეგეცოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ეზიზღებოდაო. სავსებით შესაძლებელია, ერთიც მომხდარიყო და მეორეც, ესე იგი, კიდეც გახარებოდა ცოლისაგან გათავისუფლება და კიდეც დაეტირა გამათავისუფლებელი. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები, ბოროტი ადამიანებიც კი, გაცილებით მიამიტები და გულუბრყვილოები არიან, ვიდრე ჩვენ გვგონია. თუმცა, ჩვენც ასეთები ვართ, ალბათ.

II პირველი შვილი თავიდან მოიშორა

ცხადია, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი აღმზრდელი იქნებოდა ეს კაცი. ასეთ მამას რაც მოსალოდნელი იყო, ის დაემართა; მან სავსებით უყურადღებოდ დატოვა თავისი შვილი, რომელიც ადელაიდა ივანოვნასგან შეეძინა. არა იმიტომ, რომ ბავშვს რამეს ერჩოდა, ან როგორც მეუღლე, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, არა, უბრალოდ, მისი არსებობა გადაავიწყდა. სანამ იგი თავს აბეზრებდა ყველას თავისი წუწუნითა და ცრემლებით, ხოლო სახლი კი გარყვნილების ბუდედ აქცია, სამი წლის მიტიას მოვლა-პატრონობა ამ სახლის ერთგულმა მსახურმა გრიგორიმ იკისრა. მას რომ არ ეზრუნა ბავშვზე, კაცი არ გამოჩნდებოდა მისი მომკითხავი. ისე მოხდა, პირველ ხანებში დედის ნათესავებმაც კი დაივიწყეს. დედის მამა, ბავშვის ბაბუა, ცოცხალი აღარ იყო,

ბებია მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ლოგინად ჩავარდა, დეიდები გათხოვდნენ, ასე რომ, თითქმის მთელი წელიწადი მიტიას გრიგორისთან ყოფნა და მის ქოხში ცხოვრება მოუწია. მამას რომც გახსენებოდა (მართლაცდა, ხომ დაუშვებელია, არ სცოდნოდა შვილის არსებობა), იგი ქოხში თავად გაატანდა გრიგორის ბავშვს, რომელიც ხელს შეუშლიდა მის გაუთავებელ ღრეობებს. მოხდა ისე, რომ პარიზიდან დაბრუნდა ადელაიდა ივანოვნას ბიძაშვილი, პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვი, მაშინ ძალზე ახალგაზრდა კაცი, მაგრამ მიუსოვებს შორის გამორჩეული, განათლებული, დედაქალაქში და საზღვარგარეთ გაზრდილი - ნამდვილი ევროპელი. ის შემდგომშიც მრავალი წელი ცხოვრობდა საზღვარგარეთ და ხანში შესვლისას ორმოც-ორმოცდაათიანი წლების ლიბერალებს მიემხრო. თავისი კარიერის განმავლობაში მას ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ მრავალ ლიბერალურ პიროვნებასთან რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, პირადად იცნობდა პრუდონს და ბაკუნინს[3]. სიბერეში განსაკუთრებით სიამოვნებით იგონებდა და ჰყვებოდა ხოლმე 1848 წლის თებერვლის პარიზის რევოლუციის სამ დღეს. თხრობის დროს განსაკუთრებით აღნიშნავდა - თითქოს უშუალოდ ბარიკადებზედაც კი იბრძოდა. ეს იყო მისი ახალგაზრდობის ყველაზე საამო მოგონება. ათასი სული ყმის მებატონე, ქალაქის ახლოს ფლობდა შესანიშნავ მამულს, რომელიც ჩვენს ცნობილ მონასტერს ესაზღვრებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროიდან, როცა მემკვიდრეობა მიიღო, პიოტრ ალექსანდროვიჩს ამ მონასტერთან გაუთავებელი სადავო პროცესი ჰქონდა - მდინარეში თევზჭერისა და ხეტყის დამუშავების გამო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი „კლერიკალებთან პროცესის“ დაწყებას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა. როდესაც მან ყველაფერი შეიტყო ადელაიდა ივანოვნას შესახებ, რომელიც, რასაკვირველია, კარგად ახსოვდა, და როცა გაიგო, რომ მას მიტია დარჩა, მიუხედავად ფიოდორ პავლოვიჩისადმი სიძულვილისა, გადაწყვიტა, ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა. სწორედ მაშინ გაიცნო ფიოდორ პავლოვიჩი, რომელსაც პირდაპირ განუცხადა, რომ სურდა ბავშვის აყვანა აღსაზრდელად. შემდგომში მიუსოვი ფიოდორ პავლოვიჩის დასახასიათებლად დიდხანს ჰყვებოდა ხოლმე, როგორ მივიდა იგი სიძესთან, როგორ დაუწყო მიტიაზე ლაპარაკი, ამ დროს ფიოდორ პავლოვიჩს ერთობ გაოცებული სახე ჰქონდა, კაცი აზრზე ვერ მოდიოდა, რომელ ბავშვზე იყო საუბარი, გაიკვირვა კიდეც, სადღაც სახლში პატარა შვილი მყავსო. შესაძლოა, პიოტრ ალექსანდროვიჩის მონაყოლში იყო რაღაც გადაჭარბებული, მაგრამ სიმართლესაც ძალიან ჰგავდა. ფიოდორ პავლოვიჩი ხომ მთელი თავისი ცხოვრება ვიღაცას თამაშობდა, - უცებ გაითამაშებდა ხოლმე რაიმე მოულოდნელ სახეს და, რაც მთავარია, ეს მას სრულიად არ სჭირდებოდა, პირიქით, მისთვის შეიძლებოდა ზიანიც მიეყენებინა, როგორც ზემოაღწერილ შემთხვევაში მოხდა. თუმცა ასეთი თვისება საკმაოდ ბევრ ადამიანს და, მათ შორის, საკმაოდ ჭკვიანებსაც ახასიათებთ. პიოტრ ალექსანდროვიჩი საქმეს გულიანად მოეკიდა, ბავშვის მეურვედაც კი დაინიშნა (ფიოდორ პავლოვიჩთან ერთად), რადგან დედის სიკვდილის შემდეგ ბავშვს დარჩა სახლი, დედისეული და უძრავ-მოძრავი ქონება. მიტია ბიძამისთან გადავიდა საცხოვრებლად. მიუსოვს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. პიოტრ ალექსანდროვიჩმა როგორც კი მოაგვარა თავისი მამულის ფულადი შემოსავლების საკითხი, სასწრაფოდ დიდი ხნით კვლავ პარიზს გაემგზავრა. ბავშვი კი თავის მოსკოველ დეიდას დაუტოვა. ისე მოხდა, რომ პარიზში ყოფნისას

მას ბავშვი სულ გადაავიწყდა, განსაკუთრებით თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ მთელი ცხოვრება ვერ შეძლო მისი დავიწყება. მოსკოველი დეიდის გარდაცვალების შემდეგ მიტია გადავიდა მის ერთ-ერთ გათხოვილ ქალიშვილთან. შემდგომში, მგონი, მიტიამ მეოთხედ გამოიცვალა ბინა. ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ფიოდორ პავლოვიჩის პირმშოზე კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს საუბარი. ახლა მხოლოდ აუცილებელი ცნობებით დავკმაყოფილდეთ, რომლის გარეშეც რომანის დაწყება შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ ფიოდორ პავლოვიჩის სამი შვილიდან მხოლოდ მიტიამ იცოდა, რაღაც ქონება რომ გააჩნდა და როცა სრულწლოვანი გახდებოდა, დამოუკიდებლად შეძლებდა ცხოვრებას. მას მოუწესრიგებელი ყრმობა და სიჭაბუკე ჰქონდა: გიმნაზია ვერ დაამთავრა, შემდეგ რომელიღაც სამხედრო სკოლაში მოხვდა, რომლის დასრულების მერე თავი კავკასიაში ამოყო, რაღაც ჩინსაც მიაღწია. მერე იყო დუელი, დაქვეითება, ისევ შეძლო ჩინის მიღება... ბევრს სვამდა და კარგა ბლომადაც ხარჯავდა ფულს. სრულწლოვანებამდე მამამისისგან კაპიკი არ მიუღია, მანამდე კი ვალებში ჩავარდა. როცა სრულწლოვანი გახდა, საგანგებოდ ჩამოვიდა ჩვენს მხარეში მამასთან თავისი ქონების შესახებ მოსალაპარაკებლად. სწორედ მაშინ გაიცნო ფიოდორ პავლოვიჩი. მგონი, მშობელი მამა არ მოეწონა. მიტიამ მისგან მიიღო გარკვეული თანხა და მოურიგდა, რომ შემდგომში მამამისი მისი მამულის შემოსავლებს გადაუგზავნიდა ხოლმე. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მიტიამ მამისგან თავისი მამულის ვერც ფასი გაიგო, ვერც შემოსავლის ოდენობა დაადგინა. მან ჩვენთან მცირე ხანს დაჰყო და სასწრაფოდ გაემგზავრა. ფიოდორ პავლოვიჩმა შვილი მაშინვე გააფრთხილა (ეს დაიხსომეთ), რომ მიტიას თავის ქონებაზე გადამეტებული და მცდარი წარმოდგენა ჰქონდა. ამით ფიოდორ პავლოვიჩი ძალიან კმაყოფილიც კი იყო, რადგან გუნებაში თავისი განსაკუთრებული ანგარიშები უტრიალებდა. მან დაასკვნა: ჭაბუკი ქარაფშუტა, დამთხვეული, ავხორცი, სულსწრაფი და დარდიმანდია, თუკი რაიმეს დროებით იშოვის, მაშინვე დამშვიდდებაო. სწორედ ამაზე ააგო ფიოდორ პავლოვიჩმა თავისი შემდგომი ურთიერთობა შვილთან - ფულს დროდადრო, ცოტ-ცოტას სამადლოდ უგზავნიდა ხოლმე და ბოლოს ისე მოხდა, ოთხი წლის შემდეგ, როცა მიტიამ მოთმინება დაკარგა და ჩვენს ქალაქში მეორედ ჩამოვიდა, რათა საბოლოოდ გაერკვია მშობელთან თავისი საქმეები, დიდად გაოცდა, როცა აღმოაჩინა, რომ აღარაფერი გააჩნდა და მამამისის ვალიც დასდებოდა. თურმე ამა და ამ დროს მიტიასა და მამამისს შორის დადებული ამა და ამ გარიგების თანახმად, მას მეტი არაფრის მოთხოვნის უფლება აღარ ჰქონდა, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ახალგაზრდა კაცი გაოგნდა, ეჭვი შეეპარა, რომ ატყუებდნენ, მოთმინებიდან გამოვიდა და ლამის ჭკუა დაკარგა. ამ გარემოებებმა საქმე იმ კატასტროფამდე მიიყვანა, რომელიც ჩემი პირველი რომანის თხრობის საგანს წარმოადგენს, ან უფრო სწორად, მის გარეგან მხარეს. მაგრამ ვიდრე ამ რომანის თხრობაზე გადავიდოდე, უნდა გიამბოთ ფიოდორ პავლოვიჩის დანარჩენ ორ შვილზე, მიტიას ძმებზე, განგიმარტოთ, საიდან და როგორ მოევლინნენ ისინი ამ ქვეყანას.

III მეორე ქორწინება და შვილები

ოთხი წლის მიტიას თავიდან მოშორების შემდეგ ფიოდორ პავლოვიჩი სულ მალე მეორედ დაქორწინდა. ეს ქორწინება რვა წელს გაგრძელდა. მეორე ცოლი, სოფია ივანოვნა, ძალზე ახალგაზრდა ქალი სხვა გუბერნიიდან მოიყვანა. ამ გუბერნიაში ფიოდორ პავლოვიჩი, ვიღაც ურიასთან ერთად, ერთი წვრილმანი სანარდო საქმის გამო მოხვდა. თუმცა ფიოდორ პავლოვიჩი ყოველთვის ბევრს სვამდა, ქეიფობდა და დებოშებს ტეხდა, მაგრამ არასოდეს არ შეუწყვეტია თავისი კაპიტალის დანიშნულებისამებრ გამოყენება, იგი მუდამ სარფიანად აბანდებდა თანხას, რასაკვირველია, ამასთან ერთად, ყოველთვის რაღაც საძაგლობასა და უნამუსობას სჩადიოდა. ვიღაც გაუნათლებელი დიაკვნის შვილი, ბავშვობიდან ობოლი, სოფია ივანოვნა გაიზარდა თავისი კეთილისმყოფელის, აღმზრდელისა და მწვალებლის, დიდგვაროვანი გენერლის, ვოროხოვის მოხუცი ქვრივის შეძლებულ ოჯახში. დაწვრილებით არ ვიცი, მაგრამ გამიგონია: ერთხელ თურმე ეს უწყინარი, თვინიერი და უენო აღსაზრდელი საკუჭნაოში ლურსმანზე ჩამობმული ყულფიდან ჩამოუხსნიათ, იმდენად მძიმე ყოფილა მისთვის ამ, თუმცა უბოროტო, მაგრამ უსაქმურობისაგან ახირებული დედაბრის თვითნებობა და მისი გაუთავებელი საყვედურების ატანა. როცა ფიოდორ პავლოვიჩმა ქალს ცოლობა სთხოვა, მის შესახებ მიიკითხ-მოიკითხეს და რომ გაიგეს, რა შვილიც ბრძანდებოდა, გამოაპანღურეს. ახლაც, როგორც პირველი ქორწინების დროს, ფიოდორ პავლოვიჩმა ობოლს გაპარვა შესთავაზა. ქალს მის შესახებ ყველაფერი დროულად რომ გაეგო, სავსებით შესაძლებელია, არაფრის დიდებით არ გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ეს ამბავი სხვა გუბერნიაში ხდებოდა და როგორ შეეძლო თექვსმეტი წლის გოგონას, რაიმე სცოდნოდა ამ პიროვნების შესახებ, ამას გარდა, თავის კეთილისმყოფელთან ცხოვრებას უკვე ყველაფერი ერჩივნა. ასე ამჯობინა ყმაწვილმა ქალმა კეთილისმყოფელ დედაბერს კეთილისმყოფელი კაცი. ამჯერად, ფიოდორ პავლოვიჩს უმზითვო ქალი შეხვდა, რადგან გაჯავრებულმა გენერლის ქვრივმა გაზრდილს არაფერი მისცა, ის კი არა და, ორივე დასწყევლა. ფიოდორ პავლოვიჩს არცა ჰქონია რაიმეს იმედი, ის მხოლოდ უბიწო გოგოს მომხიბვლელ სილამაზეს დახარბდა. აქამდე ეს ავხორცი და ნამუსგარეცხილი, უხეში ქალური სილამაზის მოყვარული პიროვნება გააოგნა გოგონას უბიწო გამოხედვამ. „ამ გოგონას უმანკო თვალებმა გული სამართებელივით დამისერაო,“ - ამბობდა შემდგომში ის და თავისებურად უხამსად ჩაიხითხითებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, თახსირი მამაკაცისათვის ეს შეიძლება მხოლოდ გარყვნილი ლტოლვა ყოფილიყო. ვინაიდან ქალი უმზითვო იყო, ფიოდორ პავლოვიჩი პატივს არ სცემდა, უდიერადაც კი ეპყრობოდა, თავის წინაშე „დამნაშავედ“ თვლიდა და ყველაფერს აყვედრიდა; იმასაც კი ეუბნებოდა, მე შენ „ყულფიდან ჩამოგხსენიო.“ გარდა ამისა, ქმარი ქალის ფენომენალური მორჩილებითა და თვინიერებით სარგებლობდა და ჩვეულებრივი ცოლქმრული ურთიერთობის წესსა და რიგს არად დაგიდევდა. სახლში, ცოლის თანდასწრებითაც კი, მოჰყავდა აშაღლარა ქალები და გაუთავებელ ორგიებს აწყობდა. ერთ დამახასიათებელ ამბავს გეტყვით: ფიოდორ პავლოვიჩის მსახურმა გრიგორიმ, მუდამ შუბლშეკრულმა, ბრიყვმა და ჯიუტმა რეზონიორმა, რომელსაც ადრინდელი ქალბატონი ჭირივით ეჯავრებოდა, ამ შემთხვევაში

ახალი ქალბატონის მხარე დაიჭირა. ის თავგამოდებული იცავდა უბედურ ქალს და ფიოდორ პავლოვიჩს მსახურისათვის შეუფერებელი სიტყვებით ლანძღავდა კიდეც; ერთხელ კი ორგიებში მონაწილე როსკიპი ქალები სახლიდან სულ კინწისკვრით გაყარა. შემდგომში ამ გაუბედურებულ, ბავშვობიდან დაშინებულ ქალს რაღაც ისეთი ქალური ისტერიული დაავადება შეეყარა, რომელიც უფრო ხშირად გლეხის დედაკაცებს ემართებათ ხოლმე. ეს დაავადება ისტერიული შეტევებით მიმდინარეობს და ავადმყოფი ხშირად გონსაც კი კარგავს. მიუხედავად ამისა, მან ორი შვილი, ივანი და ალექსეი შობა - ერთი ქორწინების პირველ წელს, მეორე კი სამი წლის შემდეგ. როცა გარდაიცვალა, ალექსეი ოთხი წლისაც არ იქნებოდა. საოცარია, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, ალიოშას დედა მთელი თავის ცხოვრების მანძილზე სიზმარივით ახსოვდა. რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელი იყო, სოფია ივანოვნას გარდაცვალების შემდეგ ბიჭებს იგივე გადახდათ, რაც მიტიას. მამამ შვილები დაივიწყა და ქოხში გრიგორის ანაბარა მიატოვა. ბიჭები სწორედ ამ ქოხში იხილა იმ ახირებულმა დედაბერმა, გენერლის ქვრივმა, ბავშვების დედის კეთილისმყოფელმა და აღმზრდელმა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და რვა წლის წინანდელი წყენა ვერაფრით დაევიწყებინა. ამ რვა წლის განმავლობაში სოფიას ყოფაცხოვრების შესახებ ზუსტ ცნობებს იღებდა. როცა შეიტყო სოფიას დასნეულება და ის საშინელება, რაც ამ ოჯახში ტრიალებდა, ერთი-ორჯერ სხვების გასაგონად წაიბურტყუნა: „ეგრე მოუხდება - ღმერთმა უმადურობისათვის დასაჯაო“.

სოფია ივანოვნას გარდაცვალებიდან ზუსტად სამი თვის თავზე ჩვენს ქალაქს უეცრად გენერლის ქვრივი მოევლინა. ის პირდაპირ ფიოდორ პავლოვიჩის სახლში მივიდა, სადაც მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო და ამ დროში ბევრი რამეც მოასწრო. საღამო ხანი იდგა. ფიოდორ პავლოვიჩი, რომელიც ქვრივს რვა წელიწადი არ ენახა, გალეშილი დახვდა. ჰყვებოდნენ, რომ დედაბერი, როგორც კი ფიოდორ პავლოვიჩი დაინახა, უცებ მივარდა და განმარტებების გარეშე ორი ალიყური აჭამა, მერმე სამჯერ თმით დაითრია და ხმის ამოუღებლად პირდაპირ ქოხისკენ ბავშვებთან გაემართა. როცა დაუბანელი და ბინძურ თეთრეულში შემოსილი ბავშვები იხილა, ახლა გრიგორის გააწნა სილა და განუცხადა, რომ ორივე პატარა თავისთან მიჰყავდა. მან გამოიყვანა ბავშვები, კარეტაში ჩასხა, პლედში გაახვია და თავისი ქალაქისაკენ გაუყენა გზას. გრიგორიმ მონური მორჩილებით მოითმინა ეს სილა, ერთი უხეში სიტყვაც არ დასცდენია, კარეტამდე მიაცილა მოხუცი ქალბატონი, წელში მოხრით თაყვანი სცა და ხმამაღლა უთხრა: „ობლების შემწეობისათვის ღმერთი გიშველის“. „შენ მაინც ლენჩი ხარ!“ - გადმოსძახა გენერლის ქვრივმა დაძრული კარეტიდან გრიგორის. ფიოდორ პავლოვიჩმა კი აწონ-დაწონა ყველაფერი, მიხვდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა და შემდგომში გენერლის ქვრივს ბავშვების აღზრდის შესახებ ფორმალურად არც ერთ პუნქტზე არ უთხრა უარი. იმ ალიყურის ამბავი კი მთელ ქალაქს თავადვე მოსდო.

ისე მოხდა, რომ გენერლის ქვრივი ამ ამბის შემდეგ მალე გარდაიცვალა. თავისი ანდერძით თითოეულ ბავშვს ათას-ათასი მანეთი დაუტოვა - „სწავლისათვის - ისე რომ მთელი ეს ფული, აუცილებლად, მხოლოდ ამაზე უნდა დაიხარჯოს და სრულწლოვანებამდე უნდა ეყოთ. და რადგან ნაწყალობევი თანხა სავსებით საკმარისია ასეთი ბავშვებისათვის, თუ ვინმეს სურს დამატებით დახმარება, თავად გაიკრას ჯიბეზე ხელიო“. მე თავად ანდერძი არ წამიკითხავს, მაგრამ

გამიგონია, რომ მასში რაღაც ამგვარი უცნაური რამ იყო თქმული. დედაბრის მთავარი მემკვიდრე, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ეფიმ პეტროვიჩ პოლენოვი პატიოსანი კაცი აღმოჩნდა. ფიოდორ პავლოვიჩთან მიმოწერით იგი მალე დარწმუნდა, რომ მას შვილების აღსაზრდელ ფულს ვერ დასცინცლავდა (თუმცა იგი პირდაპირ უარს არ ამბობდა, მაგრამ ყოველთვის გულისამაჩუყებელი სიტყვებით აჭიანურებდა ფულის გადაგზავნას). ეფიმ პავლოვიჩი ბავშვების მიმართ თანაგრძნობით განეწყო, განსაკუთრებით უმცროსი, ალექსეი, იმდენად უყვარდა, რომ ბიჭი დიდხანს მის ოჯახში იზრდებოდა. მკითხველს ვთხოვ, ეს კარგად დაიმახსოვროს. თუკი ვინმეს უნდა უმადლოდნენ ძმები თავიანთ აღზრდასა და განათლებას, სწორედ ამ ეფიმ პეტროვიჩს, უკეთილშობილესსა და კაცთმოყვარე ადამიანს, რომლის მსგავსს ძნელად თუ შეხვდება კაცი. მან ბავშვებს ხელუხლებლად შეუნახა გენერლის ქვრივის დანატოვარი ათას-ათასი მანეთი; ასე რომ ძმებს, თითოეულს სრულწლოვანებისათვის ათასი მანეთი პროცენტების დამატებით ორი ათასამდე გაეზარდათ. ამ კაცმა თავისი ფულით აღზარდა ისინი, თითოეულს ათას მანეთზე გაცილებით მეტი დაახარჯა. ბიჭების ბავშვობისა და ყრმობის დაწვრილებით აღწერას ჯერჯერობით არ შევუდგები, მხოლოდ ზოგიერთ მთავარ გარემოებას შევეხები. უფროს ძმაზე, ივანზე, იმას გეტყვით, რომ იგი ბავშვობიდანვე უკარება და საკუთარ თავში ჩაკეტილი ყმაწვილი გახლდათ. მორცხვი სულაც არ იყო. უკვე ათი წლიდან დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ ძმები სხვის სახლში ცხოვრობდნენ და მათ სამადლოდ არჩენდნენ, რომ მათი მამა ისეთი კაცია, ვისზე ლაპარაკიც კი სამარცხვინოა და სხვადასხვა. როგორც ამბობენ, ამ ბიჭუნას პატარაობიდანვე აღმოაჩნდა სწავლის განსაკუთრებული და ბრწყინვალე ნიჭი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეფიმ პეტროვიჩის ოჯახიდან ცამეტი წლის ივანი სასწავლებლად მოსკოვის ერთ-ერთ გიმნაზიაში გადავიდა და რომელიღაც იმ დროისათვის ცნობილ და გამოცდილ პედაგოგთან, ეფიმ პეტროვიჩის ბავშვობის მეგობართან, პანსიონით ცხოვრობდა. როგორც შემდგომ თავად ივანი ყვებოდა - ყველაფერი ეფიმ პეტროვიჩის „მგზნებარე ქველმოქმედების“ წყალობით მოხდა. მას აკვიატებული ჰქონდა აზრი, გენიალური ნიჭის მქონე ბავშვი გენიალურმა აღმზრდელმა უნდა აღზარდოსო. როცა ივანმა გიმნაზია დაამთავრა და უნივერსიტეტში შევიდა, აღარც გენიალური აღმზრდელი და აღარც ეფიმ პეტროვიჩი ცოცხლები აღარ იყვნენ. ეფიმ პეტროვიჩის მიერ ცუდად შედგენილი ანდერძის გამო და ჩვენთან არსებული სხვადასხვა გარდაუვალი ფორმალობებისა თუ გაჭიანურებების გამოისობით, ახალგაზრდა კაცს გენერლის ახირებული ქვრივის დანატოვარი ფულის მიღება (თანხა უკვე ათასი მანეთიდან ორი ათასი გამხდარიყო) ძალზე დაუგვიანდა. ამიტომ ივანს უნივერსიტეტში პირველი ორი წელი ძალზე გაუჭირდა, რადგან იძულებული იყო, თავი ერჩინა, ერთდროულად ესწავლა და ემუშავა კიდეც. ისიც აღსანიშნავია, რომ მას არც კი უცდია მამამისისათვის წერილი მიეწერა, შესაძლოა, ეს სიამაყით მოსდიოდა, შეიძლება სიძულვილით, იქნება ცივი და საღი განსჯითაც, რომელიც ჰკარნახობდა: ასეთი მამიკოსაგან სერიოზულ მხარდაჭერას მაინც ვერ მიიღებო. ასეა თუ ისე, ახალგაზრდა კაცი არ დაიბნა და სამსახური იშოვა. ჯერ ორუზალთუნიანი გაკვეთილები, შემდეგ გაზეთის რედაქციებში დაიწყო სირბილი და „თვითმხილველის“ ფსევდონიმით ხან სად და ხან სად ბეჭდავდა ათსტრიქონიან სტატიებს ქუჩაში მომხდარი შემთხვევების შესახებ. ამბობენ, ეს სტატიები ისე საინტერესოდ და პიკანტურად

იყო დაწერილი, ყველა სიამოვნებით უბეჭდავდაო. ამით ახალგაზრდა კაცმა გამოავლინა თავისი პრაქტიკული და გონებრივი უპირატესობანი ჩვენი მრავალრიცხოვანი, ორივე სქესის მოსწავლე ახალგაზრდობის იმ ხელმოკლე და უბედურ ნაწილთან შედარებით, რომელთაც, ჩვეულებრივ, დილიდან საღამომდე ატალახებული აქვთ ხოლმე ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა კარი ერთი თხოვნით - ათარგმნინონ ფრანგულიდან, ან გადააწერინონ რაიმე. ივან ფიოდოროვიჩს რედაქციებთან კავშირი შემდგომშიაც აღარ შეუწყვეტია. უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წლებშიც კი გამოაქვეყნა სხვადასხვა თემაზე გამოცემული წიგნების შესახებ საკმაოდ ნიჭიერად დაწერილი გამოკვლევები. ლიტერატურულ წრეებში ის თანდათან ცნობილი კაცი გახდა და ბოლო ხანებში უკვე ფართო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებაც მიიქცია, რაც ბევრმა ერთხმად აღნიშნა და დაიმახსოვრა. ეს იყო საკმაოდ საინტერესო შემთხვევა. როცა ივანმა უნივერსიტეტი დაამთავრა და მემკვიდრეობით მიღებული ორი ათასი მანეთით საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა, ერთ-ერთ დიდ გაზეთში უცნაური სტატია გამოაქვეყნა. ამ სტატიამ არასპეციალისტების ყურადღებაც კი მიიქცია. სტატია ეხებოდა ავტორისათვის უცნობ სფეროს, ვინაიდან მას საბუნებისმეტყველო განათლება ჰქონდა. სტატიაში ლაპარაკი იყო იმ დროს გახმაურებულ საკითხზე საეკლესიო სასამართლოს შესახებ. ავტორი თანმიმდევრობით განიხილავდა ამ საკითხის ირგვლივ უკვე არსებულ ზოგიერთ მოსაზრებას და იქვე გამოთქვამდა თავის პირად შეხედულებას. ყველაფერი ეს კარგი ტონით იყო დაწერილი და მოულოდნელი, მშვენიერი დასკვნები ახლდა. სხვათა შორის, ეკლესიის ბევრმა იდეოლოგმა ივანი თავისიანადაც კი ჩათვალა. ამასთან ერთად, სტატიას სამოქალაქო პირებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ათეისტთა წრეებშიც ხვდა წარმატება. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე გამჭრიახი ადამიანი თუ მიხვდა, მთელი სტატია კადნიერი ფარსი და დაცინვა რომ იყო და მეტი არაფერი. ამ შემთხვევას განსაკუთრებით იმიტომ ვიგონებ, რომ ეს სტატია თავის დროზე ჩვენშიც, ქალაქგარეთ მდებარე მონასტერშიც მოხვდა, სადაც საეკლესიო სასამართლოს შესახებ აღძრული საკითხით მეტად დაინტერესებულები იყვნენ. სტატიისა და მისი ავტორის გვარის გაცნობის შემდეგ გაოცებულები დარჩნენ იმით, რომ იგი წარმოშობით ჩვენი ქალაქიდან აღმოჩნდა, ძე „სწორედ იმ ფიოდორ პავლოვიჩისა“. ამასობაში ჩვენს ქალაქს თავად სტატიის ავტორიც ეწვია.

რისთვის ჩამოვიდა ჩვენთან ივან ფიოდოროვიჩი? - მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ ამეკვიატა ეს კითხვა. ეს საბედისწერო ჩამოსვლა საწყისი გახდა იმდენი მოულოდნელი შედეგისა, რომ პასუხი ჩემთვის დიდხანს გაურკვეველი დარჩა. კაცმა რომ თქვას, ცოტა უცნაური იყო - ასე ნასწავლი, ასე ამაყი, თითქოს ფრთხილი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა ასეთ უმსგავსო სახლში, ისეთ მამასთან, რომელიც მთელი ცხოვრება არად აგდებდა, არც სცნობდა და არც ახსოვდა. ცხადია, მამამისი ფულის მიმცემიც არ იყო, შვილს რომ ეთხოვა კიდეც; ფიოდორ პავლოვიჩმა მთელი ცხოვრება ხომ იმის შიშში გაატარა, ვაითუ, ოდესმე ჩემი შვილები, ივანი და ალექსეი ჩამოვიდნენ და ფული მომთხოვონო. და აი, ეს ახალგაზრდა კაცი ჩამოდის ასეთი მამის სახლში, ცხოვრობს მასთან ერთი თვე, ორი თვე და ორივე მშვენივრად ეგუება ერთმანეთს. ამ ამბავმა არა მარტო მე გამაკვირვა, არამედ ბევრი სხვაც. პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვი, ფიოდორ პავლოვიჩის პირველი ცოლის ნათესავი, რომლის შესახებაც ზემოთ მქონდა

საუბარი, იმ დროს ჩვენთან იმყოფებოდა, თავის ქალაქგარეთა მამულში; ჩამოსული გახლდათ პარიზიდან, სადაც უკვე მუდმივად სახლობდა. მახსოვს, ყველაზე მეტად სწორედ ის იყო გაკვირვებული მას შემდეგ, რაც გაიცნო ეს მისთვის ძალზე საინტერესო ახალგაზრდა, რომელთანაც ხანდახან ინტელექტუალურ პაექრობას მართავდა ხოლმე. „ის ამაყია, - გვითხრა ივანის შესახებ, - მას ყოველთვის შეუძლია იშოვოს სარჩო, ამჟამადაც აქვს ფული საზღვარგარეთ წასასვლელად. ნეტა აქ რა უნდა?! ყველასათვის ნათელია, მამასთან ფულისთვის არ ჩამოსულა, მამამისი არავითარ შემთხვევაში ფულის მიმცემი არ არის. ღვინის სმა და მრუშობა კი მას არ უყვარს; მიუხედავად ამისა, ბებერს უმისოდ ყოფნა არ შეუძლია, ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს!“ ეს ყოველივე მართალი იყო, ნათლად ჩანდა, რომ ახალგაზრდა კაცი გავლენას ახდენდა ბებერზე, რომელიც შვილს ხანდახან უჯერებდა კიდეც; ბუნებით განსაკუთრებულად ბოროტი და თავნება კაცი იყო, თუმცა ახლა, დროდადრო, ქცევაც კი რიგიანი გაუხდა...
მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი ივან ფიოდოროვიჩის აქ ჩამოსვლის ნაწილობრივი მიზეზი. ის უფროსი ძმის, დმიტრის თხოვნით ჩამოსულა მისი საქმეების მოსაგვარებლად. ძმებმა პირველად აქ ნახეს და გაიცნეს ერთმანეთი, თუმცა მანამდე მიმოწერა ჰქონდათ ერთი განსაკუთრებული შემთხვევის გამო, რომელიც დმიტრის ეხებოდა. რაზეა ლაპარაკი, ამას მკითხველი თავის დროზე უფრო დაწვრილებით გაიგებს. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როცა ვიცოდი ამ განსაკუთრებული გარემოების შესახებ, ივან ფიოდოროვიჩი მაინც ამოუცნობ პიროვნებად მიმაჩნდა და მისი ჩამოსვლის მიზეზიც ჩემთვის კვლავ ამოუხსნელი რჩებოდა.
აქვე დავამატებ, მაშინ ივან ფიოდოროვიჩი შუამავლის როლს ასრულებდა, მამისა და ძმის მორიგება ეწადა. მათ შორის იმ დროისათვის დიდი დავიდარაბა იყო ატეხილი. დმიტრი სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებდა.
ვიმეორებ, ეს ოჯახი მაშინ ცხოვრებაში პირველად შეიყარა ერთად. ზოგიერთმა მათგანმა ერთმანეთი ცხოვრებაში პირველად ნახა. მხოლოდ უმცროსი ვაჟი, ალექსეი ფიოდოროვიჩი, ძმებზე ერთი წლით ადრე ჩამოვიდა ჩვენთან. სწორედ ამ ალექსეიზე ყველაზე მეტად მიძნელდება ლაპარაკი ჩემი რომანის შესავალ ნაწილში, ვიდრე მას არენაზე შემოვიყვან. მაგრამ შესავლის დაწერა მასზედაც მომიწევს, რომ წინასწარ განვმარტო ერთი უცნაური ამბავი, სახელდობრ: რომანის მომავალი გმირი მკითხველებს დასაწყისიდან უნდა წარვუდგინო მორჩილის ანაფორით. დიახ, უკვე ერთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც იგი ჩვენს მონასტერში ცხოვრობდა და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ იგი იქ სამუდამოდ აპირებდა დარჩენას.

IV მესამე შვილი ალიოშა

მაშინ ალიოშა ოცი წლისა იქნებოდა (ივანს ოცდაოთხი უსრულდებოდა, დმიტრის კი ოცდარვა წელი). უპირველეს ყოვლისა, უნდა განვაცხადო: ჩემი აზრით, ჭაბუკი ალიოშა არც ფანატიკოსი გახლდათ და, მით უმეტეს, არც მისტიკოსი. წინასწარ გეტყვით მის შესახებ ჩემს ჩამოყალიბებულ აზრს: უბრალოდ, ის იყო ჯერ ნორჩი,

კაცთმოყვარე და თუ თავი შეაფარა მონასტერს, მარტო იმიტომ, რომ მხოლოდ მონასტერმა გააოგნა, იქ ჰპოვა თავისი სულისათვის ამქვეყნიური ბოროტების წყვდიადიდან სიყვარულის სინათლისაკენ გამოსვლის იდეალური საშუალება. მონასტერმა კი იმიტომ გააოცა, რომ იქ გაიცნო ჩვენი დროის არაჩვეულებრივი არსება - ჩვენი მონასტრის ცნობილი ბერი ზოსიმა, რომელსაც მთელი თავისი არსებით შეეთვისა და მთელი გულითა და სულით შეიყვარა. თუმცა არც იმას უარვყოფ, რომ იგი მაშინ უკვე ძალზე უცნაური კაცი იყო. არც ისაა გამორიცხული, რომ ბალღობიდანვე გახლდათ ასეთი. თუ გახსოვთ, ადრე აღვნიშნე: როცა დედა გარდაეცვალა, იგი ოთხი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ დედა მთელი თავისი ცხოვრება ახსოვდა, ახსოვდა მისი სახე, მისი ალერსი - „ისე, თითქოს ცოცხალი დგას ჩემს წინაო“. ასეთი ეპიზოდები კაცს უფრო ადრეული ასაკიდან (ეს ყველასათვის ცნობილია), ორი წლის ასაკიდანაც შეიძლება დაამახსოვრდეს, ასეთი მოგონებები შეიძლება მთელი ცხოვრება თვალწინ გედგას, როგორც ნათელი წერტილები წყვდიადში, როგორც წაშლილი და გამქრალი უზარმაზარი სურათის გადარჩენილი ნაწილი. ზუსტად ასე დაემართა მასაც: ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ერთი ზაფხულის მშვიდი საღამო, ღია ფანჯარა, ოთახში შემომავალი მზის ირიბი სხივები (მზის სხივები რომ ირიბი იყო, ყველაზე მეტად ეს დაამახსოვრდა), ოთახის კუთხეში ხატი, ხატის წინ ანთებული კანდელი და იქვე მუხლებზე დამხობილი ისტერიულად მოტირალი დედა, რომელიც ხანგამოშვებით წამოიკივლებდა ხოლმე. ბავშვი ორივე ხელით ჩახუტებული ჰყავდა და ღვთისმშობელს ავედრებდა. ხან გულზე მიიკრავდა, ხან ხატისკენ გაიშვერდა ბავშვს, თითქოს სურდა, ღვთისმშობელს თავისი მოსასხამი გადაეფარებინა მისთვის... და ამ დროს ოთახში შემორბის ძიძა და, შეშინებული ხელიდან ართმევს დედას ბავშვს. აი, სურათი! ალიოშას დაამახსოვრდა ის წუთი და დედის სახე; იგი იგონებდა ხოლმე: რამდენადაც მახსოვს, მას შეშლილი, მაგრამ მშვენიერი სახე ჰქონდაო. ალიოშა იშვიათად უყვებოდა ვინმეს ამ მოგონებას. ბავშვობასა და სიჭაბუკეში ნაკლებად ექსპანსიური და სიტყვაძუნწიც კი იყო, მაგრამ ეს უნდობლობით, მორცხვობით ან მარტოობის სიყვარულით კი არ მოსდიოდა, პირიქით, რაღაც სხვა რამით, რაღაც შინაგანი პირადი საზრუნავით, რომელიც სხვასთან არ იყო დაკავშირებული და რომლითაც ისე იყო შეპყრობილი, რომ სხვები აღარ ახსოვდა. ადამიანები კი უყვარდა, მთელი ცხოვრების მანძილზე სჯეროდა მათი, თუმცა არავინ არასოდეს თვლიდა მას არც მიამიტ და არც გულუბრყვილო კაცად. მასში იყო რაღაც, რითაც გაგრძნობინებდა, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ვინმეს მსაჯული ყოფილიყო. არასოდეს არავის კიცხავდა და გმობდა. გეგონებოდა, მისთვის ყველაფერი დასაშვებიაო, რადგან არასოდეს არავისზე ძვირს არ იტყოდა, მაგრამ ხშირად მწარედ მოიწყენდა ხოლმე. ის კი არადა, მას ადრეული ახალგაზრდობიდან უკვე აღარაფერი აკვირვებდა და არაფერი აშინებდა. 20 წლის უმანკო და სუფთა ჭაბუკი მამამისის გარყვნილების ბინძურ ბუნაგში რომ მოხვდებოდა ხოლმე, როცა იქ ყოფნა აუტანელი ხდებოდა, უხმოდ ტოვებდა იქაურობას, ყოველგვარი ზიზღისა და საყვედურის გარეშე. მამამისი, როგორც ყოფილ სხვის კარზე სამადლოდ ნათრევ კაცს ახასიათებს, ეჭვიანი იყო. იგი თავდაპირველად ალიოშას პირქუშად და უნდოდ შეხვდა („ძალიან ჩუმალა ვინმეა, საეჭვოდაა ფიქრებში წასულიო“ - ფიქრობდა მასზე), მაგრამ მალე, ორი კვირის შემდეგ, უკვე გულაჩუყებული გულში იკრავდა და ჰკოცნიდა. ნათლად ჩანდა, ცხოვრებაში ეს გრძნობა არავის მიმართ

არ განეცადა და რომ ნამდვილად და გულმხურვალედ შეუყვარდა, როგორც არასდროს...
დიახ, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, რომელ საზოგადოებაშიაც არ უნდა მოხვედრილიყო ეს ყმაწვილი, ყველას უყვარდა. როცა ის თავისი კეთილისმყოფელისა და აღმზრდელის, ეფიმ პეტროვიჩ პოლენოვის სახლში მიიყვანეს, იმდენად შეაყვარა ყველას თავი, რომ ღვიძლ შვილად თვლიდნენ. ამ სახლში იგი ერთობ პატარა მიიყვანეს, და შეუძლებელია ამ ასაკის ბავშვს დააბრალო ანგარიშიანობა, თვალთმაქცობა, გაქნილობა, პირფერობა და სურვილი - თავი მოაწონოს ან შეაყვაროს ვინმეს. ასე რომ, თავად ბუნებით ჰქონდა მას მომადლებული ნიჭი, ყოფილიყო ყველასათვის საყვარელი პიროვნება. ასევე იყო სკოლაშიც, თუმცა, თითქოს ბავშვების იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც ამხანაგების უნდობლობას, სიძულვილს და ხანდახან დაცინვასაც კი იწვევენ, რადგან ყოველთვის საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, სადმე კუთხეში განმარტოებული, წიგნებს ჩასცქეროდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, ალიოშა სკოლაში ამხანაგებმა ისე შეიყვარეს, რომ შეიძლება ითქვას - საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. იგი იშვიათად ცელქობდა, იშვიათად იყო მხიარულ გუნებაზე, მაგრამ ყველა, მისი შემხედვარე, ხვდებოდა, რომ ეს უხასიათობით როდი მოსდიოდა, პირიქით, მისი სახე სიმშვიდესა და სინათლეს აფრქვევდა. ტოლებს შორის თავის გამოჩენა არ უყვარდა, ალბათ, ამიტომაც არასდროს არაფრის ეშინოდა. ეს თვისება ამხანაგებმა გაცნობისთანავე შეამჩნიეს; შეამჩნიეს ისიც, რომ არასოდეს ამაყობდა თავისი ხასიათით და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს არც იცოდა, უშიშარი და გულადი რომ იყო. წყენას არასოდეს ჩაიდებდა გულში, იყო შემთხვევა, წყენიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ იმ ბიჭთან, რომელიც აწყენინებდა, მივიდოდა და ალალად დაელაპარაკებოდა, ანდა მის კითხვას ისე გულწრფელად უპასუხებდა, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყოს. ამ დროს ისეთი სახე კი არ ჰქონდა, თითქოს დაავიწყდა ან შეგნებულად აპატია წყენა, არა! უბრალოდ იმ შემთხვევას წყენად არ თვლიდა. ეს ძალიან ხიბლავდა და აჯადოებდა ბავშვებს. მის ხასიათს მხოლოდ ერთი თვისება ჰქონდა, რაც ბავშვების გაქილიკების საგნად იქცა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, დაბალი კლასიდან მაღალ კლასამდე, ამხანაგები დასცინოდნენ ხოლმე - არა, ბოროტად კი არა, გასამხიარულებლად - რადგან ალიოშა ბუნებით არანორმალურად მორცხვი და უმანკო იყო, მას არ შეეძლო მოესმინა ქალების შესახებ გავრცელებული სიტყვები და ელაზღანდარავა მათზე. ასეთი ლაზღანდარაობა და ბილწსიტყვაობა, საუბედუროდ, ბავშვებს შორის ძალზე მიღებულია. სულითა და გულით სუფთა ბიჭები, ჯერ კიდევ ყრმები, ხშირად ხმამაღლა ლაპარაკობენ ხოლმე ერთმანეთს შორის ისეთ საგნებზე და სურათებზე, რომლებზედაც უბრალო ჯარისკაცებსაც კი უჭირთ ლაპარაკი, უფრო მეტიც, ამ ჯარისკაცებიდან ბევრმა ნახევარიც არც იცის იმის შესახებ, რაც ცნობილია ჩვენი ინტელექტუალური და მაღალი საზოგადოების ნორჩი ნაშიერებისათვის. ეს ჯერ არ არის ზნეობრივი გახრწნა, არც ნამდვილი, გარყვნილი შინაგანი ცინიზმია, მაგრამ სწორედ ეს გარეგანი ცინიზმი ითვლება ყმაწვილებს შორის ხშირად რაღაც დელიკატურ, დახვეწილ და მისაბაძ საქციელად. როცა ისინი ხედავდნენ ალიოშკა კარამაზოვი „იმაზე“ ლაპარაკის დროს ყურებს თითებით როგორ იცობდა, განგებ შემოეხვეოდნენ ჯგროდ, ხელებს ძალით გაუკავებდნენ და ორივე ყურში ჩაჰყვიროდნენ ათასნაირ უწმაწურობას,

ალიოშკა კი გარბოდა, ეცემოდა, იატაკზე განრთხმული კვლავ ყურებს იხშობდა, ხმაამოუღებლად, ლანძღვა-გინების გარეშე, თვინიერად იტანდა წყენას. ბოლოს და ბოლოს, შეეშვებოდნენ, აღარ აბრაზებდნენ „გოგო, გოგოს“ ძახილით და ნანობდნენ კიდეც თავიანთ საქციელს. აღსანიშნავია, რომ კლასში იგი საუკეთესოთა შორის ითვლებოდა, მაგრამ არასოდეს პირველი არ ყოფილა.

ალიოშამ ეფიმ პეტროვიჩის გარდაცვალების შემდეგ კიდევ ორი წელი ისწავლა საგუბერნიო გიმნაზიაში. ეფიმ პეტროვიჩის უნუგეშოდ დარჩენილი მეუღლე, ქმრის სიკვდილის შემდეგ, მალე დიდი ხნით მთელი ოჯახით, რომელიც მხოლოდ მდედრობითი სქესის წევრებისაგან შედგებოდა, იტალიას გაემგზავრა. ალიოშა კი მოხვდა მისთვის მანამდე უცნობი ორი ქალბატონის სახლში. ეს ქალები ეფიმ პეტროვიჩის შორეული ნათესავები იყვნენ და რა პირობით შეიკედლეს იგი, ალიოშამ არ იცოდა. ალიოშას კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ის გახლდათ, რომ არასოდეს აინტერესებდა, ვის ხარჯზე ცხოვრობდა. ამით ის ძალიან განსხვავდებოდა თავისი ძმისაგან, ივან ფიოდოროვიჩისაგან, რომელიც ბავშვობიდანვე მწარედ განიცდიდა სხვის კმაყოფაზე ცხოვრებას და უნივერსიტეტში სწავლის დროს ორი წელი სიღატაკეში გაატარა და თავისი შრომით ირჩენდა თავს. ალიოშას ხასიათის ეს უცნაური თვისება არც ისე საძრახისი იყო, რადგან ვინც კი მას სულ ცოტათი მაინც იცნობდა, ღრმად სწამდა, ალექსეი იმ ახალგაზრდათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ხალხი ბედოვლათად რომ თვლის, რომელთაც უცებ დიდი კაპიტალი თუ ჩაუვარდებათ ხელში, არ დაინანებენ კეთილი საქმისათვის გაღებას, ან ვინმე პირველ მთხოვნელს უყოყმანოდ გადასცემენ, თუნდაც იგი გაქნილი გაიძვერა იყოს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მან ფულის ყადრი სულ არ იცოდა, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. როცა ჯიბის ფულს აძლევდნენ ხოლმე, რომელსაც არასოდეს არავის სთხოვდა, ხან კვირაობით არ ხარჯავდა, ხან ერთიანად უცებ გაფლანგავდა ხოლმე. ფულისა და ბურჟუაზიული პატიოსნებისადმი ძალზე ფაქიზი დამოკიდებულების მქონე პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვმა ალექსეის გაცნობის შემდეგ სხარტულა წარმოთქვა: „ეს არის მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი, რომელიც სადმე, მილიონიანი ქალაქის მოედანზე, უკაპიკოდაც მარტო რომ დარჩეს, არაფერი მოუვა, არც შიმშილით, არც სიცივით სული არ ამოხდება, იმიტომ რომ უცებ გამოკვებავენ, უცებ დააბინავებენ, ხოლო თუ არ გამოჩნდება ვინმე შემკედლებელი, მაშინ თავად იშოვის თავშესაფარს და ამას ყოველგვარი ჯაფისა და დამცირების გარეშე შეძლებს. შემკედლებლებისათვის იგი არავითარ შემთხვევაში არ იქნება მძიმე ტვირთი, პირიქით, კმაყოფილადაც ჩათვლიან თავსო.“

ალიოშას გიმნაზიის კურსი არ დაუსრულებია. დამთავრებამდე ერთი წელი აკლდა, როცა თავის აღმზრდელ ქალბატონებს განუცხადა, ერთი საქმის გამო მამასთან მივემგზავრებიო. ქალებს ძალიან ეცოდებოდათ და არ უნდოდათ გაშვება. მგზავრობა იაფი ჯდებოდა და აღმზრდელებმა არ მისცეს უფლება, დაეგირავებინა თავისი კეთილისმყოფელი ოჯახის მიერ საზღვარგარეთ წასვლის წინ ნაჩუქარი საათი. ალიოშას ფულიც ბლომად მისცეს და ახალთახალი ტანსაცმლითა და თეთრეულითაც მოამარაგეს. მან ნახევარი ფული უკან დაუბრუნა და განუცხადა, აუცილებლად მესამე კლასით მინდა მგზავრობაო. როცა ალიოშა ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, მამამისის პირველ კითხვას: „რატომ ჩამობრძანდი, ჯერ გიმნაზია დაგემთავრებინაო?“ პირდაპირ არაფერი უპასუხა.

ამბობენ, ძალიან შეფიქრიანებული იყოო. როგორც შემდგომში გაირკვა, თურმე დედის საფლავს ეძებდა. თავად აღიარა, ამისათვის რომ იყო ჩამოსული. არა მგონია, მისი ჩამოსვლის მიზეზი მხოლოდ ეს ყოფილიყო. შესაძლებელია, თავადაც არ იცოდა და არც შეეძლო აეხსნა, რა მოუვიდა მის სულს, რამ მიიზიდა იგი, რამ დააყენა ამ რაღაც ახალ, შეუცნობ და გარდაუვალ გზაზე. ფიოდორ პავლოვიჩმა ვერ მიასწავლა ალიოშას თავისი მეორე ცოლის საფლავი, იგი ერთხელაც არ ყოფილა მის სამარესთან მას შემდეგ, რაც მიწა მიაყარა კუბოს, ჟამთა სვლამ თავისი გაიტანა და აღარც ახსოვდა, სად დამარხა...

სიტყვამ მოიტანა და ფიოდორ პავლოვიჩი ერთი პერიოდი დიდხანს არ ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში. მეორე ცოლის გარდაცვალების შემდეგ ის რუსეთის სამხრეთით გაემგზავრა და ბოლოს ოდესაში ამოყო თავი, სადაც რამდენიმე წელი დარჩა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ ის გაეცნო „ნაირ-ნაირ ურიას“ და მალე არათუ მეწვრილმანე ურიების, არამედ „ებრაელების კარზეც კი მიღებულ კაცად ითვლებოდა“. საფიქრებელია, რომ სწორედ თავისი ცხოვრების ამ პერიოდში, მან გამოიმუშავა საკუთარ თავში ფულის შოვნისა და შეგროვების განსაკუთრებული უნარი. როცა ალიოშა ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, მამა უკვე სამი წლის დაბრუნებული იყო. ფიოდორ პავლოვიჩი ნაცნობებს საშინლად მოტეხილი მოეჩვენათ, თუმცა ის არც ისე ხანდაზმული იყო. თავი თავხედურად ეჭირა, დარბაისლობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ყოფილ მასხარას სხვისი გამასხარავების მოთხოვნილება გაუჩნდა. ქალთა სქესს წინანდელზე უმსგავსად ექცეოდა. სულ მალე ჩვენი მაზრის უმეტესი დუქნების დამაარსებელი გახდა. იგრძნობოდა, კაი ძალი ფული რომ ჰქონდა ნაშოვნი, ასე, ასი ათასამდე მაინც. მალე ჩვენი მაზრის ბევრი მკვიდრი მისი მოვალე გახდა, რასაკვირველია, ნაღდი გირაოს ფასად. ბოლო ხანს რაღაცნაირად გასივდა, ანგარიშს აღარ უწევდა თავის საქციელს, ყველაფერს დაუფიქრებლად აკეთებდა, იწყებდა ერთით და ამთავრებდა მეორით, რაღაც-რაღაცებს მიედ-მოედებოდა, უფრო ხშირ-ხშირად გაილეშებოდა ხოლმე და ისევ ის მსახური გრიგორი რომ არ ჰყოლოდა, რომელიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ბებერი იყო და ლაქიობასაც უწევდა და გუვერნიორობასაც, ფიოდორ პავლოვიჩს ძალიან გაუჭირდებოდა ცხოვრება. ალიოშას ჩამოსვლამ რაღაცნაირად ზნეობრივადაც იმოქმედა მასზე, თითქოს ამ უდროოდ დაბერებული კაცის სულში ისეთმა რამემ გაიღვიძა, რაც დიდი ხნის ჩამკვდარი იყოო. „იცი, - ხშირად შეაცქერდებოდა ალიოშას და ეუბნებოდა, - შენ ბნედიანს ჰგავხარ?“ ასე უწოდებდა იგი განსვენებულ ცოლს, ალიოშას დედას. ლაქია გრიგორიმ, როგორც იქნა, ალიოშას აჩვენა „ბნედიანის“ საფლავი. მან წაიყვანა ალიოშა ქალაქის სასაფლაოზე, რომლის შორეულ კუთხეში აჩვენა იაფი, მაგრამ კოხტა თუჯის ფილა, ზედ წარწერა გარდაცვლილის სახელით და გვარით, წოდებით, დაბადების და გარდაცვალების თარიღებით, მათ ქვემოთ კი ოთხსტრიქონიანი ლექსი, ძველად საშუალო ფენის ადამიანების საფლავებზე საერთოდ მიღებული ეპიტაფია იყო წაწერილი. გასაკვირი ის იყო, რომ ეს ფილა გრიგორიმ „ბნედიანის“ საფლავზე გააკეთებინა საკუთარი ფულით მას შემდეგ, რაც ფიოდორ პავლოვიჩმა, მიუხედავად გრიგორის მიერ საფლავის მრავალჯერადი შეხსენებისა, დაჰკრა ფეხი და ოდესაში ამოყო თავი, ფეხებზე დაიკიდა საფლავიცა და ყველა თავისი მოგონებაც. ალიოშას დედის საფლავზე განსაკუთრებული გრძნობები არ გამოუხატავს; მან მოისმინა გრიგორის სერიოზული მონათხრობი ფილის დადგმის შესახებ, ერთხანს თავჩაქინდრული

იდგა საფლავთან, ხმა არ ამოუღია და ისე წავიდა. ამის შემდეგ თითქმის მთელი წელიწადი არ გაჰკარებია სასაფლაოს. მაგრამ ფიოდორ პავლოვიჩზე ამ პატარა ეპიზოდმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა და თანაც ძალიან ორიგინალური. მან მოულოდნელად აიღო ათასი მანეთი და მიიტანა ჩვენს მონასტერში თავისი ცოლის სულის მოსახსენიებლად, მაგრამ არა ალიოშას დედის, „ბნედიანის“ მოსახსენებლად, არამედ პირველი ცოლის, ადელაიდა ივანოვნასი, რომლისგანაც ცემა-ტყეპა არ მოჰკლებია. იმავე დღეს, საღამოს, გემოზე გამოთვრა და ალიოშას ბერ-მონაზვნები უგინა. თავად არ იყო მორწმუნე; თავის ცხოვრებაში ხუთკაპიკიანი სანთელიც კი არ დაუნთია ხატის წინ. ზოგჯერ ამგვარ სუბიექტებს მოულოდნელი გრძნობების და აზრების ნიაღვარი წალეკავს ხოლმე.
ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ იგი ძალზე გასივდა. იმ დროს მისი ფიზიონომია აშკარად მეტყველებდა მისი განვლილი ცხოვრების არსზე და ხასიათზე. წვრილ, თავხედურ, დამცინავ და ეჭვიან თვალებს ქვემოთ შეშუპებული უპეები პარკებივით ჰქონდა გამობერილი, პატარა და ქონიანი სახე ერთიანად დანაოჭებოდა, წვეტიანი ნიკაპის ქვემოთ კი ხორციანი, ქისასავით ჩამოგრძელებული ხვანჩი ეკიდა. ყველაფერი ეს ერთად საზიზღარი ავხორცის გამომეტყველებას აძლევდა. ამას დაუმატეთ გაუმაძღარი პირი, სქელ-სქელი ტუჩები, რომელთა უკან ალაგ-ალაგ ჩაშავებული, დამპალი კბილების პატარ-პატარა ნარჩენები მოუჩანდა. ლაპარაკის დროს თითქმის ყოველთვის დორბლებს აფრქვევდა. ისე კი, თავადაც უყვარდა თავისი პირისახეზე ოხუნჯობა. თუმცა საკუთარი გარეგნობით არც ისე უკმაყოფილო ჩანდა. განსაკუთრებით მოსწონდა ცხვირი, არც თუ ისე დიდი, მაგრამ ძალიან თხელი და გამოკვეთილი კეხით. „ნამდვილი რომაულია, - იტყოდა ხოლმე, - ხვანჩთან ერთად ნამდვილად ძველ რომაელ პატრიცს ვგავარო.“ ამით, მე მგონი, ამაყობდა კიდეც.
დედის საფლავის მონახულების შემდეგ ალიოშამ მამას განუცხადა, მონასტერში მინდა სამსახური, ბერ-მონაზონნი თანახმანი არიან, მორჩილად მიმიღონო. თან აუხსნა მამას, რომ ეს მისი განსაკუთრებული სურვილი იყო და სთხოვა - გზა დამილოცეო. ფიოდორ პავლოვიჩმა უკვე იცოდა, ამ მონასტერში მოღვაწე ბერმა ზოსიმამ მის „წყნარ ბიჭუნაზე“ განსაკუთრებული შთაბეჭდილება რომ მოახდინა.
- ეს ბერი, რა თქმა უნდა, იმ მონასტერში ყველაზე პატიოსანი მონაზონია, - ჩაილაპარაკა მან მას შემდეგ, რაც ჩუმად და გულდასმით მოუსმინა ალიოშას, თუმცა თითქმის არ გაჰკვირვებია მისი თხოვნა. - აჰა, აი, თურმე რა გსურს, ჩემო წყნარო ბიჭო! - იგი ნასვამი იყო და უცებ გაუღიმა მას ხანგრძლივი, ეშმაკური და შეზარხოშებული კაცის ღიმილით. - ჰმ, შენ წარმოიდგინე, გული მიგრძნობდა, შენი ბოლო ეგ რომ იქნებოდა, რომ შენ სწორედ იქითკენ ისწრაფვოდი. რა გაეწყობა, შენ გაქვს შენი ორი ათასი მანეთი, ესეც შენი მზითევი, მე კი, ჩემდათავად, ჩემო ანგელოზო, არასოდეს მიგატოვებ, ახლა თუ საჭიროა რაიმეს შეწირვა, მე გადავიხდი, რამდენიც საჭიროა. ცხადია, თუ ისინი მოგთხოვენ. თუ არ მოგთხოვენ, თავს მაინც და მაინც ნუ გამოიდებ, ხომ მართალი ვარ? შენ ხომ ცოტა ფულს ხარჯავ, ჩიტივით კვირაში ორი მარცვალი გყოფნის... ჰმ, იცი, ერთი მონასტრის ახლოს არის დასახლება, ეს ყველასათვის ცნობილია, ამ დასახლებაში მხოლოდ „მონაზვნების ცოლები“ ბინადრობენ, ასე ეძახიან მათ, მგონი ოცდაათამდე ქალი იქნება, ნამყოფი ვარ იქ. იცი, ძალიან საინტერესოა, რაღაცნაირად თავისებური, მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ცუდია იმ გაგებით, რომ მარტო რუსის ქალები ჰყავთ, ფრანგები კი ჯერჯერობით არა, ისე კი

უნდა იყვნენ, ამ საქმის ჩინებული ოსტატები არიან. ვინმემ რომ შეატყობინოს, აუცილებლად ჩამოვლენ. აქ კი ამდაგვარი არაფერია, ამ მონასტერში ქალის ჭაჭანება არ არის, ხოლო მამაკაცი ორასამდე ბერ-მონაზონი მაინც იქნება. რაც მართალია, მართალია - ნაღდი მემარხულეები არიან. ვაღიარებ... ჰმ, შენც მონაზვნობა გინდა? მებრალები, ალიოშა, ჭეშმარიტად მებრალები, დამიჯერე, მე შენ ნამდვილად შემიყვარდი... თუმცა, კარგია: ილოცე ჩვენთვის, ცოდვილთათვის, ჩვენ თავზე დიდი ცოდვა გვაწევს. სულ ვფიქრობ ხოლმე; ნეტა, თუ იქნება ოდესმე ვინმე ისეთი, რომ ჩემთვის ილოცოს? არის ამქვეყნად ასეთი ადამიანი? ჩემო ძვირფასო ბიჭუნა, მე ხომ ამ თვალსაზრისით ძალიან ბრიყვი ვარ, შენ, შესაძლოა, ეს არც გჯერა - ძალიან ბრიყვი!. იცი რა: თითქოს შეუძლებელია, მაგრამ მე ამის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიყვი ვარ, მაინც სულ ვფიქრობ და ვფიქრობ, რა თქმა უნდა, ხანდახან, მუდმივად არა. ვფიქრობ ხოლმე ჩემთვის; როცა მოვკვდები, ეშმაკებს დაავიწყდეთ ჩემი კავებით წათრევა-მეთქი: კავები? საიდან აქვთ მათ ისინი? რისგან აკეთებენ? რკინისაა? სად ჭედავენ? ფაბრიკა აქვთ სადმე? ალბათ იქ, მონასტერში, ბერები ფიქრობენ, რომ ჯოჯოხეთს ჭერი აქვს. მე მზადა ვარ, დავიჯერო, რომ არსებობს ჯოჯოხეთი, მაგრამ უჭერო ჯოჯოხეთი; გამოდის, ეს უფრო დელიკატურია, ცივილიზებული, ლუთერანულივით. ისე კი, არსებითად, სულ ერთი არ არის, ჭერიანი იქნება, თუ უჭერო? აი, ეს წყეული კითხვა რაში მდგომარეობს! თუ ჭერი არ არის, ე. ი. კავებიც არ არსებობს. თუ კავებიც არ არის, მაშინ ვინღა წამათრევს კავებით, და თუ არ წამათრევენ, მაშინ რა მოხდება? სადაა სიმართლე ამქვეყნად? Il faudrait les inventer[4], ეს კავები მხოლოდ ჩემთვისაა, მხოლოდ ჩემთვის, იმიტომ რომ, შენ არც კი იცი, ალიოშა, როგორი თახსირი ვარ.

- არავითარი კავები არ არის იქ, - წყნარად და სერიოზულად თქვა ალიოშამ და მამას შეხედა.

- ასეა, ასე, მხოლოდ და მხოლოდ კავების აჩრდილებია. ვიცი, ვიცი. ეს ისეა, როგორც ერთი ფრანგი აღწერდა ჯოჯოხეთს: „J'ai vu l'ombre d'un cocher, qui avec l'ombre d'une brosse frottait l'ombre d'une carrosse“[5]. შენ, ძვირფასო, საიდან იცი, რომ კავები არ არის? იცხოვრებ ბერებთან და სხვანაირად აჭიკჭიკდები... თუმცა, წადი, შეიცან სიმართლე, მერე მოდი და მოგვიყევი: ყოველ შემთხვევაში, იმქვეყნად წასვლა გაგვიადვილდება, რადგან ნაღდად გვეცოდინება, სად მივდივართ. გარდა ამისა, მონაზვნებთან უკეთ იქნები, ვიდრე ჩემთან, ლოთ ბერიკაცთან და მის ტურფებთან... შენ ანგელოზი კაცი ხარ და არაფერი გაგსვრის. რადგანაც შენ იქაც არ შეგეხება ბიწიერება, ამიტომაც გრთავ ნებას. ამის იმედი მაქვს. შენს გონებას ეშმაკი არ დაპატრონებია. აინთები და ჩაქრები, განიკურნები და უკან დაბრუნდები. მე კი მოგიცდი: მე ხომ კარგადა ვგრძნობ, შენ ერთადერთი კაცი ხარ, ვინც მე არ გამკიცხა, ჩემო ლამაზო ბიჭუნა, მე ხომ ვგრძნობ ამას, არ შეიძლება მე ამას არ ვგრძნობდე!

წამოიტირა კიდეც. სენტიმენტალური იყო - გაბრაზებული და სენტიმენტალური.

V ბერები

შესაძლოა, მკითხველებიდან ვინმემ იფიქროს, ჩემი ახალგაზრდა გმირი ერთი

ავადმყოფური, აღტყინებული და განუვითარებელი ნატურა და გაფითრებული, გაძვალტყავებული და ბეჩავი მეოცნებე კაცუნააო. პირიქით, იმ დროისათვის ალიოშა წარმოსადეგი, ფერ-ხორცით სავსე, სახენათელი და ჯანსაღი ყმაწვილი გახლდათ. მაშინ იგი ძალიან ლამაზიც იყო, ტანწერწეტა, ზომიერად მაღალი, ხორბლისფერთმიანი, სწორი, ოდნავ გრძელი სახით, ძალზე ფიქრიანი და მშვიდი, მბრწყინავი მუქი ნაცრისფერი თვალებით. შესაძლოა მითხრან - ფერხორციანობა არც ფანატიზმს და არც მისტიციზმს ხელს არ უშლისო; მე კი ასე მგონია, ალიოშა ყველაზე დიდი რეალისტი იყო. რასაკვირველია, მონასტერში მას სასწაულის სწამდა, მაგრამ, ჩემი აზრით, რეალისტს სასწაული არასოდეს აბნევს. სასწაულს არ მიჰყავს რეალისტი რწმენამდე. ჭეშმარიტი რეალისტი, თუკი ის ურწმუნოა, ყოველთვის იპოვის საკუთარ თავში ძალასა და უნარს, არ დაიჯეროს სასწაული, თუნდაც სასწაული მისთვის უცილობელ ფაქტად იქცეს. ამ შემთხვევაში იგი არ დაუჯერებს საკუთარ გრძნობებს, ვიდრე შესაძლებლად მიიჩნევს ფაქტის არსებობას. თუკი ის აღიარებს ფაქტს, მაშინ შესაძლებლად მიიჩნევს ამ ფაქტის ბუნებრიობას, რომელიც მისთვის აქამდე უცნობი იყო. რეალისტში რწმენა სასწაულისგან კი არ ჩნდება, არამედ სასწაული ჩნდება რწმენისაგან. თუკი რეალისტი ერთხელ ირწმუნებს, მაშინ მან თავისი რეალისტობის გამო აუცილებლად უნდა დაუშვას სასწაული. თომა მოციქულმა განაცხადა, რომ მანამ არ ირწმუნებდა, სანამ საკუთარი თვალით არ იხილავდა; როცა იხილა, თქვა: „უფალო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ სასწაულმა აიძულა იგი, რომ ერწმუნა? ალბათ, არა! მან ირწმუნა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სურდა, ერწმუნა და შესაძლებელია, მაშინაც კი ღრმად სწამდა, სადღაც თავისი სულის კუნჭულებში, როცა გაიძახოდა: „ვერ ვირწმუნებ, სანამ არ ვიხილავო“.
შესაძლებელია, ვინმემ თქვას - ალიოშა ისეთი გონებაჩლუნგი და განუვითარებელი იყო, რომ სკოლის კურსიც ვერ დაამთავრაო. მართალია, მან სკოლის კურსი არ დაამთავრა, მაგრამ იმის თქმა, რომ ის გონებაჩლუნგი ან ბრიყვი იყო, დიდი უსამართლობა იქნება. უბრალოდ გავიმეორებ იმას, რაც ზემოთ აღვნიშნე: ამ გზას იმიტომ დაადგა, რომ მაშინ მხოლოდ ამ გზამ მოხიბლა, მასში ნახა წყვდიადიდან სინათლისაკენ თავისი სულის გამოსვლის იდეალური შესაძლებლობა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ის, თითქმის ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა კაცი, ბუნებით პატიოსანი, სიმართლისმოყვარე და სიმართლის მაძიებელი პიროვნება გახლდათ. მას სწამდა ამქვეყნად სიმართლის არსებობა და როცა რაღაცას საბოლოოდ ირწმუნებდა, მოთხოვნილება უჩნდებოდა, დაუყოვნებლივ მიეღო მონაწილეობა მის აღსრულებაში მთელი თავისი სულიერი ძალისხმევით. თუ საჭირო იქნებოდა თავგანწირვა, არ დაიშურებდა არაფერს, ყველაფერს დაუფიქრებლად შესწირავდა, საკუთარ სიცოცხლესაც კი. საუბედუროდ, ასეთ ახალგაზრდებს არ ესმით ხოლმე, რომ სიცოცხლის შეწირვა ყველაზე ადვილი მსხვერპლგაღებაა იმ სხვა უამრავ მსხვერპლს შორის, რაც ამნაირ შემთხვევებში შეიძლება გაიღო. მაგალითად, მსხვერპლად გაიღო შენი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობის ხუთი-ექვსი წელი მძიმე და რთული მეცნიერების შესასწავლად, რათა გააათმაგო შენი ძალისხმევა იმავე სიმართლის სამსახურში, რომლისთვისაც მოინდომე თავდადება. ასეთი მსხვერპლის გაღება, ჩვეულებრივ, ბევრ მათგანს არ ხელეწიფება. ალიოშამ ყველასგან განსხვავებული, საპირისპირო გზა აირჩია, მაგრამ ისეთივე მძაფრი სურვილი ჰქონდა დაუყოვნებლივი თავგანწირვისა. როგორც კი მან, სერიოზული დაფიქრების

შემდეგ, გაოცებულმა ირწმუნა, რომ არსებობს უკვდავება და ღმერთი, მაშინვე გადაწყვიტა: „მინდა ვიცხოვრო უკვდავებისათვის, სანახევრო კომპრომისზე თანახმა არა ვარ.“ ზუსტად ასევე მოიქცეოდა მაშინაც, თუ გადაწყვეტდა, რომ უკვდავება და ღმერთი არ არსებობს, და თავს მიაკუთვნებდა ათეისტებსა და სოციალისტებს (რამეთუ სოციალიზმი არა მხოლოდ მუშათა, ე. წ. მეოთხე წოდების საკითხია, არამედ უფრო მეტად ათეისტური, თანამედროვე ათეიზმის ხორცშესხმის საკითხი, იმ ბაბილონის გოდოლის საკითხი, რომელიც უნდა აგებულიყო ღმერთის გარეშე, არა მიწიდან ზეცაში აღსასვლელად, არამედ ზეციურის მიწაზე გადმოსატანად). ალიოშას უჩვეულოდ და შეუძლებლად მიაჩნდა უწინდელივით ცხოვრება. თქმულა: „თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ და მოდი და გამომყევი მე“[6]. ალიოშამ თავის თავს უთხრა: „არ შემიძლია, ყოველივეს სანაცვლოდ გავცე ორი მანეთი, „გამომყევი მე“-ს ნაცვლად მხოლოდ წირვაზე ვიარო“. შესაძლოა, ბალღობიდან მას კიდევ შემორჩა რაიმე მოგონება ჩვენი მონასტრის შესახებ, სადაც დედას წირვაზე დაჰყავდა ხოლმე. ისიც შესაძლებელია, ეს იყო ჩამავალი მზის ირიბი სხივებით მოფენილი ხატის ზემოქმედება, იმ ხატისა, რომლის წინ მუხლმოდრეკილი დედა ავედრებდა ხოლმე მას. საგონებელში ჩავარდნილი შეიძლება მხოლოდ იმისათვის ჩამოვიდა ჩვენთან, რომ ენახა: ყველაფერი იყო ეს, თუ მხოლოდ ორი მანეთი, მონასტერში კი მან იხილა ბერი...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ბერი ზოსიმა გახლდათ. აქვე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ საერთოდ ვინ არიან ეს „ბერები“ ჩვენს მონასტრებში, თუმცა, სამწუხაროდ, ამ საკითხში მაინცდამაინც კომპეტენტური არ ვარ... მაინც ვეცდები, რამდენიმე სიტყვით, ზოგადად გადმოგცეთ მათ შესახებ რაც ვიცი. ჯერ ერთი - საქმის მცოდნე და კომპეტენტური ხალხი ამტკიცებს, რომ ბერობა და ბერები ჩვენს მონასტრებში ახლახან, ასე ასი წლის წინათ გამოჩნდნენ, მაშინ როცა მთელ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სინას მთასა და ათონზე[7] უკვე ათასი წელია მოღვაწეობენ. იმასაც ამტკიცებენ, ბერობა ძველად ჩვენთან, რუსეთში, აუცილებლად არსებობდაო, მაგრამ სხვადასხვა უბედურებამ, როგორიც იყო თათრობა, არეულ-დარეულობები კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ აღმოსავლეთთან ურთიერთობების გაწყვეტა, განაპირობეს ის, რომ ბერები გაქრნენ. ბერობა ჩვენთან გასული საუკუნის ბოლოს ხელახლა ააღორძინეს დიდმა მოღვაწემ პაისი ველიჩკოვსკიმ და მისმა მოწაფეებმა. დღემდე, ასი წლის შემდეგაც კი, ბერობა ბევრ მონასტერში არ გავრცელებულა და ხანდახან დევნასაც კი განიცდის, როგორც რუსეთისათვის გაუგონარი სიახლე. ბერობა განსაკუთრებით დამკვიდრდა ჩვენთან, რუსეთის ერთ-ერთ ცნობილ უდაბნოში, რომელსაც ჰქვია კოზიოლსკაია ოპტინა. აქ, ჩვენს მონასტერში, როდის და ვინ დაამკვიდრა ის, ვერ გეტყვით, მაგრამ მონასტერში უკვე მოღვაწეობს მესამე თაობა ბერებისა და ბერი ზოსიმაც უკანასკნელი მათგანი იყო. მაგრამ ის უკვე ძალზე ავადმყოფი, დასუსტებული, თითქმის მომაკვდავი გახლდათ და კაცმა არ იცოდა, ვინ შეცვლიდა. ამ საკითხს ჩვენი მონასტრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენი მონასტერი აქამდე არაფრით გამოირჩეოდა: არც წმინდანთა წმიდა ნაწილებით, არც სასწაულმოქმედი ხატების გამოცხადებით, არც საყოველთაოდ ცნობილი თქმულებებით და არც ისტორიაში იყო აღნიშნული მისი წვლილი ქვეყნის წინაშე. მან მთელ რუსეთში სახელი გაითქვა სწორედ ბერების

გამოისობით. რუსეთის ყველა კუთხიდან ღვთისმოსავი მრევლი, საერო თუ სასულიერო ჩამოდიოდა ამ ბერების სანახავად და მოსასმენად. და მაინც ვინ არის ბერი? ბერი არის სულიერი მამა, რომელიც გაითავისებს შენს სულსა და ნებას. როცა ბერს ირჩევ, უარს ამბობ შენს პირად ინტერესებზე, სრულ მორჩილებაში გადასცემ შენს ნებას სულიერ მამას. ამ გამოცდას, ცხოვრების ამ საშინელ სკოლას თავგანწირული კაცი ნებაყოფილობით ღებულობს, იმის იმედით, რომ დიდი ხნის გამოცდის შემდეგ დაამარცხებს საკუთარ თავს, ისე დაეუფლება საკუთარ თავს, რომ ბოლოს და ბოლოს, მთელი ცხოვრება მორჩილებაში ყოფნით მოიპოვებს სრულყოფილ თავისუფლებას, ე.ი. გათავისუფლდება საკუთარი თავისგან და აიცილებს იმათ ხვედრს, რომელთაც მთელი ცხოვრება საკუთარი თავი ვერ უპოვიათ. ეს გამოგონება - ბერობა, თეორია არ არის. ის აღმოსავლეთის ათასწლოვანი პრაქტიკული გამოცდილებით არის შექმნილი. ბერის მიმართ ვალდებულება არ გამოიხატება მარტოოდენ ჩვეულებრივი „მორჩილებით“, როგორც ეს მიღებული იყო ჩვენს რუსულ მონასტრებში. აქ იგულისხმება ბერთან მიკედლებულთა მუდმივი აღსარება, ურღვევი კავშირი დამკავშირებელსა და დაკავშირებულებს შორის. მაგალითად, გადმოცემით ცნობილია: ერთხელ, ადრეულ ქრისტიანულ ხანაში, ერთმა მორჩილმა არ შეასრულა საკანონო, რომელიც მას ბერმა დააკისრა, მიატოვა მონასტერი და სირიიდან ეგვიპტეში წავიდა. იქ იგი დიდი და ხანგრძლივი თავდადებული ღვაწლის შემდეგ ღირსიქმნა, განეცადა რწმენისათვის ტანჯვა-წამება და მოწამებრივი სიკვდილი. როცა ეკლესია მის გვამს მარხავდა, უკვე წმინდანად შერაცხულს, დიაკვნის შეძახილზე: „კათაკმეველნო, განვედით!“ - კუბო, წამებულის გვამით, მოსწყდა ადგილს და ტაძრის გარეთ აღმოჩნდა. ასე განმეორდა სამჯერ. ბოლოს და ბოლოს გაიგეს, რომ ამ წმინდა მოწამეს დარღვეული ჰქონდა საკანონო - უნებართვოდ წამოსულა თავისი ბერისაგან. ამიტომაც ბერის ნებართვის გარეშე ვერავინ შეუნდობდა მას, მიუხედავად მისი დიდი ღვაწლისა. როდესაც იმ ბერს შეატყობინეს ეს ამბავი, მან მოუხსნა გარდაცვლილს საკანონო და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი დამარხვა. ცხადია, ეს ძველთაძველი ლეგენდაა, მაგრამ ახლა ამასწინათ მომხდარ ნამდვილ ამბავს გეტყვით: ერთი ჩვენი თანამედროვე ბერ-მონაზონი თავს აფარებდა ათონის მთას. მოულოდნელად, მისმა ბერმა უბრძანა, მიეტოვებინა ათონი, რომელიც მან მთელი თავისი არსებით შეიყვარა, როგორც წმიდათაწმიდა ადგილი და სულის სიმშვიდის ნავსაყუდარი, და გამგზავრებულიყო ჯერ იერუსალიმში, წმიდა ადგილების მოსანახულებლად, შემდეგ კი რუსეთში, ჩრდილოეთ ციმბირში: „იქ არის შენი ადგილი, აქ არაო“. დამწუხრებული მონაზონი კონსტანტინეპოლში გამოცხადდა მსოფლიო პატრიარქთან და მუხლმოდრეკით შეევედრა, მოეხსნა მისგან ეს საკანონო. აი, რა უთხრა მას მსოფლიო მეუფემ: არათუ მე, მსოფლიო პატრიაქს, არ შემიძლია გაგათავისუფლო ამ ვალდებულებისაგან, არამედ მთელ დედამიწაზე არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც შეძლებს, მოგიხსნას ბერის მიერ ნაბრძანები, გარდა თვით იმ ბერისა, ვინც დაგიკანონაო. ამგვარად, ბერობას მინიჭებული აქვს უსაზღვრო და ხელშეუხებელი ძალაუფლება. ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთ ჩვენს მონასტერში პირველ ხანებში ბერობას სდევნიდნენ. ამავე დროს ბერები ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ჩვენი მონასტრის ბერებთან მოდიოდნენ როგორც მდაბიო ხალხი, ისე დიდგვაროვანები, რათა

მუხლმოდრეკილებს გაეზიარებინათ მათთვის თავიანთი ეჭვები, ცოდვები, წამება და მიეღოთ რჩევა-დარიგებები. ამის შემყურე ბერობის მოწინააღმდეგეები, სხვა ბრალდებებთან ერთად, ბერებს ადანაშაულებდნენ აღსარების საიდუმლოს თვითნებურ და დაუფიქრებელ დამცირებაში, თუმცა მორჩილის ან არასასულიერო პირის მიერ ბერისადმი მუდმივად აღსარების თქმა სულაც არ ითვლებოდა საიდუმლოდ. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ბერობამ თანდათანობით რუსეთის მონასტრებშიც მოიკიდა ფეხი. ისიც მართალია, რომ ადამიანის მონობიდან განთავისუფლებისა და ზნეობრივი სრულყოფის ეს ათასწლიანი გამოცდილი იარაღი, შესაძლოა, ორლესულ იარაღადაც იქცეს, რადგან ზოგიერთი, თავმდაბლობისა და სათნოების მაგივრად, შეიძლება მიიყვანოს სატანურ ამპარტავნობამდე, მაშასადამე, ბორკილებამდე და მონობამდე.

ბერი ზოსიმა ასე სამოცდახუთი წლის იქნებოდა. მემამულის ოჯახში დაიბადა. ახალგაზრდობაში კავკასიაში ობერ-ოფიცრის ჩინით მსახურობდა. თქმა არ უნდა, ბერმა ალიოშა თავისი განსაკუთრებული სულიერი თვისებებით მოხიბლა. ბერმაც ისე შეიყვარა ალიოშა, რომ თავის სენაკში ცხოვრების უფლება მისცა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონასტერში ალიოშა არავისზე არ იყო დამოკიდებული, შეეძლო, დღეობით სადაც უნდოდა, იქ წასულიყო, და თუ მას ბერული სამოსი ეცვა, ესეც თავად ინება, იმიტომ რომ მონასტერში არავისაგან გამორჩეულიყო. ეს, ცხადია, თავადაც მოსწონდა. ისიც დასაშვებია, რომ ალიოშას ახალგაზრდულ წარმოდგენაზე ძალზე ემოქმედა ბერის დიდებასა და ავტორიტეტს, რითაც ის ხალხში სარგებლობდა. ბერ ზოსიმაზე ამბობდნენ, რომ წლების განმავლობაში იმდენმა კაცმა გაანდო მას თავისი გულისნადები, იმდენს მისცა განმკურნებელი რჩევა-დარიგებები და შეუნდო ცოდვები, იმდენის აღსარება და სადარდებელი გაითავისა, რომ ბოლოს და ბოლოს, ხილვის უნარი შეიძინა - როცა ვინმე მოვიდოდა მასთან, იგი სახეზე ატყობდა, რა უნდოდა, რა სტანჯავდა მის სინდისს. ამით აოცებდა, აბნევდა და თითქმის აფრთხობდა კიდეც მასთან მისულს, რადგან სტუმარს ჯერ სიტყვაც კი არ დაეძრა და იმისი საიდუმლო უკვე იცოდა ბერმა. ამასთანავე, ალიოშა დაკვირვებული იყო: თითქმის ყოველთვის ბერთან შემსვლელები თავდაპირველად შეშინებულნი და აღელვებულები იყვნენ ხოლმე, მაგრამ იქიდან სახენათელები და მხიარულნი გამოდიოდნენ, ყველაზე უბედური კაციც ბედნიერად გრძნობდა თავს. ყველაზე მეტად ალიოშას ის აოცებდა, რომ ბერი მკაცრი ადამიანი არ იყო; მას ადამიანებთან ურთიერთობის დროს მუდამ ლაღად ეჭირა თავი. მონაზვნები ამბობდნენ, იგი სულიერად უახლოვდება ცოდვილს და ვინც უფრო ცოდვილია, ყველაზე მეტად მას შეიყვარებს ხოლმეო. ბერ-მონაზვნებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც მისი შურდათ კიდეც, მაგრამ მათი რიცხვი ბერის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თანდათან მცირდებოდა და ვინც დარჩა, ისინიც ხმას აღარ იღებდნენ. ბერ ზოსიმას მოძულეთა შორის რამდენიმე საკმაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი პიროვნება გამოირჩეოდა, განსაკუთრებით ერთი მოხუცი ბერ-მონაზონი, დიდი მარადმდუმარი და უცნაური მემარხულე განდეგილი. მაგრამ მონასტრის მკვიდრთა დიდი უმრავლესობა ბერ ზოსიმას მხარს უჭერდა, ბევრს მთელი გულითა და სულით უყვარდა, ზოგიერთს თითქმის ფანატიკურადაც. მისი თაყვანისმცემლები პირდაპირ ამბობდნენ, თუმცა ყველას გასაგონად არა, რომ იგი ეჭვშეუვალი წმინდანია, და გრძნობდნენ რა მის მოახლოებულ აღსასრულს,

ელოდნენ დიდ სასწაულებს, იმასაც, რომ ბერის სიკვდილის შემდეგ მონასტერი დიდ სახელს მოიხვეჭდა. ბერის სასწაულმოქმედი ძალა ალიოშას უეჭველად სწამდა და ეჭვი არ ეპარებოდა ეკლესიიდან გაფრენილი კუბოს ამბავშიც. ის ხედავდა, როგორ აწყდებოდა ხალხი ბერს სნეული ბავშვებითა თუ მოზრდილი ახლობლებით, როგორ ევედრებოდნენ, ხელი მაინც შეეხო მათი ავადმყოფებისათვის, დაელოცა ისინი. იმასაც ხედავდა, რომ ბევრი მათგანი მალე შინ განკურნებული ბრუნდებოდა, ზოგიერთები მეორე დღესაც. გამოთხოვებისას, ავადმყოფის თანმხლები პირები, აცრემლებულები და ბერის ფეხებთან პირქვე დამხობილები, მადლობას მოახსენებდნენ ხოლმე განკურნებული ნათესავების გამო. კურნება იყო ეს, თუ ავადმყოფის ბუნებრივი გამოკეთება, ასეთი კითხვა ალიოშასთვის არ არსებობდა, რამეთუ ღრმად სწამდა თავისი მოძღვრის სულიერი ძალისა და ბერის ყოველი წარმატება მისთვის დღესასწაული იყო. ალიოშა განსაკუთრებით ღელავდა და სახე უბრწყინდებოდა, როცა ბერი მონასტრის კარიბჭეში გამოჩნდებოდა მასთან შესახვედრად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად მომლოდინე, რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული დაბალი ფენის მლოცველთა წინაშე. მის ფერხთით დამხობილი მთხოვნელები ტიროდნენ, ემთხვეოდნენ მის ფეხებს, კოცნიდნენ მიწას, რომელზედაც ის იდგა, გოდებდნენ, ბავშვებსა და ავზნიანებს ავედრებდნენ. ბერი კითხულობდა ლოცვებს, ესაუბრებოდა მათ, ლოცავდა, აკურთხებდა და მიუტევებდა ცოდვებს. უკანაკნელ ხანებში სნეულებისაგან დაუძლურებული ბერი სენაკიდან ძლივს გამოდიოდა და მლოცველებს რამდენიმე დღე უწევდათ ლოდინი. ალიოშას არასოდეს დაჰბადებია კითხვა, ასე რატომ უყვარდა ხალხს ბერი, რატომ იჩოქებდა მის წინაშე და ქვითინებდა მისი გამოჩენისთანავე. დიახ, მას მშვენივრად ესმოდა, რომ შრომითა და ურვით გაწამებული თვინიერი რუსი მდაბიოსათვის როგორც საკუთარი, ისე ამა სოფლის გამუდმებული უსამართლობითა და მარადიული ცოდვით დამძიმებული მისი სულისათვის არაფერი ისე ძლიერ საჭირო და ნუგეშისმცემელი არ არის, როგორც სალოცავი და წმინდანი, რომლის წინაშეც შეიძლება მუხლი მოიდრიკოს და თქვას: „თუ ჩვენ ვცოდავთ, ვცრუობთ და ვართ ცდუნების მონები, ხომ არის ქვეყნად, სადღაც იქ, წმინდანი და უზენაესი, ვისთანაც სუფევს სიმართლე, მან ხომ იცის სიმართლე; მაშასადამე, არის სიმართლე ამქვეყნად და ოდესღაც ის ჩვენთანაც მოვა, მოვა და გამეფდება მთელ დედამიწაზე, ისე როგორც აღთქმულია“. ალიოშამ იცოდა, სწორედ ასე რომ გრძნობდა და მსჯელობდა ხალხი. ამ აცრემლებულ ტეტიებთან და მათ დავრდომილ დედაკაცებთან ერთად, რომლებიც ბავშვებს ავედრებდნენ ბერს, თავადაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ ბერი ზოსიმა იყო ის წმინდანი და ღვთიური სიმართლის სამკვიდრებელი. ალიოშას სულში ღრმად ჩანერგილიყო იმის რწმენა, რომ ბერის სიკვდილის შემდეგ მონასტერი სახელს გაითქვამდა - მას მონასტრის სხვა ნებისმიერ წევრზე მეტად სჯეროდა ამის. საერთოდ, უკანასკნელ ხანს რაღაცნაირი ღრმა და მგზნებარე შინაგანი აღმაფრენა ეუფლებოდა ხოლმე მის სულს. სულაც არ აწუხებდა, რომ ეს ბერი მისთვის ერთადერთი იყო: „იგი წმინდანია, მის გულში დაბუდებულია განახლების საიდუმლო, ის ძალაა ყველასათვის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დაამკვიდრებს სიმართლეს დედამიწაზე, ყველა გახდება წმინდანი, ყველას ერთმანეთი ეყვარება, აღარ იქნება აღარც მდიდარი და აღარც ღარიბი, არც აღმატებული და არც დამცირებული, ყველა ღვთის შვილები ვიქნებით! და

დადგება ჭეშმარიტი ჟამი ქრისტეს მეუფებისა“. აი, ამაზე ოცნებობდა ალიოშა.
ორივე ძმის ჩამოსვლამ მგონი, ალიოშაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მანამდე მათ თითქმის არ იცნობდა. უფროს ძმას, დმიტრის, მალე დაუახლოვდა, თუმცა ის ღვიძლ ძმაზე, ივანზე გვიან ჩამოვიდა. ალიოშას ძალიან უნდოდა ივანის ახლოს გაცნობა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ორი თვე ცხოვრობდა მამამისთან და ხშირადაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, ვერა და ვერ დაახლოვდნენ. ალიოშა სიტყვაძვირი კაცი იყო, თითქოს რაღაცას ელოდა, თითქოს რაღაცის რცხვენოდა, ხოლო ივანმა, კი ალიოშა თავიდან ცნობისმოყვარეობით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მაგრამ სულ მალე დაივიწყა მისი არსებობა. ალიოშამ ეს შეამჩნია და ცოტა გაკვირვებულიც დარჩა. ძმის გულგრილობა წლოვანებაში, განსაკუთრებით კი განათლებულობაში სხვაობას დააბრალა. მაგრამ სხვა რამესაც ფიქრობდა ალიოშა: ასეთი უყურადღებობა და გულგრილობა ძმის მხრიდან, შესაძლოა, ჩემთვის უცნობი გარემოებით არის გამოწვეულიო. რატომღაც მუდამ ეჩვენებოდა, ივანი რაღაცითაა დაკავებული, რაღაც შინაგანით და მნიშვნელოვანით, რაღაც მიზანს სურს მიაღწიოს, იქნებ ძალიან რთულს, ამიტომ ჩემთვის არ სცალია და სწორედ ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, ასე დაბნეული რომ მიყურებსო. ხანდახან იმასაც კი გაიფიქრებდა ხოლმე, ხომ არ იწვევდა იგი, ჩერჩეტი მორჩილი, განსწავლულ ათეისტში რაღაცნაირი ზიზღის გრძნობას. კარგად იცოდა, ივანი რომ ათეისტი იყო. ეს ზიზღი, თუ ის საერთოდ არსებობდა, მას წყენას არ ჰგვრიდა და ალიოშა მისთვის გაურკვეველი, რაღაცნაირად შემაშფოთებელი უხერხულობის გრძნობით ელოდა, როდის მოისურვებდა ძმა მასთან დაახლოებას. უფროსი ძმა დმიტრი ივანს განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენებდა, დიდი გრძნობით ლაპარაკობდა ხოლმე მასზე. ალიოშამ მისგან დაწვრილებით გაიგო იმ მნიშვნელოვანი საქმის შესახებ, რამაც უკანასკნელ ხანებში უფროსი ძმები ერთმანეთთან განსაკუთრებულად მჭიდროდ დააკავშირა. დმიტრის ივანით აღფრთოვანებას ალიოშა იმიტომ ანიჭებდა მნიშვნელობას, რომ დმიტრი, ივანთან შედარებით, თითქმის გაუნათლებელი გახლდათ. ორივე ერთად რომ დაგეყენებინათ, ისეთი აშკარა სხვაობა იყო მათ შორის, ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო არსებები იყვნენ როგორც პიროვნულად, ისე ხასიათით, რომ არ შეიძლებოდა გენახათ სადმე სხვა ორი ერთმანეთისაგან უფრო განსხვავებული კაცი.
სწორედ ამ დროს შედგა პაემანი, უფრო სწორად ამ მოუწესრიგებელი ოჯახის წევრების შეხვედრა ალიოშაზე დიდი გავლენის მქონე ბერის სენაკში. სინამდვილეში, ამ შეხვედრის საბაბი ყალბი იყო. იმ დროისათვის დმიტრისა და მამამისს შორის უთანხმოება მემკვიდრეობისა და ქონებრივი ანგარიშების გამო კულმინაციას აღწევდა. ურთიერთობა გამძაფრდა და აუტანელი გახდა. ფიოდორ პავლოვიჩმა, მგონი პირველმა, ხუმრობით გამოთქვა აზრი: ხომ არ შევიკრიბოთ ყველა ერთად ბერ ზოსიმას სენაკშიო. თუმცა უშუალოდ ბერის შუამავლად გამოყენება კი არ უნდოდა, უბრალოდ, ერთმანეთს როგორღაც წესით და რიგით რომ მოლაპარაკებოდნენ, ამ შეხვედრაში ღირსი მამის მონაწილეობა კი ვითარებას დამაჯერებლობასა და მშვიდობიანობას მიანიჭებდა. დმიტრი ბერთან არასოდეს ყოფილა, თვალითაც არ უნახავს და ერთი პირობა კიდეც გაიფიქრა, ამ ბერით ხომ არ უნდა შემაშინოსო; მაგრამ რადგან თავად კიცხავდა თავს მამასთან დავის დროს რამდენიმე განსაკუთრებით უხეში გამოხდომისათვის, დათანხმდა ამ შეხვედრაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ივანისაგან განსხვავებით,

იგი მამის სახლში კი არ ცხოვრობდა, არამედ ცალკე, ქალაქის მეორე ბოლოში. ისე მოხდა, რომ იმ დროს უკვე ჩვენს ქალაქში მცხოვრები პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვი განსაკუთრებით ჩაეჭიდა ფიოდორ პავლოვიჩის იდეას. ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების ლიბერალმა, თავისუფლად მოაზროვნემ და ათეისტმა, შესაძლოა უსაქმობისგან, შესაძლოა სასეიროდ, განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. მას უცებ მოუნდა მონასტრისა და „წმინდანის“ ხილვა, რადგან ჯერ კიდევ გრძელდებოდა მონასტერთან მისი ძველთაძველი უთანხმოება, გაჭიანურებული დავა მათ მამულებს შორის საზღვრების, ტყეში ხის ჭრის, მდინარეში თევზჭერისა და ა.შ. გამო. ამიტომაც იჩქარა, გამოეყენებინა ეს შემთხვევა, ვინაიდან თავადაც სურვილი ჰქონდა, მოლაპარაკებოდა მონასტრის წინამძღვარს და როგორმე მშვიდობიანად მოეთავებინა ეს გაუთავებელი დავა. ასეთ კეთილგანწყობილ სტუმარს, ცხადია, მონასტერში ყველა ყურადღებითა და პატივისცემით შეხვდებოდა, ვიდრე უბრალო ცნობისმოყვარეს. ზემომოყვანილ მოსაზრებათა გამო, შესაძლებელი გახდა მონასტრის ხელმძღვანელობის დახმარებით სნეული ბერის დაყოლიება, რომელიც ბოლო ხანებში ავადმყოფობის გამო თითქმის არ გამოდიოდა სენაკიდან და ჩვეულებრივ მნახველებსაც უარს ეუბნებოდა შეხვედრაზე. ყოველივე იმით დამთავრდა, რომ ბერი დაითანხმეს და შეხვედრის დრო დანიშნეს. „ვინ დამაყენა მე თქვენს მსაჯულად ანდა გამყრელადო?“[8] - მან მხოლოდ ეს განუცხადა ალიოშას ღიმილით.

როცა ალიოშამ შეხვედრის შესახებ შეიტყო, ძალზე დაიბნა. ამ მოდავე-მოკინკლავეებს შორის, თუკი ვინმე სერიოზულად უყურებდა ამ შეკრებას, ეს უეჭველად მხოლოდ და მხოლოდ დმიტრი იყო; დანარჩენები სეირის მოყვარულები იყვნენ, რაც, შესაძლოა ბერისათვის, შეურაცხმყოფელი გამხდარიყო. ალიოშას კარგად ესმოდა - ივანი და მიუსოვი აშკარა ცნობისმოყვარეობის გამო რომ მოვიდოდნენ, მამამისი კი საპამპულაოდ და სატაკიმასხარაოდ. ალიოშა, მართალია, არაფერს ამბობდა, ის ძირისძირობამდე იცნობდა საკუთარ მამას. ვიმეორებ, ეს ყმაწვილი არც ისე უბრალო ვინმე იყო, როგორადაც თვლიდნენ. შეწუხებული ელოდა დადგენილ დღეს. უეჭველია, დიდი სურვილი ჰქონდა, ამ ოჯახურ უთანხმოებას ბოლო მოჰღებოდა. მიუხედავად ამისა, მისი ყველაზე დიდი საზრუნავი ახლა ბერი ზოსიმა გახლდათ: მას ეშინოდა, ბერის სახელს ჩირქი არ მოსცხებოდა, მიუსოვის ზრდილობიან ქილიკსა და ივანის ქედმაღლურ ქარაგმებს არ შეებღალა მისი დიდება. მან ბერის გაფრთხილებაც კი სცადა, უნდოდა, ეთქვა რამე ამ საკმაოდ გამორჩეული პირების შესახებ, მაგრამ გადაიფიქრა და გაჩუმდა. ალიოშამ მხოლოდ შეხვედრის წინადღეს ერთი ნაცნობის საშუალებით შეუთვალა დმიტრის, რომ ძმა ძალიან უყვარს და მისგან დაპირებულის შესრულებას ელის. დმიტრი დაფიქრდა, რადგან ვერანაირი დაპირება ვერ გაიხსენა და წერილით უპასუხა, რომ ყველა ღონეს იხმარს, თავი შეიკავოს „სისაძაგლის შემხედვარემ“, თუმცა პატივს მიაგებს ბერს და ივანს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ეს ან რაღაც მახე ან იაფფასიანი კომედიაა. „მიუხედავად ამისა, ენას კბილს დავაჭერ და თავდაჭერილად მოვიქცევი შენგან დიდად პატივდებული ბერის წინაშე“,- ასე ასრულებდა ბარათს დმიტრი. ამ ბარათს ალიოშა დიდად არ გაუმხნევებია.

წიგნი მეორე. უადგილო ადგილას თავშეყრა

I მონასტერში მისვლა

აგვისტოს მიწურულის მშვენიერი, თბილი და ნათელი დღე იდგა. ბერთან შეხვედრა გვიანი წირვის შემდეგ, დაახლოებით, თორმეტის ნახევრისათვის იყო დანიშნული. მონასტრის სტუმრები წირვის დაწყებისას არ გამოცხადებულან, ზუსტად წირვის ბოლოს ორი ეკიპაჟით მოვიდნენ; ჯერ პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვი და მისი შორეული ნათესავი, ოცი წლის ჭაბუკი, პიოტრ ფომიჩ კალგანოვი მობრძანდნენ. მათ კოპწია ეტლში ორი საუკეთესო ჯიშის ცხენი იყო შებმული. ჭაბუკი კალგანოვი უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა; მიუსოვი კი, რომელთანაც რატომღაც ამჟამად ცხოვრობდა, მის გადაბირებას ცდილობდა. იგი ახალგაზრდა კაცს მასთან ერთად ციურიხში ან იენაში გამგზავრებას და იქაური უნივერსიტეტის კურსის დამთავრებას სთავაზობდა. ჭაბუკს გადაწყვეტილება ჯერ ვერ მიეღო. მუდამ შეფიქრიანებული დადიოდა და ცოტა დაბნეული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახე სანდომიანი ჰქონდა, აგებულება მაგარი და საკმაოდ ტანადი. ხანდახან მზერა უცნაურად ეყინებოდა ხოლმე, როგორც ყველა დაბნეულ ადამიანს სჩვევია. შეეძლო, დიდხანს ეცქირა თქვენთვის და ამ დროს საერთოდ ვერ შეემჩნიეთ. ჩუმი კაცი იყო, რამდენადმე მოუქნელი, მაგრამ ხანდახან, მოულოდნელად, თუკი ვინმესთან განმარტოვდებოდა, ისეთი ყბედი, მგზნებარე და ხითხითა ხდებოდა, კაცი ვერ გაიგებდა, რა უხაროდა. მაგრამ ეს აღტყინება ისევე მალე უქრებოდა, როგორც უჩნდებოდა. ყოველთვის კარგად ეცვა, შეიძლება ითქვას, დახვეწილადაც; უკვე გააჩნდა რაღაც დამოუკიდებელი ქონება და მომავალში კიდევ მეტს ელოდა. მას ალიოშასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

კარგა ხნის შემდეგ პირველ ეტლს მეორე, საკმაოდ ტევადი ეტლი მოჰყვა, რომელშიც ფიოდორ პავლოვიჩი თავის ვაჟთან, ივან ფიოდოროვიჩთან ერთად იჯდა. საკმაოდ ძველსა და მონჯღრეულ ეტლში ლეგა-ვარდისფერი წყვილი ბეხრეკი ცხენი იყო შებმული. დმიტრის შეხვედრის დრო და საათი წინა დღეს შეატყობინეს, მაგრამ იგვიანებდა. სტუმრებმა ეკიპაჟები გალავანთან მდებარე სასტუმროს წინ დატოვეს და თავად ფეხით მონასტრისაკენ გაემართნენ. გარდა ფიოდორ პავლოვიჩისა, დანარჩენებს, მგონი, არასოდეს ენახათ არანაირი მონასტერი, ხოლო მიუსოვი, ალბათ, ოცდაათი წელი იქნებოდა, ეკლესიაში არ შესულიყო. ის აქეთ-იქეთ რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა და მის ქცევაში მოჩვენებითი სითამამე იგრძნობოდა. მისმა დაკვირვებულმა თვალმა მონასტრის შიგნით, გარდა სავსებით ჩვეულებრივი საეკლესიო და სამეურნეო ნაგებობებისა, ვერაფერი შენიშნა. ეკლესიიდან მლოცველები გამოდიოდნენ, ქუდებს იხდიდნენ და პირჯვარს იწერდნენ. მდაბიოთა შორის აქა-იქ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებიც ჩანდნენ - ორი-სამი ქალბატონი და ერთი ძალზე ბებერი გენერალი. ესენი, ყველა, სასატუმროში იყვნენ გაჩერებულნი. სტუმრებს მათხოვრები მაშინვე გარს შემოერტყნენ, მაგრამ მათთვის არავინ არაფერი გაიმეტა. მხოლოდ პეტრუშა კალგანოვმა ამოიღო ჯიბიდან უზალთუნიანი და ფაცი-ფუცით, ღმერთმა უწყის, რისგან დარცხვენილმა, ერთ

დედაკაცს ხელში ჩაუდო, თან სწრაფად დააყოლა: „თანაბრად გაიყავით“. მის თანმხლებ პირთაგანს მისთვის შენიშვნა არავის მიუცია, ასე რომ დარცხვენის მიზეზი არ ჰქონდა; თუმცა ამან იგი უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.
უცნაური ის იყო, რომ მონასტერში მათი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და დახვედრაც წესით კარგი უნდა მოეწყოთ, რადგან სტუმართაგან ერთმა ახლახან მონასტერს ათასი მანეთი შესწირა, ხოლო მეორე კი უმდიდრესი და უგანათლებულესი მემამულე გახლდათ, კაცი, ვისზედაც იყვნენ ისინი დამოკიდებულები, იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა მდინარეში თევზის ჭერის გამო აღძრული პროცესი. ამის მიუხედავად, მათ არც ერთი ოფიციალური პირი არ დახვედრია. მიუსოვი დაბნეული შეჰყურებდა ეკლესიის გარშემო გამწკრივებულ საფლავის ქვებს და უნდოდა აღენიშნა, რომ ეს საფლავები ჭირისუფლებს ალბათ ძვირი დაუჯდათ, რათა მოეპოვებინათ უფლება ამ „წმინდა“ ადგილას საფლავის აღებისაო, მაგრამ გაჩუმდა: მისი უბრალო, ლიბერალური ირონია თითქმის რისხვად გადაიქცა.
- ეშმაკმა დალახვროს! გავიკითხოთ მაინც, საით წავიდეთ... გადაწყვიტეთ, დრო გადის, - უცებ ისე წარმოთქვა მიუსოვმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.
მოულოდნელად მათ ერთი საზაფხულო პალტოში გამოწყობილი, მლიქვნელური გამომეტყველების თვალებით მომზირალი, მელოტი ბატონი მიუახლოვდა. მისალმების ნიშნად ქუდი მოიხადა და ენამოჩლექით გააცნო თავი; ტულელი მემამულე მაქსიმოვი ვარო. იგი მაშინვე მათზე ზრუნვას შეუდგა.
- ბერი ზოსიმა სავანეში ცხოვრობს, ყრუ ადგილია, მონასტრიდან ოთხასი ნაბიჯი იქნება, ტყის გავლით, ტყის გავლით...
- ეგ ხომ მეც ვიცი, ტყე რომაა გასავლელი, - უპასუხა ფიოდორ პავლოვიჩმა, - მაგრამ გზა კარგად აღარ მახსოვს, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.
- აი, ამ კარიბჭეს გაივლით და პირდაპირ ტყისკენ... ტყისკენ წამობრძანდით. ხომ არ ინებებთ... მე თავად... მე თვითონ... აი, აქეთ მობრძანდით... აქეთ...
მათ კარიბჭე გაიარეს და ტყისკენ გაეშურენ. მემამულე მაქსიმოვი ასე სამოცი წლის კაცი იქნებოდა. კი არ მიდიოდა, მირბოდა და გადმოკარკლული თვალებით გვერდიდან ათვალიერებდა მათ, რაღაცნაირი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით.
- იცით რა, ჩვენ ბერთან საქმე გვაქვს, - მკაცრად შენიშნა მიუსოვმა, - ასე ვთქვათ, აუდენცია გვაქვს „ამ პირთან“; დიდ მადლობას მოგახსენებთ გზის სწავლებისათვის, მაგრამ, გთხოვთ, ჩვენთან ერთად ნუ შემოხვალთ.
- მე ვიყავი, ვიყავი, მე უკვე ვიყავი... Un chevalier parfait![9] - მემამულემ მოწონების ნიშნად მაღლა ასწია ცერამართული ხელი.
- ვინ არის chevalier?[10] - ჰკითხა მიუსოვმა.
- ბერი, ბრწყინვალე ბერი, ბერი... დიდება და პატივი ზოსიმას მონასტერს... ეს ისეთი ბერია...
მაქსიმოვს ეს არეულ-დარეული ლაპარაკი შეაწყვეტინა ბარტყულათი თავდაბურვილმა, დაბალმა, გაფითრებულმა და გალეულმა მონაზონმა, რომელიც მათ წამოეწია. ფიოდორ პავლოვიჩი და მიუსოვი შეჩერდნენ. მონაზონმა განსაკუთრებული პატივისცემით დაუკრა მათ თავი და წარმოთქვა:
- მამა წინამძღვარი უმორჩილესად გთხოვთ, ბატონებო, სავანეს მონახულების შემდეგ, ტრაპეზზე ეწვიოთ. ზუსტად პირველ საათზე, არა უგვიანეს. თქვენც, - მიმართა მან მაქსიმოვს.

- აუცილებლად მოვალ! - წამოიყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა, რომელსაც ძალიან გაუხარდა მიწვევა, - აუცილებლად. იცით, ჩვენ დავთქვით, რომ წესიერად მოვიქცევით... თქვენ, პიოტრ ალექსანდროვიჩ წამობრძანდებით?
- რატომაც არა? აბა, რისთვის მოვედი, თუკი აქაურ წეს-ჩვეულებებს არ გავეცნობი. მხოლოდ ერთი რამ მიშლის ხელს, ფიოდორ პავლოვიჩ, თქვენი თანხლება.
- დმიტრი პავლოვიჩი ჯერ კიდევ არა ჩანს.
- კარგი იქნება, თუ არ მოვა. სულაც არ მსიამოვნებს თქვენი მიქარვების მოსმენა და საერთოდ თქვენთან ურთიერთობა. სადილად აუცილებლად გეახლებით, მადლობა გადაეცით მამა წინამძღვარს, - მიმართა მან მონაზონს.
- არა, დავალებული მაქვს ბერთან თქვენი მიყვანა, - უპასუხა მონაზონმა.
- რადგან ასეა, მე პირდაპირ მამა წინამძღვართან წავალ, - ჩაიბურტყუნა მემამულე მაქსიმოვმა.
- მამა წინამძღვარი ახლა დაკავებულია, თუმცა, როგორც გენებოთ... - მორიდებით წარმოთქვა მონაზონმა.
- აბეზარი ბებერი, - შენიშნა ხმამაღლა მიუსოვმა, როცა მემამულე მაქსიმოვი უკან, მონასტრისაკენ გაბრუნდა.
- ფონ ზონს არა ჰგავს?! - უცებ თქვა ფიოდორ პავლოვიჩმა.
- თქვენ მხოლოდ ეს იცით... რატომ ჰგავს ფონ ზონს? თქვენ გინახავთ ფონ ზონი?
- სურათზე მინახავს. სახის ნაკვთებით კი არ ჰგავს, რაღაცითა ჰგავს. ნაღდი ფონ ზონის ასლია. მე ასეთ რამეს ფიზიონომიით ვხვდები.
- უეჭველია; თქვენ ამის ოსტატი ხართ. მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრათ: ახლახან ხომ შეგვახსენეთ, ჩვენ პირობა დავდეთ, წესიერად მოვიქცევითო, არ დაგავიწყდეთ. გაფრთხილებთ, თავი შეიკავეთ. თუ ტაკიმასხარაობას დაიწყებთ, მე არავითარი სურვილი არა მაქვს თქვენს მარაქაში გამრიონ... ხედავთ, როგორი კაცია, - მიმართა მან მონაზონს, - მასთან ერთად წესიერ ხალხთან მისვლის მეშინია.
მონაზვნის გაფითრებულ, გაცრეცილ ბაგეებზე ჩუმმა და ეშმაკურმა ღიმილმა გადაირბინა, მაგრამ არაფერი უთქვამს; ნათლად ჩანდა, რომ ის საკუთარი ღირსების გრძნობამ გააჩუმა. მიუსოვს კიდევ უფრო წაუხდა ხასიათი..
„დალახვროს ეშმაკმა, საუკუნეების განმავლობაში აქვთ დამუშავებული გარეგნობა, არსებითად კი ყველაფერი შარლატანობა და სისულელეა!“ - გაუელვა თავში.
- აი სავანეც, მოვედით! - შესძახა ფიოდორ პავლოვიჩმა, - გარშემო გალავანია, კარიბჭე კი დაკეტილი.
იგი კარიბჭის თავსა და გვერდებზე გამოსახული წმინდანების ხატების წინ დიდი მონდომებით შეუდგა პირჯვრის წერას.
- სხვის მონასტერში საკუთარი ტიპიკონით არ დადიან, - შენიშნა მან, - ამ სავანეში ოცდახუთი წმინდანი აფარებს თავს, ერთმანეთს შესცქერიან და კომბოსტოს შეექცევიან. ვერც ერთი ქალი ამ კარიბჭეს ვერ გადმოაბიჯებს, ყველაზე საინტერესო ეს არის. ეს ხომ ნამდვილად ასეა. მხოლოდ ერთი რამ არ მესმის - როგორც გავიგე, ბერი ქალებსაც ღებულობს, - ჰკითხა მან მონაზონს.
- მდაბიო დედაკაცები ახლაც აქ არიან, ეგერ იქ, გალერეის წინ წვანან და ელიან, ხოლო მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ქალებისათვის აქვე გალერეასთან, ოღონდ გალავნის აქეთ, ორი პატარა ოთახია მოშენებული,

ხედავთ იმ ფანჯრებს, ბერი იქ შიდა შესასვლელიდან შედის, როცა კარგადაა, ე.ი. მაინც გალავნის გადაღმაა. ახლაც ერთი ქალბატონი, ხარკოველი მემამულე, ხოხლაკოვა, თავის ავადმყოფ ქალიშვილთან ერთად უცდის. ალბათ შეპირებულია, თორემ უკანასკნელ ხანებში ძალიან დასუსტდა და ხალხში იშვიათად გამოდის.
- როგორც ვხვდები, სავანიდან ქალბატონებთან გასაძვრომი მაინც გქონიათ. ნუ იფიქრებთ, წმინდა მამაო, თითქოს მე რამეს... ისე ვთქვი. ათონში, თქვენ ეს ალბათ იცით, არათუ ქალების ჩასვლაა დაუშვებელი, არამედ მდედრობითი სქესის არსების - ქათმის, ინდაურის, ძროხის იქ ყოფნაც კი აკრძალულია.
- ფიოდორ პავლოვიჩ, ახლავე უკან გავბრუნდები და მარტო დაგტოვებთ, დარწმუნებული ვარ, აქედან კინწისკვრით გაგაგდებენ.
- მე თქვენ რას გიშლით, პიოტრ ალექსანდროვიჩ. გახედეთ, - უცებ აყვირდა ის და სავანის გალავნის შიგნით შევიდა, - გახედეთ, მინდორში რამდენი ვარდია!
მართლაც, თუმცა ახლა იქ ვარდები აღარ ყვაოდა, მაგრამ ყველგან, იშვიათი და მშვენიერი შემოდგომის ყვავილი იწონებდა თავს. ეტყობოდა, ვიღაცის გამოცდილი ხელი თავს ევლებოდა მათ. ყვავილნარი ეკლესიის მახლობლად, საფლავებს შორის იყო გაშენებული. სახლი, სადაც ბერის სენაკი მდებარეობდა, ერთსართულიან, ხის, შუშაბანდიან ქოხს წარმოადგენდა, შესასვლელთან იქაც ყვავილები იყო გაშენებული.
- წინა ბერის, ვარსონოფის, დროს აქ ასე ხომ არ იყო? მას მშვენიერება არ უყვარდა, წამოხტებოდა ხოლმე და ჯოხით ქალებსაც კი სცემდა, - შენიშნა ფიოდორ პავლოვიჩმა და პარმაღზე ასვლას შეუდგა.
- ბერი ვარსონოფი მართლაც ხანდახან თავს მოიგიჟიანებდა ხოლმე, მაგრამ მის შესახებ ბევრ სისულელესაც ჰყვებიან. ჯოხით მას არასოდეს არავინ უცემია, - უპასუხა მონაზონმა. - ახლა კი, ბატონებო, ცოტა ხანს მადროვეთ, დაგიძახებთ.
- ფიოდორ პავლოვიჩ, უკანასკნელად შეგახსენებთ პირობას, გესმით? წესიერად მოიქეცით, თორემ გადაგიხდით, - კიდევ ერთხელ ჩაიბურტყუნა მიუსოვმა.
- გაუგებარია, რატომ ხართ ასე აღელვებული, - დაცინვით უთხრა ფიოდორ პავლოვიჩმა, - ცოდვების გეშინიათ? ამბობენ, ის თვალებით ხედავს, ვინ რით მივიდა მასთან. ანდა, რაშია საქმე, რატომ აძლევთ ასეთ მაღალ შეფასებას მის აზრს, თქვენ ასეთი გამოჩენილი და პარიზელი ბატონი, მიკვირს და გამკვირვებია, დიახაც!
მაგრამ მიუსოვმა ამ სარკაზმზე პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. მათ შებრძანება სთხოვეს. იგი საკმაოდ გაღიზიანებული შევიდა სენაკში.
„ახლა კი წინასწარ ვიცი, ასე ნერვებმოშლილი დავას ავტეხ და გავცხარდები - თავსაც და იდეასაც დავამცირებ“, - გაუელვა თავში.

II ბებერი ტაკიმასხარა

ისინი ოთახში ბერთან ერთად, თითქმის ერთდროულად შევიდნენ. ბერი მათი გამოჩენისთანავე გამოვიდა საძინებელი ოთახიდან. სენაკში მათ დახვდა სავანის ორი მღვდელ-მონაზონი: მამა ბიბლიოთეკარი და მამა პაისი - სნეული, ჯერ არც ისე მოხუცი, მაგრამ, როგორც მასზე ამბობდნენ, ძალზე სწავლული კაცი. ისინი

ბერს ელოდნენ. გარდა ამ ბერებისა, კუთხეში ფეხზე მდგარი იცდიდა (შემდგომშიც სულ ფეხზე იდგა) შესახედავად ასე ოცდაორი წლის ყმაწვილი, საერო ტანსაცმელში გამოწყობილი სემინარისტი და მომავალი ღვთისმეტყველი, რომელსაც რატომღაც მონასტერი და ძმობა მფარველობდა. ეს იყო საკმაოდ მაღალი, ფერხორციანი, ფართო ღაწვების მქონე ახალგაზრდა კაცი ჭკვიანი, ყურადღებიანი, ვიწრო თაფლისფერი თვალებით. მისი მოწიწებით აღსავსე სახე ოდნავადაც არ გამოხატავდა მოჩვენებით პირფერობას. შემოსული სტუმრებისათვის თავიც არ დაუკრავს, როგორც ეს არათანასწორს, ქვეშევრდომსა და დაქვემდებარებულ კაცს შეეფერებოდა.

ბერი ზოსიმა მორჩილისა და ალიოშას თანხლებით შემოვიდა. მღვდელ-მონაზვნები ფეხზე წამოდგნენ და ღრმა პატივისცემით თავი მდაბლად დაუკრეს, ისე რომ თითებით მიწას შეეხნენ, კურთხევის მიღების შემდეგ კი ხელზე ემთხვივნენ ბერს. ბერმა თავადაც მდაბლად დაუკრა თავი, ისიც თითებით შეეხო მიწას და თითოეულს ლოცვა-კურთხევა სთხოვა. მთელი ეს ცერემონია ძალიან დიდი გულითადობით ჩატარდა, ყოველდღიურ წეს-ჩვეულებასავით კი არა, არამედ რაღაც განსაკუთრებული გრძნობით. თუმცა მიუსოვს მოეჩვენა, რომ ყოველივე ეს განზრახ, შთაბეჭდილების მოსახდენად ტარდებოდა. იგი შემოსულებს შორის ყველაზე წინ იდგა. ჯერ კიდევ გუშინ ფიქრობდა: კარგი იქნება, მიუხედავად განსხვავებული იდეებისა, მხოლოდ უბრალო თავაზიანობის გამო (რადგან აქ ასეთი წეს-ჩვეულებებია) მივიდე ბერთან და კურთხევა ვთხოვო, კურთხევა მაინც, ხელზე მთხვევას რომ თავი დავანებოო. მაგრამ ახლა აქ, ამ ურთიერთთაყვანისცემისა და ხელების ლოკვის შემყურემ, უცებ გადაიფიქრა: მან ღირსეულად და სერიოზულად, როგორც ეს მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი, თავი დაუკრა და სკამისკენ გასწია. ზუსტად ასევე მოიქცა ფიოდორ პავლოვიჩი, მან მაიმუნივით გამოაჯავრა მიუსოვს. ივან ფიოდოროვიჩიც ძალზე ღირსეულად და ზრდილობიანად მიესალმა ბერს, ხოლო კალგანოვი ისე დაიბნა, რომ საერთოდ არც მისალმებია. ბერმა დასალოცად მაღლა აღმართული ხელი დაუშვა, კიდევ ერთხელ მდაბლად დაუკრა თავი ყველას და დასხდომა შესთავაზა. ალიოშა გაწითლდა; შერცხვა. მისი წინათგრძნობა მართლდებოდა.

ბერი ძველთაძველ, ტყავგადაკრულ წითელი ხის დივანზე ჩამოჯდა. სტუმრებს სთხოვა - მის პირდაპირ ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებულ, ძალზე გაცვეთილ, შავტყავგადაკრულ ოთხ წითელი ხის სკამზე დამსხდარიყვნენ. გვერდით მღვდელ-მონაზვნები მოუსხდნენ - ერთი კარებთან, მეორე ფანჯარასთან. სემინარისტი, ალიოშა და მორჩილი ფეხზე დარჩნენ. ვიწრო და მოუხერხებელ სენაკში მხოლოდ აუცილებელი ღარიბული ავეჯი და ნივთები ეწყო. ფანჯარაზე ორი ყვავილის ქოთანი იდგა, ხოლო კუთხეში რამდენიმე ხატი ესვენა - მათ შორის ყველაზე დიდი, ღვთისმშობლის ხატი, ეტყობოდა, განხეთქილებამდე[11] იყო შექმნილი. ხატის წინ კანდელი ბჟუტავდა. მის ახლოს ესვენა ორი ბრწყინვალედ მოჭედილი ხატი, იქვე ელაგა ხელნაკეთები ქერუბინები, ფაიფურის კვერცხები, სპილოს ძვლის კათოლიკური ჯვარი და მასზე ჩახუტებული mater dolorosa[12], აგრეთვე, წინა საუკუნეების დიდი იტალიელი მხატვრების ნაწარმოებების რამდენიმე საზღვარგარეთული გრავიურა. აქვე, ამ დახვეწილი და ძვირფასი გრავიურების გვერდით, თავს იწონებდა რამდენიმე ფურცელი უბრალო რუსული ლითოგრაფიებისა წმინდანების, წამებულების,

რუსული ეკლესიის წარჩინებულებისა და სხვათა გამოსახულებით, რომლებიც ყველა ბაზრობაზე თითო კაპიკად იყიდება ხოლმე. სხვა კედლებზე ეკიდა რამდენიმე ლითოგრაფიული პორტრეტი თანამედროვე და წარსულში მოღვაწე მღვდელმთავრებისა. მიუსოვმა უცბად მოავლო თვალი ამ „საუწყებო“ ნივთებს და დაჟინებით მიაშტერდა ბერს. მიუსოვი დიდი პატივსცემით იყო გამსჭვალული საკუთარი თვალთახედვის მიმართ; ჰქონდა ასეთი სუსტი მხარე, ყოველ შემთხვევაში, მას ეს ეპატიებოდა, რადგან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორმოცდაათი წლის გახლდათ - ამ ასაკში კი, ჭკვიანი, მდიდარი და მაღალი საზოგადოების კაცი ყოველთვის პატივისცემითაა გამსჭვალული საკუთარი თავისადმი, ხანდახან ეს უნებლიედაც მოსდით ხოლმე.
ბერი თავიდანვე არ მოეწონა. მართლაც, რაღაც ჰქონდა ბერის სახეს ისეთი, რაც შესაძლოა ბევრს არ მოსწონებოდა. ეს მაღალი, მხრებში მოხრილი, დასუსტებული, სამოცდახუთი წლის კაცი ავადმყოფობას ისე დაეთრგუნა, რომ გაცილებით ხანდაზმულად გამოიყურებოდა, ასე ათი წლით უფროსი გეგონებოდა. გაძვალტყავებულ პირისახეზე წვრილ-წვრილი ნაოჭები მოსდებოდა, განსაკუთრებით ბევრი ნაოჭი თვალებთან ჰქონდა თავმოყრილი. სახეზე პატარა, სწრაფად მოძრავი თვალები, როგორც ორი ბრწყინვალე წერტილი, ისე ციმციმებდა. ჭაღარა თმები მხოლოდ საფეთქლებზე შემორჩენოდა, სოლივით პატარა და მეჩხერი წვერი ჰქონდა, ტუჩები ძაფივით თხელი და მუდამ მომღიმარი, ცხვირი კი არც ისე დიდი, მაგრამ ჩიტისნისკარტა.
„ყველა ნიშნით ღვარძლიანი და ამპარტავანი სულიერია“, - გაუელვა თავში მიუსოვს. ახლა, საერთოდ, ძალიან უკმაყოფილო იყო საკუთარი თავის.
საათმა დარეკა, ამან სტიმული მისცა საუბრის დაწყებას. იაფფასიანმა საწონებიანმა კედლის საათმა ზუსტად თორმეტჯერ დარეკა.
- ზუსტად თორმეტი გახდა, - შეჰყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა, - ჩემი ვაჟი, დმიტრი ფიოდოროვიჩი კიდევ არ ჩანს. დიდ ბოდიშს მოგახსენებთ მის მაგივრად, საღმრთო ბერო! („საღმრთო ბერის“ გაგონებაზე ალიოშა შეკრთა) მე აკურატული ვარ, წუთსაც არ ვაგვიანებ ხოლმე, ყოველთვის მახსოვს, რომ სიზუსტე მეფეთა თავაზიანობაა...
- მაგრამ თქვენ მეფე ხომ არა ხართ?! - თავი ვერ შეიკავა და ჩაიბურტყუნა მიუსოვმა.
- დიახ, ეს ასეა, მეფე არა ვარ. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, პიოტრ ალექსანდროვიჩ, ეს მე კარგად ვიცი, ღმერთმანი! ყოველთვის უადგილო ადგილას უნდა წამოვროშო ხოლმე რაღაც! თქვენო მაღალღირსებავ! - უცებ რაღაცნაირი პათოსით წამოიყვირა მან, - თქვენ წინაშე დგას ნამდვილი მასხარა! ასეთ რეკომენდაციას ვაძლევ ჩემს თავს. ვაი, რომ ძველთაძველი ჩვევაა! უადგილო ადგილას უნდა ვიცრუო ხოლმე, ამას განზრახ ვაკეთებ, განზრახ მინდა გავაცინო და ვასიამოვნო ხალხს. ხანდახან მოთხოვნილება აქვს კაცს, ხალხს ასიამოვნოს. ასე არ არის? ამ შვიდი წლის წინათ ერთ ქალაქში ჩავედი, რაღაც საქმეები მქონდა. იქ ვიღაც ჩარჩ-ვაჭრებს დავუკავშირდი. წავედით ისპრავნიკთან[13], რაღაც საქმე გვქონდა და გვინდოდა, პურ-მარილზე წაგვეყვანა. გამოვიდა ისპრავნიკი, მაღალი, მსუქანი, ქერათმიანი და პირქუში კაცი - ბოღმის ყულაბა. მე მას პირდაპირ დიდგვაროვნისათვის ჩვეული სითამამით მივმართე: „ბატონო ისპრავნიკო, იყავით ჩვენი, ასე ვთქვათ, ნაპრავნიკი!“ - „რას ამბობთ, რა ნაპრავნიკიო?“ მაშინვე მივხდი, რომ საქმემ

სერიოზული სახე მიიღო და დავიჟინე: „ვიხუმრე, ყველას გამხიარულება მინდოდა, ბატონი ნაპრავნიკი ცნობილი რუსი კაპელმაისტერია, ჩვენ კი ჩვენი საქმის ჰარმონიისათვის კაპელმაისტერივით გვჭირდება ვინმე...“ ხომ კარგად ავუხსენი და შედარებაც შესაფერისი შევარჩიე? მართალს არ ვამბობ? „დიდი ბოდიში, - მომახსენა, - მე ისპრავნიკი ვარ და ჩემს წოდებაზე კალამბურების უფლებას არ მოგცემთო“. გატრიალდა და წასვლა დააპირა. გამოვუდექი და ვყვირი: „მართალს ბრძანებთ, მართალს, თქვენ ისპრავნიკი ხართ და არა ნაპრავნიკი-მეთქი“. - „არა, - თქვა მან, - რაც ითქვა, ითქვა, ე.ი. მე ნაპრავნიკი ვარო“. თქვენ წარმოიდგინეთ, ასე ჩაიშალა ჩვენი საქმე! სულ ასეა ხოლმე, ყოველთვის ასე! ჩემი თავაზიანობით, აუცილებლად, ჩემს თავს უნდა ვავნო ხოლმე! ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ერთ გავლენიან პირს ვეუბნები: „თქვენი მეუღლე პატივცემული ქალია“, მან არც აცივა და არც აცხელა და მკითხა: „თქვენ რა, მისთვის პატივი გიციათ?“ თავი ვერ შევიკავე, ვიფიქრე, თავაზიანად ვუპასუხებ-მეთქი: „დიახაც, ერთი-ორჯერ მეც ვეცი პატივი, ბატონო ჩემო“, - პასუხად მან კარგა გვარიანი პატივი მცა. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა და ახლა არცა მრცხვენია მისი მოყოლა; ყოველთვის ასე ვავნებ ხოლმე საკუთარ თავს!

- ახლაც იმავეს აკეთებთ, - ზიზღით ჩაიბურტყუნა მიუსოვმა.

ბერი მდუმარედ ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს.

- ასეც ვიცოდი! თქვენ წარმოიდგინეთ, პიოტრ ალექსანდროვიჩ, მე კარგად ვიცოდი, იცით, წინასწარ ვგრძნობდი კიდეც, რომ სწორედ თქვენ მომცემდით პირველი შენიშვნას. ამ წუთებში, როცა ვხედავ, ხუმრობა არ გამომდის, თქვენო მაღალღირსებავ, ლოყები ქვედა ღრძილებზე მეკრობა, თითქოს კრუნჩხვა მეწყება; ახალგაზრდობიდან ასე მემართება ხოლმე, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა აზნაურებთან სამადლოდ ვჭამდი პურს. მე ძირძველი - დაბადებიდან - ტაკიმასხარა ვარ, თითქოს მოსულელოც, თქვენო მაღალღირსებავ; არავის ვედავები, შესაძლებელია, ჩემს სხეულში უწმინდური სულია ჩასახლებული, მცირე კალიბრის, რადგან უფრო მოზრდილი სხვა სამოსახლოს აირჩევდა, თქვენსას არა, პიოტრ ალექსანდროვიჩ, თქვენ ცუდი სამოსახლო ხართ. სამაგიეროდ, მე მორწმუნე ვარ, მე ღმერთი მწამს. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შემეპარა ეჭვი, ახლა კი ვზივარ და ვუცდი დიდებულ სიტყვებს. მე, თქვენო მაღალღირსებავ, ფილოსოფოს დიდეროტივით ვარ. თქვენთვის ცნობილია, წმინდა მამაო, როგორ მივიდა ფილოსოფოსი დიდეროტი[14] მიტროპოლიტ პლატონთან[15] იმპერატორ ეკატერინეს კარზე. შევიდა და პირდაპირ ახალა: „ღმერთი არ არისო“. პასუხად დიდმა წმინდანმა მაღლა ასწია ხელი და უპასუხა: „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთიო!“[16] ის, სადაც იდგა, იქვე დაემხო მუხლებზე და შეჰყვირა: „მწამს და მომნათლეთო“. ასე მოინათლა დიდეროტი. თავადის ქალი დაშკოვა და პოტიომკინი იყვნენ მისი ნათლიები...

- ფიოდორ პავლოვიჩ, ეს აუტანელია! თქვენ თავად იცით, რომ ცრუობთ და ეს ბრიყვული ანეკდოტი სიმართლეს არ შეეფერება, რისთვის მეტიჩრობთ? - აკანკალებული ხმით ჩაილაპარაკა მიუსოვმა, რომელიც თავს ვეღარ იკავებდა.

- მთელი ცხოვრება ვგრძნობდი, სიმართლე რომ არ იყო! - აღტაცებით წამოიძახა ფიოდორ პავლოვიჩმა, - სამაგიეროდ, მე თქვენ, ბატონებო, მართალს გეტყვით. დიდებულო ბერო! მაპატიეთ, დიდეროტის ამბავი ახლა შევთხზე, სწორედ იმ წუთებში, როცა ვყვებოდი, ადრე თავში არ მომსვლია. პიკანტურობისთვის

მოვიგონე. იმიტომაც ვმეტიჩრობ, პიოტრ ალექსანდროვიჩ, მინდა, სანდომიანი გამოვჩნდე. ისე მეც არ ვიცი ზოგჯერ, რატომ ჩავდივარ ამას. რაც შეეხება დიდეროტს, მე ეს გამოთქმა - „თქვა უგუნურმა“ ერთი ოცჯერ მაინც მომისმენია აქაური მემამულეებისაგან ჯერ კიდევ ჩემს ახალგაზრდობაში, როცა მათთან ვცხოვრობდი; სხვათა შორის, თქვენი მამიდისაგან, მარია ფომინიჩნასაგანაც გამიგია, პიოტრ ალექსანდროვიჩ. ისინი, ყველა, დღემდე დარწმუნებულები არიან, რომ ფილოსოფოსი დიდეროტი მიტროპოლიტ პლატონთან ღმერთის შესახებ სადისკუსიოდ მივიდა...

მიუსოვი წამოდგა, მან არათუ მოთმინება დაკარგა, არამედ წონასწორობიდანაც გამოვიდა. გაშმაგებული იყო იმის შეგრძნებით, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდა. მართლაცდა, სენაკში რაღაც სავსებით გაუგონარი ამბავი ხდებოდა. ამ სენაკში უკვე 40-50 წელია, ჯერ კიდევ ადრინდელი ბერების დროიდან, იკრიბებოდა ხალხი, მაგრამ ყოველთვის დიდი მოწიწება სუფევდა. ვინც კი სენაკში მოხვდებოდა, თვლიდა, რომ დიდი პატივი ხვდა წილად. ბევრი იქ ყოფნის განმავლობაში მუხლებზე დამხობილი იდგა. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისა და სწავლულების უმეტესობა, ის კი არა და, თავისუფლად მოაზროვნე პირებიც კი, როცა იქ მოხვდებოდნენ, ცნობისმოყვარეობით იყო ეს თუ სხვა მიზეზით, მარტო იყვნენ თუ სხვებთან ერთად, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, შეხვედრის განმავლობაში გამოეჩინათ უღრმესი პატივისცემა და დელიკატურობა, მით უმეტეს, რომ აქ მოხვედრისათვის არ იყო საჭირო ფული; ირგვლივ სუფევდა, ერთი მხრივ, მხოლოდ სიყვარული და კეთილგანწყობა, მეორე მხრივ, მონანიება და სურვილი საკუთარი სულის ან ცხოვრების რაიმე რთული საკითხის გადაჭრისა. ასე რომ, ფიოდორ პავლოვიჩის ტინგიცობა უპატივცემულობა იყო იმ ადგილისა, სადაც იმყოფებოდა. ამ საქციელმა იქ დამსწრეთა შორის, ზოგიერთში მაინც, გაოცება და გაკვირვება გამოიწვია. მღვდელ-მონაზვნებს გამომეტყველება არ შესცვლიათ, ისინი დინჯად იცდიდნენ, რას იტყოდა ბერი და, მგონი, მიუსოვივით წამოდგომასაც აპირებდნენ. ალიოშა თავჩაღუნული იდგა, ლამის ტირილი აუვარდა. ყველაზე უცნაურად კი მას ის მოეჩვენა, რომ მისი ძმა, ივან ფიოდოროვიჩი, ერთადერთი კაცი, რომლის იმედი ჰქონდა და რომელსაც შესწევდა უნარი, ზეგავლენა მოეხდინა მამამისზე, შეეძლო მისი გაჩუმება, ახლა მშვიდად იჯდა თავის სკამზე, დაბლა იყურებოდა და რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობით ელოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, თითქოს ვიღაცა გარეშე პირი ყოფილიყოს. ახლა ალიოშას რაკიტინისათვისაც (სემინარისტი) არ შეეძლო თვალის გასწორება, თუმცა მას კარგად იცნობდა და თითქმის ახლობელ ადამიანადაც თვლიდა, მან იცოდა მისი აზრებიც (ამ მონასტერში ეს მხოლოდ ალიოშამ იცოდა).

- მომიტევეთ... - მიმართა მიუსოვმა ბერს, - თქვენ ალბათ გგონიათ, მეც მონაწილე ვარ ამ არასაკადრისი ტაკიმასხრაობისა. ჩემი შეცდომა ის არის, რომ დავიჯერე - ისეთი კაცი, როგორიც ფიოდორ პავლოვიჩია, ასეთი პატივსაცემი პიროვნების მონახულების შემდეგ შეძლებდა, გაეგო თავისი მოვალეობები... მე ვერ გავითვალისწინე ის, რომ ბოდიშის მოხდა მომიწევდა მასთან ერთად მოსვლის გამო.

პიოტრ ალექსანდროვიჩმა სათქმელი ბოლომდე არ თქვა და შეცბუნებულმა ოთახიდან გასვლა დააპირა.

- ნუ ღელავთ, ძალიან გთხოვთ, - უცებ თავის სუსტ ფეხებზე წამოდგა ბერი, ორივე

ხელი ჩაჰკიდა პიოტრ ალექსანდროვიჩს და ისევ თავის ადგილას დასვა სავარძელში. - დამშვიდდით, გთხოვთ. მე თქვენ განსაკუთრებით გთხოვთ, იყოთ ჩემი სტუმარი, - თავი დაუკრა, გაბრუნდა და თავის დივანზე დაჯდა.
- დიდებულო ბერო, ბრძანეთ, შეურაცხგყოფთ ჩემი ლაზღანდარობა? - უცებ აყვირდა ფიოდორ პავლოვიჩი და თან სავარძლის სახელურებს ისე ჩაეჭიდა ორივე ხელით, თითქოს, პასუხის შესაბამისად, მზად იყო, იქიდან გადმომხტარიყო.
- თქვენც დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ წუხხართ და ნუ გრცხვენიათ, - დინჯად უთხრა მას ბერმა. - ნუ გრცხვენიათ, ისე მოიქეცით, როგორც თქვენს სახლში. რაც მთავარია, ნუ შეგრცხვებათ ასე საკუთარი თავის, რამეთუ ყოველივეს სათავე ეგ არის.
- როგორც საკუთარ სახლშიო? ე.ი. ნატურალური სახით? ეს ბევრია, ძალიან ბევრი, მაგრამ გულაჩვილებული ვღებულობ! იცით, კურთხეულო მამაო, თქვენ მე ნატურალურ სახემდე ნუ მიბიძგებთ, ნუ გარისკავთ... ნატურალურ სახემდე მე თავად არ მივალ. ეს იმიტომ, რომ თქვენ დაგიცვათ, გაგიფრთხილდეთ. ჰო, ბატონო, დანარჩენი შეუცნობლობის წყვდიადით არის მოცული, თუმცა აქ ზოგიერთს სურდა ჩემი გამოჭენება - ამას მე თქვენი მისამართით ვამბობ, პიოტრ ალექსანდროვიჩ - თქვენ კი, უწმინდესო არსებავ, ჩემს აღფრთოვანებას გიმხელთ! - იგი წამოდგა, ორივე ხელი მაღლა ასწია და წარმოთქვა: „ნეტარ არს მუცელი, რომელმაც გიტვირთა შენ და ძუძუნი, რომელთაც სწოვდი, განსაკუთრებით კერტები!“ თქვენი ახლანდელი შენიშვნით: „ნუ გრცხვენიათ საკუთარი თავის, რამეთუ ყოველივეს სათავე ეგ არისო“, თითქოს გამომშიგნეთ, შიგნიდან წამიკითხეთ. სწორედ ასე მგონია, როცა ხალხში გავერევი ხოლმე, მგონია ყველაზე ნაძირალა მე ვარ და ყველა ტაკიმასხარად მთვლის, ამიტომაც ვფიქრობ ხოლმე: „მოდი, მართლაც გავითამაშებ ტაკიმასხარას როლს, სულაც არ მაშინებს თქვენი აზრი, რადგან თქვენ, ყველა, ჩემზე უარესი ნაძირალები ხართ-მეთქი!“ ამიტომაც ვარ მასხარა, სირცხვილისაგან მასხარა, დიდებულო ბერო, სირცხვილისაგან. ეჭვების გამო ვტეხ აყალმაყალს. მე რომ დარწმუნებული ვიყო, ხალხი ისე მიმიღებს, როგორც სასიამოვნო და უჭკვიანეს ადამიანს, ღმერთო ჩემო! როგორი კეთილი კაცი ვიქნებოდი მაშინ! მოძღვარო! - უცებ იგი დაემხო მუხლებზე, - რა უნდა ვქნა, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე? - ახლა ძნელი იყო იმის თქმა: ხუმრობდა თუ მართლა აუჩუყდა გული?
ბერმა შეხედა მას და ღიმილით თქვა:
- დიდი ხანია თავადაც კარგად იცით, რა უნდა აკეთოთ, ჭკუა არ გაკლიათ: ნუ ლოთობთ, ნუ ბილწსიტყვაობთ, შეეშვით ავხორცობას, განსაკუთრებით ფულის გაღმერთებას, დახურეთ თქვენი სამიკიტნოები, თუ სუყველა არა, ორი-სამი მაინც და, რაც მთავარია და ყველაზე უმთავრესი - ნუ ცრუობთ.
- თქვენ რა - დიდეროტს გულისხმობთ?
- არა, დიდეროტის გამო არა. მთავარია, საკუთარ თავს ნუ ატყუებთ. ვინც თავს იტყუებს და საკუთარი ტყუილების სჯერა, იქამდე მიდის, რომ სიმართლეს, ვერც საკუთარს და ვერც სხვისას, ვერ არჩევს, ამიტომ უპატივცემულობა უვითარდება როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. როცა კაცი პატივს არავის სცემს და აღარავინ უყვარს, რაღაცით თავი რომ დაისაქმოს ან გაერთოს, უნდა აჰყვეს ვნებებს, ხელი მიჰყოს გარყვნილებას და ნამდვილ ცხოველად იქცეს. ყოველივე ეს კი შედეგია გაუთავებელი სიცრუის როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების

მიმართ. ვინც თავს იტყუებს, ის ყველაზე ადრე განაწყენდება ხოლმე. ხანდახან ხომ ძალზე სასიამოვნოა განაწყენებულად ყოფნა, ასე არ არის? ხანდახან იცის კაცმა, მისთვის რომ არავის უწყენინებია, თავად მოიგონა თავისი წყენა, იცრუა სილამაზისთვის, გააზვიადა, რომ სურათი დაეხატა, სიტყვას გამოეკიდა და ნამცეცი ზვავად აქცია, - ყველაფერი ეს მან კარგად იცის და მაინც ყველაზე ადრე თავად განაწყენდება ხოლმე და ეს განაწყენება სიამოვნებს, დიდ კმაყოფილებას ანიჭებს, ყოველივე ეს კი შემდგომში ჭეშმარიტ მტრობაში გადაეზრდება... წამოდექით, მოისვენეთ, დაბრძანდით, ძალიან გთხოვთ, ესეც ხომ ცრუ ჟესტებია...
- ნეტარო ადამიანო! მომეცით ხელი, უნდა გემთხვიოთ, - წამოხტა ფიოდორ პავლოვიჩი და სასწრაფოდ ეამბორა ბერს გამხდარ ხელზე, - სწორედ აგრეა, სწორედაც მსიამოვნებს განაწყენება. ეს რა კარგად თქვით, ჯერ არსად გამიგონია. სწორედ აგრე, სწორედ ასე ვარ მთელი ცხოვრება სიამოვნებამდე განაწყენებული, რამეთუ არა მარტო მსიამოვნებს, არამედ ხანდახან ლამაზიცაა განაწყენებულად ყოფნა, - აი, ეს დაგავიწყდათ დიდებულო ბერო: ლამაზი! ამას წიგნაკში ჩავიწერ! ვცრუობდი, მთელი ცხოვრება ვცრუობდი, ყოვედღიურად და ყოველ საათს. ჭეშმარიტად ცრუ არის სიცრუის მამა![17] თუმცა, მამა კი არა, მე ტექსტები სულ მერევა, შვილი, ესეც საკმარისია. მხოლოდ... ანგელოზო ჩემო.. დიდეროტზე ხანდახან შეიძლება! დიდეროტი არავის ავნებს, ზოგიერთი სიტყვა კი მავნებელია. დიდებულო ბერო, სხვათა შორის, რომ არ დამავიწყდეს, უკვე სამი წელია, ჩავიფიქრე, მოვიდე აქა და გავერკვე. დიახ, აქ მინდა ერთ რამეში დაბეჯითებით გარკვევა, მხოლოდ უბრძანეთ პიოტრ ალექსანდროვიჩს, არ შემაწყვეტინოს. დიდებულო მამაო, აი, რა მინდათ გკითხოთ: მართალია, თუ არა, რომ ერთ-ერთ „ჩეტი-მინეიაში“[18] სადღაც მოთხრობილია რწმენისათვის წამებულ ერთ წმიდა სასწაულთმოქმედზე, რომელსაც თავი მოჰკვეთეს. ის კი, თავმოკვეთილი, ფეხზე წამომდგარა, მოკვეთილი თავი ხელში აუღია და „თავაზიანად მთხვევია“, შემდეგ თურმე დიდხანს მიდიოდა იგი, თავი ხელით მიჰქონდა და „თავაზიანად ეამბორებოდა“. მართალია თუ არა ეს, ჭეშმარიტო მამებო?
- არა, არ არის მართალი, - თქვა ბერმა.
- არაფერი მაგის მსგავსი არც ერთ „ჩეტი-მინეიაში“ არ წერია. რომელი წმინდანი ახსენეთ, ვისზე წერიაო? - ჰკითხა მღვდელ-მონაზონმა, მამა ბიბლიოთეკარმა.
- თავად არ ვიცი, ვისზეა ლაპარაკი. არც ვიცი და არც ვუწყი. მომატყუეს ალბათ. მე ეს ჩემი ყურით გავიგონე და იცით ვისგან? აი, ამისგან, პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვისგან, დიდეროტის გამო რომ ძალიან გამიჯავრდა. სწორედ ეგ მოჰყვა.
- არასოდეს თქვენთვის ეს არ მომიყოლია, მე თქვენ საერთოდ არ გელაპარაკებით.
- მართალს ბრძანებთ, ჩემთვის არ მოგიყოლიათ, მაგრამ თქვენ მოჰყევით ერთ კომპანიაში, სადაც მეც ვიყავი, ოთხი წლის წინათ იყო ეს ამბავი. მიტომაც გამახსენდა, თქვენმა ირონიულმა მონათხრობმა შეარყია ჩემი რწმენა, პიოტრ ალექსანდროვიჩ. თქვენ ამის შესახებ არაფერი იცოდით, მე კი შინ დავბრუნდი შერყეული რწმენით და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ვმერყეობ. დიახ, პიოტრ ალესანდროვიჩ, თქვენ იყავით დიდი ზნეობრივი დაცემის მიზეზი! ეს უკვე დიდეროტი არ არის, ბატონო ჩემო!
პათეტიკურად გაცხარდა ფიოდორ პავლოვიჩი, თუმცა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ იგი კვლავ წარმოდგენას მართავდა. მან თავის მიზანს მიაღწია და

მიუსოვი წყობილებიდან გამოიყვანა.
- სისულელეა, ყველაფერი ეს სისულელეა, - ლუღლუღებდა მიუსოვი, - სხვაგან, შესაძლოა, მილაპარაკია რაღაც ამგვარი... მაგრამ თქვენთან, არა. მე თვითონ სხვამ მითხრა, მე ეს პარიზში მოვისმინე ერთი ფრანგისაგან, თითქოს ჩვენთან ამ „ჩეტი-მინეიას“ წირვაზე კითხულობენ... ის პიროვნება მეცნიერი კაცია, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა რუსეთის სტატისტიკა... იგი დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში... მე კი თავად „ჩეტი-მინეია“ არ წამიკითხავს და არც წავიკითხავ.. სადილობისას რას არ ყბედობენ?... ჩვენ მაშინ ვსადილობდით...
- თქვენ მაშინ სადილს მიირთმევდით, მე კი რწმენა დავკარგე! - დაცინვით თქვა ფიოდორ პავლოვიჩმა.
- მე თქვენ რწმენასთან საქმე არა მაქვს! - კინაღამ წამოიყვირა მიუსოვმა, მაგრამ უცებ თავი შეიკავა და ზიზღით ჩაილაპარაკა: - თქვენ რასაც გაეკარებით, ყველაფერს სვრით.
უცებ ბერი წამოდგა:
- მაპატიეთ, ბატონებო, რამდენიმე წუთით უნდა დაგტოვოთ, - მიმართა მან ყველა იქ დამწრეს, - გარეთ თქვენზე ადრე მოსულები მიცდიან. თქვენ კი ნუ ცრუობთ, - ღიმილით მიმართა ბერმა ფიოდორ პავლოვიჩს და სენაკიდან გასვლა დააპირა.
ალიოშა და მორჩილი უკან გამოუდგნენ, რათა კიბეზე ჩასვლისას დახმარებოდნენ. ალიოშას სული ეხუთებოდა, იგი მოხარული იყო, რომ გადიოდა, ისიც უხაროდა, რომ ბერი არ გაბრაზებულა და კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. ბერი გალერეისკენ გაემართა იქ მოლოდინე ხალხის დასალოცად. მაგრამ ფიოდორ პავლოვიჩმა ის სენაკის კართან შეაჩერა.
- ნეტარო ადამიანო! - გრძნობამორეულმა შეჰყვირა მან, - ნება მომეცით, თქვენს ხელს ვემთხვიო! არა, თქვენთან საუბარი შეიძლება, თქვენთან ყოფნა ღირს! თქვენ ფიქრობთ, მე ყოველთვის ვცრუობ და ვტაკიმასხარაობ? იცოდეთ, ამას განგებ ვაკეთებდი, რომ გამომეცადეთ, ასე წარმოგიდგენდით თავს. სულ გაკვირდებოდით, შეიძლება თუ არა თქვენთან ცხოვრება? ექნება თუ არა ჩემს თავმდაბლობას თქვენს ამაყ სულში ადგილი-მეთქი? ქების სიგელი გეკუთვნით: თქვენთან ცხოვრება შეიძლება! აწ დავდუმდები, დიდი ხნით გავჩუმდები. ჩავჯდები სავარძელში და კრინტს არ დავძრავ. ახლა კი, პიოტრ ალექსანდროვიჩ, თქვენ ილაპარაკეთ, თქვენ ახლა მთავარი პირი ბრძანდებით... ათი წუთით.

III მორწმუნე დედაკაცები

ქვემოთ, ხის გალერეასთან, რომელიც გალავნის შიდა კედელზე იყო მოშენებული, თავი მოეყარათ ქალებს, ასე ოცი დედაკაცი იქნებოდა. მათ აცნობეს, რომ ბერი, ბოლოს და ბოლოს, მათთან შესახვედრად გამოვიდოდა. გალერეაში ქალბატონი ხოხლაკოვა და მისი ასული გამოვიდნენ. ისინი ბერს კეთილშობილ სტუმართათვის გამოყოფილ შენობაში ელოდნენ. ქალბატონი ხოხლაკოვა - მდიდარი მემამულე, ყოველთვის კარგად ჩაცმული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სანდომიანი, ფერმკრთალი, ძალზე ცოცხალი და თითქმის შავთვალება ქალი - ასე ოცდაცამეტი წლის იქნებოდა. ხუთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც დაქვრივდა. მის თოთხმეტი წლის ასულს ფეხების დამბლა აწუხებდა. საბრალო

გოგონა უკვე ნახევარი წელი იყო, ვეღარ დადიოდა, გრძელი, მოხერხებული გორგოლაჭებიანი სავარძლით დაატარებდნენ. მშვენიერი სახე ჰქონდა, ავადმყოფობისაგან დასუსტებული, მაგრამ მუქი ფერის, მხიარული, გრძელწამწამებიანი თვალები რაღაცნაირად ეშმაკურად უელავდნენ. დედამისი ჯერ კიდევ გაზაფხულიდან უპირებდა საზღვარგარეთ წაყვანას, მაგრამ ზაფხულისთვისაც ვერ მოათავა მამულის საქმეების მოგვარება. უკვე ერთი კვირა იქნებოდა, რაც ისინი ჩვენს ქალაქში ცხოვრობდნენ, უფრო საადგილმამულო საქმეებისათვის, ვიდრე სალოცავად. ამ სამი დღის წინ ერთხელ უკვე მოინახულეს ბერი. ახლა მოულოდნელად კვლავ ეწვივნენ. თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ბერი თითქმის აღარავის ღებულობდა, და მაინც, დაჟინებით მოითხოვდნენ, კიდევ ერთხელ მიენიჭებინათ მათთვის „ბედნიერება დიდი მკურნალის ხილვისა“.

ბერის მოლოდინში დედა სკამზე იჯდა, შვილის სავარძლის გვერდით, ხოლო მისგან ორ ნაბიჯზე იდგა მონაზონი, ამ მონასტრის მკვიდრი კი არა, ჩრდილოეთის რომელიღაც ნაკლებცნობილი სავანიდან ჩამოსული. მასაც სურდა ბერისაგან კურთხევის მიღება. გალერეაში გასულმა ბერმა პირდაპირ ხალხისკენ გასწია. ბრბოს პარმაღთან მოეყარა თავი. პარმაღი გალერეას სამსაფეხურიანი კიბით მინდორთან აერთებდა. ბერი კიბის ზედა საფეხურზე დადგა, ოლარი გადაიცვა და მის წინ თავმოყრილი ქალების კურთხევას შეუდგა. ვიღაცებმა ერთი ბნედიანი ქალი მოუყვანეს. როგორც კი ბერს შეხედა, ავადმყოფს უაზრო კივილი, სლოკინი და კანკალი აუტყდა, შემდეგ კრუნჩხვები დაეწყო. ბერმა ავზნიანს თავზე ოლარი დაადო, მოკლე ლოცვა წარმოთქვა. ქალი უმალ გაჩუმდა და დამშვიდდა. ჩემს ბავშვობაში სოფლად და მონასტრებში წირვის დროს ხშირად შემხვედრია ბნედიანები. ისინი ძაღლივით წკმუტუნებდნენ და ყეფდნენ, მაგრამ როგორც კი სეფისკვერებსა და ზედაშეს გამოიტანდნენ და აზიარებდნენ, უმალვე „ბორგვა“ უქრებოდათ და ავადმყოფები გარკვეული დროით მშვიდდებოდნენ. ბავშვი ვიყავი და ეს ამბავი მაოცებდა. ბავშვობაშივე გავიგე ზოგიერთი მემამულისაგან და ჩემი ქალაქელი მასწავლებლებისაგან, რომ თურმე ყველაფერი ეს დედაკაცური თვალთმაქცობაა, სამუშაოსაგან თავის დაღწევის მიზნით; ამის აღმოფხვრა კი ნებისმიერ დროს შეიძლება განსაკუთრებული სიმკაცრის გამოყენებით. ყოველივე ამის დასამტკიცებლად მოჰყავდათ ანეკდოტები. მოგვიანებით, სპეციალისტ-მედიკოსებისაგან შევიტყვე, და ძალიანაც გამიკვირდა, რომ ეს არავითარი თვალთმაქცობა არ არის, საშინელი ქალური დაავადებაა, და, მგონი, განსაკუთრებით გავრცელებულია რუსეთში, რაც იმას მოწმობს, როგორი მძიმე ხვედრი აქვს ჩვენებურ სოფლელ დედაკაცს. ამ დაავადებას იწვევს არასწორი, ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე, მძიმე მშობიარობის შემდეგ ქანცგამცლელი შრომა, აგრეთვე, გაუსაძლისი მწუხარება, გაუთავებელი ცემა-ტყეპა და სხვა, რასაც ზოგიერთი ქალი ვერ იტანს. ზიარების შემდეგ მბორგავი და კრუნჩხვებით შეპყრობილი ქალების უცნაური და უეცარი განკურნება, რომელსაც ზოგიერთები თვალთმაქცობითა და უფრო უარესი, „კლერიკალების“ ფოკუსებით ხსნიდნენ, შესაძლებელია ალბათ იმიტომ რომ, როცა ახლობლებს ავადმყოფი საზიარებლად მიჰყავთ, ახლობლებიც და ავადმყოფიც, დარწმუნებულები არიან, რომ უწმინდური სული, რომლითაც შეპყრობილია ხოლმე სნეული, ვერ უძლებს ზიარების ძალას და გარბის, ამიტომაც ხდება ხოლმე (უნდა მოხდეს კიდეც!) ზიარების დროს ნერვული და ფსიქიურად დაავადებული დედაკაცის მთელი

ორგანიზმის შერყევა, ეს შერყევა გამოწვეულია აუცილებელი განკურნების მოლოდინით და დიდი რწმენით, რომ ეს სასწაული აღსრულდება. ასეთი სასწაული მცირე ხანს გრძელდება. ასე მოხდა ახლაც, როგორც კი ბერმა ავადმყოფს თავზე ოლარი გადააფარა.
ბერის გარშემო თავმოყრილი ბევრი დედაკაცი ამ წუთიერი ეფექტით გამოწვეული სიხარულისგან გულაჩუყებული იცრემლებოდა; ზოგი თავგამოდებული მოიწევდა წინ, ეგება, ბერის ტანსაცმლის კალთებს ვემთხვიოო, სხვები კი რაღაცას თავიანთთვის მოსთქვამდნენ. ბერმა ყველა დალოცა და შემდეგ ზოგიერთ მათგანს გაესაუბრა. იმ ბნედიან ქალს ბერი უკვე იცნობდა, ავადმყოფი მონასტრიდან ექვსი ვერსის დაშორებით მდებარე სოფლიდან მოიყვანეს. ადრეც მოჰყავდათ ხოლმე მასთან.
- აი, ეს შორიდან მოსულია! - მიუთითა მან ერთ-ერთ გამხდარ, დასუსტებულ, მზისგან სახეგარუჯულ, ხანშიშესულ ქალზე. ის მუხლებზე დამხობილი, გამწარებული მიშტერებოდა ბერს.
- შორიდან, მამაო, შორიდან, აქედან სამასი ვერსი იქნება. შორიდან, მამაო, შორიდან, - ქალი მოთქმით ლაპარაკობდა, თან ხელი ლოყაზე მიედო და თავს აქეთ-იქეთ აქანცალებდა. უბრალო ადამიანებს დიდი მწუხარება გააჩნიათ, რომელსაც ისინი მდუმარედ, დიდი მოთმინებით იტანენ, ჩუმად, საკუთარ თავში ჩაკეტილები. მაგრამ არის მწუხარება ამოხეთქილი, ერთხელ ცრემლებად დაღვრილი და შემდეგ მოთქმაში ამეტყველებული. ეს განსაკუთრებით ქალებს ახასიათებთ. მაგრამ იგი მდუმარე მწუხარებაზე მსუბუქი არ არის. მოთქმა ამღვრეულ და აფორიაქებულ გულიდან იკლავს წყურვილს. ასეთი მწუხარება ნუგეშს არ ითხოვს, იგი თავისი გაუქარვებლობით იკვებება. მოთქმა შეუხორცებელი ჭრილობის გაუთავებელი გაღიზიანების მოთხოვნილებაა.
- მეშჩანი ხარ? - გააგრძელა ბერმა და თან ყურადღებით მიაცქერდა.
- ქალაქელები ვართ, მამაო, ქალაქელები, გლეხები, მაგრამ ქალაქელები, ქალაქში ვცხოვრობთ. შენს სანახავად ჩამოვედი. ბევრი რამ მსმენია შენზე, მამაო. პატარა შვილი დავმარხე და სალოცავად წამოვედი. სამ მონასტერში ვიყავი, ბოლოს აქეთ მომასწავლეს. გუშინ მოვედი, ღამე გავათიე, ახლა აქ, თქვენთან, ვარ.
- რა გატირებს?
- შვილი მეცოდება, მამაო, სამი წლის იყო, სამი თვე აკლდა სამ წლამდე. შვილსა ვგლოვობ, მამაო, შვილს. ოთხი შვილიდან მარტო ისღა გვყავდა დარჩენილი მე და ნიკიტუშკას. არც ერთი აღარ შეგვრჩა, ძალიან გვინდოდა შვილები, მაგრამ ყველა მოგვიკვდა. სამი რომ დავმარხე, ძალზე არ შევწუხებულვარ, ამ ნაბოლარამ კი მომსპო, ვეღარ ვივიწყებ. თითქმის სულ თვალწინ მიდგას, არ მშორდება. ლამისაა სული გამძვრეს დარდისაგან. ვუყურებ მის ტანსაცმელს, პერანგს ან ჩექმებს და ვღრიალებ. ვუთხარი ჩემს ქმარს, ნიკიტუშკას: გამიშვი, წავალ, ვილოცებ-მეთქი. მეეტლეა, არ გვიჭირს, მამაო, არ გვიჭირს, ყველაფერი გვაქვს, ცხენებიც და ეკიპაჟიც. მაგრამ რა ჭირად გვინდა ეს ქონება? გალოთდება ახლა ნიკიტუშკა უჩემოდ, ამას წყალი არ გაუვა. ასე იყო ყოველთვის, როცა მე ზურგს შევაქცევდი, ის სმას იწყებდა ხოლმე. ახლა მასზე აღარ ვფიქრობ. სამი თვეა უკვე, რაც სახლიდან წამოვედი. ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი და არც მინდა გახსენება, აწი რა ვაკეთო მასთან? დამთავრდა მასთან ყველაფერი, დამთავრდა, ყველაფერი მორჩა. ნეტა აღარაფერი აღარ მანახა, აღარც ჩემი სახლი, აღარც

ჩემი ქონება და საერთოდ აღარაფრის ნახვა არ მინდა!
- აი, რას გეტყვი, დედაო, - თქვა ბერმა, - ერთხელ, ძველად, ერთმა დიდმა წმინდანმა ტაძარში ნახა შენნაირი მოტირალი დედა, რომელიც შენსავით თავის გარდაცვლილ ერთას დასტიროდა, „ალბათ არც იცი შენ, - უთხრა მას წმინდანმა, - თუ როგორი კადნიერები არიან ეს პატარა ყმაწვილები ღმერთის წინაშე? მათზე კადნიერი ღმერთის სასუფეველში არავინ არის. ისინი ღმერთს ეუბნებიან: შენ მოგვანიჭე სიცოცხლე, ღმერთო, და როგორც კი თვალი ავახილეთ, მაშინვე წაგვართვი ის. ისინი ღმერთს ისე კადნიერად სთხოვენ და ელაპარაკებიან, რომ ღმერთი მათ მაშინვე ანგელოზებად აქცევს ხოლმე. ამიტომ, - გააგრძელა წმინდანმა, - გიხაროდეს, დედაკაცო, ნუ ტირი, შენი შვილი ახლა ღმერთთანაა, ანგელოზთა შორის“. აი, რა უთხრა ძველად წმინდანმა მგლოვიარე დედას. ის იყო დიდი წმინდანი და ტყუილს არ იტყოდა. ამიტომ შენც იცოდე, დედაო, შენი შვილი ახლა ღმერთის ტახტის წინ დგას და გიხაროდეს, გამხიარულდი, იგი შენზე ევედრება ღმერთს. ამიტომ იტირე, მაგრამ გიხაროდეს.
ქალი უსმენდა ლოყაზე ხელმიდებული და თავდახრილი. შემდეგ ამოიოხრა:
- ასე მამშვიდებდა ნიკიტუშკაც, სიტყვასიტყვით, როგორც შენ ბრძანებ, მეუბნებოდა: „შეშლილი ხარ, გადარეული, რა გატირებს, ჩვენი ბიჭი უკვე ღმერთთან არის და ანგელოზებთან ერთად გალობსო“. ამბობდა ამას და თან ტიროდა. „ვიცი, - ვეუბნები, - ნიკიტუშკა, სხვაგან სად იქნება, თუ არა ღმერთთან, მაგრამ ახლა ხომ ჩვენთან არ არის, ნიკიტუშკა, ჩვენ გვერდით აღარ ზის-მეთქი!“ ნეტა, ერთხელ მაინც შემახედა მისთვის, მხოლოდ ერთხელ შემავლებინა თვალი, ახლოს არ გავეკარებოდი, კრინტს არ დავძრავდი, კუთხეში გავიტრუნებოდი, მხოლოდ ერთხელ, ერთი წუთით მაინც მანახა, გამაგებინა მისი ხმა, თამაშის დროს ეზოდან რომ მესმოდა, როცა შემომძახებდა ხოლმე: „დედიკო, სად ხარო?“ მხოლოდ ერთხელ მაინც მომასმენინა მისი ფეხების ბაკუნი, ოთახში რომ გაივლ-გამოივლიდა, მხოლოდ ერთხელ: ფეხებს ბაკიბუკი რომ გასდიოდა, ხშირად, ძალზე ხშირად მახსენდება; იყო ასეთი შემთხვევები, გამოიქცეოდა ჩემკენ, ყვირილით, სიცილით, მხოლოდ ის ფეხების ბაკიბუკი გამაგებინა, მეტი არაფერი მინდა და ვაღიარებდი! მაგრამ აღარ არის ის, მამაო, აღარ არის, აწი, აღარასოდეს გავიგონებ მის ხმას!... აი, მისი ქამარი, თავად კი აღარ არის, აწი, ვეღარასოდეს ვნახავ მას და ვეღარ გავიგონებ მის ხმას!...
მან უბიდან თავისი შვილის ბუზმენტის პატარა ქამარი ამოიღო. როგორც კი დახედა, აკანკალდა და ქვითინი აუვარდა. ქალმა თვალებზე ხელები აიფარა, საიდანაც ცრემლები ნაკადულივით სდიოდა.
- ეს, - თქვა ბერმა, - ბიბლიური „რაქელი დასტირის თავის შვილებს და არა სურს ნუგეში, ვინაიდან ისინი აღარ არიან“[19]. ასეთი ხვედრი გხვდათ დედებს ამქვეყნად. ნუ დაწყნარდები, არ არის საჭირო დაწყნარება, ნუ დაწყნარდები და მოიოხე გული, მაგრამ ყოველთვის, როცა ტირი, გახსოვდეს მუდამ, რომ შენი შვილი ერთ-ერთი ანგელოზთაგანია უფალი ღმერთის ანგელოზთა შორის, იქიდან გიცქერს და გხედავს შენ, გახარებულია შენი ცრემლებით, მათზე მიუთითებს ღმერთს. კიდევ დიდხანს მოგიწევს დიდი დედობრივი გოდება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იგი გარდაიქმნება ჩუმ სიხარულად და შენი ცრემლები იქცევა ცოდვების მონანიებით გულგაწმენდილი და გულაჩუყებული ადამიანის ცრემლებად. შენი ბიჭუნას სულს ჩემს ლოცვებში მოვიხსენიებ, რა ერქვა?
- ალექსეი, მამაო.

- ლამაზი სახელია. ალექსეისათვის, ღვთის კაცი?
- ღვთისა, მამაო, ღვთისა, ალექსეი ღვთის კაცია!
- მერმე როგორი წმინდანი! მოვიხსენიებ, დედაო, მოვიხსენიებ და ლოცვებში შენს მწუხარებასაც აღვნიშნავ და შენს მეუღლეს კი ჯანმრთელობას ვუსურვებ. ოღონდ ცოდვა იქნება, რომ მიატოვო. წადი ქმართან და გაუფრთხილდი მას. დაინახავს იქიდან შენი ბიჭუნა, მამამისი რომ მიატოვე და ატირდება; რატომ გინდა დაურღვიო ნეტარება? ცოცხალია ის, ცოცხალი, რამეთუ სული უკვდავია; იგი არ არის თქვენთან, მაგრამ მისი სული თქვენთან ტრიალებს სახლში. როგორ მოვა იგი შენთან სახლში, როცა ამბობ, რომ შეგძულდა სახლი? ვისთან მოვა, თუკი დედ-მამა ერთად არ იქნებით, ვის ნახავს? შენ ახლა გესიზმრება ის, წუხხარ, მაგრამ თუ სახლში დაბრუნდები, მშვიდ სიზმრებს მოგივლენს, წადი ახლავე, წადი ქმართან, დედაო, დღესვე გაემგზავრე.
- წავალ, ჩემო კეთილო, როგორც მირჩიე, ისე გავაკეთებ. გული ამიფორიაქე. ნიკიტუშკა, ჩემო ნიკიტუშკა, მელოდები, შენ გენაცვალე, ხომ მელოდები! - დაიწყო მოთქმა დედაკაცმა, მაგრამ საუბარი ბერმა უკვე ერთ-ერთ მოხუცებულ ქალს გაუბა, რომელსაც სამგზავრო სამოსი კი არა, არამედ ქალაქური ტანსაცმელი ეცვა. ქალს თვალებში ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა. მან ბერს თავი ჩვენი ქალაქელი უნტერ-ოფიცრის ქვრივად გააცნო. შვილი ჰყოლია ერთი, ვასენკა, სადღაც კომისარიატში მსახურობდა თურმე, მერმე ციმბირში გადასულა, ირკუტსკში. ორჯერ მოუწერია იქიდან, მაგრამ უკვე ერთი წელია, აღარ იწერება. აქეთ გაუკითხავს, იქით გაუკითხავს, მაგრამ ვერაფერი შეუტყვია, არც იცის, კიდევ სად და ვისგან გაიგოს მისი ამბავი.
- ამას წინათ ვაჭრის ცოლი, მდიდარი ქალი, სტეპანინა ილინიშნა ბედრიაგინა მეუბნება: პროხოროვნა, ადექი ახლა შენ, დაწერე შენი შვილის მოსახსენიებელი და ეკლესიაში წაიღე, წირვის დროს გარდაცვლილებში რომ მოიხსენიონ და შენდობა ითხოვონ. მისი სული დანაღვლიანდება და წერილს მოგწერსო. ეს მრავალნაცადი ხერხიაო. მე კი ეჭვი შემეპარა... ჩვენო თვალისჩინო, მართალია ეს, კარგი იქნება, ასე რომ მოვიქცე?
- არც კი იფიქრო მაგაზე, კითხვაც კი სამარცხვინოა. როგორ შეიძლება ცოცხალი კაცის მკვდრებში მოხსენიება, თანაც საკუთარი დედის მიერ! ეს დიდი ცოდვაა, ჯადოქრობას ჰგავს, მხოლოდ შენი უმეცრებით გეპატიება. აჯობებდა, ყოველთა მფარველ და შემწე ღვთისმშობელს შესთხოვო, რომ დაიფაროს ის და შენც შეგინდოს უმართებულო ფიქრები. აი, რას გეტყვი, პროხოროვნა: მალე ან შენი შვილი ჩამოვა, ან წერილს გამოგიგზავნის. ასეა ეს, იცოდე. წადი და მშვიდად იყავი. ცოცხალია შენი შვილი.
- ჩვენო ძვირფასო, ჩვენო კეთილისმყოფელო, დიდხანს გაცოცხლოს ღმერთმა, ჩვენი ცოდვებისათვის მლოცველო...
ამ დროს ბერმა ბრბოში შეამჩნია მისკენ მიმართული ორი ანთებული თვალი გატანჯული, შესახედავად ჭლექიანი, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გლეხის ქალისა. იგი ჩუმად შესცქეროდა, თითქოს თვალებით სთხოვდა რაღაცას, მაგრამ მიახლოების ეშინოდა.
- შენ რა გაწუხებს, ჩემო კარგო?
- შეუნდე ჩემს სულს, კეთილო მამაო, - ჩუმად და აუჩქარებლად თქვა მან და მუხლებზე დამხობილმა თაყვანი სცა.
- ცოდვა ჩავიდინე, მამაო ჩემო, ჩემი ცოდვის მეშინია.

ბერი კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ქალი მას ჩოქვით მიუახლოვდა.
- სამი წელია, ქვრივი ვარ, - ჩურჩულით დაიწყო აკანკალებულმა ქალმა, - ძალიან მიჭირდა ქმართან ცხოვრება. ბებერი იყო და სასტიკად მცემდა. ერთხელ ავადმყოფი იწვა; ვუყურებდი და ჩემთვის ვფიქრობდი: თუ გამოკეთდა, ადგება და ისევ გაგრძელდება ჩემი ტანჯვა-მეთქი. უცებ თავში გამიელვა ერთმა აზრმა...
- მოიცა, - თქვა ბერმა და ყური ქალის ბაგეებთან მიიტანა. ქალი ჩურჩულით ლაპარაკობდა, ისე რომ ბერის გარდა ვერავინ ვერაფერს გაარჩევდა. მან მალე დაამთავრა.
- მესამე წელია? - ჰკითხა ბერმა.
- მესამე წელია, პირველად არ მიფიქრია, ახლა შევწუხდი, ნაღველი შემომაწვა.
- შორიდან ჩამოხვედი?
- აქედან ხუთასი ვერსი იქნება.
- აღსარებაზე თქვი?
- ვთქვი, ორჯერ ვთქვი.
- ზიარებაზე დაგიშვეს?
- დამიშვეს. მეშინია, სიკვდილის მეშინია.
- ნურაფრის გეშინია, ნურასოდეს შეშინდები, ნურც წუხხარ. მთავარია, მონანიება არ გაქრეს შენში, ღმერთი ყველაფერს შეგინდობს. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე ცოდვა ამ ქვეყანაზე, რომლის შენდობაც ღმერთს ჭეშმარიტი მომნანიებლისათვის არ შეეძლოს. ისეთ დიდ ცოდვას ვერ ჩაიდენს ადამიანი, რომელიც შეძლებს ღმერთის უსაზღვრო სიყვარულის განელებას. არსებობს კი ისეთი ცოდვა, რომელიც გადააჭარბებს ღმერთის სიყვარულს?! მუდამ მონანიებაზე იზრუნე, შიში სამუდამოდ განაგდე შენგან. გწამდეს, ღმერთს ისე უყვარხარ, ვერც წარმოიდგენ, უყვარხარ ცოდვილი, შენს ცოდვებთან ერთად უყვარხარ. ძველთაგან თქმულა: ცაში უფრო დიდი სიხარულით მიიღებენ ერთ მონანიე ცოდვილს, ვიდრე ათ მართალსო. წადი და ნუ გეშინია. ადამიანებზე ნუ გაბრაზდები, წყენას გულში ნუ ჩაიდებ. გარდაცვლილს ყველაფერი აპატიე, რაც შენთვის უწყენინებია, ჭეშმარიტად შეურიგდი მას. თუ მოინანიე, გიყვარს კიდეც - უკვე ღვთიური სიყვარულით გიყვარს. სიყვარულით ყველაფერს შეიძენ, ყველაფერს გადაარჩენ. თუკი მე, შენსავით ცოდვილმა, გავიზიარე შენი დარდი და შეგიწყალე, მით უმეტეს შეგინდობს ღმერთი. სიყვარული ისეთი უძვირფასესი განძია, მისი საშუალებით მთელი მსოფლიოს ყიდვა შეიძლება, განა მარტო შენს ცოდვებს, სხვისასაც გამოისყიდი. წადი და ნუ გეშინია.
ბერმა ქალს სამჯერ გადასწერა ჯვარი, კისრიდან ხატი მოიხსნა და ქალს ჩამოჰკიდა. ქალმა უხმოდ მიწამდე თაყვანისცა მას. ბერი წამოდგა და მხიარულად გადახედა ერთ ჯან-ღონით სავსე დედაკაცს, რომელსაც ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა.
- ვიშეგორიდან ვარ, მამაო.
- აქამდე ექვსი ვერსი იქნება, ბავშვიანად არ გაგიჭირდა? რა გაწუხებს?
- შენი ნახვა მინდოდა. მე ხომ შენთან ნამყოფი ვარ, დაგავიწყდი? ცუდი მეხსიერება გქონია, თუ დაგავიწყდი. გავიგე, ავად ყოფილხარ, ვიფიქრე, წავალ, მოვინახულებ-მეთქი. აი, გნახე, ავადმყოფობის არაფერი გეტყობა. კიდევ ოც წელს იცოცხლებ, ღმერთმანი! რამდენი ვართ შენზე მლოცველები, შენ უნდა იავადმყოფო?
- მადლობ ყველაფრისათვის, ჩემო კეთილო.

- სხვათა შორის, ერთი პატარა თხოვნა მაქვს: აქ 60 კაპიკია, მიეცი ვინმე ჩემზე ღარიბს. აქეთ მოვდიოდი და ვფიქრობდი ჩემთვის, შენ უფრო იცი, ვის მისცე, ვის უფრო მეტად სჭირდება.
- გმადლობ, გეთაყვა, გმადლობ, კეთილო. აუცილებლად შეგისრულებ. გოგონაა? - ბავშვზე მიუთითა.
- გოგონაა, წმინდანო, ლიზავეტა.
- ღმერთმა დაგლოცოთ ორივე, შენც და პატარა ლიზავეტაც. ძალზე გამახარე, დედაო, მშვიდობით, ძვირფასებო, მშვიდობით, კარგებო და კეთილებო.
ბერმა ყველა დალოცა და თავი მდაბლად დაუკრა.

IV ურწმუნო ქალბატონი

უბრალო ხალხთან მოსაუბრე ბერისა და მისი ლოცვა-კურთხევის შემყურე მემამულე ქალბატონი ჩუმად იცრემლებოდა და კურცხალს ცხვირსახოცით იწმენდდა. ამ მგრძნობიარე ქალბატონს მრავალი კარგი თვისება ჰქონდა. როცა ბერი, ბოლოს და ბოლოს, მასაც მიუახლოვდა, იგი აღფრთოვანებული შეეგება.
- იმდენი, იმდენი რამ განვიცადე ამ გულისამაჩუყებელი სცენის შემყურემ... - აღელვებისგან ვეღარ დაამთავრა მან, - ო, მე ძალიან კარგად მესმის, როგორ უყვარხართ ხალხს, მე თავად მიყვარს ხალხი, მე მინდა მიყვარდეს, ანდა როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ჩვენი მშვენიერი და უბრალო, დიდი რუსი ხალხი!
- როგორაა თქვენი ქალიშვილი? თქვენ კვლავ მოინდომეთ ჩემთან საუბარი?
- მე დაჟინებით ვითხოვდი, ყველას ვევედრებოდი, მზად ვიყავი, მუხლმოყრილი თუნდაც სამი დღის განმავლობაში ვყოფილიყავი თქვენი ფანჯრის ქვეშ, სანამ თქვენ არ ინებებდით ჩემს მიღებას. ჩვენ იმიტომ გეახლეთ, დიდო მკურნალო, რომ ჩვენი აღფრთოვანება და მადლობა მოგახსენოთ. თქვენ ჩემი ლიზა განკურნეთ, სრულიად განკურნეთ, რითი, იმით, რომ ხუთშაბათს ილოცეთ მისთვის, ხელით შეეხეთ მას. ჩვენ თქვენი ხელის საამბორებლად მოვიჩქაროდით, ჩვენი გრძნობების გასაზიარებლად და თქვენს თაყვანისაცემად.
- როგორ თუ განვკურნე? იგი ხომ კვლავ სავარძლით დადის?
- მაგრამ ღამის ციებ-ცხელებები სულ გაუქრა, უკვე ორი დღეა, ხუთშაბათს აქეთ, - ნერვიულად, სხაპასხუპით მიაყოლა ქალბატონმა. - გარდა მაგისა: გოგონას ფეხები მოუმაგრდა, დილით მხნედ გაიღვიძა, მთელი ღამე ეძინა, შეხედეთ მის დაბრაწულ ლოყებს და მოელვარე თვალებს. ადრე სულ ტიროდა, ახლა იცინის, მხიარულობს. დღეს დაჟინებით მომთხოვა ფეხზე დადგომა, მთელი წუთი იდგა თავისით, არავინ დახმარებია. მენიძლავება, რომ ორ კვირაში კადრილს იცეკვებს. მე მოვიწვიე აქაური ექიმი ჰერცენშტუბე; მან მხრები აიჩეჩა და თქვა: მიკვირს და გამკვირებიაო. თქვენ კი გნებავთ, რომ არ შეგაწუხოთ. განა შეგვეძლო, არ გამოვფრენილიყავით და მადლობა არ მოგვეხსენებინა? Lise, მადლობა მოახსენე, მადლობა!
ლიზას ლამაზი, მოცინარი სახე უცებ სერიოზული გაუხდა, მან რამდენადაც შეძლო, წამოიწია სავარძელიდან, მადლობის ნიშნად ხელები ერთმანეთს მიადო და ბერს შეხედა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და გადაიკისკისა...
- მე ამაზე, ამაზე! - თქვა საკუთარი თავდაუჭერლობით განაწყენებულმა გოგონამ

და თითი ალიოშასაკენ გაიშვირა. ამ დროს, ვინც ბერიდან ერთი ნაბიჯით უკან მდგარ ალიოშას შეხედავდა, დაინახავდა, როგორ მოედო ალმური მის სახეს, როგორ უცებ შეუღაჟღაჟდა ლოყები, როგორ გაუბრწყინდა თვალები, რომლებიც მორცხვად დახარა.
- Lise-ს თქვენთან, ალექსეი ფიოდოროვიჩ, დავალება აქვს... როგორ ბრძანდებით,
- გააგრძელა დედამ, რომელმაც უცებ ალიოშას მიმართა და თან თავისი მშვენიერი ხელთათმანიანი ხელი გაუწოდა. ბერმა მოიხედა და ყურადღებით შეხედა ალიოშას. ალიოშა მიუახლოვდა ლიზას, რაღაცნაირად უცნაურად და უხურხულად გაეცინა და ხელი გაუწოდა. გოგონამ ამაყად დაიჭირა თავი.
- კატერინა ივანოვნამ ეს თქვენთვის გადმომცა, - გოგონამ მას ბარათი გაუწოდა. - იგი განსაკუთრებით გთხოვთ, მასთან შეიაროთ, რაც შეიძლება მალე, სასწრაფოდ. არ გააწბილოთ და აუცილებლად უნდა მიხვიდეთ.
- მთხოვს, რომ ვინახულო? მე მასთან... რისთვის? - ჩაიბურტყუნა ძალზე გაკვირვებულმა ალიოშამ. იგი შეშფოთებული ჩანდა.
- ო, ეს ყველაფერი დმიტრი ფიოდოროვიჩის და... ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარი მოვლენების გამოა, - სწრაფად აუხსნა დედილომ. - ახლა კატერინა ივანოვნამ მიიღო ერთი გადაწყვეტილება... ამისთვის სურს თქვენი ნახვა.. რისთვის? რასაკვირველია, არ ვიცი, მაგრამ მან გთხოვათ, სასწრაფოდ ნახოთ. ამას თქვენ გააკეთებთ, აუცილებლად გააკეთებთ, ეს თქვენი ქრისტიანული მოვალეობაა.
- მე იგი მხოლოდ ერთხელ მინახავს, - ისევ გააგრძელა გაკვირვებულმა ალიოშამ.
- ო, ეს ისეთი დიდებული, ისეთი მიუწვდომელი არსებაა!.. მარტო თავისი ტანჯვა-წამებით... წარმოგიდგენიათ, რამდენი რამ გადაიტანა, ანდა ახლა რამდენს იტანს, წარმოგიდგენიათ, რა ელის მას... ყველაფერი ეს საშინელებაა, საშინელება!
- კარგი, მივალ, - გადაწყვიტა ალიოშამ და თვალი გადაავლო მოკლე და საიდუმლოებით მოცულ ბარათს, რომელშიც გარდა დაბეჯითებული თხოვნისა, რომ იგი მოენახულებინა, სხვა არაფერი ეწერა.
- ძალიან კარგს იზამთ, დიდებულად მოიქცევით, - უცებ შეჰყვირა გახარებულმა ლიზამ. - მე დედას ვეუბნებოდი: არაფრის დიდებით არ წავა, თავს დაიძვრენს-მეთქი. თურმე რა მშვენიერი ხართ! მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მშვენიერი ხართ და ახლა მსიამოვნებს ამას რომ გეუბნებით.
- Lise! - დატუქსვით ჩაილაპარაკა დედამ, თუმცა მაშინვე გაიღიმა.
- ძალიან დაგვივიწყეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, სულ აღარ მოდიხართ ჩვენთან: ამ დროს კი, Lise-მა ორჯერ მითხრა, რომ მხოლოდ თქვენთან ყოფნის დროს არის კარგად, - ალიოშამ შეხედა მათ და ისევ გაწითლდა. შემდეგ თავადაც არ იცოდა - რატომ, სიცილი აუტყდა. ბერი უკვე აღარ ადევნებდა თვალყურს მათ საუბარს, იგი ელაპარაკებოდა ჩამოსულ მონაზონს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერს ლიზას სავარძლის გვერდით მდგარი ელოდა. ეს იყო ერთი უბრალო, უფრო სწორად, დაბალი წოდების ბერ-მონაზონი, შეზღუდული და ურღვევი მსოფლმხედველობის, მაგრამ მტკიცე რწმენის. მან განაცხადა, რომ საიდანღაც - შორეულ ჩრდილოეთიდან, ობდორსკის წმინდა სილვესტრის, ღარიბი, ცხრა მონაზვნიანი მონასტრიდან იყო ჩამოსული. ბერმა აკურთხა ის და მისთვის მოსახერხებელ დროს თავის საკანში მიიწვია.
- როგორ ბედავთ ასეთი საქმის კეთებას? - უცებ ჰკითხა მონაზონმა და პირდაპირ ლიზაზე მიუთითა. ის მის „განკურნებას“ გულისხმობდა.

- ამის შესახებ საუბარი ნაადრევია. მოკეთება არ ნიშნავს სრულ განკურნებას. ეს, შეიძლება, სხვა მიზეზითაც მომხდარიყო. მაგრამ თუკი რამ მოხდა, ყველაფერი ღმერთის ნებით მოხდა, სხვა ძალა აქ არაფერ შუაშია. ყველაფერი ღმერთისგანაა. მომინახულეთ, მამაო, - დაუმატა მან, - თორემ ყოველთვის არ შემიძლია: ავად ვარ და ვიცი, ჩემი დღეები დათვლილია.
- ოი, რას ამბობთ, ღმერთი თქვენს თავს როგორ წაგვართმევს, თქვენ კიდევ დიდხანს, დიდხანს იცოცხლებთ, - წამოიყვირა დედილომ, - ან რითი ხართ ავად? შესახედავად ჯანსაღად, მხი-არულად და ბედნიერად გამოიყურებით.
- მე დღეს უჩვეულოდ კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ ხომ ვიცი, ეს წუთიერია. მე ჩემი დაავადება კარგად მაქვს შესწავლილი. თუკი ახლა მე მხიარულადაც გეჩვენებით, იცოდეთ, არაფერი ისე არ გამახარებდა როგორც ეს ნათქვამი. რამეთუ ბედნიერებისათვის არიან გაჩენილნი ადამიანები და ვინც სრულად ბედნიერია, მას შეუძლია პირდაპირ უთხრას თავის თავს: „მე შევასრულე ამქვეყანად ღმერთის მცნება“. ყველა ღირსი მამა, ყველა წმინდანი, ყველა წმინდა წამებული ბედნიერი იყო.
- ო, როგორ ლაპარაკობთ, როგორი თამამი და დიდებული სიტყვებია, - წამოიყვირა დედილომ. - თქვენი ნათქვამი პირდაპირ გულში ხვდება კაცს. მაგრამ ამავე დროს სადაა ბედნიერება, სად? ვის შეუძლია თქვას, ბედნიერი ვარო? ო, თუკი დღეს თქვენ ასეთი კეთილი ხართ და ნება მოგვეცით თქვენი ხილვისა, მაშინ მომისმინეთ, ახლა ყველაფერს გეტყვით, რაც წინა მოსვლაზე ვერ გითხარით, ვერ გავბედე თქმა - ყველაფერს, რითაც ასე ვიტანჯები, უკვე დიდი ხანია, დიდი ხანი! ვიტანჯები, მაპატიეთ, ვიტანჯები... - და მან, აფორიაქებულმა, ხელები ერთმანეთს მუდარით მიადო.
- რით იტანჯებით?
- რა მტანჯავს... და ურწმუნოება...
- ღმერთის ურწმუნოება?
- ო, არა, არა, ამის გაფიქრებასაც ვერ გავბედავ, მაგრამ საიქიო ცხოვრება - ეს ისეთი გამოცანაა! ვერავინ, ვერავინ იძლევა ამაზე პასუხს! მომისმინეთ, მკურნალო, თქვენ ხომ ადამიანის სულის მცოდნე ხართ; მე, რა თქმა უნდა, იმის პრეტენზია არ მაქვს, რომ თქვენ ჩემი სრულად გჯეროდეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ქარაფშუტობა კი არ მალაპარაკებს, არამედ ფიქრი მომავალ საიქიო ცხოვრებაზე მტანჯავს, მაღელვებს და საშინელებამდე მაძრწუნებს. არ ვიცი, ვის მივმართო, მთელი ჩემი ცხოვრება ვერ ვბედავდი ამის თქმას... აი, ახლა კი ვბედავ და მოგმართავთ თქვენ... ღმერთო ჩემო, ახლა ალბათ ვინ გგონივართ?! - და სასოწარკვეთილმა ხელები გაასავსავა.
- თქვენ ჩემი აზრი ნუ შეგაწუხებთ, - უპასუხა ბერმა, - მე სავსებით მჯერა თქვენი მწუხარების გულწრფელობა.
- ო, როგორი მადლობელი ვარ თქვენი! იცით, ხანდახან თვალებს დავხუჭავ და ვფიქრობ: თუკი ყველას სწამს, მაშინ საიდან გაჩნდა ჩემი ეჭვი? ამ დროს ზოგიერთი მარწმუნებს, რომ თავდაპირველად ეს დაბადა ბუნების მრისხანე მოვლენებისადმი შიშმა და არაფერი ამისი მსგავსი არ არსებობსო. მაშინ რა, ვფიქრობ ჩემთვის, მთელი ცხოვრება უნდა მწამდეს, მერე მოვკვდე და არაფერი იყოს-მეთქი, მხოლოდ „ოროვანდი ამოვა საფლავზე“[20], როგორც ეს ერთ მწერალს უწერია. საშინელებაა! როგორ, როგორ უნდა დავიბრუნო რწმენა? თუმცა მე მწამდა, როცა პატარა ვიყავი, ანგარიშმიუცემლად, დაუფიქრებლად...

რით, რით დაგიმტკიცოთ, იმისათვის მოვედი თქვენთან, რომ დავემხო თქვენ ფერხთით და გითხრათ. თუ ახლა ეს შემთხვევა ხელიდან გავუშვი - მაშინ მთელი ცხოვრება კითხვა უპასუხოდ დამრჩება. რითი დავამტკიცო, როგორ ვირწმუნო? ო, უბედურო ჩემო თავო! ვდგავარ და ვხედავ, ირგვლივ ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, თითქმის ყველას, არავის არაფერი აწუხებს, მხოლოდ მე არ შემიძლია ამის გადატანა. ეს საშინელებაა, საშინელება!
- მართლაც, საშინელებაა. მაგრამ აქ რაიმეს დამტკიცება არაფრით შეიძლება, უბრალოდ, უნდა ირწმუნო.
- როგორ? რით?
- ქმედითი სიყვარულის გამოცდილებით. შეეცადეთ, გიყვარდეთ მოყვასი თქვენი და ეს სიყვარული მუდმივი და ქმედითი უნდა იყოს. იმის მიხედვით, როგორ წარმატებებს მიაღწევთ სიყვარულში, ირწმუნებთ ღმერთის არსებობას და თქვენი სულის უკვდავებას. თუ მიაღწევთ მოყვასის სიყვარულისთვის სრულ თავგანწირვას, მაშინ უეჭველად ირწმუნებთ და არავითარი ეჭვი არ დაღრღნის თქვენს გულს. ეს უკვე გამოცდილია, ამას წყალი არ გაუვა.
- ქმედითი სიყვარული? ისევ კითხვა და თანაც როგორი კითხვა! იცით: მე ისე მიყვარს კაცობრიობა, მერწმუნეთ, ხანდახან მიოცნებია კიდეც, მივატოვო ყველაფერი, ყველაფერი, რაც გამაჩნია, Lise-იც კი, და წავიდე მოწყალების დად. ვხუჭავ თვალებს და ჩემთვის ვფიქრობ, ვოცნებობ... იმ წუთებში ჩემში ვგრძნობ დაუძლეველ ძალას. ვერავითარი ჭრილობები, ვერავითარი ჩირქოვანი წყლულები ვერ შემაშინებს. მზად ვარ, მომვლელად დავუდგე ამ ტანჯულებს, ჩემი ხელებით განვბანო და შევუხვიო იარები, მზადა ვარ, ვკოცნო მათი წყლულები...
- ეგეც ბევრია და ძალიან კარგი, თუკი თქვენი გონება მაგითაა დაკავებული და სხვა არაფრით. დროდადრო, შესაძლოა, მოულოდნელად მართლაც კარგი საქმეები აკეთოთ.
- ბატონი ბრძანდებით, მაგრამ დიდხანს შევძლებ ასე ცხოვრებას? - ცხარედ, თითქმის გაშმაგებით გააგრძელა ქალბატონმა, - მთავარი კითხვა ესაა! ეს არის ჩემთვის ყველაზე მტანჯველი კითხვა. თვალებს ვხუჭავ და ვეკითხები ჩემს თავს: დიდხანს შეძლებდი ასეთ გზაზე სიარულს? თუკი სნეული, რომელსაც წყლულებს მოვბან, მაშინვე მადლიერი არ დამრჩება და პირიქით, თავისი ჭირვეულობით გამაწვალებს, არ დააფასებს და ვერ შეამჩნევს ჩემს კაცთმოყვარულ სამსახურს, მიყვირებს და უხეშად მომთხოვს, ვინმემ შეიძლება უფროსთან მიჩივლოს კიდეც (როგორც ხშირად ემართებათ ძალზე გატანჯულ ავადმყოფებს) - რა ვქნა მაშინ? კვლავ შევძლებ სიყვარულს? და აი, ძრწოლით მივიღე გადაწყვეტილება: თუკი არსებობს რაიმე, რომელიც უცებ შეძლებს კაცობრიობისადმი ჩემი „ქმედითი“ სიყვარულის განელებას, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ უმადურობა. ერთი სიტყვით, მე ის მუშა ვარ, რომელიც გასამრჯელოს თხოულობს, მაშინვე ვითხოვ სამაგიეროს, შექებას, სიყვარულს სიყვარულის წილ. სხვამხრივ მე ვერავის შევიყვარებ!
ის გულწრფელი თვითგვემით იყო შეპყრობილი. ლაპარაკის დასასრულს გამომწვევად გადახედა ბერს.
- ეს ზუსტად იმას ჰგავს, ამას წინათ ერთი ექიმი რომ მიყვებოდა, - შენიშნა ბერმა, - ხანშიშესული კაცი იყო, ნამდვილად ჭკვიანი. ისიც თქვენსავით გულახდილად ლაპარაკობდა, თუმცა ხუმრობით, სევდანარევი იუმორით; მეო, ამბობდა, კაცობრიობა მიყვარს, მაგრამ ჩემი თავის მიკვირს: რაც უფრო მეტად მიყვარს

კაცობრიობა, მით უფრო ნაკლებად მიყვარს ცალკეული ადამიანი, ასე ვთქვათ, სხვადასხვანაირად, როგორც ცალკეული პირებიო. ჩემს ოცნებებში არაერთხელ მივსულვარ ისეთ მგზნებარე აზრამდე, როგორიცაა კაცობრიობის სამსახური და, შესაძლოა მართლაც, თავი გამეწირა ადამიანებისათვის, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. მაგრამ ამავე დროს, ორი დღეც არ შემიძლია ერთ ოთახში ვინმესთან ერთად ვიცხოვრო. ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. როგორც კი ვინმეს დავუახლოვდები, მაშინვე მისი პიროვნება ჩემს თავმოყვარეობაზე ზემოქმედებას ახდენს, ზღუდავს ჩემს თავისუფლებას. ერთ დღე-ღამეში შემიძლია საუკეთესო ადამიანი შევიძულო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრს ჭამს, მეორე - იმიტომ, რომ სურდო სჭირს და გაუთავებლად ცხვირს იხოცავს. მე ადამიანის მტერი ვხდები, თუკი ის ოდნავ მაინც შემეხება. სამაგიეროდ, ყოველთვის ასე ხდებოდა: რაც უფრო მეტად მძულდა კონკრეტულად ადამიანი, მით უფრო მეტად და მგზნებარედ მიყვარდა ზოგადად კაცობრიობაო.

- მაშ, რა ვქნათ? ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცე? ასე ხომ შეიძლება სასოწარკვეთამდე მისვლა?

- არა, რამეთუ ისიც საკმარისია, თქვენ რომ ეს საკითხი გაწუხებთ. გააკეთეთ ის, რაც შეგიძლიათ და ჩაგეთვლებათ. თქვენ ხომ უკვე ბევრი გაქვთ გაკეთებული, რადგან ღრმად და ნამდვილად შეიცანით თავი თქვენი! თუ ამჟამად იმიტომ მელაპარაკებოდით ასე გულწრფელად, რომ ჩემი შექება დაგემსახურებინათ, მაშინ, ცხადია, ვერაფერს მიაღწევთ ქმედითი სიყვარულით; ის ისევ თქვენს ოცნებებში დარჩება და ცხოვრება თვალსა და ხელს შუა გაიპარება. ამ დროს, ცხადია, საიქიო ცხოვრებაც დაგავიწყდებათ და საბოლოოდ, თავისთავად, როგორღაც დამშვიდდებით.

- თქვენ მე თავსლაფი დამასხით! ზუსტად ახლა, ამ წუთებში, როცა ლაპარაკობდით, მივხვდი, რომ მე თქვენგან შექებას ნამდვილად ველოდი ჩემი გულწრფელობისათვის, როცა გითხარით, უმადურობას ვერ ვიტან-მეთქი. თქვენ გამომიჭირეთ, გამოააშკარავეთ და თვალნათლივ დამანახეთ ჩემი რაობა!

- მართალს ამბობთ? ახლა კი, თქვენი ასეთი აღიარების შემდეგ მჯერა, რომ გულწრფელი და გულკეთილი ადამიანი ხართ. თუ ბედნიერი არ გახდებით, გახსოვდეთ მუდამ, თქვენ კარგ გზას ადგახართ, ეცადეთ, ამ გზას არ გადაუხვიოთ. რაც მთავარია, ერიდეთ სიცრუეს, ყოველნაირ სიცრუეს, განსაკუთრებით, საკუთარი თავის მოტყუებას. თვალყური ადევნეთ თქვენს სიცრუეს, ყოველ საათს და ყოველ წუთს. ერიდეთ ზიზღს როგორც სხვის, ასევე საკუთარი თავისადმი: ის, რაც საკუთარ თავში არ მოგწონთ, მარტოოდენ იმიტომ რომ თქვენ ეს შეამჩნიეთ, განიწმინდება. შიშსაც ერიდეთ, შიში შედეგია ყოველივე სიცრუისა. ნურასოდეს შეგაშინებთ საკუთარი სულმოკლეობა სიყვარულის მოსაპოვებლად, ნურც ამ დროს ჩადენილი თქვენი უზნეო საქციელი შეგაშინებთ მაინცდამაინც. ვნანობ, ვერაფერს გეტყვით გულის გასახარს, რამეთუ ქმედითი სიყვარული რომანტიკულ სიყვარულთან შედარებით სასტიკი და შემაძრწუნებელია. რომანტიკული სიყვარული ისეთი თავგანწირვისაკენ მიისწრაფვის, რომლის შედეგიც სასწრაფოდ კმაყოფილებას იწვევს და რომელიც ყველასათვის თვალში საცემი ხდება. ამ შემთხვევაში საქმე იქამდე მიდის, რომ კაცმა შეიძლება სიცოცხლეც კი გაწიროს, მხოლოდ ეს თავგანწირვა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს და სასწრაფოდ უნდა აღსრულდეს, როგორც ეს სცენაზე ხდება, სადაც ყველა ყველაფერს ხედავს და ხოტბა-დიდებას ასხამს. ქმედითი სიყვარული კი შრომა და

გამძლეობაა, ზოგიერთისათვის მთელი მეცნიერებაც. მაგრამ წინასწარ გეტყვით: მაშინ, როცა თქვენ თავზარდაცემული შეიტყობთ, რომ მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, თქვენ არათუ წინ ვერ წაიწიეთ მიზნისაკენ, არამედ უფრო და უფრო დაშორდით მას - სწორედ ამ დროს, გიწინასწარმეტყველებთ ამას, თქვენ მოულოდნელად მიაღწევთ მიზანს და იხილავთ სასწაულმოქმედ ძალას უფლისას, რომელსაც გამუდმებით უყვარდით და რომელიც სულ მუდამ თქვენი წინამძღოლი იყო. უკაცრავად, მეტს ვეღარ დავრჩები, მელოდებიან, ნახვამდის!
ქალი ტიროდა.
- Lise, ისე, დალოცეთ იგი, დალოცეთ! - უცებ აწრიალდა იგი.
- ის სიყვარულის ღირსი არ არის. რაც აქ ვარ, სულ ცელქობს, - ხუმრობით თქვა ბერმა, - თქვენ გამუდმებით რატომ იცინოდით ალექსეიზე?
მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიზა მართლაც იცინოდა. გოგონამ თავიდანვე შეამჩნია, ალიოშა რომ მორცხვობდა და თვალებს ვერ უსწორებდა. ეს კი ძალიან ამხიარულებდა. ის დაჟინებით ელოდა ალიოშას მზერის გამოჭერას, რომელიც ვეღარ უძლებდა გოგონას მიშტერებულ თვალებს და ხანდახან, უნებურად, რაღაც დაუძლეველი ძალა მიახედებდა ხოლმე მისკენ. ამ დროს ამ თამაშში გამარჯვებული გოგონა გადაიკისკისებდა ხოლმე, ალიოშა კი დაირცხვენდა და საკუთარ თავზე ბრაზი მოსდიოდა. ბოლოს გოგონას ზურგი შეაქცია და ბერს ამოეფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ იმ დაუძლეველმა ძალამ უკან მოახედა. უნდოდა გაეგო, კიდევ უყურებდა თუ არა გოგონა და დაინახა, ლიზა, სავარძელზე გადმოკიდებული, გვერდიდან მიშტერებოდა იმის მოლოდინში, როდის მობრუნდებოდა ალიოშა. როგორც კი ალიოშას მზერა დაიჭირა, ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ბერმაც ვერ მოითმინა:
- ახტაჯანა, რატომ არცხვენთ ყმაწვილს?!
ლიზა მოულოდნელად გაწითლდა, თვალები აუციმციმდა, სახე დაუსერიოზულდა და ჩქარ-ჩქარა, ნერვიულად, აშკარა გულისწყრომით ალაპარაკდა:
- აბა, რატომ დაივიწყა ყველაფერი? მე მას პატარაობისას ხელში ატატებული დავყავდი, ერთად ვთამაშობდით ხოლმე. თქვენ იცით, რომ კითხვას მასწავლიდა? ორი წლის წინ კი, გამომშვიდობებისას, მითხრა, არასოდეს დაგივიწყებო, სამუდამო მეგობრები ვართ კუბოს ფიცრამდე, სამარის კარამდეო! ახლა კი ჩემი ეშინია, მე რა - შევჭამ? რატომ არ მომიახლოვდება და არ დამელაპარაკება? რატომ აღარ დადის ჩვენთან? ნუთუ თქვენ უშლით: ჩვენ კარგად ვიცით, ის ყველგან დადის. ჩემთვის უხერხულია, მე რომ მოვიწვიო, პირველად მას უნდა გავხსენებოდი, თუ არ დავავიწყდი. ახლა კი უნდა, თავს უშველოს! თქვენ კი მისთვის მორჩილის გრძელკალთებიანი კაბა ჩაგიცმევიათ... გაიქცევა და კისერს მოიტეხს...
გოგონამ კვლავ ვერ შეიკავა თავი, სახეზე ხელები აიფარა და ხანგრძლივად და ნერვიულად ჩაიქირქილა. ბერმა ღიმილით მოუსმინა და ალერსიანად დალოცა; გოგონა ბერს ხელზე ეამბორა, შემდეგ მისი ხელი თვალებთან მიიტანა და ატირდა:
- ნუ გამიჯავრდებით, მე სულელი ვარ და არაფრის ღირსი... შესაძლოა, ალიოშა მართალია, რომ არ უნდა ასეთი ტუტუცი გოგონას მონახულება.
- აუცილებლად გამოვგზავნი, - უთხრა ბერმა.

V ეგების, ეგების!

ბერი სენაკში ოცდახუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა. უკვე პირველის ნახევარს გადასცდა და დმიტრი, ვისი გულისთვისაც შეიკრიბნენ, ჯერ კიდევ არ ჩანდა. თუმცა, ამასობაში ის თითქმის ყველას გადაავიწყდა. სენაკში სტუმრები გაცხარებულები საუბრობდნენ. ძირითადად, საუბარი ივანსა და ორ მღვდელ-მონაზონს შორის მიმდინარეობდა. შიგადაშიგ ლაპარაკში მიუსოვი ჩაერთვებოდა ხოლმე, მაგრამ ბედი არ სწყალობდა: ყურადღების მიღმა რჩებოდა, მას თითქმის არ პასუხობდნენ; ეს კი უფრო უძლიერებდა დაგროვილ ბრაზს. საქმე ის იყო, რომ ადრეც, ივანთან ცოდნის სხვადასხვა საკითხზე კამათის დროს, მიუსოვს ივანი აგდებულად ექცეოდა, რაც ძალზე აღიზიანებდა ხოლმე. „აქამდე, რაც კი ევროპაში მოწინავე იყო, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვიდექი, ახლა კი ეს ახალი თაობა ჩვენ არაფრად გვაგდებს.“ - ფიქრობდა თავისთვის. ფიოდორ პავლოვიჩი, რომელმაც პირობა დადო, აწი ხმას არ ამოვიღებო; მართლაც, გარკვეული ხნის განმავლობაში დუმდა და დამცინავი ღიმილით თვალყურს ადევნებდა მიუსოვს. ძალიან უხაროდა, დაბოღმილს რომ ხედავდა. რაღაც-რაღაცების გამო, დიდი ხანია სურდა სამაგიეროს გადახდა და ახლა კი არ უნდოდა, ეს მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაეშვა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, მეზობლის მხარეს გადაიხარა და გესლიანად ჩასჩურჩულა:
- ამასწინათ, როცა მე ვთქვი „თავაზიანად ეამბორებოდა-მეთქი“, თქვენ წასვლა დააპირეთ, რატომ დარჩით ამ უწესო კომპანიაში? ალბათ იმიტომ, თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად რომ გრძნობდით; დარჩით, რომ თქვენი ჭკუა-გონებით რევანში აგეღოთ. ახლა თქვენ არ წახვალთ მანამ, სანამ თქვენს ჭკუა-გონებას არ გამოამზეურებთ.
- მაინც არ იშლით თქვენსას? პირიქით, ამ წუთში წავალ.
- ყველაზე ბოლოს, ყველაზე ბოლოს გახვალთ აქედან! - კიდევ ერთხელ გაჰკრა კბილი ფიოდორ პავლოვიჩმა. ეს მოხდა ზუსტად ბერის დაბრუნებისას.
კამათი წუთით შეწყდა. როგორც კი ბერი დაჯდა თავის ადგილას, ყველას ღიმილით გადახედა და ნება დართო, გაეგრძელებინათ საუბარი. ალიოშას ბერის გამომეტყველების ყველა წვრილმანი კარგად ჰქონდა შესწავლილი და ახლაც ნათლად დაინახა, რომ ბერი მეტისმეტად გადაღლილიყო, იგი თავს ძალას ატანდა. უკანასკნელ ხანებში სისუსტისაგან გული მისდიოდა ხოლმე. სწორედ ახლაც, ისე წაუვიდა ფერი, როგორც ადრე, გულის წასვლის წინ მოსდიოდა ხოლმე. ბერს მიწისფერმა გადაუარა მთელ სახეზე, ბაგეები გაუთეთრდა, მაგრამ ეტყობოდა, არ სურდა აქ თავმოყრილი ხალხის გაშვება, თითქოს რაღაცა თავისი მიზანი ჰქონდა, - ნეტა რა? ალიოშა თვალს დაჟინებით არ აშორებდა მას.
- ამ ბატონის საინტერესო სტატიის შესახებ ვსაუბრობთ, - მიმართა ბერს მღვდელ-მონაზონმა იოსიფმა, ბიბლიოთეკარმა, და ივანზე მიუთითა, - ბევრ ახალ რამეს ამბობს, მაგრამ ძნელია გარკვევა, რა არის კარგი და რა ცუდი ამ იდეაში. ეს სტატია გამოქვეყნდა ერთ-ერთი სასულიერო პირის მიერ დაწერილი წიგნის საპასუხოდ, წიგნი საეკლესიო-საზოგადოებრივი სასამართლოს და მისი უფლებების გაფართოების საკითხებს ეხებოდა.
- სამწუხაროდ, თქვენი სტატია არ წამიკითხავს, მაგრამ მსმენია მის შესახებ, - თქვა ბერმა, თან დაკვირებით და ყურადღებით გადახედა ივანს.

- ამ ბატონს საინტერესო მოსაზრება აქვს, - გააგრძელა მამა ბიბლიოთეკარმა, - როგორც ჩანს, იგი ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან საეკლესიო-საზოგადოებრივ სასამართლოს საკითხში სავსებით უარყოფს.
- ეს საინტერესოა, რა თვალსაზრისით? - ჰკითხა ბერმა ივანს.
ივანმა მოკრძალებულად უპასუხა, გამორჩეული თავაზიანობით, ყოველგვარი ფარული აზრებისა და ქედმაღლობის გარეშე, რისიც ძალზე დიდი შიში ჰქონდა ამასწინათ ალიოშას.
- მე მიმაჩნია, სახელმწიფოს არსის და ეკლესიის არსის ამგვარი არევ-დარევა, ცხადია, მუდამ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ მათი აღრევა შეუძლებელია, რადგან არასოდეს არ იქნება შესაძლებელი მათი არათუ ნორმალურ, არამედ რაღაცნაირად შეთანხმებულ მდგომარეობამდე დაყვანაც კი, რამეთუ ამ საქმეს სიცრუე უდევს საფუძვლად. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კომპრომისი ისეთ საკითხზე, როგორიცაა სასამართლო, ჩემი აზრით, შეუძლებელია. სასულიერო პირი, ვის წინააღმდეგაც მე გამოვედი, ამტკიცებს, რომ ეკლესიას სახელმწიფოში უკავია ზუსტი და განსაზღვრული ადგილი. მე ამის წინააღმდეგი ვარ და ვთვლი, რომ პირიქით - ეკლესია უნდა მოიცავდეს მთელ სახელმწიფოს. და თუ ეს დღეს რატომღაც შეუძლებელია, ქრისტიანული საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის ის, უცილობელად, უპირველეს და უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს.
- მართალს ბრძანებთ! - მტკიცედ ჩაილაპარაკა აღელვებულმა მამა პაისიმ, ჩუმმა და სწავლულმა მღვდელ-მონაზონმა.
- წმინდა წყლის ულტრამონტანტობაა![21] - წამოიყვირა მიუსოვმა და აჩქარებით ფეხი ფეხზე გადაიდო.
- ჩვენთან ხომ მთები არ არის![22] - შესძახა მამა იოსიფმა და ბერს მიუბრუნდა: - სხვათა შორის, ეს ბატონი თავისი მოწინააღმდეგე სასულიერო პირის სამ „ძირითად და არსებით“ დებულებას პასუხობს. პირველი: „არც ერთ საზოგადოებრივ კავშირს არ შეუძლია და არა აქვს უფლება, მიითვისოს ძალაუფლება, განაგებდეს თავისი წევრების სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. მეორე: „სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლო არ უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიას, იგი შეუთავსებელია მის ბუნებასთან, როგორც ღვთის განაწესთან და რელიგიური მიზნებისათვის გაერთიანებულ ხალხთა კავშირთან.“ დაბოლოს, მესამე: „ეკლესია არის მეუფება არაამქვეყნიური“...

- სასულიერო პირისათვის ძალიან უღირსი სიტყვების თამაშია! - ვეღარ მოითმინა და ისევ შეაწყვეტინა მამა პაისიმ, - მე წავიკითხე ის წიგნი, რომლის შესახებაც თქვენ ლაპარაკობთ, - მიმართა მან ივანს, - და გაკვირვებული დავრჩი სასულიერო პირის სიტყვებით, რომ „ეკლესია არის მეუფება არაამქვეყნიური“, ე.ი. იგი ამ დედამიწაზე არ უნდა იყოს საერთოდო. წმინდა სახარებაში სიტყვა „არაამქვეყნიური“ მაგ მნიშვნელობით არ იხმარება. სიტყვების ასეთი თამაში არ შეიძლება. უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, სწორედ იმისათვის მოვიდა, რომ ეკლესია დედამიწაზე დაემკვიდრებინა. ცხადია, სასუფეველი ცათა შინა არაამქვეყნიურია, იგი ზეცაშია, მაგრამ მასში შესვლა შეიძლება მხოლოდ ეკლესიის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია და დგას დედამიწაზე. ამიტომ საერო კალამბურები ამ საკითხზე დაუშვებელი და უღირსი საქციელია. ეკლესია ჭეშმარიტად მეუფებაა, განსაზღვრულია სამეუფეოდ და საბოლოოდ მთელ დედამიწაზე უნდა გაბატონდეს, აღთქმაა ასეთი...

ის უცებ ისე დადუმდა, თითქოს თავი შეიკავა. ივანმა მას ღირსეულად და ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ კვლავ სიამოვნებითა და გულღიად გააგრძელა. მან ბერს მიმართა:

- ჩემი სტატიის დედააზრი ის არის, რომ ძველად, ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, ქრისტიანობა დედამიწაზე მხოლოდ და მხოლოდ როგორც ეკლესია, ისე გვევლინებოდა. როცა წარმართული რომის იმპერია ქრისტიანული სახელმწიფო გახდა, ისე მოხდა, რომ მან მხოლოდ ეკლესია შეიერთა, ხოლო თავად, უმეტეს თავის სახელმწიფო საქმიანობებში, წარმართულ სახელმწიფოდ დარჩა, როგორსაც ადრე წარმოადგენდა. არსებითად ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან რომის სახელმწიფოში წარმართული ცივილიზაციისა და სიბრძნის ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო შემორჩენილი. მაგალითად, თავად სახელმწიფოს მიზნები და საფუძვლები. სახელმწიფოს შემადგენლობაში შესული ქრისტეს ეკლესია, ეჭვგარეშეა, ვერ დათმობდა ვერც ერთ თავის ძირითად ფუძემდებლურ კანონს, რაც მისი საძირკველი იყო და რაზედაც ეკლესია იდგა. მას შეეძლო, მიჰყოლოდა მხოლოდ იმ მიზანს, რომელიც დაუსახა და მიუთითა თავად უფალმა ღმერთმა, ეს იყო მთელი მსოფლიოს მოქცევა, ყველა წარმართული სახელმწიფოს ეკლესიად გარდაქმნა. ასე და ამგვარად (ე.ი. სამომავლოდ) ეკლესიამ კი არ უნდა ეძებოს სახელმწიფოში განსაზღვრული ადგილი, როგორც „ყველა საზოგადოებრივმა კავშირმა“ ან „რელიგიური მიზნებისათვის გაერთიანებულმა ადამიანებმა“ (როგორც ამას ამბობს ავტორი, რომლის წინააღმდეგადაც მე გამოვედი), არამედ, პირიქით, შემდგომში დედამიწის ყველა სახელმწიფო უნდა შეუერთდეს ეკლესიას და გახდეს ეკლესიის ნაწილი, ამასთან ერთად, უნდა უარყოს ეკლესიისაგან განსხვავებული მიზნები. ეს სულაც არ დაამცირებს, არ გაუტეხს სახელს მას, როგორც დიდ სახელმწიფოს, და არც მისი მმართველების დიდებას მიადგება ჩრდილი, ასე მოხდება მათი გადასვლა ცრუ, ჯერ კიდევ წარმართული და მცდარი გზიდან ერთადერთ, მარადიული მიზნებისაკენ მიმავალ მართალ და ჭეშმარიტ გზაზე. ამიტომ „სასამართლოს საეკლესიო-საზოგადოებრივი საფუძვლების“ ავტორის მსჯელობა მართებული იქნებოდა, თუკი ამ საფუძვლების გამოკვლევისა და შემოთავაზების დროს მათ განიხილავდა, მარტოოდენ, როგორც დროებით და აუცილებელ კომპრომისს ჩვენს ცოდვილსა და არასრულყოფილ დროში. როცა წიგნის ავტორი ბედავს და აცხადებს, რომ მის მიერ შემოთავაზებული ურყევი,

სტიქიური და მარადიული საფუძვლები (რომელთა ნაწილის შესახებაც ახლახან ისაუბრა მამა იოსიფმა) საფუძველთა საფუძვლის დედაარსიაო, ის უპირისპირდება ეკლესიას და მის წმინდა, მარადიულ და ურყევ დანიშნულებას. სულ ეს არის ჩემი სტატია, მისი სრული კონსპექტი.

- მაშასადამე, მოკლედ რომ ვთქვათ, - მამა პაისი ყველა სიტყვას გამოკვეთილად გამოთქვამდა, - მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელებული ზოგიერთი თეორიის მიხედვით, ეკლესია უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოდ, ასე ვთქვათ, დაბალი სახეობიდან გადავიდეს მაღალ სახეობაში, რომ შედგომ მასში გაითქვიფოს, ადგილი დაუთმოს მეცნიერებას, ეპოქის სულისკვეთებასა და ცივილიზაციას. თუკი ამას არ მოინდომებს და გაძალიანდება, მაშინ სახელმწიფოში მას გამოეყოფა რაღაც კუთხე, თანაც აუცილებლად მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, როგორც ეს ყველგან, თანამედროვე ევროპის ქვეყნებში არის ჩვენს დროში. რუსული გაგებით, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ არა ეკლესია გარდაიქმნეს სახელმწიფოდ, როგორც დაბალი ტიპი მაღალ ტიპად, არამედ პირიქით, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო გახდეს ეკლესიის მსგავსი. ესე ეგების, ეგების!

- გამოგიტყდებით, ცოტა იმედი მომეცა, - ჩაიცინა მიუსოვმა და კვლავ ფეხი ფეხზე გადაიდო, - რამდენადაც მესმის, ეს, ასე ვთქვათ, მეორედ მოსვლის შემდეგ მოსახდენი რაღაც უსასრულოდ შორეული იდეალის ხორცშესხმის ცდაა. როგორც გენებოთ. მშვენიერი უტოპიური ოცნებაა: აღარ იარსებებენ დიპლომატები, აღარ იქნება ომები, ბანკები და ა. შ. ეს რაღაც სოციალიზმის მსგავსი რამ არის. თორემ, მე მეგონა, ეს ყველაფერი სერიოზული ამბავია და აწი ეკლესია დაიწყებს სისხლის სამართლის დამნაშავეების გასამართლებას, მათ გაროზგვასა და კატორღაში გადასახლებას, შესაძლოა, სიკვდილით დასჯაც კი მიუსაჯოს-მეთქი.

- დიახ, ახლა მარტო საეკლესიო-საზოგადოებრივი სასამართლო რომ არსებობდეს, მაშინ აღარავის გააგზავნიდნენ კატორღაში და არც აღარავის დასჯიდნენ სიკვდილით. ცხადია, თანდათანობით, აუცილებლად დანაშაულზე შეხედულებაც შეიცვლებოდა... უცებ არა, მაგრამ საკმაოდ მალე... - მშვიდად და აუღელვებლად წარმოთქვა ივანმა.

- თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? - თვალმოუშორებლად უყურებდა მას მიუსოვი.

- თუკი ყოველივე ეკლესიის გამგებლობაში გადავიდოდა, მაშინ ეკლესია ყველა დამნაშავეს და ურჩს თავს კი არ მოჰკვეთდა, არამედ თავისგან მოიკვეთდა, - გააგრძელა ივან ფიოდოროვიჩმა. - მე თქვენ გეკითხებით: საით წავიდოდა ეკლესიისაგან გარიყული? ახლა ის არა მარტო ხალხისაგან უნდა ყოფილიყო შორს, არამედ ქრისტესგანაც. მან ხომ დანაშაული ჩაიდინა არამარტო ხალხის წინაშე, არამედ ქრისტეს ეკლესიის მიმართაც. ეს ახლა, ცხადია, ასე მკაცრად არ არის განცხადებული და თანამედროვე დამნაშავე სინდისს იმშვიდებს: „მოვიპარე, მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ხომ არ წავსულვარ, ქრისტეს მტერი ხომ არ ვარ?!“ - აი, ასე ეუბნება თანამედროვე დამნაშავე საკუთარ თავს. ხოლო მას შემდეგ, რაც ეკლესია დაიკავებს სახელმწიფოს ადგილს, მას გაუძნელდება ამის თქმა, თუკი იგი საერთოდ არ უარყოფს დედამიწის ყველა ეკლესიას: „ყველა ცდება, ყველამ გზას გადაუხვია, ყველა ეკლესია ცრუა, მხოლოდ მე, ერთადერთი, მკვლელი და ქურდი, ვარ სამართლიანი ქრისტიანული ეკლესია.“ ასეთი რამ საკუთარ თავს რომ უთხრას კაცმა, ძალიან ძნელია, ამისათვის საჭიროა,

არსებობდეს განსაკუთრებული პირობები და გარემოებანი, რომლებიც ცხოვრებაში იშვიათია ხოლმე. მეორე მხრივ, ავიღოთ დანაშაულის მიმართ ეკლესიის ახლანდელი დამოკიდებულება. ის ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ეკლესია საზოგადოების დასაცავად, ამ საზოგადოებისავე დასნეულებული წევრის წარმართულ მექანიკურ მოკვეთას კი არ უნდა უჭერდეს მხარს, არამედ უნდა ზრუნავდეს ბოროტმოქმედის კვლავ ადამიანად აღდგომისათვის, მისი სულის გადარჩენისათვის...

- ესე იგი, რა გამოდის? კვლავ ვერაფერი გავიგე, - შეაწყვეტინა მიუსოვმა, - ისევ რაღაც ოცნება, უფორმო და გაუგებარი. რას ნიშნავს მოკვეთა, რომელ მოკვეთაზეა ლაპარაკი? ვეჭვობ, რომ თქვენ თავს იქცევთ, ერთობით, ივან ფიოდოროვიჩ.

- მართლაც, ახლაც ხომ ყოველივე ასევეა, - უცებ ალაპარაკდა ბერი და ყველა მისკენ მიბრუნდა, - დღეს ქრისტეს ეკლესია რომ არ არსებობდეს, ბოროტმოქმედს დანაშაულის ჩასადენად ნამდვილად არაფერი შეაჩერებდა, მოსალოდნელი სასჯელიც კი, მხედველობაში მაქვს ნამდვილი სასჯელი (და არა მექანიკური, რაზედაც ახლახან აქ ითქვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გულს აღიზიანებს ხოლმე), ერთადერთი ნაღდი, დამაშინებელი და დამაშოშმინებელი სასჯელი, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავს საკუთარი სინდისის მიხედვით მიუსჯის ხოლმე.

- ეგ როგორ, იქნებ გამაგებინოთ? - ცოცხალი ინტერესით იკითხა მიუსოვმა.

- ეს, აი, ასეა, - დაიწყო ბერმა, - ამდენი გადასახლება, ცემა-ტყეპა არავის ასწორებს, ყველაზე მთავარი ის არის, არც აშინებს და ამით დანაშაულებათა რიცხვი კი არ მცირდება, გაცილებით იზრდება კიდეც. არ შეიძლება, ამაში არ დამეთანხმოთ. საზოგადოების მავნე წევრის მექანიკური მოშორების, ჩვენგან შორს გადასახლების შემდეგ მის ადგილს მაშინვე ახალი დამნაშავე იკავებს ხოლმე, შესაძლოა, ორიც კი. თუკი რამე იცავს ჩვენს საზოგადოებას დღეს, თუკი თავად დამნაშავეს რაიმე გამოასწორებს, ესაა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს კანონი, რომელიც თავს იჩენს საკუთარი სინდისის შეგნებაში. ქრისტეს საზოგადოების, ესე იგი, ეკლესიის შვილი თავისი დანაშაულის გაცნობიერებისთანავე აღიარებს დანაშაულს საზოგადოების, ეკლესიის წინაშე. ასე და ამგვარად, მხოლოდ ეკლესიის წინაშე შეუძლია თანამედროვე დამნაშავეს მოინანიოს თავისი დანაშაული, და არა სახელმწიფოს წინაშე. აი, სასამართლოც რომ ეკლესიასავით საზოგადოების ნაწილი იყოს, მაშინ ეცოდინება, ვინ დაიბრუნოს გარიყულებიდან, ვინ მიიღოს კვლავ თავის რიგებში. ახლა, როცა ეკლესიას არა აქვს არავითარი მოქმედი სასამართლო, მას მხოლოდ დამნაშავის ზნეობრივი გაკიცხვა ძალუძს, ის დამნაშავეს თავისგან არ გარიყავს, მამობრივი დარიგებების გარეშე არ ტოვებს. იგი ცდილობს, შეინარჩუნოს დამნაშავესთან ყველანაირი ქრისტიანული ურთიერთობა: ნებას რთავს, მოვიდეს წირვაზე, ეზიაროს, აძლევს გასაკითხს, ექცევა მას, როგორც ტყვეს და არა როგორც ბოროტმოქმედს. რა მოუვიდოდა დამნაშავეს, - ო, ღმერთო ჩემო! - თუკი ქრისტიანული საზოგადოება, ესე იგი ეკლესია, ისევე უარყოფდა მას, როგორც უარყოფს და თავიდან იცილებს სამოქალაქო კანონი? რა მოხდებოდა მაშინ, თუკი ეკლესიაც ზურგს შეაქცევდა დამნაშავეს და დატოვებდა მას სახელმწიფო კანონით მისჯილი სასჯელის პირისპირ? ამაზე დიდი სასოწარკვეთა რუსი დამნაშავისათვის არა იქნებოდა რა. რამეთუ რუსი დამნაშავეები ჯერ კიდევ

მორწმუნეები არიან. თუმცა, ვინ იცის!.. იქნებ, მაშინ მომხდარიყო საშინელი რამ - სასოწარკვეთილი დამნაშავის მიერ რწმენის დაკარგვა; მაშინ რა ვქნათ?! მაგრამ ეკლესია დედასავით ალერსიანი და მოყვარულია, ფიზიკურ სასჯელს არ იყენებს, რამეთუ მისი სასჯელის გარეშეც დამნაშავე სასტიკად არის დასჯილი სახელმწიფო სასამართლოს მიერ. ვინმემ ხომ უნდა შეიცოდოს დამნაშავე. ეკლესია ფიზიკურ სასჯელს იმიტომ არ იყენებს, რომ ეკლესიის სამართალი ერთადერთი სამართალია, რომელიც ჭეშმარიტებაზეა აგებული, ამიტომ მას არავითარ სასამართლოსთან, არც თავისი არსით, არც ზნეობრივად, გაერთიანება არ შეუძლია. ის კი არა და, კომპრომისიც დაუშვებლად მიაჩნია. აქ არავითარი გარიგება არ მოხდება. ამბობენ, უცხოელი დამნაშავეები იშვიათად მოინანიებენ ხოლმე დანაშაულსო, რადგან, როგორც ყველაზე თანამედროვე მეცნიერები ამტკიცებენ, მათი დანაშაული არ არის დანაშაული, ის არის ჯანყი უსამართლო, დამთრგუნველი ძალის წინააღმდეგ. საზოგადოება დამნაშავეს მექანიკური ძალმომრეობით იშორებს თავიდან და ამ დაშორიშორებას სიძულვილი ახლავს თან (ყოველ შემთხვევაში, ასე ჰყვებიან ევროპელები თავიანთ თავზე) - სიძულვილი და მოყვასის ბედის მიმართ სრული გულგრილობა, მივიწყება. ამგვარად, იქ, ყველაფერი ეს ქრისტიანული სიბრალულის გარეშე ხდება, რადგან ბევრგან ეკლესია საერთოდ აღარ არსებობს, დარჩნენ მხოლოდ ეკლესიის მსახურები და ეკლესიის უბრწყინვალესი შენობები, თავად ეკლესია უკვე დიდი ხანია, ცდილობს, გადავიდეს დაბალი სახეობიდან - ეკლესიიდან, მაღალ სახეობაზე - სახელმწიფოზე, რომ მასში სრულიად აითქვიფოს. ყოველ შემთხვევაში, მგონი, ლუთერანულ ქვეყნებში ასეა. ათასი წელი მაინც იქნება, რაც რომში ეკლესიის მაგივრად გამოცხადებულია სახელმწიფო. ამიტომაც თავად დამნაშავე პირი ეკლესიის წევრად აღარ თვლის თავს და მისგან გარიყული სასოწარკვეთილებაში ვარდება. თუკი ოდესმე დამნაშავე საზოგადოებას უკან დაუბრუნდება, ხშირად ისეთი სიძულვილითაა გამსჭვალული მისდამი, რომ თავად საზოგადოება ზურგს შეაქცევს მას. რით დამთავრდება ყოველივე ეს, თქვენ თავად შეგიძლიათ განსაჯოთ. თითქოს, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენთანაც ასეა; მაგრამ ჩვენთან, დაწესებული სასამართლოს გარდა, ეკლესიაც არის, რომელიც არასოდეს წყვეტს კავშირს დამნაშავესთან, როგორც თავის საყვარელ და ჯერ კიდევ ძვირფას შვილთან. უფრო მეტიც, არის და შენარჩუნებულია ადამიანის შეგნებაში საეკლესიო სასამართლო, თუმცა ამჟამად უმოქმედო, მაგრამ ადამიანის ფიქრებში სამომავლოდ არსებული, მართალია, ოცნებაში, მაგრამ აუცილებლად დამნაშავის მიერ ინსტინქტურად აღიარებული. ისიც მართებულია, რაც აქ ითქვა: თუკი მართლა შეიქმნება საეკლესიო სასამართლო, მთელი თავისი სიძლიერით, ესე იგი, მთელი საზოგადოება მხოლოდ ეკლესიის სასამართლოს მიმართავს, მაშინ არათუ საეკლესიო სასამართლო მოახდენს გავლენას დამნაშავეობათა შემცირებაზე, არამედ შესაძლოა თავად დამნაშავეთა რიცხვიც საგრძნობლად შემცირდეს. ისიც უეჭველია, რომ ეკლესია ბევრ შემთხვევაში მომავალ დამნაშავეს და მომავალ დანაშაულებებს სხვანაირად აღიქვამდა და შეძლებდა მოკვეთილის უკან დაბრუნებას, ბოროტგანმზრახველის შეკავებას და დაცემულის ფეხზე დაყენებას. მართალია, - გაეცინა ბერს, - ახლა ქრისტიანული საზოგადოება თავისთავად მზად არ არის და ემყარება მხოლოდ შვიდ წმინდანს; და რადგან ისინი ჯერ კიდევ არ დაკნინებულან, ეკლესია ფეხზე მყარად დგას და ელოდება ჯერ კიდევ თითქმის წარმართული კავშირების მქონე

თავისი საზოგადოების გარდაქმნას ერთიან მსოფლიო და გაბატონებულ ეკლესიად. ესე ეგების, ეგების, ამ საუკუნის დასასრულს მაინც, რამეთუ მხოლოდ მას უწერია აღსრულება! და ნუ გაცდუნებს დრო-ჟამი და ვადა, რამეთუ დროისა და ვადის საიდუმლო ღმერთის სიბრძნეში, მის წინასწარმეტყველებასა და სიყვარულშია. ის, რაც ადამიანის ვარაუდით ჯერ კიდევ ძალზე შორსაა, ღმერთის ნებით, შესაძლოა, კარზეა მომდგარი. ეს უკანასკნელი ეგების, ეგების!
- ეგების! ეგების! - დინჯად და მოწიწებით დაემოწმა მამა პაისი.
- საოცარია, ძალზე საოცარი! - გაცხარებით კი არა, რაღაც ფარული უკმაყოფილებით წარმოთქვა მიუსოვმა.
- რა გეჩვენებათ საოცრად? - ფრთხილად ჰკითხა მამა იოსიფმა.
- რა არის ეს, ბოლოს და ბოლოს? - უცებ ისე წამოიყვირა მიუსოვმა, თითქოს რაღაცამ ამოხეთქაო, - დედამიწაზე უქმდება სახელმწიფო და მის რანგში ეკლესია აგყავთ! ეს ულტრამონტანტობა კი არა, არქიულტრამონტანტობაა! ეს პაპ გრიგორი მეშვიდესაც არ მოსვლია აზრად!
- გთხოვთ, სრულიად საპირისპიროდ გაგვიგოთ! - მკაცრად თქვა მამა პაისიმ, - ეკლესია კი არ გარდაიქმნება სახელმწიფოდ, ეს კარგად გაიგეთ! ის რომი იყო და მისი ოცნება! ის გახლდათ მესამე ეშმაკისეული ცდუნება! არამედ, პირიქით, მთელ დედამიწაზე სახელმწიფო გარდაიქმნება ეკლესიად, ამაღლდება ეკლესიამდე, - ეს კი ულტრამონტანტობის, რომისა და თქვენი განმარტების საპირისპიროა და წარმოადგენს მართლმადიდებლობის ყველაზე დიდ დანიშნულებას ამქვეყნად. და ესე ვარსკვლავი აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება.
მიუსოვი გაბღენძილი დუმდა. მთელი მისი ფიგურა საკუთარი არაჩვეულებრივი ღირსების მიმართ დიდ პატივისცემას გამოხატავდა. სახეზე ქედმაღლური ღიმილი აესახა. ალიოშა ყველაფერს გულაჩქროლებული ადევნებდა თვალყურს. ამ საუბარმა იგი საფუძვლიანად ააფორიაქა. შემთხვევით შეხედა რაკიტინს; ის ისევ კართან იდგა გაუნძრევლად და ყოველივეს ყურადღებით ისმენდა და ხედავდა, თუმცა თვალებით მიწას ჩაშტერებოდა. მისი შეფაკლული ლოყები მეტყველებდნენ, რომ ისიც ღელავდა, თანაც ალიოშაზე არანაკლებ; ალიოშამ კი იცოდა, რაც აღელვებდა მას.
- ბატონებო, ნება მიბოძეთ, ერთ ანეკდოტს მოვყვე, - დამაჯერებლად და მედიდურად ჩაილაპარაკა მიუსოვმა, - პარიზში ამ რამდენიმე წლის წინათ, დეკემბრის გადატრიალების შემდეგ, ერთ-ერთ ჩემს ნაცნობთან, იმ დროს საკმაოდ გავლენიან და სახელმწიფო მმართველობაში მოღვაწე პირთან ვიზიტის დროს გავიცანი ერთი საკმაოდ საინტერესო ბატონი. ეს ინდივიდუუმი გახლდათ მაძებარი, თუ პოლიტიკური მაძებრების მთელი რაზმის მმართველი, - თავისთავად საკმაოდ გავლენიანი თანამდებობის პირი. ვითომ შემთხვევით, ჩემი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობის გამო, გამოველაპარაკე. ის სტუმრად არ იყო მიწვეული, მასპინძლის ქვეშემდგომი გახლდათ და იქ პატაკის მოსახსენებლად მობრძანდა. როცა იხილა, როგორ მიმიღო მისმა უფროსმა, ჩემთან გულახდილობა გამოიჩინა, რასაკვირველია, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, უფრო სწორად, ის თავაზიანი გახდა, ვიდრე გულახდილი, ისე როგორც ფრანგებს სჩვევიათ ხოლმე, მით უმეტეს, მე უცხოელი ვიყავი. მაგრამ კარგად გავუგე. ჩვენი საუბარი სოციალისტ-რევოლუციონერებს შეეხებოდა, რომლებიც მაშინ დევნას განიცდიდნენ. საუბრის მთავარ არსს გამოვტოვებ,

მხოლოდ ერთ საინტერესო შენიშვნას გავიხსენებ, რომელიც ამ ბატონს წამოსცდა: „ჩვენ, - თქვა მან, - ამ ათასი ჯურის სოციალისტ-ანარქისტების, უღმერთოებისა და რევოლუციონერების არც ისე გვეშინია; ყველას თვალყურს ვადევნებთ და მათი ყოველი ნაბიჯი ჩვენთვის ცნობილია. მაგრამ მათ შორის არის, თუმცა ცოტა, რამდენადმე განსაკუთრებული ადამიანი: ესენი არიან ღვთისმორწმუნე ქრისტიანები, და იმავდროულად, სოციალისტები. ყველაზე მეტად მათი გვეშინია, ეს საშინელი ხალხია! ქრისტიან-სოციალისტი უღმერთო სოციალისტზე საშინელია.“ ამ სიტყვებმა მაშინ შემძრა, ახლა კი თქვენთან, ბატონებო, მოულოდნელად გამახსენდა...
- ესე იგი, ჩვენ გვადარებთ მათ და სოციალისტობას გვწამებთ? - პირდაპირ, წყენის გარეშე ჰკითხა მამა პაისიმ. მაგრამ სანამ მიუსოვი პასუხს მოიფიქრებდა, კარი გაიღო და შემოვიდა დმიტრი. მას უკვე მართლა აღარავინ ელოდა და მისმა უეცარმა შემოსვლამ გაკვირვებაც კი გამოიწვია.

VI რატომ ცოცხლობს ასეთი ადამიანი!

დმიტრი ფიოდოროვიჩი, საშუალო სიმაღლის და სასიამოვნო გარეგნობის ოცდარვა წლის კაცი, თავის ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. მისი დაკუნთული ტანი იმას მეტყველებდა, რომ საკმაო ჯანის პატრონი გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამომეტყველება რაღაცნაირად ავადმყოფური ჰქონდა. გამხდარ პირისახეზე ლოყები ჩასცვენოდა და არაჯანსაღი ყვითელი ფერი გადაჰკრავდა, მუქი, საკმაოდ დიდი, ჯიუტი და უაზრო თვალები კი გადმოკარკლოდა. მაშინაც კი, როცა ღელავდა და გაღიზიანებული ლაპარაკობდა, მისი გამოხედვა თითქოს არ ემორჩილებოდა მის შინაგან განწყობას და რაღაც სხვა რამეს გამოხატავდა, რომელიც სულ არ შეეფერებოდა სიტუაციას. „კაცი ვერ გაიგებს, რა აქვს გუნებაში“, - ამბობდნენ ხოლმე მასზე მისი თანამოსაუბრეები. ზოგიერთი, მისი ფიქრიანი და დაბოღმილი თვალების შემყურე, გაოცებას ვერ მალავდა, როცა მის მოულოდნელ, მხიარულ და ლაღი განწყობილების დამადასტურებელ სიცილს გაიგონებდა ხოლმე. ისე კი, მისი სახის ამჟამინდელი არაჯანსაღი გამომეტყველება გასაგები იყო: ყველამ იცოდა ან გაეგონა მისი აფორიაქებული და „ლოთიშფოთური“ ცხოვრება, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქალაქში ეწეოდა. ასევე ყველამ კარგად უწყოდა მისი უჩვეულო აბობოქრებათა ამბები, მამასთან სადავო ფულის გამო ჩხუბის დროს რომ მოსდიოდა. ამის შესახებ ქალაქში უკვე რამდენიმე ანეკდოტიც დადიოდა. დაბადებიდან ნერვული კაცი იყო, „იმპულსური და მოუწესრიგებელი ჭკუის“ პატრონი, როგორც ხატოვნად უწოდა ერთ-ერთი თავშეყრის დროს ჩვენმა მომრიგებელმა მოსამართლემ, სემიონ ივანოვიჩ კაჩალნიკოვმა. უზადოდ და პეწიანად ეცვა: ბოლომდე შეკრული ქურთუკი, შავი ხელთათმანები და ხელში ცილინდრი. როგორც გადამდგარი სამხედრო, ულვაშებს ატარებდა და მხოლოდ წვერს იპარსავდა. მოკლედ შეკრეჭილი, მუქი ქერა თმა საფეთქლებზე გადმოევარცხნა. გრძელ-გრძელი, ენერგიული, სამწყობრო ნაბიჯებით დადიოდა. იგი ერთხანს ზღურბლთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და პირდაპირ ბერისაკენ გაემართა, მიხვდა, რომ მასპინძელი ის იყო. მდაბლად დაუკრა თავი და კურთხევა

სთხოვა. ბერი წამოდგა და დალოცა. დმიტრი მოწიწებით ეამბორა ხელზე და არაჩვეულებრივი მღელვარებით, თითქმის გაღიზიანებულმა წარმოთქვა:
- მაპატიეთ, ამდენ ხანს რომ გალოდინეთ. მაგრამ მამაჩემისგან გამოგზავნილმა მსახურმა, სმერდიაკოვმა, ჩემს კითხვაზე, როდის იყო დანიშნული შეხვედრა, დაბეჯითებით მიპასუხა - პირველ საათზეო. ახლა უცებ შევიტყვე...
- ნუ წუხხართ, - შეაწყვეტინა ბერმა, - ცოტა დაგაგვიანდათ, არა უშავს...
- დიდ მადლობას მოგახსენებთ, სხვას არც ველოდი თქვენნაირი კეთილი ადამიანისაგან, - მოკლედ მოჭრა დმიტრიმ და ერთხელ კიდევ მდაბლად დაუკრა თავი, შემდეგ უცებ მობრუნდა თავისი „მამისაკენ“ და იმასაც მოწიწებით მიესალმა. ეტყობოდა, წინასწარ მოფიქრებული ჰქონდა ეს ჟესტი, მაგრამ გულახდილი იყო, რადგან თავს მოვალედ თვლიდა, ამით გამოემჟღავნებინა თავისი პატივისცემა და კეთილი ზრახვანი. ფიოდორ პავლოვიჩი შვილის მისალმებამ შეაცბუნა, მაგრამ მაშინვე თავისებურად გამოვიდა მდგომარეობიდან, სავარძლიდან წამოხტა და თავადაც თავის მდაბლად დაკვრით უპასუხა შვილს. სახე უცებ მედიდური, ზვიადი და ბოროტებით აღსავსე გაუხდა. მერე დმიტრი ხმაამოუღებლად, საერთო თავისდაკვრით მიესალმა დანარჩენებს და დიდი და ენერგიული ნაბიჯებით გაემართა ფანჯარასთან მდგარი ერთადერთი თავისუფალი სკამისკენ, მამა პაისის გვერდით ჩამოჯდა და მოემზადა მისი გამოისობით შეწყვეტილი საუბრის მოსასმენად.
დმიტრის შემოსვლის ცერემონიას ორ წუთზე მეტი არც დასჭირვებია, დაწყებული საუბარი კი არ შეიძლებოდა, არ გაგრძელებულიყო. ამჯერად მამა პაისის დაჟინებული და თითქმის გამაღიზიანებელი კითხვის შემდეგ პიოტრ ალექსანდროვიჩმა არ ჩათვალა საჭიროდ, მისთვის ეპასუხა.
- ნება მიბოძეთ, ამ თემას გადავუხვიო, - წარმოთქვა მან არისტოკრატიული დაუდევრობით, - მითუმეტეს, ეს თავსამტვრევი თემაა. ხედავთ, ივან ფიოდოროვიჩი დაგვცინის: ალბათ, მას აქვს რაიმე საინტერესო ამ შემთხვევისათვის. აი, მას ჰკითხეთ.
- არაფერი განსაკუთრებული, გარდა უმნიშვნელო შენიშვნისა, - უმალ უპასუხა ივანმა, - მე მინდოდა მეთქვა, რომ ევროპული ლიბერალიზმი და რუსული ლიბერალური დილეტანტიზმიც დიდი ხანია ხშირად ურევს სოციალიზმის საბოლოო შედეგებს ქრისტიანულთან. ეს უცნაური დასკვნაც ამის დამადასტურებელია. ისე კი სოციალიზმს ქრისტიანობაში ხშირად ურევენ არათუ ლიბერალები და დილეტანტები, არამედ, როგორც აღმოჩნდა, საზღვარგარეთელი ჟანდარმებიც. თქვენი პარიზული ანეკდოტი სწორედ ამაზე მიუთითებს, პიოტრ ალექსანდროვიჩ.
- საერთოდ ამ თემას, გთხოვთ, ნუღარ გავაგრძელებთ, - გაიმეორა პიოტრ ალექსანდროვიჩმა, - სანაცვლოდ, ბატონებო, სხვა ანეკდოტს მოგიყვებით, ამჯერად ივან ფიოდოროვიჩზე, საინტერესოსა და დამახასიათებელს. ამ ხუთიოდე დღის წინ, ერთ-ერთ აქაურ, ძირითადად, ქალების საზოგადოებაში, მან მორიგი დისკუსიის დროს განაცხადა, რომ მთელ ქვეყანაზე ისეთი არაფერია, რაც აიძულებდა ადამიანს, უყვარდეს ადამიანი, რომ ბუნების კანონი: ადამიანს უყვარდეს კაცობრიობა, საერთოდ არ არსებობს; და თუ არის ან ოდესმე არსებობდა სიყვარული ამქვეყნად, ეს ბუნების კანონის მიხედვით კი არ იყო, არამედ, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს საკუთარი თავის უკვდავების სწამდა. იქვე ივან ფიოდოროვიჩმა დაუმატა, რომ სწორედ ეს არის ბუნების კანონი.

გაანადგურეთ ადამიანში რწმენა საკუთარი თავის უკვდავებისა და იმწამსვე გაქრება მასში არათუ სიყვარული, არამედ ყოველგვარი ცხოველი ძალა ამქვეყნად სიცოცხლის გასაგრძელებლად. გარდა ამისა, მაშინ აღარაფერი ჩაითვლება უზნეობად. ყველაფერი ნებადართული იქნება, კაციჭამიობაც კი. ეს კიდევ რა არის, მან თავის მსჯელობა იმის მტკიცებით დაამთავრა, რომ ყოველი კერძო პირისათვის, ისეთებისათვის, როგორებიც ჩვენ ვართ, ვისაც აღარც ღმერთი გვწამს და აღარც უკვდავება, უნდა სასწრაფოდ შეიცვალოს ბუნების ზნეობრივი კანონი ადრინდელი რელიგიური კანონის სრულიად საპირისპიროდ, რომ ბოროტმოქმედებამდე მისული ეგოიზმის უფლება არა მარტო უნდა მიეცეს ადამიანს, არამედ აუცილებლობადაც უნდა ჩაითვალოს, როგორც ადამიანის არსებული მდგომარეობიდან ყველაზე გონივრული და ლამის ყველაზე კეთილშობილური გამოსავალი. ასეთი პარადოქსით შეგიძლიათ დაასკვნათ, ბატონებო, მომავალში კიდევ რამდენი ამნაირი მტკიცების გამოცხადებას აპირებს ჩვენი ძვირფასი პარადოქსალისტი და ექსცენტრიკოსი ივან ფიოდოროვიჩი.

- უკაცრავად, - მოულოდნელად წამოიყვირა დმიტრიმ, - ხომ არაფერი მეშლება: „ყველა უღმერთო ადამიანისათვის ბოროტმოქმედება არა თუ ნებადართული უნდა იყოს, არამედ გამოცხადდეს ყველაზე აუცილებელ და ყველაზე გონივრულ გამოსავლადო.“ ასეა თუ არა?

- ზუსტად ასე, - თქვა მამა პაისიმ.

- დავიმახსოვრებ.

თქვა დმიტრიმ და ისევე მოულოდნელად დადუმდა, როგორც მოულოდნელად ჩაერთო ლაპარაკში. ყველამ ინტერესით გადახედა მას.

- ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის მიერ სულის უკვდავების რწმენის დაკარგვას? - უცებ ჰკითხა ბერმა ივანს.

- დიახ, მე ამას ვამტკიცებდი. არ არსებობს ზნეობრიობა, თუ არ არსებობს უკვდავება.

- ნეტარი ბრძანდებით, თუ ასე გწამთ, ან უკვე ძალიან უბედური!

- რატომ უბედური? - გაიღიმა ივანმა.

- იმიტომ რომ, თქვენ აღარც თქვენი სულის უკვდავება გწამთ და აღარც ის, რაც დაწერეთ ეკლესიასა და საეკლესიო საკითხის შესახებ.

- შესაძლოა, მართალი ბრძანდებით!.. და მაინც, მე სულაც არ ვხუმრობდი, - უცებ უცნაურად აღიარა ივანმა და გაწითლდა.

- ჭეშმარიტად არ ხუმრობდით. ეს იდეა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი თქვენს გულში და ის გაწუხებთ. მაგრამ ზოგჯერ სასოწარკვეთისაგან ტანჯულსაც უყვარს საკუთარი სასოწარკვეთით გართობა. ჯერჯერობით სასოწარკვეთის შედეგია საჟურნალო სტატიებით და მაღალ საზოგადოებაში სჯა-ბაასით რომ იქცევთ თავს. ისე რომ, თავად არ გწამთ თქვენი დიალექტიკა და გულისტკივილით დასცინით ამას... ეს საკითხი ჯერ თქვენთვის გადაწყვეტილი არ არის და ეს არის თქვენი მთავარი უბედურება, რამეთუ იგი დაჟინებით მოითხოვს გადაწყვეტას...

- იქნებ ის ჩემთვის უკვე გადაწყვეტილია? და გადაწყვეტილია დადებითად? - გააგრძელა უცნაური კითხვები ივანმა, თან რაღაცნაირი გაურკვეველი ღიმილით შესცქეროდა ბერს.

- თუ იგი არ გადაწყდება დადებითად, არასოდეს გადაწყდება უარყოფითადაც,

თავად კარგად მოგეხსენებათ თქვენი გულის ბუნება; სწორედ ამით გამოიხატება მისი ტანჯვა-წამება. მადლობა მოახსენეთ შემოქმედს, დიდი გული რომ მოგცათ, რომელსაც შეუძლია ამდენი ტანჯვის ატანა, „ზეცისას ზრახვიდეთ და ზეცისასა ეძიებდით, ჩვენი მოქალაქეობაი ცათა შინა არს“.[23] ღმერთმა ინებოს, თქვენი გულის გადაწყვეტილება აქ, მიწაზე, აღსრულდეს, ღმერთმა აკურთხოს თქვენი გზები!
ბერმა ხელი ამართა, უნდოდა, ადგილიდან ჯვარი გადაესახა, მაგრამ ივანი უცებ წამოხტა, ბერს ეახლა, მიიღო კურთხევა და ხელზე ეამბორა. შემდეგ ჩუმად უკან, თავის ადგილზე დაბრუნდა. მას სახეზე ურყევი და სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. ივანის ამ საქციელმა და ბერთან მისმა საუბარმა ყველა გააოცა, რადგან იგი ყველასათვის მოულოდნელი იყო თავისი იდუმალებითა და ამაღლებულობით. წუთიერად ყველა დადუმდა, ალიოშას სახეზე კი შიში აღებეჭდა. მიუსოვმა მხრები აიჩეჩა. ამ დროს ფიოდორ პავლოვიჩი სკამიდან წამოხტა.
- ღვთაებრივო და უწმინდესო ბერო! - იყვირა მან, თან ივანზე მიუთითებდა, - ეს ჩემი შვილია, ხორცი ხორცთაგანი, უსაყვარლესი ღვიძლი შვილი! ესაა ჩემი ღირსეული, ასე ვთქვათ, კარლ მოორი. ახლახან შემოსული შვილი, დმიტრი ფიოდოროვიჩი, რომლის გამო თქვენთან ახლა სამართალს ვეძებ, უღირსი ფრანც მოორია, - ორთავე შილერის „ყაჩაღებიდან“, მე კი, მე ამ შემთხვევაში ვარ Regierender Graf von Moor![24] განგვსაჯეთ და გადაარჩინეთ ჩვენი სულები! ჩვენ არა მარტო თქვენი ლოცვა-კურთხევა გვწყურია, თქვენი წინასწარმეტყველებაც გვჭირდება.
- ილაპარაკეთ მანჭვა-გრეხის გარეშე და თქვენს ახლობლებს შეურაცხყოფას ნუ აყენებთ, - უპასუხა ბერმა სუსტი და გადაღლილი ხმით. გადაღლილი ჩანდა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო შესამჩნევად დასუსტდა.
- რა უმსგავსო კომედიაა, აქეთ როცა მოვდიოდი, ვგრძნობდი, ასე რომ იქნებოდა!
- წამოიძახა დმიტრიმ და აღელვებული წამოხტა, - მაპატიეთ, წმინდა მამაო, - მიმართა მან ბერს, - მე ერთი გაუნათლებელი კაცი ვარ, ისიც არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, თქვენ მოგატყუეს, თქვენ კი გამოიჩინეთ სიკეთე და ნება დაგვრთეთ, აქ გწვეოდით. მამაჩემს მხოლოდ სკანდალი უნდა, რისთვის - ეს მისი ანგარიშია. მას ყველაფერში თავისი ანგარიში აქვს. მე მგონი, ახლა ვხდები, რისთვისაც...
- ყველა მე მადანაშაულებს, ყველა! - ყვიროდა თავისთვის ფიოდორ პავლოვიჩი, - აი, პიოტრ ალექსანდროვიჩიც მე მადანაშაულებს. ხომ მადანაშაულებდით, პიოტრ ალექსანდროვიჩ, მადანაშაულებდით! - მიუბრუნდა უცებ მიუსოვს, თუმცა იგი სულაც არ ცდილობდა, მისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინა. - მადანაშაულებენ იმაში, თითქოს ბავშვების ფული მუთაქაში გადავმალე. რაც მივიღე, ის გავეცი, სარგებლის გარეშე; მაგრამ მაპატიეთ, განა სასამართლო არ არსებობს? სასამართლო, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ყველაფერს გამოგითვლით. თქვენი ხელწერილების, წერილებისა და ხელშეკრულებების მიხედვით, რამდენი გქონდათ, რამდენი დახარჯეთ და რამდენი დაგრჩათ! რატომ არიდებს პიოტრ ალექსანდროვიჩი თავისი აზრის გამოთქმას თავს? დმიტრი ფიოდოროვიჩი მისთვის შორეული ხომ არ არის. იმიტომ რომ, ყველაფერში მე მადანაშაულებს. ამ დროს, დმიტრი ფიოდოროვიჩი ჩემი მოვალეა, რაღაც მცირედი კი არ მართებს, რამდენიმე ათასი იქნება - მე ყველაფრის დოკუმენტი მაქვს! მთელი ქალაქი

შეწუხებულია მაგის უთავბოლო ქეიფით გამოწვეული აყალმაყალით და აურზაურით. იქ კი, სადაც ადრე მსახურობდა, ათას-ათასს, ხანდახან ორი ათასსაც ხარჯავდა პატიოსანი ქალიშვილების შესაცდენად. ეს ყოველივე ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, დმიტრი ფიოდოროვიჩ, დაწვრილებით, და მე ამას დავამტკიცებ, ბატონებო... წმინდა მამაო, წარმოგიდგენიათ: ამ ვაჟბატონმა თავი შეაყვარა ერთ-ერთ უკეთილშობილეს ქალიშვილს, კარგი და შეძლებული ოჯახის შვილს, თავისი ყოფილი უფროსის, გულადი და დამსახურებული პოლკოვნიკის, წმინდა ანას ორდენის კავალერის ასულს, მას ხელი სთხოვა და სახელი გაუტეხა. ქალი აქ არის, ახლა ამის საცოლე ობოლია, ეს კი აქვე, აშკარად, მის თვალწინ გადაეკიდა ერთ-ერთ აქაურ მაცდურ დიაცს. თუმცა ეს ქალბატონი სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება ერთ პატივსაცემ პირთან, მაგრამ როგორც კანონიერი ცოლი ისეა, თავისი დამოუკიდებელი, ყველასათვის შეუვალი და სათნო ხასიათის გამო, - დიახ, ბატონებო! წმინდა მამებო, სათნო ადამიანია! დმიტრი ფიოდოროვიჩს კი სურს, მისი შეუვალობა ოქროს გასაღებით გააღოს, ამისათვის მექცევა ასე თავხედურად, უნდა ფული წამღლიტოს, ათასობით მიახარჯა უკვე ამ ქალბატონს; მისთვის იღებს გაუთავებელ ვალებს და, სხვათა შორის, იცით ვისგან, როგორ გგონიათ? ვთქვა, თუ არა, მიტია?
- ხმა ჩაიწყვიტე! - დაიყვირა დმიტრი ფიოდოროვიჩმა, - მოიცადეთ, სანამ მე გავალ, ჩემი თანდასწრებით არ გაბედოთ კეთილშობილი ქალის ლანძღვა. მარტო ის, რომ თქვენ მისი სახელი ახსენეთ, სამარცხვინოა მისთვის... ნებას არ მოგცემ!
მიტიას სუნთქვა ეკვროდა.
- მიტია! მიტია! - დაიყვირა ნერვებაშლილმა და აცრემლებულმა ფიოდორ პავლოვიჩმა, - აბა, მშობლის ლოცვა-კურთხევა რიღასათვისაა საჭირო? შეგაჩვენებ, მაშინ რაღა გეშველება?
- ურცხვი თვალთმაქცი! - დაიღრიალა გაშმაგებულმა დმიტრიმ.
- ამას მამაზე ამბობს, საკუთარ მამაზე! სხვაზე რას იტყვის? ბატონებო, წარმოგიდგენიათ: ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ერთი საწყალი, მაგრამ პატივსაცემი ადამიანი, გადამდგარი კაპიტანი, რაღაც უბედურება შეემთხვა და სამსახური დატოვა, მაგრამ საქმე არ გახმაურებულა, არც სასამართლო შემდგარა, ყველანაირი პატივი შეინარჩუნა. მრავალშვილიანი ოჯახის პატრონია. ამ სამი კვირის წინ დმიტრი ფიოდოროვიჩმა იგი ტრაქტირში წვერებით ათრია, ქუჩაში გამოაგდო და საქვეყნოდ გალახა. ეს იმიტომ, რომ იგი გახლავთ ჩემი ფარული რწმუნებული ერთ საქმეში.
- ყველაფერი სიცრუეა! გარეგნულად თითქოს სიმართლეა, შინაგანად კი სიცრუე!
- სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა მიტიას. - მამილო! მე ჩემს საქციელს არ ვამართლებ; დიახ, საქვეყნოდ ვაღიარებ: მხეცივით მოვექეცი იმ კაპიტანს, ახლა ძალიან ვნანობ და მრცხვენია ჩემი თავშეუკავებელი მრისხანებისა. მაგრამ სწორედ ის კაპიტანი, თქვენი რწმუნებული, თქვენ არ გაგზავნეთ იმ მაცდურ ქალბატონთან (როგორც თქვენ უწოდეთ). კაპიტანმა იმ ქალბატონს თქვენი სახელით შესთავაზა ჩემი თამასუქები და სთხოვა, სასამართლოში ეჩივლა ჩემთვის, ციხეში რომ ჩავესვი, თუკი მე კვლავ გავაგრძელებდი თქვენთან ქონებრივ დავას. თქვენ ახლა მსაყვედურობთ, რომ მე ამ ქალბატონის მიმართ გულგრილი არა ვარ, ამ დროს თქვენ თავად ასწავლიდით იმ ქალბატონს, როგორ მოვეხიბლე! მან ყველაფერი ეს გულახდილად მიამბო, სიტყვასიტყვით, თან დაგცინოდათ! ჩემი ციხეში ჩასმა კი იმიტომ გინდათ, რომ ეჭვიანობთ. ახლა იმ

ქალს თავად აბეზრებთ თავს თქვენი სიყვარულით, ესეცაა ჩემთვის ცნობილი, ყველაფერი მისგან ვიცი. ის თქვენ დაგცინოდათ, გესმით, სიცილ-ხარხარით ყვებოდა ყოველივე ამას. აი, როგორია, წმინდა მამებო, ეს კაცი, თავის გარყვნილ შვილს რომ საყვედურობს! დამსწრე საზოგადოებავ, მაპატიეთ ეს განრისხება, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ ვერაგმა ბებერმა აქ იმიტომ შეგყარათ, რათა სკანდალი მოეწყო. მე კი აქ მოვდიოდი, რომ მეპატიებინა. მას რომ ჩემთვის ხელი გამოეწოდებინა, ვაპატიებდი და პატიებას ვთხოვდი! მაგრამ სულ ახლახან მან არათუ მე მომაყენა შეურაცხყოფა, არამედ უკეთილშობილეს ქალსაც, რომლის სახელის თქმაც მიჭირს, მისდამი ღრმა მოწიწების გამო. ამიტომაც სახალხოდ ავხადე ფარდა მის თამაშს, თუმცა იგი მამაა ჩემი!...
დმიტრის მეტის გაგრძელება აღარ შეეძლო. თვალები აუცრემლდა, სუნთქვა უჭირდა. სენაკში ყველა აღელდა. ყველა შეშფოთდა და ფეხზე წამოდგა, გარდა ბერისა. მღვდელ-მონაზვნები პირქუშად იდგნენ და ბერის გადაწყვეტილებას უცდიდნენ. ბერი თითქმის სულ მთლად ფერწასული იჯდა, მაგრამ აღელვებისგან კი არა, სისუსტისაგან. მის ბაგესთან მავედრებელმა ღიმილმა გაიელვა; იგი იშვიათად სწევდა მაღლა ხელს, რომ მოპაექრეები შეეჩერებინა, თუმცა ერთი ჟესტიც საკმარისი იყო, რომ ეს სცენა დამთავრებულიყო; მაგრამ თავად თითქოს რაღაცას ელოდა, რაღაცას უკვირდებოდა, თითქოს კიდევ რაღაცაში სურდა გარკვევა. ბოლოს და ბოლოს, მიუსოვმა თავი საბოლოოდ იგრძნო დამცირებულად და შერცხვენილად.
- აქ მომხდარი სკანდალის გამო ყველა დამნაშავე ვართ! - ცხარედ თქვა მან, - თუმცა აქეთ როცა მოვდიოდი, კარგად ვგრძნობდი, ვისთან მქონდა საქმე, მაგრამ სიტუაცია თუ ასე განვითარდებოდა, არ მეგონა... ამას ახლავე უნდა მოეღოს ბოლო! თქვენო მაღალღირსებავ, დამიჯერეთ, დღეს აქ მოსმენილი ამბების ყველა წვრილმანი ზუსტად არ ვიცოდი, არც მინდოდა დამეჯერებინა, მხოლოდ ახლა გავიგე პირველად... მამა ეჭვიანობს შვილზე და ცუდი ყოფაქცევის ქალზე, თანაც თავად კი ამ საძაგელ ქალთან პირსა კრავს, რომ შვილი ციხეში ჩასვას... ასეთმა კომპანიამ მაიძულა თქვენთან მოსვლა... მომატყუეს, ამას საჯაროდ ვაცხადებ, მე სხვებზე არანაკლებ მოტყუებული ვარ...
- დმიტრი ფიოდოროვიჩ! - უცებ არაბუნებრივი ხმით დაიღრიალა ფიოდორ პავლოვიჩმა, - თქვენ რომ ჩემი შვილი არ იყოთ, ახლავე დუელში გამოგიწვევდით, პისტოლეტებით, სამი მეტრის მანძილზე... თვალახვეული! თვალახვეული! - ყვიროდა იგი და თან ფეხებს აბაკუნებდა.
ბებერი ცრუპენტელები სიცოცხლის განმავლობაში მუდამ ვიღაცას თამაშობენ. მათ ცხოვრებაში აქვთ წუთები, როცა როლებში ისე შეიჭრებიან ხოლმე, რომ მართლა აუტყდებათ სიბრაზისაგან კანკალი და ტირილი, მიუხედავად იმისა, რომ მეორე წუთში შეუძლიათ თავიანთ თავს უთხრან: „შენ ხომ ტყუი, უტიფარო ბებერო, შენ ხომ მსახიობობ, მიუხედავად შენი „ნაღდი“ რისხვისა.“
მიტია საშინლად მოიღუშა და ენით უთქმელი ზიზღით გადახედა მამას.
- მე ვფიქრობდი... მე მეგონა, - რაღაცნაირად წყნარად და თავშეკავებულად თქვა მან, - დავბრუნდები ჩემს სამშობლოში, ჩემს ანგელოზთან, ჩემს საცოლესთან ერთად და მოვეფერები ჩემს მოხუც მამას-მეთქი, დამხვდა ვინ - გარყვნილი ავხორცი და ზნედაცემული კომედიანტი!
- დუელი! - კვლავ დაიღრიალა ბებრუცუნამ. სული ეკვროდა და ყოველ სიტყვაზე დორბლებს ყრიდა. - თქვენ კი, პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვ, კარგად

დაიმახსოვრეთ ეს, შესაძლოა, მთელ თქვენს მოდგმაში არ არის და არც ყოფილა ისეთი დიდებული და პატიოსანი ქალი, როგორიც თქვენ მიერ აქ უკადრისად ნახსენები საძაგელი ქალია! თქვენ კი, დმიტრი ფიოდოროვიჩ, თავად აღიარეთ, ვისთანაც უღალატეთ თქვენს საცოლეს, თქვენი საცოლე „იმ საძაგელი ქალის“ ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს, აი, ასეთია ის საძაგელი ქალი!
- სამარცხვინოა! - უცებ წამოიყვირა მამა იოსიფმა.
- სირცხვილი და თავის მოჭრა! - ჯერ კიდევ ყმაწვილური და მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით წამოიძახა უცებ ერთიანად წამოწითლებულმა კალგანოვმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.
- ნეტავ, რატომ ცოცხლობს ასეთი ადამიანი! - დაიღრიალა სიბრაზისაგან გაშმაგებულმა მიტიამ და აქამდე ჩამოყრილი მხრები აიჩეჩა, - არა, მითხარით ერთი, კიდევ დიდხანს შეიძლება მივცეთ ამას ნება, ბილწოს დედამიწა, - მან ყველას გადახედა და მამაზე მიუთითა. იგი ნელა და ზომიერად ლაპარაკობდა.
- გესმით, მონაზვნებო, მამისმკვლელის, გესმით? - ეცა ფიოდორ პავლოვიჩი მამა იოსიფს, - აი, პასუხი თქვენს ნათქვამზე - „სამარცხვინოაო“! რა არის სამარცხვინო? ის „საძაგელი ქალი“, ის „ცუდი ყოფაქცევის ქალი“, შესაძლოა, თქვენზე წმინდანიც იყოს, ბატონო მონაზვნებო! იგი, შესაძლოა, ახალგაზრდობაში შეცდა გარემოების გამო, მაგრამ „დიდია მისი სიყვარული“, ხოლო ვისაც დიდი სიყვარული ჰქონდა, მას ქრისტემ მიუტევა...
- ქრისტემ არა ასეთი სიყვარულისთვის მიუტევა... - იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მამა იოსიფმა.
- არა, სწორედ ასეთისათვის, სწორედ ასეთისათვის, მონაზვნებო! თქვენ აქ კომბოსტოს ჭამით გინდათ ცხონება, წმინდანები გგონიათ თავი! ციმორებს მიირთმევთ, დღეში თითო ციმორს და ფიქრობთ ღმერთის მოსყიდვას!
- აუტანელია, აუტანელი! - ისმოდა სენაკის ყოველი მხრიდან.
მაგრამ მთელი ეს უმსგავსობამდე მისული სცენა მოულოდნელად შეწყდა. უცებ ბერი წამოდგა. ბერისა და ყველაფრის გამო შიშისაგან დაბნეულმა ალიოშამ მოასწრო და ხელი შეაშველა მას. ბერი მიტიასაკენ გაემართა, მიუახლოვდა და დაემხო მის წინ მუხლებზე. ალიოშას ეგონა, სისუსტისაგან ფეხი მოეკვეთაო, მაგრამ ეს ასე არ იყო. მუხლებზე დამხობილმა ბერმა არა მარტო აშკარად და შეგნებულად მდაბლად დაუკრა თავი მიტიას, არამედ შუბლით შეეხო მიწას. ალიოშა ისე გაკვირვებული დარჩა, რომ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო, როცა ბერი ფეხზე დგებოდა. ბერს ბაგეებთან სუსტი ღიმილი დასთამაშებდა.
- მაპატიეთ! ყველას ბოდიშს გიხდით! - ჩაილაპარაკა მან და ყველას თავი დაუკრა.
დმიტრი ერთხანს გაოგნებული იდგა: მას მუხლმოდრეკით თაყვანი სცეს - რა იყო ეს? „ღმერთო ჩემო!“ - იღრიალა მან და სახეზე ხელებაფარებულმა საჩქაროდ დასტოვა იქაურობა. უკან ჯგროდ მიჰყვნენ სხვა სტუმრებიც, ისე დაბნეულები გაცვივდნენ, არც გამომშვიდობებიან მასპინძელს. მხოლოდ მონაზვნები ეახლნენ მას ლოცვა-კურთხევისათვის.
- რას ნიშნავს ეს ფეხებში ჩავარდნა, რაიმე ემბლემაა? - მოინდომა ლაპარაკის დაწყება უკვე დაშოშმინებულმა ფიოდორ პავლოვიჩმა, ისე რომ არავისთვის პირადად არ მიუმართავს. ისინი ამ დროს გამოსცდნენ სავანის გალავანს.
- მე საგიჟეთსა და გიჟებზე პასუხს ვერ ვაგებ, - უმალ უპასუხა გაღიზიანებულმა მიუსოვმა, - სამაგიეროდ, თქვენს საზოგადოებას კი თავიდან ავიცილებ, დამიჯერეთ, ამჟამად სამუდამოდ. სად არის ის მონაზონი?

იმ „მონაზონმა“, რომელმაც ამასწინათ იღუმენთან მიიპატიჟა, დიდხანს არ ალოდინა, მაშინვე შეეგება სტუმრებს, როგორც კი ბერის სენაკის ზღურბლი გადმოლახეს, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში გარეთ უცდიდა.
- პატივი დამდეთ, ღირსო მამავ, დამიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა მამა იღუმენისადმი და ბოდიში მომხადეთ მე, მიუსოვს, მისი მაღალღირსების წინაშე, რადგან მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო, არაფრით შემიძლია მონაწილეობა მივიღო მის ტრაპეზში, მიუხედავად ჩემი გულწრფელი სურვილისა, - გაღიზიანებით უთხრა მიუსოვმა მონაზონს.
- გაუთვალისწინებელი გარემოება ხომ მე ვარ! - უმალ ჩაერია ლაპარაკში ფიოდორ პავლოვიჩი. - გესმით, მამაო, ეს ჩემთან ერთად არ სურს პიოტრ ალექსანდროვიჩს დარჩენა, თორემ უარს არ იტყოდა. წახვალთ, პიოტრ ალექსანდროვიჩ, ეახლებით მამა იღუმენს, მე კი კარგ მადას გისურვებთ! იცოდეთ, ეს მე არ წამოვალ იქ. შინისაკენ, შინისაკენ, მე შინ მივირთმევ, აქ აღარ შემიძლია დარჩენა, პიოტრ ალექსანდროვიჩ, ჩემო ძვირფასო ნათესავო.
- არანაირი თქვენი ნათესავი არ ვარ, არც არასოდეს ვყოფილვარ, მურდალო!
- ჯინაზე გითხარით, თქვენი გაცოფება მინდა. ჩვენს ნათესაობაზე უარს ამბობთ, თუმცა მაინც ნათესავები ვართ, თავს ვერ დაიძვრენთ, საეკლესიო დოკუმენტებით შემიძლია დავამტკიცო. შენ კი, ივან ფიოდოროვიჩ, თუ დარჩენა გინდა, დარჩი, ცოტა ხანში ცხენებს გამოგიგზავნი. თქვენ კი, პიოტრ ალექსანდროვიჩ, წესი და რიგი მოითხოვს, ეახლოთ მამა იღუმენს, პატიება უნდა სთხოვოთ მას იმის გამო, რაც იქ ჩავიდინეთ...
- ნუთუ მართლა მიდიხართ? არ ტყუით?
- პიოტრ ალექსანდროვიჩ, როგორ გავბედავ მას შემდეგ, რაც მოხდა! როლში შევიჭერი, მაპატიეთ, ბატონებო, მაპატიეთ! გარდა ამისა, შეძრწუნებული ვარ! მრცხვენია. ბატონებო, ზოგიერთს გული აქვს, როგორც ალექსანდრე მაკედონელს, ზოგს კი ფიდელკა ძაღლივით. დავფრთხი! როგორ შეიძლება ასეთი ესკაპადის[25] შემდეგ სადილზე წასვლა და მონასტრის სოუსების სანსვლა? მრცხვენია, არ შემიძლია, მაპატიეთ!
„დალახვროს ეშმაკმა, როგორ იტყუება!“ - გაიფიქრა მიუსოვმა და თან გაოცებული უცქერდა მიმავალ ტაკიმასხარას. უცებ ფიოდორ პავლოვიჩი მობრუნდა და მიუსოვის მზერა რომ შენიშნა, ხელით კოცნა გამოუგზავნა.
- თქვენ მობრძანდებით იღუმენთან? - ბორძიკით ჰკითხა მიუსოვმა ივანს.
- რატომაც არა? მით უმეტეს, რომ გუშინ მივიღე იღუმენისაგან განსაკუთრებული მოწვევა.
- საუბედუროდ, ამ წყეულ სადილს უნდა დავესწრო, - კვლავ გაღიზიანებულმა გააგრძელა მიუსოვმა, არც მიუქცევია ყურადღება, რომ მონაზონი უსმენდა. - თუმცა ბოდიშიც გვაქვს მოსახდელი იმის გამო, რაც აქ ჩავიდინეთ; და უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ... როგორ ფიქრობთ?
- დიახ, უნდა განვუმარტოთ, რომ ჩვენი ბრალი არ არის. მით უმეტეს, მამაჩემი იქ არ იქნება, - შენიშნა ივანმა.
- ეგღა გვაკლია, მამათქვენთან ერთად! წყეული სადილი!
მიუხედავად ამისა, ყველა მიდიოდა. მონაზონი დუმდა და უსმენდა. გზაში მხოლოდ ერთხელ აღნიშნა, რომ მამა იღუმენი უკვე ნახევარი საათია ელოდა მათ. პასუხი არავინ გასცა. მიუსოვმა სიძულვილით გადახედა ივანს.
„ისე მიბრძანდება სადილად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს! - გაიფიქრა მან. -

მაგარი შუბლი აქვს და კარამაზოვული სინდისი“.

VII სემინარისტი-კარიერისტი

ალიოშამ ბერი საძინებლამდე მიაცილა და საწოლზე დასვა. ძალზე პატარა ოთახში მხოლოდ აუცილებელი ავეჯი იდგა. ვიწრო რკინის საწოლზე ლეიბის მაგივრად ქეჩა ეგო. კუთხეში ხატებთან მდგარ საწიგნეზე ჯვარი და სახარება ესვენა. დაუძლურებული ბერი საწოლზე დაეშვა; თვალები უბრწყინავდა და მძიმედ სუნთქავდა. მერმე ალიოშას დაჟინებით მიაცქერდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა.
- წადი, ძვირფასო, წადი, ჩემთან პორფირი დარჩება, შენ კი იჩქარე. შენ იქ ხარ საჭირო. მიდი მამა იღუმენთან სადილზე და მოემსახურე.
- ნება მიბოძეთ, თქვენთან დავრჩე, - მუდარით უთხრა ალიოშამ.
- იქ უფრო საჭირო ხარ. იქ მშვიდობა არ არის. მოემსახურე და გამოადგები. თუ კვლავ აღზევდებიან ეშმაკეულნი, ილოცე. ისე, შვილო ჩემო (ბერი ხშირად მიმართავდა ხოლმე ასე), იცოდე, რომ შემდგომში შენი ადგილი იქ არის. დაიხსომე ეს, ყმაწვილო. როგორც კი ღმერთი ღირსმყოფს და მიმიხმობს - წადი მონასტრიდან. სამუდამოდ წადი.
ალიოშა შეკრთა.
- რა მოგდის? ჯერჯერობით აქ შენი ადგილი არ არის. დამილოცნიხარ, ამ სოფლად კიდევ ბევრი რამის ატანა მოგიწევს. ჯერ კიდევ მრავალი მოგზაურობა გიწევს წინ. ცოლიც უნდა შეირთო, ასეა საჭირო. ყველაფერი უნდა აიტანო, სანამ უკან დაბრუნდები. საქმე კი ბევრი გექნება. მაგრამ შენში ეჭვი არ მეპარება და ამიტომაც გაგზავნი. ქრისტე შენთან არს. გაუფრთხლდი მას და ისიც გაგიფრთხილდება. დიდ მწუხარებას მოესწრები და ამ მწუხარებაში ჰპოვებ ბედნიერებას. დაიხსომე ერთი მცნება: წუხილში ეძიე ბედნიერება. იღვაწე, მუხლჩაუხრელად იღვაწე. ამიერიდან გახსოვდეს ეს ჩემი სიტყვა, რამეთუ არათუ ჩემი დღეები, არამედ საათებიც დათვლილია, თუმცა იქნება, კვლავაც მოგვიწიოს ერთმანეთთან საუბარი.
ალიოშას სახე ისევ შეეცვალა, ტუჩების კიდეები აუკანკალდა.
- არ იშლი შენსას, რა მოგდის? - წყნარად გაიღიმა ბერმა. - დაე, ერისკაცებმა ტირილით გააცილონ თავიანთი მიცვალებულები, ჩვენ კი საუკუნო განსასვენებელში მიმავალი მამის გამო უნდა გვიხაროდეს. გავიხაროთ და ვილოცოთ მისთვის. ახლა დამტოვე, მინდა ვილოცო. წადი, იჩქარე. ძმებთან ახლოს იყავი - მარტო ერთთან არა, ორივესთან.
ბერმა დასალოცად ხელი მაღლა აღმართა. ალიოშას ძალიან სურდა დარჩენა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. მას იმ კითხვის დასმა უნდოდა, დიდი ხანია ენაზე რომ ჰქონდა მომდგარი: „რას ნიშნავდა წეღანდელი მუხლმორთხმული თაყვანისცემა დმიტრისადმი?“ - მაგრამ კითხვა ვერ გაბედა; იცოდა, ბერი თავად კითხვის გარეშეც აუხსნიდა ყოველივეს, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო. ე. ი. ბერს არ სურდა ამის გაკეთება. ბერის იმჟამინდელმა მოქმედებამ ძალიან გააოცა ალიოშა. ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მის საქციელში რაღაც იდუმალი აზრი იდო. იდუმალი, შესაძლოა,

საშინელიც. როცა მან სავანე დატოვა, რათა მონასტერში, იღუმენთან სადილისათვის მიესწრო (რასაკვირველია, სუფრას რომ მომსახურებოდა), გული მწარედ შეეკუმშა. ერთხანს გაჩერდა, ყურებში კვლავ ბერის ის სიტყვები ჩაესმა, რომლებითაც ბერი უახლოეს ხანში თავის აღსასრულს წინასწარმეტყველებდა. ალიოშას ეჭვი არ ეპარებოდა ამ სიტყვების სიზუსტეში, რომ ბერის ნაწინასწარმეტყველები აუცილებლად ახდებოდა. მაგრამ რა ეშველება ალიოშას, როგორ იცხოვროს მის გარეშე, როცა ვეღარ იხილავს და ვეღარ გაიგონებს მის ხმას? რა გზას ეწიოს? უბრძანა, არ დაიტიროს და მონასტრიდან წავიდეს. ღმერთო! დიდი ხანია ალიოშა ასეთ სევდას არ შეუპყრია. მან ჩქარი ნაბიჯით გაიარა სავანისაგან მონასტრის გამყოფი ტყე. აღარ შეეძლო თავისი ფიქრების ატანა, ისე უმღვრევდნენ ჭკუა-გონებას. ტყის ბილიკის ორივე მხარეს ჩამორიგებულ საუკუნოვან ფიჭვებს დაუწყო ყურება. მანძილი გრძელი არ იყო, ასე ხუთასი ნაბიჯი იქნებოდა, მეტი არა; ასეთ დროს, წესით, არავინ უნდა შეხვედროდა, მაგრამ უცებ ბილიკის პირველ მოსახვევში რაკიტინი დალანდა. მას უცდიდა.

- მე მელოდები? - ჰკითხა ალიოშამ, როცა გაუსწორდა.

- დიახაც შენ, - გაეცინა რაკიტინს. - მამა იღუმენთან მიგეჩქარება, ვიცი. ახლა მასთან სადილია. მას შემდეგ, რაც არქიელსა და გენერალ პარახატოვს უმასპინძლა, გახსოვს, ასეთი სუფრა აქ არ გაშლილა. მე არ მოვდივარ, შენ მიდი, მიართვი კერძები... მხოლოდ ერთი ეს მითხარ: რას ნიშნავს ის სიზმარი? მხოლოდ ამის კითხვა მინდოდა.

- რომელი სიზმარი?

- შენს ძმას, დმიტრის მუხლმორთხმული რომ ეთაყვანა ბერი, იატაკსაც კი ურტყა შუბლი.

- ბერ ზოსიმაზე ამბობ?

- დიახ.

- შუბლით?

- რა, უდიერად გამოვთქვი? იყოს უდიერად! მითხარი, რას ნიშნავს ეს სიზმარი?

- არ ვიცი, მიშა, რას ნიშნავს!

- ასეც ვიცოდი, ვიცოდი, რომ ის ამას არ აგიხსნიდა. ყველაფერი ცხადია, მე მგონი, ჩვეულებრივი კეთილუგუნურებაა. შეგნებულად ჩატარებული ფოკუსი. ახლა ყველა ფარისეველი ქალაქში და მთელ გუბერნიაში აყაყანდება: „ნეტა, რას ნიშნავდა ეს სიზმარი?“ ჩემი აზრით, ბერიკაცი მართლა შორსმჭვრეტელია, სისხლის სუნი ეცა. თქვენთან რაღაც ყარს.

- რომელი სისხლის?

რაკიტინს ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

- თქვენს ოჯახში სისხლი დაიღვრება, შენს ძმებსა და შენს მდიდარ მამიკოს შორის. ამიტომ ურტყა მამა ზოსიმამ თავი იატაკს სამომავლოდ, ყოველი შემთხვევისათვის. აწი, რაც უნდა მოხდეს, ყველა იტყვის: „ამას ხომ წმინდა ბერი წინასწარმეტყველებდა“, - თუმცა რა წინასწარმეტყველებაა, თავი იატაკს ურტყა? არა, ეს, ასე ვთქვათ, მინიშნებაა, ალეგორია, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა! განადიდებენ, დაუმახსოვრებენ: დანაშაული წინასწარ განჭვრიტა, მომავალი დამნაშავე შეიცნოო. სალოსებმა ასე იციან: დუქნის წინ პირჯვარს იწერენ და ტაძარს კი ქვებს ესვრიან. ასეა შენი ბერიც: წმინდანს არ იკარებს და მკვლელს ფეხებში უვარდება.

- რა დანაშაული? რომელი მკვლელი? რას მიედ-მოედები? - ალიოშა ერთ ადგილას გაშეშდა, რაკიტინიც შედგა.
- ვინ? ვითომ არ იცი? ნიძლავს დავდებ, შენც გაიფიქრე ამის შესახებ. მართლა, ძალიან საინტერესოა; ალიოშა, შენ ყოველთვის მართალს ამბობ, თუმცა ყოველთვის ორ სკამს შორის ზიხარ. მითხარი, გაიფიქრე ამის შესახებ თუ არა?
- გავიფიქრე, - ისე წყნარად უპასუხა ალიოშამ, რაკიტინიც კი დაიბნა.
- რას ამბობ, ნუთუ შენც გაიფიქრე? - იყვირა მან.
- მე... მე კი არ გავიფიქრე, - ჩაიბურტყუნა ალიოშამ, - როცა შენ ამის შესახებ დამიწყე ლაპარაკი, მომეჩვენა, რომ მეც მიფიქრია ამაზე.
- ხედავ (როგორ ნათლად გამოთქვი ყოველივე), ხედავ? დღეს, როდესაც მამაშენსა და მიტენკას უყურებდი, დანაშაულზე გაიფიქრე? ხომ ასეა?
- მოიცა, მოიცა, - შიშით შეაწყვეტინა ალიოშამ, - შენ საიდან ხედავ ამას? შენ რატომ გაწუხებს ეს ამბავი, აი, პირველი კითხვა.
- ეს ორი კითხვაა, მაგრამ ბუნებრივი კითხვები. თითოეულს ცალ-ცალკე გავცემ პასუხს. მე არაფერსაც არ დავინახავდი, შენს ძმას, დმიტრის რომ არ ვიცნობდე; უცებ შევატყვე, ვინ არის, ხასიათის ერთმა თვისებამ ერთიანად გამოამჟღავნა. ასეთ პატიოსან, მაგრამ ვნებააშლილ ადამიანებს გააჩნიათ თვისება, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას, გაეღვიძოთ - მაშინ ისინი საკუთარ მამასაც კი გაუყრიან დანას. მით უმეტეს, თუ ამავე დროს მამიკოც ლოთია და თავშეუკავებელი მრუში, რომელმაც არასდროს და არაფერში ზომა არ იცის - ვერც ერთი თავს ვერ შეიკავებს და ორივე უფსკრულში...
- არა, მიშა, არა, თუ ეს ასეა, უფრო იმედი მომეცა, საქმე მანამდე არ მივა.
- რა გაკანკალებს? კარგად იცი შენ ეს ამბავი; მართალია, მიტია პატიოსანი კაცია (ბრიყვი, მაგრამ პატიოსანი), მაგრამ მრუშია. ესაა მისი მახასიათებელი, მისი შინაგანი არსი. მამამ მემკვიდრეობით გადასცა ავხორცობა. მხოლოდ შენი მიკვირს, ალიოშა, როგორ მოხდა, აქამდე რომ უბიწო ხარ? შენც ხომ კარამაზოვი ხარ! თქვენს ოჯახში ხომ ავხორცობა ყველაფრის თავი და თავია. ეს სამი ავხორცი ერთმანეთს უთვალთვალებს... ზურგს უკან დამალული დანებით, ერთმანეთს შეეჯახნენ შუბლებით, შენ კი მეოთხე ხარ.
- შენ იმ ქალის თაობაზე ცდები. დმიტრის ის... სძულს, - რაღაცნაირად შემკრთალმა ჩაილაპარაკა ალიოშამ.
- გრუშენკაზე ამბობ? როგორ გეკადრება - არ სძულს. თავისი საცოლე მასზე გაცვალა და შენ მეუბნები - სძულსო. აქ... ძმობილო, რაღაც სხვა ამბავია, რომელსაც შენ ჯერ ვერ გაიგებ. ამ დროს ასე ხდება: შეუყვარდება კაცს რაღაც ლამაზი, ვთქვათ, ქალის ტანი, ან ქალის ტანის რაღაც ნაწილი (ამას მხოლოდ ავხორცი მიხვდება), მისი გულისათვის არ დაინდობს საკუთარ შვილებს, გაყიდის დედ-მამას, მამულს და სამშობლოს: პატიოსანი - მოიპარავს; უწყინარი - ვინმეს ყელს გამოჭრის; ერთგული - მოღალატე გახდება. პუშკინი თავის ლექსებში ქალის ფეხებს უმღეროდა; სხვები არ უმღერიან, მაგრამ ქალის ფეხების დანახვაზე ელეთმელეთი მოსდით. მაგრამ მარტო ფეხები ხომ არ არის... აქ, ჩემო ძმაო, სიძულვილი ვერაფერს უშველის, რომც სძულდეს კიდეც გრუშენკა. სძულს კიდეც და განშორებაც არ შეუძლია.
- მესმის, კარგად მესმის, - უცებ წამოსცდა ალიოშას.
- ვითომ? შეიძლება მართლა გესმის, რადგან უცებ წამოგცდა, - ნიშნის მოგებით თქვა რაკიტინმა, - შენ ეს მოულოდნელად წამოროშე, ამიტომაც ფასდაუდებელი

აღიარებაა: გეტყობა, შენთვის ნაცნობი თემაა, ავხორცობაზე კარგად გიფიქრია. უბიწო ყმაწვილო! შენ, ალიოშა, ჩუმჩუმელა ხარ, წმინდანი, მაგრამ ჩუმჩუმელა, ეშმაკმა იცის, რაზე არ გიფიქრია, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა არ არის შენთვის ცნობილი! უბიწო და ასეთ სიღრმეებს მიაღწიე, - დიდიხანია თვალს გადევნებ. შენ კარამაზოვი ხარ, ნაღდი კარამაზოვი - ე.ი. ჯიში და შერჩევა რაღაცას ნიშნავს. მამას ავხორცობაში დაემგვანე, დედას სალოსობაში. რატომ კანკალებ? მართალს რომ ვამბობ? იცი რა, გრუშენკამ მთხოვა: „მომიყვანე (შენზე მეუბნება), მე მას ანაფორას გავხდიო“. სულ მეხვეწება: მომიყვანე და მომიყვანეო! ჩემთვის კი ვფიქრობდი: ნეტა, რად აინტერესებს ასე-მეთქი? იცი, ისიც ძალიან უცნაური ქალია.

- მოკითხვა გადაეცი ჩემგან, უთხარი, რომ არ მივალ, - ჩაიცინა ალიოშამ. - გააგრძელე, მიხაილ, რაც დაიწყე, შემდეგ მე ჩემს აზრს გეტყვი.

- რაღა გითხრა, ყველაფერი ნათელია. ყველაფერი ეს ძველი ჰანგებია. თუკი შენს თავში ავხორცი აღმოაჩინე, მაშინ შენი ღვიძლი ძმა, ივანი რაღა იქნება? ისიც ხომ კარამაზოვია. ყოველივე კარამაზოვული ავხორცობაში, ვერცხლმოყვარეობასა და სალოსობაში ვლინდება! შენი ძმა, ივანი, თავად ათეისტი, ახლა ხუმრობით საღვთისმეტყველო სტატიებს აქვეყნებს, რაღაც ბრიყვული გაუგებარი ანგარიში აქვს. ამ უნამუსობას თავად აღიარებს - ასეთია შენი ძმა, ივანი. გარდა ამისა, თავის ძმას, მიტიას, საცოლის წართმევას უპირებს, მგონია, ამასაც მიაღწევს, თანაც მიტენკას თანხმობით, იმიტომ რომ მიტენკა თავად დაუთმობს საცოლეს, თავი რომ დააღწიოს და რაც შეიძლება მალე გრუშენკასთან წავიდეს. ამას გააკეთებს თავის კეთილშობილებისა და უანგარობის მიუხედავად - კარგად დაიხსომე ეს. ასეთი ადამიანები ყველაზე საბედისწერო პიროვნებები არიან! ჯანდაბამდე გზა გქონიათ: საკუთარ უნამუსობას აღიარებს და კვლავ უნამუსობას სჩადის! მისმინე; ახლა მიტენკა ბებერ მამას გზაზე გადაეღობა. ისიც ხომ გრუშენკაზე კარგავს ჭკუას, მის დანახვაზე პირზე დუჟი ადგება ხოლმე. დღეს სენაკში მისი გულისათვის რა ამბავი ატეხა, როცა მიუსოვმა გრუშენკა საძაგელ დედაკაცად მოიხსენია. მამაშენი გრუშენკაზე ჭკუას კარგავს. ადრე ამ ქალს რაღაც-რაღაც ბნელ-ბნელ საქმეებში იმსახურებდა, ხელფასსაც კი უხდიდა. შემდეგ, უცებ, სხვანაირი თვალით შეხედა, თვალში მოუვიდა, ატყდა და უხამსი წინადადებების შეთავაზება დაუწყო. ამ ნიადაგზე მამა-შვილს მაგარი შეჯახება მოუხდებათ. გრუშენკა კი არც ერთს და არც მეორეს არ სწყალობს; ორივეს აღიზიანებს, ათამაშებს, არჩევს, რომელი უფრო გამოადგება. მამას შეიძლება ბლომად ფული დასცინცლოს, მაგრამ იგი ცოლად არ მოიყვანს, ბოლოს გაწუწურაქდება და ქისას თავს მოუკრავს. ამ შემთხვევისათვის მიტიას თავისი ფასი აქვს; მართალია, მას ფული არა აქვს, სამაგიეროდ, შეუძლია ცოლად შეირთოს. დიახ, ბატონო, შეუძლია ცოლად შეირთოს! მიატოვებს თავის საცოლეს, მზეთუნახავ კატერინა ივანოვნას, მდიდარ აზნაურიშვილსა და პოლკოვნიკის ასულს და შეირთავს გრუშენკას, ბებერი ვაჭრის, გარყვნილი კაცის და ქალაქის თავის სამსონოვის ყოფილ ხასას. ყოველივე ამის გამო, შესაძლებელია, სისხლის სამართლის შესაბამისი შეჯახება მოხდეს. შენი ძმა, ივანი კი ჩასაფრებულია, ორი კურდღლის დაჭერა სურს: კატერინას შერთვა, რომელზედაც გიჟდება, ისე უყვარს და სამოცი ათასის მზითევად მიღებაც. ცარიელ-ტარიელი კაცუნასათვის ძალზე სახარბიელო პერსპექტივაა. ისიც არ დაგავიწყდეს: მიტიას არათუ ეწყინება ეს ამბავი, არამედ კუბოს კარამდე ივანის მოვალე დარჩება. ეს ზუსტად ვიცი, ჯერ

კიდევ წინა კვირას ბოშა ქალებთან მოქეიფე მთვრალი მიტენკა სამიკიტნოში გაჰყვიროდა, რომ იგი თავისი საცოლის, კატენკას ღირსი არ არის, აი, მისი ძმა ივანი კი ღირსეული კაცია. თავად კატერინა ივანოვნა, ცხადია, ასეთ მომხიბლავ კაცს, როგორიც ივანია, ბოლოს და ბოლოს, ხელს არ ჰკრავს; ის ახლაც ორ ძმას შორის ჭოჭმანობს. ნეტავ რითი მოგხიბლათ ივანმა, ყველა რომ თვალებში შესციცინებთ? ის ხომ ყველას დაგცინით: თავისთვის განცხრომაშია და ყველა ფეხებზე ჰკიდიხართ.
- საიდან იცი ამდენი? რატომ ლაპარაკობ ასე დაჯერებული? - უხეშად ჰკითხა კოპებშეკრულმა ალიოშამ.
- შენ კი რატომ მეკითხები ისე, თითქოს ჩემი პასუხის წინასწარ გეშინია? ე.ი. შენც ფიქრობ, რომ მე მართალი ვარ.
- შენ ივანი არ გიყვარს. ივანი ფულს არ დახარბდება.
- ვითომ? კატერინა ივანოვნას სილამაზეს? მარტო ფული ხომ არ არის, თუმცა სამოცი ათასი დიდი მაცდუნებელი რამაა.
- ივანს უფრო მაღალი მატერიები აწუხებს, მას ათასებით ვერ მოხიბლავ. იგი არც ფულს ეძებს და არც სიმშვიდეს. შესაძლებელია, ტანჯვა-წამებისკენ მიისწრაფვის.
- ეს კიდევ რა სიზმარია? ჰაი თქვე... აზნაურიშვილებო!
- ეჰ, მიშა, მას მშფოთვარე სული აქვს. მისი ჭკუა-გონება დატყვევებულია. მასში დიდი და განუხორციელებელი ფიქრებია. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც არ სურს მილიონები, მათ თავიანთი ფიქრების განხორციელება სჭირდებათ.
- ლიტერატურული ქურდობაა, ალიოშკა. შენ ახლა შენი ბერის პერიფრაზირება მოახდინე. ივანმა თქვენ თავსატეხი გაგიჩინათ! - შეჰყვირა დაბოღმილმა რაკიტინმა. მას სახეც კი შეეცვალა, ტუჩები მოექცა. - თუმცა სულელური თავსატეხია. გამოსაცნობი არაფერია. გაანძრიე ტვინი და გაიგებ. მისი სტატია სასაცილო და უაზროა. ამასწინათ მოვისმანე მისი ტუტუცური თეორია „თუ სული უკვდავი არ არის, მაშინ არ არსებობს ზნეობრიობა, ე.ი. ყველაფერი ნებადართულია“ (გახსოვს, შენმა ძმამ, მიტენკამ, როგორ შეჰყვირა: „დავიმახსოვრებო!“). არამზადებისათვის მაცდუნებელი თეორიაა... მე უკვე ვილანძღები, ეს უკვე სიბრიყვეა... არამზადებისათვის კი არა, „თავმოუბმელ ფიქრებში ჩაფლული“ სკოლის მოსწავლე ფანფარონებისათვის. ბაქიაა და ტრაბახა, მთელი მისი თეორია სისაძაგლეა! კაცობრიობა თვითონ ჰპოვებს საკუთარ თავში ძალას, ზნეობრივად რომ იცხოვროს, თუნდაც არ სწამდეს სულის უკვდავება! თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის სიყვარულში ჰპოვებს...
რაკიტინი ისე გაცხარდა, თითქმის არ შეეძლო თავის შეკავება. უცებ თითქოს რაღაც გაახსენდა და გაჩერდა.
- საკმარისია! - წინანდელზე მეტად მოექცა სახე. - რა გაცინებს? ფიქრობ, რა უხამსი ვინმეაო, არა?
- არა, ფიქრადაც არ გამივლია შენი უხამსობა. შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ... ყურადღებას ნუ მომაქცევ, ისე გამეცინა. მესმის, შენ შეგიძლია გაცხარდე, მიშა. შენი გატაცებული საუბრიდან მივხვდი, რომ თავად ვერა ხარ გულგრილი კატერინას მიმართ, ამას, ჩემო ძმაო, დიდი ხანია, გამჩნევდი, ამიტომაც ვერ იტან ივანს. ეჭვიანობ?
- იმ ქალის ფულებზე ეჭვიანობ-თქო, დაუმატე რაღა.
- ფულებზე არაფერს დავუმატებ, არ მინდა გაწყენინო.
- შენი მჯერა, რადგან შენ ამბობ მაგას. მაგრამ ეშმაკმა დაგლახვროთ შენც და

შენი ძმა ივანიც, თქვენ ვერასოდეს გაიგებთ კატერინაც რომ არა, რატომ უნდა მიყვარდეს ივანი. რისთვის, ეშმაკმა დალახვროს! მას თუ შეუძლია, პატივი დამდოს და მლანძღოს, ნეტა, მე რად არა მაქვს უფლება ვლანძღო ის?
- არასოდეს მსმენია, მას შენზე რაიმე ძვირი ეთქვას, არც ავი და არც კარგი; საერთოდ არ გახსენებს.
- მე კი ამბავი მომიტანეს, თურმე ამ სამი დღის წინ კატერინა ივანოვნასთან ლანძღვა-გინებით ამიკლო, - აი, რამდენად აინტერესებს მას ჩემი სუბიექტი. ვინ ვისზე ეჭვიანობს, ახლა შენ განსაზღვრე, ძმობილო! მას უნებებია და გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ, თუ მე არ დავთანხმდები არქიმანდრიტის კარიერას უახლოეს ხანებში და ბერად არ აღვიკვეცები, მაშინ აუცილებლად გავემგზავრები პეტერბურგში და მივეკედლები რომელიმე სქელტანიან ჟურნალს, აუცილებლად კრიტიკის განყოფილებას. ათი წელი სტატიებს დავწერ, შემდეგ ჟურნალს ჩავუდგები სათავეში და მივცემ მას ლიბერალურ და ათეისტურ მიმართულებას, სოციალისტური ელფერით, ცოტა სოციალიზმის პეწი რომ დაჰკრავდეს, მაგრამ ფრთხილად ვიქნები, არც მწვადს დავწვავ და არც შამფურს, სულელებს თვალებში ნაცარს შევაყრი. შენი ძმის წინასწარმეტყველებით კარიერის დასასრულს სოციალისტური აზრები ხელს არ შემიშლის, ხელმოწერის თანხები საკუთარ ანგარიშზე შევიტანო და საჭიროების შემთხვევაში ვინმე ურიას დახმარებით ბრუნვაში გავუშვა მანამ, სანამ პეტერბურგში კაპიტალურ სახლს არ ავაშენებ, რათა იქ გადავიტანო რედაქცია, დარჩენილ ფართობზე კი მდგმურებს შევუშვებ. თურმე სახლის ადგილიც კი მიანიშნა: ნევაზე ახალ ქვის ხიდთან, რომლის დაპროექტება ახლა მიმდინარეობს ლიტეინიდან ვიბორგსკისაკენ...
- ეხ, მიშა, ყველაფერი ეს, როგორცა თქვი, ისე აღსრულდება, სიტყვასიტყვით! - უცებ წამოიყვირა ალიოშამ, თავი ვეღარ შეიკავა და გაეცინა.
- თქვენც დამცინით, ალექსეი ფიოდოროვიჩ.
- არა, არა, ვხუმრობ, მაპატიე. მე სულ სხვას რამეს ვფიქრობ. ნება მომეცი, მხოლოდ ერთი რამ შევიტყო: ვის შეეძლო შენთვის ასე დაწვრილებით მოეყოლა ყოველივე, ვინ შეგატყობინა ეს ამბავი. შენ ხომ უშუალოდ არ მოგისმენია ეს საუბარი?
- მე არ ვიყავი, მაგრამ იქ იყო დმიტრი და ეს ყოველივე საკუთარი ყურით მოვისმინე მისგან. სიმართლე თუ გინდა იცოდე, ჩემთვის მას ეს არ მოუყოლია, უნებურად მოვისმინე გრუშენკას საძინებელი ოთახიდან, საიდანაც გამოსვლა არ შემეძლო მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ის მეზობელ ოთახში გრუშენკას უყვებოდა.
- ხო, სულ დამავიწყდა, გრუშენკა ხომ შენი ნათესავია...
- ნათესავი? ვინა, გრუშენკაა ჩემი ნათესავი? - უცებ წამოიყვირა რაკიტინმა და სიბრაზისაგან აჭარხალდა, - შენ რა, ჭკუიდან შეიშალე? ტვინი აგერია?!
- რა იყო? არ არის ნათესავი? ბოდიში, მე ასე ვიცოდი...
- სად უნდა გაგეგო? არა, თქვენ, ბატონო კარამაზოვებო, რა ძირძველ და დიდგვაროვან აზნაურებად მოგაქვთ თავი. განა მამაშენი არ იყო, სხვის ოჯახებში ტაკიმასხარაობით რომ შოულობდა სამადლოდ ლუკმაპურს. დავუშვათ, მე მხოლოდ მღვდლის შვილი ვარ, ერთი პატარა ტილი, თქვენნაირ აზნაურებთან შედარებით, მერე რა, ამიტომ უნდა მომაყენოთ შეურაცხყოფა, ასე უთავბოლოდ. მეც ხომ მაქვს ღირსება, ალექსეი ფიოდოროვიჩ. მე მეძავი გრუშენკას ნათესავი ვერ ვიქნები, გთხოვთ, კარგად გაიგოთ ეს, ბატონებო!

რაკიტინი ძალიან გაბრაზებული ჩანდა.
- მაპატიე, ღმერთმანი, არ ვიცოდი. გარდა ამისა, რატომ არის იგი მეძავი? ნუთუ ის... იმნაირია? - გაწითლდა უცებ ალიოშა. - გიმეორებ, მე ასე ვიცოდი, ვიცოდი, მისი ნათესავი იყავი. შენ მასთან ხშირ-ხშირად დადიოდი ხოლმე და მეუბნებოდი, რომ არ ჰყვარობდი მას... ვერაფრით გავიფიქრებდი იმას, თუ ასე გძულდა! ნუთუ ამის ღირსია?
- თუ მასთან დავდიოდი, ალბათ, ამის მიზეზიც მქონდა. რაც შეეხება ნათესაობას, მალე ის მამაშენის ან შენი ძმის დახმარებით შენი ნათესავი გახდება. აი, მოვედით კიდეც. გიჯობს, სამზარეულოში წახვიდე. იფ! აქ მგონი რაღაცა ხდება, ნეტა რა ამბავია? ნუთუ დაგვაგვიანდა? ასე მალე როგორ ისადილებდნენ? ნუთუ კვლავ კარამაზოვებმა ატეხეს აურზაური? სწორედ ასეა. ეგე, მამაშენიც, უკან ივანი მოსდევს. იღუმენისგან გამოცვივდნენ. ხედავ, მამა ისიდორი ზღურბლიდან უყვირის მათ. მამაშენიც ყვირის და ხელებს იქნევს, ნაღდად იგინება. შეხე, მიუსოვიც ეტლით გაემგზავრა. აგერ მემამულე მაქსიმოვიც გამორბის - რაღაც სკანდალი მოხდა; ეს იმას ნიშნავს, სადილობა ჩაიშალა! იღუმენი ხომ არ გალახეს? იქნებ ისინი გალახეს ბერებმა? ღირსები კი იყვნენ!
რაკიტინი ტყუილად არ ყვიროდა. სკანდალი, მართლაც ამტყდარიყო, გაუგონარი და მოულოდნელი. ყველაფერი კი „შთაგონების“ მიხედვით მოხდა.

VIII სკანდალი

როცა მიუსოვი და ივან ფიოდოროვიჩი იღუმენთან შედიოდნენ, პიოტრ ალექსანდროვიჩმა, როგორც ჭეშმარიტად წესიერმა და თავდაჭერილმა კაცმა, უეცრად, ასე ვთქვათ, ერთი დელიკატური პროცესი გადაიტანა, მას შერცხვა იმის გამო, რომ ბრაზობდა. თავისთვის ფიქრობდა, არსებითად, საძაგელ ფიოდორ პავლოვიჩს იმდენად არ სცემდა პატივს, რომ არც ღირდა მისი გულისათვის ბერის სენაკში წონასწორობის დაკარგვა. „ყოველ შემთხვევაში, მონაზვნები აქ არაფერ შუაში იყვნენ, - გადაწყვიტა მან, ჯერ კიდევ იღუმენის ზღურბლთან მდგარმა, - თუკი აქ წესიერი ხალხია (ეს იღუმენი, მამა ნიკოლაი, მგონი, აზნაურიშვილია), მაშინ რატომ არ უნდა ვიყო მათ მიმართ ზრდილობიანი და თავაზიანი? არაფერს შევედავები, ყველაფერზე კვერს დავუკრავ, თავაზიანობით გავაბრუებ და... და.. ბოლოს დავუმტკიცებ, რომ ამ ეზოპესთან, ამ ტაკიმასხარასთან, ამ პიეროს გვერდით შემთხვევით მოვხვდი, ისევე, როგორც ისინი...“
განზრახული ჰქონდა ხე-ტყის ჭრისა და მდინარეში თევზის ჭერის შესახებ მასა და მონასტერს შორის არსებული დავა (სად ხდებოდა ეს ამბები, თავადაც არ იცოდა წესიერად) საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ შეეწყვიტა. ამით ის თითქმის არაფერს კარგავდა.
ყველა ამ კეთილი განზრახვის შესრულება უფრო მტკიცედ გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც იღუმენის სატრაპეზოში შედგა ფეხი. იღუმენს ცალკე სასადილო არ ჰქონდა, ამ შენობაში ეკავა ორი ოთახი, შედარებით უფრო ფართო და მოხერხებული, ვიდრე ბერის სენაკი იყო. ოთახები განსაკუთრებული კომფორტით არ გამოირჩეოდა. ოციანი წლების, წითელი ხის, ტყავგადაკრული ძველმოდური ავეჯით გაწყობილ ოთახებს იატაკი შეუღებავი ჰქონდა, სამაგიეროდ, ყველაფერი

სისუფთავისგან ბრწყინავდა. ფანჯრის რაფებს ნაირ-ნაირი ძვირფასი ყვავილის ქოთანი ამშვენებდა; ამ წუთისათვის ყველაზე მთავარი ფუფუნება მაინც ბრწყინვალედ გაწყობილი მაგიდა იყო (თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ყველაფერი შედარებითია): ქათქათა სუფრა და შესანიშნავი ჭურჭელი; კარგად გამომცხვარი სამი ხარისხის პური, ორი ბოთლი ღვინო, ორი ბოთლი მონასტრის საუკეთესო თაფლი და იმ მხარეში განთქმული, მონასტერში გაკეთებული ბურახი დიდი შუშის ჭურჭლით. სუფრაზე არაყი საერთოდ არ იდგა. შემდგომში, როგორც რაკიტინი ჰყვებოდა, სადილი ხუთი თავისაგან შედგებოდაო: ცქვრინას უხა და თევზის ღვეზელი; განსაკუთრებულად გემრიელად შეკაზმული მოხარშული თევზი; წითელი თევზის კატლეტი, ნაყინი, კომპოტი, დაბოლოს - ბლანმანჟეს მსგავსი კისელი. ყველაფერი ეს რაკიტინმა იღუმენის სამზარეულოში შეიტყო. ვერ მოითმინა და შეიხედა. მას ხომ კავშირი ყველგან ჰქონდა, ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა. რაკიტინი აფორიაქებული და შურიანი გულის პატრონი იყო. თავისი ნიჭისა და უნარის შესახებ მშვენივრად იცოდა, მაგრამ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის გამო ხშირად გამაღიზიანებლად აზვიადებდა მათ. დანამდვილებით იცოდა, რაღაც მოღვაწე რომ გახდებოდა. რაკიტინთან დაახლოებულ ალიოშას კი მეგობრის უპატიოსნება აწუხებდა, აწუხებდა ის, რომ ამის აღიარება თავად არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, პირიქით, მას ეგონა, თუკი ვინმეს ჯიბიდან ფულს არ მოჰპარავდა, უაღრესად პატიოსანი იქნებოდა. ამის შესახებ აზრს ვერც ალიოშა და ვერც ვერავინ შეაცვლევინებდა.

რაკიტინი, როგორც დაბალი რანგის პირი, სუფრაზე არ მიუწვევიათ. მოწვეულთა შორის იყვნენ მამა იოსიფი, მამა პაისი და კიდევ ერთი მღვდელ-მონაზონი. ისინი იღუმენის სასადილო ოთახში იცდიდნენ, როცა პიოტრ ალექსანდროვიჩი, კალგანოვი და ივანი მოვიდნენ. იქვე იყო მემამულე მაქსიმოვი. მამა იღუმენი სტუმრებს ოთახის შუაში შეხვდა. ეს იყო მაღალი, ხმელ-ხმელი, ჯერ კიდევ ჯანიანი მოხუცი, შავი, ოდნავ გაჭაღარავებული თმით და მჭმუნვარე და ზვიადი გრძელი პირისახით. მან სტუმრებს დინჯად დაუკრა თავი. სტუმრები დასალოცად მიეახლნენ. მიუსოვმაც გაბედა და ხელზე მთხვევა დაუპირა, მაგრამ იღუმენმა დროზე გამოჰგლიჯა ხელი და ამბორი არ დაანება. სამაგიეროდ, ივანმა და კალგანოვმა ლოცვა-კურთხევა სრულად მიიღეს ჩვეულებრივი მდაბიური ხელზე მთხვევის შემდეგ.

- უკაცრავად, თქვენო მაღალღირსებავ, - დაიწყო თავაზიანი კრეჭით, მოწიწებული, მაგრამ მაინც მედიდური ტონით პიოტრ ალექსანდროვიჩმა, - დიდ ბოდიშს მოგახსენებთ იმის გამო, რომ თქვენ მიერ მოპატიჟებული ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი, ფიოდორ პავლოვიჩი, გარკვეული მიზეზების გამო თქვენს სადილს ვერ დაესწრება. საქმე ის არის, მან წმინდა მამა ზოსიმას სენაკში საკუთარ შვილთან დავის დროს ისე შეტოპა, იმდენი ბინძური სიტყვა თქვა და იმდენი უხამსობა იკადრა, რომლის შესახებაც, მე მგონი (მან მღვდელ-მონაზვნებს გადახედა), თქვენს მაღალღირსებას ალბათ უკვე აცნობეს. ამიტომ თავი დამნაშავედ იგრძნო, რაც გულახდილად აღიარა, სირცხვილის გრძნობამ შეაწუხა და ჩვენ, მე და თავის ვაჟს ივან ფიოდოროვიჩს, გვთხოვა, გადმოგცეთ მისი გულწრფელი წუხილი, დარდი და მონანიება. ერთი სიტყვით, იგი იმედოვნებს, შემდგომში ყველაფერი აანაზღაუროს, ახლა კი გთხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას და მომხდარის დავიწყებას...

მიუსოვი გაჩუმდა. ის თავისი ტირადის ბოლოს საკუთარი თავით ისე კმაყოფილი

დარჩა, იმდენად კმაყოფილი, რომ ამასწინანდელი გაბრაზების კვალიც აღარ აჩნდა. კვლავაც გულწრფელად უყვარდა კაცობრიობა. იღუმენმა მედიდურად მოუსმინა, ოდნავ თავი დაუკრა და უპასუხა:
- ვწუხვარ ამის გამო. შესაძლოა, ჩვენი ტრაპეზის დროს მას ისევე შევყვარებოდით ჩვენ, როგორც ჩვენ გვიყვარს ის. უმორჩილესად გთხოვთ, მიირთვით, ბატონებო.
ის ხატის წინ დადგა და ხმამაღლა დაიწყო ლოცვა. ყველამ მოწიწებით დახარა თავი, მემამულე მაქსიმოვი კი განსაკუთრებით წინ გამოვიდა, ხელები ერთმანეთს მიადო და მოკრძალებული გაყუჩდა.
სწორედ ამ დროს ფიოდორ პავლოვიჩმა თავის უკანასკნელი ოინი გაითამაშა. უნდა ითქვას, მას მართლაც უნდოდა გამგზავრება, მართლაც შეუძლებლად ჩათვალა ბერის სენაკში მის მიერ ჩადენილი უმსგავსო საქციელის შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე მისულიყო იღუმენთან სადილად. არა, იმის გამო კი არა, რომ ძალიან რცხვენოდა და თავს იდანაშაულებდა რამეში, არა! შესაძლოა, პირიქითაც; მაგრამ იმას კი გრძნობდა, მისი იქ მისვლა რომ ულამაზო იქნებოდა. ჰოდა, როცა სასტუმროს პარმაღის წინ მისი ეტლი ჩამოდგა და ჩაჯდომა დააპირა, უცებ თავში დაჰკრა - გაახსენდა ბერის სენაკში წარმოთქმული თავისი სიტყვები: „როცა, სადმე შევდივარ, ასე მგონია ყველაზე გათახსირებული კაცი მე ვარ, ყველა ტაკიმასხარად მთვლის, - მაშინ რა მოხდება, თუ, მართლაც გავითამაშებ ტაკიმასხარას იმიტომ, რომ თქვენ ყველა, უკლებლივ, ბრიყვები ხართ და ჩემზე გაცილებით უარესები.“ უცებ მოუნდა თავისი სისაძაგლის გამო ყველაზე შური ეძია. ახლა გაახსენდა, ოდესღაც რომ ჰკითხეს: „რისთვის გეჯავრებათ ასე მავანიო?“ მაშინ ტაკიმასხარაობით ეშხში შესულმა უპასუხა: „იცით რატომ? მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ ერთხელ მე გავუკეთე ისეთი სისაძაგლე, რომ დასანახავად შემჯავრდა“. ფიოდორ პავლოვიჩმა ეს ამბავი გაიხსენა და თავისთვის ბოროტად ჩაეცინა, თვალები აუელვარდა და ტუჩები აუთრთოლდა. „თუ დავიწყე, უნდა მოვათავო კიდეც“, - გადაწყვიტა მან. მისი მალული შეგრძნება ამ წუთებში შემდეგი სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს: „ახლა უკვე თავს ვეღარ გავიმართლებ, მოდი, ბარემ, ყველას უსირცხვილოდ შევაფურთხებ და ვეტყვი: გაიგეთ, ხალხო, არაფრის მრცხვენია, ყველა ფეხებზე მკიდიხართ-მეთქი!“ ფიოდორ პავლოვიჩმა მეეტლეს დაცდა უბრძანა, თვითონ კი ჩქარი ნაბიჯით მონასტერში დაბრუნდა და პირდაპირ იღუმენისკენ გასწია. ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა, მხოლოდ გრძნობდა, თავს რომ ვეღარ ფლობდა - ერთი ბიძგი იყო საჭირო და უმალ მივიდოდა უკანასკნელ ზღვრამდე და ისეთ რამეს ჩაიდენდა, ისეთ საზიზღრობას, არა მარტო საზიზღრობას, არამედ რაიმე ისეთ დანაშაულს ან გამოხდომას, რომლის გამოც კაცი შეიძლება კანონით დაისაჯოს კიდეც. მაგრამ ბოლო მომენტში მას ყოველთვის შეეძლო თავის შეკავება და თვითონვე უკვირდა ხოლმე, როგორ ახერხებდა ამას. ის იღუმენის სასადილოში სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ლოცვა დამთავრდა და ყველა მაგიდისაკენ გაემართა. ფიოდორ პავლოვიჩი ზღურბლთან შეჩერდა, კომპანიას გადახედა და გადაიხარხარა ხანგრძლივი, უტიფარი და ბოროტი სიცილით, თანაც ყველას თავხედურად შეაცქერდა თვალებში.
- ამათ ეგონათ, მე წავედი, მე კი აქა ვარ! - მთელი დარბაზის გასაგონად დაიყვირა მან.
ერთხანს ყველა მიშტერებოდა და ხმას არ იღებდნენ, მერე უცებ მიხვდნენ, რომ

ახლა რაღაც საზიზღარი დომხალი, აურზაური და სკანდალი იწყებოდა. პიოტრ ალექსანდროვიჩი ყველაზე გულმოწყალე განწყობილებიდან უცბად ყველაზე გაშმაგებულზე გადავიდა. ყველაფერი, რაც თითქოს მის გულში ჩამქრალი და მინავლული იყო, უცბად ისევ აღდგა და იფეთქა.
- არა, ამის ატანა არ ძალმიძს! - დაიყვირა მან, - არაფრით არ შემიძლია... არა და არა!
თავში სისხლი აუვარდა. ენა დაება, სწორი მეტყველების დარდი აღარ ჰქონდა და ხელი შლაპას სტაცა.
- რა არ შეუძლია? - იყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა, - „არაფრით არ შეუძლია და არაფრის გულისათვის არ შეუძლია“? თქვენო მაღალღირსებავ, შემოვიდე, თუ არა? მიიღებთ თანამეინახეს?
- გულითა და სულით გთხოვთ, მობრძანდით, - უპასუხა იღუმენმა, - ბატონებო, ჩემს თავს ნებას მივცემ, - დასძინა მან, - გთხოვოთ, თავი დაანებეთ ერთმანეთის შუღლს, შეიყვარეთ ერთმანეთი და იყავით ნათესაურ თანხმობაში, ღმერთს შევევედროთ, მშვიდად ჩატარდეს ჩვენი პურობა.
- არა და არა, ეს შეუძლებელია! - შეურაცხადივით აყვირდა მიუსოვი.
- თუ პიოტრ ალექსანდროვიჩისათვის შეუძლებელია, ჩემთვისაც შეუძლებელია, არც მე დავრჩები. აქ იმიტომ მოვდიოდი, რომ ყველგან პიოტრ ალექსანდროვიჩთან ერთად ვიყო. წახვალთ, პიოტრ ალექსანდროვიჩ, მეც წამოვალ, დარჩებით - მეც დავრჩები. ახლახან ნათესაური თანხმობა ახსენეთ, მამაო იღუმენ: არ მთვლის მე იგი თავის ნათესავად! ასე არ არის ფონ ზონ? აი, ფონ ზონიც აქ არის, გამარჯობათ, ფონ ზონ.
- თქვენ... მე მეუბნებით? - ჩაიბურტყუნა გაკვირვებულმა მაქსიმოვმა.
- რასაკვირველია, შენ, - შესძახა ფიოდორ პავლოვიჩმა. - აბა, ვის? მამა იღუმენი ხომ არ იქნება ფონ ზონი!
- მე ფონ ზონი არ ვარ, მე მაქსიმოვი ვარ.
- არა, შენ ფონ ზონი ხარ. თქვენო მაღალღირსებავ, თქვენ იცით, ვინ არის ფონ ზონი? სისხლის სამართლის პროცესი იყო ასეთი: იგი საროსკიპოში მოკლეს - ასე უწოდებენ, მგონი, თქვენთან ამ დაწესებულებას, - მოკლეს და გაქურდეს, მიუხედავად მისი სოლიდური ასაკისა, მერმე ყუთში ჩატენეს, დააჭედეს და დანომრილი პეტერბურგიდან მოსკოვში გააგზავნეს სატვირთო ვაგონით, როცა ყუთს ჭედავდნენ, მეძავი ქალები მღეროდნენ და გუსლიზე უკრავდნენ. სწორედ ეგ არის ის ფონ ზონი, მკვდრეთით აღმდგარი. ასე არ არის, ფონ ზონ?
- რა არის ეს? რას ჰგავს ეს? - აღშფოთდნენ მღვდელ-მონაზვნები.
- წავედით! - გასძახა მიუსოვმა კალგანოვს.
- არა, ნება მომეცით! - ყვირილით შეაწყვეტინა ფიოდორ პავლოვიჩმა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა ოთახში. - ნება მიბოძეთ, დავამთავრო. იქ, სენაკში ბრალი დამდეს, თითქოს უღირსად მოვიქეცი, რახან ციმორებზე წამოვაყრანტალე რაღაც. ჩემს ნათესავს, პიოტრ ალექსანდროვიჩ მიუსოვს, უყვარს ლაპარაკის დროს plus de noblesse que de sincerite[26] მე კი პირიქით, მიყვარს ჩემი ლაპარაკის დროს იყოს plus de sincerite que de noblesse[27], მიმიფურთხებია noblesse-ისთვის! ასე არ არის, ფონ ზონ? მამაო იღუმენ, ნება მომეცით, გითხრათ: მართალია, ტაკიმასხარა ვარ და წარმოგიდექით კიდეც ასეთად, მე მაინც სინდისის რაინდი გახლავართ. დიახ, ბატონებო, მე სინდისის რაინდი ვარ, ხოლო პიოტრ ალექსანდროვიჩს შელახული თავმოყვარეობა აქვს და მეტი არაფერი. იქნებ აქ იმიტომ მოვედი,

რომ მინდა ვნახო, რა ხდება და ჩემი აზრი გამოვთქვა. ჩემს შვილს, ალექსეის, სურს ხსნა აქ ჰპოვოს; მე მამა ვარ და მისი ხვედრი მაღელვებს, ვალდებული ვარ, ვიზრუნო მასზე. მე თქვენ გისმენდით და ჩემს თავს წარმოვიდგენდი, თანაც ჩუმად გაკვირდებოდით, ახლა კი მინდა, წარმოდგენის ბოლო აქტი გიჩვენოთ. ჩვენთან ხომ ასეა, რაც ერთხელ დაეცემა, ის სულ ერთთავად გდია, საუკუნოდ უნდა ეგდოს. ეგრეც არ არის! მე ადგომა მინდა. წმინდა მამებო, აღშფოთებული ვარ თქვენით. აღსარება დიდი საიდუმლოა, მისდამი ღრმა მოწიწებით ვარ გამსჭვალული და მზად ვარ, მუხლებზე დავემხო. იქ კი, სენაკში, ყველა მუხლმოდრეკილი ხმამაღლა ამბობდა აღსარებას. განა ხმამაღლა აღსარება შეიძლება?! წმინდა მამების მიერ დადგენილია ყურთან, ჩურჩულით აღსარების თქმა, მაშინ იქნება თქვენი აღსარება საიდუმლო - ასე იყო ძველთაგანვე. თორემ როგორ ავუხსნა მას, ყველას გასაგონად, რომ მე, ესა და ისა ვარ, ასეთი და ისეთი, გამიგეთ? ხანდახან თქმა გეთაკილება. სწორედ ესაა სკანდალი! არა, მამებო, თქვენთან შეიძლება ხლისტოვშჩინაშიც[28] კი გაეხვიოს კაცი... როგორც კი საშუალება მომეცემა, ყოველივე ამას სინოდს შევატყობინებ, ჩემს შვილს, ალექსეის კი შინ წავიყვან...

ნოტაბენე. ფიოდორ პავლოვიჩს გაგებული ჰქონდა ერთი მითქმა-მოთქმის შესახებ. ოდესღაც გავრცელდა ბოროტი ხმები, რამაც არქიელამდეც კი მიაღწია (არა მარტო ჩვენი მონასტრის შესახებ, არამედ სხვა მონასტრებზე, სადაც ბერობის ინსტიტუტი იყო დამკვიდრებული), რომ თითქოს მონასტრებში ბერები უფრო დიდ პატივში იყვნენ, ვიდრე იღუმენები და ვითომ ეს ბერები ბოროტად არღვევდნენ აღსარების საიდუმლოს და ა.შ. და ა.შ. ეს შეუსაბამო ბრალდებები მაშინ ყველგან ისმოდა, ჩვენთანაც და სხვაგანაც. ახლა ხეპრე ეშმაკი კი ფიოდორ პავლოვიჩის ნერვებს ჩასჭიდებოდა და სულ უფრო შორსა და შორს, სამარცხვინო უფსკრულისაკენ მიათრევდა. ეს მან უკარნახა ძველთაძველი ბრალდება, რისაც ფიოდორ პავლოვიჩს ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა. რისი თქმაც უნდოდა, ისიც ვერ თქვა გასაგებად, მით უმეტეს, რომ იმჟამად ბერის სენაკში არავის მუხლმოდრეკილს ხმამაღლა აღსარება არ უთქვამს. ასე რომ, არაფერი ამგვარი სენაკში ფიოდორ პავლოვიჩს არ უნახავს. მან ეს ყველაფერი მოიგონა იმ ძველ ჭორებზე დაყრდნობით, ახლა რომ გაახსენდა. მაგრამ როგორც კი ეს სისულელე გამოთქვა, უმალ მიხვდა, რომ გადაამლაშა და უცებ მოუნდა მსმენელებისათვის დაემტკიცებინა, უფრო სწორად კი თავისი თავისათვის, რომ სისულელე არ უთქვამს. თუმცა კარგად იცოდა, ყოველი ახალი სიტყვა უფრო და უფრო სულელურს გახდიდა უკვე ნათქვამს - მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და შეუბერა და შეუბერა.

- ეს რა უმსგავსობაა! - დაიყვირა პიოტრ ალექსანდროვიჩმა.

- მაპატიეთ, - თქვა უცებ იღუმენმა, - ძველთაგან უთქვამთ: „და მლანძღავდნენ მრავალნი უშვერი სიტყვებითა, მე მათ ვუსმენდი და თავს ვეუბნებოდი, ესე არს ექიმობაი იესოსი, ჩემი ამაყი სულის გადასარჩენად.“ ამიტომ ჩვენ უმორჩილესად დიდ მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო სტუმარო!

იღუმენი წელში მოიხარა, მდაბლად მადლობა გადაუხადა ფიოდორ პავლოვიჩს.

- აპაპაპა! პირმოთნეობა და მოძველებული ფრაზები! მოძველებული ფრაზები და მოძველებული ჟესტები! ძველი სიცრუე და მდაბლად თაყვანისცემის ფორმალობა. ვიცით ჩვენ, ეს თაყვანისცემა რაც არის! „პირზე კოცნა და გულში ხანჯალი“, როგორც შილერის „ყაჩაღებშია“. არ მიყვარს, მამებო, სიყალბე,

ჭეშმარიტება მწყურია! ციმორებში არ არის ჭეშმარიტება, მე ეს უკვე განვაცხადე! მამა მონაზვნებო, რისთვის მარხულობთ? რატომ გგონიათ, რომ ამისათვის ზეცაში ღვთიურ წყალობას მიიღებთ? ასეთი წყალობისათვის ხომ მეც ვიმარხულებდი! არა, წმინდა მონაზონო, მონასტერში მზამზარეულზე ყოფნას და ზეცაში ღვთიური წყალობის ლოდინს, გიჯობს ცხოვრებაში კეთილი საქმეები აკეთო და საზოგადოებას სარგებლობა მოუტანო - ეს გაცილებით უფრო ძნელია. მეც შემძლებია, არა, მამაო იღუმენო, დალაგებულად ლაპარაკი. ვნახო, ერთი რითი გვიმასპინძლდებიან? - ფიოდორ პავლოვიჩი მაგიდას მიუახლოვდა. - ძველი პორტვეინი „ფაქტორი“, ძმები ელისეევების ჩამოსხმული თაფლუჭა, იფ, იფ, იფ, მამებო! ციმორებს სულაც არა ჰგავს. დახეთ, ბოთლები ჩამოულაგებიათ მამებს, ჰი, ჰი, ჰი! ვინ მოიტანა ყოველივე ეს აქ? რუსმა გლეხმა, მშრომელმა კაცმა, თავისი დაკოჟრილი ხელებით მოწეული, თავის ოჯახსა და სახელმწიფო ხაზინას დააკლო! წმინდა მამებო, თქვენ ხალხს სისხლსა სწოვთ!
- ეს უკვე მეტისმეტია, - თქვა მამა იოსიფმა. მამა პაისი კი ჯიუტად დუმდა. მიუსოვი ოთახიდან გავარდა, მას უკან კალგანოვი მიჰყვა.
- ასე, მამებო, მე ახლა პიოტრ ალექსანდროვიჩს გავყვები! თქვენთან კი აწი აღარ მოვალ, მუხლმოდრეკითაც რომ მევედროთ, მაინც არ მოვალ. ათასი მანეთი გამოგიგზავნეთ, ვხედავ, კიდევ მოგდომებიათ, ხა, ხა, ხა! არა, მეტს არაფერს მიიღებთ! შურს ვიძიებ ჩემს გარდასულ ახალგაზრდობაზე, ყველა ჩემი დამცირების გამო! - თამაშის ეშხში შესულმა მაგიდას ხელი დაჰკრა. - ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ მონასტერმა ჩემს ცხოვრებაში! ბევრი მწარე ცრემლი მდენია მისი გამოისობით! თქვენ ჩემი ბნედიანი ცოლი ამიმხედრეთ. თქვენ მე შვიდ ტაძარში შემაჩვენეთ და ქვეყანას მოსდეთ ეს ამბავი! კმარა, მამებო, ახლა ლიბერალობის დროა, ორთქლის გემებისა და რკინიგზის ჟამი. არათუ ათას მანეთს, კაპიკსაც ვეღარ მიიღებთ ჩემგან!
კვლავ ნოტაბენე. მის ცხოვრებაში არასოდეს არაფერს წარმოადგენდა ჩვენი მონასტერი და არც ერთი მწარე ცრემლი მისი გამოისობით არ დაუღვრია. მაგრამ იგი ისე გაერთო თამაშით, რომ გულაჩუყებულს ცრემლიც კი მოადგა, მართლა დაიჯერა საკუთარი ნათქვამი; მაგრამ უცებ მეორე წამში იგრძნო, რომ საჭიროა უკან დახევა. იღუმენმა ამ საშინელი სიცრუის მოსმენის შემდეგ თავი დახარა და ისევ შთაგონებით წარმოთქვა:
- თქმულია: „დათმენით, სიხარულით მზერდე სირცხვილსა, რომელშიც შენ უნებურად ცილსა გწამებენ, ვიდრე შეცბუნდე და მოიძულო ცილისმწამებელი შენი“. ჩვენც ასე მოვიქცევით.
- აპაპაპა, ისევ ლათაიები! სხვადასხვა აბდაუბდა! თქვენ იმსჯელეთ, მამებო, მე კი წავალ. დღეიდან ჩემი შვილი, ალექსეი, საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ მეყოლება. ივან ფიოდოროვიჩ, პატივცემულო შვილო ჩემო, ნება მიბოძეთ, გიბრძანოთ თანხლება! ფონ ზონ, შენ აქ რაღა გინდა! წამოდი ჩემთან ქალაქში, იქ მხიარულებაა. იქამდე რაღაც ერთი ვერსი იქნება, სამარხულო საჭმლის მაგიერ გოჭის ხორცს გაჭმევ; ვისადილოთ; კონიაკს დაგალევინებ, შემდეგ ლიქიორს; მამუროვკაც[29] მაქვს... ჰეი, ფონ ზონ, ნუ გაუშვებ იღბალს ხელიდან.
იგი ყვირილითა და ხელების ქნევით გავიდა სატრაპეზოდან. სწორედ მაშინ მოჰკრა მას თვალი რაკიტინმა და ალიოშასაც დაანახა.
- ალექსეი! - უყვირა მამამ, როცა შორიდან შეამჩნია, - დღესვე გადმოდი ჩემთან, აიკარ შენი გუდა-ნაბადი და გადმოდი. აწი შენი ფეხი არ ვნახო აქ.

გაშეშებული ალიოშა ჩუმად და ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ სცენას. ამასობაში ფიოდორ პავლოვიჩი ეტლში აძვრა, მას ისე კრიჭაშეკრული მიჰყვა ივანი, ისე რომ ალიოშასაკენ დასამშვიდობებლადაც არ მიუხედავს. ამ დროს მოხდა კიდევ ერთი სასეირო და უცნაური სცენა, რომელმაც ეს ეპიზოდი დააგვირგვინა. მოულოდნელად ეტლთან გაჩნდა მემამულე მაქსიმოვი. მან ქოშინ-ქოშინით მოირბინა, შეშინებული იყო, არ გამასწრონო. რაკიტინი და ალიოშა ხედავდნენ, როგორ გარბოდა, სიჩქარისა და მოუთმენლობისაგან როგორ შედგა ცალი ფეხით ეტლის საფეხურზე, სადაც ივანს ჯერ კიდევ მარცხენა ფეხი ედგა, ძარას ჩაეჭიდა და ხტუნვა-ხტუნვით ცდილობდა ეტლზე ასვლას.
- მეც თქვენთან, მეც თქვენთან წამოვალ! - სახეგაკრეჭილი და ნეტარებამოსილი მიხტუნავდა და ყვიროდა იგი, - მეც წამიყვანეთ!
- ხომ ვთქვი, - იყვირა აღტაცებულმა ფიოდორ პავლოვიჩმა, - ეს ნამდვილი ფონ ზონია-მეთქი! ეს ნაღდი მკვდრეთით აღმდგარი ფონ ზონია! როგორ გამოაღწიე იქიდან? რა იფონზონე ისეთი, რომ სადილიდან წამოხვედი? არ გინდა, ასეთი მაგარი შუბლი გქონდეს?! მეც მაგარი შუბლი მაქვს, ძმობილო, მაგრამ შენ გამაკვირვე! ამოხტი, ამოხტი, ჩქარა! შემოუშვი, ვანია, გაგვამხიარულებს. აქ, სადღაც ფეხებთან წამოწვება. ხომ წამოწვები, ფონ ზონ? ან მეეტლის გვერდით კოფოზე დავსვათ?... ამოხტი კოფოზე, ფონ ზონ!...
მაგრამ ივანმა, როგორც კი დაჯდა, უცებ ხმაამოუღებლივ, მთელი ძალით მკერდზე ხელი ჰკრა მაქსიმოვს და ერთ საჟენზე გადააგდო. არ დაცემულა, რაღაც ბედად გადარჩა.
- წადი! - შესძახა მეეტლეს გაავებულმა ივანმა.
- ეს რა ჩაიდინე? ეს რა ჰქენი? რატომ მოექეცი ასე? - წამოხტა ფიოდორ პავლოვიჩი, მაგრამ ეტლი უკვე დაიძრა. ივანს ხმა არ ამოუღია.
- ამას დამიხედე! - ერთ-ორ წუთს დუმდა ფიოდორ პავლოვიჩი და შემდეგ ალაპარაკდა, თან ალმაცერად გადახედა თავის შვილს. - თავად აიტეხე მონასტერი, შეგვაგულიანე და წაგვაქეზე, ახლა რატომღა ბრაზობ?
- გეყოფათ სისულელეების ჩმახვა, ახლა მაინც მოისვენეთ, - მკაცრად მოუჭრა მან.
ფიოდორ პავლოვიჩი ისევ ერთ-ორ წუთს დადუმდა.
- ახლა კარგი იქნებოდა კონიაკი, - სენტენციურად შენიშნა მან, მაგრამ შვილმა არაფერი უპასუხა.
- მივალთ და შენც დალიე.
ივანი კვლავ კრინტს არ ძრავდა.
ფიოდორ პავლოვიჩმა კიდევ ორ წუთამდე დაახანა.
- ალიოშკას მონასტრიდან მაინც წამოვიყვან, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ეს არ გესიამოვნებათ, პატივცემულო კარლ ფონ მოორო.
ივანმა მხრები აიჩეჩა, მიბრუნდა და გზას დაუწყო ყურება. ამის შემდეგ სახლამდე ორივე ხმაგაკმენდილი იჯდა.

წიგნი მესამე. ავხორცები

I სალაქიოში

ფიოდორ პავლოვიჩის სახლი ქალაქის ცენტრში არ მდებარეობდა, მაგრამ არც გარეუბნად ითვლებოდა. საკმაოდ ძველი სახლი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურებოდა: ერთსართულიანი, მეზონინიანი შენობა, ნაცრისფრად შეღებილი კედლებითა და წითელი სახურავით. მოკლედ, კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე ეწერა. საცხოვრებლადაც საკმაოდ მოსახერხებელი გახლდათ: დიდი ფართი და მრავალი საკუჭნაო, სამალავი და მოულოდნელი პატარ-პატარა კიბეები. სახლში ვირთხები არხეინად დასეირნობდნენ, მაგრამ ფიოდორ პავლოვიჩს მათზე გული არ მოსდიოდა: „საღამოობით მარტო რომ ვრჩები, არც ისე მოსაწყენიაო“. მას, მართლაც, ჩვევად ჰქონდა ღამღამობით მსახურების გაშვება ფლიგელში, თავად კი ჩაკეტილ სახლში მარტოდმარტო რჩებოდა ხოლმე. ფართო და მყარად ნაშენი ფლიგელი ეზოში იდგა. ფიოდორ პავლოვიჩისათვის კერძები იქ მზადდებოდა, თუმცა სახლსაც ჰქონდა სამზარეულო ოთახი. ფიოდორ პავლოვიჩი სამზარეულოს სუნს ვერ იტანდა და ზამთარ-ზაფხულ კერძები სახლში ეზოს გავლით შემოჰქონდათ ხოლმე. საერთოდ, სახლი დიდი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი: ბატონებიცა და მსახურ-მოახლენი ხუთჯერ მეტი დაეტეოდა. ჩვენი თხრობის პერიოდისათვის სახლში მხოლოდ ფიოდორ პავლოვიჩი და ივან ფიოდოროვიჩი ცხოვრობდნენ, ხოლო სალაქიო ფლიგელში სამი მოსამსახურე: მოხუცი გრიგორი, მისი ბებრუხანა ცოლი მარფა და ლაქია სმერდიაკოვი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი. ამ მოსამსახურეებზე ცოტა დაწვრილებით მოგვიწევს ლაპარაკი. მოხუცი გრიგორი კუტუზოვის შესახებ საუბარი ჩვენ უკვე გვქონდა. ეს გახლდათ მტკიცე და შეუდრეკელი, ერთი დასახული მიზნისაკენ შეუპოვრად და სწორხაზოვნად მიმავალი, პატიოსანი და მოუსყიდველი პიროვნება. მისი ცოლი, მარფა იგნატიევნა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი ცხოვრება ქმრის მორჩილებაში გაატარა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქმარს შეუჩნდა, მოშორებოდნენ ფიოდორ პავლოვიჩს და გადასულიყვნენ მოსკოვში, იქ ერთი პატარა დუქანი გაეხსნათ და თავის გემოზე ეცხოვრათ (იმ დროისათვის ცოტაოდენი ფული ჰქონდათ მოგროვილი); მაგრამ მაშინ გრიგორიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ დედაკაცი მიჰქარავდა, „რამეთუ ყველა დედაკაცი უსინდისოა“, რომ ძველი ბატონისაგან წასვლა არ შეიძლება, როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ის, „რადგან ეს არის ჩვენი ახლანდელი მოვალეობაო“.

- შენ გესმის, რა არის მოვალეობა? - ჰკითხა მან მარფა იგნატიევნას.

- კარგად ვიცი, მოვალეობა რაც არის, გრიგორი ვასილევიჩ, მაგრამ რატომ არის ჩვენი მოვალეობა აქ დარჩენა, ამის არაფერი გამეგება, - მიუგო თავის ნათქვამში მტკიცედ დარწმუნებულმა მარფა იგნატიევნამ.

- ნუ გაგეგება, მაგრამ ეს ასე იქნება და აწი შენი ხმა აღარ გავიგონო.

ასეც მოხდა: ისინი არსადაც არ წასულან. ფიოდორ პავლოვიჩმა მცირეოდენი ჯამაგირი დაუნიშნა მათ და უხდიდა კიდეც. გარდა ამისა, გრიგორიმ კარგად იცოდა, რომ ბატონზე გავლენა ჰქონდა. ამას გრძნობდა და არაფერი ეშლებოდა. ეშმაკი და ჯიუტი ტაკიმასხარა, ფიოდორ პავლოვიჩი, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „ზოგიერთ ცხოვრებისეულ საკითხში“ მტკიცე ხასიათს იჩენდა, მაგრამ

ზოგ საკითხში ისეთ სისუსტეს ამჟღავნებდა, თავადაც გაკვირებული რჩებოდა. მან კარგად იცოდა, რა საკითხები იყო ეს და ბევრი რამისაც ეშინოდა. ცხოვრების ზოგიერთი საკითხი ყურებდაცქვეტილ ყოფნას მოითხოვს, ეს კი ძნელად განსახორციელებელია ერთგული კაცის გარეშე, გრიგორისნაირ ერთგულ კაცს კი ვერსად ნახავდი. თავისი კარიერის მანძილზე ფიოდორ პავლოვიჩს ბევრჯერ ჰქონია შემთხვევა, როცა კინაღამ მიბეგვეს, ასეთ შემთხვევაში კი გრიგორი ყოველთვის მისი გადამრჩენელი იყო, თუმცა ამის შემდეგ გაუთავებლად ჭკუას არიგებდა ხოლმე. მაგრამ მარტო ცემა-ტყეპის შიში არ ჰქონდა ფიოდორ პავლოვიჩს: ყოფილა ხოლმე განსაკუთრებულად რთული და ფაქიზი შემთხვევები, როცა ფიოდორ პავლოვიჩი თვითონაც ვერ ერკვეოდა რატომ, ისე მომენტალურად და გაუცნობიერებლად შეიგრძნობდა ხოლმე ერთგული და ახლობელი კაცის არაჩვეულებრივ მოთხოვნილებას. ეს იყო თითქმის ავადმყოფური მდგომარეობა: გარყვნილების და მრუშობის დროს ავი მწერივით დაუნდობელ ფიოდორ პავლოვიჩს ხანდახან, სიმთვრალეში, ისეთი სულიერი შიში და ზნეობრივი გაუწონასწორებლობა დაეუფლებოდა ხოლმე, რომ ლამის ფიზიკურ ტკივილში გადასდიოდა. „ასეთ წუთებში ყელში თითქოს სულის თრთოლვას ვგრძნობო," - ამბობდა ხოლმე. სწორედ ასეთ დროს მოთხოვნილება უჩნდებოდა, თავის ახლოს, მის ოთახში თუ არა, ფლიგელში მაინც, ჰგულებოდა ისეთი ერთგული, უდრეკი, არამისნაირი, გაურყვნელი ადამიანი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველა უმსგავსობის თვითმხილველი იყო და ფლობდა ყველა მის საიდუმლოს, მაინც, თავისი ერთგულების გამო, შეეძლო, ეპატიებინა ყოველივე, არ გაეწია წინააღმდეგობა, რაც მთავარია - არ გაელანძღა და არ დამუქრებოდა არც საიქიოთი და არც სააქაოთი, საჭიროების შემთხვევაში კი დაეცვა კიდეც, - ვისგან? ვიღაც უცნობი, საშინელი და შემაძრწუნებელი ვინმესაგან. საქმე სწორედ ის იყო, რომ ეს უნდა ყოფილიყო აუცილებლად ძველისძველი ნაცნობი და მისდამი მეგობრულად განწყობილი ადამიანი, რომ მძიმე წუთებში შეძლებოდა მისი მოხმობა, თუნდაც იმიტომ, რომ ეხილა იმისი სახე, ეთქვა მისთვის ერთი-ორი სიტყვა, თუნდაც არაფრის მთქმელი, და თუ ამის შემდეგ არ გაუბრაზდებოდა, გულზე მოეშვებოდა, თუ გაუნაწყენდებოდა, მაშინ სევდა შემოაწვებოდა. იყო შემთხვევები (თუმცა ძალზე იშვიათად) - ფიოდორ პავლოვიჩი ღამით მივიდოდა ხოლმე ფლიგელში, გააღვიძებდა გრიგორის და უბრძანებდა, ცოტა ხნით მასთან მისულიყო, ისიც მიდიოდა. ფიოდორ პავლოვიჩი იწყებდა ლაპარაკს ათასნაირ წვრილმანზე, ხან ოხუნჯობდა, ხან აპამპულებდა და მალე გაუშვებდა, თვითონ კი გულს მოეშვებოდა, დაწვებოდა და ჩვილი ბავშვივით ჩაეძინებოდა. რაღაც ამგვარი დაემართა ფიოდორ პავლოვიჩს ალიოშას ჩამოსვლის შემდეგ. ალიოშამ „განგმირა მისი გული" იმიტომ, რომ „ცხოვრობდა, ყველაფერს ხედავდა და ძვირს არაფერზე ამბობდა". ეს კიდევ რაა, მან თან მოიტანა არნახული რამ: მას ნატამალი სიძულვილისა არ ჰქონდა მოხუცის მიმართ, პირიქით - მუდამ ალერსით, ბუნებრივი და გულწრფელი სიყვარულით ექცეოდა მამას, რომელიც არ იყო ამის ღირსი. ყველაფერი ეს ბებერი, უოჯახო ჩათლახისათვის, რომელიც აქამდე მხოლოდ „სიბილწეს" აღმერთებდა, საოცარი და მოულოდნელი იყო. ალიოშას წასვლის შემდეგ თავს გამოუტყდა, რომ შეიცნო ისეთი რამ, რისი გაგებაც აქამდე არ სურდა.

ჩემი თხრობის დასაწყისში აღვნიშნე, თუ როგორ არ უყვარდა გრიგორის ადელაიდა ივანოვნა, ფიოდორ პავლოვიჩის პირველი ცოლი და დმიტრის დედა,

და პირიქით, როგორ იცავდა მის მეორე ცოლს, ავზნიან სოფია ივანოვნას, როგორც თავისი ბატონისაგან, ასევე ყველასაგან, ვისაც კი მოესურვებოდა მისი ავად ხსენება. მას ამ უბედური ქალისადმი სიმპათია ისეთ რაღაცნაირ წმიდათაწმიდა მოვალეობად ექცა, რომ ოცი წლის შემდეგაც მასზე ოდნავ ცუდად გადაკრულ სიტყვასაც ვერ ითმენდა და მაშინვე პასუხს გასცემდა ხოლმე მის ავად მომხსენიებელს. გარეგნულად გრიგორის ცივი და სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, არ უყვარდა ყბედობა, საფუძვლიანი და საზრიანი ლაპარაკი იცოდა. ერთი შეხედვით, შეუძლებელი იყო იმის თქმა, უყვარდა თუ არა მას თავისი მორჩილი და სიტყვაშეუბრუნებელი ცოლი; ამ დროს სინამდვილეში უყვარდა და ეს ქალმა კარგად იცოდა. მარფა იგნატიევნა არ იყო უჭკუო ქალი, პირიქით, ცხოვრებისეულ საკითხებში ქმარზე ჭკვიანიც გახლდათ, წინდახედულობით სჯაბნიდა კიდეც, მიუხედავად ამისა, ქმარს უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ქორწინების პირველი დღეებიდანვე დიდ პატივს სცემდა მის სულიერ სიწმინდეს. ისიც აღსანიშნავია, რომ მთელი თავიანთი ერთად ცხოვრების მანძილზე ისინი ერთმანეთს ძალიან ცოტას ელაპარაკებოდნენ, ისიც მხოლოდ აუცილებელ და მიმდინარე საკითხებზე. ამაყი და მედიდური გრიგორი თავის საქმეებსა და საზრუნავზე განმარტოებული ფიქრობდა, მარფა იგნატიევნა კი ერთხელ და სამუდამოდ მიხვდა, გრიგორის მისი რჩევები არ სჭირდებოდა. იმასაც გრძნობდა, რომ ქმარი აფასებდა ცოლის სიტყვაძუნწობას და ამაში მის გონიერებას ხედავდა. გრიგორი ცოლს არ სცემდა, თუ არ ჩავთლით ერთ მსუბუქ შემთხვევას. ერთხელ ადელაიდა ივანოვნასა და ფიოდორ პავლოვიჩის ქორწინების პირველ წელს სოფელში ყოფნის დროს, მაშინ ჯერ კიდევ ბატონყმობა იყო, ბატონის ეზოში სოფლის ქალ-რძალს საცეკვაოდ და სასიმღეროდ თავი მოეყარა. როცა ქალებმა საფერხულო სიმღერა დაიწყეს, უცებ მარფა იგნატიევნა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, გამოხტა და განსაკუთრებული მანერით ჩამოუარა, არა ისე, როგორც სოფლის ქალები ცეკვავდნენ, არამედ ისე, როგორც მას მდიდარი მიუსოვების საოჯახო თეატრში შინაყმად ყოფნის დროს მოსკოვიდან ჩამოსულმა ტანცმეისტერმა ასწავლა. გრიგორიმ ნახა, როგორ ჩამოუარა მისმა ცოლმა და ერთი საათის შემდეგ, როცა ქალი ქოხში დაბრუნდა, ის თმების ოდნავ მოქაჩვით დატუქსა. ეს იყო და ეს, ამის მეტად გრიგორის მარფასათვის ხელი არ უხლია, არც ასეთი შემთხვევა გამეორებულა მთელი მათი ცხოვრების მანძილზე, მარფას ამის შემდეგ აღარ უცეკვია.

ღმერთმა შვილები არ მისცა. ერთი ჰყავდათ და ისიც წაართვა. გრიგორის ბავშვები უყვარდა, არ მალავდა, არ რცხვენოდა ამის გამხელა. ადელაიდა ივანოვნას გაქცევის შემდეგ სამი წლის დმიტრი მის ხელში დარჩა და თითქმის ერთი წლის განმავლობაში მასთან იზრდებოდა. თვითონ ვარცხნიდა და თვითონ აბანავებდა ხოლმე ვარცლში. შემდეგ ივანსა და ალიოშაზე ზრუნავდა, რისთვისაც სილა გააწნეს, თუმცა ამის შესახებ უკვე მოვყევი. საკუთარმა შვილმა მხოლოდ იმედით გაახარა, როცა მარფას ფეხმძიმობა შეიტყო. ბავშვის დაბადებამ კი მწარე გულისტკივილი განაცდევინა. საქმე ის იყო, რომ ბიჭუნა ექვსთითა დაიბადა. ამან ისე სასტიკად იმოქმედა გრიგორიზე, რომ ხმა ჩაუვარდა, დადუმდა, ბავშვის ნათლობამდე კრინტი არ დაუძრავს. ხანდახან განგებ მიდიოდა ბაღჩაში, ხმა რომ არ ამოეღო. გაზაფხული იდგა, გრიგორი უკვე სამი დღის განმავლობაში ბოსტანში კვლებს ბარავდა. მესამე დღეს კი, წესის მიხედვით, ჩვილი უნდა მოენათლა. ამ

დროისათვის გრიგორის რაღაც ჰქონდა მოფიქრებული. როცა ქოხში შევიდა, იქ სტუმრები დახვდნენ - სასულიერო პირები და ფიოდორ პავლოვიჩი, მომავალი ნათლია. ქოხში შესვლისთანავე განაცხადა: „არ არის საჭირო ბავშვის მონათვლა“, - მან ეს მშვიდად თქვა, სიტყვებისათვის ხაზი არ გაუსვამს, თითოეულ სიტყვას ძლივს გამოთქვამდა და უაზროდ მიშტერებოდა მღვდელს.
- ეგ რატომ? - მხიარულად იკითხა გაკვირვებულმა მღვდელმა.
- იმიტომ რომ... ურჩხულია.... - ჩაიბურტყუნა გრიგორიმ.
- როგორ თუ ურჩხული, რა ურჩხული?
გრიგორი ერთხანს დუმდა.
- ბუნებას რაღაც აერია... - ჩაიბურტყუნა მან საკმაოდ გაურკვევლად, მაგრამ ისე მტკიცედ, რომ ეტყობოდა, ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება აღარ სურდა.
ყველას გაეცინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საბრალო ბავშვი მაინც მონათლეს. გრიგორი ემბაზთან გულმოდგინედ ლოცულობდა, თუმცა ახალშობილზე თავისი აზრი არ შეცვლია და არც არავისათვის შეუშლია ხელი. იმ ორი კვირის განმავლობაში, რამდენ ხანსაც ამ ჩვილმა იცოცხლა, გრიგორის მისთვის სახეში არ შეუხედავს, მისი დანახვაც არ უნდოდა და ამიტომ ქოხიდან განგებ გადიოდა ხოლმე. მაგრამ როცა ორი კვირის თავზე ბავშვი რძიანათი გარდაიცვალა, თავად ჩააწვინა კუბოში და ღრმა მწუხარებით დაჰყურებდა ცხედარს. როდესაც ჩვილის მომცრო, არც ისე ღრმა საფლავი მიწით ამოავსეს, გრიგორი მუხლებზე დაემხო და მიწამდე თაყვანი სცა საფლავს. მას შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, შვილის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, არც მარფას უხსენებია გრიგორის თანდასწრებით შვილი. როცა მარფა ვინმესთან თავის „შვილიკოზე“ ლაპარაკობდა ხოლმე, ჩურჩულებდა, თუმცა ამ დროს გრიგორი ახლომახლო არსად იმყოფებოდა. როგორც მარფა იგნატიევნა ამბობდა, გრიგორიმ ბავშვის დამარხვის შემდეგ „საღმრთო“ საქმეს მოჰკიდა ხელი, იჯდა თავისთვის ჩუმად და ვერცხლის მრგვალი დიდი სათვალეებით „ჩეტიმინეის“ კითხულობდა. ხმამაღლა იშვიათად კითხულობდა, მხოლოდ დიდმარხვის დროს. უყვარდა იობის წიგნი, სადღაც იშოვა „ღვთისმოსავ მამა ისაკ სირიელის“ სიტყვათა და ქადაგებათა ნუსხა და მრავალი წლის განმავლობაში ჯიუტად ჩაჰკირკიტებდა მას, თუმცა თითქმის არაფერი გაეგებოდა და ალბათ ამიტომაც ყველაზე მეტად უყვარდა ეს წიგნი. უკანაკნელ ხანებში მოინდომა მეზობლად მცხოვრები ხლისტების მოძღვრებაში გარკვევა; ეტყობა, ამ სწავლებამ თავზარი დასცა, მაგრამ ახალ რწმენაზე გადასვლა საჭიროდ არ ჩათვალა. საღმრთო წიგნების კითხვამ, რასაკვირველია, მის ფიზიონომიას უფრო მეტი მედიდურობა შეჰმატა.
შესაძლოა, გრიგორის მისტიციზმისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. ამას გარდა, თითქოს განზრახ, მისი ექვსთითა ბავშვის დაბადებასა და სიკვდილს ერთი საკმაოდ უცნაური, მოულოდნელი და ორიგინალური შემთხვევა დაემთხვა, რომელმაც, როგორც თავად შემდგომში განაცხადა, სულზე დიდი დაღი დააჩნია. ისე მოხდა, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ექვსთითა ჩვილი მიაბარეს მიწას, ღამით შემთხვევით გაღვიძებულ მარფას თითქოს ბავშვის ტირილი მოესმა. შეშინებულმა გააღვიძა ქმარი, რომელიც დაყურადდა და აღნიშნა, ბავშვი კი არაა, ვიღაცა კვნესის, მგონი ქალიაო. ადგა და ჩაიცვა. მაისის თბილი ღამე იდგა. ზღურბლზე გამოსულმა ბაღიდან ქალის კვნესა გარკვევით გაიგონა. მაგრამ ბაღი ღამღამობით ეზოდან კლიტით იკეტებოდა ხოლმე. შიგ შესვლა დაკეტილ კარს გარდა არსაიდან შეიძლებოდა, რადგან ბაღს გარშემო მაგარი და მაღალი

გალავანი ერტყა. გრიგორი შინ შემობრუნდა, ფარანი აანთო, ბაღის გასაღები აიღო და, მიუხედავად ცოლის ისტერიული შიშისა: ბაღიდან ჩემი ბიჭუნას ტირილი ისმის, ალბათ მე მიხმობსო - ჩუმად გავიდა ბაღში. იქ საბოოლოდ დარწმუნდა, რომ კვნესა ჭიშკართან ახლოს ბაღში მდგარი აბანოდან ისმოდა. ნამდვილად ქალი კვნესოდა. აბანოს კარი გამოაღო და ისეთი სანახაობა დახვდა, გაქვავდა: იატაკზე ახალნამშობიარები, მოხეტიალე გიჟი ლიზავეტა სმერდიაშჩაია იწვა და სულს ღაფავდა, ჩვილი გვერდით ეწვა. ქალი არაფერს ამბობდა, ვინაიდან ლაპარაკი არ იცოდა. მის შესახებ ახლა დაწვრილებით მინდა მოგიყვეთ.

II ლიზავეტა სმერდიაშჩაია

ამ განსაკუთრებულმა ვითარებამ გრიგორი ძალზე შეაშფოთა და საბოლოოდ გააძლიერა მისი ადრინდელი ერთი უსიამო და საზიზღარი ეჭვი. ლიზავეტა სმერდიაშჩაია ძალიან დაბალი ქალი იყო, „ორი არშინიც არ იქნებოდაო“, ასე იგონებდნენ მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ქალაქის ღვთისმოსავი გულაჩუყებული დედაბრები. ოცი წლის ასაკში, ფართო, ჯანსაღი და ღაჟღაჟა სახიანი ლიზავეტა ნამდვილ იდიოტს ჰგავდა, თვალთამზერა გაყინული და არასასიამოვნო ჰქონდა, თუმცა თვინიერი. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, მხოლოდ ხამი ტილოს პერანგით ფეხშიშველა დატანტალებდა ხოლმე. თავზე ხშირი, მოშავო, ცხვრის ბეწვივით დახუჭუჭებული თმა დიდი ქუდივით ედო. მუდამ მიწაზე წოლისგან ტალახში ამოსვრილი დადიოდა. ტალახთან ერთად ტანზე ფოთლები, ნაფოტები და ნახერხი ჰქონდა მიკრული. მამამისი, ერთი გაკოტრებული და უსახლკარო მეშჩანინი, ილია, იმ დროისათვის დასნეულებული და ძალზე გალოთებული კაცი, უკვე მრავალი წელი ერთი ჩვენებური მდიდარი მეშჩანინის კარზე მოჯამაგირედ იდგა. დედა ადრე მოუკვდა. მუდამ ავადმყოფი და გაბოროტებული ილია არაადამიანურად სცემდა ხოლმე სახლში დაბრუნებულ ლიზავეტას, რომელიც შინ იშვიათად მიდიოდა, რადგან, როგორც ღვთის გლახისათვის, მთელი ქალაქი მის საცხოვრისს წარმოადგენდა. ილიას ბატონები, თავად ილია, ქალაქის ქველმოქმედი ადამიანები, ვაჭრები, განსაკუთრებით ვაჭრის ცოლები არაერთხელ ეცადნენ, ლიზავეტა წესიერად შეემოსათ, პერანგისამარა და ფეხშიშველას რომ არ ევლო. ზამთრობით ტანზე ტყაპუჭს და ფეხებზე ჩექმას აცმევდნენ - ლიზავეტა ამ დროს წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ როგორც კი მათ დაშორდებოდა, სადმე ეკლესიის კარიბჭესთან აუცილებლად გაიხდიდა ყველაფერს, რასაც ჩააცმევდნენ: თავშალი იყო ეს, ქვედატანი, ტყაპუჭი, თუ ჩექმები, - ყველაფერს ერთ ადგილას დაალაგებდა და ისევ ფეხშიშველა და ხამისპერანგა გარბოდა. ერთხელაც ისე მოხდა, რომ ჩვენი გუბერნიის ახალი გუბერნატორი, როცა ჩვენს ქალაქს ათვალიერებდა, ლიზავეტას დანახვაზე ძალიან გაჯავრდა. რასაკვირველია, მიხვდა, სულელი რომ იყო, ასეც მოახსენეს, მაგრამ განკარგულება გასცა: არ შეიძლება ახალგაზრდა ქალი ქუჩა-ქუჩა პერანგისამარა დადიოდეს, ეს ქალაქს არცხვენს და მეორედ მსგავსი არაფერი ვნახოო. გუბერნატორი წავიდა, ლიზავეტა კი როგორც იყო ისე დარჩა. როცა მამა გარდაეცვალა, ის, როგორც ობოლი, ქალაქის ყველა ღვთისნიერი

ადამიანისათვის უფრო საყვარელი გახდა. მართლაც, ყველას უყვარდა, ბიჭუნებიც კი არ დასცინოდნენ, არასოდეს აჯავრებდნენ. ბიჭები კი, მოგეხსენებათ, ჩვენთან, განსაკუთრებით სკოლაში, როგორი ონავრები არიან. ლიზავეტა თავისუფლად შედიოდა უცნობ ოჯახებში და მას სახლიდან არავინ აგდებდა, პირიქით, მიუალერსებდნენ და ხანდახან ფულსაც აძლევდნენ ხოლმე. ნაჩუქარ ფულს მაშინვე წაიღებდა და რომელიმე ეკლესიის ან სატუსაღოს ყულაბაში ჩააგდებდა. ბაზარში ბლითს ან კვერს თუ მისცემდნენ, აუცილებლად პირველ შემხვედრ ბავშვს გაუმასპინძლდებოდა, ან ქუჩაში მიმავალ ყველაზე მდიდარ ქალბატონს გააჩერებდა და იმას მიართმევდა, ქალბატონიც სიხარულით იღებდა საჩუქარს. მხოლოდ პურსა და წყალზე გადადიოდა. იყო შემთხვევები, შევიდოდა სადმე, მდიდრულ მაღაზიაში, დაჯდებოდა, იქვე იდო ძვირფასი საქონელი, ფული, მაღაზიის პატრონები არასოდეს ფრთხილობდნენ, კარგად იცოდნენ, რომ გინდაც ათასები დაეწყოთ მის წინ, იქიდან კაპიკსაც არ აიღებდა. ეკლესიაში იშვიათად თუ შევიდოდა. ან ეკლესიის კარიბჭესთან ეძინა, ან ვინმეს ღობეწნულს იქით (ღობეწნულები დღესაც ბევრია ჩვენთან), ვინმეს ბოსტანში. იმ სახლში, სადაც განსვენებული მამამისი მოჯამაგირეობდა და ბინადრობდა, კვირაში ერთხელ მიდიოდა ხოლმე, ზამთრობით ყოველდღე, ისიც მხოლოდ ღამის გასათევად. ღამეს ათევდა წინკარში ან ბოსელში. ყველას უკვირდა, როგორ იტანდა ასეთ ცხოვრებას, მაგრამ ეტყობა შეჩვეული იყო. ტანად დაბალს არაჩვეულებრივად მაგარი აგებულება ჰქონდა. მავანნი ამტკიცებდნენ, რომ იგი ამას სიამაყის გამო აკეთებდა, მაგრამ ქალს, რომელსაც ლაპარაკიც არ შეეძლო, მხოლოდ ხანდახან ენას თუ აამოძრავებდა და ღმუოდა, რა სიამაყე უნდა ჰქონოდა. ერთხელ (დიდი ხნის წინათ), სექტემბრის ნათელ, თბილ და მთვარიან, ჩვენი ქალაქისათვის საკმაოდ გვიან ღამეს, ჩვენი ქალაქელი ბატონკაცების შექეიფიანებული კომპანია, ასე ხუთი-ექვსი ჯეელი, კლუბიდან „უკანა ეზოების“ გავლით, სახლებში ბრუნდებოდა. შუკის ორივე მხარეს ღობეწნული გასდევდა, რომლის იქით ახლომდებარე სახლების ბოსტნები იყო გაშენებული. შუკა მთავრდებოდა ჩვენი ქალაქის აქოთებულ და გრძელ ტბორზე გადებულ წანწალასთან. ამ ტბორს ხანდახან მდინარესაც კი უწოდებდნენ. ნაბახუსევმა კომპანიამ ღობეწნულთან, ჭინჭრებსა და ოროვანდებში, მძინარე ლიზავეტას მოჰკრა თვალი. შეზარხოშებული ვაჟბატონები მძინარე ქალს თავზე დაადგნენ, ატეხეს ერთი სიცილ-ხარხარი და უხამსი ოხუნჯობა. ერთ-ერთ ბატონკაცს თავში მოუვიდა მეტად ექსცენტრული აზრი: „შესაძლოა თუ არა, ვინმემ ეს ცხოველი ჩათვალოს ქალად, აი, ამ წუთში და ა.შ.“ ყველამ ზიზღით, ამაყად განაცხადა, რომ შეუძლებელია. ამ დროს ამ კომპანიაში იყო ფიოდორ პავლოვიჩი, ის უცებ გამოხტა და თქვა, რომ შეიძლება მისი ქალად მიღება, სიამოვნებითაც კი, და ამაში ის რაღაც პიკანტურსაც კი ხედავს და ა.შ. და ა.შ. მართლაც, იმ პერიოდში ფიოდორ პავლოვიჩი ყველა ღონეს ხმარობდა, ტაკიმასხარას როლი ეთამაშა, უყვარდა უადგილო ადგილას გამოხტომა და ბატონების გამხიარულება. რასაკვირველია, ეს ისე ხდებოდა, თითქოს ის იყო თანასწორი თანასწორთა შორის, სინამდვილეში ყველასაგან მხოლოდ უტიფრობით გამოირჩეოდა. ეს სწორედ იმ დროს ხდება, როცა მან პეტერბურგიდან მიიღო ცნობა პირველი ცოლის, ადელაიდა ივანოვნას გარდაცვალების შესახებ, როცა შლაპაზე სამგლოვიარო ლენტი ეკეთა და ამას არაფრად დაგიდევდა, ლოთობდა და ისე უმსგავსოდ იქცეოდა, რომ ქალაქში, ყველაზე თავაშვებულსაც კი ეჩოთირებოდა

იმისი საქციელი. ფიოდორ პავლოვიჩის მოულოდნელმა ნათქვამმა მისი ამფსონები გაამხიარულა. ერთ-ერთმა წაქეზებაც კი დაუწყო, ხოლო დანარჩენებმა გადააპურჭყეს და მხიარულად გაუდგნენ თავთავიანთ გზას. შემდგომში ფიოდორ პავლოვიჩი ყველაფერს იფიცებდა, რომ ისიც სხვებთან ერთად წავიდა. შესაძლოა, ასეც იყო, არავინ იცის ზუსტად და არც არასოდეს სცოდნიათ, მაგრამ ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ქალაქში ყველა აღშფოთებული, გულწრფელი და განსაკუთრებული გულისწყრომით ალაპარაკდა - ლიზავეტა ფეხმძიმედააო. დაიწყო გამოკითხვა და გამოკვლევა, ვინ შესცოდა, ვინ იყო დამნაშავე? სწორედ ამ დროს გავრცელდა ხმა, რომ დამნაშავე ფიოდორ პავლოვიჩია. საიდან გავრცელდა ხმა? შეზარხოშებული კომპანიიდან იმ დროისათვის ქალაქში მხოლოდ ერთი კაცი იმყოფებოდა, ისიც ხანშიშესული და პატივცემული სტატსკი სოვეტნიკი, ცოლიანი და მოზრდილი ქალიშვილების მამა, რომელიც ამის შესახებ ლაპარაკს არაფრის დიდებით არ დაიწყებდა. სხვა მონაწილეები კი ამ დროისათვის აქეთ-იქეთ იყვნენ წასულ-წამოსულები. მაგრამ ბოროტი ენები ხელს პირდაპირ ფიოდორ პავლოვიჩს ადებდნენ. ის მაინცდამაინც დიდ პროტესტს არ გამოხატავდა, ვიღაც-ვიღაც ვაჭრებისა და მეშჩანების ცოლებს პასუხს არც აძლევდა. მაშინ ისე გაამაყდა, რომ ლაპარაკს მხოლოდ თავის კომპანიაში, იმ ჩინოვნიკებთან და თავად-აზნაურობასთან კადრულობდა, ვისაც ის ართობდა. ამ დროს გრიგორი ენერგიულად, ძალ-ღონის დაუშურებლად შეუდგა ამ ხმებისაგან თავისი ბატონის არათუ დაცვას, არამედ ხანდახან ჩხუბსა და კინკლაობაშიც კი ჩაებმებოდა ხოლმე და ბევრი გადაარწმუნა კიდეც. „თავად ქალია დამნაშავეო," - ასე ამბობდა ღრმად დარწმუნებული გრიგორი, ხოლო ქალის შემცდენელად „ნაციხარი კარპი" მიაჩნდა (ასე უწოდებდნენ ერთ განთქმულ პატიმარს, რომელიც ამ დროს გუბერნიის ციხიდან გაიქცა და ჩვენს ქალაქს აფარებდა თავს). ეს ვარაუდი სიმართლეს ჰგავდა. კარპი ახსოვდათ, ახსოვდათ სწორედ ის, რომ მაშინ, ადრეული შემოდგომის ღამეებში ჩვენს ქალაქში დაძრწოდა და სამი კაციც გაძარცვა. ამ ამბისა და ასეთი მითქმა-მოთქმის გამო არათუ დაკარგა ხალხის სიყვარული საწყალმა ქალმა, არამედ უფრო მეტად დაუწყეს მფარველობა და დაცვა. მდიდარი ვაჭრის ქვრივმა, კონდრატიევამ, გადაწყვიტა, რომ ლიზავეტა აპრილის ბოლოს სახლში წაეყვანა და მშობიარობამდე არსად გაეშვა. გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ, მიუხედავად მათი სიფხიზლისა, ლიზავეტა ბოლო დღეს საღამოსათვის გაიპარა კონდრატიევნას სახლიდან და აღმოჩნდა ფიოდორ პავლოვიჩის ბაღში. როგორ მოახერხა ორსულმა ქალმა ბაღის ასე მაღალ და მაგარ ღობეზე გადაძვრომა, იდუმალებითაა მოცული. ზოგნი ირწმუნებოდნენ ვიღაცამ „გადაიყვანაო", ზოგნი - რაღაცამ „გადაიყვანაო". ყველაფერი კი ალბათ ბუნებრივად მოხდა. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ლიზავეტა კარგად იყო დახელოვნებული სხვის ღობეებზე გადასვლაში. ეტყობა, როგორღაც აბობღდა ღობეზე და ფიოდორ პავლოვიჩის ბაღში ჩახტა, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა და თავისი თავის საზიანოდ. გრიგორი მარფასთან გამოიქცა და ლიზავეტას მისახმარებლად გაგზავნა, თვითონ ბებიაქალთან გავარდა, რომელიც, საბედნიეროდ, იქვე ცხოვრობდა. ბავშვი გადაარჩინეს, ლიზავეტა კი განთიადისას გარდაიცვალა. გრიგორიმ ახალშობილი აიყვანა, სახლში ცოლს მიუყვანა, კალთაში ჩაუწვინა და უთხრა: „ობოლი ღვთის შვილია, ყველასათვის ღვიძლი, მით უმეტეს ჩვენთვის. ეს ჩვენმა გარდაცვლილმა შვილმა გამოგვიგზავნა, ის

ეშმაკის და წმინდანის ნაყოფია. აწოვე ძუძუ და ამიერიდან ნუღარ იტირებ“. ასე გაზარდა მარფამ ბავშვი. მონათლეს და დაარქვეს პაველი, მამის სახელად კი ყველა თავისით, არავის რომ არ უთქვამს ისე, ფიოდოროვიჩს უწოდებდა. ფიოდორ პავლოვიჩს პროტესტი არ გამოუთქვამს, გონსასეიროდაც კი მიაჩნდა, თუმცა ყოველმხრივ უარყოფდა ყველაფერს. ქალაქში ყველა კმაყოფილი დარჩა, ბუში გასაზრდელად რომ აიყვანა. შემდგომში ფიოდორ პავლოვიჩმა ბუშს გვარიც მოუგონა, სმერდიაკოვი, დედამისის ზედმეტი სახელის მიხედვით. სწორედ ეს სმერდიაკოვი წარმოადგენდა ფიოდორ პავლოვიჩის მეორე მსახურს, რომელიც ჩვენი ისტორიის დასაწყისში ფლიგელში ცხოვრობდა გრიგორისთან და მარფასთან ერთად. მისი მოვალეობა მზარეულობა იყო. ძალიან მინდოდა, კიდევ რამე მეთქვა მასზე, მაგრამ მერიდება, ამდენ ხანს ჩემი მკითხველის ყურადღება მივაპყრო ამ ჩვეულებრივ ლაქიებს, ამიტომ ვაგრძელებ ჩემს ამბავს და იმედი მაქვს თხრობის პროცესში სმერდიაკოვთან კიდევ გვექნება შეხვედრა.

III აღსარება ცხელ გულზე. ლექსებით

ალიოშა ერთხანს გაოგნებული იდგა მას შემდეგ, რაც მამამისმა ეტლიდან გადმოსძახა თავისი ნება-სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ნანახმა ძალიან ააღელვა, ის დაუყოვნებლივ გაემართა იღუმენის სამზარეულოში, რათა გაეგო, კიდევ რა ჩაიდინა მამამისმა. შემდეგ ქალაქისაკენ მიმავალ გზას გაუდგა იმ იმედით, რომ სიარულის დროს გადაწყვეტდა თავის პრობლემებს. წინასწარ გეტყვით: მამამისის მიერ ყვირილით გამოცხადებული ბრძანება, „თავისი გუდა-ნაბადით“ მასთან გადაბარგებულიყო, ალიოშას სულაც არ აწუხებდა. მას კარგად ესმოდა, რომ ეს ყვირილი, ყველას გასაგონად წარმოთქმული ბრძანება, სხვა არა იყო რა, თუ არა „ეშხში შესული“ კაცის მიერ თავმოსაწონებლად, ხალხის გასაგონად ნათქვამი ფრაზა. ეს იმას ჰგავდა, ამასწინათ რომ მოხდა მათ ქალაქში: ერთმა შეზარხოშებულმა მეშჩანინმა საკუთარ სახლში, თავის დღეობაზე, სტუმრების თანდასწრებით, იმაზე გაბრაზებულმა, არაყს რატომ აღარ მასმევთო, საკუთარი ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია, დაფხრიწა თავისი და ცოლის ტანსაცმელი, დალეწა ავეჯი და ფანჯრები - ყველაფერი ეს თავის გამოსაჩენად გააკეთა; რასაკვირველია, მამამისსაც ასევე დაემართა. ცხადია, მეორე დღეს გამოფხიზლებულ მეშჩანინს დაენანებოდა ფანჯრები და თეფშები. ალიოშამ იცოდა, მამამისი ხვალ უკან რომ გაისტუმრებდა მონასტერში, ის კი არა, შეიძლება დღესაც გაეშვა. ისიც იცოდა, მამა ყველას აწყენინებდა, მას კი არა. ალიოშას ღრმად სწამდა, რომ ამქვეყნად არავის, არასოდეს გაუჩნდება მისი წყენინების სურვილი, არათუ არ გაუჩნდება, ვერც შეძლებს. ეს მისთვის აქსიომა იყო, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება. ის ასეთი შეგნებით მიიწევდა წინ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.
ამ წუთში მის გულში ფუთფუთებდა რაღაც სხვანაირი შიში, მანამდე უცნობი, ამიტომაც უფრო მეტად მტანჯველი, თავად ვერ გარკვეულიყო მასში. ეს იყო კატერინა ივანოვნას შიში, რომელიც ამასწინათ ქალბატონ ხოხლაკოვას ხელით გამოგზავნილ ბარათში დაჟინებით სთხოვდა, მისულიყო მასთან. ამ მოთხოვნამ და იქ წასვლის აუცილებლობამ მასში აღძრა რაღაცნაირი მტანჯველი გრძნობა,

რომელიც მთელი დილა, და შემდგომაც, უფრო და უფრო მეტად მტკივნეული ხდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მონასტერში და იღუმენთან მომხდარმა სცენებმა და ამბებმაც კი ვერ გაუქრო ეს შეგრძნება. ის კი არ აშინებდა, რომ არ იცოდა, რაზე დაუწყებდა ქალი ლაპარაკს, ან რას უპასუხებდა მას. არც, ზოგადად, ქალის შიში ჰქონდა: თავის ცხოვრებაში, მართალია, ცოტა ქალს იცნობდა, მაგრამ ბალღობიდან მონასტრამდე მხოლოდ ქალების საზოგადოებაში იზრდებოდა. ალიოშას ეშინოდა სწორედ ამ ქალის, სახელდობრ, კატერინა ივანოვნასი. იმ დღიდან ეშინოდა, რა დღიდანაც პირველად ნახა. სულ ორ-სამჯერ თუ ჰყავდა ნანახი და ერთხელ ორიოდ სიტყვაც უთქვამს. ალიოშას მეხსიერებაში იგი დარჩა, როგორც ლამაზი, ამაყი და მბრძანებლობის მოყვარული ქალიშვილი. მაგრამ კატერინა ივანოვნას სილამაზე კი არ ტანჯავდა, არამედ რაღაც სხვა. სწორედ ეს რაღაც საფრთხის აუხსნელობა აძლიერებდა შიშს. ამ ქალიშვილის კეთილშობილური მიზნები ალიოშამ კარგად იცოდა - იგი ცდილობდა მისი ძმის, დმიტრის გადარჩენას, მიუხედავად იმისა, რომ დმიტრი მის წინაშე დამნაშავე იყო. ამას იგი დიდსულოვნების გამო აკეთებდა. მართალია, ყოველივე ეს ალიოშას შეგნებული ჰქონდა და სამართლიანობაც მოითხოვდა, ჯეროვანი პატივი მიეგო კატერინას ამ მშვენიერი და დიდსულოვანი გრძნობისათვის, მაინც ტანში ჟრუანტელი უვლიდა, რაც უფრო უახლოვდებოდა მის სახლს.

ალიოშა თავისთვის ფიქრობდა, რომ ამჟამად კატერინასთან ძალზე დაახლოებული მისი მეორე ძმა, ივანი, ამ წუთებში იქ არ იქნებოდა. ალბათ ის ახლა მამამისის სახლშია. დმიტრიც რომ არ იქნება, იმასაც წყალი არ გაუვა, და რატომ, ამას წინასწარ გრძნობდა. მაშასადამე, ალიოშას საუბარი ქალთან ერთი ერთზე შედგებოდა. ძალიან უნდოდა ამ საბედისწერო საუბრის წინ დმიტრის ნახვა, მასთან მისვლა. წერილს კი არ ანახებდა, ისე ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა, მაგრამ დმიტრი შორს ცხოვრობდა და შესაძლოა, სახლშიც არ ყოფილიყო. ერთხანს შეჩერდა და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. სასწრაფოდ გადაიწერა პირჯვარი, რაღაცაზე ჩაეღიმა და მტკიცე ნაბიჯით შიშისმომგვრელი ქალბატონის სახლისაკენ გაუდგა გზას.

კატერინას სახლის ადგილმდებარეობა იცოდა, მაგრამ დიდი ქუჩით რომ წასულიყო, შემდეგ მოედანი გაევლო და ა.შ. მაშინ შორი გზა გამოუვიდოდა. ჩვენი პატარა ქალაქი ძალიან გაფანტულად არის გაშენებული და მანძილი უბნებს შორის საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, შინ მამა უცდიდა, შესაძლოა, მამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული თავისი ბრძანება და შეეძლო გაჭირვეულებულიყო, ამიტომ ალიოშას უნდა მოესწრო აქაც და იქაც. ამ მოსაზრებათა გამო, ალიოშამ გადაწყვიტა გზის შემოკლება, სახლების უკანა შუკებით სიარული. ასეთი მოკლეები ამ ქალაქში ალიოშამ ხუთი თითივით იცოდა. სახლებს უკან შუკებით სიარულის დროს ხანდახან ღობეწნულებზე გადასვლაც და ვიღაც-ვიღაცის ეზოების გავლა მოუწევდა. ამ ეზოებში მას ყველა იცნობდა და ესალმებოდა ხოლმე. ასეთი გზით ორჯერ შეეძლო შეემოკლებინა მანძილი დიდ ქუჩამდე. აქ ერთ ადგილას ალიოშას მამამისის სახლის ახლოს გავლამ მოუწია, მეზობლის ბაღის გასწვრივ, რომელშიც ძველთაძველი, გადაბრეცილი, პატარა, ოთხფანჯრიანი სახლი იდგა. როგორც ალიოშამ იცოდა, ეს სახლი ერთი ქალაქელ მეშჩანინს, უფეხო დედაბერს ეკუთვნოდა, რომელიც თავის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ეს ქალიშვილი დედაქალაქში ნამსახურები, ცივილიზებული ნამოახლარი გახლდათ. ის ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინათ გენერლის ოჯახში

მოახლეობდა, მაგრამ დედის ავადმყოფობამ აიძულა, სახლში დაბრუნებულიყო. ქალიშვილი მოხდენილ კაბებში გამოპრანჭული დაიარებოდა. თუმცა დედა-შვილს ისე უჭირდა, რომ ყოველდღიურად ლუკმაპურისათვის ფიოდორ პავლოვიჩის სამზარეულოში დაიარებოდნენ. მარფა სიამოვნებით უმასპინძლდებოდა. ქალიშვილი სამოწყალო წვნიანს მდიდრულ კაბებში გამოწყობილი მიირთმევდა და არც ერთი კაბა არ გაუყიდია. ერთ კაბაზე გრძელი კუდიც კი ჰქონდა. ეს ამბები ალიოშამ თავისი მეგობრისაგან, რაკიტინისაგან გაიგო, მან ხომ ყველაფერი იცოდა, რაც ქალაქში ხდებოდა. ალიოშას, რასაკვირველია, ყველაფერი მალე გადაავიწყდა. ახლა კი, როცა მეზობლის ბაღს მიუახლოვდა, სწორედ ის კაბის კუდი მოაგონდა, ანაზდად, სწრაფად ასწია ფიქრებშიწასული ჩაქინდრული თავი და... უცებ მოხდა ყველაზე მოულოდნელი რამ.

ღობეწნულს იქით, მეზობლის ბაღში, რაღაცაზე შემდგარი თავისი ძმა, დმიტრი წელზევით ჩანდა და გამწარებული ორივე ხელით რაღაცას ანიშნებდა, თავისკენ უხმობდა, ეტყობოდა, ხმის ამოღების ეშინოდა, რომ არავის გაეგონა. ალიოშამ ღობეწნულთან სასწრაფოდ მიირბინა.

- კიდევ კარგი მოიხედე, თორემ კინაღამ ვიყვირე, - წაიჩურჩულა გახარებულმა დმიტრიმ. - გადმოძვერი! ჩქარა! რა კარგი ქენი, რომ მოხვედი. სწორედ ახლა შენზე ვფიქრობდი.

ალიოშასაც გაეხარდა დმიტრის ნახვა, მაგრამ არ იცოდა, როგორ გადასულიყო ღობეწნულზე. მიტიამ ღონივრად ჩაავლო ხელი იდაყვზე და გადმოხტომაში მოეხმარა. ალიოშამ აიწია ბერის სამოსელი და ყოჩაღად, ქალაქელი, ფეხშიშველა ბიჭუნასავით გადაევლო ღობეს.

- ყოჩაღ, წამოდი! - ჩურჩულით თქვა აღტაცებულმა მიტიამ.

- საით, - ჩურჩულებდა ალიოშაც და აქეთ-იქეთ იყურებოდა. ბაღში მათ გარდა არავინ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბაღი პატარა იყო, სახლამდე ორმოცდაათი ნაბიჯი მაინც იქნებოდა. - აქ ხომ არავინ არის, რატომ ჩურჩულებ?

- რატომ ვჩურჩულებ? ეშმაკმა უწყის, - უცებ მთელი თავისი ხმით დაიყვირა დმიტრიმ, - ნეტა, რატომ ვჩურჩულებ? შენ თავად ხედავ, რამ შეიძლება გამოიწვიოს არეულ-დარეულობა ბუნებაში. მე აქ საიდუმლოდ ვარ და საიდუმლოს ვიცავ. ამას მერე აგიხსნი, ჰოდა, რახან საიდუმლოდ ვარ, ლაპარაკიც საიდუმლო დავიწყე და ბრიყვივით ვჩურჩულებ, თუმცა სულ არ არის საჭირო. წამო! აი, იქ! მანამდე ხმა არ ამოიღო. მინდა გაკოცო!

დიდება უზეშთაესს ამქვეყნად,
დიდება უზენაესს ჩემში!.

მე ახლა, შენს მოსვლამდე, ვიჯექი აქ და ჩემთვის ამ სტრიქონებს ვიმეორებდი...

ბაღი ერთი დესეტინა იქნებოდა, შეიძლება ოდნავ მეტიც. ოთხივე ღობის გასწვრივ ვაშლის, ნეკერჩხლის, ცაცხვისა და არყის ხეები ხარობდა. ბაღის მოტიტვლებულ შუაგულს სათიბად იყენებდნენ, აქ ზაფხულობით რამდენიმე ფუთი თივა ითიბებოდა. სახლის პატრონი სათიბს გაზაფხულიდან აქირავებდა ხოლმე. იქვე, ღობეების გასწვრივ, ჟოლოს, ხურტკმლის და მოცხარის ბუჩქები იყო დარგული. სახლის წინ ბოსტანი ჰქონდათ, იგი ამ ბოლო ხანებში გააშენეს. დმიტრიმ სტუმარი სახლის მოშორებით მდებარე კუთხისაკენ წაიყვანა. იქ უცებ ერთმანეთს მიყოლებული ცაცხვების ტევრში და მოცხარის, ანწლის, ძახველისა და იასამნის ბუჩქებს შორის გამოჩნდა ძველისძველი მწვანე ფანჩატურის ნანგრევები,

რომელსაც გაშავებული და დაქანებული ცხაური კედლები ჰქონდა, მაგრამ ზემოდან გადახურული იყო და წვიმის დროს თავის შეფარება შეიძლებოდა. ფანჩატური, ღმერთმა უწყის, როდის ააშენეს. გადმოცემით, ამ ორმოცდაათი წლის წინათ სახლის იმდროინდელ პატრონს, გადამდგარ პოდპოლკოვნიკს, ფონ შმიდტს აუშენებია. ფანჩატურს ახლა ყველაფერი მომპალი ჰქონდა: იატაკის ყველა ფიცარი ირყეოდა, ხეს ნესტის სუნი ასდიოდა. ფანჩატურში იდგა ფეხებით მიწაში ჩასმული ხის მწვანე მაგიდა, მერხებით შემორტყმული, ისინიც მწვანე ფერის იყო, მათზე ჯდომა კიდევ შეიძლებოდა. ალიოშამ ახლა შენიშნა ძმის აღგზნებული მდგომარეობა, ხოლო როცა ფანჩატურში შევიდნენ, მაგიდაზე ნახევრადდაცლილი კონიაკის ბოთლი და სირჩა დაინახა.

- ეს კონიაკია! - გადაიხარხარა მიტიამ, - რას მიყურებ, „კვლავ ლოთობსო," - ფიქრობ ხომ? არ დაიჯერო, ფანტომია[30].

ნუ ერწმუნები ბრბოს - ცრუს და სულელს
გადაივიწყე იჭვები შენი...[31]

მე კი არ ვლოთობ, „პირს ვიტკბარუნებ", როგორც ამას შენი ღორი ძმაკაცი, რაკიტინი ამბობს ხოლმე, რომელიც მალე სტატსკი სოვეტნიკი გახდება და სულ მუდამ - „პირს ვიტკბარუნებო" - ასე იტყვის. დაჯექი. ახლა იცი რას ვიზამ, ისე ჩაგიხუტებ გულში, გაგჭყლეტ, რადგან ამქვეყნად... ნაღდად... ნაღდად... (გაიგე გაიგე!) მხოლოდ შენ მიყვარხარ!

ბოლო სიტყვები რაღაცნაირად, თითქმის გახელებით თქვა.

- შენ და კიდევ ის „უნამუსო", რომელსაც გავუმიჯნურდი და რომელმაც დამღუპა. მაგრამ გამიჯნურება არ ნიშნავს, რომ გიყვარს. გამიჯნურებული ერთდროულად შეიძლება გძულდეს კიდეც. დაიმახსოვრე ეს კარგად! ახლა მხიარულად ვლაპარაკობ! დაჯექი მაგიდასთან, მე გვერდით მოგიჯდები, გიყურებ და გაუთავებლად ვილაპარაკებ. შენ ჩუმად იყავი, მე კი ვილაპარაკებ იმიტომ, რომ დრო მოვიდა. თუმცა იცი, რა მოვიფიქრე, საჭიროა ყოველთვის წყნარად ილაპარაკო, ეს იმიტომ, რომ აქ... აქ... უამრავი ყური შეიძლება გისმენდეს ყველაფერს აგიხსნი, გეუბნები: გაგრძელება იქნება. თუ იცი, რატომ გნატრობდი, რატომ მინდოდა შენი ნახვა ახლა და საერთოდ, მთელი ეს დღეები? (მე აქ უკვე ხუთი დღეა ჩავუშვი ღუზა) იმიტომ რომ მარტო შენ მინდა გაგიზიარო ყველაფერი, ასეა საჭირო, იმიტომ რომ შენ ხარ საჭირო, იმიტომ რომ ხვალ ღრუბლებთან ერთად მივფრინავ, იმიტომ რომ ხვალ ცხოვრება მთავრდება და იწყება. გინახავს სიზმარში, როგორ ცვივიან მთიდან უფსკრულში, განგიცდია ეს? ახლა მეც მივფრინავ, ოღონდ არა სიზმარში. მე არ მეშინია, ნურც შენ შეგეშინდება. უფრო სწორედ მეშინია, მაგრამ ტკბილია ეს შიში. უფრო სწორედ, ტკბილი კი არ არის, რაღაც აღტაცებაა. ეშმაკმა დალახვროს, სულ ერთი არ არის, რაც უნდა ის იყოს. ძლიერი სული, სუსტი სული, დედაკაცის სული, - რაც უნდა ის იყოს! ვადიდოთ ბუნება: ხედავ, როგორი ჩახჩახაა მზე, როგორი კრიალაა ცა, როგორი ხასხასა მწვანეა ფოთლები, ჯერ კიდევ ზაფხულია, დღის ოთხი საათი, სიწყნარე! სად მიდიოდი?

- მამასთან, მაგრამ ჯერ კატერინა ივანოვნასთან მინდოდა შევლა.

- კატერინასთან და მამასთან! ვახ! როგორი დამთხვევაა! რისთვის გნატრობდი, რისთვის მინდოდი, რისთვის სწყუროდი ჩემს სულს, გვერდებსაც კი? იმისთვის, რომ ჯერ მამასთან გამეგზავნე, შემდეგ კატერინასთან, რომ ორივესთან მომეთავებინა ყველაფერი. ანგელოზი მიმეგზავნა მათთან. ნებისმიერის გაგზავნა

შემეძლო, მაგრამ მე მინდა, მათ ანგელოზი გავუგზავნო. შენ კი ახლა თურმე ერთთანაც მიდიხარ და მეორესთანაც.
- ნუთუ მართლა ჩემი გაგზავნა გინდოდა? - აღმოხდა შეწუხებულ ალიოშას.
- სდექ, შენ ეს იცოდი. მე ვხედავ, შენ უცებ მიხვდი ყველაფერს. გაჩუმდი, ჯერ გაჩუმდი. ნუ ნანობ და ნუ ტირი!
დმიტრი წამოდგა, ჩაფიქრდა, შემდეგ თითი მიიდო შუბლზე და თქვა:
- კატიამ თვითონ გთხოვა მისვლა, წერილი გამოგიგზავნა, ალბათ იმიტომ მიდიხარ, აბა რისთვის წახვიდოდი?
- აი, ბარათი, - მან ჯიბიდან ამოიღო წერილი და მიტიას მისცა. მიტიამ უცებ ჩაიკითხა.
- შენ კი შუკა-შუკა გადმოიარე! ო, ღმერთო! მადლობას გწირავ, შუკა-შუკა რომ გამოატარე და პირდაპირ აქ მომიყვანე, როგორც ზღაპრული ოქროს თევზი შტერ ბებერ მეთევზესთან. მისმინე, ალიოშა, მისმინე, ძმაო. ახლავე ყველაფერს მოგახსენებ. ვიღაცას ხომ უნდა ვუთხრა. შენ კი მიწიერი ანგელოზი ხარ. შენ მომისმინე, განმსაჯე და შემინდე. მეც ეს მინდა, რომ ვინმე უზენაესმა მაპატიოს. ყური დამიგდე: თუკი ორი არსება მოულოდნელად მოსწყდება ყოველივე მიწიერს, მიფრინავს არაჩვეულებრიობაში, ორივე თუ არა, ერთი მაინც, გაფრენის ან დაღუპვის წინ თუ მივიდა მავანთან და უთხრა: შემისრულე ესა და ეს თხოვნა, ისეთი თხოვნა, რომელსაც სხვა დროს არასოდეს ითხოვენ, მხოლოდ სიკვდილის წინო - ნუთუ ის მავანი არ შეუსრულებს ამ თხოვნას, თუკი ის მეგობარია, თუკი ის ძმაა?
- მე შეგისრულებ, ოღონდ თქვი, რა გინდა, ცოტა დაუჩქარე, - უთხრა ალიოშამ.
- დავუჩქაროო... ჰმ, ნუ ჩქარობ, ალიოშა; შენ ჩქარობ და ნერვიულობ. ახლა საჩქაროო არაფერია. ახლა ქვეყნიერება ახალ ქუჩაზე გავიდა. ეჰ, ალიოშა, სამწუხაროა, რომ შენ აღტაცებამდე არ დაფიქრებულხარ! თუმცა, რას ვბჟუტურობ? ეს შენ არ გიფიქრია! რას ვჩერჩეტობ მე ლენჩი:
ადამიანო, იყავი სათნო![32]
ვისი ლექსია?
ალიოშამ მოცდა გადაწყვიტა. იგი მიხვდა, რომ შესაძლოა ახლა მისი მთავარი საქმე აქ ყოფნაა. მიტია კი ერთი წუთით ჩაფიქრდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებზე ჩამოდო. ორივე დუმდა.
- ალიოშა, - თქვა მიტიამ, - ვიცი, რომ მხოლოდ შენ არ დამცინებ. ჩემი აღსარება... მინდა დავიწყო... შილერის სიხარულის ჰიმნით. An die Freude![33] მაგრამ მე გერმანული არ ვიცი, ვიცი მხოლოდ An die Freude. არ იფიქრო, რომ სასმელი მალაპარაკებს. სულაც არა. კონიაკი მაინც კონიაკია, მაგრამ მე ორი ბოთლი მინდა დასათრობად, -
იჯდა ლოყებღაჟღაჟა სილენი[34]
ბორძიკით მიმავალ ვირზე, - [35]
მე კი მეოთხედი ბოთლიც არ დამილევია და არც სილენი ვარ. სილენი არ ვარ, მაგრამ ძლიერი ვარ, რადგან გადაწყვეტილება საბოლოოდ მივიღე. შენ კი, მაპატიე. ნუ გეშინია, არ გავაჭიანურებ, საქმეზე ვილაპარაკებ და პირდაპირ საქმეზე გადავალ. არ გავაჯანჯლებ. მოიცა, ეს როგორაა...
მან თავი ასწია, დაფიქრდა და უცებ აღფრთოვანებით დაიწყო:
მთის ნაპრალებში თავს იფარავდა
მხდალ ტროგლოდიტის მოდგმა საწყალი,

ველს აოხრებდა, ყველაფერს ნთქავდა
ნომადი - სისხლით გაუმაძღარი.
მხნე მონადირე შუბით და მშვილდით
დაძრწოდა ტყე-ტყე ვით მხეცი მძაფრი,
ვაი მას, ვისაც მძვინვარე ზვირთი
გამორიყავდა უდაბურ ნაპირს.
ტურფა ცერერა, შვილის მძებნელი.
სალამს უძღვნიდა რბეულ ქვეყანას.
გულს უღონებდა უდაბნო ვრცელი;
ვერსად ჰხედავდა ბაღს, მწვანე ყანას.
არ იყო არსად თავშესაფარი,
გარდა ცისა და ღამის ბნელეთის,
აღარ ამხელდა სვეტი ტაძარის
ხალხში რწმენას და სიყვარულს ღმერთის.
მიწის დოვლათი, ნაყოფი უხვი,
არ ამშვენებდა ნადიმებს კვალად,
სამსხვერპლოებზე მოსჩანდა რუხი
ჩონჩხთა ნაშთები და თავის ქალა.
და ყველგან, სადაც მოავლო თვალი,
შეხვდა დაცემის სურათი ბნელი,
და აქვითინდა მწარედ ღმერთქალი,
ადამიანის გახრწნის მნახველი.[36]
უცებ მიტიას მკერდიდან ქვითინი აღმოხდა. მან ალიოშას ხელზე ხელი სტაცა.
- მეგობარი, მეგობარი, დამცირების დროს და ამჟამად. ამქვეყნად ადამიანმა საშინლად ბევრი უნდა ითმინოს, ძალიან ბევრი უბედურება ატყდება მას თავზე! შენ არ გეგონოს, რომ მე მხოლოდ ოფიცრისჩინიანი ქაჯი ვარ, რომელსაც კონიაკის სმა და მრუშობა უყვარს. მე, ჩემო ძმაო, დღე და ღამე მარტო ამაზე ვფიქრობ, ამ დამცირებულ ადამიანზე, თუ არ ვტყუი. ღმერთმა ქნას, არ ვტყუოდე და თავს არ ვიქებდე. იმიტომ ვფიქრობ ამ ადამიანზე, იმიტომა ვარ შეწუხებული, რომ თავად მე ვარ ეს ადამიანი.
ადამიანი კაცად რომ იქცეს,
სულით ამაღლდეს, გულით იხაროს,
დედამიწასთან კავშირი მტკიცე
უნდა გააბას და შეიყვაროს.[37]
მაგრამ საქმე ის არის, როგორ დავამყარო მიწასთან საუკუნო კავშირი? მე არ ვემთხვევი მიწას, არ ვდაღავ მის მკერდს; გუთნის დედად ან მეჯოგედ ხომ არ ვიქცევი? მივდივარ და არ ვიცი, საით, ჯანდაბასა და ოხრობაში, თუ სინათლისა და სიხარულისკენ. სწორედ ამაშია უბედურება, რამეთუ ყოველივე გამოცანაა! როცა გარყვნილების მორევში ვეფლობი (ეს კი ხშირად მემართება ხოლმე), მაშინ ამ ლექსს ვკითხულობ, ცერერასა და ადამიანზე. მეშველა რამე? არაფერი! ეს იმიტომ, რომ მე კარამაზოვი ვარ. მე თუ უფსკრულში გადავეშვები, თავდაყირა უნდა გადავეშვა, და ძალიან კმაყოფილი ვარ, ასე სამარცხვინოდ რომ ვვარდები, ეს არის ჩემთვის სილამაზე. ასეთი შერცხვენის შემდეგ ვიწყებ ჰიმნს. დაე, წყეულიც ვიყო, საზიზღარი და თახსირი, მაგრამ მეც მინდა, ვემთხვიო ჩემი ღმერთის სამოსელის კალთას; თუნდაც ამავდროულად ეშმაკის კვალს ვადგე,

მაინც შენი შვილი ვარ, ღმერთო, მე შენ მიყვარხარ, მე ვგრძნობ სიხარულს, რომლის გარეშე ეს ქვეყანა ჩირადაც არ ღირს.
ბუნების ყოველ დროს და წელიწადს,
სიხარულია მოძრავი ძალა
მსოფლიო დიდი საათებისა.
ის თოთო კვირტებს ყვავილებს მოჰგვრის,
და მხოლოდ მისით ცაზე მზე ელავს.
ის ამოძრავებს ათასგვარ ცთომილს,
კაცის თვალი რომ მისწვდება ძნელად.
ყველა სულდგმული ამო საუნჯედ,
ბუნების ძუძუს სიხარულს სწოვენ.
ყველა კეთილი და მოაუგე
მის ვარდდაფენილ გზას ადგას სწორედ.
იგი თბილ ამბორს და სიტკბოს გვაძლევს,
ჭირსა და ლხინში მეგობარს გამტანს;
და ავხორცობა - ჭიებს და მატლებს,
და ანგელოზი - ღმერთის წინ წარდგა![38]
კმარა ლექსები! ცრემლებიც ვღვარე, ნება მომეცი, ცოტას წავიტირებ. ამ ჩემს სიბრიყვეზე ყველას გაეცინებოდა, მაგრამ ვიცი, შენ არ დამცინებ. ვხედავ, რომ შენც აგიკიაფდა თვალები. კმარა ლექსები. ახლა მინდა გელაპარაკო იმ „ჭიაღუების“ შესახებ, რომელთაც ღმერთმა ავხორცობის ნიჭი უბოძა:
და ავხორცობა ჭიებსა და მატლებს!
მე, ჩემო ძმაო, სწორედ ის ჭიაღუა ვარ, ეს სპეციალურად ჩემზეა ნათქვამი. ჩვენ, კარამაზოვები, ჭიაღუები ვართ. შენნაირ ანგელოზშიაც კი ეს ჭია ბინადრობს და მალე შენი სისხლიც წარმოშობს ქარიშხალს, რადგან ავხორცობა ქარიშხალია, ქარიშხალზე უფრო მეტიც! სილამაზე - საშინელი, შემზარავი რამაა! საშინელია იმიტომ, რომ განუსაზღვრელია, განუსაზღვრელი კი იმიტომაა, რომ ღმერთი გამოცანებით გველაპარაკება. მე, ჩემო ძმაო, თუმცა გაუნათლებელი ვარ, მაგრამ ამაზე ბევრი მიფიქრია. ძალიან ბევრი რამაა ამქვეყნად იდუმალებით მოცული, ეს კი ადამიანს თრგუნავს. როგორც გინდა, ისე გამოიცანი და წყლიდან მშრალი ამოდი. სილამაზე! მისი ატანა იმიტომ არ შემიძლია, რომ ზოგიერთი მაღალი ზნეობისა და დიდი ჭკუის ადამიანი იწყებს მადონას იდეალით და ამთავრებს სოდომის იდეალით[39]. უფრო საშინელი ისაა, ვინც შეპყრობილია სოდომის იდეალით და თან არ უარყოფს მადონას იდეალს. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად სტკივა მისთვის გული, როგორც ეს ხდება ხოლმე უმწიკვლო ახალგაზრდობის წლებში. არა, დიდი გაქანებისაა ადამიანი, ძალიან დიდი გაქანების, მე ცოტას შევამცირებდი. ეშმაკმა უწყის, რა არის ეს! რაც ჭკუა-გონებისათვის სამარცხვინოა, გულისათვის ნამდვილი სილამაზეა. სოდომშია სილამაზე? დამიჯერე, უმეტესი წილი ადამიანებისათვის სოდომშია სილამაზე - იცოდი შენ ეს საიდუმლო? ყველაზე შემზარავი ის არის, რომ სილამაზე არა მარტო საშინელი რამაა, არამედ იდუმალიც. აქ ეშმა ღმერთს ებრძვის, ხოლო ბრძოლის ასპარეზი ადამიანთა გულებია. თუმცა ვისაც რა სტკივა, იმაზე ლაპარაკობს. მისმინე, ახლა საქმეზე გადავიდეთ.

IV აღსარება ცხელ გულზე. ანეკდოტებით

მე იქ ვქეიფობდი. ამასწინათ მამაჩვენი ჩემზე ამბობდა: ვითომ მე ქალების შესაცდენად ათასები გადამიყრია. ეს უსინდისო სიცრუეა, ასე არასოდეს ყოფილა, ხოლო რაც იყო, „იმისათვის“ ფული არ არის საჭირო. ჩემთვის ფული - აქსესუარი, გატაცება და გარემოებაა. დღეს შეიძლება წარჩინებული ქალბატონი მყავდეს, ხვალ კი მის მაგივრად ვინმე ქუჩის გოგო. ერთსაც და მეორესაც ვართობ, ფულს ბლომად ვახარჯავ, აქეთ მუსიკა, იქით ბოშები. თუ საჭიროა, მათაც ვაძლევ, რადგან იღებენ, იღებენ აზარტით. გულახდილად გეუბნები, ამით ძალიან კმაყოფილები და მადლიერები არიან. წარჩინებულ ქალბატონებს ყველას არ ვყვარებივარ, მაგრამ ზოგიერთებს ვუყვარდი, იყო ასეთი შემთხვევებიც. მე ყოველთვის მიყვარდა მოედნის უკანა მხარეს მდებარე შუკები და ყრუ, ბნელი უბნები, მხოლოდ იქ შეიძლება გადაგხდეს მოულოდნელობებით აღსავსე თავგადასავლები და იგემო ბინძური, მაგრამ ნამდვილი დედაკაცები. მე, ჩემო ძმაო, ალეგორიებით გელაპარაკები. ჩვენს პატარა ქალაქს ამგვარი შუკები ფაქტობრივად არ გააჩნდა, მაგრამ ზნეობრივად არსებობდა. შენ რომ ჩემნაირი იყო, აუცილებლად გამიგებ, რას ნიშნავს ყოველივე ეს. მრუშობაც მიყვარდა და მრუშობის სიბილწეც. მიყვარდა სისასტიკე: მე ხომ ბაღლინჯო ვარ, ბოროტი მწერი! ნამდვილი კარამაზოვი! ერთხელ საპიკნიკოდ შვიდი სამცხენათი ქალაქგარეთ გავემგზავრეთ. ზამთარია, ბნელა, მარხილში გვერდით ერთი ქალიშვილი მიზის, ხელი ხელზე მოვუჭირე და კოცნაზე დავიყოლიე. ღარიბი ჩინოვნიკის ქალიშვილი იყო, ლამაზი, თვინიერი და უთქმელი. სიბნელეში ბევრი რამის ნება დამრთო. საბრალო ალბათ ფიქრობდა: ხვალ ჩემი ხელის სათხოვნელად მოვაო (მე ხომ, როგორც საცოლო კაცს, მაფასებდნენ); მე კი ამ ამბის შემდეგ მისთვის ხმა არ გამიცია, ხუთი თვე არ დავლაპარაკებივარ. ვხედავდი, როგორ მითვალთვალებდა ხოლმე მისი თვალები რომელიმე დარბაზის კუთხიდან, სადაც ცეკვავდნენ (ჩვეთან ხომ ცეკვის მეტს არაფერს აკეთებენ), ვხედავდი როგორ ელავდნენ ისინი თვინიერი გულისტკივილით. ეს თამაში ართობდა ჩემში დაბინავებული მწერის ავხორცობას. ხუთი თვის შემდეგ ერთ ჩინოვნიკს გაჰყვა ცოლად და ქალაქიდან წავიდა... ნაწყენი და შესაძლოა, კვლავ ჩემზე შეყვარებული. ახლა ისინი ბედნიერად ცხოვრობენ. ისე, რომ იცოდე ამის შესახებ არავისთვის მითქვამს, მისთვის სახელი არ გამიტეხია; შესაძლოა, მე საზიზღარი სურვილები მაქვს, მიყვარს უზნეობა, მაგრამ უნამუსო არ ვარ. ვხედავ, წამოწითლდი, თვალები აციციმციმდა, გინდა მითხრა: კმარა, გეყოფა ამდენი ჭუჭყიო. ეს კიდევ რაა, ეს ჯერ პოლ დე კოკის[40] ყვავილებია. სასტიკი მწერი უფრო და უფრო იზრდებოდა. აქ, ჩემო ძმაო, მოგონებების მთელი ალბომი მაქვს. ღმერთმა ჯანი არ მოაკლოს იმ ლამაზმანებს. ქალთან დაშორების დროს კინკლაობა არ მახასიათებდა. არასოდეს არავისთან კრინტი არ დამიძრავს მათ შესახებ, არც ერთისათვის სახელი არ გამიტეხია. ახლა კი კმარა. ნუთუ შენ ფიქრობ, რომ აქ მხოლოდ ამ სისაძაგლის მოსასმენად გიხმე? არა, მე შენ ძალიან საინტერესო რამეს უნდა მოგიყვე; ნუ გაგიკვირდება, რომ არ მრცხვენია, პირიქით, მოხარულიც ვარ.

- ამას იმიტომ ამბობ, რომ გავწითლდი, - უცებ თქვა ალიოშამ. - მე არც შენმა ნაუბარმა გამაწითლა და არც შენმა ნამოქმედარმა. მე ეს იმიტომ დამემართა,

რომ მეც შენნაირი ვარ.
- შენც? შენ ჯერ კიდევ ბევრად შორსა ხარ.
- არც ისე შორს, - ალაპარაკდა აღელვებული ალიოშა (ეტყობოდა, ამ აზრს დიდი ხანია ატარებდა), - ერთი და იგივე საფეხურებია. მე ყველაზე დაბლა ვდგავარ, შენ კი მაღლა, სადღაც მეცამეტეზე. ჩემი აზრით, ყოველივე ეს ერთი და იგივეა, სავსებით მსგავსი. ვინც ფეხი ქვედა საფეხურზე შედგა, იგი აუცილებლად ავა ზედაზე.
- ამიტომ საერთოდ არ უნდა შედგა ფეხი?
- ვისაც შეუძლია - არ უნდა შედგას ფეხი.
- შენ შეგიძლია?
- მე მგონი, არა.
- გაჩუმდი, ალიოშა, გაჩუმდი, ძვირფასო, ძალიან მინდა ხელზე გეამბორო, ისე ამიჩუყდა გული. ის გაიძვერა გრუშენკა კარგად ერკვევა ადამიანებში. ერთხელ მითხრა, რომ ოდესმე შენ შეგახრამუნებს. ვდუმვარ, ვდუმვარ! ახლა ამ სიბინძურიდან გადავიდეთ მეორე სიბინძურეზე, რასაც ჩემი ტრაგედია ჰქვია. საქმე ის არის, რომ ჩვენმა ბებერმა, თუმცა იცრუა ჩემ მიერ უმანკოთა შეცდენის თაობაზე, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ჩემს ცხოვრებაში ასეთი მცდელობა ერთხელ მქონდა, რომელიც არ შედგა. ბერიკაცი არმომხდარი ამბებით მლანძღავდა, ეს შემთხვევა კი არ იცის. მე ის არასდროს, არავისთვის მომიყოლია, ცხადია, ივანის გარდა. ივანმა ყველაფერი იცის. ადრე ვუთხარი, დიდი ხანია უკვე. მაგრამ ივანი არავის ეტყვის.
- ივანი არავის ეტყვის?
- კი!
ალიოშა გულდასმით უსმენდა.
- იმ სასაზღვრო ჯარების ბატალიონში, მართალია, პრაპორშჩიკად ვსახურობდი, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი, როგორც გადასახლებაში მყოფი. ქალაქში ძალიან კარგად მიმიღეს. ფულს გვარიანად ვხარჯავდი და ამიტომ ყველას ეგონა, მდიდარი კაციაო. იმათ კი არა, მეც მეგონა. შესაძლოა, რაღაც სხვა მიზეზითაც მოვიგე მათი გული. თუმცა, ხანდახან მძრახავდნენ, მაგრამ ისიც მართალია, ყველას ვუყვარდი. ჩემმა ბებერმა პოდპოლკოვნიკმა კი რატომღაც ამითვალწუნა, ამიხირდებოდა ხოლმე; მე კი მაგარი ზურგი მქონდა, თანაც მთელი ქალაქი ჩემს მხარეს იდგა და შარის მოდება არც ისე ადვილი იყო. ისე, დამნაშავე ვიყავი, შეგნებულად, ღირსეულ პატივს არ მივაგებდი ხოლმე მას. კუდი ყავარზე მქონდა გადებული. ამ ბებერ, ჯიუტ, მაგრამ კეთილ და პურმარილიან კაცს ოდესღაც ორი ცოლი ჰყავდა და ორივე გარდაეცვალა. პირველი უბრალო ოჯახიდან ყოფილა, მისგან ერთი ქალიშვილი დარჩა, ერთი მიამიტი გოგო, ჩემი იქ ჩასვლის დროს ასე ოცდაოთხი წლის იქნებოდა და მამასთან და დეიდასთან ერთად ცხოვრობდა. ეს დეიდა დედამისის ღვიძლი და იყო. დეიდა - უთქმელი გულუბრყვილობა, დისშვილი, პოდპოლკოვნიკის უფროსი ასული - მარჯვე გულუბრყვილობა. ვიგონებ და მინდა კეთილი სიტყვა ვთქვა მასზე: არასოდეს მისნაირი მშვენიერი ხასიათის ქალი არ შემხვედრია. აგაფია ერქვა, აგაფია ივანოვნა. რუსული გემოვნებით ულამაზო არ ეთქმოდა - მაღალი, ჩათქვირული, მშვენიერ თვალ-წარბა ქალი, თუმცა სახის მოყვანილობა ცოტა უხეში ჰქონდა. გათხოვება არ უნდოდა, ორი კაცი მაინც გაისტუმრა უარით და არც ნანობდა ამას, მუდამ კარგ ხასიათზე იყო. მე ცუდი მიზნით არ დავახლოებივარ, ურთიერთობა

სუფთა და მეგობრული გვქონდა. ქალებთან ხშირად ვყოფილვარ ახლოს, ისე, მეგობრულად, ყოველგვარი ცოდვის გარეშე. ისეთნაირ ამბებს ვუყვებოდი ხოლმე გულახდილად, რომ უჰ! ის კი იცინოდა. ისე იცოდე, ბევრ ქალს უყვარს გულახდილობა, აგაფია კი ისეთი გოგონა იყო, მასთან ყოფნა ყოველთვის მიხაროდა. ის არასოდეს ტოვებდა მაღალი წრის ქალიშვილის შთაბეჭდილებას, ცხოვრობდა მამასთან და დეიდასთან ერთად და არასოდეს ცდილობდა მაღალი საზოგადოების სხვა წევრებთან გათანაბრებას. ყველას უყვარდა, ყველას სჭირდებოდა, რადგან განთქმული მკერავი იყო, ნიჭიერი ოსტატი. ფულს არ თხოულობდა, ყოველივე ამას თავაზიანობის გამო აკეთებდა, მაგრამ თუ რაიმეს აჩუქებდნენ - უარს არ ამბობდა. პოლკოვნიკი სულ სხვა პიროვნება იყო! ჩვენს ქალაქში ის პირველ კაცად ითვლებოდა. ხელგაშლილად ცხოვრობდა, მუდამ სტუმრიანობა ჰქონდა, პურ-მარილი და ცეკვები. როცა მე ბატალიონში მივედი, მაშინ ქალაქში ხმა დაირხა, პოლკოვნიკის მეორე ქალიშვილი, ულამაზესი ლამაზთა შორის, დედაქალაქის წარჩინებულ ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული ჩამოდისო. ეს გახლდა შენთვის კარგად ცნობილი კატერინა ივანოვნა, რომელიც პოლკოვნიკს მეორე ცოლისგან ჰყავდა. პოლკოვნიკის მეორე ცოლი დიდგვაროვანი წარმოშობის, ოდესღაც დიდი გენერლის ქალიშვილი იყო, თუმცა, რამდენადაც ვიცი, მზითვად კაპიკი არ მოჰყოლია. მხოლოდ კარგი ნათესავები ეხვია გარს და მომავლის იმედის მეტი არა გააჩნდა რა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ჩამოსვლამ (სტუმრად, სამუდამოდ დარჩენას არ აპირებდა) ჩვენი ქალაქი რაღაცნაირად განაახლა. ქალაქის დიდგვაროვანი მანდილოსნები, ორი მისი აღმატებულება, ერთი პოლკოვნიკის მეუღლე და სხვა დანარჩენები დიდ აქტიურობას იჩენდნენ კატერინას გართობა-გამხიარულებაში. ყველა მეჯლისისა და პიკნიკის დედოფლი გახდა. მე კი ამ დროს ჩემთვის ვიყავი, ვქეიფობდი და დროს ვატარებდი. ხოლო ერთხელ ისეთი რამ ჩავიდინე, მთელი ქალაქი აყაყანდა. კატერინას პირველად ბატარეის უფროსთან სტუმრად ყოფნისას შევხვდი, დავინახე, როგორ შემათვალიერა, მაგრამ ახლოს არ გავკარებივარ: ისე დავიჭირე თავი, ვითომ არც ვიყავი დაინტერესებული მისი გაცნობით. მხოლოდ მოგვიანებით, კვლავ სტუმრად ყოფნის დროს, მივედი და გამოველაპარაკე. კატერინამ ზემოდან გადმომხედა და ტუჩები აიბზუა, მე კი ჩემთვის გავიფიქრე: დამაცა, სამაგიერო თუ არ გადაგიხადო-მეთქი! მაშინ საზიზღარი ბურბონი[41] ვიყავი. მთავარია, მე მაშინ ვგრძნობდი, რომ „კატენკა“ უბრალოდ, ინსტიტუტის კურსდამთავრებული კი არ იყო, არამედ განსაკუთრებული ხასიათის ადამიანი, ამაყი, კეთილი, ჭკვიანი და განათლებული პიროვნება გახლდათ. ეს კი, ის თვისებებია, რომელიც მე მაკლდა. არ გეგონოს, მისი ცოლად მოყვანა მინდოდა, არა! შურისძიებას ვაპირებდი - როგორ თუ, მე, ასეთი ვაჟკაცი არ დამაფასა-მეთქი. მანამდე კი ვქეიფობდი და დროს ვატარებდი. ბოლოს ისე მოხდა, რომ პოდპოლკოვნიკმა სამი დღით პატიმრობა მომისაჯა. ამ დროს მამაჩვენისაგან ექვსი ათასს ვღებულობ, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ფორმალური უარი გავუგზავნე ყველა სხვა ქონებაზე და შევუთვალე - ამის შემდეგ „ქვითი“ ვიქნებით, მეტს აღარაფერს მოგთხოვ-მეთქი. მაშინ არაფერი გამეგებოდა; მაშინ კი არა, ახლაც, დღესაც ვერ გავრკვეულვარ მამაჩვენისა და ჩემს ანგარიშებში. ეშმაკს წაუღია მისი თავი და ტანი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. მაშ ასე, მივიღე ექვსი ათასი. ამ დროს ერთი ამხანაგის წერილის მეშვეობით ვგებულობ ჩემთვის მეტად საინტერესო ამბავს: თურმე ჩემი

პოდპოლკოვნიკით ზემოთ უკმაყოფილონი ყოფილან, მასზე რაღაც ეჭვები ჰქონიათ, მოკლედ, მტრები შეჭმას უპირებდნენ. მართლაც, ერთ დღეს ჩამოვიდა დივიზიის უფროსი და ჩემი პოდპოლკოვნიკი მაგრა შეახურა. შემდგომში, მცირე ხნის შემდეგ, ურჩიეს, გადამდგარიყო. ახლა არ დავიწყებ დაწვრილებით იმის მოყოლას, ჰყავდა თუ არა მას მტრები, იმას კი გეტყვი, რომ ჩვენს ქალაქში პოდპოლკოვნიკს და მის ოჯახს უცებ ყველა განუდგა და ზურგი შეაქცია. აი, მაშინ განვიზრახე ჩემი პირველი ოინი: როგორც კი აგაფია ივანოვნა შემხვდა, რომელთანაც კიდევ ვმეგობრობდი, ვუთხარი: „შენს მამიკოს ხაზინის ვალი 4,5 ათასი ხომ არა აქვს?“ - „ამას რატომ ამბობთ? ამასწინათ გენერალი იყო ჩამოსული და ყველაფერი ადგილზე ნახა...“ - „მაშინ იყო, ახლა კი აღარ არის.‘ ძალიან შეშინდა. „ნუ მაშინებთ, გეთაყვა, ვინ გითხრათ?“ - „ნუ სწუხართ, არავის ვეტყვი, ეს თქვენ კარგად იცით, ამის შესახებ კრინტს არ დავძრავ. აი, რა მინდა გითხრათ, ყოველ შემთხვევისათვის, როცა მამათქვენს იმ ფულს მოსთხოვენ და მას არ ექნება, საქმის სასამართლომდე მისვლას და ამ სიბერეში ჯარისკაცამდე ჩამოქვეითებას, ჯობს, ჩემთან გამოგზავნოთ თქვენი ინსტიტუტში გაზრდილი დაიკო, ისე რომ არავინ გაიგოს, მე ახალი მიღებული მაქვს ფული და მივცემ 4,5 ათასს მანეთს, თანაც საიდუმლოს შევუნახავ.“ - „ო, როგორი გათახსირებული ხართ! (ზუსტად ასე მითხრა) ბოროტი თახსირი! როგორ ბედავთ!“ მომახალა და სასტიკად გაჯავრებული წავიდა, მე კი მივაძახე, საიდუმლოს შევუნახავ-მეთქი. წინასწარ გეტყვი, ეს ორი ქალი, აგაფია და დეიდამისი, ნამდვილი წმინდა ანგელოზები იყვნენ, ისინი ამპარტავან კატიას აღმერთებდნენ, თავს იმცირებდნენ და ემსახურებოდნენ... ჰოდა, აგაფიამ ჩვენი საუბარი კატიას გადასცა. ამის შესახებ მოგვიანებით წვრილად შევიტყვე. არ დაუმალავს, მეც, რასაკვირველია, სხვა აღარაფერი მინდოდა.
მოულოდნელად ბატალიონის ჩასაბარებლად მაიორი ჩამოვიდა. ჩაიბარა. მოხუცი პოდპოლკოვნიკი უცებ ლოგინად ჩავარდა, გადაადგილება არ შეუძლია, ორი დღე და ღამეა სახლიდან არ გამოდის, არც სახაზინო თანხას აბარებს. ექიმი კრავჩენკო ირწმუნებოდა - ნამდვილად ავად არისო. მე კი, დიდი ხანია, დაწვრილებით ვიცი ერთი საიდუმლო: უკვე ოთხი წელიწადია, ბატალიონის თანხა, მას შემდეგ, რაც უფროსობა შეამოწმებდა, სადღაც დროებით ქრებოდა ხოლმე. ამ თანხას პოდპოლკოვნიკი სესხად აძლევდა თავის ერთგულ კაცს, ჩვენებურ ვაჭარს, მოხუც ქვრივს, ოქროს სათვალეებიან წვეროსანს, ტრიფონოვს. ის ბაზრობაზე მიემგზავრებოდა, იქ, საჭიროებისამებრ, ფულს ბრუნვაში გაუშვებდა და დაბრუნებისას თანხას უკან აბარებდა პოდპოლკოვნიკს და თან საჩუქრებსა და პროცენტებსაც მოაყოლებდა. იმჟამად ეს ამბავი სრულიად შემთხვევით შევიტყვე ტრიფონოვის ნაშიერისგან, ერთი გარყვნილი, ჯერ კიდევ დორბლიანი ყმაწვილისაგან, რომლის მსგავსი ქვეყნად არ შობილა. აი, რა მითხრა მან: ამჯერად ბაზრობიდან დაბრუნებულ ტრიფონოვს თურმე პოდპოლკოვნიკისთვის არაფერი მიუტანია. როცა პოდპოლკოვნიკი მივარდნილა მასთან და ფული მოუთხოვია, ტრიფონოვს ასე მოუხსენებია: „არასოდეს თქვენგან არაფერი მიმიღია და არც შეიძლებოდა მიმეღოო“. ასეთი პასუხის შემდეგ რა უნდა ექნა პოდპოლკოვნიკს, მისულა სახლში, თავი პირსახოცით შეუკრავს და თურმე სამივე ქალი თხემზე ყინულებს უცვლიდა. მოსულა შიკრიკი და გადაუცია ბრძანება: „ახლავე, ორი საათის განმავლობაში, ჩააბარეთ სახაზინო ფულიო!“ მას შიკრიკისთვის წიგნში ხელი მოუწერია, ბრძანება რომ მიიღო (ეს

ხელმოწერა მე შემდგომში ვნახე) ამდგარა, თავის საძინებელში გასულა ვითომ მუნდირის ჩასაცმელად. იქ აუღია თავისი ორლულიანი თოფი, დაუტენია, შემდეგ მარჯვენა ფეხზე გაუხდია ჩექმა, თოფი მკერდზე მიუდია და ფეხის თითებით დაუწყია ჩახმახს ძებნა. ამ დროს დაეჭვებული აგაფია, ჩემი სიტყვები თუ გაახსენდა ალბათ, მიჰპარვია და როცა ყველაფერი დაუნახავს, ოთახში შევარდნილა და უკნიდან მოხვევია. უცებ თოფი გავარდნილა, ტყვია მაღლა ჭერს მოხვედრია და ბედად არავინ არ დაშავებულა. სროლის ხმაზე დანარჩენი ქალებიც ოთახში შემოცვენილან, თოფი წაურთმევიათ და ხელები გაუკავებიათ. ეს ყველაფერი მოგვიანებით შევიტყვე. იმ დროს შინ ვიყავი, უკვე ბინდდებოდა, გასვლას ვაპირებდი, ჩავიცვი, თმა დავივარცხნე, ცხვირსახოცი სუნამოთი დავნამე, ქუდი ავიღე და რას ვხედავ - კარი იღება და ჩემ წინაშე კატერინა ივანოვნაა.

ცხოვრებაში ხდება ხოლმე ასეთი უცნაურობები: თურმე მაშინ ჩემთან მომავალი კატია ქუჩაში ვერავინ შეამჩნია. ისე მოვიდა ჩემთან, ქალაქში ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაიგო. მე ბინად ორ ძალზე მოხუცებულ ჩინოვნიკის ქვრივებთან ვიდექი. ეს დარბაისელი დედაკაცები სხვადასხვა სამსახურს მიწევდნენ და ყველაფერს მიჯერებდნენ. მაშინ მათ ჩემი ბრძანებით პირში წყალი ჩაიგუბეს და კრინტი არავისთან დაუძრავთ. იმწამსვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. კატია შემოვიდა და პირდაპირ თვალებში შემომხედა. მის მუქ თვალებს შეუპოვარი და კადნიერი გამომეტყველებაც კი ჰქონდა, მაგრამ ბაგეები უთრთოდა, ბაგეებს აჩნდა გაუბედაობა.

- ჩემმა დამ გადმომცა, რომ თქვენ შეგიძლიათ მომცეთ 4,5 ათასი მანეთი, თუკი მე თავად მოვიდოდი თქვენთან... ჩემი ფეხით. მოვედი... მომეცით ფული!... - თავი ვერ შეიკავა, სული შეეხუთა, შიშისგან ხმა ჩაუწყდა, ტუჩების ბოლოები და მათ გასწვრივ ხაზები აუკანკალდა. - ალიოშკა, მისმენ, თუ გძინავს?

- მიტია, მე ვიცი, შენ ყველაფერს მართალს იტყვი, - წარმოთქვა აღელვებულმა ალიოშამ.

- სწორედაც სრული სიმართლე მოგახსენე. ახლაც სიმართლეს ვიტყვი, თავს არ დავინდობ. პირველი აზრი, რამაც თავში გამიელვა კარამაზოვული იყო. ერთხელ, ჩემო ძმაო, ფალანგამ მიკბინა, მისი ნაკბენისაგან ორი კვირა სიცხიანმა ლოგინში გავატარე; იმ წუთებშიც ვიგრძენი გულზე ფალანგის კბენა, ფალანგა კი ავი მწერია, გესმის? მუშტრის თვალით ავხედ-ჩავხედე. ხომ გინახავს? ნამდვილი მზეთუნახავია. მაგრამ იმჟამად ის ქალური სილამაზით მშვენიერი კი არ იყო, არამედ თავისი კეთილშობილებით. იმ წუთში ის იყო კეთილშობილების განსახიერება, მე კი ზნედაცემულობის ნიმუში, ის თავისი დიდსულოვნებით მამის გულისათვის თავდადებული, მე კი საკბენად გამზადებული თახსირი ბაღლინჯო, რომლისგანაც ამ წუთებში ყველაფრით იყო დამოკიდებული - სულითაც და სხეულითაც. პირდაპირ გეტყვი: ფალანგის შესახებ აზრმა ისე დაიპყრო ჩემი გონება, რომ ტანჯვისაგან კინაღამ გული წამივიდა. უკვე ჩანდა, არავითარი წინააღმდეგობა არ მელოდა, მხოლოდ უნდა მოვქცეულიყავი, როგორც ბაღლინჯო, როგორც ბოროტი ტარანტული, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. ერთხანს სული შემეხუთა. ცხადი იყო, მეორე დღესვე მივიდოდი მასთან ხელის სათხოვნელად, რომ ყოველივეს კეთილშობილური დასასრული ჰქონოდა, რომ არავის არასოდეს სცოდნოდა ამის შესახებ. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, ქვენა გრძნობებს აყოლილი კაცი ვარ, მაინც პატიოსანი ვარ. იმ მომენტში ყურში

ვიღაცამ ჩამჩურჩულა: „ხვალ, როგორც კი მიხვალ ხელის სათხოვნად, ეს ქალბატონი არ მიგიღებს და მსახურებს უბრძანებს, გაგაძევონ ეზოდან - რაც გინდა ისა თქვი, თუნდაც მთელი ქალაქი შემიყარე, შენი მაინც არ მეშინიაო.“ შევხედე მას და ვიგრძენი, რომ არ მომატყუა ჩემმა შინაგანმა ხმამ. ცხადი იყო, ყველაფერი ასე მოხდებოდა: კუდამოძუებულს გამომაგდებდნენ, ეს მას სახეზე ეწერა. ბრაზი ყელში მომებჯინა, მომინდა რაღაც საზიზღარი, ღორული, ვაჭრული ოინის მოწყობა: მოდი ამას, ვიდრე ჩემ წინაშე მთხოვნელად დგას, დაცინვით შევხედავ და როგორც ვაჭარმა იცის, ისე ირონიულად ვეტყვი:
- ოთხი ათასი! რას ლაპარაკობთ, ქალბატონო, მე ხომ ვიხუმრე? სულელი ხომ არ გგონივართ. ორასი მანეთი, კი, ბატონო, მაგდენს სიამოვნებით გადაგიხდით, მაგრამ ოთხი ათასი - ეს დიდი ფულია, ასე ფუქსავატურად ვერ გადავყრი. ტყუილად გარჯილხართ.
რასაკვირველია, ასეთი საქციელით ყველაფერს დავკარგავდი. იგი გაიქცეოდა, სამაგიეროდ ისეთი ჯოჯოხეთური შურისძიება გამომივიდოდა, რაც ყველაფრად ღირდა. ისიც მართალი იყო, შემდგომში, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სინანულისგან ვიღმუვლებდი, მაგრამ არა უშავდა რა, ოღონდ ახლა ეს ოინი გამომსვლოდა. მერწმუნე, ასეთი რამ არასოდეს, არავისთან, არც ერთ ქალთან არ დამმართნია, ის, რომ მე რამდენიმე წამის განმავლობაში ქალისათვის სიძულვილით მეცქირა - ვფიცავ (პირჯვარს გადაიწერს) არასოდეს ყოფილა. აი, მას კი რამდენიმე წამი ისეთი სიძულვილით ვუყურებდი, ისეთი საშინელი სიძულვილით, რომლისგანაც სიყვარულამდე ერთი ნაბიჯია! ფანჯარასთან მივედი, თავი გაყინულ მინას მივადე, მახსოვს ყინულმა შუბლი ცეცხლივით დამწვა. დიდხანს აღარ გამიჩერებია, მოვბრუნდი, მაგიდასთან მივედი, უჯრა გამოვაღე და ხუთათასიანი ხუთპროცენტიანი უსახელო ბილეთი ამოვიღე (ფრანგულის ლექსიკონში მედო). შემდეგ ხმაამოუღებლივ დავანახვე მას, დავკეცე და გადავეცი. თავად გავუღე კარი, უკან დავიხიე და წელში მოხრილმა თაყვანი ვეცი, მოკრძალებული და შთამბეჭდავი თაყვანი, მერწმუნე! იგი შეკრთა, საშინელი ფერი დაედო, ერთხანს გაშტერებული მიყურებდა, შემდეგ უხმოდ, ყოველგვარი აღტყინების გარეშე, წყნარად, ნამდვილი რუსული უბრალოებით და არა როგორც ინსტიტუტში გაზრდილმა ქალმა, ჩემს ფეხებთან ისე მდაბლად დამიკრა თავი, ლამის შუბლით იატაკს მისწვდა! წამოხტა და გაიქცა. ამ დროს შპაგით ვიყავი; ამოვიღე შპაგა და თავის მოკვლა მოვინდომე, რისთვის, არ ვიცი, ცხადია, ეს დიდი სიბრიყვე იქნებოდა, ამას ლაპარაკი არ უნდა, ალბათ აღტაცებისგან. გესმის შენ, თურმე ზოგჯერ აღტაცებამ კაცი შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. მაგრამ მე თავი არ მომიკლავს, შპაგას ვეამბორე და უკან ჩავდე ქარქაშში. ამის შესახებ შეიძლებოდა შენთვის არ მეთქვა, მაგრამ როცა ამ ამბებს გიყვებოდი, შიგადაშიგ ვალამაზებდი, თავის მოწონება მინდოდა. დაე, ასე იყოს! ასე იყოს, ეშმაკმა დალახვროს ადამიანის გულისნადებთა ყველა მსტოვარი! აი, ასე იყო, ჩემი და კატიას ამბავი. ახლა ეს შენ და ივანმა იცით მხოლოდ!
დმიტრი ადგა, აღელვებულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ისევ დაჯდა, იმ ადგილას კი არა, სადაც ადრე იჯდა, არამედ სხვაგან, მოპირდაპირე სკამზე, მეორე კედელთან, ისე რომ ალიოშას მოუწია, მთლიანად მობრუნებულიყო მისკენ.

V აღსარება ცხელ გულზე. „თავდაყირა“

- ახლა, - თქვა ალიოშამ, - მე ამ საქმის პირველი ნახევარი ვიცი.
- პირველი ნახევარი დრამა იყო, ეს მოხდა იქ, მეორე კი ტრაგედიაა, ის აქ მოხდა.
- მეორე ნახევარში მე ვერაფრით გავრკვეულვარ, - თქვა ალიოშამ.
- მე რა? მე გავერკვიე?
- მოიცა, დმიტრი, აქ ერთი რამაა მთავარი, მითხარი: შენ ხომ საქმრო ხარ, ახლაც ხომ ითვლები საქმროდ?
- საქმრო მე ახლა არ გავმხდარვარ, ეს მოხდა იმ ამბის მერე, სამი თვის თავზე. იმ შემთხვევის მეორე დღეს კი საკუთარ თავს ვუთხარი: ამიერიდან ყველაფერი ამოწურულია და დამთავრდა, გაგრძელება არ იქნება-მეთქი. აწი ხელის სათხოვნელად მისვლა თავის დამცირებად მიმაჩნდა. თავის მხრივ, კატიაც იმ ექვსი კვირის განმავლობაში, რაც ჩვენს ქალაქში დაჰყო, ერთი სიტყვითაც არ შემხმიანებია. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, გარდა ერთი შემთხვევისა: მეორე დღეს მისმა მოახლემ უსიტყვოდ გადმომცა პაკეტი. პაკეტზე მისამართი ეწერა: ამას და ამასო. გავხსენი და შიგ აღმოჩნდა ხუთი ათასი მანეთიდან დარჩენილი ხურდა. ეტყობოდა, რაც მათ სჭირდებოდათ, 4,5 ათასი მანეთი აიღეს და დანარჩენი დამიბრუნეს, ასე ორასსამოც მანეთამდე იქნებოდა, რადგან ხუთათასიანი ბილეთის დახურდავებისას ორას მანეთზე მეტი დაიკარგებოდა. პაკეტში მხოლოდ ფული იდო, ერთი სიტყვაც არ მოუწერია, არავითარი ახსნა-განმარტება. პაკეტში დიდხანს ვეძებდი ფანქრით რაიმე ნიშანს მაინც - არაფერი არ იყო! რა უნდა მექნა?! დარჩენილი ფულით კვლავ შევუბერე და ჩემი ახალი მაიორი იძულებული გახდა, საყვედური გამოეცხადებინა ჩემთვის. პოდპოლკოვნიკმა სახაზინო ფული უკლებლივ ჩააბარა, ყველა გაკვირვებული დარჩა, არავინ ფიქრობდა, ამდენი ფული თუ ექნებოდა. ფული დააბრუნა და ლოგინად ჩავარდა, სამი კვირა იწვა, შემდეგ ტვინის დარბილება დაეწყო და ხუთ დღეში სული განუტევა. დაასაფლავეს სამხედრო ღირსებებით, რადგან ჯერ გადამდგარი არ იყო. კატია, მისი და და დეიდა პოდპოლკოვნიკის დასაფლავების შემდეგ ათ დღეში მოსკოვს გაემგზავრნენ. მხოლოდ გამგზავრების დღეს (მე ისინი არ მინახავს, არ გამიცილებია) მივიღე კატიას წერილი, სადაც რამდენიმე სიტყვა ეწერა: „ელოდეთ ჩემს წერილს. კ.“ ეს იყო და ეს.
ახლავე ორიოდ სიტყვით აგიხსნი ყოველივეს. მოსკოვში მათი საქმეები ელვის სისწრაფით დატრიალდა და არაბული ზღაპარივით მოულოდნელობით აღსავსე იყო. კატერინას ყველაზე მთავარ ნათესავს, გენერლის ქვრივს, ორივე მემკვიდრე გარდაცვლია, ორი ძმისშვილი ქალი, ორივე ერთ კვირაში აღსრულებულა ყვავილით. დამწუხრებული მოხუცებული კატიას ჩასვლამ ძალიან გაახარა და ისე შეხვდა, როგორც საკუთარ ქალიშვილს, როგორც თავის გადამრჩენელს. მაშინვე კატიას სახელზე გააფორმა ანდერძი და პირდაპირ ხელში ოთხმოცი ათასი ნაღდი ფული მისცა - ეს შენი მზითევია, რაც გინდა, ის უქენიო. ეს ისტერიული დედაკაცი მოგვიანებით მოსკოვში გავიცანი. ჰოდა, ამის შემდეგ მოულოდნელად ფოსტით ვღებულობ 4,5 ათას მანეთს. რასაკვირველია, გამიკვირდა, ენა დამება. სამი დღის შემდეგ მომივიდა დაპირებული წერილი. ეს წერილი ახლაც აქ მაქვს, ყოველთვის

თან დამაქვს, ალბათ მასთან ერთად მოვკვდები - გინდა განახო? აუცილებლად წაიკითხე: ცოლობას მთავაზობს, თავად მთხოვს, „მიყვარხართ, თქვენზე ჭკუას ვკარგავ, დაე, თქვენ არ გიყვარდეთ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ ჩემი ქმარი გახდით. ნურაფრის შიში გექნებათ, არაფრით შეგზღუდავთ, თქვენი ნივთი გავხდები, თქვენი ნოხი, რომელზედაც აივლ-ჩაივლით... მინდა მიყვარდეთ კუბოს კარამდე, მინდა გადაგარჩინოთ საკუთარ თავისგან...“ ალიოშა, არა ვარ ღირსი, წერილის შინაარსი ჩემი სიტყვებით გადმოგცე, ჩემი საზიზღარი ტონით, იმ ტონით, რომელსაც თავი ვერაფრით დავაღწიე! ამ წერილმა გული გამიპო, დღემდე მტანჯავს, განა ახლა არ მიჭირს, განა დღეს მილხინს? იმ დღესვე პასუხი მივწერე (რადგან ვერაფრით შევძელი მოსკოვს გამგზავრება). აცრემლებული ვწერდი: ერთი რამის მრცხვენია, ის რომ ახლა მდიდარია, მე კი ღატაკი ბურბონი-მეთქი - ფული ვახსენე! არ უნდა დამეწერა, რა ვქნა, წამომცდა. მაშინვე ივანსაც მივწერე წერილი, ვთხოვდი, მისულიყო მასთან, მოსკოვში, შეძლებისდაგვარად ყველაფერი ავუხსენი, ექვსი ფურცელი გამოვიდა. რას მიყურებ, რას მომაშტერდი? დიახ, ივანს ის შეუყვარდა, ახლაც უყვარს. ვიცი, თქვენი აზრით, წარჩინებულთა აზრით, სისულელე ჩავიდინე ხომ, მაგრამ იქნებ ეს სისულელე ერთადერთი რამაა, რომელიც ყველას გადაგვარჩენს! ნუთუ ვერ ხედავ, როგორ პატივს სცემს კატია ივანს, როგორ ანგარიშს უწევს? ნუთუ შესაძლებელია, რომ კატიას მე ვუყვარდე, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მოხდა?

- მე კი მჯერა, მას შენ უყვარხარ და არა ივანი.

- მას მხოლოდ თავისი სათნოება უყვარს, მე კი არა, - უნებურად, თითქმის ბოღმით წამოსცდა დმიტრის, შემდეგ მწარედ ჩაიცინა, თვალებში ცრემლები ჩაუდგა, წამოჭარხლდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- გეფიცები, ალიოშა, - აღმოხდა საკუთარ თავზე ძალზე გულწრფელად გაბრაზებულ დმიტრის, - გინდ დაიჯერე, გინდ არა, მაგრამ ვითარც ღმერთია წმიდათაწმიდა, ვითარც ქრისტეა უფალი ჩვენი, გეფიცები, მართალია, მე ახლა გავიცინე მის უმაღლეს გრძნობებზე, მაგრამ კარგად ვიცი, იგი მილიონჯერ მჯობია; ისიც ვიცი, რომ მისი საუკეთესო გრძნობები ისევე გულწრფელია, როგორც ზეციერი ანგელოზისა! ჩემი ტრაგედია სწორედ ისაა, ყველაფერი რომ ვიცი. რა არის იმაში ცუდი, თუკი კაცს ცოტა დეკლამირება მოუნდა?! განა ეს დეკლამაცია არ არის?! მაგრამ მე ხომ გულახდილად ვლაპარაკობ, მე ხომ გულწრფელი ვარ. რაც შეეხება ივანს, კარგად მესმის მისი, როგორი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ახლა ის, მისი გონების პატრონი, გამჩენს! ვის ამჯობინეს? მხეცსა და ნადირს, რომელიც აქ, ყველას თანდასწრებით, საკუთარი საცოლის თვალწინ, არ ეშვება ჩხუბსა და აყალმაყალს! აი, ასეთი, ჩემნაირი კაცი არის რჩეული, ის კი უარყოფილი. რისთვის, რატომ? იმისათვის, რომ ქალს მადლიერების ნიშნად თავისი ბედ-იღბლის და ცხოვრების გაუპატიურება სურს! ნამდვილი სიგიჟეა. ამის თაობაზე ივანთან არასოდეს მილაპარაკია, რასაკვირველია, არც ივანს უთქვამს არაფერი, გადაკვრითაც კი; მაგრამ ალბათ ბედი აღსრულდება და ღირსეულს თავისი მიეზღვება, ხოლო უღირსი სამუდამოდ, თავისი ნებით ჩაიკარგება თავის საყვარელ და ჩვეულ უბნებში, ჭუჭყით და სიმყრალით დამტკბარი. გადავამლაშე მგონი, რაღაც გაცვეთილი სიტყვებით ვლაპარაკობ, დაუფიქრებლად, მაგრამ რაც ვთქვი, ის ახდება. ჩავიძირები ჭუჭყსა და სიმყრალეში, ის კი ივანს გაჰყვება ცოლად.

- მოიცა, ძმაო, - ისევ შეაწყვეტინა შეწუხებულმა ალიოშამ, - აქამდე ერთი რამ

მაინც არ ამიხსენი: შენ ხომ საქმრო ხარ მისი. ჯერ ხომ კიდევ საქმრო ხარ მისი? როგორ აპირებ კავშირის გაწყვეტას, იქნებ საცოლეს არა სურს?
- დიახ, ფორმალური და აღიარებული საქმრო მე ვარ. ეს მოსკოვში მოხდა - როგორც კი ჩავედი, დიდი ზარ-ზეიმით, წესით და რიგით მიმიღეს. გენერლის ქვრივმა დაგვლოცა და არ დაიჯერებ, კატიას ასე უთხრა: კარგი არჩევანი გაგიკეთებია, კარგად ვხედავ, ვინც არისო. ივანი კი, არც ამას დაიჯერებ, არ მოეწონა და არც მიულოცავს მისთვის. მოსკოვში კატიას ბევრი ველაპარაკე, ყველაფერი ზუსტად და გულახდილად დავუხატე. მან მომისმინა:
იყო ლამაზი უხერხულობა,
ნაზ სიტყვებს ბოლო აღარ უჩანდა.
ამაყი სიტყვებიც იყო. მაშინ მან პირობა ჩამომართვა, რომ გამოვსწორდებოდი. მეც სიტყვა მივეცი, მაგრამ აი...
- რა მერე?
- მერე ის, რომ აქ იმიტომ გადმოგაძვრინე, დაიმახსოვრო ეს დღე! დღესვე უნდა მიმეგზავნო კატერინასთან, და...
- და რა?
- მინდა გადასცე, რომ აწი მე მასთან მიმსვლელი არ ვარ - მშვიდობით ბრძანდებოდე-თქო.
- განა ასე შეიძლება?
- დიახ, არ შეიძლება, ამიტომაც გაგზავნი შენ, თორემ მე როგორ ვეტყვი ამას?
- შენ, შენ რას აპირებ? სად წახვალ?
- ყრუ და ბნელ უბანში.
- ესე იგი, გრუშენკასთან! - ნაღვლიანად აღმოხდა ალიოშას და ხელი ხელს შემოჰკრა. - ნუთუ რაკიტინმა ყველაფერი მართალი თქვა? მე კი მეგონა, მასთან მხოლოდ ორჯერ იყავი და ამით მორჩა ყველაფერი.
- მერე? განა შეიძლება, ასეთი საცოლის პატრონი, ყველას თვალწინ სხვასთან დადიოდეს?! რაღაც ნამუსი მეც ხომ მაქვს. რა დღიდანაც გრუშენკასთან დავიწყე სიარული, იმ დღიდან აღარც მის საქმროდ ვთვლი თავს და აღარც პატიოსან კაცად, მე ეს ყველაფერი კარგად მესმის. რას მომშტერებიხარ? იცი რა, პირველად გრუშენკასთან საცემად წავედი. მითხრეს, რომ თურმე მას მამაჩემის დავალებით შტაბს-კაპიტანმა ჩემი თამასუქი გადასცა, მამაჩემს უნდოდა გრუშენკას ჩემთვის ვალი ეზღვევინებინა და ამით გავეჩუმებინე, მოკლედ, შეშინება უნდოდა. მე გრუშენკას საცემად მივედი. იგი ადრეც მენახა გაკვრით. არასოდეს მხიბლავდა. ისიც ვიცოდი, ბებერ ვაჭართან რომ ჰქონდა საქმე, რომელიც იმ დროისათვის უკვე ლოგინად ჩავარდნილი გახლდათ და ამ ქალბატონს კარგა მოზრდილ თანხას უტოვებდა. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ გრუშენკას ფულის კეთება უყვარდა, ფულს აქუჩებდა და შემდეგ დიდ პროცენტებად გაასესხებდა ხოლმე. გარდა ამისა, გაგებული მქონდა, რომ გაიძვერა, გაქნილი და დაუნდობელი ქალი იყო. ჰოდა, წავედი მის გასალახად და იქ დავრჩი. თავს მეხი დამეცა, შემეყარა ჭირი, დავსნეულდი და აქამდე სნეული დავიარები. კარგად ვიცი - ყველაფერი დასრულდა, სხვა მეტი რამ აღარასოდეს იქნება. დროის ციკლი დასრულდა. ასეთი რამ დამემართა... და სწორედ იმ მომეტში, თითქოს განგებ, ჩემს ჯიბეში, ღატაკი კაცის ჯიბეში აღმოჩნდა სამი ათასი მანეთი. ჩვენ ფეხი დავკარით და წავედით მოკროეში, აქედან ოცდახუთი ვერსი იქნება, წავიყვანე ბოშები, წავიღე შამპანური და მთელი იქ დამსწრე ქალი თუ კაცი შამპანურით გამოვათვრე.

მთელი ფული იქ მივფლანგე. სამი დღის შემდეგ მშიერი ვიყავ, მაგრამ ფრთაშესხმული შევარდენი. შენ გგონია რამეს მიაღწია ამ შევარდენმა? გაიძვერა გრუშენკამ ახლოსაც არ გამიკარა, მარცხენა ფეხის ნეკა თითზე კოცნის ნება დამრთო მხოლოდ და მეტი არაფერი - გეფიცები! მითხრა: „თუ გსურს, ცოლად გამოგყვები, შენ ხომ ღატაკი ხარ. ოღონდ დამპირდი, რომ არ მცემ და რასაც მოვინდომებ, ყველაფრის ნებას დამრთავ, შეიძლება მაშინ დაგთანხმდე ცოლობაზე," - ამას ამბობდა და იცინოდა. ახლაც იცინის!
დმიტრი ადგილიდან რაღაცნაირად ბრაზმორეული წამოხტა. უცებ მთვრალს დაემსგავსა, თვალები სისხლით აევსო.
- და შენ მართლა გინდა, ცოლად შეირთო?
- თუ მოინდომებს, არც დავფიქრდები, თუ არ მოინდომებს, დავრჩები, როგორც ვარ; მისი ეზოს მეეზოვედ დავდგები. შენ... შენ, ალიოშა... - უცებ იგი გაჩერდა მის წინაშე, ხელი მხრებზე წაავლო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ნჯღრევა დაუწყო, - იცი თუ არა შენ, უმანკო ყმაწვილო, რომ ყოველივე ეს ბოდვაა, უაზრო ბოდვა და სწორედ ამაშია ტრაგედია! გაიგე, ალიოშა, მე შეიძლება საზიზღარი კაცი ვარ, საზიზღარი და დამღუპველი ვნებებით შეპყრობილი, მაგრამ დმიტრი კარამაზოვი ქურდი, ჯიბგირი, ქურდბაცაცა არასოდეს გახდება! ახლა კი გაიგე, რომ თურმე ქურდიც ვარ, ჯიბგირიც და ქურდბაცაცაც! მანამდე, ვიდრე გრუშენკას საცემად წავიდოდი, დილით კატიამ საიდუმლოდ მიხმო, უნდოდა, რომ არავის სცოდნოდა ამის შესახებ (რისთვის, არ ვიცი, ალბათ ეგრე იყო საჭირო), მთხოვა საგუბერნიო ქალაქში გამგზავრება და იქიდან აგაფია ივანოვნასათვის სამი ათასი მანეთის მოსკოვში ფოსტით გადაგზავნა. მაინც და მაინც სხვა ქალაქიდან უნდოდა, აქ რომ არავის გაეგო. სწორედ ამ სამი ათასი მანეთით მივედი გრუშენკასთან, შემდეგ კი მოკროეში მოვუსვით და იქ დავამღერეთ. კატიას კი თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს საგუბერნიო ქალაქში ვიყავი, ფული გადავაგზავნე და ხელწერილს მერე მოვუტანდი. დღემდე არ მიმიტანია, დამავიწყდა. ახლა, შენ როგორ ფიქრობ, როცა შენ დღეს მასთან მიხვალ და ეტყვი: „მიტიამ გადმოგცა, კარგად ბრძანდებოდეო", ის რას გეტყვის? არ გეტყვის: „მაგრამ ფული?" შენ შეგიძლია უპასუხო: „ოო, ის საზიზღარი და გარყვნილი კაცია, თავშეუკავებელი და საძაგელი არსება, თქვენი ფული არ გადაუგზავნია, შემოეხარჯა, რადგან ცხოველივით წუწკია", - იქვე შეგიძლია დაუმატო: „სამაგიეროდ, ის ქურდი არ არის, აი თქვენი სამი ათასი, უკან გამოგიგზავნათ და შემოგითვალათ: თავად გაუგზავნეთ აგაფია ივანოვნას და ამიერიდან კარგად ბრძანდებოდე-თქო". მაგრამ ის ხომ იკითხავს: „მერე ფული, ფული სადაა?"
- მიტია, შენ უბედური კაცი ხარ, უბედური! მაგრამ არც ისე, როგორც შენ გგონია: ნუ მოიკლავ თავს წუხილით, ნუ მოიკლავ!
- შენ ფიქრობ, თავს მოვიკლავ, თუ სამი ათასი არ ვიშოვე? საქმეც ის არის, არ მოვიკლავ. ახლა არ შემიძლია, შეიძლება შემდეგ შევძლო, ახლა გრუშენკასთან მივდივარ... ჭირსაც წავუღივარ!
- მერე, რას იზამ?
- ცოლად შევირთავ, მისი მეუღლე გავხდები, თუ საყვარელი მოაკითხავს, მეორე ოთახში გავალ. მის მეგობრებს ჭუჭყიან კალოშებს გავუსუფთავებ, სამოვარს დავუბერავ, ხელზე მოსამსახურედ დავუდგები...
- კატერინა ყველაფერს გაგიგებს, - ხმამაღლა თქვა ალიოშამ, - გულთან მიიტანს შენი მწუხარების ყველა წვრილმანს და შეგირიგდება. ის გონიერი ქალია,

მიხვდება, რომ არ შეიძლება შენზე უბედური კაცი არსებობდეს. თავად დაინახავს ყოველივეს.
- არ შემირიგდება, - დაიმანჭა მიტია, - ეს, ძმაო, ისეთი რამაა, რასაც არც ერთი ქალი არ შეურიგდება. იცი, ყველაფერს რა ჯობია?
- რა?
- სამი ათასი უნდა დავუბრუნო.
- მერე სად იშოვი? მომისმინე, მე მაქვს ორი ათასი, ივანიც მოგცემს ათასს, ესეც შენი სამი ათასი, აიღე და მიეცი.
- შენი ორი ათასი როდის იქნება? თანაც შენ ჯერ არასრულწლოვანი ხარ, მე კი ამ წუთში მჭირდება, დაუყოვნებლივ, დაუყოვნებლივ!.. დღესვე ჩემ მაგივრად უნდა გამოემშვიდობო მას, ფულით იქნება ეს, თუ უფულოდ, მეტის მოცდა აღარ შემიძლია, ისეთ წერტილამდე ვარ მისული. ხვალ უკვე გვიან იქნება, გვიან. მამასთან მიმეგზავნე.
- მამასთან?
- დიახ, მამასთან, სანამ კატიასთან წახვალ, მამას სთხოვე სამი ათასი.
- მიტია, ის ხომ არ მომცემს.
- ვიცი, რასაც მოგცემს, კარგად ვიცი. ალექსეი, იცი რა არის სასოწარკვეთა?
- ვიცი.
- ყური მიგდე: იურიდიულად მას ჩემი არაფერი მართებს. რაც ჰქონდა, ყველაფერი მომცა - ეს კარგად ვიცი. მაგრამ ზნეობრივად ჩემი მოვალეა, ასე არ არის? დედაჩემის ოცდარვა ათასი დაატრიალა და ასი ათასი იშოვა. მხოლოდ სამი ათასი მომცეს იმ ოცდარვა ათასიდან, მხოლოდ სამი და გადაარჩინოს ჩემი სული, ეს მასაც, ცოდვილს, კეთილ საქმედ ჩაეთვლება! მე კი ამ სამი ათასით, სინდისს გეფიცები, დავასრულებ მასთან დავას და ამიერიდან ჩემ შესახებ აღარაფერს გაიგებს. უკანასკნელ საშუალებას ვაძლევ, იყოს მამა. უთხარი, რომ თავად ღმერთი აძლევს მას ამის საშუალებას.
- მიტია, არაფრის დიდებით არ მოგცემს.
- ვიცი, არ მომცემს, ვიცი, მით უმეტეს ახლა. ამას გარდა, მე კიდევ ერთი რამ ვიცი: ამ რამდენიმე დღის წინ მან შეიტყო, რომ შესაძლოა გრუშენკა სულაც არ ხუმრობს და გამორიცხული არ არის, ცოლადაც გამომყვეს. კარგად იცის მისი ხასიათი, იცნობს ამ ფისუნიას. ჰოდა, ამის შემდეგ ფულს მომცემს, მე შემიწყობს ხელს, როცა თავად ჭკუას კარგავს გრუშენკაზე? ეს კიდევ რაა, მეტსაც გეტყვი: უკვე ხუთი დღეა ბანკიდან სამი ათასი გამოიტანა, სულ ას-ას მანეთიანები, მოზრდილ პაკეტში აქვს ჩადებული და პაკეტს ზემოდან აწერია: „ჩემს ანგელოზს, გრუშენკას, თუ ჩემთან მოსვლას მოინდომებს“, თავად დააჯღაბნა. სახლში რომ ფულს ინახავს, არავინ იცის, გარდა ლაქია სმერდიაკოვისა, რომლისაც ისე სჯერა, როგორც საკუთარი თავის. უკვე სამი თუ ოთხი დღეა გრუშენკას მოლოდინშია, იმედი აქვს, რომ მოვა. პაკეტის შესახებ შეატყობინა გრუშენკას, რომელმაც აცნობა, რომ „შესაძლოა მოვიდეს“. ის რომ მამაჩემთან მოვიდეს, მერე მე ცოლად როგორღა შევირთავ? ხვდები, ახლა აქ რატომ ვიმალები და ვის ვდარაჯობ?
- გრუშენკას?
- მას. ამ კახპებთან, ამ სახლის პატრონებთან ოთახს ქირაობს ფომა. ფომა ჩვენებურია, ჩვენი ყოფილი ჯარისკაცი. ამათ ემსახურება კიდეც, ღამით სახლს სდარაჯობს, დღისით კი როჭოზე სანადიროდ დადის და ასე ცხოვრობს. მე მასთან მოვედი, მაგრამ გრუშენკას შესახებ არც მან და არც სახლის პატრონებმა

არაფერი იციან.
- მხოლოდ სმერდიაკოვმა იცის?
- მხოლოდ მან, ის მანიშნებს, თუ გრუშენკა მოვა.
- პაკეტის შესახებაც მან გითხრა?
- მან. უაღრესად საიდუმლოდ. ივანმაც არ იცის არც ფულის ამბავი და არც არაფერი. მამა მას ჩერმაშნიაში აგზავნის ორი-სამი დღით: იქ რვაათასიანი კლიენტი გამოჩნდა ჭალის გასაკაფავად, ჰოდა, სთხოვა ივანს: „დამეხმარე, ორი-სამი დღით გაემგზავრეო“. ეს მიტომ უნდა, რომ ივანმა გრუშენკა მასთან არ ნახოს.
- გამოდის, მამა დღესაც ელოდება გრუშენკას?
- არა, დღეს არ მოვა, მე ასე მგონია, ალბათ არ მოვა! - იყვირა უცებ მიტიამ. - სმერდიაკოვსაც ასე ჰგონია. მამა ახლა ლოთობს, ივანთან ერთად უზის სუფრას. მიდი, ალექსეი, სთხოვე სამი ათასი...
- მიტია, ძვირფასო, რა მოგდის! - შეჰყვირა ალიოშამ და მიაშტერდა სახეარეულ მიტიას. ერთი წუთით ისიც კი გაიფიქრა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო.
- რა მოხდა? არ გავგიჟებულვარ, - თქვა მიტიამ, თან დაჟინებით და რაღაცნაირი აღტაცებით მიაშტერდა ძმას. - რახან გაგზავნი, ვიცი, რასაც ვაკეთებ: მე სასწაულის მჯერა.
- სასწაულის?
- ღმერთის სასწაულის. ღმერთმა იცის ჩემი მდგომარეობა, იცის ჩემი სასოწარკვეთილების შესახებ. იგი ყველაფერს ხედავს. ნუთუ დაუშვებს, რომ საშინელება მოხდეს? ალიოშა, მე მჯერა სასწაულის, წადი!
- წავალ. შენ აქ მომიცდი?
- მოგიცდი, ვიცი, მალე არ დაბრუნდები, მისვლისთანავე ხომ არ მიახლი! ახლა მთვრალია. მოგიცდი, მოგიცდი სამ, ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ საათს, ოღონდ იცოდე, შენ დღესვე, შუაღამეც რომ იყოს, მიხვალ კატერინასთან, ფულით იქნება, თუ უფულოდ, და ეტყვი: „ასე გადმოგცათ - მშვიდობით ბრძანდებოდეთ-თქო“.
- მიტია, დავუშვათ, გრუშენკა მოვიდა დღეს... დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ?
- გრუშენკა? თუ დავინახე, მივვარდები და ხელს შევუშლი.
- თუ...
- თუ მოვიდა, მაშინ მოვკლავ. ამდენს ვეღარ ავიტან.
- ვის მოკლავ?
- ბებერს, ქალს არ მოვკლავ...
- ძმაო, რას ამბობ?
- არ ვიცი, არაფერი ვიცი... შეიძლება არც მოვკლა, შეიძლება მოვკლა. იმისი სიფათის შემყურეს მეშინია იმ წუთებში ზიზღისაგან რამე არ ჩავიდინო. მძულს მისი ხვანჩი, ცხვირ-პირი, თვალები, მისი საზიზღარი დამცინავი სახე. საშინელ ზიზღს განვიცდი. ამის მეშინია. შეიძლება თავი ვერ შევიკავო...
- მე წავალ, მიტია. მწამს, ღმერთი დაგეხმარება, კეთილად დამთავრდება ეს ამბავი, საშინელებას თავიდან ავიცილებთ.
- მე კი აქ ვიჯდები სასწაულის მოლოდინში. მაგრამ თუ არ მოხდება...
საგონებელში ჩავარდნილი ალიოშა მამამისის სახლისკენ გაემართა.

VI სმერდიაკოვი

მამამისი, მართლაც, მაგიდასთან იჯდა. სუფრა, როგორც ყოველთვის, სასტუმრო ოთახში გაეშალათ, თუმცა სახლს ნამდვილი სასადილო ოთახიც ჰქონდა. ძველებური ავეჯით გაწყობილი ეს სასტუმრო ამ სახლში ყველაზე დიდი ოთახი იყო. ძველთაძველ თეთრ ავეჯს უკვე გაცვეთილი აბრეშუმნარევი წითელი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული. თეთრ, მოოქროვილ, ძველებურ ჩუქურთმებიან, ღვლარჭნილ ჩარჩოებში ჩასმული სარკეები ფანჯრებს შორის ეკიდა. აქა-იქ დახეთქილ თეთრშპალერიან კედლებს ორი დიდი პორტრეტი ამშვენებდა: ერთი - ვიღაც თავადის, რომელიც ოცდაათი წლის წინათ ამ მხარის გუბერნატორი ყოფილა, მეორე - კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი რომელიღაც არქიელისა. წინა კუთხეში რამდენიმე ხატი ესვენა, რომელსაც ღამღამობით კანდელს უნთებდნენ ხოლმე, არა იმდენად მოწიწების გამო, უფრო მეტად ოთახის გასანათებლად. ფიოდორ პავლოვიჩი გვიან იძინებდა, ასე 3-4 საათზე, მანამდე ოთახში აქეთ-იქეთ დაბოდიალობდა, ან სავარძელში იჯდა და ფიქრობდა. დასჩემდა. არც თუ იშვიათად, სახლში სულ მარტოს ეძინა, მსახურებს ფლიგელში უშვებდა. ხშირად მასთან ღამეს სმერდიაკოვი ათევდა ხოლმე, რომელიც წინა ოთახში იშლიდა ლოგინს. როცა ალიოშა ოთახში შევიდა, სადილი უკვე დამთავრებული ჰქონდათ და ყავასა და მურაბას მიირთმევდნენ. ფიოდორ პავლოვიჩს სადილის შემდეგ ტკბილეულობა და კონიაკი უყვარდა. მაგიდასთან ივანიც იჯდა და ყავას სვამდა. მსახურები, გრიგორი და სმერდიაკოვი, სუფრას თავს დასტრიალებდნენ. ბატონებიც და მსახურნიც აშკარად კარგ ხასიათზე იყვნენ. ფიოდორ პავლოვიჩი ხმამაღლა ხარხარებდა; ალიოშამ ჯერ კიდევ წინკარში გაიგონა მისი ნაცნობი, მკივანა სიცილი და სიცილის მიხედვით იქვე დაასკვნა, რომ მამამისი ჯერ კიდევ არ იყო მთვრალი, მხოლოდ შეზარხოშებული ბრძანდებოდა.

- აი ისიც, აი ისიც! - დაიღრიალა ფიოდორ პავლოვიჩმა ალიოშას ხილვით გახარებულმა, - შემოგვიერთდი, დაჯექი, ყავა მიირთვი, ხომ სამარხულოა, ცხელ-ცხელი და საამური! კონიაკს არ გთავაზობ, შენ ხომ მარხულობ, იქნებ გინდა, გინდა? არა, ჯობს განთქმულ ლიქიორს დაგალევინებ! სმერდიაკოვ, მიდი, ნახე კარადაში, მეორე თაროზე, აჰა, გასაღები, ჩქარა!

ალიოშამ ლიქიორზე უარი თქვა.

- მაინც მოიტანენ, შენ არ გინდა, ჩვენ დავლევთ, - თქვა სახეგაბრწყინებულმა ფიოდორ პვლოვიჩმა, - მოიცა, ნასადილევი ხარ?

- ვისადილე, - თქვა ალიოშამ, რომელმაც იღუმენის სამზარეულოში მხოლოდ ერთი ნაჭერი პური შეჭამა და ერთი ჭიქა ბურახი დააყოლა, - ცხელ ყავას კი სიამოვნებით დავლევდი.

- კარგი ბიჭი ხარ! ყოჩაღი! იგი ყავას დალევს. ხომ არ გავაცხელოთ? არ უნდა, ისევ დუღს. ყავა საუკეთესოა, სმერდიაკოვის ნახელავი. იგი ყავისა და კულებიაკების ნამდვილი ოსტატია, კიდევ უხასი, რაც მართალია, მართალია. როდისმე უხაზე მეწვიე, წინასწარ შემატყობინე... მოიცა, მოიცა, მე ხომ გიბრძანე, დღესვე აგეკრა გუდა-ნაბადი და გადმოსახლებულიყავი ჩემთან? მოიტანე? ხა-ხა-ხა!

- არა, არ მომიტანია, - გაიცინა ალიოშამაც.

- ისე შეგეშინდა, ხომ შეგეშინდა, თქვი? ო, ჩემო კარგო, შენ როგორ გაწყენინებ?! იცი, ივან, არ შემიძლია ცქერა, როგორ მიყურებს ხოლმე ალიოშკა თვალებში და

მიცინის, არ შემიძლია. მეც მთელი სულით და გულით მეცინება, მიყვარს ალიოშა! ალიოშკა, მოდი მამაშვილურად დაგლოცო.
ალიოშკა ადგა, მაგრამ ფიოდორ პავლოვიჩმა დროზე გადაიფიქრა.
- არა, არა, მხოლოდ ჯვარს გადაგწერ, აი ასე, დაჯექი. ახლა კი დიდ სიამოვნებას მიიღებ, აქ ლაპარაკი სწორედ შენს საყვარელ თემაზეა. მოკვდები სიცილით. ჩვენთან ბალაამის სახედარი[42] ალაპარაკდა. ისე ლაპარაკობს, გაგაოცებს.
ბალაამის სახედარი ლაქია სმერდიაკოვი აღმოჩნდა. ეს სმერდიაკოვი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ასე ოცდაოთხი წლის კაცი, საშინელი უკარება და უტყვი ვინმე გახლდათ. არა, ველური არ იყო, არც მორცხვი, პირიქით, ისე ცხვირაბზეკილი დადიოდა, გეგონებოდა - ამქვეყნად ყველა ეზიზღებაო. ახლა მეტი გზა არა მაქვს, ორიოდ სიტყვა მასზე აუცილებლად უნდა ვთქვა. ის მარფამ და გრიგორიმ აღზარდეს, მაგრამ ბავშვი, როგორც ამას გრიგორი ამბობდა ხოლმე, იზრდებოდა „ყოველგვარი მადლიერების გარეშე“, გაუცხოებული, ყველაფერს ცერად უყურებდა. ბალღობაში ძალიან უყვარდა კატების ჩამოხრჩობა, შემდეგ მათი დასაფლავების ცერემონიის მოწყობა. ამ დროს ტანზე ზეწარს ანაფორასავით წამოისხამდა ხოლმე, მღეროდა და თან მკვდარი კატის თავზე რაღაცას აქანავებდა, თითქოს გუნდრუკს აკმევდა. ყველაფერი ეს საიდუმლოდ კეთდებოდა. ერთხელ გრიგორიმ დაიჭირა ამ პროცედურის შესრულების დროს და ძალიანაც დასაჯა. ამის შემდეგ განმარტოვდა და ერთი კვირა იბღვირებოდა. „არ ვუყვარვართ ჩვენ ამ მხეცს და არც არავინ უყვარს,“ - ეუბნებოდა ხოლმე გრიგორი მარფას. „შენ ხომ ადამიანი არა ხარ, არაკაცი ხარ, აბანოში გაგდებული ბუში, აი ვინ ხარ!“ - ერთხელ პირში მიახალა გრიგორიმ სმერდიაკოვს. როგორც შემდეგ გაირკვა, სმერდიაკოვმა არასოდეს აღარ აპატია გრიგორის ეს სიტყვები. წერა-კითხვა გრიგორიმ ასწავლა. თორმეტი წლისას საღვთო წერილის კითხვა დაუწყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ერთხელ, მეორე თუ მესამე გაკვეთილზე, ბიჭს სიცილი აუტყდა.
- რა მოხდა? - ჰკითხა გრიგორიმ და მრისხანედ გამოხედა სათვალის ქვემოდან.
- არაფერი. თუ სინათლე ღმერთმა პირველ დღეს შექმნა და მეოთხე დღეს მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მაშინ საიდან ანათებდა სინათლე პირველ დღეს?
გრიგორი გაშრა. ბიჭი დამცინავად შესცქეროდა თავის მოძღვარს. მის გამოხედვაში რაღაც ქედმაღლური იგრძნობოდა. გრიგორიმ თავი ვეღარ შეიკავა. „აი საიდან!“ - იყვირა მან და ბიჭს გამეტებით გააწნა სილა ლოყაზე. ბიჭმა აიტანა ეს, სიტყვა არ დაუძრავს და ისევ რამდენიმე დღე განმარტოვდა თავისთვის. სწორედ ერთი კვირის თავზე პირველი გულყრა დაემართა, რომელიც მთელი თავის ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. როგორც კი ამის შესახებ გაიგო ფიოდორ პავლოვიჩმა, უცებ შეეცვალა ბავშვის მიმართ დამოკიდებულება. ადრე რაღაცნაირად გულგრილად ექცეოდა, თუმცა არასოდეს გაულანძღავს და ყოველი შეხვედრის დროს კაპიკიანსაც კი აძლევდა ხოლმე. ხანდახან, როცა კარგ ხასიათზე იყო, ჭამის შემდეგ ტკბილეულობასაც უგზავნიდა. მაგრამ როცა მისი სნეულების შესახებ გაიგო, გადაჭრით დაიწყო მასზე ზრუნვა. მოიწვია ექიმი, დაუწყეს მკურნალობა, მაგრამ გაირკვა, რომ განკურნება შეუძლებელი იყო. საშუალოდ, ბნედა თვეში ერთხელ, სხვადასხვა დროს ემართებოდა. ავადმყოფობის მიმდინარეობა განსხვავებული იყო, ხან მსუბუქი, ხანაც ძალზე მძიმე. ფიოდორ პავლოვიჩმა გრიგორის სასტიკად აუკრძალა ბავშვის ცემა და ბავშვს კი ნება დართო, მასთან ასულიყო ხოლმე სახლში. სწავლაც აუკრძალა.

მაგრამ ერთხელ, როცა ბიჭი თხუთმეტი წლის იქნებოდა, ფიოდორ პავლოვიჩმა შეამჩნია, რომ ის წიგნების კარადას უტრიალებდა და მინის იქით წიგნების სათაურებს კითხულობდა. ფიოდორ პავლოვიჩს წიგნები საკმაოდ ჰქონდა, ასე, ას ტომზე მეტი, მაგრამ ის არავის უნახავს წიგნით ხელში. მაშინვე მისცა ბიჭს წიგნის კარადის გასაღები და უთხრა: „იკითხე, თუ გინდა, ბიბლიოთეკარი გამოხვალ, ეზოში ხეტიალს მაინც სჯობს, დაჯექი და იკითხე.“ ფიოდორ პავლოვიჩმა მას კარადიდან გადმოუღო „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში.“[43]
ბიჭმა წაიკითხა, მაგრამ არ მოეწონა, ერთხელაც არ გაუცინია, პირიქით, როცა გაათავა, დაღვრემილი იყო.
- რაო? არ არის სასაცილო? - ჰკითხა ფიოდორ პავლოვიჩმა.
სმერდიაკოვს ხმა არ ამოუღია.
- მიპასუხე, რეგვენო!
- აქ სულ ტყუილები წერია, - ჩაიქირქილა სმერდიაკოვმა.
- წაეთრიე აქედან, შე მართლა ლაქია, შენ რა გესმის. მოიცა, აჰა, შენ სმარაგდოვის „მსოფლიო ისტორია“. აქ ყველაფერი სიმართლეა, წაიკითხე.
სმერდიაკოვმა სმარაგდოვის წიგნის ათი გვერდიც ვერ წაიკითხა, მოსაწყენი მოეჩვენა. წიგნების კარადა მისთვის კვლავ ჩაიკეტა. არ გასულა ცოტა ხანი და მარფამ და გრიგორიმ ფიოდორ პავლოვიჩს შეატყობინეს, რომ სმერდიკოვმა ამ ბოლო ხანებში ზიზღიანობა დაიწყო: როცა სუფს მიუტანენ, კოვზს აიღებს და წვენში რაღაცას ეძებს, დაიხრება, ჩააშტერდება მათლაფას, კოვზს ამოიღებს და სინათლეზე უყურებს ხოლმეო.
- ტარაკანა ხომ არაა? - ხანდახან ჰკითხავდა ხოლმე გრიგორი.
- ბუზია, ალბათ, - დაუმატებდა მარფა.
უხიაკი ყმაწვილი კითხვაზე არასოდეს პასუხობდა და თავის ზიზღიანობას ახლა პურზე, ხორცსა და ყველანაირ საჭმელზე აგრძელებდა: აიღებდა რაიმეს ნაჭერს ჩანგლით, გახედავდა სინათლეზე, თითქოს მიკროსკოპით სინჯავსო, და დიდხანს აჭიანურებდა პირისკენ საჭმლის წაღებას. „ეს რა ბატონიშვილი გაგვიხდა“, - ჩაიბურტყუნებდა ხოლმე მისი შემხედვარე გრიგორი. ფიოდორ პავლოვიჩმა, სმერდიაკოვის ახალი თვისების გამო, გადაწყვიტა მისთვის მზარეულობა შეესწავლებინა და სასწავლებლად მოსკოვში გაგზავნა. მოსკოვში სმერდიაკოვმა რამდენიმე წელი დაჰყო და იქიდან ძალზე შეცვლილი დაბრუნდა. თავის ასაკთან შედარებით, უცნაურად დაბერებული ჩანდა, სახე რაღაცნაირად საჭურისივით დანაოჭებული და გაყვითლებული გაუხდა. ზნე-ჩვეულებები არ შეცვლია, რაც მოსკოვში წასვლამდე იყო, იგივე დარჩა: ისევ ისეთივე უკარება, არავის საზოგადოებაში ყოფნა არ სურდა. როგორც ამბობდნენ, არც მოსკოვში უყვარდა საზოგადოებაში გარევა, არც თავად მოსკოვს არ გამოუწვევია მასში დიდი ინტერესი. რაც სჭირდებოდა, რაღაც-რაღაცები ისწავლა და დანარჩენისათვის ყურადღება არ მიუქცევია. თეატრში მხოლოდ ერთხელ ყოფილა და იქიდანაც უკმაყოფილო წამოსულა. სამაგიეროდ, მოსკოვიდან კარგად გამოპრანჭული დაბრუნდა, სუფთა სერთუკითა და თეთრეულით. დღეში ორჯერ ჯაგრისით ასუფთავებდა თავის ტანსაცმელს, ხოლო თალათინის პეწიანი ჩექმების წმენდა საყვარელ საქმიანობად ექცა, ინგლისური ვაქსით ისე აპრიალებდა ხოლმე, რომ ჩექმები სარკესავით ბრწყინავდა. შესანიშნავი მზარეული დადგა. ფიოდორ პავლოვიჩმა ჯამაგირი დაუნიშნა. სმერდიაკოვი თავის ჯამაგირს თითქმის მთლიანად ტანსაცმელში, პომადაში, სუნამოებსა და სხვა ამისთანებში

ხარჯავდა. მგონი, ქალთა სქესი ისევე ეზიზღებოდა, როგორც მამრობითი. მათთან თავი ღირსეულად ეჭირა, ახლოს არავის იკარებდა. ეს ამბავი ფიოდორ პავლოვიჩს სხვა თვალსაზრისითაც აწუხებდა. საქმე ის იყო, რომ სმერდიაკოვს ბოლო ხანებში გულყრები მოუხშირდა, იმ დროს საჭმელს მარფა ამზადებდა, ეს კი ფიოდორ პავლოვიჩს ძალიან არ აწყობდა.
- რისგანაა, ასე რომ მოგიხშირდა გულყრები? - შეუღრენდა ხოლმე ხანდახან თავის ახალ მზარეულს ფიოდორ პავლოვიჩი და სახეში ჩააცქერდებოდა, - ცოლი მაინც მოიყვანე, გინდა ვინმეს შეგრთავ?...
სმერდიაკოვს ასეთი ლაპარაკის დროს ფერი-ფური მისდიოდა, მაგრამ კრინტს არ ძრავდა. ფიოდორ პავლოვიჩი ხელს ჩაიქნევდა და თავს ანებებდა. რაც მთავარია, ფიოდორ პავლოვიჩს მის პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდა და ერთხელ და სამუდამოდ სწამდა, რომ სმერდიაკოვს ხელი არაფერზე წაუცდებოდა, არასოდეს არაფერს მოიპარავდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ ფიოდორ პავლოვიჩს თავის ეზოში, ტალახში დაუვარდა სამი ასმანეთიანი კუპიურა, რომელიც ვიღაცამ მოუტანა. მხოლოდ მეორე დღეს გაახსენდა ის ფული, დაუწყო ძებნა და ვერსად, ვერც ერთ ჯიბეში ვერ აღმოაჩინა. უცებ გაიხედა გვერდზე და მაგიდაზე სამივე ნახა. საიდან? თურმე სმერდიაკოვმა წინა დღეს იპოვა და მაგიდაზე დაუდო. „შენ, ძმაო, ვინ ყოფილხარ, შენნაირი კაცი ჯერ არ მინახავს“, - უთხრა მაშინ ფიოდორ პავლოვიჩმა და თუმნიანი აჩუქა. ამას ისიც მინდა დავუმატო, რომ ფიოდორ პავლოვიჩი არა მარტო მის პატიოსნებაში იყო დარწმუნებული, არამედ რატომღაც უყვარდა კიდეც, თუმცა ახალგაზრდა კაცი მასაც ალმაცერად უყურებდა, როგორც სხვებს და სულ დუმდა. იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას. თუკი ამ დროს მის შემხედვარეს თავში გაუელვებდა აზრი: ნეტა, რა აინტერესებს ამ კაცს, რა აქვს გუნებაშიო, მისი გამომეტყველებიდან ვერაფრით მიხვდებოდა. გარდა ამისა, ხანდახან სახლში, ან ეზოში, ან ქუჩაში გაჩერდებოდა და გაირინდებოდა ხოლმე, იდგა ასე ათი წუთის განმავლობაში. მისი შემყურე ფიზიონომისტი ალბათ იტყოდა, ამ დროს არც ფიქრობს და არც აზროვნებს, უბრალოდ, რაღაცას ჭვრეტსო. ფერმწერ კრამსკოის აქვს ერთი შესანიშნავი ნახატი „მჭვრეტელი“, მასზე გამოსახულია ზამთრის ტყე, ტყეში გზაზე ტეტია დგას, დახეული ხიფთანი და ქალამნები აცვია, დგას მარტოდმარტო და თითქოს ჩაფიქრებულია, მაგრამ არ ფიქრობს, ის რაღაცას „ჭვრეტს“. ამ დროს ხელი რომ წაჰკრა, შეკრთება, ახალგაღვიძებულივით გაოგნებული შემოგხედავს. მართალია, გამოფხიზლებულს რომ ჰკითხოთ, რისთვის იდექი, რაზე ფიქრობდიო, შესაძლოა, ვერაფერი გიპასუხოთ, მაგრამ მასში დარჩენილი იქნება ის შთაბეჭდილება, რისი გავლენის ქვეშაც ჭვრეტის დროს მოექცა. ეს შთაბეჭდილებები მისთვის ძვირფასია, ის მათ აგროვებს შეუმჩნევლად, ისე, რომ თავადაც არ იცის, რატომ. ცხადია, არც ის იცის: შესაძლოა უცებ წლობით დაგროვილი შთაბეჭდილებების შედეგად, წამოუაროს და ყველაფერი მიატოვოს, დაჰკრას ფეხი და სულის გადასარჩენად იერუსალიმში წავიდეს, ან ერთ დღეს საკუთარი სოფელი გადაწვას. არ არის გამორიცხული, ერთიც გააკეთოს და მეორეც. მჭვრეტელები ხალხში საკმაოდ არიან. ერთი ასეთი მჭვრეტელთაგანი ალბათ სმერდიაკოვი გახლდათ. ისიც, ხარბად აგროვებდა თავის შთაბეჭდილებებს, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რატომ.

VII კონტროვერსა

[44]
ბალაამის სახედარმა ენა მოულოდნელად ამოიდგა. მიზეზი ერთი უცნაური ამბავი გახდა: დილით, როცა გრიგორი ვაჭარ ლუკიანოვთან საქონელს იძენდა, გაიგო - თურმე ერთი რუსი ჯარისკაცი სადღაც შორს, საზღვართან, აზიელებს ჩავარდნია ტყვედ და მიუხედავად საშინელი ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის მუქარისა, არ დათანხმებია რჯულის გამოცვლას, არ განდგომია ქრისტიანობას და არ უღიარებია ისლამი. ის ტანჯეს და აწამეს, ტყავი გააძრეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, მოწამეს ქრისტეს დიდებაში ამოხდომია სული. ამ თავგანწირვის შესახებ იტყობინებოდა იმ დღეს ქალაქში მოსული გაზეთი. გრიგორი ამ ამბავს სუფრასთან მოჰყვა. ფიოდორ პავლოვიჩს ადრეც უყვარდა ნასადილევს, როცა ჩაროზს მიირთმევდა ხოლმე, გრიგორისთან გალაზღანდარავება და მისი გამასხარავება. მაშინაც კარგი გუნება-განწყობა ჰქონდა - კონიაკს წრუპავდა და ისე ისმენდა გრიგორის მოტანილ ამბავს. შემდეგ კი უცებ განაცხადა, ასეთი ჯარისკაცი ეკლესიამ წმინდანად უნდა შერაცხოს და მისი ტყავი რომელიმე მონასტერს უნდა გადაეცეს წმინდა რელიქვიად, მონასტერს „ხალხი მიაწყდება და ფული შემოუვაო“. გრიგორი ფიოდორ პავლოვიჩის გულგრილობასა და მის ჩვეულ მკრეხელობაზე განაწყენდა. ამ დროს კართან მდგარ სმერდიაკოვს ჩაეცინა. სმერდიაკოვს ძალზე ხშირად, ადრეც, ნებას რთავდნენ, სადილობის შემდეგ სუფრასთან მდგარიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც ივან ფიოდოროვიჩი ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, თითქმის ყოველთვის ესწრებოდა სადილს.
- რა მოხდა? - ჰკითხა ფიოდორ პავლოვიჩმა, რომელმაც მაშინვე შეამჩნია სმერდიაკოვის ჩაცინება და, ცხადია, იმასაც მიხვდა, რომ ეს დაცინვა გრიგორისადმი იყო მიმართული.
- მე ის მინდოდა მეთქვა, - ალაპარაკდა უცებ სმერდიაკოვი ხმამაღლა და ყველასათვის მოულოდნელად, - თუკი ამ ქებული ჯარისკაცის თავგანწირვა ასე დიდი რამ არის, ჩემი აზრით, არც ის იქნებოდა დიდი ცოდვა, თავის გადასარჩენად უარი რომ ეთქვა ქრისტეს რჯულზე და საკუთარ ნათლობაზე, დარჩენილ სიცოცხლეს ის სასიკეთო საქმეების კეთებას მოახმარდა და წლების განმავლობაში გამოისყიდდა თავის სულმოკლეობას.
- ეს როგორ თუ არ იქნებოდა დიდი ცოდვაო? ტყუი, ამისათვის შენ პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდები და იქ ცხვარივით შეგბრაწავენ, - აიტაცა ფიოდორ პავლოვიჩმა.
სწორედ ამ დროს შემოვიდა ალიოშა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მოსვლით ძალზე გაიხარა ფიოდორ პავლოვიჩმა.
- შენს თემაზეა! შენს თემაზე! - აღტაცებული ხითხითებდა ის, და ალიოშას სთხოვა დამჯდარიყო და კარგად მოესმინა.
- თქვენ რომ ცხვარზე ბრძანეთ, მთლად ეგრე არ უნდა იყოს, საერთოდ, იქ არაფერი მაგდაგვარი არ იქნება, არც შეიძლება იყოს, თუკი სამართლიანობა არსებობს, - სოლიდურად შენიშნა სმერდიაკოვმა.
- ეგ რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, - უფრო ხმამაღლა წამოიყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა და ალიოშას ფეხი გაჰკრა.
- არამზადაა ეგ, არამზადა! - აყვირდა უცებ გრიგორი და განრისხებული უყურებდა სმერდიაკოვს პირდაპირ თვალებში.

- მოითმინეთ, ჯერჯერობით მოითმინეთ, გრიგორი ვასილევიჩ, - მშვიდად და თავდაჭერილად მოიგერია სმერდიაკოვმა, - ჯობს თავად განსაჯოთ. მე რომ ქრისტიანების მწვალებლებთან მოვხდე და ჩემგან მოითხოვონ ქრისტეს გმობა და წმინდა ნათლობაზე უარის თქმა, სრული უფლება მაქვს, ისეთი გადაწყვეტილება მივიღო, როგორსაც ჩემი ჭკუა-გონება მიკარნახებს და ამაში არავითარი ცოდვა არ იქნება.
- ამის შესახებ შენ უკვე თქვი, აღწერას თავი დაანებე, შენ დაგვიმტკიცე! - ყვიროდა ფიოდორ პავლოვიჩი.
- ქონდაქარი! - ზიზღით ჩაიჩურჩულა გრიგორიმ.
- მოითმინეთ, მოითმინეთ, ნუ ილანძღებით, თავად განსაჯეთ, გრიგორი ვასილევიჩ. როგორც კი ვეტყვი ჩემს მწამებლებს: „არა, არ ვარ ქრისტიანი და ჩემი ჭეშმარიტი ღმერთის მგმობელი ვარ-მეთქი“, მაშინვე, როგორც წარმართი, ღმერთის უზენაესი სამსჯავროს მიერ შეჩვენებული ვიქნები და წმინდა ეკლესიიდან მოკვეთილი; არა მარტო მაშინ, როგორც კი ვიტყვი, არამედ, როგორც კი გავიფიქრებ, იმავ წამს, წამის მეოთხედიც არ გავა, რომ მოკვეთილი ვიქნები. ასე არ არის, გრიგორი ვასილევიჩ?
სმერდიაკოვი განსაკუთრებული სიამოვნებით მიმართავდა გრიგორის, თუმცა ფიოდორ პავლოვიჩის კითხვებს პასუხობდა, განგებ ისე გამოჰყავდა, თითქოს კითხვებს გრიგორი უსვამდა.
- ივან! - უცებ იყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა, - დაიხარე, ყურში რაღაც მინდა გითხრა. ამას შენი გულისათვის აკეთებს, უნდა რომ შეაქო. შეაქე.
ივან ფიოდოროვიჩმა სავსებით სერიოზულად მოისმინა აღფრთოვანებული მამის შეტყობინება.
- სდექ, სმერდიაკოვ, იყუჩე ცოტა ხანს, - დაუყვირა ფიოდორ პავლოვიჩმა, - ივან, კიდევ დაიხარე, ყურში რაღაც მინდა გითხრა.
ივანი კვლავ სერიოზული სახით დაიხარა.
- შენც ისევე მიყვარხარ, როგორც ალიოშა. შენ არ გეგონოს, რომ არ მიყვარხარ. კონიაკს დალევ?
- დამისხით! „თუმცა, შენ უკვე კარგა გამომტყვრალი ხარ“, - გაიფიქრა ივანმა და დაჟინებით შეხედა მამას. სმერდიაკოვს კი განსაკუთრებული ინტერესით უსმენდა.
- შეჩვენებული ხარ, წყეული, - უცებ გაცოფდა გრიგორი, - არამზადავ, როგორ ბედავ ამის შემდეგ მსჯელობა დაიწყო, როცა...
- ნუ ილანძღები, გრიგორი, ნუ ილანძღები! - შეაწყვეტინა ფიოდორ პავლოვიჩმა.
- მოითმინეთ, გრიგორი ვასილევიჩ, ცოტა ხნით მადროვეთ, მე ჯერ არ დამიმთავრებია. რადგან იმ წუთიდან, რა წუთიდანაც მე ღმერთისგან შეჩვენებული ვიქნები, წარმართი ვხდები და ჩემი ნათლობა უქმდება, ე. ი. ყველა დანაშაული მეხსნება, - ასე არ არის, ბატონებო?
- მოათავე, ძმობილო, დროზე მოათავე, - დააჩქარა ფიოდორ პავლოვიჩმა და კონიაკი გადაკრა.
- ჰოდა, თუ მე ქრისტიანი აღარ ვარ, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არც ჩემი მტანჯველები მომიტყუებია, როცა მკითხეს: „ქრისტიანი ხარ, თუ არაქრისტიანიო“, რამეთუ რა წამსაც გავიფიქრებ და სანამ რამეს ვეტყვი ჩემს მტანჯველებს, ღმერთის მიერ უკვე განდევნილი ვიქნები ქრისტიანობიდან. და რადგან უკვე შეჩვენებული ვიქნები, მაშინ რა უფლება აქვთ, ან რომელი

სამართლიანობით მომთხოვენ როგორც ქრისტიანს, თითქოს მე ქრისტეს განვუდექი, როცა განდგომამდე მხოლოდ გაფიქრება იყო საკმარისი, ღმერთს რომ ქრისტიანობიდან გავეძევებინე? თუ მე ქრისტიანი აღარ ვარ, ეს იმას ნიშნავს, ვერც ქრისტეს განვუდგები, რამეთუ არაფრისაგან მომიწევს განდგომა. ვინ მოჰკითხავს რამეს უწმინდურ თათარს, გრიგორი ვასილევიჩ, იქ, ზეცაში იმისათვის, რომ იგი არაქრისტიანად დაიბადა, ვინ დასჯის ამის გულისათვის. თავად განსაჯეთ, ერთ ხარს ორჯერ ხომ არ გაატყავებენ. გარდა მაგისა, ყოვლისმფლობელი ღმერთი თათარს სიკვდილის შემდეგ თუ მოჰკითხავს რამეს, მხოლოდ მცირე სასჯელს არგუნებს (რადგან სულ რომ არ დასაჯოს, არ შეიძლება), თან ასე განსჯის: რა მისი ბრალია, თუკი ის უწმინდური მშობლებისაგან უწმინდურად იშვაო. ხომ არ შეიძლება უფალმა ღმერთმა თათარს ქრისტიანობა დააბრალოს? ეს ხომ იმას ნიშნავს, ყოვლისმპყრობელმა იცრუოს. განა შეიძლება ზეცისა და დედამიწის ყოვლადმპყრობელმა ღმერთმა სიცრუე თქვას, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც?!

გრიგორი გაშეშებული, თვალებდაჭყეტილი უყურებდა ორატორს. არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა სმერდიაკოვი, მაგრამ ამ აბდაუბდიდან რაღაც მაინც გამოიტანა და ისეთი სახე ჰქონდა, კედელზე თავმირტყმულ კაცს რომ აქვს ხოლმე. ფიოდორ პავლოვიჩმა ბოლომდე შესვა თავისი სირჩა და მწივანა სიცილი აუტყდა.

- ალიოშკა, ალიოშკა, როგორია, ჰა! ოხ, შე კაზუისტო, შენა! ეს სადმე იეზუიტებთან თუ იყო, ივან. ოხ, შე მყრალო იეზუიტო, ვინ გასწავლა ეს? მაგრამ შენ ტყუი, კაზუისტო, ტყუი, ტყუი, ტყუი. ნუ ტირი, გრიგორი, ჩვენ ახლა ამას გავაცამტვერებთ. ერთი ეს მიბრძანე, ვირო: დავუშვათ, შენ მართალი ხარ შენს ჯალათებთან, მაგრამ თავად შენ ხომ განუდექი შენს რწმენას, თავად ამბობ, რომ იმავ წამს შეჩვენებული გავხდიო, მაშინ თუ შეჩვენებული ხარ, ამისთვის ჯოჯოხეთში თავზე ხელს არავინ გადაგისვამს, ამაზე გიფიქრია, ჩემო მშვენიერო იეზუიტო?

- უეჭველად, მე ჩემთვის ვთქვი უარი რწმენაზე, არავითარი განსაკუთრებული ცოდვა არ ჩამიდენია, თუ იყო ცოდვა, სავსებით ჩვეულებრივი.

- ეგ როგორ ჩვეულებრივი?

- ტყუი, წყე-უ-ლო, - წაისისინა გრიგორიმ.

- თავად განსაჯეთ, გრიგორი ვასილევიჩ, - თანაბრად და მედიდურად წარმოთქვა მან, თითქოს დიდსულოვნებას იჩენდა დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ, და განაგრძო, - თავად განსაჯეთ, გრიგორი ვასილევიჩ: საღმრთო წერილში ნათქვამია: თუ გექნებათ რწმენა, ყველაზე პატარა მარცვლის ოდენი მაინც და უბრძანებთ მთას, ზღვაში გადაადგილდიო, ის გადაადგილდება, წუთითაც არ დაყოვნდება, შენი პირველი ბრძანებისთანავე. რა ვქნა, გრიგორი ვასილევიჩ, მე თუ ურწმუნო ვარ, თქვენ ხომ ხართ მორწმუნე, ამის გამო გაუთავებლად თქვენი ლანძღვა-გინების საგანი ვარ, მაშინ ვცადოთ და იქნებ უბრძანოთ ამ მთას, რომ ზღვაში კი არა (ზღვა აქედან ძალიან შორსაა), ჩვენი ბაღის უკან მდებარე აქოთებულ მდინარემდე გადაადგილდეს, უმალ დარწმუნდებით, რომ მთა არათუ გადაადგილდება, არამედ რამდენიც არ უნდა იყვიროთ, ყოველივე თავის ადგილას დარჩება გაუნძრევლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც თქვენ ყოფილხართ საკმაოდ მორწმუნე, გრიგორი ვასილევიჩ, სხვებს კი ამის გულისთვის ყოველნაირად ლანძღავთ. ისევ და ისევ, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენს დროში ამ ქვეყანაზე არათუ თქვენ, არამედ საერთოდ ვერავინ, დაწყებული წარჩინებული ადამიანებიდან, დამთავრებული უბრალო გლეხით, არავის ძალუძს

თავისი რწმენით გადააადგილოს მთა ზღვამდე, გარდა ერთი-ორი კაცისა, რომელიც სადღაც ეგვიპტის უდაბნოში საიდუმლოდ მოღვაწეობს და რომელთა ნახვა საერთოდ შეუძლებელია. გამოდის, რომ ყველა დანარჩენი ურწმუნონი ვყოფილვართ. თუკი ასეა, ნუთუ ამ დანარჩენებს, ე.ი. დედამიწის მთელ მოსახლეობას, გარდა იმ ორი მეუდაბნოესი, შეაჩვენებს უფალი, რომელიც თავის გულმოწყალებით ცნობილია და არავის შეუნდობს? ამიტომ დიდი იმედი მაქვს, თუკი ოდესმე ეჭვი შემეპარება რამეში და შემდგომ სინანულის ცრემლებს დავღვრი, ღმერთი მაპატიებს ამ ცოდვას.
- შეჩერდი! - დაიღრიალა ფიოდორ პავლოვიჩმა, აღტაცების აპოთეოზამდე მისულმა, - ე.ი. შენი აზრით, ორი ისეთი, რომელსაც მთის დაძვრა შეუძლია, არსებობს? ივან, კარგად დაიმახსოვრე, ჩაიწერე: რუსი კაცის ხასიათი აქ გამოჩნდა!
- თქვენ სამართლიანად შენიშნეთ, ეს არის რწმენის საერთო-სახალხო ხასიათი, - კმაყოფილი ღიმილით დაეთანხმა ივან ფიოდოროვიჩი.
- თანახმა ხარ! ე.ი. შენც თანახმა ხარ! ალიოშკა, ასე არ არის? ეს ხომ რუსული რწმენაა ასეთი?
- არა, სმერდიაკოვს სულაც არა აქვს რუსული რწმენა, - სერიოზულად უპასუხა ალიოშამ.
- მე მის რწმენაზე არ ვლაპარაკობ, მე ხასიათზე ვთქვი, იმ ორი მეუდაბნოეს გამო, ამ დამახასიათებელ ნიშანზე: ეს ხომ რუსულია, რუსული?
- დიახ, ეს რუსული ხასიათია, - გაიღიმა ალიოშამ.

- თუმნად ვაფასებ შენს სიტყვას, სახედარო, დღესვე გამოგიგზავნი, ხოლო დანარჩენებში ტყუი, ტყუი და ტყუი; იცოდე, რეგვენო, ჩვენ ყველას, ჩვენი უთავბოლობის გამო არ გვწამს, მოუცლელობის გამო: ჯერ ერთი, საქმეები გვახრჩობს, მეორეც - ღმერთმა ცოტა დრო მოგვცა, დღეში მხოლოდ ოცდაოთხი საათია, ასე რომ დრო გამოსაძინებლადაც არ გვრჩება, არათუ მონანიებისათვის. შენ კი იქ, ჯალათების წინაშე, ღმერთს განუდექი. სწორედ მაშინ, როცა სხვა არაფერზე არ უნდა გეფიქრა, გარდა რწმენისა, სწორედ მაშინ უნდა გეჩვენებინა შენი რწმენა! ასე არ არის, ძმაო? მე ასე ვფიქრობ!
- ასეა, ასე, მაგრამ თავად განსაჯეთ, გრიგორი ვასილევიჩ, სწორედ ეს უფრო აადვილებს საქმეს, ასე რომ არის. მე რომ ჭეშმარიტი რწმენა მქონოდა, მაშინ, რასაკვირველია, ცოდვას ჩავიდენდი, თუკი ჩემი რწმენისათვის არ ვეწამებოდი და უწმინდური მუჰამედის რწმენაზე გადავიდოდი. მაგრამ საქმე წამებამდე არ მივიდოდა, თუ მე იმავ წამს ვეტყოდი მთას: დაიძარ და გასრისე ჯალათები-მეთქი, მთაც დაიძრებოდა და ტარაკნებივით გასრესდა მათ, მე კი წამოვიდოდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე, ღმერთს ხოტბა-დიდებას შევასხამდი. ხოლო რადგან მაშინ ყოველივე ეს ვსინჯე, საგანგებოდ ვუყვიროდი მთას: გასრისე ჯალათები-მეთქი, - ის კი ადგილიდანაც არ დაიძრა, არავინაც არ გასრისა, მაშინ მითხარით, როგორ არ შემპარვოდა ეჭვი იმ მძიმე, შემაძრწუნებელ და საშინელ წუთებში? მე ისედაც ვიცი, რომ სასუფეველს ცათა შინა ვერ მივაღწევ (რამეთუ არ დაიძრა მთა ჩემს ბრძანებაზე, ე.ი. არ სჯერათ იქ ჩემი რწმენის და ალბათ არც ისე დიდი ჯილდო მელის იმქვეყნად), მაშინ რისთვის, რა სარგებლისათვის მიმეცა მათთვის ნება, ჩემთვის ტყავი გაეძროთ? ზურგზე ნახევრად რომ აეძროთ კანი და მაშინ მებრძანებინა მთისათვის, დაძრულიყო, ის მაშინაც არ მოიცვლიდა ფეხს. ასეთ წუთებში არათუ ეჭვი შეგეპარება, არამედ შიშისაგან შეიძლება ჭკუიდანაც გადახვიდე და განსჯის უნარი საერთოდ დაკარგო. მაშინ რატომ ვარ დამნაშავე, თუკი ვერც აქ და ვერც იქ ვერაფერ სარგებელს ვხედავ, ვერავითარ საზღაურს და საკუთარ ტყავს მაინც გავუფრთხილდები?! თანაც იმის იმედიცა მაქვს, ღმერთი მოწყალეა, შემინდობს...

VIII კონიაკის სმის დროს

დავა დამთავრდა, მაგრამ უცნაური რამ მოხდა: უცებ ძალზე გამხიარულებულ ფიოდორ პავლოვიჩს ხასიათი წაუხდა. ნირწამხდარმა კიდევ ერთი სირჩა გადაჰკრა. ეს კი სავსებით ზედმეტი მოუვიდა.
- გაეთრიეთ აქედან, თქვე იეზუიტებო, თქვენა, - დაუყვირა მან მსახურებს, - წადი, სმერდიაკოვ, დღესვე დაპირებულ თუმნიანს მიიღებ, ახლა წადი. ნუ ტირი, გრიგორი, წადი მარფასთან, დაგაწყნარებს და დაგაძინებს. ეს ნაძირლები საშუალებას არ მოგცემენ, ნასადილევს წყნარად რომ მოისვენო, - დანანებით თქვა მან, როცა მსახურებმა იქაურობა დატოვეს. - ამ ბოლო ხანებში, სადილობის ჟამს სმერდიაკოვი ყოველთვის აქ ტრიალებს, მგონი შენ აინტერესებ, რითი მოხიბლე? - უთხრა მან ივანს.
- არაფრით, - უპასუხა მან, - უნდა, რომ პატივი მცეს; ასეთები ამოტივტივდებიან, როცა დრო მოვა.

- ასეთები?
- იქნებიან სხვებიც, უფრო უკეთესები, მაგრამ ასეთებიც იქნებიან. ჯერ ასეთები იქნებიან, შემდეგ უკეთესები მოვლენ.
- როდის დადგება ეს დრო?
- აინთება მაშხალა, მაგრამ შესაძლოა ბოლომდე არ დაიწვას. ჯერჯერობით კი ხალხს ასეთი მებულიონეების არ სჯერა.
- ასეა, ჩემო ძმობილო, ასეთი ბალაამის სახედარი ფიქრობს, ფიქრობს და ეშმაკმა უწყის, თავისთვის რას არ მოიფიქრებს.
- იდეებს მოიმარაგებს, - გაიცინა ივანმა.
- იცი რა, მე ნამდვილად ვიცი, ჭირივით რომ ვეჯავრები, როგორც სხვა დანარჩენები, შენც ეჯავრები, თუმცა შენ გგონია: „უნდა რომ პატივი მცესო“. ალიოშკა უკვე დიდი ხანია სძულს, მაგრამ ერთი კი ნაღდია, ქურდი არ არის, ჭორიკანა არ არის, ენას არ მიიტან-მოიტანს, ოჯახის ამბები გარეთ არ გააქვს, კულებიაკებს კარგს აცხობს. ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი, კაცმა რომ თქვას, ღირს მასზე ლაპარაკი?
- რასაკვირველია, არ ღირს.
- ხოლო, სანამ ის რამეს მოიფიქრებს, მანამ რუსის გლეხს კაცმა როზგი არ უნდა მოაკლო. ამას ყოველთვის ვამტკიცებდი. ჩვენი გლეხი ყალთაბანდია, არ უნდა შეგეცოდოს. კარგია, ხანდახან აქა-იქ კიდევ რომ როზგავენ ხოლმე. რუსეთის მიწა არყის ხითაა მაგარი. ტყეების განადგურებით დაიღუპება რუსეთი. მე თავად ჭკვიანი ხალხის მხარეს ვარ. მეტისმეტი ჭკუის გამო იყო, რომ გლეხების ცემა-ტყეპას შევეშვით, მაგრამ ისინი ახლაც აგრძელებენ ერთმანეთის ცხვირ-პირის მტვრევას. კარგადაც შვრებიან, რამეთუ იგივე საწყაულით მიეწყვებათ, რომლითაც თავად მიუწყავენ... თუ როგორც არის... ერთი სიტყვით, მიეწყვებათ რა. რუსეთი კი საღორეა. რომ იცოდე, ჩემო მეგობარო, როგორ მეზიზღება რუსეთი... რუსეთი კი არა, მისი ყოველნაირი მანკიერებანი... მე მგონი რუსეთიც Tout cela c'est de la cochonnerie[45] იცი რა მიყვარს? მე მახვილგონიერება მიყვარს.
- ისევ გადაჰკარით, გეყოფათ, ნუღარ სვამთ.
- მაცალე, კიდევ ერთს, მხოლოდ ერთს დავლევ, მერე დავამთავრებ. არა, მოიცა, შენ შემაწყვეტინე. ერთხელ, მოკროეში ყოფნის დროს, ერთ მოხუცს დაველაპარაკე, მან მითხრა: „ჩვენ ძალიან გვიყვარს გოგოების გამათრახება და ბიჭებს ვამათრახებინებთ ხოლმე. გოგოს, რომელსაც ბიჭი გაამათრახებს, მეორე დღეს საცოლედ ირჩევს, ასე რომ ეს გოგოებსაც სიამოვნებთო“. როგორი მარკიზ დე სადები[46] არიან, არა? შენ რაც გინდა ის თქვი, მე მგონი, ძალიან მახვილგონივრულია. ჩავიდეთ იქ, ჩვენც ვნახოთ, ჰა? ალიოშა, შენ რა, გაწითლდი? ნუ გრცხვენია, შვილო. სამწუხაროდ, დღეს იღუმენის სუფრას ვერ მივუჯექი და მონაზვნებს მოკროეს გოგოების ამბავი ვერ მოვუყევი. ალიოშა, ნუ გამიჯავრდები იმაზე, დღეს რომ იღუმენი გაგინაწყენე. მე, ჩემო ძმობილო, ბრაზი მახრჩობს. თუკი ღმერთი არის, არსებობს, მაშინ, ცხადია, დამნაშავე ვარ და პასუხი უნდა ვაგო, მაგრამ თუ არ არსებობს, მაშინ ცოტა ვუთხარი შენს მამებს. მათ თავები უნდა დააყრევინონ, იმიტომ რომ განვითარებას ხელს უშლიან. შენ გჯერა, ივან, რა ცეცხლი მიტრიალებს სულში. არა, შენ არ გჯერა, ამას მე შენს თვალებში ვხედავ. შენ იმ ხალხის გჯერა, რომელთაც მე ტაკიმასხარა ვგონივარ. ალიოშა, შენ ხომ გჯერა, რომ მარტოოდენ მასხარა არ ვარ?
- მჯერა, მარტო მასხარა რომ არ ხარ.

- მეც მჯერა, შენ რომ ჩემი გჯერა და ამას გულწრფელად ამბობ. ალალად მიყურებ და ალალად ამბობ, ივანი კი არა. ივანი ამპარტავანია... ისე, მე რომ მკითხო, შენს მონასტრებს გავაუქმებდი. ავიღებდი და მთელ რუსეთში გავაუქმებდი, ერთი ხელის მოსმით, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველა რეგვენი გონს მოვიყვანო; ო, რამდენი ოქრო-ვერცხლი შევიდოდა ჩვენს ხაზინაში!
- რატომ გააუქმებდი? - ჰკითხა ივანმა.
- ჭეშმარიტებამ რომ იზეიმოს, თუნდაც ამიტომ.
- თუკი ასეთი ჭეშმარიტება იზეიმებს, მაშინ თქვენ, პირველს, ჯერ გაგძარცვავენ, შემდეგ... გაგანადგურებენ.
- ოჰო! ამაში მგონი მართალი ხარ. შე ვირო, შენა, - უთხრა ფიოდორ პავლოვიჩმა საკუთარ თავს და შუბლზე ხელი მიირტყა. - კარგი, იდგეს შენი მონასტრები, ალიოშკა, რახან ასეა. ჩვენ კი, ჭკუათამყოფელები თბილად დავსხდეთ და კონიაკი ვწრუპოთ. იცი, ივან, მე მგონია, ყველაფერი ეს თავად ღმერთის მიერაა მოგონილი? ივან, ერთი ეს მითხარი: არის ღმერთი, თუ არა? მოიცა: მართლა მითხარი, სერიოზულად! რას იცინი?
- იმაზე მეცინება, რომ ახლახან თქვენ თავად გონებამახვილურად შენიშნეთ სმერდიაკოვის რწმენის შესახებ, იმ ორი ბერის არსებობის თაობაზე, რომელთაც მთების დაძვრა შეუძლიათ.
- ნუთუ ერთმანეთს ჰგავს?
- ძალიან.
- მაშასადამე, მეც რუსი ვარ, მეც რუსული ხასიათი მაქვს. შენც, შენც კი შეიძლება გამოგიჭიროს კაცმა ამ ხასიათის გამოვლენაში, ფილოსოფოსო. გინდა გამოგიჭირო, დაგენიძლავები, ხვალვე გამოგიჭერ. ისე მაინც მითხარი: არსებობს ღმერთი? ოღონდ სერიოზულად! მე მინდა სერიოზულად.
- არა, არ არსებობს ღმერთი.
- ალიოშკა, არსებობს ღმერთი?
- არსებობს.
- ივან, უკვდავება მაინც თუ არის, რაღაც, სულ მცირე, სულ პაწაწუნა?
- არა, არც უკვდავება არსებობს.
- არანაირი?
- არანაირი.
- ესე იგი სრული ნული ანუ არაფერი? იქნებ რაღაც მაინც არის? ყველაფერი არარაობაა!
- აბსოლუტური ნული.
- ალიოშკა, არის უკვდავება?
- არის.
- ღმერთიც და უკვდავებაც?
- ღმერთიც და უკვდავებაც. თავად ღმერთშია უკვდავება.
- ჰმ. ალბათ ივანი მართალია. ღმერთო ჩემო, რა არ იღონა ადამიანმა რწმენისათვის, რამდენი ძალ-ღონე შეალია უქმად ამ ოცნებას ათასეული წლების განმავლობაში! ვინ არის, ასე რომ დასცინის ადამიანს? უკანასკნელად გეკითხები: არსებობს თუ არა ღმერთი? უკანასკნელად!
- უკანასკნელად გპასუხობ, არა.
- ვინ დასცინის ადამიანს, ივან?
- ალბათ ეშმაკი, - გაიცინა ივანმა.

- ეშმაკი კი არსებობს?
- არა, არც ეშმაკი არსებობს.
- სამწუხაროა, ეშმაკმა დალახვროს, რას ვუზამდი, თუ იცი იმ კაცს, რომელმაც ღმერთი გამოიგონა?! ვერხვის ტოტზე ჩამოხრჩობაც ცოტაა მისთვის.
- ღმერთი რომ არ გამოეგონებინათ, მაშინ აღარც ცივილიზაცია იარსებებდა.
- არ იარსებებდა? უღმერთოდ?
- დიახ, არც კონიაკი იქნებოდა. ისე კი, კონიაკის წაღება მომიწევს.
- მაცადე, მაცადე, ჩემო ძვირფასო, ერთს კიდევ გადავკრავ. ალიოშას შეურაცხყოფა მივაყენე. ხომ არ გეწყინა, ალექსეი? ძვირფასო ალექსეიჩიკ, ჩემო ალექსეიჩიკ!
- არა, არა, არ მწყენია. ჩემთვის თქვენი აზრები ცნობილია. თქვენ გული უფრო კარგი გაქვთ, ვიდრე თავი.
- ეს მე მაქვს თავზე უფრო კარგი გული? ღმერთო ჩემო, ამას ვინ ამბობს? ივან, გიყვარს ალიოშკა?
- მიყვარს.
- გიყვარდეს (ფიოდორ პავლოვიჩს სიმთვრალე მოერია). მისმინე, ალიოშა, დღეს მე შენს ბერს უხეშად მოვექეცი. აღელვებული ვიყავი. მახვილგონიერი ბერია, შენ როგორ ფიქრობ, ივან?
- ნამდვილად არის.
- არის, არის, il y a du Piron la-dedans[47]. ის იეზუიტია, რუსი, რასაკვირველია. მაგრამ კეთილშობილი არსებაა, ამიტომ მასში დაფარულია გულისწყრომა იმის გამო, რომ უნდა ითამაშოს... წმინდანად მოგვაჩვენოს თავი.
- მას ხომ ღმერთი სწამს.
- ოდნავადაც არა. შენ არ იცი? ის თავად ეუბნებოდა ყველას, ყველას კი არა, ყველა ჭკვიან ადამიანს, რომელიც მასთან ჩამოდიოდა. გუბერნატორ შულცს კი პირდაპირ უთხრა: credo[48], მაგრამ არ ვიცი რაო.
- ნუთუ?
- დიახაც. მიუხედავად ამისა, მე მაინც პატივს ვცემ. მასში არის რაღაც მეფისტოფელური, ან უკეთ რომ ვთქვა - „ჩვენი დროის გმირის“... არბენინი[49], თუ რა ჰქვია... ე.ი. იცი, საქმე რაშია, ის ავხორცია; იმდენად ავხორცი, რომ მე მასთან ჩემი ქალიშვილის ან ცოლის აღსარებაზე მისვლა შემაშინებდა. იცი, როცა ის მოყოლას დაიწყებს... სამი წლის წინ ჩაიზე დაგვპატიჟა, ლიქიორიც ჰქონდა (მემამულეები ლიქიორს უგზავნიან ხოლმე) და დაიწყო თავისი წარსულის მოყოლა, სიცილისაგან მუცლები აგვტკივდა... განსაკუთრებით იმაზე, ერთი დავრდომილი როგორ განკურნა. „ფეხები რომ არ მტკიოდეს, ერთს ისეთს ჩამოვუვლიდიო“. როგორია? „ჩემს ცხოვრებაში ბევრი მიხეტიალიაო“. მან ვაჭარ დემიდოვს სამოცი ათასი აწაპნა.
- როგორ მოჰპარა?
- ვაჭარმა მას, როგორც სათნო ადამიანს, ფული მიაბარა: „შემინახე, ძმობილო, ხვალ უნდა გამჩხრიკონო“. ჰოდა, იმანაც შეიტყაპუნა: „შენ ხომ ეკლესიას შესწირეო“. მე ვუთხარი: ნაძირალა ხარ-მეთქი. არა, მე ნაძირალა არა ვარ, მე გულუხვი ვარო... არა, ეგ ის არ იყო... ის სხვა იყო. სხვაში ამერია... ვერც შევამჩნიე კიდევ ერთს გადავკრავ და მეყოფა; წაიღე ბოთლი, ივან. მე ხომ ყველაფერი ეს მოვჩმახე, რატომ არ გამაჩერე, ივან. რატომ არ მითხარი: ცრუობო?
- ვიცოდი, თავად რომ გაჩერდებოდი.

- ტყუი, შენ ჩემი ბოღმა გაქვს. გძულვარ. ჩემთან ცხოვრობ და მაინც გძულვარ.
- მე მალე მოგშორდებით; თქვენ კი კონიაკმა ტვინი აგირიათ.
- მე შენ ჩერმაშნიაში გამგზავრება გთხოვე... ერთი-ორი დღით, შენ კი არ მიდიხარ.
- ხვალ გავემგზავრები, თუკი ასე დაჟინებით მთხოვთ.
- არ გაემგზავრები. შენ გინდა, აქ მითვალთვალო, აი, რა გინდა, ბოროტო სულო, იმიტომ არ მიემგზავრები, ხომ?
ბებერი არ ცხრებოდა. სიმთვრალის ისეთ ზღვრამდე იყო მისული, როცა ზოგიერთი, მანამდე მშვიდი, მაგრამ თავის გამოჩენის სურვილით შეპყრობილი, აუცილებლად შფოთსა და აყალ-მაყალს ატეხს ხოლმე.
- რას მომშტერებიხარ? შენი თვალები შემომცქერიან და მეუბნებიან: „გალეშილი სიფათი გაქვსო.“ საეჭვო თვალები გაქვს, სიძულვილით სავსე, რაღაც მიზნით ხარ ჩამოსული. აი, ალიოშკა მიყურებს და მისი თვალები ალერსითაა სავსე. ალექსეი, ნუ გიყვარს ივანი...
- ნუ უჯავრდებით ივანს! გაანებეთ თავი, - უცებ მკაცრად წარმოსთქვა ალიოშამ.
- კარგი, საკმარისია, ვაი, თავი ამტკივდა. წაიღე, ივან, კონიაკი. მესამედ გეუბნები, - იგი ერთხანს ჩაფიქრდა და შემდეგ ეშმაკურად ჩაიცინა: - ივან, ნუ გეწყინება ნურაფერი ყიამყრალი ბარიკაცისაგან. ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაინც ნუ გეწყინება. ან რისთვის უნდა გიყვარდე. ჩერმაშნიაში გაემგზავრე, მერე მეც ჩამოვალ, საჩუქარს ჩამოგიტან. იქ ერთ გოგოს გაჩვენებ, დიდი ხანია თვალი დავადგი! სოფლელი ფეხშიშველა გოგოა. ნუ გეშინია სოფლელი გოგოების, ნუ გძულს ისინი, მარგალიტივით ქალები არიან!
ბერიკაცმა თითები ტუჩებთან მიიტანა და ჩაპროშნა.
- ჩემთვის, - უცებ თითქოს წამიერად გამოფხიზლდა, ხალისიანად ალაპარაკდა, ეს ხომ მისი საყვარელი თემა იყო, - ჩემთვის... ეჰ, ბიჭებო! ბალღებო, თქვენ ჯერ პაწაწა გოჭუნიები ხართ, ჩემთვის... მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ არსებობდა გონჯი ქალი, ასეთი წესი მქონდა! თქვენთვის ეს გასაგებია? თქვენ რას გაიგებთ: ჯერ ხომ სისხლის მაგივრად რძე დაგიდით ძარღვებში, ბოლომდე არ გამოჩეკილხართ! ჩემი წესის თანახმად, ნებისმიერ ქალში კაცმა შეიძლება იპოვოს ისეთი განსაკუთრებული რამ, ეშმაკმა დალახვროს, ისეთი საინტერესო, რომელიც სხვა ქალს არ გააჩნია, ოღონდ ამის დანახვის უნარი უნდა ჰქონდეს, ამაშია საქმე! ესეც ტალანტია! ჩემთვის უშნო ქალები არ არსებობენ: მარტოოდენ ის, რომ იგი ქალია, ყველაფრის ნახევარს ნიშნავს... თქვენ რა გესმით! შინაბერებშიც კი შეიძლება კაცმა აღმოაჩინო ისეთი ვინმე, რომ გაგიკვირდება: როგორ მოხდა, ნეტა, სულელმა მამაკაცებმა როგორ დააბერეს ასეთი ტურფა ასე კარგუნახავად და აქამდე ვერც კი შეამჩნიესო. ღარიბ-ღატაკი და უშნო სოფლელი გოგო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააკვირვო - აი, ასე უნდა მიუდგე მას. შენ ეს არ იცოდი? აღტაცებამდე, გულის განგმირვამდე, სირცხვილამდე, უნდა გააოცო - რომ ასეთი გომბიო ასეთი ბატონის ყურადღების ღირსი გახდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამქვეყნად ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მდაბიონი და დიდგვაროვანნი, ამიტომ ყოველთვის აღმოჩნდება ვინმე ასეთი მოახლე და მისი ბატონიც, ეს კი უკვე საკმარისია ცხოვრებისეული ბედნიერებისათვის! დაიცა.... მომისმინე, ალიოშკა, განსვენებულ დედაშენს ყოველთვის ვაოცებდი ხოლმე, მაგრამ ეს გაოცება სხვანაირად გამოდიოდა. არასოდეს ვეფერებოდი, მერე უცებ კი მის წინ დავემხობოდი, მუხლებზე ვხოხავდი, ფეხებს ვუკოცნიდი და ყოველთვის, ყოველთვის მიმყავდა იგი - ახლაც

კარგად მახსოვს, - რაღაცნაირ არეულ-დარეულ, ჟღერად, არც ისე ხმამაღალ, ნერვიულ და განსაკუთრებულ სიცილამდე. ასე იცოდა ხოლმე. ავადმყოფობაც ყოველთვის სიცილით ეწყებოდა, მეორე დღეს კი ისტერიულ კივილში გადაუდიოდა. ეს სიცილი არავითარ სიხარულს არ გამოხატავდა, დიახ, ეს იყო მოჩვენებითი აღტაცება. ერთხელ ბელიავსკი, - იყო ერთი ლამაზი და მდიდარი მამაკაცი, - გაუარშიყდა და ჩემთან სიარულს მოუხშირა. მოულოდნელად ჩემს სახლში ამ ბელიავსკიმ დედაშენის თანდასწრებით სილა გამაწნა. დედაშენი კი, მე რომ აქამდე ცხვარი მეგონა, ამ ამბავმა გააცოფა, ლამის გამლახა, მიყვიროდა: „შენ ახლა ღირსებაშელახული ხარ, ალიყურნაჭამი! შენ მისთვის ჩემი მიყიდვა გინდოდა... აბა, როგორ გაბედა, ჩემი თანდასწრებით სილა რომ გაგაწნა! აწი არ გაბედო და არ გამეკარო, არასოდეს, არასოდეს! ახლავე წადი და დუელში გამოიწვიეო!..“ ამ ამბის შემდეგ მონასტერში წავიყვანე, იქ ბერებმა შეულოცეს და დამიწყნარეს. ღმერთმანი, ალიოშა, დედაშენისათვის არასოდეს მიწყენინებია! მხოლოდ ერთხელ იყო, პირველ წელს: ძალიან ბევრს ლოცულობდა, განსაკუთრებით შობის წინა დღეებში, ახლოს არ მიკარებდა, კაბინეტში მაგდებდა ხოლმე. ჩემთვის გავიფიქრე: მოდი, გამოვუბერტყავ თავიდან ამ მისტიკას-მეთქი! ვეუბნები: „აი, ხომ ხედავ ამ ხატს, მე ახლა მას კედლიდან ჩამოვიღებ და მივაფურთხებ და თავად ნახავ, შენ რომ ის სასწაულმოქმედი გგონია, მე არაფერი დამემართება-მეთქი!“ ეს რომ იხილა, ღმერთმანი, მეგონა მომკლავდა: წამოხტა, ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, შემდეგ თავი ხელებში ჩარგო, მთელი სხეული აუკანკალდა და იატაკზე დაეცა... დაენარცხა... ალიოშა, ალიოშა! რა მოგდის, რა მოგდის?

მოხუცი შეშინებული წამოხტა. ალიოშას, რა წუთსაც მოხუცმა დედამისზე დაიწყო ლაპარაკი, სახეზე ფერიფური გადასდიოდა. გაწითლდა, თვალები აენთო, ტუჩები აუკანკალდა... მთვრალი ბერიკაცი ლაპარაკის დროს იფურთხებოდა და შვილს ვერაფერი შეამჩნია მანამ, სანამ ალიოშას არ დაემართა რაღაც ისეთივე უცნაური, რის შესახებაც დედამისზე უყვებოდა. ალიოშა წამოხტა, ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, შემდეგ თავი ხელებში ჩარგო, მოცელილივით სკამზე დაეცა და ჩუმი, უეცარი, ერთბაშად შემოწოლილი ცრემლების ისტერიული შემოტევისაგან ერთიანად აკანკალდა. დედასა და შვილს შორის ამ არაჩვეულებრივმა მსგავსებამ გააოგნა მოხუცი.

- ივან, ივან! ჩქარა წყალი. ზუსტად ისე დაემართა, როგორც დედამისს მოუვიდა მაშინ! ჩაასხი პირში წყალი, მე დედამისს ასე ვმკურნალობდი. ეს მას დედამისის გამო მოუვიდა, დედამისის გამო... - ლუღლუღებდა მოხუცი.

- მე მგონი, ის ჩემი დედაც იყო, ამის დედა ხომ ჩემი დედაც იყო, თქვენ როგორ ფიქრობთ? - უცებ თავშეუკავებლად, ბრაზმორეულმა ზიზღით უთხრა ივანმა. მოხუცი მისმა თვალისმომჭრელმა მზერამ შეაკრთო. მაგრამ ამ დროს მოხდა რაღაც უცნაური, თუმცა, რამდენიმე წამით: მოხუცს მგონი მართლაც გადავიწყდა, რომ ალიოშას დედა ივანის დედაც იყო.

- როგორ თუ დედაშენიცაა? - გაკვირვებულმა წაიბურტყუნა მან, - რას ლაპარაკობ? რომელ დედაზე?... ნუთუ ის... ოი, ეშმაკმა დალახვროს! იგი ხომ დედაშენიცაა! ოი, ეშმაკმა დალახვროს! ეჰ, ძმობილო, ტვინი დამიბნელდა, მაპატიე, მე კი მეგონა, ივან... ხა, ხა, ხა! - იგი გაჩერდა. უაზრო მთვრალი კაცის ხანგრძლივმა სიცილმა სახე გაუფართოვა. სწორედ ამ დროს წინკარიდან ხმაური, ბრახაბრუხი და ღრიალი გაისმა. უცებ კარი გაიღო და ოთახში შემოვარდა დმიტრი

ფიოდოროვიჩი.. შეშინებული მოხუცი ივანს მივარდა:
- მომკლავს, მომკლავს! მიშველე რამე, მიშველე! - აყვირდა იგი და ივანს სერთუკში ჩააფრინდა.

IX ავხორცები

დმიტრის უკან გრიგორი და სმერდიაკოვი მოსდევდნენ. ისინი ჯერ წინკარში ეჭიდავებოდნენ მას და ოთახში არ უშვებდნენ (ფიოდორ პავლოვიჩის მიერ რამდენიმე დღის წინ გაცემული ინსტრუქციის მიხედვით). გრიგორიმ ისარგებლა მომენტით, სანამ დმიტრი ოთახში ერთხანს დასათვალიერებლად შეჩერდა, შემოურბინა მაგიდას და სასტუმრო ოთახის ის მეორე შემოსასვლელი კარი ჩაკეტა, რომელიც საძინებელ ოთახში გადიოდა. იგი ორივეხელგაშლილი დადგა კარის წინ, მზად იყო, უკანაკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა. დმიტრიმ კი არ იყვირა, რაღაცნაირად დაიღრიალა და გრიგორის ეცა.
- ესე იგი, ქალი იქ არის! იქ დამალეთ, ხომ! აქედან დამეკარგე, ნაძირალა! - მან გრიგორის გამოგდება დააპირა, მაგრამ გრიგორიმ ხელი ჰკრა. სიბრაზისაგან გაცოფებულმა მიტიამ გრიგორის ხელი მოუქნია და მთელი ძალით სთხლიშა. მოხუცი მოცელილივით დაეცა, დმიტრი გადაევლო მის სხეულს და კარი შეანგრია. სმერდიაკოვი არ განძრეულა, იგი სასტუმრო ოთახის მეორე ბოლოში იდგა და აკანკალებული ფიოდორ პავლოვიჩს ეხუტებოდა.
- ის აქ არის, - ყვიროდა მიტია, - ახლახან დავინახე, როგორ შემოუხვია აქეთ, ოღონდ ვერ დავეწიე. სად არის ქალი? სად არის?
ფიოდორ პავლოვიჩზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ყვირილმა: „ის აქ არისო“ და შიშმა სრულიად გადაუარა.
- დაიჭირეთ, დაიჭირეთ! - იყვირა მან და გამოუდგა დმიტრის. ამასობაში გრიგორი წამოდგა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო კარგად. ივან ფიოდოროვიჩი და ალიოშა მამას გამოუდგნენ. მესამე ოთახიდან ხმა მოისმა, თითქოს რაღაც დავარდა იატაკზე და დაიმსხვრა: ეს იყო დიდი შუშის ლარნაკი (ძვირფასი არ იყო), რომელიც მარმარილოს პედესტალზე იდგა. დმიტრი გამოედო და წააქცია.
- არ გაუშვათ! - იყვირა მოხუცმა. - დამეხმარეთ!
ივანი და ალიოშა დაეწივნენ მოხუცს და ძალით დააბრუნეს ოთახში.
- რას მისდევთ! მაინცდამაინც გინდათ, რომ მოგკლათ! - უყვირა ბრაზმორეულმა ივანმა მამას.
- ვანიჩკა, ლიოშოჩკა ალბათ აქ არის გრუშენკა. თვითონ თქვა - დავინახეო, გაირბინაო...
მას სუნთქვა ეკვროდა. არ ელოდა გრუშენკას მოსვლას და რომ გაიგო, აქ არისო, ჭკუა-გონება დაკარგა. ჭკუიდან გადაცდენილივით კანკალებდა.
- კი მაგრამ, თქვენ ხომ თავადაც კარგად იცით, რომ არ მოსულა! - უყვიროდა ივანი.
- იქნებ მეორე მხრიდან შემოვიდა?
- იქიდან ხომ დაკეტილია, გასაღები თქვენ გაქვთ...
დმიტრი ისევ ოთახში შემოვიდა. მან ალბათ ნახა, სახლში მეორე შემოსასვლელი და ოთახის ყველა ფანჯარა დაკეტილი რომ იყო. გრუშენკა ვერც ვერსაიდან

შემოვიდოდა, ვერც ვერსაიდან გადმოძვრებოდა. მართლაც, დაკეტილი შემოსასვლელი კარის გასაღები ფიოდორ პავლოვიჩს ჯიბეში ედო.
- დაიჭირეთ! - დაიღრიალა ფიოდორ პავლოვიჩმა, როგორც კი ისევ მოჰკრა თვალი დმიტრის, - მან ჩემი საძინებლიდან ფული მოიპარა! - ის ივანს ხელიდან გაუსხლტა და მიტიას ეცა. მიტიამ მოხუცს საფეთქლებზე შემორჩენილ ბუწუწებში წაავლო ხელები, მაგრად მოქაჩა და იატაკზე დაანარცხა. შემდეგ ფეხსაცმლის ქუსლით ერთი-ორი წიხლი ჩააზილა სახეში. მოხუცმა ხმამაღლა ამოიკვნესა. ივანი მიტიაზე სუსტი იყო, მაგრამ მან მთელი ძალით მოხვია ძმას ორივე ხელი და მოაშორა მოხუცს, ალიოშაც ძალ-ღონის დაუშურებლად ეხმარებოდა.
- შლეგო, მოკალი კაცი?! - უყვირა ივანმა.
- ეგრე უნდა მაგას! - ყვიროდა სუნთქვაშეკრული მიტია. - ახლა თუ არ მოკვდა, კიდევ მოვალ და მაინც მოვკლავ. ვერ უშველით!
- დმიტრი, ახლავე წადი აქედან! - მკაცრად უბრძანა ალიოშამ.
- ალექსეი! მითხარი, მხოლოდ შენ დაგიჯერებ: იყო თუ არა აქ გრუშენკა? თავად დავინახე, როგორ გამოიარა ღობეწნულთან და აქეთ გამოემართა. დავუძახე და გამოიქცა.
- გეფიცები, აქ არ მოსულა, არც არავინ ელოდა!
- კი მაგრამ, მე რომ დავინახე?!.. შესაძლოა ის... ახლავე გავიგებ სადაა.. ნახვამდის, ალექსეი! ფულის შესახებ ეზოპს ახლა ნურაფერს ეტყვი, კატერინა ივანოვნასთან კი ახლავე წადი, აუცილებლად, გადაეცი: „მშვიდობით ბრძანდებოდე, კარგად მეყოლე-თქო!“ ეს სცენაც აუწერე.
ამასობაში ივანმა და გრიგორიმ მოხუცი წამოაყენეს და სავარძელზე დასვეს. მას სახე გასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ გონზე იყო მოსული და გაფაციცებული უსმენდა მიტიას ყვირილს. ისევ ეგონა, რომ გრუშენკა სადღაც სახლში იყო. მიტიამ წასვლისას ზიზღით გადახედა მამას და მიაძახა:
- არ ვნანობ შენს სისხლს! მიფრთხილდი, ბებერო, უფრთხილდი ჩემს ოცნებას, რადგან მე ერთი ოცნება მაქვს! შეგაჩვენებ და გწყევლი. უარს ვამბობ შენზე.
მიტია ოთახიდან გავარდა.
- ის აქ არის, ნამდვილად აქ არის! სმერდიაკოვ, სმერდიაკოვ, - ოდნავ გასაგონად ხრიალებდა მოხუცი და თითით უხმობდა სმერდიაკოვს.
- აქ არავინ არის, სულელო ბებერო, - უყვირა მამას გაბრაზებულმა ივანმა. - მგონი გონი დაკარგა! წყალი, პირსახოცი! გაინძერი, სმერდიაკოვ!
სმერდიაკოვი წყლის მოსატანად გავარდა. მოხუცს გახადეს, საძინებელ ოთახში გაიტანეს, ლოგინში ჩააწვინეს და თავი სველი ტილოთი შეუხვიეს. კონიაკისგან, დიდი განცდებისა და ცემისგან დაოსებულმა მოხუცმა, როგორც კი დადო თავი ბალიშზე, თვალები მილულა და ჩაეძინა. ივანი და ალიოშა უკან დაბრუნდნენ. სმერდიაკოვს ოთახიდან გატეხილი ლარნაკის ნამსხვრევები გაჰქონდა, გრიგორი კი გამეხებული იდგა მაგიდასთან.
- შენც დაიდე თავზე სველი ტილო და დაწექი, - უთხრა ალიოშამ გრიგორის. - მამას ჩვენ მოვუვლით; დმიტრიმ კარგა მაგრა ჩაგარტყა თავში.
- მან ხელი გამარტყა! - მკაფიოდ წარმოთქვა გაბრაზებულმა გრიგორიმ.
- მან საკუთარ მამასაც „გაარტყა ხელი“, მარტო შენ კი არა! - დაცინვით შენიშნა ივანმა.
- მე მას, ჯერ სულ პატარას, ვარცლში ვაბანავებდი, მან კი ხელი გამარტყა! - გაიმეორა გრიგორიმ.

- ეშმაკმა დალახვროს, მე რომ არ მომეცილებინა, შესაძლოა მოეკლა კიდეც. ბევრი შეუძლია ეზოპს? - ჩურჩულით უთხრა ივანმა ალიოშას.
- ღმერთმა დაგვიფაროს! - ხმამაღლა თქვა ალიოშამ.
- რისგან „დაგვიფაროს“? - ისევ ჩურჩულით გააგრძელა ბრაზით სახემობრეცილმა ივანმა. - თუ ერთი მურდალი მეორე მურდალს ჩააძაღლებს, ორივეს გზაც იქითა ჰქონია!
ალიოშა შეკრთა.
- მე, რა თქმა უნდა, მკვლელობას არ დავუშვებ, როგორც ახლა გავაკეთე. შენ აქ დარჩი, ალიოშა, ცოტა ხნით ეზოში გავივლ-გამოვივლი; რაღაც თავი ამტკივდა.
ალიოშა მამის საძინებელ ოთახში შევიდა და იქ ერთი საათი დაჰყო მის სასთუმალთან შირმებს იქით ჩამომჯდარმა. უცებ მოხუცმა თვალი გაახილა და მდუმარედ მიაშტერდა ალიოშას, ეტყობოდა, რაღაცას იგონებდა. უცებ არაჩვეულებრივი მღელვარება აესახა სახეზე.
- ალიოშა, - შიშით დაიჩურჩულა მან, - სადაა ივანი?
- ეზოშია, თავი ასტკივდა. იქ გვდარაჯობს.
- სარკე მომაწოდე, ეგე, მანდ დევს!
ალიოშამ კომოდიდან აიღო პატარა, დასაკეცი, მრგვალი სარკე და მიაწოდა. მოხუცმა სარკეში ჩაიხედა: ცხვირი გასიებოდა, შუბლი მარცხენა წარბს ზემოთ ჩალურჯებული ჰქონდა.
- ივანი რას ამბობს? ალიოშა, ძვირფასო, ჩემო ერთადერთო შვილო, ივანის მეშინია; მე უფრო მისი მეშინია, ვიდრე დმიტრის. მხოლოდ შენი არ მეშინია...
- ნუ გეშინიათ, ივანი თქვენზე გულმოსულია, მაგრამ დაგიცავთ.
- ალიოშა, ის? გრუშენკასთან გაიქცა! ჩემო ლამაზო ანგელოზო, მართალი მითხარი: იყო აქ გრუშენკა, თუ არა?
- ის არავის უნახავს! სიცრუეა, გრუშენკა აქ არ ყოფილა!
- მიტკას მისი ცოლად მოყვანა უნდა, შეირთავს!
- გრუშენკა არ გაჰყვება.
- არ გაჰყვება, არ გაჰყვება, არ გაჰყვება, არ გაჰყვება, არაფრის გულისთვის არ გაჰყვება! - სიხარულისგან ისეთ აღტაცებაში მოვიდა მოხუცი, თითქოს ამაზე უკეთესს მისი ყური ვერაფერს გაიგონებდა. აღტაცებულმა მოხუცმა ხელი წაავლო ალიოშას ხელს და გულზე მიიხუტა. თვალზე ცრემლიც კი მოადგა - ის ხატი, ღვთისმშობლის ხატი, ამასწინ რომ გიყვებოდი, შენთვის მიჩუქნია, წაიღე თან, მონასტერში დაბრუნდი, ნებას გრთავ... მაშინ ვიხუმრე, არ გეწყინოს. თავი ამტკივდა, ალიოშა... ალიოშა, გული დამიმშვიდე, მართალი მითხარ, ღვთის გულისათვის!
- თქვენ ისევ თქვენსას გაიძახით, რა გითხრათ: იყო თუ არა ის აქ? - განაწყენებით წარმოთქვა ალიოშამ.
- არა, არა, მე შენი მჯერა. აი, რა მინდა გთხოვო: წადი გრუშენკასთან, ან სადმე ნახე, გამოჰკითხე, რაც შეიძლება მალე, შენი თვალით დარწმუნდი და შენი ყურით გაიგონე: ვისთან უნდა მას, ჩემთან თუ იმასთან? ჰა? რას იტყვი? შეგიძლია?
- თუ ვნახავ, ვკითხავ, - ჩაიბურტყუნა შეცბუნებულმა ალიოშამ.
- არა, ის არ გეტყვის, - გააწყვეტინა მოხუცმა, - ის ისეთი გიჟმაჟი ვინმეა, კოცნას დაგიწყებს, გეტყვის: შენ გამოგყვებიო. მატყუარაა და ურცხვი, არა, შენი მასთან წასვლა არ შეიძლება, არა!
- თანაც არ იქნება კარგი, ძალიან ცუდად გამოვა.

- ის სად გაგზავნიდა დღეს, რომ გიყვიროდა „წადიო“, როცა გარბოდა.
- კატერინა ივანოვნასთან.
- ფული უნდა? ფულსა სთხოვს?
- არა, ფული არ უნდა.
- მას ფული აღარა აქვს, გროშ-კაპიკიც არ გააჩნია. მისმინე, ალიოშა, მე ამაღამ რამეს მოვიფიქრებ, შენ კი წადი. შეიძლება გრუშენკასაც შეხვდე... ხვალ დილით აუცილებლად მოდი; აუცილებლად. ხვალ ისეთ რამეს გეტყვი; მოხვალ?
- მოვალ.
- როცა მოხვალ, ისეთი სახე მიიღე, თითქოს თავად მოხვედი, სანახავად, არავის უთხრა, რომ დაგიბარე. განსაკუთრებით ივანს.
- კარგი.
- მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, წეღან ისეთი საქმე გამიკეთე, სიკვდილამდე მემახსოვრება. ხვალ ერთ რამეს გეტყვი, მხოლოდ ჯერ კარგადა მაქვს მოსაფიქრებელი...
- ახლა თავს როგორ გრძნობთ?
- ხვალ ავდგები, აუცილებლად ავდგები და გავივლ-გამოვივლი, ჯანმრთელად ვარ, სრულიად ჯანმრთელად!
როცა ალიოშა ეზოში გავიდა, ივანი ჭიშკართან, მერხზე იჯდა და უბის წიგნაკში ფანქრით რაღაცას იწერდა. მან ივანს უთხრა, რომ მამამ გაიღვიძა და ყველაფერი რიგზეა, მე კი მონასტერში დაბრუნების ნება დამრთოო.
- ალიოშა, ხვალ დილით სიამოვნებით შეგხვდებოდი, - ისეთი სითბოთი თქვა ივანმა, რომ ალიოშა გაკვირვებული დარჩა.
- ხვალ ხოხლაკოვებთან უნდა მივიდე, - უპასუხა ალიოშამ, - შეიძლება კატერინა ივანოვნასთანაც, დღეს თუ ვერ ვნახე...
- ახლა კატერინა ივანოვნასთან მაინც მიდიხარ! „გამოსამშვიდობებლად“ არა? - გაიცინა უცებ ივანმა. ალიოშა შეცბუნდა.
- მე მგონი, ყველაფერს მივხვდი დღევანდელი შეძახილებით და კიდევ ადრინდელი რაღაც-რუღაცებით. ალბათ დმიტრის უნდა, მიხვიდე მასთან და გადასცე, რომ ის... ერთი სიტყვით, სამუდამოდ შორდება?
- ძმაო! რით დამთავრდება ეს ჯოჯოხეთური ურთიერთობა მამასა და მიტიას შორის? - აღმოხდა ალიოშას.
- ძნელია ზუსტად განჭვრიტო. შესაძლოა, არაფერიც არ მოხდეს, დრო გვიჩვენებს! ის ქალი მხეცია, მტაცებელი. ყოველ შემთხვევაში, მამა სახლიდან არ გავუშვათ და მიტია შინ არ შემოვუშვათ.
- ივან, შეიძლება ერთი რამ გკითხო: ნუთუ ადამიანს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვინ არის სიცოცხლის ღირსი და ვინ არა?
- ღირსება აქ არაფერ შუაშია. ამ საკითხს ადამიანი ღირსების მიხედვით კი არ წყვეტს, არამედ სხვა მიზეზით, უფრო ნატურალურით. ისე კი, რაც შეეხება უფლებას, ვის არა აქვს უფლება სურვილისა?
- სხვისი სიკვდილის?
- თუნდაც სიკვდილი, რატომაც არა? თავს ამაოდ ვიტყუებთ, ყველა ასე ვცხოვრობთ და ალბათ სხვანაირად ცხოვრება არც შეგვიძლია. შენ რა, იმიტომ მკითხე, ამასწინათ რომ ვთქვი: „თუ ერთი მურდალი მეორეს ჩააძაღლებს-მეთქი“? ასეთ შემთხვევაში მეც მინდა გკითხო რაღაც: შენ რა, მეც ისეთ კაცად მთვლი, როგორც დმიტრის, რომელსაც ეზოპის სისხლის დაღვრა შეუძლია, მოკლას რა,

ჰა?
- რას ამბობ, ივან! აზრადაც არ მომსვლია! არც დმიტრიზე მიფიქრია...
- გმადლობ ამისთვის მაინც, - გაიცინა ივანმა - იცოდე, მე მას ყოველთვის დავიცავ. მაგრამ თავს ნებას მივცემ, ჩემს სურვილებს ფართო ასპარეზი შევუქმნა. ხვალამდე. ნუ განმსჯი, ნუ მიყურებ, როგორც ბოროტმოქმედს, - დასძინა მან ღიმილით.
ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს. ადრე არასოდეს ყოფილა ასე. ალიოშამ იგრძნო, რომ ივანის ეს მისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი რაღაცისათვის გაკეთდა - აუცილებლად გარკვეული მიზნით.

X ორივე ერთად

ალიოშა მამის სახლიდან უფრო დათრგუნული და გულდამძიმებული გამოვიდა, ვიდრე შესვლისას იყო. თავგზააბნეული და გონებაარეული, გრძნობდა, როგორ ეშინოდა ამ ქაოსის მოწესრიგება და დღეს განცდილი ყველა იმ მტანჯველი წინააღმდეგობისაგან საერთო აზრის გამოტანა. სასოწარკვეთამდე აღარაფერი აკლდა. ასეთი რამ ალიოშას არასოდეს დამართნია. მისთვის ყველაფრის თავიდათავი მთავარი, საბედისწერო და გადაუწყვეტელი საკითხი იყო: რით დამთავრდებოდა მამა-შვილის შეხლა-შემოხლა იმ საშინელი დედაკაცის გამო? ახლა იგი თავად გახდა ყველაფრის მოწმე. თავად დაესწრო და საკუთარი თვალით იხილა, როგორ დაუპირისპირდნენ ისინი ერთმანეთს. მაგრამ საბოლოოდ ყველაზე უბედური, საშინლად უბედური, შეიძლება დიმიტრი აღმოჩნდეს: მას მძიმე განსაცდელი ელის. ამ საქმესთან დაკავშირებულნი სხვებიც აღმოჩნდნენ, უფრო მეტად დაკავშირებული, ვიდრე ეს ალიოშას ეგონა. მას ყველაფერი რაღაც იდუმალებით მოცული ეჩვენებოდა. ივანმა მოწყალების თვალით გადმოხედა, დაახლოება მოუნდა, რაც ადრე ალიოშასაც ძალიან სურდა, მაგრამ ახლა გრძნობს, რომ შეაშინა მისმა ასეთმა ნაბიჯმა. ის ქალები კი? უცნაურია: თუ ადრე კატერინა ივანოვნასთან მისვლა ეუხერხულებოდა, ახლა არაფერს გრძნობდა; პირიქით, ჩქარობდა, თითქოს მისგან ელოდა რჩევას. თუმცა ახლა მისთვის მიტიას დანაბარების გადაცემა მძიმე საქმედ მიაჩნდა, რადგან სამი ათასის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა, დმიტრიმ საბოლოოდ აღიარა თავისი უსინდისობა და ამიერიდან მის ზნეობრივ დაცემას ვეღარაფერი შეაჩერებდა. გარდა ამისა, დმიტრიმ დაავალა, რომ კატერინასთვის გადაეცა ახლახან მამამისის სახლში მომხდარი ამბავიც.
უკვე საღამოს შვიდი საათი იყო, ბინდდებოდა, როცა ალიოშა კატერინა ივანოვნას სახლისაკენ გაემართა. ის „დიდ ქუჩაზე“ ქირაობდა ძალიან ფართო და მოხერხებულ სახლს. ალიოშამ იცოდა, კატერინა თავის ორ ხანშიშესულ ნათესავთან ერთად რომ ცხოვრობდა. ერთი აგაფია ივანოვნას დეიდა გახლდათ - ჩუმი ქალი, პეტერბურგიდან ჩამოსულ კატერინას მამამისის სახლში რომ ემსახურებოდა აგაფიასთან ერთად. მეორე გახლდათ სქელ-სქელი, მედიდური, თუმცა ამჟამად ღარიბი მოსკოველი ქალბატონი. როგორც ამბობდნენ, ორივე უსიტყვოდ ემორჩილებოდა კატერინას და თან ახლდა მხოლოდ და მხოლოდ ეტიკეტის გამო. კატერინა კი თავის კეთილისმყოფელს, გენერლის ქვრივს

ემორჩილებოდა, რომელიც ავადმყოფობის გამო მოსკოვში დარჩა. კატერინა ვალდებული იყო, კვირაში ორჯერ მისთვის წერილი გაეგზავნა, სადაც ყოველივე დაწვრილებით იქნებოდა აღწერილი.
როცა ალიოშა წინა ოთახში შევიდა, მოახლეს სთხოვა, ქალბატონისათვის მოეხსენებინა მისი მოსვლის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, სასტუმრო ოთახში უკვე იცოდნენ მისი მოსვლის ამბავი (შესაძლოა, ფანჯრიდან დაინახეს). უცებ ალიოშას რაღაც ხმაური შემოესმა, აჩქარებული ფეხის ხმა და კაბის შარიშური, თითქოს ორი-სამი ქალი იყო ერთად. ალიოშას ცოტა უცნაურად მოეჩვენა, რომ მისმა მისვლამ ასეთი მღელვარება გამოიწვია. ის დაუყოვნებლივ შეიპატიჟეს სასტუმრო ოთახში. ოთახი დიდი იყო, პროვინციისათვის არადამახასიათებელი ელეგანტური ავეჯით გადატვირთული: ნაირ-ნაირი ზომის დივანი და ტახტი, დიდი და პატარა მაგიდები. კედლებზე ეკიდა სურათები, მაგიდებზე იდგა ლარნაკები და ლამფები, ლარნაკებში ეწყო ყვავილები, ფანჯრის რაფაზე კი აკვარიუმი იდო. ბინდბუნდის გამო ოთახში ბნელოდა. ალიოშამ დივანზე, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა, სულ ახლახან ვიღაცები რომ ისხდნენ, აბრეშუმის მანტილია დაინახა, ხოლო დივნის წინ მდგარ მაგიდაზე იდო ორი ნახევრადსავსე კაკაოიანი ფინჯანი, ბისკვიტიანი, ქიშმიშიანი და კამფეტებიანი ბროლის თეფშები. ეტყობოდა, ვიღაცას მასპინძლობდნენ, სახლში სტუმარი ჰყავდათ. ალიოშას ხასიათი წაუხდა. ამ დროს პორტიერი აიწია და ოთახში ჩქარი ნაბიჯით, ხალისიანი და აღტაცებული ღიმილით კატერინა შემობრძანდა. ორივე ხელი გაუწოდა ალიოშას. მალე მოახლე შემოვიდა და ორი ანთებული სანთელი მაგიდაზე დადო.
- მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გიხილეთ! მე, მთელი დღის განმავლობაში, მხოლოდ თქვენთან შეხვედრას ვთხოვდი ღმერთს! დაბრძანდით.
კატერინას სილამაზემ ჯერ კიდევ სამი კვირის წინ მოხიბლა ალიოშა. მაშინ დმიტრიმ ძმა კატერინას განსაკუთრებული თხოვნით მიიყვანა მასთან გასაცნობად. იმ შეხვედრის დროს მათ შორის საუბარი თითქმის არ შემდგარა. როცა კატერინამ შენიშნა, რომ ალიოშა მორცხვობდა, ძალა არ დაუტანებია და მხოლოდ დმიტრის ესაუბრებოდა. ალიოშა კი დუმდა, მაგრამ ყველაფერს კარგად ხედავდა. იგი გააოგნა ქედმაღალი ქალიშვილის მტკიცე ხასიათმა, ამპარტავნობამ და თავდაჯერებულობამ. ეს უეჭველად ასე იყო. ალიოშა გრძნობდა, რომ არაფერს აზვიადებდა. მან მაშინ თავისთვის აღნიშნა, რომ კატერინას ანთებული, მშვენიერი თვალები განსაკუთრებით უხდებოდა მის ფერმკრთალ, მოგრძო სახეს. მაგრამ ამ თვალებში, როგორც მშვენიერი ტუჩების მოხაზულობაში, იყო ისეთი რამ, რაც, შესაძლებელია, ძლიერ შეყვარებოდა მიტიას და რისი სიყვარულიც დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მან თავისი აზრი დმიტრის პირდაპირ უთხრა, როცა ძმამ სთხოვა, არ დაეფარა მისთვის მისი საცოლის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება.
- შენ მასთან ბედნიერი იქნები, მაგრამ ეს ბედნიერება შესაძლოა არც ისე მშვიდი იყოს.
- სწორედაც, ჩემო ძმაო, ასეთები ასეთებადვე რჩებიან, ისინი ბედს არ ურიგდებიან. შენი აზრით, მე იგი დიდხანს არ მეყვარება?
- არა, შესაძლოა, შენ იგი მუდამ გიყვარდეს, მაგრამ ისიც შესაძლოა, ყოველთვის ბედნიერი არ იყო მასთან...
მაშინ, როცა თავისი აზრი გამოთქვა, ალიოშა გაწითლდა, საკუთარ თავზე ბრაზი მოერია, რატომ დავყევი ძმის ნებას და ასეთი სისულელეები ვთქვიო. იმ დროს

წარმოთქმული სიტყვები მას ბრიყვული მოეჩვენა. გარდა ამისა, შერცხვა, ასე დარწმუნებული რომ ლაპარაკობდა ამ ქალზე. ახლა დიდად გააკვირვა მის შესაგებებლად ოთახში ჩქარი ნაბიჯით შემოსული კატერინას ხილვამ. მისი სახე ბრწყინავდა სიკეთით სავსე უბრალოებისაგან და ხალასი და მგზნებარე გულახდილობისაგან. იქნებ მაშინ შევცდიო, გაიფიქრა ალიოშამ. იმ ძველი „სიამაყიდან და ქედმაღლობიდან“, რომელმაც მაშინ ერთობ გააოცა ალიოშა, ახლა მხოლოდ თამამი და კეთილშობილური ენერგიულობა და საკუთარი თავისადმი რაღაცნაირი ნათელი და ძლიერი რწმენა ემჩნეოდა. ალიოშა, ერთი შეხედვით, პირველი სიტყვიდანვე მიხვდა მისი მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს, მიხვდა, რომ ქალმა მისთვის ესოდენ საყვარელი ადამიანის შესახებ ყოველივე იცოდა და მისთვის აღარაფერი იყო დაფარული. მიუხედავად ამისა, ქალი სახეგაბრწყინებული და იმედიანი გამომეტყველებით შეეგება სტუმარს. უცებ ალიოშამ მის მიმართ სერიოზულ დამნაშავედ იგრძნო თავი. იგი ერთდროულად აღმოჩნდა დამარცხებულიც და გადაბირებულიც. კატერინას პირველი სიტყვებიდან ჩანდა, რომ ქალი ძლიერ აღგზნებული იყო, შესაძლოა მისთვის უჩვეულო მდგომარეობაშიც კი იმყოფებოდა, - ეს აღზგნებულობა რაღაცნაირად აღტაცებას უფრო ჰგავდა.

- მე თქვენ იმიტომ გელოდით, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ თქვენგან შეიძლება სიმართლის გაგება, სხვა არავისაგან!

- მოვედი... - ჩაიბურტყუნა დაბნეულმა ალიოშამ, - მე... მან გამომგზავნა...

- აჰა, მან გამოგგზავნათ?! ასეც ვგრძნობდი. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია, ყველაფერი! - შესძახა კატერინამ და თვალები გაუბრწყინდა, - მოითმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, წინასწარ მოგახსენებთ, ასე რატომ გელოდით. იცით, შესაძლოა მე თქვენზე მეტიც ვიცოდე; მე თქვენგან ამბის გაგება კი არ მინდა, მე მინდა ვიცოდე თქვენი პირადი შთაბეჭდილება მასზე, მე მინდა, რომ თქვენ პირდაპირ, შეულამაზებლად, თუნდაც მოურიდებლად (გინდაც ძალზე მოურიდებლად!) მითხრათ: როგორ უყურებთ მას და მის ახლანდელ მდგომარეობას დღევანდელი შეხვედრის შემდეგ? ეს უკეთესი იქნება, ვიდრე ის, რომ მე, ვისი ნახვაც მას აღარ სურს, მივიდე მასთან და ველაპარაკო. გამიგეთ, რა მსურს თქვენგან? ახლა კი მითხარით, რისთვის გამოგაგზავნათ მან ჩემთან (ასეც ვიცოდი, რომ იგი აუცილებლად თქვენ გამოგაგზავნიდათ!) - ილაპარაკეთ უბრალოდ, არაფერი დამიმალოთ!

- მიბრძანა, თქვენთვის გადმომეცა... კარგად ბრძანდებოდეთო, ამიერიდან თქვენთან აღარასოდეს მოვალო... მშვიდობით ბრძანდებოდეთო.

- მშვიდობით ბრძანდებოდეთო? ასე გითხრათ, ასეთი ფორმით?

- დიახ.

- წამოსცდა, ალბათ უნებურად შეეშალა სიტყვა, ის სიტყვა არ თქვა, რაც უნდა ეთქვა?

- არა, მან მთხოვა, ზუსტად ასე მეთქვა: „მშვიდობით ბრძანდებოდეთო.“ სამჯერ გამიმეორა, რომ არ დამვიწყებოდა.

კატერინა გაცხარდა.

- მიშველეთ რაიმე, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ახლა მჭირდება თქვენი დახმარება. მე ჩემს აზრს გეტყვით, თქვენ კი მითხარით, მართალი ვარ თუ არა? მისმინეთ, თუკი მას ეს სიტყვები უნებურად წამოსცდებოდა და დაჟინებით არ მოითხოვდა ჩემთვის ამ სიტყვების გადმოცემას, მაშინ ეს იქნებოდა ყველაფერი... ეს იქნებოდა

დასასრული! მაგრამ თუკი იგი დაჟინებით გთხოვდათ თქვენ, რომ არ დაგვიწყებოდათ არც ერთი სიტყვა და ჩემთვის ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გადმოგეცათ, მაშინ გამოდის, იგი აღგზნებული იყო, ჭკუიდან გადასული, არა?! რაღაც გადაწყვიტა და თავისი გადაწყვეტილების შეეშინდა! მშვიდად კი არ დამშორდა, არამედ პირდაპირ უფრსკრულში გადაეშვა. ამ სიტყვების ასე ხაზგასმა მხოლოდ და მხოლოდ ყოყლოჩინობის დამადასტურებელია...
- დიახ, დიახ! - მხურვალედ დაუდასტურა ალიოშამ, - ახლა მეც ასე მგონია.
- თუკი ასეა, მისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება! ის სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, მე შემიძლია მისი შველა. მოითმინეთ: ფულის შესახებ არაფერი უთქვამს, სამი ათასის თაობაზე?
- არათუ თქვა, ეგ იყო მისი ყველაზე დიდი წუხილი. ის ამბობდა, რომ ამიერიდან ის ნამუსდაკარგულია და მისთვის ახლა ყველაფერი სულერთია, - ცხარედ უპასუხა ალიოშამ, რომელსაც გულმა უგრძნო, რომ ჯერ კიდევ არ გადაწურულა იმედი, რომ, მართლაც, შესაძლოა, არის კიდევ რამე გამოსავალი მიტიას გადასარჩენად.
- ნუთუ თქვენ... ამ ფულის შესახებ იცით? - დასძინა მან და უცებ ენაზე იკბინა.
- დიდიხანია, დაზუსტებით ვიცი. მოსკოვში დეპეშა გავაგზავნე და შევიტყვე. რომ ფული არ მიუღიათ. მას ფული არ გაუგზავნია, მაგრამ მე კრინტი არ დამიძრავს. წინა კვირას შევიტყვე, როგორ სჭირდებოდა მას ფული... მე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: მინდა იცოდეს, ვის დაუბრუნდეს, ვინაა მისი ნამდვილი მეგობარი. უბედურება ისაა, რომ მას არ უნდა დაჯერება, რომ მისი ერთგული მეგობარი ვარ, არ უნდა გამიგოს, მე იგი მხოლოდ, როგორც ქალს, ისე მიყურებს. მთელი კვირაა მაწუხებს ერთი საშინელი ფიქრი: როგორ გავაკეთო ისე, რომ მას არ შერცხვეს ჩემი იმ სამი ათასის გაფლანგვის გამო? ე. ი. რა მინდა ვთქვა - ყველასი რცხვენოდეს, თავისი თავისაც კი, ოღონდ ჩემი არა. ღმერთს ხომ ყველაფერს უყვება და არ რცხვენია. რატომ არ იცის აქამდე, რამდენი რამის ატანა შემიძლია მისი გულისათვის? რატომ, რატომ არ მიცნობს?! როგორ ბედავს, ჩვენს შორის რაც მოხდა, იმის შემდეგ კიდევ რომ არ იცის ჩემი ხასიათი, არ იცის ვინ ვარ? მე ხომ მისი საუკუნო გადარჩენა მინდა. დაივიწყოს, მე რომ მისი საცოლე ვარ! თავისი უსინდისობის გამო რატომ აქვს ჩემი შიში?! ხომ გაგენდოთ თქვენ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, არ მოგერიდათ, რატომ აქამდე მე არ გამხადა ამის ღირსი?
უკანასკნელი სიტყვები აცრემლებულმა წარმოთქვა; კურცხლები ღაწვებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.
- მე თქვენ კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ, - აკანკალებული ხმით წარმოთქვა ალიოშამ, - იმის თაობაზე, თუ რა მოხდა დღეს მიტიასა და მამაჩვენს შორის, - ალიოშამ თავიდან ბოლომდე აღწერა სახლში გათამაშებული სცენა, მოუყვა, როგორ გააგზავნა დმიტრიმ იგი მამასთან ფულის სათხოვნელად, შემდეგ როგორ შემოვარდა შინ და გალახა მამა, როგორ სთხოვა დმიტრიმ განმეორებით, განსაკუთრებული დაჟინებით, კატერინა ივანოვნასთან მისვლა და დანაბარების გადაცემა, - ის იმ ქალთან წავიდა... - წყნარად დაუმატა ალიოშამ.
- თქვენ გგონიათ, მე იმ ქალს ვერ ვიტან? მას ჰგონია, რომ მე ვერ ვიტან? ის იმ ქალს ცოლად ვერ შეირთავს! - უცებ ნერვიული სიცილი აუტყდა კატერინას, - განა კარამაზოვს შესწევს უნარი, ასეთი ვნებით საუკუნოდ იყოს შეპყრობილი?! ეს ვნებაა, ჟინი და არა სიყვარული. დმიტრი მას ვერ შეირთავს ცოლად, უბრალოდ, დმიტრის ის ცოლად არ გაჰყვება... - ისევ უცნაურად გაეცინა კატერინას.

- რატომ, შეიძლება მოიყვანოს კიდეც, - დარდიანად ჩაილაპარაკა ალიოშამ და თვალები დახარა.
- დმიტრი ვერ შეირთავს მას, გეუბნებით! ის ქალი ანგელოზია, იცით თუ არ თქვენ? იცით! - შესძახა უეცრად არაჩვეულებრივი მგზნებარებით კატერინამ, - ესაა ყველაზე ფანტასტიკური არსება ფანტასტიკურ არსებებს შორის! მე ვიცი, როგორი ჯადო აქვს მას, მაგრამ ისიც ვიცი, რაოდენ კარგი, მტკიცე ხასიათის და კეთილშობილი ადამიანია. ასე რატომ მიყურებთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ? გიკვირთ ჩემი სიტყვები, იქნებ არ გჯერათ ჩემი? აგრაფინა ალექსანდროვნა, ჩემო ანგელოზო! - გასძახა მან ვიღაცას მეორე ოთახში. - მობრძანდით აქ, ეს ძვირფასი ადამიანი ალიოშაა, მან ჩვენი ამბები სრულად იცის, ეჩვენეთ მას!
- თქვენს მოლოდინში ვზივარ აქ, ფარდის უკან, გელოდებით, როდის მიხმობთ, - გაისმა ქალის განაზებული, რამდენადმე დაშაქრული ხმა.
გადაიწია პორტიერი და... თავად სახეგაბადრული გრუშენკა გოგმანით მოუახლოვდა მაგიდას. ალიოშას ტანში გააჟრჟოლა. იგი ქალს მიაშტერდა და თვალი ვეღარ მოაშორა. აი ისიც, ის საზიზღარი დიაცი - „მხეცი“, როგორც მას ამ ნახევარი საათის წინ ივანმა უწოდა. თუმცა ამ წუთში ალიოშას წინ იდგა ერთი შეხედვით ყველაზე ჩვეულებრივი და უბრალო არსება, - კეთილი და სანდომიანი ქალი, შეიძლება ითქვას, ლამაზიც, მაგრამ არაფრით განსხვავდებოდა სხვა ჩვეულებრივი ლამაზმანებისაგან! ისე, კაცმა რომ თქვას, მართლა ძალიან, ძალიან კარგი რამ იყო - ნამდვილი რუსული სილამაზე, რომლის გულისთვისაც ბევრს დაუკარგავს ჭკუა-გონება. საკმაოდ მაღალი ქალი იყო (თუმცა ერთობ მაღალ კატერინაზე დაბალი), ნარნარი, განაზებული მიხვრა-მოხვრა ისევე ჰქონდა დაყენებული, როგორც ხმა. კატერინასავით ენერგიული ნაბიჯებით კი არ შემოვიდა, არამედ უხმაუროდ. მისი ფეხის ხმა თითქმის არ ისმოდა. რბილად ჩაესვენა სავარძელში, ოდნავ გაიშრიალა მისმა გაფუშფუშებულმა აბრეშუმის კაბამ, ნაზად მოიგდო ქაფივით თეთრ სქელ კისერზე და ფართო მხრებზე ძვირფასი შალი. 22 წლის იქნებოდა, სახითაც ზუსტად ამდენს მისცემდი. ფართო, თეთრ-ყირმიზა სახეზე ქვედა ყბა ოდნავ წინ წამოსწეოდა, ზედა ბაგე თხელი ჰქონდა, ქვედა კი ორჯერ მეტად სქელი, წინგამოწეული და ოდნავ გაბუშტული. მაგრამ საუცხოო მუქი ქერა თმები, მუქი სიასამურის ფერი წარბები, გრძელ-გრძელი წამწამებით გარშემორტყმული მონაცრისფერო-მოცისფრო თვალები ხალხმრავალ ადგილებში, ყველაზე გულგრილი და დაბნეული კაცის ყურადღებასაც კი მიიპყრობდა და დიდხანს დაამახსოვრებდა თავს. ალიოშა ყველაზე მეტად გააოცა ამ სახის ბავშვურმა და გულუბრყვილო გამომეტყველებამ. ბალღივით იცქირებოდა, ბალღივით რაღაც უხაროდა, მაგიდასთან ისე გახარებული მივიდა, თითქოს ბავშვური მოუთმენლობითა და მიმნდობი ცნობისმოყვარეობით რაღაცას ელოდა. მისი მზერა სულს ახალისებდა - ალიოშამ ეს კარგად იგრძნო. მასში იყო კიდევ რაღაც, რასაც ალიოშამ ახსნა ვერ მოუძებნა, მაგრამ ამას ქვეცნობიერად გრძნობდა. ეს იყო მისი ტანის მოძრაობის სინარნარე, სინაზე და კატასავით უჩუმარი მიხვრა-მოხვრა, თუმცა მძლავრი, დიდი სხეული ჰქონდა. მოსასხამს ქვემოთ ეტყობოდა ფართო მხარ-ბეჭი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ამაღლებული მკერდი. ამ სხეულს ვენერა მილოსელის სხეულის ფორმა ჰქონდა, ცოტა გადამეტებული პროპორციებით - ეს კარგად ჩანდა. გრუშენკას შემხედვარე რუსული სილამაზის მცოდნეებს შეუცდომლად შეეძლოთ, ეწინასწარმეტყველათ, რომ ეს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სილამაზე, 30

წლის ასაკში დაკარგავდა ჰარმონიას, გასივდებოდა, სახე გაუფიჟვინდებოდა, თვალებსა და შუბლთან ნაოჭები გაუჩნდებოდა, სახის ფერი გაუუხეშდებოდა, გაუწითლდებოდა, - ერთი სიტყვით, ეს იყო წუთიერი სილამაზე, სილამაზე სწრაფწამავალი, რომელიც ხშირად გვხდება ხოლმე სწორედ რუს ქალებში. ცხადია, ალიოშა ამის შესახებ არ ფიქრობდა, მაგრამ გრუშენკათი მოხიბლულს, მაინც უსიამო შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაცას ნანობდა და თავს ეკითხებოდა: რატომ ლაპარაკობს ეს ქალი ასე გატყლარჭულად, ნუთუ არ შეუძლია ნორმალური ლაპარაკი? ნუთუ ჰგონია, რომ ეს გატყლარჭული ლაპარაკი, ეს დაშაქრული მარცვლები და ბგერები ლამაზად ჟღერს? რასაკვირველია, ეს იყო უზნეო, ცუდი ტონის ადამიანის ჩვევა, რომელიც ადასტურებდა მის არასათანადო აღზრდას, ბავშვობიდან წესიერების მცნების უხამსად გაგებას. და მაინც ასეთი ლაპარაკი, ასეთი ინტონაცია ეწინააღმდეგებოდა ამ ბავშვურად გულუბრყვილო და გახარებული სახის გამომეტყველებას, უწყინარი და უზრუნველი ჩვილის თვალების ციმციმს! კატერინამ ის ალიოშას პირდაპირ, სავარძელში დასვა და აღტაცებით რამდენიმეჯერ აკოცა მის გაღიმებულ ბაგეებს. იგი ნამდვილად შეყვარებული ჩანდა გრუშენკაზე.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ, ჩვენ პირველად ვხვდებით ერთმანეთს, - თქვა გულაჩუყებულმა კატერინამ, - მე მოვისურვე მისი გაცნობა, მისი ნახვა, მინდოდა მასთან მისვლა, მაგრამ იგი ჩემი პირველი თხოვნასთანავე აქ გაჩნდა. ასეც ვიცოდი, რომ ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებდით ერთად! გული მიგრძნობდა... მემუდარებოდნენ, არ გადამედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ მე წინათგრძნობა მქონდა და არც შევმცდარვარ. გრუშენკამ ყველაფერი ამიხსნა, რას აპირებს; იგი კეთილი ანგელოზია, ჩემთან მოფრინდა და თან სიმშვიდე და სიხარული მოიტანა...

- ნუ ითაკილებთ ჩემთან ყოფნას, ძვირფასო და ღირსეულო ქალიშვილო, - სიმღერასავით გაწელა ფრაზა კვლავ სახეგაბადრულმა გრუშენკამ.

- არ გამაგონოთ ასეთი სიტყვები, მაცდურო ჯადოქარო! ვინ თაკილობს? აი, მე ახლა თქვენს ქვედა ბაგეს ვეამბორები, იგი თქვენ ცოტა შეგსიებიათ კიდეც, რომ კიდევ უფრო გაგისივდეთ, კიდევ და კიდევ... შეხედე, ალექსეი ფიოდოროვიჩ, როგორ იცინის, პირდაპირ გული მიხარის ამ ანგელოზის შემყურეს... - ალიოშა გაწითლდა და ტანში გააჟრჟოლა.

- ნუ მანებივრებთ, ძვირფასო ქალიშვილო, მე შესაძლოა თქვენი ალერსის ღირსი არ ვიყო.

- არ არის! თურმე ეს არ არის ღირსი! - ისევ ისეთივე მგზნებარებით წამოიძახა კატერინამ, - იცით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, როგორი ფანტასტიკური გონება აქვს ამ მზეთუნახავს, როგორი თავნება და ამაყზე უამაყესი გული! როგორი კეთილშობილი და დიდსულოვანი პიროვნებაა, იცით ეს, ალექსეი ფიოდოროვიჩ? მაგრამ ის უბედური არსებაა. მას ერთი უღირსი ოფიცერი უყვარდა, მზად იყო, ნებისმიერი მსხვერპლი გაეღო იმ უღირსი და თავქარიანი კაცისათვის. მას ყველაფერი შესწირა. ეს დიდი ხანია მოხდა, ამ ხუთიოდე წლის წინ. მან ყველაფერი დაივიწყა და ცოლი შეირთო! ახლა ის დაქვრივებულა და იწერება, რომ ჩამოდის, - და იცით თქვენ, რომ ამ მზეთუნახავს დღემდე მხოლოდ ის უყვარს და მთელი ცხოვრება ის უყვარდა! ჩამოვა იგი და გრუშენკა კვლავ ბედნიერი გახდება; ეს ანგელოზი მთელი უკანასკნელი ხუთი წელი უბედური იყო. ვის შეუძლია მისი აუგად მოხსენიება, ვის შეუძლია იტრაბახოს მისი

კეთილგანწყობით! მხოლოდ იმ ცალფეხა სოვდაგარს, - მაგრამ ის ხომ მამა იყო მისი, მეგობარი და დამცველი. მაშინ მან გრუშენკა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და დატანჯული ნახა, შეყვარებულისაგან მიტოვებული... მაშინ გრუშენკას წყალში გადავარდნა უნდოდა, იმ მოხუცმა კი უშველა, გადაარჩინა იგი, გადაარჩინა.
- რაღაც ძალიან მიცავთ, ძვირფასო ქალიშვილო, ძალიან ნუ აჩქარდებით, - კვლავ გაწელა გრუშენკამ.
- გიცავთ? განა მე თქვენი დაცვა შემიძლია, ან გავბედავ კიდეც? გრუშენკა, ანგელოზო, მიბოძეთ თქვენი ხელი, შეხედეთ ამ ფუმფულა, პატარა, მშვენიერ ხელს, ალექსეი ფიოდოროვიჩ; ხედავთ თქვენ მას, მე ამან გამაბედნიერა, მან დამიბრუნა სიცოცხლე, აი, ახლა მე მას დავკოცნი, ჯერ ზემოდან, მერმე ქვემოდან, აი, ასე, ასე, ასე! - და გულაჩუყებულმა აკოცა გრუშენკას მშვენიერ, ძალზე ფუმფულა ხელს. გრუშენკა კი ნერვიული სიცილ-კისკისით თვალს ადევნებდა „ძვირფას ქალიშვილს“, მას ალბათ სიამოვნებდა, მის ხელს ასე რომ ჰკოცნიდა კატერინა. „მე მგონი მეტისმეტად აღფრთოვანებულია“, - გაუელვა თავში ალიოშას და გაწითლდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც უსიამოდ უცემდა გული.
- უხერხულ მდგომარეობაში გინდათ ჩამაყენოთ, ძვირფასო ქალიშვილო, ალექსეი ფიოდოროვიჩის თანდასწრებით ხელი რომ დამიკოცნეთ.
- რას ლაპარაკობთ, ნუთუ მე თქვენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება მინდოდა?! - გაიკვირვა კატერინამ, - არა, ძვირფასო, ასე ცუდად ნუ გამიგებთ!
- დიახ, თქვენც, შესაძლოა, ცუდად გესმით ჩემი, ძვირფასო ქალიშვილო, მე იქნებ გაცილებით ცუდი ვარ, ვიდრე თქვენ გგონიათ. მე გულქვა ვარ, თავნება, საწყალი დმიტრი ფიოდოროვიჩი ერთი დაცინვის გამო მოვაჯადოვე.
- კი მაგრამ, ახლა ხომ გინდათ მისი გადარჩენა. თქვენ ხომ პირობა მომეცით, რომ ყოველივეს ეტყვით, აუხსნით, გააგებინებთ, რომ უკვე დიდიხანია სხვა გიყვართ, რომელსაც ახლა თქვენი ცოლად შერთვა სურს...
- არა, არა, მე ასეთი პირობა არ მომიცია. ასე თქვენ გსურთ, თქვენ ამბობთ, მე არავითარი პირობა არ მომიცია.
- შესაძლოა, სწორედ ვერ გაგიგეთ, - წყნარად წარმოთქვა ოდნავ გაფითრებულმა კატერინამ, - თქვენ დამპირდით...
- არა, ანგელოზო ქალიშვილო, არაფერსაც არ დაგპირებივართ, - წყნარად და თანაბრად, ისევ უწყინარი გამომეტყველებით შეაწყვეტინა გრუშენკამ. - ხომ ხედავთ, ღირსეულო ქალიშვილო, როგორი ცუდი და თავნება ვინმე ვარ... რაც მომესურვება, იმას ვაკეთებ. შესაძლოა წეღან დაგპირდი, ახლა კი გადავიფიქრე - იქნებ კვლავ მომეწონოს იგი. მიტიაზე ვამბობ. ერთხელ ხომ ძალიან მომეწონა, მთელი საათის განმავლობაში მომწონდა. ახლა კი შეიძლება წავიდე მასთან და ვუთხრა, რომ ჩემთან დარჩეს... აი, ასეთი მერყევი ადამიანი ვარ...
- წეღან თქვენ... სულ სხვა რამ თქვით... - ძლივს ამოღერღა კატერინამ.
- აჰ, წეღან! მე ხომ გულნაზი და ბრიყვი ვარ. მარტოოდენ იმის გაფიქრებაც მიჭირს, რა გადაიტანა მან ჩემი გულისათვის! ვაითუ, სახლში რომ მივალ, შემეცოდოს, მაშინ რა ვქნა?
- ამას სულ არ ველოდი...
- ეჰ, ქალიშვილო, როგორი სათნო და კეთილშობილი ხართ ჩემთან შედარებით. ახლა ჩემნაირ სულელს ალბათ გადაიყვარებთ კიდეც ასეთი ცუდი ხასიათის გამო.

მომეცით თქვენი ლამაზი ხელი, ანგელოზო ქალიშვილო, - ნაზად სთხოვა მან და თითქმის გულაჩუყებულმა აიღო კატერინას ხელი. - ახლა, ძვირფასო ქალიშვილო, ავიღებ თქვენს ხელს და ზუსტად ისე ვეამბორები, როგორც თქვენ ეამბორეთ ჩემსას. თქვენ სამჯერ აკოცეთ ჩემს ხელს, მე სამასჯერ დავკოცნი, რომ ბარი-ბარში ვიყოთ. დაე, ახლა ასე იყოს, შემდეგ რა იქნება, ღმერთმა უწყის; შესაძლოა მე თქვენი მონაც გავხდე, თქვენი ნება-სურვილის ამსრულებელი, წინასწარი მოლაპარაკებისა და დაპირებების გარეშე. ხელი კი ლამაზი გაქვთ, ძალიან ლამაზი! ჩემო ლამაზო ქალიშვილო, მზეთუნახავო!

გრუშენკამ ნელ-ნელა მიიტანა კატერინას ხელი ტუჩებთან მხოლოდ ერთი მიზნით: „ბარი-ბარში“ რომ ყოფილიყნენ. კატერინას ხელი არ წაურთმევია: კიდევ ჰქონდა იმედი გრუშენკას უცნაური დაპირებისა, „მონასავით“ ესიამოვნებინა მისთვის; იგი დაძაბული შესცქეროდა თვალებში: ამ თვალებს კვლავ ისეთივე გულუბრყვილო და სანდო გამომეტყველება ჰქონდათ, ისეთივე ნათელ სიხარულს აფრქვევდნენ... „იქნებ ძალზე მიამიტია!“ - გულში კვლავ იმედი ჩაესახა კატერინას. ამასობაში თითქოს „ლამაზი ხელით“ აღტაცებულ გრუშენკას კატერინას ხელის მტევანი ნელ-ნელა მიჰქონდა ტუჩებთან, მაგრამ ზედ პირთან ორი-სამი წამით შეაჩერა და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

- იცით რა, ჩემო ანგელოზო ქალიშვილო, - მიკნავებული და დაშაქრული ხმით წარმოთქვა მან, - ავდგები და თქვენს ხელს არ ვემთხვევი, - ესა თქვა და ჩაიკისკისა.

- როგორც გენებოთ... რა მოგდით? - უცებ შეკრთა კატერინა.

- მინდა დაგამახსოვრდეთ: თქვენ მე ხელები დამიკოცნეთ, მე კი არა, - უცებ მის თვალებში რაღაც აკიაფდა. იგი საშინელი დაჟინებით უყურებდა კატერინას.

- თავხედი! - ანაზდად ჩაილაპარაკა კატერინა ივანოვნამ, უცებ თითქოს რაღაცას მიხვდა, ერთიანად გაშმაგდა და ადგილიდან წამოხტა. გრუშენკაც აუჩქარებლად წამოდგა.

- ახლა წავალ და მიტიას მოვუყვები, როგორ დამიკოცნეთ ხელები, მე კი არა. აუ, რამდენს იცინებს!

- ნაძირალა, გაეთრიე აქედან!

- ოი, როგორ არ გრცხვენიათ, ქალიშვილო?! ვაი სირცხვილო, ასეთი რამ როგორ გეკადრებათ, ასეთი უშვერი სიტყვები, ძვირფასო ქალიშვილო.

- გაეთრიე, სინდისგარეცხილო დედაკაცო! - აკივლდა კატერინა, მას მოქცეულ სახეზე ყველა ნაკვთი აუკანკალდა.

- ეს მე ვარ სინდისგარეცხილი. თქვენ არ იყავით კავალრებთან ფულის სათხოვნელად შებინდებისას რომ დადიოდით საკუთარი სილამაზის ფასად. მე ყველაფერი ვიცი.

კატერინამ ერთი შეჰყვირა და გრუშენკას ყელში ეცემოდა, რომ არა ალიოშა, რომელმაც ძალით გააკავა იგი.

- არ გადადგათ არც ერთი ნაბიჯი! ხმა არ ამოიღოთ! ნურაფერს უპასუხებთ, ის ახლავე წავა, ახლავე!

ამ ყვირილზე ოთახში კატერინას ორივე ნათესავი ქალი შემოვარდა, იქვე გაჩნდა მოახლეც. ყველა მას შემოეხვია.

- წავალ კიდეც, - ჩაილაპარაკა გრუშენკამ და დივნიდან მოსასხამი აიღო, - ალიოშა, ძვირფასო, გამაცილეთ!

- წადით, ჩქარა წადით! - მუდარით სთხოვდა ალიოშა.

- ძვირფასო ალიოშა, გამაცილე! მე შენ, ჩემო ძვირფასო, ერთ ძალიან, ძალიან კარგ რამეს გეტყვი! ყველაფერი ეს შენთვის მოვაწყვე. გამაცილე, გენაცვალე, ხვალ ამაზე ბევრს იცინებ.
ალიოშამ მას ზურგი შეაქცია, თან ნერვიულობისაგან ხელებს იმტვრევდა. გრუშენკა კი სიცილ-კისკისით გაიქცა.
კატერინას ისტერიკა დაემართა. მოთქვამდა, სპაზმი ახრჩობდა. ოთახში ყველა მის გარშემო აფუსფუსდა.
- მე გაფრთხილებდით, - ეუბნებოდა მას უფროსი ნათესავი ქალი, - გთხოვდით, არ გადაგედგათ ეს ნაბიჯი. თქვენ ძალზე მოუთმენელი ხართ. განა შეიძლებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა! ამისთანა აშაღლარა ქალების ამბავი არ იცით. ამაზე კი ამბობენ, ის ყველაზე უარესიაო... არა, თქვენ ძალზე თავნება ბრძანდებით!
- ის ვეფხვია! - იყვირა კატერინამ, - რატომ დამაკავეთ, რატომ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ერთი მაგრად მივბეგვავდი.
კატერინას თავის შეკავება აღარ შეეძლო, მას ალიოშასი არ ერიდებოდა, შეიძლება არც სურდა თავის შეკავება.
- ეგ ეშაფოტზე ასაყვანია, ეგ ჯალათმა ყველას თვალწინ, სახალხოდ უნდა გაამათრახოს.
ალიოშამ კარისაკენ დაიხია.
- ო, ღმერთო ჩემო! - იყვირა უცებ კატერინამ და ხელი ხელს შემოჰკრა. - დმიტრი! როგორ ჩაიდინა მან ასეთი უსინდისობა, ასეთი არაადამიანური საქციელი! როგორ უამბო ამ საზიზღარ დედაკაცს, რაც მოხდა მაშინ, იმ დაწყევლილ, დაწყევლილ დღეს! „საკუთარი სილამაზის გასაყიდად დადიოდიო!“ მან ყველაფერი იცის! თქვენი ძმა ნაძირალაა, ალექსეი ფიოდოროვიჩ!
ალიოშას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა. გული ტკივილისაგან ეკუმშებოდა.
- წადით, ალექსეი ფიოდოროვიჩ! მე მრცხვენია, საშინელ დღეში ვარ! ხვალ... ხვალ მობრძანდით, მუხლმოდრეკილი გევედრებით. ნუ განმსჯით, მაპატიეთ, მე კიდევ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ!
ალიოშა ქუჩაში დარეტიანებული გავიდა. კატერინასავით ტირილი მოუნდა. უცებ მას მოახლე წამოეწია.
- ქალბატონს დაავიწყდა თქვენთვის ქალბატონ ხოხლაკოვას ბარათის გადმოცემა. ის სადილობის შემდეგ ჩვენთან დევს.
ალიოშამ მექანიკურად გამოართვა ვარდისფერი ბარათი და თითქმის უაზროდ ჩაიტენა ჯიბეში.

XI კიდევ ერთი შელახული რეპუტაცია

ქალაქიდან მონასტრამდე ერთი ვერსი იქნებოდა. ალიოშა ჩქარი ნაბიჯით გაუდგა უკაცრიელ გზას. ისე დაღამდა, რომ ოცდაათ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ამ გზის შუაწელზე ერთი გზაჯვარედინი იყო. გზაჯვარედინთან მდგარ განმარტოებულ წნორთან ალიოშამ ვიღაცის ფიგურა შენიშნა. როგორც კი გზაჯვარედინს მიუახლოვდა, ფიგურა ადგილს მოსწყდა, ეცა ალიოშას და არაადამიანური ხმით შეჰყვირა:

- ფული ან სიცოცხლე!
- მიტია, შენა ხარ! - გაუკვირდა შეშინებულ ალიოშას.
- ხა-ხა-ხა! არ მელოდი ხომ? ჩემთვის ვფიქრობდი, სად დავუცადო-მეთქი? იქიდან
სამი გზა მოდის, შეიძლებოდა სადმე ამცდენოდი. ბოლოს გადავწყვიტე, აქ
დაგლოდებოდი, რადგან აქ აუცილებლად გამოივლიდი, სხვა გზა მონასტრისაკენ
არ მიდის. აბა, გადმოყაჭე სიმართლე, ტარაკანასავით გამჭყლიტე... რა მოგივიდა?
- არაფერი, ძმაო... ეს შიშის გამოა. ეხ, დმიტრი! ამ რამდენიმე საათის წინ მამის
სისხლი... - ალიოშა ატირდა, მას დიდი ხანია, უნდოდა ტირილი, სწორედ ახლა კი
რაღაც ჩასწყდა სულში. - კინაღამ მოკალი ის... დაწყევლე... ახლა კი ხუმრობ...
„ფული ან სიცოცხლეო!“
- რა მოხდა? ურიგოდ ვიქცევი? ვითარებას არ უხდება?
- არა... მე ისე...
- მოიცა. დახე, რა ღამეა: როგორი წყვდიადი, ღრუბლები, ქარიც ამოვარდა! ამ
წნორის ქვეშ დავიმალე, შენ გიცდიდი და ერთი აზრი მომივიდა (ღმერთმანი!):
რაღას ვაჭიანურებ, რას ვუცდი? აგერ წნორი, აგერ ყელსახვევი, აგერ პერანგი,
ახლავე დავგრეხ თოკს, აჭიმებსაც დავუმატებ და აღარ შევაწუხებ ამ დედამიწას
ჩემი ბიწიერი არსებობით-მეთქი! ამ დროს ფეხის ხმა მომესმა, ვხედავ შენ
მოდიხარ, - ღმერთო ჩემო, უცებ გამიელვა თავში: ხომ არსებობს ამ ქვეყნად კაცი,
რომელიც მიყვარს, აი ეს კაცი, ჩემი პატარა, ძვირფასი ძამიკო, კაცი, რომელიც
ქვეყანას მირჩევნია, ერთადერთი ვინმე, ვინც მიყვარს! მე შენ მიყვარხარ, იმ
წუთში კი, ისე ძლიერ მიყვარდი, რომ გადავწყვიტე, მივვარდები და გადავეხვევი-
მეთქი! შემდეგ ერთი ბრიყვული აზრი გამიჩნდა: „მოდი შევაშინებ და
გავამხიარულებ-მეთქი“ და სულელივით ვიღრიალე: „ფული!“ მაპატიე ეს
მაიმუნობა - გულში კი... საშინელება ტრიალებს... ეშმაკმა დალახვროს
ყველაფერი ეს! მითხარი, იქ რა ხდება? რა თქვა კატერინამ? გამჭყლიტე, გამსრისე,
არ დამინდო! გაცოფდა კატერინა?
- არა, სულაც არა... იქ სხვა ამბები დატრიალდა, მიტია, იქ... იქ მე ორივე ვნახე.
- ვინ ორივე.
- გრუშენკა და კატერინა.
დმიტრი გაშეშდა.
- დაუშვებელია! - იყვირა მან, - ბოდავ! გრუშენკა მასთან?
ალიოშა დაწვრილებით მოუყვა, რაც გადახდა იმ წუთიდან, რა წუთსაც
კატერინასთან მივიდა. ათი წუთს მაინც ყვებოდა, არც ისე დალაგებულად, მაგრამ
ნათლად გადასცა იქ თქმული ყველა საჭირო სიტყვა, ქალების საქციელი და შიგა
და შიგ საკუთარ განცდებსაც აღწერდა. მიტია ჩუმად უსმენდა, გახევებული
მიშტერებოდა. ალიოშა დარწმუნდა, რომ მიტიამ ყველაფერი გაიგო, ყოველივე
გაიაზრა. მაგრამ მას სახე ალიოშას თხრობის დროს პირქუში გაუხდა, თითქმის
მრისხანე, წარბები შეკრა, ტუჩები მოკუმა, მისი გაშტერებული მზერა უფრო
უძრავი, შეუპოვარი და საშინელი გაუხდა... უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ
ახლა უცნაური სისწრაფით შეეცვალა სახე, აქამდე მრისხანე და გაშმაგებული,
მოკუმული ტუჩები გაეხსნა და დმიტრიმ გადაიხარხარა თავშეუკავებლად და
გულიანად. იგი ისე ჩაბჟირდა, რომ კარგა ხანს ხმის ამოღება ვერ შეძლო.
- მაინც არ აკოცა ხელზე, ხომ? მაინც არ აკოცა და ისე გაიქცა! - გაჰყვიროდა იგი
ავადმყოფური აღტაცებით - შეიძლება ითქვას თავხედური აღტაცებითაც კი, ეს
აღტაცება რომ არ ყოფილიყო ასე ბუნებრივი. - ის კი გაჰკიოდა, ვეფხვიაო, არა! ის,

მართლაც, ვეფხვია! ეშაფოტზე გასაგზავნიაო? ჭეშმარიტად, საჭიროა, საჭიროა, მეც მაგ აზრისა ვარ, დიდი ხანია ეშაფოტზე გასაგზავნია! იცი რა, ჩემო ძმაო, დაე იყოს ეშაფოტი, მაგრამ მანამ უნდა განიკურნოს. მე კარგად მესმის თავხედობის დედოფლის, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს მას, მან მთელი თავისი არსი მაშინ გამოამჟღავნა, როცა ხელზე არ აკოცა. ნამდვილი ალქაჯია! ალქაჯების დედოფალი! ერთგვარი საოცრება! სახლში გაიქცა, არა? მე ახლავე... ჰო... მასთან გავრბივარ! ალიოშკა, ნუ დამადანაშაულებ, მე ხომ თანახმა ვარ, ჩამოხრჩობა ცოტაა მისთვის...
- მერე კატერინა! - სევდიანად შეახსენა ალიოშამ.
- მე მას მოხარშულს ვიცნობ, კარგად ვიცი, ვინცა ბრძანდება! ესაა სამყაროს ოთხივე მხარის აღმოჩენა, უფრო სწორედ - მეხუთის! არ გინდა გადადგა ასეთი ნაბიჯი?! სწორედ ასეთია კატენკა, ინსტიტუტის აღზრდილი, რომელიც ადრე არ შეუშინდა ახირებულ უხეშ ოფიცერს დიდსულოვანი იდეის გამო, გადაერჩინა მამა სირცხვილისაგან, საღამოს მასთან მივიდა და სასწორზე დადო თავისი რეპუტაცია. ამაშია მისი სიამაყე, რისკის მოთხოვნილება, ბედის გამოწვევა, განუსაზღვრელობასთან თამაში! შენ თქვი, მას მოხუცი ნათესავი ქალი აჩერებდაო? იცი, თუ არა შენ, რომ ეს ნათესავი ქალი ღვიძლი დაა იმ მოსკოველი გენერლის ქვრივისა და თავად არის თავნება, იგი კატერინაზე მეტად კუდაბზიკაა, მაგრამ როცა მისი ქმარი ხაზინის ქურდობაში ამხილეს და ყველაფერი დაკარგა: მამული, ქონება და ა.შ. მან ტონს დაუწია და მის შემდეგ აღარ აუწევია. შენ ამბობ, თურმე იგი აჩერებდა კატიას, მან კი არ დაუჯერა ხომ, „მე ყველაფერი შემიძლია, თუ მოვინდომე გრუშენკასაც კი მოვაჯადოვებო“, არა? - თავში დარწმუნებული იყო, საკუთარ თავს ეკეკლუცებოდა, არა?! მაშ ვინაა დამნაშავე? შენ გგონია, მან განგებ აკოცა გრუშენკას ხელზე? არა, მან ნამდვილად აკოცა, მას მართლა შეუყვარდა გრუშენკა, უფრო სწორად, გრუშენკა კი არა, თავისი ოცნება, თავისი ბოდვა, იმიტომ რომ ეს მისი ოცნება, მისი ბოდვა იყო! ძვირფასო ალიოშა, შენ როგორღა მოახერხე და თავი დააღწიე იმ ქალებს? გამოიქეცი, აიკრიფე კაბის კალთები და მოუსვი? ხა-ხა-ხა!
- ჩემო ძმაო, შენ მგონი ყურადღება არ მიაქციე იმ ფაქტს, თუ როგორ აწყენინე კატიას იმით, რომ გრუშენკას მოუყევი იმ დღის შესახებ. გრუშენკამ პირში მიახალა მას: „თქვენ არ იყავით, საკუთარი სილამაზის ფასად შებინდებისას კავალრებთან ფულის სათხოვნელად რომ დადიოდითო!“ მიტია, განა ამაზე მეტი წყენინება შეიძლება? - ალიოშას ყველაზე მეტად ის აზრი აწუხებდა, რომ მის ძმას კატერინა ივანოვნას დამცირება ახარებდა, თუმცა შეუძლებელია, ეს ასე ყოფილიყო.
- ვახ! - უცებ საშინლად მოიღუშა დმიტრი და გამეტებით მიირტყა შუბლზე ხელი. მან ახლა მიაქცია ყურადღება ალიოშას მონაყოლიდან კატერინას შეძახილს: „თქვენი ძმა უსინდისოა!“ - დიახ, მგონი, მე მოვუყევი გრუშენკას იმ „საბედისწერო დღეზე“, როგორც მას კატია უწოდებს. დიახ, ეს ასე იყო, გამახსენდა. ეს მოხდა მაშინ, მოკროეში, მთვრალი ვიყავი, ბოშა ქალები მღეროდნენ... მე ხომ მაშინ ვღრიალებდი, მოვთქვამდი, მუხლებზე დამხობილი მოვთქვამდი, კატიას ხატებაზე ვლოცულობდი, იმ დროს გრუშენკას ჩემი ყველაფერი ესმოდა, გრუშენკამ გამიგო. ის კი არა, მახსენდება, მაშინ გრუშენკა ჩემთან ერთად ტიროდა... ეშმაკმა დალახვროს! შეიძლება ასე? მაშინ ტიროდა, ახლა კი პირში მიახალა, „პირდაპირ გულში ჩასცა ხანჯალი“!

მან თავი დახარა და ჩაფიქრდა.
- კი, კი, უსინდისო ვარ! ნამდვილი გარეწარი, - დამწუხრებული ხმით წარმოთქვა მან, - არა აქვს მნიშვნელობა, მაშინ ვტიროდი თუ არა, სულერთია, მე უსინდისო ვარ! გადაეცი მას, რომ ვღებულობ ამ სახელდებას, თუკი ეს მას დაამშვიდებს. გვეყოფა, საკმარისია, მშვიდობით, რაღა გავაგრძელო! სამხიარულო არაფერია. შენ შენს გზას გაუდექ, მე ჩემსას ვეწევი. ამიერიდან აღარც შენთან შეხვედრა მინდა რომელიღაც უკანასკნელ წუთამდე. მშვიდობით, ალიოშა! - მან მაგრად მოუჭირა ალიოშას ხელზე ხელი, კვლავ მოსწყდა ადგილს და თავჩაქინდრული ჩქარი ნაბიჯით გაემართა ქალაქისაკენ. ალიოშამ თვალი გაადევნა და არ სჯეროდა, რომ მიტია ასე უცებ გაეცალა მას.
- მოიცა, ალიოშა, კიდევ ერთ რამეში მინდა გამოგიტყდე, მხოლოდ შენ! - უცებ მობრუნდა დმიტრი. - კარგად შემომხედე, ყურადღებით დამაკვირდი: აი, აქ, აი აქ, - საშინელი უნამუსობა მზადდება (როცა დმიტრი ამბობდა „აი აქო“, იგი მკერდზე იბრაგუნებდა მუშტს ისეთი სახით, თითქოს უნამუსობა მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული, ან ჯიბეში ედო, ან სადღაც ჰქონდა ჩაკერებული). შენ უკვე მიცნობ: უნამუსო ვარ, აღიარებული უნამუსო! მაგრამ იცოდე, რაც ადრე გამიკეთებია, არაფერი შეედრება იმ უნამუსობას, რომელსაც ახლა, ამ წუთში, ამ გულით დავატარებ, აი აქ, აქ. იგი უკვე მოქმედებს და ყალიბდება, მინდა შევაჩერებ, მინდა ავამოქმედებ მას, ეს კარგად დაიმახსოვრე! ისიც იცოდე, მე მას აღვასრულებ, უკან არ დავიხევ. ამასწინათ, როცა ყველაფერი გიამბე, ამის შესახებ არაფერი მითქვამს, იმიტომ რომ ვერ გავბედე! კიდევ შემიძლია შევჩერდე, თუ შევჩერდები, ხვალვე შევძლებ დაკარგული ნახევრის დაბრუნებას მაინც, მაგრამ არ შევჩერდები. შევასრულებ ჩემს უნამუსო ჩანაფიქრს და შენ ხარ იმის მოწმე, რომ ამას წინასწარ შეგნებულად ვამბობ! ჯანდაბა და დოზანა! ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, თავის დროზე ყველაფერს გაიგებ. აქოთებული შუკა და ალქაჯი! მშვიდობით, ნუ ილოცებ ჩემთვის, ღირსი არა ვარ, არცაა საჭირო... არც მე მჭირდება! გამშორდი!
სიტყვა დაამთავრა, მიბრუნდა და წავიდა, ამჟამად კი საბოლოოდ. ალიოშა მონასტრისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. „რაო, ეს რა თქვა, რატომ აღარ უნდა ვნახო, რას ლაპარაკობდა? - ამის წარმოდგენაც არ უნდოდა ალიოშას, - ხვალვე ვნახავ, აუცილებლად ვნახავ, მოვძებნი, საგანგებოდ მოვძებნი, ეს რას ბჟუტურებდა!“
მან მონასტერს გარშემო შემოუარა და სავანეში ფიჭვნარით გავიდა. ალიოშას კარი გაუღეს, თუმცა ამ დროს არავის უშვებენ ხოლმე. გული უფრთხიალებდა, როცა ბერის სენაკში შედიოდა: „რატომ, რატომ წავედი, რატომ გამგზავნა მან „სოფლად“? აქ სიმშვიდეა, აქ სიწმინდეა, იქ კი არეულ-დარეულობა და წყვდიადი, სადაც თავგზა გებნევა და იკარგები...“
სენაკში მორჩილი პორფირი და მღვდელ-მონაზონი მამა პაისი დახვდნენ. ალიოშას ძალიან შეეშინდა, როცა გაიგო, რომ მამა ზოსიმი სულ უფრო ცუდად და ცუდად ხდებოდა. მამა პაისი მთელი დღე, საათში ერთხელ შედიოდა სენაკში ავადმყოფის ჯანმრთელობის გასაგებად. საღამოობით ჩვეულებრივი საუბრები ბერ-მონაზვნებთან ალბათ უკვე აღარ შედგებოდა. ყოველ საღამოს, წირვის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ძილის წინ ბერის სენაკში თავს იყრიდა ხოლმე მონასტრის ძმობა და თითოეული ცალ-ცალკე მის წინაშე ინანიებდა იმ დღეს ჩადენილ ცოდვებს, ცოდვიან ოცნებებსა თუ ფიქრებს, ცდუნებებსა თუ

ურთიერთკინკლაობასაც კი, თუკი ასეთი რამ მოხდებოდა ხოლმე. ზოგიერთები მუხლებზე დამხობილნი ინანიებდნენ ცოდვებს. ბერი შეიწყალებდა მათ, მიუტევებდა ცოდვებს, მოჩხუბრებს შეარიგებდა, ჭკუას დაარიგებდა, დაუნიშნავდა ცოდვის მოსანანიებელს, დალოცავდა და უშვებდა. სწორედ ამ საძმო „აღსარებების“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ ბერობის მოწინააღმდეგეები. ისინი ამბობდნენ, რომ ეს აღსარების, როგორც საიდუმლოს პროფანაციაა, თითქმის მკრეხელობა (არადა ეს სულ სხვა რამ იყო). ეპარქიის მესვეურებსაც კი უმტკიცებდნენ ისინი, რომ ასეთ აღსარებებს არათუ რაიმე სიკეთე მოაქვს, პირიქით, აცდუნებს და ცოდვაში აგდებს ბერ-მონაზვნებსო. მონასტრის ძმებს შორის ბევრს ემძიმებოდა ბერის სენაკში სიარული, მაგრამ ძალაუნებურად მოდიოდა, რადგან ყველა სავალდებულოდ თვლიდა იქ მისვლას. ეშინოდათ - ვაითუ, ამაყ და მეამბოხე მოაზროვნეებად ჩაგვთვალონო. იმასაც ამბობდნენ, რომ ზოგიერთი ძმა, როცა მწუხრის აღსარებებზე მოდიოდა, ერთმანეთში მოილაპარაკებდა ხოლმე: „დღეს მე ვიტყვი, შენზე რომ გავბრაზდი, შენ კი დამემოწმეო“, - ასე იმიტომ აკეთებდნენ, რაღაც სათქმელი რომ ჰქონოდათ. ალიოშამ იცოდა, ასეთი რაღაცები რომ ხდებოდა ხანდახან, ისიც იცოდა, რომ ძმებს შორის ბევრს არ მოსწონდა სავანეში დადგენილი წესი: სავანის მკვიდრთათვის განკუთვნილი წერილები პირველად ბერთან რომ მიჰქონდათ წასაკითხად. ცხადია, ყოველივე ეს ნებით უნდა მომხდარიყო, გულწრფელად, მთელი გულითა და სულით, ნებაყოფილობითი მორჩილების გამოვლენით და სულის სახსნელი რჩევა-დარიგებების მისაღებად, თუმცა სინამდვილეში ამას ბევრჯერ ძალზე არაგულწრფელი, ხელოვნური და ყალბი ხასიათი ჰქონდა. სავანის ხანშიშესული და გამოცდილი ძმების აზრით: „ვინც გულწრფელად, სულის სახსნელად შემოვიდა ამ კედლებში, რათა გადაირჩინოს სული, მას ეს მორჩილება და ღვაწლი აუცილებლად იხსნის და დიდ სიკეთეს მოუტანს; პირიქით, ვისაც უჭირს აქ ყოფნა, წუწუნებს, ის მონაზვნად არ გამოდგება, ტყუილუბრალოდაა მონასტერში მოსული, მისი ადგილი სოფლადაა, ხალხში. ცოდვასა და ეშმაკს კაცი არათუ სოფლად, არამედ ტაძარშიც ვერ დააღწევს თავს, ამიტომაც არაა საჭირო, ცოდვას ცოდვა დავუმატოთ“.

- დასუსტებულია, ძილადაა მივარდნილი, - ჩურჩულით შეატყობინა მამა პაისიმ ალიოშას და ჯვარი გადასწერა. - გაღვიძება გვიჭირს. არცაა საჭირო. ხუთი წუთით გაიღვიძა და მთხოვა, მისი ლოცვა-კურთხევა გადამეცა ძმობისათვის, იმათ კი თავიანთ ღამის ლოცვებში მოეხსენებინათ მისი სახელი. ხვალ კიდევ ერთხელ უნდა ზიარების მიღება. შენც გაგიხსენა, ალექსეი, იკითხა, წავიდა თუ არაო. ვუთხარი, ქალაქშია წასული-მეთქი. „მე დავულოცე იქითკენ გზა; ახლა იქაა მისი ადგილი და არა აქ,“ - ასე თქვა შენზე. სიყვარულით გიგონებდა, წუხდა შენზე, წარმოგიდგენია, რას ეღირსე? მაგრამ ის ვერ გავიგე, ჯერჯერობით სოფლად რატომ გაგამწესა? ალბათ რაიმე წინაგრძნობა აქვს შენს ბედთან დაკავშირებით! კარგად იცოდე, ალექსეი, თუკი სოფლად დაბრუნდები, იმ ვალდებულებით უნდა დაბრუნდე, რაც დაგაკისრა მამა ზოსიმამ და არა სოფლის ამაოებათა და ფუჭი დროსტარების გამო...

მამა პაისი გავიდა. ბერის სიკვდილი რომ გარდაუვალი იყო, ამაში ალიოშას ეჭვი არ ეპარებოდა, თუმცა შეიძლება ერთი-ორი დღე კიდევ ეცოცხლა. ალიოშამ მტკიცედ გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ მამას, ხოხლაკოვას, თავის ძმას და კატერინას დაჰპირდა ნახვას, იგი ხვალ მონასტრიდან ფეხს არ მოიცვლიდა და

ბერთან დარჩებოდა მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. გული სიყვარულით აევსო და მწარედ ინანა, რომ ქალაქში ყოფნისას სულ გადაავიწყდა მონასტერში სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვული, მისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი ადამიანი. ალიოშა ბერის საძილე ოთახში შევიდა, მუხლებზე დაიჩოქა, მიწაზე დაემხო და თაყვანი სცა მწოლიარეს. ბერს წყნარად, გაუნძრევლად ეძინა, თანაბრად და თითქმის შეუმჩნევლად სუნთქავდა, სახეზე სრული სიმშვიდე მოჰფენოდა. ალიოშა მეორე ოთახში გავიდა. ეს ის ოთახი იყო, სადაც ბერმა დილით სტუმრები მიიღო. მან ჩექმები გაიხადა და თითქმის გაუხდელი მიწვა ტყავის მაგარ და ვიწრო დივანზე. უკანასკნელ ხანებში ყოველღამე იქ ეძინა, თან მხოლოდ ბალიში მოჰქონდა ხოლმე, ლეიბს კი, დიდი ხანია, აღარ იგებდა. მხოლოდ მორჩილის კაბას იხდიდა და ზემოდან საბანივით იფარებდა. ძილის წინ მუხლებზე დაემხო და დიდხანს ილოცა. თავის მხურვალე ლოცვებში იგი ღმერთს თავისი დაბნეულობის მიზეზის ახსნას კი არ სთხოვდა, არამედ ევედრებოდა, მიენიჭებინა მისთვის ის ადრინდელი გულისამაჩუყებელი სიხარული, რომელიც მოეფინებოდა ხოლმე მის სულს, როცა იგი ღმერთის სადიდებელ ლოცვებს აღავლენდა. მისი ძილისპირული ძირითადად ღმერთის სადიდებელი იყო. ამ საამო განცდის შემდეგ წყნარი და მშვიდი ძილი დაეუფლებოდა ხოლმე. ახლა, როცა ლოცულობდა, ჯიბე შემთხვევით მოისინჯა და იქ აღმოაჩინა ის პატარა, ვარდისფერი კონვერტი, რომელიც კატერინას მოახლემ გადმოსცა. იგი შეცბა, მხოლოდ ლოცვის დამთავრების შემდეგ, მცირეოდენი ყოყმანით კონვერტი გახსნა. მასში Lise-ს წერილი იდო. ეს ის Lise იყო, ამ დილით ბერთან ყოფნის დროს რომ დასცინოდა.

ის სწერდა: „ალექსეი ფიოდოროვიჩ, ამ წერილს საიდუმლოდ გწერთ, დედამ მის შესახებ არაფერი იცის. კარგად მესმის, ცუდად ვიქცევი, მაგრამ არ შემიძლია მეტის მოთმენა, ვიდრე ყველაფერს არ გეტყვით, რაც გულში დამიგროვდა. რასაც ახლა მოგწერთ, ჩვენ შორის უნდა დარჩეს, სხვამ არავინ არ უნდა იცოდეს გარკვეულ დრომდე. მაგრამ როგორ გითხრათ, რაც ასე გულით მინდა გაგიმხილოთ? ამბობენ, ქაღალდი არ წითლდებაო, მე კი გარწმუნებთ, წითლდება. იგი ახლა ისევე წითელია, როგორც მე. ძვირფასო ალიოშა, მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ ჯერ კიდევ ბავშვობიდან, მოსკოვიდან, როცა თქვენ სულ სხვანაირი იყავით. მიყვარხართ სიკვდილამდე. თქვენ ჩემმა გულმა ამოგირჩიათ, მინდა შევუერთდე თქვენს სულს და ერთად დავლიოთ ჩვენი ცხოვრების დღენი. რასაკვირველია, ერთი პირობით, თუ თქვენ დატოვებთ მონასტერს. რაც შეეხება ასაკს, იმდენ წელს მოვიცდი, რამდენსაც კანონი მოითხოვს. იმ დროისათვის აუცილებლად გამოვჯანმრთელდები, კიდეც გავივლი და კიდეც ვიცეკვებ. ამას ლაპარაკი არ უნდა.

ხედავთ, როგორ ყველაფერი მოვიფიქრე, მხოლოდ ერთი რამ არ შემიძლია გავიაზრო: რას იფიქრებთ თქვენ ჩემზე, როცა ამ წერილს წაიკითხავთ? მე სულ ვიცინი, ვეშმაკობ, ამასწინათ გაგაბრაზეთ კიდეც, მაგრამ გარწმუნებთ, სანამ კალამს ავიღებდი ხელში, ღვთისმშობლის ხატის წინ ვილოცე, ახლაც ვლოცულობ და თითქმის ვტირი.

ჩემი საიდუმლო თქვენს ხელთაა; ხვალ, როცა ჩემთან მოხვალთ, არც კი ვიცი, როგორ შეგხვდეთ, როგორ გაგისწოროთ თვალი. რა მოხდება, ხვალაც თუ ვერ შევიკავე თავი და კვლავ სულელივით ავტეხე სიცილი თქვენი დანახვისთანავე? თქვენ ამას დაცინვად მიიღებთ და აღარ დაუჯერებთ ჩემს წერილს. ამიტომ

გთხოვთ, ძვირფასო, თუკი ოდნავ თანამიგრძნობთ, ხვალ, როცა შემოხვალთ, ნუ შემხედავთ პირდაპირ თვალებში, იმიტომ რომ, თუ მეც შემოგხედეთ, აუცილებლად ამიტყდება სიცილი, მით უმეტეს, თუ თქვენ გრძელ კაბაში გამოწყობილი იქნებით... ახლა სულ მაციებს, ამას რომ ვამბობ, ამიტომ როცა შემოხვალთ, ჩემკენ ნუ გამოიხედავთ, უყურეთ დედიკოს ან ფანჯარას...
როგორც იქნა, წერილი ჩავათავე. სამიჯნურო წერილი, ღმერთო ჩემო, ეს რა გავაკეთე! ალიოშა, ნუ შემიძულებთ, თუკი რაიმე ცუდი ჩავიდინე და გული გატკინეთ. მაპატიეთ. ახლა ჩემი შელახული რეპუტაციის საიდუმლო თქვენს ხელთაა.
დღეს აუცილებლად ვიტირებ. ნახვამდის. საშინელ ხვალამდე.
Lise
P.S. ალიოშა, ოღონდ თქვენ აუცილებლად, აუცილებლად, აუცილებლად მოდით!
Lise.“
ალიოშა წერილს გაკვირვებული კითხულობდა, ორჯერ გადაიკითხა, ჩაფიქრდა და უცებ თავისთვის სიამოვნებისაგან ჩაეცინა. მერმე უცებ შეკრთა, ეს სიცილი ცოდვად მოეჩვენა. მაგრამ წამიც არ გასულა და ისევ გაეცინა, ისევ ისე წყნარად და ბედნიერად. წერილი კონვერტში ჩადო, პირჯვარი გადაიწერა და დაწვა. აფორიაქებული სული დაუწყნარდა. „ღმერთო, შეუნდე ყველას, დაიფარე ისინი, უბედურები და მშფოთვარენი, დააყენე ისინი გზაზე. შენ იცი მათი გზები, უშველე მათ ამ გზებზე. შენ ხომ თავად სიყვარული ხარ, ყველასათვის სიხარულის მომნიჭებელო!“ - ჩურჩულებდა ის თავისთვის, პირჯვარს იწერდა და თან თვალები ელულებოდა. მალე უშფოთველად მიეძინა.

კარი მეორე

წიგნი მეოთხე. ტანჯვა-ვაებანი

I მამა ფერაპონტი

დილაადრიან, უთენია გაეღვიძა ალიოშას. ბერსაც გაღვიძებოდა და ძალზე სუსტად გრძნობდა თავს. მან სავარძელში ჩასმა მოითხოვა. საღ გონებაზე იყო, სახე მისავათებული ჰქონდა, მაგრამ ნათელს, სიხარულს და სითბოს მაინც ასხივებდა. „შეიძლება დღეს მოვკვდე“, - უთხრა მან ალიოშას; შემდეგ დაუყოვნებლივ აღსარების თქმა და ზიარების მიღება ისურვა. მისი სულიერი მამა ყოველთვის მამა პაისი გახლდათ. ორივე საიდუმლოს შესრულების შემდეგ ზეთით კურთხევა დაიწყო. შეიკრიბნენ მღვდელ-მონაზვნები. სენაკი თანდათანობით მონასტრიდან მოსულებითაც შეივსო. როცა წირვა დამთავრდა, ბერმა ყველასთან გამოთხოვება მოისურვა, ყველა ცალ-ცალკე გადაკოცნა. სენაკში სიმჭიდროვის გამო ხალხი გამოთხოვების შემდეგ გარეთ გადიოდა. მათ მაგივრად სხვები შემოდიოდნენ. ალიოშა ბერის გვერდით იდგა, რომელიც თავის სავარძელში იჯდა და რამდენადაც შეეძლო, ლაპარაკობდა და მოძღვრავდა იქ დამსწრეთ, ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად. „მრავალი წელია გასწავლით, მრავალი წელია გიქადაგებთ, ეს ქადაგება უკვე ისეთ ჩვევად მექცა, რომ ჩემთვის დუმილი უფრო ძნელია, ვიდრე ლაპარაკი, ჩემო ძმებო და მამებო, აი ახლაც, ასეთი დასუსტებულისთვისაც კი,“ - იხუმრა მან და გულაჩუყებულმა გადახედა მის წინ თავმოყრილ მრევლს. ალიოშას მოგვიანებით გაახსენდა ზოგიერთი რამ მისი ნაქადაგარიდან. მართალია, გასაგებად, ერთობ მტკიცე ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც მისი სიტყვა საკმაოდ უთავბოლო გამოვიდა. ბევრ საკითხს შეეხო, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ყველაფრის თქმა უნდოდა სიკვდილის წინა წუთებში, იმისიც კი, რაც უთქმელი დარჩენოდა თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამას მარტო ჭკუის დასარიგებლად კი არ ამბობდა, არამედ გამძაფრებული სურვილი ჰქონდა, გაეზიარებინა თავისი სიხარული და აღტაცება ყველასათვის, ერთხელ კიდევ თავის ცხოვრებაში სული გადაეშალა...

„გიყვარდეთ ერთმანეთი, მამებო, - მოძღვრავდა ბერი მათ (რამდენადაც დაამახსოვრდა ალიოშას), - გიყვარდეთ ღვთის შვილები. განა ჩვენ მათზე წმინდანები ვართ, თუკი ამ კედლებში ვართ გამოკეტილები. პირიქით, ყოველმა აქ მოსულმა თავისი აქ მოსვლით, შეიცნო თავი თვისი, რომ იგი ყველაზე უარესია სოფლის მკვიდრთა შორის... რაც უფრო დიდხანს იქნება ბერმონაზონი ამ კედლებში გამოკეტილი, მით უფრო მტკივნეულად უნდა შეიგრძნოს ეს. რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყუილად გარჯილა აქ მოსვლით. როცა იგი შეიგრძნობს იმას, რომ არათუ ყველაზე უარესია, არამედ ყველას წინაშე დამნაშავეა, ყოველივე ადამიანურ, სააქაო თუ პირადულ ცოდვათა გამო, მაშინ მიღწეული იქნება მიზანი ჩვენი ერთიანობისა. იცოდეთ, ჩემო კარგებო,

თითოეული ჩვენგანი უცილობლად დამნაშავეა ყველაფრის გამო, რაც ამ დედამიწაზე ხდება, თითოეული დამნაშავე ვართ არა მარტო ზოგადად მსოფლიო დანაშაულის გამო, არამედ ამ ქვეყნის ცალკეული პირის ცოდვათა გამო. ამის გაგება არის უმაღლესი მწვერვალი მონაზვნის ცხოვრებაში, თუმცა არა მარტო მონაზვნისათვის, არამედ ყველასათვის ამ წუთისოფელში. რამეთუ მონაზვნები, ჩვენი არსით, განსაკუთრებული ადამიანები კი არა ვართ, არამედ ისეთები, როგორიც უნდა იყოს ყოველი ადამიანი ამ დედამიწაზე. მხოლოდ მაშინ აღივსება უსაზღვრო, უკიდეგანო სიყვარულით ჩვენი გული, რომელიც მარად გაუმაძღარია. მაშინ თითოეული ჩვენგანი შეძლებს, სიყვარულით მთელ სამყაროს დაეუფლოს და თავისი ცრემლებით ჩარეცხოს ამა სოფლის ცოდვები... თითოეულმა თქვენგანმა ჩაიხედოს თავის გულში, თითოეულმა თქვენგანმა გამუდმებით მოინანიეთ საკუთარი ცოდვანი. ნუ შეგაშინებთ ცოდვა, თუკი მას შეიგრძნობთ, ოღონდ მოინანიეთ იგი და ღმერთს პირობებს ნუ წაუყენებთ. ისევ და ისევ გიმეორებთ - ნუ მიეცემით ამპარტავნებას. იყავით თავმდაბალი როგორც მდაბიოთა ისე დიდებულთა წინაშე. ნუ შეიძულებთ მათ, ვინც არად ჩაგაგდებთ, შეურაცხგყოფთ, სახელს გაგიტეხთ და ცილს დაგწამებთ. ნურც ღმერთის უარმყოფლებს შეიძულებთ, ნურც ავის მასწავლებლებს და მატერიალისტებს, მათ შორის ყველაზე ბოროტებსაც კი, კეთილებზე რომ არაფერი ვთქვათ, რამეთუ მათ შორის კეთილი ბევრია, მითუმეტეს ჩვენს დროში. მოიხსენიეთ ისინი თქვენს ლოცვებში ასე: შეუნდე, ღმერთო, ყველას, ვისთვისაც არავინ ლოცულობს, შეუნდე მათაც, რომელნიც თავად არ ლოცულობენ. აქვე დაუმატეთ: განა იმიტომ ვლოცულობ ასე, უფალო, რომ თითქოს მე კარგი მგონია თავი, არა, მე თავად ყველაზე საძაგელი ვარ... გიყვარდეთ ღვთის შვილები, ნუ ჩაუგდებთ ხელში მომხვდურებს სამწყსოს, რამეთუ თქვენი სიზარმაცის, საზიზღარი ამპარტავნების, უფრო მეტიც, ანგარების გამო თუკი ყურადღებას მოადუნებთ, მაშინ მოვლენ სხვანი ყოველი მხრიდან და გაიტაცებენ შენს ფარას. გამუდმებით განუმარტეთ ხალხს სახარება... თვალი არ გაგექცეთ ქრთამისკენ... არც ოქრო-ვერცხლი შეიყვაროთ და არც იქონიოთ ის... გწამდეთ და მარად ზეაწეული ატარეთ რწმენის ბაირაღი...“

ბერი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, უფრო მეტად, ვიდრე ეს ალიოშას ჩანაწერებშია აღწერილი და აქ არის გადმოცემული. ხანდახან ლაპარაკს წყვეტდა, თითქოს ძალას იკრებდა, თითქოს სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ რაღაცნაირად აღტაცებული იყო. ყველა გულაჩუყებული უსმენდა, თუმცა ზოგიერთს აკვირვებდა მისი სიტყვები, რადგან ბუნდოვანი ეჩვენებოდათ ისინი... შემდგომში ყველას გაახსენდა ეს სიტყვები. ხანდახან ალიოშას რამდენიმე წუთით უხდებოდა სენაკიდან გასვლა. იგი გაკვირვებული იყო სენაკში და სენაკის წინ თავმოყრილი ძმების საყოველთაო მღელვარე მოლოდინით. ეს მოლოდინი ზოგისთვის შემაშფოთებელი, ზოგისთვის საზეიმო იყო. ბერის გარდაცვალებისთანავე ყველა ელოდა რაღაც დიად მოვლენას. ეს მოლოდინი, ერთი მხრივ, ძალზე მიამიტურად გამოიყურებოდა, მაგრამ თვით ყველაზე თავშეკავებული ბერებიც კი იყვნენ ამით შეპყრობილნი. ყველაზე დამწუხრებული მღვდელ-მონაზონი პაისი ჩანდა. ალიოშა სენაკიდან ერთი მონაზვნის საშუალებით გამოიხმო ქალაქიდან მოსულმა რაკიტინმა, რომელმაც ქალბატონ ხოხლაკოვასაგან მოუტანა ერთი უცნაური წერილი. ქალბატონი ხოხლაკოვა

წერილით იტყობინებოდა მეტად საინტერესო, ამ მომენტისათვის დროულ ცნობას. საქმე ის იყო, რომ გუშინ ბერთან თაყვანის საცემად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად მოსულ დედაკაცებს შორის ერია ერთი ქალაქელი მოხუცი ქალი, პროხოროვნა, უნტერ-ოფიცრის ქვრივი. მან ბერს ჰკითხა: შეიძლება თუ არა მან თავისი შვილი, ვასინკა, რომელიც ციმბირში, ირკუტსკში მსახურობდა და უკვე ერთი წელია, მისგან არავითარი ცნობა არა აქვს მიღებული, ეკლესიაში გარდაცვლილებში მოახსენიებინოს? ბერმა მკაცრად აუკრძალა ამის გაკეთება და ამნაირ მოქმედებას ჯადოქრობა უწოდა. შემდეგ დაუყვავა, აპატია არცოდნა და დასამშვიდებლად ისე უთხრა, „თითქოს მომავლის წიგნში ჩაიხედა“ (ასე სწერდა ქალბატონი ხოხლაკოვა ალიოშას): „შენი შვილი, ვასია, აუცილებლად ცოცხალია და სულ მალე თავად ჩამოვა სახლში, ან წერილს მაინც გამოგზავნის. ახლავე წადი შინ და ელოდე“. და იცით რა მოხდა? - სწერდა აღტაცებული ქალბატონი ხოხლაკოვა, - წინასწარმეტყველება აღსრულდა სრულად და უფრო მეტადაც. როგორც კი ქალი შინ დაბრუნდა, გადასცეს მისთვის ასე სანუკვარი წერილი ციმბირიდან. ეს კიდევ რაა: წერილი მოწერილი იყო გზიდან, ეკატერინბურგიდან. ვასია დედამისს ატყობინებდა, რომ მოემგზავრება რუსეთში ერთ ჩინოვნიკთან ერთად და წერილის მიღებიდან სამ კვირაში გადაეხვევა დედას“. ქალბატონი ხოხლაკოვა დაჟინებით სთხოვდა ალიოშას, სასწრაფოდ გადაეცა ეს აღსრულებული „ნაწინასწარმეტყველები სასწაულის შესახებ“ იღუმენისა და ყველა ძმისათვის: „ეს ყველამ აუცილებლად უნდა იცოდეს!“ - სწერდა იგი წერილის დასასრულს. წერილს ეტყობოდა, ნაჩქარევად იყო დაწერილი, ავტორის მღელვარება მის ყველა სტრიქონში იგრძნობოდა. ალიოშას ძმებისათვის არაფრის შეტყობინება არ დასჭირდა, რადგან უკვე ყველამ ყველაფერი იცოდა. რაკიტინმა, როცა მონაზონი ალიოშას შეუგზავნა, მასვე დაავალა მამა პაისისათვის დიდი პატივისცემით მოეხსენებინა, რომ მასთან ძალზე მნიშვნელოვანი საქმე აქვს, რომლის გადადება ერთი წუთითაც არ შეიძლება, თანაც პატიებას სთხოვდა ასეთი თავხედობისათვის. მონაზონმა მამა პაისს რაკიტინის თხოვნა ალიოშასათვის წერილის გადაცემამადე შეატყობინა; ალიოშას ისღა დარჩენოდა, მამა პაისისათვის დაედასტურებინა ეს ამბავი და წერილი დოკუმენტად გამოეყენებინა. როცა ამ ყველაზე პირქუშმა და ეჭვიანმა ადამიანმა წაიკითხა ცნობა „სასწაულის“ შესახებ, თავი ვერ შეიკავა მოზღვავებული გრძნობებისაგან, თვალები გაუბრწყინდა და ბაგეები ღიმილმა გაუხსნა.

- ამისთანებს მოვესწრებით? - უცებ წამოსცდა მას.

- მოვესწრებით, კიდევ მოვესწრებით! - გაიმეორეს ირგვლივ მდგარმა მონაზვნებმა. მამა პაისს სახე კვლავ მოეღუშა, ყველას სთხოვა, გარკვეულ დრომდე არავის გააგებინოთ ამის შესახებ, „სანამ ზუსტად არ გავიგებთ ყოველივეს, რამეთუ ეს ცნობა საკმაოდ მიამიტურია, გარდა ამისა, დამთხვევა შესაძლებელია ბუნებრივად მომხდარიყო“, - დაუმატა მან ფრთხილად, თუმცა თავადაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამის, რაც კარგად შენიშნეს მისმა მსმენელებმა. რასაკვირველია, იმავ წუთს „სასწაულის“ შესახებ მთელმა მონასტერმა გაიგო, ის კი არა და იმ დღეს მონასტერში ლიტურგიაზე დასასწრებად მოსულმა მრევლმაც ყოველივე შეიტყო. ყველაზე მეტად მომხდარი

სასწაულით გაოგნებული იყო გუშინდელი სტუმარი, ჩრდილოეთ რუსეთში მდებარე ობდორის „წმინდა სილვესტრის“ მცირე სავანის მონაზონი. ეს ის მონაზონი იყო, გუშინ ბერს თაყვანი რომ სცა და შემდეგ გრძნობა-მორეულმა ჰკითხა: „როგორ ბედავთ ასეთი საქმეების ქმნასო?“ მხედველობაში ჰყავდა ქალბატონ ხოხლაკოვას „განკურნებული“ ქალიშვილი.

საქმე ის გახლდათ, რომ საგონებელში ჩავარდნილმა ობდორელმა მონაზონმა აღარ იცოდა, რა დაეჯერებინა. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს მან მონასტერში მამა ფეროპონტი მოინახულა თავის განსაკუთრებულ სენაკში, საფუტკრის უკან და გაოცებული დარჩა მისი გაცნობით. ამ შეხვედრამ მასზე განუმეორებელი და შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს მამა ფეროპონტი გახლდათ დიდი მემარხულე და მარად მდუმარი გადაბერებული ბერ-მონაზონი, რომლის შესახებაც ჩვენ ადრე მოგახსენეთ, როგორც ბერობის უარმყოფელსა და ბერ ზოსიმას მოწინააღმდეგეზე. ის ბერობას მავნებელ და ქარაფშუტულ სიახლედ თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ხმას არ იღებდა, მაინც განსაკუთრებულად საშიშ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. საშიში კი იმითი იყო, რომ მონასტერში ბევრი ძმა თანაუგრძნობდა და მლოცველთა საკმაო ნაწილიც დიდ წმინდანად და მოღვაწედ აღიარებდა. ყველას ნაღდ სალოსად მიაჩნდა, მაგრამ სწორედ მისი სალოსობა იზიდავდა ალბათ ხალხს. მამა ფეროპონტი ბერ ზოსიმასთან არ დადიოდა. თუმცა ის სავანეში ცხოვრობდა, სავანის წესებით არასოდეს აწუხებდნენ ისევ და ისევ მისი სალოსობის გამო. ასე 75 წლის იქნებოდა, შესაძლოა ცოტა მეტისაც, სავანის საფუტკრის უკან, გალავნის კუთხეში, ხის ძველ, დანგრევის პირას მისულ სენაკში ცხოვრობდა, რომელიც დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აუგიათ დიდი მემარხულისა და მარად მდუმარი მამა იონისათვის. ამ მამა იონმა 105 წელი იცოცხლა და მისი ღვაწლის შესახებ დღესაც ზღაპრად ჰყვებიან მონასტერსა თუ მის შემოგარენში. მამა ფეროპონტმა მიაღწია იმას, რომ ამ შვიდი წლის წინათ, ბოლოს და ბოლოს, დაასახლეს ამ განმარტოებულ სენაკში, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა - ქოხში, რომელიც ძალიან ჰგავდა სამლოცველოს, რადგან შიგ ეკიდა მრავალი შემოწირული ხატი, რომელთა ქვემოთ მუდამ ენთო აგრეთვე შემოწირული კანდელი. სწორედ ამ ხატებსა და კანდელებს მეთვალყურედ და მომვლელად მიუჩინეს მამა ფეროპონტი. როგორც ამბობდნენ (და ასეც იყო), მისი ერთი კვირის სარჩო მხოლოდ ოთხი გირვანქა პური და საკვირაო სეფისკვერი იყო. სურსათს ნეტარ მამას იღუმენი ყოველი მწუხრის წირვის შემდეგ უგზავნიდა. საკვები მასთან მეფუტკრეს მოჰქონდა, მაგრამ მამა ფეროპონტი მასაც იშვიათად ეტყოდა ხოლმე რამეს. წყალს კათხაში ყოველდღე უცვლიდნენ. მამა ფეროპონტი წირვაზე იშვიათად დადიოდა. მისი თაყვანისმცემლები ხედავდნენ, როგორ ჩამუხლული ლოცულობდა ხოლმე ის მთელი დღის განმავლობაში ისე, რომ ერთხელაც არ ადგებოდა და არც გვერდზე გაიხედავდა. თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, მოკლედ, უცნაურად და უკმეხად პასუხობდა. თითქმის უხეშად ეჭირა თავი. იყო იშვიათი შემთხვევები, როცა თავად დაელაპარაკებოდა ვინმეს, მაგრამ ხშირად ისეთ უცნაურ სიტყვას იტყოდა, რომელსაც ვერავინ იგებდა. როცა სთხოვდნენ, აეხსნა იმ სიტყვის მნიშვნელობა, აღარაფერს ამბობდა. სამღვდელო წოდება არ ჰქონდა, უბრალო მონაზონი გახლდათ. უბირ ადამიანებს შორის ერთ უცნაურ რამეს ჰყვებოდნენ ხოლმე მასზე: თითქოს მამა ფეროპონტს ზეციურ სულებთან

აქვს ურთიერთობა და მხოლოდ მათთან საუბრობს, ამიტომაც არ ელაპარაკება ადამიანებს და დუმსო. ობდორელი მონაზონი, მეფუტკრის (ისიც მდუმარე და კუშტი მონაზონი იყო) მისწავლების შემდეგ მივიდა მამა ფეროპონტის სენაკთან. „შეიძლება დაგელაპარაკოს, როგორც შორიდან მოსულს, შეიძლება ხმაც არ გაგცესო“, - წინასწარ გააფრთხილა მეფუტკრემ. ობდორელი მონაზონი, როგორც შემდეგ თავად ყვებოდა, სენაკთან ძალზე შეშინებული მისულა. უკვე გვიანი საღამო იდგა. მამა ფეროპონტი უზარმაზარი მოშრიალე თელის ქვეშ, სენაკის წინ დაბალ სკამზე იჯდა. საღამოს ცივი ნიავი უბერავდა. ობდორელი მონაზონი ნეტარი ბერის წინაშე პირქვე დაემხო და კურთხევა სთხოვა.

- გინდა, რომ მეც შენს წინაშე პირქვე დავემხო? - ჩაილაპარაკა მამა ფეროპონტმა, - წამოდექ!

მონაზონი ადგა.

- კურთხევა კურთხეულს, ჩამოჯექ. საიდან მოსულხარ?

ყველაზე მეტად საწყალი მონაზონი იმან გააოცა, მიუხედავად მამა ფეროპონტის დიდი მარხულობისა და საკმაო ხანდაზმულობისა, შესახედავად იგი ძლიერი, მაღალი, წელგამართული მამაკაცი რომ აღმოჩნდა, სახე გამხდარი ჰქონდა, მაგრამ ჯანსაღი და ფერხოციანი. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე იყო. ათლეტური აღნაგობის მქონე, თავის ასაკთან შედარებით, არც ისე თმაშევერცხლილი გახლდათ. საკმაოდ ხშირ კუპრივით შავ თმას და წვერ-ულვაშს ჭაღარა ოდნავ შერეოდა. პირისახეზე დიდი, ნაცრისფერი, ძალზე გადმოკარკლული, საოცარი თვალები უბრწყინავდა. ლაპარაკის დროს მახვილს ო-ზე აკეთებდა. ტანთ ემოსა წელზე თოკშემოჭერილი, ჟღალი ფერის უხეში, ძველად პატიმრებისათვის განკუთვნილი, მაუდისაგან შეკერილი არმიაკი. კისერი და მკერდი მოღიავებული ჰქონდა. არმიაკის ქვეშ სქელი ტილოს, ჭუჭყისაგან ჩაშავებული პერანგი მოუჩანდა, რომელსაც, ეტყობოდა, თვეობით არ იხდიდა. ამბობდნენ, არმიაკის ქვეშ კისერზე ოცდაათგირვანქიანი ბორკილი ჰკიდიაო. შიშველ ფეხზე ძველმანი, თითქმის გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა.

- ობდორსკის წმინდა სილვესტრის მცირე სავანიდან, - მორჩილად მიუგო მასპინძელს მონაზონმა და თავის ცნობისმოყვარე და ცოცხალი, თუმცა ცოტა დამფრთხალი თვალებით შეაცქერდა განდეგილს.

- ვყოფილვარ თქვენს სილვესტრთან. მიცხოვრია. ხომ ჯანმრთელად ბრძანდება სილვესტრი?

მონაზონი დაიბნა.

- ბენტერა ხალხი ხართ! მარხვას როგორ ინახავთ?

- სამონასტრო ძველი წეს-ჩვეულებების მიხედვით, ჩვენი პურისჭამა შემდეგნაირია: დიდმარხვის ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს საჭმელს არ ვღებულობთ. სამშაბათსა და ხუთშაბათს მივირთმევთ თეთრ პურს, თაფლის

შეჭამანდს, მიწამაყვალას ან მჟავე კომბოსტოს, კიდევ შვრიის ღერღილის ფაფას. შაბათობით გეახლებით თეთრ შჩის, ბარდის ატრიას, კანაფის წვენის ფაფას. ყველაფერი ზეთზეა დამზადებული. ვნების კვირას, ორშაბათიდან შაბათ საღამომდე, ექვსი დღის განმავლობაში მარტო პურზე და წყალზე ვსხედვართ, იშვიათად ვუმატებთ მწვანილს, რადგან მისი ჭამა ყოველ დღე არ შეიძლება, მხოლოდ ვნების კვირის პირველ დღეებში. წმინდა წითელ პარასკევს არაფერს ვჭამთ, ასევე დიდ შაბათს სამ საათამდე, შემდეგ ცოტა პურსა და წყალს მივიღებთ და მცირეოდენ ღვინოსაც ვაყოლებთ ხოლმე. წმინდა დიდ ხუთშაბათს რაიმე მოხარშულს ვჭამთ უზეთოდ, ვსვამთ ღვინოს და ვაყოლებთ ჩირს. რამეთუ ლაოდოკიის[50] საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაში დიდ ხუთშაბათზე ასეა თქმული: „რომელმაც დიდი მარხვა ვნების კვირამდე დაიცვა და დიდ ხუთშაბათს გატეხა, მას ყველაფერი წყალში გადაეყაროს და მარხულობად არ ჩაეთვალოს“. ასეა ჩვენთანაც. მაგრამ ეს თქვენთან შედარებით რაა, დიდო მამაო, - მხნედ დაუმატა მონაზონმა, - თქვენ მთელი წელი, ბრწყინვალე აღდგომასაც კი, მხოლოდ პურითა და წყლით იკვებებით, ჩვენთვის ორი დღის სამყოფი პური თქვენ ერთ კვირას გყოფნით. ჭეშმარიტად სასწაულია თქვენი ასეთი თავშეკავება.

- ვარყები? - ჰკითხა უცებ მამა ფეროპონტმა.

- რა ვარყები? - შეუბრუნა კითხვა გაკვირვებულმა მონაზონმა.

- სწორედაც ისინი. მე მაგათი პური არ მინდა, სულ არაფრად მჭირდება, მე ტყე მარჩენს, ვარყა სოკოსა და კენკრაზე შემიძლია გადავიდე, ესენი აქ პურზე ვერ ამბობენ უარს, მაშასადამე, ეშმაკთან წილნაყარნი არიან. დღეს საძაგელი ხალხი ქადაგებს, მარხვა არ არის საჭიროო. ქედმაღლური და გულის ამრევია მათი ქადაგებანი.

- მართალს ბრძანებთ! - ამოიოხრა მონაზონმა.

- იქ ეშმაკები იხილე? - ჰკითხა მამა ფეროპონტმა.

- სად იქ? - მორცხვად იკითხა მონაზონმა.

- შარშან იღუმენს სულიწმინდის მოსვლის დღეს ვესტუმრე, მას შემდეგ აღარ ვყოფილვარ. იქ ვიხილე, მკერდზე ასხდნენ, ანაფორის ქვეშ იმალებოდნენ, მხოლოდ რქები მოუჩანდათ; ჯიბიდან იჭვრიტებოდნენ, თვალებს აცეცებდნენ, ჩემი ეშინოდათ; ზოგს მუცელში ჰყავს ჩასახლებული, უწმინდურ ფაშვში, ზოგსაც კისერზე ჰყავს ჩამოკონწიალებული და ისე დაატარებს, ვერც ხედავს.

- თქვენ ხედავთ? - იკითხა მონაზონმა.

- გეუბნები - ვხედავ, მოხარშულს ვიცნობ. როცა იღუმენის ოთახიდან გამოვდიოდი, გავიხედე და რას ვხედავ, ერთი კარს უკან მემალება, ზორბა ვინმე იყო, ასე არშინნახევარი, შეიძლება ცოტა მეტიც, სქელი, რუხი და გრძელი კუდი ჰქონდა, კუდის ბოლო კარის ღრეჩოში მოუჩანდა. მე კარი უცბად მაგრად გამოვიჯახუნე და კუდი მოვაყოლე. ერთი საშინლად იღრიალა და დაიწყო

გაბრძოლება, მაგრამ სამჯერ ჯვარი გადავწერე და იქვე გათავდა, როგორც გასრესილი ობობა. ახლაც ალბათ იქ, ოთახის კუთხეში დამპალი გდია და ყარს, ისინი ვერც ხედავენ და არც სუნი სცემთ. ერთი წელია, იქ არ ვყოფილვარ. შენ, როგორც უცხოელს, ისე გეუბნები.

- საშინელი მოსასმენია თქვენი სიტყვები! ერთი ეს მიბრძანეთ, დიდო და ნეტარო მამაო, - თანდათან გათამამდა მონაზონი, - მართალია, რომ თქვენ ყოველდღიური ურთიერთობა გაქვთ სულიწმინდასთან? ამას შორეულ კუთხეებში ჰყვებიან.

- მოფრინდება. ხდება ხოლმე.

- როგორ მოფრინდება, როგორი სახით?

- ჩიტად.

- სულიწმინდა მტრედის სახით?

- ხან წმინდა სული, ხან სულიწმინდა. სულიწმინდას სხვა ჩიტადაც შეულია მოფრინდეს, ხან მერცხლად, ხან ჩიტბატონად, ხანაც წივწივად.

- როგორ არჩევთ მას სხვა წივწივებისაგან?

- ლაპარაკობს.

- როგორ ლაპარაკობს, რომელ ენაზე?

- ადამიანის.

- მერე, რას გეუბნებათ?

- დღეს მითხრა, ერთი ბრიყვი მოვა და გაუთავებელ კითხვებს დაგისვამსო. ბევრის ცოდნა მოგინდა, მონაზონო.

- შემზარავია თქვენი სიტყვები, უწმინდესო და უნეტარესო მამაო, - თავს აქიცინებდა მონაზონი. მას შეშინებულ თვალებში უნდობლობაც გამოეხატა.

- იმ ხეს ხედავ? - დუმილის შემდეგ ჰკითხა მამა ფეროპონტმა.

- ვხედავ, უნეტარესო.

- შენ გგონია, იგი თელაა, მე კი სულ სხვა სურათს ვხედავ.

- რას? - ჰკითხა მონაზონმა და გულისფანცქალით პასუხს დაელოდა.

- ხანდახან ღამღამობით ხდება ხოლმე ასე. იმ ორ ტოტს ხედავ? ღამღამობით ქრისტე ხელებს გამომიწვდის და დამეძებს ხოლმე. მე ვხედავ ყოველივეს და შიშისაგან ვკანკალებ. მეშინია, ძალიან მეშინია!

- რატომ გეშინიათ, თუკი ის ქრისტეა?

- რომ არ დამიჭიროს და მაღლა ცაში არ ამიტაცოს.

- ცოცხალი?

- ელიას სულსა და დიდებაზე არაფერი გსმენია? ამიტაცებს და წამიყვანს...

მართალია, ამ საუბრის შემდეგ ობდორელი მონაზონი მისთვის განკუთვნილ თავშესაფარში, ერთ-ერთი მონაზვნის სენაკში, ძალზე გაოგნებული დაბრუნდა, მაგრამ მაინც მისი გული მამა ფეროპონტისკენ უფრო მიიწევდა, ვიდრე მამა ზოსიმასაკენ. მისთვის პირველ ადგილზე მარხვა იდგა, ამიტომ სულაც არ გაჰკვირებია, ისეთ დიდ მემარხულეს, როგორიც მამა ფეროპონტია „სასწაულები ეხილა“. მისი სიტყვები, რა თქმა უნდა, ცოტა უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რას გულისხმობდა იგი. ასე ლაპარაკობენ და იქცევიან ქრისტეს სალოსები. ის მზად იყო, ეშმაკის კუდის მოწეწკვის შესახებ ამბავი მთელი არსებითა და სიამოვნებითაც დაეჯერებინა. გარდა ამისა, ობდორელ მონაზონს, ვიდრე ამ მონასტერში მივიდოდა, ბერობაზე ძალზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა. ბერობის შესახებ მხოლოდ მონაყოლით იცოდა და სხვა მრავალ რაღაცასთან ერთად, მასაც მავნე სიახლედ მიაჩნდა. ახლა კი აქ, ამ მონასტერში ყოფნისას, კარგად გაიგონა ბერობის მოწინააღმდეგე ზოგი ბერ-მონაზვნის დაუფიქრებელი ბუზღუნი. ის ხასიათით ცქვიტი, ძალზე მოუსვენარი კაცი იყო, ამასთან, ერთობ ცნობისმოყვარე. ამიტომაც, ცნობამ ბერი ზოსიმას მიერ მოხდენილი დიდი „სასწაულის“ შესახებ ძალიან გააოცა. მოგვიანებით, ალიოშა იგონებდა, როგორ გაიელვებდა ხოლმე მის თვალწინ ობდორელი მონაზვნის ფიგურა ბერი ზოსიმას სენაკთან ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილ მონაზვნებს შორის, ჯგუფიდან ჯგუფისკენ გადადიოდა, ყველას უსმენდა და რაღაც-რაღაცებს ეკითხებოდა. მაშინ ალიოშამ მას ყურადღება ნაკლებად მიაქცია, მხოლოდ შემდგომ გაახსენდა... მისთვის არც სცხელოდა: ბერი ზოსიმა კვლავ ცუდად გახდა და ლოგინში ჩაწვა. თვალებმილულულმა ალიოშა მოიკითხა და თავისთან იხმო. ალიოშამ მაშინვე მოირბინა. ამ დროს იქ მამა პაისი, მღვდელ-მონაზონი იოსიფი და მორჩილი პორფირი იყვნენ. ბერმა მისუსტებული თვალები გაახილა, ალიოშას მიაშტერდა და ჰკითხა:

- შენიანები გელოდებიან, შვილო?

ალიოშა დაიბნა.

- ხომ არავის სჭირდები? გუშინ ხომ არავის დაჰპირდი მისვლას?

- დავპირდი... მამას... ძმებს... სხვებსაც...

- წადი. აუცილებლად მიდი. ნუ წუხხარ. იცოდე, ისე არ მოვკვდები, შენს წინაშე არ წარმოვთქვა ჩემი უკანაკნელი სიტყვა. შენ მოგიძღვნი იმ სიტყვას, შენ გიანდერძებ, შენ, ჩემო ძვირფასო, რამეთუ ვიცი, რომ გიყვარვარ. ახლა კი წადი მათთან, ვისაც დაჰპირდი.

ალიოშა დაჰყვა მის ნებას, თუმცა ძალიან უმძიმდა წასვლა. ბერის დაპირებამ - შენთვის წარმოვთქვამ იმ სიტყვას, შენ გიანდერძებო - აღაფრთოვანა. ალიოშა აჩქარდა, დროზე უნდოდა, მოეთავებინა ქალაქში თავისი საქმეები და უკან მალე მობრუნებულიყო. სწორედ ამ დროს, ბერის სენაკიდან გამოსვლისას, მამა პაისმა გზა დაულოცა, რამაც ალიოშაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

- გახსოვდეს, ჭაბუკო, მუდამ, - შესავლის გარეშე დაიწყო მამა პაისმა, - განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნეში საერო მეცნიერებამ გაერთიანებული ძალით, გამოწვლილვით განიხილა ყოველივე, რაც წმინდა წიგნებით ზეციური გვქონდა ნაანდერძევი და ამა სოფლის მეცნიერებმა მკაცრი ანალიზის შემდეგ აღარაფერი დატოვეს ძველი სიწმინდეებიდან. მათ ნაწილ-ნაწილ განიხილეს ყველაფერი, მაგრამ გამორჩათ მთელი - უბრალოდ საკვირველია, მათი ასეთი სიბეცე - მაშინ, როცა მთელი განუხრელად თვალწინ გვიდგას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას[51]. განა არ ცოცხლობდა ის 19 საუკუნე, განა არ ცოცხლობს ახლა ის ერთეულ სულთა მოძრაობაში და ხალხთა მასების მოძრაობაში? კვლავინდებურად განუხრელად ცოცხლობს იგი ყოველივეს გამანადგურებელ ათეისტთა სულების მოძრაობაშიც! რამეთუ ვინც ქრისტიანობას განუდგა და მის წინააღმდეგ აჯანყდა, თავისი არსებით ქრისტეს იერსახისანი იყვნენ და იგივედ დარჩნენ, რადგან ვერც მათმა სიბრძნემ, ვერც მათმა მხურვალე გულებმა ვერ შეძლეს სხვა იმაზე უკეთესი და უზენაესი ღირსებების მქონე ადამიანის ხატის შექმნა, როგორ ადამიანზეც ძველთაგან მიგვითითა ქრისტემ. რამდენჯერაც არ ჩაატარეს ცდა, იმდენჯერ სიმახინჯე გამოუვიდათ. ეს კარგად დაიმახსოვრე, ჭაბუკო, რამეთუ სოფლად გაგამწესა შენმა მომაკვდავმა მოძღვარმა. შესაძლებელია, ოდესღაც, როცა ამ დღეს მოიგონებ, ჩემი სიტყვებიც გაგახსენდეს, რითაც მთელი სულითა და გულით დაგარიგე. ახალგაზრდა ხარ, და იმ სოფლად კი ბევრზე ბევრი ცთუნებაა და გაგიჭირდება მათგან თავის არიდება. ახლა კი წადი, ობოლო.

ასე დალოცა მამა პაისმა ის. როცა ალიოშა მონასტრიდან გამოვიდა და მამა პაისის დარიგება გააანალიზა, მიხვდა, რომ ამიერიდან ამ მკაცრი და კუშტი მონაზვნის სახით მან მოულოდნელად მეგობარი და მხურვალედ მოყვარული ახალი მოძღვარი შეიძინა, - თითქოს მამა ზოსიმამ სიკვდილის წინ უანდერძა იგი. „შესაძლოა, ეს ასეც მოხდა,“ - გაიფიქრა ალიოშამ. ალიოშასათვის მოულოდნელი იყო მისი მეცნიერული მსჯელობა, რომელიც ახლახან მოისმინა. სწორედ ეს ადასტურებდა მამა პაისის გულთბილ დამოკიდებულებას მისდამი. მამა პაისი ჩქარობდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად შეეიარაღებინა ახალგაზრდა გონება ცდუნებებთან საბრძოლველად და დაეფარა ნაანდერძევი ჭაბუკის სული ისეთი შეუვალი ზღუდით, რომელზედაც თავად არ ჰქონდა წარმოდგენა.

II მამასთან

უპირველეს ყოვლისა, ალიოშა მამამისისკენ გაემართა. როცა სახლს მიუახლოვდა, მამის თხოვნა გაახსენდა: სახლში ისე შესულიყო, ივანს არ გაეგო.

„ნეტა რატომ? - ფიქრობდა ახლა ალიოშა. - თუ რამის თქმა უნდა, რატომ უნდა შევიდე ჩუმად, ფარულად? ისე კი, გუშინ აღელვებულს რაღაცის თქმა უნდოდა, ვერ მოასწრო“, - დაასკვნა მან. ძალიან გახარებული დარჩა, როცა ჭიშკარი მარფა იგნატიევნამ გაუღო (გრიგორი ავად გამხდარიყო და ფლიგელში იწვა) და შეატყობინა: ივან ფიოდოროვიჩი, ორი საათი იქნება, რაც წასულიაო.

- მამა?

- ადგა, ყავას მიირთმევს, - რაღაცნაირად მშრალად უპასუხა მარფა იგნატიევნამ.

ალიოშა შევიდა. მოხუცი სუფრასთან იჯდა, ძველი პალტო ეცვა და თავის შესაქცევად რაღაც ანგარიშებს ათვალიერებდა. სახლში მარტო იყო (სმერდიაკოვი სურსათის საყიდლად იყო გასული). ეტყობოდა, ანგარიშები არ აინტერესებდა. მართალია, დილაადრიანად ლოგინიდან ყოჩაღად ადგა, მაინც დაღლილი და დასუსტებული ჩანდა. ღამით შუბლზე მეწამული ფერის კარგა მოზრდილი სისხლჩაქცევები გასჩენოდა. თავზე წითელი თავშალი ეხვია, ცხვირი გაბუშტოდა, მასზედაც პატარ-პატარა სისხლჩაქცევები აჩნდა. ყველაფერი ეს მის სახეს განსაკუთრებულად გაბოროტებულ და გაღიზიანებულ იერს აძლევდა. მოხუცმა იცოდა ამის შესახებ და ალიოშას ცუდად შეხვდა.

- ცივი ყავაა, - უხეშად უყვირა მან, - არ გიმასპინძლდები. თავად მე დღეს სამარხულო უხაზე გადავედი და არავის ვეპატიჟები. რისთვის მოხვედი?

- თქვენი ჯანმრთელობა მაწუხებდა, - ჩაილაპარაკა ალიოშამ.

- დიახ. ამას გარდა, გუშინ თავად გთხოვე მოსვლა. სისულელეა ყველაფერი ეს. ამაოდ გაისარჯე. თუმცა კი ვიცოდი, რომ უსათუოდ მოხვიდოდი...

მან ეს განსაკუთრებულად მტრულად წარმოთქვა. ამასობაში ადგა და თავის ცხვირ-პირს სარკეში ყურება დაუწყო (ალბათ დილიდან უკვე მერამდენეჯერ) და წითელი თავშალი შუბლზე უფრო ლამაზად მოირგო.

- წითელი უკეთესია, თეთრი საავადმყოფოს მაგონებს, - სენტენციურად შენიშნა მან, - რა ამბავია შენკენ? რას შვრება შენი ბერი?

- ცუდადაა, დღეს შეიძლება ღვთივ განისვენოს, - უპასუხა ალიოშამ, თუმცა მამამისს არც გაუგია, მაშინვე დაავიწყდა თავისი კითხვა.

- ივანი წავიდა, - უცებ თქვა მან. - იგი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ მიტკას საცოლე წაართვას, აქ ამისთვის ცხოვრობს, - დაუმატა გაავებულმა და ალიოშას გადახედა.

- ნუთუ ეს მან თავად გითხრათ? - შეეკითხა ალიოშა.

- კი, დიდი ხნის წინ მითხრა. ასე სამი კვირის წინათ. ნეტა ჩემთვის ყელის გამოსაჭრელად ხომ არ არის ჩამოსული? რაღაცისათვის ხომ ჩამოვიდა?

- რას ბრძანებთ? ეგრე რატომ ლაპარაკობთ? - ძალზე შეწუხდა ალიოშა.

- მართალია, ფულს არ მთხოვს, ჩემგან გროშ-კაპიკსაც ვერ მიიღებს. მე, ჩემო ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, კიდევ დიდხანს ვაპირებ ცხოვრებას. ეს კარგად უნდა იცოდეთ ყველამ. ამიტომ ჩემთვის ყოველი კაპიკი ძვირფასია. რაც მეტხანს ვიცოცხლებ, მით უფრო მეტი დამჭირდება, - გააგრძელა მან და თან ბოლთას სცემდა ოთახში თავისი ყვითელი საზაფხულო პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, - მე ჯერჯერობით მამაკაცი ვარ, მხოლოდ 55 წლის, კიდევ ერთი ოცი წელი მაინც მინდა ვმამაკაცობდე. როცა დავბერდები, დავჩაჩანაკდები და თავისი სურვილით აღარ მოვლენ ჩემთან ქალები, მაშინ დამჭირდება ფულები, სწორედ ამიტომაც ვაქუჩებ ყოველდღე რაღაცას, მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ჩემო ძვირფასო შვილო, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ეს კარგად დაიხსომეთ. მსურს მრუშობაში დავასრულო სიცოცხლე, თქვენ ეს კარგად იცოდეთ. მრუშობა ტკბილია: ყველა მას ლანძღავს, მაგრამ ყველა მრუშობს, მართალია, ფარულად. მე კი არაფრის მრცხვენია. ამიტომაცაა, ჩემი გულახდილობის გამო, ყველა მრუში თავს მესხმის. შენი სამოთხე კი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ესეც იცოდე, წესიერი კაცისათვის შენს სამოთხეში მოხვედრა, თუკი ის საერთოდ არსებობს, უხერხულიცაა. ჩემი აზრით, დაიძინებ და აღარ გაიღვიძებ, მეტი არაფერი; თუ მოისურვებთ, შენდობა თქვით, თუ არა და ეშმაკსაც წაუღიხართ. აი, ჩემი ფილოსოფია. გუშინ ივანი აქ კარგად ლაპარაკობდა, თუმცა ყველა მთვრალი ვიყავით. ივანი ტრაბახაა, რის მეცნიერი, რა მეცნიერი, განსაკუთრებული განათლებაც არა აქვს მიღებული, დუმს და დაგცინის თავისთვის, - ამაზე თამაშობს.

ალიოშა უსმენდა და დუმდა.

- რატომ არ მელაპარაკება? თუ მელაპარაკება, იტყლარჭება! სალახანაა, შენი ივანი! გრუშკას კი ახლავე შევირთავ, როგორც კი მოვინდომებ. თუ ფული გაქვს, მარტო სურვილიც საკმარისია, ალექსეი ფიოდოროვიჩ, და ყველაფერი გექნება. ივანს ამის ეშინია, მდარაჯობს, ცოლი რომ არ შევირთო, ამიტომ მიტკას აქეზებს, გრუშკა შეირთოს. ერთი მხრივ, უნდა გრუშკა დამაკარგვინოს (ჰგონია, ფულებს მაგას დავუტოვებ, თუკი გრუშკას არ შევირთავ!), მეორე მხრივ, თუ მიტკა გრუშკას შეირთავს, მაშინ ივანი მის მდიდარ საცოლეზე დაქორწინდება, აი, როგორი ანგარიში აქვს! სალახანაა შენი ივანი!

- როგორი გაღიზიანებული ბრძანდებით. ეს გუშინდელს აქეთაა; წადით, მიწექით, - უთხრა ალიოშამ.

- აი, შენ ასეთ რამეს მეუბნები, - უცებ შენიშნა მოხუცმა, თითქოს ახლა პირველად გაიაზრა ყველაფერი, - მე კი შენზე არ ვბრაზობ. ივანმა რომ ასე მითხრას, გული მომივა. შენთან, მხოლოდ შენთან მაქვს კეთილი წუთები, თორემ მე ბოროტი კაცი ვარ.

- არა, თქვენ ბოროტი არ ბრძანდებით, თქვენ სული გაქვთ დამახინჯებული, - გაეღიმა ალიოშას.

- ყური მიგდე, დღეს ვფიქრობდი, ის ყაჩაღი მიტკა ციხეში ჩამესვა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, რას დავაპირებ. მართალია, ახლანდელ დროს მიღებულია მშობლების არად ჩაგდება, მაგრამ კანონით, მე მგონი, დღესაც არ არის დაშვებული, მოხუცებულ მამას საკუთარ სახლში მიუვარდე სიკვდილის მუქარით, თმებით ათრიო და დაცემული წიხლქვეშ გაიგდო მოწმეების თანდასწრებით. მე რომ მომენდომებინა, გუშინვე ხელებს გადაუგრეხდნენ და ვირის აბანოში ამოაყოფინებდნენ თავს.

- თქვენ ჩივილი არ გინდათ, ხომ არ გინდათ?

- ივანმა გადამათქმევინა, მიმიფურთხებია ივანისათვის, მე თავად ერთი რაღაც ვიცი...

იგი ალიოშასაკენ დაიხარა და კონფიდენციალური ნახევარ-ჩურჩულით გააგრძელა:

- მე რომ ის ნაძირალა ციხეში ჩამესვა და ეს გრუშკას გაეგო, იგი მასთან გაიქცეოდა. ახლა, როცა გაიგებს, რომ მე, სუსტი მოხუცი, მან ცემით სიკვდილის პირამდე მიმიყვანა, ასე მგონია, ჩემთან გამოიქცევა, ჩემი ჯანმრთელობის გასაგებად. აი, ასეთი თვისებებით ვართ დაჯილდოებულები, ყველაფერს საპირისპიროდ ვაკეთებთ. მე მას მოხარშულს ვიცნობ! კონიაკს არ დალევ? ცივი ყავა დალიე, გინდა მეოთხედ სირჩას შეგივსებ, ძალიან კარგია, გემრიელი.

- არა, არ მინდა, მადლობელი ვარ. თუ ნებას დამრთავთ, ამ პურს ავიღებ, - თქვა ალიოშამ, სამკაპიკიანი ფრანგული ფუნთუშა აიღო და ჯიბეში ჩაიდო. - კონიაკს კი ნუ სვამთ, - ფრთხილად ურჩია მოხუცს და სახეში ჩააცქერდა.

- მართალი ხარ, მაღიზიანებს, მოსვენებას მიკარგავს. მხოლოდ ერთს გადავკრავ... კარადას გავაღებ...

მან კარადა გასაღებით გააღო, კონიაკი დაისხა, გადაყლურწა და კარადის კარი დაკეტა. გასაღები ისევ ჯიბეში ჩაიდო.

- საკმარისია, ერთი სირჩა არაფერს მიზამს.

- აი, ახლა თქვენ კეთილი გახდით, - თქვა ალიოშამ.

- ჰმ! მე შენ უკონიაკოდაც მიყვარხარ, ხოლო სალახანებთან სალახანა ვარ. ვანკა ჩერმაშნიაში არ მიდის - რატომ თუ იცი? უნდა, რომ მითვალთვალოს: რამდენს მივცემ გრუშენკას, თუკი ის აქ მოვა. ყველანი ნაძირლები არიან! მე ივანს პატივს არ ვცემ. საიდან გაჩნდა ასეთი? ჩვენიანს არ ჰგავს. მე მას არაფერს დავუტოვებ. ისე, თქვენ რომ კარგად იცოდეთ, მე ანდერძს არ დავტოვებ. მიტკას კი, როგორც ტარაკანას, ისე გავსრეს. ღამღამობით შავ ტარაკნებს ფეხსაცმლით ვჭყლეტ ხოლმე: დავადგამ ფეხს და ფეხქვეშ გაიტკაცუნებს. შენი მიტკაც ასე გაიტკაცუნებს. შენი მიტკაა, იმიტომ რომ გიყვარს. ვიცი რომ გიყვარს და სულაც არ მეშინია იმის, რომ შენ ის გიყვარს. აი, ივანს რომ უყვარდეს, მაშინ შემეშინდებოდა. მაგრამ ივანს არავინ უყვარს. ივანი ჩვენი კაცი არ არის. ისეთი

კაცი, როგორიც ივანია, არ არის ჩვენიანი. ასეთი ხალხი ქარის მოხვეტილი მტვერია, დაბერავს ქარი და მტვერი გაქრება... გუშინ თავში ერთი სისულელე მომივიდა, როცა გთხოვე მოდი-მეთქი: მინდოდა შენი საშუალებით გამეგო, დაჯერდება თუ არა მიტკა, თუკი მე მას, ღატაკს და თახსირს, ერთ-ორი ათასს მივცემდი, აქედან ერთი ხუთი წლით მაინც რომ გადაიკარგოს, არა, სჯობს 35 წლით, რასაკვირველია, უგრუშენკოდ, გრუშენკაზე საბოლოოდ უარი უნდა თქვას, ჰა?

- მე... მე ვკითხავ, - ჩაიბურტყუნა ალიოშამ, - თუ სამ ათასს მისცემთ, შეიძლება...

- ტყუი! არ არის აწი ამის კითხვა საჭირო, სრულიადაც არ არის საჭირო! გადავიფიქრე! ეს სისულელე გუშინ მომივიდა თავში, არაფერსაც არ მივცემ, არაფერს, ჩემი ფულები მე მჭირდება, - ხელი ჩაიქნია მოხუცმა. - მე მას მაინც ტარაკანასავით გავსრეს. არაფერი უთხრა, თორემ კიდევ ექნება იმედი. შენ კი აღარაფერი საქმე არ გაქვს ჩემთან, წადი. მაგის საცოლე, კატერინა ივანოვნა, რომელსაც ჩემგან ასე გულმოდგინედ მალავდა, მიჰყვება თუ არა ცოლად? შენ, მგონი, გუშინ მასთან იყავი?

- მას მიტკას მიტოვება არაფრის დიდებით არ სურს.

- სწორედ ასეთი დარდიმანდები და ნაძირლები უყვართ ნაზ ქალიშვილებს! უვარგისები არიან ეს ფერმიხდილი ქალბატონები; საქმე ის არის... ჯანდაბას მაგათი თავი! მე რომ მაგისი ახალგაზრდობა მომცა და ადრინდელი ჩემი პირისახე (იმიტომ რომ 28 წლის ასაკში მე მასზე უკეთესი შესახედაობის ვიყავი), მეც, როგორც მას, მექნებოდა ქალებში წარმატება. გაიძვერაა ეგა! გრუშენკას მაინც ვერ მიიღებს, ვერ ეღირსება... გავანადგურებ!

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გაშმაგდა.

- ახლა წადი, ჩემთან აღარაფერი გესაქმება, - მკაცრად მოუჭრა მან.

ალიოშა გამოსამშვიდობებლად მივიდა და მხარზე ეამბორა.

- ეს რაღაა? - რაღაც გაუკვირდა მოხუცს, - ხომ კიდევ შევხვდებით, თუ ფიქრობ, რომ აღარ ვნახავთ ერთმანეთს?

- სულაც არა, მე ისე, უნებურად.

- კარგი, არა უშავს, მეც, მეც ისე. - თვალს არ აშორებდა მოხუცი, - შენ, ეი, გესმის, გესმის, - მიაყოლა მიმავალ ალიოშას კვალდაკვალ, - მოდი როდისმე ჩემთან, უახლოეს ხანებში, უხაზე, უხას მოვხარშავთ, განსაკუთრებულს, დღეს რომ იყო, ისეთს კი არა. აუცილებლად მოდი! ხვალამდე, გესმის, ხვალ მოდი!

როგორც კი ალიოშა გავიდა, იგი მივიდა კარადასთან და კიდევ ერთი სირჩა გადახუხა.

- მეტს აღარ ვიზამ! - ჩაიბურტყუნა მან, სიამოვნებისაგან ჩაიკრუსუნა და კვლავ

დაკეტა კარადა, გასაღები ისევ ჯიბეში ჩაიდო და საძილე ოთახში გავიდა. იქ უღონოდ დაეშვა საწოლზე და მაშინვე მიეძინა.

III გზად მოსწავლეებს გადაეყარა

„კიდევ კარგი, გრუშენკას შესახებ არაფერი მკითხა, - გაიფიქრა ალიოშამ, როცა მამამისის სახლიდან გამოვიდა და ქალბატონ ხოხლაკოვასკენ გაემართა, - თორემ მომიწევდა გრუშენკასთან ჩემი გუშინდელი შეხვედრის შესახებ მოყოლა“. ალიოშამ გულისტკივილით გაიფიქრა, რომ ღამის განმავლობაში დაპირისპირებულმა მხარეებმა ახალი ძალა მოიკრიბეს და მათი გულები უფრო უმოწყალო გახდა: მამა გაღიზიანებულია და დაბოღმილი, მას რაღაც აქვს გუნებაში და უნდა მისი ხორცშესხმა; დმიტრი კი? ალბათ ისიც განრისხებული და ბრაზმორეული იქნება, არაა გასაკვირი, თუ რაღაც გადაწყვეტილებას მიიღებს... დღეს აუცილებლად უნდა ვნახო, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მოვძებნო...“

მაგრამ ალიოშას დიდხანს არ მოუწია ფიქრმა. მოულოდნელად გზაში ისეთი რამ გადახდა თავს, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი, მაგრამ მასზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება რომ მოახდინა. როგორც კი მოედანი გაიარა და შესახვევში, ბოლშაიას პარალელურ მიხაილოვსკის ქუჩაზე გასასვლელად გადაუხვია (ეს ქუჩები ერთმანეთისაგან თხრილით იყო გამოყოფილი - ჩვენი ქალაქი ხომ ერთიანად დათხრილია), დაინახა ქვემოთ, ხიდთან თავმოყრილი მოსწავლეები, ყველა მცირე ასაკისანი, ასე ცხრიდან თერთმეტ წლამდე, სკოლიდან ბრუნდებოდნენ, ზოგს ზურგსმოკიდებული აბგა ჰქონდა, ზოგსაც მხარზე გადაეგდო ტყავის ჩანთა, ზოგს ქურთუკი ემოსა, ზოგს პალტო, ზოგიერთს კი ისეთი მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, როგორებითაც მდიდარი მშობლების განებივრებული ბავშვები იწონებენ ხოლმე თავს. ჯგუფი რაღაცაზე გაცხოველებით მსჯელობდა, რაღაცას თათბირობდნენ. საერთოდ, ალიოშა ბავშვებს გულგრილად ვერ აუვლიდა ხოლმე გვერდს, მოსკოვშიც ხშირად მოსვლია ასე. მართალია, მას 3-4 წლის ბავშვები უყვარდა, მაგრამ 10-11 წლისანიც ძალიან მოსწონდა. სწორედ ამიტომაც, მიუხედავად მისი შეწუხებული მდგომარეობისა, ბავშვებთან მისვლა და მათთან გამოლაპარაკება მოუნდა. სანამ მიუახლოვდებოდა, იგი უყურებდა მათ ფერ-ხორცით სავსე, ხალისიან სახეებს და უცებ შენიშნა, რომ თითოეულ ბიჭუნას ხელში თითო ქვა მაინც ეჭირა. თხრილს იქით, ამ ჯგუფიდან ასე ოცდაათი მეტრის დაშორებით, ღობესთან იდგა კიდევ ერთი ბიჭი, ისიც მოსწავლე. მას მხარზე ჩანთა ეკიდა, ასე ათი წლის იქნებოდა, შესაძლოა ნაკლებისაც, უფერული, ავადმყოფური გამომეტყველება და შავი, მოციმციმე თვალები ჰქონდა. ის ყურადღებითა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მოსწავლეების ექვსკაციან ჯგუფს. ალბათ, მისი ამხანაგები იყვნენ, ახლახან მასთან ერთად სკოლიდან გამოსულები, შესაძლოა მისი მტრებიც. ალიოშა ბიჭებს მიუახლოვდა და ერთ ქურთუკიან, ხუჭუჭთმიან, ლოყებდაბრაწულ ბიჭს მიმართა:

- როცა მე ასეთ ჩანთას ვატარებდი, როგორიც თქვენია, მაშინ მარცხენა მხარეს ვიკიდებდი, რომ მარჯვენა ხელით ადვილად ჩამომეღო. თქვენ კი ჩანთა მარჯვენა

მხარეს გკიდიათ, თქვენთვის უხერხული არ არის.

ალიოშამ, ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, ბიჭუნას საქმიანი საუბარი გაუბა. საერთოდ, თუკი მოზრდილს სურს ბავშვის, მით უმეტეს, ბავშვების ჯგუფის ნდობა მოიპოვოს, სხვანაირად არც უნდა ელაპარაკოს. სერიოზული და საქმიანი საუბარი უნდა დაუწყოს და ამით უნდა აგრძნობინოს, რომ ისინი თანასწორუფლებიანები არიან. ალიოშა ამას ინსტინქტით გრძნობდა.

- ეგ ხომ ცაციაა, - ყოჩაღად უპასუხა ჯანსაღმა, ასე თერთმეტი წლის სხვა ბიჭუნამ. დანარჩენი ხუთი ბიჭი კი თვალებდაჭყეტილი მიაცქერდა ალიოშას.

- ეგ ქვებსაც მარცხენათი ისვრის, - შენიშნა მესამე ბავშვმა. ამ დროს ცაციას თხრილის იქიდან ენერგიულად გამოსროლილმა ქვამ მსუბუქად გაჰკრა და გვერდით ჩაიქროლა. ქვა თხრილის იქით მდგარმა ბიჭუნამ ისროლა.

- სთხლიშე მაგას კინკრიხოში, სმუროვ! - ერთხმად იყვირეს ბიჭებმა. მაგრამ სმუროვმა (ცაციამ) თავადაც არ დააყოვნა, ქვა უმისამართოდ მოიქნია და მიწაზე დაეცა. თხრილს იქით მდგარმა ბიჭუნამ კვლავ გამოისროლა ქვა. ამჯერად ქვა ალიოშას საკმაოდ მტკივნეულად მოხვდა მხარში. თხრილს იქით მდგარ ბიჭუნას ჯიბეები ქვებით ჰქონდა სავსე. ოცდაათი მეტრიდანაც კარგად ჩანდა მისი პალტოს გაბერილი ჯიბეები.

- მან თქვენ გესროლათ, განგებ დაგიმიზნათ. თქვენ ხომ კარამაზოვი ხართ, კარამაზოვი? - ყვიროდნენ და ხარხარებდნენ ბიჭები. - მოდით, ყველამ ერთად დავუშინოთ!

ექვსმა ქვამ ერთად გაიქროლა. ბიჭს ერთი თავში მოხვდა. დავარდა, მაგრამ უმალ წამოხტა და გამწარებულმა საპასუხო ქვები ისროლა. ორივე მხრიდან დაიწყო ქვების აქეთ-იქეთ სროლა. ბიჭებიდანაც ზოგიერთს პალტოში ჰქონდა მომარაგებული ქვები.

- რა ამბავია ეს! არ გრცხვენიათ, ბატონებო! ექვსი ერთზე, მოკლავთ! - დაიყვირა ალიოშამ.

იგი გამოვარდა და წინ გადაეფარა ბიჭების მიერ გამოსროლილ ქვებს, რომ თხრილს იქით მდგარი ბიჭუნა დაეცვა. ამის შემყურე სამმა თუ ოთხმა ბიჭმა სროლა შეწყვიტა.

- პირველად მაგან დაიწყო! - დაიყვირა წითელპერანგიანმა ბიჭმა გაწიწმატებული, ბავშვური ხმით, - ეგ ნაძირალაა, ამასწინათ კლასში კრასოტკინს ჯაყვა შეურჭო და სისხლი ადინა. კრასოტკინს არ დაუსმენია, ეგ კი მაგარი მისაბეგვია.

- რისთვის? თქვენ ალბათ დასცინით?

- აი, ხომ ხედავთ, კვლავ ზურში მოგარტყათ ქვა. ის თქვენ გიცნობთ, - დაიყვირეს ბავშვებმა - ახლა თქვენ გესვრით, ჩვენ კი არა. მოვრჩეთ რა, ისევ დავუმიზნოთ. არ ააცდინო, სმუროვ!

ისევ დაიწყო ქვების სროლა, ამჟამად უფრო გააფთრებით. თხრილს იქით მდგარ ბიჭუნას ქვა მკერდზე მოხვდა; მან იღრიალა, ატირდა და მაღლა გორაზე, მიხაილოვსკის ქუჩაზე ავარდა. ბიჭები აყვირდნენ: „აჰა, ხომ შეგეშინდა, მოუსვი, წვერებცანცარავ!“

- თქვენ რა იცით, კარამაზოვ, ეგ ისეთი ნაძირალაა, მისი მოკვლაც კი ცოტაა, - გაიმეორა ქურთუკიანმა, ანთებულთვალებიანმა ბიჭუნამ, მათ შორის ყველაზე უფროსმა.

- მაინც როგორია?- იკითხა ალიოშამ. - ენატანიაა?

ბიჭუნებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაიცინეს.

- თქვენ ხომ მიხაილოვსკის ქუჩაზე მიდიხართ? - გააგრძელა იმავე ბავშვმა. - დაეწიეთ... ხედავთ, იგი გაჩერდა, იცდის და თქვენ გიყურებთ.

- თქვენ გიყურებთ, თქვენ გიყურებთ! - გაიმეორეს ბიჭებმა.

- ჰოდა, მიდით და ჰკითხეთ, უყვარს თუ არა მას წვერებცანცარა თხა, გესმით, ასე ჰკითხეთ.

ყველას გაეცინა. ალიოშა მათ აკვირდებოდა, ბიჭები კი მას.

- ნუ მიხვალთ, არაფერი დაგიშაოთ, - ყვირილით გააფრთხილა სმუროვმა.

- ბატონებო, მე მას არანაირ თხაზე არ დავუწყებ ლაპარაკს, ალბათ ამ სიტყვით აბრაზებთ, მაგრამ იმას კი ვკითხავ, ბიჭებს ასე რატომ ეჯავრები-მეთქი...

- ჰკითხეთ, ჰკითხეთ, - გაიცინეს ბიჭებმა.

ალიოშამ ხიდი გადაიარა და შერისხული ბიჭის მიმართულებით ღობის გასწვრივ, გორაკისაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

- დაიმახსოვრეთ, - ზურგს უკან მოესმა გაფრთხილება ალიოშას, - თქვენი არ შეეშინდება, ამოიღებს და გაგირჭობთ, მალულად, როგორც კრასოტკინს.

ბიჭი უცდიდა, ადგილიდან არ დაძრულა. ალიოშა მიუახლოვდა და დაინახა მის წინ მდგომი ასე ცხრა წლის ბიჭუნა, სუსტი და დაბალი, ფერმკრთალი, მოგრძო პირისახის, დიდი, მუქი, გაბოროტებული თვალებით. ტანთ ძველთაძველი პალტო ეცვა, რომელიც ძალიან დაპატარავებოდა. მოკლე სახელოებიდან შიშველი ხელები მოუჩანდა. შარვლის მარჯვენა ტოტზე, მუხლთან, დიდი ბებკი ედო, მარჯვენა ჩექმაზე ჭვინტთან, სადაც ცერა თითია, მელნით მოთხვრილი დიდი ნახვრეტი ჰქონდა. პალტოს ორივე ჯიბეში ქვები ელაგა. ალიოშა მის წინ ორი ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და გაოცებული მიაცქერდა. ბიჭი ალიოშას გამოხედვიდან მიხვდა, ცემას რომ არ დაუწყებდა და გათამამდა, თვითონ გამოელაპარაკა.

- მე ერთი ვარ და ისინი ექვსნი... ერთი ერთზე ცხვირ-პირს ჩამოვუღებდი, - თქვა ბიჭმა და თვალები აუკიაფდა.

- თქვენ, მგონი, ერთი ქვა ძალზე მტკივნეულად მოგხვდათ, - შენიშნა ალიოშამ.

- მე კი სმუროვს თავში მოვარტყი! - წამოიძახა ბიჭმა.

- მათ მითხრეს, თურმე მიცნობთ. რატომ მესროლეთ ქვა? - ჰკითხა ალიოშამ.

ბიჭმა შეუბღვირა.

- მე თქვენ არ გიცნობთ. თქვენ მიცნობთ? - გააგრძელა გამოკითხვა ალიოშამ.

- შემეშვით! - უცებ წამოიყვირა გაღიზიანებულმა ბიჭმა. იგი ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ რაღაცის მოლოდინში თვალები ისევ ბოროტად აენთო.

- კარგი, წავალ, - თქვა ალიოშამ, - მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ, არც თქვენი დაცინვა მინდა. მათ მითხრეს, როგორ უნდა გაგაჯავროთ, მაგრამ არ მინდა თქვენი გაბრაზება, მშვიდობით!

- მონაზონო-ბერო, კაბიანო შტერო! - დაიყვირა ბიჭმა და კვლავ გაავებული და გამომწვევი გამომეტყველებით თვალს ადევნებდა ალიოშას. შემდეგ თავდაცვითი პოზა დაიჭირა, რათა ალიოშას თავდასხმა მოეგერიებინა. ამ დროს ალიოშა მობრუნდა, შეხედა და თავის გზას გაუდგა. მაგრამ სამი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ზურგში რაღაც მაგარი მოხვდა და მწარე ტკივილი იგრძნო. ბიჭმა ყველაზე მოზრდილი ქვა შეარჩია ჯიბეში და ესროლა.

- ზურგში მესვრით? მართალი უთქვამთ ბიჭებს, თქვენ ხალხს ქურდულად ესხმით თავს? - ისევ მიუტრიალდა ალიოშა, მაგრამ ამ დროს ბიჭმა კვლავ ისეთი გაშმაგებით ესროლა ქვა, ხელი რომ არ მიეშველებინა, შიგ სახეში მოხვდებოდა. ქვა იდაყვზე მოხვდა.

- როგორ არ გრცხვენიათ! რა დაგიშავეთ?! - იყვირა მან.

ბიჭი ჩუმად და გამომწვევად იცდიდა, როდის დაესხმებოდა ალიოშა თავს. როცა მიხვდა, ალიოშა არაფერს უპირებდა, უფრო გაცოფდა, ადგილს მოსწყდა და მხეცივით ეცა ალიოშას, რომელმაც განძრევაც კი ვერ მოასწრო. გაავებულმა ბიჭმა თავი დახარა, ორივე ხელით ალიოშას მარცხენა ხელი ჩაბღუჯა და მწარედ უკბინა შუა თითზე. ათი წამი მაინც ჰქონდა ალიოშას ხორცში ჩარჭობილი კბილები. ალიოშამ ტკივილისაგან იღრიალა და თითის გამოგლეჯა მოინდომა. როგორც იქნა, ბავშვმა გაუშვა და უკან გადახტა. ალიოშას თითზე, პირდაპირ ფრჩხილთან, ღრმად ძვალამდე ჰქონდა ნაკბენი, ჭრილობიდან სისხლი სდიოდა და ძალიან სტკიოდა. ცხვირსახოცი ამოიღო და იარა მაგრად გადაიხვია. ერთი წუთის განმავლობაში მაინც იხვევდა. ბიჭი კი იდგა და იცდიდა. ბოლოს, როგორც იქნა. ალიოშამ თავი ასწია და მშვიდად შეხედა მას.

- გატყობთ, კმაყოფილი ხართ, - უთხრა მან, - ხედავთ, როგორ მწარედ მიკბინეთ,

ხომ ხართ ახლა კმაყოფილი, ასე არ არის? ახლა მითხარით, რა დაგიშავეთ?

ბიჭი გაკვირვებული უყურებდა.

- მე თქვენ არ გიცნობთ, პირველად გხედავთ, - ისევ მშვიდად გააგრძელა ალიოშამ, - შეუძლებელია, თქვენთვის არაფერი დამეშავებინოს, ტყუილად ხომ არ მიკბენდით. მაშ ასე, მითხარით, რა დაგიშავეთ, რა დანაშაული მიმიძღვის თქვენ წინაშე, თქვით?

პასუხის მაგივრად ბიჭს ქვითინი აუვარდა და გაიქცა. ალიოშა მას მშვიდად გაჰყვა კვალდაკვალ, მიხაილოვსკის ქუჩაზე. დიდხანს ხედავდა, როგორ უკანმოუხედავად გარბოდა იგი და ისევ გულამოსკვნილი ხმამაღლა ტიროდა. ალიოშამ გადაწყვიტა, როგორც კი გამონახავდა დროს, აუცილებლად მოძებნიდა მას და გაარკვევდა ამ საოცარ გამოცანას. ახლა ამისთვის არ ეცალა.

IV ხოხლაკოვებთან

მალე ალიოშა ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სახლს მიუახლოვდა. ეს იყო ქალბატონ ხოხლაკოვას საკუთარი, ორსართულიანი, ქვით ნაგები ლამაზი შენობა. უმეტესწილად, ქალბატონი ხოხლაკოვა სხვა გუბერნიაში, თავის მამულში, ან თავის მოსკოვურ სახლში ცხოვრობდა, ჩვენი ქალაქის სახლი მას მამა-პაპისგან დარჩა. გარდა სახლისა, ჩვენს მაზრაში ყველაზე დიდი მამული ჰქონდა იმ სამ მამულს შორის, რომელიც საერთოდ ეკუთვნოდა. აქამდე ჩვენს გუბერნიაში იგი იშვიათად ჩამოდიოდა. ქალბატონი ხოხლაკოვა ალიოშას წინკარში შეეგება.

- მიიღეთ, მიიღეთ წერილი ახალი სასწაულის შესახებ? - ჩქარ-ჩქარა და ნერვიულად წარმოთქვა მან.

- დიახ, მივიღეთ.

- გაავრცელეთ, ყველას ანახეთ? მან დედას შვილი დაუბრუნა!

- იგი დღეს აღესრულება, - თქვა ალიოშამ.

- გავიგე, ვიცი, ო, როგორ მწყურია თქვენთან საუბარი! თქვენთან ან ვინმესთან ყველაფერ ამის თაობაზე. არა, თქვენთან, თქვენთან! როგორ ვწუხვარ, მისი ნახვა რომ არ შემიძლია! მთელი ქალაქი აღელვებულია, ყველა რაღაცის მოლოდინშია. ახლა კი... იცით, ჩვენთან კატერინა ივანოვნა ბრძანდება?

- ოი, რა კარგია! - შესძახა ალიოშამ, - მასაც ვნახავ, გუშინ მთხოვა, აუცილებლად შემევლო.

- ყველაფერი ვიცი, ყველაფერი. ყველაფერი, უკანასკნელ წვრილმანამდე ვიცი, რაც მას გადახდა... იმ საშინელებებზე, იმ საზიზღარ დედაკაცზე. c'est tragique[52]

მის ადგილას არც კი ვიცი, რას მოვიმოქმედებდი! თქვენი ძმა, დმიტრი ფიოდოროვიჩი, კარგი ვინმე ყოფილა, ღმერთო ჩემო! ალექსეი ფიოდოროვიჩ, სულ დავიბენი, წარმოგიდგენიათ: იქ, მასთან ახლა ზის თქვენი ძმა, ის კი არა, გუშინდელ საშინელ ამბავთან რომ არის დაკავშირებული, მეორე, ივან ფიოდოროვიჩი, მასთან ერთად ზის და ლაპარაკობენ, საუბარი კი საგანგებო აქვთ... თქვენ რომ იცოდეთ, რა ხდება მათ შორის, - ეს საშინელებაა, ეს, ჩემი აზრით, ტანჯვა-ვაებაა, ეს საშინელი ზღაპარია, რომლის დაჯერება არაფრით შეიძლება: ორივე თავს იღუპავს და კაცმა არ იცის, რისთვის, თანაც ორივე ტკბება ამით. მე თქვენ გელოდით! ერთი სული მქონდა, როდის გნახავდით! ამის ატანა არ შემიძლია. ახლავე ყველაფერს გიამბობთ, მაგრამ ჯერ სხვა რამ, ყველაზე მთავარი, - ოი, სულ გადამავიწყდა ყველაზე მთავარი: მითხარით, რატომ დაემართა Lise-ს ისტერიკა? როგორც კი თქვენი მოსვლის ამბავი შეიტყო, იმწამსვე ისტერიკა დაეწყო!

- Maman, ეს თქვენა გაქვთ ახლა ისტერიკა, მე კი არა, - უცებ გვერდით ოთახიდან გაისმა Lise-ს მოტიტინე ხმა. კარი ოდნავ იყო გაღებული, ხმა კი მიკნავებული, ისეთი, როცა ძალიან გინდა სიცილი და ყველა ღონეს ხმარობ, არ გაგეცინოს. სწორედ აქედან, უთვალთვალებდა ალბათ სავარძელში მჯდომარი Lise. მაგრამ ამის დანახვა ალიოშას არ შეეძლო.

- არაა გასაკვირი, Lise, სავსებით ბუნებრივია... შენი კაპრიზების გადამკიდეს ისტერიკა მექნება, აბა რა. Lise კი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ის ისევ ავადაა, მთელი ღამე ავად იყო, სიცხე ჰქონდა, კვნესოდა! ძლივს გავათიე ღამე გათენების და ჰერცენშტუბეს მოლოდინში. მან კი განაცხადა, არაფერი მესმის, საჭიროა კიდევ მოვიცადოთო. ამ ჰერცენშტუბემ ყოველთვის ასე იცის, მოვა და განაცხადებს, რომ არაფერი ესმის. როგორც კი თქვენ ჩვენს სახლს მოუახლოვდით, Lise-მ იკივლა და შეტევა დაეწყო, შემდეგ მთხოვა, აქ, თავის ძველ ოთახში გადამეყვანა.

- დედა, მე სულაც არ ვიცოდი, ეგ თუ მოდიოდა, მაგის გამო არ მითხოვია ამ ოთახში გადმოყვანა.

- ეს უკვე არ არის მართალი: შენთან იულიამ მოირბინა და გითხრა, ალექსეი ფიოდოროვიჩი მოდისო, შენ იგი სათვალთვალოდ გყავდა დაყენებული.

- ჩემო ძვირფასო დედა, ეს ვერაფერი მახვილგონიერებაა თქვენი მხრიდან. მაგრამ თუ გსურთ, გამოასწოროთ თქვენი შეცდომა, ახლავე მოახსენეთ მოწყალე ხელმწიფეს - ალექსეი ფიოდოროვიჩს, რომ არც ის გამოირჩევა მახვილი გონებით, მან ეს დაამტკიცა: მიუხედავად იმისა, რომ გუშინ ყველა დასცინოდა მას, დღეს ჩვენთან მოსვლა მაინც გაბედა.

- Lise, შენ ძალიან ბევრს ბედავ! მერწმუნე, ბოლოს და ბოლოს, ერთხელაც იქნება დაგსჯი. ვინ დასცინოდა მას?! მე ისე მოხარული ვარ მისი მობრძანებით, იგი მჭირდება, ძალიან მჭირდება. ვაიმე, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ძალიან უბედური ვარ!

- რა მოგვივიდათ, დედილო?

- შენი გაუთავებელი კაპრიზები, Lise, შენი ავადმყოფობა, ეს საშინელი ღამე, ეს საშინელი ჰერცენშტუბე და მასთან გაუთავებელი ურთიერთობა - რაც მთავარია, მასთან გაუთავებელი ურთიერთობა! დაბოლოს ყველაფერი, ყველაფერი... ახლა კიდევ ეს სასწაული! ვაი, როგორ შემაძრწუნა, როგორ შემაშფოთა ამ სასწაულმა, ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ! ახლა კიდევ იქ, სასტუმრო ოთახში ტრაგედია ტრიალებს, ამის ატანა აღარ შემიძლია, არ შემიძლია, მე თქვენ წინასწარ გიცხადებთ, არ შემიძლია! ეს ყველაფერი კომედია უფროა, ვიდრე ტრაგედია. ერთი ეს მითხარით, ბერი ზოსიმა ხვალამდე გაატანს, გაატანს? ღმერთო ჩემო! ეს რა მომდის, წამიერად ვხუჭავ თვალებს და ვხედავ, ყველაფერი სისულელეა, სისულელე!

- ძალიან გთხოვთ, - შეაწყვეტინა უცებ ალიოშამ, - მომცეთ სუფთა ჩვარი, ხელი მინდა შევიხვიო. გავიჭერი და ძალიან მტკივა.

ალიოშამ ნაკბენი თითი გამოაჩინა. ცხვირსახოცი სისხლით იყო მოსვრილი. ქალბატონმა ხოხლაკოვამ შეჰკივლა და თვალები დახუჭა.

- ღმერთო ჩემო, როგორი ჭრილობაა, პირდაპირ საშინელებაა!

როგორც კი ღრიჭოდან Lise-მ დაინახა ალიოშას თითი, მაშინვე მთელი ძალით გააღო კარი.

- შემოდით, შემოდით ჩემთან, - დაჟინებით და ბრძანებით დაუყვირა მან, - ყოველგვარი სისულელეების გარეშე! ღმერთო ჩემო, ამდენ ხანს რატომ იდექით და დუმდით? დედა, ხომ შეიძლებოდა სისხლისაგან დაცლილიყო! სად გაიჭერით, როგორ დაგემართათ? წყალი, წყალი მოიტანეთ! ჯერ იარა უნდა მოვბანოთ, უბრალოდ ჩაყავით ცივ წყალში, ტკივილი გაგიყუჩდებათ, დიდხანს უნდა გქონდეთ წყალში. ჩქარა წყალი, ჩქარა, დედა, ხელის გადასაბანი ჯამი, ჩქარა-მეთქი, - ნერვიული ყვირილით დაასრულა მან. გოგონა ძალიან შეშინებული იყო, ალიოშას ჭრილობამ შეაძრწუნა იგი.

- ხომ არ გავაგზავნო ვინმე ჰერცენშტუბეს მოსაყვანად? - შეჰყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ.

- დედა, თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ. თქვენი ჰერცენშტუბე მოვა და იტყვის არაფერი მესმისო! წყალი, წყალი! დედა, ღვთის გულისათვის, თქვენ თვითონ წადით, დააჩქარეთ იულია, ალბათ სადმე ლაპარაკს გადაჰყვა. არასოდეს დროზე არ იცის მოსვლა! ჩქარა, დედა, ჩქარა, თორემ ამოვიდა სული...

იულიამ წყლიანი ჯამით მოირბინა. ალიოშამ წყალში თითი ჩაყო.

- დედა, ღვთის გულისათვის, მოიტანე სახვევი; სახვევი და ის მღვრიე სითხე, ჭრილობის მოსაბანი, რა ჰქვია! ჩვენ გვაქვს, გვაქვს... დედა, იცი, რაზე ვამბობ, სად არის ფლაკონი, მგონი თქვენს საძინებელშია, კარადის მარჯვენა კუთხეში, იქ არის დიდი ფლაკონი და სახვევი...

- ახლავე მოვიტან ყველაფერს, Lise, ოღონდ ნუ ყვირი და ნუ ღელავ. ხომ ხედავ,

როგორ ვაჟკაცურად იტანს ალექსეი ფიოდოროვიჩი თავის უბედურებას. მაინც სად გაიჭერით ასე საშინლად, ალექსეი ფიოდოროვიჩ!

ქალბატონი ხოხლაკოვა სწრაფად გავიდა. Lise სწორედ ამას უცდიდა.

- უპირველეს ყოვლისა, მიპასუხეთ, - სხაპასხუპით ალაპარაკდა Lise, - სად გაიჭერით თითი? შემდეგ ვილაპარაკოთ სულ სხვა თემაზე. აბა!

ალიოშამ ინსტინქტით იგრძნო, რომ გოგონასათვის დრო საკმაოდ ძვირფასი იყო, სანამ დედამისი დაბრუნდებოდა. ჩქარა-ჩქარა, ბევრი რამის გამოტოვებით, თუმცა კონკრეტულად და ნათლად მოუყვა Lise-ს ბიჭებთან იმ უცნაური შეხვედრის ამბავს. Lise-მ მოუსმინა ალიოშას და აღშფოთებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა.

- როგორ შეიძლება თქვენთვის, თანაც ამ სამოსში, ბიჭ-ბუჭებთან ურთიერთობა! - განრისხებულმა უკივლა გოგონამ, თითქოს რაიმე უფლებები ჰქონდა მასზე, - ამის შემდეგ თქვენ თავად ლაწირაკი ხართ, პატარა ბიჭუნა! ისე კი აუცილებლად გაიგეთ იმ საძაგელი ბიჭის ვინაობა და მერე ყველაფერი მიამბეთ. მე მგონია, აქ რაღაც საიდუმლოა. ახლა კი ჯერ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ: შეგიძლიათ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მიუხედავად ტკივილისა, დინჯად ილაპარაკოთ უმნიშვნელო რამეებზე.

- შემიძლია, მაინცდამაინც არც ტკივილი მაწუხებს.

- ეს იმიტომ, თითი წყალში გაქვთ ჩაყოფილი. წყალი უკვე გამოსაცვლელია, უცბად თბება. იულია, სასწრაფოდ ამოიტანე სარდაფიდან ყინულის ნაჭერი და ახალი წყალი. ახლა რახან იულია გავიდა, სასწრაფოდ საქმეზე ვილაპარაკოთ: ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, ნება იბოძეთ და უკან დამიბრუნეთ ჩემი წერილი, გუშინ რომ მიიღეთ ჩემგან, - სწრაფად, თორემ მალე დედა დაბრუნდება, მე კი არ მინდა...

- წერილი თან არ მაქვს.

- ტყუით, თან გაქვთ. ვიცოდი, ასე რომ მიპასუხებდით. ის თქვენ ამ ჯიბეში გიდევთ. მთელი ღამე ვნანობდი ამ სულელური ხუმრობის გამო. დამიბრუნეთ წერილი, ახლავე მომეცით!

- იქ დამრჩა.

- თქვენ არ შეგიძლიათ იმ წერილის შემდეგ კიდევ პატარა გოგონად მთვლიდეთ, იმ სულელური ხუმრობის შემდეგ! მე ბოდიშს ვიხდი იმ სულელური ხუმრობის გამო, მაგრამ წერილი აუცილებლად უნდა მომიტანოთ, თუ ახლა თან არა გაქვთ, დღესვე აუცილებლად უნდა მომიტანოთ!

- დღეს ვერა, მონასტერში უნდა დავბრუნდე. იქიდან კი ალბათ ორი-სამი-ოთხი დღის შემდეგ თუ შევძლებ წამოსვლას, რადგან ბერი ზოსიმა...

- ოთხი დღე, რა სისულელეა! მითხარით, ბევრი იცინეთ ჩემზე?

- სულაც არ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ყველაფერი დავიჯერე.

- შეურაცხყოფას მაყენებთ!

- სულაც არა. წავიკითხე და გავიფიქრე: ყველაფერი ასე იქნება-მეთქი. ბერი ზოსიმას სიკვდილის შემდეგ მონასტრიდან წამოვალ. მერე გავაგრძელებ კურსს და ჩავაბარებ გამოცდას. როცა დრო მოვა, ჩვენ დავქორწინდებით. მე თქვენ მეყვარებით, თუმცა ჯერ ვერ მოვიცალე ამაზე საფიქრელად. თქვენზე უკეთეს ცოლს, მგონია, ვერსად ვიპოვი, გარდა ამისა ბერმაც მიბრძანა, დაქორწინდიო...

- მე ხომ მახინჯი ვარ, სავარძლით დამატარებენ! - გაიცინა Lise-მ და ლოყები წამოუწითლდა.

- მე თავად გატარებთ სავარძლით, მაგრამ მჯერა, მანამდე ფეხზე დადგებით.

- თქვენ გიჟი ხართ, - ნერვიულად ჩაილაპარაკა Lise-მ. - ასეთი ხუმრობიდან ამნაირ გადაწყვეტილებამდე მიხვედით!... აგერ დედაც მოვიდა, დროზე, დედა, თქვენ ყოველთვის იგვიანებთ ხოლმე, განა შეიძლება ასე დაგვიანება! აგერ, იულიაც, ყინული მოაქვს!

- კარგი, Lise, ნუ ყვირი. მთავარია - ნუ ყვირი... ამ ყვირილისაგან... რა მექნა, შენ სახვევი სხვა ადგილას შეგიტენია... ვეძებე, ვეძებე... ეჭვი მაქვს, განგებ გააკეთე ეს.

- მე ხომ არ ვიცოდი, დღეს რომ დაკბენილი ალექსეი ფიოდოროვიჩი გვეწვეოდა, თორემ ალბათ მართლა განგებ გავაკეთებდი. ჩემო ანგელოზო დედილო, თქვენ ძალიან ჭკვიანურ რაღაც-რაღაცებს ამბობთ.

- დიახაც ჭკვიანურია, მაგრამ შენ რა დაგემართა, ეს რა გრძნობებია, ალექსეი ფიოდოროვიჩის თითის გამო! ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, მე მკლავს არა კერძოდ ვიღაც ჰერცენშტუბე, არამედ ყველაფერი ერთად, ერთიანად. აი, რას ვერ ვიტან.

- გეყოფათ, გეყოფათ დედილო, ჰერცენშტუბეზე ლაპარაკი, - მხიარულად გადაიკისკისა Lise-მ, - მომეცით ჩქარა სახვევი, დედა, წყალი.! ეს არის ტყვიის წყალი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ახლა გამახსენდა მისი სახელწოდება, ეს მშვენიერი წყალია. დედა, წარმოგიდგენიათ, მან ქუჩაში ბიჭ-ბუჭებთან იჩხუბა. ვიღაც ლაწირაკმა უკბინა. პატარა ხომ აღარ არის, პატარა ხომ აღარ არის, განა შეიძლება ამის შემდეგ ამან ცოლის შერთვა მოინდომოს?! თქვენ წარმოგიდგენიათ მას ცოლის შერთვა სურს, დედა. თქვენ შეგიძლიათ იგი ცოლიანი წარმოიდგინოთ, განა სასაცილო არ არის ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს?!

კვლავ გაისმა Lise-ს ნერვიული ხითხითი, იგი ეშმაკურად შესცქეროდა ალიოშას.

- რომელ ცოლის მოყვანაზეა ლაპარაკი, Lise, საიდან მოიტანე, უადგილოა ახლა

შენი სიცილი... შესაძლოა, ის ბიჭი ცოფიანი იყო.

- კარგი რა, დედა, განა არსებობენ ცოფიანი ბიჭები?

- როგორ არ არსებობენ, მე რა, გგონია სისულელე ვთქვი? იმ ბიჭს შეიძლება ცოფიანმა ძაღლმა უკბინა, ამის შემდეგ გაცოფდა. მას შეუძლია თავის ახლოს მდგომ ვინმეს უკბინოს. როგორ კარგად გადაგიხვიათ თითი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, Lise-მ, მე ასე კარგად ვერასოდეს შევძლებდი. გტკივათ კიდევ?

- ცოტათი...

- თქვენ წყლის არ გეშინიათ? - ჰკითხა ლიზამ.

- გეყოფა, Lise, შეიძლება მე ცოტა ავჩქარდი, როცა ცოფიან ბიჭზე დავიწყე ლაპარაკი. შენ კი უკვე დასკვნებს აკეთებ. კატერინა ივანოვნამ ახლა გაიგო თქვენი მოსვლის ამბავი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, გადმომცა, რომ თქვენი ნახვა სწყურია, სწყურია.

- კარგი, დედა, თქვენ მიდით მასთან, ამას ახლა არ შეუძლია, ხელი სტკივა და ძალიან იტანჯება.

- სულაც არ ვიტანჯები, შემიძლია წასვლა, - თქვა ალიოშამ.

- როგორ! მიდიხართ? ასე? ასე?

- რას იზამ? როცა იქ მოვათავებ, მოვბრუნდები და მაშინ რამდენიც გინდათ, იმდენი ვილაპარაკოთ. ახლა კი ძალიან მსურს კატერინა ივანოვნას ნახვა, იმიტომ რომ ასევე ძალიან მინდა დღესვე მონასტერში დაბრუნება.

- დედა, წაიყვანე მალე აქედან, ჩქარა მომაშორეთ! ალექსეი ფიოდოროვიჩ, თავს ნუ შეიწუხებთ, კატერინა ივანოვნას ნახვის შემდეგ ჩემთან ნუ შემოივლით, პირდაპირ მონასტერში წადით, ჯანდაბამდე გზა გქონიათ! მეძინება, მთელი ღამე არ მიძინია.

- ვაიმე, დედა გენაცვალოს, შენ ხუმრობ, მაგრამ ისე კი კარგი იქნება ცოტა წაიძინო! - შესძახა ქალბატონმა ხოხლაკოვამ.

- არ ვიცი, რით ვერ... გინდათ, დავრჩები კიდევ სამი წუთი, თუ გინდათ ხუთი წუთი, - წაილუღლუღა ალიოშამ.

- ხუთ წუთსო! ჩქარა მომაშორეთ აქედან, დედა, ეს ურჩხული!

- Lise, ხომ არ გაგიჟდი. წავიდეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, დღეს ეს ქალბატონი ძალიან ჭირვეულია. მისი განერვიულების მეშინია. უბედურებაა ნერვიულ ქალთან ურთიერთობა, ალექსეი ფიოდოროვიჩ. ისე კი, მართლაც, თქვენი თანდასწრებით მოუნდა ძილი. როგორ მოახერხეთ და ასე მალე როგორ მოჰგვარეთ ძილი, რა ბედნიერებაა!

- რა კარგადა თქვით, დედიკო, გკოცნი, დედიკო.

- მეც. მისმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, - საიდუმლოდ ჩქარა-ჩქარა ჩაუჩურჩულა გზადაგზა ქალბატონმა ხოხლაკოვამ. - მე თქვენ თავს არაფერს გახვევთ, არაფერს გეტყვით, თქვენ თავად შეხვალთ შიგნით და იხილავთ ყოველივეს, რაც იქ ხდება. ეს საშინელებაა, ეს ფანტასტიკური კომედიაა: კატერინა ივანოვნას უყვარს თქვენი ძმა, ივან ფიოდოროვიჩი, თავს კი ირწმუნებს, რომ დმიტრი ფიოდოროვიჩი უყვარს. საშინელებაა, საშინელება! მე თქვენთან ერთად შემოვალ და თუ არ გამომაგდებენ, ბოლომდე იქ დავრჩები.

V ტანჯვა-ვაება სასტუმრო ოთახში

სასტუმრო ოთახში საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა; კატერინა ივანოვნა ძალიან აღგზნებული იყო, თუმცა შეუპოვარი გამომეტყველება ჰქონდა. როცა ალიოშა და ქალბატონი ხოხლაკოვა ოთახში შევიდნენ, ივანი წასასვლელად ემზადებოდა. ალიოშა ივანის გაფითრებულმა სახემ შეაშფოთა. საქმე ის გახლდათ, რომ ახლა აქ ალიოშასათვის ნათელი უნდა მოჰფენოდა ერთობ შემაშფოთებელ, ჯერ დაუზუსტებელ რამეს, რომელიც უკვე კარგა ხანია აწუხებდა. ამ ერთი თვის წინათ მას არაერთხელ, სხვადასხვა ადგილას უთხრეს - ივანს კატერინა უყვარს და, რაც მთავარია, ნამდვილად სურს, იგი მიტიას წაართვასო. უკანასკნელ წუთებამდე ალიოშას ეს წარმოუდგენლად მიაჩნდა, თუმცა ჭორი ძალიან აღელვებდა. მას ორივე ძმა უყვარდა და შიში იპყრობდა მათ შორის ასეთი მეტოქეობის გამო. ამას გარდა, გუშინ დმიტრიმ პირდაპირ განუცხადა: მოხარული ვიქნები, თუკი ივანი შემეცილება, იმიტომ რომ ეს ბევრ რამეში დამეხმარებაო. რაში დაეხმარება? გრუშენკა რომ შეირთოს? ალიოშას საქმის ასეთი დასასრული საძაგელ და უმსგავს საქციელად მიაჩნდა. ამის მიუხედავად, ალიოშას გუშინ საღამომდე ღრმად სწამდა, რომ კატერინას დმიტრი გაგიჟებით უყვარდა, - ეს მხოლოდ გუშინ საღამომდე სჯეროდა. ამას გარდა, ალიოშას რატომღაც ეჩვენებოდა, რომ კატერინას ივანისნაირი კაცი არ უნდა ჰყვარებოდა, მას მხოლოდ მიტია უყვარდა, ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო. გუშინ კი, კატერინასა და გრუშენკას შორის მომხდარი სკანდალის დროს, მას სხვანაირად მოეჩვენა. ახლახან ქალბატონ ხოხლაკოვას მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ - „ტანჯვა-ვაებამ“ ალიოშა შეაკრთო. წუხელ, უფრო სწორად განთიადისას, მან, ნახევრადმთვლემარემ, ეტყობა, სიზმრის პასუხად წარმოთქვა: „ტანჯვა და ვაება, ტანჯვა და ვაება!“ სიზმარში კი მთელი ღამე კატერინასთან მომხდარი სკანდალური სცენები ელანდებოდა. ახლა კი გააოგნა ქალბატონი ხოხლაკოვას მიერ პირდაპირმა და დაჟინებულმა ნათქვამმა, რომ კატერინას ივანი უყვარს და თავად განგებ, რაღაც თამაშის თუ „ტანჯვა-ვაების“ გულისათვის თავს იტყუებს და ეწამება, ვითომ მიტია უყვარს რაღაცის სამადლობელად. „იქნებ მართლაც ასეა,“ - ფიქრობდა ალიოშა. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, როგორია ივანის მდგომარეობა? ალიოშა რაღაცა ინსტინქტით გრძნობდა, ისეთი ხასიათის პატრონი, როგორიც კატერინაა, მუდამ სხვაზე გავლენის მოპოვება რომ სურს, თავისი მბრძანებლობა შეუძლია მოახვიოს მხოლოდ ისეთ ხალხს, როგორიც მიტიაა და არა ივანი. რადგან დმიტრი (მართალია, დიდი ხნის შემდეგ), „საკუთარი ბედნიერებისათვის“

ბოლოს და ბოლოს, დაჰყვებოდა მის ნებას (ეს ალიოშასაც სურდა). ივანი კი არაფრის დიდებით! იგი ვერ შეძლებდა მის მორჩილებას, მაგრამ თუკი მსგავსი რამ მოხდებოდა, ეს მისთვის დიდი უბედურება იქნებოდა. ივანზე ასეთი აზრი ალიოშას მოულოდნელად ჩამოუყალიბდა. ამას ფიქრობდა ალიოშა, როცა ფეხი სასტუმრო ოთახში შედგა. მოულოდნელად კიდევ ერთმა აზრმა შეიპყრო მისი გონება: „იქნებ კატერინას არც ერთი არ უყვარს, არც ივანი და არც დმიტრი?“ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ალიოშას ასეთი ფიქრების რცხვენოდა და ბოლო ხანებში, როცა ასეთი რამ მოაფიქრდებოდა, თავს ჰკიცხავდა: „ნეტა, სიყვარულისა და ქალების მე რა გამეგება, როგორ შემიძლია ასეთი დასკვნების გამოტანაო“. თუმცა რომ არ ეფიქრა, ისიც არ შეეძლო. გუმანით გრძნობდა, რომ ორივე ძმის ბედ-იღბლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მეტოქეობას, მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. „ერთი მურდალი მეორე მურდალს შესანსლავსო,“ - გუშინ ასეთი რამ განაცხადა ივანმა, როცა მამასა და დმიტრიზე გაღიზიანებული ლაპარაკობდა. რა გამოდის - დმიტრი მისთვის მურდალია? მას შემდეგ ხომ არა, რაც ივანმა კატერინა გაიცნო? ეს სიტყვები უცებ წამოროშა ივანმა, მაგრამ სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ წამოსცდა. ეს თუ ასეა, მაშინ რა ხდება, ხალხო? ახალი საბაბი სიძულვილისა და მტრობისა ხომ არ გაჩნდა მათ ოჯახში? მთავარი ახლა ისაა, ვინ შეიცოდოს ალიოშამ? რა უსურვოს თითოეულს? მას ორივე უყვარს, მაგრამ რა უსურვოს თითოეულს ცალ-ცალკე ასეთი საშინელი დაპირისპირების დროს? ასეთ უთავბოლობაში შეიძლება თავგზა აგერიოს, ალიოშა კი გაურკვევლობას ვერ იტანდა, რადგან მისი სიყვარულის ხასიათი ყოველთვის ქმედითი იყო. პასიური სიყვარული მას არ შეეძლო. რა წუთიდანაც ალიოშა კაცს შეიყვარებდა, იმ წუთიდანვე იწყებდა მის დახმარებას. ამისათვის საჭირო იყო მიზნის დასახვა, აუცილებელი იყო, კარგად სცოდნოდა, ვის რა სჭირდებოდა, ვის რა სიამოვნებდა და როცა თავისი მიზნის მართებულობაში დარწმუნდებოდა, დახმარებას შეუდგებოდა ხოლმე. მაგრამ ახლა მტკიცე მიზნის მაგივრად, ყველაფერში გაურკვევლობა და უთავბოლობაა, ანუ „ტანჯვა-ვაებაო“ ითქვა ახლახან. როგორ გაერკვეს იგი ამ ვნებებში, როცა ყველაფერ ამ უთავბოლობის აღმნიშვნელი სიტყვაც არ ესმის!

ალიოშას ნახვით გახარებულმა კატერინამ სხაპასხუპით მიმართა ივანს, რომელიც უკვე ფეხზე იდგა და წასასვლელად ემზადებოდა:

- ერთი წუთით! კიდევ ერთი წუთი დარჩით. მინდა ამ კაცის აზრი გავიგო, კაცისა, რომლისაც მთელი ჩემი არსებით მჯერა. კატერინა ოსიპოვნა, ნურც თქვენ წახვალთ, - უთხრა მან ქალბატონ ხოხლაკოვას. კატერინამ ალიოშა გვერდით მოისვა, ხოლო ქალბატონი ხოხლაკოვა მათ პირდაპირ, ივანის ახლოს ჩამოჯდა.

- აქ ყველა ჩემი მეგობარი ხართ, ყველანი, ვინც კი ამქვეყნად გამაჩნია, ჩემო ძვირფასებო, - გულმხურვალედ ხმააკანკალებულმა დაიწყო მან და თვალებში გულწრფელი, ნაწამები ადამიანის ცრემლები აუკიაფდა. ალიოშას კვლავ მოუბრუნდა გული მისკენ. - თქვენ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენ იყავით მოწმე გუშინდელი ამბის... იმ საშინელების და იხილეთ, რა დღეში ჩავვარდი. თქვენ არ გინახავთ, ივან ფიოდოროვიჩ, ამან ნახა. რა გაიფიქრა გუშინ მან ჩემზე - არ ვიცი, ის კი ვიცი: თუკი დღეს იგივე განმეორდა, მე ისეთივე რეაქცია მექნება, ისევ იმ

სიტყვებს ვიტყვი, ისევ ის გრძნობები მექნება და იგივე მიხვრა-მოხვრა, როგორიც
გუშინ მქონდა. თქვენ გახსოვთ გუშინდელი ჩემი ქცევა, ალექსეი ფიოდოროვიჩ,
თქვენ შემაჩერეთ ერთ მომენტში... (როცა ამას ამბობდა, სახეზე სიწითლემ
გადაუარა და თვალები აუციმციმდა) გიცხადებთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მე არ
ვიცი, ახლა მიყვარს თუ არა ის. მე იგი მეცოდება, ეს კი ცუდი სიყვარულია. მე რომ
ის მყვარებოდა, ან ახლა მიყვარდეს, მაშინ ალბათ არ შემეცოდებოდა, პირიქით,
შევიძულებდი...

ხმა აუკანკალდა და წამწამებთან ცრემლები მოადგა. ალიოშა შუწუხდა: „ეს ქალი
არ ტყუის, გულწრფელია, - გაიფიქრა მან, - მას... მას დმიტრი აღარ უყვარს!“

- ეს ასეა! ასე! - შეჰყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ.

- მოითმინეთ, ძვირფასო კატერინა ოსიპოვნა, მთავარი არ მითქვამს... აი, რა
გადავწვიტე წუხელ. კარგადა ვგრძნობ ჩემი გადაწყვეტილების საშინელებას,
მაგრამ ისიც კარგად ვიცი, მე მას არაფრის დიდებით შევცვლი, არაფრის
გულისათვის, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ასე იქნება. ჩემი ძვირფასი,
დიდსულოვანი და მუდმივი მრჩეველი, გულის მესაიდუმლე და ერთადერთი
მეგობარი, ივან ფიოდოროვიჩი იწონებს ჩემს გადაწყვეტილებას... მან ყველაფერი
იცის.

- დიახ, მე ვიწონებ მას, - წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა ივანმა.

- მინდა, ალიოშამ (ვაიმე, მაპატიეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ასეთი
ფამილიარობა), ალექსეი ფიოდოროვიჩმა, ახლავე მითხრას, ორივე ჩემი
მეგობრის თანდასწრებით - მართალი ვარ თუ არა? მე გუმანით ვგრძნობ, ალიოშა,
ჩემო ძვირფასო ძმაო (თქვენ ჩემი ძმა ხართ), - კვლავ აღფრთოვანებით
წარმოთქვა მან და თავისი მხურვალე ხელი ალიოშას ხელს წაავლო, - ვგრძნობ,
თქვენი გადაწყვეტილება, თქვენი მხარდაჭერა, მიუხედავად ჩემი ტანჯვა-
წამებისა, სიმშვიდეს მომანიჭებს, თქვენი სიტყვების შემდეგ დავწყნარდები და
შევურიგდები ჩემს ყოფას - მე ამას ვგრძნობ!

- მე არ ვიცი, რასა მთხოვთ, - წარმოთქვა სახეანთებულმა ალიოშამ, - მხოლოდ ის
ვიცი, რომ მიყვარხართ და მსურს, ბედნიერი იყოთ იმაზე მეტად, ვიდრე ჩემს თავს
ვუსურვებდი! მაგრამ ასეთ საქმეებში მე არაფერი გამეგება... - უცებ რატომღაც
სასწრაფოდ დაუმატა მან.

- ასეთ საქმეებში, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ასეთ საქმეებში მთავარი ღირსება და
მოვალეობაა; არ ვიცი კიდევ რა, მაგრამ ალბათ რაღაც უფრო დიდი,
მოვალეობაზე მეტი. გული მითქვამს ამ დაუძლეველ გრძნობაზე და იგი
განსაკუთრებით მიზიდავს. მოკლედ, რაღა გავაგრძელო, გადავწყვიტე: თუ იგი
იმ... ნაგავს შეირთავს, - დაიწყო მან დიდის ამბით, - მე არასოდეს, არასოდეს
ვაპატიებ დმიტრის - მაგრამ მე მას მაინც არ მივატოვებ! მით უფრო ამის შემდეგ
არასოდეს, აღარასოდეს მივატოვებ! - აღმოხდა რაღაცნაირი ნაძალადევი
აღტაცებით. - ეს იმას არ ნიშნავს, რომ განუწყვეტლივ უკან ვდევ, მის სიახლოვეს
ვიტრიალებ და თავს მოვაბეზრებ, პირიქით, სხვა ქალაქში გადავალ, მაგრამ

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ყურადღების ცენტრში მეყოლება. როცა
იმასთან თავს უბედურად იგრძნობს და ეს აუცილებლად მოხდება, სულ მალე
მოხდება, დაე, მოვიდეს ჩემთან, მას დახვდება და და მეგობარი... მხოლოდ და
მხოლოდ და, რასაკვირველია, ეს ამიერიდან სამუდამოდ ასე იქნება. იგი
საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ეს და მისი მოყვარული, მთელი სიცოცხლე
მისთვის თავგადადებული და არის. მე იმას მივაღწევ, რომ მან, ბოლოს და
ბოლოს, გაიგოს, ვინა ვარ, იგი მოვა ჩემთან და მოურიდებლად გამანდობს
ყოველივეს! - გულგამგმირავი ხმით იყვირა ქალმა, - მე ვიქნები მისი ღმერთი, ის
ჩემზე ილოცებს, - ეს იქნება საზღაური ღალატისათვის და იმისათვის, რაც მე
გუშინ გადავიტანე. დაე, იგი მთელი თავის ცხოვრების მანძილზე ხედავდეს,
როგორი ერთგული ვარ მისი და მისთვის ერთხელ მიცემული სიტყვის,
მიუხედავად იმისა, რომ მან მიღალატა და სხვაში გამცვალა. მე ვიქნები... მე
გავხდები მისი ბედნიერების საშუალება (ან სხვანაირად როგორ ვთქვა),
ინსტრუმენტი, ბედნიერების მანქანა, და ასე იქნება სამუდამოდ, მთელი ჩემი
ცხოვრება: დაე, მან უყუროს ყოველივე ამას მთელი ცხოვრება! აი, ეს არის ჩემი
გადაწყვეტილება! ივან ფიოდოროვიჩი ყოველმხრივ მხარს უჭერს მას.

სუნთქვა ეკვროდა. შესაძლოა, უფრო ღირსეულად, უფრო ლამაზად და
ბუნებრივად უნდოდა თავისი აზრების გამოხატვა, მაგრამ ძალზე გაშიშვლებული
და ნაჩქარევი გამოუვიდა. ბევრი რამ ახალგაზრდული თავშეუკავებლობით იყო
თქმული, ბევრიც გუშინდელი წყენის გავლენით, ზოგიც სიამაყის გამო და ეს მან
თავადაც იგრძნო. უცებ სახე მოექუფრა, თვალები გაავებული გაუხდა. ალიოშამ
მაშინვე შეამჩნია ყოველივე და გული თანაგრძნობით აღევსო. სწორედ ამ დროს
ლაპარაკი ივანმა გააგრძელა.

- მე მხოლოდ ჩემი აზრი გამოვთქვი, - თქვა მან, - ყველა სხვას ეს ნაძალადევად
გათამაშებული სცენა გამოუვიდოდა. თქვენ კი, არა. სხვა მართალი არ იქნებოდა,
თქვენ კი მართალი ხართ. მე არ ვიცი, ყოველივე ამას როგორი მოტივაცია მივცე,
მაგრამ ერთს კი ვხედავ: თქვენ გულწრფელი ხართ, ამიტომ თქვენ მართალი
ხართ...

- მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ამ წუთს... ანდა რა არის ეს წუთი? მხოლოდ გუშინდელი
შეურაცხყოფა, - აი, რა არის ეს წუთი! - თავი ვეღარ შეიკავა ქალბატონმა
ხოხლაკოვამ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ საქმეში არ ჩარეულიყო,
მაგრამ ვეღარ მოითმინა და უცებ ძალიან მართებული აზრი გამოთქვა.

- დიახ, დიახ, - რაღაცნაირი აზარტით შეაწყვეტინა ივანმა, ეტყობოდა, გაბრაზდა
სიტყვა რომ გააწყვეტინეს, - დიახ, სწორედაც, სხვისთვის გუშინდელი
შთაბეჭდილება მხოლოდ ერთი წუთია, ხოლო კატერინა ივანოვნას ხასიათის
ადამიანისათვის ეს წუთი შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს. რაც
სხვისთვის მხოლოდ დაპირებაა, მისთვის სამუდამო, მძიმე, განუწყვეტელი
მოვალეობაა. იგი მთელი თავისი ცხოვრება ამ მოვალეობის აღსრულების იდეით
იარსებებს! კატერინა ივანოვნა, ამიერიდან თქვენი ცხოვრება საკუთარი
გრძნობების, თავდადებისა და მწუხარების მოწამებრივ ჭვრეტაში ჩაივლის,
გარკვეული დროის შემდეგ ეს ტანჯვა შეგიმსუბუქდებათ და თქვენ იგრძნობთ
სიამეს თქვენი მტკიცე და საამაყო ჩანაფიქრის ერთხელ და სამუდამოდ

აღსრულების გამო. ეს ჩანაფიქრი, მართლაც, საამაყოა, რამეთუ ის იქნება თქვენ მიერ გადადგმული და დაძლეული თავგანწირული ნაბიჯი. ამის შეგნება კი, ბოლოს და ბოლოს, სრულ კმაყოფილებას მოგანიჭებთ და შეგარიგებთ ყოველივე დანარჩენთან...

ივანი რაღაცნაირად გაბოროტებული ლაპარაკობდა, ალბათ განგებ, შესაძლოა მას არც უნდოდა დაეფარა თავისი სურვილი, რომ განზრახ ლაპარაკობდა ასე დაცინვით.

- ღმერთო ჩემო! სულაც არ არის მასე! - კვლავ წამოიძახა ქალბატონმა ხოხლაკოვამ.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვით რამე! ძალიან მინდა გავიგო, თქვენ რას მეტყვით! - იყვირა კატერინა ივანოვნამ და მოულოდნელად კურცხლები გადმოყარა. ალიოშა დივნიდან წამოდგა.

- ეს არაფერია, არაფერი! - ტირილით გააგრძელა მან, - ყველაფერი ნერვების ბრალია, წუხანდელი ნერვიულობის, მაგრამ ორ თქვენნაირ მეგობართან ახლოს მე ჯერ კიდევ კარგად ვგრძნობ თავს... იმიტომ რომ ვიცი... თქვენ არასოდეს მიმატოვებთ...

- სამწუხაროდ, მე ხვალვე მივემგზავრები მოსკოვში და კარგა ხნით ვეღარ გნახავთ... სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილია... - უცებ ჩაილაპარაკა ივანმა.

- ხვალ, მოსკოვში! - უცებ სახე შეეცვალა კატერინას, - ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა! - იყვირა უცებ სავსებით შეცვლილი ხმით, ცრემლები ისე გაუქრა, რომ მათი კვალიც არსად ჩანდა. ერთ წუთში მოხდა მასში ეს ცვლილება, რამაც განსაკუთრებით გააკვირვა ალიოშა. ერთი წუთის წინ მის წინაშე მდგარი, შეურაცხყოფისაგან სასოწარკვეთილი და ატირებული ქალიშვილის ნაცვლად, ახლა რაღაცით განსაკუთრებულად კმაყოფილი ქალი იდგა, რომელიც სავსებით ფლობდა თავს და რაღაცით გახარებული იყო.

- არა, ბედნიერება ის კი არ არის, თქვენ რომ გშორდებით, ცხადია, არა, - თავაზიანი ღიმილით შეასწორა მან, - თქვენნაირი მეგობარი ასე არ იფიქრებს; მე, პირიქით, უბედური ვიქნები, თქვენ რომ ახლოს არ მეყოლებით (უცებ ივანს ეცა, ორივე ხელი ხელებში ჩასჭიდა და მაგრად მოუჭირა), ბედნიერება ის არის, რომ თქვენ შეძლებთ, გადასცეთ აგაშასა და დეიდას ჩემი მდგომარეობა, ეს საშინელება. აგაშას დაწვრილებით მოუყევით, ხოლო დეიდას ყველაფერი არა, როგორც მოახერხოთ. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ვიყავი გუშინ და დღეს დილით, როცა ვფიქრობდი, რა და როგორ მიმეწერა მათთვის, რანაირი უნდა ყოფილიყო ეს საშინელი წერილი. რამეთუ წერილში ყოველივე ამას ვერ გადმოსცემ... ახლა კი ჩემთვის ადვილია წერილის დაწერა, თქვენ იქ იქნებით და ყველაფერს აუხსნით. ო, როგორ მიხარია! მხოლოდ ეს მიხარია, გთხოვთ, კარგად გამიგოთ. თქვენ ჩემთვის შეუცვლელი ხართ... ახლავე გავრბივარ წერილის დასაწერად, - დაასკვნა მან და ნაბიჯი გადადგა ოთახიდან გასასვლელად.

- ალიოშა? თქვენ ხომ ახლახან ძალიან გინდოდათ ალექსეი ფიოდოროვიჩის მოსაზრება მოგესმინათ? - იყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ. მის ხმაში გესლი და ბრაზი იგრძნობოდა.

- არ დამვიწყებია, - უცებ შეყოვნდა კატერინა, - კატერინა ოსიპოვნა, ასეთ წუთებში, რატომ ხართ ჩემდამი ასე მტრულად განწყობილი? - უსაყვედურა გაცხარებულმა კატერინამ. - რაც ვთქვი, იმას ვადასტურებ. მისი აზრი მაინტერესებს, მეტსაც გეტყვით: მისი გადაწყვეტილება ჩემთვის აუცილებელია! როგორც ის იტყვის, ისე იქნება. ერთი სული მაქვს, რას მეტყვით, ალექსეი ფიოდოროვიჩ... რა მოგდით?

- ამაზე არასოდეს მიფიქრია, წარმოდგენაც არა მაქვს! - წამოიძახა დამწუხრებულმა ალიოშამ.

- რაა?

- ივანი მოსკოვში მიემგზავრება, თქვენ კი აღფრთოვანებული აკივლდით, რომ მოხარული ხართ - ეს თქვენ განგებ იკივლეთ! შემდეგ საჩქაროდ დაიწყეთ ახსნა-განმარტება, რომ თქვენ მისი გამგზავრება კი არ გიხარიათ, პირიქით, წუხხართ, რომ... მეგობარს კარგავთ, - ესეც განგებ გაითამაშეთ... როგორც თეატრში კომედიას თამაშობენ!..

- თეატრში? როგორ?.. რას ამბობთ? - იყვირა ძალზე გაკვირვებულმა კატერინამ და სახეაჭარხლებულმა კოპები შეიკრა.

- თქვენ ივანს უმტკიცებთ, რომ წუხხართ მასთან, როგორც მეგობართან განშორებას და თანაც პირში ეუბნებით, რომ ბედნიერებაა ივანის მოსკოვში გამგზავრება... - წარმოთქვა რაღაცნაირად სუნთქვაშეკრულმა ალიოშამ. იგი მაგიდასთან იდგა და დაჯდომას არ აპირებდა.

- რას ლაპარაკობთ, არ მესმის...

- თავადაც არ ვიცი... უცებ რაღაცას მივხვდი... ის კარგად ვიცი, რომ არ გამოვა მაგრამ მაინც ყველაფერს ვიტყვი, - გააგრძელა ალიოშამ აკანკალებული ხმით. - ჩემი მიხვედრა ის არის, რომ თქვენ ჩემი ძმა, დმიტრი არ გიყვართ... თავიდანვე.. შესაძლოა, არც დმიტრის ჰყვარებიხართ, საერთოდ, მხოლოდ პატივს გცემთ... არ ვიცი, მე ახლა როგორ ვბედავ ამას, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე... აქ არავის უნდა სიმართლის თქმა...

- რომელ სიმართლეზეა ლაპარაკი?! - იკივლა გაკაპასებულმა კატერინამ.

- აი, რომელზე, - წაილუღლუღა ალიოშამ, - ახლავე უხმეთ დმიტრის - მე მას მოვძებნი, - დაე, მოვიდეს აქ, აიღოს თქვენი და ივანის ხელი და შეაერთოს ისინი ერთმანეთს. თქვენ ხომ მარტოოდენ იმისათვის სტანჯავთ ივანს, რომ ის გიყვართ... სტანჯავთ იმიტომ, რომ დმიტრი ამოჩემებულად გიყვართ.. ნამდვილად კი არ გიყვართ... თავს ირწმუნებთ, რომ გიყვართ...

ალიოშამ შეწყვიტა ლაპარაკი და დადუმდა.

- თქვენ... თქვენ... თქვენ პატარა ნაგიჟარი ხართ, ნამდვილი სალოსი! - თქვა სახეგაფითრებულმა და სიავისაგან ყბამოქცეულმა კატერინამ. ივანს სიცილი აუტყდა და წამოდგა. მას ხელში შლაპა ეჭირა.

- შენ ცდები, ჩემო კეთილო ალიოშა, - თქვა მან ისეთი გამომეტყველებით, რომელიც მის სახეზე ალიოშას არასოდეს უნახავს, - ეს იყო ახალგაზრდული გულახდილობისა და ძლიერი, თავშეუკავებელი, გულწრფელი გრძნობის გამომხატველი გამომეტყველება, - მე კატერინა ივანოვნას არასოდეს ვყვარებივარ! მან ყოველთვის იცოდა, რომ მე მიყვარდა, თუმცა არასოდეს სიტყვა არ დამიძრავს ამის შესახებ, - იცოდა, მაგრამ არ ვუყვარდი. არც არასოდეს ვყოფილვარ მისი მეგობარი, არასოდეს: ამაყ ქალს ჩემი მეგობრობა რაში სჭირდებოდა. მე მას თავის ახლოს ვუნდოდი განუწყვეტელი შურისძიებისათვის. იგი ჩემზე იძიებდა შურს ყველა იმ შეურაცხყოფისათვის, რასაც გამუდმებით, ყოველ წუთს დმიტრისაგან ითმენდა, მათი პირველი შეხვედრიდან დაწყებული... იმიტომ რომ გულში კატერინა ივანოვნა პირველ შეხვედრასაც შეურაცხყოფად თვლიდა. აი, როგორი გული აქვს მას! ამ ხნის განმავლობაში მე მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ ვისმენდი მისი და დმიტრის სიყვარულის ამბებს. ახლა კი მივემგზავრები, მაგრამ, კატერინა ივანოვნა, იცოდეთ, თქვენ ნამდვილად მხოლოდ ის გიყვართ - და რაც უფრო მეტ შეურაცხყოფას მოგაყენებთ, მით უფრო მეტად და მეტად გეყვარებათ. სწორედ ეს არის თქვენი ტანჯვა-ვაება. თქვენ ის გიყვართ ისეთი, როგორიც არის - მუდმივად თქვენი შეურაცხმყოფელი. ის რომ გამოსწორდეს, მაშინვე მიატოვებთ. ის იმისათვის გჭირდებათ, რომ გამუდმებით თქვენი თავგანწირული ერთგულებით იამაყოთ, მას კი ღალატში დასდოთ ბრალი. ყველაფერი ეს კი თქვენი სიამაყის ბრალია. მე ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ვარ და ძლიერ მიყვარდით. ვიცი, ეს არ უნდა მეთქვა, ჩემი მხრიდან უფრო ღირსეული იქნებოდა, უხმოდ გაგშორებოდით; ეს უფრო ნაკლებ შეურაცხმყოფელი იქნებოდა თქვენთვის. მაგრამ შორს მივემგზავრები და აღარასოდეს დავბრუნდები. სამუდამოდ მივდივარ... მე აღარ მსურს ვაების გვერდით ჯდომა.. მგონი, აღარ ვიცი, რას ვამბობ, ყველაფერი ვთქვი... მშვიდობით, კატერინა ივანოვნა, ნუ გამიჯავრდებით, მე თქვენზე ასჯერ მეტად ვარ დასჯილი: თუნდაც მარტოოდენ იმიტომ, რომ ვერასოდეს გნახავთ. მშვიდობით. მე არ მინდა თქვენი ხელის გამოწოდება. თქვენ შეგნებულად მაწამებდით და ამ წუთებში მე თქვენი პატიება არ შემიძლია. მერე გაპატიებთ, ახლა არაა საჭირო ხელის ჩამორთმევა.

Den Dank, Dame, begehr ich nicht[53], - დაუმატა მან და მწარედ გაიღიმა. სავსებით მოულოდნელად, ლექსის ამ სტრიქონის თქმით, ივანმა დაამტკიცა, რომ ის შილერს არათუ კითხულობს, არამედ იზეპირებს კიდეც, რასაც ადრე ალიოშა არაფრით დაიჯერებდა. ივანი ოთახიდან ისე გავიდა, მასპინძელსაც, ქალბატონ ხოხლაკოვასაც კი არ დამშვიდობებია. აღელვებულმა ალიოშამ ხელი ხელს შემოჰკრა.

- ივან, - დაუძახა დაბნეულმა ალიოშამ, - დაბრუნდი, ივან! არა, არა, ივანი არაფრით აღარ დაბრუნდება! - შესძახა დამწუხრებულმა ალიოშამ, - ჩემი ბრალია, ჩემი, მე წამოვიწყე ყველაფერი! ივანი გაბოროტდა, ცუდად

ლაპარაკობდა. უსამართლოდ და ღვარძლიანად... - შეშლილივით იმეორებდა ალიოშა.

კატერინა მოულოდნელად სხვა ოთახში გავიდა.

- თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, მშვენივრად მოიქეცით, როგორც ანგელოზი, - სხაპასხუპით ჩაუჩურჩულა ყურში დამწუხრებულ ალიოშას ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - მე ყველა ღონეს ვიხმარ, ივანი რომ არ გაემგზავროს.

ალიოშა დანაღვლიანებული შესცქეროდა ქალბატონი ხოხლაკოვას სიხარულისაგან გაბრწყინებულ სახეს. ამ დროს ოთახში კატერინა დაბრუნდა. ხელში ორი ფერად-ფერადი საკრედიტო ბილეთი ეჭირა.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენთან ერთი დიდი სათხოვარი მაქვს, - წყნარი და თანაბარი ხმით პირდაპირ მიმართა კატერინამ ალიოშას ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, - დღეის სწორს, მგონი, ამ ერთი კვირის წინ, დმიტრი ფიოდოროვიჩმა ცხელ გულზე ჩაიდინა ერთი უსამართლო და ძალზე უმსგავსო საქციელი. ეს ამბავი მოხდა ამ ქალაქის ყველაზე ცუდ ადგილას, ერთ სამიკიტნოში. ის იქ შეხვდა იმ გადამდგარ ოფიცერს, შტაბს-კაპიტანს, რომელსაც მამათქვენი იყენებდა რაღაც-რაღაც საქმეებში. ამ შტაბს-კაპიტანზე რაღაცის გამო დაბოღმილმა დმიტრი ფიოდოროვიჩმა ყველას თანდასწრებით ხელი სტაცა მას წვერში, ასე დამამცირებელ მდგომარეობაში გარეთ გამოათრია და ქუჩა-ქუჩა დიდხანს ატარა. ეს რომ ამ შტაბს-კაპიტნის ბიჭუნამ, ჯერ კიდევ ბავშვმა, აქაური სასწავლებლის მოსწავლემ იხილა, ტირილ-ტირილით გამოედევნა მათ და ჯერ დმიტრი ფიოდოროვიჩს ევედრებოდა, თავი დაენებებინა მამამისისათვის, შემდეგ ყველას, ირგვლივ მყოფთ, ემუდარებოდა - დახმარებოდნენ მამამისს. დამსწრე საზოგადოება იდგა და გულიანად იცინოდა. მაპატიეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მაგრამ მე არ შემიძლია აღშფოთების გარეშე გავიხსენო დმიტრი ფიოდოროვიჩის ეს სამარცხვინო საქციელი, რომელიც პირველი არ არის, მას ამგვარი გამოხდომები ხშირად სჩვევია, როცა რისხვა და ჟინი გონებას დაუბნელებს ხოლმე! ამის მოყოლაც არ შემიძლია, ძალა არ შემწევს... სიტყვებს ვერ ვპოულობ. მე გავიკითხე იმ საცოდავი კაცის შესახებ და მითხრეს, რომ ახლა ძალიან უჭირს. მისი გვარი სნეგირიოვია: სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს რაღაც, არ ვიცი რა, დაუშავებია და ამიტომ იქიდან დაუთხოვიათ. ახლა კი ის და მისი ოჯახი, რომელიც შედგება, მგონი, ჭკუიდან გადასული ცოლისა და შვილებისაგან, უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. უკვე კარგა ხანია, ამ ქალაქშია. მგონი, სადღაც მწერლად მუშაობდა, მაგრამ ახლა რატომღაც აღარაფერს უხდიან. თქვენ აგირჩიეთ... უფრო სწორად, გავიფიქრე - არ ვიცი, ვცდები, თუ არა - მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ჩემო კეთილო ალექსეი ფიოდოროვიჩ, მასთან მისულიყავით, მოიგონეთ რაიმე მიზეზი, მიდით იმ შტაბს-კაპიტანთან, - ღმერთო ჩემო! როგორ ავირ-დავირიე - და დელიკატურად, ფრთხილად, როგორც მხოლოდ თქვენ გეხერხებათ (ალიოშა უცებ გაწითლდა), გადაეცით ეს დახმარება, ეს ორასი მანეთი. ის ალბათ აიღებს... სთხოვეთ, უარი არ თქვას... უხერხული ხომ არ იქნება, ჰა, თქვენ როგორ ფიქრობთ? იცით, ეს შერიგების საზღაური კი არ არის, მან რომ არ იჩივლოს (მე მგონი, ჩივილს აპირებს), არამედ თანაგრძნობაა, დახმარების სურვილი ჩემგან, ჩემგან, დმიტრი

ფიოდოროვიჩის საცოლისაგან, მისგან კი არა. ერთი სიტყვით, თქვენ რაღაცას მოახერხებთ. თავად წავიდოდი, მაგრამ თქვენ ჩემზე უკეთ მოახერხებთ ამას. იგი ოზიორნაიას ქუჩაზე ცხოვრობს, მეშჩანინ კალმიკოვას სახლში... ღვთის გულისათვის, ალექსეი ფიოდოროვიჩ, შემისრულეთ ეს თხოვნა, ახლა კი... მე ცოტა... გადავიღალე. ნახვამდის...

იგი უცებ სწრაფად მიბრუნდა და პორტიერის იქით მიიმალა. ალიოშამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, - ისე კი უნდოდა, რაღაც ეთქვა. უნდოდა პატიება ეთხოვა, თავი დაედანაშაულებინა, - მოკლედ რაღაც ეთქვა, იმიტომ რომ მისი გული მოზღვავებული გრძნობებით იყო სავსე და სანამ არ გადმოღვრიდა, არ უნდოდა ოთახიდან გასვლა. მაგრამ ქალბატონმა ხოხლაკოვამ ხელი სტაცა და გაიყვანა. წინკარში წინანდელივით კვლავ გააჩერა

- ამაყი და საკუთარ თავთან მებრძოლი, მაგრამ კეთილი, მშვენიერი და დიდსულოვანი ადამიანია, - ნახევრად ჩურჩულითა და აღტაცებით ლაპარაკობდა ქალბატონი ხოხლაკოვა. - ო, როგორ მიყვარს... ხანდახან განსაკუთრებით. ახლა კი ყველაფერი მახარებს! ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, ეს თქვენ არ იცით, ჩვენ ყველას, მე, მის ორ დეიდას, Lise-საც კი უკვე ერთი თვეა მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს: ვეხვეწებით, თავი დაანებოს თქვენს საყვარელ ძმას, დმიტრი ფიოდოროვიჩს, რომელსაც იგი სულაც არ უყვარს და ცოლად გაჰყვეს ივან ფიოდოროვიჩს, განათლებულ და ღირსეულ ახალგაზრდა კაცს, ამქვეყნად მასზე ყველაზე მეტად შეყვარებულ ადამიანს. ჩვენ შეთქმულებაც კი გვაქვს ჩაფიქრებული, მე მიტომაც არ მივემგზავრები ჯერ კიდევ...

- კი მაგრამ იგი ხომ შეურაცხყოფილი ტიროდა! - იყვირა ალიოშამ.

- არასოდეს დაუჯეროთ ქალის ცრემლებს, ალექსეი ფიოდოროვიჩ, - ამ შემთხვევაში ყოველთვის ქალების წინააღმდეგი და კაცების მომხრე ვარ.

- დედა, თქვენ რყვნით და ღუპავთ მას, - კარს იქით გაისმა ლიზას წვრილი ხმა.

- არა, ყველაფერის მიზეზი მე ვარ, მე საშინელად დამნაშავე ვარ! - ერთსა და იმავეს იმეორებდა თავისი საქციელით შეწუხებული ალიოშა და სირცხვილისაგან სახეს ხელებით იფარავდა.

- პირიქით, თქვენ ანგელოზივით მოიქეცით, ანგელოზივით, მე ამის გამეორება გაუთავებლად შემიძლია.

- დედა, რატომ მოიქცა ანგელოზივით? - კვლავ გაისმა ლიზას ხმა

- მე, ყოველივე ამის შემყურემ, წარმოვიდგინე, - გააგრძელა ალიოშამ, თითქოს არც ესმოდა ლიზას ხმა, - რომ მას ივანი უყვარს და ეს სისულელე წამოვაყრანტალე... ახლა რა იქნება?!

- ვისზეა ლაპარაკი, ვისზე? - ყვიროდა ლიზა, - დედა, თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ. მე თქვენ გეკითხებით, მიპასუხეთ.

ამ დროს შემოვარდა მოახლე.

- კატერინა ივანოვნა ცუდაა... ქვითინებს, ისტერიკაშია.

- რაო, - იკივლა ლიზამ განწირული ხმით, - დედა, ახლა მე მომივა ისტერიკა, იმას კი არა!

-Lise, თუ ღმერთი გწამს ნუ ყვირი, გულს ნუ მიხეთქავ, შენ ჯერ პატარა ხარ და არ არის საჭირო იმის ცოდნა, რაც დიდებმა იციან, მოვალ და ყველაფერს მოგიყვები, რაც შეიძლება შენ იცოდე. ღმერთო ჩემო! მოვრბივარ, მოვრბივარ... ისტერიკა - ეს კარგი ნიშანია. ალექსეი ფიოდოროვიჩ, ძალიან კარგია, ისტერიკა რომ დაემართა. ასეც უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მე ყოველთვის ქალების წინააღმდეგი ვარ, ყველანაირი ისტერიკებისა და ცრემლებისა. იულია, გაიქეცი და უთხარი, რომ მოვფრინავ. ივან ფიოდოროვიჩმა ასე რომ დაგვტოვა, ეს კატერინას ბრალია. მაგრამ ის არსად გაემგზავრება. Lise, თუ ღმერთი გწამს, ნუ ყვირი! ხო, ეს შენ არ ყვირი, მე ვყვირი, აპატიე შენს დედიკოს, მაგრამ რა ვქნა, რომ აღფრთოვანებული ვარ, აღფრთოვანებული! შეამჩნიეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, როგორ ღირსეულად ეჭირა თავი ივან ფიოდოროვიჩს, ყველაფერი თქვა და წავიდა! მე იგი მხოლოდ მეცნიერი, აკადემიკოსი მეგონა და უცებ ასეთი მხურვალე, ახალგაზრდულად ხალასი, გამოუცდელი ჭაბუკური გრძნობები გამოამჟღავნა, მშვენიერი იყო, მშვენიერი, როგორც თქვენ... ის გერმანული ლექსიც რომ თქვა, ზუსტად, როგორც თქვენ! ახლა გავიქეცი, გავრბივარ! ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენც იჩქარეთ, შეუსრულეთ თხოვნა და სასწრაფოდ უკან დაბრუნდით. Lise, ხომ არაფერი გინდა! ღვთის გულისათვის, ნუ დააყოვნებ ალექსეი ფიოდოროვიჩს, იგი ახლა შენთან მოვა...

როგორც იქნა ქალბატონი ხოხლაკოვა გაიქცა. წასვლამდე ალიოშამ ლიზასთან დააპირა შესვლა.

- არაფრის დიდებით! - იკივლა ლიზამ, - ახლა არაფრის დიდებით! მანდედან ილაპარაკეთ, სადაც დგახართ. რატომ ხართ ანგელოზი? მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე.

- ერთი საშინელი სისულელესათვის! Lise, მშვიდობით.

- არ გაბედოთ ასე წასვლა! - იყვირა ლიზამ.

- Lise, სერიოზულად, ძალიან შეწუხებული ვარ! მალე დავბრუნდები. მე დიდი მწუხარება მაწევს, ძალიან დიდი!

ალიოშა ოთახიდან გავარდა.

VI ტანჯვა-ვაება ქოხში

ალიოშა მართლაც სერიოზულად იყო დამწუხრებული, ასეთი დარდი არასოდეს არ ჰქონია. საკუთარი თავისათვის ვერ ეპატიებინა ის მეტიჩრული გამოხდომა და სისულელეების ბჟუტური - მერე რაზე: სიყვარულზე! „ნეტა სიყვარულის მე რა გამეგება, რა ჩემი საქმე იყოო? - უკვე მეასედ იმეორებდა თავისთვის და სირცხვილისაგან სახე უხურდა. - ეხ, სირცხვილს რა უჭირს, სირცხვილი ჩემთვის ჯეროვანი სასჯელია, - უბედურება ისაა, ახლა აუცილებლად ახალი უბედურების მიზეზი გავხდები... ბერმა შესარიგებლად და გასაერთიანებლად გამომგზავნა, განა ასე აერთიანებენ?“ შემდეგ გაახსენდა, როგორ შეაერთა მათი ხელები და ისევ შერცხვა. „მართალია, ყველაფერი ეს გულწრფელად გავაკეთე, მაგრამ შემდგომში უფრო ჭკვიანურად უნდა მოვიქცე“, - დაასკვნა მან უცებ.

კატერინას დავალებით, იგი ოზიორნაიას ქუჩაზე უნდა წასულიყო. მისი ძმა დმიტრი იქვე ახლოს, ქუჩის შესახვევში ცხოვრობდა. ალიოშამ ჯერ მასთან შევლა გადაწყვიტა, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ სახლში არ დახვდებოდა. ეჭვი ჰქონდა, მიტია ახლა საგანგებოდ დაემალებოდა. ალიოშამ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოენახა იგი. დრო კი გადიოდა. მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ მომაკვდავ ბერზე ფიქრი არც ერთი წუთით, არც ერთი წამით არ შეუწყვეტია.

კატერინას მონაყოლიდან ერთმა დეტალმა მიიქცია მისი ყურადღება, როცა მან შტაბს-კაპიტნის ვაჟი, პატარა ბიჭუნა ახსენა, რომელიც თურმე იმ ინციდენტის დროს ატირებული მისდევდა მამას გვერდით. ალიოშას ერთმა აზრმა გაუელვა: იქნებ ის ბიჭუნა სწორედ ის მოსწავლეა, რომელმაც თითზე უკბინა, როცა ალიოშა ეკითხებოდა, რა დაგიშავე, ქვებს რატომ მესვრიო. ახლა ალიოშა ამაში დარწმუნებული იყო, მაგრამ თავადაც არ იცოდა, რატომ. ამგვარად, როცა ალიოშამ თავისი ფიქრები სხვა თემაზე გადაიტანა, ცოტა დამშვიდდა და გადაწყვიტა, აღარ ეფიქრა თავის სულელურ საქციელზე, აღარ დაეტანჯა თავი სინანულით და საქმე ეკეთებინა. იქ კი რაც იქნება, იქნება. ამ აზრმა საბოლოოდ გაამხნევა. როცა დმიტრის შესახვევში შეუხვია, შიმშილმა შეაწუხა. ჯიბიდან ფუნთუშა ამოიღო, შეჭამა და ცოტა მოღონიერდა.

დმიტრი სახლში არ აღმოჩნდა. სახლის პატრონებმა - ბებერმა დურგალმა და მისმა ცოლ-შვილმა - ეჭვით შეხედეს ალიოშას. „სამი დღეა, აქ არ გამოჩენილა, ეტყობა, სადმე გაემგზავრაო“, - ალიოშას დაჟინებულ კითხვაზე ასე უპასუხა მოხუცმა. ალიოშა მიხვდა, რომ მოხუცი ვიღაცის ინსტრუქციით მოქმედებდა. როცა ალიოშამ ჰკითხა: „გრუშენკასთან ხომ არ არის, ან იქნებ ისევ ფომასთან იმალებაო?“ (განგებ დაუწყო გულახდილი ლაპარაკი) ოჯახის ყველა წევრმა შიშით გადახედა მას. „ეტყობა, უყვართ და პატივს სცემენ, - გაიფიქრა ალიოშამ, - ეს ძალიან კარგია“.

ბოლოს და ბოლოს, ალიოშამ ოზიორნაიას ქუჩაზე მეშჩანინ კალმიკოვას სახლი მოძებნა. ოდნავ დაგვერდებული, ძველთაძველი ქოხის სამი ფანჯარა ქუჩაში გამოდიოდა. დანაგვიანებული ეზოს შუაგულში განმარტოებულად იდგა ძროხა. სახლს შესასვლელი ეზოდან ჰქონდა. წინკარის მარცხენა მხარეს მოხუცი დიასახლისი და მისი გადაბერებული ქალიშვილი ცხოვრობდნენ, მგონი, ორივეს ყურთ აკლდა. ალიოშამ რამდენჯერმე გაუმეორა კითხვა, სად ცხოვრობს შტაბს-

კაპიტანიო. როგორც იქნა, ერთი მათგანი მიხვდა, რას ეკითხებოდნენ და წინკარის მარჯვენა მხარეს მდებარე კარზე მიუთითა. შტაბს-კაპიტნის ბინა ნამდვილი ქოხი აღმოჩნდა. ალიოშამ ხელი წაავლო კარის სახელურს და შიგ შესვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა. კარს იქეთ დაბუდებულმა სიჩუმემ გააოცა. კატერინასგან იცოდა, რომ შტაბს-კაპიტანი ცოლშვილიანი იყო. „ან ყველას სძინავს, ან გაიგონეს ჩემი ხმა და ელოდებიან, როდის შევალ; ჯობს, ჯერ დავაკაკუნო“, - დააკაკუნა. პასუხი უცებ არ ყოფილა, ასე ათი წამის შემდეგ გაისმა:

- ვინ არის? - იყვირა ვიღაცამ ძალზე ბრაზიანი ხმით.

ალიოშამ კარი გააღო და ზღურბლს გადააბიჯა. იგი საკმაოდ ფართო ოთახში აღმოჩნდა, რომელიც სავსე იყო ადამიანებითა და საოჯახო ნივთებით. მარცხნივ დიდი რუსული ღუმელი იდგა. ღუმლიდან მარცხენა ფანჯრამდე გაჭიმულ თოკზე ნაირ-ნაირი ჩვრები ეკიდა. მარჯვენა და მარცხენა კედლების გასწვრივ მიმდგარ საწოლებს ნაქსოვი საბნები ეფარა. მარცხენა საწოლზე სიდიდის მიხედვით ერთიმეორეზე ელაგა ოთხი ჩითის ბალიში. მეორე საწოლზე კი ერთი ყურთბალიში მოჩანდა. წინა კუთხეში, თოკზე გადაკიდებული ფარდით გამოყოფილ ადგილას, შეამჩნევდით მერხს და მასთან მიდგმულ სკამს, რომლებზედაც ლოგინი იყო გაშლილი. შუა ფანჯარასთან უბრალო გლეხური მაგიდა იდგა. გაზინზლულშუშებიანი სამივე ფანჯარა მაგრად იყო ჩაკეტილი. ოდნავ განათებულ ოთახში სუნთქვა არ შეიძლებოდა. მაგიდაზე დადებულ ტაფაზე ერბოკვერცხის ნარჩენები და ნაკბეჩი პურის ნატეხები ეყარა, იქვე თითქმის დაცლილი ბოთლი იდგა. მარცხენა საწოლთან, სკამზე გამხდარი და გაყვითლებული, ჩითისკაბიანი ქალი იჯდა. ორმად ჩავარდნილი ღაწვები მის ავადმყოფობაზე მეტყველებდა. ყველაზე მეტად ალიოშა გააოცა ქალის განსაკუთრებულად გაკვირვებულმა და დამცინავმა გამოხედვამ. სანამ ალიოშა სახლის პატრონს უხსნიდა, რა უნდოდა, ქალს გაოცებული და დამცინავი შავი თვალებით მზერა ხან ალიოშაზე და ხან ქმარზე გადაჰქონდა. ამ ქალთან ახლოს, მარცხენა ფანჯარასთან საკმაოდ ულაზათო, ხმელ-ხმელი, ჟღალთმიანი ქალიშვილი იდგა, რომელსაც ღარიბულად, მაგრამ საკმაოდ სუფთად ეცვა. იგი ზიზღით ათვალიერებდა ალიოშას. მარჯვენა საწოლთან კიდევ ერთი მდედრობითი არსება, ასე ოცი წლის, ერთი საცოდავი კუზიანი და კუტი ქალიშვილი იჯდა. მისი ყავარჯნები იქვე, საწოლსა და კედელს შორის იყო მიყუდებული. საცოდავი ქალიშვილის მშვენიერი და კეთილი თვალები რაღაცნაირი სიმშვიდით შესცქეროდა ალიოშას. მაგიდასთან მჯდარი ასე ორმოცდახუთი წლის, დაბალი, გამხდარი, სუსტი, ჟღალთმიანი და ჟღალწვერიანი კაცი ჭამას ამთავრებდა. თხასავით წვერი ჰქონდა. „წვერებცანცარა“ - გაიფიქრა ალიოშამ (მოგვიანებით გაახსენდა, რომ ეს შედარება დანახვისთანავე ამოუტივტივდა თავში). ალბათ ეს კაცი იყო, კარს იქიდან რომ ყვიროდა: „ვინ არისო!“ ოთახში სხვა მამაკაცი არავინ იმყოფებოდა. ალიოშას შესვლისთანავე კაცი სკამიდან წამოხტა, დახეული ხელსახოცით პირი მოიწმინდა და სტუმარს სწრაფად მიუახლოვდა.

- მონაზონი მონასტრისათვის მათხოვრობს. ნახა რა, ვისთან მისულიყო! -

ხმამაღლა ჩაილაპარაკა მარცხენა კუთხეში მდგარმა ქალიშვილმა.

ამ დროს ალიოშასთან მისული კაცი უცებ ქუსლებზე შემოტრიალდა და აღელვებული, ჩახლეჩილი ხმით ქალიშვილს უთხრა:

- არა, ჩემო ქალბატონო ვარვარა ნიკოლაევნა, არა, ეგ ეგრე არ არის, თქვენ ცდებით! ნება მიბოძეთ, გკითხოთ, - უცებ იგი ალიოშას მიუბრუნდა, - რატომ ინებეთ, ბატონო ჩემო, აქ მობრძანება... ამ წიაღში?

ალიოშა ყურადღებით შესცქეროდა. ადრე არასოდეს ენახა. რაღაცნაირად მოუხეშავი, ფაციფუცა და გაღიზიანებული კაცი ჩანდა. ცოტა გადაკრულიც ჰქონდა, მაგრამ მთვრალი არ იყო. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ უკიდურესად თავხედურ საქციელთან ერთად, აშკარად შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა. ისეთ კაცს ჰგავდა, დიდი ხნის განმავლობაში დამონებულ-დაბეჩავებული რომ გამოფხიზლდება და თავის გამოჩენას მოინდომებს. ანდა ისეთ კაცს, რომელსაც მეტისმეტად უნდა გთხლიშოს, მაგრამ ამავე დროს ძალიან ეშინია, რომ შენ არ დაასწრო. მის გამყინავ ხმასა და ინტონაციაში ისმოდა რაღაცნაირი სალოსური იუმორი, ხან ბოროტი და ხანაც შიშნარევი ტონები. „წიაღთან“ აკანკალებული ხმით დასვა კითხვა, ამავე დროს ბრაზისაგან თვალებგადმოკარკლული ისე ეტაკა ალიოშას, რომ ალიოშამ ანგარიშმიუცემლად დაიხია უკან. ტანზე ძალიან დალაქავებული და ალაგ-ალაგ დაკემსილი მუქი ნაშურის უმსგავსო პალტო ეცვა. რომელიღაც თხელი ქსოვილისაგან შეკერილი განსაკუთრებულად ღია ფერის, კუბოკრული, მიკუჭულ-მოკუჭული პანტალონი, რომლის მსგავსს უკვე რამდენიმე ხანია აღარავინ ატარებდა, ისე დამოკლებოდა, თითქოს პატარაობიდან მასში გაიზარდაო.

- მე... ალექსეი კარამაზოვი... - პასუხის გაცემა დააპირა ალიოშამ.

- ჩინებულად მესმის, ბატონო, - მოუჭრა მასპინძელმა, მიახვედრა რომ იცნობდა, - თქვენი მონა-მორჩილი შტაბს-კაპიტანი სნეგირიოვი; მაგრამ მაინც მსურს შევიტყო, რისთვის გაისარჯეთ...

- მე ისე გეახელით. თქვენთვის რაღაც მინდოდა მეთქვა... ცხადია, თუ ნებას დამრთავთ...

- აი, ბატონო, სკამი, ნება იბოძეთ და დაიკავეთ ადგილი. ასე ამბობდნენ ძველებურ კომედიებში: „ნება იბოძეთ და დაიკავეთ ადგილი“... - შტაბს-კაპიტანმა ჩქარი მოძრაობით წაავლო ხელი თავისუფალ სკამს (უბრალო გლეხურ, ხის გადაუკრავ სკამს) და შუაგულ ოთახში დადგა; შემდეგ ხელი სტაცა ისეთსავე სკამს და ალიოშას პირდაპირ დაჯდა, ისე ძალიან ახლოს, რომ მათი მუხლები თითქმის ერთმანეთს ეხებოდა.

- ნიკოლაი ილიჩ სნეგირიოვი, რუსული ქვეითი ჯარის ყოფილი შტაბს-კაპიტანი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, თუმცა საკუთარი მანკიერებებისაგან თავლაფდასხმული, მაგრამ მაინც შტაბს-კაპიტანი. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: პირმოთნე და ლაქუცა შტაბს-კაპიტანი, რადგან ჩემი ცხოვრების მეორე

ნახევარში ლაქუცი დამჩემდა. კაცი დამცირების შემდეგ ხდები პირმოთნე.

- მართალს ბრძანებთ, - გაიცინა ალიოშამ, - მაგრამ უნებურად ხდება ეს თუ განგებ?

- ღმერთია მოწმე, უნებურად. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ვყოფილვარ პირმოთნე, მაგრამ ერთხელ დავეცი და პირმოთნე წამოვდექი. ეს ზეგარდმო ძალით ხდება. ვხედავ, თანამედროვე საკითხებით დაინტერესებული ბრძანდებით. თუმცა არ ვიცი, რამ გამოიწვია თქვენი ცნობისმოყვარეობა. თქვენ ხედავთ, როგორ ვცხოვრობ, აქ სტუმარმასპინძლობა შეუძლებელია.

- მე მოვედი... იმ საქმის გამო..

- იმ საქმის გამო? - მოუთმენლად შეაწყვეტინა შტაბს-კაპიტანმა.

- დიახ, თქვენი და ჩემი ძმის, დმიტრი ფიოდოროვიჩის იმდღევანდელი შეხვედრის გამო, - უხერხულად, მაგრამ პირდაპირ უთხრა ალიოშამ.

- ეგ რომელი შეხვედრაა, ჩემო ბატონო? ის ხომ არა - წვერცანცარა, წვერცანცარაო? - იგი იმდენად გამოიწია წინ, მუხლებით შეეჯახა ალიოშას. ტუჩები ერთ ხაზად ჰქონდა მოკუმული.

- რა წვერცანცარა? - ჩაიბურტყუნა ალიოშამ.

- ეგ ჩემზე საჩივლელად არის მოსული, მამა! - სადღაც ფარდის იქიდან მოესმა ალიოშას ნაცნობი ხმა, - დღეს თითზე ვუკბინე! - ფარდა გადაიწია და ალიოშამ დაინახა ამასწინანდელი მტერი. ბიჭი კუთხეში, ხატებს ქვემოთ, მერხსა და სკამზე გაშლილ ლოგინზე იწვა, ზემოდან თავისი პალტო და ძველისძველი ბამბის საბანი ეხურა, ანთებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ სიცხე ჰქონდა. იგი უშიშრად, ადრინდელზე თამამად უყურებდა ალიოშას: „სახლში რა ფეხებს მომჭამო“.

- თითზე უკბინე? - შტაბს-კაპიტანმა სკამიდან წამოდგომა დააპირა, - თქვენ გიკბინათ ხელზე, ბატონო?

- დიახ, მე, ქუჩაში. დღეს ქუჩაში ბიჭები ქვებს უშენდნენ. ისინი ექვსნი იყვნენ, ეგ კი მარტო. ისინი ერთი მხრიდან ესროდნენ, ეგ მეორე მხრიდან. მივედი, მან კი ქვა მესროლა, შემდეგ მეორე - თავში. როცა ვკითხე, რას მერჩი-მეთქი, უცებ მეტაკა და თითზე მწარედ მიკბინა.. ახლაც არ ვიცი, რატომ.

- ახლავე მივბერტყავ, ბატონო! ამ წუთში, ბატონო, - როგორც იქნა, წამოხტა სკამიდან შტაბს-კაპიტანი.

- მე საჩივლელად არ მოვსულვარ, უბრალოდ გიყვებით. სულაც არ მინდა, რომ გალახოთ. გარდა ამისა, მგონი, ავადაცაა.

- თქვენ რა, გეგონათ გავლახავდი, ბატონო? ავდგებოდი და ჩემს ილუშენკას თქვენ წინაშე გავლახავდი, თქვენთვის რომ მესიამოვნებინა? თქვენ ეგ გსურდათ,

ჩემო ბატონო? - ჩაილაპარა შტაბს-კაპიტანმა და უცებ ალიოშასაკენ ისე მობრუნდა, ისეთი ჟესტით, თითქოს ცემას უპირებსო, - ძალიან ვწუხვარ, ჩემო ბატონო, თქვენს თითს, მაგრამ ხომ არ ინებებთ, სანამ ილუშენკას გავლახავ, ახლავე თქვენ თვალწინ, თქვენი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ჩემს ოთხივე თითს ამ დანით მოვიკვეთ. მე მგონი, ოთხი თითი საკმარისი იქნება თქვენი შურისძიების დასაშოშმინებლად, მეხუთე ხომ არ არის საჭირო? - უცებ იგი გაჩერდა, თითქოს სუნთქვა შეეკრაო. სახის ყველა ნაკვთი უკრთოდა და ძალიან გამომწვევად იყურებოდა. ცოტაც და წონასწორობას დაკარგავდა.

- მგონი, ახლა ვხვდები ყველაფერს, - წყნარად, სევდანარევი ხმით წარმოთქვა ალიოშამ, რომელიც კვლავ სკამზე იჯდა, - გამოდის, თქვენი ვაჟი კეთილი ბიჭუნაა, უყვარს მამა და იმიტომაც მეტაკა, მე ხომ ძმა ვარ თქვენი შეურაცხმყოფელისა... ახლა მივხვდი, - გაიმეორა ფიქრებში წასულმა ალიოშამ, - მაგრამ ჩემი ძმა - დმიტრი ფიოდოროვიჩი შეწუხებულია თავისი საქციელით, მე ეს კარგად ვიცი. თუ შეიძლება იგი მოვა თქვენთან, ანდა უკეთესია, თქვენ შეგხვდებათ ზუსტად იმ ადგილას და ყველას წინაშე ბოდიშს მოგიხდით, თუკი თქვენ ამას მოისურვებთ...

- წვერი დამაგლიჯა და ახლა ბოდიშს მომიხდის... თავისი გაინაღდა და დაკმაყოფილდა, ასეა?

- არა, პირიქით, იგი გააკეთებს ყველაფერს, რასაც თქვენ ინებებთ, როგორც ინებებთ!

- ეგ როგორ?! თუკი მე ვთხოვ მის ბრწყინვალებას მუხლჩოქვით ბოდიშის მოხდას იმავ სამიკიტნოში, ანდა მოედანზე, იგი ამას შეასრულებს, ბატონო?

- დიახ, მუხლმოდრეკილი გთხოვთ პატიებას.

- განმგმირეთ, ბატონო ჩემო, ამაცრემლეთ და გული განმიგმირეთ. ძალიან მგრძნობიარე ვარ. ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ: ჩემი ოჯახობა, ჩემი ორი ქალიშვილი და ჩემი ძე - ჩემი გვარის გამგრძელებელი. მოვკვდები და ნუთუ ვინმე შეიყვარებს მათ? მე კი სანამ ცოცხალი ვარ, ჩემნაირ უღირსს ვინ შეიყვარებს, ამათ გარდა? დიდებული რამ მოიგონა უფალმა ჩემნაირებისათვის, ჩემო ბატონო. რამეთუ აუცილებელია, ჩემნაირი კაციც ვინმეს უყვარდეს. ბატონო...

- დიახ, მართალს ბრძანებთ! - შესძახა ალიოშამ.

- გეყოფათ პამპულაობა; ვიღაც ბრიყვის წინაშე თავს იმცირებთ! - მოულოდნელად აგდებული და ზიზღიანი ხმით უყვირა კედელთან მდგარმა ქალიშვილმა მამას.

- ცოტა ხანი მოითმინეთ, ვარვარა ნიკოლაევნა, ნება მიბოძეთ, შევინარჩუნო მიმართულება, - უყვირა მამამ ქალიშვილს. თუმცა ეს ბრძანებითი ტონით იყო ნათქვამი, მაგრამ ეტყობოდა, ქალიშვილის გამონათქვამის წინააღმდეგი არ იყო. - ჩვენ ასეთი ხასიათი გვაქვს, ბატონო ჩემო, - მიუბრუნდა იგი ალიოშას. -

არარა იყო ამ ქვეყნად რამე,

რისი კურთხევაც მას ნდომებოდა.[54]

უფრო სწორად, ჩემს ქალიშვილს არაფერი მოსწონს. ახლა ნება მიბოძეთ, ჩემს მეუღლეს წარვუდგინო თქვენი თავი: ესეც, ჩემო ბატონო, არინა პეტროვნა, კუტი ქალბატონი, ასე ორმოცდასამი წლის, ძლივს დადის. დაბალი წრის წარმომადგენელია. არინა პეტროვნა, გაუღიმეთ: ეს ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვია, ფეხზე აბრძანდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, - მან ხელი წაავლო ალიოშას და ისეთი ძალით წამოაყენა, რომ მისგან ასეთ ჯან-ღონეს ალიოშა არ ელოდა - თქვენ ქალბატონს გაცნობენ, ბატონო ჩემო, საჭიროა ფეხზე წამოდგომა. ეს ის კარამაზოვი კი არ გახლავს, დედილო, რომელმაც... ჰმ და ა.შ. ეს მისი ძამიკოა, სათნოებით ბრწყინვალე პიროვნება. ნება მიბოძეთ, არინა პეტროვნა, ნება მიბოძეთ, დედილო, ნება მიბოძეთ, თქვენს ხელს წინასწარ ვეამბორო.

და იგი დიდი პატივისცემით, ნაზად ემთხვია ხელზე თავის მეუღლეს. კედელთან მდგარმა ქალიშვილმა ზურგი უკმაყოფილოდ შეაქცია ამ სცენას. არინა პეტროვნას დამცინავი და გაკვირვებული მზერა უცებ არაჩვეულებრივად ალერსიანი გაუხდა.

- გამარჯობა, დაბრძანდით, ბატონო ჩერნომაზოვ, - თქვა მან.

- კარამაზოვი, დედილო, კარამაზოვი (ჩვენ მდაბიონი ვართ, ჩემო ბატონო!), - ჩასჩურჩულა ქმარმა.

- იყოს კარამაზოვი, მე კი ყოველთვის ჩერნომაზოვს... დაბრძანდით რა, ნეტა რისთვის აგაყენათ? კუტიაო, რომ მოგახსენათ ჩემმა მეუღლემ, ფეხები მაქვს დასივებული, რუმბებივით მაქვს, სხეულიც კი გამომეფიტა. ადრე კარგა მსუქანი ვიყავი, ახლა ნახეთ, როგორი გაძვალტყავებული ვარ.

- ჩვენ მდაბიონი ვართ, მდაბიონი, ბატონო, - კვლავ შეახსენა შტაბს-კაპიტანმა.

- მამა, აჰ, მამა! - ჩაილაპარაკა მოულოდნელად კუზიანმა ქალიშვილმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა.

- ტაკიმასხარა! - წამოროშა ფანჯარასთან მდგომმა ქალიშვილმა.

- ხედავთ, ჩვენთან რა ამბავია, - ხელებით მიუთითა დედილომ თავის ქალიშვილებზე, - თითქოს შავი ღრუბლები გადაეფარა ცას, ღრუბლები გაიფანტება და კვლავ მუსიკა აჟღერდება. ადრე, როცა სამხედროები ვიყავით, ჩვენთან ბევრი სტუმარი დადიოდა. მე, მამაო, ამას საქმესთან არ ვათანასწორებ. ვისაც ვინ უყვარს, ის უნდა უყვარდეს. ერთხელ დიაკვნის ცოლი მოვიდა და მითხრა: „ალექსანდრ ალექსანდროვიჩი უმშვენიერესი სულის ადამიანია, ხოლო ნასტასია პეტროვნა ჯოჯოხეთის მაშხალაააო“. „ჰო, - ვუპასუხე, - ვისაც ვინ მოსწონს, მისი ლამაზიც ის არის, შენ კი კარგი ნეხვი ხარ-მეთქი“. - „შენ კი ვინმეს მუდამ მორჩილებაში უნდა ჰყავდეო,“ - მეუბნება. - „აი, შე ჯოჯო შენა, - ვეუბნები, - გამყიდველო, ვის უბედავ სწავლებას-მეთქი?“ - „მე, - მომახსენა, - სუფთა ჰაერს

შემოვუშვებ ხოლმე, შენ კი ყარხარო“. - „ჰკითხე, - ვუპასუხე მე, - ნებისმიერ ბატონ ოფიცერს, მყრალ ჰაერს ვუშვებ, თუ სხვანაირს-მეთქი?“ მას შემდეგ ეს ამბავი გულში ისე ჩამრჩა, რომ ამას წინათ აი აქ, ვზივარ და რას ვხედავ, სწორედ ის გენერალი არ შემოდის, სულიწმინდობაზე რომ გვეწვია. „ეს როგორ-მეთქი, - ვეუბნები, - თქვენო აღმატებულებავ, შეიძლება კეთილშობილმა ქალმა დაუბინძურებელი ჰაერი შემოუშვას?“ - „კი, - მიპასუხა, - საჭიროა, გამოაღოთ სარკმელი ან კარი ოდნავ შეაღოთ, რადგან თქვენთან არაჯანსაღი ჰაერიაო“. აი, ასე იყო! ნეტა, რა გაუხდათ ჩემი ჰაერი? მკვდრები უფრო აყროლებულები არ არიან?! „მე, - ვუთხარი, - თქვენს ჰაერს არ ვაფუჭებ, შევუკვეთავ ფეხსაცმელს და წავალ-მეთქი.“ ღმერთო ჩემო, ძვირფასებო, ღვიძლ დედას ნუ დააყვედრებთ ლუკმა-პურს! ნიკოლაი ილიჩ, მამილო, შენ ვერაფრით გასიამოვნე. მე ახლა მხოლოდ ერთი რამ მახარებს, როცა ილუშენკა სკოლიდან მოდის ხოლმე და მეფერება. გუშინ ვაშლი მომიტანა. მაპატიეთ, ძვირფასებო, მაპატიეთ ღვიძლ დედას, მარტოსულს, თქვენც კი გეჯავრებათ ჩემი ჰაერი!

საცოდავი ქალი უცებ აქვითინდა, ცრემლები ღვარად წამოუვიდა. შტაბს-კაპიტანი სწრაფად მივარდა მას.

- დედილო, დედილო, ძვირფასო, გეყოფა, გეყოფა! არ ხარ შენ მარტოსული. შენ ყველას უყვარხარ, ყველა გაღმერთებს! - მან ისევ ხელებზე კოცნა დაუწყო ქალს და მის სახეს ნაზად ეფერებოდა; მერე ხელსახოცი აიღო და ცრემლები შეუმშრალა. ალიოშას მოეჩვენა, რომ თავად შტაბს-კაპიტანსაც აუცრემლდა თვალები, - ხედავთ, ბატონო? გაიგონეთ? - უცებ გაბრაზებული მიუბრუნდა იგი ალიოშას და თან ხელით საცოდავ სულით ავადმყოფზე მიუთითებდა.

- ვხედავ და მესმის, - წიალუღლუღა ალიოშამ.

- მამა, მამა! ნუთუ შენც მაგათკენ ხარ... შეეშვი მაგას, მამა! - იყვირა უცებ თავის ლოგინზე წამომჯდარმა ბიჭმა და თვალებანთებული მიაცქერდა მამას.

- გეყოფათ, ბოლოს და ბოლოს! მორჩით პამპულაობას, თქვენ ბრიყვულ ქარაგმებს არასოდეს არანაირი სასარგებლო შედეგი არ მოჰყოლია! - ისევ იკივლა ვარვარა ნიკოლაევნამ და სიბრაზისაგან ფეხებიც კი დააბაკუნა.

- სავსებით სამართლიანია თქვენი ამჟამინდელი გაალმასება, ვარვარა ნიკოლაევნა, მე თქვენ სასწრაფოდ დაგაკმაყოფილებთ. ქუდი დაიხურეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მეც დავიხურავ და წამობრძანდით, ბატონო. თქვენ გნებავთ ერთი-ორი სერიოზული სიტყვა მითხრათ, კი ბატონო, ოღონდ ამ კედლებს გარეთ. იმ კუთხეში რომ ზის, ჩემი ასულია, ნინა ნიკოლაევნა, ბატონო, გადამავიწყდა თქვენთვის გამეცნო იგი - ხორცშესხმული ანგელოზია... მოკვდავებთან მოფრენილი... თუ შეგიძლიათ ამის გაგება...

- ისე იგრიხება, თითქოს კრუნჩხვა ეტაკა, - გააგრძელა ბრაზმორეულმა ვარვარა ნიკოლაევნამ.

- ეს კი, რომელიც ახლა ფეხებს მიბაკუნებს და ჯამბაზს მიწოდებს, - ესეც

ხორცშესხმული ანგელოზია და სამართლიანადაც გამლანძღა. წამობრძანდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ბარემ დავამთავროთ...

მან ხელი სტაცა ალიოშას და ოთახიდან პირდაპირ ქუჩაში გაიყვანა.

VII და სუფთა ჰაერზე

- როგორი სუფთა ჰაერია, არა, ბატონო, ჩემს სრა-სასახლეში კი მძიმე ჰაერია, საერთოდ მძიმე ყოფაა. ფეხით გავიაროთ, ჩემო ბატონო. ძალიან მინდა, დაგაინტერესოთ.

- მე თქვენთან განსაკუთრებული საქმე მაქვს... - შენიშნა ალიოშამ, - მაგრამ არ ვიცი, როგორ დავიწყო.

- აუცილებლად უნდა გავიგო, რა გნებავთ, ბატონო? უსაქმოდ თქვენ ჩემთან არ მოხვიდოდით. თუ მართლა ჩემს ბიჭზე საჩივლელად მოხვედით? მაგრამ არა მგონია. ისე ჩემს ბიჭუნაზე იქ ყველაფერი ვერ გითხარით, აქ კი აგიწერთ იმ სცენას. იცით რა, ეს ცანცარა წვერი ერთი კვირის წინ უფრო ხშირი მქონდა. სწორედ ამ წვერის გამო დამარქვეს მოსწავლეებმა „წვერცანცარა“. ჰოდა, მწვდა მაშინ თქვენი ძმა დმიტრი ფიოდოროვიჩი წვერში და სამიკიტნოდან მოედანზე გამათრია. ამ დროს მოსწავლეები სკოლიდან გამოდიოდნენ, მათთან ერთად ილიუშაც. როგორც კი დაინახა, რა დღეშიც ვიყავი, მეცა ყვირილით: „მამა, მამაო!“ ჩამომეკონწიალა, მომეხვია, უნდოდა თქვენი ძმის ხელებიდან გამოვეგლიჯე და ჩემს მწამებელს უყვიროდა: „გაუშვით ხელი, გაუშვით, ეს მამაჩემია, მამაჩემი, აპატიეთ,“ - ზუსტად ასე ყვიროდა: „აპატიეთო“ - თან პატარა ხელები სტაცა მის ხელს და კოცნა დაუწყო, ბატონო... მახსოვს, იმ წუთებში რა სახე ჰქონდა ჩემს ბიჭუნას, ბატონო, არ დამვიწყებია და არც დამავიწყდება!

- გეფიცებით, - შეჰყვირა ალიოშამ, - ჩემი ძმა გულწრფელად, სავსებით გულწრფელად მოგიხდით ბოდიშს, თუნდაც მუხლმოდრეკილი, სწორედ იმ მოედანზე. მე ვაიძულებ მას, თუ არა და მის ძმობაზე ხელს ავიღებ!

- აჰა, ეს მხოლოდ თქვენი სურვილია. მისი თხოვნით არ მოსულხართ, მხოლოდ თქვენი კეთილშობილება გალაპარაკებთ. ეგრე გეთქვათ, ჩემო ბატონო! მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ნება მიბოძეთ, თქვენი ძმის უმაღლეს რაინდულ და ოფიცრულ კეთილშობილებაზე მოგახსენოთ, ბატონო. როცა ჩემი წვერით თრევით გული იჯერა, გამიშვა და მითხრა: „შენც ოფიცერი ხარ და მეც, თუ ნახავ ვინმე სეკუნდანტს, ღირსეულ ადამიანს, გამომიგზავნე - დაგაკმაყოფილებ, თუმცა ნაძირალა კი ხარო!“ აი, ასე მითხრა. ჭეშმარიტი რაინდია! წამოვედით მე და ჩემი ბიჭი ილიუშა სახლში. ეს საგვარეულო შერცხვენა სამუდამოდ დააჩნდა მის სულს. არა, ბატონო ჩემო, ჩვენ სადა გვაქვს თავი, აზნაურებად დავრჩეთ. არადა, თავად განსაჯეთ, თქვენ ხომ იყავით ჩემს სასახლეში, თავად იხილეთ ყოველივე, ჩემო ბატონო. სამი ქალი მიზის სახლში, ერთი კუტი და ჭკუიდან გადასული, მეორეც კუტი, მაგრამ კუზიანი, მესამეს ფეხებიცა აქვს, ძალზე ჭკვიანიცაა, უმაღლესი

კურსების მსმენელია და კვლავ პეტერბურგში წასვლა უნდა, ნევის პროსპექტზე, რუსი ქალებისათვის უფლებების მოსაპოვებლად. ილიუშაზე აღარაფერს ვამბობ, 9 წლის მარტოსულია, მე თუ მოვკვდი, რა ეშველება მათ, ჩემო ბატონო, გეკითხებით? ვთქვათ, გამომეწვია იგი დუელში, რომ მოვეკალი, მაშინ რა იქნებოდა? რა ეშველებოდა ამათ, ბატონო? ვთქვათ, არ მოვეკალი და დავესახიჩრებინე: რა უნდა მექნა, მუშაობას ვერ შევძლებდი, ჭამა ხომ მინდა, ვინ მაჭმევდა, ვინ დააპურებდა ჩემს ცოლ-შვილს, ბატონო? ჩემი ილიუშა ქუჩა-ქუჩა სამათხოვროდ გამეშვა? აი, რას ნიშნავდა ჩემთვის დუელი, ეს სულელური სიტყვაა, ჩემო ბატონო.

- იგი ბოდიშს მოგიხდით, შუა მოედანზე ფეხებში ჩაგივარდებათ და პატიებას გთხოვთ, - იყვირა ისევ სახეანთებულმა ალიოშამ.

- სასამართლოში ჩივილი მინდოდა, - გააგრძელა შტაბს-კაპიტანმა, - მაგრამ გადაშალეთ ჩვენი კოდექსი, რას მივიღებდი ჩემი მწამებლისაგან იმ შეურაცხყოფის საფასურად? ახლა კიდევ აგრაფინა ალექსანდროვნამ მიხმო და მიყვირა: „სასამართლოში ჩივილი ფიქრადაც არ გაივლო! თუ სასამართლოში უჩივლებ, ისე ვიზამ, მთელი ქვეყანა გაიგებს, შენი თაღლითობის გამო რომ გაილახე და საერთოდ, შეიძლება ციხეშიც ამოგაყოფინო თავიო.“ მხოლოდ ღმერთმა უწყის, ვინ თაღლითობდა, ვისი ბრძანებით მოქმედებდა ჩემნაირი ჭიაღუა, იმ ქალბატონისა და ფიოდორ პავლოვიჩის ნება-სურვილით ხომ არა? შემდეგ დაუმატა: „ამას გარდა, ახლოსაც აღარ გაგიკარებ, ჩემთან კაპიკსაც ვეღარ გააკეთებ, ჩემს სოვდაგარსაც ვეტყვი (ასე ეძახდა ხოლმე აგრაფინა თავის ბებერს: ჩემი სოვდაგარიაო), არაფერში დაგასაქმოსო.“ ვიდექი ჩემთვის და ვფიქრობდი, სოვდაგარმაც რომ გამომაგდოს, რაღა ვქნა, ვისთან რა ვიშოვო-მეთქი? მხოლოდ ეგ ორნი დამრჩნენ, რადგან მამათქვენი, ფიოდორ პავლოვიჩი, არათუ აღარ მენდობა ერთი გარემოების გამო, არამედ ჩემგან აღებული სავალო ხელწერილებით სასამართლოში აპირებს ჩემზე ჩივილს. ამიტომაც პირში წყალი დავიგუბე. თავად იხილეთ ჩემი სამყოფელი, ჩემო ბატონო. ახლა ერთი რამ მინდა გკითხოთ: ძალიან გეტკინათ ილიუშას ნაკბენი? ჩემს სასახლეში მისი თანდასწრებით ამის შესახებ მოყოლა ვერ გთხოვეთ.

- დიახ, ძალიან მეტკინა, ძალიან გამწარებული იყო და ჩემზე, როგორც კარამაზოვზე, თქვენ გამო შური იძია, ახლა კი ჩემთვის ყველაფერი უკვე ნათელია. მაგრამ უნდა გენახათ, როგორ გამეტებით ესროდნენ ერთმანეთს ქვებს თქვენი ვაჟი და მისი თანაკლასელები. ეს ძალიან საშიშია, მათ შეიძლება შემოაკვდეთ ბიჭი. ისინი ბავშვები არიან, ბრიყვები, ქვას კი ჭკუა არ მოეთხოვება, შეუძლია თავი გაგიხეთქოს.

- დიახ, მოხვდა კიდეც, ჩემო ბატონო, მართალია თავში არა, მკერდში, გულს ზემოთ ჩალურჯებული ეტყობა, კრუსუნ-კრუსუნით მოვიდა, ახლა კი ავადაა.

- ისე, რომ იცოდეთ, მან პირველმა დაიწყო ქვების სროლა, ეტყობა, თქვენ გამო იყო გაავებული. როგორც ბავშვებმა მიამბეს, მან ერთ ბიჭს, კრასოტკინს, ამას წინათ გვერდში ჯაყვა უჩხვლიტა.

- ამის შესახებაც გაგონილი მაქვს, ესეც საშიში ამბავია, ჩემო ბატონო, კრასოტკინი აქაური ჩინოვნიკია, შეიძლება რაიმე შარს გადამყაროს...

- მე გირჩევთ, - გააგრძელა აგზნებულმა ალიოშამ, - დროებით ნუ გააგზავნით სკოლაში, სანამ არ დაწყნარდება... სანამ რისხვა არ გაუვლის...

- რისხვაო! - სიტყვა აიტაცა შტაბს-კაპიტანმა, - სწორედაც რისხვა, ჩემო ბატონო. ასეთი პატარა არსება და ამდენი რისხვა, ბატონო. თქვენ ყველაფერი არ იცით, ჩემო ბატონო, ნება მომეცით, ეს ამბავი გამოწვლილვით მოგახსენოთ. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ყველა მოსწავლე აბრაზებდა მას - წვერცანცარას ეძახდნენ. სკოლის ასაკის ბავშვები დაუნდობლები არიან, ცალ-ცალკე ღვთიური ანგელოზები არიან, ერთად კი, განსაკუთრებით სკოლის კედლებში, ხშირად ძალზე სასტიკნი. როცა ილიუშას დაცინვა დაუწყეს, მასში კეთილშობილმა სულმა გაიღვიძა. ჩვეულებრივი ბიჭი, სუსტი, შეეგუებოდა ამ ამბავს, შერცხვებოდა ჩემნაირი მამის ყოლა, ის კი მარტოდმარტო აღუდგა ყველას, ფარივით გადაეფარა მამას - მამის, ჭეშმარიტებისა და სიმართლის დასაცავად, ბატონო. რაც მაშინ მან გადაიტანა, როცა თქვენს ძმას ხელებს უკოცნიდა და სთხოვდა: „აპატიე მამიკოს, აპატიე მამიკოსო“, - მაღალმა ღმერთმა იცის და მე, ჩემო ბატონო. ასეა, ბატონო ჩემო, ჩვენი შვილები, უფრო სწორად, თქვენი კი არა, ჩვენი შვილები, საძულველი, მაგრამ კეთილშობილი ღატაკების შვილები, ამქვეყნად სიმართლეს ცხრა წლის ასაკში იგებენ. მდიდრები შესაძლოა ამ სიღრმეებს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ვერ ჩასწვდნენ. ჩემმა ილიუშამ იმ წუთებში, როცა თქვენს ძმას ხელებს უკოცნიდა და ევედრებოდა, მთელი ამქვეყნიური ჭეშმარიტება იხილა და აღიქვა. მან ერთიანად შეიწოვა ეს ჭეშმარიტება და ამ ჭეშმარიტებამ სამუდამოდ გასრისა ილიუშა, - ეს სიტყვები აღგზნებულმა შტაბს-კაპიტანმა რაღაცნაირი გაშმაგებით წარმოთქვა და თან იმის დასადასტურებლად, როგორ გასრისა „ჭეშმარიტებამ“ ილიუშა, მარჯვენა ხელის მუშტი მარცხენა ხელის გულს მიარტყა, - იმ დღეს ციებ-ცხელება დაეწყო, მთელი ღამე ბოდავდა. თითქმის ხმა არ ამოუღია, ხმას არ მცემდა. ის კი შევამჩნიე, ქურდულად ჩემკენ იყურებოდა და როცა თვალს ვუსწორებდი, ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს მეცადინეობდა. მე კი ნათლად ვხედავდი, მისი გონება სხვა რამით იყო დაკავებული. მეორე დღეს დარდისაგან დავლიე, ბევრი აღარაფერი მახსოვს, ჩემო ბატონო. რას ვიზამ, ცოდვილი ვარ. ამას დედილოს ტირილი დაერთო - დედილო კი ძალიან მიყვარს. ჰოდა, დარდისაგან გადავყლურწე. თქვენ, ჩემო ბატონო, ნუ შეგეზარებით, რუსეთში ლოთები ყველაზე კეთილი ხალხია. ყველაზე კეთილი და ყველაზე ლოთი ხალხი ჩვენშია. იმ დღეს ვიწექი და ილიუშა კარგად არ მახსოვს. სწორედ იმ დილით, ჩემო ბატონო, სკოლაში ბიჭებმა ილიუშას დაცინვა დაუწყეს: „წვერცანცარა, - უყვიროდნენ ისინი, - მამაშენი სამიკიტნოდან წვერებით გამოათრიეს, შენ კი გვერდით მისდევდი და პატიებას სთხოვდიო“. მესამე დღეს სკოლიდან სახეშეშლილი და გაფითრებული დაბრუნდა. რა მოგივიდა-მეთქი? - ვკითხე. დუმს. სახლში ლაპარაკი არ გამიგრძელებია, რადგან იქ ქალიშვილები და დედილოც მიიღებდნენ მონაწილეობას, თუმცა ქალიშვილებმა მაინც იმავე დღეს გაიგეს ეს ამბავი. ვარვარა ნიკოლაევნა აბუზღუნდა: „ტაკიმასხარებო და ჯამბაზებო, განა შეიძლება თქვენ რაიმე სასწაული არ გადაგხდეთ თავს?“ მაშინ თავი ადვილად

დავაღწიე. საღამოს მე და ილიუშა სასეირნოდ გავედით. ისე კი, თქვენ რომ იცოდეთ, ბატონო, მე და ჩემი ბიჭი ყოველ საღამოს, ვსეირნობთ ხოლმე მარშრუტით, ჩვენი სახლიდან იმ ლოდამდე, აგერ, იქ, გზაზე ღობეწნულთან ობლად რომ გდია და საიდანაც ქალაქის საძოვრები იწყება. ეს ადგილი უკაცრიელი და მშვენიერია, ბატონო. მივსეირნობთ მე და ილიუშა, ჩვეულებისამებრ, ხელიხელჩაკიდებულები, პაწაწუნა თითუნები აქვს, წვრილ-წვრილი და გაყინული, - იგი ხომ გულით ავადმყოფია. „მამა, მამიკო!“ - მეუბნება. „რა-მეთქი?“ - ვეკითხები, ვხედავ, თვალები უელავს. „მამა, ეს რა გიყო იმ დღეს, ჰა, მამა?!“ - „რას იზამ, ილიუშა,“ - ვპასუხობ. „არ შეურიგდე, მამა, არ შეურიგდე იმას. ბავშვები ამბობენ, თითქოს ათი მანეთი მოგცა, სასამართლოში რომ არ უჩივლო.“ მე ვპასუხობ: „არა, ილუშა, ფულს არაფრის დიდებით არ გამოვართმევ,“ უცებ აკანკალდა, ხელში ხელები ჩამავლო და დამიკოცნა. „მამა, მამიკო, გამოიწვიე დუელში, სკოლაში დამცინიან, მამაშენი მხდალია და დუელში არ გამოიწვევს, ათ მანეთს კი აიღებსო.“ - „ჩემთვის დუელი არ შეიძლება, ილიუშა.“ - ვპასუხობ და ვუხსნი იმ გარემოებებს, რომლის შესახებაც ახლახან მოგახსენეთ. მომისმინა და მეუბნება: „მამა, მამიკო, ნუ შეურიგდები მაინც. გავიზრდები და მე გამოვიწვევ დუელში, გამოვიწვევ და მოვკლავ!“ ამას მეუბნება და თვალები უბრწყინავს. მაგრამ მე ხომ მამა ვარ და ვალდებული ვარ, სიმართლე ვუთხრა. „კაცის მოკვლა, შვილო, ცოდვაა, თუნდაც იგი ორთაბრძოლაში იქნეს მოკლული-მეთქი“. - „მამა, მამა, როცა გავიზრდები, მე მას მიწაზე დავანარცხებ, ჩემი ხმლით ხმალს გავაგდებინებ, ვეძგერები და მიწაზე დავანარცხებ - ხმალს მოვუქნევ და ვეტყვი: ახლა ხომ შემიძლია შენი მოკვლა, მაგრამ სიცოცხლეს გჩუქნი-მეთქი!“ ხედავთ, ხედავთ, ბატონო ჩემო, მის გონებაში რა პროცესები მიმდინარეობდა ამ ორი დღის განმავლობაში, ის დღე და ღამე სწორედ ხმლით შურისძიებაზე ფიქრობდა და ძილშიაც ეს შურისგება აბოდებდა. მხოლოდ ერთი ის იყო, რომ სკოლიდან ძალზე ნაცემი მოდიოდა. მე ეს ყველაფერი მესამე დღეს გავიგე. თქვენ მართალი ხართ, სკოლაში აღარ გავუშვებ. როცა გავიგე, რომ იგი მთელი კლასის წინააღმდეგ გამოდის, ყველას პირველი ესხმის თავს, გაბოროტებული და გაშმაგებული, - შემეშინდა. ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩვენ კვლავ მივსეირნობდით და ილიუშა მეკითხება: „მამა, მამა, მდიდრები ყველაზე ძლიერები არიან, არა?“ - „დიახ, ილიუშა, - ვეუბნები, - მდიდრებზე ძლიერი არავინაა“. - „მამა, მე გავმდიდრდები, ოფიცერი გავხდები და ყველას ამოვხოცავ, მეფე დამაჯილდოებს, აქ რომ ჩამოვალ, ვერავინ ვერაფერს გამიბედავს“. - თქვა და გაჩუმდა, როცა კვლავ ლაპარაკი დაიწყო, ტუჩები აუკანკალდა. „მამა, - მეუბნება, - რა ცუდი ქალაქია ჩვენი ქალაქი, მამა!“ - „კი, ილიუშენკა, არც ისე კარგი ქალაქია ჩვენი ქალაქი!“ - „მამა, გადავსახლდეთ რა, სხვა უფრო კარგ ქალაქში, სადაც არ გვიცნობენ“. - „გადავსახლდეთ, გადავსახლდეთ, შვილო, ოღონდ ჯერ ცოტა ფული დავაგროვოთ-მეთქი“. გამიხარდა, საშუალება რომ მომეცა, შემაწუხებელი ფიქრებისაგან მისი ყურადღება სხვა თემაზე გადამეტანა და დავიწყეთ ოცნება, როგორ გადავსახლდებოდით სხვა ქალაქში, როგორ ვიყიდდით ცხენს და საზიდარს, როგორ დავსხამდით მასზე დედილოსა და დებს, ჩვენ კი გვერდით გავყვებოდით საზიდარს, რაზედაც ხანდახან ილიუშაც დაჯდებოდა, მე ფეხით გავაგრძელებდი გზას, იმიტომ რომ ცოდოა ცხენი, უნდა გავუფრთხილდეთ. ასეთმა სურათმა და საკუთარი ცხენის ყოლამ ილიუშა აღაფრთოვანა. საყოველთაოდ ცნობილია, რუსის ბიჭუნა ცხენთან ერთად იბადება. დიდხანს

ვილაპარაკეთ, დიდება ღმერთს, შევძელი მისი გართობა და დაშოშმინება. ეს იყო მესამე დღის საღამოს. გუშინ საღამოს კი სხვა რამ მოხდა. დილიდან სკოლაში წავიდა, იქიდან კი შეწუხებული დაბრუნდა, ძალიან შეწუხებული. საღამოს ისევ მოვკიდე ხელი და სასეირნოდ გავედით, დუმდა, ხმას არ იღებდა. ნიავმა დაუბერა, მზე ჩაესვენა, უკვე ბინდდებოდა, ირგვლივ შემოდგომის სუნი იდგა, ჩვენ ორივე დადარდიანებული მივდიოდით. „შვილო, - ვეუბნები, - როგორ მოვემზადოთ გასამგზავრებლად-მეთქი?“ - მინდა, გუშინდელ საუბარზე გადავუტანო ფიქრი. ის კი დუმდა. მხოლოდ ჩემს ხელში ვიგრძენი, როგორ ათრთოლდა მისი თითები. „ეჰ, - ვფიქრობ, - ცუდადაა საქმე, ეტყობა რაღაც მოხდა.“ მივუახლოვდით ამ ლოდს, ჩამოვჯექი და ცას ავხედე. ცა ფრანებით იყო სავსე, ირგვლივ მათი ფრენის ხმები ისმოდა, ასე ოცდაათამდე მაინც იქნებოდა. ახლა ხომ ფრანების სეზონია, ბატონო. „ხედავ, ილიუშა, - ვეუბნები, - დროა, ჩვენც გავაფრინოთ შარშანდელი ფრანი. შევაკეთებ, სად გაქვს შენახული?“ ჩემი ბიჭუნა კი კვლავ დუმდა, ჩემ გვერდით იდგა და განზე იყურებოდა. უცებ ქარმა დაუბერა და მტვრის ბუღი დაატრიალა... მოულოდნელად მეცა ჩემი ბიჭუნა, ორივე ხელი კისერზე მომხვია და ჩამეხუტა. იცით რა, თუ ბავშვი სიტყვაძუნწი და ამაყია, იგი ცდილობს, არ იტიროს, მაგრამ თუ დიდი მწუხარება შეემთხვევა, ცრემლები ნიაღვარივით წამოსკდებათ ხოლმე, ჩემო ბატონო. მასაც ასე მოუვიდა, ისეთი ცრემლების ნიაღვარი წამოუვიდა, სახე დამისველა. აკანკალებული ქვითინებდა და მეხუტებოდა. მე ისევ ლოდზე ვიჯექი. „მამიკო, მამიკო! - ყვიროდა იგი, - მამიკო, ძვირფასო მამიკო, ეს რა გიყო, როგორ დაგამცირა!“ მეც ავქვითინდი, ბატონო, ვსხედვართ და ორივე ჩახუტებულები ვქვითინებთ. „მამიკო, ძვირფასო მამიკო!“ - იძახდა ის. - „ილიუშა, ილიუშეჩკა!“ - ვიძახდი მე. მაშინ არავის დავუნახივართ, მხოლოდ ღმერთი იყო მოწმე, ეგების დავთარში შემიტანოს, ბატონო. დიდი მადლობა მოახსენეთ თქვენს ძმას, ალექსეი ფიოდოროვიჩ. არა, ჩემო ბატონო, არა, მე ჩემს ბიჭუნას თქვენი სიამოვნებისათვის არ გავლახავ!

მან თავისი მონოლოგი დაასრულა მისთვის ჩვეული გაავებული და იკლიკანტური ფრაზებით. თუმცა ალიოშამ იგრძნო, რომ მისი ნდობა მოიპოვა. ალიოშას ადგილას სხვა კაცი რომ ყოფილიყო, შტაბს-კაპიტანი ასეთ ლაპარაკს არ დაუწყებდა და არ შეატყობინებდა ისეთ წვრილმანებს, რაც ალიოშას უთხრა. ამან გაამხნევა ალიოშა, რომელსაც თანაგრძნობისაგან ცრემლები ახრჩობდა.

- ოჰ, როგორ მსურს თქვენს ბიჭუნასთან შერიგება! - შესძახა მან. - იქნებ როგორმე დამეხმაროთ...

- დიახ, ბატონო, - ჩაიბურტყუნა შტაბს-კაპიტანმა.

- ახლა სულ სხვა რამ, სულ სხვა რამ მინდა გითხრათ, - ხმამაღლა გააგრძელა ალიოშამ, - ყური დამიგდეთ! მე თქვენ ერთი დანაბარები უნდა გადმოგცეთ: სწორედ იმ ჩემმა ძმამ, დმიტრიმ, შეურაცხყოფა მიაყენა თავის საცოლეს, უკეთილშობილეს ქალიშვილს, რომლის შესახებაც თქვენ ალბათ გსმენიათ კიდეც. მე უფლება მომცეს, თქვენ გადმოგცეთ ამ შეურაცხყოფის შესახებ, რადგან როცა დმიტრის საცოლემ გაიგო მის მიერ თქვენი დამცირებისა და საერთოდ თქვენი სავალალო მდგომარეობის ამბავი, მთხოვა... თქვენთვის გადმომეცა ეს დახმარება... დახმარება მხოლოდ და მხოლოდ მისგანაა, დმიტრისგან არა, არც

ჩემგან, დმიტრის ძმისაგან, არც სხვა ვინმესაგან, მხოლოდ და მხოლოდ მისგან! იგი გთხოვთ, გემუდარებათ, მიიღოთ ეს დახმარება... თქვენ ორივე ერთი და იმავე პირისაგან ხართ შეურაცხყოფილნი... იმ ქალიშვილს სწორედ მაშინ გაახსენდით, როცა იმ პირისაგან ისეთივე დიდი შეურაცხყოფა გადაიტანა, როგორიც თქვენ განიცადეთ! ეს არის დის მიერ ძმისკენ გაწვდილი დახმარების ხელი.... სწორედ მან მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა ორასი მანეთი, როგორც დისაგან, ისე მიიღეთ. ამას ვერავინ გაიგებს, არავითარი ჭორები ამის შესახებ არ იქნება, აი, ეს ორასი მანეთი და ყველაფერს გაფიცებთ, უნდა აიღოთ, თუ არადა ისე გამოვა, რომ ამქვეყნად ყველა ერთმანეთის მტრები ვართ მხოლოდ! მაგრამ ხომ არიან ამქვეყნად ძმებიც... თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ... თქვენ ეს უნდა გაიგოთ უნდა!

ალიოშამ მას ორი ფერადი ასმანეთიანი კუპიურა გაუწოდა. ისინი ლოდთან, ღობეწნულთან იდგნენ, ირგვლივ არავინ ჩანდა. ფულმა შტაბს-კაპიტანზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი მოულოდნელობისაგან შეკრთა, არაფერ ამდაგვარს არ ელოდა, ვერც წარმოიდგენდა ვინმესგან ასეთ დახმარებას, თანაც ამდენ ფულს, ვერც კი იოცნებებდა ამაზე. ასიგნაციები აიღო და ერთ წუთს ხმა არ ამოუღია, მისმა სახემ რაღაც ახალი გამომეტყველება მიიღო.

- ეს მე, მე, ბატონო, ამდენი ფული, ორასი მანეთი, ღმერთო! მე უკვე ოთხი წელია, ამდენი ფული არ მინახავს, ღმერთო! თანაც ამბობთ, რომ დამ... მართალია ეს, მართალი?

- დიახ, გეფიცებით, რაც გითხარით სრული სიმართლეა! - იყვირა ალიოშამ. შტაბს-კაპიტანი გაწითლდა.

- მისმინეთ, გეთაყვა, ყური მიგდეთ, მე რომ ეს ფული ავიღო, არამზადა ხომ არ ვიქნები?! თქვენიანების თვალში, ალექსეი ფიოდოროვიჩ, არამზადა ვიქნები, თუ არ ვიქნები? არა, ჩემო ბატონო, ალექსეი ფიოდოროვიჩ, კარგად მომისმინეთ, კარგად, ბატონო, - იგი ჩქარ-ჩქარა ლაპრაკობდა და თან ალიოშას ორივე ხელს ჰკიდებდა, - თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ „დამ“ გამომიგზავნა, თავად კი, როგორ ფიქრობთ: რომ ავიღო, არ შეგზიზღდებით, ჰა?

- არა, როგორ გეკადრებათ! ყველაფერს გეფიცებით, არა! არც არავინ გაიგებს ამ ამბავს, არასოდეს, მხოლოდ ჩვენ გვეცოდინება: მე, თქვენ და იმ ქალიშვილს და კიდევ ერთ ქალბატონს, იმ ქალიშვილის მეგობარია...

- ვინ ქალბატონი? მისმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, კარგად დამიგდეთ ყური, ჩემო ბატონო, ახლა ისეთი წუთი დადგა, საჭიროა გულდასმით მომისმინოთ, რადგან თქვენ არც გესმით, რას ნიშნავს ჩემთვის ეს ორასი მანეთი, - გააგრძელა საცოდავმა, რომელსაც თანდათან რაღაცნაირი უთავბოლო, თითქმის ველური აღტაცება იპყრობდა. იგი გაოგნებული იყო, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ჩქარობდა, თითქოს ეშინოდა, სათქმელს ბოლომდე არ მათქმევინებენო, - გარდა ამისა, ეს პატიოსნად ნაშოვნი ფულია, უპატივცემულესი და წმინდანი „დის“ ნაბოძები, ბატონო. იცით თუ არა თქვენ, რომ მე ახლა შემიძლია ჩემი მეუღლისა და ჩემი კუზიანი ანგელოზის ნინოჩკას სამკურნალოდ წაყვანა? ერთხელ ჩემთან

ექიმი ჰერცენშტუბე მოვიდა, კაპიკიც არ მოუთხოვია, კეთილი კაცია. ორივე გასინჯა, ერთი საათის განმავლობაში სინჯავდა და თქვა: „არაფერი მესმისო“, მაგრამ მაინც გამოუწერა მინერალური წყალი, რომელიც ჩვენს აფთიაქშიც იყიდება - მოუხდებაო - კიდევ ფეხის აბაზანები დაუნიშნა რაღაცა წამლით. ერთი დოქი მინერალური წყალი 30 კაპიკი ღირს, სულ 40 დოქი დასჭირდებაო. რეცეპტი გამოვართვი და ხატის ქვეშ ამოვდე თაროზე, დღესაც იქ დევს. ნინოჩკასაც რაღაც ხსნარის აბაზანები დაუნიშნა, დღეში ორჯერ, დილა-საღამოს. სად შეგვიძლია ჩვენ ასეთი მკურნალობის ჩატარება ჩემს ქოხში, მოახლის, ჭურჭლისა და წყლის გარეშე, ჩემო ბატონო? მე თქვენთვის ჯერ არ მითქვამს, ნინოჩკა რევმატიზმითაა შეპყრობილი, ღამღამობით მარჯვენა მხარეს სტეხს, ეწამება საცოდავი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისეთი ანგელოზია, მაგის ხმას ვერ გაიგონებთ, ჩვენ რომ არ შეგვაწუხოს, არ გაგვაღვიძოს, ხმადაბალი კვნესაც კი არ აღმოხდება. ვჭამთ, რაც მოგვხვდება, რასაც ვიშოვით, ნინოჩკა კი ყველაზე ცუდ ნაჭერს აიღებს ხოლმე, ძაღლისთვის გადასაგდებ ნაჭერს: „ამის ღირსიც არ ვარ, თქვენს ლუკმას ვჭამ, ოჯახს ტვირთად ვაწევარო“. აი, ამას გამოხატავენ მისი თვალები. რაც შეგვიძლია, ვემსახურებით, მაგრამ ძალიან შეწუხებულია: „არა ვარ ამის ღირსი, ხეიბარი და უსარგებლო ვარო“. სარგებლობა კი დიდი მოაქვს, ის თავისი ანგელოზური სიმშვიდით ღმერთს ავედრებს მთელ ჩვენს ოჯახს, მის გარეშე, მისი მშვიდი სიტყვების გარეშე, ჩვენს ოჯახში ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა, ჩემო ბატონო, მისი გავლენით ვარვარაც კი ლმობიერი გახდა. ვარვარა ნიკოლაევნასაც ნუ დასძრახავთ, ისიც ანგელოზია, ისიც დაჩაგრულია. ჩვენთან ამ ზაფხულს ჩამოვიდა, თექვსმეტი მანეთი ჰქონდა მოგროვილი, ბავშვებს ამეცადინებს ხოლმე, ამ ფულით სექტემბერში, აი ახლა უკან უნდა დაბრუნებულიყო პეტერბურგში. ჩვენ კი ეს ფული გამოვუჭამეთ და საწყალს უკან დასაბრუნებლად კაპიკიც არ დარჩა. აი, ასეა ჩვენი ამბავი, ჩემო ბატონო. ახლა იგი ვერც დაბრუნდება, რადგან ჩვენთვის კატორღელივით მუშაობს, სახედარივით საზიდარში შევაბით, ყველას უვლის, რეცხავს, ხვეტს, დედილოს ლოგინში აწვენს, დედილო კი ჭირვეულია, მტირალა, ის ხომ სრულ ჭკუაზე არ არის, ჩემო ბატონო! ახლა კი ამ ორასი მანეთით მოახლის აყვანაც შემიძლია, თქვენ ეს გესმით, ალექსეი ფიოდოროვიჩ?! საყვარელი არსებების მკურნალობასაც შევძლებ, ვარვარას პეტერბურგში გავამგზავრებ, საქონლის ხორცს ვიყიდი, ახალ დიეტაზე გადავალთ, ჩემო ბატონო. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ოცნებაა!

ალიოშა ძალიან გახარებული იყო, ასეთი ბედნიერება რომ მიანიჭა მას და, რაც მთავარია, იგი უარს არ ამბობდა ამ ბედნიერებაზე.

- მოითმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მოითმინეთ, - ისევ რაღაც ახალ ოცნებას ჩაეჭიდა შტაბს-კაპიტანი და გახელებული სხაპასხუპით ალაპარაკდა, - იცით, ახლა, მგონი, მე და ილიუშა შევძლებთ იმ ოცნების განხორციელებას, ვიყიდით ცხენსა და ჩარდახიან საზიდარს, ცხენი აუცილებლად ყორნისფერი უნდა იყოს, სწორედ მან მთხოვა ყორნისფერი და როგორც ამ სამი დღის წინ დავგეგმეთ, გავემგზავრებით კ-ის გუბერნიაში. იქ ერთი ნაცნობი ადვოკატი მყავს, ბავშვობის მეგობარი, თუ იქ ჩავალ, თავისთან კანტორაში მწერლის ადგილს მპირდება, შესაძლებელია მომცეს კიდეც. აქ ერთი იმედგადაწურული ვალიც თუ დამიბრუნეს, შეიძლება ეს ოცნებაც კი ავისრულო, ჩემო ბატონო!

- აისრულებთ, აისრულებთ! - შესძახა ალიოშამ, - კატერინა ივანოვნა კიდევ გამოგიგზავნით, რამდენსაც სთხოვთ, იცით რა, ფული მეცა მაქვს, რამდენიც გინდათ, იმდენი გამომართვით, როგორც ძმისაგან ისე მიიღეთ, როგორც მეგობრისაგან, შემდეგ გამისტუმრებთ... (თქვენ აუცილებლად გამდიდრდებით!) იცით, კიდევ რას ვფიქრობ, ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდით, მე მხედველობაში მაქვს საცხოვრებლად სხვა გუბერნიაში გადასვლა! ეს იქნება თქვენი შველა, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი ბიჭისათვის. სჯობია, სასწრაფოდ გაემგზავროთ, ვიდრე ზამთარი დამდგარა, ვიდრე სიცივე დაწყებულა. იქიდან აუცილებლად მომწერეთ, დავრჩეთ ძმებად... არა, სულაც არაა ეს ოცნება!

ალიოშა ისეთი კმაყოფილი იყო, უნდოდა გადაჭხვეოდა მას, მაგრამ შეხედა შტაბს-კაპიტანს და შედგა: იგი კისერწაგრძელებული, ტუჩებმოკუმული, გაფითრებული, შეშლილი სახით იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა; ბგერები არ ისმოდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა, უცნაური სანახავი იყო.

- რა მოგივიდათ! - უეცრად შეკრთა ალიოშა.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ... მე... თქვენ... - ენაბლუსავით ლუღლუღებდა შტაბს-კაპიტანი, თან ოდნავ გაღიმებული სახით დაჟინებით შესცქეროდა ალიოშას, - მე, ბატონო... თქვენ.... ხომ არ გინდათ ახლა ერთი ფოკუსი გაჩვენოთ, ბატონო! - უცებ თქვა მან ჩურჩულით, ჩქარ-ჩქარა და მტკიცედ, ენა უკვე ეღარ ებმოდა.

- რა ფოკუსი?

- ფოკუსი, ასეთი ფოკუს-პოკუსი, - კვლავ ჩურჩულით განაგრძო შტაბს-კაპიტანმა; პირი მარცხნივ ჰქონდა მოქცეული, მარცხენა თვალი მოჭუტული და კვლავ თვალმოუშორებლად მიშტერებოდა ალიოშას.

- რა მოგივიდათ, რომელ ფოკუსზე ლაპარაკობთ? - იყვირა შეშინებულმა ალიოშამ.

- აი, დახეთ რომელი! - იღრიალა უცებ შტაბს-კაპიტანმა.

და ალიოშას აჩვენა ორი ფერადი ასიგნაცია, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, მთელი მათი საუბრის მანძილზე, კიდეებით ეჭირა მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით. შემდეგ უცებ რაღაც გაშმაგებით ისინი მარჯვენა მუშტში მოკუჭა.

- ხედავთ ამას, ხედავთ! - ღრიალებდა ფერდაკარგული და გახელებული შტაბს-კაპიტანი, მერმე მთელი ძალით მოიქნია ხელი და ორივე დაჭმუჭნული ასიგნაცია ქვიშაზე მოისროლა, - ხედავთ, ბატონო? - იღრიალა კვლავ და თითით აჩვენებდა ქვიშაზე დაყრილ ასიგნაციებს, - აი, ასე, ჩემო ბატონო!

უცებ მარჯვენა ფეხის ქუსლით გამხეცებულმა დაიწყო ასიგნაციების სრესა. ფეხის ყოველ დარტყმაზე რაღაცნაირ უცნაურ ხმებს გამოსცემდა.

- აი, თქვენი ფული, ბატონო! აი, თქვენი ფული! თქვენი ფული! თქვენი ფული! - უცებ იგი უკან გახტა და წელში გაიმართა ალიოშას წინაშე. მთელი მისი

გამომეტყველება აუწერელ სიამაყეს გამოხატავდა.

- ასე მოახსენეთ თქვენს აქ გამომგზავნებს, რომ წვერცანცარა თავის ღირსებას არ ყიდის, ბატონო! - იყვირა მან და ხელი მაღლა აღმართა. შემდეგ უცებ მობრუნდა და გაიქცა. ხუთი ნაბიჯიც არ გაუვლია, გაჩერდა, შემობრუნდა და ალიოშას ხელი დაუქნია. შემდეგ ისევ ხუთი ნაბიჯი გაირბინა და კიდევ ერთხელ, ამჟამად უკანასკნელად შემობრუნდა, ახლა მას სახე აღარ უცინოდა, პირიქით, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. მოტირალი, ჩახლეჩილი და მოგუდული ხმით სხაპასხუპით შეჰყვირა:

- მე რომ თქვენგან ეს ფული ავიღო, რა პასუხი გავცე ჩემს ბიჭუნას, ჩვენი თავსლაფის დასხმის საფასურია-მეთქი? - იყვირა და გაიქცა. ამჯერად უკან არ მოუხედავს. ალიოშამ გამოუთქმელი სევდით გაადევნა თვალი. მას კარგად ესმოდა, რომ შტაბს-კაპიტანმა უკანაკნელ წუთებამდე არ იცოდა, ფულს რომ დაჭმუჭნიდა და მოისროდა. იგი გარბოდა და ერთხელაც აღარ მობრუნებულა. ალიოშას სჯეროდა, რომ აღარ მობრუნდებოდა. გამოდევნება და დაძახება არც დაუპირებია, იცოდა რატომაც. როცა შტაბს-კაპიტანი თვალს მიეფარა, ალიოშამ ფული აიღო. ორივე ასიგნაცია დაჭმუჭნული იყო, ქვიშით მოსვრილი, მაგრამ დაუზიანებელი, როგორც ახალი, როცა ალიოშამ გაასწორა და ხელი გადაუსვა, ხელში ატკაცუნდა. მან ფული ჯიბეში ჩაიდო და კატერინა ივანოვნასაკენ გაემართა, რომ ყველაფერი დაწვრილებით მოეხსენებინა.

წიგნი მეხუთე PRO და CONTRA

[55]

I პირი შეკრეს

ალიოშას ისევ ქალბატონი ხოხლაკოვა შეეგება. ჩქარობდა: რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა - კატერინას ისტერიკა გულის წასვლით დამთავრდა, ამის შემდეგ „თავს საშინლად სუსტად გრძნობდა, წამოწვა, თვალები ამოუტრიალდა და დაიწყო ბოდვა. მერე სიცხემ აუწია, ჰერცენშტუბესთან კაცი ვაფრინეთ, დეიდებსაც შევატყობინეთ. დეიდები უკვე აქ არიან, ჰერცენშტუბე კი არ ჩანს. ყველა მის ოთახში ზის და ელის. რაღაც სჭირს, უგონოდაა. ვაითუ, ცხელება აქვსო!“

როცა ამას ყვებოდა, ქალბატონ ხოხლაკოვას ნამდვილად შეშფოთებული სახე ჰქონდა: „ეს ძალიან სერიოზული რამაა, ძალიან სერიოზული!“ - ამ სიტყვას ხაზგასმით ამბობდა, თითქოს რაც აქამდე თავს გადახდენოდა, არასერიოზული რამ ყოფილიყოს. დამწუხრებულმა ალიოშამ მოუსმინა და დააპირა თავისი თავგადასავლის მოყოლა, მაგრამ ქალბატონმა ხოხლაკოვამ მაშინვე შეაწყვეტინა, მოუცლელობა მოიმიზეზა და ალიოშას სთხოვა, ლიზასთან შესულიყო და იქ მოეცადა.

- ისე, ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, - თითქმის ყურში ჩასჩურჩულა ალიოშას, - Lise-მა დღეს ძალიან გამაკვირვა, გულიც კი ამიჩუყდა, მე ხომ მას ყველაფერს ვპატიობ. წარმოგიდგენიათ, როგორც კი თქვენ წაბრძანდით, სინანული გამოთქვა, გუშინ და დღეს თქვენ რომ დაგცინოდათ. მაგრამ ის ხომ არ დაგცინოდათ, მხოლოდ ხუმრობდა. ბავშვი ისეთი შეწუხებული იყო, ისე ნანობდა, თითქმის ტიროდა, რამაც მეც გამაკვირვა. სერიოზულად მას არასოდეს არ გამოუთქვამს სინანული, როცა მე დამცინოდა ხოლმე. თქვენ იცით, ის ხანდახან მეც დამცინის. ახლა კი ყველაფერმა სერიოზული ხასიათი მიიღო. ძალიან აფასებს თქვენს აზრს, ალექსეი ფიოდოროვიჩ; თუ შეიძლება, ნუ გაუნაწყენდებით, ნუ გექნებათ პრეტენზია. მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ ვუფრთხილდები მას, ის ისეთი ჭკვიანია - ხომ გჯერათ ჩემი? მან თქვენზე თქვა, ჩემი ბავშვობის მეგობარიაო, - „ჩემი ბავშვობის ყველაზე სერიოზული მეგობარიო“, - წარმოგიდგენიათ, ყველაზე სერიოზულიო, მე კი? ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად სერიოზული გრძნობები გააჩნია, მოგონებებიც კი, რაც მთავარია, ეს ფრაზები, ეს სიტყვები... ყველაზე მოულოდნელი ეს სიტყვები იყო, ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, სულ არ ელი. ამას წინათ ერთ ფიჭვზე დაიწყო ლაპარაკი, ეს ფიჭვი მის ბავშვობის დროს ჩვენს ბაღში იდგა, შეიძლება ახლაც იქ დგას, ფიჭვი ადამიანი ხომ არ არის, ის დიდხანს არ იცვლება. „დედა, - მეუბნება - ის ფიჭვი, როგორც სიზმარი, ისე მახსოვსო“, - ე.ი. „ფიჭვი სიზმრიდანო“ - ეს რაღაც სხვანაირად თქვა, ყველაფერი ამერ-დამერია, ის კი მახსოვს, ეს თემა რაღაც ორიგინალურად გამოხატა, მაგრამ გადმოცემა არ შემიძლია. ყველაფერი დამავიწყდა. აბა, კარგად იყავით. რაღაც შეშფოთებული ვარ, მგონი ჭკუიდან

ვიშლები. ოჰ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მე უკვე ორჯერ ვიყავი ჭკუიდან გადასული, მიმკურნალეს. ახლა შედით Lise-თან, გაამხნევეთ, თქვენ ეს კარგად შეგიძლიათ, Lise, - გასძახა მან ლიზას, - აი, მოგიყვანე შენ მიერ შეურაცხყოფილი ალექსეი ფიოდოროვიჩი, სულაც არ არის შენზე გაბრაზებული, გარწმუნებ, პირიქით, გაუკვირდა კიდეც, ეს როგორ გაიფიქრაო!

- Merci, maman[56]; მობრძანდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ.

ალიოშა შევიდა. ლიზა შეცბუნებულად გამოიყურებოდა და უცებ სახეზე წამოწითლდა. ეტყობოდა, რაღაცის რცხვენოდა და ამიტომაც, როგორც ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ახასიათებს ხოლმე, სხვა თემაზე დაიწყო ჩქარ-ჩქარა ლაპარაკი, თითქოს ამ წუთებში სხვა არაფერი აინტერესებდა.

- დღეს დედამ მითხრა იმ ორასი მანეთის შესახებ, თქვენ რომ გაგატანეს... იმ საბრალო ოფიცერთან... იმ საშინელ ამბავსაც მომიყვა, როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს მას. იცით, თუმცა დედაჩემმა ცუდი მოყოლა იცის... ერთი ამბიდან მეორეზე გადახტება ხოლმე... მაინც ვუსმენდი და ვტიროდი. რა ქენით, გადაეცით ის ფული, როგორ არის ახლა ის უბედური?

- საქმე ის არის, რომ ვერ გადავეცი, იქ მთელი ისტორია მოხდა, - უპასუხა ალიოშამ, რომელიც, თავის მხრივ, მართლაც შეწუხებული იყო, ფული რომ ვერ გადასცა. ამავე დროს ლიზამ მშვენივრად შეამჩნია, ალიოშა გვერდზე რომ იყურებოდა და აშკარად სხვა თემაზე საუბარს ამჯობინებდა, მაგიდას მაინც მიუჯდა და მოყოლა დაიწყო. მორიდებულობა პირველი სიტყვებიდანვე გაუქრა, ისე ყვებოდა, ლიზა ინტერესით უსმენდა. ალიოშა კვლავ ამასწინანდელი განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით გამოწვეული დიდი გრძნობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მონაყოლი კარგი და საფუძვლიანი გამოუვიდა. იგი ჯერ კიდევ მაშინ, ლიზას ბავშვობაში, დადიოდა მასთან მოსკოვში და სხვადასხვა ამბავს უყვებოდა: თავს გადახდენილს თუ წაკითხულს, ხანაც ბავშვობის მოგონებებს. ხანდახან ორივე ერთად ოცნებობდა და ერთად თხზავდა ნაირ-ნაირ სასაცილო და მხიარულ ამბავს. ახლაც ორივენი თავს ის გრძნობდნენ, თითქოს ამ ორი წლის წინანდელ მოსკოვში იმყოფებოდნენ. ლიზას გული აუჩუყა ალიოშას ნაამბობმა, როცა მან დიდი გრძნობით დაუხატა „ილუშეჩკას“ პორტრეტი. როდესაც ალიოშამ დაასრულა იმ სცენის დაწვრილებითი აღწერა, რომლის დროსაც უბედურმა შტაბს-კაპიტანმა ასიგნაციები ფეხით გათელა, ლიზამ ხელი ხელს შემოჰკრა და თავშუკავებლად შეჰკივლა:

- თქვენ რა, ფული არ დაუბრუნეთ, ნება მიეცით, რომ გაქცეულიყო! ღმერთო ჩემო, რატომ არ გამოედევნეთ და რატომ არ დაეწიეთ...

- არა, Lise, ასე ჯობდა, ჯობდა, არ გამოვკიდებოდი, - უთხრა ალიოშამ, სკამიდან ადგა და ოთახში შეფიქრიანებულმა გაიარ-გამოიარა.

- რატომაა კარგი, რით არის კარგი?! ახლა ხომ შიმშილით დაიხოცებიან!

- არ დაიხოცებიან, რადგან ამ ორას მანეთს მაინც აიღებს. ხვალ, მგონია,

აუცილებლად აიღებს, - ჩაილაპარაკა ალიოშამ, თან ჩაფიქრებული ოთახში ბოლთას სცემდა. - იცით, Lise, - გააგრძელა მან და უცებ შეჩერდა ლიზას წინ. - მე ერთი შეცდომა დავუშვი, მაგრამ, მგონი, კარგიცაა, ეს შეცდომა რომ დავუშვი.

- რომელი შეცდომა, რატომაა კარგი?

- აი, რატომ. ის მხდალი და სუსტი ნებისყოფის კაცია. ძალიან გაწამებული, მაგრამ უაღრესად კეთილი. ახლაც თავიდან არ ამომდის: ნეტავ რამ გააბრაზა და ფული რამ გადააგდებინა. დარწმუნებული ვარ, ბოლო წუთებამდე თავადაც არ იცოდა, ამას რომ ჩაიდენდა. მე ასე მგონია, იგი სხვა რამემ გააბრაზა... სხვანაირად არც შეიძლება მოქცეულიყო მის მდგომარეობაში მყოფი კაცი... ჯერ ერთი იმიტომ გაბრაზდა, რომ ფულის დანახვამ ძლიერ გაახარა და ეს სიხარული ჩემ წინაშე ვერ დაფარა. ასე ძალიან რომ არ გახარებოდა, ამას არ გამოაჩენდა, ცოტას გაიპრანჭებოდა, როგორც სხვებმა იციან ფულის აღების დროს, მერმე კი აიღებდა, მაგრამ მას ძალიან გაუხარდა და სწორედ ამიტომ გაბრაზდა. Lise, იგი გულმართალი, კეთილი კაცია და მისი უბედურებაც სწორედ ეს არის! მთელი ამ ჩვენი შეხვედრის მანძილზე ის სუსტი, მიკნავებული ხმით, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, ხან ჩაიხითხითებდა, ხანაც ტიროდა... მართლა ტიროდა, ისე იყო გახარებული... თავის ქალიშვილებზე მომიყვა... იმ სამუშაო ადგილზეც, სხვა ქალაქში რომ ჰპირდებიან... ჰოდა, როცა მთელი გული და სული გადამიშალა, უეცრად შერცხვა, ასე რომ გაშიშვლდა ჩემ წინაშე. ამიტომაც უცებ შევჯავრდი. იგი ხომ საშინლად მორცხვ ღარიბთა რიცხვს მიეკუთვნება. ყველაზე მეტად იმან გააბრაზა, რომ აჩქარდა, მეგობრად მიგულა და ყველაფერი გამანდო; ჯერ თავს მესხმოდა, მაგინებდა, შემდეგ, როცა ფული დაინახა, გადამეხვია, დიახ, მეხვეოდა და მეფერებოდა. ამის შემდეგ იგრძნო თავი დამცირებულად და სწორედ ამ დროს დავუშვი დიდი შეცდომა, ძალზე მნიშვნელოვანი: მოულოდნელად შევთავაზე, თუ მეტი ფული დაგჭირდეთ სხვა ქალაქში გასამგზავრებლად, კიდევ მოგცემთ, მე თვითონ მაქვს ფული და რამდენიც დაგჭირდებათ, იმდენს მოგცემთ-მეთქი. ამ ნათქვამმა გააოგნა: რატომ მოვინდომე ახლა მეც მისი დახმარება? იცით, Lise, შეურაცხყოფილი კაცისათვის ძალიან მძიმე გადასატანია, როცა ყველა მის შეცოდებასა და დახმარებას ცდილობს. მე ამის შესახებ ბერმა ზოსიმამ მითხრა. არ ვიცი, ახლა ეს როგორ გადმოგცეთ, მაგრამ ასეთი რამ საკუთარი თვალით მინახავს. გარდა ამისა, ხშირად მე თავად ვარ ხოლმე ასეთ მდგომარეობაში. მთავარი კი ისაა, მან არ იცოდა, თავიდან ასიგნაციებს ფეხით რომ გათელავდა, მაგრამ წინათგრძნობა ექნებოდა, აუცილებლად ექნებოდა. იმიტომაც გამოხატა ასეთი ძლიერი აღტაცება, რომ წინათგრძნობა ჰქონდა... თუმცა ყოველივე ცუდად დამთავრდა, ეს მაინც კარგის მომასწავებელია. მე ვფიქრობ, უკეთესად არც შეიძლებოდა...

- რატომ, რატომ არ შეიძლებოდა უკეთესად? - იყვირა ლიზამ და გაკვირებით მიაცქერდა ალიოშას.

- აი, რატომ, Lise, მას რომ ფული არ გადაეგდო და აეღო, მაშინ შინ მისვლისთანავე დამცირებისაგან ატირდებოდა, ეს აუცილებლად ასე მოხდებოდა. იტირებდა, მეორე დღესვე მომადგებოდა და იმ ფულს მომიგდებდა, იქვე ჩემ თვალწინ ფეხით გათელავდა, ამჟამად უკვე სამუდამოდ. ახლა კი ამაყად წავიდა.

საკუთარი თავის ღირსების შეგრძნებით, თუმცა კარგად იცის, რომ „თავი
დაიღუპა.“ ახლა უფრო ადვილია მისი დაყოლიება, რომ ეს ორასი მანეთი აიღოს,
ხვალვე მივალ... როცა ასიგნაციებს ფეხით თელავდა, მას ხომ არ შეეძლო
სცოდნოდა, რომ მეორე დღეს ფულს ხელახლა მივუტანდი. თან ეს ფული
ჰაერივით სჭირდება. თუმცა ახლა ის ამაყია, მაგრამ უკვე დღესვე იფიქრებს,
როგორ დახმარებაზე თქვა უარი. ღამე უფრო გაუმძაფრდება სინანულის
გრძნობა, ძილშიც დაესიზმრება, ხვალ დილისთვის შეიძლება დააპიროს ჩემთან
მოსვლა და ბოდიშის მოხდა. მე კი ამ დროს გამოვეცხადები და ვეტყვი: „თქვენ
ამაყი ადამიანი ბრძანდებით, თქვენ დაამტკიცეთ თქვენი ღირსება, ახლა კი
მიიღეთ ეს დახმარება და გვაპატიეთ-მეთქი.“ აი, მაშინ კი აიღებს!

ალიოშამ რაღაცნაირი ექსტაზით თქვა: „აი, მაშინ კი აიღებს!“ აღტაცებულმა
ლიზამ ტაში შემოკრა.

- მართალია, მართალი, ახლა ყველაფერს მივხვდი! ოი, ალიოშა, საიდან იცით
ამდენი? ასეთი ახალგაზრდა ხართ და ყველაფერი იცით, რაც კაცს გუნებაში აქვს.
ამას მე ვერასოდეს მოვიფიქრებდი.

- ახლა მთავარია, დავარწმუნო, რომ თანასწორები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ
ფულს ჩვენგან იღებს, - ისევ გააგრძელა ექსტაზში შესულმა ალიოშამ, - არა
მარტო თანასწორია, არამედ ჩვენზე მაღლაც რომ დგას...

- „ჩვენზე მაღლაც რომ დგას“ - მშვენიერია, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ილაპარაკეთ,
განაგრძეთ!

- ე.ი. ისე არა ვთქვი, როგორც საჭიროა... ჩვენზე მაღლა-მეთქი... მაგრამ ამას არ
აქვს მნიშვნელობა, იმიტომ რომ...

- ეგ არაფერია, არაფერი, არა უშავს! მაპატიეთ, ალიოშა, ძვირფასო... იცით რა, მე
თქვენ აქამდე თითქმის არ გცემდით პატივს... უფრო სწორედ პატივს კი გცემდით,
როგორც თანასწორს, მაგრამ ახლა პატივს გცემთ, როგორც ჩემზე ერთი თავით
მაღლა მდგომ პიროვნებას. ძვირფასო, ნუ მიწყენთ ხოლმე ჩემს ენაკვიმატობას, -
სიტყვა გააწყვეტინა გრძნობამორეულმა ლიზამ, - მე ერთი სასაცილო, პატარა
გოგონა ვარ, თქვენ კი, თქვენ... მისმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ხომ არ
იმალება ჩვენს სჯა-ბაასში, ე.ი. თქვენსაში... არა, სჯობს ჩვენს სჯა-ბაასში... ხომ არ
იმალება იმ უბედურის მიმართ ჩვენი აგდებული დამოკიდებულება - ჩვენ მისი
სული ხომ ახლა მედიდურად, გამოწვლილვით განვიხილეთ, ჰა? თანაც ასე
მტკიცედ რომ გადავწყვიტეთ, ფულს აიღებსო, ჰა?

- არა, Lise, აგდებულად რატომ, - მტკიცედ უპასუხა ალიოშამ, თითქოს უკვე მზად
იყო ამ პასუხისათვის, - ამაზე მეც ვფიქრობდი, როცა აქეთ მოვდიოდი. თავად
განსაჯეთ, რა აბუჩად აგდებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენც, ყველანი
ისეთები ვართ, როგორიც ისაა. არაფრით ვართ მასზე უკეთესები. რომც ვიყოთ,
მის ადგილას ყველა მისნაირი ვიქნებოდით. არ ვიცი, თქვენ როგორ, Lise, მაგრამ
მე ვთვლი, ბევრ რამეში, უფრო წვრილმანი კაცი ვარ. ის დელიკატური ადამიანია...
არა, Lise, ჩვენ მას აბუჩად არ ვიგდებთ! იცით, ერთხელ ჩემმა ბერმა რა მითხრა:

ადამიანებს, როგორც ბავშვებს, ისე უნდა მოვლაო, ზოგიერთ მათგანს კი - როგორც ავადმყოფებს საავადმყოფოში...

- ოჰ, ალიოშა, ოჰ, ძვირფასო, მოდი, ავადმყოფებს ისე მოვუაროთ, როგორც ავადმყოფებს!

- მოდი, Lise, მზად ვარ. მხოლოდ შინაგანად არ ვარ მზად, ხანდახან მოუთმენელი ვარ, ხანდახან უყურადღებო. თქვენ კი სულ სხვა ხართ.

- ოჰ, არც კი მჯერა! ალექსეი ფიოდოროვიჩ, ისეთი ბედნიერი ვარ!

- რა კარგია, Lise, ამას რომ ამბობთ.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენ საოცრად კარგი ხართ, მაგრამ ხანდახან პედანტი მგონიხართ... ახლა კი გიყურებთ და სულაც არ ხართ პედანტი. ერთი კართან მიდით და გახედეთ, დედაჩემი ხომ არ გვიგდებს ყურს, - უცებ ჩაუჩურჩულა ლიზამ რაღაცნაირი ნერვიული და აჩქარებული ხმით.

ალიოშა კართან მივიდა, გააღო და მოახსენა, რომ არავინ უსმენდა.

- ახლოს მოდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, - გააგრძელა ლიზამ და თან სულ უფრო და უფრო წითლდებოდა, - მომეცით თქვენი ხელი, აი ასე, მისმინეთ, მე თქვენ ერთ რამეში უნდა გამოგიტყდეთ: გუშინდელი წერილი ხუმრობა არ ყოფილა, სავსებით სერიოზულად დავწერე...

მან ხელები თვალებზე აიფარა. ეტყობოდა, ძალიან რცხვენოდა ამ აღიარების. შემდეგ მოულოდნელად ალიოშას ხელზე ხელი სტაცა და გაშმაგებით სამჯერ აკოცა.

- ოჰ, Lise, ძალიან კარგი, - შეჰყვირა გახარებულმა ალიოშამ. - დარწმუნებული ვიყავი, ასეც რომ იყო.

- დარწმუნებული ვიყავიო, წარმოგიდგენიათ!¬- უცებ ალიოშას ხელი განზე გასწია, თუმცა არ გაუშვია, სახე აეტკიცა და თითქმის უხმოდ ბედნიერად უცინოდა, - მე ხელს ვუკოცნი, ეს კი მეუბნება, „ძალიან კარგიო“, - მაგრამ ლიზა არასამართლიანად საყვედურობდა: ალიოშაც ძალიან დაბნეული იყო...

- მე ყოველთვის მსურდა, თქვენთვის თავი მომეწონებინა, Lise, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახერხო ეს, - ჩაიბურტყუნა მან ძლივძლიობით და ისიც გაწითლდა.

- ძვირფასო ალიოშა, თქვენ ცივი და თავხედი არსება ხართ, ბატონო ჩემო. მან გადაწყვიტა ჩემი ქმრობა და დამშვიდდა! დარწმუნებულია, წერილი რომ სერიოზულია, როგორ მოგწონთ! ეს ხომ ნამდვილი თავხედობაა - მეტი არაფერი!

- რა არის ამაში ცუდი, თუკი დარწმუნებული ვიყავი? - უცებ გაიცინა ალიოშამ.

- არა, ალიოშა, არა, პირიქით, ძალიან კარგია, - ალერსიანი და ბედნიერი სახით

შეხედა ლიზამ. ალიოშა იდგა და ლიზას ხელი კვლავ თავის ხელში ეჭირა. უცებ
დაიხარა და პირდაპირ ტუჩებში აკოცა.

- ეს კიდევ რა არის? რა მოგდით? - იყვირა ლიზამ. ალიოშა სულ დაიბნა.

- მაპატიეთ, დავაშავე... შეიძლება ძალზე ბრიყვული... თქვენ თქვით, რომ მე ცივ
ვარ, ჰოდა, ავდექი და გაკოცეთ... მაგრამ ვხედავ, რომ სულელურად გამომივიდა...

ლიზამ გაიცინა და სახეზე ხელები აიფარა.

- ასეთ კაბაში! - სიცილ-კისკისში წამოსცდა მას, მაგრამ უცებ დასერიოზულდა და
მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

- კარგი, ალიოშა, კოცნამდე ჯერ მოცდა მოგვიწევს, რადგან ჯერ არ გვეხერხება,
მოცდა კი დიდხანს მოგვიწევს, - დაასკვნა მან, - ერთი ეს მითხარით, რად გინდათ
ჩემნარი ტუტუცი და სნეული გოგონას ქმრობა ასეთ ჭკვიან, მოაზროვნე და
დაკვირვებულ კაცს? ოჰ, ალიოშა, მე ძალიან ბედნიერად იმიტომ ვთვლი თავს,
თქვენი ღირსი რომ არა ვარ!

- მოიცათ, Lise, ამ დღეებში მონასტერს დავტოვებ. საერო ცხოვრებას დავიწყებ და
ცოლსაც შევირთავ, ეს ზუსტად ვიცი. მან ასე მიბრძანა. თქვენზე უკეთესს კი ვის
შევირთავ... ანდა თქვენ გარდა ვის ვუნდივარ? მე ამის შესახებ ბევრი მიფიქრია,
ჯერ ერთი, მე თქვენ ბავშვობიდან მიცნობთ, მეორე, თქვენ ბევრი ისეთი რამის
ნიჭი გაქვთ, რაც მე საერთოდ არ გამაჩნია. თქვენ ჩემზე მხიარული ხართ; რაც
მთავარია, ჩემზე უცოდველი, მე უკვე ბევრ რამეს შევეხე, ბევრი რამით გავისვარე...
თქვენ ხომ ეს არ იცით, მე ხომ კარამაზოვი ვარ! რა არის ამაში ცუდი, თუკი თქვენ
იცინით, ხუმრობთ, ხანდახან ჩემზეც; პირიქით, იცინეთ, რამდენიც გინდათ, მე ეს
ძალიან მახარებს... მაგრამ ერთი კია, თქვენ იცინით, როგორც პატარა გოგონა,
ხოლო ფიქრობთ, როგორც წამებული...

- როგორც წამებული? ეგ როგორ?

- დიახ, Lise, ამას წინათ რომ იკითხეთ: აბუჩად ხომ არ ვიგდებთ იმ უბედურს, იმის
სულს ასე გამოწვლილვით რომ განვიხილავთო, - ასეთი კითხვა მოწამებრივი
კითხვაა... იცით რა, მე არ შემიძლია, ეს კარგად გამოვხატო, მაგრამ მგონი ვისაც
ასეთი კითხვები ებადება, მას თავად შეუძლია ეწამოს. მაგ სავარძელზე ჯდომა
ბევრი ფიქრის აღმძვრელია...

- ალიოშა, მომეცით ხელი, ნუ მართმევთ, - ჩაილაპარაკა ბედნიერებისაგან
ხმაათრთოლებულმა ლიზამ, - მითხარით, ალიოშა, რას ჩაიცვამთ, როცა
მონასტრიდან წამოხვალთ, რომელ კოსტიუმს? ნუ იცინით, ნუ ბრაზობთ, ეს
ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამაა.

- კოსტიუმის თაობაზე არ მიფიქრია, მაგრამ თქვენ როგორც გინდათ, ისე
ჩავიცვამ.

- მე მსურს, თქვენ ტანთ გეცვათ მუქი ლურჯი ხავერდის პიჯაკი, პიკეს ჟილეტი და

თავზე ნაცრისფერი თივთიკის შლაპა გეხუროთ... ერთი ეს მითხარით, ამას წინათ, როცა წერილზე უარი ვთქვი, თქვენ დაიჯერეთ, რომ არ მიყვარდით?

- არა.

- ოო, აუტანელი კაცი ხართ, გამოუსწორებელი!

- იცით რა, მე ვიცოდი... თქვენ რომ გიყვარდით, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს მჯეროდა თქვენი ნათქვამის, რომ არ გიყვარდით, თქვენთვის რომ უხერხული არ ყოფილიყო...

- მით უარესი! უარესი და ყველაზე უკეთესი. ალიოშა, მე თქვენ მეტისმეტად მიყვარხართ. სანამ მოხვიდოდით, ჩავუთქვი: ჩემი გუშინდელი წერილის შესახებ ვკითხავ-მეთქი, თუ იგი მშვიდად ამოიღებს და მომცემს (რაც თქვენგან ყოველთვისაა მოსალოდნელი), ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სულ არ ვუყვარვარ, არავითარი გრძნობა არ აქვს, უბრალოდ ბრიყვი და უღირსი ბიჭუკელაა, მე კი დავიღუპე-მეთქი. თქვენ კი წერილი სენაკში დატოვეთ, ამან გამამხნევა: ალბათ იმიტომ დატოვეთ სენაკში, ელოდით, რომ მოგთხოვდით და უკან რომ არ დაგებრუნებინათ, ასე არ იყო? ხომ ასე იყო?

- ვაი, რომ ეგრე არ არის, Lise, წერილი თან მაქვს, აი, აქ მიდევს ჯიბეში, აი.

ალიოშამ წერილი ჯიბიდან ამოიღო და შორიდან აჩვენა.

- ოღონდ არ მოგცემთ, შორიდან უყურეთ.

- ეს როგორ? მომატყუეთ, მონაზონმა ტყუილი თქვით?

- დიახ, ვიცრუე, - გაიცინა ალიოშამ, - წერილი რომ არ დამებრუნებინა, იმიტომ ვიცრუე. ეს წერილი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, - დაუმატა მან დიდი გრძნობით და წამოწითლდა, - სამუდამოდ, მე მას არასოდეს არავის მივცემ!

აღტაცებული ლიზა თვალებში შესციცინებდა ალიოშას.

- ალიოშა, - ენამოჩლექით სთხოვა მან, - გახედეთ, კართან დედაჩემი ხომ არ დგას?

- კი, ბატონო, მაგრამ იქნებ სჯობს, არ გავიხედო, ჰა? რატომ ვიფიქრო დედათქვენზე ასეთი სიმდაბლე?

- რატომ სიმდაბლე, რომელ სიმდაბლეზეა ლაპარაკი? ის, რომ დედა თავის ქალიშვილს თვალყურს ადევნებს, მისი უფლებაა და არა სიმდაბლე, - გაცხარდა ლიზა, - ალექსეი ფიოდოროვიჩ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როცა მე დედა ვიქნები და ჩემხელა ქალიშვილი მეყოლება, მეც აუცილებლად ვადევნებ ფარულად თვალყურს.

- მართლა, Lise? ეს ცუდია.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რატომაა სიმდაბლე? მე თუ რომელიმე ჩვეულებრივ საუბარს ფარულად ყურს დავუგდებ, ეს, ცხადია, სიმდაბლეა, მაგრამ თუკი ჩემი ღვიძლი ქალიშვილის და ვინმე ახალგაზრდა კაცის მუსაიფს ჩუმად მოვისმენ, განა ეს სიმდაბლეა? მომისმინეთ, ალიოშა, კარგად დაიმახსოვრეთ, მე თქვენც გითვალთვალებთ, როგორც კი ჩვენ ჯვარს დავიწერთ და ისიც იცოდეთ, მე თქვენს წერილებსაც გავხსნი და წავიკითხავ... ამაზე წინასწარ გაფრთხილებთ...

- კი ბატონო, მხოლოდ ეს... - ჩაიბურტყუნა ალიოშამ, - ეს ძალიან ცუდია...

- ვაი, ეგ როგორი ზიზღით თქვით! ალიოშა, ძვირფასო, ჯერ ნუ ვიჩხუბებთ. მე თქვენ სიმართლეს გეუბნებით: ვიცი, ცუდია მიყურადება, შეიძლება ვცდები, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მე მაინც ჩემსას გავაკეთებ.

- გააკეთეთ, მე საიდუმლო არაფერი მექნება, - გაიცინა ალიოშამ.

- ალიოშა, თქვენ მე დამემორჩილებით? ესეც წინასწარ უნდა გადავწყვიტოთ.

- დიდი სიამოვნებით, Lise, აუცილებლად, მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხებში არა. თუ მნიშვნელოვან საკითხებში არ დამეთანხმებით, მე მაინც ისე გავაკეთებ, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს.

- ასეც უნდა იყოს. ისე, უნდა იცოდეთ, მე, პირიქით, არა თუ მნიშვნელოვან საკითხებში დაგემორჩილებით, არამედ ყველაფერს დაგითმობთ, გეფიცებით - მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები, - გულმხურვალედ ყვიროდა ლიზა, - რაც მთავარია, ბედნიერი ვიქნები, ბედნიერი! ეს კიდევ რაა, გეფიცებით, არასოდეს ფარულად თვალყურს არ გადევნებთ, არასოდეს არ წავიკითხავ თქვენს წერილებს, იმიტომ რომ, თქვენ ცამდე მართალი ხართ, მე კი არა. თუმცა ძალიან მენდომება თქვენი საიდუმლოებების ცოდნა, მაინც არ გავაკეთებ ამას, რადგან თქვენ თვლით, რომ ეს კეთილშობილი საქციელი არ არის. ახლა თქვენ ჩემი ბედისწერა ხართ... მისმინეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ, რატომ ხართ ამ ბოლო ხანებში ასეთი სევდიანი, გუშინაც და დღესაც; ვიცი, რომ ბევრი საზრუნავი გაქვთ, მაგრამ იმასაც ვხედავ, მათ გარდა სხვა რაღაცებიც გაწუხებთ, რაღაც განსაკუთრებული სევდა. საიდუმლოა ალბათ, არა?

- დიახ, Lise, მაქვს საიდუმლო, - სევდიანად თქვა ალიოშამ, - ვხედავ, რომ მართლა გიყვარვართ, რადგან ყველაფერს მიხვდით.

- რა გაწუხებთ? რა გიჭირთ? არ იტყვით? - მორიდებულად ჰკითხა ლიზამ.

- მერე გეტყვით, Lise... მერე... - შეცბუნდა ალიოშა, - ახლა ვერ გამიგებთ. გარდა ამისა, ვერც მე შევძლებ თქმას.

- ვიცი, თქვენი ძმებისა და მამის ამბავი გაწუხებთ, ასეა?

- დიახ, ძმებისაც, - ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა ალიოშამ.

- მე თქვენი ძმა, ივან ფიოდოროვიჩი არ მიყვარს, ალიოშა, - უცებ მიახალა ლიზამ.

ალიოშა ამ ნათქვამმა გააკვირვა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- ძმები თავს იღუპავენ, - გააგრძელა მან, - მამაჩემიც. ის კი არა სხვებსაც ღუპავენ. ესაა „კარამაზოვული მიწიერი ძალა“, როგორც ამას წინათ მამა პაისიმ აღნიშნა, მიწიერი და მძვინვარე, მოუხეშავი... ახდენს თუ არა ამაზე ღვთიური ძალა რაიმე ზემოქმედებას, ისიც არ შემიძლია ვთქვა. მხოლოდ ის ვიცი, თავად კარამაზოვი რომ ვარ... მე მონაზონი ვარ, მონაზონი? მონაზონი ვარ მე, Lise? თქვენ ახლახან არ თქვით, რომ მონაზონი ხართო?

- დიახ, ვთქვი.

- მე კი, შესაძლოა, ღმერთიც არ მწამს.

- თქვენ არ გწამთ, რას ამბობთ? - წყნარად და მორიდებულად ჩაილაპარაკა ლიზამ. ალიოშამ არ უპასუხა. ამ მოულოდნელად ნათქვამ სიტყვებში იყო რაღაც ძალზე იდუმალი და რაღაც ძალზე სუბიექტური, შესაძლოა მისთვისაც გაურკვეველი, მაგრამ უეჭველად მისი მტანჯველი, - ახლა კი ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი მეგობარი, ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, ტოვებს მიწიერ ცხოვრებას. რომ იცოდეთ, Lise, რომ იცოდეთ, სულიერად როგორ ვარ დაკავშირებული და შედუღაბებული ამ ადამიანთან! მე მარტო ვრჩები... ამიერიდან თქვენთან მოვალ... მუდამ ერთად ვიქნებით...

- დიახ, ერთად, ერთად! ამიერიდან სულ ერთად ვიყოთ მთელი ცხოვრება. ალიოშა, მაკოცეთ, მე ნებას გრთავთ.

ალიოშამ აკოცა.

- ახლა კი წადით, გფარავდეთ ღმერთი! (ლიზამ ჯვარი გადასწერა) ახლავე მასთან წადით, სანამ ცოცხალია. უსინდისოდ დიდხანს დაგაყოვნეთ. მე კი მთელი დღე მისთვის და თქვენთვის ვილოცებ. ალიოშა, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით! ხომ ვიქნებით ბედნიერები, ვიქნებით?

- მგონი, ვიქნებით, Lise.

ლიზასგან გამოსული ალიოშა არც აპირებდა ქალბატონ ხოხლაკოვას ნახვას. მაგრამ როგორც კი კარი გააღო და კიბესთან მივიდა, მის წინ ქალბატონი ხოხლაკოვა აღიმართა. მისი პირველი სიტყვებიდანვე ჩანდა, რომ საგანგებოდ ელოდებოდა.

- ალექსეი ფიოდოროვიჩ, ეს საშინელებაა, ეს ბავშვური სისულელეებია, იმედია, თქვენ ამაზე არც იოცნებებთ... სისულელეა, სისულელე! - გაცხარებული მივარდა ქალი.

- მხოლოდ ამას Lise-ს ნუ ეტყვით, - უთხრა ალიოშამ, - თორემ აღელდება, ეს კი მისთვის საზიანოა.

- მესმის კეთილგონიერი ახალგაზრდა კაცის გონიერი სიტყვები. ეს ისე ხომ არ გავიგო, თქვენ სიბრალულის გამო დათანხმდით ყველაფერზე, არ გინდოდათ, თქვენი უარით გაგეუარესებინათ მისი ავადმყოფური მდგომარეობა.

- არავითარ შემთხვევაში, სულაც არა! მე სავსებით სერიოზულად ვლაპარაკობდი, - მტკიცედ უპასუხა ალიოშამ.

- სერიოზულობა დაუშვებელია, უაზრობაა, რადგან პირველ რიგში, რასაც ვიზამ, ისაა, რომ სახლში აღარ შემოგიშვებთ, მეორეც ის, რომ ჩვენ აქედან გავემგზავრებით, ეს კარგად იცოდეთ.

- რატომ, - უთხრა ალიოშამ, - ეს ხომ მალე არ მოხდება, შესაძლოა, კიდევ წელიწად-ნახევარი მოგვიწიოს ცდა.

- ესეც მართალია, ალექსეი ფიოდოროვიჩ, წელიწად-ნახევარში ათასჯერ შეიძლება წაიჩხუბოთ და დაშორდეთ კიდეც. მაგრამ მე ისეთი უბედური ვარ, ისე უბედური! მართალია, ეს წვრილმანი რამეა, მაგრამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ახლა ფამუსოვივით ვარ, უკანასკნელ სცენაში რომ არის. თქვენ ჩაცკი ხართ, ის კი სოფია. თქვენ წარმოგიდგენიათ, კიბეებზე საგანგებოდ გამოვედი, თქვენ რომ შეგხვედროდით. იქაც ხომ ყველაფერი საბედისწერო კიბეებზე მოხდა. მე ყველაფერი მოვისმინე, თავს ძლივს ვიკავებდი. თურმე რა ყოფილა მიზეზი წუხანდელი კოშმარებისა და ამასწინანდელი ისტერიკებისა! ქალიშვილს სიყვარული, დედას კი სიკვდილი. აწი თუნდაც კუბოში ჩაწექი! ახლა ყველაზე მთავარი: ეს რა წერილია, რომელიც მან გამოგიგზავნათ, ახლავე მანახეთ, ახლავე!

- არა, არ განახებთ. სჯობს, ის მითხრათ, როგორ არის კატერინა ივანოვნა, ძალიან მაინტერესებს.

- ისევ ბოდავს, ჯერ არ მოსულა გონს; მისი დეიდები აქ არიან, ოხრავენ და ქედმაღლურად მიყურებენ. ჰერცენშტუბე მოვიდა და ისე შეშინდა, აღარ ვიცოდი, რით მეშველა, ისიც კი ვიფიქრე - ექიმს დავუძახებ-მეთქი. ჩემი კარეტით წაიყვანეს. ახლა კი ამდენ ნერვიულობას ამ წერილის ამბავიც დაემატა. მართალია, ყველაფერი ეს წლინახევრის შემდეგ მოხდება. ყველაფერს გაფიცებთ, იმ მომაკვდავი ბერის სულს გაფიცებთ, მანახეთ ის წერილი, მე ხომ დედა ვარ მისი! თუ გნებავთ, თქვენ გეჭიროთ ხელში, ისე წავიკითხავ.

- არა, არ განახებთ, კატერინა ოსიპოვნა, იმანაც რომ დამრთოს ნება, მაინც არ განახებთ. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ხვალ, თუ გნებავთ, გეახლებით და რამდენიც გინდათ, იმდენი ვიმუსაიფოთ, მშვიდობით!

ალიოშამ კიბეები ჩაირბინა და ქუჩაში გავარდა.

II სმერდიაკოვი გიტარით

ალიოშას მართლაც არ ეცალა. როცა ლიზას ეთხოვებოდა, თავში ერთი აზრი მოუვიდა: ყოველი ღონე ეხმარა და სადმე გამოეჭირა თავისი ძმა, დმიტრი, რომელიც ახლა ალბათ ემალებოდა. შუადღე გადასული იყო, ასე, სამი საათი იქნებოდა, ალიოშა მთელი თავისი არსებით მონასტერისაკენ მიიჩქაროდა „დიდ“ მომაკვდავთან, მაგრამ ძმის ნახვის სურვილმა ყველაფერს გადასძლია. ალიოშას გონებაში ყოველ საათობით მტკიცდებოდა რწმენა გარდაუვალი საშინელი კატასტროფისა, რომელიც მზადდებოდა. რას გულისხმობდა ამ კატასტროფაში ან, კერძოდ, ამ მომენტისათვის რა უნდა ეთქვა თავისი ძმისათვის, ჯერ თავადაც არ იცოდა. „დაე, ჩემი კეთილისმყოფელი უჩემოდ გარდაიცვალოს, სამაგიეროდ, მთელი სიცოცხლე სანანებლად არ მექნება, რომ ვიღაცის გადარჩენა შემეძლო და არ გავაკეთე, გვერდი ავუქციე და შინისაკენ გავეშურე. რასაც ახლა ჩავდივარ, მისი დიდი სურვილის მიხედვით ვაკეთებ...“

ალიოშას ასეთი გეგმა ჰქონდა: სადმე შემთხვევით უნდა გამოეჭირა დმიტრი. გუშინდელივით უნდა გადამძვრალიყო იმ ღობეწნულზე, შესულიყო ბაღში, ფანჩატურში ჩამომჯდარიყო და იქ დალოდებოდა. „თუ არ დამხვდება, - ფიქრობდა ალიოშა, - არც ფომას და არც დიასახლისებს არაფერს ვეტყვი, ფანჩატურში დავიმალები და საღამომდეც რომ მომიწიოს ლოდინი, მაინც დავუცდი. თუ ის გრუშენკას კიდევ ჰყარაულობს, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ იქ მოვა...“ ალიოშა მაინცდამაინც გულდასმით არ აწყობდა გეგმას, მაგრამ ის კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც უნდა დასჯდომოდა, ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა, თუნდაც მონასტერში დღეს სულაც აღარ დაბრუნებულიყო...

ყველაფერი დაბრკოლების გარეშე მოხდა: როგორც გუშინ, ის იმავე ადგილზე გადაძვრა ღობეწნულზე და ჩუმად მივიდა ფანჩატურთან. შეუმჩნევლად უნდოდა მისვლა, რადგან დიასახლისსაც და ფომასაც (თუ იგი იქ იყო) შესაძლოა ძმის მხარე დაეჭირათ და მისი ბრძანების შესაბამისად ემოქმედათ: ან ბაღში არ შეეშვათ, ალიოშა ან დროულად გაეფრთხილებინათ მიტია - გეძებენო. ფანჩატურში არავინ დახვდა. ალიოშა გუშინდელ ადგილას დაჯდა და ლოდინი დაიწყო. ფანჩატურს თვალი მოავლო, დღეს იგი გაცილებით ძველი მოეჩვენა, ვიდრე გუშინ, რაღაცნაირად მინჯღრეულ-მონჯღრეული. გუშინდელივით ნათელი დღე იდგა. მწვანე მაგიდას გუშინდელი კონიაკიანი სირჩის წრისმაგვარი ლაქა აჩნდა. გამოუსადეგარი და უაზრო ფიქრები უტრიალებდა თავში, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მოსაწყენი ლოდინის დროს - მაგალითად, დღესაც მაინცდამაინც იმ ადგილას რატომ დაჯდა, რომელზედაც გუშინ იჯდა და არა სხვა სკამზე? ბოლოს მოსწყინდა, მოსწყინდა შემაშფოთებელი გაურკვევლობის გამო. თხუთმეტი წუთიც არ მჯდარა, უცებ სადღაც ახლოდან გიტარის აკორდი მოესმა. ასე ოცი ნაბიჯის სიახლოვეს, ბუჩქებთან, ვიღაც იჯდა ან ახლახან ჩამოჯდა. ალიოშას გონებაში ამოუტივტივდა გუშინ ნანახი, როცა თავის ძმას დაშორდა და ფანჩატურიდან წამოვიდა, ღობის გვერდით, მარცხნივ ბუჩქებს შორის, თვალი მოჰკრა მწვანე დაბალ ძველ მერხს. ალბათ იმაზე თუ ისხდნენ. ნეტა ვინ არიან? უცებ გაისმა მამაკაცის ხმა. იგი გიტარაზე უკრავდა და ტკბილი ფალცეტით მღეროდა:

უძლეველი ძალით

მიყვარს ერთი ქალი.

ღმერთო შეგ-ვე-წი-ე

ჩვენ!

ჩვენ!

ჩვენ!

სიმღერა შეწყდა. შეწყდა ლაქიის ტენორი და ლაქიური შაირები. ახლა ქალის ხმა მოისმა. ის მორიდებული, ალერსიანი, მაგრამ ძალიან გატყლარჭული ხმით ლაპარაკობდა:

- ამ ბოლო ხანებში ძვირი სანახავი გახდით, პაველ ფიოდოროვიჩ, რაღაც აღარ გვწყალობთ!

- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, - ახლა კაცის ხმა მოესმა ალიოშას, თუმცა თავაზიანი, მაგრამ თავდაჯერებულად მტკიცე და ღირსებით აღსავსე. იგრძნობოდა კაცის უპირატესობა, ქალი ეკეკლუცებოდა. „მგონი, კაცი სმერდიაკოვია, - გაიფიქრა ალიოშამ, - ხმა იმისას ჰგავს, ქალი კი ნამდვილად სახლის პატრონის ქალიშვილია, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა, შლეიფიანი კაბა რომ აცვია და სუფის საჭმელად მარფა იგნატიევნასთან დაბრძანდება...“

- თუ კარგადაა გარითმული, ყველანაირი ლექსი მიყვარს, - კვლავ გაისმა ქალის ხმა. - რატომ არ გააგრძელებთ?

კაცი კვლავ ამღერდა:

ზეციური თაღი

სატრფო მყავდეს ლაღი.

ღმერთო შე-გვე-წი-ე

ჩვენ!

ჩვენ!

ჩვენ!

- ადრე უფრო კარგად გამოგდიოდათ, - შენიშნა ქალმა, - მაშინ გულიანად და ნაზად მღეროდით: „ტურფა მყავდეს ლაღიო.“ ალბათ დაგავიწყდათ.

- ლექსები სისულელეა, - მოუჭრა სმერდიაკოვმა.

- არა, რას ამბობთ, ლექსები ძალიან მიყვარს.

- ლექსები სისულელეა-მეთქი, ჩემო ქალბატონო, ნამდვილი სისულელე. თავად განსაჯეთ: სინამდვილეში რითმებით ვინ ლაპარაკობს? ჩვენ რომ რითმებით ვილაპარაკოთ, თუნდაც უფროსების ბრძანებით, ბევრ რამესაც ვიტყვით. ლექსები საქმე არ არის, მარია კონდრატიევნა.

- ო, როგორი ჭკვიანი ხართ, ყველაფერი ასე კარგად საიდან იცით? - სულ უფრო და უფრო ელაქუცებოდა ქალი.

- ეს რა არის, უფრო მეტი მეცოდინებოდა, ბავშვობიდან ასეთი ხვედრი რომ არ მრგებოდა. ყველას დუელში გამოვიწვევდი და შუბლს გავუხვრეტდი, ვინც მე ნაბიჭვარს მეძახის, რადგან დედაჩემმა უმამოდ გამაჩინა. მოსკოვში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაბიჭვარს მეძახდნენ. ამას გრიგორი ვასილევიჩს უნდა ვუმადლოდე, მან მოსდო ქვეყანას. გრიგორი ვასილევიჩი მსაყვედურობს, როცა ჩემს დაბადებას ვწყევლი: „შენ მისი საშოს გამღები ხარო“[57]. საშოს გამღები ვარ თუ რა, არ ვიცი, მაგრამ უარს არ ვიტყოდი, იმ საშოშივე თუ მომსპობდნენ და ამ ქვეყანას არ მოვევლინებოდი. ბაზარში ხშირად წამოუძახებიათ ხოლმე და დედათქვენმაც მომახალა ამას წინათ, მოგეხსენებათ მისი დელიკატურობის ამბავი, რომ თურმე დედაჩემს თმის ტრიქომა ჰქონია და სიმაღლით ორი არშინიც არ ყოფილა - „დაგვალული“ იყოო. თითქოს არ შეეძლო ეთქვა „დაბალი“, როგორც ამას ყველა ნორმალური ადამიანი ამბობს ხოლმე? აცრემლებული ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ხომ მდაბიოს ცრემლია, გლეხუჭას გრძნობები. შეუძლია კი რუს გლეხუჭას, განათლებული ადამიანის მიმართ რაიმე გრძნობები ჰქონდეს? თავის უმეცრების გამოისობით მას არავითარი გრძნობა არ გააჩნია. ბალღობიდან, როგორც კი სიტყვა „დაგვალულს“ გავიგონებ, ჭკუიდან ვიშლები. მე მთელი რუსეთი მძულს, მარია კონდრატიევნა.

- თქვენ რომ სამხედრო იუნკერი ან ახალგაზრდა ჰუსარი ყოფილიყავით, მაშინ ასე კი არ იტყოდით, ხმლით ხელში წახვიდოდით რუსეთის დასაცავად.

- მე არათუ არ მსურს სამხედრო ჰუსარი ვიყო, მარია კონდრატიევნა, პირიქით, ყველა ჯარისკაცის განადგურების დიდი სურვილი მაქვს.

- მერე მტერი რომ მოგვადგეს, ვინღა დაგვიცავს?

- არც არის საჭირო, ბატონო. 1812 წელს რუსეთს შემოესია საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონ პირველის არმია. ეს იმპერატორი ახლანდელი იმპერატორის მამა იყო[58]. ძალიან კარგი იქნებოდა, მაშინ მათ რომ დავემარცხებინეთ, რადგან ჭკვიანი ერი დაიპყრობდა რეგვენ ერს და მიიერთებდა. სულ სხვა წესი და რიგი იქნებოდა ქვეყანაში.

- ისინი რა, ჩვენზე უკეთესები არიან? მე ჩვენებურ ერთ კოხტა ბიჭს სამ ინგლისელზეც არ გავცვლი, - ისე ნაზად წარმოთქვა მარია კონდრატიევნამ, რომ, უეჭველია, ამ დროს მიბნედილი თვალები ექნებოდა.

- ვის ვინ მოსწონს, ჩემო ბატონო.

- თქვენ ნამდვილ უცხოელს ჰგავხართ, ნამდვილ კეთილშობილ უცხოელს, ამას მე ჩემდა სამარცხვინოდ ვამბობ.

- თქვენ რომ იცოდეთ, გარყვნილების მხრივ ისინიც და ჩვენებიც ერთნაირები არიან. ყველა გაიძვერაა, მაგრამ იქაური გაპრიალებული ჩექმებით დადის, აქაური კი თავისი სიღატაკით ყარს და თანაც ამაში ვერაფერ ცუდს ვერ ხედავს. რუს ხალხს მათრახი არ უნდა მოაკლო, ბატონო, როგორც ამას გუშინ ფიოდორ პავლოვიჩი ამბობდა, თუმცა ისიც და მისი შვილებიც გიჟები არიან, ბატონო.

- თქვენ კი ამას წინათ ბრძანებდით, ივან ფიოდოროვიჩს დიდ პატივს ვცემო.

- ამას წინათ მან თავს ნება მისცა და მომახსენა, მყრალი ლაქია ხარო. ის თვლის, რომ მე აბუნტება შემიძლია, მაგრამ ცდება. მე რომ გარკვეული თანხა მქონდეს ჯიბეში, აქ ვეღარავინ მნახავდა. დმიტრი ფიოდოროვიჩი კი ყველა ლაქიაზე უარესია თავისი ქცევით, ჭკუითა და ქონებით, მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ ყველა მაინც პატივსა სცემს. შესაძლოა, მე მარტო ბულიონის კეთება მეხერხება, მაგრამ ბედმა რომ გამიღიმოს, შემიძლია მოსკოვში, პეტროვკაზე კაფე-რესტორანი გავხსნა, რადგან სპეცბულიონების მომზადება ვიცი, ეს კი მოსკოვში მხოლოდ უცხოელებმა იციან. დმიტრი ფიოდოროვიჩი უნიფხვო ღატაკია, მას, ბატონო ჩემო, დუელში გრაფის შვილების გამოწვევაც კი შეუძლია, მაგრამ მე რითა ვარ მასზე უარესი? ის ხომ ჩემზე ბრიყვია? რამდენი ფული გაატანა ქარს ყოვლად უაზროდ.

- მე ვფიქრობ, დუელი კარგი რამაა, - უცებ თქვა მარია კონდრატიევნამ.

- ვითომ რატომ?

- რამდენი სიმამაცეა, განსაკუთრებით, როცა ახალგაზრდა ოფიცრები ვინმე ქალის გულისთვის პისტოლეტებით ხელში ერთმანეთს ესვრიან. რა ლამაზი სანახაობაა! რა კარგი იქნებოდა, ქალიშვილებსაც რომ შეეძლოთ მისი ყურება. მე, პირადად, ძალზე დიდი სურვილი მაქვს.

- კარგია, როცა შენ უმიზნებ, მაგრამ როცა შენ გიმიზნებენ, ალბათ, ძალიან ცუდი გრძნობაა. შეიძლება კუდამოძუებული გამოიქცე, მარია კონდრატიევნა.

- ნუთუ თქვენ გამოიქცეოდით?!

ამაზე სმერდიაკოვმა პასუხი არ გასცა. ერთი წუთის შემდეგ ისევ გაისმა გიტარის აკორდი და ტკბილი ფალცეტით გაიჟღერა უკანასკნელმა კუპლეტმა:

რაც არ უნდა ეცადო

მაინც მოგშორდები,

მოსკოვს გავემგზავრები,

ცხოვრებით დავტკბები!

დარდსაც არ გავიკარებ,

არ მომენატრები,

არ მომენატრები,

სულ არ მედარდები!

მოულოდნელად ალიოშამ დააცემინა; სკამზე მსხდომნი გაიტრუნნენ. ალიოშა ადგა და მათკენ გაემართა. კაცი, მართლაც, სმერდიაკოვი აღმოჩნდა, ნამეტანი გადაპრანჭული იყო, თმები პომადაწასმული და დახუჭუჭებული ჰქონდა, ფეხთ კი გაპრიალებული ჩექმები ეცვა. გიტარა მერხზე იდო. ქალი მარია კონდრატიევნა გახლდათ, დიასახლისის ქალიშვილი; ღია ცისფერი კაბა ემოსა, ორარშინიანი კუდით. ქალიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და საკმაოდ კარგი შესახედაობის იყო, თუმცა მრგვალი პირისახე ერთიანად ჭორფლით ჰქონდა დაფარული.

- დმიტრი მალე დაბრუნდება? - მშვიდად იკითხა ალიოშამ.

სმერდიაკოვი ზლაზვნით წამოდგა; მარია კონდრატიევნაც ადგა.

- მე რატომ უნდა ვიცოდე დმიტრი ფიოდოროვიჩის ამბავი; მე რა, მისი დარაჯი ვარ? - ხმადაბლა, გამოკვეთილად და ზიზღით უპასუხა სმერდიაკოვმა.

- უბრალოდ ვიკითხე, იქნებ იცით-მეთქი? - განუმარტა ალიოშამ.

- არაფერი ვიცი მის შესახებ და არც მინდა ვიცოდე რამე, ბატონო.

- ჩემმა ძმამ მითხრა, რომ სწორედ თქვენ ატყობინებთ ყოველივეს, რაც ამ სახლში ხდება, იმასაც კი დაჰპირებიხართ, როგორც კი აგრაფინა ალექსანდროვნა გამოჩნდება, იმ წამსვე შეგატყობინებო.

სმერდიაკოვმა ნელ-ნელა და აუღელვებლად გადახედა მას.

- თქვენ როგორ ინებეთ ამჯერად მოსვლა, ჭიშკარი ერთი საათია, რაც ჩარაზულია? - ჰკითხა მან და დაჟინებით მიაცქერდა.

- შესახვევიდან ღობეზე გადმოვედი, ფანჩატურთან. თქვენ, იმედია, მაპატიებთ ასეთ საქციელს, - მიმართა ალიოშამ მარია კონდრატიევნას, - ჩემი ძმის ნახვა მინდოდა სასწრაფოდ.

- როგორ გეკადრებათ, თქვენ როგორ გაგიბრაზდებით, - გატყლარჭულად თქვა ალიოშას ბოდიშით ნასიამოვნებმა მარია კონდრატიევნამ, - დმიტრი ფიოდოროვიჩი ხშირად ფანჩატურთან თქვენსავით გადმოდის ხოლმე. ჩვენ არაფერი ვიცით და ის უკვე ფანჩატურში ზის.

- მე მას დავეძებ, ძალიან მინდა მისი ნახვა. იქნებ თქვენ იცოდეთ, სად შეიძლება

ვნახო. დამიჯერეთ, ეს მისთვის მეტად საჭირო საქმეს შეეხება.

- მე ამის შესახებ არაფერს მეუბნება, - ჩაიჟღურტულა მარია კონდრატიევნამ.

- მიუხედავად იმისა, რომ აქ სტუმრად ვიყავი მოსული, - კვლავ გააგრძელა სმერდიაკოვმა, - მაინც არავის მოერიდა და აქაც არაადამიანურად შემავიწროვა გაუთავებელი კითხვებით ჩემი ბატონის შესახებ: რა ხდება შინ, ვინ მოდის და ვინ მიდის, კიდევ რას მეტყვიო? ორჯერ მოკვლით დამემუქრა.

- როგორ თუ მოკვლით? - გაუკვირდა ალიოშას.

- მისთვის ეს არაფერია, ბატონო, მისი ხასიათის კაცისათვის, გუშინ თავად არ იხილეთ? მეუბნება, თუ აგრაფინა ალექსანდროვნას სახლში შემოუშვებ და იგი იქ ღამეს გაათევს, პირველ რიგში, შენ მოგკლავო. მეშინია მისი, ბატონო, ძალიან მეშინია, რომ არ მეშინოდეს, ალბათ პოლიციაშიც განვაცხადებდი. კაცმა არ იცის, როდის რას ჩაიდენს, ბატონო.

- ამას წინათ დაემუქრა: „ქვიჯაში ჩაგნაყავო“, - დაუმატა მარია კონდრატიევნამ.

- ალბათ გაეხუმრა, - შენიშნა ალიოშამ, - ახლა რომ მენახა, ამის თაობაზეც ველაპარაკებოდი...

- ერთი რამ შემიძლია გითხრათ, - თითქოს უცებ გაახსენდა სმერდიაკოვს, - მე აქ მეზობელთან მოვდივარ ხოლმე, განა მეზობელთან მოსვლა არ შეიძლება, ბატონო? მეორე მხრივ, დღეს დილაუთენია ივან ფიოდოროვიჩმა დმიტრი ფიოდოროვიჩთან გამგზავნა, ოზიორნაიას ქუჩაზე, უწერილოდ, მთხოვა, სიტყვიერად გადამეცა მისთვის, რომ აუცილებლად მისულიყო მოედანზე მდებარე სამიკიტნოში - სადილად ჰპატიჟებდა, ბატონო. მე წავედი, მაგრამ დმიტრი ფიოდოროვიჩი შინ არ დამხვდა, დილის რვა საათი იყო. სახლის პატრონებმა მითხრეს: „ერთი ფეხით გაგასწროო“. იმათ, მგონი, პირი აქვთ შეკრული, ბატონო, მათგან ვერაფერს გაიგებ. ახლა, შესაძლებელია, ისინი სამიკიტნოშიც კი ისხდნენ. ივან ფიოდოროვიჩი სახლში სადილად არ მოსულა, ფიოდორ პავლოვიჩმა მარტო ისადილა ამ ერთი საათის წინ და დასასვენებლად წამოწვა. ძალიან გთხოვთ, არ გამცეთ, ეს რომ გითხარით, ბატონო, თორემ ტყუილუბრალოდ მომკლავს, კარგად ვიცი, ბატონო.

- ივანი სთხოვდა დმიტრის სამიკიტნოში სადილად მისვლას? - სწრაფად დააზუსტა ალიოშამ.

- ასეა, ბატონო.

- სამიკიტნოში, მოედანზე რომაა?

- იქ, ჩემო ბატონო.

- ეს სავსებით შესაძლებელია! - წამოიძახა აღელვებულმა ალიოშამ, - დიდი მადლობელი ვარ თქვენი, სმერდიაკოვ, ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა

მომაწოდეთ, ახლავე იქ წავალ.

- არ გამცეთ, ბატონო, - უკან დაადევნა სმერდიაკოვმა.

- არა, არა, სამიკიტნოში ისე მივალ, თითქოს შემთხვევით მოვხვდი, არხეინად იყავით.

- საით მიბრძანდებით, ჭიშკარს გაგიღებთ, - მიაძახა მარია კონდრატიევნამ.

- აქედან უფრო ახლოა, ისევ ღობეზე გადავძვრები.

ამ ცნობით აღელვებული ალიოშა სამიკიტნოსაკენ გაემართა. სამიკიტნოში თავისი ტანსაცმლის გამო შესვლა ეუხერხულებოდა, მაგრამ კითხვა - იქ იყვნენ თუ არა, ან გამოძახება შეეძლო. როგორც კი სამიკიტნოს მიუახლოვდა, უცებ სამიკიტნოს ერთ-ერთი ფანჯარა გაიღო და ივანმა გადმოსძახა:

- ალიოშა, შემოდი აქ, თუ შეგიძლია, ძალიან დამავალებ.

- შემოვალ, როგორ არ შემოვალ, ოღონდ არ ვიცი, ასე შეიძლება?

- მე ცალკე ოთახში ვზივარ, შემოდი, ახლავე შემოგეგებები და შემოგიყვან...

ერთი წუთის შემდეგ ალიოშა ივანის გვერდით იჯდა. ივანი მარტო სადილობდა.

III ძმები ერთმანეთს ეცნობიან

სადაც ივანი იჯდა, ცალკე ოთახი არ აღმოჩნდა. ეს იყო შესასვლელ ოთახში შირმებით გამიჯნული, ფანჯრის ახლოს მდებარე ადგილი, მაგრამ შირმის მიღმა მსხდომნი უცხო თვალს მოფარებულნი იყვნენ. ოთახის ერთ-ერთ კედელთან ბუფეტი მოქმედებდა, რომლის გარშემოც გამუდმებით ტრიალებდნენ მსახურები. ამ ოთახში მათ გარდა კიდევ ერთი კაცი იჯდა, გადამდგარი მოხუცი სამხედრო, რომელიც ჩაის მიირთმევდა. სამაგიეროდ, სამიკიტნოს სხვა ოთახებში ჩვეულებრივი საქმიანობა გაჩაღებულიყო, ისმოდა გადაძახილ-გადმოძახილი, ლუდის ბოთლების საცობების ხმა, ბილიარდის ბურთების რახარუხი და არღნის ტირილი. ალიოშამ კარგად იცოდა, რომ ივანი ამ სამიკიტნოში თითქმის არ დადიოდა, მას საერთოდ არ უყვარდა სამიკიტნოები; ალბათ დმიტრისთან შეხვედრის გამო აირჩია ეს ადგილი, მაგრამ დმიტრი არ ჩანდა.

- ვუბრძანებ, უხა ან სხვა რამ მოგართვან, მარტო ჩაის ხომ არ დალევ, - თქვა ივანმა, ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო იმით, რომ ალიოშა შეიტყუა. მას სადილობა უკვე დამთავრებული ჰქონდა და ახლა ჩაის მიირთმევდა.

- იყოს უხა, მერე ჩაის დავაყოლებ. ძალიან მშია, - მხიარულად თქვა ალიოშამ.

- ალუბლის მურაბაზე რას იტყვი? აქა აქვთ. გახსოვს, პატარაობისას პოლონოვთან

- როგორ გიყვარდა ალუბლის მურაბა?

- შენ გახსოვს? მოიტა მურაბაც, ახლაც მიყვარს.

ივანმა უხმო მსახურს და უბრძანა უხას, ჩაისა და მურაბის მოტანა.

- მე ყველაფერი მახსოვს, ალიოშა, მე შენ თერთმეტ წლამდე მახსოვხარ, მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი. თხუთმეტისა და თერთმეტი წლის ბიჭებს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ ძმები ამ ასაკში არასოდეს არიან ამხანაგები. არც მახსოვს, მიყვარდი თუ არა მაშინ. როცა მოსკოვში გავემგზავრე, პირველ ხანებში არც გამხსენებიხარ. შემდგომში, როცა შენც მოსკოვში ჩამოხვედი, მგონი, ერთხელ შევხვდით სადღაც. აქ უკვე მეოთხე თვეა ვცხოვრობ და აქამდე ერთმანეთისათვის სიტყვაც არ გვითქვამს. ხვალ კი გამგზავრებას ვაპირებ და ახლა ჩემთვის ვფიქრობდი: სად ვნახო-მეთქი, გამომშვიდობება მინდოდა, უცებ გამოვიხედე და აგერ არა ხარ?

- ძალიან გინდოდა ჩემი ნახვა?

- ძალიან მინდოდა, ბოლოს და ბოლოს, გაგვეცნო ერთმანეთი. გარდა ამისა, ხომ უნდა გამოგმშვიდობებოდი. ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ადამიანს გამომშვიდობების წინ გაიცნობ. მთელი ამ სამი თვის განმავლობაში ვხედავდი, როგორ მიყურებდი. შენს თვალებში უსასრულო მოლოდინი იყო აღბეჭდილი, ამას კი მე ვერ ვიტან, რის გამოც არ გეკარებოდი. მაგრამ ბოლო ხანებში შენდამი პატივისცემით განვიმსჭვალე: ეს ბიჭი მაგრად დგას ორივე ფეხზე-მეთქი. ახლა ღიმილით გელაპარაკები, მაგრამ სავსებით სერიოზული ვარ. ხომ მაგრად დგახარ, ჰა? მე შენნარი მაგარი ადამიანები მიყვარს, რა გზაზედაც არ უნდა იდგნენ, თუნდაც ისინი შენხელა ბიჭუნები იყვნენ. შენი მომლოდინე მზერა უკანასკნელ ხანს აღარ მაღიზიანებს, პირიქით, შემიყვარდა კიდეც, შემიყვარდა შენი მომლოდინე თვალები... ასე მეჩვენება, შენც რატომღაც გიყვარვარ, არა?

- მიყვარხარ, ივან. დმიტრი შენზე ამბობს: ივანი - სამარეაო. მე კი ვამბობ: ივანი - გამოცანაა-მეთქი. შენ ახლაც გამოცანა ხარ ჩემთვის, თუმცა დღეს დილიდან რაღაც სხვა აზრიც შემექმნა შენზე!

- ეგ რაღაა? - გაიცინა ივანმა.

- არ გაბრაზდები? - გაიცინა ალიოშამაც.

- აბა, თქვი?

- შენ ზუსტად ისეთივე ახალგაზრდა კაცი ხარ, როგორიც სხვა, ოცდაოთხი წლის ჯეელები არიან, მათსავით ახალგაზრდა, ყმაწვილი, ქორფა და სანდომიანი ბიჭი, მიამიტი ბიჭუნა! ძალიან ხომ არ გაწყენინე?

- პირიქით, გამაოცე კიდეც დამთხვევით! - მხიარულად იყვირა აღგზნებულმა ივანმა, - დამიჯერე, კატერინა ივანოვნასთან ჩვენი ამასწინანდელი შეხვედრის შემდეგ ჩემს თავზე ზუსტად ეგრე ვფიქრობდი: ოცდაოთხი წლის მიამიტი კაცი

ვარ-მეთქი. შენ ახლა თითქოს გამოიცანი ჩემი ფიქრები და ამნაირი შედარებით დაიწყე. ახლა აქ ვიჯექი და ჩემს თავს ვეუბნებოდი: მართალია, ამ ცხოვრებაში აღარაფრის მჯერა, ჩემთვის ყველაზე ძვირფას ქალზე გული გამიტყდა, ყველაფრისადმი რწმენა დამეკარგა, ამის შემდეგ რომც დავრწმუნდე, ამქვეყნად ყოველივე მოუწესრიგებელი, დაწყევლილი და ქაოტიურია-მეთქი, რომც განვიცადო ადამიანური იმედგაცრუების ყველა საშინელება - მაინც არ ვიტყვი ამ სიცოცხლეზე უარს, რადგან თუკი ერთხელ დავეწაფე სიცოცხლის ფიალას, აღარ მოვშორდები, ვიდრე ბოლომდე არ დავცლი! თუმცა ოცდაათი წლისათვის, ალბათ გადავაგდებ ამ ფიალას, თუნდაც ბოლომდე დაცლილი არ იყოს და განვდგები... ჯერ არ ვიცი საით. ოცდაათ წლამდე კი, ეს უკვე კარგად ვიცი, ყველაფერს დაძლევს ჩემი ახალგაზრდობა, ყველაფერს - ყოველგვარ იმედგაცრუებასა და ცხოვრებისადმი ზიზღს. ჩემს თავს ხშირად ვეკითხები ხოლმე: არის კი ამქვეყნად ისეთი უსასოობა, რომელიც მოერევა ჩემში დაბუდებულ წყურვილს გახელებული და უხამსი სიცოცხლისადმი და გადავწყიტე, რომ არ არსებობს ასეთი, უფრო სწორად - ოცდაათ წლამდე არ იარსებებს, შემდეგში კი, ალბათ თავად აღარ მომინდება, მე ასე მგონია. სიცოცხლის წყურვილს ხშირად საზიზღრობად თვლის ზოგიერთი ჭირიანი, ცინგლიანი მორალისტი, განსაკუთრებით პოეტები. ხასიათის ეს თვისება, ნაწილობრივ, კარამაზოვულია, ნამდვილად ასეა, იგი შენშიც აუცილებლად ზის, მაგრამ რატომაა ის საზიზღრობა? ცენტრისკენული ძალა ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ამ პლანეტაზე, ალიოშა. სიცოცხლე მწყურია და მეც ვცხოვრობ, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე. მართალია, ჩემთვის მიუღებელია ჩვეულებრივი ცხოვრების წესი, მაგრამ ძვირფასია კვირტიდან ახლად ამოხეთქილი ლორთქო ფოთლები, ლაჟვარდოვანი ცა, ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც რაღაც მომენტში რაღაცისათვის, არც იცი, რატომ - შეიყვარებ, ძვირფასია ზოგიერთი ისეთი თავდადება, რომლისაც უკვე კარგა ხანია არ გჯერა, მაგრამ მთელი გულითა და სულით გსურს ამქვეყნად მისი არსებობა. აი, შენი უხაც მოიტანეს, მიირთვი, შეგარგოს ღმერთმა. აქ კარგი უხა იციან, გემრიელად ამზადებენ. მე ახლა ევროპაში გამგზავრება მინდა, ალიოშა, პირდაპირ აქედან გავემგზავრები; კარგად ვიცი, რომ სასაფლაოზე მივდივარ, მაგრამ ყველაზე, ყველაზე ძვირფას სასაფლაოზე, ასეა ეს! იქ ძვირფასი მიცვალებულები განისვენებენ, იქ თითოეული საფლავის ქვა ღაღადებს მათ მიერ განვლილ მჩქეფარე ცხოვრებაზე, მათი თავდადების, მათი ჭეშმარიტების, მათი შემართებისა და მეცნიერებისადმი მათი მგზნებარე რწმენის შესახებ. მე წინასწარ ვიცი, ჩავალ იქ და დავემხობი ამ საფლავებზე, დავკოცნი თითოეულ ქვას და დავიტირებ - ამავე დროს, დარწმუნებული ვიქნები, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ძველი სასაფლაოა და მეტი არაფერი. უსასოობა კი არ ამატირებს, არა, უბრალოდ ბედნიერი ვიქნები ჩემ მიერ დაღვრილი ცრემლების გამო. საკუთარი გულჩვილობით დავტკბები. გაზაფხულის ლორთქო ფოთლებს და ლაჟვარდოვან ცას ვეთაყვანები, დიახ! ეს ყველაფერი ჭკუა-გონების და ლოგიკის გარეშე ხდება. შინაგანად ეტრფი, მთელი შენი არსებით, შენი პირველი ჭაბუკური შემართება გიყვარს... ამ აბდაუბდა ლაპარაკიდან რამე გაიგე, ალიოშა? - უცებ გაიცინა ივანმა.

- კარგად მესმის, ივან, მთელი შენი არსებით გინდა სიყვარული - მშვენივრად თქვი, ძალიან მიხარია, რომ ასე ძალუმად გწყურია სიცოცხლე, - ხმამაღლა თქვა ალიოშამ, - ჩემი აზრით, ამქვეყნად, პირველ რიგში, ყველამ სიცოცხლე უნდა

შეიყვაროს.

- სიცოცხლე მეტად, ვიდრე მისი აზრი?

- აუცილებლად, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე უნდა გიყვარდეს, როგორც შენ აღნიშნე, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, მხოლოდ მაშინ მივხვდებით სიცოცხლის აზრს. ამის შესახებ დიდი ხანია ვფიქრობ. შენ საქმე ნახევრად უკვე გაკეთებული გაქვს, უკვე მდიდარი ხარ: შენ სიცოცხლე გიყვარს. ახლა მეორე ნახევარზე უნდა იზრუნო და ცხონდები.

- შენ უკვე მაცხონე კიდეც, იქნებ არც წავწყმედილვარ! ეს შენი მეორე ნახევარი რაღაა?

- ესაა, მკვდრეთით აღადგინო შენი მიცვალებულები, რომლებიც შესაძლოა არასოდეს გარდაცვლილან. კარგი, ჩაი მომაწოდე. ძალიან მოხარული ვარ, ივან, ჩვენ რომ ასე ვსხედვართ და ვსაუბრობთ.

- ვხედავ, რაღაც შთაგონებული ხარ. ძალიან მიყვარს ასეთი professions de foi[59] შენნაირი... მორჩილებისგან. მაგარი კაცი ხარ, ალექსეი. მართალია მონასტრიდან წამოსვლას აპირებსო?

- მართალია, ჩემმა ბერმა ერისკაცობა მირჩია.

- კიდევ ვნახავთ ალბათ ერთმანეთს ამ სოფლად, შევხვდებით კიდევ ოცდაათ წლამდე, სანამ ფიალას მოვწყვეტ ბაგეებს. მამაჩვენს სამოცდაათ წლამდე არ სურს, შეეშვას თავის ფიალას, ოთხმოცამდე ოცნებობს, თავად განაცხადა ამის შესახებ სავსებით სერიოზულად, თუმცა იგი ხომ ტაკიმასხარაა. მისთვის ახლა მთავარია, ხორცს აამოს - ისაა მისი კერპი... თუმცა ოცდაათს გადაცილებულ კაცს სხვა რაღა უნდა ახარებდეს... მაგრამ სამოცდაათამდე უსინდისობაა, შეინარჩუნო „კეთილშობილი კაცის“ იერი, სჯობია ოცდაათ წლამდე, ისიც თავის მოტყუებით. დმიტრი დღეს არ გინახავს?

- არა, არ მინახავს, სმერდიაკოვი ვნახე. - ალიოშამ სხაპა-სხუპით და დაწვრილებით უამბო ივანს სმერდიაკოვთან შეხვედრა. ივანი რატომღაც აღელვებული უსმენდა, შიგადაშიგ კითხვებიც კი დაუსვა.

- მხოლოდ ის მთხოვა, დმიტრის არ უთხრა, რაც გითხარიო, - დაუმატა ალიოშამ.

ივანმა კოპები შეკრა და ჩაფიქრდა.

- რა ცხვირი ჩამოუშვი, სმერდიაკოვის გამო ხომ არა? - ჰკითხა ალიოშამ.

- სწორედაც მის გამო. ეშმაკმა დალახვროს იმის თავი, მე მართლა ძალიან მინდოდა დმიტრის ნახვა, მაგრამ ახლა აღარაა საჭირო... - უხალისოდ ჩაილაპარაკა ივანმა.

- ძმაო, შენ მართლა მალე მიემგზავრები?

- დიახ.

- მერე დმიტრი და მამა? როგორ დამთავრდება მათი ამბავი? - შიშით თქვა ალიოშამ.

- შენ ისევ შენსას გაიძახი! მე რა შუაში ვარ? მე რა დმიტრის დარაჯად ხომ არ დავდგები? - თქვა გაღიზიანებულმა ივანმა და უცებ მწარედ ჩაიღიმა, - კაენის პასუხი ღმერთის შეკითხვაზე: სად არის ძმა შენიო, ჰა? ახლა ამას ფიქრობ, არა, ჩემზე? მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, მართლაც, დარაჯად ხომ არ დავუდგები მათ? საქმე მოვათავე და მივდივარ. ხომ არ გგონია, დმიტრიზე ვეჭვიანობ, ამ სამი თვის განმავლობაში სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორ წამერთმია მისთვის მზეთუნახავი კატერინა? არა, მე ჩემი საქმე მქონდა. მოვათავე და ახლა მივდივარ. საქმე ამას წინათ დავამთავრე, თავად იყავი მოწმე.

- ამას წინათ როდის, კატერინა ივანოვნასთან?

- დიახ, მასთან, უკვე ერთხელ და სამუდამოდ მოთავდა. აბა რა გეგონა? დმიტრისთან რა საქმე მაქვს? დმიტრი აქ არაფერ შუაშია. მე საკუთარი საქმეები მქონდა კატერინასთან. შენ თავად კარგად იცი, დმიტრი ისე იქცეოდა, თითქოს ჩემთან იყო შეთქმული. მე მისთვის არც მითხოვია, ისე საგანგებოდ დამითმო თავისი საცოლე და ლოცვა-კურთხევაც მოაყოლა. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. არა, ალიოშა, არა, შენ აზრზე არა ხარ როგორ მსუბუქად ვგრძნობ თავს! აქ ვიჯექი, ვსადილობდი, შენ წარმოიდგინე, შამპანურის დალევაც კი მომინდა, რომ ჩემი თავისუფლების პირველი საათი მედღესასწაულა. ფუი შენი, თითქმის ნახევარი წელი შევალიე - უცებ ერთი ხელის დაკვრით კი განვთავისუფლდი. გუშინ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ეს ამბავი ასე დამთავრდებოდა!

- შენს სიყვარულს გულისხმობ, ივან?

- სიყვარულს, გინდაც ეგრე იყოს. კი, მე მიყვარდა ის ქალიშვილი. ვეწამებოდი მასთან ერთად და მაწამებდა იგიც. თავს დავტრიალებდი... და უცებ ყველაფერი გაქრა. მაშინ აღელვებული ვლაპარაკობდი, გარეთ როცა გამოვედი, ხარხარი ამიტყდა - აზრზე ხარ? ნაღდ ამბავს გეუბნები.

- შენ ახლაც საკმაოდ მხიარულად ჰყვები, - შენიშნა ალიოშამ და შეათვალიერა ივანის, მართლაც, გახალისებული სახე.

- არც კი ვიცოდი, თურმე სულ არ მყვარებია! ხა, ხა! აღმოჩნდა, რომ ეს ასეა. ისე კი ძალიან მომწონდა! მაშინაც კი, როცა მოხსენებას ვუკითხავდი. იცი, ახლაც ძალიან მომწონს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან მეადვილება მასთან განშორება. შენ გგონია, ვტრაბახობ?

- არა, მაგრამ ერთი კია, ის სიყვარული არ ყოფილა.

- ალიოშკა, - გაიცინა ივანმა, - შეეშვი სიყვარულზე ლაპარაკს! შენთვის უხერხულია. შენი ამასწინანდელი გამოხდომა კი მაგარი რამ იყო! სულ

გადამავიწყდა, ამისათვის უნდა გადამეკოცნე... ოხ, როგორ მაწვალებდა კატერინა! მართლაც, ტანჯვა-ვაებას ვეჯექი გვერდით. მან იცოდა, რომ მიყვარდა! მასაც ვუყვარდი, დმიტრი კი არა, - მხიარულად, დაჟინებულად თქვა ივანმა, - დმიტრი იყო მისი ტანჯვა-ვაება. მე მაშინ ჭეშმარიტი სიმართლე ვუთხარი. მაგრამ საქმე იცი რა არის, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ალბათ კიდევ თხუთმეტი-ოცი წელი დასჭირდება იმის მისახვედრად, რომ დარწმუნდეს - დმიტრი კი არა, მე ვუყვარდი, ის, ვისაც იგი აწამებდა. ისიც არ არის გამორიცხული, რომ საერთოდ ვერაფერსაც ვერ მიხვდეს, მიუხედავად დღევანდელი გაკვეთილისა. მით უკეთესი: დავკრავ ფეხს და სამუდამოდ გავშორდები. ისე, სხვათა შორის, როგორ ბრძანდება? რა მოხდა ჩემი წამოსვლის შემდეგ?

ალიოშა ივანს მოუყვა, მისი წასვლის შემდეგ როგორ დაემართა კატერინას, ისტერიკა როგორ დაკარგა გონი და როგორ აბოდებდა.

- ხომ არ ტყუის ხოხლაკოვა?

- მე მგონი, არა.

- უნდა გავიკითხო მისი ამბავი, თუმცა ისტერიკისაგან ჯერ არავინ მომკვდარა. ისე კი, ღმერთმა ქალი ისტერიკასთან ერთად გააჩინა. არსადაც არ წავალ. აღარ ღირს ყულფში კვლავ თავის გაყოფა.

- ამას წინათ შენ კატერინას უთხარი, თითქოს მას არასოდეს ჰყვარებიხარ.

- ეს განგებ ვუთხარი, ალიოშკა. მოდი შამპანურს შევუკვეთ, დავლიოთ ჩემი თავისუფლების სადღეგრძელო. არა, შენ აზრზე არა ხარ, როგორი გახარებული ვარ.

- არა, ძმაო, არ გვინდა დალევა, - უთხრა ალიოშამ, - გარდა ამისა, რაღაც ნაღველი შემომაწვა.

- კარგა ხანია დადარდიანებული ჩანხარ, მე ეს ადრეც შეგამჩნიე.

- ხვალ დილით აუცილებლად აპირებ გამგზავრებას?

- დილით? მე არ მითქვამს, რომ დილით. თუმცა შესაძლოა - დილითაც. იცი რა, მე დღეს აქ იმიტომ ვსადილობ, აღარ მინდოდა მამაჩვენთან სადილობა, უკვე იმდენად მეზიზღება. მარტო მაგის გამო ღირს აქაურობას გავშორდე. შენ რატომ წუხხარ ჩემი წასვლის გამო, ჩემს გამგზავრებამდე, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი დრო დაგვრჩა. მთელი მარადისობა და უკვდავება.

- ხვალ თუ მიემგზავრები, მაშინ რაღა მარადისობაა?

- ეს რას გვიშლის ხელს? - გაიცინა ივანმა, - ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებზე ლაპარაკს მოვასწრებთ, მაშ რისთვისა ვართ აქა? რა გაკვირვებული მიყურებ? მიპასუხე: რისთვის შევხვდით აქ ერთმანეთს? რომ გველაპარაკა ჩემსა და კატერინას სიყვარულზე, მამასა და დმიტრიზე, საზღვარგარეთის შესახებაც, რუსეთის საბედისწერო მდგომარეობაზე, იმპერატორ ნაპოლეონზე, ასე არ არის, ამისთვის არ ვართ აქ?

- არა, ამისთვის არა.

- თავად გცოდნია, რისთვისაც. ზოგს რა, მაგრამ ჩვენ, ჯერ კიდევ ტუჩზე რძეშეუშრობელ ყმაწვილებს, გვაღელვებს ამქვეყნიური მარადიული საკითხების გადაწყვეტა, ესაა ჩვენი საზრუნავი. სრულიად რუსეთის ახალგაზრდობა დღეს მხოლოდ მარადიულ საკითხებზე მსჯელობს, სწორედ ახლა, როცა ხანდაზმულები პრაქტიკული საკითხებით არიან დაკავებულები. შენ ეს სამი თვე რისი მოლოდინით შემომცქეროდი? გინდოდა გეკითხა: „მწამს თუ არა ღმერთი?“ - აი,

ამიტომ მითვალთვალებდი სამი თვის განმავლობაში, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ასე არ არის?

- დიახ, ეგრეა, - გაიღიმა ალიოშამ, - ხომ არ დამცინი, ძმაო?

- მე დაგცინი? როგორ მოვინდომებ ჩემი პატარა ძამიკოს გაჯავრებას, რომელიც უკვე სამი თვეა მოლოდინით აღსავსე შემომყურებს. ალიოშა, შემომხედე: მეც ხომ შენსავით პატარა ბიჭი ვარ, განსხვავება ისაა, რომ მორჩილი არა ვარ. ხომ იცი, რუსის ბიჭები აქამდე როგორ ატარებენ დროს, ზოგ-ზოგები, რა თქმა უნდა. მაგალითად, აი, ამ აქოთებულ სამიკიტნოში შეიყრებიან, დასხდებიან სადმე კუთხეში. შესაძლოა აქამდე მთელი ცხოვრება არც იცნობდნენ ერთმანეთს, გავლენ აქედან და კიდევ ორმოცი წელი არ ეცოდინებათ ერთმანეთი, მერე რა მოხდა? რაზე უნდა ილაპარაკონ მათ აქ, ამ სამიკიტნოში? ცხადია, მსოფლიო პრობლემებზე: არის თუ არა ღმერთი, არსებობს თუ არა უკვდავება? ხოლო ისინი, ვისაც ღმერთი არა სწამთ, ისაუბრებენ სოციალიზმსა და ანარქიზმზე, მთელი კაცობრიობის გარდაქმნაზე. ეს ხომ იგივე, იგივე საკითხებია, ოღონდ სულ სხვა ბოლოდან დანახული. ძალიან ბევრი, მრავალი ორიგინალური რუსის ბიჭი ჩვენს დროში იმას აკეთებს, რომ ამ მარადიულ საკითხებზე ლაპარაკობს. ასე არ არის?

- დიახაც, ნამდვილად რუსული საკითხებია: არსებობს თუ არა ღმერთი, არსებობს თუ არა უკვდავება, ან კიდევ, როგორც შენ თქვი, საკითხები სულ სხვა ბოლოდან, ცხადია, ესენი უპირველესი საკითხებია და ასეც უნდა იყოს, - ჩაილაპარაკა ალიოშამ და ჩუმი, გამომცდელი ღიმილით შეხედა ძმას.

- იცი რა, ალიოშა, ხანდახან რუს ადამიანად ყოფნა უგუნურებაა, მაგრამ ისეთი სისულელის, რითაც ახლა დაკავებული არიან რუსის ბიჭები, წარმოდგენაც არ შეიძლება. მაგრამ მე ერთი რუსის ბიჭი, ალიოშკა ძალიან მიყვარს.

- ძალიან ლამაზად დააბოლოვე, - გაეცინა უცებ ალიოშას.

- მიბრძანე, აბა, რითი დავიწყოთ, ღმერთით? არსებობს თუ არა ღმერთი, არა?

- რითაც გინდა, იმით დაიწყე, თუნდაც იმ სულ „სხვა ბოლოდან“. შენ არ იყავი, გუშინ მამასთან რომ გამოგვიცხადე, ღმერთი არ არისო, - გამომცდელად შეხედა ძმას ალიოშამ.

- გუშინ მამასთან სადილობისას, განგებ გაღიზიანებდი. დაგინახე, როგორ აგენთო თვალები. მაგრამ ახლა სერიოზულად მინდა შენთან საუბარი, სერიოზულად. მე მინდა შენთან დაახლოება, ალიოშა, იმიტომ რომ მეგობრები არ მყავს, მინდა მოვსინჯო. მაშ ასე, წარმოიდგინე, მე იქნებ მწამს კიდეც ღმერთი, - გაიცინა ივანმა, - შენთვის ეს მოულოდნელია, ხომ?

- რასაკვირველია, თუ არ ხუმრობ.

- „ხუმრობო“. ეს გუშინ ბერთან არ თქვეს ჩემზე - ხუმრობსო. იცი რა, გეთაყვა, მეთვრამეტე საუკუნეში ერთი ბებერი ცოდვილი ცხოვრობდა. მან განაცხადა: ღმერთი რომ არ ყოფილიყო აუცილებელი იქნებოდა მისი გამოგონებაო, s'il

n'existait pas Dieu il faudrait l'inventer. მართალიცაა, ადამიანმა გამოიგონა ღმერთი. უცნაური ის კი არ იყო, ის კი არ იყო საოცრება, რომ ღმერთი არსებობდა, არამედ ის, რომ ასეთი აზრი - ღმერთის აუცილებლობისა - თავში მოუვიდა ისეთ ველურ და ბოროტ ცხოველს, როგორიც ადამიანია. ეს აზრი წმიდათაწმიდაა, ამაღელვებელი და ბრძნული, ამიტომ დიდ პატივს ჰმატებს ადამიანს. რაც შემეხება მე, მე უკვე დიდი ხანია აღარ ვფიქრობ - ადამიანმა შექმნა ღმერთი, თუ ღმერთმა შექმნა ადამიანი? არც რუსი ბიჭების ყველა იმ აქსიომის ჩამოთვლას შევუდგები, რაც ერთიანად ევროპული ჰიპოთეზებიდან გამომდინარეობს; რადგან რაც იმათთვის ჰიპოთეზაა, ის რუსი ბიჭისათვის უკვე აქსიომაა, და მარტო რუსი ბიჭებისათვის კი არა, არამედ მათი პროფესორებისათვისაც; იმიტომ, რომ რუსი პროფესორები ხშირად იგივე რუსი ბიჭები არიან. ამიტომაც მე გვერდს ვუვლი ყველა ჰიპოთეზას. ახლა ჩემი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად შევძლო აგიხსნა ჩემი არსი, ე. ი. ის, ვინ ვარ მე, რა მწამს და რისი იმედი მაქვს, ასე არ არის? ამიტომ გიცხადებ: მე პირდაპირ და უბრალოდ ვაღიარებ ღმერთს. მაგრამ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: თუ ღმერთი არსებობს და თუ ნამდვილად მან შექმნა დედამიწა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მან იგი შექმნა ევკლიდეს გეომეტრიის მიხედვით, ხოლო ადამიანის გონებაში სამი განზომილების სივრცის ცნება ჩადო. ამავე დროს, არსებობდნენ და ახლაც ბევრია მსოფლიოში საუკეთესო გეომეტრიკოსი და ფილოსოფოსი, რომელსაც ეჭვი ეპარება, რომ სამყარო, ანდა უფრო ფართო ცნება - ყოფიერება - ევკლიდეს გეომეტრიის მიხედვით იყოს შექმნილი. ისინი იმასაც კი ბედავენ, იოცნებონ, რომ ორი პარალელური წრფე, რომელიც, ევკლიდეს მტკიცებით, დედამიწაზე ერთმანეთს არსად გადაკვეთს, შესაძლოა, სადღაც უსასრულობაში გადაიკვეთოსო. მე, ჩემო კარგო, ასე გადავწყვიტე: თუკი ამის გაგება ვერ შევძელი, მაშინ ღმერთი როგორღა გავიგო-მეთქი. მშვიდად ვაღიარებ, რომ არავითარი უნარი არ გამაჩნია, გადავწყვიტო ასეთი საკითხები, მე ევკლიდესნაირი მიწიერი გონება მაქვს, ამიტომ არ ძალმიძს იმის წარმოდგენა, რაც ზებუნებრივია. შენც ასევე გირჩევ, ამაზე ნურასოდეს იფიქრებ, ჩემო მეგობარო ალიოშა, განსაკუთრებით ღმერთზე - არსებობს თუ არა იგი? ყველა ეს საკითხი უჩვეულოა ისეთი გონებისათვის, რომელიც მხოლოდ სამი განზომილების ცნებებით აზროვნებს. მაშ ასე, მე სიამოვნებით ვაღიარებ ღმერთს, ჩემთვის მისაღებია მისი სიბრძნე და მიზანი, რაც ჩვენთვის იდუმალებით არის მოცული, მწამს ცხოვრების წესი და აზრი, მწამს მარადიული ჰარმონია, რომელსაც ჩვენ შევერწყმით, მწამს სიტყვა, რომლისკენაც მიისწრაფვის სამყარო და რომ დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი და ღმერთი იყო სიტყვა და ა. შ. და ა. შ. უსასრულობამდე. ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა. მე მგონი სწორ გზას ვადგავარ - რას იტყვი? ახლა წარმოიდგინე: სინამდვილეში ჩემთვის ღმერთის ეს საუფლო მიუღებელია, თუმცა ვიცი, რომ ის მაინც არსებობს. განა ღმერთს არ ვაღიარებ, კარგად გამიგე ეს, არამედ მის მიერ შექმნილი სამყარო, ღმერთის საუფლო არ არის ჩემთვის მისაღები, არ შემიძლია მისი აღიარება. აქვე მინდა დავძინო: მე ყმაწვილივით მჯერა, რომ ყოველგვარი ტანჯვა-წამება გაივლის, გაქრება ადამიანურ წინააღმდეგობათა გულსატკენი კომიზმი, როგორც მქრქალი მირაჟი, როგორც უსუსური და ატომივით პაწაწუნა, ევკლიდესნაირი ადამიანის ჭკუის საზიზღარი მონაჩმახი, რომ, ბოლოს და ბოლოს, სამყაროს აღსასრულისას, მარადიული ჰარმონიის მომენტში ახდება და გამოგვეცხადება რაღაც იმდენად ძვირფასი, რომ ყველას გულს აღავსებს, ყველანაირ

გულისწყრომას გააყუჩებს, ადამიანებს ყველა ბოროტმოქმედებას და მათ მიერ დაღვრილ სისხლს შეუნდობს; არა მარტო შეუნდობს, არამედ ყველაფერს გაამართლებს, რაც ადამიანებს ჩაუდენიათ, - დაე, დაე, ყოველივე აღსრულდეს და გაცხადდეს, მაგრამ ის ჩემთვის არ იქნება მისაღები, არ მინდა მისი აღიარება! დაე, გადაიკვეთოს ის პარალელური წრფეები, მე კი ყოველივე ეს თავად ვიხილო თვალით: ვიხილო და აღვნიშნო, რომ გადაიკვეთა, მაინც, მაინც არ ვაღიარებ. აი, ეს არის ჩემი არსი, ალიოშა, ეს არის ჩემი თეზისი. ამას სერიოზულად ვამბობ. განგებ დაგიწყე ამაზე ლაპარაკი, თუმცა ცოტა სულელურად გამომივიდა, მაგრამ იგი მივიყვანე ჩემს აღსარებამდე, რომელიც შენ ასე ძალიან გინდოდა გაგეგონა. შენ ღმერთზე ლაპარაკი კი არ გინდოდა, იმის გაგება გსურდა, რითი ცხოვრობს შენი ძმა. და აი, მეც გითხარი.

ივანმა თავისი ტირადა რაღაცნაირი განსაკუთრებული და მოულოდნელი გრძნობით დაასრულა.

- რატომ დაიწყე ასე, „ცოტა სულელურად“? - ჰკითხა ალიოშამ, რომელიც ფიქრებში წასული შესცქეროდა.

- დიახ, უპირველეს ყოვლისა, რუსიზმის გამო: რუსების საუბრები ამ თემებზე ყოველთვის ბრიყვულად მიმდინარეობს. მერე მეორეც, ის, რაც უფრო ბრიყვულია, საქმესთან მით უფრო ახლოა; რაც უფრო ბრიყვულია, მით უფრო ნათელია. სიბრიყვე აშკარაა და ალალ-მართალი, ჭკუა კი ყოველთვის ეშმაკობს და თვალთმაქცობს. ჭკუა არამზადაა, სიბრიყვე კი უშუალო და პატიოსანი. მე საქმე საკუთარ სასოწარკვეთამდე მივიყვანე და რაც უფრო სულელურად წარმოვადგინე, მით უფრო სარგებლიანი იყო ჩემთვის.

- განმიმარტავ თუ არა, რატომ არ არის შენთვის მისაღები „მის მიერ შექმნილი სამყარო“? - ჩაილაპარაკა ალიოშამ.

- რასაკვირველია, განგიმარტავ, არ დაგიმალავ, სწორედაც იქითკენ მიმყავხარ. ჩემო ძამიკო, მე შენი გახრწნა, შენი გადაბირება კი არ მინდა, იქნებ შენი საშუალებით მე საკუთარი თავის განკურნება მინდა, - უცებ ივანმა პატარა ბიჭუნასავით გაიღიმა. ალიოშას მის სახეზე ასეთი ღიმილი არასოდეს ენახა.

IV ბუნტი

- ერთი რამ მინდა გაგიმხილო, - დაიწყო ივანმა, - არასოდეს მესმოდა, როგორ შეიძლება გიყვარდეს ახლომყოფი მოყვასი. სწორედ ახლომყოფი, თორემ შორსმყოფი მოყვასის სიყვარული კიდევ შესაძლებელია. ამას წინათ სადღაც ამოვიკითხე „იოანე მოწყალის“[60] (წმინდანია ერთი) შესახებ. როცა მასთან მივიდა ერთი დამშეული, შეციებული მგზავრი და სთხოვა, გამათბეო, იოანემ იგი ლოგინში ჩაიწვინა, მოეხვია და რაღაც ავადმყოფობისაგან დამპალ და აქოთებულ პირში სულის ჩაბერვით დაუწყო გათბობა. ღრმად ვარ

დარწმუნებული, ეს თავის მოსატყუებლად გააკეთა, თავის თავზე აღებული სიყვარულის ვალდებულებისა და თავს მოხვეული ეპიტიმიის[61] გამო. ადამიანი რომ გიყვარდეს, იგი შენგან შორს უნდა იყოს, როგორც კი კაცი ნამდვილ სახეს გიჩვენებს - სიყვარული ქრება.

- ამის შესახებ ბერ ზოსიმას არაერთხელ უთქვამს, - შენიშნა ალიოშამ, - ისიც ამბობდა ხოლმე, ჯერ კიდევ სიყვარულში გამოუცდელს ადამიანის პირისახე ხშირად ხელს უშლის, რომ უყვარდესო. მაგრამ კაცობრიობას ხომ გააჩნია მრავალნაირი სიყვარული, თითქმის ქრისტეს სიყვარულის ბადალი, ეს მე თავადაც ვიცი, ივან...

- მე ჯერ ამის შესახებ არაფერი ვიცი, არც გაგება შემიძლია; ჩემნაირად მილიონობით ადამიანი ფიქრობს. საქმე ისაა, რითაა გამოწვეული ეს, ადამიანის ცუდი თვისებებით, თუ ადამიანის ბუნებაა ასეთი. ჩემი აზრით, ადამიანის მიმართ ქრისტესმიერი სიყვარული დედამიწაზე აუხდენელი სასწაულია. ის ღმერთი იყო, მაგრამ ჩვენ ხომ არა ვართ ღმერთები. მაგალითისათვის დავუშვათ - მე მწარედ ვიტანჯები, სხვა ხომ ვერასოდეს მიხვდება, როგორ მძიმეა ეს ჩემი ტანჯვა, იმიტომ რომ იგი სხვაა და ჩემს ტყავში ვერ შემოძვრება; უფრო მეტიც, იშვიათია ადამიანი, რომელიც დათანხმდება, სხვა აღიაროს წამებულად (თითქოს ეს ჩინი იყოს). რატომ არ თანხმდება, შენ როგორ ფიქრობ? იმიტომ რომ, მაგალითისათვის ვიტყვი, მე პირი მიყარს, ან ბრიყვის სიფათი მაქვს, ან ოდესღაც რაღაც ვატკინე. გარდა ამისა, ტანჯვაცაა და ტანჯვაც: შიმშილისაგან ჩემი დამამცირებელი ტანჯვა შეიძლება დასაშვებად მიიჩნიოს მავანმა და მავანმა, მაგრამ რაღაც სხვა ამაღლებულისათვის, ვთქვათ, იდეისათვის ჩემი ტანჯვა - არა. ეს მისთვის მიუღებელია, რადგან მას ჩემი სახე არ მოსწონს, რადგან, მისი აზრით, ასეთი სიფათის პატრონს იდეები არ უნდა აწუხებდეს. ამიტომაც იგი არ გაიღებს ჩემთვის არავითარ მოწყალებას. ამ დროს, შესაძლოა, იგი სულაც არ იყოს ბოროტი კაცი. ღვთის ანაბარა დარჩენილი, კეთილშობილი გლახაკნი გარეთ კი არ უნდა მათხოვრობდნენ, მოწყალება გაზეთების საშუალებით უნდა ითხოვონ. მოყვასი განყენებულად შეიძლება გიყვარდეს, შორიდან, მაგრამ ახლოდან - არასოდეს. ყველაფერი ისე რომ იყოს, როგორც სცენაზე ხდება, ბალეტში, სადაც გრაციოზულად მოცეკვავე გლახაკნი მოწყალების სათხოვნელად სცენაზე აბრეშუმის ძონძებსა და მაქმანიან ჩვრებში გამოწყობილები გამოჩნდებიან ხოლმე, თვალს რომ ვერ მოსწყვეტ, ისეთები, მაშინ, რასაკვირველია, მოგწონს, მაგრამ მხოლოდ მოგწონს და არ გიყვარს ისინი. კარგი, შევეშვათ ამას. მე მხოლოდ მინდოდა, შენთვის ჩემი თვალსაზრისი გამეცნო; მინდოდა შენთან მელაპარაკა, ზოგადად, კაცობრიობის ტანჯვა-წამებაზე, მაგრამ ახლა შევჩერდები ბავშვების ტანჯვა-წამებაზე. ის ჩემი არგუმენტაციის ზომებს ათჯერ მაინც შეამცირებს, მაგრამ მაინც მხოლოდ ბავშვებზე ვიტყვი. ამით უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავიყენებ თავს, ცხადია. ჯერ ერთი, ბავშვის სიყვარული ახლოდანაც შეიძლება, ბინძური და შეუხედავი ბავშვისაც კი (თუმცა შეუხედავი ბავშვები არ არსებობენ). მეორეც, მოზრდილებზე მე აღარ ვილაპარაკებ - მოზრდილები, გარდა იმისა, რომ ამაზრზენები არიან და მათი შეყვარება შეუძლებელია, ისინი უფლისგანაც შეჩვენებულნი არიან, რამეთუ მათ იგემეს სამოთხის ვაშლი, შეიცნეს კეთილი და ბოროტი, „ვითარცა ღმერთმა“.

ისინი ახლაც მიირთმევენ ვაშლს. ბავშვებს კი ჯერჯერობით არაფერი შეუჭამიათ და არც არაფერში მიუძღვით ბრალი. შენ გიყვარს ბავშვები, ალიოშა? ვიცი, რომ გიყვარს, ამიტომ შენთვის გასაგები იქნება, რატომ მინდა მათზე საუბარი. თუკი ისინი ახლა ამ დედამიწაზე საშინლად იტანჯებიან, ცხადია, თავიანთი მამების გამო ისჯებიან, მამათა ცოდვების გამო, რადგან მათ ვაშლი იგემეს, - მაგრამ ეს სჯა-ბაასი იმ სხვა სამყაროს ეკუთვნის, რომელიც ადამიანისათვის გაუგებარია. არ შეიძლება უცოდველები სხვისი გულისათვის იტანჯებოდნენ, მით უმეტეს, ასეთი უმანკონი! ნუ გაგიკვირდება და მეც მიყვარს ბავშვები. ისიც იცოდე, რომ ხანდახან სასტიკ, ავხორც და ღორმუცელა ადამიანებსაც კი, ისეთებს, როგორიც კარამაზოვები არიან, უყვართ ბავშვები. ბავშვები, სანამ ბავშვები არიან, ასე შვიდ წლამდე, ძალიან განსხვავდებიან მოზრდილებისაგან: სულ სხვა არსებები და სულ სხვა ბუნების ხალხია. მე ვიცნობ ერთ ყაჩაღს, რომელსაც თავისი საქმიანობის მანძილზე ბევრი ოჯახი გაუძარცვავს და დაურბევია, მოზრდილებთან ერთად ბავშვებსაც კი ღადრავდა ყელს, მაგრამ პატიმრობის დროს ციხის ფანჯრიდან განსაკუთრებული სიყვარულით გასცქეროდა ხოლმე ეზოში მოთამაშე ბავშვებს. ერთი პატარა ბიჭუნა ისე მიიჩვია, რომ ბავშვი სარკმელთან ახლოს მოდიოდა და ძალიან დაუმეგობრდა... შენ არ იცი, ამას რისთვის ვამბობ, ალიოშა? რაღაც თავი მტკივა და სევდა შემომაწვა.

- უცნაურად ლაპარაკობ, - შენიშნა დამწუხრებულმა ალიოშამ, - რაღაც არეულ-დარეული ხარ.

- სხვათა შორის, ამას წინათ მოსკოვში ერთი ბულგარელი ყვებოდა, - გააგრძელა ივანმა ისე, თითქოს ძმის ნათქვამი არც გაუგონია, - თუ როგორ გაბოროტებულები არიან ბულგარეთში თურქები და ჩერქეზები. იმის შიშით, რომ სლავები არ აჯანყდნენ, ათასნაირ სიავეს სჩადიან, - სლავებს ხოცავენ, ცეცხლს უკიდებენ მათ სახლ-კარს, აუპატიურებენ ქალებსა და ბავშვებს, პატიმრებს ღობეებზე ყურებით აჭედებენ და ასე ჰყავთ დილამდე, ვიდრე ჩამოახრჩობენ და ა.შ. და ა.შ. ყველაფრის ენით აღწერაც კი შეუძლებელიაო. ხანდახან ადამიანთა სისასტიკეს „მხეცობას“ უწოდებენ, მაგრამ ეს ხომ საშინელი უსამართლობაა და მხეცებისათვის გულსატკენი. არც ერთი მხეცი არ არის ისეთი სასტიკი, როგორც ადამიანი, არც ერთ მხეცს არ გააჩნია ისეთი არტისტული და მაღალმხატვრული სისასტიკე, როგორიც ადამიანს. ვეფხვი თავის მსხვერპლს უბრალოდ ღრღნის და გლეჯს, მან მხოლოდ ეს იცის, აზრადაც არ მოუვა ღამით ადამიანის ღობეზე ყურებით მიჭედება, ცხადია, რომც შეეძლოს ამის გაკეთება. სხვათა შორის, თურქები დიდი სიამოვნებით აწამებენ ბავშვებს, თურმე რამდენჯერმე დედის საშოდანაც კი ხანჯლით ამოუკვეთიათ ჩვილი, რამდენჯერმე ძუძუთა ბავშვები დედების თვალწინ ჰაერში აუგდიათ და ხიშტებზე წამოუგიათ. დედის თვალწინ ამის გაკეთება მათთვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო. ყველაზე მეტად ერთმა ამბავმა დამაინტერესა. წარმოიდგინე ასეთი სურათი: ჩვილბავშვატატებული, შიშისაგან აკანკალებული დედა, მის გარშემო თურქები დგანან. თურქებს გართობა მოუნდათ, ისინი ეფერებიან ბალღს, იცინიან, ბავშვის გაცინებაც უნდათ, ბავშვიც იცინის. ამ დროს რომელიღაც თურქი ბავშვს შუბლზე პისტოლეტს მიაბჯენს, ბავშვი კისკისებს, იგი ხელებს იწვდის პისტოლეტისაკენ... უცებ არტისტი თითს გამოჰკრავს ჩახმახს და ბავშვს ტვინს გადმოანთხევინებს... ძალიან

მხატვრულია, არა? ისე, იმასაც ამბობენ, თურქებს ტკბილეულობა ძალიან უყვართო.

- ძმაო, რისთვის ლაპარაკობ ასეთ რამეებს? - ჰკითხა ალიოშამ.

- მე ვფიქრობ, რომ თუ ეშმაკი არ არსებობს, მაშინ იგი ადამიანმა მოიგონა ხატად და მსგავსად თვისად.

- ისევე, როგორც ღმერთი.

- შენ საოცარი უნარი გაქვს სიტყვის შემობრუნების, როგორც ამას პოლონიუსი ამბობს „ჰამლეტში“, - გაიცინა ივანმა, - სიტყვაში გამომიჭირე ხომ, არა უშავს, მე მაინც მოხარული ვარ. კარგი ვინმე ყოფილა შენი ღმერთი, თუკი ისიც ადამიანმა შექმნა ხატად და მსგავსად თვისად. წეღან მკითხე, რისთვის ლაპარაკობ ასეთ რამეებსო, გეტყვი: მე ფაქტების მოყვარული და შემგროვებელი ვარ, გაზეთებიდან და მოთხრობებიდან ვიწერ და ვაგროვებ სხვადასხვა სახის ანეკდოტებს, უკვე მოზრდილი კოლექცია მაქვს. თურქების ამბავი, ცხადია, შესულია ამ კოლექციაში. უცხოელების გარდა, ჩემს კოლექციაში მშობლიური ამბებიც არის, თურქულზე გაცილებით უკეთესი. მოგეხსენება, ჩვენთან მეტად გავრცელებულია ცემა-ტყეპა და გამათრახება, ეს ჩვენს ეროვნულ ხასიათში ზის. შეიძლება ყურებით არავინ მივაჭედოთ, რაც უნდა იყოს, მაინც ევროპელები ვართ, მაგრამ წკეპლა და მათრახი - ჩვენია და ვერავინ წაგვართმევს. ახლა საზღვარგარეთ თითქოს აღარავის ამათრახებენ, ზნე გაუკეთილშობილდათ, ისეთი კანონები შეიქმნა, რომ ადამიანმა ადამიანს ხელი არ ახლოს. ამის სამაგიეროდ, ისეთი რამ მოიგონეს, ისიც სუფთა ეროვნული, მათთვის დამახასიათებელი, რომელიც თითქოს ჩვენთვის დაუშვებელია, მაგრამ, მგონია, ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაღალი საზოგადოება რელიგიურ მოძრაობაში ჩაება, ჩვენთანაც უნდათ მისი დანერგვა. ერთი მშვენიერი ბროშურა მაქვს, ფრანგულიდანაა თარგმნილი, სადაც აღწერილია ხუთი წლის წინანდელი ამბავი - ოცდახუთი წლის ჭაბუკის, ბოროტმოქმედი მკვლელის, რიშარის სიკვდილით დასჯა. რიშარმა სიკვდილის წინ მოინანია თავისი ცოდვები და გაქრისტიანდა. ეს რიშარი ვიღაცის ნაბუშარი იყო, ექვსი წლის ასაკში მშობლებმა ვიღაც შვეიცარიელ მწყემსებს აჩუქეს. მათ ბავშვი ძაღლუმადურად გაზარდეს და ვირივით ამუშავებდნენ. რიშარი პატარა მხეცივით იზრდებოდა, არაფერს ასწავლიდნენ, შვიდი წლის ასაკში თოვლსა და ავდარში შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალი სამწყესურში გაუშვეს. ცხადია, როცა ამას სჩადიოდნენ, არც ფიქრობდნენ და არც ნანობდნენ იმას, რასაც აკეთებდნენ, პირიქით თვლიდნენ, რომ ამის სრული უფლება ჰქონდათ, რადგან რიშარი, როგორც ნივთი, ძღვნად მიიღეს. ისინი იმასაც კი არ თვლიდნენ საჭიროდ, ბავშვი გამოეკვებათ. თავად რიშარი ადასტურებს, რომ იმ დროს, როგორც ძე შეცთომილი სახარებაში, შიმშილისაგან გასავათებული, მზად იყო, შეეჭამა ის სალაფავი, რასაც ღორებს გაყიდვის წინ აჭმევდნენ ხოლმე, მაგრამ იმის ჭამის ნებასაც არ აძლევდნენ და სცემდნენ, როცა ღორების სალაფავს იპარავდა. ასე გაატარა მან თავისი ბავშვობა და ყრმობა მანამ, სანამ არ დავაჟკაცდა და არ მომაგრდა. შემდეგ მწყემსებს გაექცა და ქურდობა დაიწყო. ეს ველური ყოველდღიურ ნაქურდალს ჭამდა, სვამდა და მხეცივით ცხოვრობდა ჟენევაში. ბოლოს კი იმით დაასრულა, რომ ვიღაც მოხუცი

მოკლა და გაძარცვა. დააპატიმრეს, გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. იქ ხომ სენტიმენტალურები არ არიან. ციხეში რიშარს თავს დაეხვივნენ პასტორები, ქრისტეს სხვადასხვა საძმოს წევრები, ქველმოქმედი ქალბატონები და ა.შ. საკანში წერა-კითხვა ასწავლეს, აკითხებდნენ და უხსნიდნენ სახარებას, ნამუსს უღვიძებდნენ, არწმუნებდნენ, ტვინს უხვრეტდნენ. ბოლოს და ბოლოს, რაშარმა საგანგებოდ აღიარა თავისი დანაშაული. წერილობით მიმართა სასამართლოს: ადრე მხეცი და ნადირი ვიყავი, მაგრამ ახლა ღმერთმა გონება გამიხსნა და თავისი მადლი მომფინაო. მთელი ჟენევა ააღელვა ამ ამბავმა, მთელი ღვთისმოსავი და ქველმოქმედი საზოგადოება. თითქმის ყველა მაღალგანვითარებული და კეთილშობილად აღზრდილი ეწვია მას. ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ და ეუბნებოდნენ: „ძმა ხარ ჩვენი, შენ ღვთის მადლი მოგეფინა!“ გულაჩუყებული რიშარი კი ცრემლებს ღვრიდა: „დიახ, ასეა, ღმერთმა წყალობით გადმომხედა! ადრე, ჩემს ბავშვობაში, ღორის სალაფავის ჭამაც კი მიხაროდა, ახლა კი ჩემზე ღვთის მადლი გადმოვიდა და ღვთის მონად ვკვდები!“ - „ასეა, ასე, რიშარ, ღვთის მონად მოკვდი, შენ სისხლი დაღვარე და ამიტომ ღვთის მონად უნდა მოკვდე. მართალია, შენი ბრალი არ არის, რომ არ იცოდი, ვინ იყო ღმერთი; როცა შენ ღორების გშურდა, სალაფავს ჰპარავდი და ამის გამო მწყემსები გცემდნენ (ისე, ქურდობაც ცოდვაა, ქურდობაც დაუშვებელია), - მაგრამ რადგან შენ სისხლი დაღვარე, ამისათვის უნდა მოკვდე“. და აი, ბოლო დღეც დადგა. ღონემიხდილი რიშარი ქვითინებდა და ერთსა და იმავეს გაუთავებლად იმეორებდა: „ეს დღე ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, მე ღმერთთან მივდივარ!“ - „ასეა, ასე, - უყვიროდნენ პასტორები, მსაჯულები და გლახაკთა გამკითხავი ქალბატონები, - ეს არის შენთვის ყველაზე უბედნიერესი დღე, რამეთუ ღმერთთან მიხვალ!“ ეშაფოტისაკენ მიმავალ სამარცხვინო ეტლს, რომელსაც რიშარი მიჰყავდა, უამრავი ხალხი მიაცილებდა, ზოგი ეკიპაჟით და ზოგი ფეხით. ეშაფოტთან მივიდნენ თუ არა, გაისმა ყვირილი: „მოკვდი, ჩვენო ძმაო, მოკვდი ღმერთის გულისათვის, რამეთუ შენზე გადმოვიდა იმისი მადლი!“ დებისა და ძმების მიერ დაკოცნილი რიშარი ეშაფოტზე აათრიეს, თავი გილიოტინაზე დაადებინეს და ძმურად წააცალეს, იმიტომ რომ მასზე ღვთის მადლი გადმოვიდა. ეს მათთვის დამახასიათებელია. ბროშურა რუსულად თარგმნეს მაღალი წრის საზოგადოების რუსმა მოლუთერანო ქველმოქმედებმა და დაურიგეს გაზეთებისა და გამომცემლობათა რედაქციებს ხალხში უფასოდ გასავრცელებლად. რიშარის თავს გადამხდარი ამბავი იმითაა საინტერესო, რომ ნაციონალურია. ცხადია, ჩვენთვის მიუღებელია, თუ კაცი ჩვენი ძმა გახდა, თუკი მასზე ღვთის მადლი გადმოვიდა, მაშინ რატომღა უნდა მოჰკვეთო თავი. ვიმეორებ, ჩვენ მათზე არანაკლები რამ გვჩვევია: ესაა ჩვენთვის ისტორიულად ბუნებრივი და მახლობელი, სხვისი ცემა-ტყეპითა და ტანჯვა-წამებით სიამოვნება. ნეკრასოვს ერთი ლექსი აქვს იმის შესახებ, თუ როგორ ურტყამს გლეხი ცხენს თვალებში მათრახს, „თვინიერ თვალებში“. ვის არ უნახავს ასეთი სურათი, ეს სუფთა რუსიზმია. იგი აღგვიწერს დატვირთულ საზიდარში შებმულ გასავათებულ ცხენს, რომელიც ტვირთს ვეღარ ერევა. გლეხი ურტყამს მათრახს, სცემს დაუნდობლად, არაფრის გაგება არ უნდა, შეუჩერებლად უქნევს მათრახს და უყვირის: „მართალია, აღარ შეგიძლია, მაგრამ მაინც უნდა წაიღო, მოკვდი, მაგრამ მაინც უნდა წაიღო!“ ჯაგლაგი ცდილობს წინ წაწევას, გლეხი კი კვლავ ურტყამს აცრემლებულ და „თვინიერ თვალებში.“ გამწარებულმა ცხენმა, როგორც იქნა,

გაიწია და დაძრა საზიდარი. რაღაცნაირად საცოდავად მიდიოდა, გვერდულად და ხტუნვა-ხტუნვით, სუნთქვა-შეკრული და აკანკალებული. შემაძრწუნებელი სურათი აქვს აღწერილი ნეკრასოვს, მაგრამ ეს ხომ ცხენია, ცხენი იმისთვისაა, რომ გაამათრახონ. ასე აგვიხსნეს ეს თათრებმა და მათრახით საუკუნოდ დაგვასაჩუქრეს. მათრახი კი ადამიანსაც შეიძლება ურტყა. ახლა იმას მოგიყვები, როგორ წკეპლავდა ერთი ინტელიგენტი ცოლ-ქმარი ღვიძლ ქალიშვილს, შვიდი წლის გოგონას. ამის შესახებ დაწვრილებით მაქვს ჩაწერილი. მამას უხაროდა, რომ წკეპლა როკიანი იყო, „უფრო მწარე იქნებაო“, თავისთვის ამბობდა და დაალურჯებდა ხოლმე საკუთარ ასულს. მე მესმის, არსებობენ ისეთი ჯალათები, რომლებიც ყოველ დარტყმაზე უზომო სიამოვნებას განიცდიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით - რაც უფრო მეტს დაარტყამენ, მით უფრო დიდ და დიდ ნეტარებას გრძნობენ ხოლმე. ბავშვს ჯერ ერთ წუთს ურტყამს მამა, შემდეგ ხუთს, ათ წუთს და ა.შ. უფრო ხშირ-ხშირად და მწარედ. ბავშვი ყვირის, შემდეგ სუნთქვა ეკვრება და ყვირილიც აღარ შეუძლია. „მამა, მამიკო, მამიკო!“ ეს საშინელი ამბავი სასამართლომდე მივიდა. აიყვანეს ადვოკატი. რუსეთში უკვე დიდი ხანია, ხალხი ადვოკატს აბლაკატს - „დაქირავებულ სინდისს“ უწოდებს. ადვოკატი თავისი კლიენტის დასაცავად რიხიანად გაჰყვიროდა: „რა მოხდა, ხალხო, ჩვეულებრივი ოჯახური საქმეა, მამამ შვილი გაწკეპლა, სირცხვილია, ასეთი საქმის სასამართლოზე გატანაო!“ ადვოკატის ორატორობით მოხიბლულმა მსაჯულებმა შვილის მტანჯველი მამა გაამართლეს. პუბლიკა აღფრთოვანებული შეხვდა ჯალათის გამართლებას. ცუდია, რომ იქ არ ვიყავი, თორემ წინადადებას შევიტანდი - დაწესდეს მტანჯველის სახელობის სტიპენდია-მეთქი!.. მშვენიერი სურათებია, არა? ეს რაა?! მე ბალღების შესახებ უკეთესი რაღაცები მაქვს შეკრებილი, რუსი ბავშვების წამებაზე, ალიოშა. ხუთი წლის პატარა გოგონა შეიძულა დედ-მამამ, „პატივცემულმა და ჩინოსანმა, განათლებულმა და აღზრდილმა გვამებმა.“ ხედავ, მე კვლავ დაჟინებით ვამტკიცებ, რომ კაცობრიობის ნაწილს სიამოვნებას ჰგვრის ბავშვების ტანჯვა-წამება, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვების. ადამიანთა მოდგმის სხვა დანარჩენი ნაწილის მიმართ ისინი კეთილგანწყობილნი არიან, როგორც ეს განათლებულ ჰუმანურ ევროპელებს შეჰფერით, მაგრამ ბალღების ტანჯვა ძალიან უყვართ, ბავშვებიც ამისათვის უყვართ, სწორედ ამ მოსაზრებით. სწორედ ამ არსებების დაუცველობა აცდუნებთ ხოლმე ჯალათებს, მათი ანგელოზური მიმნდობლობა, ისინი ხომ ვერსად შეძლებენ ჩივილს, სწორედაც, ეს უმღვრევთ ბინძურ სისხლს მტანჯველებს. რასაკვირველია, ყოველ ადამიანში დამალულია მხეცი, პირსისხლიანი მხეცი, რომელიც უსაზღვრო სიამოვნებას განიცდის მსხვერპლის წივილ-კივილის მოსმენით, აღვირახსნილი მხეცი, რომელსაც გარყვნილებისაგან დაავადებული აქვს ნაღველი, აწუხებს ნიკრისის ქარი და ა.შ. და ა.შ. ამ საცოდავ ხუთი წლის გოგონას თავისი განათლებული მშობლები მრავალნაირად სტანჯავდნენ, სცემდნენ, ამათრახებდნენ, წიხლებს ურტყამდნენ, თავადაც არ იცოდნენ, რისთვის - ბავშვს სხეული ერთიანად დალილავებული ჰქონდა; ბოლოს უმაღლეს დონემდე დახვეწეს ტანჯვის მეთოდები: სიცივესა და ყინვაში, მთელი ღამის განმავლობაში ჩაკეტავდნენ ხოლმე საჭირო ოთახში, რომ ღამით ბავშვს ისინი არ შეეწუხებინა (თითქოს ღრმად მძინარე ხუთი წლის ანგელოზივით ბავშვს, ამ ასაკში, შეეძლოს ღამით გადაყენების მოთხოვნა) - პირისახეს განავლით მოუთხვრიდნენ ხოლმე და აიძულებდნენ განავლის ჭამას, ამას კი

უმეტესწილად დედა აკეთებდა, საკუთარი მშობელი დედა! ამ დედას შეეძლო მთელი ღამის განმავლობაში მშვიდი ძილი, მაშინ როცა საჭირო ოთახიდან საკუთარი გოგონას კვნესა ესმოდა! გესმის შენ ასეთი რამ, გესმის?! როცა პაწაწა არსება, რომელსაც ჯერ არც კი აქვს გაცნობიერებული, რა ემართება, რატომაა ჩაკეტილი ბნელ და ცივ ფეხსალაგში, გულამოსკვნილი ტირის, წყნარად და თვინიერად, სისხლიანი ცრემლებით და შესთხოვს „ღმერთს“, დაიფაროს იგი, - შენ გესმის რამე ასეთი უაზრობისა, ძმაო და მეგობარო ჩემო, ღვთის მორჩილო და მოსავო, გაგეგება რამე ამისა, რისთვისაა ასეთი უაზრობა საჭირო და შექმნილი! ამბობენ, ამის გარეშე ადამიანი ცხოვრებას ვერ შეძლებდა, რამეთუ ვერ შეიცნობდა კეთილსა და ბოროტსო. რად მინდა ეს წყეული სიკეთე და ბოროტება, თუკი ასე ძვირი ჯდება?! მთელი მსოფლიოს ცოდნა ბავშვის ერთ კურცხლადაც არ ღირს. მე აღარაფერს ვამბობ მოზრდილთა ტანჯვაზე, მათ ხომ ვაშლი იგემეს, ეშმაკმა დალახვროს, ისინი ეშმაკის კერძნი არიან, მაგრამ ესენი, ესენი! გაგაწვალე, მგონი ალიოშა, სახე ადამიანს აღარ გიგავს. გავათავებ, თუ გინდა.

- არა უშავს, მეც მინდა ვიტანჯო, - ჩაიბურტყუნა ალიოშამ.

- მხოლოდ ერთ სურათს აგიწერ კიდევ, ძალიან საინტერესოსა და დამახასიათებელს - ახლახან წავიკითხე ერთ-ერთ ჩვენს სიძველეთა კრებულში, არ მახსოვს „არქივში“, თუ „სიძველეებში“. ეს მოხდა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში, ბატონყმობის ყველაზე მძიმე პერიოდში, მაშ, გაუმარჯოს ხალხის განმათავისუფლებლებს! საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა ერთი გენერალი, გავლენიანი და მდიდარი მემამულე. იგი იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც გადადგომის შემდეგ ღრმად დარწმუნებულები არიან, რომ დაიმსახურეს უფლება, თავიანთი ქვეშევრდომების სიკვდილ-სიცოცხლე განაგონ. აი, ასეთი ბატონი, ყოყლოჩინა გენერალი, ცხოვრობდა მამულში და აბუჩად იგდებდა თავის ორი ათასამდე ღარიბ-ღატაკ ყმას, ექცეოდა მათ, როგორც მასთან სამადლოდ მცხოვრებ პირებს და ტაკიმასხარებს. ასეულობით ძაღლი ჰყავდა და მათი მუნდირში გამოწყობილი და ცხენიანი ასამდე მომვლელი. ერთხელ მისმა შინაყმამ, პატარა ბიჭუნამ, ასე რვა წლის თუ იქნებოდა, ქვებით თამაშის დროს, შემთხვევით, გენერლის საყვარელ მწევარს ფეხში ქვა მოარტყა. „რა მოუვიდა ჩემს საყვარელ ძაღლს, რატომ კოჭლობს?!“ - იკითხა გენერალმა. მოახსენეს, რომ ამა და ამ ბიჭმა ქვა ესროლა და დააკოჭლა. „აა, ეს შენა ხარ, - აათვალ-ჩაათვალიერა გენერალმა ბიჭი და გასცა ბრძანება, - დაიჭირეთ!“ შეიპყრეს ბავშვი, წაართვეს დედას და მთელი ღამე სატუსაღოში გამომწყვდეული ჰყავდათ. დილაადრიანად სანადიროდ გამოპრანჭული გენერალი გამობრძანდა, შეჯდა ცხენზე, გარშემო თავისი მაამებლები, ძაღლები, მეძაღლეები და ბაზიერები ახვევია, ყველანი ამხედრებულნი არიან. ირგვლივ შინაყმებსაც მოუყარეს თავი ჭკუის სასწავლებლად, წინ კი დამნაშავე ბავშვის დედა გაიგდეს. საპატიმროდან გამოიყვანეს ბავშვი. შემოდგომის დაბინდული, ცივი და ღრუბლიანი დილა იდგა. ნამდვილი სანადირო დღე იყო. გენერალმა ბრძანება გასცა, ბავშვი გააშიშვლეთო. ბავშვს გახადეს და დედიშობილა დატოვეს. იდგა სიცივისა და შიშისაგან აკანკალებული და გაოგნებული ხმას ვერ იღებდა.... „აიძულეთ, გაიქცეს!“ - გასცა ბრძანება გენერალმა. „გაიქეცი, გაიქეცი!“ - უყვირიან ბავშვს მეძაღლეები, ბავშვი გარბის... „ეცი მაგას, ეცი!“ - ყვირის გენერალი და თავისი

მწევრების მთელ ხროვას უქსევს ბიჭს. მწევრები ეცნენ ბავშვს და დედის თვალწინ სულ ნაფლეთებად აქციეს!.. გენერალს, მგონი, მეურვე დაუყენეს. შენ რას იზამდი? დახვრეტდი? ზნეობრიობის დასაცავად დახვრეტდი? თქვი, ალიოშა!

- დავხვრეტდი! - ჩუმად წარმოთქვა ალიოშამ და გაფითრებულმა, სახედაღმეჭილმა შეხედა ძმას.

- ბრავო! - იყვირა რაღაცნაირად აღტაცებულმა ივანმა, - შენც თუ ასე ამბობ, ე.ი... შენ, სქიმოსანი![62] აი, თურმე როგორი ეშმაკი გიზის სულში, ალიოშკა კარამაზოვ!

- რაღაც შეუსაბამო წამომცდა, მაგრამ...

- საქმეც სწორედ მაგ „მაგრამშია“ - იყვირა ივანმა, - იცოდე, მორჩილო, შეუსაბამობა ამქვეყნად ყველაზე საჭირო რამაა, შეუსაბამობაზე დგას ეს სამყარო, უმაგისოდ ამქვეყნად, შესაძლოა, არაფერიც არ ხდება. ჩვენ ვიცით, რაც ვიცით!

- რა იცი?

- მე არაფერი მესმის, - გააგრძელა ივანმა ისე, თითქოს ბოდავსო, - არც მინდა, რამე მესმოდეს. მინდა ფაქტთან დარჩენა. უკვე დიდი ხანია, ვცდილობ, არაფერი გავიგო. როგორც მოვინდომებ რამის გაგებას, მაშინვე ფაქტს ვუღალატებ, მე კი გადაწყვეტილი მაქვს, ფაქტებთან დავრჩე...

- მე რატომღა მცდი? - მწარედ შეჰყვირა აღელვებულმა ალიოშამ, - მეტყვი თუ არა, ბოლოს და ბოლოს?

- ცხადია, გეტყვი, იქით მიმყავხარ, რომ ყველაფერი გითხრა. შენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ, შენი გაშვება არ მინდა, შენს თავს ზოსიმას არ დავუთმობ.

ივანი ერთხანს გაჩუმდა, სახე ძალიან სევდიანი გაუხდა.

- ყური დამიგდე: ბავშვებზე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ყველაფერი ნათელი იყოს. დანარჩენ ადამიანთა ცრემლებზე, რითაც გაჟღენთილია დედამიწა ქერქიდან ცენტრამდე, აღარაფერს ვამბობ, ჩემი საუბრის თემა განზრახ შევამოკლე. თავს დავიმცირებ და გეტყვი, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ბაღლინჯო ვარ, არაფერი მესმის, რისთვის და რატომაა ეს ქვეყანა ასე მოწყობილი. ალბათ თავად ადამიანები არიან დამნაშავე: მათ სამოთხე მისცეს, ადამიანებმა კი თავისუფლება მოინდომეს და ზეცას ცეცხლი მოსტაცეს, თუმცა იცოდნენ, რომ ეს მათ გააუბედურებდა - მაშასადამე, ისინი შესაბრალები არ არიან. ჩემი საცოდავი მიწიერი ევკლიდური ჭკუა-გონებით მხოლოდ ის ვიცი, ამქვეყნად ტანჯვა-წამება რომ არსებობს და დამნაშავე კი არავინაა, რომ ყველაფერი ერთი მეორიდან გამომდინარებს პირდაპირ და უბრალოდ, ყველაფერი მიედინება და წონასწორდება, - მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ევკლიდეს მონაჩმახია, ეს კარგად ვიცი და არ მინდა, მის მიხედვით ვიცხოვრო! რა ხეირია ჩემთვის, თუ მეცოდინება, რომ დამნაშავეები არ არსებობენ, - მე შურისძიება მწყურია, არადა თავს მოვიკლავ! შურისძიება მინდა არა სადღაც და ოდესღაც,

უსასრულობაში, არამედ დღესვე, ამ დედამიწაზე, მინდა საკუთარი თვალით ვიხილო. მე მწამდა და ამიტომაც თავად მინდა ვიხილო ეს შურისძიება. და თუ იმ მომენტისათვის ცოცხალი აღარ ვიქნები, მაშინ გამაცოცხლეთ, რადგან ეს ყველაფერი უჩემოდ რომ მოხდეს, ძალიან მეწყინება. განა იმისათვის ვეწამე, რომ სამარეში თან გამყოლოდა ჩემს თავს დამტყდარი ყველა ბოროტება და ტანჯვა-წამება, რათა სხვებისათვის გამეპატივებინა მომავალი ჰარმონია. თავად მინდა ვნახო, როგორ მიუწვება ირემი ლომს, როგორ ჩაეხუტება მოკლული თავის მკვლელს. მეც მინდა ვიყო აქ მაშინ, როცა ყველა მოულოდნელად შეიტყობს, რატომ მოხდა ყოველივე ასე. ამ სურვილზეა დაფუძნებული ყველა რელიგია დედამიწაზე, მე კი მწამს. მაგრამ ბავშვები, რა უნდა ვუყო მაშინ მათ? აი, საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შემიძლია. უკვე მერამდენედ ვიმეორებ - უამრავი საკითხიდან მე მხოლოდ ბავშვთა საკითხი ავიღე, იმიტომ რომ აქ გასაგებია, რა უნდა ვთქვა. მისმინე: თუკი ყველა უნდა იტანჯოს, რათა საკუთარი ტანჯვა-წამებით გამოისყიდოს მარადიული ჰარმონია, მაშინ, ერთი მითხარ, გეთაყვა, რა შუაში არიან აქ ბავშვები? სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა იტანჯებოდნენ ისინი და რატომ უნდა გამოისყიდონ თავიანთი ტანჯვით ჰარმონია? რატომ მოხვდნენ ისინი მოზრდილთა რიგებში, რატომ უნდა გაანოყიერონ მათ თავიანთი ტკივილებით მომავლის ჰარმონია? მე მესმის, ადამიანებს ცოდვების გამო რომ ჰმართებთ ერთმანეთის თანადგომა, შურისძიებაში სოლიდარობაც მესმის, მაგრამ ბავშვები რა შუაშია?! თუ სიმართლე ისაა, რომ ბავშვები გვერდში უნდა ედგნენ მამებს ყველა უკეთურობაში, მაშინ ეს სიმართლე არაამქვეყნიურია და ჩემთვის გაუგებარი. ზოგიერთი ხუმარა იტყვის, ეს ბავშვი გაიზრდება და მოასწრებს ცოდვის ჩადენასო, მაგრამ ის ხომ ჯერ არ გაზრდილა, ის ხომ რვა წლის ასაკში დაფლითეს ძაღლებმა. არა, ალიოშა, ეს მკრეხელობა არ არის! მე მესმის, როგორ შეიძვრება მთელი სამყარო, როდესაც ზესკნელსა და ქვესკნელში ყველა ცოცხალსა და მკვდარს აღმოხდება ღმერთის სადიდებელი ღაღადისი: „მართალ ხარ, უფალო, რამეთუ განიხვნენ გზანი შენნიო!“ როცა ძაღლის მიერ დაფლეთილი ბავშვის დედა გადაეხვევა თავისი შვილის მწამებელს და სამივენი აცრემლებულნი აღავლენენ: „მართალ ხარ, უფალო“, მაშინ, რასაკვირველია, ეს იქნება შემეცნების გვირგვინი და ყოველივე ნათელი გახდება. მაგრამ, რა ვქნა, სწორედ ამის გაგება არ ძალმიძს. სანამ ამქვეყნად ვცხოვრობ, ვჩქარობ, ჩემი კუთვნილი მივიღო. იცი, ალიოშა, შესაძლოა, ყველაფერი ასეც მოხდეს, შესაძლოა, მეც მოვესწრო იმ დღეს, ან მკვდრეთით აღვდგე მის სანახავად, შესაძლოა, მაშინ, როცა ვიხილავ ერთმანეთს ჩახუტებულ წამებული ბავშვის დედას და ბავშვის მწამებელს, მეც სხვებთან ერთად აღმომხდეს: „მართალ ხარ, უფალო!“ მაგრამ მე არ მინდა ამის თქმა. სანამ დროა, თავს უნდა ვუშველო, ამიტომ უმაღლეს ჰარმონიაზე უარს ვამბობ, არ ღირს ის იმ წამებული ბავშვის ერთ კურცხალადაც კი, რომელიც ფეხსალაგში ეგდო, გამწარებული თავის პატარა მუშტებს მკერდში იბაგუნებდა და ღმერთს შველას შესთხოვდა. იმიტომ არ ღირს, რომ ეს ცრემლები გამოუსყიდველი დარჩა. თუ ისინი გამოსყიდული არ იქნება, არავითარ ჰარმონიას არ ექნება ადგილი. მაგრამ როგორ შეიძლება მათი გამოსყიდვა? განა ეს შესაძლებელია? ნუთუ იმით, რომ მათ გამო აღსრულდება შურისგება? მაგრამ მე რას მაძლევს მათზე შურისძიება, რაში მაინტერესებს მტანჯველების ჯოჯოხეთში მოხვედრა, რას გამოასწორებს ჯოჯოხეთი, თუკი ბავშვები უკვე ნაწამები არიან? რომელ ჰარმონიაზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი

ჯოჯოხეთი არსებობს: მე პატიება მინდა, ჩახუტება მინდა და არ მსურს, ქვეყნად კიდევ იტანჯებოდეს ვინმე. თუკი ბავშვების ტანჯვა-წამება იმ წამებათა საბოლოო ჯამის შესავსებადაა აუცილებელი, რომელიც საჭიროა ჭეშმარიტების გამოსასყიდად, მაშინ წინასწარ ვამტკიცებ, რომ არავითარი ამქვეყნიური ჭეშმარიტება არ ღირს ამ ფასად. მე არ მსურს, წამებული ბავშვის დედა ეხვეოდეს კაცს, რომელმაც მისი შვილი ძაღლებს დააფლეთინა. არც ერთ დედას არ აქვს უფლება, ასეთი რამ აპატიოს ვინმეს! თუ უნდა, აპატიოს თავისი ტანჯვა, რომელიც შვილის ტანჯვა-წამებით იყო გამოწვეული, მაგრამ ძაღლების მიერ დაფლეთილი შვილის გვემის პატიების უფლება მას არ აქვს, თუნდაც წამებულმა აპატიოს თავის მწამებელს. თუკი ეს ასეა, თუ არ აქვს პატიების უფლება, მაშინ სადღაა ჰარმონია? არსებობს კი ამქვეყნად არსება, რომელსაც უფლება აქვს აპატიოს? მე არ მინდა ჰარმონია კაცობრიობის სიყვარულისთვის, არ მსურს. მე მსურს, დავრჩე იმათთან, ვინც ტყუილუბრალოდ ეწამა და თავის მტანჯველებზე შური ვერ იძია. ჯობს, ჩემს შურუძიებელ ტანჯვასთან და გაუყუჩებელ გულისწყრომასთან დავრჩე, თუნდაც არ ვიყო მართალი. დიახ, ძალიან ძვირად შეაფასეს ჰარმონია, მასში შესასვლელად ძალიან დიდი გადასახადია საჭირო. იგი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომაც ვჩქარობ ჩემი შესასვლელი ბილეთის უკან დაბრუნებას. თუკი მე პატიოსანი კაცი ვარ, ვალდებული ვარ, იგი უკან დავაბრუნო და რაც შეიძლება ჩქარა. ამასაც ვაკეთებ. ალიოშა, მე განა ღმერთზე ვამბობ უარს, არა, მხოლოდ უდიდესი პატივისცემით ვუბრუნებ უკან შესასვლელ ბილეთს.

- ეს ბუნტია, ამბოხება, - წყნარად წარმოთქვა თავჩაქინდრულმა ალიოშამ.

- ამბოხება? მე არ მინდოდა შენგან ეს სიტყვა მომესმინა, - თქვა ივანმა გულშიჩამწვდომი ხმით, - ამბოხებული გულით ცხოვრება შეიძლება, მე ასე მინდა ვიცხოვრო. პირდაპირ მითხარი, ძალიან გთხოვ, მიპასუხო: წარმოიდგინე ასეთი რამ - შენ მიზნად გაქვს დასახული, ააგო ადამიანთა ბედისწერის ისეთი შენობა, რომლის დასრულების შემდეგ შეძლებ გააბედნიერო ადამიანები, ბოლოს და ბოლოს მიანიჭო სიმშვიდე და მოსვენება, ამისათვის კი აუცილებელი და გარდაუვალია, აწამო მხოლოდ ერთი პაწაწა არსება - აი, ის არსება, ფეხსალაგში რომ შეაგდეს და აცრემლებული ღმერთს შველას სთხოვდა - და იმის შურუძიებელ ცრემლებზე საძირკველი ჩაუყარო ამ შენობას, მიპასუხე, თანახმა იქნები ამ პირობებზე ასეთი შენობის არქიტექტორი რომ იყო, მითხარი, არ მომატყუო!

- არა, არ ვიქნები თანახმა, - წყნარად თქვა ალიოშამ.

- შენ დასაშვებად მიგაჩნია ასეთი აზრი, რომ ადამიანები, ვისთვისაც შენ აპირებ ამ შენობის აშენებას, დათანხმდებიან საუკუნო ბედნიერებას პატარა წამებულის გაუმართლებლად დაღვრილი სისხლის ხარჯზე?

- არა, არ შემიძლია დავუშვა. ძმაო, - უცებ თვალებანთებული ალაპარაკდა ალიოშა, - შენ ახლახან თქვი: არის კი ამქვეყნად არსება, რომელსაც შეუძლია და აქვს უფლება პატიებისაო? არსებობს ასეთი არსება, მას შეუძლია ყველაფრის პატიება, ყველასი და ყველაფრის, რამეთუ მან თავად გაიღო საკუთარი უცოდველი სისხლი ყველასა და ყველაფრისათვის. შენ ის დაგავიწყდა, სწორედ

მასზე დაფუძნდება ის ნაგებობა და სწორედ მას შეჰღაღადებენ: „მართალ ხარ, უფალო, რამეთუ განიხვნენ გზანი შენნი!“.

- აჰა, „სრულიად უცოდველი“ და მისი სისხლი! არა, არ დამავიწყდა და შენგან კიდეც მიკვირს, აქამდე რატომ არ ახსენე, რადგან ამნაირი დისკუსიების დროს შენნაირებს ყოველთვის გამოჰყავთ ხოლმე ის წინა პლანზე. იცი, ალიოშა, ოღონდ არ გაგეცინოს, მე ოდესღაც, ასე ამ ერთი წლის წინ, პოემა შევთხზე. თუ შეგიძლია, კიდევ ერთი ათი წუთი შემომწირო, მოგითხრობ?

- შენ პოემა დაწერე?

- არა, არ დამიწერია, - გაიცინა ივანმა, - არასოდეს, ჩემს ცხოვრებაში ორი სტროფიც კი არ დამიწერია. მაგრამ ეს პოემა მოვიგონე და დავიმახსოვრე. მთელი ჩემი არსება ჩავაქსოვე მასში. შენ იქნები ჩემი პირველი მკითხველი, უფრო სწორედ მსმენელი. რატომ უნდა დაკარგოს ავტორმა თუნდაც ერთი მსმენელი, - გაიღიმა ივანმა. - მოგითხრო თუ არა?

- მთელი გულისყურით გისმენ, - თქვა ალიოშამ.

- ჩემს პოემას ეწოდება „დიდი ინკვიზიტორი“ - უაზრო რამაა, მაგრამ მაინც მინდა გიამბო.

V დიდი ინკვიზიტორი

- წინასიტყვა აქაც საჭიროა, - უფრო სწორად, ლიტერატურული წინასიტყვა, ჰმ! - ჩაიცინა ივანმა, - თუმცა მე რა მთხზველი ვარ! მისმინე! ეს ამბავი მეთექვსმეტე საუკუნეში ხდება. მაშინ კი, ეს სკოლიდანაც გახსოვს ალბათ, მიღებული იყო პოეტურ ქმნილებებში ზეციურ ძალთა მიწაზე ჩამოყვანა. დანტეზე აღარაფერს ვამბობ. საფრანგეთში სასამართლოს კლერკები და ბერ-მონაზვნები მართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს, რომლებშიც მთავარი მოქმედი პირნი იყვნენ მადონა, ანგელოზები, წმინდანები, ქრისტე და თავად მამა ღმერთი. იმ დროს ყველაფერი ეს ცოტა გულუბრყვილოდ კეთდებოდა. ვიქტორ ჰიუგოს რომანში „Notre Dame de Paris“[63] ერთი ასეთი ეპიზოდია: ლუდოვიკო მეთერთმეტეს მეფობის დროს პარიზის რატუშის დარბაზში საფრანგეთის დოფინის[64] დაბადებასთან დაკავშირებით, ხალხისთვის მუქთი, ჭკუის სასწავლი წარმოდგენა გაიმართა. პიესის სახელწოდება იყო: „Le bon jugement de la tres seinte et gracieuse Vierge Marie“[65] ამ პიესაში თვით ღვთისმშობელი გამოდის სცენაზე და თავის „bon jugement“[66]-ს წარმოთქვამს. ჩვენთანაც, პეტრემდელ მოსკოვში, დროდადრო იდგმებოდა ხოლმე დაახლოებით მსგავსი ნაწარმოებები, განსაკუთრებით, ძველი აღთქმის სიუჟეტების მიხედვით. დრამატული ნაწარმოებების გარდა, მაშინ მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა ნაირ-ნაირი მოარული ამბავი და „ლექსი“, რომელთა გმირებიც, საჭიროებისამებრ, იყვნენ ანგელოზები, წმინდანები და ყოველი ზეციური ძალა. ჯერ კიდევ თათრების ბატონობის ხანაში ჩვენს მონასტრებში

თარგმნიდნენ, იწერდნენ და თხზავდნენ კიდეც ასეთი შინაარსის პოემებს. მაგალითად, არსებობს ერთი სამონასტრო პოემა (ცხადია, ბერძნულიდანაა თარგმნილი) „ღვთისმშობლის სვლა ტანჯვის გზებზე“, რომელიც ისეა დასურათხატებული, სითამამით დანტეს არ ჩამოუვარდება. ღვთისმშობელი ეწვევა ჯოჯოხეთს, სადაც მას „ტანჯვის გზებზე“ წინ მთავარანგელოზი მიქაელი მიუძღვის. იქ ღვთისმშობელი საკუთარი თვალით იხილავს ცოდვილებს და მათ ტანჯვა-წამებას. სხვათა შორის, ძალზე საინტერესოა პოემის ის ადგილი, სადაც ცეცხლმოდებულ ტბაში ცოდვილთა წამებაა აღწერილი: ვინც ტბაში ჩადის და უკან ვეღარ ამოდის, „მას ივიწყებს ღმერთი“ - როგორი ძლიერი და განსაკუთრებული სიღრმის გამოთქმაა, არა? და აი, განცვიფრებული და აცრემლებული დედაღვთისა უზენაესის ტახტის წინაშე დაემხობა და ევედრება უფალს, რომ შეუნდოს ყველას, ვინც კი ჯოჯოხეთში იხილა, განურჩევლად ყველას შეუნდოს. ერთობ საინტერესოა ღმერთთან მისი საუბარი. ღვთისმშობელი ევედრება მას, არ სცილდება და როცა მეუფე ცისა მიუთითებს მისი შვილის დალურსმულ ხელ-ფეხზე და ჰკითხავს: როგორ ვაპატიო ამის მწამებლებსო, მაშინ დედაღვთისა ყველა წმინდანს, წამებულს, ანგელოზსა და მთავარანგელოზს უბრძანებს, დაემხონ მასთან ერთად და განურჩევლად ყველას შენდობა ითხოვონ. დასასრულ, დიდი მუდარის შემდეგ, ღვთისმშობელი ღმერთს დაიყოლიებს, რომ ყოველწლიურად, წითელი პარასკევიდან სამებამდე შეაჩეროს წამება. ამის გამგონე ჯოჯოხეთის მკვიდრი ცოდვილნი მადლს შესწირავენ უფალს და შეჰღაღადებენ: „მართალ ხარ შენ, უფალო, სწორია სამართალი შენი.[67]“ იმ დროს რომ დაწერილიყო, ჩემი პოემაც ამგვარივე იქნებოდა. ჩემს პოემაში სცენაზე გამოდის თავად ის[68]. თუმცა არაფერს ამბობს, მხოლოდ გამოცხადდება და უჩუმრად გაუჩინარდება. თხუთმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც აღგვითქვა, რომ დაუბრუნდებოდა თავის სამეუფეოს. თხუთმეტი საუკუნის წინათ მისმა წინასწარმეტყველმა დაწერა: „აჰა, მოვალ მალე.“[69] „ხოლო დღე და ჟამი ის არავინ იცის, არცა ძემან მისმან, მხოლოდ ზეციერმა მამამან ჩემმან“.[70] ასე მოგვახსენა თავადაც მაშინ, როდესაც ჩვენთან იმყოფებოდა. კაცობრიობა კვლავ დიდი რწმენით, მოუთმენლად ელის მას. ოო, უფრო დიდი რწმენით, რამეთუ თხუთმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც შეგვიწყდა საიმედო დაპირება ზეციდან:

გწამდეს იგი, რასაც გეტყვის გული,

აღარაა საწინდარი ციდან.[71]

დიახაც, მხოლოდ გულის ნაკარნახევი უნდა გვწამდეს! იმ დროს მართლაც ბევრი სასწაული მოხდა. ისეთი წმინდანებიც არსებობდნენ, რომლებიც სასწაულებრივ განკურნებას ახდენდნენ. ზოგიერთი ღირსი მამის ცხოვრების აღწერილობიდან ისიც ვიცით, რომ მათ ღვთისმშობელი ევლინებოდათ. მაგრამ ეშმას არ სძინავს და კაცობრიობას ამ სასწაულების სიმართლეში ეჭვი შეეპარა. ამ დროს ჩრდილოეთში, გერმანიაში, ახალი ერესი გაჩნდა. უზარმაზარი ვარსკვლავი, „ვითარცა ლამპარი“ (ე.ი. ეკლესია), „დაეცა წყაროებს და იქმნენ ისინი მწარენი“. ეს ერესი მკრეხელურად უარყოფდა სასწაულს. მაგრამ დარჩენილ ერთგულ მორწმუნეებს უფრო გულმხურვალედ სწამდათ. კაცობრიობა კვლავ ძველებურად

ღვრის ცრემლებს მისთვის, ისევ ისე უყვარს და ელის, იმედი აქვს მისი, სწყურია, ეწამოს და მოკვდეს მისთვის. აი, უკვე რამდენი საუკუნეა, გულანთებული კაცობრიობა ლოცულობს და უხმობს მას: „რამეთუ უფალო გამოგვიჩნდი ჩვენ“ რამდენი საუკუნეა, ევედრება, მოიღოს თავისი უსაზღვრო მოწყალება და ინებოს მათთან გარდამოსვლა. აქამდე ის შთამოდიოდა და ეცხადებოდა ხოლმე ზოგიერთ ღირს მამას, წამებულს და წმინდა განდეგილს, როგორც ეს მათ „ცხორებაშია“ აღწერილი. ჩვენმა პოეტმა ტიუტჩევმა, რომელსაც ღრმად სწამდა თავისი სიტყვების ჭეშმარიტება, გვამცნო:

ჯვრის მძიმე ტვირთით დამწუხრებულმა

ზეცის მეუფემ - მონის ხატებით,

მშობელო მიწავ, კიდით-კიდემდე

შემოგიარა ლოცვა-კურთხევით.

ეს აუცილებლად ასე იქნებოდა, ნამდვილად. ჰოდა, მან ინება, მცირე ხნით მაინც, მოვლენოდა განაწამებ, გატანჯულ და ცოდვილ, მაგრამ მისდამი ბალღური სიყვარულით გამსჭვალულ მრევლს. ჩემს პოემაში მოქმედება ესპანეთში, სევილიაში, ინკვიზიციის ყველაზე საშინელ დროს ხდება, როდესაც ამ ქვეყანაში ყოვედღიურად ღმერთის სადიდებელი ცეცხლი გიზგიზებდა

და მშვენიერი აუტოდაფეს[72] კოცონებზე

ცოცხლად წვავდნენ ბოროტ ერეტიკოსებს.[73]

ცხადია, ეს ის გარდამოსვლა არ იყო, რომელიც აღგვითქვა - ჟამის დასასრულს გამოგეცხადებით ყოველივე ზეციურის სადიდებლადო; როცა მისი შთამოსვლა იქნებოდა უეცარი, „ვითარცა ელვა მოკაშკაშე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“.[74] არა, მან ინება, თუნდაც წამით მოენახულებინა თავისი სამწყსო იქ, სადაც ერეტიკოსების კოცონებს ტკაცატკუცი გაჰქონდა. ის თავისი უსაზღვრო გულმოწყალების გამო კიდევ ერთხელ გაივლის ადამიანებს შორის იმ კაცის სახით, რომლითაც თხუთმეტი საუკუნის წინათ სამი წელი დადიოდა. იგი გამოჩნდება სამხრეთის ქალაქის „ცხელ ქუჩებში“, იქ, სადაც მეფის, კარისკაცების, რაინდების, კარდინალების, უმშვენიერეს სეფექალთა და სევილიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის თვალწინ „მშვენიერი აუტოდაფე“ დასრულდა, სადაც კარდინალის, დიდი ინკვიზიტორის ბრძანებით, თითქმის ასამდე ერეტიკოსი ცეცხლზე დაწვეს ad majorem gloriam Dei[75]. იგი უხმაუროდ, შეუმჩნევლად გამოჩნდა, მაგრამ მოხდა საოცრება - ყველამ იცნო. ეს ეპიზოდი ჩემი პოემის საუკეთესო ადგილი იქნებოდა. ხალხი დაუძლეველი ძალით მიილტვის მისკენ, შემოეხვევა, თავს იყრის მის გარშემო და მიჰყვება. იგი ჩუმი, უსაზღვრო თანალმობის ღიმილით გაივლის მათ შორის. მის გულში სიყვარულის მზე ანთია. მისი თვალებიდან გადმოღვრილი სინათლის, განათლებისა და ცხოველმყოფელობის სხივები ადამიანთა გულებს ეფინება და მათ საპასუხო სიყვარულით აღავსებს. იგი მათკენ გაიწვდის ხელებს და დალოცავს. მისი შეხება,

მხოლოდ ტანსაცმლის შეხებაც კი განმკურნებელ ძალას აფრქვევს. უცებ ბავშვობაში დაბრმავებული მოხუცი წამოიძახებს: „უფალო, განმკურნე მე, რათა გიხილო შენ!“ მოხუცს თვალთაგან ბინდი გადაეწმინდება და იხილავს მას. ხალხი ტირის, მუხლებზე ემხობა და კოცნის მიწას, რომელზედაც უფალი გაივლის. ბავშვები გზადაგზა ყვავილებს უფენენ, მღერიან და შეჰღაღადებენ: „ოსანა!“[76] „ის არის, ის, თავად იგია, - იმეორებს ყველა, - ნამდვილად ის არის და სხვა არავინ“. იგი სევილიის ტაძრის კარიბჭესთან ჩერდება სწორედ მაშინ, როცა ტაძარში ტირილით შეაქვთ კუბო, რომელშიც ცნობილი მოქალაქის შვიდი წლის გოგონა ყვავილებში ჩაფლული ასვენია. „იგი გააცოცხლებს შენს გოგონას“, - ბრბოდან ვიღაც ამხნევებს მოტირალ დედას. პროცესიის შესახვედრად გამოსული პატერი წარბებშეჭმუხნული და გაოგნებული დგას. ამ დროს გაისმის მიცვალებულის დედის მოთქმა. ქალი დაემხობა უფლის ფერხთა წინ და შესძახებს: „უკეთუ, ეს შენ ხარ, გააცოცხლე ჩემი გოგონა!“ პროცესია შედგება და კუბოს მის ფეხებთან დაასვენებენ. იგი გულმოწყალებით გადახედავს მიცვალებულს და მისი ბაგეები კიდევ ერთხელ წარმოსთქვამენ: „ტალიფა კუმი“ - „აღსდექ, ქალწულო!“ გოგონა კუბოში წამოჯდება და მომღიმარი, გაოცებული, ფართოდ გახელილი თვალებით ირგვლივ მიმოიხედავს. ხელებში თეთრი ვარდების თაიგული უჭირავს, რომელთან ერთადაც კუბოში ესვენა. ხალხი შეცბუნდება, აყვირდება და აქვითინდება. სწორედ ამ დროს, მოულოდნელად მოედანზე გამოივლის თვით კარდინალი, დიდი ინკვიზიტორი. ეს არის მაღალი და წელში გამართული, გამხდარი პირისახის და ჩაცვივნული, ჯერ კიდევ მოელვარე თვალების მქონე ოთხმოცდაათი წლის მოხუცი. ოო, ახლა არ არის გამოწყობილი თავის საუცხოო კარდინალურ სამოსში, რომლითაც გუშინ, როდესაც რომაული რწმენის მტრებს წვავდნენ, ხალხის წინაშე თავს იწონებდა, - არა, ამჟამად უხეში საბერო სამოსი აცვია. ცოტა მოშორებით პირქუში თანაშემწეები, „წმინდა ბადრაგი“ და არაბები მოჰყვებიან. იგი ბრბოს წინ ჩერდება და შორიდან ადევნებს თვალს. მოხუცმა ყველაფერი ნახა - ნახა, როგორ დადგეს კუბო მის ფერხთა წინ და როგორ აღდგა მკვდრეთით გოგონა. სახემოღუშული და კოპებშეკრული, დაბოღმილი უცქერს ყოველივეს. მერმე თითს გაიშვერს და გუშაგებს მის შეპყრობას უბრძანებს. ისეთია მისი ძალა, ხალხი ისეა გაწვრთნილი და მორჩილი, რომ გუშაგებს იმ წამსვე გაუხსნიან მისკენ მიმავალ გზას. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. გუშაგები შეიპყრობენ მას და მიჰყავთ. მთელი ხალხი კი მიწამდე დახრის თავს დიდი ინკვიზიტორის წინაშე. მოხუცი დალოცავს მათ და მიდის. გუშაგებს ტყვე ძველი სამსჯავროს შენობის ვიწრო, თაღოვან, ბნელ ციხეში შეჰყავთ და იქ ამწყვდევენ. გაივლის დღე. დგება მრუმე, ცხელი და „დახუთული“ ღამე. ჰაერში „ლიმონისა და დაფნის სუნი ტრიალებს“.[77] უცებ ღრმა წყვდიადში საპყრობილის რკინის კარი იღება და თვით მოხუცებული დიდი ინკვიზიტორი სანათით ხელში ნელი ნაბიჯით შედის საკანში. მოხუცი მარტოა და კარი მის უკან მაშინვე იხურება. შესვლისას ერთხანს ჩერდება და დიდხანს, ასე ერთ-ორ წუთს სახეში შესცქერის მას. მერმე ჩუმად უახლოვდება, სანათს მაგიდაზე დგამს და ეკითხება: - ეს შენა ხარ? შენ? - და რადგან პასუხს ვერ იღებს, აგრძელებს: - არ მიპასუხო, გაჩუმდი! თუმცა რა შეგიძლია მითხრა? კარგად ვიცი, რასაც მეტყვი. შენ უფლებაც არ გაქვს რაიმე დაუმატო იმას, რაც ადრე გქონდა ნათქვამი. რატომ მოხვედი, რატომ გვიშლი ხელს? შენ იმიტომ მოხველ, რომ ხელი შეგვიშალო. ეს თავად უწყი. მაგრამ იცი თუ არა, რა მოხდება ხვალ? არ ვიცი და არც მინდა

ვიცოდე: ეს შენა ხარ, თუ მხოლოდ მსგავსი ხარ მისი, ხვალ გაგასამართლებ და კოცონზე დაგწვავ, როგორც ყველაზე ბოროტ მწვალებელს. ხალხი კი, რომელიც დღეს ფეხებს გიკოცნიდა, ჩემს ერთ დაძახებაზე გამოიქცევა და შენს კოცონს შეშას შეუკეთებს. იცი თუ არა ეს? თუმცა შესაძლოა, იცოდე კიდეც, - ამ სიტყვებს ფიქრებში ღრმად წასული დასძენს, ისე რომ თვალს არ მოაშორებს ტუსაღს...

- ივან, რაღაც ვერ გავიგე, რა არის ეს? - გაიღიმა აქამდე ჩუმად მყოფმა ალიოშამ, - შენი უსაზღვრო ფანტაზია, თუ მოხუცის შეცდომა, რაღაც gui pro gui[78].

- თუნდაც ეგრე იყოს, - გაიცინა ივანმა, - თუკი თანამედროვე რეალიზმით ისე ხარ განებივრებული, რომ ვერანაირ ფანტაზიას ვერ იტან. გსურს გუი პრო გუი, ასეც იყოს. მართალია, - კვლავ გაიცინა ივანმა, - დიდი ინკვიზიტორი ოთხმოცდაათი წლისაა და არ არის გამორიცხული, რომ საკუთარ იდეას უკვე დიდი ხნის წინ შეეშალა ჭკუიდან. ისიც შესაძლებელია, რომ ტყვეს თავისი გარეგნობით გაეოცებინა. ბოლოს და ბოლოს, იქნებ უბრალო ბოდვა იყო, გუშინდელი აუტოდაფეთი - ასი ერეტიკოსის დაწვით აღგზნებული ოთხმოცდაათი წლის მოხუცის სიკვდილის წინა ხილვა. მაგრამ ჩვენთვის განა სულ ერთი არ არის, რაღა გუი პრო გუი და რაღა უსაზღვრო ფანტაზია? საქმე ის არის, რომ მოხუცს რაღაცის თქმა უნდოდა, ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში მხოლოდ ახლა მიეცა საშუალება, გამოეთქვა ის, რაზედაც მთელი სიცოცხლე დუმდა.

- ტყვეც დუმს? უცქერს და კრინტსაც არ ძრავს?

- დიახ, ნებისმიერ შემთხვევაში ასე უნდა ყოფილიყო, - კვლავ გაეცინა ივანს, - თვით მოხუცი შენიშვნას აძლევს, რომ ტყვეს უფლება არა აქვს, ადრე ნათქვამს რაიმე დაუმატოს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის რომის კათოლიკობის ძირითადი ნიშანი: „შენ ყველა უფლება გადაეცი პაპს, ამიერიდან თუნდაც სულ ნუ მოხვალ, დრომდე მაინც ხელს ნუ შეგვიშლი“. იეზუიტები ამას არათუ ხმამაღლა ამბობენ, არამედ წერენ კიდეც. თავად წამიკითხავს მათ საღვთისმეტყველო თხზულებებში. „გაქვს კი უფლება, თუნდაც ერთი საიდუმლო გვამცნო იმ სამყაროს შესახებ, საიდანაც შენ მოხველ? - ეკითხება მოხუცი და თავადვე პასუხობს, - არა, არ გაქვს! რადგან არ გაქვს უფლება, რაიმე დაუმატო იმას, რაც ადრე იყო თქმული, არ გაქვს უფლება, წაართვა ადამიანებს ის თავისუფლება, რომელსაც მაშინ აქ, მიწაზე, ასე იცავდი. ის, რასაც ახლა გვაუწყებ, ავნებს ადამიანთა თავისუფალ რწმენას, რადგან მოგვევლინება როგორც სასწაული. ადამიანის რწმენის თავისუფლება კი ჯერ კიდევ ათას ხუთასი წლის წინათ იყო შენთვის ყველაზე ძვირფასი. განა შენ არ ეუბნებოდი მათ: „თავისუფალი მინდა გაგხადოთო“?! ახლა ხომ ნახე ეს „თავისუფალი“ ადამიანები, - უცებ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დაუმატა მოხუცმა, - დიახ, ეს საქმე ძვირი დაგვიჯდა, - გააგრძელა მან და მკაცრად გადახედა, - მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ის შენი სახელით დავასრულეთ. თხუთმეტი საუკუნე გვაწამებდა ეს თავისუფლება, მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა და დასრულდა საფუძვლიანად. არ გჯერა, საფუძვლიანად რომ დასრულდა? როგორ მშვიდად მიყურებ, არაფერი გაშფოთებს? იცოდე, რომ დღეს, სწორედ ამჟამად, ვიდრე ოდესმე, ეს ხალხი დარწმუნდა, რომ თავისუფალია, თუმცა თავად მოგვართვა საკუთარი თავისუფლება და მორჩილად ჩაგვაბარა. ჩვენ ასე მოვიქეცით, შენ კი, რა გინდოდა - ასეთი თავისუფლება?“

- მაინც ვერ გავიგე, - გააწყვეტინა ალიოშამ, - ის რა - დასცინის მას, აბუჩად იგდებს?

- არც უმაგისობაა. ის საკუთარ და თავისიანების დამსახურებად თვლის, რომ ბოლოს და ბოლოს, თავისუფლების დამარცხება შეძლეს. ეს კი იმიტომ გააკეთეს, რომ ადამიანები ბედნიერები გაეხადათ. „რადგან მხოლოდ ახლა (ის, ცხადია, ინკვიზიციას გულისხმობს) გახდა შესაძლებელი ადამიანების ბედნიერებაზე ფიქრი. ადამიანი მეამბოხედ არის შექმნილი, ხოლო მეამბოხე სულს განა შეუძლია ბედნიერი იყოს? შენ გაფრთხილებდნენ, - ეუბნება მოხუცი მას, - არ გაკლდა გაფრთხილებები და მითითებები, მაგრამ არ შეისმინე. შენ უარყავი ერთადერთი გზა, რომლითაც შეგეძლო ბედნიერება მიგენიჭებინა ადამიანებისათვის. მაგრამ, საბედნიეროდ, წასვლისას საქმე ჩვენ გადმოგვაბარე. შენ დაგვპირდი, შენი სიტყვით დაგვიმტკიცე, მოგვეცი კავშირისა და განცალკევების უფლება და ახლა ფიქრადაც ნუ გაივლებ, წაგვართვა იგი. მაშ, რატომ მოხველ, რად გვიშლი ხელს?“

- რას ნიშნავს: არ გაკლდა გაფრთხილებები და მითითებები? - შეეკითხა ალიოშა.

- აი, მთავარიც ის არის, რომ მოხუცს რაღაცის თქმა უნდა.

„საშინელი და გონიერი სული[79], თვითგანადგურებისა და არყოფნის სული, - აგრძელებს მოხუცი, - დიადი სული გესაუბრებოდა უდაბნოში. წიგნებიდან ვიცით, თურმე ის შენს „ცდუნებას“ ცდილობდა. ეს ასეა? განა შეიძლებოდა იმაზე უფრო ჭეშმარიტი რამის თქმა, რაც მან თავისი იმ სამი კითხვით გაუწყა, რომელიც შენ უარყავი და რომლებსაც წიგნებში ცდუნებებს უწოდებენ? თუმცა თუ ოდესმე დიდი სასწაული მომხდარა მიწაზე, იმ დღეს მოხდა, იმ სამი ცდუნების დღეს. სწორედ ის სამი კითხვა იყო სასწაული. მაგალითისათვის და შესამოწმებლად, თუკი შესაძლებელი იქნება, დავუშვათ, რომ იმ საშინელი სულის სამი კითხვა წიგნებში უკვალოდ გაქრა და საჭირო გახდა მათი აღდგენა, კვლავ მოგონება და შეთხზვა, რომ ხელახლა შეიტანონ წიგნებში და ამისათვის კი მთელი მსოფლიოს ბრძენნი - გამგებლები, მღვდელმთავრები, მეცნიერები და პოეტები - უნდა შეკრიბონ და დაუსვან ამოცანა: მოიფიქრეთ და ჩამოაყალიბეთ სამი ისეთი კითხვა, რომელიც არა მარტო უნდა შეესაბამებოდეს მოვლენის ზომას, არამედ გამოხატავდეს კიდეც მასზე უფრო მეტს, კაცობრიობისა და მსოფლიოს მთელ მომავალ ისტორიას, სამი სიტყვით, სამი ადამიანური ფრაზით, - როგორ ფიქრობ, შეძლებდა კი დედამიწის გაერთიანებული სიბრძნე, მოეგონებინა ისეთი ძალისა და სიღრმის სამი კითხვის მსგავსი რამ, რომელიც მაშინ სინამდვილეში შემოგთავაზა ძლევამოსილმა და გონიერმა სულმა? მარტოოდენ ამ სამი კითხვით, მხოლოდ მათი სასწაულებრივი წარმოშობით შეიძლება მიხვდე, რომ საქმე გაქვს არა ადამიანის წარმავალ გონებასთან, არამედ მარადიულ და აბსოლუტურ გონთან. რამეთუ ამ სამ კითხვაშია ნაწინასწარმეტყველები და ერთ მთლიანობადაა გაერთიანებული კაცობრიობის მთელი შემდგომი ისტორია, გამოვლენილია სამი ხასიათი, რომელშიც თავმოყრილია ადამიანის ბუნების ყველა გადაუწყვეტელი ისტორიული წინააღმდეგობა. იმ დროისათვის ეს ასე არ ჩანდა, რადგან მომავალი უხილავი იყო. ახლა კი, როცა თხუთმეტი საუკუნე გავიდა, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სამ კითხვაში ყველაფერი ისე გამოცნობილი და

ნაწინასწარმეტყველები იყო, ყოველივე ისე გამართლდა, რომ რაიმეს მოკლება ან დამატება აღარ შეიძლება.

თავად გადაწყვიტე, ვინ იყო მართალი: შენ თუ ის, რომელმაც კითხვები დაგისვა? გაიხსენე პირველი კითხვა; თუმცა ზუსტად შეიძლება ვერ გადმოგცე, მაგრამ მისი შინაარსი ასეთია: „შენ გინდა მოხვიდე სოფლად ცარიელი ხელებით, რაღაც თავისუფლების აღთქმით, რომელიც მათ უმეცრებისა და თანდაყოლილი მოუწესრიგებლობის გამო არ შეუძლიათ გაიაზრონ, რისიც ძალიან ეშინიათ, რადგან არასოდეს არაფერი ყოფილა ადამიანისათვის და ადამიანთა საზოგადოებისათვის ისე აუტანელი, როგორიც თავისუფლებაა! ხედავ ქვებს ამ შიშველ და ხორშაკ კლდოვან უდაბნოში? გადააქციე ისინი პურად და კმაყოფილი კაცობრიობა მორჩილად, ფარასავით უკან გამოგედევნება, თუმცა მუდამ შიშით იქნება შეპყრობილი, რომ შეგიძლია ერთხელაც მათზე ხელი აიღო და შეუწყვიტო პური შენი“. მაგრამ შენ უარყავი ეს წინადადება, რადგან არ გსურდა, ადამიანებს თავისუფლება დაეკარგათ. შენ ასე განსაჯე: ის რა თავისუფლებაა, თუკი მორჩილება პურით იქნება ნაყიდი? შეეკამათე მას და აღნიშნე, რომ ადამიანი მარტო პურით არ ცხოვრობს. მაგრამ იცი, რომ სწორედ ამ მიწიერი პურის გამო აგიჯანყდება, შეგებრძოლება და დაგამარცხებს მიწიერი სული და მას ყველა გაჰყვება ღრიალით: „ვინც მსგავსია ამა მხეცისა, მან მოგვიტანა ციური ცეცხლი!“[80] იცი თუ არა შენ, გაივლის კიდევ მრავალი საუკუნე და კაცობრიობა, ბრძენთა და მეცნიერთა წყალობით, გამოაცხადებს, რომ დანაშაული არ არსებობს, ამიტომაც არ არსებობს ცოდვა; არიან მხოლოდ მშივრები, „დააპურე ისინი და მერმე მოსთხოვე სათნოებანი!“ აი, ამას დააწერენ იმ დროშებს, რომლებიც შენ წინააღმდეგ აღიმართება და დაინგრევა ტაძარი შენი. შენი ტაძრის ადგილას აიგება ახალი შენობა, კვლავ აღიმართება ახალი საშინელი ბაბილონის გოდოლი, რომლის მშენებლობაც, როგორც მისი წინამორბედისა, არ დასრულდება. შენ შეგეძლო, აგეცილებინა მათთვის ახალი გოდოლის მშენებლობა და ამით ათასი წლით შეამცირებდი ადამიანთა ტანჯვა-წამებას, რადგან ისინი - ათასი წლის განმავლობაში ამ გოდოლით გაწამებულები - ხომ ჩვენთან მოვლენ! ხელახლა მოგვძებნიან მიწისქვეშეთში, კატაკომბებში (რადგანაც ჩვენ კვლავ განდევნილები და წამებულნი ვიქნებით) გადამალულებს. გვიპოვიან და შემოგვღაღადებენ: „დაგვაპურეთ, რამეთუ მათ, ვინც დაგვპირდა ციურ ცეცხლს, არ მოგვცა“. მაშინ კი, მაშინ ჩვენ დავამთავრებთ მათ გოდოლს, რადგან დაასრულებს ის, ვინც გამოკვებავს, გამოვკვებავთ კი მხოლოდ ჩვენ, შენი სახელით და ვიცრუებთ, რომ ეს შენი გულისთვისაა. დიახაც, ვერასოდეს, ვერასოდეს შეძლებენ ისინი უჩვენოდ თავის გამოკვებას. სანამ ისინი თავისუფლები იქნებიან, ვერც ერთი მეცნიერება ვერ მისცემს მათ პურს. და ყველაფერი დამთავრდება იმით, რომ ჩვენს ფერხთით მოიტანენ თავიანთ თავისუფლებას და გვეტყვიან: „სჯობს დაგვიმონოთ, ოღონდ დაგვაპურეთ!“ ბოლოს თავად მიხვდებიან, რომ ყველასათვის ერთად თავისუფლება და საკმარისი პური დაუშვებელია, რადგან ვერასოდეს, ვერასოდეს შეძლებენ ისინი ერთმანეთში მათ თანაბარ განაწილებას. ასევე, დარწმუნდებიან, რომ ვერასოდეს მოახერხებენ, თავისუფლები გახდნენ, ვინაიდან უსუსური, ბიწიერი, არარაობანი და მეამბოხე არსებები არიან. შენ მათ ზეციურ პურს დაჰპირდი, მაგრამ კვლავ გიმეორებ, შეედრება კი იგი მიწიერ პურს, უსუსური, მარად ბიწიერი და მუდამ

უზნეო ადამიანის მოდგმის თვალში?! უკეთუ ზეციური პურისთვის ათასობით, ათიათასობით ადამიანი გამოგყვება, რა ეშველება იმ მილიონობით არსებას, რომელთაც ვერ შეძლეს, უარი ეთქვათ მიწიერ პურზე ზეციური პურის გამო?! ნუთუ შენთვის მარტოოდენ ის ათიათასობით დიდებული და ძლიერი პიროვნებაა ძვირფასი, ხოლო დანარჩენი ათიათასობით მილიონი, ზღვის ქვიშასავით ურიცხვი, სუსტი, მაგრამ შენზე შეყვარებული არსება მხოლოდ ძლიერთა და დიდებულთა მასალად მიგაჩნია? არა, ჩვენთვის სუსტებიც ძვირფასნი არიან. ისინი, მართალია, ზნედაცემულ მეამბოხეებად იქცნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დაგვემორჩილებიან. დასასრულ, თავისუფლება მათთვის ისეთი მტანჯველი გახდება, რომ ჩვენით გაოცებულები, ღმერთებად ჩაგვთვლიან, რადგან სათავეში ჩავუდექით და დავთანხმდით, ისინი თავისუფლებისაგან გვეხსნა და მათზე გვებატონა! ჩვენ ვეტყვით, რომ შენი მორჩილები ვართ და შენი სახელით ვბატონობთ. კვლავ ვიცრუებთ, რადგან შენ ჩვენთან აღარ მოგიშვებთ. სწორედ ეს სიცრუე იქნება ჩვენი ტანჯვის მიზეზი, ვინაიდან იძულებული ვიქნებით, ვიცრუოთ. აი, ამას ნიშნავს ის პირველი კითხვა, შენ რომ უდაბნოში დაგისვეს; აი, რა უარყავი შენ თავისუფლებისთვის, რომელიც ყველაზე მაღლა დააყენე. სხვათა შორის, ამ კითხვაში ძევს ამა სოფლის დიდი საიდუმლო. შენ რომ „პური“ მიგეღო, შეგეძლო, პასუხი გაგეცა, როგორც პიროვნების, ასევე კაცობრიობის საუკუნეობრივ საერთო ადამიანურ სადარდელზე - „ვის ეთაყვანოს?“ არ არსებობს თავისუფლად დარჩენილი ადამიანისათვის იმაზე უსასრულო და მტანჯველი საზრუნავი, ვიდრე სურვილი - სასწრაფოდ მოძებნოს ისეთი ვინმე, ვისაც შეიძლება თაყვანი სცეს. ადამიანი ისეთ სათაყვანებელს ეძებს, რომელიც უდავო და იმდენად ეჭვშეუვალია, რომ ყველა თანახმაა, მის წინაშე იყრიდეს მუხლს. ამ საბრალო არსებათა საზრუნავი მარტო ის კი არ არის, რომ მოძებნონ ისეთი, რომელსაც ეთაყვანებიან თვითონ ან სხვები, არამედ, მონახონ ისეთი, რომელსაც ყველა ერთად ირწმუნებს, აუცილებლად ყველა ერთად! სწორედ ეს საერთო თაყვანისცემის მოთხოვნილება არის დასაბამიდან როგორც თითოეული ადამიანის პიროვნული, ისე კაცობრიობის უმთავრესი ტანჯვა. სწორედ ამ საერთო თაყვანისცემის მოთხოვნილების გამო ანადგურებდნენ ისინი ერთმანეთს. ისინი ქმნიდნენ ღმერთებს და ერთმანეთს აიძულებდნენ: „ზურგი აქციეთ თქვენს ღმერთებს და თაყვანი ეცით ჩვენსას, თორემ სიკვდილი თქვენცა და თქვენს ღმერთებსაცო!“ ასე გაგრძელდება სამყაროს დასასრულამდე, მაშინაც კი, როცა მსოფლიოში ღმერთები გაქრებიან და ყველა კერპთაყვანისმცემელი გახდება. შენ ეს იცოდი, არ შეიძლება, ადამიანის ბუნების ეს ძირითადი საიდუმლო არ გცოდნოდა. მაგრამ შენ უარყავი ერთადერთი აბსოლუტური იდეა - იდეა მიწიერი პურისა, რომელიც შემოგთავაზეს და რომლის საშუალებითაც უეჭველად შეგეძლო, იძულებული გაგეხადა ყველა, შენთვის თაყვანი ეცათ. და იგი უარყავი თავისუფლებისა და ზეციური პურის გულისთვის. ახლა ვნახოთ, რა ჩაიდინე შემდგომში, ისევ და ისევ თავისუფლებისათვის! გეუბნები, არ არსებობს ადამიანისათვის იმაზე მტანჯველი საზრუნავი, ვიდრე მოთხოვნილება იმისა, რომ სასწრაფოდ მონახოს ვინმე, ვისაც ძღვნად გადასცემდა იმ თავისუფლებას, რომელთან ერთადაც ეს უბედური არსება იბადება. ადამიანთა თავისუფლებას კი მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც მათ სინდისს დაამშვიდებს. პურთან ერთად გთავაზობდნენ უდავო სახელმძღვანელო იდეასაც: თუ ადამიანს პურს მისცემ, თაყვანს გცემს, რადგან არაფერია პურზე

ნამდვილი, მაგრამ თუკი ვინმე, შენ გარეშე, დაიმონებს მათ სინდისს, მაშინ იგი მიატოვებს შენს პურს და გაჰყვება მას, ვინც მის სინდისს მოხიბლავს. ამ მხრივ მართალი იყავი. რამეთუ ადამიანთა ყოფის საიდუმლო განა მარტო ის არის, რომ იარსებოს, არამედ ის თუ რისთვის იცხოვროს. თუ ადამიანს არა აქვს მყარი წარმოდგენა, რატომ ცხოვრობს, ის უმალ სიცოცხლეს მოისწრაფებს, ვიდრე იცხოვრებს ამქვეყნად, სადაც ირგვლივ თავსაყრელადაა პური. ეს ასეა, მაგრამ რა გამოვიდა: იმის მაგივრად, ადამიანთა თავისუფლება ხელში ჩაგეგდო, მათ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭე. ნუთუ დაგავიწყდა, რომ ადამიანისათვის კეთილისა და ბოროტის შემეცნების თავისუფალ არჩევანზე ძვირფასია სიმშვიდე და თვით სიკვდილიც კი? არაფერი ისე მაცდუნებელი არაა მისთვის, როგორც სინდისის თავისუფლება, რაც ამავე დროს მისი მტანჯველიც არის. შენ კი ადამიანის სინდისის დამამშვიდებელი მყარი საფუძვლის მაგივრად, გამოიყენე ყველაფერი უჩვეულო, სავარაუდო და განუსაზღვრელი, ყველაფერი ის, რაც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, თითქოს სულაც არ გიყვარდა ის. და ეს გააკეთე შენ, ვინც ამქვეყნად იმიტომ მოხვედი, ადამიანისათვის თავი რომ გაგეწირა! იმის მაგივრად, რომ ადამიანთა თავისუფლებას დაპატრონებოდი, შენ გაუმრავლე ის და ამით უკუნითი უკუნისამდე ტანჯვის ტვირთი აჰკიდე ადამიანის სულიერ სამყაროს. შენ გსურდა ადამიანის თავისუფალი სიყვარული, რომ იგი, შენით მოხიბლული და დატყვევებული, თავისუფლად გამოგყოლოდა. ძველთაძველი ურყევი კანონის მაგივრად, ახლა ადამიანმა თავისუფლად უნდა გადაწყვიტოს, რაა კეთილი და რა ბოროტი, სახელმძღვანელოდ კი მხოლოდ და მხოლოდ, შენი ხატება უნდა ჰქონდეს. მაგრამ ნუთუ არ გიფიქრია, რომ ერთხელაც ადამიანი უარგყოფს და საკამათოს გახდის შენს ხატებასა და შენს სიმართლეს, თუკი ისეთი მძიმე ტვირთი დააწვება, როგორიც თავისუფალი არჩევანია? დასასრულ, ისინი წამოგძახებენ, რომ სიმართლე შენში არ არის, ვინაიდან შეუძლებელი იყო მათი დატოვება შიშსა და ტანჯვაში იმაზე მეტად, როგორადაც ეს შენ გააკეთე, როცა ამდენი საზრუნავი და გადაუწყვეტელი საკითხი დაუტოვე. ასე და ამგვარად, შენი სამეფოს დანგრევას შენვე ჩაუყარე საძირკველი და აქ ბრალი სხვას არავის მიუძღვის. მაგრამ შენ ამას გთავაზობდნენ? დედამიწაზე არსებობს სამი ძალა, მხოლოდ და მხოლოდ სამი ძალა, რომელსაც ძალუძს სამუდამოდ დაამარცხოს მათი სინდისი. ეს ძალებია - სასწაული, საიდუმლო და ავტორიტეტი. შენ ერთიც, მეორეც და მესამეც უარყავი და თვით აჩვენე მათ ამის მაგალითი. როცა საშინელმა და ბრძენმა სულმა ტაძრის გუმბათზე დაგაყენა და გითხრა: „თუ ძე ხარ ღვთისა, გადავარდი აქედან, რადგანაც დაწერილია: თავის ანგელოსებს უბრძანებს შენ გამო და აგიტაცებენ ხელში, რათა არსად წამოჰკრა ქვას ფეხი შენი“. მაშინ გაიგებ, ხარ თუ არა ძე ღვთისა და რამდენად გწამს მამაშენის.“ შენ მოისმინე და უკუაგდე მისი წინადადება, არ დაემორჩილე და არ გადმოხტი. რასაკვირველია, ამაყად და დიდებულად მოიქეცი, როგორც ღმერთს შეეფერის, მაგრამ ადამიანები, ეს სუსტი და მეამბოხე არსებები, ღმერთები ხომ არ არიან? შენ მაშინ მიხვდი, ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი საკმარისი იყო, რომ უფალი გამოგეცადა, დაგეკარგა მისი რწმენა და დანარცხებულიყავი იმ მიწაზე, რომლის გადასარჩენადაც მოხვედი და გაიხარებდა შენი მაცდუნებელი სული. მაგრამ კვლავ გიმეორებ, განა ბევრია შენნაირი? ნუთუ, ერთი წუთით მაინც შეგეძლო დაგეშვა, რომ ადამიანებს შესწევთ ძალა წინ აღუდგნენ მსგავს ცდუნებას? ნუთუ ისეა შექმნილი ადამიანის ბუნება, რომ ცხოვრების ასეთ საშინელ მომენტში

შეძლოს უკუაგდოს სასწაული, იმ წუთებში, როცა ყველაზე საშინლად მტანჯველი და საჭირბოროტო კითხვები წამოიჭრება ხოლმე, შეძლოს, გულისთქმის თავისუფალ არჩევანს დაჰყვეს? შენ იცოდი, რომ შენს ღვაწლს წიგნები შემოინახავდა, რომ იგი გააღწევს დროთა სიღრმესა და დედამიწის შორეულ სამანებს. იმედოვნებდი, რომ შენი მიმდევარი ადამიანი ღმერთთან დარჩებოდა და აღარ დასჭირდებოდა სასწაული. მაგრამ ის კი არ იცოდი, რაწამსაც ადამიანი სასწაულს უარყოფს, მაშინვე უარყოფს ღმერთსაც, ვინაიდან ადამიანი იმდენად არ ეძებს ღმერთს, რამდენადაც სასწაულს. ადამიანი სასწაულის გარეშე ვერ გაძლებს; თუნდაც მეამბოხე, ერეტიკოსი და უღმერთო იყოს, მაინც შექმნის ახალ სასწაულს, უკვე საკუთარს და თაყვანს სცემს ექიმბაშთა სასწაულმოქმედებას თუ დიაცურ ჯადოქრობას. შენ ჯვრიდან არ ჩამოხვედი, როცა გიყვიროდნენ, გამცირებდნენ და გაღიზიანებდნენ: „ჩამოდი ჯვრიდან და გირწმუნებთ შენ“. არ ჩამოხვედი, რადგან, ისევ და ისევ, არ გსურდა სასწაულით დაგემონებინა ადამიანი. გწყუროდა თავისუფალი და არა სასწაულმოქმედებით გამოწვეული რწმენა. გწყუროდა თავისუფალი სიყვარული და არა ძლევამოსილის წინაშე შიშისზარდაცემული დატყვევებულის მონური აღტაცება. მაგრამ ცდებოდი, დიდი წარმოდგენა გქონდა ადამიანებზე, რადგან ისინი მეამბოხეებად კი შექმნილან, მაგრამ მაინც მონები არიან. კარგად განჭვრიტე და განსაჯე - უკვე თხუთმეტი საუკუნე გავიდა, მიდი და შეხედე მათ: ვინ აიყვანე შენს სიმაღლემდე? გეფიცები, ადამიანი უსუსურია და იმაზე მდაბიოდ არის შექმნილი, ვიდრე შენ ფიქრობ! შეძლებს, შეძლებს კი ადამის შვილი, შეასრულოს ის, რაც შენ შეძელი? შენ ისეთი უსაზღვრო პატივისცემით განიმსჭვალე ადამიანის მიმართ, თითქოს აღარც თანაუგრძნობდი მას, რადგან ძალიან ბევრს მოითხოვდი მისგან. და ეს გააკეთე შენ, ვისაც საკუთარ თავზე მეტად გიყვარდა ადამიანი! მის მიმართ უფრო ნაკლები პატივისცემით რომ ყოფილიყავი განმსჭვალული, მისგანაც ნაკლებს მოითხოვდი, ეს კი უფრო ახლოს იქნებოდა სიყვარულთან და უფრო მსუბუქი იქნებოდა კაცთა ტვირთი. ადამიანი სუსტი და არამზადაა. მერმე რა მოხდა, თუკი ახლა იგი ყველგან ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის და ამაყობს, რომ გვიჯანყდება? ეს ბავშვისა და მოწაფის ყოყლოჩინობაა. ისინი იმ პატარა ბავშვებს ჰგვანან, მასწავლებელს რომ აურიეს და კლასიდან გაყარეს. მაგრამ მალე დამთავრდება ბალღური აღტკინება და ყველაფერი ძვირად დაუჯდებათ. ისინი დაამხობენ ტაძრებს და სისხლით მორწყავენ მიწას. ბოლოს და ბოლოს, ეს ბრიყვი ბავშვები მიხვდებიან, რომ მეამბოხეები კი არიან, მაგრამ იმდენად უმწეო მეამბოხეები, რომ საკუთარ ამბოხსაც ვერ უძლებენ. აცრემლებულები აღიარებენ - არსთაგამრიგემ, უეჭველად, დასაცინად შექმნა ისინი. სასოწარკვეთილები იტყვიან ამას და მათი ნათქვამი მკრეხელობა იქნება, რის გამოც ისინი უფრო უბედურები გახდებიან, ვინაიდან ადამიანის ბუნება ვერ იტანს მკრეხელობას და, ბოლოს და ბოლოს, თვით იძიებს შურს ამისათვის. მოუსვენრობა, დაბნეულობა და უბედურება - აი, ეს არის ახლანდელი ადამიანის ხვედრი მას შემდეგ, რაც შენ ადამიანის თავისუფლებისათვის ამდენი მოითმინე! შენი დიდი წინასწარმეტყველი[81] თავის ხილვებს იგავებით გვამცნობს: თურმე მან იხილა პირველი აღდგომის ყველა მონაწილე - თითოეული თაობიდან თორმეტ-თორმეტი ათასი. მაგრამ თუკი ამდენნი იყვნენ, ალბათ ადამიანები კი არა, ღმერთები იქნებოდნენ. მათ მოითმინეს შენი ჯვარი. მშივრებმა და შიშვლებმა ათი წელი გაძლეს უდაბნოში, სადაც მარხულობდნენ, მხოლოდ ძირხვენებით

იკვებებოდნენ. შენ, რასაკვირველია, ამაყად მიგვითითებ თავისუფლებისა და თავისუფალი სიყვარულის ამ შვილებზე, რომლებმაც ნებაყოფილობით დიდებული მსხვერპლი გაიღეს შენთვის, მაგრამ გაიხსენე, ისინი რამდენიმე ათასნი იყვნენ და თანაც ღმერთები. დანარჩენები? რა დააშავეს დანარჩენმა, სუსტმა და უმწეო ადამიანებმა, რომლებმაც ვერ აიტანეს ის, რაც უძლიერესებმა? რა დააშავა სუსტმა სულმა, თუკი მან ვერ შეძლო მიეღო ამდენი საშინელი ნაბოძები? ნუთუ მარტო რჩეულებთან, მხოლოდ რჩეულთათვის მოხვედი? თუ ასეა, მაშინ ეს საიდუმლო ყოფილა, რომელსაც ჩვენ ვერ გავიგებთ. და თუკი საიდუმლოა, მაშინ ჩვენც გვქონდა უფლება, მათთვის გვექადაგა და გვესწავლებინა, რომ მთავარი მათი გულების თავისუფალი არჩევანი და სიყვარული კი არ არის, არამედ საიდუმლო, რომელსაც ისინი ბრმად უნდა ემორჩილებოდნენ. ჩვენ შევასწორეთ შენი ღვაწლი და იგი სასწაულზე, საიდუმლოსა და ავტორიტეტზე დავაფუძნეთ. და გაიხარეს ადამიანებმა, რამეთუ ისინი კვლავ ფარასავით გარეკეს და ბოლოს და ბოლოს მათი გულები გაათავისუფლეს იმ საშინელი ნაბოძებისაგან, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოუტანა. თქვი, სწორად მოვიქეცით, როცა ასე ვასწავლიდით? ნუთუ ჩვენ არ გვიყვარდა კაცობრიობა, როცა ასე მორჩილად შევიგნეთ მისი უსუსურობა, სიყვარულით შევუმსუბუქეთ ტვირთი და საშუალება მივეცით მის უნებისყოფო ბუნებას, ჩაიდინოს ცოდვა, ცხადია, ჩვენი ნებართვით? მაშ, რატომ მოხვედი, რატომ გვიშლი ხელს? რატომ მიყურებ უწყინარი თვალებით? ასე რად მაკვირდები, ხმას რატომ არ იღებ? გაბრაზდი, მე არ მინდა შენი სიყვარული, რადგან თავად არ მიყვარხარ. შენ რა უნდა დაგიმალო? განა არ ვიცი, ვის ველაპარაკები? რაც უნდა გითხრა, შენთვის ყველაფერი ცნობილია, ამას შენს თვალებში ვკითხულობ. შევძლებ კი დაგიმალო ჩვენი საიდუმლო? ან იქნებ იგი სწორედ ჩემგან გინდა მოისმინო?! მაშ მისმინე: ჩვენ შენთან კი არა, ჩვენ მასთან ვართ[82]. აი, ჩვენი საიდუმლო! უკვე დიდი ხანია, არა ვართ შენთან, უკვე რვა საუკუნეა, მასთან ვართ. ზუსტად რვა საუკუნეა, მისგან მივიღეთ ის, რაც შენ აღშფოთებულმა უარყავი, ის უკანაკნელი საჩუქარი, რომელიც მან შემოგთავაზა, როცა დაგანახა ამა სოფლის სამეფოები. ჩვენ მივიღეთ მისგან რომი და კეისრის მახვილი და თავი დედამიწის ერთპიროვნულ მეფეებად გამოვაცხადეთ, თუმცა აქამომდე ვერ მოვასწარით ჩვენი საქმის ბოლომდე მიყვანა. მაგრამ ვინაა დამნაშავე? ეს საქმე ჯერ საწყის სტადიაშია, მაგრამ უკვე დაიწყო. მის დამთავრებამდე კიდევ დიდხანს მოგვიწევს ცდა, კიდევ დიდხანს არ დამთავრდება დედამიწაზე ტანჯვა-წამება, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მივაღწევთ და კეისრები გავხდებით. მაშინ კი ვიფიქრებთ ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებაზე. სხვათა შორის, შენ ჯერ კიდევ მაშინ შეგეძლო, წელთ შემოგერტყა კეისრის მახვილი. რატომ უარყავი ეს უკანასკნელი საჩუქარი? რომ მიგეღო ძლევამოსილი სულის მესამე რჩევა, ყველაფერს მოიპოვებდი, რასაც კი ადამიანი დედამიწაზე ეძებს, ესე იგი, ვის ეთაყვანოს, ვის ჩააბაროს სინდისი და, დასასრულ, როგორ გაერთიანდეს ყველა ერთად უდავო, საერთო და თანხმობის ჭიანჭველეთში, რადგან მსოფლიო ერთიანობის მოთხოვნილება არის ადამიანების მესამე და უკანასკნელი ტანჯვა. კაცობრიობა ყოველთვის მიისწრაფოდა მსოფლიო ერთიანობისაკენ. ამქვეყნად ბევრი დიდი ისტორიის მქონე ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ისინი განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდნენ, მით უფრო უბედურები ხდებოდნენ, რადგან სხვებზე

მეტად გრძნობდნენ მსოფლიო ერთიანობის მოთხოვნილებას. დიდმა დამპყრობლებმა - თემურმა და ჩინგის-ხანმა - ქარიშხალივით გადაუარეს დედამიწას მხოლოდ ერთი მიზნით, რომ მთელი მსოფლიო დაეპყროთ, მაგრამ მათაც, თუნდაც შეუგნებლად, მაგრამ მაინც, კაცობრიობის მსოფლიო და საყოველთაო ერთიანობის უდიდესი მოთხოვნილება გამოხატეს. მათაც მთელი მსოფლიოს დაპყრობისა და კეისრის მოსასხამის მიღების შემდეგ მსოფლიო სამეფოს შექმნა და საყოველთაო მშვიდობის დამყარება სურდათ. რამეთუ ვინ უნდა ბატონობდეს ადამიანებზე, თუ არა ის, ვისაც ხელთა აქვს მათი პური და ვინც დაუფლებია მათ სინდისს. ჩვენ ავიღეთ კეისრის მახვილი და ამით, რასაკვირველია, უარგყავით შენ და გავყევით მას. ოჰ, კიდევ გავა საუკუნეები და დიდხანს იპარპაშებს თავისუფალი გონება, მისი მეცნიერებები და ანთროპოფაგია, რადგან როცა ადამიანები უჩვენოდ დაიწყებენ ბაბილონის გოდოლის აგებას, ანთროპოფაგიით დაამთავრებენ - ერთმანეთს დაჭამენ. მაშინ კი ჩვენთან მოცოცდება მხეცი, ფეხებს აგვილოკავს და თვალთაგან წამომსკდარი სისხლიანი ცრემლებით დაგვინამავს. ჩვენ შემოვასხდებით ამ მხეცს და ავაგებთ შენობას, რომელსაც ეწერება: „საიდუმლო!“ მხოლოდ მაშინ, მაშინ დადგება ადამიანებისათვის სიმშვიდისა და ბედნიერების სამეფო. შენ ამაყობ შენი რჩეულებით, შენ ხომ მარტო რჩეულები გყავს, ჩვენ კი დავამშვიდებთ ყველას. რამდენი იყო იმ შენს რჩეულთა შორის, შენს ძლიერთა შორის ისეთი, რომელსაც შეეძლო უფრო გამორჩეულად გადაქცევა, მაგრამ დაიღალა შენს მოლოდინში და წარმართა და კვლავაც წარმართავს თავის სულიერ ძალას და გულის სიმხურვალეს სხვა სარბიელზე. ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდება, რომ ისინი შენი სახელით აღმართავენ თავისუფლების თავიანთ დროშას. მაგრამ შენ ხომ თავად აღმართე ეს დროშა. ჩვენთან ყველა ბედნიერი იქნება, აღარ გაანადგურებენ ერთმანეთს, როგორც ეს შენი თავისუფლების დროს საყოველთაოდ ხდებოდა. ჩვენ მათ დავარწმუნებთ, რომ ისინი მხოლოდ მაშინ იქნებიან თავისუფლები, როდესაც დაგვემორჩილებიან და ჩვენ გამო უარს იტყვიან საკუთარ თავისუფლებაზე. როგორ ფიქრობ, მართლები ვიქნებით? თავად დარწმუნდებიან ჩვენს სიმართლეში, რადგან გაიხსენებენ, როგორ დაბნეულობამდე და საშინელ მონობამდე მიჰყავდა ისინი შენს თავისუფლებას. თავისუფლება, თავისუფალი გონება და მეცნიერება უსიერ ტყეში შეიყვანს მათ და ისეთი სასწაულებისა და გადაუწყვეტელ საიდუმლოთა წინაშე დააყენებს, რომ ზოგი მათგანი, დაუმორჩილებელი და მძვინვარე, სიცოცხლეს მოისწრაფებს, სხვები, დაუმორჩილებელნი, მაგრამ უმწეონი, ერთმანეთს დახოცავენ, ხოლო დარჩენილი უსუსური და უბედური მასა მოღოღდება ჩვენს ფეხებთან და შემოგვღაღადებს: „დიახ, თქვენ მართლები იყავით, მხოლოდ თქვენ ფლობთ მის საიდუმლოს, აჰა, უკან გიბრუნდებით და დაგვიფარეთ საკუთარი თავისაგან.“ როგორც კი მიიღებენ ჩვენგან პურს, ნათლად დაინახავენ, ამ პურს, მათივე ხელით მოპოვებულს, ვართმევთ, რათა უკანვე დავუბრუნოთ. ყოველგვარი სასწაულის გარეშე დაინახავენ, რომ არ გადავაქცევთ ქვას პურად, მაგრამ, ჭეშმარიტად, პურზე მეტად ის გაახარებთ, რომ მას ჩვენი ხელიდან მიიღებენ! რამეთუ ძლიერ კარგად ემახსოვრებათ, ადრე მათ მიერ უჩვენოდ მოპოვებული პური ხელში ქვად როგორ ექცეოდათ ხოლმე. მას შემდეგ კი, რაც ჩვენთან დაბრუნდნენ, ეს ქვა მათ ხელში კვლავ პურად იქცა. მშვენივრად, მშვენივრად შეაფასებენ, რას ნიშნავს ერთხელ და სამუდამოდ მორჩილება! სანამ ისინი ამას

ვერ გაიგებენ, უბედურები იქნებიან. ვინ იყო ის, ყველაზე მეტად ხელს რომ უშლიდა ამის გაგებას? თქვი, ვინ დაანაწევრა სამწყსო და გარეკა გაურკვეველი მიმართულებით? მაგრამ ფარა კვლავ შეიკრიბება და კვლავ დაგვემორჩილება, ამჟამად უკვე სამუდამოდ. მაშინ ჩვენ მივცემთ მათ მშვიდ და წყნარ ბედნიერებას, უსუსური არსებების ბედნიერებას, როგორებადაც არიან შექმნილნი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მათ დავარწმუნებთ, არ იამაყონ - ეს შენ აამაღლე ისინი და ასწავლე სიამაყე. დავუმტკიცებთ, რომ ისინი უმწეო და საცოდავი ბავშვები არიან, ხოლო ბავშვური ბედნიერება კი ყველაზე ტკბილი რამაა. ისინი გაუბედავები გახდებიან, დამფრთხალნი შემოგვაცქერდებიან და მოგვეხუტებიან ისე, როგორც კრუხს წიწილები. ჩვენით გაოცებულნი და შეძრწუნებულნი იამაყებენ, ასეთი ძლიერები და ჭკვიანები რომ ვართ, რაკი შევძელით ათასმილიონიანი ფარის დამორჩილება. ჩვენი რისხვის შიშით, გაუბედავი გახდება მათი გონება, ბავშვებივით და დედაკაცებივით აუცრემლდებათ თვალები, მაგრამ ჩვენი ხელის ერთი დაქნევით ასევე უცებ შეეცვლებათ ხასიათი, გამხიარულდებიან, გაიცინებენ, გაიხარებენ და ბალღებივით ამღერდებიან. დიახ, ჩვენ ვაიძულებთ მათ, იმუშაონ, მაგრამ შრომისაგან თავისუფალ საათებში მოვუწყობთ ხოლმე მხიარულ საბავშვო თამაშებს, სიმღერებითა და ცეკვებით. ჰო, ჩვენ ცოდვის ჩადენის ნებასაც დავრთავთ, რადგან სუსტი და უსუსური არსებები არიან, ამისათვის კი ისინი, როგორც ბავშვები, ისე შეგვიყვარებენ. ვეტყვით, რომ ნებისმიერ ცოდვას შევუნდობთ, თუ ჩვენი ნებართვით იქნება ჩადენილი, ნებას კი იმიტომ ვრთავთ, რომ გვიყვარს ისინი, ხოლო ამ ცოდვებისათვის სასჯელს ჩვენს თავზე ვიღებთ. ისინი კი გაგვაღმერთებენ, როგორც კეთილისმყოფლებს, რომლებმაც ღმერთის წინაშე მათი ცოდვები საკუთარ თავზე აიღეს. არაფერი ექნებათ ჩვენგან დაფარული. ჩვენ კი, იმის მიხედვით, ვინ როგორი დამჯერი იქნება, ნებას დავრთავთ ან ავუკრძალავთ ცოლებთან და საყვარლებთან ცხოვრებას, აგრეთვე, იყოლიონ თუ არ შვილები. ისინი გახარებულნი დაგვემორჩილებიან. ყველაფერს გაგვიმხელენ, ყველაფერს - თავიანთი სინდისის ყველაზე მტანჯველ საიდუმლოსაც კი. ჩვენ ყველა საკითხს მოვუგვარებთ. ისინი სიხარულით დაჰყვებიან ჩვენს ნებას, ვინაიდან ეს მოაშორებს მათ თავისუფალი და პიროვნული გადაწყვეტილების მიღების დიდ საზრუნავსა და საშინელ ტანჯვას. ყველა ბედნიერი იქნება, ყველა - მილიონობით სულდგმული, გარდა ასიათასობით მათი მმართველისა, რადგან მხოლოდ ჩვენ, საიდუმლოს შემნახველები ვიქნებით უბედურები. იქნება ათასმილიონობით ბედნიერი ყრმა და ასიათასი წამებული, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს სიკეთისა და ბოროტების შეცნობის წყევლა. უჩუმრად დაიხოცებიან ისინი, უჩუმრად გაქრებიან შენი გულისთვის და საიქიო ცხოვრებაში მხოლოდ სიკვდილს მოიპოვებენ. ჩვენ შევუნახავთ საიდუმლოს და მათივე ბედნიერებისათვის მოვხიბლავთ ზეციური და სამარადჟამო ჯილდოთი. რამეთუ თუკი იმქვეყნად რაიმე არსებობს, ცხადია, არა მათნაირებისათვის. ამბობენ და წინასწარმეტყველებენ, რომ შენ მოხვალ და კვლავ გაიმარჯვებ, მოხვალ შენი ამაყი და ძლიერი რჩეულებით, მაგრამ ჩვენ გეტყვით, მათ მხოლოდ საკუთარი თავი გადაირჩინეს, ჩვენ კი ყველა გადავარჩინეთ. ამბობენ, რომ შერცხვენილი იქნება მხეცზე ამხედრებული მეძავი, რომელსაც ხელთ უპყრია საიდუმლო, რომ კვლავ აჯანყდებიან უსუსურები, შემოაგლეჯენ მას სამეუფეო მოსასხამს და გააშიშვლებენ მის „საძაგელ“ სხეულსო. მაშინ ავდგები და განახებ ათასმილიონობით ბედნიერ ყრმას,

რომლებმაც არ იციან, რა არის ცოდვა. ჩვენ კი, ვინც მათი ბედნიერებისათვის საკუთარ თავზე ვიტვირთეთ ცოდვები, წარვდგებით შენ წინაშე და გეტყვით: „თუ შეგიძლია, გაბედე და განგვსაჯე“. იცოდე, მე არ მეშინია შენი. ისიც იცოდე, მეც ვიყავი უდაბნოში, მეც ვმარხულობდი, ვიკვებებოდი ძირხვენებით და ვლოცავდი იმ თავისუფლებას, რომლითაც შენ დალოცე ხალხი, მეც დამაშვრალი ვაპირებდი შენს რჩეულთა რიცხვში მოხვედრას, მორჭმულთა და ძლიერთა რიცხვში, რომ „შემევსო რიცხვი“, მაგრამ გამოვფხიზლდი და აღარ მოვისურვე უგუნურობის სამსახური. გამოვბრუნდი და მივეკუთვნე იმ ხალხს, რომელმაც შეასწორა შენი ღვაწლი. განვერიდე ამაყებს და დავუბრუნდი ბედს დამორჩილებულებს, ამ უკანასკნელთა ბედნიერებისათვის. რასაც გეუბნები, აღსრულდება და აიგება სამეფო ჩვენი. შენ ხვალ იხილავ, ჩემს ერთ დაძახებაზე როგორ გამოიქცევა ის მორჩილი ფარა, რათა შეუკეთოს ფიჩხი იმ კოცონს, რომელზედაც შენ დაგწვავ, რამეთუ შენ მოხვედი ჩვენთვის ხელის შესაშლელად. თუკი ვინმემ დაიმსახურა კოცონზე დაწვა, ეს შენ ხარ! ხვალ დაგწვავ, Dixi![83]

ივანი გაჩუმდა. იგი აღგზნებული და ეშხში შესული ლაპარაკობდა, როცა მოათავა, გაიღიმა.

აღელვებული ალიოშა ჩუმად უსმენდა ძმას, თუმცა ბევრჯერ სურდა შეეწყვეტინებინა, მაგრამ თავს იკავებდა. უცებ სულმოუთქმელად ალაპარაკდა:

- კი მაგრამ... ეს ხომ უაზრობაა! - წამოიძახა სახეაჭარხლებულმა ალიოშამ, - შენი პოემა იესოს ქებაა და არა გინება... რაც ძალიან გსურდა. ნუთუ ასე უნდა გავიგოთ თავისუფლება? ვინ დაგიჯერებს ამას? ნუთუ ამას გულისხმობს მართლმადიდებლობა... ეს რომია, მაგრამ არც რომია, ეს სიცრუეა - ისინი ყველაზე ცუდი კათოლიკეები არიან, ინკვიზიტორები და იეზუიტები!.. საერთოდ წარმოუდგენელია ისეთი ფანტასტიკური სახე, როგორიც შენი ინკვიზიტორია. ეს რა ცოდვებზე ლაპარაკობდი, ვინ აიღო ისინი საკუთარ თავზე? ვინ არიან შენი საიდუმლოს მატარებლები, რომლებმაც ადამიანთა ბედნიერებისათვის საკუთარ თავზე მიიღეს წყევლა? ვინ ნახა ისინი? ჩვენ ვიცნობთ იეზუიტებს, მათზე ბევრ ცუდს ამბობენ, მაგრამ, დავიჯერო, იმნაირები არიან, როგორებადაც შენ დახატე? სრულიადაც არა... მთლად ეგრე არ არის... ეს არის რომის, მომავალი მსოფლიო მიჩიერი სამეფოს არმია, რომელსაც იმპერატორად რომის მღვდელმთავარი ეყოლება... ეს არის მათი იდეალი, ყოველგვარი საიდუმლოსა და ამაღლებული სევდის გარეშე... უბრალოდ, ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი, ამქვეყნიური ბინძური კეთილდღეობის მოპოვებისა და სხვათა დამონების ჟინი, რაღაც ბატონყმობის მსგავსი, მემამულეები რომ გახდნენ... აი, ასეა იმათთან, შესაძლოა, მათ ღმერთიც არ სწამთ. შენი წამებული ინკვიზიტორი მხოლოდ ფანტაზიაა...

- მოიცა, მოიცა, - სიცილით უთხრა ივანმა, - რამ გაგაცოფა?! შენ ამბობ ფანტაზიააო, კი ბატონო! ცხადია, ფანტაზიაა, თუმცა შენ მართალი გგონია, რომ უკანასკნელი საუკუნეების ყველა კათოლიკური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ ბინძური კეთილდღეობისათვის ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილია?! ამას მამა პაისი ხომ არ გასწავლის?

- არა, არა, პირიქით, მამა პაისი ერთხელ რაღაცას შენსავით ლაპარაკობდა, თუმცა, რასაკვირველია, იმას არა, რასაც შენ ამბობდი, მთლად მასე არა, - უცებ გაახსენდა ალიოშას.

- ძვირფასი ცნობაა, მიუხედავად შენი „მთლად მასე არასი“. მე სწორედ იმას გეკითხები - რატომ გაერთიანდნენ იეზუიტები და ინკვიზიტორები მხოლოდ და მხოლოდ საზიზღარი მატერიალური კეთილდღეობისათვის? რატომ არ შეიძლება მოინახოს მათ შორის ერთი წამებული მაინც, მსოფლიო სევდა რომ აწუხებდეს და კაცობრიობა უყვარდეს? ყური დამიგდე: დავუშვათ, მატერიალური და ბინძური კეთილდღეობის ყველა იმ მსურველს შორის მოინახა მხოლოდ ერთადერთი, როგორიც ჩემი მოხუცი ინკვიზიტორია, რომელიც თავად ჭამდა უდაბნოში ძირხვენებს და იგვემებოდა, რათა დაემარცხებინა თავისი ხორცი, თავისუფალი და სრულყოფილი რომ გამხდარიყო. მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში უყვარდა კაცობრიობა, მაგრამ უცებ თვალი აეხილა და დაინახა, რომ ნებისყოფის სრულყოფილების მიღწევით მცირეა ზნეობრივი ნეტარება, თუ ამავე დროს დარწმუნებული ხარ, რომ დანარჩენი მილიონობით ქმნილება ღმერთისა მხოლოდ და მხოლოდ დასაცინად არის შექმნილი და ისინი ვერასოდეს შეძლებენ, თავი გაართვან საკუთარ თავისუფლებას, რომ საცოდავი მეამბოხეებიდან არასოდეს გამოვლენ გოდოლის დამსრულებელი გოლიათები, რომ დიდი იდეალისტი თავის ჰარმონიაზე ამისთანა ბატებისათვის არ ოცნებობდა. ამ ყველაფერს რომ მიხვდა, გამობრუნდა და მიემხრო... ჭკვიან ადამიანებს. ნუთუ არ შეიძლება, ასე მომხდარიყო?

- ვის მიემხრო, რომელ ჭკვიან ადამიანებს? - წამოიყვირა თითქმის აღტყინებულმა ალიოშამ, - მათ არანაირი ჭკუა არა აქვთ, არავითარი საიდუმლო არ გააჩნიათ. შენს ინკვიზიტორს ღმერთი არა სწამს, ეს არის მისი საიდუმლო!

- თუნდაც ეგრე იყოს! როგორც იქნა მიხვდი. მართლაც ასეა, სწორედ ეს არის მთელი საიდუმლო, მაგრამ განა ეს ტანჯვა არ არის ისეთი კაცისათვის, რომელიც მთელი ცხოვრება უდაბნოში მოღვაწეობდა და ვერ განიკურნა კაცობრიობის სიყვარულისგან? ის სიცოცხლის მიწურულს ნათლად რწმუნდება, რომ მხოლოდ დიდი და საშინელი სულის რჩევებით შეიძლება ამ უსუსური მეამბოხეების, „დასაცინად შექმნილი მანკიერი სასინჯი არსებების“ რამდენადმე გვარიანად მოწყობა. როგორც კი ამაში დარწმუნდება, გადაწყვეტს, საშინელი და გონიერი სულის მითითებას გაჰყვეს, ამისათვის კი უნდა იცრუოს და მოატყუოს ხალხი, შეგნებულად უნდა წაიყვანოს ადამიანები სიკვდილისა და განადგურებისაკენ, მთელი გზა უნდა ფლიდობდეს, რომ ადამიანებმა ვერ შეამჩნიონ, საით მიჰყავთ ისინი, რომ ეს ბრმები გზაში მაინც თვლიდნენ თავს ბედნიერებად. თუ შენიშნე, ეს სიცრუე იმ იდეალისთვისაა, რომელიც ასე მძაფრად სწამდა მოხუცს მთელი სიცოცხლე! განა ეს უბედურება არაა?! თუნდაც ერთი ასეთი რომ აღმოჩენილიყო „ბინძური კეთილდღეობისათვის ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილთა“ არმიის სათავეში, თუნდაც ერთი, განა ეს ტრაგედია არ იქნებოდა?! გარდა მაგისა, ერთი ამნაირის სათავეში ყოფნა საკმარისია, რომ მოინახოს ნამდვილი სახელმძღვანელო იდეა, უმაღლესი იდეა მთელი რომის საქმიანობისა. პირდაპირ გეტყვი, მე ღრმად მწამს, რომ ის ერთადერთი ადამიანია, რომელიც არასოდეს

დამცირებულა ამ მოძრაობის სათავეში მყოფთაგან. ვინ იცის, იქნებ იყო შემთხვევები, როცა რომის მღვდელმთავრებს შორის იყვნენ ასეთი განსაკუთრებული ადამიანები. ვინ იცის, ეს დაწყევლილი ბებერი, რომელსაც ასე ჯიუტად და ასე თავისებურად უყვარს კაცობრიობა, დღესაც არსებობს უამრავი მისნაირი ბებრის რაღაც ნაკრების სახით და შემთხვევით კი არა, არამედ არსებობს, როგორც თანხმობა, როგორც საიდუმლო კავშირი, რომელიც დიდი ხანია შექმნილია იმ საიდუმლოს დასაფარავად, რაც ამ უბედურმა და უსუსურმა ადამიანებმა არ უნდა გაიგონ, რათა უფრო ბედნიერები იყვნენ. ეს აუცილებლად ასეა და ასეც უნდა იყოს. მე მგონია, მასონებს[84] თავიანთ საფუძვლად რაღაც ამგვარი საიდუმლო აქვთ და ალბათ ამიტომაც ვერ იტანენ მათ კათოლიკეები, მათში ხედავენ კონკურენტებს, ერთიანი იდეის დანაწევრებას; მაშინ როგორღა იქნება ერთიანი ფარა და ერთი მწყემსი... თუმცაღა, რადგან ჩემს მოსაზრებებს დამცველად დავუდექი, მე ვგავარ მთხზველს, რომელმაც ვერ გაუძლო შენს კრიტიკას. მოვრჩეთ ამაზე საუბარს.

- ალბათ შენც მასონი ხარ! - უცებ წამოსცდა ალიოშას, - შენ ღმერთი არ გწამს, - დაუმატა განსაკუთრებულად დამწუხრებულმა. ამ დროს მოეჩვენა, რომ ივანი დაცინვით უყურებდა. - როგორ მთავრდება შენი პოემა? - თავაუწევლად ჰკითხა მან, - თუ უკვე დამთავრდა?

- ასე მინდა დავამთავრო: ინკვიზიტორი ერთხანს გაჩუმდება, ელის, რას ეტყვის ტყვე. მას აწუხებს დუმილი ტუსაღისა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩუმად, დაკვირებით შესცქეროდა თვალებში და უსმენდა. ეტყობოდა, არ სურდა რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. მოხუცს კი უნდოდა, მას რამე ეთქვა, თუნდაც მწარე და საშინელი. ტუსაღი მოულოდნელად წამოდგა, მდუმარედ მიუახლოვდა მოხუცს და ჩუმად ეამბორა მის ოთხმოცდაათი წლის გაცრეცილ ბაგეებს. ესაა მისი პასუხი. მოხუცი შეკრთა. მისი ტუჩების კიდეებში რაღაც შეინძრა. კარისაკენ გაემართა, გააღო და ტყვეს უთხრა: „წადი და ნუღარ მოხვალ, საერთოდ აღარ მოხვიდე... არასოდეს, არასოდეს!“ და „ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში“ გაუშვა იგი. ტყვე მიდის.

- მოხუცი?

- ამბორი წვავს მის გულს, მაგრამ იგი თავისი იდეების ერთგული რჩება.

- შენც მასთან ერთად ხარ, შენც?! - შეჰყვირა დამწუხრებულმა ალიოშამ. ივანს გაეცინა.

- ალიოშა, ეს ხომ სისულელეა, ეს ხომ იმ ერთი უნიჭო სტუდენტის უნიჭო პოემაა, რომელსაც თავის ცხოვრებაში ერთი ლექსიც არ დაუწერია. რატომ იღებ ასე სერიოზულად? იქნებ ფიქრობ, პირდაპირ იეზუიტებთან წავალ, რომ იმ ადამიანთა რიგებში ჩავდგე, ვისაც მისი ღვაწლის შესწორება სურს? ღმერთო ჩემო, რა ჩემი საქმეა! მე ხომ გითხარი: ერთი ოცდაათ წლამდე მიმაღწევინა, მერე კი მიწაზე დავანარცხებ ფიალას!

- გაზაფხულის ლორთქო ყვავილები, ძვირფასი საფლავები, საყვარელი ქალი!

როგორღა იცხოვრებ, რანაირად გეყვარება ისინი?! - დამწუხრებული გაიძახოდა ალიოშა, - განა ეს შესაძლებელია, როცა თავსა და გულში ასეთი ჯოჯოხეთი გიტრიალებს? არა, სწორედ იმიტომ მიდიხარ, მიდიხარ, რომ მათ მიეკედლო... თუ არა და თავს მოიკლავ, ვერ გაუძლებ!

- არის ისეთი ძალა, რომელიც ყველაფერს უძლებს! - ახლა უკვე გულგრილი ჩაცინებით უპასუხა ივანმა.

- რომელი ძალა?

- კარამაზოვული, კარამაზოვული უსინდისობის ძალა.

- ეს რაა, ჩაიხრჩო გარყვნილებაში, გახრწნა სული, ამას გულისხმობ, ხომ?

- დიახ, მაგასაც... მხოლოდ ოცდაათ წლამდე. იქნებ შევძლო თავი დავაღწიო, მერე კი...

- როგორ დააღწევ? როგორ? შენი აზრებით ეს შეუძლებელია!

- ისევ და ისევ კარამაზოვულად.

- ეგ როგორ, „ყველაფერი ნებადართულია“, არა? ყველაფერი ნებადართულია, ასე ხომ, ასე?

ივანი შეიჭმუხნა და უცებ უცნაურად გაფითრდა.

- აა, შენც გულში ჩაგყვა გუშინდელი ჩემი ნათქვამი, რომელმაც მიუსოვი გაანაწყენა... და რომელიც ისე გულუბრყვილოდ გაიმეორა დმიტრიმ? - ჩაიცინა ივანმა. - დიახ, „ყველაფერი ნებადართულია“. რაც ითქვა, ითქვა, არ უარვყოფ. არც მიტიას რედაქციაა ურიგო.

ალიოშა მდუმარედ შესცქეროდა.

- მე, ჩემო ძმაო, მივემგზავრები. ვფიქრობდი, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენ მყავდი, - მოულოდნელი გრძნობით წამოსცდა ივანს, - ახლა ვხედავ, შენს გულშიაც არა მაქვს ბინა, ჩემო ძვირფასო განდეგილო. ფორმულას „ყველაფერი ნებადართულია“ მე არ გადავუდგები, რა ვუყოთ მერე, თუ ამის გულისათვის შენ გადმიდგები, ასეა არა?

ალიოშა ადგა, მივიდა მასთან და ჩუმად ეამბორა მის ბაგეებს.

- ლიტერატურული ქურდობაა! - უცებ რაღაცნაირად აღგზნებულად შეჰყვირა ივანმა, - შენ ეს ჩემი პოემიდან მოიპარე! თუმცა გმადლობ! ადექი, ალიოშა, ჩვენი წასვლის დროა.

ისინი გამოვიდნენ და სამიკიტნოს კარებთან გაჩერდნენ.

- აი, რა, ალიოშა, - სერიოზულად თქვა ივანმა, - თუ გაზაფხულის ლორთქო ფოთლებისათვის მოვიცალე, ისინი აუცილებლად მეყვარება მხოლოდ და მხოლოდ შენი მოგონებით. მე ისიც მეყოფა, შენ აქ, სადღაც რომ დაგიგულებ და ამიტომ სიცოცხლე არ მომბეზრდება. ეს შენთვის საკმარისია? თუ გინდა ეს სიყვარულის ახსნად ჩათვალე. ახლა კი შენ მარჯვნივ, მე მარცხნივ და კმარა, გესმის, გვეყოფა. ამით ის მინდა ვთქვა, მე თუ ხვალ არ გავემგზავრე (მგონი ნამდვილად მივემგზავრები) და კვლავ შევხვდით ერთმანეთს, იცოდე, ამ თემაზე კრინტს აღარ დაძრავ. დაბეჯითებით გთხოვ. განსაკუთრებით გთხოვ, დმიტრიზეც არაფერი მითხრა, საერთოდ ნუ ჩამომიგდებ სიტყვას ნურასოდეს, - დაუმატა უცებ გაღიზიანებულმა, - ყველაფერი ამოწურულია, ყველაფერი ითქვა, ასე არ არის? მე, ჩემდა თავად, ასეთ პირობას გაძლევ: როცა ოცდაათი წლისა მოვინდომებ „ფიალის მიწაზე დანარცხებას“, მაშინ სადაც არ უნდა იყო, მოვალ შენთან, რომ კიდევ ერთხელ გაგესაუბრო... თუნდაც ამერიკიდან ჩამოვალ, შენ ეს იცოდე, განზრახ ჩამოვალ. საინტეროსო იქნება იმ დროისათვის შენი ნახვა, ნეტა მაშინ როგორი იქნები? ხედავ, როგორი საზეიმო პირობა დაგიდე. ისე კი, შესაძლებელია, ჩვენ შვიდი-ათი წელი ვეღარ ვნახოთ ერთმანეთი. ახლა კი წადი შენს Pater Seraphicus[85]-თან. იგი ხომ კვდება. უშენოდ მოკვდება და გამიბრაზდები, ვინაიდან მე დაგაკავე. ნახვამდის, მაკოცე კიდევ, აი ეგრე, ახლა კი წადი...

ივანი უცებ გაბრუნდა და უკანმოუხედავად გაუყვა თავის გზას. ეს განშორება რაღაცით დმიტრისა და ალიოშას გუშინდელ განშორებას ჰგავდა, თუმცა გუშინ ეს სულ სხვანაირად მოხდა. ამ უცნაურმა დამთხვევამ ალიოშას დამწუხრებულ და მგლოვიარე გონებაში ისარივით გაიარა. ერთხანს შეყოვნდა, თვალი გააყოლა ძმას. რატომღაც ახლა შეამჩნია, ივანი რაღაცნაირად ქანაობ-ქანაობით რომ დადის და უკანიდან მარჯვენა მხარი მარცხენაზე დაბალი მოუჩანს. უცებ ალიოშაც მობრუნდა და თითქმის გაიქცა მონასტრისაკენ. უკვე კარგა შებინდებული იყო და თითქოს შიშმა აიტანა; რაღაც იზრდებოდა მასში, რაღაც ახალი, რაზედაც მას პასუხი არ გააჩნდა. როდესაც მონასტრის ტყეში შევიდა, გუშინდელივით ქარი ამოვარდა და საუკუნოვანი ფიჭვები საშინლად ახმაურდნენ მის გარშემო. თითქმის მირბოდა, „Pater Seraphicus“ - ეს სახელი საიდან მოიტანა, - ნეტა საიდან? - გაუელვა თავში ალიოშას, - ივან, საბრალო ივან, ნეტა აწი როდისღა გნახავ... აი, მონასტერიც, ღმერთო! დიახ, დიახ, ეს ისაა, ესაა „Pater

Seraphicus“, ის გადამარჩენს... მისგან და უკუნითი უკუნისამდე!“

ალიოშა, თავის ცხოვრების მანძილზე როცა ამ ამბავს იხსენებდა ხოლმე, საგონებელში იყო ჩავარდნილი, როგორ მოუვიდა, რომ ივანთან დაშორების შემდეგ სულ გადაავიწყდა დმიტრი, რომლის მოძებნაც დილიდან ჰქონდა გადაწყვეტილი და მის უნახავად მონასტერში დაბრუნებას არ აპირებდა.

VI ჯერ კიდევ ძალიან გაურკვეველი

ალიოშასთან განშორების შემდეგ ივანი შინ წავიდა, მამამისის სახლში. გზაში უცნაური რამ დაემართა - ანაზდად გაუსაძლისი ნაღველი შემოაწვა, რაც სახლისკენ მიმავალს უფრო და უფრო უძლიერდებოდა. უცნაურობა ნაღველში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ ივანი ვერაფრით გარკვეულიყო, რა აწუხებდა. ადრეც ხშირად ემართებოდა ხოლმე ასეთი რამ და საკვირველი არ იყო, ნაღველი ასეთ დროსაც შემოსწოლოდა - მეორე დღეს ხომ უნდა გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი აქაურობასთან, ყველაფერ იმასთან, რაც მას იზიდავდა. იგი ემზადებოდა თავისი ცხოვრების მკვეთრი ცვლილებისათვის, უნდა დასდგომოდა ახალ, მისთვის ჯერ კიდევ უცნობ გზას, ადრინდელივით სრულიად მარტოდმარტო, დიდი, მაგრამ ბურუსით მოცული იმედით. ის ცხოვრებისაგან ძალიან ბევრს ელოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ვერც თავის მოლოდინში და ვერც თავის სურვილებში. ამ წუთებში, როცა მის გულში ახალი და უცნობი ნაღველი ჩაბუდდა, გაიფიქრა: „ნეტა ეს მშობლის სახლის მიმართ ზიზღით ხომ არ მომდის? რაღაც ამგვარს ჰგავს, თუმცა დღეს ხომ უკანასკნელად გადავაბიჯებ ამ ბინძური სახლის ზღურბლს, გული კი მაინც მერევა...“ მაგრამ არა, ამის ბრალი არ იყო, იქნებ ეს ყოველივე ალიოშასთან განშორებამ და მასთან საუბარმა გამოიწვია: „რამდენი ხანია, ხმა არ გამიცია და უცებ რამდენი სისულელე მივახალე“. მართლაც, შესაძლებელია, ახალგაზრდა კაცის განაწყენება საკუთარი ჭაბუკური გამოუცდელობისა და ამპარტავნობის გამო მომხდარიყო, იმის გამო სტკენოდა გული, რომ ვერ შეძლო აზრის სრულად გამოთქმა ისეთ კაცთან, როგორიც ალიოშაა, რომელზედაც, უეჭველად, დიდი იმედებს ამყარებდა. ცხადია, არც უამისობა იყო, ეს წყენაც ექნებოდა გულში, აუცილებლად ექნებოდა, მაგრამ საქმე მაინც სულ სხვა რამ იყო. „ნაღველი გულს მირევს, მიზეზს კი ვერ ვხვდები, რა მინდა. აღარაფერზე ვიფიქრებ...“

ივანმა სცადა - „აღარ ეფიქრა“, მაგრამ ვერა გააწყო რა. რაც მთავარია, ნაღველი იმიტომ აწუხებდა და აღიზიანებდა, რომ მოულოდნელად შემოაწვა და მას დასრულებული ხელშესახები სახე ჰქონდა; ეს აშკარად იგრძნობოდა. მის წინაშე, სადღაც, რაღაც საგანი ან არსება ატუზულიყო ისე, როგორც ხანდახან საქმის კეთების ან ცხარე კამათის დროს თვალში გაგებლანდება ხოლმე რაღაც და არ იცი, რა. გაწამებს, გაღიზიანებს და ბოლოს და ბოლოს, ხვდები, რომ საჭიროა მოიშორო ეს საძაგელი საგანი, ბევრჯერ სრულიად უბრალო და სასაცილო რამ, იატაკზე მიგდებული ცხვირსახოცი, წიგნი და ა. შ. და ა. შ. როგორც იქნა, გაღიზიანებული და საშინელ ხასიათზე მყოფი ივანი მშობლის სახლს

მიუახლოვდა და ანაზდად, ჭიშკრამდე თხუთმეტი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი, მიხვდა, რა აწუხებდა და რა აშფოთებდა.

ჭიშკრის წინ მერხზე ჩამომჯდარი ლაქია სმერდიაკოვი გრილ ნიავზე ნებივრობდა. როგორც კი თვალი მოჰკრა, ივანი მიხვდა, რომ მის გულში სწორედ ეს ადამიანი იყო გაჩხერილი, სწორედ მისი ატანა აღარ შეეძლო. ყველაფერს ფარდა აეხადა და ნათელი გახდა. წეღანაც, როცა ალიოშამ სმერდიაკოვი ახსენა, რაღაც მძიმე და საზიზღარი ეტაკა გულში და გააბრაზა. თუმცა შემდგომ, ლაპრაკის დროს, სმერდიაკოვი გადაავიწყდა, მაგრამ, ეტყობა, გულში ჩარჩა და როგორც კი ალიოშას დაშორდა და მარტო დარჩა, დავიწყებულმა შეგრძნებამ იმ წამს ისევ გაიღვიძა. „ნუთუ ეს საძაგელი ნაძირალა ასე ძალიან მაღიზიანებს!“ - გაიფიქრა ბრაზმორეულმა ივანმა.

საქმე ის იყო, უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით ბოლო დღეებში ივანმა ეს კაცი მართლაც ძალიან შეიძულა. ამას თავადაც კარგად გრძნობდა, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა მასში ამ არსების მიმართ სიძულვილი. შესაძლოა, სიძულვილის ეს პროცესი იმიტომ გამძაფრდა, რომ ივანის ჩამოსვლის პირველ დღეებში საქმე სულ სხვანაირად იყო. მაშინ ივანმა სმერდიაკოვს წყალობის თვალით გადახედა და ერთხანს ძალზე ორიგინალურ კაცადაც თვლიდა. თავად მიიჩვია სალაპარაკოდ, თუმცა ყოველთვის აკვირვებდა მისი უთავბოლო აზროვნების უნარი, უფრო სწორად, მისი მშფოთვარე ჭკუა-გონება და ვერ გაეგო, ამ „ყოვლის მჭვრეტელს“ რა აწუხებდა ასე გამუდმებით და აკვიატებულად. ისინი ფილოსოფიურ თემებზე საუბრობდნენ ხოლმე, იმაზედაც კი, სამყაროს შექმნის პირველ დღეს რატომ იდგა ნათელი, მაშინ, როცა მზე, მთვარე და ვარსკვლავები ღმერთმა მეოთხე დღეს შექმნა, და როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე ეს; მაგრამ ივანი მალე დარწმუნდა იმაში, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები არაფერ შუაშია. მართალია, მზე, მთვარე და ვარსკვლავები საკმაოდ საინტერესო რამ არის, მაგრამ მათ სმერდიაკოვისათვის მესამეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სმერდიაკოვს სულ სხვა რამ სჭირდებოდა. ასე და ამგვარად, თანდათანობით, თავი იჩინა და გამომჟღავნდა მისი უსაზღვრო და, რაც მთავარია, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა. ივანს ეს ძალიან არ მოეწონა. ამის შემდეგ გაუჩნდა ზიზღი ამ კაცის მიმართ. მერე დაიწყო აურზაური ოჯახში, რაც მოჰყვა გრუშენკას გამოჩენასა და დმიტრის სკანდალებს. ორივეს გაუჩნდა საზრუნავი. ახლა ეს გახდა მათი სალაპარაკო თემა. თუმცა სმერდიაკოვი ამ თემაზე ნამეტნავად აღელვებული საუბრობდა ხოლმე, კაცი ვერ გაიგებდა, რა ჰქონდა გუნებაში. გაკვირვებას იწვევდა მისი ზოგიერთი უნებურად გამჟღავნებული და ყოველთვის ბუნდოვანი, არალოგიკური და უაზრო სურვილი. სმერდიაკოვი ფრიად ცნობისმოყვარე გახლდათ, უყვარდა მიკიბულ-მოკიბული, აშკარად მოგონილი კითხვების დასმა, მაგრამ რა მიზნით - ამას არ გიხსნიდა. ჩვეულებრივ, თავისი გამოკითხვების ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, უცებ გაჩუმდებოდა ან სხვა თემაზე გადახტებოდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე საშინლად რაც აღიზიანებდა ივანს და რამაც საბოლოოდ შეაზიზღა ეს კაცი, იყო სმერდიაკოვის რაღაცნაირად ამაზრზენი და განსაკუთრებული ფამილარობა, რომელიც, რაც დრო გადიოდა, დღითიდღე მატულობდა. იგი არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, უდიერად მოჰქცეოდა ივანს, პირიქით, ელაპარაკებოდა

განსაკუთრებული პატივისცემით, მაგრამ თვალნათლივ ჩანდა, რატომღაც, ღმერთმა უწყის რატომ, სმერდიაკოვი ივანის თანამოაზრედ თვლიდა თავს, ისეთი ტონით ელაპარაკებოდა, თითქოს მათ შორის რაღაც იყო დათქმული, რაღაც საიდუმლო, მხოლოდ მათთვის ცნობილი და სხვებისათვის, მათ ირგვლივ მოფუთფუთე არსებებისათვის გაუგებარი. ივანმა დიდხანს ვერ გაარკვია სმერდიაკოვისადმი თავისი მზარდი ზიზღის მიზეზი და ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ახლაც ისე უნდოდა გავლა, ზედაც არ შეეხედა. ასეც გააკეთა, მაგრამ სმერდიაკოვი მერხიდან ადგა და მიეგება, ამ ჟესტით ივანი მიხვდა, სმერდიაკოვს სურდა, რაღაც განსაკუთრებული ეთქვა მისთვის. ივანმა შეხედა და შეჩერდა, ამ ფაქტმა კი, რომ გაჩერდა და გვერდი არ აუარა, როგორც ეს ამ ერთი წუთის წინ სურდა, ძალზე გააღიზიანა. განრისხებული და ამრეზილი უყურებდა სმერდიაკოვის საჭურისისმაგვარად გალეულ ფიზიონომიას, საფეთქლებზე სავარცხლით გულდაგულ დალაგებულ თმებს და კინკრიხოზე გაბუებულ პატარა ქოჩორს. მარცხენა მოჭუტული თვალი ცინიკურად უციმციმებდა, თითქოს ეუბნებოდა: „სად მიხვალ, გვერდს ვერ ამივლი, ხომ იცი, ჩვენ, ჭკვიან ხალხს, ერთმანეთისათვის ბევრი რამა გვაქვს სათქმელი“. ივანი აკანკალდა:

„შორს ჩემგან, ტოლი მონახე, შე ბრიყვო, შენა! - უნდოდა ეთქვა, მაგრამ, მისდა დიდად გასაკვირად, სულ სხვა რამ წამოსცდა:

- მამას სძინავს თუ ღვიძავს? - ხმადაბლა და მშვიდად იკითხა და, თავისდა უნებურად, მერხზე ჩამოჯდა. ერთი წამით თითქოს შეშინდა კიდეც - ეს მან შემდგომში გაიხსენა. სმერდიაკოვი მის წინ იდგა, ხელები უკან დაეწყო და დინჯად, თითქმის მკაცრად შესცქეროდა.

- ჯერ კიდევ ისვენებს, ჩემო ბატონო, - აუჩქარებლად უპასუხა მან („შენ თავად დაიწყე ლაპარაკი, მე კი არაო“), - თქვენი მიკვირს, ბატონო, - დაუმატა სმერდიაკოვმა, შემდეგ ერთხანს შეყოვნდა, თვალები მოჭუტა, ივანის წინ მარჯვენა ფეხი გამოსწია და ლაქის ფეხსაცმლის ჭვინტი აათამაშა.

- რა გიკვირს ჩემი? - მკაცრად თქვა ივანმა, თან რაც ძალა და ღონე ჰქონდა თავს იკავებდა. ანაზდად ზიზღი იგრძნო იმის გამო, რომ ძალიან აინტერესებს, რა უკვირს სმერდიაკოვს და მანამ არ წავა აქედან, სანამ არ შეიტყობს ყოველივეს.

- რატომ არ ინებებთ ჩერმაშნიაში გამგზავრებას, ბატონო? - სწრაფად ახედა სმერდიაკოვმა და ფამილარულად გაუღიმა. „თუ ჭკვიანი კაცია, მიხვდება, რატომ გავიღიმეო,“ - თითქოს ამბობდა მისი მოჭუტული მარცხენა თვალი.

- რატომ უნდა წავიდე ჩერმაშნიაში? - გაიკვირვა ივანმა.

სმერდიაკოვი ერთხანს დუმდა.

- თავად ფიოდორ პავლოვიჩი გემუდარებოდათ ამის თაობაზე, ბატონო, - როგორც იქნა, ამოღერღა ისე, თითქოს თავადაც არ აფასებდა თავის პასუხს: მესამეხარისხოვანი საკითხია, მიზეზს ვიგონებ, ისე, რაღაც ხომ უნდა ვთქვაო.

- ნუ მიედ-მოედები, გარკვევით მითხარი, რა გინდა? - იყვირა განრისხებულმა ივანმა სიმშვიდიდან უხეშობაზე გადასულმა.

სმერდიაკოვმა მარჯვენა ფეხი მარცხენას მიადგა, წელში გასწორდა, ისევ ისე მშვიდი ღიმილით შეხედა.

- არსებითი არაფერი, ბატონო ჩემო... ისე სალაპარაკოდ...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, ერთი წუთი არც ერთს არ ამოუღია ხმა. ივანმა იცოდა, რომ ახლავე უნდა ადგეს და გაუწყრეს. სმერდიაკოვი მის წინ იდგა და ელოდა: „ვნახოთ ერთი, გაბრაზდები თუ არაო?“ ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა ივანს. ივანმა, როგორც იქნა, წამოდგომა დააპირა. სმერდიაკოვმა დროულად შეურჩია წუთი:

- საშინელ დღეში ვარ, ივან ფიოდოროვიჩ, არ ვიცი, თავს როგორ ვუშველო, - ჩაილაპარაკა მან მტკიცედ და გარკვევით, ფრაზის ბოლოს ამოიხვნეშა.

ივანი ისევ ჩამოჯდა.

- ორივე უცნაური კაცია, ორივე ბავშვობაშია გადავარდნილი, ბატონო, - გააგრძელა სმერდიაკოვმა. - თქვენს მშობელსა და ძმაზე მოგახსენებთ, ბატონო. ახლა აბრძანდება ფიოდორ პავლოვიჩი და ყოველ წუთში ტვინს გაგვიხვრეტს: „არ მოვიდა გრუშენკა? რატომ არ მოვიდაო?“ ასე გაგრძელდება შუაღამემდე, შეიძლება შუაღამის შემდეგაც. აგრაფენა ალექსანდროვნა არ მოვა (იმიტომ რომ ის საერთოდ არ აპირებს მოსვლას, ბატონო). მამათქვენი კი ხვალ დილით კვლავ შემომიჩნდება: „რატომ არ მოვიდა? რისთვის არ მოვიდა? როდის მოვა, ნეტა?“ - თითქოს ჩემი ბრალი იყოს. მეორე მხრივ, როგორც კი შებინდდება, შეიძლება მანამდეც კი, მეზობლიანთ გამოჩნდება თქვენი ძმა, იარაღს მომიშვერს და დამიწყებს ლანძღვა-გინებას: „იცოდე, არამზადავ, თუ გამოგეპარა და არ შემატყობინე გრუშენკას მოსვლა, პირველ რიგში შენ მოგკლავო“. გავა ღამე და დილით ისიც, როგორც მამამისი, დამიწყებს ტანჯვას: „რატომ არ მოვიდა? მალე მოვა?“ ისევ თითქოს მე ვიყო დამნაშავე, ის ქალბატონი რომ არ მობრძანდა. ასე ყოველ დღე და ყოველ საათს, ორივე მე მიწყრება, ბატონო, ლამისაა შიშისაგან თავი მოვიკლა. მე მათი იმედი არა მაქვს, ბატონო.

- რატომ გაიხვიე თავი შარში! რატომ დაუკავშირდი დმიტრი ფიოდოროვიჩს, რატომ მიგქონდა ენა? - უთხრა გაღიზიანებულმა ივანმა.

- მოდი და ნუ დაუკავშირდებოდი, სულაც არ მსურდა მასთან რაიმე საქმე მქონებოდა. ჩემთვის ვიყავი ჩუმად, არაფერს არ ვამბობდი, მაგრამ მან თავად მოინდომა ჩემი დანიშვნა თავის მსახურ ლიჩარდად[86]. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი რამ მესმის: „სულს ამოგაძრობ, სალახანავ, თუ რამე გამოგეპარება!“ მე მგონი, ხვალ, ჩემო ბატონო, ხანგრძლივი ავი ზნე მომივლის.

- ეგ რომელ ხანგრძლივ ავ ზნეზე ლაპარაკობ?

- ხანგრძლივი ავი ზნე, ძალიან ხანგრძლივი, რამდენიმე საათიანი, ბატონო,

შესაძლოა, ერთი-ორი დღეც გაგრძელდეს. ერთხელ სამ დღეს მქონდა, მაშინ სხვენზე დამემართა. ერთხანს გადამივლის ხოლმე, მერმე გამიმეორდება. მაშინ სამ დღეს გონზე არ მოვსულვარ. ფიოდორ პავლოვიჩმა აქაური ექიმი ჰერცენშტუბეც კი მოიყვანა, ბატონო, მან თხემის ძვალზე ყინული დამადო და კიდევ რაღაც საშუალება იხმარა... ნეტავ მაშინ მოვმკვდარიყავი.

- კი მაგრამ, ხომ ამბობენ, ბნედის წინასწარ გაგება, ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელიაო. შენ კი მეუბნები, ხვალ დამემართებაო? - განსაკუთრებული და გაღიზიანებული ცნობისმოყვარეობით იკითხა ივანმა.

- მაგას მართალს ბრძანებთ, წინასწარ გაგება შეუძლებელია.

- თანაც, შენ მაშინ სხვენიდან გადმოვარდი.

- სხვენზე ყოველ დღე დავძვრები, ბატონო, ხვალაც შეიძლება ჩამოვვარდე. სხვენიდან თუ არა სარდაფში ჩავვარდები. იქაც ხშირად ჩავდივარ, საჭიროებისამებრ, ბატონო.

ივანი კარგა ხანს უყურებდა მას.

- რაღაცას ჩმახავ მგონი, შენი არაფერი გამეგება, - ხმადაბლა, მაგრამ მუქარით ჩაილაპარაკა ივანმა, - ავადმყოფობა გინდა მოიგონო? გინდა სამი დღე ლოგინში ჩაწვე, ხომ? ჰა?

სმერდიაკოვი ისევ მიწას ჩასცქეროდა და კვლავ მარჯვენა ფეხსაცმლის ჭვინტს ათამაშებდა. მერე მარჯვენა ფეხი გააჩერა და ახლა მარცხენა წამოსწია წინ. თავი ასწია და სიცილით თქვა:

- ბატონო, რა არის გასაკვირი, მე თუ ამის მოგონება შემიძლია, თავის მოავადმყოფებას ვგულისხმობ, გამოცდილი კაცისათვის ეს სულაც არ არის ძნელი, სრული უფლება მაქვს ამის გამოყენებისა, რათა სიცოცხლე გადავირჩინო. თუ ავად ვიქნები, მაშინ მე ვერ გავიგებ აგრაფინა ალექსანდროვნას მამათქვენთან მოსვლას და ვეღარც თქვენი ძმა მკითხავს: „რატომ არ შემატყობინეო?“ თავად შერცხვება.

- ეშმაკმა დაგლახვროს! - უცებ შესძახა ივანმა და ბრაზისაგან სახე მოექცა, - სიცოცხლეს უფრთხილდები! დმიტრის მუქარა მხოლოდ აზარტული სიტყვებია და მეტი არაფერი. შენ ის არ მოგკლავს; მოკლავს ვიღაცას, შენ კი არა!

- პირველ რიგში, მე გამსრესს ბუზივით, ბატონო. მაგრამ უფრო მეტად სხვა რამის მეშინია: მეც მის თანამზრახველად არ ჩამთვალონ, თუკი იგი თავის მშობელს რაღაც საშინელებას დამართებს.

- შენ რატომ უნდა ჩაგთვალონ თანამზრახველად?

- იმიტომ რომ მე მას დათქმული ნიშნები და დიდი საიდუმლოება შევატყობინე, ბატონო.

- რა ნიშნები? ვის შეატყობინე? ეშმაკმა დაგლახვროს, გარკვევით ილაპარაკე!

- უნდა გამოგიტყდეთ, - პედანტური სიმშვიდით გააგრძელა სმერდიაკოვმა, - მე და ფიოდორ პავლოვიჩს ერთი საიდუმლო გვაქვს. ის, როგორც თქვენთვის ცნობილია (თუკი თქვენ ინებებდით ამის ცოდნას), უკვე მერამდენე დღეა, როგორც დაღამდება, ხანდახან საღამოობითაც კი, შიგნიდან ჩაიკეტება ხოლმე. თქვენ ყოველთვის ადრე ბრუნდებით, გუშინ კი სულ არ გასულხართ შინიდან, ამიტომ შესაძლოა არც კი იცოდეთ, როგორ გულდაგულ ჩაიკეტება ხოლმე ღამღამობით მამათქვენი შიგნიდან. მხოლოდ გრიგორი ვასილევიჩი თუ მივა, იმას გაუღებს კარებს, იმის ხმას სცნობს. მაგრამ გრიგორი ვასილევიჩი მასთან არ დადის, ბინაში მე ვემსახურები - ასე გადაწყვიტა მან მას აქეთ, რაც ეს ამბავი მოიგონა აგრაფინა ალექსანდროვნასთან დაკავშირებით. მისი ბრძანებით, ღამით ფლიგელში მივდივარ, შუაღამემდე არ უნდა დავიძინო, ეზო უნდა ვათვალიერო, ვუდარაჯო და ვიცადო მანამ, სანამ აგრაფენა ალექსანდროვნა არ მოვა, ბატონო, რომელსაც მამათქვენი უკვე მერამდენე დღეა, ჭკუადაკარგული ელოდება. იგი ასე მსჯელობს: გრუშენკას დმიტრი ფიოდოროვიჩის (მამათქვენი მას მიტკას ეძახის) ეშინია, ამიტომ გვიან ღამით ეზო-ეზო მოვა ჩემთან; შენ მას შუაღამემდე უცადე, უფრო გვიანობამდეც. თუ მოვა, მოირბინე ჩემს კართან ან ფანჯარასთან ეზოს მხარეს და დამიკაკუნე, ჯერ ორჯერ ნელა, ხოლო შემდეგ სამჯერ ჩქარ-ჩქარა, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ გრუშენკა მოვიდა და მე კარს გავაღებო. მეორე ნიშანი იმ შემთხვევისათვის მოიგონა, ვინიცობაა რაიმე განსაკუთრებული მოხდესო: ჯერ ორჯერ ჩქარ-ჩქარა, ცოტა დაყოვნების მერე კი ერთჯერ, უფრო ხმამაღლა. ამ ნიშანზე ის მიხვდება, რომ რაღაც საგანგებო შემთხვევაა, მე მისი ნახვა მინდა და კარს გამიღებს, შევალ და მოვახსენებ. ეს იმ შემთხვევაში, თუ აგრაფენა ალექსანდროვნა არ მოვა და წერილს გამოგზავნის, ან თუ დმიტრი ფიოდოროვიჩი გამოჩნდება, უნდა შევატყობინო. მამათქვენს მისი ძალიან ეშინია. თუ აგრაფენა ალექსანდროვნა მოვა და მამათქვენი და ის ოთახში ჩაიკეტებიან, ამ დროს კი სადღაც ახლოს დმიტრი ფიოდოროვიჩიც გამოჩნდება, მე დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობო მამათქვენს ეს ამბავი. ამისათვის უნდა დავაკაკუნო სამჯერ. ასე რომ, პირველი ხუთი კაკუნი ნიშნავს: „აგრაფენა ალექსანდროვნა მოვიდა“, მეორე ნიშანი - სამჯერ კაკუნი მომასწავებელია იმის, რომ „ძალიან მინდა მისი ნახვა“; ეს ნიშნები, ცალკეული მაგალითები, რამდენჯერმე გამამეორებინა, გულდასმით მიხსნიდა. ვინაიდან ეს ნიშნები ვიცით მხოლოდ მე და მამათქვენმა, ბატონო, ამიტომ მამათქვენი ყოველგარი შეხმიანების გარეშე კარს უეჭველად გააღებს. ეს ნიშნები ახლა დმიტრი ფიოდოროვიჩისათვისაც გახდა ცნობილი.

- როგორ თუ ცნობილი გახდა? შენ უთხარი? როგორ გაბედე ამის თქმა?

- სწორედ შიშის გამო, ბატონო ჩემო. როგორ გავბედავდი, ხმა არ ამომეღო მის წინაშე, ბატონო? დმიტრი ფიოდოროვიჩი ყოველდღე დაჟინებით იმეორებდა: „მატყუებ, რაღაცას მიმალავ? ორივე ფეხს მოგამტვრევო!“ მეც ვუთხარი იმ ნიშნების შესახებ, რომ დაენახა, როგორი ერთგული მონა ვარ მისი და დარწმუნებულიყო, არ ვატყუებდი და ყოველივეს დაწვრილებით ვატყობინებდი.

- თუ ეჭვი გაქვს, რომ ის ამ ნიშნებს გამოიყენებს და შესვლას გაბედავს, არ შეუშვა.

- მე ხომ მაშინ ბნედამორეული ლოგინად ვიქნები ჩავარდნილი, ბატონო. როგორ შევძლებ მის დაკავებას, რომც გავბედო კიდეც, როცა მისი გადარეული ხასიათი ვიცი.

- ეშმაკმა დაგლახვროს! რატომ ხარ დარწმუნებული, ავი ზნე რომ მოგივლის, ეშმაკის კერძო? დამცინი კიდეც?

- თქვენს დაცინვას როგორ გავბედავ, ან სადღა მაქვს ამისი თავი, როცა შიშისაგან სულს ვლევ? ვგრძნობ, რომ მომივლის, წინათგრძნობა მაქვს ასეთი, მარტო ასეთი შიშისაგან შეიძლება დამემართოს, ბატონო.

- ჯანდაბას შენი თავი! შენ თუ ავად გახდები, გრიგორიმ უდარაჯოს, წინასწარ გააფრთხილე, ის არაფრის დიდებით არ შემოუშვებს!

- ბატონის ბრძანების გარეშე ვერ გავბედავ, ნიშნების შესახებ გრიგორი ვასილევიჩს რაიმე ვუთხრა, ბატონო. რაც შეეხება იმას, რომ გრიგორი ვასილევიჩი არ შემოუშვებს, ეგეც არ გამოვა, რადგან იგი გუშინს აქეთ ავადაა და მარფა იგნატიევნა ხვალ აპირებს უმკურნალოს. ახლახან მითხრა. მკურნალობა კი მარფა იგნატიევნამ ძალზე საინტერესოდ იცის: ერთი ნაყენი აქვს მუდმივად გადანახული, მაგარი, რაღაც ბალახზე დაყენებული - საიდუმლოდ იცის რაღაც, ბატონო. ამ საიდუმლო წამლით მკურნალობს ხოლმე გრიგორი ვასილევიჩს წელიწადში სამჯერ, როცა მას წელი გაუკავდება, დამბლადაცემულივით არის ხოლმე, სამჯერ მაინც ემართება წელიწადში. მაშინ მარფა იგნატიევნა აიღებს პირსახოცს, კარგად დაასველებს ამ ნაყენში და ნახევარი საათის განმავლობაში უზელს წელს გაწითლებამდე და შესიებამდე, სანამ წამალი ტანზე არ შეაშრება, ხოლო რაც ჭურჭელში დარჩება, დაალევინებს და თან რაღაცნაირად შეულოცავს. დარჩენილ ნაწილს სულ კი არ ასმევს ქმარს, მცირე ნაწილს თავისთვისაც იტოვებს და თავადაც გადაყლურწავს ხოლმე. რახან ორივენი მსმელები არ არიან, ამის შემდეგ დაეყრებიან გუდურასავით და სძინავთ დილამდე, ჩემო ბატონო. დილას, როგორც კი გაიღვიძებს გრიგორი ვასილიევიჩი, თითქმის მთლიანად გამოჯანმრთელებულია, ხოლო მარფა იგნატიევნას გამოღვიძების შემდეგ თავი სტკივა. ჰოდა, ჩემო ბატონო, თუკი ხვალ მარფა იგნატიევნა ამ პროცედურებს ჩაატარებს, მაშინ ვერაფერსაც ვერ გაიგებენ და ვერც ვერავინ შეუშლის ხელს დმიტრი ფიოდოროვიჩს, ორივეს ეძინებათ, ბატონო.

- რას ჩმახავ! ყველაფერი ასე საგანგებოდ როგორ უნდა მოხდეს: შენ ბნედა და ისინი მძინარენი! - იღრიალა ივანმა, - შემთხვევით შენი სურვილი ხომ არ არის, ყველაფერი ასე აეწყოს, ერთმანეთს დაემთხვეს? - ანაზდად წამოსცდა ივანს და თვალები დაუბრიალა.

- მე რა შუაში ვარ... მე რისთვის უნდა მინდოდეს, როცა ყოველივე დმიტრი ფიოდოროვიჩზეა დამოკიდებული, ბატონო, მის ზრახვებზე... თუ მას უნდა, რომ მოხდეს - მოხდება, არ უნდა - არ მოხდება, მე ხომ განგებ არ მოვიყვან მას მამასთან საჩხუბრად.

- რატომ უნდა მოვიდეს მამასთან, თანაც უჩუმრად, თუკი, როგორც შენ ამბობ,

აგრაფინა ალექსანდროვნა საერთოდ არ მოვა აქ, - გააგრძელა ბრაზისაგან გაფითრებულმა ივანმა, - შენ თვითონ არ ამბობ ამას. მეც, რაც აქ ვცხოვრობ, დავრწმუნდი, რომ ეს მოხუცის ოცნებაა, არ მოვა მასთან ის მურდალი დედაკაცი. მაშინ რატომღა უნდა მოუვარდეს დმიტრი მოხუცს, თუკი ის არ მოვა? თქვი! მე შენი აზრის გაგება მსურს.

- თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რატომაც მობრძანდება. რა შუაშია ჩემი აზრები? საკუთარი ბოღმა მოიყვანს, ან ეჭვიანობა, მით უმეტეს, მე თუ ავად გავხდი, ეჭვი შეეპარება და მოვა. ოთახ-ოთახ დაუწყებს ძებნას, როგორც მაშინ მოხდა: ხომ არ მოვიდა ჩუმ-ჩუმადო. გარდა ამისა, მან კარგად იცის, ფიოდორ პავლოვიჩს ლენტით შეკრული დიდი კონვერტი რომ აქვს გამზადებული, რომელშიც სამი ათასი მანეთი დევს და ზედ საკუთარი ხელით აქვს დაწერილი: „ჩემს ანგელოზს, გრუშენკას, თუკი ჩემთან მოსვლას მოინდომებს“, სამი დღის შემდეგ დაუმატა: „და ვარიკას“. სწორედ ეს არის საეჭვო, ბატონო ჩემო.

- სისულელეა! - იყვირა გახელებულმა ივანმა, - დმიტრი აქ საქურდავად და მამის მოსაკლავად არ მოვა. მას გუშინაც შეეძლო გრუშენკას გულისთვის მოეკლა იგი, ისე იყო ჭკუიდან გადასული, მაგრამ საქურდავად არ მოვა!

- ახლა მას ფული ძალიან სჭირდება, უკიდურესად, ივან ფიოდოროვიჩ. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, როგორ სჭირდება, - განსაკუთრებული სიმშვიდით დაუწყო ახსნა სმერდიაკოვმა, - იგი იმ სამი ათასს თავისად თვლის, თავად ბრძანა: „მამაჩემს ჩემი ვალი ზუსტად სამი ათასი დარჩაო.“ ამას გარდა, თავად განსაჯეთ, ივან ფიოდოროვიჩ: თუ აგრაფენა ალექსანდროვნამ მოინდომა, მაშინ ბატონს თავისუფლად შეართვევინებს თავს, რაც მთავარია, თუ მოინდომა, ბატონო ჩემო. მე კი ვამბობ, ის ქალბატონი არ მოვა-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლება მოინდომოს და მობრძანდეს და დარჩეს აქ დიასახლისად. მე ვიცი, თურმე მას ამის თაობაზე თავად ვაჭარი სამსონოვი ეუბნებოდა - ურიგო საქმე არ იქნებაო - და თან ორივე თურმე გულიანად იცინოდა. თავად ის ქალბატონი უჭკუო არ გახლავთ. მას ისეთი ღარიბ-ღატაკის ცოლობა, როგორიც დმიტრი ფიოდოროვიჩია, რაში გამოადგება, ბატონო ჩემო. აქედან გამომდინარე კი თავად დაფიქრდით, ივან ფიოდოროვიჩ, არც დმიტრი ფიოდოროვიჩს, არც თქვენ და არც თქვენს ძმას, ალექსეი ფიოდოროვიჩს მამათქვენის ქონებიდან არაფერი შეგხვდებათ, სულ მშრალზე დარჩებით, ჩემო ბატონო, თუკი მას აგრაფინა ალექსანდროვნა ცოლად გაჰყვება. იგი მამათქვენის მთელ ქონებას თავის სახელზე გადაიწერს, ბატონო. მამათქვენი ახლა რომ გარდაიცვალოს, თითოეულს ორმოც-ორმოცი ათასი მაინც შეგხვდებათ, დმიტრი ფიოდოროვიჩსაც კი, რომელიც მამამისს ასე ეჯავრება. მამათქვენს ანდერძი ჯერ შედგენილი არა აქვს, ბატონო. ეს ყველაფერი კარგად იცის დმიტრი ფიოდოროვიჩმა.

ივანს სახეზე რაღაცამ გადაურბინა, პირი მოექცა და ერთიანად გაწითლდა.

- მაშინ რატომ გინდა შენ, - შეაწყვეტინა მან სმერდიაკოვს, - ყოველივე ამის შემდეგ ჩემი ჩერმაშნიაში გამგზავრება? რა გაქვს გუნებაში? მე წავალ და აქ კი ასეთი ამბები დატრიალდება, - ივანი სულს ძლივს ითქვამდა.

- მართალს ბრძანებთ, ბატონო, - ჩუმად და დაბეჯითებით ჩაილაპარაკა სმერდიაკოვმა და თან თვალს არ აშორებდა ივანს.

- როგორ თუ მართალს ვბრძანებ? - ჰკითხა განრისხებულმა ივანმა და თვალები დაუბრიალა.

- მე თქვენ მეცოდებით და ამას იმიტომ გეუბნებით. თქვენს ადგილზე ყველაფერს მივატოვებდი... აქ, ასეთ ვითარებაში არ დავრჩებოდი, ბატონო... - გულახდილად თქვა სმერდიაკოვმა და არხეინად შეხედა ივანს ანთებულ თვალებში. ორივე გაჩუმდა.

- შენ, მგონი, ნამდვილი იდიოტი ხარ, ამასთან, საშინელი არამზადა! - ივანი უცებ მერხიდან ადგა, სასწრაფოდ ჭიშკრისაკენ წასვლა დააპირა, მოულოდნელად შეჩერდა და სმერდიაკოვს მოუბრუნდა. რაღაც უცნაური რამ მოხდა: ივანს თითქოს კრუნჩხვები დაეწყო, ბაგე მოიკვნიტა, ხელები მომუჭა და აღარაფერი აკლდა, რომ სმერდიაკოვს სცემოდა. სმერდიაკოვმა ეს შეამჩნია, შეკრთა და მთელი სხეულით უკან დაიხია. მაგრამ ამ წამიერმა აღგზნებამ სმერდიაკოვისათვის უვნებლად ჩაიარა. ივანი ჩუმად, რაღაცნაირად გამოშტერებული მიბრუნდა და ჭიშკრისაკენ გაემართა.

- მე ხვალ მოსკოვში მივემგზავრები, თუ ძალიან გინდა იცოდე, - ხვალ დილაადრიან - აი ასე! - ხმამაღლა და გარკვევით, ბრაზით ჩაილაპარაკა მან. შემდგომში თავად უკვირდა, რაში დასჭირდა ამის თქმა სმერდიაკოვისათვის.

- ყველაფერს ეგ აჯობებს, ბატონო, - სწრაფად მიუგო სმერდიაკოვმა ისე, თითქოს ელოდა კიდეც ასეთ პასუხს, - მხოლოდ ერთი კია - მოსკოვიდან ტელეგრაფით შეუძლიათ გამოგიძახონ, რაიმე რომ მოხდეს, ბატონო.

ივანი ისევ შეჩერდა და სწრაფად შემობრუნდა. სმერდიაკოვს კი რაღაც დაემართა. მთელი მისი ფამილარობა და თავხედობა უცებ გაქრა; მისი სახე განსაკუთრებულ ყურადღებას და მოლოდინს გამოხატავდა, მხოლოდ ახლა მოკრძალებული და მლიქვნელური გამომეტყველება უფრო ჰქონდა. ივანს მიშტერებული მისი მზერა თითქოს ამბობდა: „სხვას ხომ არაფერს იტყვით კიდევ, ხომ არაფერს დაუმატებთო“.

- ჩერმაშნიადან რა, ვერ გამომიძახებენ... რაიმე რომ მოხდეს? - იღრიალა უცებ ივანმა, გაუგებარი იყო, ასე მოულოდნელად რატომ აიმაღლა ხმა.

- იქიდანაც... შეგაწუხებდნენ, ბატონო... - ჩაიბურტყუნა სმერდიაკოვმა თითქმის ჩურჩულით, თითქოს დაბნეულმა, მაგრამ კვლავ დაჟინებით შესცქეროდა ივანს თვალებში.

- შენ გინდა თქვა, მოსკოვი შორსაა, ხოლო ჩერმაშნია ახლოს, ჩემი სამგზავრო ფული გენანება, გეცოდები, დიდი გზის გავლა არ მომიხდეს, ამიტომ დაგიჟინია ჩერმაშნია?

- მართალს ბრძანებთ, - მიკნავებული ხმით ჩაილაპარაკა სმერდიაკოვმა, პირზე

ამაზრზენმა ღიმილმა გადაუარა და ისევ დროულად მოემზადა უკან ნახტომისათვის. მაგრამ ივანმა ანაზდად, სმერდიაკოვის გასაკვირად, გაიცინა და ასე სიცილ-სიცილით ჩქარა შევიდა ეზოში. ვინც მის სახეს დაინახავდა, დაასკვნიდა, რომ სიცილის მიზეზი კარგი გუნება-განწყობილება სულაც არ იყო. თავადაც ვერაფრით ვერ აგიხსნიდათ, რა მოუვიდა იმ წუთებში. ფეხგაკავებული კაცივით მიაბიჯებდა.

VII „ჭკვიან კაცთან მუსაიფიც საინტერესოა“

ჰოდა, ემუსაიფა კიდეც. სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე, ფიოდორ პავლოვიჩი შემოხვდა. ივანმა ხელი აუქნია და მიაძახა: „თქვენთან არაფერი საქმე მაქვს, მაღლა ავალ ჩემს ოთახში, ნახვამდის“, - და გვერდი აუარა, თან ცდილობდა, სახეში არ შეეხედა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ამ წუთებში ივანს ძალიან ეჯავრებოდა მამა, მაგრამ ასეთი უცერემონიო გამოხატვა მისდამი მტრული დამოკიდებულებისა, ფიოდორ პავლოვიჩისათვისაც მოულოდნელი იყო. ფიოდორ პავლოვიჩს კი ეტყობოდა, სასწრაფოდ რაღაცის თქმა უნდოდა, რისთვისაც საგანგებოდ გამოვიდა მის შესახვედრად სასტუმრო ოთახში. ასეთი თავაზიანი შეხვედრის შემდეგ იგი ხმაჩავარდნილი იდგა და დაცინვით აყოლებდა თვალს მეზონინის კიბეზე ამავალ შვილს მანამ, სანამ თვალს არ მოეფარა.

- ნეტა რა მოუვიდა? - სასწრაფოდ ჰკითხა ამ დროს ივანის ფეხდაფეხ შემოსულ სმერდიაკოვს.

- რაღაცაზე დაბოღმილია, ბატონო. მაგათ კაცი გაუგებს?! - გაუბედავად ჩაიბურტყუნა მან.

- ეშმაკმაც დალახვროს მაგის თავი, ბოღმასაც შეუჭამია! სამოვარი შემოიტანე და აქედან მოუსვი, აბა, ცოცხლად. ხომ არაფერია ახალი?

და სწორედ ისეთი დაკითხვები დაიწყო, რომელზედაც სმერდიაკოვი წეღან ივანთან ჩიოდა გრუშენკას მოსალოდნელი მოსვლის თაობაზე. ამიტომ ჩვენ ამ გამოკითხვებს გამოვტოვებთ. ნახევარი საათის შემდეგ მოხუცი სახლში ჩაიკეტა და შეშლილივით ბოლთას სცემდა ოთახიდან ოთახში იმ ხუთი პირობითი კაკუნის მოლოდინში. ხანდახან ფანჯარაში გაიხედავდა ხოლმე, მაგრამ წყვდიადის მეტს ვერაფერს ხედავდა.

უკვე კარგა გვიანი იყო, ივანს ჯერ კიდევ არ ეძინა და ფიქრობდა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა დაწვა. ჩვენ აქ არ შევუდგებით მისი ფიქრების თანმიმდევრობის გადმოცემას, ჩვენი მიზანი ახლა ამ პიროვნების სულიერი მდგომარეობის აღწერა არ გახლავთ, მისი დროც მოვა. რომც მომენდომებინა ამ ფიქრების გადმოცემა, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ეს აზრები კი არ იყო, არამედ, რაღაც გაურკვეველი და შემაშფოთებელი რამ. თავადაც გრძნობდა, რომ თავგზა აბნეული ჰქონდა. ნაირ-ნაირი, უცნაური და მოულოდნელი სურვილები გაუჩნდა. მაგალითად, ნაშუაღამევს ანაზდად მოუნდა ქვემოთ ფლიგელში

ჩასვლა და სმერდიაკოვის ერთი გემოზე მიბეგვა. რომ გეკითხათ, რატომ, რას ერჩიო? თავადაც ვერაფერს გიპასუხებდათ, ზუსტად ვერ დაგისახელებდათ ვერცერთ მიზეზს გარდა იმისა, რომ ამქვეყნად ამ ლაქიაზე საზიზღარი და მავნე პიროვნება არ უნახავს. მეორე მხრივ, მისი არსება მთელი ღამის განმავლობაში შეპყრობილი იყო აუხსნელი და დამამცირებელი შიშით, რისი გამოისობითაც თავს ისე გრძნობდა, თითქოს ძალ-ღონე ეცლებოდა. თავი სტკიოდა და თავბრუ ეხვეოდა. რაღაც საზიზღრობა გულს ურევდა, თითქოს შურისძიების გრძნობას შეეპყრო. ალიოშაც კი სძულდა, როცა იგონებდა მასთან ამასწინანდელ საუბარს, ხანდახან სძულდა საკუთარი თავიც. კატერინაზე თითქმის აღარ ფიქრობდა, რასაც შემდგომში გაკვირვებული იგონებდა, რადგან თავად კარგად ახსოვდა გუშინდილანდელი ამბავი, როცა კატერინას მიახალა - ხვალ მოსკოვს მივემგზავრებიო, თავად გულში იფიქრა: „სისულელეებს როშავ, არსადაც არ წახვალ, არც ისე ადვილი იქნება შენთვის მასთან განშორება, ტყუილად ბაქიბუქობო.“ დიდი ხნის შემდეგ, როცა ივანი ამ ღამეს იგონებდა, განსაკუთრებული ზიზღით ახსენდებოდა თავისი საქციელი, როდესაც ჩუმ-ჩუმად, თითქოს შეშინებული, არავინ მიყურებდესო, დგებოდა დივნიდან, უხმაუროდ აღებდა კარს, გადიოდა კიბეზე და უსმენდა, თუ როგორ დაბოდიალობდა ქვედა ოთახში ფიოდორ პავლოვიჩი, - უსმენდა დიდხანს, ხუთ წუთამდე მაინც, უცნაური ინტერესით, სუნთქვაშეკრული და გულისცემააჩქარებული, ხოლო რისთვის აკეთებდა ამას, რას უსმენდა - თავადაც არ იცოდა. ეს „საქციელი“ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მას „საზიზღრობად“ მიაჩნდა და თვლიდა, რომ ასეთი უმსგავსობა არასოდეს ჩაუდენია. იმ წუთებში ფიოდორ პავლოვიჩის მიმართ არანაირი ზიზღი არ ჰქონდა, მხოლოდ ძალიან აინტერესებდა, როგორ გადიგამოდიოდა ოთახებში, ცდილობდა, გამოეცნო, რის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა, როგორ იჭყიტებოდა ბნელ ფანჯრებში და როგორ გაშეშდებოდა ხოლმე ყურებდაცქვეტილი, ხომ არავინ აკაკუნებსო. ასეთი საქციელი იმ ღამეს ივანმა ორჯერ ჩაიდინა. როცა ყველაფერი მიწყნარდა, ფიოდორ პავლოვიჩი დაწვა, ასე ორი საათისათვის ივანიც დაწვა მტკიცე გადაწყვეტილებით, სასწრაფოდ დაეძინა, რადგან ძალიან გაწამებულად გრძნობდა თავს. მართლაც: უცებ ღრმად ჩაეძინა, ეძინა სიზმრების გარეშე, მაგრამ მალე გაეღვიძა, გამთენიისას, შვიდი იქნებოდა. როცა თვალები გაახილა, უცნაური ენერგიის მოზღვავება იგრძნო. მკვირცხლად წამოხტა და ჩაიცვა. მერე ჩემოდანი გამოიღო და ჩქარ-ჩქარა შეუდგა თავისი ნივთების ჩალაგებას. მრეცხავმა თეთრეული სწორედ გუშინ მოუტანა. ივანს გაეცინა კიდეც იმის გაფიქრებისას, რომ ყველაფერი უბრალოდ გადაწყდა. მის უეცარ გამგზავრებას აღარაფერი ედგა წინ. გამგზავრება კი, მართლაც, უეცარი იყო. მართალია, გუშინ ივანმა კატერინას, ალიოშასა და სმერდიაკოვს განუცხადა, რომ ხვალ მიემგზავრებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ წუხელ, დაწოლისას, კარგად ახსოვს, არც ფიქრობდა გამგზავრებაზე, მით უმეტეს, თუ დილიდანვე შეუდგებოდა ნივთების ჩალაგებას. როგორც იქნა, ჩემოდანსა და საკვოიაჟში ჩალაგება მოათავა. დილის ცხრა საათისათვის მარფა იგნატიევნა შემოვიდა და ჩვეულებრივი, ყოველდღიური კითხვა დაუსვა: „სად ინებებთ ჩაის, ქვემოთ ჩამობრძანდებით, თუ აქ მოგართვათო?“ ივანი ქვევით ჩავიდა. მხიარულ გუნებაზე ჩანდა, თუმცა მის ლაპარაკსა და ჟესტებში დაბნეულობა და აჩქარებულობა იგრძნობოდა. მამას თავაზიანად მიესალმა, როგორ ბრძანდებითო, ისიც კი ჰკითხა, მაგრამ მის პასუხსაც არ დაუცადა, ისე

განაცხადა, ერთ საათში მოსკოვს მივემგზავრები, სამუდამოდო. შემდეგ სთხოვა, ეკიპაჟისათვის გაეგზავნა ვინმე. მოხუცმა შეტყობინება ყოველგვარი გაკვირვების გარეშე მოისმინა, პატიჟით თავი არ მოუკლავს; ნაცვლად ამისა, დაფაცურდა, ერთი არსებითი საკუთარი საქმე გაახსენდა.

- შე ასეთო, შე ისეთო! გუშინ გეთქვა... არა უშავს, ახლა მოვილაპარაკოთ. ერთი სიკეთე მიყავი მშობელ მამას, შეიარე ჩერმაშნიაში, სადგურ ვოლოვიედან მარცხნივ გადაუხვევ, თორმეტიოდე ვერსი იქნება იქამდე.

- ღმერთმანი, არ შემიძლია, რკინიგზამდე ოთხმოცი ვერსია, მატარებელი კი საღამოს 7 საათზე გადის, ზუსტად, ვერ მოვასწრებ.

- მოასწრებ, ხვალ ან ზეგ, დღეს კი შეუხვიე ჩერმაშნიაში. ეცი პატივი მშობელ მამას. მე რომ დაკავებული არ ვიყო, თავად წავიდოდი. აქ სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმე მაქვს, აქაურობას ვერ დავტოვებ... საქმე ის არის, იქ კორომები მაქვს, ორი ნაკვეთი: ერთი ბოგიჩევოში, მეორე დიაჩკინეში - დაუსახლებელი ადგილებია. ვაჭარი მასლოვები, მამა-შვილი, დიდი ფულის პატრონები, ტყის მოჭრაში მხოლოდ 8 ათასს იძლევიან, შარშან კი 12 ათასიანი მუშტარი გამოჩნდა, მაგრამ აქაური არ იყო, ამაშია საქმე. აქაურები მასლოვების შიშით შევაჭრებას ვერ ბედავენ, აქ ისინი პარპაშობენ: არავის უნდა მათი გადაკიდება. გასულ ხუთშაბათს ილინელმა მღვდელმა შემატყობინა მუშტარი გამოჩნდაო, ვაჭარი გორსტკინი, აქაური არ არის, პოგრებოვოდანაა, ცხადია, მასლოვებისაც არ ეშინია, 11 ათასს იძლევა, გესმის? მღვდელი იწერება, რომ იგი ერთ კვირას დარჩება. ამიტომ მინდა წახვიდე და მოელაპარაკო.

- თქვენც მისწერეთ მღვდელს, მოელაპარაკოს.

- საქმე ის არის, ვერ შეძლებს მოლაპარაკებას. ის ხალხში ვერ ერკვევა. ოქრო კაცია, შემიძლია ხელწერილის გარეშე ოცი ათასიც კი ვანდო შესანახად, მაგრამ ადამიანებში ვერ ერკვევა, ბავშვიც კი მოატყუებს. არადა, რომ იცოდე, როგორი განათლებული კაცია. ის გორსტკინი ერთი შეხედვით გლეხი გეგონება, ლურჯი ხიფთანი აცვია, მაგრამ წმინდა წყლის სალახანა გახლავს. უბედურება ისაა, რომ მატყუარაა. ხანდახან ისეთ ტყუილს გეტყვის, გიკვირს, რისთვის დასჭირდა. სამი წლის წინ იცრუა, ცოლი მომიკვდა და ახლა სხვაზე ვარ დაქორწინებულიო. მსგავსი არაფერი მომხდარა, ის ქალი ცოცხალია და დღესაც მასთან ცხოვრობს, სამ დღეში ერთხელ ქმარსაც უბათქუნებს ხოლმე. ახლა მინდა გავიგო: ტყუის თუ მართალს ამბობს, უნდა თუ არა ყიდვა, იძლევა 11 ათასს?

- ვერაფრით დაგეხმარები, ვერც მე ვერკვევი ხალხში.

- მოიცა, მოიცა, კარგადაც ერკვევი, მე შენ იმის ხასიათის ყველა ნიშანს გეტყვი. უყურე მხოლოდ იმის წვერს; წვერი ჟღალი აქვს, საზიზღრად მეჩხერი. თუ წვერი უცანცარებს და თან გაბრაზებული ლაპარაკობს - ეს იმას ნიშნავს, მართალს ამბობს, უნდა საქმის გაკეთება; ხოლო თუ წვერზე ხელს ისვამს და თან იკრიჭება - ეს ნიშნავს, ტყუის. თვალებში ნუ შეხედავ, თვალებით ვერაფერს გაარკვევ, მთლად ამღვრეული აქვს ცრუპენტელას. უყურე მხოლოდ წვერს. მე მასთან ბარათს

გაგატან, შენ კი ანახე. ის მართლა გორსტკინი კი არ არის, ლიაგავია, მაგრამ ნუ ეტყვი, რომ ეს იცი, ეწყინება. მოლაპარაკების შემდეგ, თუ შეატყობ ყველაფერი რიგზეა, იმ წამსვე მომწერე მხოლოდ ორი სიტყვით: „არ ცრუობს“. თერთმეტი ათასად გაურიგდი, დიდი-დიდი, ერთი ათასი დაუკლო, მეტი არა. შენ აზრზე ხარ: სად რვა ათასი და სად თერთმეტი - სამი ათასია განსხვავება. ეს სამი ათასი ნაჩუქარივითაა. ახლა მყიდველს სად იშოვი, ფული კი ძალიან მჭირდება. შემატყობინე, თუ სერიოზულად უნდა, მაშინ მე ჩავალ და საქმეს დავასრულებ, როგორმე გამოვნახავ დროს. ახლა კი რა აზრი აქვს ჩემს იქ გამგზავრებას, იქნებ ტყუილია, მოეჩვენა მღვდელს? წახვალ თუ არა?

- არ მცალია, თავი დამანებეთ.

- ძალიან დამავალებ, ამაგს არ დაგიკარგავ! უგულონი ხართ ყველანი! რა არის შენთვის ორი დღე? სად მიემგზავრები, ვენეციაში? რა მოუვა შენს ვენეციას ამ ორ დღეში? ალიოშას გავაგზავნიდი, მაგრამ ალიოშა ამ საქმეში არ ივარგებს. შენ იმიტომ გთხოვ, ვხედავ, ჭკვიანი კაცი ხარ. ხეტყით არ ვაჭრობ, მაგრამ კაცი არ შეგეშლება. აქ მთავარია, დაინახო, ტყუის თუ არა კაცი. გეუბნები, უყურე წვერზე: თუ წვერი უცანცარებს - მაშასადამე სერიოზულადაა განწყობილი.

- თქვენ თვითონ გინდათ ჩემი ჩერმაშნიაში გაგზავნა, ხომ? - იყვირა ივანმა და ბოროტად გაიცინა.

ფიოდორ პავლოვიჩმა ეს ბოროტად თქმული ვერ შენიშნა ან არ შენიშნა და თავადაც გაიცინა:

- მაშასადამე, წახვალ, წახვალ ხომ? ამ წუთში ბარათს დავწერ.

- არ ვიცი, შევივლი თუ არა, არ ვიცი. გზაში გადავწყვეტ.

- გზაში რატომ, ახლავე გადაწყვიტე, ძვირფასო! მოელაპარაკები და მომწერე ორი სიტყვით, მღვდელს გადაეცი ბარათი, ის უმალვე გადმომიგზავნის. შემდეგ ხელს აღარ შეგიშლი, გაეშურე ვენეციისაკენ. უკან ვოლოვიემდე მღვდელი თავისი ეკიპაჟით გამოგამგზავრებს...

გახარებულმა მოხუცმა ბარათი დაწერა და ეტლის მოსაყვანად კაცი გაგზავნა. სუფრა გაშალეს სასაუზმოდ და მაგიდაზე კონიაკიც გაჩნდა. როცა მოხუცს რამე უხაროდა ხოლმე, ყოველთვის ექსპანსიური ხდებოდა, მაგრამ ამჟამად თავი შეიკავა. დმიტრიზეც კრინტი არ დაუძრავს. განშორება სულ არ ადარდებდა. სალაპარაკოც თითქმის ვერაფერი გამონახა, ივანმა ეს შეამჩნია: „ალბათ თავი მოვაბეზრე“, - გაიფიქრა მან თავისთვის. ოღონდ შვილის გაცილების დროს რაღაცნაირად აწრიალდა, პარმაღთან საკოცნელადაც კი გაიწია, მაგრამ ივანმა სასწრაფოდ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და ამით აგრძნობინა, ხვევნა-კოცნა არაა საჭიროო. მოხუცი ყველაფერს მიხვდა და თავი დაიოკა.

ივან ფიოდოროვიჩი ტარანტასზე ავიდა.

- მშვიდობით, ივან, ავად ნუ მომიგონებ! - უკანასკნელად მიაძახა მამამ.

გასაცილებლად მთელი სახლეულობა გამოვიდა: სმერდიაკოვი, მარფა, გრიგორი. ივანმა თითოეულს ათ-ათი მანეთი აჩუქა. როცა ტარანტასში ჩაჯდა, სმერდიკოვი მიეახლა და ნოხი გაასწორა.

- ხედავ... ჩერმაშნიაში მივემგზავრები... - ანაზდად წამოსცდა ივანს ისე, როგორც გუშინ, თანაც რაღაცნაირი ნერვიული სიცილით. შემდგომ ამას დიდხანს იგონებდა.

- მაშასადამე, მართალს ამბობენ: ჭკვიან კაცთან მუსაიფი საინტერესოაო, - მტკიცედ უპასუხა სმერდიაკოვმა და დაფიქრებული მიაშტერდა ივანს.

ტარანტასში შებმული ცხენები ადგილს მოსწყდნენ და ჭენებ-ჭენებით გაუდგნენ გზას. მოგზაური თავს მოუსვენრად გრძნობდა და ხარბად გასცქეროდა გაშლილ მინდვრებს, აქა-იქ ამაღლებულ ბორცვებს, ხეებს, მაღლა ლაჟვარდოვან ცაზე გადამფრენი ბატების გუნდს. უცებ კარგ ხასიათზე დადგა. მეეტლესთან გამოლაპარაკებაც კი სცადა, თანაც ძალიან დააინტერესა მისმა პასუხმა, მაგრამ წუთიც არ გასულა, ყველაფერი გადაავიწყდა და არც ახსოვდა, მეეტლემ რა უპასუხა. გაჩუმდა, სიამოვნებდა ასე ყოფნა: სუფთა და გრილი ჰაერი, მოწმენდილი ზეცა. ანაზდად გონებაში ამოტივტივდნენ ალიოშასა და კატერინას სახეები. ივანმა ჩუმად ჩაიცინა და თავისი გონებიდან განდევნა მისთვის ძვირფასი ადამიანების აჩრდილები. „მაგათი დროც დადგება“, - გაიფიქრა მან. სადგურამდე მალე მივიდნენ. ცხენები გამოცვალეს და ვოლოვიესკენ გაქროლდნენ. „რატომაა ჭკვიან კაცთან მუსაიფი საინტერესო, რა უნდოდა ამით ეთქვა? - უნებლიეთ სუნთქვა შეეკრა. - მეც რატომ მოვახსენე, ჩერმაშნიაში მივემგზავრები-მეთქი?“ ამასობაში სადგურ ვოლოვიეშიც მივიდნენ. ივანი ტარანტასიდან გადმოვიდა, მეეტლეები გარს შემოეხვივნენ და ურიგდებოდნენ ჩერმაშნიაში წაყვანაზე - თორმეტი ვერსი იქნება სოფლის შარაგზითო. მან ცხენების შეკაზმვა უბრძანა. მერმე სადგურში შევიდა, მიიხედ-მოიხედა, თვალი შეავლო სადგურის უფროსის ცოლს და უცებ უკან პარმაღზე გამობრუნდა.

- აღარ მინდა ჩერმაშნია. ბიჭებო, 7 საათისათვის მივუსწრებთ მატარებელს?

- თავისუფლად მივუსწრებთ, შევაბა ცხენები?

- სასწრაფოდ შეაბი. ხვალ ქალაქში ხომ არავინ მოხვდებით?

- როგორ არა, აგერ მიტრი წავა.

- მიტრი, ერთი სამსახური გამიწიე, შეიარე მამაჩემთან, ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვთან და უთხარი, ივან ფიოდოროვიჩი ჩერმაშნიაში არ წავიდა-თქო. შემისრულებ ამ თხოვნას?

- რატომაც არა, შევივლი. ფიოდორ პავლოვიჩს დიდი ხანია ვიცნობ.

- აი, შენ ფეხის ქირა, შესაძლოა იმან არაფერი მოგცეს... - გაიცინა ივანმა.

- მართალს ბრძანებთ, არ მომცემს, - გაიცინა მიტრიმაც, - მადლობელი ვარ,

ბატონო, აუცილებლად გადავცემ...

საღამოს შვიდი საათისათვის ივანი ვაგონში შევიდა და მოსკოვისაკენ მოუსვა. „შორს ჩემგან წარსული, უკანმოუხედავად ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს ჩემს ამასწინანდელ ცხოვრებასთან, არ მსურს მისი გახსენება, მინდა ახალი სამყარო, ახალი ადგილები ვიხილო!“ მაგრამ აღფრთოვანების მაგივრად ისეთი სევდა შემოაწვა, ისეთმა მწუხარებამ დაისადგურა მის გულში, როგორიც არასოდეს განუცდია მთელი თავის ცხოვრების მანძილზე. ღამე ფიქრებში გაატარა; მატარებელი კი მიქროდა და მხოლოდ ალიონზე, მოსკოვში შესვლისას გამოფხიზლდა ივანი.

- არამზადა ვარ! - თავისთვის ჩაიჩურჩულა მან.

ფიოდორ პავლოვიჩი კი შვილის გაცილების შემდეგ ძალიან კმაყოფილი იყო. ორი საათის განმავლობაში თავს ბედნიერად გრძნობდა და კონიაკს წრუპავდა; მაგრამ მოულოდნელად სახლში ძალზე არასასიამოვნო და სამწუხარო ვითარება შეიქმნა, რომელმაც მოხუცი ძალიან შეაშფოთა. სმერდიაკოვი სარდაფში ჩასვლისას კიბის ზედა საფეხურიდან ჩაგორდა. კიდევ კარგი, იმ დროს ეზოში მარფა იგნატიევნა იმყოფებოდა და ხმა დროულად გაიგონა. დაგორება არ დაუნახავს, მაგრამ ყვირილი მოესმა, უცნაური ყვირილი, მაგრამ მისთვის კარგად ნაცნობი, - ბნედიანის ყვირილი ავი ზნის მოვლის წინ. სმერდიაკოვს ავმა ზნემ კიბეზე ჩასვლის დროს მოუარა, თუ დამტვრევის შედეგად დაემართა, ძნელი დასადგენია. ის სარდაფის იატაკზე დუჟმორეული და კრუნჩხვით შეპყრობილი იპოვეს. ჯერ ეგონათ, რამე მოიტეხაო: ან ფეხი, ან ხელი, ან სხვა რამ დაუშავდაო, მაგრამ „ღმერთმა დაიფარა“, როგორც ეს მარფა იგნატიევნამ აღნიშნა. არაფერი ამგვარი არ მომხდარა, მხოლოდ სარდაფიდან მისი ზემოთ ამოტანა გაუჭირდათ. მეზობლებს სთხოვეს დახმარება და როგორღაც ამოათრიეს. ამ ცერემონიას ესწრებოდა თავად ფიოდორ პავლოვიჩი, თვითონაც ეხმარებოდა, ეტყობოდა, მეტისმეტად შეშინებული და დაბნეული იყო. ავადმყოფი გონზე არ მოდიოდა, თუმცა შეტევა ხანდახან გადაუვლიდა, მაგრამ ისევ დაეწყებოდა ხოლმე. ყველა ფიქრობდა, რომ ავადმყოფობა ისევე განვითარდებოდა, როგორც შარშან, როცა იგი სხვენიდან ჩამოვარდა. გაიხსენეს, რომ მაშინ კეფაზე ყინულს ადებდნენ. ყინული სარდაფში ნახეს. მარფა იგნატიევნას თხოვნით, ფიოდორ პავლოვიჩმა ექიმ ჰერცენშტუბესთან აფრინა კაცი. ექიმი სასწრაფოდ იქ გაჩნდა. მან ავადმყოფი გულდასმით გასინჯა (ეს ხანშიშესული და ღირსეული პიროვნება ყველაზე გულისხმიერი და ყურადღებიანი ექიმი იყო მთელ გუბერნიაში) და დაასკვნა, რომ შეტევა საგანგაშოა და „შესაძლოა ცუდადაც დამთავრდესო“, რომ, ჯერჯერობით, კარგად ვერ გაარკვია ყველაფერი, მაგრამ თუ ახლანდელმა საშუალებებმა არ უშველა, მაშინ ხვალ დილით სხვა წამალს დაუნიშნავდა. ავადმყოფი ფლიგელში დააწვინეს გრიგორისა და მარფასთან ახლოს. ამის შემდეგ ფიოდორ პავლოვიჩს უსიამოვნება უსიამოვნებაზე შეხვდა: სადილი მარფამ მოამზადა, სმერდიაკოვის სუფთან შედარებით, მარფას დამზადებული წვნიანი უგემურზე უგემური აღმოჩნდა, ხოლო ქათმის ხორცი ისე მაგარი, დაღეჭვაც არ შეიძლებოდა. ბატონის მწარე, მაგრამ სამართლიან შენიშვნაზე მარფამ სიტყვა შეუბრუნა, რომ ქათამი ბებერი იყო და, საერთოდ, მე მზარეული არ

ვარო. საღამოსათვის სხვა საზრუნავი გაუჩნდა: გრიგორი, რომელიც უკვე მესამე დღე იყო, ავადმყოფობდა, ლოგინად ჩაწვა; წელში ვეღარ იმართებოდა. ფიოდორ პავლოვიჩმა ვახშმობა ადრე დაამთავრა და სახლში ჩაიკეტა. საშინელმა და შემაშფოთებელმა მოლოდინმა შეიპყრო, ვინაიდან სწორედ ამ საღამოს ელოდა გრუშენკას - დილით ადრე სმერდიაკოვმა შეატყობინა: „აუცილებლად მოვაო“. დაუდგრომელ ბებრუცუნას გული უფანცქალებდა, ყურებდაცქვეტილი ბოლთას სცემდა ცარიელ ოთახებში: ძალიან ყურადღებით უნდა იყოს, შესაძლოა, გრუშენკას მიტკა სადმე ჩაუსაფრდეს. ამიტომ როგორც კი გრუშენკა ფანჯარაზე დააკაკუნებს (სმერდიაკოვმა ჯერ კიდევ სამი დღის წინ დაარწმუნა ბატონი, რომ გრუშენკამ იცის, სად და როგორ დააკაკუნოს), სასწრაფოდ უნდა გაუღოს კარი. არც ერთი წამით არ უნდა დააყოვნოს წინკარში, თორემ შეიძლება ქალს შეეშინდეს და უკან გაიქცეს. ფიოდორ პავლოვიჩი ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ ჯერ არასოდეს ყოფილა მისი გული ასე ტკბილი იმედებით სავსე, როგორც ახლა: დღეს აუცილებლად მოვა, ამჯერად აუცილებლად მოვა!

წიგნი მეექვსე. რუსი ბერმონაზონი

I ბერი ზოსიმა და მისი სტუმრები

როცა ბერის ავადმყოფობით შეშფოთებული და გულდამძიმებული ალიოშა სენაკში შევიდა, გაოგნებული დარჩა: თითქმის სულთმობრძავი მომაკვდავის ნაცვლად, რისი შიშიც ჰქონდა, სავარძელში მჯდარი ბერი დახვდა, სისუსტისაგან დაუძლურებული, მაგრამ მხნე და მხიარული გამომეტყველებით, სტუმრებით გარშემორტყმული და მოსაუბრე. იგი საწოლიდან ალიოშას მოსვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე ამდგარა; სტუმრებს კი მის სენაკში უფრო ადრე მოუყრიათ თავი და იცდიდნენ, სანამ გაიღვიძებდა, რადგან მამა პაისი დაჟინებული ამტკიცებდა: „მოძღვარი აუცილებლად ადგება, რომ კიდევ ერთხელ გაესაუბროს თავის გულითად მეგობრებს - ასე მითხრა მან, თავად დამპირდა ამ დილითო“. ამ დაპირებისა და საერთოდ მომაკვდავი ბერის ყოველი სიტყვა მტკიცედ სჯეროდა მამა პაისის, ბერი სულ უგონოდაც რომ ყოფილიყო და არც დაჰპირებოდა - კიდევ ერთხელ ავდგები და ყველას გამოვეთხოვებიო, მკვდარიც რომ ენახა, მის სიკვდილსაც არ დაიჯერებდა, მაინც ექნებოდა იმედი, მკვდარი აღდგება და აღთქმულს შეასრულებსო. დილით ბერმა ზოსიმამ დაძინებამდე განუცხადა: „მანამ არ მოვკვდები, სანამ კიდევ ერთხელ არ დავტკბები თქვენთან, ჩემს გულითად და საყვარელ ადამიანებთან მუსაიფით, თქვენს სანდომიან სახეებს კიდევ ერთხელ გადავავლებ თვალს და კიდევ ერთხელ გადაგიშლით ჩემს გულისნადებს.“ ამ ალბათ უკანასკნელი საუბრისათვის შეიკრიბნენ ბერთან მისი ძველისძველი მეგობრები. ისინი ოთხნი იყვნენ: მღვდელ-მონაზვნები - მამა იოსიფი და მამა პაისი; სავანის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი მიხეილი, არც თუ ისე მოხუცი, არც ისე განათლებული, წარმოშობით მდაბიო, მაგრამ მტკიცე ხასიათის პატრონი, ღრმად მორწმუნე, პირქუში, მაგრამ ძალიან გულჩვილი, თუმცა ძალიან რცხვენოდა თავისი გულჩვილობის; მეოთხე სტუმარი გახლდათ ღრმად მოხუცი უბრალო ბერმონაზონი, წარმოშობით ღარიბი გლეხი, მამა ანფიმი, თვინიერთა შორის უთვინიერესი, თითქმის გაუნათლებელი, სიტყვაძვირი და წყნარი ადამიანი, იშვიათად დაელაპარაკებოდა ხოლმე ვინმეს, მას მისი გონებისათვის მიუწვდომელი რაღაცა საზარელი დიდი რამით სამუდამოდ შეშინებული კაცის გამომეტყველება ჰქონდა. ეს შიშნეული ადამიანი მამა ზოსიმას ძალიან უყვარდა და მთელი სიცოცხლე დიდ პატივს სცემდა, თუმცა ცხოვრებაში მისთვის მხოლოდ ორიოდე სიტყვა თუ უთქვამს, მიუხედავად იმისა, მთელი რუსეთის წმიდა ადგილები ერთად ჰქონდათ მოვლილი. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, ასე ორმოცი წელი იქნება მას შემდეგ, როცა ბერი ზოსიმა ბერად აღიკვეცა ერთ-ერთ ღარიბ-ღატაკ, ნაკლებად ცნობილ კოსტრომის მონასტერში, საიდანაც მამა ანფიმთან ერთად დაიწყო მოგზაურობა მთელ რუსეთში ამ მონასტრისათვის შეწირულობების მოსაგროვებლად. სტუმრებმაც და მასპინძელმაც თავი მოიყარეს ბერის მეორე ოთახში, იქ, სადაც საწოლი იდგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ოთახი ძალიან ვიწრო იყო, ამიტომ ოთხივე სტუმარი ძლივს განლაგდა ბერის სავარძელთან წინა ოთახიდან შემოტანილ სკამებზე. იქვე ფეხზე იდგა მორჩილი პორფირი. უკვე ღამე ისადგურებდა და

ოთახს ანათებდა ხატების წინ ანთებული კანდელების და სანთლების შუქი. ზღურბლზე შემკრთალი ალიოშას დანახვამ ბერი ძალიან გაახარა და ხელი გაუწოდა.

- გამარჯობა, მშვიდო კაცო და გამარჯობა ძვირფასო, შენც აქა ხარ. ვიცოდი, მოხვიდოდი.

ალიოშა მიეახლა, ჩაიმუხლა მის წინ და ატირდა - რაღაც აწუხებდა, რაღაც უშფოთებდა სულს, ქვითინი უნდოდა.

- რა მოგდის, მოიცა, მერე დამიტირე, - გაუღიმა ბერმა და მარჯვენა ხელი თავზე დაადო, - ხომ ხედავ, ვზივარ და ვსაუბრობ, შესაძლოა, კიდევ ოცი წელი ვიცოცხლო, როგორც გუშინ იმ კეთილმა და სანდომიანმა ვიშეგორიელმა მისურვა, პატარა ლიზავეტას დედამ. ღმერთო, დალოცე დედა და შვილი (მან პირჯვარი გადაიწერა). პორფირი, წაიღე მისი ძღვენი იქ, სადაც გთხოვე?

მან გუშინდელი ექვსი გრივნა გაიხსენა, მისმა მხიარულმა თაყვანისმცემელმა ქალმა რომ შესწირა „მასზე ღარიბ-ღატაკისათვის“ გადასაცემად. ასეთი შესაწირავი ეპიტიმიასავითაა, რაღაცისათვის საკუთარ თავზე ნებაყოფილობით აღებული ვალდებულება, აუცილებლად ფულადი ფორმით გამოხატული, ფული საკუთარი შრომით ნაშოვნი უნდა იყოს. ეს შემოწირულობა ბერმა, მორჩილი პორფირის მეშვეობით, მრავალშვილიან ქვრივს გაუგზავნა, რომელიც სახლის დაწვის შემდეგ მათხოვრობდა. პორფირიმ ბერს შეატყობინა: რომ დავალება შეასრულა, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ფული ქვრივს გადასცა და უთხრა: „უცნობმა ქველმოქმედმა“ გამოგიგზავნაო.

- წამოდექ, ძვირფასო, - კვლავ მიმართა ბერმა ალიოშას, - კარგად შემოგხედო. იყავი შენიანებთან, ნახე შენი ძმა?

ალიოშას უცნაურად მოეჩვენა, ბერი რომ დაჟინებით მხოლოდ ერთ ძმაზე ეკითხებოდა, ალბათ იმაზე, ვისი გულისთვისაც გუშინ ალიოშა ქალაქში გააგზავნა.

- ერთი ძმა ვნახე, - მიუგო ალიოშამ.

- მე იმაზე გეკითხები, უფროსზე, რომლის წინაშეც გუშინ მუხლი მოვიყარე და პირქვე დავემხე.

- ის მხოლოდ გუშინ ვნახე, დღეს კი ვერსად შევხვდი, - თქვა ალიოშამ.

- იჩქარე, სასწრაფოდ ნახე, ხვალ აუცილებლად წადი, ყველაფერი მიატოვე და წადი, იქნებ მიუსწრო და თავიდან აარიდო რაღაც საშინელება. მე მას გუშინ მომავალი დიდი ტანჯვის გამო მუხლმოყრით თაყვანი ვეცი.

ანაზდად დადუმდა და ფიქრებში წავიდა. რაღაც უცნაური რამ თქვა. ბერის გუშინდელი მუხლმოდრეკით თაყვანისცემის მოწმემ, მამა იოსიფმა მამა პაისის გადახედა. ალიოშამ ვეღარ მოითმინა.

- მამავ და მოძღვარო, - განსაკუთრებული მღელვარებით წარმოთქვა მან, - ვერაფერი გავიგე... რა ტანჯვა ელის ასეთი?

- ცნობისმოყვარეობას შეეშვი. გუშინ რაღაც საშინელება მომეჩვენა... თითქოს მისმა ერთმა გამოხედვამ მთელი მისი ბედ-იღბალი გამოხატა. წამიერად ჰქონდა მას ასეთი გამომეტყველება... და მეც წამიერად შემაშფოთა იმან, თუ რას უმზადებდა ეს კაცი თავის თავს. ერთი-ორჯერ მქონდა ჩემს ცხოვრებაში შემთხვევა, მენახა სახის ამგვარი გამომეტყველება... რაც გამოხატავდა ამ ადამიანების საშინელ მომავალს, ვაი, რომ ყველაფერი ახდა. მე შენს ძმასთან იმიტომ გაგგზავნე, ჩემო ალექსეი, ვფიქრობდი, შენი კეთილგანწყობილი იერსახე რამეში დაეხმარებოდა მას. მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ღმერთის ნებითაა, ყველა ჩვენგანის ბედისწერა. „თუკი მიწაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება; თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს“. კარგად დაიმახსოვრე ეს. ალექსეი, მე ჩემს ფიქრებში ბევრჯერ დამილოცნიხარ შენი სახის გამო, იცოდე ეს, - თქვა ღიმილით ბერმა, - მე ასე ვფიქრობ: გახვალ ამ მონასტრის კედლებიდან და იცხოვრებ სოფლად როგორც მონაზონი. ბევრი მოწინააღმდეგე გეყოლება, მაგრამ თავად შენს მტრებსაც ეყვარები. ცხოვრებაში ბევრ უბედურებას გადაიტან, მაგრამ სწორედ იმ უბედურებებით იქნები ბედნიერი, სიცოცხლეს თავადაც დალოცავ და სხვასაც დაალოცვინებ - ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. ასეთი ადამიანი ხარ შენ. მამანო და მოძღვარნო ჩემნო, - ღიმილით მიმართა გულაჩუყებულმა ბერმა თავის სტუმრებს, - დღემდე არასოდეს მითქვამს არც მისთვის და არც თქვენთვის, რატომ იყო ასე ძვირფასი ჩემთვის ამ ჭაბუკის სახე. ახლა მხოლოდ ამას ვიტყვი: ეს სახე ჩემთვის მოგონებაც იყო და წინასწარმეტყველებაც. ჩემი ყრმობის დროს უფროსი ძმა მყავდა, რომელიც ჩემს მეხსიერებაში მარად ჭაბუკი დარჩა, ჩვიდმეტი წლის გარდაიცვალა. ჩემი ცხოვრების შემდგომ წლებში თანდათანობით დავრწმუნდი, რომ ჩემი ძმა ზეციერის მიერ ჩემი სვებედის განმგებლად იყო დანიშნული, ის რომ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილიყო, ასე მგონია, მონაზვნად არასოდეს აღვიკვეცებოდი და არ დავადგებოდი ამ ძვირფას გზას. პირველი გამოცხადება ბავშვობაში მქონდა. და აი ახლა, სიცოცხლის მიწურულს, კვლავ გამომეცხადა მისი ორეული. სასწაულია ეს, მამანო და მოძღვარნო ჩემნო, ალექსეი რომც არ იყოს სახით მისი მსგავსი, სულიერად ისე ეთანადება მას, რომ ბევრჯერ მგონებია: ეს ის არის, ჩემი უფროსი ძმა, მოსული ჩემთან ჩემი ცხოვრების მიწურულს, ფარულად, თავის გასახსენებლად და გულში ჩასაწვდომად-მეთქი, მიკვირდა კიდეც ჩემი თავისა და ჩემი ოცნების. პორფირი, გაიგონე, რაც ვთქვი, - მიმართა მან თავის მომსახურე მორჩილს, - ძალიან ხშირად შემიმჩნევია შენს სახეზე წყენა, თითქოს მე ალიოშა უფრო მიყვარდეს, ვიდრე შენ. ახლა იცი, რატომაც იყო ასე, მაგრამ ისიც იცოდე, შენც მიყვარხარ და ბევრჯერ დავმწუხრებულვარ იმაზე, შენ რომ ეს ამბავი გწყინდა. თქვენ კი, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, მსურს მოგითხროთ ჩემს ჭაბუკ ძმაზე, რამეთუ ჩემს სიცოცხლეში არ ყოფილა სხვა მსგავსი რამ, მასზე უძვირფასესი, მასზე მეტად წინასწარმეტყველური და ამაღელვებელი. ახლა თვალწინ გადამეშალა მთელი ჩემი ცხოვრება და გული ამიჩუყდა, თითქოს ყველაფერი ხელახლა, თავიდან უნდა განვიცადო...

აქვე მინდა შევნიშნო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეს თავის სტუმრებთან

ბერის საუბარი ნაწილობრივ წერილობითი სახით არის შემონახული. ბერის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალექსეი კარამაზოვმა ჩაიწერა, რაც ახსოვდა. მაგრამ სრულია თუ არა ამ საუბრის ჩანაწერი, ან ალიოშამ მოძღვრის მიერ სხვა დროს მონაყოლიც დაუმატა თუ არა, ამის თქმა არ შემიძლია. ჩანაწერში ბერის ნაუბარი უწყვეტად მიედინება, თითქოს თავად მისი დაწერილი იყოს. მაგრამ ეს, ცხადია, ასე არ იქნებოდა. როგორც შემდგომში ყვებოდნენ, იმ დღეს ზოგადი საუბარი გაიმართა. თუმცა სტუმრები მასპინძელს იშვიათად აწყვეტინებდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც ერთვებოდნენ ლაპარაკში, შესაძლოა, თავადაც ჰყვებოდნენ რამეს. გარდა ამისა, მოყოლის უწყვეტობა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ბერს დროგამოშვებით სუნთქვა ეკვროდა, ხმას კარგავდა, ერთხელ დივანზეც კი წამოწვა, თუმცა არ დაუძინია და სტუმრებსაც არ დაუტოვებიათ თავიანთი ადგილები. ერთი-ორჯერ საუბარი სახარების კითხვამ შეცვალა. სახარებას მამა პაისი კითხულობდა. ისიც აღსანიშნავია, არც ერთ მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი იმ ღამეს გარდაიცვლებოდა, რადგან სწორედ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ საღამოს, დღის ღრმა ძილის შემდეგ, მას ახალი ენერგია გაუჩნდა, რამაც საშუალება მისცა, მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ხანგრძლივ საუბარში. ეს იყო გრძნობების უკანასკნელი მოზღვავება, რომელმაც მისი არაჩვეულებრივი გამოცოცხლება გამოიწვია... ვაი, რომ მცირე ხნით, რადგან უცებ გარდაიცვალა... მაგრამ ამის შესახებ შემდგომ ვილაპარაკოთ. ახლა კი მინდა შეგატყობინოთ: ვამჯობინებ, არ შევუდგე ბერის საუბრის დაწვრილებით გადმოცემას და იგი მოგითხროთ ალიოშას ხელნაწერის მიხედვით. ეს უფრო მოკლე იქნება და არც ისე დამღლელი, თუმცა ვიმეორებ, შეიძლება ალიოშამ ამ ჩანაწერში ბევრი რამ დაუმატა ადრინდელი საუბრებიდან და გააერთიანა ისინი.

II ღვთივ განსვენებული მღვდელ-მონაზონის, ბერი ზოსიმას ცხოვრება, მისივე მონაყოლის მიხედვით, შედგენილი ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვის მიერ

ბიოგრაფიული ცნობები

ა) ამბავი ბერი ზოსიმას ჭაბუკი ძმის შესახებ

საყვარელო მამანო და მოძღვარნო ჩემნო, დავიბადე შორეული ჩრდილოეთის გუბერნიაში - ქალაქ ვში, არც ისე წარჩინებული და ჩინოსანი აზნაურის ოჯახში. ორი წლისა თუ ვიქნებოდი, მამა რომ გარდამეცვალა, თითქმის სულ არ მახსოვს. მემკვიდრეობით დაგვიტოვა პატარა ხის სახლი და არც ისე დიდი, მაგრამ უზრუნველი ცხოვრებისათვის საკმარისი რაღაც კაპიტალი. დედას ხელზე ორი ბავშვი დარჩა: მე, ზინოვი და ჩემზე რვა წლით უფროსი მარკელი - ხასიათით ფიცხი და ფხუკიანი, მაგრამ კეთილი ბიჭი, არ უყვარდა კაცის დაცინვა, ოჯახში ყველასთან: ჩემთან, დედასთან, მოახლესთან უცნაურად სიტვაძვირი იყო. გიმნაზიაში კარგად სწავლობდა, მაგრამ კლასელებთან არ ამხანაგობდა, თუმცა არც ჩხუბობდა მათთან - ასეთი დაამახსოვრდა იგი დედას. სიკვდილამდე ექვსი თვით ადრე, როცა 17 წლის შესრულდა, ერთ მარტოხელა კაცს დაუახლოვდა,

რომელიც მოსკოვიდან ჩვენს ქალაქში პოლიტიკური სარჩულით გადმოასახლეს. ეს პიროვნება საკმაოდ კარგი ფილოსოფოსი და უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერი გახლდათ. მას რატომღაც ძალიან შეუყვარდა მარკელი და ხშირად იწვევდა ხოლმე თავისთან. მთელი ზამთრის განმავლობაში მარკელი საღამოებს მასთან ატარებდა მანამ, სანამ მეცნიერი თავისი თხოვნით პეტერბურგში უკან არ დააბრუნეს, სახელმწიფო სამსახურში, ცხადია, მფარველების დახმარებით. დაიწყო დიდი მარხვა და მარკელმა უარი განაცხადა მარხვაზე, მასხარად იგდებდა ამ წესს და ამბობდა: „ყველაფერი ეს სისულელეა, არავითარი ღმერთი არ არსებობსო.“ ამ ამბავმა დედა და მოახლე ძალიან შეაშფოთა, ის კი არა, მეც, ცხრა წლის ბიჭი, სასტიკად შემაშინა მისმა სიტყვებმა. ოთხი შინაყმა გვემსახურებოდა, მახსოვს, იმ ოთხიდან ერთ-ერთი, ხანშიშესული და კოჭლი ქალი, მზარეული აფიმია, დედამ სამოც მანეთად გაყიდა და მის მაგივრად აზატი მსახური ავიყვანეთ. დიდი მარხვის მეექვსე კვირას მოულოდნელად ჩემი ძმა ცუდად შეიქნა. საერთოდ, ავადმყოფი (ჭლექისადმი მიდრეკილი), სუსტი აგებულების, აწოწილი და გაძვალტყავებული, მაგრამ ძალზე სანდომანი სახის ყმაწვილი იყო. მგონი გაცივდა. როცა ექიმი მოვიდა და გასინჯა, დედას გადაუჩურჩულა, სწრაფმდინარი ჭლექი აქვს და შესაძლებელია გაზაფხულამდე ვეღარ გაატანოსო. დედას ტირილი აუტყდა, ჩემს ძმას ფრთხილად შეაპარა (ალბათ იმიტომ, რომ არ შეეშინებინა): მარხვა შეინახე, წადი და ეზიარეო. მაშინ ჩემი ძმა ჯერ კიდევ ფეხზე დადიოდა. დედის ასეთმა თხოვნამ ძალიან გააბრაზა და დაიწყო ღვთის ტაძრის გმობა, მაგრამ ანაზდად ჩაფიქრდა: მიხვდა, რომ სერიოზულადაა ავად და ამიტომაც ურჩევს მშობელი დედა მარხულობას და საზიარებლად წასვლას, სანამ ჯერ კიდევ ძალა ჰყოფნის. ისე კი, კარგად იცოდა, რაც სჭირდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სუფრაზე მე და დედაჩემს მშვიდად გამოგვიცხადა: „ამქვეყნად სიცოცხლე დიდხანს არ მიწერია, შესაძლოა, კიდევ ერთი წელი დამრჩაო.“ თითქოს იწინასწარმეტყველა. სამი დღის შემდეგ ვნების კვირა დადგა. სამშაბათიდან მარხულობა დაიწყო და წირვაზეც წავიდა. „ამას, დედიკო, თქვენთვის ვაკეთებ, რომ გაგახაროთ და დაგამშვიდოთ“, - ეუბნებოდა იგი დედას. დედა, ცალკე სიხარულისაგან და ცალკე მწუხარებისაგან, ატირდა. „ალბათ მალე მოვა მისი აღსასრული, რაკი ასეთი ცვლილებები დაეწყო,“ - წუხდა იგი. ეკლესიაში დიდხანს არ უვლია, მალე ლოგინად ჩავარდა, ისე რომ მღვდელმა შინ ათქმევინა აღსარება და აზიარა. გაზაფხულის ნათელმა და სურნელოვანმა დღეებმა მატება დაიწყო, გვიანი აღდგომა იყო. მახსოვს, მთელი ღამე ახველებდა, ცუდად ეძინა. ყოველ დილით იცვამდა და რბილ სავარძელში ჯდებოდა. ასე დამამახსოვრდა ის: ჩუმად მჯდარი და მომღიმარი, ავადმყოფი, მაგრამ სიხარულით აღსავსე. სულიერადაც სულ შეიცვალა - უცნაური გარდაქმნა მოხდა! ადრე, როცა მასთან მოხუცი ძიძა შედიოდა და სთხოვდა: „ნება მომეცი, ჭირიმე, ხატის წინ კანდელს აგინთებო“, ის ნებას არ რთავდა, თუ მაინც აანთებდა, აქრობდა. ახლა კი: „აანთე, ძვირფასო, აანთე, მხეცი ვიყავი, მაშინ რომ არ გრთავდი ნებას. შენ კანდელის ანთების დროს ლოცულობ, გახარებული გიყურებ ხოლმე და მეც ვლოცულობ, შენთან ერთად ვლოცულობ.“ ეს სიტყვები ყველას გვეუცნაურებოდა, დედა კი თავის ოთახში გავარდებოდა და იქ გულამოსკვნილი ტიროდა. როცა დედა მასთან ოთახში შედიოდა, თვალებზე ცრემლებს შეიმშრალებდა და მხიარულ იერს იღებდა ხოლმე. „დედილო, ნუ ტირი, ძვირფასო, - ეუბნებოდა ხანდახან, - კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, დიდხანს ვიქნებით ერთად,

ბევრს ვიმხიარულებთ, სიცოცხლე ხომ სიხარულია!“ - „ეჰ, შვილო, რა დროს სიხარულია, როცა მთელი ღამე სიცხით იწვი და ხველება გახრჩობს.“ - „დედა, - პასუხობდა იგი, - ნუ ტირი, ცხოვრება სამოთხეა, ჩვენ ყველანი სამოთხეში ვცხოვრობთ, მაგრამ არ გვინდა ამის გაგება, როგორც კი ამას შევიგნებთ, უმალვე მთელი ქვეყანა სამოთხედ იქცევა.“ ასეთი სიტყვებით ყველას აკვირვებდა, ძალიან უცნაურად და დარწმუნებით ლაპარაკობდა, ყველას გული უჩუყდებოდა და ეტირებოდა. ჩვენთან მის სანახავად მოსულ ნაცნობებს ეტყოდა ხოლმე: „ჩემო კარგებო, რით დავიმსახურე თქვენი სიყვარული, რატომ გიყვარვართ ასე, რატომ ადრე არ ვიცოდი და არ ვაფასებდი თქვენს სიყვარულს?!“ მასთან შესულ მსახურებს კი ასე მიმართავდა: „რატომ მემსახურებით, ჩემო ძვირფასებო, განა მე ამის ღირსი ვარ?! თუ ღმერთმა შემიწყალა და ცოცხალი დამტოვა, თქვენი მსახური გავხდები, რამეთუ ჩვენ ყველა ერთმანეთს უნდა ვემსახუროთ.“ უსმენდა ამას დედა, თავს გააქნევდა და ეუბნებოდა: „ჩემო ძვირფასო, ამას ავადმყოფობა გალაპარაკებს“. ის კი პასუხობდა: „დედიკო, ჩემო სიხარულო, თუ ასე აუცილებელია ბატონებისა და მსახურების არსებობა, მაშინ მე გავხდები ჩემი მსახურების მსახური, ისეთივე, როგორებიც ისინი ახლა არიან ჩემთვის. კიდევ ერთს გეტყვი, დედაჩემო, ერთმანეთის მიმართ ყველა დამნაშავე ვართ, მე კი ყველაზე უფრო მეტად“. დედას გაეცინა, თან ტიროდა, თან იცინოდა: „შენ რატომ ხარ ყველას წინაშე დამნაშავე, ამქვეყნად იმდენი მკვლელი, იმდენი ყაჩაღია, შენ რაღა ცოდვა გაქვს ისეთი, რომ თავს იდანაშაულებ?“ - „დედილო, ჩემო სისხლო და ხორცო, - პასუხობდა იგი, - ჩემო საყვარელო დედავ, იცოდე, რომ ჭეშმარიტად ყველა ყველას წინაშე დამნაშავეა ყველასა და ყველაფრისათვის. მე არ ვიცი, ეს როგორ ავხსნა, ამას ტკივილამდე ვგრძნობ. როგორ ვცხოვრობდით ადრე მუდამ დაბოღმილები და არაფერი ვიცოდით მაშინ?“ ასეთ გუნებაზე დგებოდა ყოველ დილით, გულაჩუყებული და სიხარულით აღსავსე. როცა გერმანელი ექიმი, მოხუცი ეიზენშმიტი მოვიდოდა ხოლმე, ხუმრობით ეკითხებოდა: „როგორაა საქმე, ექიმო, ერთ დღეს კიდევ ვიცოცხლებ?“ - „ერთს კი არა, კიდევ ბევრ დღეს იცოცხლებთ, მრავალ წელსა და უამრავ თვეს“, - ეუბნებოდა ექიმი. „რად მინდა წლები, რად მინდა თვეები, - წამოიძახებდა ხოლმე ის, - როცა ერთი დღეც საკმარისია ადამიანის ბედნიერებისათვის. ძვირფასნო ჩემნო, რისთვის ვკინკლაობთ, რისთვის ვაწონებთ თავებს ერთმანეთს, რატომ ვართ ერთმანეთთან უბრად, წავიდეთ ბაღში სასეირნოდ და გულის გასახარებლად; გვიყვარდეს, ვაქოთ და ვადიდოთ ერთმანეთი, ვეფეროთ ერთურთს და ამ სიცოცხლისათვის მადლი მოვახსენოთ უფალს.“ ერთხელ, როცა დედა აცილებდა ექიმს, მან გადაუჩურჩულა: „დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია თქვენს შვილს, ავადმყოფობისაგან ჭკუიდან გადადის.“ ჩემი ძმის ოთახის ფანჯრები ბაღში გადიოდა. ბაღი კი მრავალწლოვანი ხეებით იყო დაბურული. ხეებს კვირტები ასკდებოდა და ირგვლივ ნაადრევად მოფრენილი ჩიტების ჟივილ-ხივილი ისმოდა. ანაზდად მან სიყვარულით გადახედა ჩიტუნებს და დაიწყო პატიების თხოვნა: „ღვთიურო ჩიტუნებო, მხიარულო ჩიტუნებო, შემინდეთ მე ცოდვილს, რამეთუ მე თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ.“ მაშინ ამის გაგება არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო, ის კი სიხარულისაგან ტიროდა: „მე მთელი ჩემი ცხოვრება ისე სამარცხვინოდ ვიცხოვრე, რომ ეს ღვთის მადლცხებული ჩიტუნები, ხეები, ველ-მინდვრები, ცა და დედამიწა მთელი თავისი დიდებითა და მშვენიერებით ვერც კი შევამჩნიე“. - „ძალიან დიდ ცოდვას ნუ იღებ თავზე“, - ტირილით ეუბნებოდა დედა. „დედიკო,

ჩემო სიხარულო, მე ხომ სიხარული მატირებს და არა მწუხარება; მე თავად მინდა, მათ წინაშე დამნაშავე ვიყო, არ შემიძლია აგიხსნა, როგორ მინდა მათი შეყვარება. დაე, ყველას წინაშე ცოდვილი ვიყო, სამაგიეროდ ყველა შემინდობს და მაშინ დადგება ნამდვილი სამოთხე ამქვეყნად. განა ახლა სამოთხეში არა ვარ?“

კიდევ ბევრი რამ ითქვა და ბევრი რამ მოხდა. ყველაფერს ახლა ვერც ვიხსენებ და ვერც აღვწერ. მახსოვს, ერთხელ მასთან შევედი, მარტო იყო. საღამო ხანი იდგა და ჩამავალი მზე თავისი ირიბი სხივებით ანათებდა ოთახს. შემამჩნია თუ არა, ხელი დამიქნია. მეც მივედი ახლოს. ხელები მხრებზე მომხვია და გულაჩუყებული თვალებში სიყვარულით ჩამაცქერდა. ასე ერთ წუთს მიყურა, მერე მითხრა: „წადი ახლა, წადი და ითამაშე, ჩემს მაგივრადაც იცხოვრე!“ მე გამოვედი და სათამაშოდ წავედი. შემდგომში ყოველთვის თვალაცრემლებული ვიგონებდი, როგორ მთხოვა, ჩემ მაგივრადაც იცხოვრეო. კიდევ ბევრი ამდაგვარი უცნაური და მშვენიერი, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი სიტყვები უთქვამს. გარდაიცვალა აღდგომის შემდეგ, მესამე კვირაში, გონზე იყო, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეცვლილა მისი სახე, გაბრწყინებული თვალებით გვიყურებდა და გვიღიმოდა. მისი გარდაცვალების შესახებ მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. მისმა გარდაცვალებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. დასაფლავების დღეს ბევრი ვიტირე, ნორჩი ვიყავი, ჯერ კიდევ ბალღი და ჩემს გულს წარუხოცელ დაღად დააჩნდა ყოველივე. თავის დროზე ყველაფერს თავი უნდა ეჩინა. და ასეც მოხდა.

ბ) საღვთო წერილის მნიშვნელობა მამა ზოსიმას ცხოვრებაში

მე და დედა მარტო დავრჩით. დედაჩემს კეთილმა ნაცნობებმა ურჩიეს: ერთი შვილიღა დაგრჩათ, ღარიბი არა ხართ, რაღაც კაპიტალი გაქვთ, მიჰბაძეთ სხვებს და გაგზავნეთ ბავშვი პეტერბურგში სასწავლებლად, აქ თუ დატოვებთ, შეიძლება კარგ ბედ-იღბალს ასცდეს. პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მიაბარეთ, იქიდან საიმპერატორო გვარდიაში ადვილად მოხვდებაო. დედა დიდხანს ყოყმანობდა: ერთადერთ შვილს როგორ დავშორდეო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, თუმცა ეს გადაწყვეტილება სულ ტირილ-ტირილით მიიღო - ვაითუ, შვილის ბედნიერებას ხელი შევუშალოო. გავემგზავრეთ პეტერბურგში და დედამ კადეტთა კორპუსში მიმაბარა. მას შემდეგ დედა აღარ მინახავს, რადგან სამი წლის მერე გარდაიცვალა - ორივე შვილის დარდმა გადაიყოლა. მშობლიური სახლიდან მხოლოდ უძვირფასესი მოგონებები გამომყვა. ბავშვობის მოგონებები ყოველთვის უძვირფასესია ისეთი ადამიანისათვის, რომელიც მოსიყვარულე ოჯახში გაიზარდა. თუმცა ყველაზე ცუდი ოჯახიდანაც შეიძლება გამოგყვეს კარგი მოგონება, თუკი შენს სულს უნარი აქვს, გაარჩიოს ავი და კარგი. ყველაზე სასიამოვნო გასახსენებელი ჩემი ბავშვობიდან არის მოგონება, რომელიც დაკავშირებულია საღვთო ისტორიასთან. იქ, მშობლიურ სახლში, კარგად შევისწავლე ერთი ლამაზსურათებიანი წიგნი საღვთო ისტორიისა - „ძველი და ახალი აღთქმის 104 წმინდა ისტორია“. კითხვაც კი ამ წიგნით შევისწავლე. ახლაც აგერ მიდევს თაროზე. როგორც უძვირფასეს მოგონებას, ისე ვინახავ. მაგრამ სანამ კითხვას ვისწავლიდი, პირველად, ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში, მახსოვს

რაღაც გულში ჩამწვდომი, სულიერი რამ დამეუფლა. დედამ ტაძარში მარტო მე წამიყვანა (არ მახსოვს, სად იყო მაშინ ჩემი ძმა) ვნების კვირის დიდი ორშაბათის წირვაზე. ნათელი დღე იდგა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ასდიოდა საცეცხლურიდან გუნდრუკს კვამლი და ნელ-ნელა მაღლა მიემართებოდა. გუმბათის ვიწრო სარკმლიდან ღვთიური სხივი გვეფინებოდა, სწორედ ამ სხივს კლაკვნით მიჰყვებოდა კვამლი და საბოლოოდ მასში ითქვიფებოდა. თვალცრემლიანი შევცქეროდი ამ სურათს და პირველად ცხოვრებაში ჩემმა სულმა მიიღო და გააზრებულად გაითავისა საღვთო სიტყვა. ტაძრის შუაში გამოვიდა ყმაწვილი, რომელსაც ხელთ დიდი წიგნი ეჭირა. მომეჩვენა, თითქოს წიგნი ისე დიდი იყო, ძლივს მოჰქონდა ბიჭს. მან წიგნი ანალოღიაზე[87] დადო, გადაშალა და კითხვა დაიწყო. მოულოდნელად, პირველად მივხვდი, რომ ღვთის ტაძარში თურმე კითხულობენ. ყუცის ქვეყანაში ერთი კაცი ცხოვრობდა, ალალი და ღვთისმოშიში.[88] ძალიან მდიდარი იყო. უამრავი ჯორ-აქლემი და ცხვარ-ძროხა ჰყავდა. მისი შვილები ლაღად და მხიარულად ატარებდნენ დროს. მამას ისინი ძალიან უყვარდა და ყოველდღე ღმერთს შესთხოვდა, ცოდვისაგან დაეფარა. ერთხელაც სატანა, უფლის შვილებთან ერთად, ღმერთის წინაშე წარსდგა და მოახსენა: მთელი დედამიწა და მიწისქვეშეთი მოვიარეო. „თუ იხილე იქ მონა ღვთისა იობი?“ - ჰკითხა უფალმა სატანას და თავისი ყველაზე დიდი წმინდა მონის ქება დაუწყო. სატანას უფლის სიტყვებზე გაეცინა და მოახსენა: „გადმომეც იგი და განახებ, რარიგ აბუზღუნდება შენი მორჩილი, როგორ წყევლა-კრულვას გამოგიგზავნის.“ გადასცა უფალმა თავისი საყვარელი წმინდანი სატანას, რომელმაც ყველა უბედურება ერთად დაატეხა თავს იობს: ამოუხოცა შვილები, წარსტაცა საქონელი, წაართვა მთელი სიმდიდრე და დატოვა ცარიელ-ტარიელი. ადგა იობი, შემოიხია ტანზე სამოსი, დაემხო მიწაზე და აღმოხდა: „შიშველი გამოვედი დედის საშოდან და შიშველი დავუბრუნდები მიწას. უფალმა მომცა და უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი აწ და მარადის!“ მამანო და მოძღვარნო, მაპატიეთ ეს ცრემლები, რამეთუ ამ წუთში თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობა, ახლაც ისევე ვსუნთქავ, როგორც მაშინ ვსუნთქავდი რვა წლის ბიჭუნას ფილტვებით და ისევე შევიგრძნობ საკვირველებას, შფოთვასა და სიხარულს, როგორც მაშინ. ახლაც თვალწინ მიდგას აქლემების ჯოგი, ღმერთთან მოლაპარაკე სატანა, თავად უფალი ღმერთი და მის მიერ დასაღუპავად განწირული, მიწაზე დამხობილი მოღაღადე იობი: „კურთხეულ იყოს, უფალო, სახელი შენი, მიუხედავად იმისა, რომ დამსაჯე“, მესმის ტაძრიდან ტკბილი გალობა: „დაე, აღსრულდეს ლოცვა ჩემი“ და თვალწინ მიდგას მღვდლის საცეცხლურიდან მბოლავი გუნდრუკი და მუხლმოდრეკილი მლოცველები! მას შემდეგ (გუშინაც კი გადავიკითხე ეს ისტორია) უცრემლოდ არ შემიძლია მისი კითხვა. რამდენი რამაა მასში დიდებული, იდუმალი და არაჩვეულებრივი! შემდგომში ხშირად მომისმენია მოქილიკეთა და მკრეხელების ამპარტავნული შენიშვნები: ეს რა ქნა უფალმა, როგორ მისცა სატანას სატანჯველად თავისი ყველაზე საყვარელი წმინდანი, წაართვა შვილები, დაასნეულა, წყლულებით დაუფარა სხეული და დოქის ნატეხით აფხეკინა ჩირქით სავსე იარები. რისთვის გააკეთა ღმერთმა ეს?! იმისათვის ხომ არა, რომ თავი მოეწონებინა სატანასთან: „დახე, რისი ატანა შეუძლია წმინდანს ჩემი გულისათვისო!“ მაგრამ სიდიადე სწორედ ის არის, რომ აქ საიდუმლოა დაფარული, - აქ გვერდიგვერდ მიმავალი მიწიერი ყოფიერებისა და მარადიული ჭეშმარიტების შეხება ხდება. ამქვეყნიურ

სინამდვილეში მარადიული სიმართლე აღესრულება. აქ შემოქმედი, როგორც შესაქმის პირველ დღეებში თავს იწონებდა თავისი ყოველდღიური ნამოქმედარით და ამბობდა: „ყველაფერი კარგია, რაც მე შევქმენიო“, - უყურებს იობს და ხარობს თავისი ქმნილებით. იობი კი, როცა ღმერთის სადიდებელს წარმოთქვამს, ემსახურება არა მარტო მას, არამედ მის შექმნილ ადამიანთა მოდგმას უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ მისი დანიშნულება ეს იყო. ღმერთო ჩემო, ეს რა მშვენიერი წიგნია, რა კარგი გაკვეთილებია! რა სასწაული რამაა საღვთო წერილი, რამდენ ძალას ჰმატებს ადამიანს! იგი სამყაროს, ადამიანის და ადამიანური ხასიათების მოდელს წარმოადგენს, მასში ყველაფერია ნათქვამი და წინასწარაა ყოველივე გათვალისწინებული უკუნითი უკუნისამდე. ახლა ის ვთქვათ, რამდენი ამოცნობილი და გაცხადებული საიდუმლოა იქ: ღმერთი კვლავ აღუდგენს იობს ყველაფერს, იგი ისევ გამდიდრდება, გადის წლები და მას შეეძინება ახალი შვილები, სხვა შვილები, მას უყვარს ისინი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, თითქოსდა „როგორ შეეძლო მას ახალი შვილების შეყვარება, როცა არც ერთი ადრინდელი ქალ-ვაჟი არ შერჩა, ყველა დაკარგა? იმათი გახსენებით განა შეიძლება კაცი სრულად ბედნიერი ყოფილიყო, როგორც ადრე, როგორადაც არ უნდა ჰყვარებოდა ახალი შვილები?“ თურმე შეიძლება: ადამიანის ცხოვრების დიადი საიდუმლოს მიხედვით, ძველი მწუხარება თანდათანობით ჩუმ, სევდანარევ სიხარულად გარდაიქმნება; სისხლმჩქეფარე ახალგაზრდობის ნაცვლად თვინიერი სიბერე დგება. ახლა ყოველდღიურად ლოცვა-კურთხევით ვხვდები ამომავალ მზეს, ვუმღერ მას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც უფრო დაისი მიყვარს, მზის ჩასვენება, მისი გრძელ-გრძელი ირიბი სხივები და ამავე დროს ჩუმი, ხანგრძლივი და კურთხეული ცხოვრების თანხმლები უწყინარი და გულამაჩუყებელი მოგონებები, ძვირფასი სახეებით - მაგრამ ყოველივე ამას ზეგარდმო უფლის სიმართლე ეფინება, გულამაჩუყებელი, შემარიგებელი და ყოვლისმიმტევებელი! სიცოცხლის მიწურულს კარგად ვიცი და მესმის ყოველივე, მაგრამ თითოეული დარჩენილი დღე უფრო და უფრო მძაფრად მაგრძნობინებს, როგორ უახლოვდება ჩემი მიწიერი ცხოვრება ახალ, უსასრულო და იდუმალებით მოცულ მომავალ ცხოვრებას. ამ წინათგრძნობისაგან აღტაცებულს გული მიფანცქალებს, გონება მინათლდება და სიხარულისაგან ვტირი... მეგობრებო და მოძღვარნო ჩემნო, არა ერთხელ გამიგონია და ამ ბოლო ხანებში კი გაუთავებლად ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩივიან ჩვენში ღვთის მსახურები, უფრო სწორად, სოფლის მღვდლები, თავიანთ მცირე შემოსავალზე, გაუსაძლისად დუხჭირ ცხოვრებაზე. ამას ისინი წერილობითაც აცხადებენ, თავად წამიკითხავს, რომ მათ აღარ შეუძლიათ, განუმარტონ ხალხს საღვთო წერილი, ვინაიდან მცირე გასამრჯელოს იღებენ. და თუ მოვა ვინმე ერეტიკოსი ან ლუთერანი და მრევლს წაართმევს, ეს მათ ნაკლებად აღელვებთ, დაე, წაართვას, რამეთუ მაინც არაფერი ხეირიაო! ღმერთო ჩემო! ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე - ღმერთმა მისცეს მათ მათთვის ასე საჭირო გასამრჯელო (რამეთუ მათი ჩივილი სამართლიანია), მაგრამ გულახდილად გეუბნებით: თუკი ვინმეა ამაში დამნაშავე, ნახევრად მაინც ჩვენი ბრალია! მართალია, მას დრო აღარა აქვს, ამას არ ტყუის, ისიც მართალია, მთელი დღე არაქათგამოცლილია ფიზიკური შრომითა და მღვდელმსახურებით, მაგრამ ხომ აქვს კვირაში ერთი თავისუფალი საათი მაინც ღმერთზე საფიქრელად. მთელი წლის განმავლობაში ხომ არ მუშაობს. კვირაში ერთხელ, საღამოობით მაინც შეკრიბე მრევლი, ჯერ ბავშვებს მოუყარე თავი,

შემდეგ, როცა მამები შეიტყობენ ამის შესახებ, ისინიც მოვლენ. ამისათვის სრასასახლეების აშენება არ არის საჭირო, საკუთარ ქოხშიც შეგიძლია მიიღო; რისი გეშინია, არაფერს გაგიფუჭებენ, მხოლოდ ერთი საათით შეიკრიბებიან. გაშალე საღვთო წერილი და დაიწყე ქადაგება ამპარტავნობისა. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე, უბრალოდ და გულიანად, თავად უნდა ხარობდე, რომ მსმენელები გყავს, ესმით შენი, სიამოვნებთ ღვთის სიტყვების მოსმენა. ქადაგების დროს ხანდახან გაჩერდი და განუმარტე მათ მდაბიოთათვის გაუგებარი რომელიმე სიტყვა, ნუ გეშინია, ყველაფერს გაიგებენ, ყველაფერს გაიგებს მართლმადიდებელი ქრისტიანის გული! წაუკითხე მათ აბრაამისა და სარას, ისააკის და რებეკას შესახებ, იმის შესახებ, როგორ მივიდა იაკობი ლაბანთან[89], როგორ ებრძოდა სიზმარში ღმერთს და როგორ თქვა: „რა საშიში ყოფილა ეს ადგილიო“, - წაუკითხავ ამ ამბებს და გააოცებ ღვთისმოსავ მდაბიოთა გონებას. განსაკუთრებით ბავშვებს წაუკითხე, როგორ გაყიდეს ძმებმა ყრმა იოსებ მშვენიერი, სიზმრის ამხსნელი და დიდი წინასწარმეტყველი, შემდეგ როგორ მივიდნენ ისინი მამასთან და უთხრეს: შენი შვილი მხეცმა დაგლიჯაო და ანახეს მისი სისხლიანი ტანსაცმელი. მერმე განაგრძე - როგორ ჩავიდნენ ძმები ეგვიპტეში პურის საშოვნელად, სადაც ამ დროს იოსები ეგვიპტის ფარაონთან ყველაზე დაახლოებულ დიდებულს წარმოადგენდა და როგორ ვერ იცნეს ძმებმა ის. შემდეგ როგორ აწვალებდა იოსები მათ, როგორ დაადანაშაულა და დააპატიმრა საკუთარი ძმა ბენიამინი. როგორ იმეორებდა თავისთვის: „მიყვარხართ და სიყვარულის გამო გაწვალებთო.“ იოსები ხომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მწარედ იგონებდა, როგორ მიჰყიდეს ძმებმა ვაჭარს, სადღაც ხორშაკიან ტრამალზე, ჭასთან, თვითონ კი გამწარებული როგორ ტიროდა და როგორ ევედრებოდა ძმებს - არ გაეყიდათ მონად უცხო ქვეყანაში. ახლა კი, ამდენი წლის შემდეგ, როცა ძმები იხილა, კვლავ უსაზღვროდ შეიყვარა ისინი, თუმცა აწამებდა მათ. უყვარდა და აწამებდა. წაუკითხე, ბოლოს და ბოლოს როგორ ვეღარ მოითმენა ამდენი სულიერი ტანჯვა იოსებმა, როგორ გაეცალა მათ და აქვითინებული დაემხო სარეცელზე. შემდეგ როგორ შეიშრო აცრემლებულ თვალები და სახეგაბრწყინებული დაბრუნდა მათთან და უთხრა: „ძმებო, მე იოსები ვარ, თქვენი ძმა!“ შემდეგ წაუკითხე იმის შესახებ, როგორ გაიხარა მოხუცმა იაკობმა, როცა შეიტყო, რომ მისი მშვენიერი ბიჭუნა იოსები ისევ ცოცხალი იყო, როგორ მიატოვა სამშობლო და გაემართა ეგვიპტეში შვილთან, სადაც გარდაიცვალა და საუკუნო ანდერძად დატოვა თავისი დიდებული სიტყვა, რომელსაც აქამომდე საიდუმლოდ ატარებდა მისი თვინიერი და ფრთხილი გული მთელი სიცოცხლის მანძილზე - იმისი შესახებ, რომ მისი მოდგმის - იუდას ნაშიერი მსოფლიოს მოუტანს უდიდეს სასოებას, იგი იქნება ხალხთა შემრიგებელი და მხსნელი![90] მამანო და მოძღვარნო ჩემნო, მომიტევეთ და ნუ გამიწყრებით, ბალღივით რომ გიყვებით ისეთ რამეებს, რაც თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რაც თქვენ ჩემზე უკეთესად, ასჯერ უკეთესად შეგიძლიათ განმარტოთ. აღტაცება მალაპარაკებს ამას, მაპატიეთ ცრემლები, ძალიან მიყვარს ეს წიგნი. დაე, ამ წიგნის კითხვის დროს აუცრემლდეს თვალები ღვთის მსახურს და იხილავს, როგორ იმოქმედებს მისი ცრემლები მსმენელთა გულებზე. მხოლოდ ერთი პატარა თესლის ჩაგდებაა საკმარისი მდაბიოს სულში, სულ პაწაწასი, და მარად იხარებს ეს თესლი, ჩამალული იქნება იგი მის სულში მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც ნათელი წერტილი წყვდიადსა და ბინძურ ცოდვათა შორის,

როგორც დიადი შეხსენება. არ არის საჭირო ბევრი ახსნა-განმარტება, მსმენელი ყველაფერს უბრალოდ გაიგებს. თქვენ ფიქრობთ, რომ მდაბიო ვერაფერს მიხვდება? ერთი სცადეთ და წაუკითხეთ მას გულისამაჩუყებელი ამბები მშვენიერ ესთერსა და გულზვიად ვაშთზე[91], ანდა სასწაულებრივი თქმულება წინასწარმეტყველ იონაზე[92], თუ როგორ გაატარა მან სამი დღე და ღამე ვეშაპის სტომაქში. არ დაგავიწყდეთ უფლის იგავები, ძირითადად, ლუკას სახარებიდან (მე ასე ვაკეთებდი), შემდეგ მოციქულთა საქმიდან სავლეს მოქცევა (ეს აუცილებელია, აუცილებელი!), დასასრულ, „ჩეტი-მინეიდან“ ღვთის მონა ალექსეისა და დიდმოწამეთა შორის დიდმოწამის, ღვთისმხილველისა და ქრისტეს გულით მატარებლის, დედა მარიამ ეგვიპტელის ცხოვრებანი. ამ უბრალო მოთხრობებით განმსჭვალავთ მდაბიოთა გულებს, ამისათვის კი კვირაში ერთი საათიც საკმარისია, მხოლოდ და მხოლოდ ერთი საათი. გააკეთებს რა ამას, დაინახავს ღვთის მსახური, როგორი გულმოწყალე და მადლიერია ჩვენი ხალხი, როგორ ასმაგად გადაუხდის სიკეთეს; ისინი დაიმახსოვრებენ ღვთის მსახურის მზრუნველობას, მადლის მომნიჭებელ სიტყვებს და ხალისით დაეხმარებიან ყველანაირ მინდვრისა თუ სამეურნეო საქმიანობაში, ღრმა პატივისცემით განიმსჭვალებიან მისდამი - აი, ასე გაიზრდება მისი შემოსავლი. ეს ისე უბრალო საქმეა, ხანდახან თქმაც კი გვრცხვენია, ვინმემ რომ არ დაგვცინოს, მაგრამ როგორი ნაღდი საქმეა! ვისაც ღმერთის არ სწამს, მას არც ღვთის შვილებისა სჯერა. ვინც ღვთის შვილობა ირწმუნა, ის ღმერთის სიწმინდესაც იხილავს, თუნდაც აქამომდე, საერთოდ, მისი არარა სწამებოდა. მხოლოდ ხალხი და ღვთის სულიერი ძალა შეძლებს, მოაქციოს მშობლიურ მიწას მოწყვეტილი ჩვენი ათეისტები. რა ფასი აქვს უფლის სიტყვას მაგალითის გარეშე? ხალხი უფლის სიტყვის გარეშე დაიღუპება, რამეთუ ადამიანთა სულებს სწყურიათ მისი სიტყვები და ყოველივე მშვენიერის აღქმა. დიდი ხნის წინათ, ჩემს ახალგაზრდობაში, ასე ორმოცი წელი იქნება მას შემდეგ, მე და მამა ანფიმი მთელ რუსეთში ვმოგზაურობდით და ვაგროვებდით მონასტრისათვის გასაკითხს. ერთხელ ღამე გავათიეთ მეთევზეებთან მდინარის პირას. ჩვენთან ჩამოჯდა ერთი სათნო ჭაბუკი გლეხი, შესახედავად ასე თვრამეტი წლის იქნებოდა, მას მეორე დღეს მდინარიდან სავაჭრო ოჩხომელი ბაგირით უნდა გამოეთრია. ჩემ წინ იჯდა კეთილი და სახენათელი ყმაწვილი. ივლისის მთვარიანი, მშვიდი და თბილი ღამე იდგა. უკიდეგანო მდინარიდან გრილი სიო უბერავდა, აქა-იქ სადღაც წყალში თევზის ჩქაფუნი ისმოდა, ჩიტუნები დუმდნენ, ირგვლივ მშვენიერება და სიმშვიდე სუფევდა. გარშემო ყოველივე ღვთისადმი ლოცვას აღავლენდა. მხოლოდ ჩვენ ორს, მე და იმ ჭაბუკს არ გვეძინა. ვსაუბრობდით ღმერთის საუფლოს სილამაზეზე და მის დიდ იდუმალებაზე. როცა მე ვუთხარი, რომ ყოველივემ: ბალახმა, მწერმა, ჭიანჭველამ, ფუტკარმა - საოცრად კარგად იციან თავთავიანთი გზა, ჭკუა არა აქვთ, მაგრამ ღმერთის საიდუმლოს ადასტურებენ და უწყვეტად ასრულებენ- მეთქი, მშვენიერ ჭაბუკს თვალები გაუბრწყინდა. მან მითხრა, რომ ძალიან უყვარს ტყე და ჩიტუნები; მეჩიტბადე ყოფილა. თურმე ყველა ჩიტს გალობით სცნობდა, მათი მიტყუება შეეძლო; მეუბნებოდა, ტყეში ყოფნას არაფერი სჯობია, მასზე მშვენიერი არაფერიაო. „ჭეშმარიტად-მეთქი, - ვუპასუხე, - ყველაფერი კარგია და შესანიშნავი, რადგან ჭეშმარიტია. შეხედე, ცხენი და ხარი ხომ დიდი ცხოველები არიან, მაგრამ როგორ ერთგულად ემსახურებიან ადამიანს, კვებავენ და თავაუღებლად მუშაობენ მისთვის; დააკვირდი მათ გამომეტყველებას, როგორი

ლამაზი და მიმნდობი სახეები აქვთ. ყველაზე გულის ამაჩუყებელი ის არის, რომ ისინი უცოდველები არიან. ამქვეყნად ყველა უცოდველია, მხოლოდ ადამიანია ცოდვის შვილი, მათთან ქრისტე ჩვენზე ადრე მივიდა.“ - „ნუთუ მათთანაც არის ქრისტე?!“ - მკითხა მან. - „ცხადია, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, - ვუთხარი მე, - რამეთუ ღვთის სიტყვა ყველა ქმნილებისთვისაა, ყოველი არსება, ყველა ფოთოლი სიტყვისაკენ მიისწრაფვის, ღმერთის სადიდებელს გალობს, ქრისტეს შეჰღაღადებს, ანგარიშმიუცემლად, თავისი საიდუმლო ცხოვრებით აკეთებს ამას. ტყეში დაძრწის საშინელი დათვი, მრისხანე და მძვინვარე, მაგრამ სრულიად უდანაშაულო.“ ჰოდა, მოვუყევი, ერთხელ როგორ მივიდა ტყეში განდგომილი წმინდანის სენაკთან დათვი. შეეცოდა წმინდანს იგი, არ შეშინებია, გამოვიდა მის შესახვედრად, მისცა პურის ნაჭერი და უთხრა: „წადი, ღმერთი შენთან არსო“. ეს მძვინვარე მხეცი დინჯად და თვინიერად გაეცალა იქაურობას, არავითარი ზიანი არ მიუყენებია. ჩემს ნათქვამზე გული აუჩუყდა ჭაბუკს. „რა კარგი და რა მშვენიერია ყოველივე ღვთიური!“ - თქვა მან. იჯდა ჩაფიქრებული, მშვიდი და ნეტარი. ვხედავდი, რომ ყველაფერი კარგად გამიგო. შემდეგ მიწვა და წყნარი და უცოდველი კაცის სახით მიეძინა. ღმერთო, დალოცე ახალგაზრდობა! ძილის წინ დავლოცე ჭაბუკი. ღმერთო, მშვიდობას და სინათლეს ნუ მოაკლებ შენს ხალხს!

გ) ბერი ზოსიმას ყრმობისა და სიჭაბუკის მოგონებები. ორთაბრძოლა

პეტერბურგის კადეტთა კორპუსში რვა წელი დავყავი. ახალმა აღზრდა-განათლებამ ბავშვობიდან გამოყოლილი ბევრი რამ გაანელა, თუმცა არაფერი დამვიწყებია. მათ მაგივრად შევიძინე იმდენი ახალი ჩვევა და ისეთი აზროვნება, რომ თითქმის ველურ, დაუნდობელ და ახირებულ არსებად ვიქეცი. თავაზიანობა, მაღალ საზოგადოებაში ქცევის წესები და ფრანგული ენა კარგად შევისწავლე, სამაგიეროდ, ჩვენთან მომსახურე ჯარისკაცებს, როგორც ცხოველებს, ისე ვექცეოდით. ყველაზე მეტად ალბათ მე, რადგან ამხანაგებს შორის გამოვირჩეოდი ყველაფრის ადვილად ათვისების უნარით. როცა ოფიცრები გავხდით, მზად ვიყავით, საკუთარი სისხლი დაგვეღვარა ჩვენი პოლკის ღირსების შელახვის გამო, თუმცა ნაღდი ღირსების შესახებ არც ერთ ჩვენგანს წარმოდგენაც არ გვქონდა, რომც რამე გაგვეგო მის შესახებ, სიცილით დავიხოცებოდით. ლოთიფოთობითა და ვაჟკაცობით ვამაყობდით. ვერ ვიტყვი, თითქოს მთლად ცუდები ვიყავით; ყველა ჩემი ამხანაგი კარგი ჯეელი იყო, ოღონდ ცუდად იქცეოდა, განსაკუთრებით მე. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მე ჩემი კაპიტალი გამიჩნდა და ამიტომაც დავიწყე ჩემს გემოზე ცხოვრება, ლაღად, თავაშვებულად და თავხედურად. ამ დროს, ყველაზე საკვირველი ის იყო, წიგნებს სიამოვნებით ვკითხულობდი; ბიბლია კი თითქმის არ გადამიშლია, თუმცა მუდამ თან დამქონდა: ნამდვილად ვუფრთხილდებოდი ამ წიგნს, თავადაც არ ვიცოდი, რატომ? ასე ვიმსახურე ოთხი წელი, ბოლოს მოვხვდი ქალაქ კ-ში, სადაც ჩვენი პოლკი იდგა. ხალხმრავალი ქალაქის მხიარულ, მდიდარ და სტუმართმოყვარე საზოგადოებებში კარგად მიღებდნენ, ვინაიდან დაბადებიდან მხიარული კაცი ვარ, გარდა მაგისა, ღარიბადაც არ ვითვლებოდი, ამას კი მაღალი საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთხელაც, ისეთი ვითარება შეიქმნა, რამაც დასაბამი მისცა ყოველივეს. ერთი ლამაზი, ჭკვიანი, სათნო და კეთილშობილი ხასიათის, ღირსეული ქალიშვილი მომწონდა, საპატივსაცემო

მშობლების შვილი და შეძლებული და გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელი. ამ ოჯახში ყოველთვის თავაზიანად და გულღიად მიღებდნენ. მეჩვენებოდა, რომ ქალიშვილსაც მოვწონდი. ამნაირმა ოცნებამ გული ამიჩქროლა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ის ქალიშვილი სულაც არ მყვარებია, მხოლოდ მისი გონიერება და კეთილშობილი ხასიათი მომწონდა, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. მაშინ ამპარტავნებამ შემიშალა ხელი, ცოლობა მეთხოვა მისთვის: ისეთი ახალგაზრდა და კაპიტალით უზრუნველყოფილი კაცისათვის ძალიან მძიმე იყო თავისუფალ და თავაშვებულ ყოფასთან განშორება. ნართაულად ვცდილობდი, მეგრძნობინებინა ჩემი დამოკიდებულება. ყოველი შემთხვევისათვის, გარკვეული ვადით გადავდე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ამას დაემთხვა ორთვიანი მივლინება სხვა მაზრაში. ორი თვის შემდეგ ჩამოვდივარ და ვიგებ, ქალი გათხოვილა, ვიღაც მდიდარ მემამულეს გაჰყოლია, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, მაგრამ ჩემზე კარგა უფროსს, თავაზიანსა და განათლებულ კაცს (მე კი გაუნათლებელი ვიყავი), მას დედაქალაქის მაღალ საზოგადოებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა (რასაც მე ვერ დავიტრაბახებდი). ამ მოულოდნელმა ამბავმა გონება დამიბნელა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თურმე ეს ახალგაზრდა კაცი კარგა ხანია, მისი საქმრო ყოფილა. მას ქალის ოჯახში ხშირად შევხვედრივარ, მაგრამ ისე მქონდა თვალები დავსებული ჩემი ღირსებებით, რომ ვერაფერი შევამჩნიე. სწორედ იმან დამბოღმა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მე კი გაგებაში არ ვიყავი. მოუთმენელმა ბრაზმა შემიპყრო. ცეცხლი მეკიდებოდა, როცა მახსენდებოდა, როგორ ვცდილობდი, მისთვის მეგრძნობინებინა ჩემი სიმპათიები, ის კი არ მაჩერებდა და არაფერს მეუბნებოდა. ესე იგი, დამცინოდა - დავასკვენი ჩემთვის. შემდგომში, რასაკვირველია, გავიხსენე, რომ იგი ჩემს სიტყვებზე არასოდეს იცინოდა, პირიქით, ლაპარაკს ხუმრობით მაწყვეტინებდა და საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა ხოლმე. მაგრამ იმ დროს ამის გააზრების უნარი არ მქონდა, შურისძიების გრძნობით ვიყავი აღვსილი. შურისძიების ის გრძნობა და ბოღმა ჩემთვის ძალიან მძიმედ გადასატანი და საზიზღარი რამ იყო, რადგან გულბოროტი კაცი არ ვიყავი, წყენას უცებ ვივიწყებდი ხოლმე. ახლაც მიკვირს, არ ვიცი, რა დამემართა, რატომ გავიღიზიანე თავი ხელოვნურად, რატომ მოვიქეცი ასე უმსგავსოდ და სულელურად? ერთხელ მომენტი შევარჩიე და ერთ დიდ საზოგადოებაში მოვახერხე ჩემი „მეტოქის“ შეურაცხყოფა. ერთ გამონათქვამზე დავცინე. დაცინვა, როგორც შემდგომში ყველა აღნიშნავდა, ძალიან მახვილგონივრული გამომივიდა. შემდეგ ვაიძულე ჩემთვის ახსნა-განმარტება მოეცა და ახსნა-განმარტების დროს ისე უხეშად მოვექეცი, რომ ჩემ მიერ შეთავაზებულ დუელზე უარი არ უთქვამს, მიუხედავად იმისა, ჩვენ შორის დიდი სხვაობა იყო, როგორც ასაკით, ისე წოდებითა და ჩინით. შემდგომში დანამდვილებით შევიტყვე, თურმე ჩემი გამოწვევა იმიტომ მიიღო, რომ თავადაც ეჭვიანობდა ჩემზე; ადრეც ეჭვიანობდა თურმე, სანამ ის ქალი მის საცოლედ ითვლებოდა; ახლა კი გაიფიქრა, თუკი მისი ცოლი გაიგებდა იმას, რომ მან ჩემგან შეურაცხყოფა მოითმინა და დუელში გამოწვევა ვერ გაბედა, შესაძლოა, ცოლს გული გასტეხოდა მასზე და მათ ურთიერთობას ბზარი შეჰპარვოდა. სეკუნდანტი მალე ვიპოვე, ერთი ჩემი პოლკელი პორუჩიკი. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ორთაბრძოლები სასტიკად იკრძალებოდა, სამხედროებს შორის მაინც მოდაში იყო - ასე იცის ხოლმე ხანდახან ველურმა ჩვევებმა დამკვიდრება. ივნისის ბოლო იდგა, ჩვენი შეხვედრა მეორე დღეს, ქალაქგარეთ, დილის შვიდ საათზე უნდა

შემდგარიყო - სწორედ ამ დროს, მე რაღაც საბედისწერო რამ შემემთხვა. საღამოს, როცა სახლში ბრაზმორეული და გონებაარეული დავბრუნდი, ჯავრი ჩემს დენშჩიკზე, აფანასიზე ვიყარე, ორჯერ ისეთი მაგარი სილა გავაწანი, სახე დაუსისხლიანდა. მას ჩემთან ახალი დაწყებული ჰქონდა სამსახური. ადრეც გამირტყამს ხოლმე ხელი, მაგრამ ასე მხეცური სისასტიკით არასოდეს მოვქცევივარ. მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა, ჩემო ძვირფასებო, დამიჯერეთ, ახლაც სირცხვილითა და ტანჯვით ვიგონებ ამ ამბავს. დავწექი, სამი საათი მეძინა, როცა გამეღვიძა, უკვე თენდებოდა. უცებ წამოვხტი, ძილი აღარ მინდოდა, მივედი ფანჯარასთან და გამოვაღე. ფანჯარა ბაღში გადიოდა. გავიხედე და რას ვხედავ, მზე ამოდის, თბილა, ირგვლივ სილამაზეა, ჩიტუნები ჭიკჭიკებენ. რაღაც ხდება ჩემს თავს, შინაგანად საშინელი შეგრძნება მაქვს, თავი მეზიზღება. იმიტომ ხომ არა, რომ შეიძლება მალე კაცი მოვკლა? არა! არა!... იმის გამო ხომ არა, რომ სიკვდილის მეშინია, მეშინია, რომ მომკლას? არც ეს, არც ეს... უცებ მივხვდი, საქმე რაშიც იყო: ყველაფრის თავი და თავი გუშინ აფანასი რომ გავლახე, ისაა! ყველაფერი თვალწინ დამიდგა. თითქოს ყველაფერი განმეორდა: დგას ჩემ წინ აფანასი, მე კი მთელი ძალით ვურტყამ სახეში, დგას ხელებჩამოყრილი, თავაწეული, თვალებდაჭყეტილი, ყოველ დარტყმაზე კრთის, ხელებსაც არ იშველიებს თავის დასაფარად, ვერ ბედავს - სადამდე დავედი, ადამიანი ადამიანს ვცემ! როგორი ცოდვაა! თითქოს ნემსი შემერჭო პირდაპირ გულში. გაოგნებული ვდგავარ, მზე კი ანათებს, ფოთლები ხარობენ, ბზინავენ, ჩიტუნები კი, ჩიტუნები ღმერთის სადიდებელს მღერიან. ორივე ხელი სახეზე ავიფარე, საწოლზე დავეგდე და ავღრიალდი. ამ დროს გამახსენდა ჩემი ძმა, მარკელი და მისი სიტყვები, შინამოსამსახურეებს რომ უთხრა: „ჩემო ძვირფასებო, რატომ მემსახურებით, რისთვის გიყვარვართ, ვღირვარ კი იმად, თქვენ რომ მემსახუროთ?“ - „დიახაც, ვღირვარ კი“, - გამიელვა უცებ თავში. მართლაც, ვარ კი მე ღირსი, რომ სხვა ადამიანი, ჩემსავით ხატი და მსგავსი ღვთისა, მემსახურებოდეს? პირველად ჩემს ცხოვრებაში ამეკვიატა ეს კითხვა. „დედიკო, ჩემო სისხლო და ხორცო, ჭეშმარიტად, ყველა ყველას წინაშე დამნაშავეა, მაგრამ ადამიანებმა არ იციან ეს, ეს რომ ადამიანებმა გაიგონ - მაშინ სამოთხედ იქცევა ეს ქვეყანა!“ ვიგონებ ამას, მეტირება და ჩემთვის ვფიქრობ: ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს სიმართლე არაა, მართლაც რომ მე ვარ ყველაზე დიდი დამნაშავე, ამქვეყნად ყველაზე ცუდი კაცი! და უცებ თვალწინ სიმართლე მთელი სიცხადით დამიდგა: სად მივდივარ? მივდივარ, რომ ჭკვიანი და კეთილშობილი კაცი მოვკლა, მას ხომ ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მისი ცოლი კი საუკუნოდ უნდა გავაუბედურო, დავტანჯო და გავანადგურო. პირქვე, ბალიშზე დამხობილი ვიწექი ჩემს საწოლზე და არც გამიგია, დრო როგორ გავიდა. ანაზდად ოთახში შემოვიდა ჩემი სეკუნდანტი პორუჩიკი, მან პისტოლეტები მოიტანა. „კარგია, რომ ამდგარხარ, - მეუბნება ის, - წასვლის დროა.“ რაღაცნაირად ავწრიალდი, დავიბენი, გარეთ გამოვედით ეტლში ჩასასხდომად. „ერთი წუთით, - ვუთხარი მას, - შევირბენ, ქისა დამრჩა.“ უკან შევბრუნდი, პირდაპირ აფანასის ოთახში შევვარდი. „აფანასი, - ვეუბნები, - მე შენ გუშინ სილა ორჯერ გაგაწანი, მაპატიე.“ იგი შემკრთალი მიყურებს, თითქოს შეეშინდა - ვხედავ, ეს რომ საკმარისი არ არის და უცებ ოფიცრის მუნდირსა და ეპოლეტებში გამოწყობილი ფეხებში ჩავუვარდი და შუბლით მიწას შევეხე: „მაპატიე!“ - ვეუბნები. იგი სულ გაშტერდა. „თქვენო კეთილშობილებავ, ბატონო, როგორ გეკადრებათ... განა მე ამად ვღირვარ...“ - ამას ამბობდა და ისე ტიროდა

როგორც მე ვტიროდი წეღან; ორივე ხელი სახეზე ჰქონდა აფარებული და ფანჯრისაკენ მიბრუნებული ქვითინებდა. მე უკან გამოვვარდი, ეტლში ჩავხტი და ვიყვირე: „წავედით“. „გინახავს გამარჯვებული? - ხმამაღლა ვეუბნები ჩემს ამხანაგს, - იგი შენს წინაშეა!“ ისეთი აღტკინებული ვიყავი, მთელი გზა ვიცინოდი, ვყბედობდი, გაუთავებლად ვლაყბობდი, აღარც მახსოვს რაზე. ჩემი ამხანაგი მიყურებდა და მეუბნებოდა: „ვხედავ, ძმაო, ყოჩაღადა ხარ, მუნდირს არ შეარცხვენ“. როცა დანიშნულ ადგილას მივედით, ყველა იქ დაგვხდა, ჩვენ გვიცდიდნენ. გადაზომეს თორმეტი ნაბიჯი და ერთმანეთის პირისპირ დაგვაყენეს. პირველი იმან უნდა მესროლოს. ვდგავარ მის წინაშე და თვალსაც არ ვახამხამებ, სიყვარულით შევცქერი, ვიცი, რასაც გავაკეთებ. ტყვია გავარდა და ლოყა და ყური გამიკაწრა. „დიდება უფალს, - ვყვირი, - არ მოკალით ადამიანი!“ შემდეგ ხელი წავავლე ჩემს პისტოლეტს და ტყისკენ მოვისროლე, თან ვიყვირე: „ჯანდაბისკენ გზა გქონია!“ შემდეგ ჩემს მოწინააღმდეგეს მივუბრუნდი და მივმართე: „მოწყალეო ხელმწიფევ, მაპატიეთ ბრიყვ ახალგაზრდას, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე გაწყენინეთ და გაიძულეთ, ჩემთვის გესროლათ. მე გაცილებით ცუდი კაცი ვარ, ვიდრე თქვენ. ყოველივე ეს გადაეცით იმ არსებას, ვისაც ამქვეყნად ყველაზე დიდ პატივს სცემთ.“ როგორც კი ეს წარმოვთქვი, სამივემ შეჰყვირა: „როგორ გეკადრებათ, - თქვა გაბრაზებულმა ჩემმა მოწინააღმდეგემ, - თუ თქვენ სროლა არ გნებავდათ, მაშინ რატომ შეიწუხეთ თავი აქ მოსვლით?“ - „გუშინ ჯერ კიდევ ბრიყვი ვიყავი, ახლა დავჭკვიანდი,“ - მხიარულად მივუგე მას. „გუშინდელ ამბავში ეჭვი არ მეპარება, - თქვა მან, - მაგრამ ახლანდელის დაჯერება მიჭირს.“ - „შესანიშნავია, - ვყვირი და ტაშს ვუკრავ, - ამაშიც გეთანხმებით, დავიმსახურე!“ - „მესვრით თუ არა, მოწყალეო ხელმწიფევ!“ - „არა, არ გესვრით, - ვეუბნები, - თქვენ თუ გინდათ, კიდევ მესროლეთ, მაგრამ სჯობს, არ მესროლოთ.“ აყვირდნენ სეკუნდანტები, განსაკუთრებით ჩემი. „ასე როგორ შეიძლება, - მეუბნება ის, - ასე შეარცხვინო პოლკი. ბარიერთან იდგე და პატიებას ითხოვდე; ეს რომ მცოდნოდა, აქ როგორ წამოვიდოდი!“ მე უკვე მოვრჩი სიცილს და ვუთხარი მათ: „ბატონებო, ნუთუ დღეს ასე საკვირველია, აღმოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, მოინანიოს თავისი სულელური საქციელი და სახალხოდ აღიაროს დანაშაული?“ - „ბარიერთან მაინც არა, - კვლავ აყვირდა ჩემი სეკუნდანტი. „მთავარი სწორედ ეგაა, - ვუპასუხე, - ესაა საკვირველი, კარგი იყო, ჩემი დანაშაული აქ მოსვლისას მეღიარებინა, სანამ გასროლა მოხდებოდა და არ ჩამეგდო ეს პატიოსანი ადამიანი დიდი და მომაკვდინებელი ცოდვის საფრთხეში, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცხოვრება ისე უმსგავსოდ გვაქვს მოწყობილი, რომ ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია. ხოლო მას შემდეგ, რაც ტყვიას გადავურჩი, შეიძლება ჩემი სიტყვები მისთვის რაღაცას ნიშნავდეს. სროლამდე რომ მეთქვა, ყურსაც არავინ დამიგდებდა, მშიშარას იარლიყს მომაკერებდნენ და დამცინებდნენ, პისტოლეტის შეეშინდაო. ბატონებო, - უცებ შევყვირე მთელი გულითა და სულით, - გადაავლეთ თვალი ამ ღვთის წყალობას: ამ ლაჟვარდოვან ცას, ზურმუხტოვან ჯეჯილს, გამჭვირვალე და სუფთა ჰაერს, მოღუღუნე ჩიტუნებს, როგორი შეურყვნელი და უცოდველია ბუნება, მხოლოდ ადამიანი არის უღმერთო და ბრიყვი, არ ესმის, რომ წუთისოფელი სამოთხეა. როგორც კი ამას გავიგებთ, მაშინვე თვალწინ გადაგვეშლება ამქვეყნიური მშვენიერება, ერთმანეთს გადავეხვევით და ავტირდებით...“ კიდევ მინდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ შევძელი, სული შემეხუთა, ნეტარებამ შემიპყრო, გული ბედნიერებით ამევსო.

ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. „ყველაფერი ეს კეთილგონივრულია, ღვთისმოსავი კაცი ყოფილხართ, - თქვა ჩემმა მეტოქემ, - ყოველ შემთხვევაში, ძალიან ორიგინალური პიროვნება ბრძანდებით“. - „იცინეთ, იცინეთ, - სიცილით ვუთხარი, - ხვალ შემაქებთ“. - „მე ახლაც მზადა ვარ შეგაქოთ, - მითხრა მან, - ნება მიბოძეთ, ხელი გამოგიწოდოთ, თქვენ, მართლაც, გულწრფელი ადამიანი ხართ“. - „არა, ახლა ნუ შეწუხდებით, შემდგომში, როცა უკეთესი გავხდები და თქვენს პატივისცემას დავიმსახურებ, მაშინ ჩამომართვით ხელი, ასე აჯობებს“. მთელი გზა სახლამდე ჩემი სეკუნდანტი მლანძღავდა, მე კი ვეხვეოდი და ვკოცნიდი. როცა ჩემმა ამხანაგებმა საქმის ვითარება შეიტყვეს, დამიწყეს თათხვა: „ასე როგორ შეიძლება, მუნდირი შეარცხვინა, უნდა გადადგეს, მისი აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო“. ზოგიერთი მიცავდა: „როგორც ამბობენ, სროლას გაუძლო“. - „კი, მაგრამ მომდევნო გასროლის შეეშინდა და იმიტომაც ითხოვა ბარიერთან პატიება,“ - ეწინააღმდეგებოდნენ დამცველებს. - „თუკი სროლის შეეშინდა, ერთს მაინც გაისროდა, სანამ პატიებას ითხოვდა, მან კი გატენილი პისტოლეტი ტყისკენ მოისროლა. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია, რაღაც ორიგინალური,“ - ამბობდნენ დამცველები. მე მათ ვუცქერდი და მეღიმებოდა. - „ჩემო ძვირფასებო, - ვეუბნებოდი, - მეგობრებო და ამხანაგებო, ნუ ღელავთ, დღეს დილით უკვე შევიტანე კანცელარიაში თხოვნა გადადგომის თაობაზე, როგორც კი დასტურს მივიღებ, მაშინ წავალ და მონასტერში ბერად აღვიკვეცები“. როგორც კი ეს ვთქვი, ყველამ ერთად გადაიხარხარა: „თავიდან გეთქვა, ახლა ყველაფერი ნათელია, მონაზონს ვინ გაგამტყუნებს“, - და გულიანად გაიცინეს - არა, კი არ დამცინოდნენ, პირიქით, ალერსიანად შემომცქეროდნენ, უცებ ყველას შევუყვარდი, ყველას, ყველაზე აგრესიულ ბრალმდებელსაც კი, და მთელი ერთი თვის განმავლობაში, ვიდრე გადადგომის ნებართვას მივიღებდი, ხელისგულზე მატარებდნენ. მეხუმრებოდნენ: „შე, მონაზონო, შენო!“ ყველას უნდოდა გულთბილი სიტყვები ეთქვა ჩემთვის, გადაეთქმევინებინა ეს გადაწყვეტილება, ვეცოდებოდი კიდეც. „რას შვრები, რატომ იღუპავ თავსო?“ - მეუბნებოდნენ. - „არა, - ამბობდნენ ისინი, - ეს გულადი კაცია, პირველ სროლაზე წარბიც არ შეუხრია, თავისი პისტოლეტიდან გასროლა შეეძლო და არ გაისროლა, სიზმარში უნახავს, რომ მონაზვნად უნდა აღიკვეცოს, ამიტომაც მოხდა ასე“. იგივე ვითარება შეიქმნა ქალაქის საზოგადოებაშიც. ადრე თვალშისაცემ პიროვნებად არ ვითვლებოდი, უბრალოდ, თავაზიანად მღებულობდნენ, ახლა კი, როცა ყველაფერი გაიგეს, ყველა თავისთან მეპატიჟებოდა: ჩემზე ეცინებოდათ, მაგრამ ყველას ვუყვარდი. აქვე მინდა აღვნიშნო: მართალია, ჩვენს ორთაბრძოლაზე ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა, უფროსობამ ეს საქმე ჩაფარცხა, რადგან ჩემი მეტოქე ჩვენი გენერლის ახლო ნათესავი გახლდათ, ორთაბრძოლა კი უსისხლოდ დამთავრდა და მე, გადადგომის პატაკი შევიტანე, ყველაფერი ხუმრობაში გაატარეს. მე კი ხმამაღლა, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ დამცინოდნენ, თუმცა უბოროტოდ, დავიწყე ლაპარაკი ჩემს გადაწყვეტილებაზე. ასეთი საუბრები საღამოობით იმართებოდა ქალთა საზოგადოებაში. მაშინ ქალებს უფრო უყვარდათ ჩემი მოსმენა და კაცებსაც აიძულებდნენ. „განა შეიძლება, მე რომ ყველას მაგივრად ვიყო დამნაშავე, - აშკარად, პირში დამცინოდა ნებისმიერი, - ნუთუ შეიძლება, რომ მე თქვენ მაგივრად ვიყო დამნაშავე?“ - „ახლა თქვენთვის ამის გაგება ძნელია, - ვპასუხობდი მე, - ახლა მთელი მსოფლიო სხვა გზას ადგას. ახლა მტკნარ სიცრუეს სიმართლედ ვასაღებთ

და სხვებისგანაც ამასვე მოვითხოვთ. აი ახლა, როგორც იქნა, ჩემს ცხოვრებაში პირველად, ავდექი და გულწრფელად მოვიქეცი, შედეგი კი ისაა, რომ თქვენ ყველამ გიჟად ჩამთვალეთ: მართალია, გიყვარვართ, მაგრამ ყველა დამცინით.“ - „განა შეიძლება თქვენნაირი კაცი არ გვიყვარდეს?“ - დამცინოდა ოჯახის დიასახლისი, ოთახი ამ დროს სტუმრებით იყო სავსე. უცებ სტუმრებს შორის ფეხზე დგება ახალგაზრდა ქალი, ქალი, რომლის გულისთვისაც დუელში გავიწვიე ადამიანი, რომელ ქალსაც ცოტახნის წინ საცოლედ ვთვლიდი. მე არც კი შემინიშნავს, როდის შემოვიდა ოთახში. იგი მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა: „ნება მომეცით, - მეუბნება, - გითხრათ, სულაც არ დაგცინით, პირიქით, გულაჩუყებული მადლობას მოგახსენებთ და უღრმეს პატივისცემას გიცხადებთ თქვენი იმჟამინდელი საქციელის გამო.“ მისი მეუღლეც მოვიდა ჩემთან, შემდეგ ყველა შემომეხვია, ყველა მეფერებოდა. ძალიან გახარებული ვიყავი. ამდენ ხალხში ანაზდად ერთი სტუმარი შევნიშნე, ხანშიშესული ბატონი. ისიც მომიახლოვდა. ადრე მხოლოდ მისი სახელი ვიცოდი, მაგრამ არ ვიცნობდი, ამ საღამომდე ჩვენ ერთმანეთს არ დავლაპარაკებივართ.

დ) იდუმალი სტუმარი

ის ჩვენს ქალაქში კარგა ხანია მსახურობდა, დიდი თანამდებობა ეკავა, ყველა პატივს სცემდა. მდიდარი და ქველმოქმედი პიროვნება გახლდათ. მან მოზრდილი თანხა შესწირა დავრდომილთა და ობოლთა სახლს, გარდა ამისა, საიდუმლოდ, უამრავი წყალობა ჰქონდა გაცემული, რაც მისი სიკვდილის შემდეგ გამოაშკარავდა. ასე ორმოცდაათი წლის იქნებოდა. მკაცრი შეხედულების, სიტყვაძუნწი ადამიანი იყო. ამ ათი წლის წინათ ახალგაზრდა ქალი შეირთო, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა. ჰოდა, მეორე დღეს, ჩემთვის ვზივარ სახლში, ვხედავ, კარი იღება და შემოდის სწორედ ეს ბატონი.

აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ძველ ბინაში აღარ ვცხოვრობდი. როგორც კი გადადგომის პატაკი დავწერე, სხვა ბინა ვიქირავე, ერთი მოხუცი ქალის, ჩინოვნიკის ქვრივის სახლში. მისივე მოახლე მემსახურებოდა, რადგან აფანასი, როგორც კი დუელიდან დავბრუნდი, იმ დღესვე უკან, ასეულში დავაბრუნე, მრცხვენოდა მისთვის თვალებში ყურება ჩემი ამასწინანდელი საქციელის გამო.

„მე, - მეუბნება ჩემთან მოსული ბატონი, - უკვე რამდენიმე დღეა, დიდი ინტერესით გისმენთ სხვადასხვა სახლში და გადავწყვიტე, ახლოს გამეცანით, რომ უფრო გულახდილად ვისაუბროთ. შეგიძლიათ, მოწყალეო ხელმწიფევ, ასეთი დიდი სამსახური გამიწიოთ?“ - „როგორ არა, შემიძლია, დიდი სიამოვნებით, დიდ პატივადაც კი ჩავთვლი“, - ამას ვეუბნებოდი და ცოტა შემეშინდა კიდეც, იმდენად გამაოცა მან პირველი შეხვედრის დროს. მართალია, მაშინ სხვებიც დიდი ინტერესით მისმენდნენ, მაგრამ ასე სერიოზული და თავდაჭერილი გამომეტყველებით არავინ მისმენდა. ახლა კი პირდაპირ შინ მეწვია. დაჯდა. „უდიადეს ხასიათს ვხედავ თქვენში, - გააგრძელა მან, - რამეთუ არ შეუშინდით ასეთ საქმეში ჭეშმარიტების სამსახურს, სიმართლისათვის გარისკეთ, ხომ შეიძლებოდა, პასუხად ყველასაგან ზიზღი დაგემსახურებინათ“. - „თქვენ მეტისმეტად მაქებთ“, - ვუთხარი მე. „არა, არაფერს ვაჭარბებ, - მიპასუხა მან, - დამიჯერეთ, ასეთი საქციელის ჩადენა გაცილებით ძნელია, ვიდრე თქვენ

ფიქრობთ. მე, ჩემდათავად, - გააგრძელა მან, - სწორედ ამან გამაოცა. სწორედ ამის გამო გეახელით. თუ ჩემი გადაჭარბებული ინტერესი არ გაღიზიანებთ, მომიყევით, რას განიცდიდით იმ წუთებში, როცა ორთაბრძოლის დროს გადაწყვიტეთ, პატიება გეთხოვათ, თუ გახსოვთ, რა თქმა უნდა? ასეთ კითხვას, გთხოვთ, ნუ ჩამითვლით ქარაფშუტობად; პირიქით, როცა ასეთი კითხვის დასმა გადავწყვიტე, საიდუმლო მიზანი მქონდა, რომელსაც ალბათ მოგვიანებით აგიხსნით, თუ ღმერთი ინებებს და უფრო დავახლოვდებით“.

როცა ლაპარაკობდა, ამ ხნის განმავლობაში სახეში შევცქეროდი. ანაზდად მისდამი საოცარი ნდობით განვეწყვე, განსაკუთრებული ინტერესი გამიჩნდა, რადგან ვიგრძენი, დიდი საიდუმლო ჰქონდა.

„თქვენ გაინტერესებთ, რას ვგრძნობდი, როცა მეტოქეს პატიება ვთხოვე, - ვთქვი მე, - მაგრამ სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყო, ეს ჯერ სხვებისათვის არ მომიყოლია“, - და მოვყევი, რაც გადამხდა აფანასისთან, როგორ ჩავუვარდი მაშინ მას ფეხებში და როგორ ვთხოვე პატიება. „აქედან გამომდინარე, - დავძინე მე, - ორთაბრძოლის დროს აღარ გამჭირვებია, რადგან უკვე სახლში დავადექი ამ გზას, შემდეგ რაც მოხდა, სულაც არ გამძნელებია, პირიქით, დიდი შვება და სიხარული ვიგრძენი“.

მან გულდასმით მომისმინა და კეთილი ღიმილით მითხრა: „ყველაფერი ძალზე საინტერესო იყო, მე თქვენ კიდევ გნახავთ“. აქედან მოყოლებული, იგი ჩემთან ყოველ საღამოს მოდიოდა. უფრო დავახლოვდებოდით, მას რომ ჩემთვის თავის შესახებ რამე ეამბნა. მაგრამ თავის თავზე არაფერს ამბობდა, სულ ჩემზე მეკითხებოდა რაღაც-რაღაცებს. მიუხედავად ამისა, ეს პიროვნება ძალიან შემიყვარდა და ყველა ჩემს განცდას მას ვუზიარებდი. ჩემთვის ვფიქრობდი: რად მინდა მისი საიდუმლოების ცოდნა, როცა ვხედავ, როგორი ალალ-მართალი ადამიანია. გარდა ამისა, ეს ძალიან სერიოზული და ჩემზე უფროსი კაცი არ თაკილობს ჩემთან, მასზე გაცილებით უმცროსთან სიარულს. ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლე მისგან, ძალიან გონიერი პიროვნება გახლდათ. „ცხოვრება რომ სამოთხეა, ამის შესახებ დიდი ხანია, ვფიქრობ, - მეუბნება ერთხელ და აგრძელებს: - მხოლოდ ამაზე ვფიქრობ“. ის მიყურებს და მიღიმის. „მე თქვენზე მეტად მჯერა ამის, დარწმუნებული ვარ, მერმე გეტყვით რატომ.“ ვუსმენდი მას და ჩემთვის ვფიქრობდი: „მგონი, რაღაცის თქმა უნდა“. - „სამოთხე ყოველ ჩვენგანშია დაფარული, ჩემშიც არის ახლა მიმალული, თუ მოვინდომებ, ხვალვე დადგება ჩემთვის სამოთხე, მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში“. ვხედავ, ამას გულაჩუყებული ყვება და ფარულად შემომცქერის, თითქოს რაღაცას მეკითხება. „იმის შესახებ კი, - გააგრძელა მან, - რომ, გარდა საკუთარი ცოდვებისა, ყველა ყველაფრისათვის და ყველას გამო დამნაშავეა, სავსებით სწორედ ბრძანეთ, და საკვირველია, როგორ სრულად გაითავისეთ ეს აზრი. ჭეშმარიტად, როცა ადამიანები ამ აზრს ჩასწვდებიან, მაშინ დადგება მათთვის სასუფეველი ცათა შინა, ოცნებაში კი არა, არამედ ცხადში“. „როდისღა, - შევყვირე შეწუხებულმა, - როდის ახდება ეს, ახდება კი ოდესმე? ეს მარტოოდენ ჩვენი ოცნება ხომ არაა?“ - „თქვენ არ გწამთ, - მეუბნება ის, - ქადაგებთ და თავად არა გწამთ. თქვენ კარგად იცით, როგორც თავად ამბობთ, ეს ოცნება ახდება, მაგრამ

ახდება არა ახლავე, ყველანაირ ქმედებას თავისი დრო და კანონი აქვს. ეს საქმე სულიერებისა და ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება. სამყარო რომ ახლებურად გარდაიქმნას, ამისათვის საჭიროა ადამიანები ფსიქიკურად დაადგნენ ახალ გზას. სანამ ყველა ყველას ძმა არ გახდება, არ დამყარდება ამქვეყნად საყოველთაო ძმობა. ვერასოდეს, ვერანაირი მეცნიერება და სარგებლიანობა ვერ აიძულებს ადამიანს, უმტკივნეულოდ გაუყოს სხვას თავისი საკუთრება და უფლებები. არავისათვის არაფერი არ იქნება საკმარისი, მარად მოწუწუნენი და ურთიერთმოშურნენი გაანადგურებენ ერთმანეთს. თქვენ მეკითხებით, როდის ახდება ოცნებაო? ახდება, ოღონდ ჯერ უნდა დასრულდეს ადამიანთა გათითოკაცების პერიოდი“. „რას გულისხმობთ გათითოკაცებაში?“ - ვკითხე. „რაც ახლა დედამიწაზეა გაბატონებული, განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში ჯერ ეს პროცესი არ დამთავრებულა. ახლა ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტად გამოირჩეოდეს სხვებისაგან, თითოეული მთელ თავის ძალისხმევას მიმართავს იქით, რომ მარტოდმარტო განიცადოს ცხოვრების სრულყოფილება. სანაცვლოდ სრულყოფილი ცხოვრებისა, იგი სრულ თვითგანადგურებამდე მიდის, საკუთარი არსების სრულად შეცნობის მაგივრად, სრულ მარტოობაში რჩება. ჩვენმა საუკუნემ ყველა დაჰყო ერთეულებად, ყველა ცდილობს, თავის სოროში ჩაიკეტოს, ყველას ყველასაგან განცალკევება სურს, თავადაც იმალება და რაც გააჩნია, იმასაც ცხრაკლიტულში მალავს. ბოლოს და ბოლოს კი თითოეული ყველასაგან გაუცხოვდება. თითოეული მიისწრაფვის, დააგროვოს ქონება და ჰგონია, რომ მდიდარია, მაგრამ ის კი არ იცის სულელმა, რომ რაც უფრო მეტს მოიხვეჭს, მით უფრო მეტად ჩაეფლობა გამანადგურებელ მარტოობაში. რადგან ის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ყოფნასაა შეჩვეული, იგი მთელს გამოყოფილი ერთეულია, მიჩვეულია, არ სწამდეს არც ადამიანის, არც კაცობრიობის, არც ადამიანური გულმოწყალების. ყოველდღიურად შიშისაგან ძრწის, ეშინია, არ დაკარგოს ქონება და მასზე თავისი უფლებები. ამჟამად ადამიანის გონება აგდებულად უყურებს და არ აცნობიერებს იმას, რომ პიროვნების ჭეშმარიტი კმაყოფილება განმარტოებული ქმედებით კი არა, ადამიანთა საერთო ძალისხმევით მიიღწევა. მაგრამ აუცილებლად დადგება დრო და ბოლო მოეღება ამ საშინელი მარტოობის ხანას; ყველა გაიგებს, როგორ არაბუნებრივად დაშორდნენ ადამიანები ერთმანეთს. ასეთი იქნება დროის მოთხოვნა და ყველას გაუკვირდება, რატომ ისხდნენ ადამიანები ამდენ ხანს სიბნელეში, სინათლეს მოწყურებულები. სწორედ მაშინ ზეცაზე გაიელვებს ნიშანი ძე კაცისა... მანამდე კი საჭიროა, ამ სახელმძღვანელო იდეას გავუფრთხილდეთ, ერთეულებმა, თუნდაც მათ სალოსის როლის კისრება მოუწიოთ, მაინც უნდა დააღწიონ თავი გათითოკაცებას და თავი შესწირონ მოყვასისადმი სიყვარულს. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ არ ჩაკვდეს დიადი იდეა...“

ასეთ გულმხურვალე და მგზნებარე საუბრებში ვატარებდით ჩვენს საღამოებს. მე თითქმის თავი დავანებე საზოგადოებაში სიარულს, ძალიან იშვიათად დავდიოდი სტუმრად, გარდა ამისა, ჩემი პერსონაც თანდათან გადავიდა მოდიდან. ამას საყვედურით კი არ ვამბობ, კვლავ ყველას ვუყვარდი და კარგადაც მეპყრობოდნენ. უბრალოდ, ის მინდა ვთქვა, რომ მოდა ამქვეყნად საკმაოდ დიდი რამაა, ეს აუცილებლად უნდა ვაღიაროთ. საიდუმლოებით მოცულ ჩემს სტუმარს კი დღითიდღე აღტაცებაში მოვყავდი, რადგან, გარდა იმისა, რომ მისი გონიერება

სიამოვნებას მანიჭებდა, ვგრძნობდი, რომ რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა და დიდი თავგანწირვისათვის ემზადებოდა. შესაძლოა, ჩემს სტუმარს ისიც კი მოსწონდა, რომ მე გარეგნულად მისი საიდუმლოს მიმართ ინტერესს არ ვიჩენდი, არც პირდაპირ და არც გადაკვრით არაფერს ვეკითხებოდი. ბოლოს და ბოლოს შევამჩნიე, რომ მას გაუჩნდა სურვილი ჩემთვის გულის გადაშლისა. ჩვენი ურთიერთობის ერთი თვის თავზე ეს საკმაოდ თვალნათლივ გამოჩნდა. „იცით, - ერთხელ მკითხა მან, - ქალაქში ჩვენი ურთიერთობის შესახებ ინტერესს იჩენენ და უკვირთ ჩემი თქვენთან გახშირებული სიარული; მათი დარდი არა მაქვს, მალე ყველაფერი ნათელი გახდება.“ მოულოდნელად რაღაცნაირი განსაკუთრებული მოუსვენრობა შეიპყრობდა ხოლმე. მე კი ამ დროს ჩემთვის ვფიქრობდი: „აი, ახლა იტყვის-მეთქი,“ ის კი საუბრის თემას შეცვლიდა და სხვა ნაცნობ და ჩვეულებრივ ამბებზე დაიწყებდა ლაპარაკს. თავის ტკივილს ხშირად უჩიოდა. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, მგზნებარე და ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ, ვხედავ, უცებ გაფითრდა, სახე მოეღრიცა და შემომაშტერდა.

- რა მოგდით? ცუდად ხომ არა ხართ? - ვკითხე.

ის ხომ თავის ტკივილს უჩიოდა.

- მე... იცით... მე... ადამიანი მოვკალი.

სახეგაფითრებული თან ამას ამბობდა, თან იღიმოდა. „ნეტა რას იკრიჭება?“ - გავიფიქრე ჩემთვის, სანამ რამეს მოვიაზრებდი. მერმე მეც ფერი დავკარგე.

- რას ლაპარაკობთ?! - ვიყვირე მე.

- იცით რა, - მიპასუხა მწარე ღიმილით, - პირველი სიტყვის თქმა ძალიან მიჭირდა. ახლა უკვე ვთქვი და ამიერიდან, მგონი გზას დავადგები.

დიდხანს არ მჯეროდა მისი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამი დღის განმავლობაში დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, დავიჯერე. ერთხანს გიჟი მეგონა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემდა სამწუხა-როდ და გასაკვირად, დავრწმუნდი, რომ მართალს ამბობდა. თოთხმეტი წლის წინათ ჩაუდენია დიდი და საშინელი დანაშაული: ერთი მდიდარი, ახალგაზრდა და მშვენიერი ქვრივი მოუკლავს, რომელსაც ჩვენს ქალაქში საკუთარი სახლი ჰქონია. ეს ამბავი დიდი სიყვარულით დაწყებულა. ერთხელ ჩემს სტუმარს სიყვარული აუხსნია იმ ქვრივისათვის და ხელი უთხოვია. მაგრამ ქალს თურმე სხვა ჰყვარებია, ერთი წარჩინებული, დიდჩინოსანი სამხედრო, რომელიც იმ დროს ლაშქრობაში იმყოფებოდა. ქალი მას დღედღეზე ელოდა. ასე რომ, ქალმა ჩემი სტუმრის წინადადება უარყო და თანაც სთხოვა, მასთან აღარ მისულიყო. ჩემმა სტუმარმა შეწყვიტა ქალთან სიარული და ერთხელაც, იცოდა რა კარგად ქალის სახლის განლაგება, მიუხედავად დიდი რისკისა, რომ ვინმე დაინახავდა, ბაღიდან ავიდა სახლის სახურავზე. საერთოდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ყველა თავხედურად ჩადენილი დანაშაული მოხერხებულად ტარდება. იგი სამერცხლულიდან სხვენში ჩაძვრა, იქიდან კი კიბით შეიძლებოდა საცხოვრებელ ოთახებში ჩასვლა. მან ისიც კი იცოდა, რომ მსახურების დაუდევრობის გამო

სხვენში ამავალი კიბის ბოლოში მდებარე კარი ყოველთვის არ იკეტებოდა. კარი, მართლაც, ღია დახვდა. ჩავიდა ქვემოთ. სიბნელეში ქალის საძინებელი ოთახი მონახა და შიგ შევიდა. ოთახში ლამპარი ენთო. თითქოს განგებ, ორივე მოახლე ქალბატონის უკითხავად იმავ ქუჩაზე, მეზობლად წასულიყვნენ ვიღაცის დღეობაზე. დანარჩენ მსახურებს ქვედა სართულზე ეძინათ, ზოგს სამოახლოში და ზოგსაც სამზარეულოში. კაცს მძინარე ქალის დანახვამ ჯერ ვნება აღუძრა, მერმე მასში შურისძიების გრძნობამ იფეთქა, მთვრალივით გონებაარეული მივარდა მძინარე ქალს და პირდაპირ გულში ჩაარჭო ხანჯალი, ისე რომ მძინარეს კრინტიც არ დაუძრავს. შემდეგ უფრო საშინელი რამ ჩაიდინა - ოთახი ისე არივ-დარია, თითქოს დანაშაული ქურდობის მიზნით იყო ჩადენილი, რომ მკვლელობა მსახურებისათვის დაებრალებინათ: აიღო მოკლულის ქისა, ბალიშის ქვეშიდან გამოაძრო გასაღებები, გახსნა კომოდი და ზოგიერთი ნივთი ამოიღო ისე, როგორც ამას უბირი მსახური გააკეთებდა, ფასიანი ქაღალდები დატოვა და მხოლოდ ფული და მსხვილი ოქროს ნივთები წაიღო, ხოლო მცირე ზომის, ათჯერ უფრო ძვირფას ნივთებს ხელი არ ახლო. კიდევ წამოიღო რამდენიმე ნივთი სამახსოვროდ, მაგრამ მათ შესახებ მოგვიანებით გეტყვით. როგორც კი მოათავა ყოველივე ზემოთ აღწერილი, იგივე გზით უკან გაბრუნდა. არც მეორე დღეს, როცა ეს ამბავი გახმაურდა და განგაში ატყდა, არც შემდგომ, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში, არავის გონებაში არ მოსვლია, ეჭვი შეეპარვოდა ნამდვილ ბოროტმოქმედზე! ქვრივის მიმართ მისი სიყვარულის შესახებ არავინ იცოდა, რადგან ჩემი სტუმარი ხასიათით ჩუმი და გულჩათხრობილი კაცი იყო და არც ისეთი მეგობარი ჰყოლია, ვისაც გულს გადაუშლიდა. ყველა მოკლულის ნაცნობად თვლიდა და მეტად არაფრად. თანაც ამას ისიც დაუმატეთ, რომ მკვლელობამდე ორი კვირის განმავლობაში ის ქვრივის სახლში არავის უნახავს. გამოძიებამ თავიდანვე ეჭვი შეიტანა მოკლულის ყმა მსახურზე, პიოტრიზე. ბოლო ხანებში პიოტრმა კარგად იცოდა და არც ქალბატონი მალავდა, რომ ჯარისკაცად გამწესებას უპირებდა, რადგან იგი მარტოხელა იყო, ამასთან ერთად, ცუდი ყოფაქცევის. ბევრი მოწმე აღმოჩნდა, რომელსაც სამიკიტნოში მოესმინა მთვრალი პიოტრის მუქარა, რომ თავის ქალბატონს მოკლავდა. ქალბატონის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე იგი სახლიდან გაიქცა და სადღაც ქალაქში ცხოვრობდა. მკვლელობის მეორე დღეს გალეშილი მთვრალი იპოვეს ქალაქის გასასვლელთან, ჯიბეში დანა ჰქონდა და რატომღაც სისხლში ამოსვრილი მარჯვენა ხელის გული. თავად ამტკიცებდა, რომ სისხლი ცხვირიდან წამოუვიდა, მაგრამ არავინ არ დაუჯერა. მოახლეებმა აღიარეს, რომ დაუკითხავად წავიდნენ დღეობაზე და შესასვლელი კარი ღია დატოვეს. კიდევ ბევრი მიზეზი აღმოჩნდა ისეთი, რომ უდანაშაულო მსახური დაეპატიმრებინათ. მაგრამ დაპატიმრებიდან ერთი კვირის თავზე ტუსაღს ციებ-ცხელება შეეყარა და ისე განუტევა სული, გონზე არ მოსულა. ასე დამთავრდა ეს საქმე, ჩათვალეს, რომ დამნაშავეს ღმერთმა უზღო. ყველა მოსამართლე, უფროსობა და საზოგადოება დარწმუნდა, რომ ბოროტმოქმედება გარდაცვლილმა მსახურმა ჩაიდინა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ჩემი იდუმალი სტუმრის ტანჯვა.

იდუმალებით მოცულმა სტუმარმა, ახლა უკვე მეგობარმა, გამანდო, რომ პირველ ხანებში სინდისის ქენჯნასაც არ განიცდიდა. წუხდა, მაგრამ არა იმის გამო, რომ ადამიანი მოკლა, არამედ მოკლა საყვარელი ქალი, რომ ის აღარ არსებობს და

მისი მოკვლით თავის სიყვარული მოკლა, იმ დროს, როცა ქალისადმი ვნების ცეცხლი კვლავ ენთო გულში. უმიზეზოდ დაღვრილ სისხლზე, მკვლელობაზე იგი თითქმის არ ფიქრობდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ მისი მსხვერპლი შესაძლოა ვინმეს ცოლი გამხდარიყო, თავზარს სცემდა, ამიტომ დიდხანს არწმუნებდა თავს, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. პირველ ხანებში მსახურის დაპატიმრებამ შეაწუხა, მაგრამ მისმა ავადმყოფობამ და სიკვდილმა შვება მოჰგვარა, რადგან თვლიდა, რომ ის მოკვდა არა დაპატიმრების და შიშის გამო, არამედ გაცივებით, რომელიც მთვრალს ცივ მიწაზე წოლის შედეგად დაემართა. ნივთები და ფული რომ მოიპარა, სულაც არ რცხვენოდა, რადგან ასე ფიქრობდა: ქურდობა ჩაიდინა არა სარგებლობის მიზნით, არამედ პოლიციისათვის ეჭვის გასაფანტად. მოპარული ფული უმნიშვნელო იყო. მალე მთელი ის თანხა და კიდევ უფრო ბევრად მეტი შესწირა ჩვენს ქალაქში გახსნილ დავრდომილთა სახლს. საგანგებოდ გააკეთა ეს თავისი სინდისის დასამშვიდებლად. მართლაც, როგორც თავად აღნიშნა, ამან კარგა ხნის განმავლობაში დაამშვიდა. ამის შემდეგ იგი შეუდგა დიდ სამსახურეობრივ მოღვაწეობას, თავად ითხოვდა რთულ და ძნელ დავალებებს. ასე იშრომა ორი წლის განმავლობაში და რადგან ძლიერი ხასიათი ჰქონდა, საქმემ თითქმის გადაავიწყა მომხდარი ამბავი; როცა გაახსენდებოდა ხოლმე, ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე. დაიწყო ქველმოქმედება, ბევრი შესაწირი გასცა ჩვენს ქალაქშიც და დედაქალაქებშიც, არჩეული იყო მოსკოვისა და პეტერბურგის საქველმოქმედო საზოგადოებების წევრად. მაგრამ ბოლომდე ძალა არ ეყო, მტანჯველი ფიქრი შეუჩნდა. ამასობაში ერთი მშვენიერი და კეთილშობილი ქალიშვილი მოეწონა და სასწრაფოდ ცოლად შეირთო, ფიქრობდა - იქნებ ქორწინებამ გამიფანტოს მტანჯველი ფიქრები, ხოლო ცოლ-შვილზე მზრუნველობამ საერთოდ გადამავიწყოს ძველი ამბებიო. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ჯერ კიდევ ქორწინების პირველ თვეებში აეკვიატა: „ცოლს ვუყვარვარ, რა მოხდება, თუკი იგი ჩემს ამბავს შეიტყობს?“ როდესაც ცოლი დაფეხმძიმდა და ამის შესახებ ქმარს შეატყობინა, იგი შეცბუნდა: „სხვისი სიცოცხლის ხელმყოფელი ახალი სიცოცხლის გამგრძელებელი ვხდებიო“. როცა შვილები გაუჩნდა, ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი: „როგორ უნდა მიყვარდეს, როგორ ვასწავლო და აღვზარდო ისინი, როცა მე ადამიანის სისხლით მაქვს ხელები მოსვრილი“. თვალხატულა ბავშვები კი იზრდებოდნენ, მამას უნდოდა მათი მოფერება, მაგრამ ვერ ბედავდა. „მე შემიძლია მათი უმანკო, ნათელი სახეების ცქერა; არა ვარ ღირსიო“. დაბოლოს, დაეწყო თავისი მსხვერპლის მოლანდებები, ყველგან მისი სისხლი ეჩვენებოდა, რომელიც შურისძიებას ითხოვდა. საშინელ სიზმრებს ხედავდა. მაგრამ გულმაგარი იყო და ტანჯვას უძლებდა. „ჩემი ფარული ტანჯვით გამოვისყიდი ყოველივეს“, - ფიქრობდა ის, მაგრამ ამაო იყო ეს იმედი: რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მეტად ეწამებოდა. საზოგადოება მას საქველმოქმედო საქმიანობის გამო დიდ პატივს სცემდა, თუმცა ყველას ეშინოდა მისი მკაცრი და პირქუში ხასიათის გამო. რაც უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობდა, მით უფრო მეტად იტანჯებოდა. გამომიტყდა, ერთხელ თავის მოკვლაზეც კი უფიქრია. შემდეგ ერთი ოცნება გაუჩნდა, ოცნება, რომელსაც თავიდან სიგიჟედ და აუხდენელად თვლიდა, მაგრამ მერმე ისე გაიტაცა მასზე ფიქრმა, რომ თავიდან ვეღარ იშორებდა. ეს ოცნება კი შემდეგს გულისხმობდა: ერთ დღეს ადგებოდა, დადგებოდა ხალხის წინაშე და განაცხადებდა - მე მკვლელი ვარ! სამი წელი დაატარებდა ამ ოცნებას, ნაირ-ნაირ ვარიანტებს

აწყობდა, ბოლოს და ბოლოს, თავი დაირწმუნა, რომ დანაშაულის აღიარებით შეძლებდა თავისი სულის განკურნებას და დამშვიდებას. როცა ამ აზრს შეეგუა, შიშმა შეიპყრო, როგორ განეხორციელებინა ყოველივე? ამ დროს გახმაურდა ჩემი ორთაბრძოლის ამბავი. „თქვენმა საქციელმა გადაწყვეტილება მიმაღებინა“, - მითხრა. მე თვალს არ ვაცილებდი მას.

- ნუთუ, - შევძახე მე და ხელი ხელს შემოვკარი, - ამ უბრალო შემთხვევამ ასეთ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანათ?!

- ამ გადაწყვეტილებას სამი წელია გულით დავატარებ, - მიპასუხა მან, - თქვენმა შემთხვევამ მხოლოდ ბიძგი მომცა. შემრცხვა და შემშურდა კიდეც თქვენი, - მკვახედ ჩაილაპარაკა მან.

- თქვენ ამას არავინ დაგიჯერებთ, - ვთქვი მე, - უკვე თოთხმეტი წელი გავიდა.

- დამამტკიცებელი საბუთები საკმაოდ მაქვს, წარვუდგენ.

ავტირდი და გადავეხვიე.

- იმათ რა ვუყო, არ ვიცი! - ისე თქვა, თითქოს ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, - ცოლსა და შვილებს! ამ სირცხვილს ცოლი ვერ გადაიტანს, შვილებს კი, თუმცა აზნაურობასა და მამულს არ ჩამოართმევენ, მაგრამ მკვლელის შვილების სახელი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ. როგორი მოგონება დარჩებათ ჩემზე!

მე ვდუმდი.

- მათთან სამუდამოდ განშორება?! ეს ხომ სამუდამოდ იქნება, სამუდამოდ!

ვზივარ და ჩემთვის ვლოცულობ. ბოლოს, როგორც იქნა, ავდექი, ძალიან შემეშინდა.

- რაა? - მიყურებს.

- წადით, - ვეუბნები, - და გამოუცხადეთ ხალხს. ყველაფერი გაივლის და მხოლოდ სიმართლე დარჩება. ბავშვები როცა გაიზრდებიან, გაგიგებენ, რამდენი დიდსულოვნება იყო თქვენს ამ საქციელში.

წავიდა, თითქოს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, ჩემთან ყოველ საღამოს მოდიოდა, სულ ემზადებოდა, ვერაფრით ბედავდა საბოლოო ნაბიჯის გადადგმას. გამტანჯა. ხანდახან მტკიცე გადაწყვეტილებით მოვიდოდა და გულაჩუყებული მეუბნებოდა:

- ვიცი, როგორც კი ყველაფერს ვაღიარებ, ჩემთვის სამოთხე დადგება. თოთხმეტი წელია ჯოჯოხეთში ვარ. მინდა ვიტანჯო. როცა ტანჯვას შევუდგები, ცხოვრება მაშინ დაიწყება. სიცრუით შეიძლება ქვეყანა მოიარო, მაგრამ უკან ვეღარ მობრუნდე. ახლა კი არათუ მოყვასის სიყვარული, ჩემი შვილების სიყვარულიც ვერ გამიბედავს. ღმერთო ჩემო, იქნებ გამიგონ ჩემმა შვილებმა, რად მიღირდა ეს ტანჯვა-წამება და არ განმსაჯონ! ღმერთი ძალაში კი არ არაა, სიმართლეშია.

- ყველა, ყველა გაიგებს თქვენს თავგანწირვას, - ვეუბნები, - ახლა თუ არა, შემდეგში მაინც გაიგებენ, რამეთუ სიმართლეს ემსახურეთ, უზენაეს სიმათლეს, არაამქვეყნიურს...

თითქოს დაწყნარებული წავიდოდა ხოლმე ჩემგან, მეორე დღეს კი კვლავ მოდიოდა, გაბოროტებული, გაფითრებული და დაცინვით მეუბნებოდა:

- ყოველთვის, როდესაც თქვენთან შემოვდივარ, ისე ცნობისმოყვარეობით მიყურებთ, თითქოს ამბობთ: „ისევ არაფერი გაგიცხადებიათო?“ მოითმინეთ, ჯერ ნუ შემიჯავრებთ. თქვენ გგონიათ, ადვილია ამის გაკეთება. შეიძლება, სულაც არაფერი ვთქვა. თქვენ ხომ არ წახვალთ, ხომ არ დამასმენთ, ჰა?

ამ დროს მე, არათუ არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობით, საერთოდ მისი შეხედვის მეშინოდა. ტანჯვისაგან დავავადმყოფდი, მეც გული ცრემლით მქონდა სავსე. ღამღამობით აღარ მეძინა.

- ახლა, - გააგრძელა მან, - სახლიდან მოვდივარ. თქვენ იცით, რა არის ცოლი? წამოსვლისას ბავშვები გამომეტირნენ: „მშვიდობით, მამიკო, მალე დაბრუნდი და „საბავშვო საკითხავი“ წაგვიკითხეო“. არა, თქვენთვის ეს გაუგებარია! სხვისი გაჭირვება ჭკუას არავის ჰმატებს.

თვალები აენთო, ტუჩები აუკანკალდა. უცებ მაგიდას ისე დაჰკრა ხელი, რომ ზედ დაწყობილი ნივთები ჰაერში ახტა. საერთოდ, რბილი ხასიათის კაცი იყო, ასეთი რამ პირველად დაემართა.

- საჭიროა კი, - შეჰყვირა მან, - უნდა კი ვინმეს? ხომ არავინ გაუსამართლებიათ, ხომ არავინ გაუგზავნიათ კატორღაში ჩემ მაგიერ, ის მსახური თავისი სიკვდილით მოკვდა. მკვლელობისათვის მე ჩემი ტანჯვაც მეყოფა. ამას გარდა, არავინ დამიჯერებს, არც ერთ ჩემს ნივთმტკიცებას არ მიიღებენ. საჭიროა კი გამოცხადება, საჭიროა?! იმ მკვლელობისათვის მზად ვარ, მთელი ცხოვრება ვიტანჯო, ჩემი ცოლ-შვილი რომ არ დაიჩაგროს. განა ეს სამართლიანი იქნება, ჩემთან ერთად ისინიც რომ დაიღუპონ? ხომ არ ვცდებით? სად არის სიმართლე? გარდა ამისა, მიხვდებიან კი ადამიანები ამ სიმართლეს, სწორად შეაფასებენ, პატივს მიაგებენ?!

„ღმერთო ჩემო! - გავიფიქრე ჩემთვის, - ასეთ წუთებში ეს კიდევ ხალხისაგან პატივისცემაზე ფიქრობს-მეთქი“. ისე შემეცოდა, რომ შემძლებოდა, მის ხვედრს გავინაწილებდი და ტანჯვას შევუმსუბუქებდი. ვხედავდი, რომ თითქმის ჭკუიდან იყო გადასული. როცა მივხვდი, გონებით კი არა, მთელი ჩემი არსებით, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- ჩემი ბედი თქვენს ხელშია! - კვლავ იყვირა მან.

- წადით და განაცხადეთ, - ჩურჩულით ვუთხარი. ხმა აღარ მყოფნიდა. მაგრამ ნათქვამი მტკიცე იყო. იქვე მაგიდიდან ახალი აღთქმა ავიღე, რუსული თარგმანი და იოანეს სახარების მეთორმეტე თავის 24-ე მუხლი მივუთითე:

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მიწაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება; ხოლო თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს.“ სწორედ ამ ადგილს ვკითხულობდი მისი მოსვლის წინ.

წაიკითხა.

- მართალია! - თქვა და მწარედ გაიცინა, - ამ წიგნებში, - ერთხანს გაჩუმდა, - რა საშინელებას არ წაიკითხავს კაცი. თქვენთვის ადვილია მიმითითოთ. ვინ დაწერა ეს წიგნები, ნუთუ ადამიანებმა?

- სულიწმიდამ დაწერა.

- თქვენ რა გენაღვლებათ, - კვლავ გაიცინა მან, მაგრამ უკვე სიძულვილით. მე კვლავ ავიღე წიგნი, ახლა სხვა ადგილას გადავშალე, დავანახე „ებრაელთა მიმართ“, თავი X, მუხლი 31. მან წაიკითხა: „საშინელია ჩავარდნა ცოცხალი ღმერთის ხელში.“

წაიკითხა და წიგნი გვერდზე მოისროლა. ერთიანად აკანკალდა.

- საშინელი ადგილია, - თქვა მან, - ვერაფერს იტყვი კაცი, კარგად შეგირჩევიათ. - ადგა, - მშვიდობით, ამიერიდან, მგონი, აღარ შეგაწუხებთ... სამოთხეში ვიხილავთ ერთმანეთს. გამოდის, 14 წელია „ცოცხალი ღმერთის ხელში ვარ ჩავარდნილი“, აი, ასეთი სახელი უნდა დავარქვათ ამ პერიოდს. ხვალ ვთხოვ ამ ხელს, რომ გამათავისუფლოს...

მინდოდა გადავხვეოდი და გადამეკოცნა, მაგრამ სახე ისე ჰქონდა მოქცეული, შეხედვა მიჭირდა. წავიდა. „ღმერთო, - ვფიქრობდი ჩემთვის, - სადამდე მივიდა ადამიანი!“ ხატის წინ დავემხე და ავტირდი, წმიდათაწმიდა ღვთისმშობელს, ჩვენს მფარველსა და შემწეს, შევთხოვდი, დახმარებოდა მას. ნახევარი საათი მუხლმოდრეკილი ვლოცულობდი. უკვე გვიანი ღამე იდგა, დაახლოებით 12 საათი. ვხედავ, კარი იღება და კვლავ ის შემოდის. მე გაოცებული დავრჩი.

- სად იყავით? - ვკითხე.

- მე, - ამოღერღა მან, - მგონი, რაღაც დამავიწყდა... მგონი ცხვირსახოცი... არა არაფერი არ დამრჩენია, ცოტა ხანს ჩამოვჯდები... დაჯდა. მე თავზე ვადექი „თქვენც დაჯექით," - მეუბნება. მეც დავჯექი. ასე ორი წუთი ვისხედით, გაშტერებული მიყურებდა და უცებ გაიცინა - ეს კარგად დამამახსოვრდა. შემდეგ ადგა, გადამეხვია, მკერდზე მიმიკრა და მაკოცა.

- დაიმახსოვრე, - თქვა მან, - ეს მოსვლა დაიმახსოვრე. გესმის, კარგად დაიმახსოვრე!

პირველად მომმართა შენობით და წავიდა. „ხვალ!" - გავიფიქრე.

ასეც მოხდა. მეორე დღეს თურმე დაბადების დღე ჰქონდა, იმ საღამოს მე ეს არ ვიცოდი. ბოლო ხანებში არსად დავდიოდი, ამიტომ არც სხვებისაგან შემეძლო რაიმეს გაგება. ამ დღეს, ყოველწლიურად, დიდ სტუმრიანობას მართავდა ხოლმე, მთელი ქალაქის გამოჩენილი საზოგადოება ულოცავდა. იმ წელსაც ბევრი სტუმარი ეწვია. ნასადილევს ხალხის შუაგულში მოექცა. ხელში ეჭირა განცხადება პოლიციის უფროსის სახელზე. რადგან პოლიციის უფროსიც დამწრეთა შორის იმყოფებოდა, მან ყველას თანდასწრებით წაიკითხა განცხადება, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი მის მიერ ჩადენილი დანაშაული: „როგორც მტარვალი, უნდა მოვიკვეთო საზოგადოებისგან, მე ღმერთი მეწვია, მინდა ვიტანჯო!" - ამ სიტყვებით დაასრულა კითხვა, მაშინვე გავიდა, გამოიტანა ყველა ნივთმტკიცება და მაგიდაზე დაალაგა. ეს ის ნივთები იყო, რომლებსაც თოთხმეტი წელი ინახავდა და რომლებიც მის დანაშაულს ადასტურებდა: ეჭვის გასაფანტავად მოკლულის კისრიდან მოხსნილი ოქროულობა - ჯვარი და მედალიონი (მედალიონში საქმროს სურათი იდო), უბის წიგნაკი და ორი წერილი - ერთი საქმროს მიერ მოწერილი, სადაც ის ატყობინებდა, რომ მალე ჩამოვიდოდა და მეორე მოკლულის მიერ საპასუხოდ დაწყებული, მაგრამ ვერ დამთავრებული. მკლელობის შემდეგ ორივე წერილი თან წამოიღო - რისთვის? რისთვის ინახავდა თოთხმეტი წელი და არ გაანადგურა ამდენი ხანი? წვეულებაზე კი ასეთი ამბავი დატრიალდა: მას ყველა დიდი ინტერესით, გაკვირვებული და შეძრწუნებული უსმენდა, მაგრამ არავის უნდოდა დაჯერება, ყველამ ავადმყოფად ჩათვალა. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საწყალი ჭკუიდან გადავიდა. პოლიციასა და სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, საქმისათვის მსვლელობა არ მიეცა, მაგრამ ისინიც ყოყმანობდნენ, თუმცა წარმოდგენილი ნივთმტკიცებები და წერილები ეჭვს არ იწვევდა. მათ მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: თუ დოკუმენტები მართლა სარწმუნოა, მაინც საბოლოო დასკვნის გამოტანა მათ მიხედვით არ შეიძლება, რადგან დასაშვებია, ნივთები მას გარდაცვლილისაგან მიბარებული ჰქონდა. შემდგომში ისიც გავიგე, როცა გარდაცვლილის ნათესავებსა და ნაცნობებს უნახავთ ეს ნივთები, მათაც დაუდასტურებიათ, რომ იგი ნამდვილად მოკლულს ეკუთვნოდა. მაგრამ ამ საქმეს დაბოლოება მაინც არ ეწერა. ხუთი დღის შემდეგ ყველამ შეიტყო, რომ ეს ტანჯული ადამიანი მძიმე ავადმყოფობას შეეპყრო და მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. რა სნეულება სჭირდა, არ ვიცი; ამბობდნენ - გულისცემის მოშლა აქვსო. ასევე გახდა ცნობილი, რომ ექიმთა საბჭომ იგი შეურაცხადად სცნო. მე მისი საიდუმლო არ გამითქვამს, თუმცა ყველა

დიდი ინტერესით მეკითხებოდა. როცა მისი ნახვა მოვისურვე, გაკიცხვა დამიწყეს, განსაკუთრებით მისმა მეუღლემ: „თქვენი ბრალია ყველაფერი, - მითხრა მან, - თქვენ გააღიზიანეთ იგი. მართალია, ადრეც დამწუხრებული დადიოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მასში ყველა განსაკუთრებულ მღელვარებას და უცნაურობებს ამჩნევდა. მერმე თქვენ დაღუპეთ ის, თქვენ აურიეთ გონება, განა მთელი თვე თქვენთან არ იჯდა?“ მარტო მეუღლე კი არა, ყველა მე მადანაშაულებდა: „თქვენი ბრალია, თქვენიო“. მე ხმას არ ვიღებდი, გულში მიხაროდა, რამეთუ ვიხილე ჭეშმარიტი წყალობა უფლისა საკუთარი თავის წინააღმდეგ აღმდგარი და საკუთარი თავის დამსჯელი კაცის მიმართ. მისი გაგიჟება, ცხადია, არ მჯეროდა. როგორც იქნა, შემიშვეს მასთან. თავად ითხოვა ჩემი ნახვა, გამომშვიდობება უნდოდა. როგორც კი შევედი და შევხედე, მიხვდი რომ იგი, არათუ დღეებს, არამედ უკანასკნელ საათებს ითვლიდა, ისე იყო დაუძლურებული, გაყვითლებული ხელები უკანკალებდა და სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მე გულაჩუყებული და გახარებული შემომცქეროდა.

- აღსრულდა! - ჩაილაპარაკა მან, - რამდენი ხანია, შენი ნახვა მინდა, რატომ არ მოხვედი?

არ ვუთხარი, მასთან რომ არ მიშვებდნენ.

- ღმერთმა შემიბრალა და თავისთან მიხმობს. ვიცი, რომ ვკვდები, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ პირველად ჩემი სული გახარებული და დამშვიდებულია. როგორც კი გავაკეთე, რაც მინდოდა, იმავ წამს თავი სამოთხეში ვიგრძენი. ახლა უკვე შემიძლია, ჩემი შვილები მიყვარდეს, ვეფერო და ვკოცნო ისინი. არავის სჯერა ჩემი, არც ცოლს, არც მოსამართლეებს; არც ჩემი შვილები დაიჯერებენ არასოდეს. ამაში ვხედავ ღვთის მადლს ჩემი შვილების მიმართ. მოვკვდები და ჩემი სახელი მათთვის სამარცხვინო არ იქნება. მე ახლა ვგრძნობ ღმერთს, გული ისე ხარობს, თითქოს სამოთხეში ვიყო... ვალი მოვიხადე...

ლაპარაკი აღარ შეეძლო, სული ეხუთებოდა, ხელს კი მაგრად მიჭერდა და ანთებული თვალებით შემომცქეროდა. დიდხანს აღარ გვისაუბრია, მისი ცოლი გაუთავებლად შემოიხედავდა ხოლმე. მომაკვდავმა მაინც მოასწრო და ჩამჩურჩულა:

- გახსოვს, შენთან რომ დავბრუნდი შუაღამისას? კიდეც გითხარი, დაიმახსოვრე ეს მოსვლა-მეთქი? იცი რისთვის მოვედი? უნდა მომეკალი.

მე შევკრთი.

- როცა შენგან წამოვედი, სიბნელეში, ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი და თავს ვებრძოდი. უცებ გაუსაძლისად ძლიერ შემძულდი. „ახლა მხოლოდ მან იცის ჩემი ამბავი, - ვფიქრობდი ჩემთვის, - ისაა ჩემი მსაჯული, აღარ შემიძლია უარი ვთქვა სასჯელზე, ვინაიდან მან ყველაფერი იცის. არა, განა იმის მეშინოდა, რომ დამასმენდი (აზრადაც არ მომსვლია), არა! ჩემთვის ვფიქრობდი: როგორ შემეხედა შენთვის თვალებში, თუკი არ ვაღიარებდი ჩემს დანაშაულს? თუმცა შენ შორს იყავი ჩემგან, მაგრამ ცოცხალი ხომ იყავი, ჩემთვის აუტანელი იყო იმის

გაფიქრებაც კი, რომ შენ ცოცხალი ხარ, ყველაფერი იცი და განმიკითხავ. ისე მძულდი, თითქოს შენ იყავი მიზეზი ყველა ჩემი უბედურებისა. მახსოვს, როცა შენთან დავბრუნდი, დავინახე, მაგიდაზე ხანჯალი იდო. დავჯექი და შენც დაჯდომა გთხოვე. მთელი ერთი წუთი ვფიქრობდი. შენ რომ მომეკალი, მაინც დავიღუპებოდი, რომც არ მეღიარებინა ჩემი ძველი დანაშაული. მაგრამ იმ წუთებში ამას არ ვფიქრობდი და არც მინდოდა მეფიქრა. მე მხოლოდ შენ მძულდი და შენი სიკვდილი მინდოდა. მაგრამ ღმერთმა დამიფარა და განდევნა ჩემგან სატანა. ისე კი იცოდე, არასოდეს ყოფილხარ სიკვდილთან ისე ახლოს, როგორც მაშინ.

ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. მთელმა ქალაქმა მიაცილა საფლავამდე. დეკანოზმა გულისამაჩუყებელი სიტყვა წარმოთქვა. დასტიროდნენ მას და წყევლიდნენ იმ ვერაგ ავადმყოფობას, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა. მისი დამარხვის შემდეგ მთელი ქალაქი ჩემს წინააღმდეგ აღდგა, სახლში აღარავინ მიღებდა. მართალია მოგვიანებით, ზოგიერთები, ჯერ თითო-ოროლა, შემდეგ სულ უფრო მეტი და მეტი, დარწმუნდა მისი აღიარების სიმართლეში და დაიწყეს ჩემი მონახულება, გამოკითხვა: რამეთუ ადამიანებს სიამოვნებთ ღირსეული კაცის ზნეობრივი დაცემა და თავსლაფის დასხმა. მაგრამ მე კრინტი არ დამიძრავს და მალე ის ქალაქი სამუდამოდ დავტოვე. ხუთი თვის შემდეგ უფალმა ღმერთმა ღირსმყო და დამაყენა მშვენიერ გზაზე. მე მადლიერების გრძნობით ვადიდებდი იმ უხილავ ხელს, რომელმაც ასე ნათლად მიმითითა სათნოებისაკენ მიმავალ გზაზე. მრავალტანჯულ ღვთის მონას, მიხეილს ჩემს ლოცვებში დღემდე მოვიხსენიებ ხოლმე.

III ამონაკრებები ბერი ზოსიმას საუბრებიდან და ქადაგებებიდან

ე) ზოგიერთი რამ რუსი მონაზვნის და მისი დანიშნულების შესახებ

მამანო და მოძღვარნო ჩემნო, ვინ არის მონაზონი? დღესდღეობით, განათლებული საზოგადოების ნაწილი ამ სიტყვას დაცინვით ხმარობს, ზოგიერთი კი სალანძღავად. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად. ისიც მართალია, ამას წყალი არ გაუვა, მონაზვნებს შორის ბევრი მუქთახორა, მუცელღმერთა, მრუში და თავხედი მაწანწალაა. ამის შესახებ ხშირად მიგვითითებენ ხოლმე განათლებული მაღალი წრის წარმომადგენლები: „თქვენ ზარმაცი და საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი ხალხი ხართ, სხვისი შრომით ცხოვრობთ და ურცხვად მათხოვრობთო“. მაგრამ რამდენია მონაზონთა შორის უწყინარი და თვინიერი, რომელთაც განმარტოება და სიჩუმეში გულმხურვალე ლოცვა სურთ. მათზე თითქმის არაფერს ამბობენ, დუმილით უვლიან გვერდს და ძალიან უკვირთ, როცა ვეუბნები: ამნაირ თვინიერ განდეგილთაგან, შესაძლოა, კიდევ ერთხელ მოგვევლინოს რუსეთის გადამრჩენელი-მეთქი! რამეთუ ისინი ჭეშმარიტად მზად არიან „ყოველსაათს და ყოველდღე, ყოველთვე და ყოველწელს!“ ჯერჯერობით ისინი თავიანთ სიმარტოვეში გულით დააატარებენ ქრისტეს მშვენიერ და უცვლელ ხატებას და ღმერთის მიერ ძველთაძველი მამების, მახარებლებისა და წამებულების საშუალებით გადმოცემულ წმიდა ღვთიურ სიმართლეს. როცა ამის

საჭიროება დადგება, ისინი დაეჭვებულ მსოფლიოს ამ სიმართლეს განუცხადებენ. ამაში დიდებული აზრია ჩადებული. ესე ვარსკვლავი აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება.

მე ასე ვფიქრობ მონაზვნობაზე, ნუთუ მცდარია ჩემი აზრი, არის კი ამაში რაიმე ქედმაღლური? გადახედეთ უფლის მიერ შექმნილ ამა სოფლის მკვიდრთ, ხომ არ დამახინჯდა მათ თვალში უფლის ხატება და ჭეშმარიტება? მათი მეცნიერება მხოლოდ შეგრძნებებზეა აგებული. ხოლო სულიერი სამყარო, ადამიანის არსობის უმაღლესი ნახევარი მთლიანად უარყოფილია, განდევნილია რაღაცნაირი ზარ-ზეიმით და სიძულვილითაც კი. უკანასკნელ ხანებში გამოაცხადეს თავისუფალი სამყარო, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს თავისუფლება: მხოლოდ და მხოლოდ მონობაში და თვითმკვლელობაში! რამეთუ მატერიალური მსოფლმხედველობა ღაღადებს: „გაქვს მოთხოვნილებები, დაიკმაყოფილე ისინი, ვინაიდან შენც ისეთივე უფლებები გაქვს, როგორიც ძლიერთა ამა ქვეყნისა. ნუ შიშობ შენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, პირიქით, ამრავლე ისინი.“ ასეთია დღევანდელი მსოფლიოს სწავლება. ამაში ხედავენ ისინი თავისუფლებას. რა გამოვა მოთხოვნილებების გაზრდის ამ უფლებიდან? მდიდრებისათვის გათითოკაცება და სულიერი თვითმკვლელობა, ღარიბთათვის შური და მკვლელობა, რადგან უფლებები კი მისცეს, მაგრამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება არ ასწავლეს. იმასაც ამტკიცებენ - მსოფლიო რაც დრო გადის, უფრო და უფრო ერთიანდება, ძმური ურთიერთობები მყარდება, რადგან მანძილები მოკლდება და შესაძლებელი ხდება ჰაერით აზრების გადაცემაო. ვაი რომ, ამ გზით ადამიანები ვერ გაერთიანდებიან. რაკი მათი გაგებით, თავისუფლება მოთხოვნილებების გაზრდაში და მათ უსწრაფეს დაკმაყოფილებაშია, ამიტომ ისინი ამახინჯებენ თავიანთ ბუნებას, რამეთუ სისხლში უჯდებათ ნაირ-ნაირი უაზრო და სულელური სურვილი, ჩვევა და საკუთარი აბდაუბდა გამონაგონების ტყვეები ხდებიან. მხოლოდ იმისათვის ცხოვრობენ, ერთმანეთის რომ შურდეთ, ამოიყოროონ მუცლები და ზემოდან უცქირონ ყველას. გამართონ სადილები და პიკნიკები, ჰქონდეთ ეკიპაჟები და ჩინები, ჰყავდეთ პირისფარეშთა და მოახლეთა ამალა... ეს უკვე ისეთ აუცილებლობად ექცათ, რომ მათი გულისათვის შეიძლება თავიც გაწირონ, ნამუსი გაყიდონ და ადამიანი მოკლან. უფრო ხელმოკლეებსაც ემართებათ იგივე, ხოლო ღარიბ-ღატაკები მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებასა და შურს ლოთობით იხშობენ. მაგრამ მალე ღვინის სმის მაგივრად სხვისი სისხლის სმას დაიწყებენ, მაგასაც მოვესწრებით, იქამდეც მივალთ. გეკითხებით: თავისუფალია ასეთი კაცი? მე ვიცნობდი ერთ „იდეისათვის მებრძოლ“ ადამიანს, თავად მომიყვა, როცა საპატიმროში თამბაქო აღარ მისცეს, ისე იტანჯებოდა, ლამის უღალატა თავის „იდეას“, ოღონდ კი მოსაწევი მიეცათ. ასეთი კაცის დევიზი კი, მოგეხსენებათ, როგორია: „კაცობრიობისათვის უნდა ვიბრძოლო“. ნუთუ ასეთ კაცს ბრძოლა შეუძლია, მას რისი თავი აქვს? მხოლოდ ნაუცბათევ, რაღაც მყისიერ ქმედებას თუ შეძლებს, რომელსაც დიდხანს ვერ გაუძლებს. ასეთები, არცაა საკვირველი, თავისუფლების მაგივრად მონობაში რომ ჩაცვივდნენ, ხოლო კაცმოყვარეობისა და კაცობრიობის ერთიანობის სამსახურის მაგივრად ერთმანეთს დაშორდნენ და გათითოკაცდნენ, როგორც ამას მეუბნებოდა ჩემს ახალგაზრდობაში ჩემი საიდუმლო სტუმარი და მოძღვარი. ამიტომაცაა ახლა

მსოფლიოში სულ უფრო და უფრო კარგავს აზრს კაცობრიობის სამსახურის, მოყვასის სიყვარულისა და ადამიანის სრულყოფილების იდეა; ახლა ეს იდეები დაცინვის საგნადაც კი იქცა, რამეთუ მაშინ უარი უნდა თქვან თავიანთ ჩვევებზე. სად უნდა წავიდეს თავისი სურვილების ტყვე ადამიანი, თუკი ასე მიეჩვია იმ უსასრულო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომელიც თავად გამოიგონა? იგი მარტოსულია და არა ესაქმება რა საზოგადოებასთან. ბოლოს და ბოლოს, ქონებას ბევრს კი დააგროვებს, ხოლო სიხარული სულ უფრო და უფრო მცირე ექნება.

სულ სხვაა მონაზვნის გზა. ახლა, როცა მორჩილებას, მარხვასა და ლოცვას დასცინიან, ავიწყდებათ, რომ მხოლოდ მათი საშუალებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტი თავისუფლების გზაზე დადგომა: ვახშობ ჩემში ზედმეტ და არასასურველ მოთხოვნილებებს, მორჩილებითა და თვითგვემით ვიოკებ ამპარტავნულ და პატივმოყვარულ ნებას, ასე და ამგვარად და კიდევ უფლის შემწეობით ვაღწევ სულის თავისუფლებასა და სულიერ აღტაცებას! ვის უფრო შესწევს უნარი, აიტაცოს დიადი იდეა და ემსახუროს მას - გათითოკაცებულ მდიდარს, თუ ყოველივე მატერიალური საგნებისა და უზნეო ჩვევების ტირანიისაგან გათავისუფლებულ კაცს? მონაზონს განდეგილობის გამო კიცხავენ: „მოყუჩებულხარ მონასტრის კედლებში საკუთარი თავის გადასარჩენად და კაცობრიობისადმი ძმური სამსახური გადაგავიწყდაო“. მაგრამ მოდი, ვნახოთ, ვინ უფრო მეტი გულმოდგინებით ეკიდება მოყვასის სიყვარულს? რამეთუ ჩვენ კი არ ვცხოვრობთ განმარტოებით, არამედ ისინი, მაგრამ ვერ ხედავენ ამას. ძველთაგანვე ჩვენგან, მონაზვნებისგან, ყოველთვის სახალხო მოღვაწეები გამოდიოდნენ, ახლა რა უნდა დაგვემართოს? ისევ ისინი, მორჩილები და თვინიერები, მემარხულენი და დაყუდებულნი ადგებიან და გაემართებიან დიადი საქმეების საკეთებლად. რუსეთის გადარჩენა რუს ხალხს შეუძლია. რუსეთის მონასტრები ყოველთვის ხალხის მხარეს იდგა. თუ ხალხი განზე დგას, მაშინ ჩვენც განაპირებულები ვართ. ხალხი ჩვენსავით მორწმუნეა, ხოლო ურწმუნო მოღვაწე რუსეთში ვერაფერს შეძლებს, თუნდაც საქმეს წრფელი გულით აკეთებდეს და თან უნიჭიერესიც იყოს. ეს დაიმახსოვრეთ. ხალხი წინ აღუდგება ღვთისმგმობელობას, დაამარცხებს მას და გახდება რუსეთი ერთიანი მართლმადიდებლური ქვეყანა. გაუფრთხილდით ხალხს და დაიცავით ის. სიმშვიდეში აღზარდეთ მრევლი. ეს არის თქვენი მონაზვნური ღვაწლი, რამეთუ ხალხია ღმერთის გულით მატარებელი.

3) ორიოდ სიტყვა ბატონებსა და ფარეშებზე და კიდევ იმაზე, შესაძლებელია თუ არა მათ შორის დამყარდეს სულიერი ძმობა

ღმერთო, ვინა თქვა, ხალხი ცოდვილიაო. ხალხის გახრწნა ზემოდან ხდება, ყოველდღიურად თვალნათლივ ჩანს როგორ ჭირივით ედება ხრწნილი საზოგადოების ყველა ფენას. იწყება ხალხის დაცალკევება: გლეხებს შორის გაჩნდნენ კულაკები და სოფლის წურბელები; ვაჭარსაც უფრო და უფრო მეტი პატივის მიღება სურს, თავი განათლებულად მოაქვს, როცა წესიერად წერა-კითხვაც არ იცის, ძველთაძველ წეს-ჩვეულებებს უარყოფს და მამა-პაპათა რწმენის რცხვენია, თავადაზნაურობაში გაერია, მაგრამ მაინც ტეტიად დარჩა.

ხალხი გალოთდა და უკვე აღარ შეუძლია თავი დააღწიოს სმას. როგორ სასტიკად ექცევიან ქმრები ცოლ-შვილს და ეს ყოველივე ლოთობის გამოისობითაა. მე მინახავს ფაბრიკებში მომუშავე ათი წლის ბავშვები, გაძვალტყავებულები, დაბეჩავებულები, წელში მოხრილები და უკვე გარყვნილები. ჩახუთული დარბაზი, მოგუგუნე მანქანები, მთელი დღე ქანცგამომცლელი შრომა, უწმაწური სიტყვები და ლოთობა... ლოთობა, ეს სჭირდება ასეთი პატარა ბალღის სულს? მას უნდა მზე, საბავშვო თამაშობები, ყველგან სამაგალითო საქციელი და სიყვარული, თუნდაც მცირე სიყვარული მაინც. ასე არ შეიძლება! არ შეიძლება ასე დაიტანჯონ ბავშვები. მონაზვნებო, ადექით და დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ, ყველგან იქადაგეთ ეს. ღმერთი არ გაწირავს რუსეთს, ის გადაარჩენს მას, რადგან, მართალია, გაირყვნენ რუსეთის მდაბიონი, მათ არ შეუძლიათ უარი თქვან ბინძურ ცოდვებზე, მაგრამ ის მაინც იციან, რომ სცოდავენ და მათ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვა ღმერთის მიერაა შეჩვენებული. ასე რომ, ჯერჯერობით, ჩვენს ხალხს გულმხურვალედ სჯერა სიმართლის, სწამს ღმერთი და გულაჩუყებული ქვითინებს, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელებს სურთ, მეცნიერული თანმიმდევრობით, თავიანთ ჭკუაზე მოიწყონ სამართლიანი ცხოვრება, ოღონდ ქრისტეს გარეშე, როგორც უწინ იყო. უკვე გამოაცხადეს, რომ თუ არ არის ჩადენილი დანაშაული, მაშინ ცოდვაც არ არსებობსო. მათი გაგებით, ეს, მართლაც, ასე უნდა იყოს: რამეთუ თუ ღმერთი არ გწამს, მაშინ რაა დანაშაული? ევროპაში ხალხი მდიდრებს უჯანყდება, ძალას ხმარობს მათზე. ბელადებს ადამიანები გამუდმებით სისხლისღვრამდე მიჰყავთ და თან უქადაგებენ, რომ სამართლიანია მათი რისხვა. მაგრამ „წყეულია მათი რისხვა, რამეთუ სასტიკია იგი“. რუსეთს გადაარჩენს უფალი ღმერთი, როგორც არაერთხელ გაუკეთებია ეს. ხსნა ხალხიდან მოვა, ხალხის რწმენიდან და მორჩილებიდან. გაუფრთხილდით ხალხის რწმენას, მამანო და მოძღვარნო. ყოველთვის მაოცებდა ჩვენი დიადი ხალხის ჭეშმარიტად მშვენიერი ღირსება, რაც თავად მინახავს, თავად შემიძლია დავადასტურო, მიხილავს და გამკვირვებია, თუმცა, აგრეთვე, მინახავს ჩვენი ხალხის ბინძური ცოდვებიც და მისი სიბეჩავეც. ჩვენი ხალხი ქედუხრელია, ეს მას შემდეგ, რაც ორი საუკუნე მონობაში გაატარა. თავისუფალია სახითაცა და ქცევითაც, ბოღმას გულში არ იკარებს, არც შურიანია და არც შურისმაძიებელი. „შენ მდიდარი და ცნობილი კაცი ბრძანდები, ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი - ღმერთმა ხელი მოგიმართოს. პატივსა გცემ, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ მეც ადამიანი ვარ და ყოველგვარი შურის გარეშე გცემ პატივს, ამით მე ჩემს კაცურ ღირსებას ვავლენ“. ჭეშმარიტად, ამას თუ არ ამბობენ (რადგან ჯერ არ იციან, ეს როგორ თქვან), იქცევიან მაინც ასე. თავად მინახავს, თავად გამომიცდია და დამიჯერეთ: რაც უფრო ღარიბი და მდაბიოა რუსი კაცი, მით უფრო შესამჩნევია მასში ეს მშვენიერი სიმართლე. ხოლო ბობოლა კულაკები და სოფლის ხორცმეტები უკვე გათახსირებულები არიან, ეს ყველაფერი კი ჩვენი დაუდევრობით და მათდამი უსულგულო დამოკიდებულებით მოხდა! მაგრამ ღმერთი დაიფარავს რუს ხალხს, რამეთუ დიადია რუსეთი თავისი თავმდამბლობით. ვოცნებობ, ვიხილო და თითქოს ვხედავ კიდეც ჩვენს მომავალს: მოხდება ისე, რომ ყველაზე თახსირი მდიდარიც კი გაითავისებს სირცხვილს თავისი სიმდიდრის გამო, ხოლო ღარიბი იხილავს რა მდიდრის თავმდაბლობას, ყველაფერს გაუგებს და გაუნაწილებს სიხარულს და მოეფერება. დამიჯერეთ, ასე დამთავრდება ეს: იქით მივდივართ. მხოლოდ

ადამიანურ სულიერ ღირსებაშია თანასწორობა, ამას მხოლოდ ჩვენთან მიხვდებიან. ძმები იყვნენ და ძმობაც იქნება, ძმობა კი განუყოფელია. ქრისტეს ხატება ჩვენს გულებშია, მისი ბრწყინვალება უძვირფასესი ალმასივით ეფინება ქვეყნიერებას... ეგების, ეგების!

მამანო და მოძღვარნო, ერთხელ გულისამაჩუყებელი ამბავი გადამხდა თავს. მოგზაურობის დროს, ერთ-ერთი გუბერნიის ქალაქ კ-ში ჩემს დენშიკს, აფანასის შევხვდი. რვა წლის უნახავი გვყავდა ერთმანეთი. მან შემთხვევით დამინახა ბაზარში, მიცნო და მომვარდა. ღმერთო ჩემო, როგორ გაუხარდა ჩემი ნახვა! მითხრა: „მამაო, ბატონო, ეს თქვენ ხართ? ნუთუ ეს თქვენა ხართ?“ წამიყვანა თავის სახლში. იგი სამხედრო სამსახურიდან გადამდგარიყო, ცოლი შეერთო და ორი პატარა ბავშვიც შეძენოდა. ცოლ-ქმარს ბაზარში პატარა დახლი ჰქონდათ და მეწვრილმანეობით ირჩენდნენ თავს. ერთ პატარა, სუფთა და კოხტად გაწყობილ ოთახში ცხოვრობდნენ. შემიყვანა სახლში, დამსვა და სამოვარი გააჩაღა. ცოლის დასაძახებლად კაცი გაგზავნა. თითქოს რაღაც დიდი სიხარული მიანიჭა ჩემმა ნახვამ. მომიყვანა ბავშვები და მთხოვა, დამილოცეო. - „მე როგორ დავლოცო, - ვუთხარი, - ერთი უბრალო მონაზონი ვარ, ღმერთს შევევედრები მათთვის, შენზე კი, აფანასი პავლოვიჩ, ღმერთს ყოველდღე ვევედრები, იმ დღიდან მოყოლებული გლოცავ, რამეთუ შენგან დაიწყო ყველაფერი.“ მოვუყევი მას ჩემი ამბავი, როგორც შემეძლო. მიყურებდა ეს კაცი, ვერ წარმოედგინა, რომ მე, მისი ყოფილი ბატონი, ოფიცერი, მის წინაშე ასეთი სახით, ბერის სამოსში გამოწყობილი წარვდექი და ატირდა. „რა გატირებს, - ვუთხარი, - ჩემთვის დაუვიწყარი ადამიანი ხარ, სჯობს, გაიხარო ჩემთან ერთად, რამეთუ გულის გასახარელი და ნათელია ჩემი მომავალი“. ბევრს არ ლაპარაკობდა, ოხრავდა და გულაჩუყებული თავს აქნევდა. „თქვენი ქონება სად არისო,“ - მკითხა. „მონასტერს გადავეცი, ჩვენ კი საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობთ-მეთქი,“ - ვუპასუხე. ჩაის შემდეგ წასვლა დავაპირე. გამოთხოვებისას ათშაურიანი გამომიტანა და ხელში სწრაფად ჩამიტენა. „ეს, უცნაურო მოგზაურო, იქნებ სადმე გამოგადგეთო“. ფული ავიღე, თავი დავუკარი მასპინძელსა და მის მეუღლეს და გახარებული წამოვედი. მოვდიოდი და ჩემთვის ვფიქრობდი: „ახლა ჩვენ ორივე გაკვირვებულები და გახარებულები ვართ, ის შინა და მე გზაში, ვიგონებთ, როგორ შეგვახვედრა ღმერთმა ერთმანეთს“. მას შემდეგ აღარსად მინახავს. მე ვიყავი მისი ბატონი, ის ჩემი ფარეში, ახლა კი როცა ერთმანეთს შევხვდით, გულაჩუყებულებმა ერთმანეთი გადავკოცნეთ დიდი სიყვარულით, ჩვენ შორის წარმოიშვა დიდი ადამიანური ერთობა. ამაზე ბევრს ვფიქრობდი და ახლა ყოველივე ასე წარმომიდგენია: ნუთუ ასე მიუწვდომელია ადამიანთა გონებისათვის, რომ ეს უბრალო და სადა ერთიანობა დროულად და საყოველთაოდ განხორციელდეს რუსეთში? ღრმად მწამს, ეს ასე მოხდება, ამის დრო მალე დადგება.

ფარეშებზე კიდევ ამას დავუმატებ: ახალგაზრდობაში ფარეშებს ხშირად ვუბრაზდებოდი, ხან მზარეულს ვუყვიროდი ცხელი კერძის მოტანის გამო, ხან დენშჩიკს - გასაწმენდი ტანსაცმლის გამო. მაგრამ შემდეგ ჩემი ძვირფასი ძმის სიტყვები გამახსენდა, ბავშვობაში რომ მესმოდა მისგან: „განა მე ვარ იმის ღირსი, სხვა რომ მემსახურებოდეს, მაქვს კი უფლება ისინი სიღარიბისა და გაუნათლებლობის გამო დავიბრიყვოო?“ ჰოდა, მიკვირდა მაშინ, ასე უბრალო

აზრები, ასე ადვილად გასაგები, როგორ გვიან ჩნდება ჩვენს გონებაში-მეთქი. ცხადია, მოსამსახურეების გარეშე შეუძლებელია ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ ის მაინც გავაკეთოთ, რომ ჩვენი მსახური სულიერად აზატ კაცზე თავისუფალი იყოს. რატომ არ შემიძლია, მე ვიყო ჩემი ფარეშის მსახური ისე, რომ მან იგრძნოს ეს, არც მე მრცხვენოდეს ამის და არც მას უკვირდეს? რატომ არ შეიძლება, ჩემი ფარეში იყოს ჩემთვის მახლობელი ადამიანი, რომ შემეძლოს ჩემს სახლში მისი მიღება და მისი ნახვით გახარება? ამის განხორციელება ახლაც შეიძლება, ხოლო მომავლისათვის იგი ადამიანთა დიდებული ერთიანობის საწინდარია, როცა ადამიანი ფარეშს კი არ დაუწყებს ძებნას, თავისი მსგავსის მსახურად გამოყენება კი არ მოუნდება, როგორც ახლაა, არამედ პირიქით - თავად ეცდება, ყველას მსახური გახდეს, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი.[93] ნუთუ ეს ოცნებაა, რომ ბოლოს და ბოლოს ადამიანმა ცხოვრებაში განმანათლებლობითი და ქველმოქმედებითი მოღვაწეობით გაიხაროს და არა ისეთი სიამეებით, როგორიცაა მუცელღორობა, მრუშობა, ამპარტავნება და ბაქიობა? მტკიცედ მჯერა, ეს დრო მალე დადგება. დაცინვით მეკითხებიან ხოლმე: ნუთუ დადგება ასეთი დრო, ჩანს კი მისი რაიმე ჩანასახიო? მე ასე ვფიქრობ: ჩვენ ქრისტეს დახმარებით ამ საქმეს გადავწყვეტთ. სამყაროს შექმნიდან რამდენი იდეა იყო ამ ქვეყანაზე, რომელიც ათეული წლების განმავლობაში განუხორციელებლად ითვლებოდა, მაგრამ როცა გაივლიდა მისი იდუმალების ვადა, კვლავ გამოჩნდებოდა და მთელ მსოფლიოს მოედებოდა ხოლმე? ასე მოხდება ჩვენთანაც, მთელ ქვეყნიერებაზე გაბრწყინდება ჩვენი ერი, ყველა იტყვის მასზე: „ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, კუთხის თავად დაიდოო“.[94] ჩვენს დამცინავებს კი ვკითხავ: თუ ჩვენ მეოცნებეები ვართ, თქვენ როდისღა ააშენებთ ახალ შენობას და თქვენს ჭკუაზე მოიწყობთ სამართლიან ცხოვრებას ქრისტეს დაუხმარებლად-მეთქი? თუკი ისინი ამტკიცებენ, რომ, პირიქით, ერთიანობისაკენ მიისწრაფიან, მაშინ ეს შეიძლება ჭეშმარიტად სჯეროდეთ, მათ შორის ყველაზე გულუბრყვილოებს. საკვირველია მათი გულუბრყვილობა. ნამდვილი მეოცნებეები ისინი ყოფილან, და არა ჩვენ. მათ ქრისტეს გარეშე სურთ სამართლიანი ცხოვრების შექმნა, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ისინი სისხლით მორწყავენ ქვეყანას, რამეთუ სისხლი სისხლისა წილ, მახვილის აღმმართველი მახვილით მოისპობა. ქრისტიანული მცნებები რომ არა, ადამიანები ერთმანეთს ამოჟუჟავდნენ. ბოლოს ორი კაციც რომ დარჩეს, ისინიც კი არ გაუფრთხილდებიან ერთმანეთს, ერთი მეორეს მოსპობს და მარტო დარჩენილი საკუთარ თავსაც მოუღებს ბოლოს. ეს აუცილებლად ასე მოხდება, რომ არ არსებობდნენ ამქვეყნად ქრისტინული მცნებების მიმდევარი თვინიერი და მორჩილი ადამიანები. ჯერ კიდევ მაშინ, დუელის შემდეგ, როცა ოფიცრის მუნდირში გამოწყობილმა საზოგადოებას განვუცხადე ფარეშების შესახებ, ისინი გაკვირვებულები მეკითხებოდნენ: „ეგ როგორ, დავსვათ ჩვენი მსახურები დივანზე და ჩაი მივართვათ?“ მე ვპასუხობდი: „რატომაც არა, ხანდახან მაინც“. მაშინ ყველას ეცინებოდა. მათი კითხვა ფუქსავატური იყო, ჩემი პასუხი კი ბუნდოვანი, მაგრამ, ჩემი აზრით, ის რაღაც სიმართლეს შეიცავდა.

8) ლოცვის, სიყვარულისა და სხვა სამყაროსთან ურთიერთშეხების შესახებ

ჭაბუკო, ნურასოდეს დაგავიწყდება ლოცვა. ლოცვის დროს, ყოველთვის, თუკი

გულწრფელად ლოცულობ, ახალი გრძნობა აღგეძვრება, ეს გრძნობა ახალ აზრს გაგიჩენს, რომელიც ადრე ფიქრადაც არ მოგსვლია და რომელიც მხნეობას შეგმატებს; მიხვდები, რომ ლოცვა სულის წრთვნაა. ერთიც დაიმახსოვრე: ყოველდღიურად, როცა კი შეძლებ, შენთვის იმეორე: „ღმერთო, შეიწყალე ყველა, ვინც დღეს შენ წინაშე წარდგება“. რადგან ყოველწუთს, ყოველწამს ათასობით ადამიანი ტოვებს ამქვეყნიერ ცხოვრებას და მათი სულები წარდგებიან ღმერთის წინაშე - მათ შორის ბევრი უჭირისუფლოდ გადაეგება, ისე რომ არც ერთ კაცს, არც ერთ სულიერს არ დასწყდება მათზე გული. შესაძლოა, შენი ლოცვა შეეწიოს რომელიმე სულს, რომლის შესახებაც შენ არაფერი გსმენია. როგორ სალბუნად დაედება ღმერთის წინაშე წარმდგარ მის დამფრთხალ სულს, როცა იგრძნობს, რომ დედამიწაზე დარჩა ადამიანი, რომელიც მისთვის ლოცულობს და უყვარს იგი. ღმერთი მოწყალებით გადმოგხედავთ ორივეს, რამეთუ, თუკი შენ შეიცოდე ის, მით უმეტეს შენზე კაცთმოყვარე და გულმოწყალე ღმერთი შეიცოდებს მას და შეუნდობს ყოველივეს შენი ლოცვის წყალობით.

ძმებო, ნუ შეგაშინებთ ადამიანთა ცოდვები, გიყვარდეთ ადამიანი თავისი ცოდვებით, რამეთუ ასეთი ღვთიური სიყვარულის მსგავსი სიყვარული არის ყველაზე დიდი სიყვარული ამქვეყნად. გიყვარდეთ ყოველივე ღმერთის მიერ შექმნილი, მთელიც და უმცირესი ნაწილაკიც. გიყვარდეთ ყველა ფოთოლი, ყოველი ღვთიური სხივი. გიყვარდეთ ცხოველები, მცენარეები და ნებისმიერი ნივთი. თუ ყველაფერი გეყვარებათ, მაშინ ღმერთის საიდუმლოებას ჩასწვდებით ამ ნივთებში. თუ ერთხელ ჩასწვდები, შემდეგ დაუსრულებლად, დღითიდღე, უფრო და უფრო დაიწყებ მის შეცნობას. მერმე შეგიყვარდება მთელი სამყარო საყოველთაო მსოფლიო სიყვარულით. გიყვარდეთ ცხოველები: მათ ღმერთმა მიანიჭა აზრის საწყისი და უშფოთველი სიხარული. ნუ აღაშფოთებთ მათ, ნუ გააწვალებთ და ნუ წაართმევთ სიხარულს, წინ ნუ აღუდგებით ღმერთის ნებას. ადამიანო, ზემოდან ნუ უყურებ პირუტყვს: ის უცოდველია, ხოლო შენ შენი ზვაობით მიწას ანაგვიანებ და სიკვდილის შემდეგ მასზე ტოვებ შენს ბინძურ კვალს - ვაი, რომ ყველა ასეთი ვართ! განსაკუთრებით გიყვარდეთ ბავშვები, რამეთუ ისინი უცოდველი ანგელოზები არიან, თავიანთი არსებობით ჩვენში კეთილი გრძნობების გამღვიძებელნი, ჩვენი გულების განმწმენდელნი და მაგალითის მაჩვენებელნი. ბავშვების სიყვარულს მამა ანფიმი მასწავლიდა: ეს კეთილი და უტყვი კაცი ჩვენი მოგზაურობის დროს მოწყალებით აღებული გროშებით ბავშვებისათვის თაფლაკვერს და შაქარყინულს ყიდულობდა, იგი მათ სულიერი მღელვარების გარეშე გვერდს ვერ უვლიდა: ასეთი ადამიანი იყო.

ხანდახან, როცა ხედავ, ადამიანი ცოდვას ჩადის, გაოგნებული თავს ეკითხები: „ძალით დავთრგუნო, თუ თვინიერი სიყვარულითო?“ უპირატესობა ყოველთვის სიყვარულს მიანიჭე. მოყვასის სიყვარული ის უზარმაზარი ძალაა, რომელიც საშუალებას მოგცემს, მთელი ქვეყანა დაიმორჩილო. მასზე ძლიერი ამქვეყნად არაფერია. ყოველდღე, ყოველსაათს, ყოველწუთს შენს თავს უტრიალე, შორიდან უმზირე, რომ შენი გარეგნობა მუდამ მშვენიერი იყოს. დავუშვათ, რაიმე საზრუნავით დაბოღმილმა, გაავებულმა და ბრაზმორეულმა ბავშვს გვერდზე გაუარე და ვერ შეამჩნიე იგი, მან კი დაგინახა - შესაძლოა, შენი ცოფმორეული და ქუში სახე მის დაუცველ გულში სამარადისოდ დარჩეს. შენდა უნებურად,

შესაძლოა, შენი საქციელით მასში ბოროტი თესლი ჩააგდო, რომელიც გაღივდება და ტანს აიყრის. ეს კი იმიტომ მოხდება, რომ შენს თავს ყურადღება ვერ მიაქციე და ბავშვს შენი ცუდი განწყობილება გადაეცი, ქმედითი და წინდახედული სიყვარული ვერ ისწავლე. ძმებო, სიყვარული ჭკუის მასწავლებელია, მაგრამ უნდა შეგეძლოს მისი შეძენა, რამეთუ იგი ხანგრძლივი შრომის შედეგია, ძნელად მოსაპოვებელი და ძვირად ღირებული რამ, შემთხვევით, ხანმოკლედ კი არ უნდა გიყვარდეს, არამედ სამარადისოდ, მთელი ცხოვრება. შემთხვევითი სიყვარული ყველას ძალუძს, ბოროტმოქმედსაც კი. ჩემი ძმა ჩიტუნებს სთხოვდა პატიებას: თითქოს უაზრობაა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, ყოველივე ოკეანესავითაა, ყველაფერი მიედინება და ბოლოს ერთ ადგილას იყრის თავს, ერთ ადგილს რომ ახლებ ხელს, სამყაროს მეორე მხარეს ჰპოვებ გამოძახილს. დაე, იყოს სიგიჟე ჩიტუნებისათვის პატიების თხოვნა, მაგრამ შენს სიახლოვეს მყოფი ჩიტუნები, ბავშვები და ცხოველები უფრო უკეთ იგრძნობენ თავს, თუკი შენ იმაზე უკეთესი გახდები, ვიდრე ხარ, თუნდაც ცოტათი მაინც. გეუბნებით, ყველაფერი ოკეანესავითაა. ამიტომ ჩიტუნებსაც უნდა შეევედრო, ურღვევი სიყვარულით ტანჯულმა და რაღაცნაირი სულიერი აღმაფრენით შეპყრობილმა სთხოვო, შეგინდონ მათ ცოდვანი შენნი. ამ აღმაფრენას გაუფრთხილდი, როგორ უაზრობადაც არ უნდა ჩაგითვალოს ის ხალხმა.

მეგობრებო, ღმერთს სიხარული შესთხოვეთ. იყავით ლაღნი, ვითარცა ბალღნი და ღაბუა ჩიტუნები. თქვენი საქმიანობის დროს ნუ შეგაცბუნებთ კაცთა ცოდვები, ნუ შეგაშინებთ, რომ ისინი გააბათილებენ თქვენს ღვაწლს და არ მისცემენ მას აღსრულების საშუალებას; ნუ იტყვით: „ძლევამოსილია ცოდვა, ძლევამოსილია უღირსობა, ძლევამოსილია ბიწიერება, ჩვენ კი მარტოსულნი და უსუსურნი ბიწიერების მსხვერპლად ვიქეცით და ამიერიდან ვეღარ შევძლებთ, ვაკეთოთ კეთილი საქმეო.“ თავი დააღწიეთ, შვილნო ჩემნო, ასეთ უიმედობას! მხოლოდ ერთი რამ გადაგარჩენთ: ადექით და ადამიანთა ცოდვებზე პასუხისმგებლობა თავად იტვირთეთ. ასეა, ჩემო კარგო, ეს მართლაც რომ ასეა, როგორც კი ჭეშმარიტად საკუთარ თავზე აიღებ პასუხისმგებლობას, ყველას მაგივრად და ყოველივეზე, მაშინვე დაინახავ, რომ, მართლაც, შენ ხარ დამნაშავე ყველასა და ყველაფრის გამო. ხოლო თუ შენ უნიათობას და უსუსურობას ხალხს გადააბრალებ, იმით დაამთავრებ, რომ სატანური ამპარტავნება დაგეუფლება და ღმერთის გმობას მოჰყვები. სატანური ამპარტავნება კი ასე წარმომიდგენია: რთულია ჩვენთვის ამქვეყნად მისი გააზრება, ამიტომაც ადვილად ჩავდივართ შეცდომებს, ადვილად ვიძენთ მას, თანაც თავს ვირწმუნებთ, რომ რაღაც დიდებული და მშვენიერი საქმე გავაკეთეთ. ამას გარდა, ჩვენთვის ამ წუთისოფელში ჯერ კიდევ მრავალი რამაა შეუცნობელი კაცის ბუნებისა და მისი გრძნობების შესახებ, ამიტომ თავს ნუ იტყუებ და ნუ ფიქრობ, თითქოს ამით შეძლებ თავის გამართლებას, რამეთუ შენ მარადიული მსაჯული იმას მოგკითხავს, რას ჩასწვდი, და არა იმას, რას ვერა, ამაში თავად დარწმუნდები, რამეთუ თავად იხილავ თვალნათლივ ყოველივეს და ამ საკითხზე დავას აღარ დაიწყებ. ჭეშმარიტად ასეა, ამ დუნიაზე ჩვენ რაღაცნაირად აქეთ-იქეთ დავეხეტებით და ქრისტეს ხატება რომ არ გვედგას თვალწინ, მაშინ თავგზა დაგვებნეოდა და დავიღუპებოდით, როგორც ეს დაემართა ადრე კაცობრიობას წარღვნის წინა პერიოდში. სოფლად მრავალი რამაა ჩვენს თვალთაგან

დაფარული, მაგრამ ამის სანაცვლოდ ღმერთმა დაგვაჯილდოვა სხვა სამყაროსთან, ზესკნელთან ცოცხალი კავშირის იდუმალი სანუკვარი შეგრძნებით, ჩვენი გრძნობებისა და აზრების საწყისები აქ კი არა, არამედ სხვა სამყაროშია. სწორედ ამიტომ ამბობენ ფილოსოფოსები: ამქვეყნად შეუძლებელია საგანთა არსის წვდომაო. ღმერთმა სხვა სამყაროდან წამოღებული თესლი მიმოაბნია დედამიწაზე და განაშენა ბაღი თვისი, ყველაფერი ამოვიდა, რამაც შეძლო გახარება, რომელიც ცოცხალია და ცოცხლობს მხოლოდ და მხოლოდ სხვა იდუმალ სამყაროსთან შეხების შეგრძნებით, ხოლო თუ ეს გრძნობა შესუსტდა ან გაქრა, მაშინ კვდება ისიც, რაც შენშია გადმონერგილი. სწორედ მაშინ ხდები ცხოვრებისადმი გულგრილი და შესაძლოა, კიდეც შეიძულო ის. მე ასე ვფიქრობ.

თ) შეგვიძლია თუ არა ვიყოთ მსგავსთა ჩვენთა მსაჯული? საუკუნო რწმენის შესახებ

კარგად გახსოვდეთ, ნურავის მსაჯული გახდებით. ვინაიდან ვერავინ იქნება ამქვეყნად ბოროტმოქმედის მსაჯული მანამ, სანამ ეს მსაჯული არ შეიგნებს, რომ ისიც ისეთივე ბოროტმოქმედია, როგორც მის წინ მდგარი განსასჯელი, რომ შესაძლებელია თავად იყოს ყველაზე დიდი დამნაშავე მის წინ მდგარი ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილ ქმედებებში. როცა ამას მიხვდება, მაშინ შეუძლია გახდეს მოსამართლე. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ეს სიგიჟეა, მაგრამ სრული სიმართლეც არის. რამეთუ მე რომ ჭეშმარიტად სამართლიანი ვიყო, შესაძლოა ეს დამნაშავე ჩემ წინაშე არ იდგეს. თუ შეძლებ შენ წინაშე მდგარი განსასჯელის დანაშაულის შენს თავზე აღებას, მაშინ დაუყოვნებლივ იკისრე და იტანჯე მის მაგივრად, ხოლო ის საყვედურის გარეშე გაუშვი. თუკი შენ კანონის ძალით ხარ დანიშნული ვინმეს მსაჯულად, რამდენადაც შეგიძლია, ჰქმენი სამართალი ესე, თუ არა და, წავა იგი და თავად მიუსჯის თავს შენს განაჩენზე უარესს. თუ შენს ლმობიერებას გულგრილად შეხვდება, დაგცინებს კიდეც, გულს ნუ გაიტეხ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ არ მოსულა მისი დრო, მაგრამ დადგება ეს ჟამი, თუ არ დადგება, ამასაც არა უშავს: ის თუ არა, სხვა შეიგნებს, სხვა დაიტანჯება, სხვა დაიდანაშაულებს თავს და სიმართლე გაიმარჯვებს. გჯეროდეს ამის, აუცილებლად გჯეროდეს, რამეთუ ამაშია სასოება და რწმენა წმინდანთა.

გამუდმებით იღვაწე. თუ ღამით, ძილის წინ გაგახსენდება, რომ დღეს არ შეასრულე ის, რაც უნდა გაგეკეთებინა, დაუყოვნებლივ წამოდექ და აღასრულე ის. თუ გარს გარტყია ბოროტი და გულგრილი ადამიანები და მათ არ სურთ შენი მოსმენა, მაშინ ჩაუვარდი მათ ფეხებში და სთხოვე პატიება, რადგან შენ ხარ დამნაშავე, რომ მათ შენი მოსმენა არ სურთ. თუკი გაბოროტებულებთან ლაპარაკი აღარ შეგიძლია, მაშინ ემსახურე მათ ჩუმად და თავმდაბლად, მაგრამ იმედი არასოდეს დაკარგო. ხოლო თუ მოხდება და ყველა ზურგს შეგაქცევს ან ძალით გაგაძევებენ, მაშინ მარტო დარჩენილი დაემხე მიწაზე, ემთხვიე მას და ცრემლებით მორწყე ნიადაგი. და მოგცემს ნაყოფს შენი ცრემლების სანაცვლოდ მიწა, მიუხედავად იმისა, რომ არავის უხილავს და მოუსმენია შენი ქვითინი. სიკვდილამდე უნდა გწამდეს, თუნდაც ყველა ასცდეს გზას და მხოლოდ შენ

დარჩე ერთგული ღმერთის, მარტოშთენილმა მაშინაც გაიღე მსხვერპლი და ადიდე უფალი. თუკი ორნი დარჩებით, მაშინ ეს მთელი სამყარო იქნება, ცხოველი სიყვარულის დიდებული სამყარო, გადაეხვიეთ ერთმანეთს და ადიდეთ არსთა გამრიგე, რამეთუ თქვენ ორნი მაინც აღივსენით მისი სიმართლით.

თუ თავად შესცოდებ და ეს ცოდვა სიკვდილამდე მძიმე ტვირთად დაგაწვება, მაშინ გიხაროდეს, რომ არსებობს სხვა წმინდანი, რომელსაც ცოდვა არ ჩაუდენია.

თუ ადამიანთა სიავენი ისე აღგაშფოთებს, რომ შეგიპყრობს დაუძლეველი სურვილი შურისძიებისა, ყველაზე მეტად ამ გრძნობის უნდა გეშინოდეს; დაუყოვნებლივ წადი და ისეთი სატანჯველი ეძიე, რომლითაც თავს დაარწმუნებ, რომ შენი ბრალია ადამიანთა მიერ ამ ბოროტმოქმედების ჩადენა. მიიღე ეს სატანჯველი და გაუძელ, დაშოშმინდება გული შენი და მიხვდები, რომ თავად ხარ დამნაშავე, ვინაიდან, როგორც უცოდველს, შეგეძლო სიკეთის ნათელი მოგეფინა ბოროტმოქმედისათვის შენი მაგალითით და არ მოჰფინე. შენ მიერ გაცემული სიკეთის ნათელი სხვებს გაუნათებდა გზას და მას, ვინც ჩაიდინა ბოროტმოქმედება, შესაძლოა, ეს არ ჩაედინა. თუკი შენ ნათელს ასხივებდი და ეს ნათელი არავის შველოდა, მაშინ გამაგრდი და ნუ დაეჭვდები ზეციური ნათლის ძლიერებაში; გჯეროდეს, თუ ახლა არ ეშველათ მათ, მერე მაინც ასცდებიან ცოდვას, თუ შემდგომაც არ ეშველათ, მაშინ მათი შვილები მაინც გადარჩებიან, რამეთუ უგზო-უკვლოდ არ გაქრება შენ მიერ განფენილი სიკეთის სხივები, თუმცა შესაძლოა შენ ამ დროს ცოცხალიც არ იყო. წმინდანი გარდაიცვლება, მაგრამ მისი ნათელი ამქვეყნად რჩება. ცხონება მაცხონებლის სიკვდილის შემდეგ ხდება. ადამის მოდგმას არ სჯერა თავისი წინასწარმეტყველების და ხშირად შეურაცხყოფენ კიდეც მათ, მაგრამ უყვართ და პატივს სცემენ წამებულებს, რომლებიც თავადვე აწამეს. შენ ხომ განუყოფელისათვის შრომობ და მომავლისათვის იღწვი. ნურასოდეს დაუწყებ ჯილდოს ძებნას, რამეთუ შენთვის ამქვეყნად ისიც დიდი ჯილდოა, რომ ისეთ სულიერ სიხარულს განიცდი, რომელიც მხოლოდ წმინდანთა ხვედრია. ნუ გექნება შიში ნურც წარჩინებულების და ნურც ძლიერთა ამა ქვეყნისა და იყავი ყოველთვის ბრძენი და მშვენიერი. იცოდე ყველაფრის ზომა და დრო, შეისწავლე ყოველივე. როცა მარტო დარჩები, ილოცე. ჩვევად გაიხადე მუხლებზე დამხობა და მიწის ამბორი. გამუდმებით ემთხვიე მიწას, ხარბად და გაშმაგებით გიყვარდეს ყველა და ყველაფერი. სიხარულის ცრემლებით მორწყე მიწა და გიყვარდეს ეს ცრემლები. ამ სიშლეგის კი ნუ შეგრცხვება, გაუფრთხილდი მას, რამეთუ ეს არის ღმერთის დიდი საჩუქარი, რაც ყველას არ ხვდება წილად, იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ი) ჯოჯოხეთსა და ჯოჯოხეთის გეენას შესახებ, მისტიკური მსჯელობა

მამანო და მოძღვარნო ჩემნო, როდესაც ვფიქრობ: „რა არის ჯოჯოხეთი?“ ასე ვმსჯელობ: „ესაა ტანჯვა იმის გამო, რომ ამიერიდან სიყვარული აღარ შეიძლება“. ამ უსასრულო ყოფიერებაში, რომელიც არც დროით და არც სივრცით არ იზომება, მავან სულიერ არსებას მხოლოდ ერთხელ დედამიწაზე გაჩენის შემდეგ ეძლევა საშუალება თქვას: „მე ვარსებობ, მე მიყვარს“. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს ამ წუთისოფელში ქმედითი, ცხოველი სიყვარულის უნარი,

ამისთვის ენიჭება მას მიწიერი სიცოცხლე, ამასთან ერთად ეძლევა დრო და ვადა. თუკი მოხდა და ამ ბედნიერმა არსებამ უარყო უძვირფასესი საჩუქარი, ვერ დააფასა ის, არ შეიყვარა, გაკილა და გულგრილი დარჩა, სიკვდილის შემდეგ, როცა ის აბრაამის წიაღს იხილავს და აბრაამს გაესაუბრება, როგორც ეს ლაზარესა და მდიდარი კაცის იგავიდანაა ცნობილი,[95] როცა სამოთხეს იხილავს და ღმერთთან წარდგომასაც შეძლებს, დაიტანჯება, ვინაიდან ყოველთამოყვარე ღმერთის პირისპირ დადგება მისი არმოყვარე და უგულებელმყოფელი სული. რამეთუ ახლა ყოველივეს ნათლად მჭვრეტელი იტყვის: „ამიერიდან ყველაფერი მესმის და მიუხედავად იმისა, რომ ახლა სიყვარული მწყურია, აწი ჩემი სიყვარულით თავგანწირვას ვეღარ შევძლებ, მსხვერპლს ვეღარ გავიღებ, რამეთუ დასრულდა ჩემი მიწიერი ცხოვრება და აღარ მოვა აბრაამი იმისათვის, რომ ცხოველი წყლის წვეთით (ე.ი. კვლავ წინა, ქმედითი მიწიერი ცხოვრების ძღვენით) მაინც გამინელოს სულიერი სიყვარულის ცეცხლი, რომლითაც ახლა ვიწვი და რომელსაც მიწაზე ყოფნის დროს არად მივიმჩნევდი; რადგან აღარაა სიცოცხლე, აღარც ჟამი იქნება! ახლა ჩემს სიცოცხლეს სიამოვნებით გავწირავდი სხვისთვის, მაგრამ აღარ შეიძლება, რამეთუ წარსულს ჩაბარდა ის ცხოვრება, რომელშიც შეიძლებოდა სიყვარულისათვის მსხვერპლის გაღება, ახლა უსასრულო უფსკრული ძევს იმ ცხოვრებასა და ახლანდელ ყოფას შორის“. ამბობენ, ჯოჯოხეთის ცეცხლი მატერიალური არისო: მე არ ვიკვლევ ამ საიდუმლოს, მეშინია, მაგრამ თუ ჯოჯოხეთის ცეცხლი, მართლაც, მატერიალურია, მაშინ ჭეშმარიტად ყველა გაიხარებს, რამეთუ ხორციელი ტანჯვა მცირე ხნით მაინც დაავიწყებს მათ უსაშინლეს სულიერ ტანჯვას. მათთვის ამ სულიერი ტანჯვის წართმევა შეუძლებელია, რამეთუ ეს ტანჯვა გარეგნული კი არ არის, არამედ შინაგანი ტკივილია. რომც შეიძლებოდეს მისი წართმევა, ჩემი აზრით, ამით ისინი უფრო უბედურები გახდებოდნენ. მათი ტანჯვის მხილველმა სამოთხის წმინდანებმა რომც შეუნდონ და დიდი სიყვარულით თავისთან მიიხმონ, ამით გაუათკეცებენ ტანჯვას, რამეთუ მათში აღძრავენ იმ საპასუხო, ქმედითი და მადლიერი სიყვარულის წყურვილის ალს, რაც უკვე შეუძლებელია. ხანდახან, გულუბრყვილოდ, ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე: იქნებ თავად ამ შეუძლებლობის შეგნებამ მოუტანოს მათ შვება, რადგან მას შემდეგ, რაც ისინი წმინდანთა სიყვარულს ეზიარებიან, რომელსაც ვერასოდეს უპასუხებენ, შესაძლოა ბოლოს და ბოლოს მოიპოვონ რაღაც მსგავსი იმ ქმედითი სიყვარულისა, რომელიც მიწიერ ცხოვრებაში უარყვეს... ძალიან ვწუხვარ, ძალიან, ჩემო ძმებო და მეგობრებო, მგონი ბუნდოვნად ვლაპარაკობ. მაგრამ, ვაი, საკუთარი თავის გამანადგურებლებს, ვაი, თვითმკვლელებს! ჩემი აზრით, მათზე უბედური არავინაა. ამბობენ, დიდი ცოდვაა მათზე ლოცვის აღვლენაო, ეკლესიისაგან ისინი მოკვეთილები არიან, მაგრამ მე მაინც, სადღაც გულის კუნჭულში მჯერა, რომ შეიძლება მათთვის ლოცვა. განა ქრისტე სიყვარულისთვის გაგვირისხდება?! ამნაირებისათვის მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე შინაგანად ვლოცულობდი, მამანო და მოძღვარნო, და ახლა ამ ჩემს ცოდვას თქვენ წინაშე მოვინანიებ.

ბევრია ჯოჯოხეთის მკვიდრთაგან ზვიადი და მძვინვარე, მიუხედავად იმისა, რომ მათ მშვენივრად უწყიან და ჭვრეტენ თვალისმომჭრელ სიმართლეს; არიან ეშმასთან განდობილებიც და მისი აშკარა მიმდევრებიც. ისინი ჯოჯოხეთში ნებაყოფლობით ბრძანდებიან და ვერაფრით ძღებიან ჯოჯოხეთური ყოფით; ესენი

უკვე თავდადებული მოხალისე წამებულები არიან. რამეთუ თავად დაიწყევლეს თავი, როცა დაწყევლეს ღმერთი და სიცოცხლე. ისინი საკუთარი ბოროტი ამპარტავნობით იკვებებიან, როგორც უდაბნოში დამშეული, როცა საკუთარი სისხლის წოვას დაიწყებს წყურვილის მოსაკლავად. უკუნითი უკუნისამდე გაუმაძღრები ღმერთის შენდობის უარმყოფელნი და მისი მაწყევრები არიან. ცოცხალ ღმერთს სიძულვილის გარეშე ვერ უყურებენ და მოითხოვენ, რომ არ იყოს ცოცხალი ღმერთი, რომ ღმერთმა თავად გაინადგუროს თავიც და ყოველივე მის მიერ შექმნილი სამყაროც. ისინი უკუნითი უკუნისამდე ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიდაგებიან, მუდამ სიკვდილსა და არყოფნას მონატრებულები, მაგრამ სიკვდილს მაინც ვერ ეღირსებიან...

აქ სრულდება ალექსეი კარამაზოვის ხელნაწერი. ვიმეორებ: იგი არ არის სრული, ნაწყვეტ-ნაწყვეტებისაგან შედგება. მაგალითად, ბერის ბიოგრაფიული ცნობები მარტო მის ადრეულ ახალგაზრდობას მოიცავს. მის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული აზრები და ქადაგებები აქ გაერთიანებულია. ის, რაც ბერმა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთებში წარმოთქვა, ამ ხელნაწერში ზუსტად არ არის მოყვანილი, მხოლოდ გადმოცემულია ამ საუბრის ხასიათი. ბერი სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ იმ საღამოს მასთან შეკრებილი ახლობლები გრძნობდნენ რომ აღსასრული შორს არ იყო; მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინათ, თუ ეს წუთი ასე მალე დადგებოდა; პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბერის სიმხნევისა და სიტყვაუხვობის შემყურე მისი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ თუნდაც მცირე ხნით მაინც ბერი ზოსიმა გამოკეთდებოდა. როგორც შემდგომ ყვებოდნენ, სიკვდილამდე ხუთი წუთით ადრეც არაფერი ეტყობოდაო. მან უცებ მკერდში მწვავე ტკივილი იგრძნო, გაფითრდა და ორივე ხელი გულთან მიიტანა. ყველა ადგილიდან წამოხტა და მის გარშემო მოიყარა თავი; მან კი, ტკივილისაგან გამწარებულმა, მაინც ღიმილით გადახედა ყველას, სავარძლიდან ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე, ხელებგაშლილი იატაკზე დაემხო, ლოცვა-კურთხევით ემთხვია მიწას (როგორც თავად სხვებს ასწავლიდა) და ჩუმი, ბედნიერი ჩაბარდა უფალს. ამბავი მისი სიკვდილის შესახებ უცებ მოედო სავანეს, შემდეგ მთელ მონასტერს. გარდაცვლილის ახლო მეგობრებმა და მათ, ვისაც ეს ჩინით ეკუთვნოდა, დაიწყეს მისი სხეულის გაპატიოსნება ძველი წეს-ჩვეულებების მიხედვით, ხოლო მონასტრის დანარჩენი ძმობა ტაძარში შეიკრიბა. გამთენიამდე ბერის სიკვდილი ქალაქმაც შეიტყო. დილიდან ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ბევრი მოქალაქე მონასტრისაკენ გაეშურა. ამის შესახებ შემდეგ წიგნში მოგიყვებით, ახლა კი მხოლოდ იმას დავუმატებ, ამ ამბიდან ერთი დღეც არ გასულა, რომ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ, რამაც მონასტერი და მთელი ქალაქი შეძრა და ისეთი დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ახლაც, რამდენიმე წლის შემდეგ, ქალაქის ნებისმიერ მაცხოვრებელს ცოცხალ მოგონებად დარჩა ის ყველასათვის შემაძრწუნებელი და საშინელი დღე...

კარი მესამე

წიგნი მეშვიდე. ალიოშა

I ხრწნილის სუნი

განსვენებული მღვდელმონაზონის, მამა ზოსიმას ცხედარი დადგენილი წესის მიხედვით გააპატიოსნეს, როგორც ეს მის წოდებას შეეფერებოდა. გარდაცვლილ მონაზვნებსა და სქიმოსნებს, როგორც წესი, არ ბანენ. „ოდეს მონაზონი სულს უფალს მიაბარებს (ნათქვამია დიდ კურთხევანში), მაშინ მის გასაპატიოსნებლად განწესებულმა მონაზონმა მიცვალებულს ტანი უნდა გაუსუფთაოს თბილი წყლით და ბერძნული ღრუბლით. წმენდის დროს ჯვარი უნდა გადასწეროს შუბლზე, მკერდზე, ხელებზე, ფეხებსა და მუხლებზე“. ყველაფერი ეს მამა პაისიმ შეასრულა. გაპატიოსნების შემდეგ მან მიცვალებული მონაზვნის სამოსით შემოსა და მანტიაში შეახვია. მანტია წინასწარ ისე დაჭრა, რომ მიცვალებული მასში ჯვრისებურად გაეხვია. თავზე რვაწვერა ჯვრიანი კუნკული დაახურა. კუნკული ღია დატოვეს, სახეზე კი შავი გამჭვირვალე ქსოვილი გადააფარეს. ხელებში მაცხოვრის ხატი დააჭერინეს. დილით სასახლეში ჩაასვენეს (დიდი ხნის წინათ ჰქონდათ დამზადებული). გადაწყვიტეს, სასახლე მთელი დღით ბერის სენაკში (პირველ დიდ ოთახში, სადაც ბერი მონასტრის ძმებსა და მორწმუნეებს იღებდა) დაედგათ. რადგან მიცვალებული ჩინით მღვდელმონაზონი იყო, წესით და რიგით, მის თავთან მღვდელმონაზვნებს და იეროდიაკონებს უნდა ეკითხათ სახარება და არა ფსალმუნი. პანაშვიდის შემდეგ მამა იოსიფმა დაიწყო კითხვა. მამა პაისიმ თავად გამოთქვა სურვილი, დღე და ღამე განსვენებულის თავთან ეკითხა, მაგრამ ჯერჯერობით, სავანის წინამძღვართან ერთად, ძალიან დაკავებული და შეწუხებული იყო: როგორც აღმოჩნდა, რაც დრო გადიოდა, მონასტრის ძმობა, სასტუმროს ბინადარნი და ქალაქიდან ჩამოსული მრავალი მორწმუნე რაღაცნაირი უჩვეულო, გაუგონარი და „უკადრისი“ მღელვარებითა და მოუთმენელი მოლოდინით იყვნენ შეპყრობილნი. მამა პაისი და წინამძღვარი ყველა ღონეს ხმარობდნენ, დაემშვიდებინათ აღელვებული ბრბო. განთიადისას ქალაქიდან ისეთებიც ჩამოვიდნენ, რომლებმაც თან ავადმყოფები ჩამოიყვანეს, ძირითადად, ბავშვები - თითქოს ამ ჟამს საგანგებოდ ელოდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ახლა, ბერის გარდაცვალების შემდეგ, განმკურნებელი ძალა დაუყოვნებლივ იჩენდა თავს. სწორედ ახლა აღმოჩნდა, თუ რაოდენ უეჭველ და დიდ წმინდანად თვლიდნენ მიცვალებულს მორწმუნეები სიცოცხლეშივე. ჩამოსულებს შორის მარტო მდაბიონი როდი იყვნენ. მორწმუნეების ეს მოლოდინი, ასე მოუთმენლად და დაუფარავად გამოხატული და ლამის მოთხოვნად ქცეული, მამა პაისის აშკარა ცდუნებად ეჩვენებოდა, თუმცა ამას ის წინასწარ გრძნობდა, მაგრამ არ ეგონა, თუ ასეთი სიძლიერით იჩენდა თავს. როცა აღელვებულ მონაზვნებს ხვდებოდა, მამა პაისი ასე ეუბნებოდა: „რაღაცა დიდის ასეთი სულმოუთქმელი მოლოდინი ქარაფშუტობაა და მეტი არაფერი. ეს რომ არასასულიერო ხალხს დამართოდა, კიდევ ჰო, მაგრამ

სასულიერო პირებს არ გვეკადრება“. მაგრამ მას არავინ უსმენდა და ამის გამო მამა პაისი ძალიან წუხდა, თუმცა თავადაც კი (ყველაფერს თუ მართებულად აღვადგენ), მართალია, აღშფოთებული იყო ამ თავშეუკავებელი მოლოდინით, რასაც თვლიდა ქარაფშუტობად და ამაოებად, გულში თავისთვის ისიც ელოდა იმას, რასაც ის მშფოთვარე მასა, მაგრამ თავის თავს არ უტყდებოდა. მიუხედავად ამისა, მისთვის განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო ზოგიერთი შეხვედრა, რომელიც მასში, რაღაც წინათგრძნობის გავლენით, ეჭვებს აღძრავდა. მიცვალებულის ვიწრო სენაკში, უამრავ ხალხს შორის მან თვალი მოჰკრა რაკიტინსა და ჯერ კიდევ მონასტერში მყოფ ობდორელ მონაზონს. მათმა ხილვამ მამა პაისიში რაღაცნაირი სულიერი ზიზღი აღძრა (რისთვისაც შემდგომში თავს ჰკიცხავდა). მამა პაისის ორივე საეჭვო პირად მოეჩვენა - თუმცა, უნდა აღვნიშნო, არა მარტო ისინი. ობდორელი მონაზონი ამ მღელვარე ბრბოში ყველაზე აწრიალებული ჩანდა; მას ყველგან დაინახავდი, ხან აქ იყო და ხან იქ, ყველას რაღაცას ეკითხებოდა, ყველა საუბარს ისმენდა, ყველას საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა. სახეზე მასაც მოუთმენლობა აღბეჭდოდა, რაღაცნაირი გაღიზიანებულობა იმით, რომ მოსალოდნელი არ ხდებოდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, რაკიტინი სავანეში ასე ადრიანად ქალბატონ ხოხლაკოვას დავალებით ჩამოსულა. ეს კეთილი და სუსტი ხასიათის ქალი, როცა დილაუთენია ბერის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, ისეთმა მოუთმენელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რომ რაკიტინი სასწრაფოდ აფრინა სავანეში, რათა მას ყველაფერი ეხილა და ყოველ ნახევარ საათში წერილობით შეეტყობინებინა იქაური ამბები. ეს ქალბატონი რაკიტინს ყველაზე ღვთისმოსავ და მორწმუნე ახალგაზრდად თვლიდა. თუკი რაკიტინი რაიმეში სარგებელს ხედავდა, მას შეეძლო ყველასთან ურთიერთობა და საკუთარი თავის ისე ჩვენება, როგორც კონკრეტულ პერსონას აწყობდა. ნათელი და მზიანი დღე იდგა. ჩამოსულ მლოცველებს თავი საფლავებთან მოეყარათ. საფლავის ქვები ყველაზე მჭიდროდ ტაძრის გარშემო ელაგა, ისე კი მთელი სავანის ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული. სავანის შემოვლის დროს მამა პაისის ანაზდად ალიოშა გაახსენდა, წუხელს აქეთ არ ენახა. ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო - ალიოშას იქვე, სავანის მოშორებულ კუთხეში, ღობესთან, თავისი მოღვაწეობით ცნობილი მონაზონის საფლავის ქვაზე მჯდარს მოჰკრა თვალი. იგი სავანისაგან ზურგშექცევით იჯდა, პირისახით ღობისაკენ, თითქოს ძეგლს უკან იმალებოდა. როცა მიუახლოვდა, მამა პაისიმ დაინახა, რომ ალიოშას თავი ხელებში ჩაერგო და მწარედ ქვითინებდა. ტირილისაგან მთელი ტანი უკანკალებდა. მამა პაისი ერთხანს დუმილით დაჰყურებდა მას.

- გეყოფა, შვილო ჩემო, გეყოფა, მეგობარო, - როგორც იქნა, გულათრთოლებულმა წარმოთქვა მან, - რა მოგივიდა? გიხაროდეს და ნუ სტირი. ნუთუ არ იცი, დღევანდელი დღე ყველაზე დიდებული დღეა მისთვის? გაიხსენე, სად არის მისი სული ახლა, ამ წუთებში!

ალიოშამ სახიდან ხელები ჩამოიღო და მამა პაისის შეხედა. მას ნამტირალევი ბავშვის გამომეტყველება ჰქონდა. შემდეგ, ხმა არ ამოუღია, ისევ ხელებით დაიფარა სახე და მიბრუნდა.

- თუმცა ალბათ ასეა საჭირო, - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა მამა პაისიმ, - იტირე, ქრისტემ გამოგიგზავნა ეგ ცრემლები. „ეგ ცრემლები წმიდაა, ისინი სულს ამშვიდებენ და გულს ამხიარულებენ“, - ეს უკვე თავისთვის გაიფიქრა მან, როცა ალიოშას მოშორდა და სიყვარულით განაგრძო მასზე ფიქრი. იგი სასწრაფოდ მოშორდა ალიოშას, რადგან იგრძნო, რომ მისი შემყურე თავადაც ატირდებოდა. ამასობაში დრო გადიოდა. მონასტერში წირვა და პანაშვიდი თავისი წესითა და რიგით მიმდინარეოდა. მამა პაისიმ კვლავ შეცვალა მამა იოსიფი კუბოს თავთან და გააგრძელა სახარების კითხვა. მაგრამ ჯერ სამი საათი არ იქნებოდა, მოხდა ის რაღაც, რასაც წინა წიგნის დასასრულს აღვნიშნავდი და რასაც ჩვენთან არავინ ელოდა. იგი ყველასგან გაუთვალისწინებლად მოხდა... ვიმეორებ, რომ ქალაქსა და მის შემოგარენში ამ შემთხვევას დღესაც განსაკუთრებული სიცხადით იგონებს ყველა. ჩემდა თავად, აქვე მინდა დავუმატო: ჩემში ზიზღს იწვევს ამ ამაო და მაცდუნებელი, თავისი არსით ფუჭი და ჩვეულებრივი მოვლენის გახსენება. რასაკვირველია, ჩემს მოთხრობაში ეს ადგილი უნდა გამომეტოვებინა, მაგრამ ამ შემთხვევამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემი მთავარი გმირის, ალიოშას სულსა და გულზე. ამ ამბავმა მასში დიდი გარდატეხა გამოიწვია, გადატრიალება მოახდინა მის არსებაში და საბოლოოდ განამტკიცა მისი ნება დასახული მიზნის მისაღწევად.

მაშ ასე, ვაგრძელებ თხრობას. როცა განთიადამდე გაპატიოსნებული და დასამარხად გამზადებული ცხედარი სასახლეში ჩაასვენეს და კუბო პირველ მისაღებ ოთახში დადგეს, იქ მყოფთაგანთ კითხვა დაებადათ: საჭიროა თუ არა ოთახში ფანჯრების გაღებაო? მაგრამ ვიღაცის მიერ ეს სხვათაშორის წარმოთქმული კითხვა უპასუხოდ და თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. თუკი ვინმემ შენიშნა, ისიც თავისთვის გაიფიქრებდა - დაეჭვება იმაში, რომ ასეთი პიროვნების გვამს შეიძლებოდა სუნი ასვლოდა, სამწუხარო (თუ დასაცინი არა) უვიცობა, ურწმუნობა და ქარაფშუტობაა მათი მხრიდან, ვისაც ასეთი კითხვა დაებადა, რადგან ყველა საპირისპიროს ელოდა. ნაშუადღევს ისეთი რაღაც დაიწყო, რასაც განსვენებულის ოთახში შემსვლელ-გამომსვლელები მხოლოდ ჩუმად, თავისთვის აღნიშნავდნენ; ცოტა მოგვიანებით კი უკვე შეშფოთებულები სხვებს ატყობინებდნენ. სამი საათისათვის ეს რაღაც ისე გამძაფრდა, რომ უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა, როგორც სავანის მკვიდრთათვის, ისე მლოცველებისთვის. შემდეგ ამ ამბავმა მონასტერში შეაღწია და განაცვიფრა მონასტრში მყოფნი, მერმე ხმა ქალაქსაც მისწვდა და იქაც ააღელვა ყველა, მორწმუნეც და ურწმუნოც. ურწმუნოები გახარებულები იყვნენ, ხოლო რაც შეეხება მორწმუნეებს, მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც ურწმუნოებზე მეტად უხაროდათ, რამეთუ „ადამიანებს უყვართ წმინდანთა დაცემა და შერცხვენა“, როგორც ეს ერთხელ აღნიშნა ბერმა თავის ქადაგებაში. საქმე ის გახლდათ, რომ სასახლიდან ხრწნილის სუნი ამოდიოდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უფრო და უფრო მძაფრდებოდა. უკვე კარგა ხანია, ყოველ შემთხვევაში, მონასტრის არსებობის მანძილზე აღარავის ახსოვდა ასეთი დაუოკებელი ცდუნების წინაშე რომ მდგარიყვნენ ჩვენი მონაზვნები, როგორის წინაშეც იმ მოვლენის შემდეგ აღმოჩნდნენ. შემდგომში, რამდენიმე წლის შემდეგ, ზოგიერთი ჩვენი გონიერი მონაზონი, როცა ამ დღეს დაწვრილებით იგონებდა ხოლმე, უკვირდა და გაოცებული იყო, როგორ მოხდა, რომ ცდუნებამ ასეთ დონეს

მიაღწია. რამეთუ ადრეც იხოცებოდნენ ბერები, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე წმინდანის ცხოვრებით იცხოვრეს, მათ ცხედრებსაც ასდიოდათ ხრწნილის სუნი, ბუნებრივი, როგორც ყველა გვამს, თუმცა ასეთი ცდუნება არ გამოუწვევია და არც არავინ აუღელვებია ასე. რასაკვირველია, ჩვენი მონასტრის მიცვალებულთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც დღესაც ნათლად ახსოვთ ან გადმოცემით იციან მათ შესახებ, რომ მათ გვამებს ხრწნა არ დაუწყია. ამან გულისამაჩუყებელი და იდუმალი ზეგავლენა მოახდინა მონასტრის საძმოზე და ისე დაამახსოვრდათ, როგორც უმშვენიერესი და სასწაული რამ, მომავალში საწინდარი დიდების შარავანდედით გარდაცვლილთა აკლდამების შემოსვისა, თუკი უფლის ნებით ამისი დრო დადგება. განსაკუთრებით ახსოვდათ ბერი იოვე, რომელმაც ას ხუთ წლამდე იცოცხლა. იგი განთქმული მოღვაწე, დიდი მემარხულე და მარად მდუმარი ბერი გახლდათ. მისი გარდაცვალებიდან დიდი დრო გავიდა, დაახლოებით ამ საუკუნის ათიან წლებში მიიბარა მისი სული უფალმა. მონასტერში ყველა პირველად მოსულ მლოცველს მის საფლავს განსაკუთრებული პატივისცემით აჩვენებდნენ ხოლმე (ეს ის საფლავი იყო, რომელზე მჯდარი ალიოშაც ამ დილით ნახა მამა პაისიმ). ამ ბერის გარდა, კიდევ იგონებდნენ არც ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილ მღვდელმონაზონს, დიდ მამა ვარსონოფის. ეს ის ბერი იყო, რომლისგანაც მამა ზოსიმამ ბერობა მიიღო და რომელსაც სიცოცხლეშივე მონასტერში მოსული მლოცველები ნამდვილ სალოსად თვლიდნენ. გადმოცემა არსებობს, რომ ორივე ბერი კუბოში ცოცხალივით იწვა და ისე დამარხეს, რომ მათ ცხედრებს ხრწნილის სუნი არ ასვლიათ. ის კი არა და, იმასაც კი ამბობენ, რომ მათ სახეებზე ნათელი ეფინათო. ზოგიერთები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მათ გვამებს არათუ ხრწნილის სუნი ასდიოდათ, არამედ რაღაც სურნელებასაც კი აფრქვევდნენ. მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი ხსოვნისა, მაინც ძნელი იყო იმის ახსნა, რაც ბერი ზოსიმას კუბოსთან შეიქმნა - ასეთი უაზრო, ფუქსავატური და ღვარძლით სავსე მდგომარეობა. მე რომ მკითხოთ, ჩემი აზრით, აქ ერთმანეთს დაემთხვა მრავალი სხვა რამ, მრავალი სხვადასხვა მიზეზი, რომელმაც ერთმანეთზე მოახდინა ზემოქმედება. ამის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ბერობისადმი, როგორც ბოროტი სიახლისადმი, უკვე კარგად ფესვგადგმული მტრობა, რომელსაც მონასტერში მყოფი ბევრი მონაზვნის გულშიც დაედო ბინა. ამას გარდა, ცხადია, მთავარი მაინც შურის გრძნობა იყო გარდაცვლილის წმინდანობის გამო, რომელიც მან სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ისე ძლიერ, რომ თითქოს მასში დაეჭვებაც კი ყველას ეკრძალებოდა. რადგან განსვენებულმა ბერმა თავის გარშემო არა სასწაულმოქმედებით, არამედ სიყვარულით მოიზიდა თაყვანისმცემლების დიდი წრე, ამიტომ შეიძინა ჯერ მოშურნეები, შემდეგ კი დაუძინებელი მტრები როგორც აშკარა, ისე ფარული, და არა მარტო მონასტერში, არამედ გარეთაც, საერო პირთა შორის. მას ცუდი არავისთვის გაუკეთებია, მაგრამ ვიღაც მაინც წაისისინებდა ხოლმე: „ვითომ რატომ თვლიან წმინდანად?!“ მხოლოდ ეს კითხვა მეორდებოდა გამუდმებით და ამან დაბადა უძირო ღვარძლის მორევი. ჩემი აზრით, ამიტომაც მოხდა, რომ როცა ზოგიერთმა მისი ცხედრიდან ხრწნილის სუნი შეიგრძნო, თანაც გარდაცვალების მეორე დღესვე, უზომოდ გაიხარა. ბერის თაყვანისმცემლებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ეს მოვლენა პირად შეურაცხყოფად მიიღეს და განაწყენდნენ. უფრო თანმიმდევრობით საქმე ასე წარიმართა.

როგორც კი ცხედარმა ხრწნა დაიწყო, ოთახში შემოსული მონაზვნების სახეების მიხედვით შეგეძლო დაგესკვნა, რატომ შემოდიოდნენ ისინი. შემოვიდოდა ვინმე, ცოტა ხნით გაჩერდებოდა და უკან გავიდოდა, რათა სხვებისათვის, გარეთ ჯგროდ მომლოდინეთათვის, დაედასტურებინა გავრცელებული ამბავი. გარეთ მომლოდინეთაგან ზოგიერთი დამწუხრებული აქნევდა თავს, მავანნი კი არც ფარავდნენ სიხარულს, აშკარად ნასიამოვნებნი გამოიყურებოდნენ. მათ არავინ ძრახავდა, კრინტი არავის დაუძრავს, რაც ძალიან საკვირველი იყო, ვინაიდან გარდაცვლილი ბერის ერთგულებს მონასტრის უმრავლესობა შეადგენდა; ალბათ უფალს ასე ენება, რომ იმ წუთებში უმცირესობას ეზეიმა. მალე სენაკში დასაზვერად წარჩინებულთა წრის წარმომადგენლებიც კი გამოჩნდნენ, უფრო განათლებული პირები. მდაბიონი ნაკლებად შემოდიოდნენ, თუმცა სავანის კარიბჭესთან მათ კარგა ბლომად მოეყარათ თავი. სამი საათის შემდეგ წარჩინებული მნახველების რიცხვმა საკმაოდ იმატა. მიზეზი მაცთუნებელი ცნობა გახდა. ზოგიერთი ალბათ სულაც არ აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ ამ ამბის გამო საგანგებოდ ჩამოვიდა. მათ შორის, რამდენიმე მნიშვნელოვანი ჩინის გვამი გახლდათ. წესსა და რიგს ჯერჯერობით არავინ არღვევდა და მამა პაისი მტკიცედ და გამოთქმით, ხმამაღლა განაგრძობდა სახარების კითხვას, თითქოს ვერც კი ამჩნევდა ირგვლივ ვერაფერს, თუმცა დიდი ხანია შენიშნა, ერთობ უცნაური რამ რომ ხდებოდა. უცებ რაღაც ხმები მოესმა, ჯერ ხმადაბალი, შემდეგ ეს ხმები თანდათანობით გაძლიერდა. „ჩანს, ღვთის სამსჯავრო სხვაა, ადამიანურთან შედარებით!“ - გაიგონა მამა პაისიმ. ეს თქვა არასასულიერო პირმა, ერთმა ხანშიშესულმა ღვთისმოსავმა ქალაქელმა ჩინოვნიკმა. ეს ხმამაღლა ნათქვამი განმეორება იყო იმისა, რასაც ყურში ჩასჩურჩულებდნენ ერთმანეთს მონაზვნები. მონაზვნები ამ უსასოო სიტყვას დიდი ხანია, იმეორებდნენ; მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ამ სიტყვის გამოთქმას ყოველწუთიერად რაღაც საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. მალე არეულ-დარეულობა დაიწყო, თითქმის ყველამ ვალდებულად ჩათვალა თავი, წესი და რიგი დაერღვია. „ნეტა, რატომ მოხდა ასე, - თავდაპირველად თითქოსდა დანანებით ამბობდნენ მონაზვნები, - სხეული დიდი არ ჰქონდა, გამხდარი და გაძვალტყავებული იყო, საიდანაა ასეთი სუნი?“ - „მაშასადამე, ღმერთი საგანგებოდ მიგვანიშნებს,“ - სასწრაფოდ უმატებდნენ სხვები და მათ აზრს იმავე წამს ყველა ულაპარაკოდ იზიარებდა. ყველა აღნიშნავდა: თუ სუნი ბუნებრივი მოვლენაა, გარდაცვლილი ცოდვილის გვამის ხრწნა მოგვიანებით, ერთი დღის შემდეგ მაინც უნდა დაწყებულიყო, ასე ჩქარა არა. „ამით კი ვიღაც გვაფრთხილებს“, ეს ვიღაც კი სხვა არავინაა, თუ არა ღმერთი, ის მიგვანიშნებსო. ასეთი მსჯელობა ყველაზე დამთრგუნველად მოქმედებდა. მიცვალებულის საყვარელმა პიროვნებამ, ბიბლიოთეკარმა, უწყინარმა მამა იოსიფმა ზოგიერთ ენაჭარტალას დავა დაუწყო, რომ „ეს ყოველთვის ასე არ არის“, მართლმადიდებლობაში ასეთი დოგმა, თითქოს წმინდანობის დამადასტურებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი წმინდანთა გვამების უხრწნადობა იყოს, არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ასეთი მოსაზრება. ყველაზე მართლმადიდებლურ ქვეყნებში, მაგალითად, ათონის მთაზე, ხრწნილის სუნი სულაც არ აკვირვებთ, იქ უხრწნადობა კი არ ითვლება წმინდანობის დამადასტურებლად, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, მიწაში დების შემდეგ ჩონჩხის ძვლის ფერი: „თუ ძვალი ცვილივით ყვითელ ფერს იღებს, მაშინ ეს ითვლება მთავარ ნიშნად იმისა, რომ ღმერთმა თავის რჩეულთა რიგებში

შეიყვანა გარდაცვლილი წმინდანი, თუ ძვალი შავი ფერის გახდება, ეს იმის მომასწავებელია, რომ ღმერთმა მას ასეთი პატივი არ მიაგო, - ასეა ათონზე, დიდებულ ადგილას, სადაც მართლმადიდებლობა ძველთაგანვე განუხრელად და შეურყვნელადაა შენარჩუნებული," - დასძინა მამა იოსიფმა. მაგრამ უწყინარი მამის შეგონებას ზემოქმედება არავისზე მოუხდენია, პირიქით, გაკილეს კიდეც: „ეს ყოველივე მეცნიერებაა და სიახლე, მოსმენაც არ ღირს", - თავისთვის გადაწყვიტეს მონაზვნებმა. „ჩვენთან ყველაფერი ძველებურადაა; რამდენი სიახლეც გაჩნდება, ყველას ხომ არ მივბაძავთ?" - უმატებდნენ სხვები. „ჩვენ რა ნაკლები წმინდა მამები გვყავდა. ისინი იქ თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან და ყველაფერი გადაავიწყდათ, მათთან მართლმადიდებლობა აირ-დაირია, ზარებსაც კი აღარ რეკავენ", - მათ მხარი აუბეს ყველაზე ცინიკოსებმა. დამწუხრებული მამა იოსიფი იქაურობას გაშორდა. ძალიან წუხდა, რომ მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოთქვა თავისი აზრი, თითქოს თავადაც არ იყო დარწმუნებული. შემცბარი წინასწარ გრძნობდა, რომ რაღაც ისეთი უმსგავსობა მოხდებოდა, რომელიც ურჩობაზე გაცილებით უარესი იქნებოდა. თანდათან მამა იოსიფის კვალდაკვალ დადუმნენ სხვა გონიერი ადამიანები. ისე მოხდა, რომ გარდაცვლილი ბერის თაყვანისმცემლები და დაწესებული ბერობის მორჩილი მომხრეები ანაზდად რაღაცამ დააფრთხო. როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ისინი მორცხვად შეავლებდნენ ხოლმე ერთურთს თვალს. ბერობის მტრებმა ხმა აღიმაღლეს. „განსვენებული ბერი ვარსონოფიას ცხედარი კი არ ყარდა, პირიქით, სურნელებას აფრქვევდა, - ნიშნის მოგებით იგონებდნენ ისინი, - მაგრამ ეს იმიტომ კი არ დაიმსახურა, რომ ბერი იყო, არამედ იმიტომ, რომ წმინდანი გახლდათ". ამას მოაყოლეს ახლადგარდაცვლილი ბერის გმობა და დადანაშაულება: „უმართებულოდ გვმოძღვრავდა; გვასწავლიდა, რომ სიცოცხლე დიდი სიხარულია და არა ცრემლნარევი მორჩილება", - ამბობდა ერთ-ერთი ყველაზე უგნური. „ახალმოდურად სწამდა, ჯოჯოხეთში მატერიალური ცეცხლის არ სჯეროდა", - უმატებდა მასზე უფრო მეტად უგნური. „მარხვას მკაცრად არ იცავდა, ტკბილეულობას მიირთმევდა, ჩაი ალუბლის მურაბით უყვარდა, ძალიან უყვარდა, მემამულეები უგზავნიდნენ ხოლმე. სად გაგონილა, სქიმოსანი რომ ჩაის სვამდეს?" - გაიძახოდნენ ზოგიერთი მოშურნენი. „ამაყად იჯდა, - უნამუსოდ იგონებდნენ ყველაზე ღვარძლიანები, - წმინდანად მიაჩნდა თავი, მის წინაშე მუხლებზე ვემხობოდით, ის კი ამას სავალდებულოდ თვლიდა". „ზიარების საიდუმლოს ბოროტად იყენებდა", - გესლიანად სისინებდნენ ბერობის ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგეები, მათ შორის იყვნენ ყველაზე მხცოვანი და თავგადადებული მლოცველი მონაზვნები, ჭეშმარიტი მემარხულეები და მარად მდუმარენი, ბერის სიცოცხლეში რომ დუმდნენ და ახლა განაღეს პირი თვისი. ეს კი ყველაზე საშინელი რამ იყო, რამეთუ მათი სიტყვები ყველაზე ცუდ ზეგავლენას ახდენდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელ მონაზვნებზე. ყოველივე ამას ისმენდა ობდორელი სტუმარი, წმინდა სილვესტრის მონასტრის მონაზონი. იგი ოხრავდა და თავს აქეთ-იქეთ აქნევდა: „ალბათ, მართალს ბრძანებდა მამა ფეროპონტი", - ფიქრობდა თავისთვის. სწორედ ამ დროს მამა ფეროპონტიც გამოჩნდა; თითქოს იმისათვის მოვიდა, რომ უფრო დაეძაბა ეს შემაძრწუნებელი მდგომარეობა.

ადრე მოგახსენეთ, რომ მამა ფეროპონტი თავისი ფიცრული სენაკიდან იშვიათად

გამოდიოდა, ეკლესიაშიც კი იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე. ამისი ნება მას, როგორც სალოსს, ჰქონდა, საერთო წესით ცხოვრებას არ ავალდებულებდნენ. ისე, მართალი რომ ვთქვათ, ამის ნება მას ჰქონდა რაღაც აუცილებლობის გამო, რამეთუ ისეთი დიდი მემარხულე და მარად მდუმარე, რომელიც დღე და ღამე ლოცულობდა (რამდენჯერ მუხლებზე დამხობილს ჩასძინებია კიდეც), უხერხულიც კი იყო, შეეწუხებინათ საერთო წესებით, თუკი ის თავად არ მოინდომებდა მათ დაცვას. „ის ყველა ჩვენგანზე უფრო წმინდანია და ისეთ რამეებს ასრულებს, რომელიც გაცილებით ძნელია, ვიდრე მონასტრის წესები, - იტყოდნენ მაშინ მონაზვნები, - ეკლესიაში რომ არ დადის, ისიც მისი საქმეა, თავად იცის, როდის წავიდეს და როდის არა, მას თავისი წესები აქვსო“. ამნაირი სავარაუდო მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების მიზნით, არაფერს ეუბნებოდნენ მამა ფეროპონტს. ყველამ კარგად იცოდა, რომ მას განსაკუთრებით არ უყვარდა მამა ზოსიმა. და აი, მის სენაკამდე მივიდა ამბავი: „ჩანს ღვთის სამჯავრო სულ სხვაა, ვიდრე ადამიანის და ბუნება გვაფრთხილებს კიდეც.“ უნდა ვიფიქროთ, რომ მას ეს ამბავი შეატყობინა ობდორელმა მონაზონმა, რომელიც გუშინ ესტუმრა და იქიდან გაოგნებული წამოვიდა. მე ისიც მოგახსენეთ, რომ კუბოს თავთან მამა პაისი ურყევად იდგა და კითხულობდა. მას არ შეეძლო, გაეგონა და დაენახა, რა ხდებოდა სენაკის გარეთ, მაგრამ მთავარს გუმანით შეუცდომლად მიხვდა, რადგან კარგად იცნობდა ყველას. არ დაბნეულა, ყველაფერს ელოდა, რაც შეიძლება კიდევ მომხდარიყო - უშიშარი, გამჭოლი მზერითა და გონებით ჭვრეტდა ამ მღელვარების მომავალ შედეგს. უცებ წინკარიდან მას შემოესმა უცნაური და წესრიგის დამრღვევი ხმაური. კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე მამა ფეროპონტი გამოჩნდა. მის უკან, როგორც მოსალოდნელი იყო და სენაკიდანაც კარგად ჩანდა, თავი მოეყარა მისი თანხმლები მონაზვნების ამალას, აქა-იქ არასასულიერო პირებიც ერივნენ. თანმხლებნი სენაკში არ შემოსულან, ზღურბლს არ გადმოსცილებიან, იდგნენ და ელოდნენ - რას იტყოდა, ან რას გააკეთებდა მამა ფეროპონტი, რადგან გრძნობდნენ რაღაცნაირ შიშს, ის ტყუილუბრალოდ ხომ არ იყო მოსული. მამა ფეროპონტი ზღურბლზე შეჩერდა და ხელები მაღლა აღმართა. მის უკან გამოჩნდა ობდორელი სტუმრის გამჭოლი და ცნობისმოყვარე თვალები. ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელმაც ვერ დასძლია თავისი დიდი ცნობისმოყვარეობა და თან შემოჰყვა მამა ფეროპონტს. დანარჩენები, შეშინებულები, კარს უკან შეგროვდნენ. მამა ფეროპონტმა ხელები მაღლა აღმართა და იღრიალა:

- მტარვალს განვაძევებ! - და სენაკის ოთხივე მხარეს თანმიმდევრობით ჯვარი გადასწერა. დადიოდა ოთახში, ყველა კედელთან და ყველა კუთხესთან ჩერდებოდა და ჯვარს სწერდა. მამა ფეროპონტის ამ საქციელის მიზეზს ყველა მისი თანმხლები პირი მიხვდა, რამეთუ უწყოდნენ, რომ იგი არსად შევიდოდა, სიტყვას არ დაძრავდა და არ დაჯდებოდა მანამ, სანამ ბინიდან უწმინდურ სულს არ გადევნიდა.

- განვედ, სატანა, განვედი! - იმეორებდა ყოველი ჯვრის გადაწერისას, - მტარვალს განვაძევებ! - ისევ იღრიალა მან. ფეხშიშველს ტანზე უხეში ბერული სამოსი ეცვა და წელზე საბელი ჰქონდა შემოკრული. ხამის ტილოს ქვეშ ჭაღარაბალნიანი მკერდი მოუჩანდა. როცა ხელებს იქნევდა, ბორკილები აჟღარუნდა, რომლებიც

სამოსის შიგნით ეკიდა. მამა პაისიმ კითხვა შეწყვიტა და რაღაცის მოლოდინში წინ გადაუდგა.

- რისთვის გვეახელ, პატიოსანო მამაო? რისთვის არღვევ კეთილმოწესეობას? რისთვის ამღვრევ თვინიერ მრევლს? - ბოლოს და ბოლოს ამოღერღა მან და მკაცრად შეხედა მოსულს.

- რისთვის მოვედი? რას მეკითხები? შენ რა რჯულის ხარ? - გიჟივით იღრიალა მამა ფეროპონტმა, - მოველ, რომ შენი სტუმრები, ეშმაკის მოციქულები, განვდევნო. ვხედავ, უჩემოდ კარგად მომრავლებულან. ცოცხით მინდა მივხვეტ-მოვხვეტო.

- უწმინდურის განდევნა გინდა, იქნებ თავად ხარ იმის მოციქული, - უშიშრად გააგრძელ მამა პაისიმ, - ვის შეუძლია საკუთარ თავზე თქვას: „წმინდანი ვარო“? შენ ხომ არა, მამაო?

- უწმინდური ვარ, არაწმინდანი. არც სავარძელში ჩავბრძანდები და არც კერპივით თაყვანისცემას მოვინდომებ! - ღრიალებდა მამა ფეროპონტი. - ახლანდელ დროში ადამიანები წმინდა რწმენას ღუპავენ. თქვენი მიცვალებული, თქვენი წმინდანი, - მიუბრუნდა იგი ბრბოს და კუბოზე მიუთითა, - ეშმაკს უარყოფდა, ხალხს ავისულების წინააღმდეგ აბებს ურიგებდა. ამიტომაც მომრავლდნენ ისინი თქვენთან და ობობებივით ყველა კუთხე-კუნჭულს მოედვნენ. დღეს კი თავად აყროლდა, ამით უზენაესი დიდ რამე მიგვანიშნებს.

ერთხელ ასეთი რამ მართლაც მოხდა. მამა ზოსიმამ ერთ-ერთ მონაზონს ურჩია, როცა ის გაენდო - უწმინდური სული მესიზმრება ხოლმე, ერთხელ გამომეცხადა კიდეცო - გამუდმებით ელოცა და მკაცრი მარხვა დაეცვა. როდესაც ამანაც ვერ უშველა, ბერმა უთხრა, ლოცვა და მარხვა გაეგრძელებინა და თან მიეღო ერთი წამალი. ამან ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ყველა კილავდა ბერს, - ყველაზე მეტად მამა ფეროპონტი, რომელსაც ზოგიერთმა ენატანიამ მაშინვე შეატყობინა ბერი ზოსიმას ეს „უცნაური“ რჩევა ასეთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის.

- განვედი, მამაო! - უბრძანა მამა პაისიმ, - ადამიანს არა აქვს განსჯის უფლება, უფალი განსჯის მხოლოდ. შესაძლოა, აქ ისეთი „მინიშნებაა“, რომლის გაგებაც ჩვენ არ ძალგვიძს, არც შენ, არც მე და არც სხვას. განვედი, მამაო, მრევლს ნუ ამღვრევ! - დაჟინებით გაიმეორა მან.

- თავისი სქიმის შესაბამისად არ ინახავდა მარხვას, ამიტომაც მოხდა ასეთი რამ. ეს ყველასათვის ნათელია და დაფარვა ცოდვაა! - ვერ წყნარდებოდა ცოფმორეული ფანატიკოსი. - მემამულეების მორთმეული კანფეტებით იტკბარუნებდა პირს, ჩაის მიირთმევდა, მუცელს იღორებდა და გოლეულით ივსებდა, ხოლო გონებას ქედმაღლური ზრახვებით... ამიტომაც იწვნია ასეთი შერცხვენა...

- ფუქსავატურად აზროვნებ, მამაო! - ხმა აღიმაღლა მამა პაისიმ, - შენი მარხვა და ღვაწლი მაოცებს, მაგრამ შენი ფუქსავატური სიტყვები ქარაფშუტა ყმაწვილის

როშვას მაგონებს. განვედ აქედან, მამაო, გიბრძანებ! - იყვირა დასასრულ მამა პაისიმ.

- მე კი გავალ! - თქვა ოდნავ შეცბუნებულმა, მაგრამ მაინც გაავებულმა მამა ფეროპონტმა, - მწიგნობრებო! თქვენი დიდი გონებით ამაღლდით ჩემს არარაობასა ზედა. აქ მცირე ცოდნით მოვედი და რაც ვიცოდი, ისიც კი დამავიწყდა, თავად ღმერთმა ინება თქვენი სიბრძნისაგან ჩემი დაცვა...

მამა პაისი მის წინ გაჯიქებული იდგა და ელოდა. ანაზდად მამა ფეროპონტი დადუმდა და დანაღვლიანდა, მარჯვენა ლოყაზე ხელი მიიდო, განსვენებული ბერის სასახლეს დააცქერდა და მღერა-მღერით წარმოთქვა:

- ამ ცხედართან ცისკრის ლოცვაზე დიდებულ საგალობელს - „მწესა და მფარველს“ იგალობებენ, ჩემს კუბოსთან კი პატარა სტიქარს - „ხორციელი ტკბობის სინანულს“ - ცრემლმორეულმა დანანებით ჩაილაპარაკა მან, - გაამაყდით და აღზევდით, არარაობაა ყოველივე ეს! - უცებ შეშლილივით იღრიალა, ხელი ჩაიქნია, მოტრიალდა და სასწრაფოდ ჩაირბინა კიბეები. გარეთ მომლოდინე ბრბო დაიბნა; ზოგი მაშინვე უკან დაედევნა, ზოგი მოგვიანებით. სენაკის კარი კვლავ ღია იყო, მამა პაისი ზღურბლამდე მიჰყვა მამა ფეროპონტს და თვალი გაადევნა. მაგრამ გაშმაგებული ბებერი დიდხანს ვერ დაშოშმინდა, ოცი მეტრი გაიარა და მიბრუნდა ჩამავალი მზისაკენ, ხელები აღმართა, იღრიალა და მოცელილივით მიწაზე დაენარცხა.

- უფალმა ჩემმა გაიმარჯვა! ქრისტემ დაამარცხა ჩამავალი მზე! - მზისკენ ხელებგაშვერილი, გახელებული ღრიალებდა ის. მერმე მიწაზე პირქვე დაემხო და ბალღივით აქვითინდა, მთელი სხეული უთრთოდა. ყველა გარს შემოერტყა, აქა-იქ შეძახილები და საპასუხო ქვითინიც გაისმა... ეს რაღაცნაირი სიშლეგე ყველას გადაედო.

- აი, ვინ არის წმინდანი! აი, ვინ არის ღირსი მამა! - გაისმა მოურიდებელი შეძახილები, - აი, ვინ უნდა იყოს ბერი! - გაავებულები უმატებდნენ სხვები.

- მას არ სურს ბერობა... თავად იტყვის უარს... არ ემსახურება წყეულ სიახლეს.. ამნაირ სისულელეებში არ მიბაძავს მათ, - მაშინვე მხარი აუბა სხვა ხმებმა. საქმე სადამდე მივიდოდა, კაცმა არ იცის, ეკლესიის ზარებს ამ დროს წირვაზე რომ არ მოეხმო მრევლი. ყველამ პირჯვარი გადაიწერა. მამა ფეროპონტიც წამოდგა და პირჯვრის წერით, ავი სულისაგან თვალი რომ არ სცემოდა, თავისი სენაკისაგან გზა გაიკვლია. უკან არ მოუხედავს, მთელი გზა რაღაც უაზრობებს ყვიროდა. ზოგი უკან გაჰყვა, უმეტესობა დაიშალა და სასწრაფოდ წირვაზე გაემართა. მამა პაისიმ განსვენებულის თავთან კითხვა მამა იოსიფს გადააბარა და თავად გარეთ გავიდა. ფანატიკოსების გახელებულ ყვირილს იგი არ დაუთრგუნავს, მაგრამ მაინც მოიწყინა, რაღაცის გამო განსაკუთრებულმა სევდამ შეიპყრო. იგი შედგა და თავს ჰკითხა: „საიდანაა ეს სევდა, თითქოს სულიერად დავეცი?“ - ანაზდად ყველაფერს მიხვდა: ალბათ, ეს სევდა ერთი უბრალო, მაგრამ განსაკუთრებული მიზეზის გამო მოეძალა. საქმე ის იყო, მან სენაკთან ბრბოში შენიშნა აღელვებული ალიოშა და რაღაცნაირად გული ეტკინა. „ნუთუ ეს ყმაწვილი ასე ბევრს ნიშნავს ჩემთვის?“ -

გაუელვა თავში. სწორედ ამ დროს მის გვერდით გაიარა ალიოშამ. სადღაც მიიჩქაროდა, მაგრამ არა ტაძრის მხარეს. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ალიოშამ სასწრაფოდ აარიდა თვალი და თავი დახარა. მამა პაისი ერთი შეხედვით მიხვდა, რომ ამ წუთებში ალიოშას სულში რაღაც დიდი ცვლილებები ხდებოდა.

- ნუთუ შენშიც დაისადგურა ცდუნებამ? - უცებ შესძახა მამა პაისიმ, - ნუთუ შენც იმ ურწმუნოებივით ფიქრობ?! - დაუმატა დანაღვლიანებულმა.

ალიოშა შედგა და რაღაც გაურკვევლად შეხედე მამა პაისის, შემდეგ ისევ მოარიდა თვალი და თავი ჩაქინდრა. გვერდულად იდგა და მამა პაისისაკენ არ მიბრუნებულა. მამა პაისი ყურადღებით აკვირდებოდა.

- საით მიგეჩქარება? წირვაზე გვიხმობენ, - კვლავ შეეკითხა, მაგრამ ალიოშამ არ უპასუხა.

- სავანიდან წასვლა ხომ არ გინდა? დაუკითხავად და კურთხევის გარეშე?

ალიოშამ მწარედ ჩაიღიმა, უცნაურად, ძალიან უცნაურად მიაპყრო მზერა მამა პაისის, კაცს, ვისაც იგი სიკვდილის წინ მიანდო მისმა მოძღვარმა, მისი გულისა და სულის მფლობელმა, საყვარელმა ბერმა. ისევ უპასუხოდ დატოვა იგი, ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს თავაზიანობაზეც არ უფიქრია და ჩქარი ნაბიჯით სავანის კარიბჭისაგან გაემართა.

- დაბრუნდება! - ჩაიჩურჩულა სევდამორეულმა მამა პაისიმ და გაკვირვებულმა წყენით გააყოლა თვალი.

II ასეთი წუთი

რასაკვირველია, მამა პაისი არ შემცდარა, როცა ფიქრობდა, მისი „საყვარელი ბაჭუნა“ უკან რომ დაბრუნდებოდა; შესაძლოა (თუმცა სრულად არა, მაგრამ მაინც წინასწარ განჭვრიტა), მიხვდა კიდეც ალიოშას სულიერი მდგომარეობის ჭეშმარიტ არსს. მიუხედავად ამისა, გულახდილად მინდა ვაღიარო - მე თავად ძალიან გამიძნელდება, ნათლად გადმოგცეთ, ჩემი მოთხრობის გმირისათვის, ჩემთვის ასე საყვარელი და ახალგაზრდა კაცისათვის, თუ რას ნიშნავდა ის უცნაური და გაურკვეველი წუთი. მამა პაისის მწარე კითხვაზე: „ნუთუ შენც იმ ურწმუნოებივით ფიქრობ?“ - მე შემიძლია ალიოშას მაგივრად დარწმუნებულმა გიპასუხოთ: „არა, ის მათსავით არ ფიქრობდა“. უფრო მეტიც, სრულიად საპირისპირო რამ ხდებოდა: მთელი მისი შეცბუნება იმით იყო გამოწვეული, რომ მას ბევრი რამ სწამდა. მაგრამ ხომ შეცბუნდა, ხომ მოხდა ასეთი რამ და ეს მისთვის ყველაზე მტანჯველი იყო. მოგვიანებით ალიოშა ამ მწარე დღეს თავის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე და საბედისწერო დღედ თვლიდა. თუ მკითხავთ: „ნუთუ ეს ნაღველი და შიში მასში მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ განსვენებული ბერის ცხედარმა განმკურნებელი ძალის გამოვლენის მაგივრად, უეცრად ხრწნა

დაიწყო“, უყოყმანოდ გიპასუხებთ: „დიახ, ასე მოხდა“. მკითხველს ერთ რამეს ვთხოვ, ნუ აჩქარდება და ნუ დასცინებს ჩემს ახალგაზრდა გმირს. თავად მე არ ვაპირებ მისი გულისათვის პატიება გთხოვოთ და ბოდიში მოვიხადო, არც მისი ახალგაზრდული ასაკისა და ოდესღაც შესწავლილი მეცნიერებების ათვისებაში მცირე წარმატების გამო მისი გულუბრყვილო რწმენა გავამართლო. არა, პირიქით, მტკიცედ ვაცხადებ, რომ გულწრფელი პატივისცემით ვარ განმსჭვალული მისი ბუნების მიმართ. ზოგიერთ ახალგაზრდას ასეთი შთაბეჭდილებები გულთან ახლოს არ მიაქვს, მან იცის, რომ უნდა უყვარდეს ნელთბილად და არა მხურვალედ, ჭკუით და ასაკისათვის შეუფერებელი წინდახედულებით, ასეთი ყმაწვილი, უეჭველად თავს აარიდებდა იმას, რაც ჩემს გმირს გადახდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სჯობს, რაღაცამ მოგხიბლოს, თუნდაც ეს ხიბლი დიდ სიყვარულთან დაკავშირებული უგუნურება იყოს, ვიდრე ყველაფრისადმი გულგრილი დარჩე. მით უმეტეს, სიჭაბუკის პერიოდში არასაიმედოა განუწყვეტლივ წინდახედული ყმაწვილი, ასეთ კაცს პატივს არავინ სცემს - მე ასე მგონია! „მაგრამ, - შესძახებენ ალბათ გონიერი ადამიანები, - ხომ არ შეიძლება ყველა ახალგაზრდას მაგნაირი ცრურწმენა ჰქონდეს, თქვენი გმირი ყველასათვის მაგალითი ვერ იქნება.“ ამაზე ისევ და ისევ გიპასუხებთ: დიახ, ჩემს გმირს სწამდა, სწამდა გულწრფელად და ურყევად, მე კი მაინც არა გთხოვთ მისი გულისათვის პატიებას.

იცით რა: ჯერ კიდევ ზემოთ მოგახსენეთ (შეიძლება ცოტა ავჩქარდი კიდეც), რომ ჩემი გმირის გამართლებას, მის გამო რაიმე ახსნა-განმარტებების მოცემას და ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, მაგრამ ვხედავ, მაინც საჭიროა რაღაც-რაღაცებს ნათელი მოვფინო, შემდგომში მოთხრობის უკეთ გაგების თვალსაზრისით. აი, რას გეტყვით: აქ საქმე მარტო სასწაულში არ არის. მაშინ სასწაულის მოლოდინი ქარაფშუტული მოუთმენლობის ბრალი არ იყო. არც რაიმე მრწამსის ან აჩემებული იდეის უპირატესობის დასამტკიცებლად სჭირდებოდა მაშინ ალიოშას სასწაული - არა, ნამდვილად, არა! მისთვის ამ დროს მთავარი იყო პიროვნება. უპირველეს ყოვლისა, მას თვალწინ ედგა მხოლოდ და მხოლოდ მისი საყვარელი ბერის სახება, იმ წმინდანის ხატება, რომელსაც ეთაყვანებოდა და აღმერთებდა. მართლაცდა, ახალგაზრდა კაცის უმწიკვლო გულში დაფარული სიყვარული „ყველასა და ყველაფრისადმი“, მაშინ და შემდგომ, მთელი ერთი წლის განმავლობაში უპირატესად მიმართული იყო ამ ერთი პიროვნებისადმი, აწ გარდაცვლილი ბერისადმი. ეს არსება ისე დიდხანს წარმოადგენდა მისთვის უდავო იდეალს, რომ მისი მთელი ახალგაზრდული ძალა და მისწრაფება არ შეიძლება არ ყოფილიყო მიმართული მხოლოდ ამ იდეალისაკენ, ხანდახან „ყველასა და ყველაფრის“ დავიწყების ხარჯზე (მოგვიანებით ის იგონებდა, რომ იმ უბედურ დღეს სულ გადაავიწყდა თავისი ძმა დმიტრი, რომლის გამო შეშფოთებული იყო წინა დღეს, გადაავიწყდა, აგრეთვე, ილუშეჩკას მამისათვის ორასი მანეთის მიტანა, რისთვისაც ის გულმოდგინედ ემზადებოდა). და მაინც არა, სასწაულის ხილვა კი არ სურდა, არამედ „უზენაესი სამართლიანობისა“, რომელიც, მისი აზრით, დარღვეული იყო და ამიტომაც ასე მწარედ სტკიოდა გული. რა არის იმაში ცუდი, თუკი ალიოშასათვის მოსალოდნელმა „სამართლიანობამ“, საქმის ვითარების მიხედვით, იმ სასწაულის ფორმა მიიღო, რომელსაც ყველა მისი სათაყვანებელი მოძღვარის ცხედრისაგან დაუყოვნებლივ

ელოდა?! მონასტერში ხომ ყველა ასე ფიქრობდა და სასწაულის მოლოდინში იყვნენ, ისინიც კი, ვისი ჭკუა-გონების წინაშეც ქედს იხრიდა ალიოშა, მაგალითად მამა პაისი. ჰოდა, ალიოშასაც რაიმე ეჭვებით თავი რომ არ შეეწუხებინა, საკუთარ ოცნებებს ის ფორმა მისცა, როგორიც სხვებს გააჩნდათ. დიდი ხანია, უკვე ასე იყო - მონასტერში ცხოვრების ერთი წლის მანძილზე მას ჩვეულებად ექცა ასეთი მოლოდინი. მაგრამ მას სამართლიანობა სწყუროდა, სამართლიანობა და არა მხოლოდ სასწაული! და აი, ის, ვინც, მისი რწმენით, უნდა ამაღლებულიყო ყოველთა უზენაეს მთელ მსოფლიოში - სწორედ ის, მისთვის განკუთვნილი დიდების ნაცვლად, ასე დაემცრო და გაბიაბრუვდა! რისთვის? ვინ განსაჯა? ვის შეეძლო ასეთი მსჯავრის გამოტანა? - ამ კითხვების დაბადებამ უმალვე ტანჯვა მიაყენა მის ჯერ კიდევ შეურყვნელ და გამოუცდელ გულს. მას არ შეეძლო, შეურაცხყოფის გრძნობისა და გულისწყრომის გარეშე ემზირა, თუ როგორ იგდებდა მასხრად და აქილიკებდა უღირსი ბრბო წმინდანთა შორის უწმინდესს. დაე, ნურავითარი სასწაული ნუ მოხდებოდა, დაე, არც საკვირველი რამ გაცხადებულიყო და უმალვე არ გამართლებულიყო მოლოდინი. მაგრამ რა საჭირო იყო განსვენებულის ასე შერცხვენა, მისი გვამის ასეთი სწრაფი ხრწნა, მისი „ბუნების გამაფრთხილებელი გამოვლენა“, როგორც ამას გაიძახოდნენ ავყია მონაზვნები? რა საჭირო იყო ასეთი „მინიშნება“, რომელსაც ისინი მამა ფეროპონტთან ერთად აღნიშნავდნენ, და საერთოდ რატომ ჰგონიათ მათ, რომ უფლება აქვთ, ასეთი დასკვნები აკეთონ? სად არის განგება? რატომ არსად ჩანს მისი ხელი „ყველაზე საჭირო წუთში“ (ფიქრობდა ალიოშა), თავად ხომ არ მოინდომა დამორჩილებოდა ბუნების ბრმა, უტყვ და დაუნდობელ კანონებს?

აი, ამიტომ ჰქონდა ალიოშას იარებით დასერილი გული. ცხადია, ამის მიზეზი იყო, როგორც ადრე აღვნიშნე, მისთვის ყველაზე საყვარელი პიროვნება, ამჟამად „თავლაფდასხმული“ და „სახელგატეხილი“! დაე, ჩემი ჭაბუკის ეს დრტვინვა ქარაფშუტობად და უგუნურობად ჩათვალოთ (წინასწარ გეთანხმებით, შესაძლოა, ესეც ქარაფშუტობა ყოფილიყო), მაგრამ მაინც მესამედ გიმეორებთ: მე მოხარული ვარ, ჩემი ახალგაზრდა გმირი ასეთ წუთებში ასე უგუნურად რომ მოიქცა, რადგან ჭკვიან კაცს გონიერების დრო ყოველთვის დაუდგება ხოლმე, მაგრამ ასეთ განსაკუთრებულ წუთებში თუ ახალგაზრდა კაცს გულში სიყვარული არ აღმოაჩნდა, მაშინ როდისღა ჰპოვებს მას? არ შემიძლია, არაფერი ვთქვა მაშინ მომხდარი კიდევ ერთი მოვლენის შესახებ. მართალია, მან წუთიერად გაიელვა ალიოშას გონებაში იმ საბედისწერო და თავბრუდამხვევ წუთებში. ეს ახალი რამ, მის გონებაში გაელვებული რაღაც, ალიოშას მეხსიერებაში ჩაბეჭდილ რაღაცნაირად მტანჯველ შთაბეჭდილებას წარმოადგენდა, რომელიც ივანთან გუშინდელი საუბრის შემდეგ გაუჩნდა. და ეს მოხდა სწორედ ახლა. არა, მის ძირითად და სტიქიურ რწმენას არაფერი მოჰკლებია. ღმერთი თვისი კვლავ უყვარდა და ურყევად სწამდა, თუმცა მოულოდნელად საყვედური გამოთქვა მის მიმართ. როცა იგი ძმასთან გუშინდელ საუბარს იგონებდა, მის სულს რაღაც ბუნდოვანი, მტანჯველი და უსიამო შთაბეჭდილება აწუხებდა, რომელიც გარეთ გამოსვლას ლამობდა. როცა კარგად შებინდდა, სავანიდან მონასტერისაკენ მიმავალმა რაკიტინმა ფიჭვნარში, ხის ძირას პირქვე დამხობილი ალიოშა შენიშნა. იგი გაუნძრევლად იწვა, თითქოს ეძინა. რაკიტინი ახლოს მივიდა და შეეხმიანა.

- შენ აქ ხარ, ალექსეი? ეს შენა ხარ... - თქვა გაკვირვებულმა რაკიტინმა და აღარ გააგრძელა. უნდოდა ეთქვა: „ნუთუ აქამდე მიხვედიო?“ ალიოშას მისთვის არ შეუხედავს, მაგრამ მისი რაღაცნაირი შეტოკებით რაკიტინი მიხვდა, რომ ალიოშას მისი ესმოდა.

- რა გჭირს? - კვლავ გაკვირვებით ჰკითხა რაკიტინმა, მაგრამ ეს გაკვირვება მალე ღიმილში გადაეზარდა, რომელიც თანდათან, უფრო და უფრო დამცინავ გამომეტყველებად იქცა.

- მისმინე, უკვე ორი საათია, დაგეძებ. ასე მოულოდნელად სად გაქრი? ეს რა სისულელეები გემართება? შემომხედე მაინც...

ალიოშამ თავი ასწია, წამოჯდა და ზურგით ხეს მიეყრდნო. არ ტიროდა, მაგრამ სახე გატანჯული ჰქონდა, გამოხედვა გაგულისებული, თანაც რაკიტინს კი არ შესცქეროდა, არამედ სადღაც გვერდზე იყურებოდა.

- შენ ძალიან შეიცვალე. ცნობილი სიმშვიდის ნიშანწყალიც აღარ გადევს. ვინ გაგაბრაზა? გაწყენინა ვინმემ?

- დაიკარგე აქედან! - თქვა ალიოშამ და ხელი ჩაიქნია ისე, რომ რაკიტინისათვის არც შეუხედავს.

- აჰა, აი, თურმე როგორები ვართ! როგორც უბრალო მოკვდავები, ისე ვღრიალებთ. ასეთი რამ ანგელოზს არ შეჰფერის! კარგი, ალიოშა, გეყოფა, ნამდვილად გამაკვირვე, გულახდილად გეუბნები. დიდი ხანია, არაფერი გამკვირვებია. მე შენ განათლებულ კაცად გთვლიდი...

ალიოშამ როგორც იქნა შეხედა, თუმცა რაღაცნაირად დაბნეულად, თითქოს კარგად არც ესმოდა, რას ეუბნებოდა.

- ნუთუ იმიტომა ხარ ცუდად, შენი მოხუცი რომ აყროლდა. ნუთუ მართლა გწამდა, სასწაული რომ მოხდებოდა? - შეჰყვირა რაკიტინმა, ისევ გულწრფელად გაკვირვებულმა.

- მწამდა, მწამს და მომავალშიც ვიწამებ, რა შენი საქმეა! - იყვირა გაბრაზებულმა ალიოშამ.

- არაფერი, ძვირფასო. ეშმაკმა დაგლახვროს; ასეთი რამ ახლა ცამეტი წლის მოსწავლესაც აღარ სჯერა. თუმცა ეშმაკმა... შენ ახლა ღმერთზე ხარ განაწყენებული, იქნებ აუჯანყდი: სათანადოდ არ დააფასაო, რატომ ორდენი არ ჩამოჰკიდაო! ვაი, თქვენს პატრონს!

ალიოშა თვალებმოჭუტული შესცქეროდა რაკიტინს. მის თვალებში რაღაცამ იელვა... მაგრამ არა რაკიტინის მიმართ ბრაზმა.

- მე ჩემი ღმერთის წინააღმდეგ არ ავჯანყებულვარ, მე მხოლოდ „მის სამყაროს ვერ ვიღებ“, - ცალყბად ჩაიცინა ალიოშამ.

- როგორ თუ ვერ იღებ მის სამყაროს? - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ჰკითხა რაკიტინმა, - რას მიედ-მოედები?

ალიოშამ არ უპასუხა.

- კარგი, შევეშვათ ამას, ახლა ის მითხარი: დღეს რამე ჭამე?

- არ მახსოვს, მგონი, ვჭამე.

- სახეზე გატყობ, ჭამა არ გაწყენდა. გული მიკვდება, რომ გიყურებ. შენ, მგონი, ღამეც არ გეძინა, მითხრეს, იქ რაღაცას ბჭობდნენო. ახლა კიდევ ეს გაწამაწია... ალბათ მთელი დღე ერთ ანტიდორზე[96] ხარ... ქალაქიდან რომ წამოვედი, ყოველი შემთხვევისათვის, ძეხვი წამოვიღე, აგერ ჯიბეში მიდევს. შენ მგონი ძეხვს არ მიირთმევ...

- მომეცი ძეხვი.

- ოჰო, აი, თურმე რაშია საქმე! მაშასადამე, ბუნტი, ბარიკადები! ამ საქმის აღუნიშნაობა არ შეიძლება. წამოდი ჩემთან. ახლა სიამოვნებით გადავკრავდი არაყს, ძალიან დავიღალე. არაყზე რას იტყოდი... ხომ არ დალევ?

- დავლევ!

- შენ მგონი არ ხუმრობ! - თქვა გაკვირვებულმა რაკიტინმა. - ასეა თუ ისეა, ძეხვი იქნება თუ არაყი, ეს კარგი საქმეა და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება, წავიდეთ!

ალიოშა უხმოდ ადგა და რაკიტინს გაჰყვა.

- ნეტა შენს ძამიკოს, ვანეჩკას ანახა ახლა შენი თავი, სახტად დარჩებოდა! ისე, სხვათაშორის, ივანი დღეს მოსკოვში გაემგზავრა; იცოდი ეს ამბავი?

- ვიცოდი, - გულგრილად უპასუხა ალიოშამ და ანაზდად, მხოლოდ წუთიერად წარმოუდგა დმიტრის სახება და გაახსენდა რაღაც, რაღაც სასწრაფო საქმე, რომლის გადადებაც ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა, რაღაც მოვალეობა, საშინელი ვალდებულება, თუმცა ამ გახსენებას მასზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, გულამდე არ მიუტანია, იმ წუთშივე გადაუვარდა თავიდან და გადაავიწყდა. მაგრამ ამ ამბავს შემდგომში დადხანს იგონებდა ალიოშა.

- შენმა ძმამ, ივანმა, ერთხელ ჩემზე თქვა, რომ მე „უნიჭო ლიბერალი ვარ“. ერთხელ შენც ვერ შეიკავე თავი და მიმახვედრე, რომ „უსინდისო“ ვარ... არა უშავს! ვნახავ აწი თქვენს პატიოსნებასა და ნიჭიერებას (ეს უკვე თავისთვის ჩურჩულით დასძინა რაკიტინმა). ფუი, მისმინე! - ისევ ხმამაღლა ალაპარაკდა რაკიტინი, - მონასტერში ნუ გავივლით, ბილიკით წავიდეთ პირდაპირ ქალაქში. ჰმ! მე ხოხლაკოვასთან ვარ მისასვლელი. აზრზე ხარ: წერილით შევატყობინე, რაც აქ მოხდა, მან კი მყისვე მომწერა პასუხი, ფანქრით წერს ხოლმე (ამ ქალბატონს ბარათები ძალიან უყვარს), მომწერა, რომ „არაფრით არ მოელოდა ისეთი

ღირსეული მოხუცისაგან, როგორიც მამა ზოსიმა იყო, ასეთ საქციელს!“ სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა: „ასეთ საქციელსო!“ ისიც განაწყენებულია; თქვენცა ხართ რა! მოიცა! - უცებ ისევ იყვირა მან. შეჩერდა და ალიოშას მხარზე დაადო ხელი. ალიოშაც გააჩერა.

- იცი რა, ალიოშკა, - გამომცდელი თვალით შეხედა რაკიტინმა სახეში. იგი ერთიანად თავისი იმ ახალი იდეის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც უცებ მოუვიდა თავში. თუმცა რაკიტინი იღიმებოდა, ხმამაღლა თავისი ახალი მოულოდნელი იდეის თქმა ეშინოდა, იმდენად არ სჯეროდა ალიოშას ასეთი უცნაური და მოულოდნელი განწყობილება, - ალიოშა, იცი ახლა სად წავიდეთ? - როგორც იქნა, ფრთხილად და ლაქუცით თქვა მან.

- ჩემთვის სულერთია... სადაც გინდა...

- მოდი გრუშენკასთან წავიდეთ, ჰა? წავიდეთ? - როგორც იქნა, ამოღერღა შიშისაგან აკანკალებულმა რაკიტინმა.

- წავიდეთ, - მშვიდად უპასუხა ალიოშამ. რაკიტინისათვის ეს ისე მოულოდნელი იყო, სიხარულისაგან კინაღამ შეხტა.

- ნუთუ მართლა? - იყვირა გაკვირვებულმა, ალიოშას მაგრად ჩასჭიდა ხელი და სასწრაფოდ გადაიყვანა ბილიკზე. კიდევ ეშინოდა, ალიოშას უარი არ ეთქვა. ჩუმად მიჰყვებოდნენ ბილიკს. რაკიტინს კრინტის დაძვრისაც ეშინოდა.

- როგორი მოხარული იქნება, ძალიან გაეხარდება... - ჩაიბურტყუნა მან და ისევ დადუმდა. არა, გრუშენკას გასახარებლად კი არ მიჰყავდა ალიოშა, სულაც არა. იგი სერიოზული კაცი იყო და არასოდეს ისე არაფერს აკეთებდა, თუ სარგებელს არ ნახავდა. ახლა მას ორნაირი მიზეზი ჰქონდა: პირველი - შურისმაძიებლური, ე.ი. „წმინდანის შერცხვენა“, ალიოშას სავარაუდო „დაცემა წმინდანიდან ცოდვილამდე“, ამით ის წინასწარ ტკბებოდა. მეორე მიზეზი მატერიალური სარგებელი იყო, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

„ე.ი. ამასაც მოვესწარი, - ფიქრობდა თავისთვის ღვარძლიანი ღიმილით, - ახლა ამ წუთით უნდა ვისარგებლო, ჩემთვის ეს ყველაზე სასარგებლო წუთია“.

III თავი ხახვი

გრუშენკა ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, ტაძრის მოედანზე, ვაჭარ მოროზოვის ქვრივის ეზოში მდგარ ხის პატარა ფლიგელს ქირაობდა. თავად დიასახლისი, მოხუცებული ქვრივი და მისი ორი ხანშიშესული შინაბერა ძმისშვილი საკმაოდ ძველ და შესახედავად ცუდ, დიდ ორსართულიან ქვიტკირის სახლში ცხოვრობდნენ. ქვრივისთვის ფლიგელის გაქირავება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ყველამ იცოდა, რომ ეს ფლიგელი ქვრივმა ამ ოთხი წლის წინ მიაქირავა გრუშენკას თავისი ნათესავის, გრუშენკას მფარველის, ყველასათვის

ცნობილი ვაჭარ სამსონოვის თხოვნით. ამბობდნენ, ეჭვიანი მოხუცი, როდესაც თავის „ფავორიტს“ მოროზოვას სახლში აბინავებდა, თავისი ნათესავის ფხიზელი თვალის იმედი ჰქონდა, რომ დიასახლისი კარგად უთვალთვალებდა მდგმურს. მაგრამ მალე დიასახლისის ფხიზელი თვალი სამსონოვს აღარ დასჭირვებია. საქმე ის გახლდათ, რომ სამსონოვი გრუშენკას იშვიათად ხვდებოდა, უკანასკნელ ხანებში კი, თავისი ზედამხედველობით საერთოდ არ აბეზრებდა თავს. უკვე ოთხი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მოხუცმა ერთ-ერთი საგუბერნიო ქალაქიდან ჩამოიყვანა თვრამეტი წლის გამხდარ-გამხდარი, მორიდებული, ნაზი, ფიქრმორეული და ნაღვლიანი გოგონა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გოგონას შესახებ ქალაქში ბევრი არა იცოდნენ რა. ვერც ბოლო ხანებში გაიგეს რამე და ვერც ახლა, როცა ყველა დაინტერესდა ამ „მზეთუნახავით“, რადაც აგრაფინა ალექსანდროვნა ამ ოთხი წლის განმავლობაში გადაიქცა. ხმები დადიოდა, თურმე ჩვიდმეტი წლის ასაკში გოგონა ვიღაც ოფიცერს შეუცდენია, შემდეგ მიუტოვებია და სხვაზე დაქორწინებულაო. ასე დარჩენილა გრუშენკა შერცხვენილი და თავლაფდასხმული. იმასაც ამბობდნენ, რომ, მართალია, გრუშენკა სამსონოვმა სიღატაკისგან იხსნა, მაგრამ ის წარმოშობით პატიოსანი, სასულიერო წოდების ოჯახიდანაა. მამამისი შტატგარეშე დიაკონი თუ რაღაც ამდაგვარი ყოფილა. ასე და ამგვარად, მგრძნობიარე, განაწყენებული და საცოდავი ობლისაგან გრუშენკა გათქვირულ რუს ლამაზმანად გადაიქცა, შეუპოვარი ხასიათის, თამამ, ამაყ და თავხედ ქალად, ფულის ყადრის მცოდნე, მომხვეჭელ, ძუნწ და ფრთხილ არსებად, რომელმაც უკვე ყველანაირი გზით შეძლო კარგა ძალი კაპიტალის მოქუჩება. ერთ ამბავში არავის ეჭვი არ ეპარებოდა: გრუშენკა ადვილი დასაუფლებელი არაა და გარდა მოხუცი ვაჭრისა, მისი მფარველი მყავს მხედველობაში, მისთვის არც ერთი კაცი არ არსებობდა. მხოლოდ მას შეეძლო დაეტრაბახა იმ ოთხი წლის განმავლობაში მისი კეთილგანწყობით. თავად ეს ფაქტი იმით იყო საინტერესო, რომ კეთილგანწყობის მოპოვება ბევრმა მსურველმა დააპირა, განსაკუთრებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ყველას მცდელობა ჩაეშალა, ზოგიერთს კი უკან დახევა მოუწია კომიკურ და სასაცილო სიტუაციაში ჩავარდნილს, გრუშენკასათვის დამახასიათებელი დამცინავი მოგერიების წყალობით. ისიც იცოდნენ, ახალგაზრდა ქალმა უკანასკნელ ხანებში ფინანსურ სპეკულაციას მიჰყო ხელი და ამ მხრივ ისეთი მარიფათი გამოიჩინა, რომ პირწავარდნილი ურია უწოდეს. არა მარტო მევახშეობდა, არამედ ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვთან ერთად თამასუქებს მუქთად ყიდულობდა, მანეთიანში ორშაურს აძლევდა და შემდეგ ამ თამასუქთაგან ზოგიერთი ორშაურზე მანეთს იგებდა. ქვრივი ვაჭარი სამსონოვი უკანასკნელ ხანებში დაავადდა, ქვედა კიდურები ისე გაუსივდა, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდა. ეს ასიათასობით მანეთის ქონების პატრონი, თავისი მოზრდილი შვილების ტირანი, წუწურაქი და ულმობელი ადამიანი თავისი პროტეჟეს, გრუშენკას ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოყვა, თუმცა ადრე გრუშენკა შავ დღეში ჰყავდა, სულს ხდიდა და ამარხულებდა, როგორც ამაზე ენაჭარტალები ჭორაობდნენ. მაგრამ გრუშენკამ მოახერხა ემანსიპირება, შეძლო ვაჭრის ნდობის მოპოვება და დაარწმუნა, რომ მისი ერთგულია. ამ დიდ საქმოსან მოხუცს (ახლა უკვე კარგა ხნის მკვდარია) ხასიათი განსაკუთრებული ჰქონდა, დიდი კრიჟანგი და ვირივით ჯიუტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცს გრუშენკას გარეშე ყოფნა არ შეეძლო (განსაკუთრებით

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში) მისთვის არა თუ დიდი, მნიშვნელოვანი კაპიტალიც კი არ გამოუყვია. გრუშენკა რომც დამუქრებოდა, შენთან ფეხს აღარ მოვადგამო, მაინც ურყევი დარჩებოდა. ისე კი ცოტა ფული დაუტოვა, ხალხი ამანაც ძალზე გააკვირვა. „შენ თავად საზრიანი დედაკაცი ხარ, - უთხრა მან გრუშენკას, როცა მისთვის რვა ათასის გამოყოფა შეატყობინა, - თავად გააბევრებ, მაგრამ გახსოვდეს, გარდა ყოველწლიური რჩენისა, როგორც ადრე იყო, ჩემს სიკვდილამდე მეტს არაფერს მიიღებ. ისიც იცოდე, ანდერძში არსად მოგიხსენიებო“. როგორც თქვა, ისე გააკეთა, შეასრულა სიტყვა: მოკვდა და მთელი თავისი ქონება შვილებს დაუტოვა, რომლებსაც, დედაწულიანად, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, როგორც მსახურებს, ისე ექცეოდა. გრუშენკა ანდერძში, როგორც დაჰპირდა, არ მოუხსენიებია. ეს ყველაფერი მოგვიანებით გაირკვა. ისე კი, რჩევებს გრუშენკას, იცოცხლე, ბევრს აძლევდა: როგორ და სად დაებანდებინა თავისი კაპიტალი, ან ესა თუ ის საქმე „როგორ მოეკვარახჭინებინა“. ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვი შემთხვევით, ერთი საფინანსო-სპეკულაციური საქმის გამო დაუკავშირდა გრუშენკას პირველად და მოულოდნელად ამ ურთიერთობის შედეგად ქალი ისე შეუყვარდა, რომ ლამის ჭკუას დაკარგა. ეს რომ გაიგო უკვე ლოგინად ჩავარდნილმა ვაჭარმა სამსონოვმა, გემრიელად ჩაეცინა. ისიც აღსანიშნავია, გრუშენკა ბებერს მთელი მათი ნაცნობობის განმავლობაში არაფერს უმალავდა, ალბათ ამქვეყნად მხოლოდ ამ ერთადერთ ადამიანთან იყო გულახდილი. როდესაც უკანასკნელ ხანებში გრუშენკას ცხოვრებაში დმიტრი გამოჩნდა, მოხუცს აღარ ეცინებოდა. პირიქით, გრუშენკას სერიოზულად და მკაცრად უთხრა: „თუ მამასა და შვილს შორის არჩევანი გაქვს, მაშინ მამა ამჯობინე, მაგრამ აიძულე ეგ ბებერი ნაძირალა, რომ ცოლად შეგირთოს და წინასწარ გამოგიყოს გარკვეული კაპიტალი. კაპიტანს კი შეეშვი, მისგან ხეირი არ იქნება“. აი, ასეთი სიტყვებით დაარიგა გრუშენკა ბებერმა ავხორცმა, რომელიც უკვე მოახლოებულ სიკვდილს გრძნობდა. მართლაც, ხუთი თვის შემდეგ სამსონოვმა სული განუტევა. ისიც მინდა დავუმატო, რომ ქალაქში გრუშენკას გამო მამასა და შვილს შორის ამ მახინჯი მეტოქეობის ამბავი ბევრისათვის ცნობილი იყო, მაგრამ მათდამი გრუშენკას დამოკიდებულების შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცოდა. გრუშენკას მოსამსახურეებმა (უკვე მომხდარი კატასტროფის შემდეგ, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) სასამართლოზე განაცხადეს, რომ გრუშენკას ძალიან ეშინოდა დმიტრისი, რადგან თურმე „ემუქრებოდა - მოგკლავო“ და ამიტომ იღებდა შინ. გრუშენკას ორი მოსამსახურე ჰყავდა: ერთი ავადმყოფი და გადაყრუებული, ბებერი მზარეული ქალი და მისი ოცი წლის ყოჩაღი შვილიშვილი - გრუშენკას მოახლე. ისინი გრუშენკამ მშობლების სახლიდან წამოიყვანა. ხელმომჭირნედ ცხოვრებდა, ბინაში მდიდრული არაფერი იდგა. ფლიგელი სამი ოთახისაგან შედგებოდა. ოთახები სახლის პატრონის მიერ დიდი ხნის წინათ იყო გაწყობილი ოციანი წლების სტილის წითელი ხის ავეჯით. უკვე კარგა შებინდებული იქნებოდა, როცა რაკიტინი და ალიოშა მასთან შევიდნენ, მაგრამ ოთახებში სინათლე ჯერ კიდევ არ ენთო. გრუშენკა მისაღებ ოთახში, დიდ და მოუხერხებულ, წითელი ხის, ტყავგადაკრულ ზურგიან დივანზე იწვა. დივანზე ტყავი უკვე კარგა გაცვეთილი ჩანდა და ალაგ-ალაგ ნახვრეტებიც კი ჰქონდა. გულაღმა, გაუნძრევლად გაშოტილ გრუშენკას ორივე ხელი თავქვეშ ამოედო. სასთუმლად ორი ბუმბულის ბალიში ედო. ტანთ აბრეშუმის შავი კაბა ეცვა და

თმებში ჩამაგრებული მაქმანიანი მანდილი ძალიან უხდებოდა. მხრებზე მოგდებული მაქმანიანი მოსახვევი წინ მასიური ოქროს გულსაბნევით ჰქონდა დაბნეული. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა, იწვა გაფითრებული და თვალებანთებული და მარჯვენა ფეხის წვერს მოუთმენლად უკაკუნებდა დივნის სახელურს. რაკიტინის და ალიოშას შესვლისთანავე ოთახში ხმაური ატყდა: მათ წინკარში გაიგონეს, როგორ მარდად წამოხტა გრუშენკა და შეშინებულმა იყვირა: „ვინ არის?“ სტუმრებს ახალგაზრდა მოახლე შეეგება და თავის ქალბატონს გამოსძახა:

- ის არ არის, სხვები არიან, ნუ გეშინიათ.

„რა მოუვიდა ნეტა?“ - ჩაიბურტყუნა რაკიტინმა, ალიოშას ხელი წაავლო და ოთახში შევიდნენ. გრუშენკა დივანთან იდგა. ისევ შეშინებული ჩანდა. ანაზდად სარჭით დამაგრებული მუქი ქერა ნაწნავი მარჯვენა მხარზე ჩამოუვარდა, მაგრამ ეს ვერ შენიშნა და მანამ არ გაუსწორებია, სანამ სტუმრები კარგად არ დაათვალიერა და არ იცნო.

- ოხ, ეს შენა ხარ რაკიტკა? მაგრად შემაშინე, ვინ გახლავს? ვინ არის? ღმერთო ჩემო, ამას ვის ვხედავ! - იყვირა მან და ალიოშა შეათვალიერა.

- უბრძანე, სანთლები მოიტანონ! - ისე თამამად თქვა რაკიტინმა, თითქოს ამ ოჯახისათვის ისეთი ახლობელი იყო, რომ განკარგულებების გაცემის უფლება ჰქონდა.

- სანთლები... რასაკვირველია, სანთლები... ფენია, მოიტანე ახლავე სანთლები... შენც ნახე რა დრო ამის მოყვანისა! - შესძახა ქალმა, სარკისაკენ მიბრუნდა და ორივე ხელით თმის სწორება დაიწყო. აშკარად უკმაყოფილო ჩანდა.

- ვერ გაამე? - უთხრა განაწყენებულმა რაკიტინმა.

- შემაშინე, რაკიტკა, - თქვა გრუშენკამ და გაღიმებული ალიოშასაკენ მიბრუნდა, - ნუ გეშინია ჩემი, ძვირფასო ალიოშა, ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, ჩემო მოულოდნელო სტუმარო. შენ კი, რაკიტკა, შემაშინე, მეგონა, მიტკა შემომივარდა. იცი რა, მე ის გუშინ მოვატყუე. პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვი, ჩემთვის რომ დაეჯერებინა, მე კი მოვატყუე, ვუთხარი, ამ საღამოს ჩემს ბებერთან, კუზმა კუზმიჩთან უნდა წავიდე და გვიან ღამემდე ფული უნდა ვთვალოთ-მეთქი. მე ხომ ყოველ კვირა დავდივარ მასთან, მთელი საღამო ვრჩები, ანგარიშებს ვაჯამებთ ხოლმე. ოთახში ჩავიკეტებით, ის საანგარიშოს აჩხაკუნებს, მე კი რვეულში ვწერ - მხოლოდ მე მენდობა. მიტიამ დამიჯერა, მე კი სახლში ჩავიკეტე და ერთ შეტყობინებას ველოდები. ფენიამ როგორ შემოგიშვათ! ფენია, ფენია! ერთი გარეთ გაირბინე და მიიხედ-მოიხედე, სადმე კაპიტანი არ იყოს დამალული და არ გვითვალთვალებდეს, ძალიან მეშინია!

- არავინ არ არის, აგრაფინა ალექსანდროვნა, ამ წუთში დავათვალიერე, ვიჭვრიტები ხოლმე ხშირ-ხშირად, თავად შიშისაგან სული მძვრება.

- ფენია, დარაბები ხომ დახურულია? ფარდა ჩამოაფარე - აი ასე! - მან თვითონ ჩამოაფარა ფარდები, - სინათლეს დაინახავს და შემოვა. შენი ძმის, მიტიასი მეშინია, ალიოშა, - გრუშენკა ხმამაღლა ლაპარაკობდა, თუმცა შეშინებული, მაგრამ თითქოს რაღაცნაირად აღფრთოვანებული.

- დღეს რატომ გეშინია ასე მიტკასი? - დაინტერესდა რაკიტინი, - მე მეგონა, არ გეშინოდა და შენს ჭკუაზე ატარებდი.

- გითხარი, ერთ ცნობას ველი, ძვირფას ცნობას, ამიტომ მიტენკა არ მჭირდება ახლა. გარდა ამისა, გუმანით ვგრძნობ, არ დამიჯერა, კუზმა კუზმიჩთან რომ მივდიოდი. ახლა ალბათ ფიოდორ პავლოვიჩის სახლის უკან, მეზობლის ეზოში ზის და მიცდის. თუ იქ იცდის, კარგია, მაშასადამე აქ აღარ მოვა! კუზმა კუზმიჩთან ერთი წუთით შევირბინე, მიტიამ გამაცილა. მე ვუთხარი, იქ შუაღამემდე დავრჩები და გასაცილებლად აუცილებლად მოდი-მეთქი. ათი წუთი ვიჯექი მოხუცთან და შემდეგ შინ დავბრუნდი. ძალიან მეშინოდა, მთელი გზა მოვრბოდი, არსად შემხვდეს-მეთქი.

- რისთვის გამოიპრანჭე აგრერიგად, სად მიბრძანდები? ეს რა საინტერესო რამ გახურავს თავზე?

- შენ თავად საინტეროსო კაცი ხარ, რაკიტინ! გეუბნები, ცნობას ველი-მეთქი. მოვა ცნობა, წამოვხტები და გავფრინდები. იმისთვისა ვარ გამოწყობილი, რომ მზად ვიყო.

- სად გაფრინდები?

- ბევრის ცოდნა ადრე დაგაბერებს.

- ხედავ, როგორაა გახარებული... ასეთი არასოდეს მინახიხარ. ისე გამოპრანჭულა, თითქოს მეჯლისზე მიბრძანდებოდეს, - ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა რაკიტინი.

- შენ ვითომ ბევრი გესმის მეჯლისების.

- შენ კი იცი რამე?

- მე თვალით მაინც მინახავს მეჯლისი. სამი წლის წინ, როცა კუზმა კუზმიჩმა ვაჟი დააქორწინა, მაშინ ვნახე. ნეტა შენ რას გელაპარაკები, როცა აქ ასეთი თავადიშვილი მიდგას. ეს რა სტუმარი მყავს! ალიოშა, ძვირფასო, გიყურებ და თვალებს არ ვუჯერებ; როგორ მოხდა, ჩემთან რომ მოხვედი! მართალი გითხრა, არ გელოდი, არც მიფიქრია, ოდესმე რომ ჩემთან მოხვიდოდი. თუმცა ახლა შენთვის არ მცალია, მაგრამ მაინც ძალიან მოხარული ვარ! დივანზე დაბრძანდი, აი აქ, ასე, ჩემო თვალისჩინო! მართალი გითხრა, ჯერ გონს ვერ მოვსულვარ... ეჰ, რაკიტკა, შენ რომ ეს გუშინ ან სამი დღის წინ მოგეყვანა!... არა უშავს, ისედაც მოხარული ვარ. შეიძლება ახლა სჯობდეს, ასეთ წუთებში...

ის მკვირცხლად მიუჯდა ალიოშას გვერდით, დივანზე და აღფრთოვანებული

შეაცქერდა. მართლა გახარებული ჩანდა, არ ცრუობდა, როცა ამას ამბობდა. თვალები უბრწყინავდა, სახე კეთილად უღიმოდა და მხიარულად კისკისებდა. ალიოშას ვერც წარმოედგინა, რომ ასეთი კეთილი სახე შეიძლებოდა ჰქონოდა გრუშენკას... გუშინდლამდე იშვიათად ხვდებოდა გრუშენკას და მასზე საშინელი წარმოდგენა ჰქონდა. გუშინაც ისე შეაშფოთა მისმა ბოროტმა და ვერაგულმა საქციელმა კატერინა ივანოვნას წინააღმდეგ, რომ ახლა ერთობ გაკვირვებული დარჩა, როცა მასში დაინახა სულ სხვა, მოულოდნელი არსება. მიუხედავად დიდი მწუხარებისა, ალიოშამ გრუშენკას მზერა ყურადღებით მიაპყრო. ქალის მანერები გუშინდელთან შედარებით მკვეთრად იყო შეცვლილი უკეთესობისაკენ: დათაფლული ენით თითქმის აღარ ლაპარაკობდა, აღარ იპრანჭებოდა და მანერულად აღარ მოძრაობდა... ყველაფერი უბრალო და ხალასი ჰქონდა, მოძრაობა სწრაფი, პირდაპირი და მიმნდობი, მაგრამ ჩანდა, რომ ძალიან აღგზნებული იყო.

- ღმერთო ჩემო, რა ყველაფერი დღეს უნდა ამიხდეს, - აჭიკჭიკდა ისევ გრუშენკა, - ნეტა რატომ მიხარია ასე შენი ნახვა, ალიოშა, თავადაც არ ვიცი. მკითხე, მაინც ვერ გიპასუხებ.

- ვითომ არ იცი, რა გიხარია? - ჩაიცინა რაკიტინმა, - შენ არ იყავი, რომ შემომიჩნდი: მომიყვანე, მომიყვანეო, ალბათ რაღაც მიზანი გქონდა.

- ადრე სხვა რამ მინდოდა, ახლა კი სხვა დროა. მოდი, ახლა გაგიმასპინძლდებით. დღეს კეთილი ვარ, რაკიტკა. შენც დაჯექი, რაკიტკა, რას დაყუდებულხარ? თუ უკვე დაჯექი? რაკიტუშკას თავი არასოდეს ავიწყდება. აი, ახლა ზის და კაკალს ამტვრევს: რატომ შენზე ადრე არ ვუთხარი, დაჯექი-მეთქი. ძალიან ბუტია ვინმე გვყავს ეს რაკიტკა, ძალიან ბუტია ვინმეა! - გაიცინა გრუშენკამ, - ნუ ბრაზობ, რაკიტკა, გითხარი, დღეს მე კეთილი ვარ-მეთქი. რატომ მოიწყინე, ალიოშა, ჩემი ხომ არ გეშინია? - გადაიკისკისა გრუშენკამ და ალიოშას თვალებში ჩახედა.

- დამწუხრებულია კაცი, იმედი გაუცრუვდა, - თქვა ბოხი ხმით რაკიტინმა.

- რა იმედი?

- მისი ბერი აყროლდა.

- როგორ თუ აყროლდა? რას როშავ, რაღაც საზიზღრობა გინდა თქვა. ხმა ჩაიწყვიტე, რეგვენო. ნებას დამრთავ, ალიოშა, შენს მუხლებზე რომ დავჯდე, აი ასე! - ანაზდად ქალი წამოხტა და სიცილ-კისკისით, კატასავით მუხლებში ჩაუგორდა ალიოშას, თან მარჯვენა ხელი კისერზე მოხვია, - უნდა გაგამხიარულო, ჩემო ღვთისმოსავო ბიჭუნა! ნუთუ მართლა მომცემ უფლებას, შენს მუხლებზე ვიჯდე, არ გწყინს? მიბრძანე და გადმოვხტები.

ალიოშა დუმდა. იჯდა და განძრევის ეშინოდა. ესმოდა მისი სიტყვები: „მიბრძანე და გადმოვხტებიო“, მაგრამ არ პასუხობდა, გატრუნული იჯდა. მაგრამ მასში ის არ ხდებოდა, რასაც რაკიტინი ელოდა, რომელიც გაფაციცებით უთვალთვალებდა. დიდმა მწუხარებამ ალიოშას ყველა შეგრძნება დაუხშო,

რომელიც ასეთ წუთებში უნდა აღძროდა. მიხვდა, ახლა ყოველივე ცდუნების მიმართ შეუვალი ჯავშნით რომ იყო დაფარული. მიუხედავად ამოუხსნელი და შეუცნობელი სულიერი მდგომარეობისა და დამთრგუნველი მწუხარებისა, ალიოშა გაკვირვებული იყო მის გულში აღძრული ერთი ახალი და უცნაური შეგრძნებისაგან: ეს ქალი, ეს „საშინელი“ ქალი, არათუ აღარ აშინებდა, როგორც ადრე შეიპყრობდა ხოლმე შიში ქალზე ნებისმიერი ოცნების დროს, თუკი ასეთი რამ გაიელვებდა მის გულში, პირიქით, ეს ქალი, რომლისაც ადრე ყველაზე მეტად ეშინოდა, ახლა მუხლებზე ეჯდა, ეხვეოდა და მასში აღძრავდა რაღაც სულ სხვა, მოულოდნელ და განსაკუთრებულ გრძნობას, მისდამი უჩვეულო, დიდებულ და გულწრფელ ცნობისმოყვარეობას და ეს ხდებოდა ყოველგვარი ადრინდელი შიშის გარეშე - ეს იყო მთავარი, რაც უნებურად აკვირვებდა მას.

- გეყოფა ლაზღანდარობა, - იყვირა რაკიტინმა, - სჯობს, შამპანური მოიტანო, ვალი გაქვს, თავად მოგეხსენება!

- მართალია, ვალი მაქვს. მე ხომ ამას, ალიოშა, შამპანურს დავპირდი, თუ შენ ჩემთან მოგიყვანდა. მოიტა შამპანური, მეც დავლევ! ფენია, ფენია, მოგვართვი შამპანური, ის ბოთლი მოიტანე, მიტიამ რომ დატოვა, სასწრაფოდ მოგვიტანე. მართალია, ძუნწი ვარ, შამპანურს მაინც მოგართმევთ, მაგრამ შენ კი არა, რაკიტკა, შენ ნაძირალა ხარ, აი, ამ თავადს! მართალია, ახლა ამის ხასიათზე არ ვარ, რაც იქნება, იქნება, მეც დავლევ თქვენთან ერთად, არევა მომინდა.

- რა ხდება ამისთანა, რა ცნობას ელოდები ისეთს, თუ საიდუმლო არ არის, თქვი? - კვლავ გაუმეორა კითხვა დაინტერესებულმა რაკიტინმა, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, ყურადღება არ მიექცია გრუშენკას გაუთავებელი კბენისათვის.

- ეჰ, რა საიდუმლოა, შენ თავადაც კარგად იცი, - ანაზდად ჩაილაპარაკა დამწუხრებულმა გრუშენკამ, რაკიტინისაკენ გადმოიხარა, თუმცა ალიოშას მუხლებზე იჯდა და ხელიც კვლავ ალიოშას კისერზე ჰქონდა მოხვეული, - ოფიცერი ჩამოდის, რაკიტინ, ჩემი ოფიცერი!

- გაგებული მაქვს, რომ ჩამოდის, მაგრამ ასე მალე?

- ამჟამად მოკროეშია, იქიდან ესტაფეტას გამოგზავნის, ასე მომწერა, გუშინ მივიღე წერილი. ახლა ვზივარ და ესტაფეტას ველი.

- უყურე შენ! მაგრამ მოკროეში რა უნდა?

- ბევრი სალაპარაკოა, ესეც გეყოფა, რაც გითხარი.

- მერე მიტენკა, ვაი შენს დღეს! მან იცის თუ არა?

- რა უნდა იცოდეს! არაფერი არ იცის! რომ გაიგოს, მომკლავს. მაგრამ ახლა მისი არ მეშინია, არც მისი დანის. გაჩუმდი, რაკიტკა, ნუ მახსენებ დმიტრის: მან ჩემი გული შეჭამა. არ მინდა ახლა ამაზე ფიქრი. აი, ალიოშაზე ფიქრი შემიძლია, ახლა ალიოშას ვუყურებ... გაიცინე, გენაცვალე. გამხიარულდი, ჩემს სისულელესა და ჩემს სიხარულზე იცინე... მე ხომ ვიღიმი, ხომ ვიღიმი! შეხე, როგორ ალერსიანად

მიყურებს. ალიოშა, იცი, მე ვფიქრობდი, შენ ჩემზე გაბრაზებული იყავი კატერინა
ივანოვნას გამო. ძაღლი ვიყავი მაშინ, ნამდვილი ძაღლი... მაგრამ მაინც კარგია,
ასე რომ მოხდა. რაც მაშინ მოხდა, კარგიც იყო და ცუდიც, -
მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა გრუშენკამ და რაღაც არასასიამოვნომ გაიელვა
მის სიცილში, - მიტია მომიყვა, თურმე გაშმაგებული კიოდა: „მათრახი, მათრახი
უნდა მაგასო!“ ძალიან გავამწარე მაშინ. დამპატიჟა, ჩემი დამარცხება უნდოდა,
თავისი შოკოლადით უნდოდა, მოვექრთამე... არა, კარგია, რომ ყველაფერი ასე
დამთავრდა, - კვლავ გაიცინა მან, - ახლა კი მეშინია, შენ არ გაგაბრაზო...

- მართლაც რომ ასეა, - თქვა სერიოზულად გაკვირებულმა რაკიტინმა. - ალიოშა,
მგონი მართლა ეშინია შენი, შენნაირი წიწილასი.

- ეს შენთვისაა წიწილა, რაკიტკა, იმიტომ რომ შენ სინდისი არა გაქვს, ასეა ეს! მე
კი ის სულითა და გულით მიყვარს! ხომ გჯერა ჩემი, ალიოშა, რომ გულითა და
სულით მიყვარხარ?

- ოხ, შე უსირცხვილო ქალო! ალექსეი, სიყვარულს გიხსნის!

- რა მოხდა მერე, მიყვარს!

- ოფიცერი? ძვირფასი ცნობა მოკროედან?

- ის სხვაა, ეს კი სულ სხვა.

- ესაა დედაკაცური ლოგიკა!

- ნუ მაბრაზებ, რაკიტკა, - გაცხარდა გრუშენკა, - ის სხვაა, ეს სხვა-მეთქი. ალიოშა
სხვანაირად მიყვარს. მართალია, ალიოშა, ადრე მქონდა ჩაფიქრებული ერთი
ეშმაკური აზრი შენ შესახებ. მე ხომ ზნედაცემული და გიჟი დედაკაცი ვარ. მაგრამ
არის წუთები, ალიოშა, როცა შენ, როგორც ჩემს სინდისს, ისე გიყურებ. სულ
ვფიქრობ ხოლმე: „ასეთ კაცს ალბათ როგორ უნდა ეჯავრებოდეს ჩემნაირი
დედაკაცი-მეთქი“. მესამე დღეა, ამაზე ვფიქრობ, კატერინადან წამოსვლის
შემდეგ. დიდი ხანია, ასე გიყურებ, მიტიასაც კი ვუთხარი. მიტიას ჩემი ესმის. გინდ
დაიჯერე, გინდ არა, ალიოშა, ხანდახან გიყურებ და მრცხვენია... როდის აქეთ
დავიწყე შენზე ფიქრი, არ ვიცი, არ მახსოვს...

ოთახში ფენია შემოვიდა და მაგიდაზე ლანგარი დადო. ლანგარზე შამპანურის
გახსნილი ბოთლი და სამი შევსებული ბოკალი იდგა.

- შამპანურიც მოვიდა! - იყვირა რაკიტინმა, - აგზნებული ხარ, აგრაფინა
ალექსანდროვნა, მეტი არაფერი, ერთ ბოკალს დალევ და საცეკვაოდ გაიწევ. ეეჰ,
რას ჰგავს ეს, ამის გაკეთებაც ვერ შეძლეს, - დაუმატა მან და შამპანურს შეხედა, -
სამზარეულოში ბებრუცუნამ ჩამოასხა და აქ კი უსაცობო და თბილი შამპანური
მოიტანეს. სხვა რა გზაა, ეს მაინც დავლიოთ.

იგი მაგიდასთან მივიდა, ბოკალი აიღო, სულმოუთქმელად დალია და კიდევ
დაისხა.

- იშვიათი რამაა შამპანური, - თქვა მან და ტუჩები გაილოკა, - მოდი, ალიოშა, აიღე ბოკალი და გვანახე, რა ბიჭიცა ხარ. რომელი სადღეგრძელო დავლიოთ? სამოთხის კარის? აიღე, გრუშა, ბოკალი და სამოთხის კარის სადღეგრძელო შესვი.

- რომელ სამოთხის კარზეა ლაპარაკი.

გრუშენკამ თავისი ბოკალი აიღო. ალიოშამ თავისი, ოდნავ მოსვა და უკან დადო.

- არა, სჯობს, არ დავლევ!

- არც მე დავლევ, - მხარი აუბა გრუშენკამ, - არ მინდა. შენ დალიე, რაკიტკა, მარტომ დალიე მთელი ბოთლი. თუ ალიოშა დალევს, მეც დავლევ.

- დაიწყო ისევ ლაციცი! - თქვა რაკიტინმა, - თავად კი ფეხებზე უზის! მაგას თავისი დარდი აქვს, შენ კი, რა გაწუხებს? ეგ თავის ღმერთს აუმხედრდა, ძეხვის ჭამაც კი დააპირა...

- რატომ?

- დღეს მაგისი ბერი ჩაბარდა პატრონს, ბერი ზოსიმა, წმინდანი.

- ბერი ზოსიმა მოკვდა?! - შეჰყვირა გრუშენკამ. - ღმერთო ჩემო, არც კი ვიცოდი! - მან პირჯვარი ღვთისმოშიშივით გადაიწერა, - ღმერთო ჩემო, მე კი რას ჩავდივარ, ახლა ამას მუხლებზე უნდა ვეჯდე? - თქვა ეს, სასწრაფოდ ჩამოხტა ალიოშას მუხლებიდან და იქვე, დივანზე გადაჯდა. ალიოშამ გაკვირვებით გადახედა მას და მის სახეს რაღაც ნათელი მოეფინა.

- რაკიტინ, - თქვა ალიოშამ უცებ ხმამაღლა და მტკიცედ, - ნუ მაბრაზებ, თითქოს მე ჩემს ღმერთს ავუმხედრდი. არ მინდა, შენზე გულში ავი გავივლო, ამიტომ გთხოვ, ცოტა კეთილი იყავი. მე დღეს ისეთი განძი დავკარგე, რომლისნაირი შენ არასოდეს არაფერი არ გაგაჩნდა. ამიტომ შენ არ შეგიძლია ჩემი განსჯა. გიჯობს, ამ ქალს შეხედო: ხედავ როგორ შემიწყალა? მე აქ მოვდიოდი და მეგონა, ავსულს ვნახავდი - რაღაცნაირად მომინდა მისი ნახვა იმიტომ, რომ საძაგელ ხასიათზე ვიყავი იმ დროს. მოველ და ვნახე დაი ჭეშმარიტი, ნამდვილი განძი - მოსიყვარულე ადამიანი. ახლა მე ამან შემიწყალა... აგრაფინა ალექსანდროვნა, მე შენზე ვლაპარაკობ, შენ ჩემი სული აღადგინე.

ალიოშას ტუჩები აუკანკალდა და სუნთქვა შეეკრა. იგი დადუმდა.

- ვითომ ამან გადაგარჩინა?! - ბოროტად გაიცინა რაკიტინმა. - ამას შენი ჩაყლაპვა უნდოდა. იცი თუ არა ეს შენ?

- სდექ, რაკიტკა! - უცებ წამოხტა გრუშენკა, - ორივე გაჩუმდით. მე ყველაფერს ვიტყვი: ალიოშა, დადუმდი, ვინაიდან შენი სიტყვებისაგან სირცხვილის ოფლი მასხამს, მე მართლა ბოროტი დედაკაცი ვარ და არა კეთილი, აი, ასეთი ვარ. შენ კი, რაკიტკა, ხმა გაიკმინდე, იმიტომ რომ ცრუობ. მქონდა ადრე ასეთი საძაგელი

აზრი, მინდოდა მართლა ამის ჩაყლაპვა, ახლა კი ტყუი, ახლა ეგრე არ არის... შენი ხმა არ გავიგონო, რაკიტკა! - ყველაფერი ეს საოცარი მღელვარებით წარმოთქვა გრუშენკამ.

- მე მგონი ორივემ აურია! - წაისისინა რაკიტინმა და ორივეს გაკვირვებულმა გადახედა, - ააფრინეს, ასე მგონია, საგიჟეთში ვარ. სულ მოეშვნენ, საცაა ტირილს დაიწყებენ!

- ვიტირებ, დიახაც ვიტირებ! - ჩაილაპარაკა გრუშენკამ, - მე მან დაი მიწოდა, ამას არასოდეს დავივიწყებ! მხოლოდ ეს იცოდე, რაკიტკა, მე, მართალია, ბოროტი დედაკაცი ვარ, ერთი თავი ხახვი მაინც გამიცია.

- რა ხახვზეა ლაპარაკი? ფუი, დაგლახვროთ ეშმაკმა, მგონი, მართლა შეიშალნენ!

რაკიტინს უკვირდა მათი აღფრთოვანება და ბრაზობდა, თუმცა არ უნდა გაძნელებოდა იმის მიხვედრა, რომ შესაძლოა, ამჟამად ალიოშასა და გრუშენკას სულები შეძრა ერთმა და იმავე რაღაცამ, როგორც არაერთხელ მომხდარა ცხოვრებაში. რაკიტინს საკმაოდ მგრძნობიარედ შეეძლო განეცადა ყველაფერი, რაც უშუალოდ მას შეეხებოდა ხოლმე, ხოლო სხვათა გრძნობების მიმართ ცივი დამოკიდებულება ჰქონდა - ეს ნაწილობრივ ახალგაზრდული გამოუცდელობით მოსდიოდა, ნაწილობრივ - დიდი ეგოიზმით.

- იცი, ალიოშა, - ანაზდად ნერვული სიცილით მიმართა გრუშენკამ მას, - ეს რაკიტკასთან წავიტრაბახე, ერთი თავი ხახვი მაინც გამიცია-მეთქი, შენთან კი ვერ ვიტრაბახებ, შენ სხვა რამეს გეტყვი. ბავშვობიდან ერთი იგავი მახსოვს, მშვენიერი იგავი იყო, ჩემი მზარეული, მატრონა მიყვებოდა ხოლმე. „იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი ბოროტზე უბოროტესი დედაკაცი და მოკვდა. ისე მოკვდა, რომ ამქვეყნად ერთი კეთილი საქმეც არ გაუკეთებია. ჯოჯოხეთში ეშმაკებმა დაიჭირეს და ალმოდებულ ტბაში უკრეს თავი. მისი მფარველი ანგელოზი იდგა და ფიქრობდა, მისი ცხოვრებიდან ისეთი რა სიკეთე გავიხსენო, რომ ღმერთს ვაუწყოო. გაახსენდა რაღაც და ღმერთს უთხრა: ერთხელ ამ ქალმა ბოსტანში ხახვი ამოთხარა და მათხოვარს მისცაო. ღმერთმა უპასუხა: აიღე ეს ხახვი და ტბაში იმ ქალს გაუწოდე, მოეჭიდება და შენ ამოათრიე, თუ ამოათრევ, სამოთხეში წაიყვანე, თუ გაწყდება ხახვი, ქალი ცეცხლში დარჩებაო. გაიქცა მფარველი ანგელოზი და დედაკაცს ხახვი მიაწოდა და ეუბნება: მოეჭიდე ხახვს და ამოგიყვანო. ჩამოეკიდა ხახვს დედაკაცი და ანგელოზმა ფრთხილად დაიწყო ტბიდან მისი ამოთრევა. ის იყო, თითქმის მთლიანად ამოათრია, რომ სხვა ცოდვილებმა, როცა დაინახეს, დედაკაცი აჰყავთო, ჩამოებღაუჭნენ ფეხებზე, რათა ანგელოზს ისინიც აეყვანა მასთან ერთად. როგორც გითხარი, დედაკაცი ძალიან ავი იყო-მეთქი, ჰოდა, დაუწყო ცოდვილებს ფეხების რტყმა და ყვირილი: „მე ავყავარ, თქვენ კი არა, ხახვი ჩემი იყო, თქვენი კი არაო!“ როგორც კი ესა თქვა, ხახვი გაწყდა, დედაკაცი უკან, ტბაში ჩავარდა და დღემდე იქ იხრუკება. ანგელოზი ატირდა და წავიდა“. ასეთია ეს იგავი, ალიოშა, ზეპირად მახსოვს, ვინაიდან თავად ვარ ის ავი დედაკაცი. რაკიტკასთან წავიტრაბახე, მეც მაქვს ხახვის თავი გაცემული-მეთქი, შენ კი სხვაგვარად გეტყვი: მხოლოდ ერთი ხახვის თავი გამიცია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მხოლოდ ისაა ჩემი სათნოება. ამის შემდეგ

ნუღარ შემაქებ, ალიოშა, ნუ ჩამთვლი კეთილ ადამიანად, ბოროტი ვარ, ბოროტზე უბოროტესი, შემაქებ და სირცხვილში ჩამაგდებ. ეჰ, რაც იქნება, იქნება, ბოლომდე მონანიება მომიწევს! კარგად მისმინე, ალიოშა, ძალიან მინდოდა შენი შემოტყუება, რაკიტკას შევუჩნდი, ოცდახუთ მანეთს დავპირდი, თუკი ჩემთან მოგიყვანდა. ერთი წუთით, რაკიტკა! - გრუშენკა ჩქარი ნაბიჯით გაემართა მაგიდისაკენ, უჯრა გამოსწია, საფულე ამოიღო და იქიდან ოცდახუთმანეთიანი ამოაძრო.

- რა სისულელეა, რა სისულელეა! - იყვირა დაბოღმილმა რაკიტინმა.

- აიღე, რაკიტკა, ვალი, უარს ხომ არ ამბობ, თავად არ მთხოვე? - და მიუგდო კუპიურა.

- რატომ უნდა ვთქვა უარი?! - ჩაიდუდღუნა თავლაფდასხმულმა რაკიტინმა, რომელიც არ იმჩნევდა შერცხვენას, - ეს ჩვენთვის ხელსაყრელია, სულელები იმიტომ არსებობენ, რომ ჭკვიანებმა სარგებლობა ნახონ.

- ხმა გაიკმინდე, რაკიტკა, გეყოფა, ახლა რასაც ვიტყვი, შენს გასაგონად არ იქნება ნათქვამი. მანდ სადმე კუთხეში მიეგდე და შენი ხმა არ გამაგონო, შენ არავინ გიყვარს, გაჩუმდი.

- ნეტა რისთვის უნდა მიყვარდეთ? - უკვე არ ფარავდა ბოღმას რაკიტინი. მან ოცდახუთმანეთიანი ჯიბეში ჩაიტენა, თუმცა ალიოშასი ნამდვილად რცხვენოდა. ეგონა, გასამრჯელოს გრუშენკა მას შემდეგ მისცემდა, როცა ალიოშა წავიდოდა, ისე რომ, ალიოშა ვერაფერს გაიგებდა. ახლა შერცხვენილს ბრაზი ახრჩობდა. რაკიტინი აქამდე ცდილობდა, ძალიან არ შეწინააღმდეგებოდა გრუშენკას, მიუხედავად მისი გაუთავებელი დაცინვისა, ჩანდა, რომ გრუშენკას მასზე რაღაც გავლენა ჰქონდა. მაგრამ ახლა ბრაზი ახრჩობდა:

- უყვართ რაღაცის გამო, თქვენ კი რა გამიკეთეთ?

- შენც ისე, ტყუილუბრალოდ უნდა გიყვარდეს, როგორც ალიოშას უყვარს.

- შენა გგონია, უყვარხარ, რითი დაგიმტკიცა თავისი სიყვარული, რას ელოლიავები?

გრუშენკა შუა ოთახში იდგა და გაცხარებული ლაპარაკობდა, მის ხმაში ისტერიული ნოტები ისმოდა.

- რაკიტკა, ხმა ჩაიწყვიტე, შენ არაფერი გესმის! ამას იქით არ გაბედო, შენობით მომმართო, ამის ნებას არ მოგცემ, ან საიდანა გაქვს ასეთი სითამამე?! ახლა დაეგდე მანდ კუთხეში, როგორც ჩემი ლაქია და შენი ხმა არ გავიგონო. შენ კი, ალიოშა, მისმინე, მე შენ წმინდა წყლის სიმართლეს გეტყვი, კარგად რომ გაიგო, რა საზიზღრობას წარმოვადგან! ამას რაკიტკას კი არა, შენ გეუბნები. მე შენი დაღუპვა მინდოდა, ალიოშა, ეს სრული ჭეშმარიტებაა, ასეთი სურვილი მქონდა, ისეთი დიდი იყო ეს სურვილი, რაკიტკაც კი მოვისყიდე, რომ ჩემთან მოეყვანე. რა მინდოდა, რატომ გავაკეთე ეს? შენ, ალიოშა, არაფერი არ იცოდი, ზედაც არ

მიყურებდი, გვერდზე გამივლიდი და თვალებს დახრიდი ხოლმე, მე კი გაუთავებლად გიცქერდი, ყველას შენ შესახებ ვეკითხებოდი. შენი სახე გულში ჩამებეჭდა. ვფიქრობდი: „ვძულვარ, ჩემკენ გამოხედვაც არ უნდა-მეთქი“. ბოლოს ისეთი გრძნობა გამიჩნდა, საკუთარი თავის მიკვირდა: ნეტა რად მეშინია ამ ბიჭის? გადავყლაპავ და მერე გემოზე ვიცინებ-მეთქი. ამას ვამბობდი და თან ბრაზი მერეოდა. გინდ დაიჯერე და გინდ არა: აქ ვერავინ გაბედავს, თქვას ან გაიფიქროს, რომ აგრაფინა ალექსანდროვნა რაიმე ცუდ საქმეს ჩადისო; მხოლოდ ის ერთი ბებერი მყავს, მასთან ვარ დაკავშირებული და მასზე მიყიდული, სატანამ დაგვწერა ჯვარი. არასოდეს სხვა არავინ მყოლია, მაგრამ შენ რომ გიყურებდი, შენი ჩაყლაპვა მინდოდა. ვფიქრობდი: ჩავყლაპავ და მერე ვიცინებ-მეთქი. ხედავ, როგორი ძაღლი ვარ, შენ კი დაი მიწოდე! ახლა კი ჩემი დამღუპველი ჩამოვიდა, მე ვზივარ და ველი მისგან შეტყობინებას. იცი, ვინ იყო ეს კაცი ჩემთვის? მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, რაც კუზმამ აქ ჩამომიყვანა. მას შემდეგ ვზივარ ჩემთვის, არავის ვეკარები, ვზივარ და ვქვითინებ, ხანდახან ღამეები არ მძინავს და ვფიქრობ ბრიყვი დედაკაცი: „ნეტა სად არის ახლა ჩემი დამღუპველი? ალბათ სხვასთანა ზის, მიგონებს და დამცინის. ნეტა სადმე მანახა, დედას ვუტირებ, სამაგიეროს გადაუხდი-მეთქი!“ ღამღამობით ბალიშში თავჩარგული ვღრიალებ, ათას სისულელეზე ვფიქრობ, გულს ვიხეთქავ და ბოღმით ვივსები. „იმას მაინც გადავუხდი, არაფერს არ შევარჩენ-მეთქი!“ - ასე ვღრიალებ ხოლმე სიბნელეში. როგორც კი გამახსენდება, რომ ვერაფერს გავხდები, ის კი ალბათ ჩემზე იცინის, ან საერთოდ აღარც ვახსოვარ, მაშინვე საწოლიდან იატაკს ვენარცხები, თვალებიდან კურცხალი ღაპაღუპით ჩამომდის და მთელი სხეული ერთიანად მიკანკალებს. დილას ავზე ავი ვდგები, მზადა ვარ, ქვეყანა გადავყლაპო. შემდეგ შენ ფიქრობ, რომ ავდექი და ფულის შეგროვება დავიწყე, დაუნდობელი გავხდი, გავსუქდი და დავჭკვიანდი, ხომ ასე ფიქრობ, არა? სულაც არა, ამქვეყნად არავინ იცის, ვერავინ ხედავს, რა დღეში ვარ, როგორც კი ღამე დადგება, ისევ ისე, როგორც ამ ხუთი წლის წინათ საცოდავ და დაჩაგრულ გოგონას მემართებოდა ხოლმე, მეწყება კბილების კრაჭუნი და მიტყდება ქვითინი: „იმას მაინც არ შევარჩენ, ყველაფერს გადავუხდი!“ - ასე ვღრიალებ ჩემთვის. იცი შენ რამე ამის შესახებ? ახლა მითხარი, რა ვქნა? ერთი თვის წინათ ბარათი მივიღე, დაქვრივდა, ვინც ჩემი გული დაკოდა. ახლა ჩემ სანახავად ჩამოდის. ბარათმა ძალიან იმოქმედა, სული შემეხუთა; ღმერთო ჩემო, გავიფიქრე ჩემთვის: რომ მოვიდეს, ერთი დამისტვინოს, ხომ ძაღლივით ხოხვა-ხოხვით მივალ! ამას ვფიქრობ და თავად არ მჯერა ჩემი თავის: „გათახსირებული ვარ თუ არა, წავალ მასთან თუ არ წავალ?“ მთელი ამ ერთი თვის განმავლობაში ჩემს თავზე იმაზე მეტად ვბრაზობ, ვიდრე ამ ხუთი წლის მანძილზე. ახლა ხედავ, ალიოშა, როგორი შლეგი ვარ, როგორი ცოფიანი, ყველაფერი სიმართლე მოგახსენე! მიტიათი თავს ვიქცევდი, იმასთან რომ არ გავქცეულიყავი. რაკიტკა შენი ხმა არ გავიგონო, შენთვის არ ვლაპარაკობდი. სანამ თქვენ მოხვიდოდით, ვიწექი და ვფიქრობდი, ჩემს ბედ-იღბალზე ვფიქრობდი, თქვენ ვერასოდეს გაიგებთ, რა მიტრიალებდა ამ გულში. ალიოშა, იმ ქალბატონს გადაეცი, გუშინწინდელზე ნუ გამიბრაზდება! არავინ იცის ამქვეყნად, ახლა რა დღეში ვარ და ვერც ვერავინ გაიგებს... იმიტომ რომ დღეს შეიძლება თან დანა წავიღო, ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია...

გრუშენკამ თავისი „აღსარება“ დაამთავრა, მერე უცბად თავი ვეღარ შეიკავა, სახეზე ხელები აიფარა, დივანზე დაემხო და როგორც პატარა ბალღი, ბალიშზე აქვითინდა. ალიოშა წამოდგა და რაკიტინთან მივიდა.

- მიშა, - უთხრა მან, - ნუ ბრაზობ. გრუშენკამ გაწყენინა, მაგრამ ნუ გაუბრაზდები. გაიგონე, ახლა რა თქვა? არ შეიძლება ადამიანისაგან ამდენი მოითხოვო, გულმოწყალე უნდა იყო...

აღელვებული ალიოშა თავს ვერ იკავებდა. მას რაღაცის თქმა უნდოდა და რაკიტინს მიმართა. რაკიტინი იქ რომ არ ყოფილიყო, თავისთვის დაიწყებდა ლაპარაკს. რაკიტინმა დაცინვით გადახედა. ალიოშა დადუმდა.

- ალიოშენკა, ღვთის კაცო, ამასწინათ შენი ბერისაგან დამუხტული, ახლა ჩემზე გინდა დაიცალო, - ზიზღიანი ღიმილით უთხრა რაკიტინმა.

- ნუ იცინი, რაკიტინ, არაფერია სასაცილო, მიცვალებულზე ასე ნუ ლაპარაკობ: ის ყველაზე მაღლა იდგა ამ ქვეყანაზე! - იყვირა თვალცრემლიანმა ალიოშამ, - მე არ ვარ შენი მსაჯული, თავად ყველა განსასჯელზე უფრო განსასჯელი ვარ. ვინ ვარ ახლა მე ამ ქალისათვის? მე აქ დასაღუპავად მოვდიოდი, გეუბნებოდი კიდეც: „რაც იქნება, იქნეს-მეთქი!“ - იმიტომ რომ სულმოკლე ვარ. ამან კი, ხუთი წლის წამების შემდეგ ვინც პირველი მივიდა მასთან და გულწრფელი სიტყვა უთხრა, - ყველას ყველაფერი აპატია, ყველა წყენა დაივიწყა და ატირდა! ახლა მისი დამღუპველი ბრუნდება და უხმობს, ის კი ყველაფერს ჰპატიობს და გახარებული მასთან მიიჩქარის. არა, არ წაიღებს თან დანას, არ წაიღებს! მე ასეთი ადამიანი არა ვარ. არ ვიცი, შენ ხარ თუ არა მისნაირი, მიშა, მაგრამ მე ნამდვილად არა ვარ. მე დღეს, სულ ახლახან, გაკვეთილი მივიღე... ეს ქალი თავისი სიყვარულით ჩვენზე მაღლა დგას... შენ ოდესმე გაგიგონია მისგან ასეთი რამ, რაც ახლა მოისმინე? არა, არ გაგიგონია; რომ მოგესმინა, აქამდე ყველაფერს გაუგებდი... დაე, გუშინწინ მისგან განაწყენებულმა ქალბატონმაც შეუნდოს მას! აპატიებს კიდეც, როცა ყოველივეს შეიტყობს. უსათუოდ შეიტყობს... ეს სული ჯერ არაა დამშვიდებული, მას დანდობა უნდა... ამ სულში, შესაძლოა, დიდი განძი ძევს...

ალიოშა გაჩუმდა, ვინაიდან სუნთქვა შეეკრა. რაკიტინი გაკვირვებული შესცქეროდა, მიუხედავად თავისი ბოღმისა. ალიოშასაგან ასეთ ტირადებს არ ელოდა.

- აი, ვექილიც გამოჩნდა! შემთხვევით ხომ არ შეგიყვარდა გრუშენკა? აგრაფინა ალექსანდროვნა, მგონი ჩვენს მემარხულეს შეუყვარდი, გაიმარჯვე! - იყვირა მან და თავხედურად ახარხარდა.

გრუშენკამ თავი ასწია და ალიოშას გახედა, ტირილისაგან დასიებულ სახეზე გულაჩუყებული ღიმილი აუკიაფდა.

- ალიოშა, ჩემო ქერუბინო, შეეშვი... ვერ ხედავ ვინც არის? მასთან ლაპარაკი განა შეიძლება. მიხაილ ოსიპიჩ, მე შენთვის ბოდიში მინდოდა მომეხადა, წეღან რომ გაგლანძღე, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. მოდი ჩემთან, ალიოშა, აქ ჩამოჯექ, -

ხელი დაუქნია გაღიმებულმა გრუშენკამ, - აი ასე, აქ დაჯექი და მითხარი (მან ალიოშას ხელი აიღო და ფერება დაუწყო), მითხარი: მიყვარს თუ არა მე ის? ჩემს დამღუპველზე გეკითხები, მიყვარს? თქვენს მოსვლამდე ვიწექი და ვფიქრობდი: მიყვარს თუ არა-მეთქი? მითხარი, ალიოშა, დროა ვიცოდე: რასაც შენ იტყვი, ისე იქნება. ვაპატიო, თუ არა?

- შენ ხომ უკვე აპატიე, - ღიმილით თქვა ალიოშამ.

- მართლაც ვაპატიე, - თქვა ფიქრებში წასულმა გრუშენკამ, - ასეთი საზიზღარი გული მაქვს! - გრუშენკამ ანაზდად მაგიდაზე მდგარ ბოკალს წაავლო ხელი და სულმოუთქმელად დალია, მერმე მაღლა ასწია და იატაკზე დაანარცხა. ბოკალი ხმაურით დაიფშვნა. რაღაცნაირმა სისასტიკემ გაიელვა მის ღიმილში:

- იქნებ არც მიპატიებია, - მუქარასავით გაისმა მისი სიტყვები, ამას თვალებდახრილი ამბობდა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, - იქნებ ჯერ კიდევ ვემზადები საპატიებლად. შევებრძოლები ცოტა ხანს ჩემს გულს. იცი, ალიოშა, ჩემმა ცრემლებმა ხუთწლიანი შიში შეიყვარა... შესაძლებელია, მე მხოლოდ ჩემი წყენა მიყვარს და არა ის!

- სულაც არ მინდა მის ადგილას ყოფნა! - წაისისინა რაკიტინმა.

- ვერც იქნები, რაკიტკა, ვერასოდეს იქნები მის ადგილას, შენ ჩემს ხარაზად დაგნიშნავ, ფაჩუჩებს შეგაკერინებ, მაგ საქმისთვის თუ ივარგებ, შენ ჩემნაირს ვერ ეღირსები... შესაძლოა ისიც...

- ვითომ აბა ვისთვის გამოიპრანჭე? - იქედნურად ჩაიცინა რაკიტინმა.

- ნუ გადამაყოლე ამ ტანსაცმელს, რაკიტკა, შენ ჯერ კიდევ არაფერი იცი, ამ გულში რა დევს. გინდა შემოვიხევ ამ ტანსაცმელს ტანზე, ახლავე შემოვიხევ, ამ წუთში, - იკივლა ქალმა, - რაკიტკა, შენ არ იცი ამ ტანსაცმლის დანიშნულება! შეიძლება მივიდე კიდეც მასთან და ვუთხრა: „გინახავს ოდესმე ასეთი გრუშენკა-მეთქი?“ მან ხომ ჩვიდმეტი წლის, გაძვალტყავებული, ჭლექიანი მტირალა გოგონა მიმატოვა. მივუჯდები და ვაცდუნებ, ცეცხლს მოვუკიდებ: „მხედავ, ახლა როგორი ვარ, გაგისკდეს გული, მოწყალეო ხელმწიფევ, თაფლი ულვაშზე გდიოდა, მაგრამ გემო ვერ გაუგე-მეთქი!“ ამიტომ მინდა ეს ტანსაცმელი, რაკიტკა, - დაასრულა გრუშენკამ და ბოროტად ჩაიცინა, - გაშმაგებული ვარ, ალიოშა, ბრაზი მახრჩობს. შემოვიხევ ამ ტანსაცმელს ტანზე, დავიმახინჯებ სხეულს, ჩემს სილამაზეს, სახეს დავიწვავ, დანით დავისერავ და წავალ მოწყალების სათხოვნელად. თუ მოვინდომე, არც ახლა წავალ არსად, მინდა ხვალვე უკან გავუგზავნი კუზმას ყველაფერს, რაც ჩემთვის უჩუქნია, მე კი ჩემს ცხოვრებას სადმე, მოჯამაგირეობაში დავასრულებ! შენ გგონია, ვერ გავაკეთებ ამას, რაკიტკა, ვერ გავბედავ? გავაკეთებ, გავაკეთებ! ახლავე შემიძლია ამის გაკეთება, ოღონდ ნუ მაღიზიანებ... იმას კი გავაგდებ, სეირს ვუჩვენებ, ჩემს თავს ვერ ეღირსება!

უკანასკნელი სიტყვები ისტერიული კივილით დაამთავრა. თავი ისევ ვერ შეიკავა, ხელები სახეზე აიფარა, ბალიშზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. რაკიტინი

წამოდგა.

- წასვლის დროა, - თქვა მან, - უკვე გვიანაა, მონასტერში აღარ შეგვიშვებენ.

გრუშენკა უცებ წამოხტა.

- ნუთუ შენც წახვალ, ალიოშა! - მწარედ შეჰყვირა გაოცებულმა გრუშენკამ, - რას შვრები: სული ამიფორიაქე, გული გადამაშლევინე და ახლა, ამ ღამით მარტო გინდა დამტოვო!

- შენთან ღამეს ხომ არ გაათევს? თუმცა თუ უნდა, დარჩეს! მე მარტო წავალ! - გესლიანად ჩაიცინა რაკიტინმა.

- ხმა გაიკმინდე, ბოროტო სულო, - იყვირა გაშმაგებულმა გრუშენკამ, - შენ ჩემთვის არასოდეს ასეთი სიტყვები არ გითქვამს, როგორიც ამან მითხრა ამ საღამოს.

- რა გითხრა ამისთანა? - ჩაიბურტყუნა გაღიზიანებულმა რაკიტინმა.

- არაფერი ვიცი, არაფერი მესმის, მაგრამ რაც მან მითხრა, პირდაპირ გულში გამიარა, ლამის გული გადამიბრუნდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მან ჩემს ცხოვრებაში პირველმა შემიცოდა! სად იყავი აქამდე, ქერუბინო, რატომ ადრე არ მოდიოდი ჩემთან, - ანაზდად იგი გიჟივით დაემხო მუხლებზე, - მთელი ცხოვრება შენნაირს ველოდი, ვიცოდი, ვიღაც შენნაირი მოვიდოდა და მომიტევებდა, მჯეროდა, ასეთ საძაგელს ვინმე შემიყვარებდა!

- არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, - ღიმილით უპასუხა გულაჩუყებულმა ალიოშამ. იგი დაიხარა და ხელი ხელზე ნაზად წაავლო, - ერთი ხახვის თავი მოგაწოდე, მხოლოდ ერთი პაწაწუნა ხახვის თავი, მეტი არაფერი!

თქვა და თავადაც ატირდა. ამ დროს წინკარიდან ხმაური მოისმა, სახლში ვიღაც შემოვიდა. ოთახში ფენია ქოთქოთით შემოვარდა.

- ქალბატონო, თქვენი ჭირიმე, ქალბატონო, ესტაფეტა მოვიდა! - გახარებული ყვიროდა აქოშინებული ფენია, - მოკროედან ტარანტასი გეახლათ, მეეტლე ტიმოფეი ზის სამცხენაზე, ახლავე ცხენებს შეცვლიან... აი, წერილი, წერილი, ქალბატონო!

ფენია ყვიროდა, თან ჰაერში წერილს აქეთ-იქეთ აფრიალებდა. გრუშენკამ წერილი გამოჰგლიჯა და სანთელთან მიიტანა. ეს იყო პატარა, რამდენიმე სტრიქონიანი ბარათი, უცებ ჩაიკითხა.

- მიხმობს! - ყვიროდა ერთიანად გაფითრებული, ავადმყოფური ღიმილით სახემოქცეული გრუშენკა, - დამისტვინა! ხოხვით, ხოხვით მიეახლე ძუკნავ!

ერთხანს დაბნეული იდგა, უცებ თავში სისხლი აუვარდა და ღაწვები აუღაჟღაჟდა.

- მივდივარ! - იყვირა მან, - მშვიდობით, გასულო ხუთო წელო! მშვიდობით, ალიოშა, ჩემი ბედი გადაწყვეტილია. გადით, გადით ყველა აქედან, არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა!... გრუშენკა ახალ ცხოვრებას იწყებს... ცუდად ნუ მომიგონებ, რაკიტკა. შეიძლება ახლა სასიკვდილოდ მივდივარ! უჰ! მთვრალივითა ვარ!

უცებ გრუშენკამ მიატოვა ისინი და საძინებელ ოთახში გავარდა.

- ახლა მას ჩვენთვის არ სცალია! - წიაბუზღუნა რაკიტინმა. - წავიდეთ, თორემ კვლავ ატყდება დედაკაცური წივილ-კივილი, მომბეზრდა ამდენი ქვითინის მოსმენა...

ალიოშა უნებურად დაემორჩილა. გარეთ გამოვიდნენ. იქ ტარანტასი იდგა, ცხენებს უცვლიდნენ, ვიღაცას ხელში ანთებული ფარანი ეჭირა, ეზოში ხალხი დაფუსფუსებდა. ღია ჭიშკარში სამი ახალი ცხენი შემოჰყავდათ. როგორც კი ალიოშა და რაკიტინი ზღურბლს გადასცდნენ, გრუშენკამ საძინებელი ოთახის ფანჯარა გამოაღო და იქიდან ალიოშას გადმოსძახა:

- ალიოშა, სალამი გადაეცი შენს ძმას დმიტრის. უთხარი, მე, უკეთური დედაკაცი, ცუდად არ მომიგონოს. სიტყვა-სიტყვით გადაეცი ჩემი ნათქვამი: „არამზადას დარჩა გრუშენკა და არა შენნაირ კეთილშობილს-თქო.“ ისიც დაუმატე, რომ იგი მიყვარდა მხოლოდ ერთი საათით - ასე რომ ის ერთი საათი მთელი ცხოვრება გახსოვდეს-თქო. ასე გადმოგცა გრუშენკამ, მთელი ცხოვრება-თქო.

მან მოთქმით დაამთავრა და ფანჯარა მიხურა.

- ჰმ, ჰმ! - ჩაიქირქილა რაკიტინმა, - ყელი გამოსჭრა მიტენკას და ახლა უბარებს, მთელი ცხოვრება გახსოვდეო. კაციჭამია!

ალიოშას პასუხი არ გაუცია, ვითომ არც არაფერი გაუგონია; იგი რაკიტინის ახლოს აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს ძალიან ეჩქარებოდა; ბურანში იყო, ანგარიშმიუცემლად მიდიოდა. რაკიტინს თითქოს რაღაც შეერჭო, თითქოს მის ახალ იარას ხელით შეეხნენ. როცა ალიოშა გრუშენკასთან მოჰყავდა, სულ სხვა რამეს ელოდა, სულ სხვა რამ კი მოხდა.

- მაგისი ოფიცერი პოლონელია, - ისევ თავშეუკავებლად ალაპარაკდა რაკიტინი, - ახლა ოფიცერიც არ არის, სადღაც ციმბირში, ჩინეთის საზღვარზე, მებაჟედ მუშაობდა. ჭკუის კოლოფა პოლონელია - ამბობენ, სამუშაო დაკარგაო. ახლა გაუგია, გრუშენკას რომ კარგა ძალი ფული უშოვია და დაუბრუნდა - ამაშია მთელი სასწაული.

ალიოშას თითქოს კვლავ არაფერი ესმოდა. რაკიტინმა თავი ვეღარ შეიკავა:

- შენ რა, გგონია, ცოდვილი მოაქციე? - ბოროტად ჩაიხითხითა რაკიტინმა, - მეძავი ჭეშმარიტ გზაზე დააყენე? შვიდი ეშმაკი განდევნე, ჰა? აი, როგორ ხდება სასწაულების აღსრულება დღეს!

- გეყოფა, რაკიტინ, - წყენით მიმართა ალიოშამ.

- შენ ახლა იმ ოცდახუთი მანეთისათვის „გძულვარ“? ფიქრობ, გამყიდა გულითადმა მეგობარმაო, მაგრამ შენ ხომ ქრისტე არა ხარ, არც მე ვარ იუდა.

- კარგი ერთი, რაკიტინ, მე აღარც კი მახსოვდა, - შესძახა ალიოშამ, - შენ გამახსენე...

რაკიტინი უკვე ცოფებს ყრიდა.

- ეშმაკმა დაგლახვროთ ყველანი! - უცებ იღრიალა მან, - ნეტა, რა ეშმაკი შემიჩნდა, შენ რომ დაგიახლოვდი! შენი დანახვაც აღარ მინდა. წადი, გამშორდი, ჯანდაბამდის გზა გქონია!

იგი უცებ შემობრუნდა და სხვა ქუჩაზე გადაუხვია, ალიოშა სიბნელეში მარტო დატოვა. ალიოშა ქალაქიდან გავიდა და მინდორ-მინდორ გაუყვა მონასტრისაკენ მიმავალ გზას.

IV გალილეას კანა

სამონასტრო წესითა და რიგით, უკვე კარგა გვიანი იყო, როცა ალიოშა სავანეში მივიდა; იგი მეკარემ განსაკუთრებული შესასვლელიდან შეიყვანა. საათმა ცხრაჯერ დარეკა - ეს კი მონასტრისათვის საყოველთაო დასვენებისა და ძილის დროა. ალიოშამ ბერის სენაკის კარი ფრთხილად გააღო და შევიდა. ოთახში ბერის სასახლე ესვენა. მამა პაისი კუბოს თავთან სახარებას კითხულობდა. მეორე ოთახში, იატაკზე, გუშინდელი ღამის საუბრითა და დღევანდელი არეულ-დარეულობით გასავათებულ ჭაბუკს, მორჩილ პორფირის ეძინა. მამა პაისიმ ალიოშას შემოსვლა გაიგო, მაგრამ მისკენ არ გამოუხედავს. ალიოშა კარიდან მარჯვენა კუთხეში მუხლებზე დაემხო და ლოცვა დაიწყო. სული ყელში ჰქონდა მობჯენილი, გრძნობები აფორიაქებული, არც ერთი გრძნობა არ გამოიკვეთებოდა, თავს არ აჩენდა, პირიქით, ერთი მეორეს ავიწროებდა რაღაცნაირად მშვიდ და თანაბარ გრძნობათა ორომტრიალში. მაგრამ გულში რაღაც სიამეს გრძნობდა, უცნაური ის იყო, რომ ალიოშას ეს არ აკვირვებდა. ცხვირწინ სასახლე ედგა, მასში ესვენა მისთვის ყველაზე ძვირფასი მიცვალებული, მაგრამ, როგორც დილით, გულის ამაჩუყებელ, მტკივნეულ და მტანჯველ სიბრალულს უკვე აღარ გრძნობდა. ახლა, შემოსვლისთანავე, როცა კუბოსთან, როგორც სალოცავთან, მუხლებზე დაემხო, სული და გული სიხარულით აევსო. სენაკის ერთი ფანჯარა ღია იყო და ოთახში გრილი და სუფთა ჰაერი ტრიალებდა - „მაშასადამე, სუნი გაძლიერდა, რაკი ფანჯარა გააღეს“, - გაიფიქრა ალიოშამ. მაგრამ ხრწნილის სუნის გახსენებას მასში დილანდელი სევდა და გულისტკივილი არ გამოუწვევია. დილით ამ ამბავმა შეაშფოთა, ძალიან სამარცხვინო და საშინელი რამ ეგონა. ალიოშამ მშვიდად დაიწყო ლოცვა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ანგარიშმიუცემლად ლოცულობდა. მის გონებაში ნაირ-ნაირი აზრები გაიელვებდა ხოლმე, ვარსკვლავივით აინთებოდა და უმალვე ქრებოდა, იცვლებოდა სხვით. სამაგიეროდ, სულში მეფობდა რაღაცა მთლიანი,

მყარი და დამამშვიდებელი, ეს თავად კარგად ესმოდა. შიგადაშიგ გულმხურვალე ლოცვას იწყებდა, მას ძალიან უნდოდა მადლიერების და სიყვარულის გამოხატვა... მაგრამ როგორც ლოცვას დაიწყებდა, ანაზდად მისი ფიქრი რაღაც სხვა რამეზე გადადიოდა, ფიქრებში წავიდოდა და ავიწყდებოდა როგორც ლოცვა, ისე ის, რომ ლოცვა შეწყვიტა. ხანდახან მამა პაისის ლოცვას მიუგდებდა ხოლმე ყურს, მაგრამ უკვე ძალზე გადაღლილს თანდათან რული ეპარებოდა...

„და მესამე დღესა ქორწილი იყო გალილეას კანაში; და იყო იქ იესოს დედა, - კითხულობდა მამა პაისი, - ქორწილში მიწვეულნი იყვნენ იესოც და მისი მოწაფეებიც“.[97]

„ქორწილი? რა არის... ქორწილი... - გრიგალივით ქროდა ალიოშას თავში ფიქრები - მასაც ბედნიერება ეწვია... ლხინში წავიდა... არა, გრუშენკამ დანა თან არ წაიღო არ წაიღო დანა... ეს ისე თქვა, დაიქადნა... ქადილი კი აუცილებლად უნდა ეპატიოს ადამიანს, დაქადნება შვებას ჰგვრის კაცს, უმისოდ მწუხარება ძალზე მძიმე გადასატანი იქნებოდა. რაკიტინმა გვერდზე გადაუხვია. სანამ რაკიტინი თავის წყენაზე იფიქრებს, მანამ ის მუდამ გვერდზე გადაუხვევს... გზა კი... გზა სწორია ფართოდ გაშლილი და ბროლივით ბზინავს, გზის ბოლოს კი მზე... ჰა?.. რას კითხულობენ?“

„და რაკი ღვინო შემოაკლდათ, იესოს დედამ უთხრა მას: ღვინო არა აქვთ...“ - ესმოდა ალიოშას.

„ეჰ, გამომრჩა, როგორ არ მინდოდა ეს ადგილი გამომრჩენოდა, მიყვარს ეს ადგილი: ეს გალილეას კანა, პირველი სასწაული... ო, ეს სასწაული, ო, ეს მშვენიერი სასწაული! ქრისტე ადამიანების მწუხარებას კი არ ეწვია, ლხინში მივიდა, პირველად შექმნა მან სასწაული, ადამიანებს სიხარულში წაეხმარა... „ვისაც ხალხი უყვარს, მას მისი სიხარულიც უყვარს...“ ცხონებული ყოველ წუთს ამას იმეორებდა, ეს მისი უმთავრესი აზრი იყო... უსიხარულოდ სიცოცხლე გაუსაძლისიაო, ამბობს ხოლმე მიტია... დიახ, მიტია... რაც ჭეშმარიტი და მშვენიერია, ყოვლისშემწყნარე და ყოვლისმპატიებელია - ესეც მისი სიტყვებია...“

„და უთხრა მას იესომ: მერედა რა ჩემი და შენი საქმეა, დედაო? ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩემი საათი. და უთხრა დედამისმა მსახურს: რასაც გეტყვით, აღასრულეთ.“

„მიანიჭეთო... სიხარული, სიხარული ვიღაც ღარიბებს, ღატაკ ხალხს... ცხადია ღატაკები იყვნენ, რადგან ქორწილზე ღვინოც არ ჰქონდათ... ისტორიკოსები წერენ, რომ იმ დროს გენისარეთის ტბასთან ყველაზე ღარიბი ხალხი ცხოვრობდა... კარგად იცოდა დიდებული არსების დიდებული გულის პატრონმა დედამ, რომ მისი პირმშო არა მარტო დიდებული და საშინელი ტანჯვისათვის მოევლინა ამ ქვეყანას, არამედ მას შეუძლია გულთან ახლოს მიიტანოს მისი მასპინძლების, ამ ბნელზე ბნელი და უეშმაკო ხალხის სიხარული. „ჯერ კიდევ არ დამდგარა ჟამი ჩემიო“, - ამბობს ის ღიმილით (ამ დროს უსათუოდ მშვიდად უღიმის დედას)... მართლაცდა, განა იმისათვის მოვიდა ამა სოფლად, რომ ღარიბებისათვის ქორწილზე ღვინო ემრავლებინა? მაგრამ წავიდა და გააკეთა,

როგორც დედამ სთხოვა... აჰ, კითხვა ისევ გააგრძელა“.

„უთხრა მათ იესომ: გაავსეთ კასრები პირთამდე წყლით. და გაავსეს ისინი პირთამდე.

და უთხრა მათ: ახლა ამოიღეთ და მიართვით თამადას. და მიართვეს.

და როცა თამადამ გემო გაუსინჯა წყალს, რომელიც ღვინოდ ქცეულიყო (თუმცა მან არ იცოდა, როგორ მოხდა ეს; იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მოუხმო სიძეს.

და უთხრა მას: ყველა კაცი ჯერ უკეთეს ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა დათვრებიან, უარესს: შენ კი უკეთესი ღვინო აქამდე შემოგინახავს“.

„ნეტა რა ხდება, რა ხდება? რატომ გაიხსნა კედლები... ჰო, მართლა, აქ ხომ ქორწილია. აი სტუმრებიც, აქეთ ახალგაზრდები სხედან, მხიარული ბრბო და... სად არის ბრძენთაბრძენი თამადა? იქ, იმ დიდ მაგიდასთან ვინ წამოდგა? როგორ... ის აქ არის? ის ხომ კუბოში იწვა... მაგრამ ის აქ არის... ადგა, დამინახა ჩემკენ მოდის... ღმერთო ჩემო!

დიახაც, მას მიუახლოვდა ხმელ-ხმელი, სახემცინარი, გახარებული მოხუცი, სახეზე წვრილ-წვრილი ნაოჭები აქვს. კუბო აღარსად ჩანს, ის კი იმ ტანსაცმელშია, გუშინ რომ ეცვა, როცა მასთან იყვნენ შეკრებილები. სახე უღიმის და თვალები უბრწყინავს. მაშასადამე, ისიც ამ ლხინშია მიწვეული, გალილეას კანაში გამართულ ქორწილზეა დაპატიჟებული...

- მეც, მეც აქ ვარ მოწვეული, ჩემო ძვირფასო, მეც დამპატიჟეს, - მოესმა ალიოშას მისი ხმა, - აქ რატომ მიმალულხარ, გინდა არავინ გნახოს... წამოდი ჩვენთან.

- ხმა მისია, ნამდვილიდ ბერი ზოსიმას ხმაა... ან ის როგორ არ იქნება, თუკი უხმობს? - ბერმა ხელით სცადა ალიოშას წამოყენება. მუხლმოდრეკილი ალიოშა წამოდგა.

- დროს ვატარებთ, - გააგრძელა გამხდარმა მოხუცმა, - ახლა ღვინოს ვსვამთ, ახალი სიხარულის ღვინოს. ხედავ, რამდენი სტუმარია? აგერ ნეფე-დედოფალი, აგერ ბრძენთაბრძენი თამადა ღვინოს აჭაშნიკებს. რა გაკვირებული მიყურებ? მეცა მაქვს ერთი ხახვის თავი გაცემული და აი, აქა ვარ. ბევრია აქ, ვისაც ერთი ხახვის თავი აქვს გაცემული, მხოლოდ და მხოლოდ თითო ხახვის თავი... რა არის ჩვენი საქმიანობა? შენ წყნარი და თვინიერი კაცი ხარ, ჩემო ბიჭუნა, დღეს შენც მიეცი ერთ გაუმაძღარ დედაკაცს ერთი ხახვის თავი. დაიწყე, შეუდექ შენ საქმეს, ჩემო მშვიდო ბიჭუნა! ხედავ ჩვენს მზეს, ხედავ მას?

- მეშინია... ვერ ვბედავ ყურებას... - ჩაიჩურჩულა ალიოშამ.

- ნუ გეშინია, საშიშია თავისი დიდებულებით, შემაძრწუნებელია თავისი უზენაესობით, მაგრამ უსასრულოდ მოწყალეა. იგი ჩვენი სიყვარულის გამო გახდა მსგავსი ჩვენი და ჩვენთან ერთად ერთობა, წყალი ღვინოდ გვიქცია, რომ

არ შეწყდეს სტუმრების მხიარულება, ახალ სტუმრებს ელის, იგი ახლებს უსასრულოდ უხმობს უკუნითი უკუნისამდე. აგერ, ახალი ღვინო შემოაქვთ, ჭურჭელს ხედავ...“

რაღაცა აენთო ალიოშას გულში, ანაზდად რაღაცით აივსო ტკივილამდე, აღტაცებისაგან თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა... მან ხელები გაშალა, იყვირა და გაეღვიძა...

მის წინ კვლავ კუბო იდგა, ოთახში ფანჯარა ღია იყო და ისმოდა სახარების წყნარი და განსაკუთრებული გამოთქმით კითხვა. ალიოშა აღარ უსმენდა. მხოლოდ ის ეუცნაურა, რომ მუხლებზე დაჩოქილს ჩაეძინა, ახლა კი ფეხზე იდგა. უცებ ადგილს მოსწყდა და სამი მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა კუბოს, გზაში მამა პაისის მხარიც კი გაჰკრა, მაგრამ ეს არც შეუმჩნევია. მამა პაისიმ ერთხანს თვალი მოაცილა წიგნს და შეხედა მას, შემდეგ მზერა ისევ წიგნზე გადაიტანა, მიხვდა, რომ ჭაბუკს რაღაც უცნაური რამ სჭირდა. ალიოშა ნახევარი წუთი უმზერდა სასახლეში უძრავად გაჭიმულ, სუდარაგადაფარებულ მიცვალებულს, რომელსაც მკერდზე ხატი ესვენა და თავზე კუნკულა ეხურა. ალიოშას ახლა მხოლოდ მისი ხმა ესმოდა, ყურებში მისი ხმა ჰქონდა ჩარჩენილი. რაღაცას ყურს უგდებდა, კიდევ რაღაცა ხმებს ელოდა... მერმე უცებ შემოტრიალდა და სენაკიდან გავიდა.

პარმაღზეც არ გაჩერებულა, სწრაფად ჩავიდა ქვემოთ. აღფრთოვანებულ სულს თავისუფლება და სივრცე სწყუროდა. მის თავზე დამხობილ, უკიდეგანო, თვალუწვდენელ, მშვიდად მოციმციმე ვარსკვლავებით სავსე ცის თაღზე ზენიტიდან ჰორიზონტამდე ჯერ კიდევ ბუნდოვნად მოჩანდა ირმის ნახტომი. გრილსა და წყნარ, უძრაობამდე მისულ ღამეს მოეცვა გარემო. ტაძრის თეთრი კოშკები და ოქროს გუმბათები იაგუნდისფერი ცის ფონზე ბრწყინავდნენ. სახლის წინ გაშენებულ ყვავილნარში შემოდგომის წარმტაც ყვავილებს მისძინებოდათ. მიწიერი სიჩუმე ზეციერს შერწყმოდა, მიწიერი იდუმალება კოსმიურ იდუმალებას ელამუნებოდა... ალიოშა იდგა, მიდამოს გასცქეროდა და უცებ მოცელილივით დაემხო მიწას.

გაცნობიერებულიც არ ჰქონდა, რატომ ჩაეხუტა მიწას, თავს ანგარიშს აღარ უწევდა, რატომ სურდა, დაეკოცნა დედამიწის ყოველი მტკაველი. აცრემლებული ჰკოცნიდა მიწას და ქვითინებდა. მისი ცრემლები მიწის ზედაპირს ნამავდა. გახელებული ეფიცებოდა მიწას მარადიულ სიყვარულს, სიყვარულს უკუნითი უკუნისამდე. „სიხარულის ცრემლებით დანამე მიწა და გიყვარდეს ის ცრემლები შენი...“ - გაიჟღერა მის სულში. რა ატირებდა? ეს სიხარულის ცრემლები იყო, ის შეჰხაროდა მის თავზე მოციმციმე უთვალავ ვარსკვლავს და „არ რცხვენოდა სიშმაგე თვისი“. თითქოსდა უფლის ურიცხვი სამყაროებიდან წამოსული ძაფები ერთბაშად შეიჭრენ მის სულში და აათრთოლეს ის „სხვა სამყაროებთან შეხებით“. ყველას მიტევება უნდოდა, ყველასთვის და ყველაფრისათვის შენდობის თხოვნა, არა, თავისათვის კი არა, ყველასათვის და ყველაფრისათვის, ხოლო „ჩემთვის სხვებმა ითხოვონ შენდობაო“ - ისევ გაიჟღერა მის სულში. ყოველ წუთს ნათლად გრძნობდა, თითქოს ხელით ეხებოდნენ, როგორ შედიოდა მის სულში რაღაც ცის თაღივით მყარი და მტკიცე. რაღაც იდეა გამეფდა მის გონებაში - და ეს უკვე

საბოლოოდ, უკუნითი უკუნისამდე. იგი მიწას დაენარცხა სუსტ ჭაბუკად, ფეხზე კი წამოიმართა მებრძოლი სულისკვეთებით შეპყრობილი ვაჟკაცი და ეს მან მაშინვე შეიგრძნო, სულიერი აღტკინების იმ წუთებში. და არასოდეს, აღარასოდეს არ შეეძლო ალიოშას, დაევიწყებინა თავისი ცხოვრების მანძილზე ეს წუთები. „ვიღაც დაეუფლა იმ დროს ჩემს სულსო“, - ასე ამბობდა ხოლმე და ეს სიტყვები მტკიცედ სწამდა.

სამი დღის შემდეგ ალიოშამ მონასტერი დატოვა, როგორც თავისმა ბერმა უბრძანა: „წადი აქედან და სოფლად იცხოვრეო“.

წიგნი მერვე. მიტია

I კუზმა სამსონოვი

მიტიამ კი, რომელსაც ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალმა გრუშენკამ შემოუთვალა, საუკუნოდ გულში შეენახა მათი სიყვარულის ის ერთი ბედნიერი საათი, ჯერ არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქალის თავს და თავადაც საშინლად შეშფოთებული და აფუსფუსებული იყო. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ისეთ წარმოუდგენელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მართლაც შეიძლებოდა, როგორც თვითონ ამბობდა შემდგომ, ტვინის ანთება დამართოდა. ამას წინათ, დილით, ალიოშამ ვერ შეძლო მისი ნახვა, ხოლო ივანმა იმავე დღეს ვერაფრით მოახერხა მისთვის შეტყობინება, რომ ერთმანეთს სამიკიტნოში შეხვედროდნენ. სახლის პატრონებმა, სადაც მიტია ბინას ქირაობდა, დამალეს მისი ასავალ-დასავალი. ორი დღის განმავლობაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აქეთ-იქეთ დაძრწოდა. როგორც თავად შემდგომში ამბობდა, „თავის გადასარჩენად ბედისწერას ებრძოდა“. რამდენიმე საათით ქალაქიდანაც კი გავიდა ერთი საქმის მოსაგვარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეშინოდა, გრუშენკას ერთი წუთით დატოვებისაც კი. ყოველივე ეს შემდგომ გამოწვლილვით შეისწავლეს და დოკუმენტიც შეადგინეს, მაგრამ ახლა ჩვენ აგიწერთ მისი ცხოვრების ამ ორი დღის აუცილებელ მომენტებს, რომლებიც წინ უსწრებენ იმ საშინელ კატასტროფას.

გრუშენკას იმ ერთი საათის განმავლობაში, მართლაც, გულწრფელად უყვარდა მიტია, მაგრამ, ამავე დროს, სასტიკად და დაუნდობლად ტანჯავდა. ყველაზე მთავარი ის იყო, მიტიას ვერაფრით გაეგო ქალის გულისნადები; ალერსით ან ძალით ვერაფერს გამოსტყუებდა, არაფრით არ გამოუტყდებოდა, მხოლოდ გაუბრაზდებოდა და საერთოდ ზურგს შეაქცევდა, მიტიას ეს კარგად ესმოდა. მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ქალი თავს ებრძოდა, რაღაც ვერ გადაეწყვიტა. ამიტომ უსაფუძვლო არ იყო, გულდათუთქული მიტიას ეჭვი, რომ რომელიღაც წუთებში ქალს ის სასტიკად სძულდა. შეიძლება ეს ასეც იყო, არ არის გამორიცხული. მაგრამ რა აწუხებდა გრუშენკას, მაინც ვერ ხვდებოდა. მიტიასათვის ყველაზე შემაშფოთებელი საკითხი გრუშენკას არჩევანი იყო: „ან მიტია, ან ფიოდორ პავლოვიჩი“. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი: მიტია დარწმუნებული იყო, მამამისი აუცილებლად შესთავაზებდა გრუშენკას კანონიერ ქორწინებას (თუ აქამდე არ შეუთავაზებია) და არ სჯეროდა, რომ ბებერ მრუშს იმის იმედი ჰქონდა, ამ საქმეს მარტოოდენ სამი ათასს ამყოფინებდა. ასეთი დასკვნა მიტიამ იმიტომ გააკეთა, რომ იცოდა გრუშენკას ხასიათი. ამიტომ დროდადრო ეჩვენებოდა, გრუშენკას ტანჯვა, მისი ყოყმანი გამოწვეული იყო იმით, რომ ვერ გადაეწყვიტა, მამა-შვილს შორის რომელი ამოერჩია, რომელი უფრო სარფიანი იყო მისთვის. გრუშენკას ცხოვრების საბედისწერო მამაკაცი, ოფიცერი და უახლოეს ხანებში მისი შესაძლო დაბრუნება, რასაც ქალი მოუთმენლად და შიშით ელოდა იმ დღეებში, მიტიას ფიქრადაც არ მოსვლია. ისიც მართალია, გრუშენკას მის შესახებ ბოლო დღეებში არაფერი უთქვამს. მაგრამ მიტიამ ქალისაგან იცოდა იმ წერილის შესახებ, რომელიც გრუშენკამ ამ ერთი თვის წინ მიიღო თავისი ყოფილი

მაცდუნებლისაგან, ის კი არადა, ნაწილობრივ, ამ წერილის შინაარსიც კი იცოდა. ერთხელ გაბრაზებულმა გრუშენკამ აჩვენა, მაგრამ, მისდა გასაკვირად, მიტიას ამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ძნელია იმის თქმა, რა იყო ამის მიზეზი; ალბათ ის, რომ ამ ქალის გულისათვის მამასთან დამამცირებელმა და საშინელმა ბრძოლამ ისე დათრგუნა, ამაზე მეტ საფრთხედ სხვა აღარაფერი აღარ მიაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს. ხუთი წლის წინ გადაკარგული და ახლა საიდანღაც გამომტყვრალი სასიძოსი არ სჯეროდა, მით უმეტეს, ასე მალე თუ ჩამოვიდოდა. მისი მეტოქე ოფიცერი წერილში ჩამოსვლის თაობაზე საკმაოდ გაურკვევლად იწერებოდა, თავად წერილი ერთობ ბუნდოვანი და მაღალფარდოვანი ფრაზებით იყო გადატვირთული. ისიც აღსანიშნავია, რომ გრუშენკამ წერილის ბოლო ნაწილი არ წააკითხა, სადაც უფრო გარკვევით ეწერა ჩამოსვლის თაობაზე. მოგვიანებით, მიტია იგონებდა, რომ იმ წუთებში გრუშენკას სახეზე ამოიკითხა რაღაცნაირი უნებლიე და ამაყი ზიზღი ციმბირელი ადრესატის მიმართ. შემდგომი შეხვედრების დროს გრუშენკას ერთხელაც არ უხსენებია თავისი ოფიცერი, ასე რომ, მიტიას ის მეტოქე სრულებით გადაავიწყდა. ახლა სულ სხვა რამ ადარდებდა - მისი მომავალი შეტაკება ფიოდორ პავლოვიჩთან. ეს საკითხი მას უახლოეს ხანებში უნდა გადაეწყვიტა. ყოველ წუთს დაძაბული ელოდა გრუშენკას გადაწყვეტილებას და სჯეროდა, გადაწყვეტილება მოულოდნელი იქნებოდა, განწყობილების მიხედვით. ქალს შეეძლო, მოულოდნელად ეთქვა: „წამიყვანე, საუკუნოდ შენი ვარო“ და ამით ყველაფერი დამთავრებულიყო. მას კი სასწრაფოდ უნდა ჩაევლო ხელი და გაეტაცა ქვეყნის დასალიერს. დიახ, მაშინვე უნდა გაეტაცა, რაც შეიძლება შორს, ქვეყნის დასალიერს თუ არა, სადმე რუსეთის განაპირას, ცოლად შეერთო და incognito-დ[98] დასახლებულიყვნენ ისე, რომ მათ შესახებ არავის არაფერი სცოდნოდა არც აქ და არც იქ, მაშინ, სწორედ მაშინ, დაიწყებოდა ახალი ცხოვრება! გახელებული სწორედ ამ განახლებულ, მაგრამ „პატიოსან“ („აუცილებლად, აუცილებლად პატიოსან“) ცხოვრებაზე ოცნებობდა მუდამ. მას ასეთი აღდგომა და განახლება სურდა. საზიზღარი ჭაობი, რომელშიც საკუთარი ნებით ჩაეფლო, სულ უფრო და უფრო ტანჯავდა. როგორც ხდება ასეთ შემთხვევაში, სულ უფრო და უფრო სწამდა, თუკი ადგილს შეიცვლიდა, ამ ხალხსა და ვითარებას მოშორდებოდა, ყველაფერი აღდგებოდა და განახლდებოდა! აი, რისი სჯეროდა და რას ნატრობდა მიტია.

ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ მისდა საბედნიეროდ გადაწყდებოდა საკითხი. თუმცა შესაძლებელი იყო მეორე გადაწყვეტილებაც საშინელი დასასრულით - ამაზედაც უფიქრია. უცებ გრუშენკას რომ ეთქვა: „თავიდან დამეკარგე, ფიოდორ პავლოვიჩს უნდა გავყვე ცოლად, შენ აღარ მინდიხარო“, - მაშინ რა... მაშინ რა ქნას... მიტიამ არ იცოდა, რას გააკეთებდა ასეთ შემთხვევაში ბოლო წუთებამდე არ იცოდა, ამაში მართალი იყო. მას გუნებაში გარკვეული ზრახვები, რაიმე ბოროტმოქმედების ჩადენა ჩაფიქრებული არ ჰქონდა. ის მხოლოდ უთვალთვალებდა ქალს, დასდევდა და იტანჯებოდა, მისგან მხოლოდ პირველ გადაწყვეტილებას ელოდა, მისთვის ბედნიერების მომტანს. ყველა სხვა აზრს თავიდან იცილებდა. ამავე დროს, სრულიად სხვა ტანჯვა ეწყებოდა, იქმნებოდა სულ ახალი და უცხო, მაგრამ საბედისწერო და მოუგვარებელი ვითარება.

სახელდობრ, ისეთი ვითარება, როდესაც ქალი ეტყოდა: „წამიყვანე, შენი ვარო“,

მაშინ რა უნდა ექნა, როგორ წაეყვანა? სად ჰქონდა ამის საშუალება, ამდენი ფული? სწორედ ამ დროისათვის ამოიწურა ის განუწყვეტელი შემოსავლები, რასაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოწყალებასავით უგზავნიდა ფიოდორ პავლოვიჩი. რასაკვირველია, გრუშენკას თავისი ფული ჰქონდა, მაგრამ ეს მიტიას თავმოყვარეობაზე მოქმედებდა: მას უნდოდა, ქალი წაეყვანა და მასთან ერთად დაეწყო ახალი ცხოვრება საკუთარი სახსრებით, მის ხარჯზე ყოფნა არ სურდა; ვერც წარმოედგინა, როგორ უნდა აეღო მისგან ფული, ამის გაფიქრებაც კი ტანჯვას ჰგვრიდა. ახლა აღარ გავაგრძელებ ამ ფაქტზე ლაპარაკს და მის ანალიზს, მხოლოდ ამას ვიტყვი: იმ წუთებში ასეთი განწყობა ჰქონდა. შესაძლოა, ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა, სინდისი ტანჯავდა კატერინა ივანოვნას ფულის მითვისების შემდეგ: „ერთისთვის ხომ ნაძირალა ვარ, ახლა მეორესთვის გავხდები, - ასე ფიქრობდა მაშინ, როგორც შემდგომში აღიარა, - როცა გრუშენკა ყველაფერს შეიტყობს, თავად აღარ მოინდომებს ჩემნაირ ნაძირალასთან კავშირს“. რა ქნას ახლა, სად იშოვოს ფული? თუ არა და, ყველაფერი გაქრება, არაფერი გამოვა და „მხოლოდ იმიტომ, საკმარისი ფული რომ არა მაქვს, ვაი სირცხვილო!“

წინასწარ გეტყვით: საქმე ის არის, რომ მიტიამ ალბათ კარგად იცოდა, სად შეიძლებოდა ფულის შოვნა, სად იდო ფული. ამჟამად დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, რადგან შემდეგ ყველაფერი გაირკვევა; აი, რა იყო მისი მთავარი უბედურება, თუმცა მთლად ნათლად ვერ აგიხსნით, მაგრამ რაღაცას მიგანიშნებთ; ის სადღაც დადებული ფული რომ აეღო, ამ ფულის აღების უფლება რომ ჰქონოდა, მანამდე კატერინა ივანოვნასათვის სამი ათასი უნდა დაებრუნებინა, - არადა „ჯიბგირი ვარ, ნაძირალა, ახალი ცხოვრება კი ნაძირალას სახელით არ მინდა დავიწყო“, - ფიქრობდა მიტია, ამიტომ გადაწყვიტა, უპირველესად, თუ საჭირო იქნებოდა, ყველა ღონე ეხმარა, რადაც უნდა დასჯდომოდა, პირველ რიგში კატერინა ივანოვნას ვალი გაესტუმრებინა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ მას შემდეგ მიიღო, როცა ქუჩაში ალიოშას შეხვდა და გაიგო გრუშენკას მიერ კატერინას შეურაცხყოფის ამბავი. მიტიამ ყველაფერი გულდასმით მოისმინა, შემდეგ ალიოშას უთხრა - ნაძირალა ვარო და სთხოვა: ყველაფერი სიტყვასიტყვით გადაეცი კატერინას, „თუკი ეს რაიმე შვებას მიანიჭებსო“. იმ ღამეს, ძმასთან განშორების შემდეგ, გამწარებული მიტია ფიქრობდა: იქნებ უპრიანია, „ვინმე მოკლას და გაქურდოს, ოღონდ კი კატიას ფული დაუბრუნოს“. „სჯობს ჩემ მიერ მოკლულის და გაძარცულის მიმართ ვიყო მკვლელი და ყაჩაღი, სახალხოდ გამასამართლონ და გამაციმბიროონ, ვიდრე კატიამ თქვას, რომ ვუღალატე, ფული მოვპარე და ამ ფულით პატიოსანი ცხოვრების დასაწყებად გრუშენკასთან ერთად გავიქეცი! ამას ვერ ავიტან!“ ამას სულ კბილების ღრჭიალით ამბობდა მიტია და დროდადრო ეჩვენებოდა, რომ ჭკუიდან იშლებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ ყრიდა ფარ-ხმალს...

საოცარი ის იყო, რომ თითქოს ამგვარი გადაწყვეტილების შემდეგ სასოწარკვეთის მეტი არაფერი არ რჩებოდა, რამეთუ სად შეეძლო ამდენი ფულის შოვნა მისნაირ გაღლეტილ კაცს?! ამავე დროს, სამი ათასი მანეთის შოვნის იმედს ბოლომდე არ კარგავდა, ეგონა, ფული რაღაცნაირად მოვიდოდა, მოფრინდებოდა მასთან - შესაძლოა, ციდანაც კი. სწორედაც ასე ემართება ხოლმე ყველას, ვინც მიტიასავით მთელ ცხოვრებას ფულის ხარჯვასა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფლანგვაში ატარებს და წარმოდგენა არა აქვს, როგორ იშოვოს ფული.

ალიოშასთან განშორების შემდეგ სამი დღე იყო გასული, როცა ამნაირი აზრების ნიაღვარმა გონება აუმღვრია და თავგზა დაუბნია. ისე გამოვიდა, რომ მან ყველაზე უცნაური საქმე წამოიწყო. ალბათ ასეთ ვითარებაში მხოლოდ მისნაირ ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ყველაზე უჩვეულო და ფანტასტიკური გადაწყვეტილებები. მიტიამ გადაწყვიტა, გრუშენკას მფარველთან, ვაჭარ სამსონოვთან მისვლა და მისთვის შეთავაზება ერთი „იდეისა“, რომლის ხორცშესხმაც იმედს აძლევდა, მისთვის საჭირო თანხა მიეღო. იდეის კომერციულ მხარეში ეჭვი არ ეპარებოდა, გული მხოლოდ იმაზე ეთანაღრებოდა, როგორ შეხვდებოდა ამ შეთავაზებას სამსონოვი, თუ ის ამ იდეას არაკომერციული მხრიდან შეხედავდა. მიტია ამ კაცს მხოლოდ გარეგნულად იცნობდა, არასოდეს გაუცვნია და არანაირი კავშირი არ ჰქონია მასთან. მაგრამ რატომღაც უკვე კარგა ხანია სჯეროდა, რომ ეს ბებერი მრუში, რომელიც ახლა საწოლში სულს ღაფავდა, წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუკი გრუშენკა თავის მომავალ ცხოვრებას პატიოსნად მოაგვარებდა და ვინმე „კეთილსაიმედო კაცს“ ცოლად გაჰყვებოდა. იგი არათუ წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო ასეთი საქმის, არამედ თავად უნდა დაინტერესებულიყო, თუკი ასეთი შემთხვევა გამოჩნდებოდა და ხელი შეეწყო მისთვის. აქა-იქ მოსმენილი ხმებით და გრუშენკას გადმოცემით, მოხუცს გრუშენკასათვის მიტია ერჩივნა, ვიდრე ფიოდორ პავლოვიჩი. შესაძლოა, ბევრი ჩვენი მკითხველი თავმოყვარეობის დაკარგვად ჩაუთვლის მიტიას გრუშენკას მფარველისაგან ამდაგვარი დახმარების მიღების იმედს და მისგან საცოლის ლოცვა-კურთხევით გადმოცემის სურვილს. მაგრამ მიტიასათვის გრუშენკას წარსული საბოლოოდ განვლილი ეტაპი იყო. იგი ამ წარსულს დაუსრულებელი თანაგრძნობით უყურებდა და გრძნობამორეულს იმედი ჰქონდა, თუ გრუშენკა ეტყოდა - მიყვარხარ და ცოლად გამოგყვებიო, მაშინვე დაიბადებოდა სხვა გრუშენკა და მასთან ერთად სულ სხვა კაცი გახდებოდა მიტიაც - სავსებით უნაკლონი, მხოლოდ სათნოებით აღსავსენი, ორივე ერთმანეთს შეუნდობდა ცოდვებს და დაიწყებდნენ ახალ ცხოვრებას. რაც შეეხება კუზმა სამსონოვს, მიტია მას გრუშენკას უიღბლო წარსულის საბედისწერო პიროვნებად თვლიდა, რომელიც გრუშენკას არასოდეს ჰყვარებია; რაც უმთავრესია, მასთან დიდიხანია უკვე ყველაფერი დამთავრდა, გრუშენკასათვის იგი, როგორც მამაკაცი, აღარ არსებობდა. არც მიტია თვლიდა მას მამაკაცად, რადგან უკვე ყველასათვის იყო ცნობილი, რომ ამ დავრდომილ მოხუცებულს ერთი წელია უკვე მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა გრუშენკასთან. სწორედ ამაში მდგომარეობდა მიტიას გულუბრყვილობა. მიტია სხვა ბევრ ნაკლთან ერთად გულუბრყვილო კაციც იყო. სხვათაშორის, ამ გულუბრყვილობის შედეგად მას სერიოზულად სჯეროდა, რომ ბებერი კუზმა, სანამ სული ამოხდებოდა, გულწრფელი სინანულის გრძნობით აღივსებოდა გრუშენკასთან წარსულში არსებული ურთიერთობის გამო და რომ ახლა ქალს სხვა ერთგული მფარველი და მეგობარი აღარავინა ჰყავდა ამ უძლური მოხუცის გარდა.

ალიოშასთან საუბრის შემდეგ, მეორე დღეს, დაახლოებით დილის 10 საათი იქნებოდა, მთელი ღამის უძინარი მიტია სამსონოვს სახლში ესტუმრა და მსახურს სთხოვა, ბატონისათვის მის შესახებ მოეხსენებინა. ამ ძველთაძველი ორსართულიანი, დიდი და შეუხედავი სახლის ეზოში დამატებითი შენობები და ფლიგელი იდგა. სახლის ქვედა სართულზე სამსონოვის მოხუცი და, ორი ცოლშვილიანი ვაჟი და გაუთხოვარი ქალიშვილი ცხოვრობდნენ. ფლიგელი

სამსონოვის ორ ნოქარს ეკავა. ერთ-ერთი წვრილშვილიანი იყო. ქვედა სართულზე მაცხოვრებლები დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ, ხოლო მაღლა, მთელ მეორე სართულზე მოხუცი ვაჭარი დაბინავებულიყო და მომვლელ ქალიშვილსაც არ აძლევდა იქ დაძინების ნებას. გარკვეულ საათებსა და გაუთვალისწინებელ დროს მამის დაძახილზე ეს ქოშინით დაავადებული ქალი იძულებული იყო, ქვევიდან ზევით ერბინა. ზედა სართული რამდენიმე სადღესასწაულო ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ვაჭრული გემოვნებით შერჩეული ძველებური ავეჯით იყო გაწყობილი: კედლების გასწვრივ გრძელ რიგად იდგა წითელი ხის მოუხერხებელი სავარძლები და სკამები, ბროლის ჭაღებს შალითები ჰქონდა შემოხვეული, ხოლო ყოველი კედლის შუაში სარკე ეკიდა. ამ ოთახებში არავინ ცხოვრობდა. მოხუცი ვაჭარი ერთ პატარა საძინებელ ოთახში იწვა, სადაც მას ემსახურებოდნენ ერთი თავსაფრიანი ბებერი მოახლე და მსახური ბიჭი, რომელსაც ღამით წინკარში მერხზე ეძინა. სამსონოვს ფეხები ისე ჰქონდა დასიებული, რომ საირული თითქმის აღარ შეეძლო. მხოლოდ ხანდახან თუ ადგებოდა მოხუცი მოახლის დახმარებით და ოთახში გაივლ-გამოივლიდა. ამ მოახლესაც მკაცრად ექცეოდა, იშვიათად თუ დაელაპარაკებოდა ხოლმე. როცა კაპიტნის მოსვლა მოახსენეს, უარი განაცხადა მის მიღებაზე. მაგრამ მიტია არ მოეშვა და იქიდან ფეხს არ იცვლიდა. კუზმა კუზმიჩმა მისულის შესახებ დაწვრილებით გამოჰკითხა მსახურს: როგორ გამოიყურება? მთვრალი ხომ არ არის? ხომ არ შფოთავს? მსახურმა მოახსენა, რომ „ფხიზელია, მაგრამ წასვლა არ სურს“. მოხუცმა კვლავ უარი შეუთვალა. მიტია ასეთ მიღებას წინასწარ ელოდა და თან წამოღებული ჰქონდა ფანქარი და ქაღალდი. მან მოხუცს ერთსტრიქონიანი ბარათი დაუწერა: „გადაუდებელი საქმე მაქვს აგრაფინა ალექსანდროვნასთან დაკავშირებით“ და მსახურს გაატანა. მოხუცმა ერთხანს იფიქრა და შემდეგ მსახურს ნება დართო, სასტუმრო ოთახში შემოეყვანა სტუმარი. მოახლე ქალს კი უბრძანა, უმცროსი შვილი ახლავე ზემოთ ხლებოდა მამას. ეს უმცროსი შვილი ერთი ჯმუხი, დიდი ჯანის პატრონი მამაკაცი გახლდათ. სახეგაპარსული და გერმანულ სამოსში გამოწყობილი (თავად წვერმოშვებულ სამსონოვს ძველებური ხიფთანი ეცვა) დადიოდა. შვილი მალე ეახლა მამას. მოხუცმა შვილი იმიტომ კი არ იხმო, რომ კაპიტნის ეშინოდა - არა, მოხუცი მშიშარა კაცი არ იყო, არამედ, ყოველი შემთხვევისათვის, მოწმე უნდოდა ჰყოლოდა. შვილსა და მსახურზე დაყრდნობილი სამსონოვი სასტუმრო ოთხში შევიდა. საფიქრებელია, რომ იგი საკმაოდ დააინტერესა ამ ამბავმა. უზარმაზარი და მყუდროებას მოკლებული სასტუმრო ოთახი დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის განწყობილებაზე. ოთახს ანტრესოლი ჰქონდა, კედლები მარმარილოს მსგავსი მასალით იყო მოპირკეთებული, ხოლო ჭერზე სამი უზარმაზარი, შალითაშემოხვეული ბროლის ჭაღი ეკიდა. ოთახის შემოსასვლელ კართან სკამზე ჩამომჯდარი აღელვებული მიტია ამ შეხვედრას მოუთმენლად ელოდა. როცა ასე ათი საჟენის მანძილზე მოპირდაპირე კართან მოხუცი გამოჩნდა, უცებ მიტია სკამიდან წამოხტა და თავისებური ჯარისკაცული, არშინიანი ნაბიჯებით გაემართა მის შესახვედრად. კოხტად ჩაცმულ მიტიას სერთუკი ბოლომდე შეკრული ჰქონდა, ერთ ხელში შლაპა ეჭირა, მეორეში შავი ხელთათმანები, ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც ამასწინათ მონასტერში ყოფნისას, როცა მამასა და ძმებთან ერთად ბერის სენაკში შეიკრიბნენ. მოხუცი მედიდურად იდგა და მიტიას უბღვერდა. უცებ მიტიამ იგრძნო, სანამ

მიუახლოვდებოდა, ბერიკაცი როგორ გულდასმით ათვალიერებდა. მიტია გაკვირვებული უყურებდა მოხუცის ამ ბოლო ხანებში შეშუპებულ სახეს: ისედაც გაბუშტული ქვედა ბაგე ახლა საშინლად გასიებოდა და გადმოკიდებული ჰქონდა. სამსონოვი ზვიადად, უხმოდ მიესალმა სტუმარს და დივანის პირდაპირ მდგარ სავარძელზე მიუთითა, თავად კი ნელ-ნელა, კრუსუნ-კრუსუნით, შვილის ხელზე დაყრდნობილი დაეშვა დივანზე. ამის შემყურე მიტიას სინანულისა და სირცხვილის გრძნობა დაეუფლა ასეთი სნეული პატივსაცემი პიროვნების შეწუხების გამო.
- რა გნებავთ, ბატონო ჩემო? - ბოლოს და ბოლოს ამოღერღა ნელ-ნელა და გამოთქმით, მკაცრი, მაგრამ ზრდილობიანი ტონით ბერიკაცმა.
მიტია შეკრთა, წამოხტომა დააპირა, მაგრამ ისევ დაჯდა, შემდეგ აღელვებულმა, ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა დაიწყო ლაპარაკი. ხელებს შლეგივით აქეთ-იქეთ იქნევდა. ეტყობოდა, კაცი უკანასკნელ დღეში იყო, რომ იტყვიან - წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და თუ არაფერი გამოუვიდოდა, სიცოცხლეს მოისწრაფებდა. მოხუცი სამსონოვი უმალვე მიხვდა ყოველივეს, თუმცა მისი გამომეტყველება არ შეცვლილა, კვლავ ცივი და გაშეშებული დარჩა.
„უკეთილშობილესო კუზმა კუზმიჩ, თქვენ ალბათ კარგად მოგეხსენებათ, ჩემსა და მამაჩემს შორის შეხლა-შემოხლის თაობაზე. ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვმა მიითვისა დედისგან დატოვებული მთელი ჩემი ქონება... დღეს ამაზე მთელი ქალაქი ილესავს ენას. აქ ხომ ყველაფერზე ენას აჭარტალებენ... გარდა ამისა, შესაძლოა გრუშენკასაგანაც იცით... მაპატიეთ: აგრაფენა ალექსანდროვნასაგან.. დიდად პატივცემულ და ღირსეულ აგრაფენა ალექსანდროვნასაგან...“ - ასე დაიწყო მიტიამ ლაპარაკი და უცებ პირველ სიტყვებზევე შეწყვიტა. ჩვენ არ შევუდგებით ამ მონოლოგის სიტყვასიტყვით გადმოცემას, მხოლოდ მის მოკლე შინაარსს მოგახსენებთ. საქმე იმაში ყოფილა, რომ მიტია, ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინ, საგანგებოდ ჩასულა რჩევის მისაღებად საგუბერნიო ქალაქის ადვოკატთან, „ცნობილ ადვოკატთან, პაველ პავლოვიჩ კორნოპლოდოვთან, კუზმა კუზმიჩ, ალბათ გსმენიათ მის შესახებ? ჭკუის კოლოფია, ფრიად განათლებული კაცი... თქვენ გიცნობთ... კარგად მოგიხსენიათ...“ - კიდევ ერთხელ შეწყვიტა ლაპარაკი მიტიამ. მაგრამ ეს წყვეტა ხელს არ უშლიდა, საუბარი გაეგრძელებინა. თურმე ამ კორნეპლოდოვს გულდასმით გამოუკითხავს მიტია და გამოწვლილვით შეუსწავლია მის მიერ მიწოდებული დოკუმენტები (დოკუმენტების შესახებ მიტიამ ბუნდოვნად ილაპარაკა და სასწრაფოდ სხვა თემაზე გადავიდა), მისი აზრით, სოფელი ჩერმაშნია მიტიას დედისაგან მემკვიდრეობით ეკუთვნის, რომ მიტიას შეუძლია, ამის თაობაზე სასამართლოში შეიტანოს სარჩელი და უსინდისო ბებერი (მამამისი) მშრალზე დატოვოს... „იმიტომ რომ ყველა კარი არ არის ჩარაზული, იუსტიცია გამოსავალს მონახავს“. ერთი სიტყვით, კიდევ იმედი აქვს, მამამისისგან დამატებით ექვსი-შვიდი ათასი მიიღოს, რადგან ჩერმაშნია ოცდახუთი ათასზე ნაკლები არ ღირს, ალბათ ოცდარვა ათასიც, „ოცდაათიც, ოცდაათიც, კუზმა კუზმიჩ, მე კი ვერ შევძელი ჩვიდმეტი ათასი მაინც მიმეღო ვერაგი კაცისაგან!..“ შემდეგ მიტიას საქმე აღარ გაუგრძელებია: იუსტიციასთან ურთიერთობა არ მეხერხებაო, აქ ჩამოსული გაოგნებულა, რადგან მის წინააღმდეგ სარჩელი მამამისს შეუტანია (მიტია ისევ დაიბნა და ისევ სხვა თემაზე გადავიდა): ასე და ამგვარად, უკეთილშობილესო კუზმა კუზმიჩ, ხომ არ ინებებთ, გადაიბაროთ ჩემი უფლებები ამ სოფელზე და მე მომცეთ მხოლოდ სამი

ათასი... თქვენ არავითარ შემთხვევაში არ წააგებთ, გეფიცებით, პირიქით, სამი ათასის ნაცვლად თქვენ ექვსი-შვიდი ათასის მოგებას ნახავთ... ჩემთვის მთავარია, ეს საქმე „დღესვე“ დავასრულოთ. „მე თქვენ იქ ნოტარიუსთან, ან როგორაა... ერთი სიტყვით, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ყველა დოკუმენტს მოგართმევთ, რასაც კი მომთხოვთ, ყველაფერს ხელს მოვაწერ... ჩვენ ეს ქაღალდები ახლავე შეგვიძლია შევქმნათ, ოღონდ თუ შეიძლება, თუ შეგიძლიათ, დღესვე, ამ დილითვე... სამი ათასი მომცეთ... თქვენ წინააღმდეგ ამ ქალაქში ვერავინ გამოვა... ამით მეც მიხსნით... ერთი სიტყვით, მე, საცოდავს, გადამარჩენთ ერთი კეთილი საქმისათვის, შეიძლება ითქვას, დიდებული საქმისათვის... რამეთუ წმინდა გრძნობით ვარ განმსჭვალული თქვენთვის კარგად ცნობილი არსების მიმართ, რომელსაც მამობრივ ზრუნვას არ აკლებთ. ასე რომ არ იყოს, მე თქვეთან არ მოვიდოდი. ამ შემთხვევაში სამი შუბლი შეეჯახა ერთმანეთს, რამეთუ ბედი - საშინელი რამაა, კუზმა კუზმიჩ! რეალიზმი, კუზმა კუზმიჩ, რეალიზმი! მაგრამ რადგან თქვენ ამ სამეულიდან უკვე კარგა ხანია ამოვარდნილი ხართ, დარჩება ორი შუბლი, მგონი ცუდად გამომივიდა, მე ხომ ლიტერატორი არა ვარ. მაშასადამე, ერთი შუბლი ჩემია, მეორე - იმ მხეცის. არჩევანი თქვენზეა: ან მე ან ის მხეცი? ახლა ყველაფერი თქვენს ხელშია - სამი ბედი და ორი არჩევანი... ბოდიში, რაღაც ავურიე, მაგრამ თქვენ, მგონი, გამიგეთ... თქვენი თვალები მეუბნება ამას, თუ ვერ გამიგეთ, სხვა გზა არ დამრჩენია, თავი მაქვს მოსაკლავი!“
მიტიამ ეს აბდაუბდა მონოლოგი დაამთავრა და თავის ბრიყვულ წინადადებაზე პასუხის მოლოდინში ადგილიდან წამოხტა. ბოლო ფრაზაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ანაზდად იგრძნო - ყველაფერი ჩაიშალა, მიხვდა, სისულელეები წამოროშა. „უცნაურია, სანამ აქეთ მოვდიოდი, თითქოს ყველაფერი კარგად მეჩვენებოდა, ახლა კი რა გამოვიდა!“ - გაიფიქრა იმედდაკარგულმა. სანამ მიტია ლაპარაკობდა, მასპინძელი გაუნძრევლად იჯდა და ცივად შესცქეროდა მას. ბოლოს, ერთი-ორი წუთის დაყოვნების შემდეგ, მტკიცე და სერიოზული ხმით თქვა:
- უკაცრავად, ბატონო, ჩვენ ასეთი საქმეები არ გვაინტერესებს.
ანაზდად მიტიამ იგრძნო, როგორ ეკვეთებოდა მუხლები.
- აბა, რა ვქნა ახლა მე, კუზმა კუზმიჩ, - მწარე ღიმილით ჩაიბურტყუნა მან, - დავიღუპე და ეგ არის.
- გვაპატიეთ, ბატონო...
მიტია კვლავ იდგა და დაჟინებული შესცქეროდა მასპინძელს. უცებ მოხუცის სახეზე რაღაცამ გაიელვა. იგი შეკრთა.
- იცით, ბატონო ჩემო, ამგვარი საქმეები ჩვენ არ გვეხერხება, - ნელ-ნელა წარმოთქვა მოხუცმა, - დაიწყება სასამართლოები, ადვოკატები, მთელი დავიდარაბა! თუ გნებავთ, აქ არის ერთი პიროვნება, იმას მიმართეთ...
- ღმერთო ჩემო, ვინ?.. თქვენ ჩემი ღმერთი ხართ, კუზმა კუზმიჩ, - ჩაილუღლუღა მიტიამ.
- აქაური არ არის, ახლა აქ არ იმყოფება. გლეხებისაგან ხე-ტყეს იძენს ხოლმე. სახელად ლიაგავი ჰქვია. ერთი წელია მამათქვენს ჩერმაშნიას ჭალაზე ევაჭრება. ყიდვა უნდა, ფასზე ვერ შეთანხმებულან, იქნებ გაგიგიათ კიდეც. ახლაც ჩამოსულია, ოღონდ მამა ილინსკისთან დგას, სადგურ ვოლოვოიდან 12 ვერსის მოშორებით, სოფელ ილინსკიში. ამ ჭალის თაობაზე წერილიც კი მომწერა, რჩევას მთხოვდა. ფიოდორ პავლოვიჩი თავად აპირებდა მასთან გამგზავრებას. თქვენ თუ

მამათქვენს დაასწრებთ და ლიაგავის თქვენს წინადადებას შესთავაზებთ, რასაც მე მთავაზობდით, შეიძლება მან იკისროს კიდეც ეგ საქმე...
- გენიალური აზრია! - შეაწყვეტინა აღფრთოვანებულმა მიტიამ. - სწორედ მას, სწორედ მას ჩავუგდებ ხელში! ის ევაჭრება, მას ბევრსა სთხოვენ, ამ დროს მე მაქვს ხელთ დოკუმენტი მფლობელობის შესახებ, ხა-ხა-ხა! - მიტიას მოულოდნელად ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ სამსონოვი შეკრთა.
- არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, კუზმა კუზმიჩ, - როხროხებდა მიტია.
- არაფერს, ბატონო, - თავი დაუკრა სამსონოვმა.
- თქვენ არც იცით, რა ჩაიდინეთ, თქვენ მე გადამარჩინეთ. ოო, თქვენთან ნამდვილად წინათგრძნობამ მომიყვანა... მაშ ასე, ახლა ჰერი იმ მღვდლისაკენ!
- არაფერია სამადლობელო, ბატონო.
- მივფრინავ, მივფრინავ. მაპატიეთ, ავადმყოფი კაცი შეგაწუხეთ. ამ სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ, საუკუნოდ მემახსოვრება, ამას რუსი კაცი გეუბნებათ თქვენ, კუზმა კუზმიჩ, რ-რუსი ადამიანი!
- დიახ, ბატონო.
მიტია მასპინძლისათვის ვაჟკაცურად ხელის ჩამორთმევას აპირებდა, მაგრამ მოხუცის თვალებში თითქოს რაღაცამ ბოროტად გაიელვა. მიტიამ ხელი უმალ უკან წაიღო და თან თავს უსაყვედურა ეჭვიანობის გამო. „გადაიღალა ალბათ კაციო...“ - გაიფიქრა.
- მისთვის! ყველაფერს მისთვის ვაკეთებ, კუზმა კუზმიჩ! თქვენ ხომ იცით, ყველაფერს გრუშენკასათვის ვაკეთებ! - მთელი ხმით ღრიალებდა მიტია, შემდეგ თავი დაუკრა მასპინძელს, სწრაფად შემოტრიალდა და თავისებური დიდ-დიდი და ჩქარ-ჩქარი ნაბიჯებით, მოუბრუნებლად გასასვლელისაგან გაემართა. სიხარულისგან მთელი სხეული უთრთოდა. „ყველაფერი დაკარგულად მიმაჩნდა, მაგრამ მფარველმა ანგელოზმა გადამარჩინა. - ფიქრობდა ის. - თუკი ისეთმა საქმოსანმა, როგორიც ეს მოხუცია (კეთილშობილი და ამაყი მოხუცი!) ასეთი გზისკენ მიმითითა, მაშინ... ეს გზა აუცილებლად მომგებიანი იქნება. ახლავე უნდა გავფრინდე, დაღამებამდე დავბრუნდები, საქმე მოსაგებია. ნუთუ მოხუცს ჩემი გაპამპულება უნდოდა?“ ამას ფიქრობდა მიტია და თავის ოთახში ბოლთას სცემდა. ცხადია, სხვანაირად ის ვერ იფიქრებდა: ეს ან სასარგებლო რჩევა იყო ისეთი საქმოსანისაგან, რომელიც ყველაფერში ერკვევა და კარგადაც იცნობს ლიაგავის (უცნაური გვარია!), ან დაცინვა! ვაი რომ, ეს ბოლო მოსაზრება იყო სიმართლე. მოგვიანებით, კატასტროფის შემდეგ, ბებერმა სამსონოვმა სიცილით აღიარა, როგორ გააპამპულა „კაპიტანი“. ეს იყო ბოროტი, ცივი და დამცინავი პიროვნება, რომელსაც ყოველივე ამ სიკეთეებთან ერთად ავადმყოფური ანტიპათიები ჰქონდა. არ ვიცი, კაპიტნის აღფრთოვანებულმა გამომეტყველებამ, თუ ამ „ბედოვლათისა და მფლანგველის“ სულელურმა თავდაჯერებულობამ იმის თაობაზე, რომ სამსონოვი შეიძლებოდა მის „გეგმას“ დახარბებოდა, თუ გრუშენკას მიმართ ეჭვიანობის გრძნობამ, ვისი გულისათვისაც „ეს გიჟმაჟი“ მას ფულის გამოძალვისთვის ესტუმრა - ნამდვილად არ ვიცი, რამ აიძულა სამსონოვი, იმ წუთებში სასოწარკვეთილი მიტიას ასე სასტიკად გაპამპულება რომ გადაწყვიტა. როცა მიტია გავიდა, სიავისაგან გაფითრებულმა კუზმა კუზმიჩმა შვილს უთხრა, რომ მსახურებისათვის ებრძანებინა, რათა შემდგომში ეს უნიფხვო სახლში აღარ შემოეშვათ, თუ არა და...

მას არ უთქვამს, რას იმუქრებოდა, მაგრამ შვილიც კი, რომელსაც ხშირად ენახა განრისხებული მამა, შეაშინა მისმა გამომეტყველებამ. მიტიას წასვლის შემდეგ ბებერი ერთი საათის განმავლობაში ბრაზისაგან კანკალებდა, საღამოს შეუძლოდ გახდა და ექიმის მოყვანა ითხოვა.

II ლიაგავი

მაშ ასე, უნდა ეჩქარა, მაგრამ სამგზავრო ფული გროშ-კაპიკიც არ გააჩნდა, უფრო სწორად გარდასული კეთილდღეობიდან ორი უზალთუნიღა შემორჩენოდა! სახლში ერთი მოშლილი, ძველი ვერცხლის საათი ეგდო. მიტიამ ხელი დაავლო და ბაზარში ერთ ებრაელ მესაათეს მიუტანა. მესაათემ საათში 6 მანეთი გადაუხადა. „ამასაც არ ველოდიო!“ - იყვირა გახარებულმა მიტიამ და სახლისაკენ გამოქუსლა. სახლის პატრონებისაგან სამი მანეთი ისესხა. მათ ისე უყვარდათ მიტია, რომ სიამოვნებით მისცეს, თავად კი სულ უკაპიკოდ დარჩნენ. აღფრთოვანებულმა მიტიამ გული გადაუშალა, უთხრა, რომ ახლა წყდებოდა მისი ბედი და სასწრაფოდ თავისი გეგმა გააცნო, ისიც მოუთხრო, რა გადაწყვიტეს სამსონოვთან და ა.შ. და ა.შ. სახლის პატრონები ადრეც იყვნენ მისი საიდუმლოებების კურსში, ისინი მიტიას ახლობელ ადამიანად თვლიდნენ, სულაც არ მიაჩნდათ ამპარტავან ბატონად. ამგვარად, ცხრა მანეთი დაუგროვდა. მიტიამ კაცი გააგზავნა საფოსტო ეტლის მოსაყვანად, სადგურ ვოლოვიემდე რომ ჩასულიყო. ასე და ამგვარად, დავიმახსოვროთ ფაქტი, რომ „რომელიღაც მოვლენის შემდეგ, შუადღისათვის, მიტიას კაპიკიც არ ჰქონდა, ფულის საშოვნელად საათი გაყიდა და სამი მანეთი სახლის პატრონებს ესესხა. ყველაფერი ეს მოწმეების თანდასწრებით მოხდა“.
ამ ფაქტს საგანგებოდ ვუსვამ ხაზს, შემდგომში მიხვდებით, რისთვის გავაკეთე ეს.
სულ ქროლვა-ქროლვით ჩავიდა მიტიას ეტლი სადგურ ვოლოვიემდე. მართალია, მიტიას უხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესმებოდა „ყველა ამ საქმეს“, მაგრამ ამავე დროს შიშისაგან თრთოდა, ვინაიდან არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა გრუშენკა მისი ქალაქში არყოფნის დროს - ვაითუ, მაინცდამაინც დღეს მოუნდეს ფიოდორ პავლოვიჩთან წასვლა? სწორედაც ამიტომ ისე გაემგზავრა, რომ გრუშენკას არაფერი უთხრა, ის კი არა, სახლის პატრონებს დაუბარა, არავისთვის შეეტყობინებინათ მისი ასავალ-დასავალი. „აუცილებლად, უსიკვდილოდ დღესვე უნდა დავბრუნდე, - თავისთვის იმეორებდა ეტლში მჯდომი, - ეს ლიაგავიც თან უნდა წამოვიყვანო... ამ საქმის დასაბოლოებლადო...“ - ასე ოცნებობდა მიტია, მაგრამ, ვაი რომ, არ ეწერა ამ ოცნებას ასრულება.
ჯერ ერთი, დააგვიანდა, რადგან ვოლოვიემდე თემშარით წავიდნენ. თემშარით მანძილი თორმეტი კი არა თვრამეტი ვერსი აღმოჩნდა. მეორეც, ილინსკელი მღვდელი სახლში არ დახვდა, მეზობელ სოფელში იყო წასული. იმ მეზობელ სოფელში მიტია იმავე, უკვე ქანცგამოცლილი ცხენებით გაემგზავრა. სანამ მღვდელს მოძებნიდა, შემოაღამდა კიდეც. მღვდელი მორიდებული და თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. მან მიტიას მოახსენა, რომ ლიაგავი, მართალია, პირველად მასთან გაჩერდა, მაგრამ ახლა სუხოი პოსიოლოკში იმყოფება, იქაც ხე-ტყეს

ვაჭრობს და ამაღამ ტყის დარაჯის ქოხში დარჩებაო. მიტიას თხოვნაზე, ახლავე წაეყვანა მღვდელს იგი ლიაგავისთან და „დაღუპვისაგან გადაერჩინა“, მღვდელი თავდაპირველად შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა, მიტია სუხოი პოსიოლოკამდე მიეცილებინა. ალბათ ცნობისმოყვარეობამ სძლია. მღვდელმა, თავისდა საუბედუროდ, მიტიას ურჩია, ფეხით წასულიყვნენ, იქამდე ერთ ვერსზე ცოტა მეტი იქნებაო. მიტია, რასაკვირველია, დათანხმდა, მაგრამ ისეთი დიდ-დიდი ნაბიჯებით გაუდგა გზას, რომ საწყალი მღვდელი კუნკულ-კუნკულით მისდევდა უკან. მღვდელი ჯერ არც ისე ხნიერი, მაგრამ ფრთხილი კაცი იყო. გზადაგზა მიტიამ მასაც თავის გეგმებზე დაუწყო ლაპარაკი, გაღიზიანებული მოითხოვდა მღვდლისაგან რჩევებს, როგორ ელაპარაკა ლიაგავისთან. მთელი გზა ენა არ გაუჩერებია. მღვდელი გულდასმით უსმენდა, მაგრამ რჩევა არანაირი არ მიუცია. მიტიას კითხვებზე მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს იძლეოდა: „არ ვიცი. აბა, მე საიდან მეცოდინება“ და ა.შ. როცა მიტიამ მამასთან მემკვიდრეობის გამო ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე დაიწყო ლაპარაკი, მღვდელი დაფრთხა, ვინაიდან ფიოდორ პავლოვიჩთან რაღაცნაირად იყო დაკავშირებული. მღვდელს ძალიან უკვირდა, რატომ მოიხსენიებდა მიტია გლეხ გორსტკინს ლიაგავად. მართალია, მას ამ სახელს ეძახდნენ, მაგრამ გოსტკინს ძალიან არ მოსწონდა ეს თიკუნი. მღვდელმა ურჩია მიტიას, გორსტკინისთვის მეტსახელით არ მიემართა, რადგან „ამის შემდეგ მასთან ვერაფერზე ვეღარ შეთახმდებით, არც კი მოგისმენთ“, - დასძინა მღვდელმა. ამ ამბით გაოცებულმა მიტიამ მღვდელს აუხსნა, რომ გორსტკინს ამ სახელით მოიხსენიებდა სამსონოვიო. როცა მღვდელმა ეს მოისმინა, იმავ წამს ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა, თუმცა კარგს იზამდა, მიტიასათვის თავისი ეჭვი გაეზიარებინა: თუკი სამსონოვმა ამ კაცთან გამოგგზავნა, როგორც ლიაგავისთან, შენი გამასხარავება ხომ არ სურდა? მიტიას სად ეცალა, ასეთი „წვრილმანებისათვის“ ყურადღება მიექცია. ის ჩქარობდა. მიტიამ სუხოი პოსიოლოკში მისვლისას აღმოაჩინა, რომ ვერსნახევარი კი არა, ალბათ სამი ვერსი გაიარეს. ამან ძალიან დაამწუხრა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ისინი შევიდნენ ქოხში. რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, მღვდლის ნაცნობი მეტყევე ქოხის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, წინკარს იქით, ქოხის მეორე ნახევარი გორსტკინს ეკავა. მეტყევემ ისინი ქოხის მეორე ნახევარში შეიყვანა და სანთელი აანთო. ქოხში ძალიან თბილოდა. ფიჭვის მაგიდაზე გაციებული სამოვარი იდგა, იქვე ფინჯნებიანი ლანგარი, რომის დაცლილი ბოთლი, არყიანი შტოფი და პურის ნარჩენები ელაგა. თავად გორსტკინი იქვე, მერხზე გაშხლართული იწვა, თავქვეშ სასთუმლად დახვეული ზედა სამოსი ედო და გემოზე ხვრინავდა. მიტია გაოგნებული შესცქეროდა. „აუცილებლად უნდა გავაღვიძო: ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, აქეთ ძალიან მოვიჩქაროდი, ახლაც ძალიან მეჩქარება, დღესვე უკან უნდა დავბრუნდე“, - ფიქრობდა შეშფოთებული მიტია. მეტყევე და მღვდელი დუმდნენ, არაფერს ამბობდნენ. მიტია მიუახლოვდა მძინარეს და გაღვიძება დაუწყო, კარგა ხანს ანჯღრევდა, მაგრამ ვერაფრით გააღვიძა. „მთვრალია, - თქვა მიტიამ, - ღმერთო ჩემო, რა ვქნა ახლა მე, რა მეშველება!“ უცებ განერვიულებული მიტია ეტაკა მძინარეს და ხან ფეხებით, ხან ხელებით დაითრია, ხან თავი გადაუწ-გადმოუწია, ხან წამოყენება და ხან მერხზე დასმა დაუპირა. მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მთვრალი აბურტყუნდა და ერთი მაგრადაც შეიგინა.

- სჯობია, მოიცადოთ, - ბოლოს და ბოლოს თქვა მღვდელმა, - ხომ ხედავთ, ვერ

იღვიძებს.
- მთელი დღე სვამდა, - ხმა აუბა დარაჯმა.
- ღმერთო ჩემო! - ყვიროდა მიტია, - თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მჭირდება ახლა ეს კაცი, როგორი სასოწარკვეთილი ვარ!
- დილამდე მოცდა აჯობებდა, - კვლავ ურჩია მღვდელმა.
- დილამდე? რას ლაპარაკობთ, შეუძლებელია! - ლამის სასოწარკვეთილმა მიტიამ კვლავ დააპირა, მივარდნოდა მთვრალს გასაღვიძებლად, მაგრამ გადაიფიქრა, მიხვდა, რომ ყოველივე ამას აზრი არ ჰქონდა. მღვდელი დუმდა, ხოლო ნამძინარევი დარაჯი იბღვირებოდა.
- რა საშინელ ტრაგედიებს უწყობს რეალობა ადამიანს! - ჩაილაპარაკა უკვე მთლად სასომიხდილმა მიტიამ. სახიდან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. მღვდელმა მომენტით ისარგებლა და მიტიას დაუწყო დარიგება: მთვრალმა რომც გაიღვიძოს, მასთან რაიმე სერიოზულზე ლაპარაკი მაინც შეუძლებელი იქნება, „თქვენ კი მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ, ამიტომ აჯობებდა დილამდე მოგეთმინათო...“ იმედდაკარგულმა მიტიამ ხელები გაასავსავა და დათანხმდა.
- კარგი, მამაო, მე აქ დავრჩები, სანთელი ანთებული იყოს, როგორც კი გაიღვიძებს, მაშინვე დაველაპარაკები... სანთლისას გადაგიხდი, - უთხრა დარაჯს, - აქ ყოფნის საფასურსაც, დაგამახსოვრდება დმიტრი კარამაზოვი. აი, თქვენ სად მოისვენებთ, მამაო, ეს მაწუხებს?
- მაგის დარდი ნუ გექნებათ, მე შინ დავბრუნდები, ამის ჭაკი ცხენით გავემგზავრები, - მიუთითა დარაჯზე, - მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, წარმატებას გისურვებთ.
ყველაფერი ასე გადაწყდა. ჭაკზე ამხედრებული მღვდელი შინისაკენ გაემართა. იგი ძალიან კმაყოფილი იყო, მიტიას რომ თავი დააღწია. გზადაზა ფიქრობდა, ხომ არ შევატყობინო ფიოდორ პავლოვიჩს ყოველივე, „თორემ შეიძლება როდისმე გაიგოს აქ მომხდარი ამბავი, გამიბრაზდეს და წყალობა მომაკლოსო.“ დარაჯმა თავი მოიფხანა და თავის ნაწილში გავიდა. მიტია კი მერხზე ჩამოჯდა იმის მოლოდინში, როდის გაიღვიძებდა მთვრალი გორსტკინი. მის სულს მძიმე ნისლივით შემოაწვა სევდა, ღრმა და საშინელი ნაღველი! იჯდა და ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა. სანთელი იწვოდა, სადღაც ჭრიჭინობელას ხმაც გაისმა, დახუთულ ოთახში მძიმე ჰაერი იდგა. მოულოდნელად თვალწინ დაუდგა მამამისის ბაღი, სახლიდან ბაღში გამოსასვლელი კარი: კარი ჩუმად იღება და სახლში შერბის გრუშენკა... მიტია მერხიდან წამოხტა.
- ნამდვილი ტრაგედიაა! - მწარედ ჩაილაპარაკა მან, მაშინვე მძინარეს მიუახლოვდა და სახეზე დახედა. ეს იყო გრძელი პირისახის მქონე, ხმელ-ხმელი, ხანშიშესული მამაკაცი, რომელსაც ქერა კულულები და მოგრძო ჟღალი წვერი ჰქონდა. ტანზე ეცვა ჩითის პერანგი და შავი ჟილეტი, რომლის ჯიბიდან ვერცხლის საათის ძეწკვი მოუჩანდა. მიტია ზიზღით უყურებდა მძინარის ფიზიონომიას, განსაკუთრებით მისი ქერა კულულები აღიზიანებდა. ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ ახლა მიტია, თავისი გადაუდებელი საქმით გაწამებული და გადაღლილი, თავზე ადგა ამ მუქთახორას, „რომელზედაც დამოკიდებული იყო მთელი მისი მომავალი, ის კი არხეინად ხვრინავდა, თითქოს უცხოპლანეტელი ვინმე იყო“. „ბედის დაცინვა სწორედ ამას ჰქვია! - შესძახა გაშმაგებულმა მიტიამ და კვლავ გასაღვიძებლად ეცა მთვრალს. იგი გააფთრებული ანჯღრევდა, ურტყამდა კიდეც, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ, როცა ვერაფერს გახდა,

გასავათებული თავის მერხს დაუბრუნდა.
- რა სისულელეა, რა სიბრიყვე! - თავისთვის გაიძახოდა მიტია, - და როგორი უსინდისობა! - უცებ რატომღაც დაუმატა. საშინლად ასტკივდა თავი: „ხომ არ მივატოვო აქაურობა? უკან დავბრუნდე, - ანაზდად გაუელვა თავში, - არა, ბარემ დილამდე მოვიცდი! განგებ დავრჩები, განგებ! აბა, რისთვისა ვარ ჩამოსული? გარდა ამისა, ვერაფერს წავყვები, უაზრობაა!“
თავი ლამის გახეთქვაზე ჰქონდა. ტკივილი არ ცხრებოდა. გაუნძრევლად იჯდა, არც ახსოვს, როდის მოერია რული და მერხზე მჯდარს ჩაეძინა. ორ საათზე მეტი ეძინა. აუტანელმა თავის ტკივილმა გააღვიძა, კივილამდე გაუსაძლისმა. საფეთქლებში ურტყამდა, კეფა უსკდებოდა; გამოფხიზლებული დიდხანს ვერ მოვიდა გონს, ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის თავს. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ გადახურებულ ოთახში საშინელი მხუთავი აირი იყო დაგროვილი, რომელსაც შეეძლო მოეგუდა კიდეც. მთვრალი გლეხი კვლავ იწვა და ხვრინავდა, სანთელი თითქმის დაღვენთილიყო და საცაა ჩაქრებოდა. მიტიამ იყვირა და ქოხის იმ ნახევარში გავარდა, სადაც დარაჯს ეძინა. დარაჯმა უცებ გაიღვიძა. მიტიასაგან რომ გაიგო, ქოხის მეორე ნაწილში მხუთავი აირიაო, გავიდა შესამოწმებლად, მაგრამ უცნაურად გულგრილად მიიღო ეს ცნობა, რამაც გულისწყრომამდე გააოცა მიტია.
- თუ მოკვდა, მოკვდა... მაშინ... მაშინ რა იქნება? - გაცოფებული ყვიროდა მიტია.
კარი და ფანჯარა გამოაღეს, საკვამური გახსნეს. მიტიამ წინკარიდან ერთი ვედრო წყალი მოათრია, ჯერ თავად დაისველა შუბლი, მერმე რაღაც ჩვარი იპოვა, წყალში ამოავლო და შუბლზე მიადო ლიაგავის. დარაჯი ყველაფერ ამას ამრეზილად ადევნებდა თვალს. შემდეგ კიდევ ერთი ფანჯარა გამოაღო და დაბოღმილმა თქვა: „საკმარისია“, - ისევ დასაძინებლად გავიდა. მიტიას ანთებული ფანარი დაუტოვა. მიტია კიდევ ნახევარი საათი თავს დასტრიალებდა აირით გაბრუებულ ლოთს, ხშირ-ხშირად უცვლიდა სველ საფენებს, გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი ღამე არ დაეძინა, მაგრამ როცა გატანჯული სულის მოსათქმელად მერხზე ჩამოჯდა, უმალ დაეხუჭა თვალები, გაიშოტა და მკვდარივით ჩაეძინა.
ძალიან გვიან გაეღვიძა, დილის ცხრა საათი იქნებოდა. მზის სხივები ოთახს ქოხის ორივე ფანჯრიდან უხვად ეფინებოდა. კულულებიანი გლეხი მერხზე იჯდა, ტანზე ხიფთანი ჩაეცვა. წინ უკვე ახალი შტოფი და ახალი სამოვარი ედგა. გუშინდელი შტოფი სულ გამოეწრუპა. ახალი უკვე ნახევრამდე იყო დაყვანილი. მიტია წამოხტა, მიხვდა, რომ წყეული გლეხი ისევ მთვრალია, ისევ გალეშილია. მიტია გაშტერებული შესცქეროდა. გლეხი მიტიას დინჯად და ცბიერად ადევნებდა თვალს, დამამცირებელი სიდინჯითა და ზიზღნარევი სიამაყითაც კი, ასე მოეჩვენა მიტიას. მიტია მივარდა მასთან.
- თუ შეიძლება... იცით რა... მე... თქვენ ალბათ გითხრათ ამ ქოხის პატრონმა ჩემ შესახებ: მე პორუჩიკი დმიტრი კარამაზოვი გახლავარ, იმ ბებერი კარამაზოვის ვაჟი, ვისგანაც თქვენ ჭალის ყიდვა გინდათ...
- ტყუი! - ანაზდად მტკიცე და მშვიდი ხმით წარმოთქვა გლეხმა.
- როგორ თუ ვტყუი? ფიოდორ პავლოვიჩს იცნობთ?
- არც ერთ ფიოდორ პავლოვიჩს არ ვიცნობ, - ამოილუღლუღა გლეხმა.
- ჭალა გინდოდათ მისგან გეყიდათ, გაიღვიძეთ, გონს მოდით. მამა პავლე ილინსკიმ მომიყვანა აქ... თქვენ ამას წინათ სამსონოვს ბარათი გაუგზავნეთ, მან

გამომგზავნა თქვენთან... - მიტიას სული ეხუთებოდა.
- ტყუი! - ისევ გაიმეორა ლიაგავიმ.
მიტიას ტანში გააჟრჟოლა.
- გამიგონეთ, სახუმარო არაფერი მაქვს! თქვენ ისევ მთვრალი ხართ. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ თუ არა ლაპარაკი, რაიმეს გაგება... არა... არაფერი მესმის!
- შენ მღებავი ხარ!
- გაიგეთ, მე კარამაზოვი ვარ, დმიტრი კარამაზოვი, მე თქვენ ერთი წინადადება უნდა შემოგთავაზოთ... სარფიანი წინადადება... საკმაოდ სარფიანი... იმ ჭალის თაობაზე.
გლეხი ბატონკაცივით მედიდურად ისვამდა წვერზე ხელს.
- შენ ნარდად იღებდი და ნაძირალა გახდი. ნაძირალა ხარ!
- გარწმუნებთ, ცდებით! - იმედდაკარგული მიტია ხელებს იმტვრევდა. გლეხი კვლავ წვერზე ისვამდა ხელს და უცებ ცბიერად მოჭუტა თვალები...
- არა, ერთი მითხარი ისეთი კანონი, რომელიც ნებას გრთავს, საზიზღრობა ჩაიდინო, გესმის! იცი თუ არა შენ, ნაძირალა რომ ხარ?
შეწუხებულმა მიტიამ უკან დაიხია. „თითქოს რაღაცა მომხვდა შუბლში“, ჰყვებოდა იგი მოგვიანებით. ანაზდად ერთმა აზრმა გაუელვა გონებაში, „აციმციმდა და ყოველივე ნათელი გახდა“. გაქვავებული იდგა, გაოგნებული იმით, როგორ მოახერხა თითქოს არცთუ ისე უჭკუო მამაკაცმა, რომ ასეთი სისულელე დაიჯერა, ასეთ ხათაბალაში გაება, მთელი დღე და ღამე თავს დასტრიალებდა ამ ლოთ გლეხს და შუბლზე საფენებს უცვალიდა... „რას იზამ, მთვრალია კაცი, გალეშილი, აწი ალბათ კიდევ ერთი კვირა გადამბულად ილოთებს - რა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფნას? ვაი თუ სამსონოვმა განგებ გამომაგზავნა აქ? იქნებ გრუშენკა... ვაიმე, ეს რა ჩავიდინე!..“
გლეხი იჯდა, მიტიას უყურებდა და იცინოდა. სხვა შემთხვევაში მიტიას სიბრაზისაგან შეიძლება შემოკვდომოდა კიდეც ასეთი ტიპი, მაგრამ ახლა ბავშვივით უსუსური გახდა. ნელა მივიდა მერხთან, პალტო აიღო, უჩუმრად ჩაიცვა და ქოხის მეორე ნაწილში გავიდა. დარაჯი იქ არ დახვედრია, საერთოდ არავინ იყო. ჯიბიდან ათი შაური - ღამისთევის, სანთლისა და შეწუხების საფასური - ამოიღო და მაგიდაზე დადო. ქოხიდან გამოსულმა დაინახა, რომ ირგვლივ ტყეა და მეტი არაფერი. ალალბედზე მიდიოდა, ისიც არ ახსოვდა მარჯვნივ შეეხვია, თუ მარცხნივ; წუხელ, როცა აქეთ მოდიოდა, გზა არ დაუმახსოვრებია. შურისძიების გრძნობა არავის მიმართ არ ჰქონდა, სამსონოვის მიმართაც კი. იმედგაცრუებული და თავგზააბნეული უაზროდ მიაბიჯებდა ტყის ვიწრო ბილიკზე და სულაც არ აწუხებდა, საით მიდიოდა. ახლა მისი მორევა პატარა ბავშვსაც შეეძლო, ისე იყო ფიზიკური და სულიერი ძალებისაგან დაცლილი. როგორც იქნა, ტყიდან გამოაღწია: მის თვალწინ შიშველი მინდორი და უსასრულო სივრცე გადაიშალა: „როგორი უიმედობაა, როგორი ჩამკვდარია ყოველივე ირგვლივ!“ - იმეორებდა და მიდიოდა.
ბედად, შარაზე ეტლმა გამოიარა. ეტლში მეეტლე და ერთი მგზავრი, მოხუცი ვაჭარი ისხდნენ. როცა ეტლი მიტიას გაუსწორდა, მიტიამ მეეტლეს გზა ჰკითხა. აღმოჩნდა, ისინი ვოლოვიეში მიემგზავრებოდნენ. ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ მიტია მათ დაემგზავრა. სამ საათში დანიშნულების ადგილას იყვნენ. სადგურში ჩასვლისთანავე მიტიამ ეტლი დაუკვეთა, შემდეგ ანაზდად იგრძნო, რომ ძაღლივით შიოდა. სანამ ეტლს შეუკაზმავდნენ, თათარიახნად ერბოკვერცხი

შეუწვეს, რაც სწრაფად გადასანსლა. კარგა მოზრდილი პურის ნაჭერი, ძეხვი და ზედ სამი სირჩა არაყიც დააყოლა. როცა დანაყრდა, სიმხნევე მოემატა და ცოტა ხასიათზეც მოვიდა. მთელი გზა მეეტლეს აჩქარებდა და თან ახალ გეგმას ადგენდა. ეჭვი აღარ ეპარებოდა ამ „ნაღდი“ გეგმის განხორციელებაში. გეგმის მიხედვით, მიტიას დღესვე, საღამომდე, „ის წყეული თანხა“ უნდა ეშოვნა. „ამ რაღაც სამი ათასის გულისთვის უნდა დავიღუპო! - აღშფოთებული იძახდა მიტია. - ყველაფერი დღესვე უნდა გადაწყდეს!“ გრუშენკაზე გაუთავებელი საფიქრალი რომ არ ჰქონოდა, იგი უფრო მხიარულ ხასიათზე იქნებოდა. მასზე ფიქრი ხანჯალივით ჩაერჭობოდა ხოლმე გულში. როგორც იქნა, ქალაქში ჩამოვიდნენ. მიტია სასწრაფოდ გრუშენკასკენ გაეშურა.

III ოქროს საბადოები

სწორედ მიტიას ამ სტუმრობის შესახებ მოუყვა ამას წინათ შეშინებული გრუშენკა რაკიტინს. იმ დროს გრუშენკა ყოფილი მიჯნურისაგან შეტყობინებას ელოდა და დიდად მოხარულიც იქნებოდა, თუ ამ დღეებში მიტია მასთან არ მივიდოდა. ეგება ღმერთმა დამიფაროს და გამგზავრებამდე აქ არ გამოჩნდესო, - ფიქრობდა იგი. მაგრამ მიტიამ მოაკითხა. შემდეგ რაც მოხდა, ჩვენთვის უკვე ცნობილია: გრუშენკამ, მიტია თავიდან რომ მოეცილებინა, სთხოვა, კუზმა სამსონოვთან მიმაცილე, აუცილებელი საქმე მაქვს, „ფული უნდა ვთვალოთო“. მიტიამ დაუყოვნებლად, უსიტყვოდ გააცილა. ქალმა კუზმას ჭიშკართან პირობა ჩამოართვა: 12 საათისათვის აქ დამხვდი და შინამდე მიმაცილეო. მიტიას გაუხარდა: „იჯდება ახლა კუზმასთან, მაშასადამე, ფიოდორ პავლოვიჩთან არ წავა... ცხადია, თუ არ მოიტყუა“, - იქვე დაუმატა დაეჭვებულმა მიტიამ. მაგრამ ერთი შეხედვით, ქალი თითქოს არ ტყუოდა. მიტია ისეთი ტიპის ეჭვიან ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც საყვარელ ქალთან განშორების შემდეგ, ღმერთმა უწყის, რანაირი სისულელის თხზვას არ იწყებს ხოლმე იმის თაობაზე, თუ როგორ და ვისთან ღალატობს მას თავისი სატრფო ამ წუთებში. მაგრამ, საკმარისია, ეჭვებით შეშფოთებული და სირბილით გასავათებული უკან მიბრუნდეს სატრფოსთან და დაინახოს მისი გაღიმებული და ალერსიანი სახე, უმალვე გამხნევდება, ყველანაირი ეჭვი გაეფანტება და დაიწყებს საკუთარი თავის კიცხვას ეჭვიანობის გამო. გრუშენკას გაცილების შემდეგ მიტია შინ დაბრუნდა. უხ, კიდევ რამდენი რამ უნდა მოესწრო! კიდევ კარგი, ცოტა დამშვიდდა. „ახლა სასწრაფოდ უნდა შეიტყოს სმერდიაკოვისაგან, ხომ არ მისულა დღეს ფიოდორ პავლოვიჩთან გრუშენკა, ოხ, მაგის!..“ - გაუელვა თავში. ასე რომ ჯერ სახლში არ იყო მისული, ეჭვმა დაღრღნა მისი დაუდგრომელი გული. ეჭვიანობა! „ოტელო არ არის ეჭვიანი, ის მიმნდობია“, - შენიშნა პუშკინმა. მხოლოდ ეს გამოთქმა ადასტურებს ჩვენი დიდი პოეტის ჭკუის უჩვეულო სიღრმეს. ოტელოს აწეწილ-დაწეწილი სული და ამღვრეული მსოფლმხედველობა აქვს, ვინაიდან მის იდეალს ბოლო მოეღო. მაგრამ ოტელო არ იწყებს მალვას და ჩუმჩუმად თვალთვალს: მიმნდობია. პირიქით, ის ფაქტის წინაშე უნდა დააყენო, შუბლით შეაჯახო, ყველანაირად ცეცხლი მოუკიდო, რომ მიხვდეს ღალატს. ნამდვილი ეჭვიანი ასეთი არ არის. შეუძლებელია ყველა იმ სირცხვილისა და

ზნეობრივი დაცემის წარმოდგენაც კი, რასაც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ეგუება ეჭვიანი კაცი. არა, ამნაირი ხალხი ყველა უხამსი და ზნედაცემული სულაც არ არის. პირიქით, მათი სიყვარულით ანთებული გულები მუდამ მზადაა თავგანწირვისათვის, ამავე დროს, მათ შეუძლიათ, დაიმალონ მაგიდის ქვეშ, უთვალთვალონ საკლიტულიდან, მოისყიდონ ნაძირალები და შეეგუონ დასმენისა და ფარული მიყურადების საზიზღარ ჭუჭყს. ოტელოს არაფრის გულისათვის არ შეეძლო ღალატთან შერიგება, - პატიება კი არა, შერიგება - თუმცა ბალღივით უბოროტო და უცოდველი გული ჰქონდა. ნამდვილი ეჭვიანი სულ სხვაა: ვერც კი წარმოიდგენთ, ზოგიერთი ეჭვიანი რას არ ურიგდება, რას არ ჰპატიობს ხოლმე! ყველაზე ადვილად ეჭვიანები ყლაპავენ წყენას და ამის შესახებ ყველა ქალმა იცის. ეჭვიანს ძალიან მალე შეუძლია აპატიოს სატრფოს ღალატი, ცხადია, რაღაც საშინელი სცენის შემდეგ, რომელიც საკუთარი თვალით ნახა - ნახა, თუ როგორ ეხვეოდა და ჰკოცნიდა მისი საყვარელი სხვას, მაგრამ იმ წუთებში ის უნდა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი ეს „უკანასკნელად“ მოხდა, რომ ამის შემდეგ მისი მეტოქე გაქრება, სადმე გადაიკარგება, თვითონ კი მოჰკიდებს ხელს თავის სატრფოს და წაიყვანს ისეთ ადგილას, სადაც ის საშინელი მეტოქე აღარ მოვა. რასაკვირველია, ამნაირი შერიგება დროებითია, ვინაიდან მეორე დღეს ეჭვიანი კაცი ახალ მეტოქეს შექმნის, ახალ ობიექტს აირჩევს. თითქოსდა რა საჭიროა და რა ფასი აქვს ისეთ სიყვარულს, რომელსაც ასე უნდა ვუთვალთვალოთ და ვუდარაჯოთ? მაგრამ ამის შეგნება არა აქვთ ნამდვილ ეჭვიანებს, თუმცა მათ შორის გვხდებიან მაღალი ზნეობის ადამიანებიც. ისიც აღსანიშნავია, როცა მაღალი ზნეობის ეჭვიანი დგას სადღაც კუნჭულში მიმალული და ყურს უგდებს ან უთვალთვალებს ვინმეს, მართალია, მას ამ დროს თავისი „მაღალი ზნეობით“ ესმის, რომ საძაგლობას სჩადის, მაგრამ იმ მომენტში არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდის. მიტია როგორც კი თვალს მოჰკრავდა გრუშენკას, იმავ წამს გაუქრებოდა ეჭვები, რაღაც ხნით იგი მიმნდობი და კეთილშობილი ხდებოდა, საკუთარი თავი ეზარებოდა ეჭვიანობის გამო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ქალისადმი მისი სიყვარული უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თავად მას ეგონა. ეს არ იყო მხოლოდ ვნება, მხოლოდ „სხეულის ერთი ნაწილისადმი“ ლტოლვა, როგორც ამას ალიოშას უხსნიდა. მაგრამ როგორც კი გრუშენკა თვალს მიეფარებოდა, მიტიას კვლავ ეჭვები იპყრობდა, ისევ ეჩვენებოდა, როგორ უსინდისოდ და ვერაგულად ღალატობდა ქალი. ამ დროს არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა.

ჰოდა, ეჭვები ისევ ცეცხლის ალივით მოედო მიტიას. აუცილებლად უნდა ეჩქარა. უპირველეს ყოვლისა, ცოტა ფული მაინც უნდა ეშოვნა. გუშინდელი ცხრა მანეთი თითქმის სულ მგზავრობას დასჭირდა. უფულოდ კი, მოგეხსენებათ, ფეხს ვერსად გადაადგამ. ეტლში მიტიამ ახალ გეგმასთან ერთად კიდევ მოიფიქრა, ცოტა ფული როგორ ეშოვა. სახლში ჰქონდა წყვილი სადუელე პისტოლეტი, თავისი ვაზნებიანად. მიტიას ძალიან უყვარდა ისინი და აქამდე იმიტომაც არ დაუგირავებია. ერთხელ ერთ სამიკიტნოში ახალგაზრდა ჩინოვნიკი გაიცნო. იქვე გაიგო, რომ ამ საკმაოდ მდიდარ ჩინოვნიკს განსაკუთრებით უყვარდა იარაღი, ყიდულობდა პისტოლეტებს, რევოლვერებს, ხანჯლებს და სახლის კედლები სხვადასხვა იარაღით ჰქონდა მორთული. თურმე ძალიან ამაყობდა ამით, შინ მიჰყავდა ნაცნობები, თავს იწონებდა თავისი კოლექციით და ტრაბახობდა. გარდა ამისა, ის გამოირჩეოდა რევოლვერის სისტემის კარგი ცოდნითაც. მიტიას ბევრი

არც უფიქრია, პირდაპირ მისკენ გაემართა და სთხოვა ჩინოვნიკს, ათ მანეთად გირაოდ აეღო პისტოლეტები. გახარებულმა ჩინოვნიკმა სცადა, დაეყოლიებინა პისტოლეტების გაყიდვაზე, მაგრამ მიტია ვერ დაითანხმა. ჩინოვნიკმა მისცა ათი მანეთი და თან განუცხადა, რომ სარგებელს არაფრის დიდებით არ აიღებდა. ისინი ერთმანეთს მეგობრულად დაშორდნენ. მიტია სასწრაფოდ მამამისის სახლისაკენ გაეშურა. იქ თავის ფანჩატურში სმერდიაკოვი უნდა ენახა. ასე და ამგვარად, იმ საშინელ ამბამდე სამი თუ ოთხი საათით ადრე მიტიას კაპიკი არ ჰქონდა და პისტოლეტები ათ მანეთად დააგირავა, ხოლო სამი საათის შემდეგ კი ხელთ ათასები აღმოაჩნდა... მაგრამ მგონი მოვლენებს წინ გავუსწარი.
როცა მიტიამ მარია კონდრატიევნასაგან (ფიოდორ პავლოვიჩის მეზობლისაგან) სმერდიაკოვის ავადმყოფობის ამბავი გაიგო, განსაკუთრებით შეშფოთდა. მარიამ დაწვრილებით უამბო, როგორ ჩავარდა სმერდიაკოვი სარდაფში, როგორ დაემართა ბნედა, როგორ მოვიდა ექიმი და როგორი ზრუნვა გამოიჩინა ფიოდორ პავლოვიჩმა ავადმყოფის მიმართ; მიტიამ, აგრეთვე, დიდი ინტერესით შეიტყო მისი ძმა ივანის დღეს დილით მოსკოვში გამგზავრება. „ალბათ ჩემზე ადრე თუ გაიარა ვოლოვიეში“, - გაიფიქრა. სმერდიაკოვის ავადმყოფობამ ძალიან შეაწუხა. “ - რა მეშველება, აწი ვინ უდარაჯებს, ვინ შემატყობინებს ამბავსო?“ გაფაციცებით დაუწყო გამოკითხვა მეზობელ ქალებს, გუშინ საღამოს აქ ხომ არავინ გინახავთო, ხომ არაფერი გაგიგიათო? ქალები მიხვდნენ, რაც აინტერესებდა მიტიას და დაამშვიდეს, რომ არავინ ყოფილა, აქ მხოლოდ ივანმა გაათია ღამე და „ყველაფერი წესრიგში იყო“. მიტია ჩაფიქრდა. ეჭვი არ იყო, რომ დღეს აუცილებლად უნდა ედარაჯა. მაგრამ სად, აქ თუ სამსონოვის ჭიშკართან? აქაც და იქაც, გარემოების მიხედვით ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მანამდე კი მის წინაშე იდგა იმ ახალი გეგმის, ნაღდი გეგმის შესრულება, რომელიც ამას წინათ ეტლში მოუვიდა თავში. ამის გადადება უკვე აღარ შეიძლებოდა. ამისათვის მიტიამ ერთი საათი გამოყო, „ერთ საათში ყველაფერს მოვაგვარებ, ყველაფერს გავიგებ, შემდეგ კი ჯერ სამსონოვთან გავარკვევ, იქ არის თუ არა გრუშენკა, მერმე უმალ აქეთ მოვბრუნდები და თერთმეტ საათამდე აქ ვუთვალთვალებ, შემდეგ კი ისევ სამსონოვთან გავეშურები და გრუშენკას სახლამდე მივაცილებ“. აი, ასე გადაწყვიტა მიტიამ.
სასწრაფოდ სახლში მივიდა, დაიბანა, თმა დაივარცხნა, ტანსაცმელი გაასუფთავა, ჩაიცვა და ქალბატონ ხოხლაკოვასკენ გაეშურა. ვაი, რომ მას ეგონა, იმ გეგმას იქ შეასხამდა ხორცს. ამ გეგმის მიხედვით, მიტიას ქალბატონ ხოხლაკოვასაგან უნდა ესესხა სამი ათასი მანეთი. რატომღაც, ანაზდად, მას გაუჩნდა არაჩვეულებრივი რწმენა, რომ ის ქალი უარს არ ეტყოდა. იქნებ გაიკვირვოთ კიდეც, რატომ მანამდე არ მიმართა ამ ქალს, თავისი წრის ადამიანს და სამსონოვს მიაშურა, სხვა ყაიდის ადამიანს, რომელთანაც არც კი იცოდა, როგორ ელაპარაკა. საქმე ის იყო, რომ ხოხლაკოვას ამ ბოლო ხანებში არ შეხვედრია, თუმცა მაინც და მაინც ხშირად არც ადრე ხვდებოდა ხოლმე, და, ამას გარდა, ქალბატონი ხოხლაკოვა მას ვერ იტანდა. ამ ქალბატონმა თავიდანვე შეიძულა მიტია მარტოოდენ იმიტომ, რომ ის იყო კატერინას საქმრო და არა „მშვენიერი რაინდი და განათლებული პიროვნება, ივან ფიოდოროვიჩი, რომელსაც ისეთი მშვენიერი მანერები აქვს“. დიდი სურვილი ჰქონდა, კატერინას მიეტოვებინა მიტია და ცოლად ივანს გაჰყოლოდა. მიტიას მანერები ნერვებს უშლიდა. მიტია დასცინოდა მას, ერთხელ მის შესახებ ასეთი აზრიც გამოთქვა: ეს

ქალბატონი „რამდენადაც ცოცხალი და მოურიდებელია, იმდენად გაუნათლებელი ვინმეა“. ჰოდა, ამ დილით საზიდარზე მჯდარ მიტიას თავში ერთი აზრი მოუვიდა: „ამ ქალბატონს თუ ასე უნდა, რომ კატერინა არ შევირთო (მიტიამ იცოდა, რომ ისტერიკამდე არ უნდოდა), მაშინ რატომ უნდა მითხრას უარი სამი ათასზე, რომელიც დამეხმარება, მივატოვო კატია და სამუდამოდ გავქრე მისი ცხოვრებიდან? ეს განებივრებული მაღალი წრის ქალბატონები ხომ არაფერს დაიშურებენ თავიანთი კაპრიზის შესასრულებლად. ის ქალბატონი ხომ კარგა ძალი ქონების პატრონიცაა“, - მსჯელობდა თავისთვის მიტია. რაც შეეხება გეგმას, ამ გეგმის მიხედვით მიტია ქალბატონ ხოხლაკოვას შესთავაზებდა ჩერმაშნიაზე თავისი უფლებების გადაცემას, მაგრამ არა კომერციული მიზნით, როგორც სამსონოვს უთხრა, სამ ათასში ექვს-შვიდ ათასს გააკეთებო, არამედ, უბრალოდ, ეს იქნებოდა ვალის კეთილშობილური გარანტია. როცა ამ ახალ აზრს ავითარებდა, მიტია აღტაცებაში მოდიოდა, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე ახალი რამის წამოწყებისას ან მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღების დროს. იგი თავის ყოველ ახალ იდეას გატაცებით მიეცემოდა ხოლმე. ამასობაში მან ხოხლაკოვების სახლის ზღურბლს გადააბიჯა და ეცებ ტანში შიშისაგან ჟრუანტელმა დაუარა: ამ წუთში მან მათემატიკური სიზუსტით სავსებით გააცნობიერა, რომ თუ ეს გეგმა ჩაეშლებოდა, „ისღა დამრჩენია, სამი ათასის გულისათვის ვინმეს ყელი გამოვჭრა და გავძარცვო, სხვა გამოსავალი არა მაქვსო...“ უკვე რვის ნახევარი იქნებოდა, როცა ზარი დარეკა.
თავიდან საქმე თითქოს კარგად წავიდა: როგორც კი თავისი ვინაობა მოახსენა, მაშინვე არაჩვეულებრივად სწრაფად მიიღეს. „თითქოს მელოდნენ“, - გაიფიქრა მიტიამ. ხოლო როგორც კი სასტუმრო ოთახში შევიდა, უმალვე მასპინძელი შემოვარდა და პირდაპირ განუცხადა, რომ მის მოსვლას ელოდა...
- გელოდით, გელოდით! გაფიქრებაც კი არ შემეძლო, ჩემთან რომ მოხვიდოდით. ამაში თქვენც დამეთანხმებით, მაგრამ მაინც გელოდით, განა არ გაკვირვებთ ჩემი ინსტინქტი, დმიტრი ფიოდოროვიჩ, მე დილიდანვე დარწმუნებული ვიყავი, დღეს რომ მოხვიდოდით.
- მართლაც საოცარია, ქალბატონო, - თქვა მიტიამ და ულაზათოდ ჩამოჯდა. - მაგრამ... მე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეზე გეახელით.. მნიშვნელოვანზე უმნიშვნელოვანეს საქმეზე, ჩემთვის, რასაკვირველია, ქალბატონო, მარტო ჩემთვის, თანაც ძალიან მეჩქარება...
- ვიცი, რომ უმნიშვნელოვანესი საქმეა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ეს უბრალო წინათგრძნობა არ არის, არც სასწაულის რეტროგრადული წადილი (გაიგეთ ბერი ზოსიმას ამბავი?) ეს მათემატიკაა: თქვენ არ შეგეძლოთ, არ მოსულიყავით მას შემდეგ, რაც კატერინა ივანოვნას გადახდა, უფლება არ გქონდათ, ეს მათემატიკაა.
- ნამდვილი ცხოვრებისეული რეალიზმი, ქალბატონო, აი, რა არის ეს! მაგრამ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ.
- სწორედ რეალიზმი, დმიტრი ფიოდოროვიჩ. მე ახლა რეალიზმის მომხრე ვარ. მეტისმეტად ვარ სასწაულებით განათლებული. გაიგეთ ბერი ზოსიმას გარდაცვალება?
- არა, ქალბატონო, პირველად მესმის, - გაიკვირვა მიტიამ. მის გონებაში ალიოშა ამოტივტივდა.
- დღეს ღამით, წარმოგიდგენიათ...

- ქალბატონო, - შეაწყვეტინა მიტიამ, - მე ახლა მხოლოდ ჩემი სასოწარკვეთილი მდგომარეობა მიდგას თვალწინ და თუ თქვენ არ დამეხმარებით, მაშინ ყველაფერი დაიღუპება, მეც ბოლო მომეღება. მაპატიეთ, ტრივიალური გამოთქმისათვის, მაგრამ ახლა ცეცხლი მიკიდია, ვიწვი...
- ვიცი, ვიცი, მესმის თქვენი მდგომარეობა, ყველაფერი მესმის, თქვენ არ შეიძლება სხვანაირ ხასიათზე იყოთ, რაც არ უნდა თქვათ, ყველაფერი წინასწარ ვიცი. დიდი ხანია, თქვენზე ვფიქრობ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, თვალს გადევნებთ და გსწავლობთ... დამიჯერეთ, მე სულის გამოცდილი ექიმი ვარ, დმიტრი ფიოდოროვიჩ.
- ქალბატონო, თქვენ თუ გამოცდილი ექიმი ხართ, მე გამოცდილი ავადმყოფი ვარ, - თავს ძალა დაატანა და მიელაქუცა მიტია, - და ვგრძნობ, თუკი თქვენ მართლა გაფაციცებით თვალს ადევნებთ ჩემს ბედს, დამეხმარებით და გადამარჩენთ, მაგრამ ამისათვის, ნება მიბოძეთ, ბოლოს და ბოლოს მოგახსენოთ ჩემი გეგმა, რომლითაც გეახელით და ისიც გითხრათ, რას ველოდები თქვენგან... მე მოვედი, ქალბატონო...
- არა, არ არის საჭირო, ეს ხომ მეორეხარისხოვანია. ხოლო რაც შეეხება შველას, თქვენ პირველი არა ხართ, ვისაც მე ვეხმარები, დმიტრი ფიოდოროვიჩ. თქვენ ალბათ გსმენიათ ჩემი კუზინა ბელმესოვას შესახებ, მისი ქმარი იღუპებოდა, ყველაფერი დაკარგა. ჰოდა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, მე მას ვურჩიე, ხელი მოეკიდა ცხენების მოშენებისათვის და იცით, ახლა მისი საქმე ბრწყინვალედ მიდის. თქვენ წარმოდგენა გაქვთ, რა არის ცხენსაშენი, დმიტრი ფიოდოროვიჩ?
- არავითარი, ქალბატონო, არავითარი! - სულმოუთქმელად იყვირა დმიტრიმ და წამოხტომა დააპირა, - მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, ქალბატონო, მომისმინეთ, ორი წუთი დამითმეთ, რაღაც მაქვს სათქმელი. ყველაფერი მინდა მოგახსენოთ ჩემი პროექტის შესახებ, რითაც თქვენთან მოვბრძანდი. გარდა ამისა, დრო აღარ მყოფნის, ძალიან მეჩქარება!... - რომ გადაეფარა მისი ხმა, ისტერიულად იღრიალა მიტიამ, როცა დაინახა, ქალი ისევ აპირებდა ლაპარაკის გაგრძელებას, - სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, უკანასკნელ სტადიაში. მინდა სესხად გთხოვოთ სამი ათასი მანეთი, სესხი საიმედო გირაოთი, ქალბატონო, ნაღდი უზრუნველყოფით! ნება მომეცით, აგიხსნათ...
- ეს შემდეგ, შემდეგ! - თავის მხრივ ხელი დაუქნია ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - ყველაფერი, რის თქმასაც აპირებთ, წინასწარ ვიცი, ხომ გითხარით. თქვენ თხოულობთ რაღაც თანხას, გჭირდებათ სამი ათასი, მაგრამ მე მოგცემთ უფრო მეტს, გაცილებით მეტს, მე თქვენ გადაგარჩენთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ. მე თქვენ უნდა დამიჯეროთ!
მიტია ადგილიდან წამოხტა.
- ქალბატონო, ნუთუ ასე კეთილი ბრძანდებით! - იყვირა მან განსაკუთრებული გრძნობით, - ღმერთმანი, თქვენ მე გადამარჩინეთ. თქვენ გადაარჩინეთ ადამიანი ძალმომრეობითი სიკვდილისაგან, პისტოლეტისაგან... საუკუნოდ თქვენი მადლიერი ვიქნები...
- მე თქვენ მოგცემთ უსასრულოდ, უსასრულოდ მეტს, ვიდრე სამი ათასია! - იყვირა აღფრთოვანებულმა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, აღტაცებული მიტიას შემყურემ.
- უსასრულოდ? მაგრამ ამდენი არ მინდა. მე მხოლოდ აუცილებელი, საბედისწერო სამი ათასი მჭირდება, ჩემი მხრიდან კი გარანტიას გაძლევთ,

საუკუნოდ მადლიერი დაგრჩებით და გთავაზობთ გეგმას, რომელიც...
- გეყოფათ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ვთქვი და გავათავე, - მოუჭრა ქალბატონმა ხოხლაკოვამ მწყალობლის დიდაქტიკური და ამაღლებული ტონით, - მე თქვენ დაგპირდით გადარჩენას და გადაგარჩენთ. დაგეხმარებით, როგორც ბელმესოვს. რას ფიქრობთ ოქროს საბადოებზე, დმიტრი ფიოდოროვიჩ?
- ოქროს საბადოებზე, ქალბატონო! მე საერთოდ არ მიფიქრია ამის შესახებ.
- სამაგიეროდ, თქვენ მაგივრად მე ვფიქრობდი! ვფიქრობდი და მოვიფიქრე! უკვე მთელი თვეა ამ მიზნით გაკვირდებით. უკვე მერამდენედ ვაკვირდები თქვენს მოძრაობას და ჩემთვის ვიმეორებ: აი, ენერგიული ადამიანი, რომელიც საბადოებზე უნდა გაემგზავროს. მე თქვენი მიხვრა-მოხვრა შევისწავლე და გადავწყვიტე: ეს კაცი ბევრ ოქროს მიაგნებს-მეთქი.
- მიხვრა-მოხვრით, ქალბატონო? - გაეღიმა მიტიას.
- დიახაც, მიხვრა-მოხვრით. თქვენ რა უარყოფთ იმას, რომ ადამიანის ხასიათის ამოცნობა მისი მიხვრა-მოხვრით შეიძლება, დმიტრი ფიოდოროვიჩ? საბუნებისმეტყველო მეცნიერება ამას ამტკიცებს. დღეიდან მე რეალისტი ვარ, დმიტრი ფიოდოროვიჩ. მას შემდეგ, რაც მონასტრის ისტორია გავიგე, ძალიან გამიფუჭდა გუნება-განწყობა და გადავწყვიტე, ამიერიდან პრაქტიკულ მოღვაწეობას მივყო ხელი. ახლა მე ნამდვილი რეალისტი ვარ. მე განვიკურნე, კმარა! როგორც ამას ტურგენევი ამბობდა.
- კი მაგრამ, ქალბატონო, ის სამი ათასი, რომელიც ასე დიდსულოვნად აღმითქვით სესხად...
- მიიღებთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - უცებ მოუჭრა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - ეს სამი ათასი თითქოს ჯიბეში გქონიათ, ისეა, სამი ათასი კი არა, სამი მილიონი, დმიტრი ფიოდოროვიჩ, უმოკლეს ხანში! ახლავე გეტყვით, როგორ: თქვენ იპოვით საბადოს, იშოვით მილიონებს, დაბრუნდებით და გახდებით გამოჩენილი მოღვაწე, საზოგადოების სიკეთის გზისკენ მიმმართველი. ნუთუ ყოველივე ეს მარტო ურიებმა უნდა ჩაიგდონ ხელში? თქვენ ააშენებთ შენობა-ნაგებობებს და სხვადასხვა საწარმოს. შეეწევით ღარიბ-ღატაკებს და ისინი კი თქვენზე ილოცებენ. ახლა რკინიგზის საუკუნეა, დმიტრი ფიოდოროვიჩ. თქვენ გახდებით ისე მდიდარი, რომ ფინანსთა სამინისტროსათვის, რომელსაც დღეს ასე უჭირს, აუცილებლად საჭირო კაცი იქნებით! საკრედიტო მანეთის ვარდნა მოსვენებას არ მაძლევს! დმიტრი ფიოდოროვიჩ, ამ მხრივ მე ცოტა თუ მიცნობს...
- ქალბატონო, ქალბატონო! - შეაწყვეტინა რაღაც წინათგრძნობით შეშფოთებულმა დმიტრიმ, - მე შეიძლება, არ არის გამორიცხული, თქვენი გონივრული რჩევა მივიღო, ქალბატონო, და გავემგზავრო... იქ... იმ საბადოებზე... ამის თაობაზე სალაპარაკოდ მე კიდევ ერთხელ მოვალ თქვენთან... კიდევ რამდენჯერმე მოვალ... ახლა კი ის სამი ათასი, თქვენ რომ დიდსულოვნად... ის გადამარჩენს, თუ შეგიძლიათ დღესვე... ახლა მე ერთი საათიც აღარ მაქვს დრო...
- კმარა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, კმარა! - დაჟინებით შეაწყვეტინა ქალბატონმა ხოხლაკოვამ. - საკითხი ასე დგას: მიდიხართ თუ არა საბადოებზე, გადაწყვიტეთ თუ არა, მათემატიკურად მიპასუხეთ.
- მივდივარ, ქალბატონო, მერე.... წავალ, სადაც გნებავთ, იქ წავალ, ქალბატონო, ახლა კი...
- მოითმინეთ! - იყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, წამოხტა და მივარდა მრავალუჯრიან ბიუროს. ხან ერთი უჯრა გამოაღო, ხან მეორე. გამწარებული

რაღაცას ეძებდა და თან ძალიან ჩქარობდა.
„სამი ათასი! - გაიფიქრა გასუსულმა მიტიამ, - ახლავე იძლევა, ყოველგვარი ქაღალდების, ხელწერილების გარეშე... ჯენტლმენურად! შესანიშნავი ქალია, ამდენი ლაპარაკი რომ არ იცოდეს!“
- აი, - იყვირა გახარებულმა ქალბატონმა ხოხლაკოვამ და მიტიასთან დაბრუნდა, - აი, რასაც ვეძებდი!
ეს იყო ზონარზე დაკიდებული პაწაწინა ხატი, რომლის მსგავსს ხშირად ჯვართან ერთად ატარებენ ხოლმე კისერზე.
- ეს ხატი კიევიდანაა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - მოწიწებით გააგრძელა მან, - დიდმოწამე ბარბარეს ნაწილებიდან. ნება მიბოძეთ, თავად ჩამოგკიდოთ კისერზე, დაგილოცოთ ახალი ცხოვრების გზა და საქმენი საგმირონი.
ხოხლაკოვამ მართლაც ჩამოჰკიდა მიტიას კისერზე ხატი და გასწორება დაუწყო. შეცბუნებული მიტია დაიხარა, დაეხმარა და როგორც იქნა, მკერდზე ჩამოიკიდა ხატი.
- ახლა თქვენ მშვიდად შეგიძლიათ გაემგზავროთ! - დიდის ამბით წარმოთქვა ქალბატონმა ხოხლაკოვამ და კვლავ თავის ადგილას ჩამოჯდა.
- ქალბატონო, ძალიან ვღელავ, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ ასეთი გულისხმიერებისათვის, მაგრამ, რომ იცოდეთ, ახლა როგორ მეჩქარება! ის თანხა, რომელსაც ახლა მე თქვენგან ასე სულმოუთქმელად ველი... ოო, ქალბატონო, რადგან თქვენ ასეთი კეთილი და გულისაჩუყებამდე დიდსულოვანი ადამიანი ბრძანდებით, - წამოიძახა გრძნობამორეულმა მიტიამ, - ნება მიბოძეთ, გული გადაგიშალოთ... თუმცა თქვენთვის ყველაფერი ცნობილია... ერთი არსება მიყვარს. კატიას ვუღალატე, კატერინა ივანოვნას, ეს მინდოდა მეთქვა. მე მას არაადამიანურად და უსინდისოდ მოვექეცი, მაგრამ რა ვქნა, თუ აქ სხვა შემიყვარდა... სხვა ქალი, შესაძლოა, თქვენ ის გეჯავრებათ კიდეც, ვინაიდან მასზე ყველაფერი იცით. მაგრამ მე მისი მიტოვება არაფრით არ ძალმიძს, ეს სამი ათასი...
- ყველაფერს თავი დაანებეთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ! - მტკიცედ შეაწყვეტინა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - განსაკუთრებით ქალებს. ახლა თქვენ ერთი მიზანი გამოძრავებთ - საბადოები, იქ ქალებს რა უნდა. შემდეგ კი, როცა დაბრუნდებით, მდიდარი და სახელოვანი, მაშინ იპოვით ვინმეს, თქვენს გულის სწორს მაღალი საზოგადოებიდან. ეს იქნება თანამედროვე და განათლებული ქალიშვილი. იმ დროისათვის უკვე გადაჭრილი იქნება ქალთა საკითხი, ჩამოყალიბებული იქნება თანამედროვე ქალის ტიპი.
- ქალბატონო, ეს სულ სხვა რამეა, სულ სხვა... - ხვეწნა-მუდარით შეაერთა მიტიამ ხელები.
- სწორედ ისაა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, სწორედ ის, ახლა რაც თქვენ გჭირდებათ, რაც თქვენ გწყურიათ და ეს თავადაც არ იცით. მე წინააღმდეგი არა ვარ თანამედროვე ქალთა საკითხებისა, დმიტრი ფიოდოროვიჩ. ქალთა განვითარება და ქალის პოლიტიკური როლი უახლოეს მომავალში - ეს ჩემი იდეალია. მე თავად ქალიშვილის პატრონი ვარ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, და ამ მხრივ ცოტა თუ მიცნობს. ამის შესახებ მწერალ შჩედრინსაც კი მივწერე. ამ მწერალმა იმდენი რამ გამაგებინა თანამედროვე ქალის დანიშნულებაზე, რომ მე მას ანონიმური წერილი მივწერე: „გკოცნით და გეხვევვით, ჩემო მწერალო, თანამედროვე ქალების სახელით, შემდგომშიც ასე განაგრძეთ-მეთქი“. ხელი მოვაწერე: „დედა“.

მინდოდა დამეწერა: „თანამედროვე დედა“, მაგრამ გადავიფიქრე და დავწერე: უბრალოდ დედა: ზნეობრივად უფრო ლამაზია... დმიტრი ფიოდოროვიჩ, ღმერთო ჩემო, რა მოგდით?
- ქალბატონო, - წამოხტა მიტია, ხელი ხელს მიადო და შეევედრა, - თქვენ მაიძულებთ, ავტირდე, ქალბატონო, თუკი კიდევ დიდხანს გადადებთ იმას, რასაც ასე დიდსულოვნად დამპირდით...
- იტირეთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, იტირეთ! თქვენ წინ ისეთი გზა გელით! ცრემლები შვებას მოგგვრით. მაგრამ როცა დაბრუნდებით, გაიხარებთ. საგანგებოდ ჩამოხვალთ ჩემთან ციმბირიდან, რომ ერთად გავიხაროთ...
- ნება მიბოძეთ, მეც ვთქვა, - მოულოდნელად იღრიალა მიტიამ, - უკანასკნელად გევედრებით, მითხარით, შემიძლია თუ არა თქვენგან მივიღო დაპირებული თანხა? ახლა თუ არა, მაშინ მითხარით, როდის გეახლოთ?
- რომელი თანხა, დმიტრი ფიოდოროვიჩ?
- დაპირებული სამი ათასი... რასაც თქვენ ასე დიდსულოვნად დამპირდით.
- სამი ათასი? მანეთი? რას ლაპარაკობთ, საიდანა მაქვს ამდენი ფული, - წარმოთქვა გაკვირვებულმა ხოხლაკოვამ რაღაცნაირად მშვიდად. მიტია გაშტერდა...
- როგორ თქვენ... წეღან... თქვენ არ მითხარით... თქვენ არ ბრძანეთ, რომ თითქოს ის ჯიბეში გქონიათო...
- არა, თქვენ ვერ გაიგეთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, თქვენ ნამდვილად სწორად ვერ გაგიგიათ. მე საბადოებს ვგულისხმობდი. მეტსაც გპირდებოდით, მართალია, უსასრულოდ მეტსაც, ახლა მაგონდება, მაგრამ მე მხედველობაში საბადოები მქონდა.
- ფული? სამი ათასი? - სულელივით იყვირა დმიტრიმ.
- თქვენ თუ ფული იგულისხმეთ, მე ის არა მაქვს. მე ახლა ფული სულ არა მაქვს, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ახლა ჩემს მოურავთან ბრძოლა მაქვს გამართული და ამას წინათ თავად ვესესხე მიუსოვს სამასი მანეთი. არა, არა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, მე ფული არა მაქვს. ისიც იცოდეთ, რომც მქონდეს, თქვენ მაინც არ მოგცემდით. საერთოდ, მე სესხს არავის ვაძლევ ხოლმე. ფული გაასესხო, ეს იმას ნიშნავს, ადამიანთან დამოკიდებულება გაიფუჭო. თქვენ კი იმიტომ არ მოგცემდით, რომ ახლა თქვენთვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საბადოები, საბადოები და საბადოები!...
- ეშმაკმა დაგლახვროს! - იღრიალა უცებ მიტიამ და მუშტი მაგიდას დაარტყა.
- ვაიმე! - იკივლა შეშინებულმა ხოხლაკოვამ და სასტუმრო ოთახის მეორე კუთხეში გავარდა.
მიტიამ გადააფურთხა და სასწრაფოდ გავარდა ოთახიდან ეზოში, ეზოდან ქუჩაში, ღამის წყვდიადში! იგი შლეგივით გარბოდა და მკერდზე მჯიღს ირტყამდა, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ამ ორი დღის წინ, გზაზე, საღამოს ბინდ-ბუნდში, ალიოშას წინაშე იბრაგუნებდა, როცა ძმები ერთმანეთს უკანასკნელად შეხვდნენ. რას ნიშნავდა ეს მჯიღისცემა იმ ადგილას ან რა უნდოდა ამით ეთქვა - ეს ჯერ იდუმალებით არის მოცული, მაშინ ალიოშასაც კი არ გაუმხილა. ამ საიდუმლოში იმალებოდა არა მარტო მისი სირცხვილი და თავის მოჭრა, არამედ დაღუპვა და თვითმკვლელობა, რადგან მას გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ სამი ათასს ვერ იშოვიდა და არ გადაიხდიდა კატერინას ვალს, მაშინ თავისი მკერდიდან, „მკერდის იმ ნაწილიდან“ მოიცილებდა სირცხვილს, რომელიც ასე მძიმედ აწვა

მის სინდისს და ნამუსს. შემდგომში ყველაფერ ამას დაწვრილებით აგიხსნით, მკითხველო, ახლა შემდეგს გეტყვით, როცა ამ ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს უკანაკნელი იმედი გაუქრა, პატარა ბალღივით აქვითინდა. მიდიოდა და მჯიღით იწმენდდა ცრემლებს. ამასობაში მოედანზეც გავიდა და ვიღაცას დაეტაკა. გაისმა მიხრწნილი მოხუცებული ქალის მწივანა ხმა. ბებერი კინაღამ წაიქცა.
- ღმერთო ჩემო, კინაღამ მომკლა ქალი! როგორ გიჟივით დაშლიგინებ, მხეცო!
- ეს თქვენ ბრძანდებით? - იყვირა მიტიამ, როცა სიბნელეში გაარჩია, ვინ იყო ეს მოხუცებული. ის კუზმა სამსონოვის მოახლე აღმოჩნდა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინდლიდან დაამახსოვრდა.
- თქვენ თავად ვინ ბრძანდებით, ბატონო? - სულ სხვა ხმითა თქვა ბებრუხუნამ, - რაღაც სიბნელეში ვერ გიცანით.
- თქვენ კუზმა კუზმიჩის მოახლე არა ხართ?
- მართალი ბრძანდებით, ახლა პროხორიჩთან გახლდით... მაგრამ თქვენ რაღაც არ მეცნობით?
- მითხარით, დედილო, აგრაფინა ალექსანდროვნა ახლა თქვენთანაა? - მოულოდნელად ჰკითხა მიტიამ. - ამას წინათ თქვენთან მოვიყვანე.
- იყო, კი ბატონო, მოვიდა, ცოტა ხანს იჯდა და წავიდა.
- როგორ თუ წავიდა? - იყვირა მიტიამ. - როდის წავიდა?
- მაშინვე წავიდა. ერთი წუთიც არ მჯდარა. კუზმა კუზმიჩს რაღაც უამბო, გააცინა და გაიქცა.
- ტყუი, წყეულო! - იღრიალა მიტიამ.
- უ-ი! - იკივლა მოხუცმა ქალმა, მაგრამ მიტიას თვალიც ვეღარ მოჰკრა; იგი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მოროზოვების სახლისკენ. ეს დაახლოებით ის დრო იყო, როცა გრუშენკა მოკროეში გაემგზავრა, თხუთმეტი წუთიც არ იქნებოდა გასული. ფენია და ბებიამისი, მზარეული მატრონა, სამზარეულოში ისხდნენ, როცა „კაპიტანი“ ოთახში შემოვარდა. ფენია მიტიას დანახვაზე პირმოხეული აკივლდა.
- რას კივი?! - იღრიალა მიტიამ, - სად არის? - მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, შიშისაგან გაშეშებულ ფენიას ფეხებში ჩაუვარდა.
- ფენია, გაფიცებ ყველაფერს, მითხარი, სად არის?
- არაფერი ვიცი, ბატონო, არაფერი ვიცი, ძვირფასო დმიტრი ფიოდოროვიჩ, კიდეც რომ მომკლათ, ვერაფერს გეტყვით, - ეფიცებოდა ფენია და პირჯვარს იწერდა, - თქვენ წეღან ერთად არ წახვედით...
- ის უკან დაბრუნდა!..
- არა, ჩემო ბატონო, არ დაბრუნებულა, ღმერთს გეფიცები, არ დაბრუნებულა!
- ცრუობ, - ყვიროდა მიტია, - ისე შეშინებული ხარ, ვხვდები სადაც არის!...
მიტია სახლიდან გამოვარდა. შეშინებულ ფენიას გაუხარდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ დმიტრი ჩქარობდა, თორემ შავ დღეს დააყრიდა. სახლიდან გავარდნამდე ფენიაცა და ბებიამისიც ძალიან გააკვირვა მიტიას ერთმა უცნაურმა საქციელმა; სამზარეულოში მაგიდაზე იდგა ქვიჯა, ქვიჯაში მეოთხედი არშინის სიგრძის სპილენძის სანაყი. როცა მიტიამ წასვლისას მაგიდას გვერდზე გაუარა, ხელი სტაცა სანაყს, ჯიბეში ჩაიდო და გავარდა.
- ღმერთო გვიშველე, ვიღაცის მოკვლა უნდა! - იკივლა ფენიამ და ხელი ხელს შემოჰკრა.

IV სიბნელეში

სად გარბოდა მიტია? გასაგებია, სადაც. „ახლა სად შეიძლება იყოს გრუშენკა, თუ
არა ფიოდორ პავლოვიჩთან? სამსონოვიდან ალბათ პირდაპირ მასთან
გაიქცეოდა, ამას ლაპარაკი არ უნდა. ახლა ყველაფერი ნათელია...‘
ქარბორბალასავით უტრიალებდა ეს აზრები მიტიას თავში. მარია კონდრატიევნას
ეზოში არ შესულა: „იქ შესვლა არ ღირს, არ ღირს... არავინ დავაფრთხო. მაშინვე
ენას მიუტანენ, მარია კონდრატიევნა მათ მხარეზეა, სმერდიაკოვიც, ყველა
მოსყიდულია!“ მიტიამ გადაწყვიტა, შორი გზიდან შემოევლო, ფიოდორ
პავლოვიჩის სახლს შესახვევიდან მისდგომოდა. ჯერ დმიტროვის ქუჩა გაირბინა,
შემდეგ სირბილ-სირბილით პატარა ხიდი გადაიარა და უკანა ეზოებიდან
პირდაპირ უკაცრიელ შესახვევში აღმოჩნდა, რომელსაც ერთ მხარეს მეზობლის
ღობეწნული მიუყვებოდა, მეორე მხარეს ფიოდორ პავლოვიჩის სახლის
გალავანი. გალავანი მთელ ეზოს ჰქონდა გარშემორტყმული. აქ მიტიამ ის
ადგილი ამოირჩია, საიდანაც, გადმოცემით, ოდესღაც ლიზავეტა სმერდიაშჩაია
გადაძვრა ამ ეზოში. „ის თუ გადაძვრა, - გაუელვა მიტიას თავში, - მე რატომ ვერ
შევძლებ?“ მართლაც, ყოჩაღად შეხტა გალავანზე, ხელი სტაცა გალავნის ზედა
ნაწილს, ენერგიულად აიწია და გალავანს შემოაჯდა. მის ქვემოთ, ეზოში, აბანოს
პატარა შენობა იდგა, მოშორებით სახლის განათებული ფანჯრები მოჩანდა.
„ასეცაა, ბებრის ოთახში სინათლეა, გრუშენკა იქაა!“ - გალავნიდან ბაღში
გადახტა. მიუხედავად იმისა, რომ მან გრიგორის ავადმყოფობის შესახებ იცოდა,
სმერდიაკოვის ავადმყოფობაც, მაინც ინსტინქტურად ჩაიმალა, ერთ ადგილას
მიყუჩდა და დაყურადდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ფოთოლთა
შარი-შურიც არ ისმოდა.
„მხოლოდ სიჩუმის ჩურჩული ისმის[99], - რატომღაც ეს ლექსი ამოუტივტივდა
გონებაში, - ნეტა ხომ არავინ დამინახა, მგონი, არავინ“. ცოტა ხანი იდგა, მერმე
ფეხაკრეფით გაუდგა გზას; ხეებსა და ბუჩქებს გარს უვლიდა, დიდხანს მიდიოდა,
ყოველ ნაბიჯს ფრთხილად ადგამდა, საკუთარი ფეხის ხმა აფრთხობდა.
განათებულ ფანჯრამდე მისვლას ხუთი წუთი მაინც დასჭირდა. მას გაახსენდა,
რომ ფანჯრებს ქვემოთ ანწლისა და ძახველის მოზრდილი და ხშირ-ხშირი
ბუჩქები იყო გაშენებული. სახლის ფასადის მარცხენა მხარეს, ბაღში
გამოსასვლელი კარი დაკეტილი დახვდა, ეს მან, როცა გაიარა, საგანგებოდ და
გულდაგულ შეამოწმა. როგორც იქნა, ბუჩქებთან მივიდა და იქ გაიტრუნა,
სუნთქვაც კი შეწყვიტა. „ახლა ცოტას მოვიცდი, - გაიფიქრა მან, - მათ თუ ჩემი ხმა
გაიგონეს, ალბათ ახლა განაბულები, დაყურადებულები არიან, ამოწმებენ, ხმები
მოესმათ თუ მოეჩვენათ. ნეტა, არ დამახველოს, ან არ დამაცემინოს...“
ორ წუთს გაყუჩებული იცდიდა, საშინლად უცემდა გული და სული ეხუთებოდა.
„გულისცემა არ გაივლის, - გაიფიქრა მან, - მეტის მოცდა აღარ შემიძლია.“ ბუჩქს
მოფარებული იდგა. ბუჩქის წინა ნაწილს ფანჯრიდან გამოსული სინათლე
ანათებდა. „ძახველი, როგორი წითელი ნაყოფი ჰქონია!“ - ჩაიჩურჩულა მან,
თავადაც არ იცოდა, რატომ. უჩუმრად, ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა
ფანჯარას და თითის წვერებზე აიწია. მის თვალწინ ხელისგულივით გადაიშალა

ფიოდორ პავლოვიჩის საძინებელი ოთახი. ეს პატარა ოთახი გარდიგარდმოდ წითელი „ჩინური“ (ასე უწოდებდა მათ ფიოდორ პავლოვიჩი) შირმებით იყო დაყოფილი. „ჩინურ შირმებს უკან გრუშენკაა დამალული“, - გაუელვა თავში მიტიას. შემდეგ მან ფიოდორ პავლოვიჩს დაუწყო თვალიერება. მას ახალთახალი აბრეშუმის ხალათი ეცვა, რომელიც აბრეშუმისვე ფოჩიანი ქამრით ჰქონდა შეკრული. ეს ხალათი მიტიას მის ტანზე არასოდეს ენახა. ხალათის შიგნიდან პეწიანი ქათქათა, ჰოლანდიური ოქროს შესაკრავებიანი პერანგი მოუჩანდა. ფიოდორ პავლოვიჩს თავი იმ წითელი ხილაბანდით წაეკრა, რომელიც არაერთხელ უნახავს ხოლმე მიტიას მის თავზე. „გამოპრანჭულა“, - გაიფიქრა მიტიამ. ფიოდორ პავლოვიჩი ფანჯრის ახლოს ჩაფიქრებული იდგა. უცებ თავი მოაბრუნა, დაყურადდა, თითქოს რაღაცას უსმენსო, მაგრამ როცა ვერაფერი გაიგონა, მაგიდისაკენ წავიდა, გრაფინიდან ნახევარი სირჩა კონიაკი ჩამოასხა და გადაკრა. მერმე ღრმად ჩაისუნთქა, ერთხანს შეყოვნდა და შემდეგ დაბნეული სარკესთან მივიდა. მარჯვენა ხელით შუბლიდან წითელი ხილაბანდი გადაიწია და დალილავებულ ადგილებსა და იარებს დაუწყო თვალიერება. „მარტოა, - გაიფიქრა მიტიამ, - მე მგონი, მარტოა“. ფიოდორ პავლოვიჩი სარკეს მოშორდა, ანაზდად ფანჯრისკენ შემობრუნდა და მიტიასაკენ გამოიხედა. მიტიამ დაუყოვნებლივ სიბნელეს შეაფარა თავი.
„იქნებ გრუშენკა შირმის იქითაა, ან შესაძლოა ძინავს კიდეც,“ - კვლავ ეჭვმა შეიპყრო მიტია. ფიოდორ პავლოვიჩი ფანჯარას მოშორდა. „მგონი ფანჯარაში გრუშენკას მოსვლას ელოდება და მიტომ იყურება ასე გამუდმებით. ალბათ გრუშენკა იქ არ არის. იქ რომ იყოს, მაშინ რატომ დაიწყებდა ფანჯარაში ცქერას? მოუთმენლობისაგან ადგილს ვეღარ პოულობს...“ მიტიამ კვლავ დაუწყო ფანჯრიდან თვალთვალი. ბერიკაცი უკვე მაგიდასთან იჯდა, ძალზე დამწუხრებული ჩანდა. მერმე იდაყვით მაგიდას დაებჯინა და მარჯვენა ხელი ლოყაზე მიიდო. მიტია თვალს არ აცილებდა.
„მარტოა, მარტოკა! - თავის თავს უმტკიცებდა მიტია, - გრუშენკა რომ იქ იყოს, მაშინ სხვანაირი გამომეტყველება ექნებოდა“. უცნაური რამ მოხდა: მიტიას გული დასწყდა, გრუშენკა რომ აქ არ აღმოჩნდა. „არა იმიტომ, აქ არ არის, - გაიფიქრა მან და საკუთარ თავს უპასუხა, - არამედ იმიტომ, რომ ვერაფრით გავიგებ, აქ არის გრუშენკა თუ არა“. მოგვიანებით, მიტია იხსენებდა, რომ იმ წუთებში არაჩვეულებრივად ნათელი გონება ჰქონდა, უკანასკნელი წვრილმანის აღქმაც კი შეეძლო. მაგრამ დარდი, გაურკვევლობისა და მერყეობის გამო, დარდი მის გულში თანდათან, განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა. „ბოლოს და ბოლოს, აქ არის თუ არა გრუშენკა?“ - რაღაც ბოროტად გაუელვა გულში. როგორც იქნა, გადაწყვიტა, უცებ ხელი ასწია და ფანჯარაზე ხმადაბლა დააკაკუნა იმ პირობითი ნიშნით, როგორადაც ბებერი სმერდიაკოვს შეუთანხმდა: პირველი ორი კაკუნი ნელ-ნელა, შემდეგი სამი ჩქარ-ჩქარა - ეს იყო იმის მანიშნებელი, რომ „გრუშენკა მოვიდა“. ბერიკაცი შეხტა, მოიხედა, სასწრაფოდ წამოხტა და ფანჯარას მივარდა. მიტია ჩრდილში მიიმალა. ფიოდორ პავლოვიჩმა ფანჯარა გააღო და გადმოიხედა.
- გრუშენკა, შენა, შენა ხარ? - რაღაცნაირად ხმააკანკალებულმა ნახევარჩურჩულით ჩაილაპარაკა მან, - სადა ხარ, ჩემო ანგელოზო, დამენახე? - იგი ძალიან აღელვებული ჩანდა, ძლივს სუნთქავდა.
„მარტოა!“ - დარწმუნდა მიტია.

- სადა ხარ? - იყვირა მოხუცმა და უფრო მეტად გამოყო თავი, აქეთ-იქეთ გაიხედა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, - მოდი აქ; მე შენ საჩუქარი მოგიმზადე, მოდი, განახებ!
„ეს ის პაკეტია, სამი ათასით“, - გაიფიქრა მიტიამ.
- სადა ხარ? კარებთან ხომ არ დგახარ? ახლავე გაგიღებ...
ბერიკაცმა ლამის მთელი ტანით გადმოიწია ფანჯრიდან. მარჯვნივ იყურებოდა, იქით, სადაც ბაღში კარი გამოდიოდა, ცდილობდა, სიბნელეში რამე გაერჩია. რამდენიმე წამში ის აუცილებლად გაიქცეოდა კარის გასაღებად, ისე რომ, არც დაუცდიდა გრუშენკას პასუხს. მიტია გვერდიდან უყურებდა და გაუნძრევლად იდგა. მისთვის ასე საზარელი ბებრის პროფილი, ჩამოკონწიალებული ხვანჩი, მოკაუჭებული ცხვირი, სიამოვნებისაგან მომღიმარი ლაშები ოთახის მარცხენა მხრიდან გამომავალი ირიბი შუქით იყო განათებული. ანაზდად საშინელმა რისხვამ შეიპყრო მიტია: „ეს ხომ ის არის, მისი მეტოქე, მისი მწამებელი, მისი ცხოვრების გამმწარებელი!“ ეს სწორედ ის უეცარი, შურისმაძიებლური და მძვინვარე რისხვის მოქცევა იყო, რომლის შესახებაც ამ ოთხი დღის წინ, ფანჩატურში საუბრის დროს აუწყა მიტიამ ალიოშას, როცა ალიოშამ ჰკითხა: „როგორ შეგიძლია თქვა, რომ მამას მოკლავ?“
„მე არ ვიცი, არ ვიცი, - თქვა მაშინ მიტიამ, - შეიძლება არ მოვკლა, შეიძლება მოვკლა. მეშინია, რაღაც მომენტში ისე არ შემეზიზღოს, რომ ხელი ავწიო მასზე. მეზიზღება მისი ხვანჩი, მისი თვალები, მისი უხამსი სიცილი. პიროვნულ ზიზღს განვიცდი. ამის მეშინია, ვაითუ, თავი ვერ შევიკავო...“
პიროვნული ზიზღი საშინელი სისწრაფით იზრდებოდა. მიტიას თავი დაავიწყდა და მოულოდნელად ჯიბეში ხელი სტაცა სპილენძის სანაყს...
. . . . . .
„ალბათ მაშინ ღმერთმა დამიფარა,“ - მოგვიანებით იხსენებდა მიტია. სწორედ იმ წუთებში თავის სარეცელში გრიგორის გაეღვიძა. იმ დღის მიწურულს მან ის ცნობილი მკურნალობა ჩაიტარა, რომლის შესახებაც სმერდიაკოვი ივანს უყვებოდა. გრიგორი მარფამ რაღაც საიდუმლო მაგარი ნაყენით დაზილა, დარჩენილი ნაწილი ქმარსაც დაალევინა და თვითონაც გადაკრა. შემდეგ შეულოცა და ლოგინში ჩააწვინა. მარფას, როგორც არამსმელს, მალე მოეკიდა და ქმრის გვერდით მასაც მკვდარივით ჩაეძინა. მაგრამ მოულოდნელად გრიგორის ღამე გაეღვიძა. დიდხანს არ უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ წელში კვლავ მწვავე ტკივილი იგრძნო, მაინც წამოჯდა საწოლზე. ერთხანს კიდევ რაღაცაზე ფიქრობდა, მერმე უცებ წამოდგა და სასწრაფოდ ჩაიცვა. ალბათ სინდისმა შეაწუხა: მე მძინავს და „ასეთ საშიშ დროს“ სახლს არავინ სდარაჯობსო. იქვე, გვერდით, ავი ზნის შედეგად დამტვრეული სმერდიაკოვი გაუნძრევლად იწვა. არც მარფას გაუგია მისი გაღვიძება. „დაიღალა დედაკაცი“, - გაიფიქრა გრიგორიმ და ოხვრა-კვნესით გავიდა პარმაღში. რასაკვირველია, მას მხოლოდ პარმაღიდან გახედვა უნდოდა, ვინაიდან წელი და მარჯვენა ფეხი აუტანლად სტკიოდა და ბევრი სიარული სად შეეძლო. მაგრამ ამ დროს გაახსენდა, ბაღის კუტიკარი რომ ღია დარჩა. ეს აკურატული და წესიერი კაცი, რომელსაც სისხლში გამჯდარი ჰქონდა მრავალწლიანი წეს-ჩვეულებები, ტკივილისაგან წელში მოკაკვული კვანჭალ-კვანჭალით ჩამოვიდა პარმაღიდან და ბაღისაკენ გაემართა. ბაღის კუტიკარი, როგორც გაიფიქრა, გამოღებული დახვდა. ანგარიშმიუცემლად შევიდა ბაღში: ალბათ რაღაც მოეჩვენა, შესაძლოა რაღაც მოესმა. შემდეგ სახლისაკენ

მოიხედა და ბატონის ოთახის გაღებული ფანჯარა დაინახა. ფანჯარაში არავინ ჩანდა. „რატომაა ღია, ახლა ზაფხული ხომ არაა!“ - გაიფიქრა გრიგორიმ. სწორედ ამ დროს ბაღში რაღაც მოეჩვენა. ასე ორმოციოდე ნაბიჯის დაშორებით თითქოს ვიღაცის აჩრდილმა გაირბინა. „ღმერთო ჩემო!“ - თქვა გრიგორიმ და გამოვარდა უცნობისათვის გზის გადასაჭრელად. აღარც ფეხის და აღარც წელის ტკივილი ახსოვდა. მან გზა მოკლეზე მოჭრა, რადგან ბაღი მისთვის უფრო ნაცნობი იყო, ვიდრე უცნობისათვის; უცნობი აბანოსაკენ გაიქცა, შემოუარა მას და კედელს ეცა. გრიგორი თვალს არ აცილებდა, არ უნდოდა, მხედველობიდან დაჰკარგვოდა. გარბოდა ისე, რომ თავიც კი გადაავიწყდა. მან ღობესთან მაშინ მიირბინა, როცა უცნობი ღობეზე გადასვლას აპირებდა. გრიგორიმ დაიღრიალა, მივარდა და ორივე ხელებით ფეხებზე ჩამოეკიდა.
ასეც იყო, წინათგრძნობამ არ უღალატა, მან იცნო ის, ის იყო „მხეცი-მამისმკვლელი“!
- მამისმკვლელო! - იღრიალა მოხუცმა მთელი ხმით, მაგრამ მხოლოდ ეს მოასწრო: იგი მეხდაცემულივით დავარდა. მიტია ჩამოხტა ღობიდან ბაღში და დავარდნილთან დაიხარა. მიტიას ხელში სანაყი ეჭირა, რაც ანგარიშმიუცემლად გვერდზე, ბალახებში მოისროლა. სანაყი გრიგორიდან ორ ნაბიჯზე ბალახებში კი არა, ბილიკზე დავარდა, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. მიტია რამდენიმე წამი ათვალიერებდა მის წინ დაგდებულ მოხუცს, რომელსაც თავი ერთიანად გასისხლიანებოდა; მიტიამ ხელით მოუსინჯა მოხუცს თავი. მოგვიანებით ნათლად გაახსენდა, რომ იმ წუთებში მას სურდა, „საბოლოოდ დარწმუნებულიყო“, მოხუცს თავი გაუტეხა თუ მხოლოდ თხემის ძვალი დაუზიანა? მოხუცს თავიდან სისხლი სდიოდა და სდიოდა. მიტიას უცებ დაუსველა აკანკალებული ხელები სისხლის თბილმა ნაკადმა. მას ახსოვდა, როგორ ამოიღო ჯიბიდან ახალთახალი თეთრი ცხვირსახოცი, რომელიც ხოხლაკოვასთან წასვლის წინ ჩაიდო ჯიბეში, როგორ მიადო მოხუცს თავზე, როგორ ცდილობდა შუბლიდან და სახიდან სისხლის მოწმენდას, მაგრამ ცხვირსახოცი უცებ დასველდა და სისხლით გაიჟღინთა. „ღმერთო ჩემო, რას ვაკეთებ? - გამოფხიზლდა ანაზდად მიტია, - თუკი თავი გაუტყდა, რაღას მიცნობს... თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს! - დასძინა იმედგაცრუებულმა, - მოვკალი, მკვდარია... მოგხვდა, ბებერო, ახლა იწექი მანდ!“ - თქვა მან და უცებ გალავნისაკენ მოკურცხლა, გადახტა და გაიქცა. გასისხლიანებული ცხვირსახოცი მარჯვენა ხელში მოკუჭული ეჭირა, სირბილის დროს იგი სერთუკის უკანა ჯიბეში ჩაიდო. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, რამდენიმე გამვლელს, რომელსაც იმ ღამეს შეხვდა, დაამახსოვრდა სიბნელეში ქუჩაში გიჟივით მორბენალი კაცი. ის მოროზოვას სახლისაკენ გარბოდა. ფენია მიტიას წასვლის შემდეგ უფროს მეეზოვესთან, ნაზარი ივანოვიჩთან მივარდა და შეეხვეწა, არც დღეს და არც ხვალ კაპიტანი სახლში არ შემოეშვა. მეეზოვემ მოუსმინა და დათანხმდა, მაგრამ ბედად იმ წუთებში, მას ბატონმა დაუძახა და ზემოთ ავიდა. გზაში სოფლიდან ჩამოსული 20 წლის ძმისშვილი შეხვდა და უბრძანა, მის მოსვლამდე ეზოში მდგარიყო, მაგრამ კაპიტნის შესახებ გაფრთხილება დაავიწყდა. მიტიამ ჭიშკართან მიირბინა და დააკაკუნა. ყმაწვილმა იცნო, რადგან მიტიას არაერთხელ მიუცია მისთვის გასამრჯელო და კარი მაშინვე გაუღო, შემოუშვა, გაუღიმა და თანაც გააფრთხილა: „აგრაფინა ალექსანდროვნა შინ არ არისო“.
- სად არის, პროხორ? - შეჩერდა და ჰკითხა მიტიამ.

- ორი საათის წინ გაემგზავრა ტიმოფეისთან ერთად მოკროეში.
- რისთვის? - იყვირა მიტიამ.
- ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, ბატონო, ვიღაც ოფიცერთანო. რომელმაც ცხენები გამოუგზავნა.
მიტია გაშორდა და შეშლილივით ფენიასთან შევარდა.

V მოულოდნელი გადაწყვეტილება

ფენია ბებიამისთან ერთად სამზარეულოში იჯდა. ორივე დასაძინებლად ემზადებოდა. ნაზარი ფიოდოროვიჩის იმედით, ისინი შიგნიდან არ ჩაკეტილან. მიტია შემოვარდა, ფენიას ეცა და ყელში სწვდა.
- ახლავე მითხარი, სად არის გრუშენკა, ვისთან წავიდა მოკროეში? - გიჟივით ღრიალებდა მიტია.
ქალები აკივლდნენ.
- ვაიმე, ახლავე მოგახსენებთ, ძვირფასო დმიტრი ფიოდოროვიჩ, ახლავე ყველაფერს გეტყვით, არაფერს დაგიმალავთ, - სხაპასხუპით გაჰკიოდა შეშინებული ფენია, - მოკროეში ოფიცერთან წავიდა.
- რომელ ოფიცერთან? - ღრიალებდა მიტია.
- ადრე რომ ჰყავდა, იმასთან, ხუთი წლის წინათ რომ მიატოვა, - ჩამოარაკრაკა ფენიამ.
მიტიამ ხელი გაუშვა ფენიას, ვის წინაშეც ახლა იდგა მიცვალებულივით გაფითრებული და ხმაჩაკმენდილი, მაგრამ მისი თვალები ნათლად მეტყველებდნენ, რომ უცებ ყველაფერს მიხვდა, ყველაფერს. თუმცა საბრალო ფენიას მისი ყურების თავი არ ჰქონდა. ის, როგორც იჯდა მისი შემოვარდნის დროს, ისევ იმ პოზაში დარჩა, ოღონდ გულაფანცქალებული, შიშისაგან თვალებგაფართოებული და თავდასაცავად წინგაწვდილი ხელებით. სულგანაბული იცდიდა, კიდევ რას მოიმოქმედებდა მიტია. ამ დროს რას ხედავს, მიტიას ორივე ხელი სისხლით მოსვრილი აქვს. ამას გარდა, ეტყობა, გზაში სირბილის დროს გასისხლიანებული ხელები შუბლსა და მარჯვენა ლოყაზე მოისვა და ისინიც სისხლის ლაქებით ჰქონდა მოსვრილი. ცოტაც და ფენიას ისტერიკა დაეწყებოდა. დედაბერი კი წამოხტა და აქეთ-იქეთ შეშლილივით იყურებოდა. მიტია ერთხანს იდგა და მერე, მისდაუნებურად ფენიას გვერდით მდგარ სკამზე დაეშვა.
ანაზდად ის მშვიდად და თვინიერად, როგორც წყნარი და ალერსიანი ბავშვი, ისე ალაპარაკდა. თითქოს დაავიწყდა, ორიოდე წუთის წინ რომ შეაშინა, აწყენინა და აწვალა ფენია. მან, მისი მდგომარეობის კაცისათვის განსაკუთრებული და საკვირველი სიზუსტით, დაუწყო გამოკითხვა ფენიას. ისიც, თუმცა შეშინებული შესცქეროდა მის გასისხლიანებულ ხელებს, მაინც საოცარი გულმოდგინებით პასუხობდა მიტიას კითხვებს, ცდილობდა, დაწვრილებით ეთქვა „სრული სიმართლე“. ნელ-ნელა, სიამოვნებით გადმოულაგა ყველაფერი, ცდილობდა, გული არ ეტკინა მისთვის. გამოწვლილვით აუწერა დღევანდელი დღე, რაკიტინისა და ალიოშას მოსვლა, თუ როგორ იდგა ის, ფენია, გარეთ დარაჯად, რომ ქალბატონისათვის მიტიას გამოჩენა შეეტყობინებინა, როგორ გაემგზავრა

ქალბატონი და როგორ დაუყვირა ალიოშას, მიტენკას მოკითხვა გადაეცი და „მუდამ ახსოვდეს მას, რომ გრუშენკას მხოლოდ ერთი საათით უყვარდაო“. ამის გაგონებაზე მიტიას ანაზდად გაეცინა და მის ფერდაკარგულ ღაწვებს სიწითლემ გადაჰკრა. ფენიას უკვე გადაუარა შიშმა და ჰკითხა:

- ხელებზე რა დაგემართათ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, სისხლიანი გაქვთ?
- ჰო, - ანგარიშმიუცემლად უპასუხა მიტიამ, ხელებზე დაიხედა, მაგრამ იმავ წამს გადაავიწყდა ხელებიც და ფენიას კითხვაც. ისევ თავის ფიქრებში ჩაეფლო. უკვე ოცი წუთი იყო, რაც აქ იჯდა. ადრინდელი შიში გაუქრა, მაგრამ ახლა მის არსებას ერთიანად დაეუფლა ერთი მტკიცე გადაწყვეტილება. ის უცებ წამოხტა და გაიღიმა.
- ბატონო, რა მოგივიდათ? - კვლავ გაუმეორა კითხვა ფენიამ და ისევ ხელებზე მიუთითა. მან ისე დანანებით თქვა, თითქოს ყველაზე ახლობელი იდგა ახლა მის წინაშე.
მიტიამ ისევ დაიხედა ხელებზე.
- ეს სისხლია, ფენია, - თქვა მან და უცნაურად შეხედა მას, - ეს ადამიანის სისხლია, ღმერთო ჩემო, რისი გულისათვის დაიღვარა! მაგრამ... ფენია... აქ ერთი ღობეა (ის ფენიას ისე უყურებდა, თითქოს გამოცანას ეუბნებოდა), ერთი მაღალი და საშინელი ღობე, მაგრამ... ხვალ დილით, როცა „მზე აღმოხდება“, მიტენკა ამ ღობეს გადაახტება... ვერ ხვდები, ფენია, რომელ ღობეზეა ლაპარაკი, არა უშავს, ხვალ ყველაფერს შეიტყობ, ყველაფერს მიხვდები. ახლა კი მშვიდობით! არავის ხელს არ შევუშლი, განზე გავდგები. იცოცხლე, ჩემო სიხარულო... ერთი საათით ხომ გიყვარდი, მაშ, სამუდამოდ გახსოვდეს მიტენკა კარამაზოვი... გრუშენკა ყოველთვის მიტენკას მეძახდა, გახსოვს?
ეს თქვა და სამზარეულოდან გავიდა. ფენია მიტიას გასვლამ უფრო შეაშინა, ვიდრე მისმა შემოვარდნამ და ყელში წაჭერამ.
ათი წუთის შემდეგ მიტია იმ ახალგაზრდა ჩინოვნიკის, პიოტრ ილიჩ პერხოტინის სახლში შევიდა, რომელთანაც ამას წინათ პისტოლეტები დააგირავა. უკვე ცხრის ნახევარი იქნებოდა და ჩაის მირთმევის შემდეგ სერთუკში გამოწყობილი პერხოტინი ბილიარდის სათამაშოდ წასვლას აპირებდა. მიტიას ის კარებთან შეხვდა. როცა პერხოტინმა სისხლში ამოსვრილი მიტია დაინახა, შეჰყვირა:
- ღმერთო ჩემო, რა გჭირთ?
- იცით რა, - სწრაფად ჩაილაპარაკა მიტიამ, - ჩემი პისტოლეტების წასაღებად გეახელით, ფული მოგიტანეთ. დიდი მადლობელი ვარ. მეჩქარება პიოტრ ილიჩ, გეთაყვა.
პიოტრ ილიჩი კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა, უცებ მიტიას ხელში ფულის დასტა რომ დაინახა. რაც მთავარია, ის ფულის დასტით ხელში შემოვიდა. ასე ფული ხელში არავის უჭირავს და არც ვინმე ვინმესთან შედის ხოლმე. მას დასტა მარჯვენა ხელში ეჭირა, თვალსაჩინოდ, ხელი წინ ჰქონდა გამოშვერილი. ჩინოვნიკის მსახური ბიჭი, რომელმაც მიტიას კარი გაუღო, მოგვიანებით ჰყვებოდა, რომ მიტია სახლშიც ასე შემოვიდა, ალბათ ქუჩაშიც ასე მოდიოდა, მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული ასიგნაციებითო. ფულის ყველა კუპიურა ფერად-ფერადი ასმანეთიანები იყო, გასისხლიანებული თითებით ეჭირა. შემდგომში პიოტრ ილიჩმა დაინტერესებული პირების კითხვაზე: მაინც რამდენი იქნებოდა? - განაცხადა, ერთი შეხედვით ვერ დათვლიდი, ასე ორი-სამი ათასი იქნებოდა, დასტა მსხვილი და „მჭიდრო“ იყო. დმიტრი ფიოდოროვიჩი კი „საკუთარ თავს არ ჰგავდა, სიმთვრალე არ ეტყობოდა, რაღაცნაირად აღტაცებული და ძალიან დაბნეული ჩანდა, ამავე დროს დაძაბული, თითქოს ისეთ რაღაცაზე ფიქრობდა, რომელიც ვერა და ვერ გადაეწყვიტა. ძალზე ჩქარობდა, უხეშად ლაპარაკობდა, რაღაც უცნაურად, ხანდახან ისე გამოიყურებოდა, თითქოს კი არ წუხდა, არამედ

რაღაც უხაროდა კიდეცო“.
- რა მოგვიდათ, რას ჰგავხართ? - ისევ იყვირა მასპინძელმა და ზიზღით გადახედა სტუმარს, - ასე სად დასისხლიანდით, დაეცით თუ რა, შეხედეთ თქვენ თავს!
მან მიტიას იდაყვზე ხელი წაავლო და სარკესთან მიიყვანა. მიტიამ დაინახა თავისი გასისხლიანებული პირისახე, შეკრთა და მრისხანედ შეიჭმუხნა.
- ეშმაკმა დალახვროს! ეგღა მაკლდა, - ბრაზმორეულმა ჩაიბურტყუნა, სწრაფად მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა ფული და აკანკალებული თავისუფალი ხელით ჯიბიდან ცხვირსახოცი დააძრო. მაგრამ ცხვირსახოციც სისხლით იყო გაჟღენთილი (ამ ცხვირსახოცით მან გრიგორის თავ-პირი მოსწმინდა): არც ერთი ადგილი აღარ ჰქონდა თეთრი, სისხლი უბრალოდ კი არ იყო გამშრალი, არამედ ისეთ კოშტებად ქცეულიყო, რომ მიტიამ ცხვირსახოცი ვერაფრით ვერ გაშალა და გაბრაზებულმა იქვე, იატაკზე მოისროლა.
- ეშმაკმა დალახვროს! რაიმე ჩვარი ხომ არ გექნებათ... გავიწმინდო მაინც...
- თქვენ რა, დასვრილი ხართ, დაჭრილი არა ხართ? მაშინ დაიბანეთ, - უპასუხა პიოტრ ილიჩმა, - აგერ ხელსაბანი, ახლავე მოგართმევთ.
- ხელსაბანს? კარგია... მაგრამ ამას რა ვუყო? - რაღაცნაირად ჰკითხა მასპინძელს და ასმანეთიანებზე მიუთითა. მიტია გაოგნებული უყურებდა ფულს და თითქოს პიოტრ ილიჩისაგან ელოდა გადაწყვეტილებას, სად წაეღო ის.
- ჯიბეში ჩაიდეთ ან მაგიდაზე დადეთ, არ დაგეკარგებათ.
- ჯიბეში? ჰო, ჯიბეში. კეთილი... არა, იცით, ყველაფერი ეს სისულელეა! - იყვირა მან, თითქოს დაბნეულობამ გაუარა. - იცით რა, მოდით ჩვენ ჯერ ეს საქმე დავამთავროთ, პისტოლეტებზე გეუბნებით, დამიბრუნეთ ისინი, მე კი ფულს მოგართმევთ, ახლა ისინი ძალიან მჭირდება, ძალიან... დროც ძალზე ცოტა მაქვს, ცოტა...
მიტიამ დასტიდან ერთი ასმანეთიანი ამოიღო და ჩინოვნიკს გაუწოდა.
- მე ხურდა არ მაქვს, - შენიშნა მასპინძელმა, - უფრო წვრილი ფული არ გექნებათ?
- არა, - თქვა მიტიამ და ისევ დასტას დახედა, თითქოს დარწმუნებული არ იყო, დასტის ზემოდან ერთი-ორი კუპიურა თითებით მოსინჯა, - არა, ყველა ერთნაირია, - დაუმატა მან და ისევ გაკვირებული შეაცქერდა პერხოტინს.
- სად გამდიდრდით ასე? - ჰკითხა მან, - მოითმინეთ, ჩემს ბიჭს პლოტნიკოვებთან გავაგზავნი, ისინი დუქანს გვიან კეტავენ, იქნებ დაახურდაონ, - მიშა! - გაჰყვირა მან მსახურს.
- პლოტნიკოვის დუქანში - ძალიან კარგს იზამთ! - ისე იყვირა მიტიამ, თითქოს რაღაც აზრი მოუვიდა გონებაში, - მიშა, - მიმართა მან მსახურს, - გაიქეცი პლოტნიკოვებთან და უთხარი, დმიტრი ფიოდოროვიჩმა მოგიკითხათ და მალე თავადაც გეახლებათ-თქო... კარგად მომისმინე: სანამ მე მივალ შამპანურები გამიმზადონ, ასე ოცდათექვსმეტი ბოთლი, ისე ჩამილაგონ, როგორც ამას წინათ, როცა მოკროეში წავიღე... მაშინ ორმოცდარვა ბოთლი ვიყიდე, - უცებ პიოტრ ილიჩს მიუტრიალდა, - მათ უკვე ყველაფერი იციან, შენ მაგის დარდი ნუ გექნება, მიშა, - ისევ ბიჭს მიუბრუნდა, - აი, კიდევ რა: მომიმზადონ ყველი, სტრასბურგული ღვეზელები, შებოლილი სიგა, შაშხი, ხიზილალა, ყველაფერი, რაც გააჩნიათ, ასე ასი ან ასოცი მანეთის ღირებულების, როგორც მაშინ იყო-თქო. კიდევ, მისმინე: მოსაკითხი არ დაავიწყდეთ: კანფეტი, მსხალი, საზამთრო ორი-სამი, არა, სჯობს, ოთხი - არა, არა, საზამთრო ერთიც საკმარისია, შოკოლადი, შაქარყინული, მონპასიე, ირისი - ყველაფერი, რაც მაშინ მოკროეში გამატანეს. შამპანურთან

ერთად სამასი მანეთის ღირებულების რომ გამოვიდეს-თქო... ახლაც ზუსტად ისე
იყოს-თქო. ხომ დაიმახსოვრე, მიშა, შენ მიშა ხარ?.. ამას ხომ მიშა ჰქვია? - ისევ
პერხოტინს მიუბრუნდა მიტია.
- მოითმინეთ, - შეაწყვეტინა მასპინძელმა, რომელიც შეწუხებული უსმენდა და
თან ათვალიერებდა მას, - თქვენ თვითონ მიბრძანდებით და ეტყვით, ამას
შეეშლება.
- შეეშლება, ვხედავ, რომ შეეშლება! ეჰ, მიშა, მე კი ამ სამსახურისათვის შენი
კოცნა მინდოდა... თუ არ შეგეშლება, ათ მანეთს გიფეშქაშებ; აბა, ჩქარა, გაიქეცი..
მთავარია შამპანური, შამპანური... კონიაკიც, წითელი და თეთრი ღვინოც,
ყველაფერი, როგორც მაშინ... იმათ იციან, როგორ იყო მაშინ.
- მომისმინეთ! - უკვე მოუთმენლად შეაწყვეტინა პიოტრ ილიჩმა, - მე ვეუბნები,
წავიდეს, ფული დაახურდაოს და სთხოვოს - ჯერ არ დახურონ დუქანი. თქვენ
თავად მიბრძანდებით იქ, თავად შეუკვეთთ. მომეცით ფული. გაიქეცი, მიშა, ჩქარა!
- პერხოტინმა განგებ სასწრაფოდ გააგდო მიშა, რომელიც პირდაღებული და
თვალებგადმოკარკლული იდგა სტუმრის წინ და შეშინებული შესცქეროდა მის
გასისხლიანებულ სახეს, ხელებს და ასმანეთიანების დასტას. მან ბევრი
ვერაფერი გაიგო, რას სთხოვდა მიტია.
- ახლა წამობრძანდით და ხელები დაიბანეთ, - მკაცრად უთხრა პიოტრ ილიჩმა. -
ეგ ფული მაგიდაზე დადეთ ან ჯიბეში ჩაიდეთ... აი, ასე. წამოდით, გაიხადეთ
სერთუკი.
მან დაუწყო მიტიას სერთუკის გახდა, მაგრამ უცებ ისევ შეჰყვირა.
- დახეთ, სერთუკიც სისხლიანი გაქვთ!
- ეს.. ეს სერთუკი არ არის. მხოლოდ სახელოსთანაა ცოტა... იქ, სადაც
ცხვირსახოცი იდო, ჯიბიდან გამოჟონა. მე ფენიასთან ცხვირსახოცზე დავჯექი და
სისხლმა იქ გამოჟონა, - რაღაცნაირად საოცარი გულახდილობით აუხსნა მიტიამ.
პიოტრ ილიჩი კოპებშეკრული უსმენდა მას.
- რა დაგემართათ, ვინმესთან იჩხუბეთ? - ჩაიბურტყუნა მან. მიტია ხელის დაბანას
შეუდგა. პიოტრ ილიჩს დოქი ეჭირა და წყალს უსხამდა. მიტია ჩქარობდა და
ხელები ცუდად გაისაპნა (ხელები უკანკალებდაო, მოგვიანებით ჰყვებოდა
პერხოტინი). პიოტრ ილიჩმა უბრძანა, ხელახლა დაესაპნა ხელები. იგი სულ უფრო
და უფრო მეტ ზეგავლენას ახდენდა მიტიაზე. აღსანიშნავია, რომ ეს ახალგაზრდა
მაგარი ხასიათის კაცი იყო.
- დახედეთ, ფრჩხილებს ქვემოთ კიდევ გაქვთ დარჩენილი; ახლა სახე
გაიწმინდეთ, აი აქ: საფეთქელზე, ყურთან... თქვენ ამ პერანგით აპირებთ წასვლას?
სად მიდიხართ? მარჯვენა სახელოს ყოში სულ სისხლიანი გაქვთ.
- დიახ, სისხლიანია, - შენიშნა მიტიამაც და პერანგის სახელოს ყოშს თვალიერება
დაუწყო.
- გამოიცვალეთ პერანგი.
- არა მცალია. იცით, რას ვიზამ... - მიტიამ გააგრძელა თავისი გულახდილობა და
თან პირსახოცით სახესა და ხელებს იწმენდდა. შემდეგ სერთუკი ჩაიცვა. -
სახელოს გადავიკეცავ და სერთუკის ქვეშ არ გამოჩნდება... აი, ნახეთ!
- ახლა მითხარით, რა დაგემართათ? იჩხუბეთ ვინმესთან? ისევ სამიკიტნოში ხომ
არა, როგორც მაშინ? ისევ იმ კაპიტანთან ხომ არა, მაშინ რომ სცემეთ და ათრიეთ?
- საყვედურით გაუხსენა პიოტრ ილიჩმა, - ვინ სცემეთ... იქნებ მოკალით კიდეც?
- სისულელეა! - თქვა მიტიამ.

- რაა სისულელე?
- არაფერი, - თქვა მიტიამ და გაიცინა, - წეღან მოედანზე ერთი ბებრუცუნა გავიტანე.
- გაიტანეთ? ბებრუცუნა?
- ბებერი! - იყვირა მიტიამ და პირდაპირ სახეში შეხედა პიოტრ ილიჩს. ის ისე იცინოდა და ყვიროდა, თითქოს ყრუს ელაპარაკებოდა.
- ვერაფერი გავიგე, ბებერი თუ ბებრუცუნა... მოკალით ვინმე?
- შევრიგდით, ვიჩხუბეთ და შევრიგდით. ერთ ადგილას. მერმე მეგობრულად დავშორდით. ერთმა სულელმა... მაპატია... ახლა ალბათ უკვე მაპატია... თუკ ადგებოდა ალბათ არ მაპატიებდა, - უცებ თვალი ჩაუკრა მიტიამ, - იცით რა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია მას, პიოტრ ილიჩ, ჭირსაც წაუღია, არაა საჭირო! ახლა არ მინდა! - მოუჭრა მიტიამ.
- მე ის მინდა ვთქვა, ეს რა ზნე გჭირთ, ყველას თქვენ ეჩხუბებით... მაშინაც უბრალო რამის გულისათვის სცემეთ იმ შტაბს-კაპიტანს... დღესაც იჩხუბეთ და ახლა საქეიფოდ გაგიწევიათ - თქვენ თქვენს თავს არ ღალატობთ. ოცდათექვსმეტი ბოთლი შამპანური - რად გინდათ ამდენი?
- ბრავო! მომეცით ახლა პისტოლეტები. ღმერთმანი, ძალიან მეჩქარება. შენთან საუბარი მინდა, მაგრამ დრო არა მაქვს, გეთაყვა. არცაა საჭირო, უკვე გვიანაა. ხო მართლა! სადაა ჩემი ფული, სად წავიღე? - იყვირა მან და ჯიბეების ქექვა დაიწყო.
- მაგიდაზე დევს! თქვენ დადეთ... ეგერ იქ დევს. დაგავიწყდათ? ფული ჩეჩქივითა გაქვთ. აი, თქვენი პისტოლეტები. საკვირველია პირდაპირ, ექვს საათზე დააგირავეთ ათ მანეთად, ახლა კი ათასები გაქვთ. ორი-სამი ათასი იქნება ალბათ?
- სამი ალბათ, - გაიცინა მიტიამ და ფული პანტალონის უკანა ჯიბეში ჩაიტენა.
- ასე დაგეკარგებათ. სადმე ოქროს საბადოებს ხომ არ მიაგენით?
- საბადოები? ოქროს საბადოები! - მთელი ხმით იყვირა მიტიამ და სიცილისაგან გადაფიჩინდა, - პერხოტინ, გინდათ ოქროს საბადოებზე წავიდეთ? აქ ერთი ქალია, ოღონდ კი წავიდეთ, იმ წუთში სამი ათასს იძლევა. მე უკვე მომცა, რადგან თურმე ძალიან ჰყვარებია საბადოები! ხოხლაკოვას იცნობთ?
- ცნობით არ ვიცნობ, ისე კი გამიგია და მინახავს. დავიჯერო, იმან მოგცათ სამი ათასი? ისე უბრალოდ, ადგა და მოგცათ? - უნდოდ შეხედა პიოტრ ილიჩმა.
- თქვენ ხვალ, როგორც კი მზე ამოვა და მარად ჭაბუკი ფებოსი ღმერთის სადიდებლად აღმობრწყინდება, მიბრძანდით ქალბატონ ხოხლაკოვასთან და ჰკითხეთ: მომცა თუ არა მან მე სამი ათასი, ჰკითხეთ.
- მე არ ვიცი თქვენი ურთიერთდამოკიდებულება... რახან თქვენ ასე დაბეჯითებით ამბობთ, ალბათ მოგცათ... თქვენ კი ფული ხელში ჩაიგდეთ და ციმბირის მაგივრად სამ ათასს აქ გინდათ გამოუყვანოთ წირვა... ახლა სად მიდიხართ, ჰა?
- მოკროეში.
- მოკროეში? ახლა ხომ ღამეა.
- მასტრიუკი იყო ყველაფერი და მასტრიუკი იქცა არაფრად[100]. - უცებ თქვა მიტიამ.
- როგორ თუ არაფრად? ამდენი ათასი გაქვთ და არაფერი?
- მე ათასები არ მაქვს მხედველობაში, ჭირსაც წაუღია ის. მე ქალის ზნეობაზე მაქვს ლაპარაკი:
მჩატე არის ქალის ნირი,

ბიწიერი და ორპირი.[101]
მე ვეთანხმები ულისეს[102], ამას ის ამბობს.
- რაღაც ვერ გავიგე!... მთვრალი ხომ არა ხართ?
- მთვრალი არა, უფრო უარესი. მე სულით მთვრალი ვარ, პიოტრ ილიჩ, სულით მთვრალი, კმარა, კმარა!
- რას ჩადიხართ, პისტოლეტს ტენით?
- პისტოლეტს ვტენი.
მიტიამ თავი ახადა პისტოლეტებიან ყუთს, გახსნა საპირისწამლე და საფანტით დატენა იარაღი. მერმე ორი თითით აიღო ტყვია და სანამ პისტოლეტში ჩადებდა, სანთლის შუქზე გახედა.
- ეგრე რატომ უყურებთ ტყვიას? - ინტერესით უთვალთვალებდა მიტიას შეწუხებული პიოტრ ილიჩი.
- ისე, ჩემთვის ვფიქრობ. აი, თუ გადავწყვეტ თავის მოკვლას, მაშინ პისტოლეტის დატენვისას შევხედავ თუ არა მას-მეთქი?
- რატომ უნდა შეხედოთ?
- თუ ეს ტყვია ჩემს ტვინს გაივლის, მაშინ საინტერესოა მისი დათვალიერება, რანაირია... თუმცა, რას მივქარავ, წუთიერი სიგიჟეა. ესეც ასე. - დასძინა მან ტყვია პისტოლეტში ჩადო და ძენძით გაჭედა. - პიოტრ ილიჩ, ძვირფასო, სისულელეა ყველაფერი, სისულელე, თქვენ რომ იცოდეთ, როგორი სისულელეა! ახლა ერთი ქაღალდის ნაგლეჯი მიბოძეთ.
- ინებეთ.
- არა, სუფთა, დასაწერად მინდა. აი, ეს. - მიტიამ მაგიდიდან კალმისტარი აიღო და სასწრაფოდ ორი სტროფი დაწერა. მერმე ქაღალდი დაკეცა და ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო. პისტოლეტები კვლავ ყუთში ჩააწყო, გასაღებით დაკეტა და ხელში დაიჭირა. შემდეგ პიოტრ ილიჩს შეხედა და ფიქრებში წასულმა გაიღიმა.
- ახლა წავიდეთ, - თქვა მან.
- სად წავიდეთ? არა, მოითმინეთ... თქვენ რა - აპირებთ ტვინში ამის სროლას, ტყვიისას... - წარმოთქვა შეწუხებელმა პიოტრ ილიჩმა.
- ტყვია, რა სისულელეა! მე ცხოვრება მინდა, მე სიცოცხლე მიყვარს! შენ ეს კარგად იცოდე. მე ოქროსთმიანი ფებოსი და მისი მცხუნვარე სხივები მიყვარს... ძვირფასო პიოტრ ილიჩ? ახლა კი გამატარეთ!
- როგორ გაგატაროთ?
- გზა მომეცით. მშვენიერი და საძულველი არსება გაატარეთ. რომ საძულველი საყვარელი გახდეს, - აი ასე გამატარეთ! უთხარით: მიბრძანდით, გაიარეთ-თქო, მე კი...
- თქვენ?
- გვეყოფა, წავიდეთ.
- ღმერთმანი, ვინმეს უნდა ვუთხრა, - თვალს არ აცილებდა მას პიოტრ ილიჩი, - იქ რომ არ გაგიშვათ. ახლა რა დროს მოკროეა?
- იქ ქალია, ქალი, მოვრჩეთ ახლა, პიოტრ ილიჩ, შაბაშ!
- იცით რა, ცოტა ველური ხართ, მაგრამ ყოველთვის მომწონდით... მე თქვენი ბედი მაწუხებს.
- მადლობა. ჩემო ძმაო. შენ ამბობ, რომ ველური ვარ. ველურები, ველურები! მეც ამას ვამტკიცებ: ველურები! აი, მიშაც, ის კინაღამ გადამავიწყდა.
ოთახში აქოშინებული მიშა შემოვიდა, ხელში დახურდავებული ფულის დასტა

ეჭირა. მან მიტიას მოახსენა, რომ პლოტნიკოვებთან „ყველა აწრიალდა“, ბოთლებს ფუთავენ, თევზსაც, ჩაისაც. სულ მალე ყველაფერი მზად ექნებათო. მიტიამ დასტიდან ერთი ათმანეთიანი პიოტრ ილიჩს მისცა, მეორე მიშას გადაუგდო.
- არ გაბედოთ! - იყვირა პიოტრ ილიჩმა, - ჩემს სახლში არ შეიძლება, გარდა ამისა, ეს არასერიოზული საქციელია. შეინახეთ ფული ჯიბეში, რას ფანტავთ? ხვალ გამოგადგებათ, თუ კიდევ გინდათ ჩემთან ფულის სათხოვნელად მოსვლა? რატომ იტენით გვერდით ჯიბეში ყველაფერს? დაკარგავთ!
- მისმინე, კეთილო კაცო, წამოხვალ ჩემთან ერთად მოკროეში?
- მე რაღა მინდა იქ?
- გინდა ახლა ერთ ბოთლს გავხსნი და მე და შენ სიცოცხლის სადღეგრძელო შევსვათ, ჰა?
- სამიკიტნოში შეიძლება, წავიდეთ, მე მაინც იქით მივდიოდი.
- არა, სამიკიტნოში არა, პლოტნიკოვების დუქანში, უკანა ოთახში. გინდა ახლა ერთ გამოცანას გეტყვი.
- მითხარი.
მიტიამ ჟილეტის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, გახსნა და ანახა. ქაღალდზე მსხვილი ასოებით გარკვევით ეწერა:
„ჩემი ცხოვრებისათვის თავს ვისჯი, ჩემი სიცოცხლე უნდა დავსაჯო!“
- აუცილებლად ვინმეს უნდა შევატყობინო, წავალ და ვეტყვი, - თქვა პიოტრ ილიჩმა ქაღალდის წაკითხვის შემდეგ.
- ვერ მოასწრებ, ძვირფასო, წამო, დავლიოთ, ჰაიდა!
პლოტნიკოვების დუქანი პიოტრ ილიჩის სახლიდან ერთი სახლის გამოტოვებით, ქუჩის კუთხეში მდებარეობდა. ეს იყო ჩვენი ქალაქის ყველაზე დიდი საბაყლო მაღაზია. მდიდარი ვაჭრები იყვნენ და მაღაზიაც კარგად გამოიყურებოდა. ყველანაირი საქონელი იყიდებოდა, როგორც დედაქალაქის მაღაზიებში, ნაირ-ნაირი ბაკალეია: „ძმები ელისეევების ჩამოსხმის“ ღვინოები, ხილი, სიგარები, ჩაი, შაქარი, ყავა და ა.შ. მაღაზიას მუდამ სამი ნოქარი და ორი დამტარებელი ბიჭი ემსახურებოდა. მართალია, ჩვენი მხარე გაღარიბდა, მემამულეები წავიდ-წამოვიდნენ. ვაჭრობა დაეცა, მაგრამ ეს მაღაზია წლიდან წლამდე ძველებურად იფურჩქნებოდა და იფურჩქნებოდა: მათ საქონელს მყიდველი არ აკლდა. მიტიას დუქანში მოუთმენლად ელოდნენ. ახლაც კარგად ახსოვდათ, ამ სამი-ოთხი კვირის წინათ ერთად რომ წაიღო რამდენიმე ასეული მანეთის (ნაღდ ფულზე) ღირებულების საქონელი და ღვინოები (ნისიად, ცხადია, მას არაფერს მისცემდნენ). ისიც ახსოვდათ, როგორც ახლა, მაშინაც, მას ხელში ფერად-ფერადი ასიანების დასტა ეჭირა და შეუვაჭრებლად აქეთ-იქეთ ფანტავდა, არც ფიქრობდა არაფერზე და არც უნდოდა ეფიქრა, რად უნდოდა ამდენი სურსათი, ღვინო და სხვა. მაშინ მთელი ქალაქი ჭორაობდა იმის შესახებ, თუ როგორ „დაამღერა მოკროეში ერთ დღე-ღამეში მიტიამ გრუშენკასთან ერთად სამი ათასი მანეთი და როგორ დაბრუნდა ქალაქში უკაპიკოდ, ცარიელ-ტარიელი“. იქ მიტიამ ბოშათა მთელი ბანაკი მორეკა (იმ დროს ჩვენთან იყვნენ დაბანაკებულები), რომლებმაც გალეშილ მიტიას ჯიბეები და საუკეთესო ღვინით სავსე ბოთლები გამოუცარიელეს. ტეტია გლეხები შამპანურის სმით გახეთქა, სოფლის გომბიოებსა და დედაკაცებს კი კანფეტებითა და სტრასბურგული ნამცხვრებით ამოუყორა მუცლებიო, დასცინოდნენ ქალაქში. განსაკუთრებით ბევრს

იცინოდნენ სამიკიტნოში მიტიას გულახდილ და საჯარო აღიარებაზე, რომ იმჟამინდელი „ღრეობის“ განმავლობაში გრუშენკამ მიტიას „მხოლოდ ფეხზე კოცნის ნება დართო, მეტი არაფრისაო“. რასაკვირველია, პირდაპირ არ დასცინოდნენ, პირადად მისი დაცინვა სახიფათო იყო.
როცა მიტია და პიოტრ ილიჩი დუქანს მიუახლოვდნენ, კარებთან უკვე გამზადებული ნოხგადაფარებული და ზანზალაკებიანი სამცხენა და მეეტლე ანდრეი ელოდებოდა. მედუქნეებს საქონელი ერთ ყუთში ჩაეწყოთ და მიტიას მოლოდინში იყვნენ, რომ დაელურსმათ და ეტლში ჩაედოთ. პიოტრ ილიჩი გაკვირვებული დარჩა.
- ეს სამცხენა საიდან გაჩნდა? - ჰკითხა მან მიტიას.
- შენთან რომ მოვიჩქაროდი, ანდრეი გზაში შემხვდა და ვთხოვე დუქანთან დამლოდებოდა. არ მინდოდა, დრო დამეკარგა. ამას წინათ ტიმოფეიმ წამიყვანა, მაგრამ ახლა ტიმოფეი აქ არ არის, მან ჩემი ჯადოქარი წაიყვანა. ანდრეი, ხომ არ გვაგვიანდება?
- შეიძლება ერთი საათით ადრე მივიდნენ, ერთ საათზე მეტი არ იქნება განსხვავება! - უმალ გასცა პასუხი ანდრეიმ. - ტიმოფეის ეტლის შეკაზმვაში მე დავეხმარე, ვიცი როგორ ივლის. მათი სვლა ჩვენსას ვერ შეედრება, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ისინი ჩვენთან რას მოვლენ, ერთ საათზე ადრე ვერ მიგვასწრებენ!
- გულიანად თქვა ანდრეიმ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, წითურმა და კაფანდარა კაცმა, რომელსაც მარცხენა ხელში არმიაკი ეჭირა.
- თუ ერთი საათით ჩამოვრჩებით, ხუთ თუმანს გიფეშქაშებ არყისათვის.
- ერთი საათის გარანტიას გაძლევთ, ნახევარი საათისას ალბათ ვერა.
მიტია აფუსფუსდა, აქეთ-იქით განკარგულებებს იძლეოდა. მბრძანებლობდა და ლაპარაკობდა უცნაურად, არეულ-დარეულად, ჯერ ერთ რამეზე იწყებდა ლაპარაკს, მერმე უცბად მეორეზე გადადიოდა და პირველი ავიწყდებოდა. პიოტრ ილიჩმა საჭიროდ ჩათვალა, რომ აუცილებელი იყო მისი ჩარევა.
- ოთხასი მანეთის უნდა იყოს, ერთი კაპიკით ნაკლებიც არ შეიძლება, როგორც ამას წინათ, - იძლეოდა ბრძანებებს მიტია. - ორმოცდარვა ბოთლი შამპანური, არც ერთი ბოთლით ნაკლები.
- რად გინდა ამდენი, რისთვის? მოიცა! - იყვირა პიოტრ ილიჩმა, - ეს რა ყუთია? რა არის შიგ? ნუთუ ეს ოთხასი მანეთისაა?
ნოქრები იმ წუთსვე მოცვივდნენ და დაშაქრული ხმით აუხსნეს, რომ პირველ ყუთში მხოლოდ ექვსი ბოთლი შამპანური და მისატანებელი, „აუცილებელი მოთხოვნილების, პირველი რიგის პროდუქტები“, კანფეტები, მონპასიე და სხვა დევსო. მთავარი სურსათი ახლავე მომზადდება და სხვა ეტლში ჩაალაგებენ, ისიც სამცხენა იქნება, „მხოლოდ ერთი საათის მოგვიანებით მივა ადგილზე“.
- ერთ საათს არ გადააცილოთ, რაც შეიძლება ბევრი მონპასიე და ირისი ჩადეთ, იქაურ გოგოებს უყვართ ძალიან, - აღტაცებული მბრძანებლობდა მიტია.
- ამდენი ირისი რად გინდა? ესეც ეყოფათ, - თქვა თითქმის გაბრაზებულმა პიოტრ ილიჩმა. მან დაიწყო ვაჭრობა, მოითხოვდა ანგარიშს, არ იქნა და არ შეეშვა. მხოლოდ ასი მანეთის გადარჩენა შეძლო. შეთანხმდნენ, სამასი მანეთის საქონელს გაგზავნიდნენ.
- ეშმაკმა დაგლახვროს! - ყვიროდა პიოტრ ილიჩი, - ნეტა, რა მენაღვლება, გაფლანგე შენი ფული, თუკი არ გენანება!
- აქეთ, ეკონომო, აქეთ, ნუ ბრაზობ, - წაათრია მიტიამ პერხოტინი დუქნის უკანა

ოთახში. - აქ ერთ ბოთლს გაგვიხსნიან და დავლიოთ. პიოტრ ილიჩ, წამოდი ჩემთან ერთად, შენ კარგი კაცი ხარ, მიყვარს შენნაირები.
მიტია მაგიდის წინ მდგარ წნულ სკამზე ჩამოჯდა. მაგიდას ჭუჭყიანი სუფრა ეფარა. პიოტრ ილიჩი მის პირდაპირ დაჯდა. უცებ შემოიტანეს შამპანური. მედუქნეებმა ბატონებს შესთავაზეს: „ხომ არ ინებებთ ახალთახალ ხამანწკებს, ეს-ესაა მივიღეთო“.
- არ მინდა ხამანწკები, მე ჭამას არ ვაპირებ, არაფერი არ მინდა, - მოიგერია ბრაზმორეულმა პიოტრ ილიჩმა.
- არ არის ხამანწკების დრო, - აღნიშნა მიტიამ, - არც მადაზე ვარ. იცი, მეგობარო, - ანაზდად წარმოთქვა გრძნობამორეულმა, - არასოდეს მყვარებია ასეთი უწესრიგობა.
- ვის უყვარს! ოცდათექვსმეტი ბოთლი შამპანური გლეხებისათვის, რა საჭიროა ამდენი?
- მხედველობაში ეგ არ მქონდა. მე უზენაეს წესრიგს ვგულისხმობდი. მოუწესრიგებელი კაცი ვარ, არ არის ჩემში უზენაესი წესრიგი. მაგრამ ამიერიდან ყველაფერი დამთავრდა, სადარდებელი არაფერია. უკვე გვიანაა, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! მთელი ჩემი ცხოვრება უწესრიგობაა, დროა, დამყარდეს წესი და რიგი. ვკალამბურობ, ჰა?
- ბოდავ, კი არ კალამბურობ.
დიდება უზენაესს ამქვეყნად,
დიდება უზენაესს ჩემში!
- ეს ლექსი ოდესღაც სულიდან აღმომხდა, ლექსი კი არა, ცრემლი... ჩემი შეთხზულია... მაშინ კი არა, შტაბს-კაპიტანი რომ წვერით ვათრიე...
- რატომ გაიხსენე ეგ ამბავი?
- რატომ გამახსენდა? სისულელეა! ყველაფერი დასრულდა, ყველაფერი გათანაბრდა, ყველაფერს ჯვარი დაესვა.
- იცი რა გითხრა, მე თავიდან არ ამომდის შენი პისტოლეტები.
- პისტოლეტებიც სისულელეა! დალიე და ფანტაზიებს შეეშვი. მიყვარს სიცოცხლე, ძალიან შემიყვარდა სიცოცხლე, ისე ძალიან, რომ ყოველივე სისაძაგლედ მეჩვენება. კმარა! სიცოცხლეს გაუმარჯოს, ძვირფასო, სიცოცხლის სადღეგრძელო შევსვათ! რატომ ვარ ჩემი თავით კმაყოფილი? მე ნაძირალა ვარ, მაგრამ თავით კმაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ მტანჯავს ჩემი ნაძირალობა, მაინც კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით. კურთხეული იყოს ქმნილება, ახლა მზადა ვარ, ღმერთი და მისი ქმნილება დავლოცო, მაგრამ... უნდა მოისპოს ერთი საზიზღარი მწერი, რომ აღარ იძრომიალოს და სხვებსაც არ გაუმწაროს სიცოცხლე ამ დედამიწაზე... გაუმარჯოს სიცოცხლეს, ძვირფასო ძმაო! სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია! არაფერი, არაფერი! სიცოცხლეს გაუმარჯოს და ერთ დედოფალს დედოფალთა შორის!
- გაუმარჯოს სიცოცხლეს და შენს დედოფალსაც გაუმარჯოს!
თითო ჭიქა დალიეს. მიტია, მართალია, აღტაცებული ლაპარაკობდა და დარდიმანდულად იქცეოდა, მაგრამ სინამდვილეში რაღაცნაირად დადარდიანებული ჩანდა. თითქოს რაღაც განუსაზღვრელად დიდი საზრუნავი აწუხებდა.
- აი, მიშა... ეს ხომ შენი მიშა მოვიდა? მიშა, ჭირიმე, მოდი აქ, ერთი ეს ჭიქა დამილიე, ოქროსკულულებიანი ფობოსის, ხვალინდელის...

- რა საჭიროა! - იყვირა გაღიზიანებულმა პიოტრ ილიჩმა.
- ნება მოგვეცი რა, სულ ცოტა, ასე მინდა.
- ე-ეჰ!
მიშამ შესვა, თავი დაუკრა და გაიქცა.
- დიდხანს დაამახსოვრდება, - აღნიშნა მიტიამ. - ქალი მიყვარს, ქალი! ვინ არის ქალი? ამქვეყნიური დედოფალი! გული მტკივა, გული, პიოტრ ილიჩ. გახსოვთ ჰამლეტი: „მე გული მტკივა, ისე ძალიან მტკივა, ჰორაციო... ვაი... საბრალო იორიკ!“ ეს მე ვარ, მგონი, იორიკი. სწორედ ახლა ვარ იორიკი, თავის ქალა მერე იქნება.
პიოტრ ილიჩი უსმენდა და ხმას არ იღებდა, მიტიაც გაჩუმდა.
- ეს რა ჯიშის ძაღლია! - უცებ დაბნეულად ჰკითხა ნოქარს მიტიამ, როცა ოთახის კუთხეში პატარა, ლამაზი, შავთვალება ცუგა შენიშნა.
- ეს ვარვარა ალექსეევნას გოშიაა, - თავად მოიყვანა და დაავიწყდა. უკან წასაყვანია.
- ერთი ეგეთი სადღაც მინახავს... პოლკში... - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა მიტიამ, - მას უკანა ფეხი მოტეხილი ჰქონდა. პიოტრ ილიჩ, ერთი რამ მინდა გკითხოთ: ცხოვრებაში რამე მოგიპარავთ?
- ეს რა კითხვაა?
- არა, ისე ვთქვი. ვთქვათ, ვიღაცის ჯიბეში რაღაც დაინახეთ? ხაზინა არ მაქვს მხედველობაში, ხაზინას ყველა ძარცვავს, შენც, რასაკვირველია...
- მომწყდი თავიდან.
- მე სხვისი ქონება მაქვს მხედველობაში, პირდაპირ ჯიბიდან, ქისიდან რომ ამოაცალოთ, ჰა?
- ერთხელ დედაჩემს უზალთუნიანი მოვპარე, ცხრა წლის ვიქნებოდი. მაგიდიდან ავიღე და მუჭში დავმალე.
- მერე?
- მერე არაფერი. სამი დღე ვინახავდი, შემდეგ შემრცხვა, ცოდვა ვაღიარე და უკან დავაბრუნე.
- მერე?
- კარგად მიმბეგვეს. შენ რა არაფერი მოგიპარავს?
- მომიპარავს, - ეშმაკურად ჩაუკრა თვალი მიტიამ.
- რა მოგიპარავს? - დაინტერესდა პიოტრ ილიჩი.
- დედას მოვპარე უზალთუნიანი, ცხრა წლის ვიყავი, სამი დღის შემდეგ დავაბრუნე, - თქვა მიტიამ და ფეხზე წამოდგა.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, ცოტა ხომ არ ვიჩქაროთ? - უცებ კართან იყვირა ანდრეიმ.
- მზადაა? ახლავე, - აწრიალდა მიტია. - უკანასკნელად ამას ვიტყვი... ანდრეის ჭიქა არაყი მიუტანეთ! კიდევ ერთი სირჩა კონიაკი, არაყთან ერთად! ეს პისტოლეტები დასაჯდომის ქვეშ ამოდეთ. მშვიდობით, პიოტრ ილიჩ, ავად ნუ მომიგონებთ!
- ხვალ ხომ ჩამოხვალ?
- აუცილებლად.
- ანგარიში მოგართვათ? - ჰკითხა ნოქარმა.
- ხო, მართლა, ანგარიში! აუცილებლად!
მან ჯიბიდან ფულის დასტა დააძრო, იქიდან სამი კუპიურა ამოიღო და დახლზე დააგდო, შემდეგ ჩქარი ნაბიჯით დატოვა დუქანი. ყველა უკან გაჰყვა, თავს

მდაბლად უკრავდნენ და მშვიდობით მგზავრობას უსურვებდნენ. ანდრეიმ იყვირა და კოფოზე შეხტა, ეტყობოდა, კონიაკმა თავისი ძალა გამოაჩინა. როგორც კი მიტიამ ეტლში ჩაჯდომა დააპირა, მოულოდნელად მის წინ ფენია გაჩნდა. ის აქოშინებული მოვარდა, ხელები მუდარით წინ გამოსწია, მიტიას ფეხებთან მოადინა ზღართანი და აკივლდა:
- ბატონო, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ძვირფასო, ნუ დაღუპავთ ქალბატონს! მე თქვენ ყველაფერს მოგიყევით!... ნურც იმას დაუშავებთ რამეს, ის აგრაფინა ალექსანდროვნას ცოლად მოყვანას აპირებს, ციმბირიდან იმიტომ ჩამოვიდა... ბატონო, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ნუ დაიდებთ ცოდვას!
- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! რას არ ჩაიდენ ახლა იქ! - ჩაიბურტყუნა თავისთვის პიოტრ ილიჩმა. - ახლა ყველაფერი გასაგებია, ჩემთვის ყველაფერი ნათელია. დმიტრი ფიოდოროვიჩ, თუ კაცად გინდა დარჩე, ახლავე დამიბრუნე პისტოლეტები, - გესმის, დმიტრი!
- პისტოლეტები? მოიცა, ჭირიმე, გზაში სადმე გუბეში მოვისვრი, - უპასუხა მიტიამ.
- ფენია, ადექი, ნუ გორაობ ჩემს ფეხებთან. არავის დაღუპავს მიტია, აწი არავის დაღუპავს, არავის დაღუპავს ეს ბრიყვი კაცი. იცი რა, ფენია, - იყვირა მიტიამ უკვე ეტლიდან, - გაწყენინე წეღან. მაპატიე, აპატიე ნაძირალას, თუ არ მაპატიებ, სულერთია! ახლა ყველაფერი სულერთია! ანდრეი, ცოცხლად, გასწი, გააქროლე!
ანდრეიმ ეტლი დაძრა, ზანზალიკები ახმიანდა.
- მშვიდობით, პიოტრ ილიჩ! შენზეა უკანასკნელი ცრემლი!
„მთვრალი არ არის და რას ბჟუტურობს!“ - გაიფიქრა პიოტრ ილიჩმა. მან გადაწყვიტა, კიდევ დარჩენილიყო დუქანში და თვალი ედევნებინა, როგორ მოამზადებდნენ დანარჩენ სურსათ-სანოვაგეს გასაგზავნად, გრძნობდა, რომ ანგარიშში მოატყუებდნენ მიტიას. მაგრამ საკუთარ თავზე უცებ ბრაზი მოერია, დაჰკრა ფეხი და სამიკიტნოში ბილიარდის სათამაშოდ წავიდა.
- ბრიყვია, თუმცა კარგი ბიჭია, - მიდიოდა და თავისთვის ბურტყუნებდა პერხოტინი. - იმ ოფიცრის შესახებ, გრუშენკას „ყოფილი“ მიჯნურის შესახებ, გამიგონია. თუ ჩამოვიდა, მაშინ... ეეხ, ნეტა პისტოლეტები არ წაეღო! ეშმაკმა დალახვროს! რა ჩემი სადარდებელია, ვინ რას მეკითხება? ერთი მაგათი! არაფერიც არ მოხდება. ცოტას იყვირებენ და მეტი არაფერი. გაილეშებიან და იჩხუბებენ, იჩხუბებენ და შერიგდებიან. ესენი ხომ საქმის კაცები არ არიან? რას ნიშნავს, „გავშორდებიო“, „თავს დავისჯიო“, - არაფერიც არ მოხდება! ათასჯერ მაინც უყვირია სამიკიტნოში ეს სიტყვები მთვრალს. თუმცა ახლა რომ მთვრალი არ იყო. „სულით მთვრალი“ - არამზადების საყვარელი ფრაზაა. რა ჩემი საქმეა? შეუძლებელია, ნაჩხუბარი არ იყოს, სულ სისხლშია მოთხვრილი. ნეტა ვისთან იჩხუბა? სამიკიტნოში ეცოდინებათ. ცხვირსახოციც კი სისხლიანი ჰქონდა... ფუ, ჯანდაბას მაგის თავი. ჩემთან იატაკზე დაგდებული დატოვა... ფეხებზე მკიდია!
როცა სამიკიტნოში მივიდა, ხასიათი წამხდარი ჰქონდა. მაშინვე ბილიარდის თამაშს შეუდგა. ერთმა პარტიამ გუნებაზე მოიყვანა. მეორეც ითამაშა და ანაზდად თავის პარტნიორს დმიტრი კარამაზოვზე გაუბა საუბარი: ჩემი თვალით ვნახე, ისევ ფული უშოვია, ასე სამი ათასი მაინც ექნებოდა და კვლავ მოკროეში გაემგზავრა გრუშენკასთან საქეიფოდო. ამ ამბავმა ყველა დააინტერესა, ყველა ხუმრობის გარეშე ალაპარაკდა, უცნაური სერიოზულობით, თამაშიც კი შეწყვიტეს.
- სამი ათასი? საიდან შეიძლება სამი ათასი ჰქონდეს?

კვლავ დაუწყეს გამოკითხვა. ხოხლაკოვას შესახებ ცნობას ეჭვით შეხვდნენ.
- მამა ხომ არ გაქურდა?
- სამი ათასი?! რაღაც ცუდი ამბავია.
- გახსოვთ, ტრაბახობდა, მამას მოვკლავო, ყველამ გავიგონეთ. სწორედ სამ ათასს ახსენებდა...
პიოტრ ილიჩი უსმენდა მათ და კითხვებს გულგრილად, მოკლედ პასუხობდა. სისხლით მოთხვრილ ხელებსა და სახეზე არაფერი უთქვამს, არადა, აქეთ რომ მოდიოდა, ამის თქმაც უნდოდა. მესამე პარტიის თამაში დაიწყეს. თანდათან შეწყდა მიტიაზე საუბარი, მაგრამ მესამე პარტიის დასრულების შემდეგ პერხოტინს ბილიარდის თამაში აღარ მოუნდა. კიი დადო და ვახშამიც არ უჭამია, ისე გავიდა სამიკიტნოდან. მოედანზე გამოსულს გაოცება ეუფლებოდა, საკუთარი თავის ამბავი უკვირდა. უცებ მიხვდა - ახლა მას ფიოდორ პავლოვიჩის სახლში წასვლა უნდოდა, სურდა გაეგო, მართლა ხომ არაფერი მოხდა იქ. „სისულელის გულისათვის მთელი სახლი უნდა გავაღვიძო და სკანდალი ავტეხო. ჯანდაბას მაგისი თავი, მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ?“
ხასიათწამხდარი პირდაპირ შინისაკენ გაუდგა გზას, მაგრამ უცებ ფენია გაახსენდა. „ეშმაკმა დალახვროს, მაშინ ვერ გამოვკითხე, - დანანებით გაიფიქრა პიოტრ ილიჩმა, - ახლა ხომ ყველაფერი მეცოდინებოდა“. უცბად ძალიან მოუნდა ფენიასთან გასაუბრება და საქმეში გარკვევა. ნახევარი გზა არ ჰქონდა გავლილი, შემობრუნდა და მოროზოვას სახლისაკენ გაეშურა, იქ, სადაც ბინას ქირაობდა გრუშენკა. მივიდა ჭიშკართან, დააბრახუნა. ღამის სიჩუმეში ბრახუნმა თავადვე გამოაფხიზლა და ბრაზი მოერია. გარდა ამისა, არავინ არ გამოეხმაურა, ყველას ეძინა. „აქაც დავიდარაბას ავტეხ!“ - გულდაწყვეტილად გაიფიქრა მან, მაგრამ იმის მაგივრად, სასწრაფოდ გაშორებოდა იქაურობას, მთელი ძალით ატეხა ბრახუნი. ქუჩაში ხმაური ატყდა. „არა, უნდა გავაღვიძო ვინმე, უნდა გავაღვიძო!“ - ბურტყუნებდა თავისთვის პერხოტინი და ყოველ ხმაურზე საკუთარ თავზე გაცეცხლებული უფრო გამეტებით ურტყამდა ჭიშკარს.

VI მოვდივარ!

დმიტრის ეტლი კი მიქროდა შარაზე. მოკროემდე ოც ვერსზე მეტი თუ იქნებოდა, მაგრამ ანდრეი ეტლს თავდაუზოგავად მიაჭენებდა - საათსა და თხუთმეტ წუთში ადგილზე უნდა ყოფილიყვნენ. ეტლის ჩქარმა ქროლვამ მიტია გაახალისა. ირგვლივ სუფთა და გრილი ჰაერის სურნელი ტრიალებდა, მოწმენდილ ცაზე კი მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები ციალებდნენ. ეს ზუსტად ის ღამე იყო, შესაძლოა, ზუსტად ის ჟამი, როდესაც პირქვე დამხობილი, გაშმაგებული ალიოშა „მიწას უკუნითი უკუნისამდე სიყვარულს ეფიცებოდა“. მართალია, მრავალი სატანჯველი და დარდი აწუხებდა მიტიას აფორიაქებულ სულს, მაგრამ იმ წუთებში იგი მთელი თავისი არსებით თავისი დედოფლისაკენ მიისწრაფოდა, რომ კიდევ ერთხელ, უკანასკნელად შეევლო თვალი მისთვის. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: მას ერთი წუთითაც არ მოსვლია ფიქრად ვინმესთან პაექრობა. შეიძლება არც დამიჯეროთ, რომ ეს ეჭვიანი კაცი იმ წუთებში, იმ ახალ მამაკაცზე, ახალ მეტოქეზე, საიდანღაც გამომტყვრალ „ოფიცერზე“ სულ არ ეჭვიანობდა. ყველა

სხვა დანარჩენზე, თუკი ვინმე ასეთი გამოჩნდებოდა, უმალვე იეჭვიანებდა და არცაა გამორიცხული, რომ კვლავ დაესვარა თავისი საშინელი ხელები სისხლით. იმაზე კი, „გრუშენკას პირველ სიყვარულზე“, არავითარი მტრული გრძნობა არ გააჩნდა - მართალია, მას ჯერ არც ენახა ის. „ულაპარაკოდ, ყველაფრის უფლება აქვთ ორივეს, ის გრუშენკას პირველი სიყვარულია, გრუშენკას ის ხუთი წლის განმავლობაში არ დავიწყებია: მაშასადამე, მხოლოდ ის უყვარდა ამ ხუთი წლის მანძილზე, მე კი, მე სად გამოვეჩხირე? მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ? შეეშვი მიტია, ნუ გადაუდგები გზაზე! ვინ ვარ ახლა მე? ახლა ოფიცრის გარეშეც ხომ ყველაფერი გათავებულია, ის რომ საერთოდ არ გამოჩენილიყო, მაინც ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა...“

აი, დაახლოებით ასეთი სიტყვებით შეეძლო მას გადმოეცა თავისი განცდები, განსჯა რომ შეძლებოდა. მაგრამ მაშინ განსჯა არ შეეძლო. ახლანდელი მისი მტკიცე გადაწყვეტილება განსჯის გარეშე იშვა, მყისიერად, ფენიას ნაამბობის შემდეგ, ყველაფერი უცებ იქნა განცდილი და მთლიანად მიღებული, მისგან გამომდინარე შედეგებითურთ. და მაინც, მიუხედავად მტკიცე გადაწყვეტილებისა, სული მაინც აფორიაქებული ჰქონდა, ტკივილამდე აწრიალებული: მიღებულმა გადაწყვეტილებამაც არ უშველა. მის უკან ძალიან ბევრი რამ იდგა, რაც მოსვენებას არ აძლევდა. ხანდახან, წუთიერად, უცნაური შეგრძნებები უჩნდებოდა; მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი ხელით გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს, შავით თეთრზე, ქაღალდზე დაწერა: „ჩემი ცხოვრებისათვის თავს ვისჯი, ჩემი სიცოცხლე უნდა დავსაჯოო“, ქაღალდი კი აქვე, ჯიბეში უდევს, გამზადებული; პისტოლეტიც დატენილია, და გადაწყვეტილება იმის თაობაზეც მიღებული აქვს, თუ როგორ შეხვდეს ხვალ „ოქროსკულულებიანი ფობოსის“ პირველ მცხუნვარე სხივს; მაინც მტკივნეულად გრძნობდა და სასოწარკვეთამდე მიჰყავდა იმაზე ფიქრს, რომ ეს მის უკან მდგომ მტანჯველ რაღაც-რაღაცებთან ანგარიშის გასასწორებლად არ კმაროდა. წამიერად თავშიც გაუელვა აზრმა, გაეჩერებინა ეტლი, გადმომხტარიყო, ამოეღო პისტოლეტი და ახლავე დაესრულებინა ყველაფერი. მაგრამ ეს განწყობილება ნაპერწკალივით ჩაქრა. ეტლი კი მიქროდა, „ნთქავდა სივრცეს“, და რაც უფრო უახლოვდებოდა მიზანს, მიტიას ფიქრი გრუშენკას დასტრიალებდა, მხოლოდ და მხოლოდ მას, სულ უფრო და უფრო ეკვროდა სუნთქვა და ავიწყდებოდა სხვა დანარჩენი საშინელი მოჩვენებები. ო, როგორ უნდოდა ახლა მისი ნახვა, თუნდაც შორიდან თვალის შევლება! „გრუშენკა ახლა მასთანაა, ჰოდა, ვნახავ, როგორ გრძნობს მასთან თავს, თავის ყოფილ მიჯნურთან, მეტი არაფერი მინდა“. მის ცხოვრებაში ამ საბედისწერო ქალის მიმართ მიტიას ჯერ არასოდეს უგრძვნია ამდენი სიყვარული, ამდენი ახალი, ჯერ კიდევ განუცდელი გრძნობა.

თითქმის ერთი საათი იქნებოდა, მიქროდა ეტლი. მიტია დუმდა, ხოლო ანდრეის, ენაწყლიანი კაცი იყო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, თითქოს ეშინოდა ლაპარაკის დაწყება, მხოლოდ შიგადაშიგ ყოჩაღად შემოუძახებდა ხოლმე თავის „ბეხრეკ“ და გამხდარ, მაგრამ ფეხმარდ ცხენებს. უცებ გაისმა ძალზე შეშფოთებული მიტიას შეძახილი:

- ანდრეი! ვაითუ სძინავთ?

ეს აზრი ანაზდად მოუვიდა თავში, ადრე ამის შესახებ არც უფიქრია.

- არ არის გამორიცხული, უკვე დაწოლილები იყვნენ, დმიტრი ფიოდოროვიჩ.

მიტიამ კოპები შეკრა: მართლაცდა, მიტია იქ მივა... ასეთი გრძნობებით... მათ კ

სძინავთ, სძინავს გრუშენკასაც, იქნებ იქვე... გული ბოღმით აევსო.
- იჩქარე, ანდრეი, გარეკე, ანდრეი, ცოცხლად! - გაშმაგებით იყვირა მან.
- შეიძლება ჯერ არ დაწოლილან, - თქვა ანდრეიმ და ერთხანს გაჩუმდა. - წეღან ტიმოფეი ამბობდა, იქ ბევრნი არიანო.
- სადგურზე?
- სადგურზე კი არა, პლასტუნოვებთან, კერძო ფუნდუკში.
- ვიცი; შენ ამბობ, რომ ბევრნი არიან? სად არიან ბევრნი? ვინ არიან? - იყვირა ამ მოულოდნელი ცნობით შეშინებულმა მიტიამ.
- ტიმოფეიმ თქვა, ბატონები არიანო: ორი ქალაქიდანაა, ვინ არიან არ ვიცი, იმას კი ამბობდა, ორი ჩვენებური ბატონია, ორიც ჩამოსულიო, შესაძლოა კიდევ არის ვინმე, კარგად არ გამომიკითხავს, ბანქოს თამაში დაიწყესო.
- ბანქო?
- შეიძლება არც ეძინოთ, თუ ბანქოს თამაშობენ. ახლა მხოლოდ 11 საათი დაიწყო, მეტი არ იქნება.
- დაუჩქარე, ანდრეი, გარეკე! - იყვირა განერვიულებულმა მიტიამ.
- რა იქნება, ერთი კითხვა რომ დაგისვათ, ბატონო, - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ანდრეიმ, - ხომ არ გამიბრაზდებით, მეშინია ბატონო.
- რა გინდა?
- წეღან ფენია რომ ჩაგივარდათ ფეხებში და გევედრებოდათ, ქალბატონი არ დაღუპოთო და კიდევ ვინაო... მე თქვენ ახლა იქ მიმყავხართ, ბატონო, და მაპატიეთ, სინდისი მქენჯნის, სისულელეს ხომ არ ვამბობ.

მიტიამ უცებ უკნიდან ხელი სტაცა ანდრეის.
- შენ მეეტლე ხარ? მეეტლე?
- მეეტლე ვარ...
- იცი თუ არა შენ, გზა რომ უნდა დაუთმო. რახან მეეტლე ხარ, ეს იმას კი არ ნიშნავს არავის გზა არ დაუთმო, ყველა გასრისო, აქაოდა, მე მოვდივარ და გზა დამიცალეთო! არა, მეეტლევ, არ გასრისო! არ შეიძლება ადამიანის გასრესა, არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო; და თუ ვინმეს სიცოცხლეს მოუსწრაფებ, კეთილი ინებე - დაისაჯე საკუთარი თავი... თუკი ვინმეს სიცოცხლეს მოუშხამავ, თუკი ვინმეს სიცოცხლეს გამოასალმებ - დასაჯე თავი და გაშორდი აქაურობას.
მიტიას ეს ყველაფერი ისტერიკაში ჩავარდნილი კაცივით აღმოხდა. ანდრეი გაკვირვებული უყურებდა ბატონს, მაგრამ ლაპარაკში მაინც მხარი აუბა.
- მართალს ბრძანებთ, ბატონო, ამაში ცამდე მართალი ხართ - ადამიანი არ უნდა გასრისო, არ უნდა აწამო, ასევე, არ უნდა აწამო ნებისმიერი ცოცხალი არსება, რადგან ისიც ღმერთის შექმნილია. ავიღოთ თუნდაც ცხენები, ზოგი ისე ურტყამს მათ, შეგეცოდება. ერთი მეეტლე გვყავს, ისე სცემს ცხენებს, ისე ამათრახებს, ვერ ვაკავებთ ხოლმე.
- აი, ჯოჯოხეთი?! - შეაწყვეტინა უცებ მიტიამ და მოულოდნელად თავისებურად გადაიხარხარა. - ანდრეი, მიამიტო ადამიანო, - ისევ მხრებზე წაავლო მიტიამ ხელები, - მითხარი, მოხვდება თუ არა მიტია კარამაზოვი ჯოჯოხეთში, შენ როგორ ფიქრობ?
- მაგაზე ვერაფერს გეტყვით, თქვენი ჭირიმე, თქვენზეა დამოკიდებული. იცით რა, ბატონო, როცა ძე ღვთისა ჯვარს აცვეს და მოკვდა, ის პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩავიდა და იქ წამებული ყველა ცოდვილი გაათავისუფლა. აწუწუნდა მაშინ ჯოჯოხეთი: ამას იქით ჩემთან ცოდვილი აღარავინ მოვაო. მაშინ ჯოჯოხეთს უფალმა ჩვენმა მოახსენა: „ნუ წუწუნებ, რამეთუ, კვლავ მოვლენ შენთან ნაირ-ნაირი ცოდვილები: დიდებულები, მმართველები, მოსამართლეები და მდიდრები, და ზუსტად ისევე შეივსება აქაურობა, როგორც აქამომდე იყო, მანამ, სანამ კვლავ არ მოვალო“. ეს ზუსტად ასეა, ასე იყო ეს ამბავი...
- ხალხური ლეგენდაა, მშვენიერია! მარცხნივ გადაუჭირე მათრახი, ანდრეი!
- ასეთებისთვისაა ჯოჯოხეთი მოგონილი, - მარცხნივ გადაუჭირა მათრახი ანდრეიმ, - თქვენ კი, ბატონო, ბალღივითა ხართ... ჩვენ დიდ პატივს გცემთ.. თუმცა ცოტა ბრაზიანი ბრძანდებით, ბატონო, რაც მართალია, მართალია, მაგრამ თქვენი კეთილი გულისათვის ღმერთი ყველაფერს გაპატიებთ.
- შენ, შენ თუ მაპატიებ, ანდრეი?
- მე რა უნდა გაპატიოთ, ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ.
- არა, ყველას მაგიერ, ყველას მაგიერ, მხოლოდ შენ ერთი, ახლავე, ამ გზაზე, მაპატიებ ყველას მაგიერ? მითხარი, ალალო კაცო!
- ვაიმე, ბატონო! მეშინია თქვენი იქ მიყვანა, რაღაც უცნაურად ლაპარაკობთ.
მიტიას არაფერი გაუგონია. იგი გაფაციცებული ლოცულობდა და უცნაურად ჩურჩულებდა.
- ღმერთო, მიმიღე მთელი ჩემი უსამართლობით და ნუ განმსჯი. გამატარე, შენი სამჯავროს გარეშე... ნუ გამკიცხავ, რამეთუ მე თავად განვიკითხე ჩემი თავი. ნუ განმსჯი, რამეთუ მიყვარხარ შენ, ღმერთო! საძაგელი ვარ, მაგრამ მიყვარხარ-მეთქი: ჯოჯოხეთში გამამწესებ, იქაც მეყვარები, იქიდან ამოგძახებ: მიყვარხარ და უკუნითი უკუნისამდე მეყვარები... მომეც საშუალება კიდევ ცოტა

სიყვარულისა... აქ, კიდევ ხუთი საათი მაცალე სიყვარული, სანამ ამობრწყინდება
შენი მცხუნვარე სხივები... რამეთუ მიყვარს ჩემი დედოფალი. მიყვარს და არ
შემიძლია, არ მიყვარდეს. თავად ხედავ, ვინცა ვარ. მივალ მასთან, დავემხობი მის
ფეხებთან და ვეტყვი: კარგი ჰქენი, რომ გვერდი ამიარე... მშვიდობით და დაივიწყე
შენი მსხვერპლი, ნუღარასოდეს მიდარდებ-მეთქი!
- მოკროე! - შეჰყვირა ანდრეიმ და მათრახი წინ გაიშვირა.
უცებ ღამის სიბნელეში, დიდ სივრცეში მიმოფანტული შენობები გამოჩნდა.
სოფელი მოკროე ორი ათასი სულისაგან შედგებოდა. სოფელს ეძინა, მხოლოდ
აქა-იქ, ფანჯრებიდან მოჩანდა მქრქალი სინათლე.
- გააჭენე, ანდრეი, გააჭენე! მოვდივარ! - გიჟივით ღრიალებდა მიტია.
- არ სძინავთ! - თქვა ანდრეიმ და პლასტუნოვების ფუნდუკისაკენ გაიშვირა
მათრახი - ფუნდუკის ექვსივე ფანჯრიდან კაშკაშა სინათლე გამოდიოდა.
- არ სძინავთ! - გაიმეორა გახარებულმა მიტიამ, - გარეკე, ანდრეი, გააჭენე,
ააჟღარუნე ზანზალაკები, ხმაურით მიდი - ყველამ გაიგოს, ვინ მივიდა! მე
მოვდივარ! მე! - გახარებული ყვიროდა მიტია.
ანდრემ გაწამებული, ქანცგამოცლილი ცხენები კიდევ უფრო გააჭენა და დიდი
ხმაურით შეაჩერა ზედ პარმაღთან. მიტია ეტლიდან ჩამოხტა. სწორედ ამ დროს
დასაძინებლად მიმავალმა ფუნდუკის პატრონმა პარმაღიდან გადმოიხედა: ეს
ვინ მესტუმრა ამ ღამითო.
- ტრიფონ ბორისიჩ, შენა ხარ?
ფუნდუკის პატრონი დაიხარა, დააკვირდა, მერმე კისრისტეხით ჩამოირბინა
კიბეები და პირფერული აღტაცებით შეეგება სტუმარს.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, ბატონო! ნუთუ ეს თქვენ ხართ?!
ტრიფონ ბორისიჩს, საშუალო სიმაღლის, გათქვირებული პირისახის, ჩაფსკვნილ
და ჯანსაღ გლეხს, ერთი შეხედვით მკაცრი და მიუკარება გამომეტყველება
ჰქონდა, განსაკუთრებით თავისი მეზობლების, მოკროელი გლეხების მიმართ,
მაგრამ საკმარისი იყო, ვინმე დაენახა, ვისგანაც რაიმე სარგებელს ელოდა, სახე
უცბად ისეთი პირმოთნე გაუხდებოდა ხოლმე, მარტო კუდის ქიცინიღა აკლდა.
რუსული ხიფთანის ქვეშ გვერდზე შესაკრავიანი ხალათი ეცვა. კარგა ძალი ფული
ჰქონდა ნაშოვნი და ოცნებობდა სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას.
ამ სოფლის გლეხების ნახევარზე მეტი თავის კლანჭებში მოაქცია - ყველა მისი
მოვალე იყო. მემამულისაგან მიწას ყიდულობდა ან იჯარით იღებდა და თავის
მოვალე გლეხებს ამუშავებინებდა იმ ვალების სანაცვლოდ, რასაც ისინი მთელი
თავიანთი ცხოვრების მანძილზე ვერ გადაიხდიდნენ. ქვრივი იყო და ოთხი
მოზრდილი ქალიშვილი ჰყავდა; მათ შორის, ერთი უკვე დაქვრივებულიყო, ორ
მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მასთან ცხოვრობდა და მამას მოჯამაგირესავით
ემსახურებოდა. მეორე ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ერთ ჩინოვნიკს, კანცელარიის
მწერალს. ჩინოვნიკის მუნდირში გამოწყობილი სიძის მინიატურული სურათი
ფუნდუკის ერთ-ერთი ოთახის კედელზე ეკიდა, ოჯახის სხვა წევრების
სურათებთან ერთად. ორი უმცროსი ქალიშვილი მხოლოდ საეკლესიო
დღესასწაულების დროს ან თუ სადმე სტუმრად მიდიოდნენ, მაშინ იცვამდნენ
გრძელკუდიან მოდურ ცისფერ ან მომწვანო კაბებს, ხოლო სხვა დანარჩენ
დღეებში დილაუთენია დგებოდნენ და არყის ხის ტოტების ცოცხებით ოთახებს
ხვეტდნენ, გაჰქონდათ სტუმრების ნაბანი წყალი და ნაგავი. მიუხედავად
მოხვეჭილი ათასებისა, ტრიფონ ბორისიჩს უყვარდა მთვრალი სტუმრების

მოტყუება და გაყვლეფა. ახლაც კარგად ახსოვდა, ჯერ კიდევ თვე არ იყო გასული მას შემდეგ, რაც დმიტრი და გრუშენკა მასთან ქეიფობდნენ, როგორ გააცურა დმიტრი და როგორ იხეირა მისგან ორას მანეთზე მეტი, თუ სამასი არა. ამიტომაც იყო, ასე დიდი სიხარულით რომ შეეგება მიტიას - როგორც კი პარმაღიდან დაინახა მისი ეტლი, დიდი სარგებლის სუნი ეცა.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, ჩემო ბატონო, ნუთუ თქვენ ხილვას კვლავ ვეღირსე?
- მოიცა, ტრიფონ ბორისიჩ, - დაიწყო მიტიამ, - უპირველეს ყოვლისა უმთავრესი: სად არის გრუშენკა?
- აგრაფენა ალექსანდროვნა? - უმალ მიხვდა და თვალი გაუსწორა მიტიას, - აქ არის, აქა... აქ ბრძანდება...
- ვისთან ერთად, ვისთან?
- ჩამოსული სტუმრები არიან, ბატონო... ერთი ჩინოვნიკია, მგონი, პოლონელი, ლაპარაკზე ეტყობა, სწორედ მან გააგზავნა ცხენები მის მოსაყვანად; მეორე ან მისი ამხანაგია, ან მეგზური, კაცი ვერ გაიგებს: საერო ტანსაცმელი აცვიათ...
- ქეიფობენ? მდიდრები არიან?
- რის ქეიფი! ვერაფერი შვილია, დმიტრი ფიოდოროვიჩ.
- ვერაფერი შვილია? სხვები ვინ არიან?
- ქალაქიდანაა ორი ბატონი... ჩერნეიდან ბრუნდებიან და აქ შეჩერდნენ. ერთი ყმაწვილი კაცია, მგონი, მიუსოვის ნათესავი, სახელი დამავიწყდა... ხოლო მეორე, მე მგონი თქვენ იცნობთ: მემამულე მაქსიმოვი, ასე ბრძანა, სალოცავად ვიყავი მონასტერშიო, ახლა მიუსოვის ნათესავს ახლავს...
- მხოლოდ ისინი არიან?
- მხოლოდ.
- მოიცა, გაჩუმდი, ტრიფონ ბორისოვიჩ, ახლა ყველაზე მთავარი მითხარი: როგორაა გრუშენკა?
- ახლახან ჩამობრძანდა და მათთან ერთად არის.
- კარგ ხასიათზეა? იცინის?
- არა მგონია, მაინცდამაინც არ იცინის... ცოტა მოწყენილიც კია, იჯდა და ახალგაზრდა კაცს თმებს ვარცხნიდა.
- ვის იმ პოლონელს, ოფიცერს?
- არა, ის არც ახალგაზრდაა და არც ოფიცერი; არა, ბატონო, მას კი არა, მიუსოვის ნათესავს, ახალგაზრდა კაცს... სახელი დამავიწყდა.
- კალგანოვი?
- დიახ, კალგანოვი.
- კეთილი, ბანქოს თამაშობენ?
- თამაშობდნენ, ახლა აღარ თამაშობენ, ჩაი მიირთვეს, ჩინოვნიკმა ალუბლის ნაყენი მოითხოვა.
- მოიცა, მოიცა, ტრიფონ ბორისიჩ, დამაცადე. ახლა ის მითხარი: ბოშები არიან?
- არა, ბოშები არსად ჩანან, დმიტრი ფიოდოროვიჩ, უფროსობამ გარეკა, აი, ურიები აქ არიან, ციმბალებსა და ვიოლინოებზე უკრავენ როჟდესტვენსკიში. თუ გნებავთ, ახლავე გავგზავნი ვინმეს მათთან და გაახლებთ.
- გააგზავნე, აუცილებლად გააგზავნე! - იყვირა მიტიამ. - ქალები მოიყვანე, განსაკუთრებით მარია, სტეპანიდაც, არინა. ორასი მანეთი გუნდისათვის!
- ამდენი ფულით მთელ სოფელს მოვრეკავ, მიუხედავად იმისა, რომ სძინავთ. მაგრამ არიან კი აქაური გლეხობა ან მათი ქალები ესოდენი მოფერების ღირსი?

ასეთ საძაგლებს და გაუთლელებს შეიძლება ამდენი ფული დაახარჯოთ? განა ჩვენმა ტეტიებმა უნდა მოწიონ სიგარები, ამას წინათ რომ ჩამოურიგე? ისინი ხომ ბინძური ყაჩაღები არიან, მათი დედაკაცები კი ტილიანები. თუ გნებავთ, ჩემს ქალიშვილებს მუქთად წამოვყრი, არათუ ამ ფასად. ახლახან დაწვნენ, თუ საჭირო იქნება, სულ კინწისკვრით წამოვრეკავ და თქვენთვის ვამღერებ. ამას წინათაც გლეხებმა შამპანურის სმით დაიხეთქეს სტომაქები, ეეჰ!
ტრიფონ ბორისიჩი ფარისევლობდა: ამას წინათ მიტიას ექვსი ბოთლი შამპანური გადაუმალა, ხოლო როცა მიტიას მაგიდის ქვეშ ასმანეთიანი დაუვარდა, უჩუმრად აიღო, მუჭში დამალა და მიითვისა.
- ტრიფონ ბორისიჩ, მე მაშინ აქ არა ერთი ათასი დავხარჯე, გახსოვთ?
- დახარჯეთ, გეთაყვა, როგორ არ მახსოვს, სამი ათასი აქ დატოვეთ.
- ახლაც ასე იქნება, ახლაც სამი ათასი მაქვს, დახე!
მიტიამ ჯიბიდან ფულის დასტა დააძრო და ზედ ცხვირთან მიუტანა ფუნდუკის მეპატრონეს.
- ახლა მომისმინე და როგორც გიბრძანებ, ისე გაისარჯე: ერთ საათში ღვინოს, საუზმეს, ნამცხვარს და კანფეტს მოიტანენ - მაშინვე მაღლა მოგვართვი. ის ყუთიც, ანდრეისთან რომ დევს, ისიც მაღლა აიტანე, შამპანური გახსენი და ჩამოასხი. მთავარია - ქალები, მარია აუცილებლად...
იგი ეტლთან მიბრუნდა და დასაჯდომის ქვემოდან პისტოლეტების ყუთი გამოაძრო.
- ახლა, ანდრეი, გავსწორდეთ! აჰა, შენ თხუთმეტი მანეთი სამცხენასათვის, ხუთი თუმანიც არყისათვის... დროულად ჩამოყვანისათვის... შენი სიყვარულისა და ერთგულებისათვის... გახსოვდეს ბატონი კარამაზოვი!
- მეშინია, ბატონო, მეშინია... - შეჭოჭმანდა ანდრეი, - ხუთი მანეთი მეყოფა ზედმეტი, მეტს არ ავიღებ, ტრიფონ ბორისიჩი მოწმე იქნება. მაპატიეთ ეს სისულელე...
- რისი გეშინია, - აათვალ-ჩაათვალიერა მიტიამ ანდრეი, - კარგი, ეშმაკსაც წაუღია შენი თავი, თუ ეგრე გინდა! - იყვირა მან და ხუთმანეთიანი მიუგდო. - ახლა, ტრიფონ ბორისიჩ, ჩუმად ამაცილე მაღლა, ერთი თვალით შემახედე, ვინ არიან, ისე, რომ მათ ვერ დამინახონ. სად არიან, ცისფერ ოთახში?
ტრიფონ ბორისიჩმა შიშით გადახედა მიტიას, მაგრამ ბრძანება მაშინვე შეასრულა: ფრთხილად შეიყვანა წინკარში, თავად შევიდა წინა დიდ ოთახში, იმ ოთახის მეზობლად, სადაც სტუმრები ისხდნენ, და იქიდან სანთელი გამოიტანა. შემდეგ ჩუმად შეიყვანა მიტია და კუთხეში დააყენა, სიბნელეში, საიდანაც მიტიას თავისუფლად შეეძლო დაენახა მეორე ოთახში მყოფნი. მიტიას დიდხანს არ უცქერია, ვერც ვერავის გარჩევა შეძლო, როგორც კი გრუშენკა დაინახა, გული აუჩქროლდა, თვალები დაუბნელდა. გრუშენკა მაგიდის გვერდით სავარძელში მოკალათებულიყო, მის გვერდით დივანზე კი ძალიან ლამაზი და ძალზე ახალგაზრდა კალგანოვი იჯდა; გრუშენკას მისი ხელი ხელში ეჭირა და იცინოდა. კალგანოვი ქალს არც უყურებდა და განაწყენებული რაღაცას ელაპარაკებოდა გრუშენკას პირდაპირ მაგიდასთან მჯდომ მაქსიმოვს. მაქსიმოვი კი რაღაცაზე ხარხარებდა. დივანზე გაშხლართულიყო გრუშენკას მიჯნური და ჩიბუხს აბოლებდა. კედელთან სკამზე კიდევ ვიღაც უცნობი იჯდა. მიტიას თავში გაუელვა, რომ ეს მოსქელო და ფართოსახიანი კაცუნა არც ისე მაღალი უნდა იყოს და მგონი რაღაცით უკმაყოფილოა. მისი ამხანაგი, მეორე უცნობი, მიტიას ძალიან

მაღალი მოეჩვენა. ამის მეტი მას არაფერი დაუნახავს. ანაზდად სუნთქვა შეეკრა. ერთი წუთიც ვეღარ მოითმინა, ყუთი კამოდზე შემოდო და პირდაპირ ტანში ჟრუანტელმოდებული და გულაფანცქალებული გაემართა ცისფერი ოთახისაკენ.
- ვაიმე! - წამოიკნავლა შეშინებულმა გრუშენკამ, როდესაც მიტიას მოჰკრა თვალი.

VII ძველი და შეუცვლელი მიჯნური

მიტია ჩქარი და გრძელ-გრძელი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას.
- ბატონებო, - ხმამაღლა დაიწყო მან, თითქმის ყვიროდა, ყოველ სიტყვაზე ენა ებმოდა, - მე... მე არაფერი! ნუ გეშინიათ, - შეჰყვირა მან, - მე არაფერს, არაფერს, - უცებ ის გრუშენკასკენ მიბრუნდა. გრუშენკა სავარძლიდან კალგანოვისაკენ გადაიხარა და მის ხელს მაგრად ჩაეჭიდა. - მეც... მეც მივემგზავრები. აქ დილამდე ვრჩები... ბატონებო, გამვლელი მგზავრი... შეიძლება დილამდე თქვენთან ერთად ვიყო? მხოლოდ დილამდე, უკანასკნელად, სწორედ ამ ოთახში?
როგორც იქნა, დაამთავრა ფრაზა, რომელიც მიმართული იყო დივანზე მჯდომი მსუქანი კაცუნასადმი. მან პირიდან ჩიბუხი გამოიღო და მკაცრად წარმოთქვა:
- პანე, ჩვენ აქ პრივატულად ვიმყოფებით, სხვაგან მიბრძანდით, აქ სხვა ოთახებიც არის.
- ეს თქვენ ბრძანდებით, დმიტრი ფიოდოროვიჩ, რა მოგვიდათ? - უცებ გამოეხმაურა კალგანოვი, - დაბრძანდით, გამარჯობა!
- გამარჯობა, ძვირფასო ადამიანო... უძვირფასესო! მე თქვენ დიდ პატივს გცემთ..
- სწრაფად უპასუხა გახარებულმა მიტიამ და მაშინვე ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი მაგიდის იქით მჯდომ კალგანოვს.
- ოო, როგორ მაგრად მომიჭირეთ, კინაღამ თითები დამემტვრა, - გაიცინა კალგანოვმა.
- მაგან ყოველვის ასე იცის ხელის ჩამორთმევა, ყოველთვის! - მხიარულად თქვა გრუშენკამ და მორიდებულად გაიღიმა. ეტყობოდა, მიტიას შემხედვარე, უკვე დარწმუნდა, რომ მიტია თავს არ გაიგიჟებდა და დიდი ინტერესით და ძალზე აღელვებული უთვალთვალებდა მას. რაღაც იყო მიტიაში ისეთი, რამაც გამოიწვია გრუშენკას განსაკუთრებული გაოცება, ის არაფრით ელოდა მიტიასაგან ასეთ წუთებში ამგვარ საქციელს.
- გამარჯობა, ბატონო, - ტკბილად შეეხმიანა მარცხნიდან მემამულე მაქსიმოვი. ახლა იმას ეცა მიტია.
- გამარჯობა, თქვენც აქა ხართ, მოხარული ვარ, თქვენც რომ აქა ხართ! ბატონებო, ბატონებო, მე... - მან ისევ ჩიბუხიან პანს მიმართა, ალბათ ის ჩათვალა იქ მთავარ პერსონად. - მე აქ მოვფრინავდი, მსურდა, ჩემი უკანასკნელი დღე და საათი ამ ოთახში გამეტარებინა, სწორედ იმ ოთახში... სადაც მე ვაღმერთებდი.. ჩემს დედოფალს!.. უკაცრავად, პანე! - იყვირა გაშმაგებულმა მიტიამ, - მე აქ მოვფრინავდი და დავიფიცე... ნუ, ნუ გეშინიათ, ეს ჩემი უკანასკნელი ღამეა! დავლიოთ, პანე, დავლიოთ თანხმობის სადღეგრძელო! ღვინოს ახლავე მოგვართმევენ... მე ჩამოვიტანე აი ეს. - უცებ დააძრო ფულების დასტა. - ნება მიბოძეთ, პანე! მინდა მუსიკა, გრიალი, ყველაფერი ისე, როგორც მაშინ იყო...

ჭიაღუა, არაფრის მაქნისი ჭიაღუა მიღოღავს მიწაზე და მალე იგი აღარ იქნება! ჩემი სიხარულის დღის მოსახსენიებელს აღვნიშნავ ამ უკანაკნელ ღამეს!..
ის თითქმის იხრჩობოდა; კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა, კიდევ ძალიან ბევრის, მაგრამ მხოლოდ უცნაური შეძახილები აღმოხდა. პანი გაუნძრევლად შესცქეროდა მიტიასა და ფულის დასტას, შემდეგ აშკარად გაკვირებულმა გადახედა გრუშენკას.
- თუ ნებას მიბოძებს ჩემი კრულევა... - პოლონურად თქვა მან.
- რა არის კრულევა, დედოფალი ხომ არა? - უცებ შეაწყვეტინა გრუშენკამ, - მეცინება თქვენს ლაპარაკზე, სასაცილოა თქვენი კილო. დაჯექი, მიტია, რას მიედ-მოედები? ნუ მაშინებ, გეთაყვა. აღარ შემაშინებ, ხომ? თუ აღარ შემაშინებ, მაშინ მოხარული ვიქნები შენი ნახვით...
- მე შენ გაშინებ? მე? - იყვირა უცებ მიტიამ და ხელები მაღლა აღმართა. - მიბრძანდით, გაიარეთ, ხელს არ შეგიშლით!... - და უცბად, ყველასათვის მოულოდნელად, რასაკვირველია, თავისდაუნებურად, დავარდა სკამზე, თავი მიაბრუნა, სკამის ზურგს ხელები შემოაჭდო, თითქოს ჩაეხუტა და აქვითინდა.
- ხედავ, როგორი ხარ, რა უცნაური! - დატუქსვით შესძახა გრუშენკამ, - ჩემთანაც ასე იქცეოდა ხოლმე, უცებ ისეთ რამეს იტყოდა, ვერაფერს ვიგებდი. ერთხელ კი ზუსტად ასე ატირდა, ახლა მეორედაა - სირცხვილია! რა გატირებს? სატირალი მაინც გქონდეს რამე? - ანაზდად დაუმატა გრუშენკამ და თავის ბოლო ფრაზას რაღაცნაირი გაღიზიანებითა და შეფარვით ხაზი გაუსვა.
- მე... მე არ ვტირი... აბა, გამარჯობა! - უცებ სკამზე შემოტრიალდა და გაიცინა მისთვის ჩვეული უხეში ხარხარით კი არა, არამედ რაღაცნაირი ხმადაბალი, გრძელი და ნერვიული ქირქილით.
- ისევ არ იშლი შენსას... გამხიარულდი, გამხიარულდი! - ეხვეწებოდა გრუშენკა. - ძალიან გამიხარდა შენი დანახვა, მოხარული ვარ, მიტია, გესმის, ძალიან გამახარე-მეთქი? მე მინდა, რომ ის აქ ჩვენთან ერთად იჯდეს, - ბრძანებით მიმართა მან ყველას, თუმცა ეს სიტყვები დივანზე მჯდომისათვის იყო განკუთვნილი, - ასე მსურს, ასე მინდა! თუ ის წავა, მეც წავალ, ეს ასე იქნება! - დასძინა მან და თვალები აუელვარდა.
- რასაც ინებებ, ჩემო დედოფალო, ჩემთვის კანონია! - თქვა პანმა და გალანტურად ხელზე ეამბორა გრუშენკას. - გთხოვთ, პან, შემოუერთდეთ ჩვენს კამპანიას! - თავაზიანად მიმართა მიტიას. მიტია ისევ წამოხტა, ნათლად ჩანდა, ისევ ტირადების დაწყება უნდოდა, მაგრამ სულ სხვა რამ გამოუვიდა.
- დავლიოთ, პანე! - ტირადის მაგივრად თქვა მან.
- ღმერთო ჩემო! მომეჩვენა, ისევ ლაპარაკის დაწყება უნდა-მეთქი, - ნერვიულად წამოიძახა გრუშენკამ. - გამიგონე, მიტია, - დაჟინებით დაუმატა მან, - მეტს ნუღარ წამოხტები, აი, შამპანური რომ ჩამოიტანე, კარგი ქენი. მეც დავლევ, ამ ტკბილ ნაყენს ვერ ვიტან. ყველაზე კარგი კი ის არის, რომ ჩამოხვედი, თორემ საშინელი მოწყენილობა იყო. შენ რა, ისევ საქეიფოდ ჩამოხვედი? ჩაიდე ეგ ფული ჯიბეში! სად იშოვე ამდენი?
მიტიას ისევ ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული კუპიურები. ყველამ ყურადღება მიაქცია ამას, განსაკუთრებით პანებმა. დარცხვენილმა მიტიამ სწრაფად ჩაიდო ფული ჯიბეში. იგი გაწითლდა. სწორედ ამ დროს ფუნდუკის პატრონმა გახსნილი შამპანირის ბოთლი და ჭიქები შემოიტანა ლანგარით. მიტიამ ბოთლს ხელი სტაცა, მაგრამ უცებ დაიბნა, თითქოს არ იცოდა, რა ექნა. ბოთლი კალგანოვმა

გამოართვა და ჭიქებში ჩამოასხა.
- კიდევ მოიტანე ბოთლი, კიდევ! - უყვირა მიტიამ ფუნდუკის პატრონს და არავის დაუცადა, ისე გადაკრა ღვინო, დაავიწყდა, რომ პანისათვის ჭიქა უნდა მიეჭახუნებინა და თანხმობის სადღეგრძელო მასთან ერთად დაელია. ანაზდად მისი სახის გამომეტყველება ერთიანად შეიცვალა. საგანგებო და ტრაგიკული იერი, რომელიც შემოსვლისას ჰქონდა, ახლა ბავშვური გაუხდა. იგი რაღაცნაირად მოთვინიერებული და დაბეჩავებული ჩანდა. ყველას მოკრძალებით და გახარებული შესცქეროდა, ხშირ-ხშირად და ნერვიულად ხითხითებდა, როგორც დამნაშავე მადლიერი გოშია, რომელსაც აპატიეს, მოეფერნენ და კვლავ სახლში შეუშვეს. თითქოს აღარაფერი ახსოვდა, ყველას გაღიმებული, ბავშვური უშუალობით შეჰყურებდა. თავისი სკამი გრუშენკას სავარძელთან ახლოს მიაჩოჩა და გაუთავებლად შესციცინებდა თვალებში. თანდათან ორივე პანი აათვალ-ჩაათვალიერა, თუმცა ჯერ კარგად ვერ გარკვეულიყო მათ ვინაობაში. დივანზე მჯდომი პანი აოცებდა თავისი ყოყლოჩინობით, პოლონური აქცენტით და, რაც მთავარია, ჩიბუხით. „რა მოხდა მერე, ძალიანაც კარგი, თუ ჩიბუხს ეწევა“, - უჭვრეტდა და თავისთვის ფიქრობდა მიტია. ამ ორმოციოდე წლის პანის გაფიჟვინებული სახე, ძალიან პატარა ცხვირი, ცხვირს ქვემოთ ორი თხელ-თხელი, შეღებილი, თავხედური ულვაში მასში არანაირ კითხვას არ აღძრავდა. არც ციმბირში დამზადებულ უმსგავს პარიკს, რომელიც საფეთქლებთან სასაცილოდ ჰქონდა ჩამოვარცხნილი, განსაკუთრებით არ გაუკვირვებია მიტია. „ალბათ ასეა საჭირო“, - ფიქრობდა ის და განცხრომით განაგრძობდა ჭვრეტას. კედელთან მჯდარი მეორე პანი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა თავის თანამგზავრთან შედარებით. მას თავხედურად და მოურიდებლად ეჭირა თავი და ჩუმი ზიზღით უსმენდა საერთო საუბარს. მან მიტიას ყურადღება სიმაღლით მიიპყრო. დივანზე მჯდომი პანის სიმაღლესთან შედარებით, საშინლად აყლაყუდა ჩანდა. „ფეხზე დამდგარი ალბათ თერთმეტი გოჯი იქნება“, - გაუელვა მიტიას თავში. მიტიას კიდევ ერთმა აზრმა გაჰკრა, იქნებ ეს აყლაყუდა პანი დივანზე მჯდომი პანის მეგობარი და დამქაშია, რაღაც „მცველის“ მსგავსი, დაგვალული ჩიბუხიანი პანის ნების აღმსრულებელიო. მაგრამ ყველაფერი ეს მიტიას ძალიან კარგად ეჩვენებოდა და თვლიდა, რომ ასეც იყო საჭირო. პატარა გოშიაში ჩაკვდა მეტოქეობის გრძნობა. გრუშენკასა და მის იდუმალებით სავსე ფრაზებს ჯერ ვერაფერი გაუგო. გულაჩუყებული მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ გრუშენკამ მიუალერსა, „აპატია“ და თავის გვერდით მოისვა. მიტიამ აღტაცება ვერ დაფარა, როცა გრუშენკამ ღვინო დალია. კამპანიის მდუმარებამ გააოცა, მიტიამ მათ რაღაცის მომლოდინე თვალებით გადახედა, „რას ჩადიხართ, ბატონებო, ტყუილად რატომ ვსხედვართ, რატომ არაფერს მოვაბამთ თავს?“ - თითქოს ამბობდა მისი გაკვირვებული მზერა.
- ამ კაცმა ტყუილებით გაგვბერა, ჩვენ კი ვუსმენთ და ვიცინით, - ანაზდად თქვა კალგანოვმა, თითქოს მიხვდა მიტიას ფიქრებს და მაქსიმოვზე მიუთითა.
- გატყუებთ? - გაიცინა მან მისთვის დამახასიათებელი მოკლე როხროხა სიცილით, - ხა-ხა!
- დიახ, წარმოგიდგენიათ, ის გვიმტკიცებს, თითქოს ოციან წლებში მთელმა ჩვენმა კავალერიამ პოლონელი ქალები შეირთო ცოლადო; ეს ხომ სისულელეა, ასე არ არის?
- პოლონელი ქალები? - იკითხა ახლა უკვე სრულიად აღტაცებაში მოსულმა

მიტიამ.
კალგანოვმა კარგად იცოდა გრუშენკასა და მიტიას ურთიერთობის შესახებ, რაღაცას პანზეც ხვდებოდა, მაგრამ ამათი დარდი არ ჰქონდა, მას ახლა ყველაზე მეტად მაქსიმოვი აინტერესებდა. აქ ის მაქსიმოვთან ერთად შემთხვევით მოხვდა და პანებიც ამ ფუნდუკში გაიცნო. გრუშენკას ადრეც იცნობდა, ერთხელ ვიღაცასთან ერთად მასთან ნამყოფიც იყო. მაშინ გრუშენკა არ მოსწონებია. აქ კი გრუშენკა ალერსიანად ექცეოდა, მიტიას მოსვლამდე ეფერებოდა კიდეც, მაგრამ კალგანოვი რატომღაც მისდამი გულგრილი დარჩა. ეს ლამაზი, თეთრი პირისახის მქონე, ხშირქერათმიანი, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ჯერ ოცი წლისაც არ იქნებოდა. თეთრყირმიზა სახეზე მშვენიერი ღია ცისფერი, ჭკვიანი, ასაკისათვის შეუფერებლად საზრიანი თვალები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ხანდახან ბავშვივით ლაპარაკობდა და იქცეოდა, ამის სულაც არ სცხვენოდა, თითქოს ამას შეგნებულად აკეთებსო. იგი თავისებური კაცი იყო, ჭირვეული, მაგრამ ყოველთვის ალერსიანი. ხანდახან სახე ჯიუტად გაუშტერდებოდა ხოლმე: თითქოს გიცქერდა, გისმენდა, მაგრამ სინამდვილეში თავისთვის რაღაცაზე ფიქრობდა. უბრალო მიზეზის გამო ხან მოდუნდებოდა და გაზანტდებოდა, ხან ცეცხლივით აინთებოდა ხოლმე.
- წარმოგიდგენიათ, ოთხი დღეა, თან დამყავს, - გააგრძელა მან. ლაპარაკის დროს სიტყვას ზანტად, გაწელვით წარმოთქვამდა, მაგრამ ამას მეტიჩრულად არ აკეთებდა, ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდა. - გახსოვთ, მას შემდეგ, რაც თქვენმა ძმამ იგი ეტლიდან გადმოაგდო. მაშინ ამ კაცმა დამაინტერესა და თან წავიყვანე სოფელში. ის კი სულ ცრუობს და ცრუობს. მასთან ყოფნა სამარცხვინოა. ახლა უკან მომყავს...
- პანს პოლონელი ქალები არც უნახავს, ისე ლაპარაკობს, - შენიშნა ჩიბუხიანმა პანმა.
ჩიბუხიანმა პანმა რუსული რიგიანად იცოდა, გაცილებით უკეთ, ვიდრე თავს აჩვენებდა. თუ რუსულ სიტყვებს ხმარობდა, მათ პოლონურად უქცევდა ხოლმე.
- მე თავად მყავდა პოლონელი ცოლი, ბატონო, - ჩაიქირქილა პასუხად მაქსიმოვმა.
- ნუთუ თქვენ კავალერიაში მსახურობდით? თქვენ ხომ კავალერიაზე ლაპარაკობდით. თქვენც კავალერისტი ხართ? - ლაპარაკში კალგანოვიც ჩაერთო.
- დიახ, ნუთუ ეს კავალერისტია? ხა-ხა! - იყვირა მიტიამ, რომელიც ხარბად უსმენდა ყველას და სწრაფად გადაჰქონდა გაოცებული მზერა ერთი მოსაუბრიდან მეორეზე. ღმერთმა უწყის, რისი გაგონება უნდოდა თითოეული მათგანისაგან.
- არა, ბატონო, იცით რა, - მიუბრუნდა მას მაქსიმოვი, - მე იმას ვამბობდი, რომ პოლონელი გოგოები... კარგები არიან-მეთქი... როგორც კი ჩვენ ულანთან[103] ერთად მაზურკას იცეკვებს, ცეკვის დამთავრებისთანავე კატასავით კალთაში უხტება... თეთრი ქალები არიან... მშობლები ყველაფერს ხედავენ და არ უშლიან... ნებას რთავენ, ბატონო... ულანი კი მეორე დღეს ოჯახში მიდის და ხელსა სთხოვს... ასეა ეს, ბატონებო, ჰი-ჰი! - ისევ ჩაიქირქილა მაქსიმოვმა.
- ეს პანი ნაძირალაა! - თქვა დაბოღმილმა მაღალმა პანმა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მიტიას თვალში ეცა მისი დიდი ზომის გაპოხილი ჩექმა, რომელსაც სქელი, ტალახიანი ლანჩა ჰქონდა
- რატომაა ნაძირალა!.. ნეტა რას ილანძღება? - ანაზდად გაჯავრდა გრუშენკა.

- პანი აგრიპინა, პანს პოლონეთში საქმე გლეხის ქალებთან ჰქონია და არა აზნაურისშვილებთან, - შენიშნა ჩიბუხიანმა პანმა.
- ალბათ ისინი ჰყავდა მხედველობაში! - ზიზღით დაასკვნა სკამზე მჯდომმა პანმა.
- მორჩით! დააცადეთ ლაპარაკი! კაცი ლაპარაკობს, პირში რატომ ეჩრებით? კარგად გვართობს, - მკვახედ მიუგო გრუშენკამ.
- მე არ ვუშლი, პანი, - მრავლისმეტყველად გადახედა პარიკიანმა პანმა გრუშენკას და გაჩუმდა, კვლავ გააგრძელა ჩიბუხის წუწვნა.
- არა, არა, ახლა ამ პანმა მართალი თქვა, - გაცხარდა ისევ კალგანოვი. - ის ხომ პოლონეთში არ არის ნამყოფი, როგორ შეუძლია პოლონეთზე ლაპარაკი? თქვენ ხომ პოლონეთში არ შეგირთავთ ცოლი, ხომ მართალია?
- დიახ, ბატონო, სმოლენსკის გუბერნიაში მოვიყვანე. მაგრამ ჩემამდე პოლონეთიდან ერთმა ულანმა წამოიყვანა, დედამისთან, დეიდამისთან და კიდევ ერთ ბავშვიან ნათესავთან ერთად. პირდაპირ პოლონეთიდან, პოლონეთიდან... შემდეგ მე დამითმო. ერთი ჩვენებური პორუჩიკი იყო, რიგიანი ახალგაზრდა კაცი. თავიდან თავად უნდოდა შერთვა, მაგრამ არ შეირთო, ვინაიდან ქალი კოჭლი აღმოჩნდა...
- თქვენ რა, კოჭლი შეირთეთ? - შესძახა კალგანოვმა.
- დიახ, კოჭლი, ბატონო ჩემო, მაშინ მე ორივემ მომატყუა, დამიმალეს. მეგონა, ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა, მხიარული ხასიათის გამო...
- ალბათ სიხარულისგან, თქვენ რომ მოგყვებოდათ? - წამოიყვირა რაღაცნაირი ბავშვური ხმით კალგანოვმა.
- დიახ, ბატონო, სიხარულისგან, ბატონო. შემდეგ გავიგე, მიზეზი რომ სხვა იყო. ჯვრისწერის შემდეგ, საღამოს გამომიტყდა და გრძნობამორეულმა პატიება მთხოვა - ახალგაზრდობაში გუბეზე გადახტომისას დამიზიანდა და დავკოჭლდიო, ჰი, ჰი!
კალგანოვმა ისევ ბავშვივით გადაიკისკისა და დივანზე გადაესვენა. იცინოდა გრუშენკაც. მიტია კი დიდად ბედნიერი იყო.
- იცით რა, ახლა, მგონი, არ ცრუობს! - უთხრა კალგანოვმა მიტიას. - იგი ორჯერ ყოფილა ცოლიანი - ეს პირველ ცოლზე ლაპარაკობდა, ხოლო მეორე ცოლი თურმე გაჰქცევია და დღემდე ცოცხალია. იცოდით თქვენ ეს?
- ნუთუ?! - სწრაფად მიუბრუნდა მაქსიმოვს მიტია, სახეზე არაჩვეულებრივი გაკვირვება აესახა.
- დიახ, ჩემო ბატონო, მქონდა ასეთი უსიამოვნება, - მორიდებულად დაემოწმა მაქსიმოვი. - ერთ მუსიეს გაჰყვა, ბატონო. რაც მთავარია, გაქცევამდე მთელი სოფელი თავის სახელზე გადაიფორმა. შენო, მითხრა, განათლებული კაცი ხარ, თავად იშოვი სარჩოსო. ამ დღეში ჩამაგდო. ერთხელ ერთი არქიელი გამეხუმრა: ერთი ცოლი ფეხმრუდი გყავდა, მეორე კი მეტისმეტად ფეხმარდიო, ჰი, ჰი!
- მისმინეთ, მისმინეთ! - ისევ ალაპარაკდა აღტკინებული კალგანოვი, - თუ ის ცრუობს - და ის ხშირად ცრუობს - მხოლოდ იმიტომ იტყუება, რომ ჩვენ გვასიამოვნოს. ეს ხომ ცუდი არ არის, ხომ არ არის ცუდი? იცით, ხანდახან მიყვარს კიდეც. ის ძალიან გათახსირებული კაცია, მაგრამ ნატურალური თახსირი, ჰა? თქვენ როგორ ფიქრობთ? სხვა თახსირობს რაიმეს გამორჩენის მიზნით, სარგებელი რომ ნახოს, ის კი უბრალოდ - მისთვის ეს ბუნებაა... მაგალითად, წარმოგიდგენიათ, აცხადებს, რომ თურმე გოგოლმა „მკვდარი სულები“ მის შესახებ შეთხზა (გუშინ მთელი გზა ამას მიმტკიცებდა). გახსოვთ, იქ

არის პერსონაჟი, მემამულე მაქსიმოვი, რომელიც ნოზდრევმა გაჯოხა, რისთვისაც ნოზდრევის საქმე სასამართლოს გადაეცა „მთვრალ მდგომარეობაში მემამულე მაქსიმოვის გაროზგვის გამო“ - გაგონდებათ ალბათ. ახლა კი ეს კაცი პრეტენზიას აცხადებს, რომ ის, ის მემამულე მაქსიმოვია, რომელიც გაროზგეს! შესაძლებელია ეს? ჩიჩიკოვი მგზავრობდა, ყველაზე გვიან, ოციან წლებში, ასე რომ წლები არ ემთხვევა. არ შეიძლებოდა იმ წლებში ეს გაეროზგათ. ხომ არ შეიძლებოდა, შეუძლებელია?
ძნელად გასაგები იყო, ასე რა აღელვებდა კალგანოვს, თუმცა გულწრფელად ღელავდა. მიტიამ უანგაროდ აუბა მას მხარი.
- მაგრამ რომ გაროზგეს! - იყვირა მიტიამ და ახარხარდა.
- კი არ გამროზგეს, ბატონებო, არამედ ისე, - თქვა მაქსიმოვმა.
- რა ისე? ან გაგროზგეს ან არა.
- რომელი საათია? - მიმართა მოწყენილი სახით ჩიბუხიანმა პანმა მაღალ პანს პოლონურად. მან მხრები აიჩეჩა: არც ერთ მათგანს საათი არ ჰქონდა.
- რატომ არ ვილაპარაკოთ? მოგვეცით საუბრის საშუალება. რახან თქვენ მოგწყინდათ, ჩვენც ხმა გავიკმინდოთ? - ისევ თავს დაესხა მათ გრუშენკა, ეტყობოდა, შარის მიზეზს ეძებდა. მიტიას გაუელვა პირველად რაღაცამ თავში. ამჟამად პანმა აშკარად გაღიზიანებულმა უპასუხა:
- პანი, მე არავის ვეწინააღმდეგები, მე არაფერი მითქვამს.
- ძალიან კარგი, შენ კი მოყევი, - დაუყვირა გრუშენკამ მაქსიმოვს. - რას გაჩუმებულხართ ყველა?
- მოსაყოლიც არაფერია, ბატონებო, სისულელეა ყველაფერი, - უმალ ალაპარაკდა მაქსიმოვი, თან ცოტა თავპატიჟი გამოიდო, - გოგოლს ყველაფერი ეს ალეგორიული ფორმით აქვს აღწერილი, იქ ყველა გვარი ალეგორიულია: ნოზდრევი ნოსოვია, კუვშინიკოვი - შკვორნევი, ფენარდი ნამდვილი ფენარდია, მხოლოდ არა იტალიელი, რუსია, პეტროვი, ბატონო. აი, მამზელ ფენარდი ტურფა რამ იყო, ფეხები ტრიკოში მართლაც მშვენიერი ჰქონდა, კილიტებიანი მოკლე ქვედატანი ეცვა, ტრიალებდა, ოღონდ ოთხი საათი კი არა, მხოლოდ ოთხი წუთი. ბატონებო... და ყველა მოხიბლა...
- შენ ისა თქვი, რატომ გაგროზგეს, რაღაცის გულისთვის ხომ გაგროზგეს? - ყვიროდა კალგანოვი.
- პირონის გულისათვის, ბატონო, - უპასუხა მაქსიმოვმა.
- ვინ პირონისათვის? - იყვირა მიტიამ.
- ცნობილი ფრანგი მწერალი, პირონი, ბატონო. მაშინ ჩვენ იმ ბაზრობაზე, ერთ სამიკიტნოში, ხალხმრავალ საზოგადოებაში ღვინოს მივირთმევდით. მე მათ სუფრაზე მიმიწვიეს. ლაპარაკი თავიდანვე ეპიგრამებით დავიწყე: „შენ ხარ, ბუალო, ეს რა გაცვია“.[104] ბუალო კი პასუხობს, რომ ის მასკარადზე მიდის, ე.ი. აბანოში, ბატონებო, ჰი-ჰი, მათ თავის თავზე მიიღეს. მე კი სასწრაფოდ სხვა რამე ვთქვი, ყველა განათლებული ადამიანისათვის ცნობილი გესლიანი რამ:
შენ ხარ საფო, მე ფაონი, ყველაფერი ნათელია,
მაგრამ ჩემდა სავალალოდ
ზღვისკენ გზა ვერ გაგიგნია.[105]
ისინი უფრო გაბრაზდნენ და უშვერი სიტვებით დამიწყეს ლანძღვა-გინება, მე კი, იმის მაგივრად, რომ დამეშოშმინებინა, ერთობ განათლებული ერთი ანეკდოტი ვუამბე პირონზე, თუ როგორ არ მიიღეს საფრანგეთის აკადემიაში და როგორ იძია

მან შური, როცა თავისი საფლავის ქვისათვის ასეთი ეპიტაფია დაწერა:
Ci- git Piron qui ne fut rien
Pas meme academicien.[106]
ადგნენ და გამროზგეს.
- რისთვის, რისთვის?
- ჩემი განათლებულობისათვის. ვინ იცის, რისთვის არ როზგავენ ხოლმე ადამიანებს, - მოკლედ და დამრიგებლური ტონით დასძინა მაქსიმოვმა.
- კარგი, საკმარისია, აღარ მსურს ამ საძაგლობის მოსმენა, მეგონა, რამე სასაცილოს იტყოდა, - უცებ აღშფოთდა გრუშენკა. მიტია აწრიალდა და მაშინვე შეწყვიტა სიცილი. მაღალი პანი ადგა, ხელები უკან დაიწყო და თავის კამპანიაში არმყოფი კაცის ქედმაღლური გამომეტყველებით დაიწყო ბოლთის ცემა.
- ერთი ამას დამიხედეთ, როგორ გადი-გამოდის! - ზიზღით შეხედა მას გრუშენკამ. მიტია აღელდა, გარდა ამისა, შეამჩნია, რომ დივანზე მჯდომი პანი გაღაზიანებული შესცქეროდა მას.
- პან, - იყვირა მიტიამ, - დავლიოთ, პან! თქვენც მიირთვით, ბატონებო! - მიტიამ უცებ ფართხა-ფურთხით გამოსწია სამი ჭიქა და შამპანური ჩამოასხა.
- პოლონეთს გაუმარჯოს, პანებო, ვსვამ პოლონეთის სადღეგრძელოს, გაუმარჯოს! - შესძახა მიტიამ.
- ძალიან სასიამოვნოა, პან, დავლიოთ, - ზვიადად და ნაძალადევი კეთილგანწყობით პოლონურად თქვა დივანზე მჯდომმა პანმა და თავისი ჭიქა აიღო.
- მეორე პან, რა გქვიათ თქვენ, ჩემო ბატონო, აიღეთ ჭიქა! - დაფაცურდა მიტია.
- პან ვრუბლიოვსკი, - უკარნახა დივანზე მჯდომმა პანმა.
პან ვრუბლიოვსკი ტორტმან-ტორტმანით მიუახლოვდა მაგიდას და ფეხზე მდგარმა შესვა სასმისი.
- გაუმარჯოს პოლონეთს, პანებო, ვაშა! - იყვირა მიტიამ და ჭიქა აწია.
სამივემ დალია. მიტიამ ისევ სტაცა ბოთლს ხელი და შეავსო სამივე ჭიქა.
- ახლა რუსეთს გაუმარჯოს, პანებო, დავძმობილდეთ!
- ჩვენც ჩამოგვისხით, - თქვა გრუშენკამ, - მეც მინდა რუსეთის სადღეგრძელოს დალევა.
- მეც, - თქვა კალგანოვმა.
- მეც დავლევ, ბატონებო, რუსეთს გაუმარჯოს, ბებერ რუსეთს, - ჩაიქირქილა მაქსიმოვმა.
- ყველამ, ყველამ! - შეჰყვირა მიტიამ, - მასპინძელო, კიდევ ერთი ბოთლი!
შემოიტანეს დარჩენილი სამი ბოთლი. მიტიამ ჩამოასხა.
- რუსეთს გაუმარჯოს, ვაშა! - ისევ წამოიყვირა მიტიამ. ყველამ დალია პანების გარდა, გრუშენკამ ერთი სულის მოთქმით გამოცალა ჭიქა. პანებმა თავიანთ ჭიქებს ხელი არ ახლეს.
- თქვენ, პანებო? - შესძახა მიტიამ, - თქვენ რა, არა სვამთ?
პან ვრუბლიოვსკიმ ჭიქა აწია და ომახიანად წარმოთქვა:
- რუსეთს გაუმარჯოს 1772 წლის საზღვრებში![107]
- აი, ეს მომწონს! - პოლონურად იყვირა მეორე პანმა და ორივემ დაცალა ჭიქები.
- ბრიყვები ხართ, თქვენ, პანებო! - უცებ წამოაყრანტალა მიტიამ.
- პა-ნე!! - მუქარით იყვირეს პანებმა და მამლებივით აიფხორნენ, განსაკუთრებით ბრაზი პან ვრუბლიოვსკის მოუვიდა.

- განა საკუთარი კუთხის სიყვარული არ შეიძლება? - პოლონურად იყვირა მან.
- ჩუმად! ნუ ჩხუბობთ! ჩხუბი არ გამაგონოთ! - გასცა ბრძანება გრუშენკამ და ფეხები დააბაკუნა. მას სახე წამოსწითლებოდა და თვალები უბრწყინავდა. ეტყობოდა, ღვინომ თავისი საქმე გააკეთა. მიტია შეშინდა.
- მაპატიეთ, პანებო! ჩემი ბრალია, მეტს აღარ ვიზამ. ვრუბლიოვსკი, პან ვრუბლიოვსკი, მეტს არ ვიზამ!
- შენ მაინც გაჩუმდი, დაჯექი, რეგვენო! - ახლა მიტიას შეუღრინა გაჯავრებულმა გრუშენკამ.
ყველა დაჯდა, ყველა გაჩუმდა, ყველა ერთმანეთს შესცქეროდა.
- ღმერთო ჩემო, ყველაფერი ჩემი ბრალია! - დაიწყო ისევ მიტიამ, რომელმაც ვერაფერი გაუგო გრუშენკას შეყვირებას. - რას ვსხედვართ? რითი შევიქციოთ თავი... რომ გავმხიარულდეთ?
- მართლაც, ძალიან მოწყენილობაა, - ზანტად ჩაიბურტყუნა კალგანოვმა.
- ბანკი ვითამაშოთ, წეღანდელივით... - ანაზდად ჩაიქირქილა მაქსიმოვმა.
- ბანკი? ძალიან კარგი! - აიტაცა მიტიამ, - თუ პანები...
- პუზდნო, პანე! - უხალისოდ თქვა დივანზე მჯდომმა პანმა.
- რაც მართალია, მართალია, - მხარი დაუჭირა პან ვრუბლიოვსკიმ.
- პუზდნო? რას ნიშნავს პუზდნო? - იკითხა გრუშენკამ.
- ეს ნიშნავს, გვიანაა უკვე, გვიან, - აუხსნა დივანზე მჯდომმა პანმა.
- ამათთვის ყველაფერი გვიანაა, ამათთვის არაფერი არ შეიძლება! - თითქმის იკივლა გაჯავრებულმა გრუშენკამ. - თავად ვერ მხიარულობენ და უნდათ, სხვებიც მოწყენილები იყვნენ. შენს მოსვლამდე, მიტია, ესენი ბაიყუშებივით ისხდნენ და დაბოღმილები შემომცქეროდნენ.
- ჩემო ქალღმერთო! - იყვირა დივანზე მჯდომმა პანმა და პოლონურად გააგრძელა, - ვხედავდი ჩემს მიმართ არაკეთილგანწყობას და მიტომაც ვიყავი შეწუხებული. მე მზადა ვარ, პანე, - მიმართა მან მიტიას.
- დაიწყე, პანე! - თქვა მიტიამ, ჯიბიდან ფულის დასტა დააძრო, საიდანაც ორი ასმანეთიანი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.
- პან, მე მინდა შენთან ბევრი წავაგო. აიღე ბანქო და ჩამოდი ბანკში.
- ბანქო ფუნდუკის პატრონმა მოიტანოს, პანე, - დაჟინებით და სერიოზულად განაცხადა დაბალმა პანმა.
- ყველაფერს ეგ აჯობებს, - დაემოწმა პან ვრუბლიოვსკი.
- ფუნდუკის პატრონმა? კი, ბატონო, გასაგებია. დე, აგრე იყოს! ბანქო! - უბრძანა მიტიამ მასპინძელს.
ფუნდუკის პატრონმა სულ ახალთახალი, ჯერ გაუხსნელი ბანქო მოიტანა და მიტიას შეატყობინა, რომ სოფლის ქალები მოვიდნენ და ალბათ მალე ციმბილებიანი ურიებიც გამოჩნდებიან, ხოლო სამცხენა სანოვაგით ჯერ არ ჩამოსულაო. მიტია წამოხტა და მეორე ოთახში გავარდა განკარგულების გასაცემად. ოთახში მხოლოდ სამი ქალი იყო, მარია ჯერ არ ჩანდა. მიტიამ თავადაც არ იცოდა, ოთახში რისთვის გამოვარდა და რა განკარგულება უნდა გაეცა, მხოლოდ ის ბრძანა, ყუთიდან ტკბილეულობა ამოიღეთ და ქალებს დაურიგეთო. „ანდრეის არაყი მიართვით, არაყი ანდრეის! - ბრძანა სხაპასხუპით, - მე ანდრეის ვაწყენინე!“ უცებ მიტიას უკნიდან მხარზე ხელით შეეხო მაქსიმოვი.
- მომეცით რა ხუთი მანეთი, - ჩურჩულით უთხრა მიტიას, - მეც მინდა გავბედო ბანკის თამაში, ჰი-ჰი!

- მშვენიერია, ძალიან კარგი! აჰა, შენ ათი მანეთი, აიღე! - მან ჯიბიდან ისევ ამოიღო ასიგნაციები, იპოვა ათმანეთიანი და მისცა. - წააგებ, მომმართე და კიდევ მოგცემ.
- კარგი, ბატონო, - ჩაიჩურჩულა გახარებულმა მაქსიმოვმა და სასტუმრო ოთახში გაცუნცულდა. მიტიაც უკან დაბრუნდა და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. პანები უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ და ბანქო გაეშალათ. ახლა ისინი გაცილებით თავაზიანად იქცეოდნენ, ალერსიანებიც კი იყვნენ. დივანზე მჯდომმა პანმა ჩიბუხი გააბოლა და ბანქოს დასარიგებლად მოემზადა; სახეზე რაღაცნაირი საზეიმო განწყობილება აესახა.
- ადგილი დაიკავეთ, პან! - თქვა პან ვრუბლიოვსკიმ.
- არა, მე მეტს აღარ ვითამაშებ, - უპასუხა კალგანოვმა, - მეყოფა, წეღან ამათთან ორმოცდაათი მანეთი წავაგე.
- მაშინ ბედი არ გწყალობდათ, პან, ახლა იქნებ გაგიმართლოთ, - შენიშნა დივანზე მჯდომმა პანმა.
- ბანკში რამდენია? საპასუხო? - მოუთმენლად იკითხა მიტიამ.
- შეიძლება ასი, შეიძლება ორასიც, რამდენსაც დადებ, პანე.
- მილიონი! - ახარხარდა მიტია.
- პან კაპიტანს იქნებ სმენია პან პოდვისოცკის შესახებ?
- ეგ ვინ პოდვისოცკია?
- ვარშავაში საპასუხო ბანკს ის დებს, ვისი ჩამოსვლის ჯერიცაა. ჰოდა, ერთხელ მოვიდა პოდვისოცკი და ხედავს ბანკში ათასი ზლოტია, მოითხოვს ვა-ბანკს. ბანკირი ეკითხება: „პან პოდვისოცკი, ნაღდს შემოხვალთ, თუ პატიოსან სიტყვაზე თამაშობთ“. პოდვისოცკი პასუხობს: „პატიოსან სიტყვაზე, პანე,“ „უფრო კარგი, პანე.“ ბანკირი ბანქოს არიგებს. პოდვისოცკი იგებს და იღებს ათას ზლოტს. „მოითმინეთ, პანე, - უთხრა ბანკირმა, უჯრა გამოაღო და ამოიღო მილიონი, - მიიღეთ, ეს არის თქვენი მოგება!“ თურმე ბანკი მილიონიანი იყო. „მე არ ვიცოდი ეს“, თქვა პოდვისოცკიმ. „პან პოდვისოცკი, შენ პატიოსან სიტყვაზე ითამაშე ვა-ბანკი, ჩვენც პატიოსნად გაძლევთ მთელ ბანკს“. პოდვისოცკიმ აიღო მილიონი.
- ტყუილია, - თქვა კალგანოვმა.
- პან კალგანოვ, კეთილშობილ საზოგადოებაში ასეთი ლაპარაკი მიღებული არ არის.
- ვითომ ეგრე ადვილად მისცემდა პოლონელი მოთამაშე მილიონს! - შესძახა მიტიამ და უცებ გაახსენდა, რომ არ უნდა ეთქვა. - მაპატიეთ, პანე, დამნაშავე ვარ, მისცემდა, როგორ არ მისცემდა პატიოსან სიტყვაზე მილიონს, პოლონელის პატიოსან სიტყვაზე! (ეს სიტყვა პოლონურად თქვა მიტიამ) ხედავთ, როგორ ვლაპარაკობ პოლონურად, ხა-ხა! ჩამოვდივარ 10 მანეთს, ვალეტზე.
- მე კი მანეთსა ვდებ ქალზე, გულის ქალზე, ლამაზ პანონეჩკაზე, ჰი-ჰი! - ჩაიქირქილა მაქსიმოვმა, წინ წამოწია თავისი გულის ქალი, თავად მაგიდასთან ახლოს მიიწია და უჩუმრად ჩქარ-ჩქარა პირჯვარი გადაიწერა. მიტიამ მოიგო. მოიგო მანეთიანმაც.
- კუთხე![108] - იყვირა მიტიამ.
- მე ისევ მანეთს ჩამოვალ, სემპელით პატარა, პაწაწუნა სემპელით, - ბურტყუნებდა კმაყოფილი მაქსიმოვი, რომელიც ძალიან გახარებული იყო მანეთის მოგებით.
- გაჭრილია! - იყვირა მიტიამ. - შვიდიანი პეზე!

პეზეც გაჭრეს.
- გეყოფათ, - თქვა უცებ კალგანოვმა.
- პე, პე, - კვლავ აორმაგებდა ფსონს მიტია, მაგრამ ყველას უჭრიდნენ. მანეთიანი კი იგებდა და იგებდა.
- პე! - იღრიალა ბრაზმორეულმა მიტიამ.
- ორასი წააგე, პანე, კიდევ ორასს დებ? - თქვა დივანზე მჯდომმა პანმა.
- უკვე ორასი წავაგე? კიდევ ორასი! ორასი პეზე! - მან ჯიბიდან დააძრო ფულის დასტა. მიტიას უნდოდა ორასი მანეთის დადება ქალზე, მაგრამ კალგანოვმა ხელი დააფარა.
- გეყოფათ! - იყვირა მან ჟღერადი ხმით.
- რას ჩადიხართ? - შეხედა გაოცებულმა მიტიამ.
- საკმარისია, არ მინდა! მეტს აღარ ითამაშებთ.
- რატომ?
- მიტომ. მიაფურთხეთ ყველაფერს, ადექით და წადით. არ მოგცემთ უფლებას, თამაში გააგრძელოთ!
მიტია გაკვირვებული შესცქეროდა.
- გეყოფა თამაში, მიტია, ის მართალს ამბობს, ისედაც ბევრი წააგე, - უცნაური ხმით წარმოთქვა გრუშენკამ, პანები განრისხებული სახეებით წამოდგნენ.
- ხუმრობთ, პანე? - თქვა დაბალმა პანმა და მკაცრად გადახედა კალგანოვს.
- როგორ ბედავთ ამის გაკეთებას, პანე! - დაუცაცხანა კალგანოვს პან ვრუბლიოვსკიმაც.
- თქვენი ხმა არ გავიგონო, არ გაბედოთ ყვირილი! - იკივლა გრუშენკამ, - მამლაყინწა ინდაურები!
მიტია რიგრიგობით შესცქეროდა მათ; მან გრუშენკას სახეზე რაღაც ისეთი შენიშნა, რამაც ძალიან გააოცა და იმავ წუთს თავში რაღაც უცნაურმა, ახალმა აზრმა გაუელვა!
- პანი აგრიპინა! - დაიწყო ბრაზისაგან გაჭარხლებულმა დაბალმა პანმა. ამ დროს მიტია მასთან მივიდა და მხარზე ხელი შემოჰკრა.
- თქვენო ბრწყინვალებავ, ორი სიტყვა მინდა გითხრათ.
- რა გნებავთ?
- იმ ოთახში გავიდეთ, მხოლოდ ორ სიტყვას გეტყვით, ორ ძალიან კარგ სიტყვას, კმაყოფილი დარჩები.
დაბალი პანი გაკვირვებული და შეშინებული უყურებდა მიტიას. შემდეგ დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით, თუ მასთან ერთად პან ვრუბლიოვსკიც იქნებოდა.
- დამცველი მოინდომე? იყოს, ეგეც საჭიროა! აუცილებლად საჭიროა! - იყვირა მიტიამ. - ნაბიჯით იარ, პანოვე!
- სად მიდიხართ? - იკითხა შეშინებულმა გრუშენკამ.
- ამ წუთში მოვბრუნდებით, - უპასუხა მიტიამ. მას სახეზე რაღაცნაირი გამბედაობა, რაღაცნაირი მოულოდნელი სიმხნევე აესახა; ამ ერთი საათის წინ, სულ სხვა სახით შემოვიდა ოთახში. მან პანები მარჯვენა ოთახში გაიყვანა, იმ დიდ ოთახში კი არა, სადაც ქალების გუნდი შეკრებილიყო და სუფრა იშლებოდა, არამედ საძინებელში. ოთახში ზანდუკები, სკივრები და ორი დიდი საწოლი იდგა. ორივე საწოლზე ბალიშების გროვა ელაგა. კუთხეში, პატარა თლილ მაგიდაზე სანთელი ენთო. პანი და მიტია ამ მაგიდასთან დადგნენ პირისპირ, ხოლო

აყლაყუდა პან ვრუბლიოვსკი გაჩერდა მათ გვერდით, მას ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი. პანები მკაცრად გამოიყურებოდნენ, მაგრამ აშკარად დაინტერესებულები ჩანდნენ.
- რით შემიძლია გემსახუროთ, პან? - ტკბილად ჰკითხა პანმა.
- აი რით, პანე, მე ბევრს არ ვილაპარაკებ; აიღე ეს ფული, - მიტიამ ჯიბიდან დააძრო ასიგნაციები, - გინდა სამი ათასი, აიღე და ჯანდაბამდისაც გზა გქონია.
პანი გამომცდელად შეჰყურებდა და სახიდან თვალს არ აშორებდა მიტიას.
- სამი ათასი, პანე? - მან ვრუბლიოვსკის გადახედა.
- სამი, პანოვე, სამი! მისმინე, პანე, ვხედავ ჭკვიანი კაცი ხარ. აიღე სამი ათასი და თავიდან მომწყდი, ეგ ვრუბლიოვსკიც თან გაიყოლე - გესმის? მხოლოდ ამ წუთში და სამუდამოდ, გესმის - სამუდამოდ, პანე, აი იმ კარიდან გახვალ. შენ აქ რა გაქვს, პალტო, ქურქი? მე გამოგიტან. ამ წუთში სამცხენაში ჩაგსვამენ და - დო ვიძენია , პანე! ჰა?
დაიმედებული მიტია პასუხს ელოდა. მას ეჭვი არ ეპარებოდა. რაღაც განსაკუთრებულმა გადაწყვეტილებამ გაუელვა სახეზე პანს.
- მერე, ფული, პანე?
- ფული, ასე ვქნათ, პანე: ახლა ხუთას მანეთს მოგცემ ბედ, ორი ათას ხუთას მანეთს ხვალ ქალაქში მიიღებ - სინდისს გეფიცები, ქვას გავხეთქავ და ვიშოვი! - იყვირა მიტიამ.
პოლონელებმა ერთმანეთს გადახედეს. პანის გამოხედვა თანდათან უარესდებოდა.
- შვიდასი, შვიდასი იყოს, ხუთასი კი არა, ამ წუთში, ახლავე ხელში მოგცემ! - დაიმატა მიტიამ, როცა რაღაც არასასიკეთო იგრძნო. - რა იყო, პან? არ გჯერა? სამი ათასს უცებ ხომ არ მოგცემ. მე მოგცემ და შენ ხვალვე დაბრუნდები მასთან... გარდა ამისა, ახლა მაგდენი არა მაქვს, ქალაქში მაქვს, სახლში, - ლუღლუღებდა მიტია, ყოველი სიტყვის შემდეგ თანდათან კარგავდა სიმხნევეს, - ღმერთმანი, შინ მიდევს, გადამალული...
ანაზდად დაბალ პანს სახეზე აღებეჭდა საკუთარი ღირსების არაჩვეულებრივი გრძნობა.
- მეტი არაფერი გინდათ? - ირონიულად იკითხა მან. - ვაი, სირცხვილო! - და გადააფურთხა. ვრუბლიოვსკიმაც გადააწიტა.
- შენ იმიტომ იპურჭყები, პანე, - თქვა სასოწარკვეთილმა მიტიამ, როცა მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა, - გგონია, გრუშენკას უფრო მეტს დაცინცლავ. ცვედანები ხართ თქვენ ორივენი!
- სასტიკად შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს! - პოლონურად თქვა აჭარხლებულმა დაბალმა პანმა და სასწრაფოდ, თითქოს ძალიან აღშფოთებულმა, დატოვა იქაურობა. მას უკან ტორტმან-ტორტმანით მიჰყვა ვრუბლიოვსკი და შემცბარი და სახტად დარჩენილი მიტია. მას გრუშენკას გაჯავრების ეშინოდა, რადგან გრძნობდა, რომ ახლა პანი ყვირილს ატეხდა. ასეც მოხდა - პანი ოთახში შესვლისთანავე თეატრალური პოზით წარუდგა გრუშენკას.
- პანი აგრიპინა, საშინლად შეურაცხყოფილი ვარ! - კვლავ პოლონურად იყვირა მან; ამ დროს გრუშენკას, ეტყობა, მოთმინების ფიალა აევსო, თითქოს ყველაზე მტკივნეულ ადგილას შეეხნენ.
- რუსულად, რუსულად ილაპარაკე, ერთი პოლონური სიტყვაც არ გამაგონო! - უკივლა გრუშენკამ პანს. - ხომ ლაპარაკობდი ხუთი წლის წინათ, ნუთუ

დაგავიწყდა! - ქალს სიბრაზისაგან სახე აელეწა.
- პანი აგრიპინა...
- აგრაფენა ვარ მე, გრუშენკა! გეუბნები, რუსულად ილაპარაკე-მეთქი, თუ არა და შენი ხმის გაგონება არ მსურს! - პანს ყელში ბოღმა მოაწვა და დამტვრეული რუსულით სასწრაფოდ და მაღალფარდოვნად წარმოთქვა:
- პანი აგრაფენა, მე აქ წარსულის დასავიწყებლად და საპატიებლად ჩამოვედი, დავივიწყოთ რაც მოხდა...
- როგორ თუ საპატიებლად? შენ იმისათვის ჩამოხვედი, რომ მე მაპატიო? - შეაწყვეტინა გრუშენკამ და ადგილიდან წამოხტა.
- დიახაც, პანი, მე არ ვარ სულმოკლე, მე დიდსულოვანი კაცი ვარ. მაგრამ გამაკვირვეს შენმა საყვარლებმა. პან მიტია იმ ოთახში სამ ათასს მაძლევდა, რომ აქაურობა დამეტოვებინა. მე მას შევაფურთხე.
- როგორ? როგორ თუ ფულს გიხდიდა? მართლა, მიტია? როგორ გაბედე! განა ჩემი ყიდვა-გაყიდვა შეიძლება?
- პანე, პანე, - იღრიალა მიტიამ, - ის სუფთაა და ბრწყინავს, მე არასოდეს ვყოფილვარ მისი საყვარელი! ცრუობ, მიქარავ...
- როგორ ბედავ ამასთან ჩემს დაცვას, - ყვიროდა გრუშენკა, - მე სათნოებისა და კუზმას შიშით კი არ ვიყავი სუფთა, არამედ იმიტომ, რომ ამის წინაშე თავი ამაყად მეგრძნო, რომ უფლება მქონოდა ამისთვის მეთქვა, ნაძირალა ხარ-მეთქი. დავიჯერო, ეს შენგან ფულს არ იღებდა?
- იღებდა, როგორ არ იღებდა! - შესძახა მიტიამ, - მაგრამ ერთბაშად მოინდომა სამი ათასი, მე კი ჯერჯერობით ბედ შვიდას მანეთს ვთავაზობდი.
- ყველაფერი გასაგებია: გაუგია, გრუშენკას ფული გაუჩნდაო და მიტომ ჩამობრძანდა ჯვრის დასაწერად!
- პანი აგრიპინა, - იყვირა პანმა, - მე რაინდი ვარ, შლიახტიჩი, და არა ვიღაც ვიგინდარა. მე ჩამოვედი იმისათვის, რომ ცოლად შემერთე, მაგრამ აქ სულ სხვა პანი ვიხილე. ის აღარა ხარ, რაც ადრე იყავი, ახლა აქ თავნება და უსირცხვილო დედაკაცს შევხვდი.
- ჰოდა, წაეთრიე, საიდანაც მოხვედი! ახლავე ვუბრძანებ, აქედან გაგაგდონ და გაგაძევებენ კიდეც! - კიოდა გახელებული გრუშენკა. - ბრიყვი ვიყავი, სულელი, რისთვის ვიტანჯავდი ხუთი წელი თავს! არა, ამის გულისათვის არ ვიტანჯებოდი, ბოღმა მტანჯავდა! გარდა ამისა, ეს ის ხომ აღარ არის? ეს იმას მამად შეეფერება! ეს პარიკი სად იშოვე? ის შევარდენი იყო, ეს კი იხვია. ის სულ იცინოდა და მიმღეროდა... მე კი ხუთი წელი ცრემლსა ვღვრიდი, შტერი ვარ და სულელი, საზიზღარი და უსირცხვილო ქალი!
ის სავარძელზე დაეშვა და სახე ხელებით დაიფარა. ამ დროს მეზობელი ოთახიდან გაისმა მოკროელი ქალების გუნდის ლაღი და ხალისიანი საცეკვაო სიმღერა.
- ნამდვილი სოდომია! - უცებ იღრიალა პან ვრუბლიოვსკიმ. - მასპინძელო, გაყარე ეს უსირცხვილოები!
ფუნდუკის პატრონი უკვე კარგა ხანი იყო, ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, ხანდახან კარიდან შემოიჭყეტდა ხოლმე, ესმოდა ხმაური და ხვდებოდა, რომ სტუმრები ერთმანეთს დაერივნენ. ძახილზე უმალ გამოცხადდა ოთახში.
- რა გაღრიალებს, ყელი არ ჩაიხიო? - მიმართა მან ვრუბლიოვსკის რაღაცნაირად

გაურკვეველი არათავაზიანობით.
- ცხოველო! - დაიღრიალა პან ვრუბლიოვსკიმ.
- ეს მე ვარ ცხოველი? შენ კი, თქვი, ახლა ბანქო როგორ ითამაშე? მე ახალი დასტა მოგიტანე, შენ კი ის დამალე და შენი ყალბი ბანქოთი ითამაშე! მე შენ მაგ ყალბი ბანქოს გულისათვის ციმბირს გადაგაცილებ, იცი, თუ არა ეს... - იგი მივიდა დივანთან, ხელი შეყო დივანის ზურგსა და ბალიშს შორის და ამოიღო ჯერ გაუხსნელი ბანქოს დასტა.
- ესაა ჩემი დასტა, გაუხსნელი! - ტრიფონ ბორისოვიჩმა ბანქოს დასტა მაღლა აწია და ყველას დაანახა. - გვერდიდან დავინახე, თუ როგორ დამალა დასტა და თავისით შეცვალა. თაღლითი ხარ შენ, პანი კი არა!
- მეც დავინახე, როცა მან ორჯერ შეცვალა ბანქო, - იყვირა კალგანოვმა.
- ვაი სირცხვილო, ვაი სირცხვილო! - შესძახა გრუშენკამ, ხელები ერთმანეთს შემოკრა და სირცხვილისაგან ნამდვილად გაწითლდა. - ღმერთო ჩემო, კაცი აქამდე როგორ უნდა მივიდეს!
- მეც მაგას ვფიქრობდი, - იყვირა მიტიამ. მაგრამ ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ შემცბარმა და ბრაზმორეულმა პან ვრუბლევსკიმ გრუშენკას მუშტების ქნევა და ყვირილი დაუწყო:
- შე ქუჩის ქალო, შენა! - ამის თქმა იყო და მიტია ეტაკა მას, ორივე ხელით ჰაერში აიტაცა და ციმციმ გაიტანა იმ ოთახში, სადაც ცოტა ხნის წინ ელაპარაკებოდა პანებს.
- იატაკზე დავაგდე! - თქვა შემოსვლისას მიტიამ. მას მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა, - კიდევაც რომ ჩხუბობს, მამაძაღლი, არა მგონია, დაბრუნდეს! - მან კარის ერთი ნაწილი დახურა, მეორე კი ღია დატოვა და დაბალ პანს ხმამაღლა უთხრა:
- თქვენო ბრწყინვალებავ, ხომ არ ინებებთ იქით მიბრძანებას? გთხოვთ!
- ბატონო, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - წამოიძახა ტრიფონ ბორისიჩმა, - წაართვი წაგებული ფული, შენი ფული. მათ ხომ მოტყუებით მოიგეს.
- მე ჩემს ორმოცდაათ მანეთზე უარს ვამბობ, - უცებ თქვა კალგანოვმა.
- არც მე მინდა ჩემი ორასი მანეთი, - იყვირა მიტიამ, - არაფრით არ გამოვართმევ, დასამშვიდებლად დარჩეს.
- ყოჩაღ, მიტია, ყოჩაღ! - იყვირა გრუშენკამ. რაღაცნაირმა ღვარძლიანმა ნოტმა გაიჟღერა მის ხმაში. ბრაზისაგან გაჭარხლებული დაბალი პანი მედიდურად გაეშურა კარისაკენ, მაგრამ გაჩერდა და გრუშენკას პოლონურად მიმართა:
- პანი, თუ გნებავთ, წამომყევით, თუ არადა - მშვიდობით!
და ბოღმისა და ამბიციისაგან აქოშინებული ზვიადად გავიდა ოთახიდან. ასეთი თავდაჯერებული კაცი იყო: ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, იმედს არ კარგავდა, რომ პანი უკან გაეკიდებოდა, - თავზე იმდენად დიდი წარმოდგენა ჰქონდა. მიტიამ კარი მიუჯახუნა.
- გასაღებით ჩაკეტეთ, - თქვა კალგანოვმა. მაგრამ შიგნიდან გაიჩხაკუნა კლიტემ. ისინი თავად ჩაიკეტნენ ოთახში.
- ძალიანაც კარგი! - ისევ ღვარძლიანად იყვირა გაავებულმა გრუშენკამ. - ძალიან კარგი! ჯანდაბამდე გზა გქონია!

VIII ბოდვა

დაიწყო თავაშვებული დროსტარება - ქეიფი და ღრეობა. პირველად გრუშენკამ იყვირა: „დამისხით ღვინო, დალევა მომინდა, ამასწინანდელივით უნდა გამოვთვრე, გახსოვს, მიტია, ხომ გახსოვს, მაშინ როგორ დავახლოვდით!“ მიტიას თავი სიზმარში ეგონა, წინასწარ გრძნობდა „თავის ბედნიერებას“. ისე კი, გრუშენკა მას გაუთავებლად იცილებდა თავიდან: „წადი, იმხიარულე, იმათ კი გადაეცი, იცეკვონ და იმღერონ, „იხარე ჭერო, მოკვდი მტერო“, როგორც მაშინ, მაშინდელივით!“ - აღტკინებული გაიძახოდა ქალი. გრუშენკა ძალიან აღგზნებული იყო. მიტია გარბოდა განკარგულებების გასაცემად. გუნდი მეზობელ ოთახში შეკრებილიყო. ის ოთახი, სადაც აქამდე ისხდნენ, ჩითის ფარდით ორად იყო გაყოფილი. ფარდის იქით ფუმფულა ლეიბიანი დიდი საწოლი იდგა, რომელზედაც იმავე ჩითის ბალიშების გროვა ელაგა. ისე კი, ამ ფუნდუკის ოთხივე ოთახში საწოლები იდგა. გრუშენკა კართან მოკალათდა, მიტიას მიერ მოჩოჩებულ სავარძელზე. მაშინაც, ამ ერთი თვის წინ, ქეიფის დროსაც აქედან უყურებდა სოფლის ქალების ცეკვა-თამაშს. ისევ იმ ქალებმა მოიყარეს თავი; ურიებიც მოვიდნენ ვიოლინოებით და ციტრებით, ბოლოს და ბოლოს, ღვინითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული სამცხენაც ჩამოვიდა. მიტია დაფაცურდა, როგორც ამ ერთი თვის წინ. ოთახში უცხო კაცები და ქალები შემოდიოდნენ. ეტყობოდა, მათაც არნახული გამასპინძლების სუნი იგრძნეს. მიტია ესალმებოდა და ეხვეოდა ნაცნობებს, იგონებდა სახეებს, ხსნიდა ბოთლებს და ყველას ღვინით უმასპინძლდებოდა. ქალები შამპანურს მიეძალნენ, კაცებს უფრო რომი და კონიაკი მოსწონდათ, განსაკუთრებით, ცხელი პუნში. მიტიამ ბრძანება გასცა, ქალებისათვის შოკოლადი მოეხარშათ. ჩაისა და პუნშისათვის სამი სამოვარი მუდმივად დუღდა, რომ ნებისმიერ მომსვლელს დაელია. ერთი სიტყვით, დაიწყო რაღაც მოუწესრიგებელი და უთავბოლო ღრეობა. თავის სტიქიაში მყოფ მიტიას, რაც უფრო მატულობდა ღრიანცელი, მით უფრო ემატებოდა სულის მხნეობა. იმ წუთში ვინმე გლეხს ფული რომ ეთხოვა მისთვის, ის დაუყოვნებლივ დააძრობდა დასტას და აქეთ-იქეთ უანგარიშოდ ჩამოურიგებდა ყველას. სწორედ ამიტომ, მიტია რომ ფულის ფლანგვისაგან დაეფარა, ფუნდუკის მეპატრონე, ტრიფონ ბორისიჩი ლანდივით უკან დასდევდა. მგონი, ამ ღამით დაძინებასაც არ აპირებდა. სმით ცოტას სვამდა (მხოლოდ ერთი ჭიქა პუნში დალია) და თავისებურად გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა მიტიას ყოველ ნაბიჯს. საჭირო მომენტში ტრიფონ ბორისიჩი ალერსიანად და პირფერულად აჩერებდა მას და ცდილობდა, გადაეთქმევინებინა მისთვის „ციგარებითა და ღვინით“ გლეხების გამასპინძლება, განსაკუთრებით ღელავდა მაშინ, როცა მიტია ვინმეს ფულს ჩუქნიდა. ძალიან წუხდა იმაზეც, როცა მიტია ქალებს ლიქიორს ასმევდა და კანფეტებს ურიგებდა. მიტიას ეუბნებოდა: „ამ ტილიანებს, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ერთ-ორ ჭიტლაყს ამოვკრავ ხოლმე, ესეც დიდი პატივია მათთვის - მეტის ღირსნი არ არიან ისინი!“ მიტიას კიდევ ერთხელ გაახსენდა ანდრეი და ბრძანება გასცა, მისთვის პუნში მიეტანათ. „ამას წინათ ამ კაცს ვაწყენინეო“, - გულაჩუყებული იმეორებდა. დასაწყისში კალგანოვს დალევა არ უნდოდა, არც ქალების გუნდი მოეწონა, მაგრამ ორმა ბოკალმა შამპანურმა ძალიან გაამხიარულა, ოთახში გადი-გამოდიოდა და ყველას და ყველაფერს აქებდა, სიმღერასაც და მუსიკასაც.

ბედნიერებით აღსავსე და შექეიფიანებული მაქსიმოვი გოშიასავით უკან დასდევდა მას. ღვინო გრუშენკასაც მოერია. მან მიტიას კალგანოვზე უთხრა: „შეხე, რა ლამაზი და კოხტა ბიჭია!“ აღტაცებული მიტია კალგანოვსა და მაქსიმოვს მივარდა და გადაკოცნა. ახლა მიტიას გული ბევრ რამეს უგრძნობდა. ქალს ჯერ არაფერი ეთქვა მითვის განსაკუთრებული, თითქოს განგებ აყოვნებდა თქმას, მხოლოდ შიგადაშიგ გადახედავდა ხოლმე ალერსიანი და გაბრწყინებული თვალებით. როგორც იქნა, გრუშენკამ, რომელიც კართან სავარძელში მოკალათებულიყო, ხელი სტაცა მიტიას და მიიზიდა.
- წეღან როგორ შემოხვედი. ჰა? ძალიან შემეშინდა. ეს როგორ დააპირე ჩემი დათმობა, ჰა? ნუთუ დამთმობდი?!
- არ მინდოდა შენი ბედნიერებისათვის ხელი შემეშალა! - ნეტარებისაგან ჩურჩულებდა მიტია, მაგრამ ქალს არ აინტერესებდა მისი პასუხი.
- კარგი, წადი... იმხიარულე, - ისევ გააგდო ვაჟი, - ნუ ჩამოგტირის სახე, კიდევ მოგიხმობ.
მიტია გარბოდა. ქალი კვლავ აგრძელებდა მოფერხულე დედაკაცების ყურებას, თან მიტიას ადევნებდა თვალს, საითაც არ უნდა წასულიყო, თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ ეძახდა და მიტიაც მორბოდა.
- ახლოს დამიჯექ და მოყევი, როგორ გაიგე გუშინ ჩემი ამბავი, აქ რომ ვიყავი, ვინ გითხრა?
მიტია იწყებდა ყველაფრის ერთად მოყოლას აღგზნებულად, არეულ-დარეულად და უწესრიგოდ, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მოყოლის დროს ხანდახან წარბებს ჭმუხნიდა და ჩერდებოდა.
- რა მოხდა, რას იბღვირები? - ეკითხებოდა ქალი.
- არაფერია... ერთი ავადმყოფი დავტოვე იქ. ნეტა თუ მორჩა. მის გამოჯანმრთელებაში ჩემი ათი წლის სიცოცხლეს არ დავიშურებდი!
- ღმერთმა უშველოს თუ ავადაა. ნუთუ შენ მართლა აპირებდი თავის მოკვლას, რა სულელი ხარ, რატომ? მე შენნარი შლეგები მიყვარს, - ენამოჩლექით ეტიტინებოდა ქალი. - შენ ჩემი გულისათვის ყველაფერს გააკეთებ? სულელო, ნუთუ მართლა აპირებდი თავის მოკვლას! არა, ახლა მოიცადე, ხვალ, შეიძლება, რაღაც გითხრა... დღეს არა, ხვალ. თუ გინდა, რომ დღეს გითხრა? არა, დღეს მე არ მინდა? წადი, წადი, ახლა დრო გაატარე.
ერთხელ გაკვირებულმა და შეწუხებულმა გრუშენკამ დაუძახა და ჰკითხა:
- რა ჯავრი შემოგაწვა? ვხედავ, რაღაც გაწუხებს. თვალნათლივ ვხედავ, - დასძინა მან და თვალებში ჩააშტერდა. - თუმცა როხროხებ, გლეხკაცებს ეხვევი, მე მაინც ვხედავ. არა, შენ იმხიარულე, იმხიარულე რა, ხომ ხედავ, მე მხიარულად ვარ, შენც იმხიარულე... მე აქ ვიღაც მიყვარს, თუ ხვდები, ვინ? შეხე: ჩემს ბიჭუნას ჩასძინებია, დათვრა საბრალო.
კალგანოვს გულისხმობდა: ჭაბუკს ღვინო მორეოდა და დივანზე ჩამომჯდარი თვლემდა. თუმცა მხოლოდ სიმთვრალისაგან არ მოსვლია რული, რაღაცნაირი სევდა შემოაწვა, როგორც თავად აღნიშნა - „მომწყინდაო“. დედაკაცების სიმღერებმა და ლოთობამ, რომელიც თანდათან აღვირახსნილ ღრეობაში გადაიზარდა, თავგზა აუბნია ჭაბუკს. მათმა ცეკვა-თამაშმაც ძალიან გააღიზიანა. ერთი ცეკვის დროს ორი ქალი დათვებივით გამოეწყვნენ, ხოლო მესამე სტეპანიდა, მამალი ქალი, წკეპლით ხელში მომთვინიერებელს განასახიერებდა. ის წკეპლას უქნევდა ქალ-დათვებს და უკიოდა: „იმხიარულე, მარია, თორემ

მოვიდა წკეპლა“. ქალ-დათვები ურცხვად გორაობდნენ იატაკზე. გარშემო ისმოდა გალეშილი გლეხის ქალებისა და კაცების ღრიანცელი და ხორხოცი. „რა მოხდა, რა მოხდა მერე, - სენტენციურად ამბობდა სახეგაბრწყინებული გრუშენკა, - ბედმა გაუღიმათ და მხიარული დღე გაუთენდათ, რატომ არ უნდა გაიხაროონ?“ კალგანოვს ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რაღაცით გაისვარაო. „ეს ყველაფერი ხალხურობა ღორობაა, მეტი არაფერი, - შენიშნა მან, - ესაა მათი საგაზაფხულო თამაშები, როცა ღამის თევით ხვდებიან მზის ამოსვლას“. კალგანოვს განსაკუთრებით არ მოეწონა ერთი „ახალი“ სიმღერა, ლაღი საცეკვაო მისამღერით. სიმღერა იმის შესახებ იყო, თუ როგორ გამოიარა ერთმა ბატონმა და ჰკითხა გოგოებს: გიყვარვართ თუ არაო? გოგოებმა უპასუხეს: არა, არ გვიყვარხარ, ვინაიდან ბატონებმა მწარედ ცემა იცითო. შემდეგ გამოიარა ბოშა კაცმა და ახლა იმან იკითხა: გოგოებო, გიყვარვართ თუ არაო. გოგოებმა მასაც უარი სტკიცეს, რადგან ბოშა ქურდია და სადარდებელს გაგვიჩენსო. შემდეგ კიდევ ნაირ-ნაირმა ხალხმა ჩამოიარა, მათ შორის ერთმა ჯარისკაცმაც, ისიც შეუჩნდა გოგოებს: გიყვარვართ თუ არაო. გოგოებმა ჯარისკაცი ზიზღით მოიშორეს თავიდან და... სიმღერის ეს ნაწილი უცენზურო სიტყვებით ისე გემრიელად იმღერეს, რომ დამსწრე საზოგადოების აღტაცება გამოიწვია. სიმღერა იმით დამთავრდა, რომ ბოლოს, როცა ვაჭარმა გამოიარა და ჰკითხა - გიყვარვართ თუ არაო, აღმოჩნდა, თურმე გოგოებს ყველაზე მეტად ვაჭრები ჰყვარებიათ, ვინაიდან ვაჭარი ფულს იშოვის და ფუფუნებაში ვიცხოვრებთო.
კალგანოვი გაბრაზდა კიდეც:
- ეს სულ ახალი სიმღერაა, ნეტა ვინ უთხზავს! რკინიგზელი და ურია გამორჩათ, თორემ ისინი ყველას აჯობებდნენ, - ხმამაღლა თქვა მან და განაწყენებულმა დაუმატა, მომწყინდაო. კალგანოვი დივანზე ჩამოჯდა და ჩაეძინა. ლამაზი სახე ოდნავ გაუფითრდა და თავი ბალიშზე ჩამოუვარდა.
- შეხე, რა მშვენიერია, - თქვა გრუშენკამ და მიტია მასთან ახლოს მიიყვანა, - წეღან თმებს ვუვარცხნიდი; თმები სელივით აქვს, ხშირზე ხშირი.
გულაჩუყებული გრუშენკა დაიხარა და კალგანოვს შუბლზე ეამბორა. მოულოდნელად კალგანოვმა თვალები გაახილა, შეხედა მას, შეწუხებული სახით წამოდგა და მაქსიმოვი მოიკითხა.
- ხედავ ამას ვინ აინტერესებს, - გაიცინა გრუშენკამ, - მოიცა, ერთი წუთით აქ დამიჯექი. მიტია, გაიქეცი და მაქსიმოვი მოუყვანე.
აღმოჩნდა, მაქსიმოვი მოქეიფე დედაკაცებს არ მოშორებია, მხოლოდ ხანდახან თუ გავარდებოდა ხოლმე ლიქიორის გადასაყლურწად, შოკოლადი უკვე ორი ფინჯანი დაელია. სახეგაწითლებული, ცხვირგაჭარხლებული და თვალებამღვრეული მოცუნცულდა და განაცხადა, რომ სურს ცეკვა საბოტიერო[109] დაუაროს „ერთ მოტივზე“.
- პატარაობისას მაღალი წრის საზოგადოების ყველანაირ ცეკვას მასწავლიდნენ, ბატონებო.
- წადი, წაყევი მას, მიტია, მე კი აქედან ვუყურებ, როგორ იცეკვებს.
- არა, მეც, მეც უნდა ვნახო, - იყვირა კალგანოვმა და ამით აშკარად გამოხატა, რომ არ სურდა გრუშენკას გვერდით ჯდომა. ყველა მაქსიმოვის საყურებლად გაემართა. მან მართლა იცეკვა, მაგრამ მიტიას გარდა აღტაცება არავის გამოუხატავს. მთელი ცეკვა რაღაცნაირი ხტუნვებისა და ფეხის გვერდზე ამოტრიალებისაგან შედგებოდა, ყოველი ახტომის დროს მაქსიმოვი ფეხსაცმლის

ლანჩას ხელის გულს ურტყამდა. კალგანოვი სანახაობით უკმაყოფილო დარჩა, აღტაცებულმა მიტიამ კი დალოშნა მოცეკვავე.
- გმადლობ, ხომ არ დაიღალე, აქეთ რას უყურებ: იქნებ კანფეტი გინდა. ჰა? იქნებ სიგარა ინებო?
- პაპიროსი, თუ არ შეწუხდებით.
- ხომ არაფერს შესვამდი?
- ლიქიორს დავლევ... შოკოლადის კანფეტები არ გაქვთ?
- მაგიდაზე მთელი გროვაა, რომელიც გინდა, ის ამოირჩიე, ოქრო კაცო!
- არა, მე იცით, რომელი მინდა, ვანილიანი... ბებრებისათვის... ჰი, ჰი!
- არა, ძმობილო, ეგეთი განსაკუთრებული არა გვაქვს.
- მომისმინეთ! - უცებ მაქსიმოვი დაიხარა მიტიას ყურთან, - აი, ის გოგო, მარიუშკა, ჰი, ჰი, შეიძლება როგორმე გამაცნოთ, თქვენ ისეთი კეთილი ბრძანდებით...
- უყურე ამას, რა მოინდომა! არა, ძმობილო, ტყუი.
- მე ხომ არავისათვის არაფერი დამიშავებია, ბატონო, - ჩაიჩურჩულა გულგატეხილმა მაქსიმოვმა.
- კარგი, კარგი, აქ, ძმობილო, მხოლოდ მღერიან და ცეკვავენ, თუმცა, ეშმაკმა დალახვროს! მოიცა... ჯერ ჭამე, ჭამე და დალიე, იმხიარულე. ფული არ გინდა?
- შეიძლება შემდეგ დამჭირდეს, ბატონო, - გაიღიმა მაქსიმოვმა.
- კარგი, კარგი...
მიტიას თავი უხურდა. იგი წინკარში გავიდა, ზედა დერეფანში, რომელიც შენობას გარს ერტყა. სუფთა ჰაერმა გამოაფხიზლა. სიბნელეში მარტო იდგა და უცებ ორივე ხელი თავზე წაივლო. მისი გაფანტული აზრები და გრძნობები გაერთიანდნენ, შეერწყნენ ერთმანეთს და ანაზდად გონება გაუნათდა. საშინლად, შემაძრწუნებლად გაუნათდა! „თუ თავის მოკვლაა, ბარემ ახლა მოვისწრაფებ სიცოცხლეს? - გაიფიქრა მან, - მოვიტან პისტოლეტს, აქ, ამ ბინძურ და ბნელ კუთხეში დავიხლი შუბლში“. თითქმის ერთი წუთი მაინც იდგა, ყოყმანობდა. წეღან, როცა აქეთ მოიჩქაროდა, უკან დარჩა სირცხვილი, მის მიერ ჩადენილი ქურდობა და სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი!.. მაგრამ მაშინ ასე მძიმე მდგომარეობა არა ჰქონია, ყველაფერი ძალიან იოლი ჩანდა, ძალიან იოლი! მაშინ, როცა სხვასთან წასული გრუშენკა დაკარგულად მიაჩნდა, მისთვის უკვე აღარ არსებობდა, გაქრა - მაშინდელი განაჩენი, რომელიც თავს გამოუტანა, იოლი შესასრულებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, გარდაუვლად, აუცილებლად ეჩვენებოდა, რადგან ამიერიდან აზრი აღარ ჰქონდა მის ცხოვრებას. ახლა კი! ახლა ხომ ისე არ არის, როგორც მაშინ? ახლა ის მოჩვენება, საფრთხობელა აღარ არსებობს, გრუშენკას „ყოფილი მიჯნური“, მისთვის შეუცვლელი, ფატალური კაცი გაქრა, მისი კვალიც აღარ დარჩა. საშინელი მოჩვენება ძალიან პაწაწკინტელა და ძალიან სასაცილო რამედ იქცა, ის, ხელში აყვანილი, ოთახში შეათრიეს, შიგ ჩაკეტეს და აქეთ გამომსვლელი აღარ არის. გრუშენკას სცხვენია, მიტია ნათლად ხედავს მის თვალებში, ვინ უყვარს ახლა ქალს. ახლა მიტიამ უნდა იცოცხლოს... მაგრამ სიცოცხლეც შეუძლებელია, ოხ, ეშმაკმა დალახვროს! „ღმერთო, გააცოცხლე ღობესთან თავგატეხილი მოხუცი! გადამარჩინე ამ საშინელი განსაცდელისაგან! ღმერთო, ხომ მოგიხდენია ამნაირი სასწაულები ჩემნაირი ცოდვილებისათვის! რა იქნება, გადარჩეს მოხუცი? სხვა სირცხვილს კი როგორმე მოვიშორებ, დავუბრუნებ მოპარულ ფულს, მივცემ პატრონს, ქვას გავხეთქავ და

ვიშოვი. კვალიც აღარ დარჩება ჩემი სირცხვილისაგან, მხოლოდ ჩემს გულში დარჩება ხინჯად! ოჰ, არა, არა, ეს განუხორციელებელი ოცნებაა! ნეტა ვინ დამწყევლა!“
ანაზდად იმედის რაღაც ნაპერწკალმა გაუელვა ამ სიბნელეში. ის ადგილს მოწყდა და ოთახში შევარდა - ისევ მასთან, მასთან, თავის მარადიულ დედოფალთან! „განა ერთი საათით, ერთი წუთით გრუშენკას სიყვარული არ ღირს მის მთელ დარჩენილ სიცოცხლედ?“ ამ უხიაგმა კითხვამ შეიპყრო მისი გული. „გრუშენკასთან, მხოლოდ მასთან, მხოლოდ მას უნდა ვუყურო და ვუსმინო, სხვა აღარაფერზე უნდა ვიფიქრო, ყველაფერი უნდა გადავივიწყო, ამ ღამით, ერთი საათით, ერთი წუთით მაინც!“ წინკარში ფუნდუკის მეპატრონეს, ტრიფონ ბორისიჩს შეეჯახა. ის შეწუხებული ჩანდა, თითქოს რაღაცას ეძებდა.
- მე ხომ არ მეძებ, ბორისიჩ?
- არა, ბატონო, თქვენ არა, - უცებ რაღაცნაირად შეცბუნდა ის, - თქვენ რატომ უნდა გეძებდეთ? აქეთ სად იყავით, ბატონო?
- რაღაც მოწყენილი ჩანხარ, ხომ არ ბრაზობ? ცოტაც და მალე წახვალ დასაძინებლად... რომელი საათია?
- სამი იქნება ალბათ, შეიძლება ოთხიც კი დაიწყო.
- დავამთავრებთ, დავამთავრებთ.
- როგორ გეკადრებათ, რამდენ ხანსაც გინდათ, იმდენხანს იყავით, ბატონო.
„რა დაემართა?“ - გაუელვა თავში მიტიას და იმ ოთახში შევარდა, სადაც ქალები ცეკვავდნენ. გრუშენკა იქ არ დახვდა. არც ცისფერ ოთახში აღმოჩნდა, იქ მხოლოდ კალგანოვი თვლემდა დივანზე. მიტიამ ფარდის იქეთ შეიხედა - გრუშენკა კუთხეში ზანდუკზე იჯდა და იქვე მდგომ საწოლზე დამხობილი მწარედ ტიროდა. ცდილობდა, ხმადაბლა ეტირა, სხვებს რომ არ გაეგოთ. როგორც კი მიტია დაინახა, ხელი დაუქნია. მიტიამ მიირბინა მასთან, გრუშენკამ მაგრად ჩასჭიდა ხელი.
- მიტია, მიტია, მე ხომ ის მიყვარდა! - ჩურჩულით დაიწყო მან, - მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში მიყვარდა! არ ვიცი, ის მიყვარდა, თუ ჩემი ბოღმა? არა, ის! ვაი, რომ ის! მე ხომ ვცრუობ, როცა ვამბობ, ჩემი ბოღმა მიყვარდა და ის კი არა-მეთქი! მიტია, მე მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ის კი ისე მეფერებოდა, მიმღეროდა, ისეთი მხიარული იყო... იქნებ ყველაფერი მეჩვენებოდა მე სულელს.. ახლა კი, ღმერთო ჩემო, ის, ის არ არის, არა. სახეზეც კი ველარ ვიცანი. მოვდიოდი აქეთ და სულ ვფიქრობდი, მთელი გზა ვფიქრობდი: „როგორ შევხვდები, რას ვეტყვი, როგორ შევხედავთ ერთმანეთს-მეთქი?..“ გული მიჩერდებოდა. აქ კი, მან თავსლაფი დამასხა. თითქოს მასწავლებელი, ჭკუის დამრიგებელი მელაპარაკებოდა, ასეთი განათლებული და მედიდური. ისე ზვიადად შემხვდა, რომ დამაბნია და ჩიხში მომაქცია. ენა ველარ მოვაბრუნე, ერთი სიტყვაც ვერა ვთქვი. ერთი ხანობა მეგონა, იმ აყლაყუდა პოლონელის ხომ არ სცხვენია-მეთქი. ვიჯექი და ჩემთვის ვფიქრობდი: ნეტა რა ხდება, რა მომდის, რატომ ვერაფერზე ველაპარაკები, ნუთუ არაფერი საერთო აღარა მაქვს მასთან-მეთქი? იცი, მგონი, ის ცოლმა გააფუჭა, იმ ქალმა, ვისი გულისთვისაც მიმატოვა და ცოლად შეირთო... ის იმ ქალმა შეცვალა. მიტია, ძალიან მრცხვენია! ძალიან! მიტია! ვაი, როგორ მრცხვენია, მიტია, როგორ მრცხვენია, მთელი ჩემი ცხოვრების მრცხვენია! ღმერთმა დასწყევლოს ეს ხუთი წელი, ღმერთმა დასწყევლოს! - გრუშენკა ისევ ატირდა, თან მიტიას ხელს არ უშვებდა, მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული.

- მიტია, გენაცვალე, ჯერ მოიცა, ნუ წახვალ, ერთი რამ მინდა გითხრა, - ჩურჩულით
უთხრა ქალმა და ახედა. - აბა, თუ იცი, ვინ მიყვარს მე? მე აქ ერთი კაცი მიყვარს.
რომელია? მითხარი, ჰა, რომელია... - ტირილისაგან შეშუპებულ სახეზე ღიმილი
გაუჩნდა, თვალები გაუბრწყინდა. - აქ წეღან ერთი შევარდენი შემოვიდა, მის
დანახვაზე გული ფეხებში ჩამივარდა. „სულელი ხარ, აი, შენ ვინ გიყვარსო," -
მითხრა გულმა. შემოხვედი და ირგვლივ ყველაფერი განათდა. „რისი ეშინია? -
ვფიქრობდი ჩემთვის. შენ ხომ გეშინოდა, მართლა გეშინოდა, ვერ ლაპარაკობდი. -
ნუთუ ამათი ეშინია - განა ამას ვინმეს შიში აქვს? ამას მარტო ჩემი ეშინია,
მხოლოდ ჩემი-მეთქი." შე სულელო, განა არ გადმოგცა ფენიამ, როგორ
გადავძახე ეტლიდან ალიოშას, რომ ერთი საათით მიყვარდა მიტია, ახლა კი...
სხვა მიყვარს-მეთქი. მიტია, მიტია, როგორ შემეძლო მე სულელს მეფიქრა, რომ
შენს შემდეგ კიდევ სხვა მიყვარდა! ხომ მაპატიებ, მიტია? მპატიობ თუ არა?
გიყვარვარ? გიყვარვარ?
ქალი წამოხტა და ორივე ხელი მხრებზე მოჰხვია ვაჟს. სიხარულისაგან
დამუნჯებული მიტია ქალს ჯერ ხარბად უყურებდა თვალებში, სახეზე, ტკბებოდა
მისი ღიმილით, მერმე უცებ მაგრად ჩაიხუტა და დაუწყო კოცნა.
- მაპატიებ, რომ გაწვალებდი? მე ხომ სიავის გამო ვაწვალებ ყველას. ჩემი
უკეთურობის გამოისობით გადავრიე ის ბებერიც... გახსოვს, ერთხელ ჩემთან სმის
დროს ბოკალი რომ გაგიტყდა? დამამახსოვრდა ეს და მეც გავტეხე ბოკალი, როცა
„ჩემი საძაგელი გულის" სადღეგრძელო შევსვი. მიტია, ჩემო შევარდენო, რატომ
არ მკოცნი? ერთხელ მაკოცე და განზე გადექი, შორიდან მითვალთვალებ და
მისმენ... მე რა მოსასმენი ვარ! მაკოცე, მაგრად მაკოცე, აი, ასე. თუ სიყვარულია,
სიყვარული იყოს! ამას იქით, შენი მონა გავხდები, საუკუნოდ მონა! ტკბილია
მონად ყოფნა! მაკოცე, გამარტყი, მაწამე, რაც გინდა, ის მიყავი... მართლა წამების
ღირსი ვარ... მოიცა! მოიცა, მერე იყოს, ასე არ მინდა... - უცებ ხელი ჰკრა. - წადი
მიტკა, ახლა წავალ და ღვინოს მივეძალები, დავთვრები და ვიცეკვებ, ასე მინდა
ასე!
გრუშენკა მიტიას მოშორდა და გაიქცა. მიტია მთვრალივით აედევნა უკან.
„ამიერიდან, რაც უნდა, ის მოხდეს - ერთი წუთისათვის ყველაფერს დავთმობ," -
გაუელვა თავში. გრუშენკამ სულმოუთქმელად შესვა ერთი ბოკალი შამპანური და
ღვინო უცებ მოერია. სახეგაბრწყინებული ისევ იმ სავარძელში ჩაჯდა, ძველ
ადგილას. ღაწვები აუფერადდა, ტუჩები აუხურდა, თვალები მიებნიდა, მზერა
ვნებიანი გაუხდა. კალგანოვსაც კი გულმა რეჩხი უყო და გრუშენკასთან მივიდა.
- წეღან რომ მძინარეს გაკოცე, გაიგე? - დათაფლული ხმით უთხრა ქალმა, - ახლა
მთვრალი ვარ... შენ რა, არ დამთვრალხარ? მიტია რატომ არ სვამს? რატომ არ
სვამ, მიტია, მე დავლიე, შენ კი არ სვამ...
- მთვრალი ვარ! და მერე როგორი მთვრალი... შენით ვარ მთვრალი, ახლა
ღვინითაც დავთვრები, - მიტიამ ერთი ჭიქა დაცალა და - უცნაურად მოეჩვენა
თავადაც - სწორედ ეს ჭიქა მოერია, უცებ დათვრა, თორემ აქამდე ფხიზელი რომ
იყო, კარგად ახსოვდა ეს. ამ წუთიდან ყველაფერი თავდაყირა დადგა. ის
დადიოდა, იცინოდა, ყველას ემუსაიფებოდა, ამას კი ისე აკეთებდა, თავი აღარ
ახსოვდა. მხოლოდ ერთი უძრავი და მწველი გრძნობა წარამარა თავს იჩენდა
ხოლმე, „როგორც ნაკვერჩხალი მწვავდა სულსა და გულსო", იგონებდა
მოგვიანებით. ის გრუშენკასთან მიდიოდა, გვერდით უჯდებოდა, თვალებში
შესცივინებდა და უსმენდა და უსმენდა. ქალი კი სასწაულად ენად გაიკრიფა,

ყველას თავისთან უხმობდა. მოულოდნელად მოფერხულე ქალებიდან ვინმე დედაკაცს ხელს დაუქნევდა ხოლმე, როცა ის მივიდოდა მასთან, გრუშენკა ან გადაკოცნიდა, ანდა ხელით ჯვარს გადასწერდა და გაუშვებდა. ცოტაც და ატირდებოდა. ძალიან ამხიარულებდა მას „ბებრუცუნა“, ასე ეძახდა გრუშენკა მაქსიმოვს. ის წამდაუწუმ მორბოდა მასთან, ხელზე ეამბორებოდა, ყველა თითს დაუკოცნიდა ხოლმე. ბოლოს მან კიდევ ერთი ცეკვა შეასრულა, ძველებური სიმღერის თანხლებით, რომელიც თავად იმღერა. მან განსაკუთრებული გატაცებით დაუარა მისამღერის დროს:

ღრუტუნებენ ღორები,
დეკეულა ზმუის,
სისინებენ ბატები,
ფუტკარი კი ბზუის!

- მიეცი რამე მაგას, მიტია, - იძახდა გრუშენკა, - რამე აჩუქე, ეგ ხომ ღარიბია. საწყალი ღარიბები და ბეჩავები!.. იცი რა, მიტია, მე მონასტერში წავალ. არა, მართლა, ოდესმე, ალბათ წავალ. დღეს ალიოშას მიერ ნათქვამი სიტყვა საუკუნოდ დამამახსოვრდება... დიახ... ახლა კი კიდევ ვიცეკვოთ. ხვალ მონასტერში, დღეს კი ვიცეკვოთ. მე ცელქობა მომინდა, კეთილო ხალხო, მერე რა მოხდა, ღმერთი შეგვინდობს. მე რომ ღმერთი ვიყო, ყველას ვაპატიებდი, ვეტყოდი: „ჩემო ძვირფასო ცოდვილებო, დღეიდან ყველასათვის ყველაფერი მიპატიებია-მეთქი!“ მეც წავალ პატიების სათხოვნელად: „მომიტევეთ, კეთილო ადამიანებო, სულელ დედაკაცს“. მხეცი ვარ მე, მხეცი. ლოცვა კი მინდა. ერთი ხახვის თავი მეც გამიცია. ისეთ გულღრძო დედაკაცს, როგორიც მე ვარ, ლოცვა სურს! მიტია, იცეკვონ, ხელს ნუ შეუშლი. ამქვეყნად ყველა კარგი ადამიანია, განურჩევლად ყველა. კარგია ამქვეყნად ცხოვრება. მართალია, საზიზღარია ადამიანი, მაინც კარგია ამქვეყნად ცხოვრება. საძაგლებიცა ვართ და კარგებიც... არა, ერთი ეს მითხარით, მე თქვენ გეკითხებით, ყველა მოვიდეს და ვკითხავ: ერთი რამ გამაგებინეთ, რატომ ვარ ასე კარგი? მე ხომ კარგი ვარ, ძალიან კარგი... ჰოდა, რატომ ვარ ასე კარგი? - ასე ტლიკინებდა გრუშენკა და ღვინო სულ უფრო და უფრო ეკიდებოდა. შემდეგ პირდაპირ განაცხადა, ახლა მე ვიცეკვებო. ადგა და წაბარბაცდა. - მიტია, მეტი აღარ დამალევინო, რომც გეხვეწო, მაინც არ დამალევინო. ღვინო არ არის დამამშვიდებელი. გარშემო ყველაფერი ტრიალებს, ღუმელიც კი, ყველაფერი, ყველაფერი. ცეკვა მინდა. მინდა ყველამ იხილოს, როგორ ვცეკვავ... როგორ ლამაზად და კარგად ვცეკვავ...

გრუშენკა არ ხუმრობდა: მან ჯიბიდან თეთრი ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო, მარჯვენა ხელი კიდეში წაავლო და საცეკვაოდ მოემზადა. მიტიამ იზრუნა, რომ დედაკაცები გაჩუმებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ, ხელის პირველ დაქნევაზევე დაეგუგუნებინათ საცეკვაო სიმღერა. როცა მაქსიმოვმა გაიგო, გრუშენკასაც სურს ცეკვაო, სიხარულისაგან კივილ-ჭყივილი დაიწყო, ხტუნვა-ხტუნვით გამოეცხადა გრუშენკას და მიუმღერა:

ფეხი თხელი, ფერდი მჟღერი,
კუდი მოკაუჭებული.

მაგრამ გრუშენკამ მას ცხვირსახოცი დაუქნია და გააგდო:

- სუ! მიტია, რატომ არ მოდიან? ყველა მოვიდეს... საყურებლად. იმათაც დაუძახე, ჩაკეტილებს... რატომ დაამწყვდიე? გადაეცი იმათაც, რომ მე ვიცეკვებ, მინდა იმათაც ნახონ, როგორ ვცეკვავ...

მიტია მთვრალი კაცის მიხვრა-მოხვრით გაემართა ჩაკეტილი კარებისაკენ და კარზე მუშტების ბრახუნი დაიწყო.
- ჰეი, თქვენ... პოდვისოცკებო! გამოდით, გრუშენკას ცეკვა სურს, გეძახით.
- ნაძირალა! - გაისმა რომელიღაც პანის ყვირილი.
- ნაძირალაცა ხარ და მეტიც! შენ ხარ წვრილმანი თახსირი, აი, ვინა ხარ შენ!
- გეყოფათ პოლონელების დაცინვა, - დამრიგებლურად შენიშნა კალგანოვმა, რომელიც უკვე კარგა გვარიანად მთვრალი იყო.
- გაჩუმდი, ბიჭუნი! მე თუ მას თახსირი ვუწოდე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა პოლონელი თახსირია. მხოლოდ ეს ერთი ნაძირალა ხომ არ განასახიერებს ყველა პოლონელს. ჩუმად, ლამაზო ბიჭუნავ, სჯობს, კანფეტი მიირთვა.
- რანაირები არიან! თითქოს ადამიანები არ იყვნენ, რატომ არ უნდათ შერიგება? - თქვა გრუშენკამ და საცეკვაოდ გადავიდა. გუნდმა დაიგუგუნა. გრუშენკამ თავი უკან გადააგდო, პირი ოდნავ გახსნა, გაიღიმა, ცხვირსახოცი დაიქნია, უცებ ადგილზე შეტორტმანდა და შუა ოთახში გაოგნებული გაშეშდა.
- რაღაც შეუძლოდ ვარ, - თქვა მან შეწუხებული ხმით, - მაპატიეთ, ძალა გამომელია, არ შემიძლია... უკაცრავად...
მან ჯერ გუნდს დაუკრა თავი, შემდეგ ოთხიმხრივ მორიგეობით ყველას მოუხადა ბოდიში:
- დამნაშავე ვარ... მაპატიეთ.
- ქალბატონი დაგვითვრა, დაგვითვრა ლამაზი ქალბატონი, - გაისმა ხმები.
- ბევრი მოუვიდა, ბატონებო, - ხითხითით უხსნიდა გოგოებს მაქსიმოვი.
- მიტია, გამიყვანე აქედან... წამიყვანე, მიტია, - აღმოხდა ძალაგამოცლილ გრუშენკას. მიტია მივარდა, ხელი წაავლო და ფარდებს იქეთ გაიყვანა. „ახლა კი უნდა წავიდე“, - გაიფიქრა კალგანოვმა და ცისფერი ოთახიდან გავიდა, თან ორივე კარი მიიხურა. დარბაზში კი ღრეობა გრძელდებოდა. მოქეიფეები უფრო ახმაურდნენ. მიტიამ გრუშენკა საწოლზე მიაწვინა და ტუჩებზე დააკვდა.
- ხელი არ მახლო... - მუდარით აჩურჩულდა ქალი. - არ მახლო ხელი, ჯერ შენ არ გეკუთვნი. გითხარი, შენი ვარ-მეთქი, მაგრამ ჯერ ხელი არ მახლო... შემიბრალე.. აქ არ შეძლება, ის ჯერ აქ არის, აქ სამარცხვინოა...
- ბატონი ბრძანდები! აზრადაც არ გამივლია... გაღმერთებ! - ბუტბუტებდა მიტია, - რასაკვირველია, აქ სირცხვილია, საზიზღრობა იქნება... - და ისე, რომ ქალი თავისი მკლავებიდან არ გაუთავისუფლებია, მიტია მუხლებზე დაეშვა საწოლთან.
- მე ვიცი, შენ მხეცი ხარ, მაგრამ კეთილშობილი ხარ, - მძიმედ თქვა გრუშენკამ, - ყველაფერი ეს პატიოსნად გავაკეთოთ... აწი, ყველაფერი პატიოსნად იქნება... რომ ჩვენ პატიოსნები ვიყოთ, კეთილები, მხეცები კი არა, კეთილები. წამიყვანე, წამიყვანე აქედან შორს, გესმის... მე აქ ყოფნა აღარ მინდა, შორს მინდა, აქედან შორს...
- კი, კი, უსათუოდ! - სულ უფრო და უფრო მაგრად იხუტებდა გულში მიტია ქალს. - წაგიყვან, გავფრინდებით... მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ერთ წელიწადში გავცლიდი, ოღონდ გამაგებინა იმ სისხლის შესახებ!
- რომელი სისხლის შესახებ? - იკითხა გაკვირვებულმა გრუშენკამ.
- არაფერი! - კბილების კრაჭუნით თქვა მიტიამ. - გრუშა, უნდა სიმართლე ვაღიარო, მე ქურდი ვარ. მე კატკას ფული მოვპარე... შერცხვენილი და თავსლაფდასხმული ვარ!
- კატკას? ეს იმ ქალბატონს? არა, შენ არ მოგიპარავს, უკან დაუბრუნე... მე

გამომართვი... რა გაყვირებს? აწი ყველაფერი ჩემი - შენია. რა არის ჩვენთვის
ფული? ჩვენ მას ისედაც გავფლანგავთ... ისეთები ვართ, რომ სულ ერთიანად
დავამღერებთ. მერე კი წავიდეთ მე და შენ და მიწა დავამუშაოთ. მე მიწას ამ
ხელებით მოვფხოჭნი. უნდა ვიშრომოთ, გესმის? ალიოშამ ასე გვიბრძანა. მე შენი
ხასა კი არ ვიქნები, მე შენი ერთგული, შენი მონა ვიქნები, შენი მოჯამაგირე. მე და
შენ იმ ქალბატონს ვეახლოთ, თაყვანი ვცეთ და პატიება ვთხოვოთ, მერმე
მოვშორდეთ აქაურობას. არ გვაპატიებს და მაინც გავემგზავროთ სადმე. შენ მას
ფული მიუტანე, მე კი გიყვარდე... აწი ის აღარ გიყვარდეს. თუ კვლავ შეიყვარებ,
დავახრჩობ... ორივე თვალს სადგისით ამოვთხრი...
- მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ, ციმბირშიაც შენ მეყვარები.
- რატომ ციმბირში? ციმბირშიც შეიძლება, შენ თუ ასე ძალიან გინდა... ჩემთვის
სულერთია, იქ ვიმუშაოთ... ციმბირში თოვლია... მე თოვლზე მარხილით სიარული
მიყვარს... ზანზალაკებიანი მარხილით... გესმის ზანზალაკების ხმა... სად რეკავენ
ზანზალიკებს? ვინმე მოვიდა?.. მგონი შეწყდა ხმა.
მან თვალები მილულა, თითქოს ერთი წუთით ჩათვლიმა კიდეც. ზანზალაკები,
მართლაც, სადღაც შორს რეკდა და უცებ მიწყდა მათი ხმა. მიტიამ თავი ქალის
მკერდზე დადო. მას არ გაუგია, როგორ შეწყდა ზანზალაკების ხმა, არც ის
შეუმჩნევია, როგორ შეწყდა სიმღერა, უცებ სიმღერისა და ღრიანცელის
მაგივრად როგორ ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე. გრუშენკამ თვალები
გაახილა.
- მე რა, მეძინა? ჰო, ალბათ... ზანზალაკები... მეძინა და სიზმარი ვნახე: ვითომ
თოვლზე მარხილით მივსრიალებ... ზანზალაკები რეკს, მე კი ვთვლემ. ჩემს
საყვარელ ადამიანთან ერთად ვარ, შენთან ერთად ვითომ. შორს, შორს...
გეხვეოდი, გკოცნიდი და გეხუტებოდი, თითქოს მციოდა, თოვლი კი ბრწყინავდა...
ღამე იყო და თოვლი ბრწყინავდა, მთვარე ანათებდა, მე კი თითქოს აქ,
დედამიწაზე, არ ვიყავი... გამეღვიძა, ჩემთვის ძვირფასი ადამიანის გვერდით, რა
კარგია...
- გვერდით, - ბუტბუტებდა მიტია და თან ჰკოცნიდა მის კაბას, მკერდს, ხელებს.
ანაზდად რაღაც უცნაური რამ მოეჩვენა: თითქოს ქალი მას კი არ უყურებს
სახეში, არამედ სადღაც წინ იყურება, მის თავს ზემოთ, დაჟინებით და უცნაურად
გაშეშებული. უცებ ქალის სახეზე ჯერ გაკვირება აისახა, შემდეგ შიში.
- მიტია, შეხე, ვინაა, იქიდან რომ გვიყურებს? - ჩურჩულით უთხრა ქალმა. მიტიამ
მიიხედა და დაინახა, რომ ვიღაცას ფარდა გადაეწია და მათ უყურებდა. მგონი,
მარტოც არ იყო. მიტია წამოხტა და მოთვალთვალესთან მივიდა.
- აქეთ, გეთაყვა, ჩვენთან მობრძანდით, - გაიმა ვიღაცის წყნარი, მაგრამ მტკიცე
და დაჟინებული ხმა.
მიტია გამოვიდა და გაშტერდა. ოთახი ხალხით იყო სავსე, მაგრამ არა იმ ხალხით,
ვინც აქ ადრე ქეიფობდა, არამედ სხვა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა და შეკრთა.
უცბად ყველა იცნო. ეს ჩასუქებული და მაღალი მოხუცი, რომელსაც პალტო აცვია
და კოკარდიანი ქუდი ახურავს - პოლიციის უფროსი მიხაილ მაკაროვიჩია. ეს
„ჭლექიანი“, სალუქად ჩაცმული კოპწია კაცი - პროკურორის ამხანაგი, „მას
ჩექმები ყოველთვის გაპრიალებული აქვს“, „ამას წინათ თავისი ოთხას მანეთიანი
ქრონომეტრი მაჩვენა“. ეს ახალგაზრდა, დაბალი და სათვალიანი... მიტიას მისი
გვარი დაავიწყდა, მაგრამ იცნობდა, ადრე ნანახი ჰყავდა: გამომძიებელია,
სასამართლოს გამომძიებელი, „სამართალმცოდნეობიდან“ ახალი ჩამოსული.

ესეც უბნის ბოქაული მავრიკი მავრიკიჩია, ძველი ნაცნობი. მაგრამ ეს ბალთიანები რაღა საჭირო არიან? ან ეს ორი გლეხი... იქით კართან კალგანოვსა და ტრიფონ ბორისიჩს მოჰკრა თვალი...
- ბატონებო... რაშია საქმე, ბატონებო? - თქვა მიტიამ, მაგრამ უცებ, თავისდა უნებურად, მთელი ხმით იყვირა:
- გა-სა-გე-ბია!
სათვალიანი ახალგაზრდა კაცი წინ გამოვიდა, მიტიას მიუახლოვდა და ომახიანად, მაგრამ ჩქარ-ჩქარა მიაყარა:
- ჩვენ თქვენთან... ერთი სიტყვით, მე თქვენ გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ, აი, აქეთ, დივანთან... გარემოება რაღაცის გარკვევას მოითხოვს.
- მოხუცი! - იყვირა გამწარებულმა მიტიამ, - მოხუცი და მისი სისხლი!... გა-სა-გე-ბია!
და მოცელილივით დაჯდა, თითქმის დაენარცხა იქვე, მის ახლოს მდგომ სკამზე.
- გასაგებია? მიხვდი! მამისმკვლელო და ნადირო, მოხუცი მამის სისხლით გაქვს ხელები გასვრილი! - მოულოდნელად იღრიალა მოხუცმა პოლიციის უფროსმა და მიტიას მიუახლოვდა. ის თავს ვეღარ იკავებდა, სიბრაზისაგან აჭარხლდა და აკანკალდა.
- არა, ეს დაუშვებელია! - იყვირა დაბალმა ახალგაზრდა კაცმა, - მიხაილ მაკარიჩ, მიხაილ მაკარიჩ, ასე არ შეიძლება, ბატონო! ნება მომეცით, მარტო მე ვილაპარაკო. მე თქვენგან არ ველოდი ასეთ ეპიზოდს.
- ეს ხომ სიგიჟეა, ბატონებო, ნამდვილი სიგიჟე, - ყვიროდა პოლიციის უფროსი, - ამას დამიხედეთ, ღამით, მთვრალი, უნამუსო დედაკაცთან ერთად, მამის სისხლში ამოსვრილი ხელებით... სიგიჟეა, სიგიჟე!
- ძალიან გთხოვთ, ძვირფასო მიხაილ მაკარიჩ, ცოტა ხნით თავი შეიკავეთ, - სხაპასხუპით ჩაუჩურჩულა მოხუცს პროკურორის ამხანაგმა. - თუ არადა, მე იძულებული ვიქნები, ზომები...
მაგრამ დაბალმა გამომძიებელმა არ დაასრულა, მან მკაცრად და სერიოზულად ხმამაღლა მიმართა მიტიას:
- ბატონო გადამდგარო პორუჩიკო კარამაზოვ, მე თქვენ უნდა გამოგიცხადოთ, რომ ბრალი გედებათ თქვენი მამის, ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვის მკვლელობაში, რომელიც წუხელ მოხდა...
კიდევ რაღაცა თქვა, პროკურორმაც რაღაც დაუმატა, მაგრამ მიტიას, თუმცა ყველაფერი ესმოდა, აღარაფერი გაეგებოდა. ის შეშლილი სახით უყურებდა ყველას.

წიგნი მეცხრე. წინასწარი ძიება

I ჩინოვნიკ პერხოტინის კარიერის დასაწყისი

პიოტრ ილიჩ პერხოტინი ვაჭრის მეუღლის, მოროზოვას ეზოს მისდგომოდა და მაგრად ჩაკეტილ ჭიშკარს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ურახუნებდა. როგორც იქნა, მასპინძლებს ხმა მიაწვდინა. ისედაც ამ ორი საათის წინ შეშინებულ, მღელვარებისა და „ფიქრებისაგან“ ძილგატეხილ ფენიას გაშმაგებულმა ბრახუნმა კვლავ ისტერიული შიში მოჰგვარა: ჭიშკართან ისევ დმიტრი ფიოდოროვიჩი წარმოიდგინა (მიუხედავად იმისა, რომ თავად იხილა, როგორ გაემგზავრა იგი), რადგან ასე თავხედურად ამ დროს სხვას არავის შეეძლო ასეთი განგაში აეტეხა. ფენია ჭიშკრის გასაღებად მიმავალ ახლადგაღვიძებულ მეეზოვეს მივარდა და ხვეწნა დაუწყო - არავინ შემოუშვაო. მაგრამ როცა მეეზოვემ იკითხა, ვინ არისო, და გაიგეს, ვინც იყო და რაც სურდა, გადაწყვიტეს, ჭიშკარი გაეღოთ. სტუმარს ფენიას ნახვა უნდოდა ერთ მეტად მნიშვნელოვან საქმეზე. როდესაც ფენიამ პიოტრ ილიჩი სამზარეულოში შეიყვანა, სტუმარს სთხოვა, მეეზოვისათვის ნება დაერთო, მათ ლაპარაკს დასწრებოდა. პიოტრ ილიჩმა ფენიას დაუწყო გამოკითხვა და უმალ ყველაზე მთავარს მიადგა. თურმე როცა დმიტრი ფიოდოროვიჩი აქედან გრუშენკას საძებნელად გაქცეულა, სამზარეულოდან სპილენძის სანაყი წაუღია, ხოლო უკან დაბრუნებულს, ერთიანად ხელებგასისხლიანებულს, სანაყი თან აღარ ჰქონდა; „მისი ხელებიდან სისხლი კიდევ წვეთავდაო!“ - გაიძახოდა ფენია. ეტყობა, ფენიამ თავად შექმნა ასეთი საშინელი სურათი თავის არეულ-დარეულ წარმოსახვაში. გასისხლიანებული ხელები პერხოტინმაც კი ნახა, მაგრამ ამ ხელებიდან სისხლი არ წვეთავდა. პიოტრ ილიჩი თავად დაეხმარა მიტიას ხელებიდან სისხლის ჩამორეცხვაში. საქმე ის კი არ იყო, მიტიას მალე შეახმა სისხლი თუ არა, არამედ ის, თუ სად გავარდა მიტია სანაყით ხელში. იქნებ, ფიოდორ პავლოვიჩთან? - ფიქრობდა პერხოტინი, რომელმაც ეს ვერსია ამოიჩემა და თუმცა დაზუსტებით ვერაფერი გაიგო, მაინც დაასკვნა: არსად სხვაგან დმიტრი ფიოდოროვიჩი არ წავიდოდა, თუ არა მამამისთან და სწორედ იქ მოხდა, დანამდვილებით, რაღაც განსაკუთრებულიო. „როცა ჩვენთან ბატონი მობრუნდა, - გააგრძელა აღელვებულმა ფენიამ, - ყველაფერი გავუმხილე. შემდეგ ვკითხე, რატომ გაქვთ ორივე ხელი სისხლში ამოსვრილი-მეთქი“; მას კი უპასუხია, რომ ეს სისხლი ადამიანისაა, რომ ახლახან კაცი შემოკვდომია. - „ასე გამომიტყდა, აღიარა ჩემთან ყველაფერი და უცებ გიჟივით გავარდა ოთახიდან. მე ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი: ნეტა, სად გაიქცა ასე გახელებული? შესაძლოა, მოკროეში გაემგზავროს და იქ ჩემი ქალბატონი მოკლას-მეთქი. გამოვვარდი და მისი ბინისაკენ გავემართე, რომ შევვედრებოდი ბატონს, დაენდო ქალბატონი და არ მოეკლა. ვხედავ პლოტნიკოვების დუქანთან ეტლში ჯდება და გამგზავრებას აპირებს. ხელები სისხლიანი აღარა აქვს“ (ფენიამ ეს შეამჩნია და დაიმახსოვრა). ფენიას მოხუცმა ბებიამ, რამდენადაც შეეძლო, დაადასტურა შვილიშვილის ნაამბობი. პერხოტინმა კიდევ რამდენიმე კითხვა დაუსვა ფენიას და იქაურობა უფრო აღელვებულმა და შეწუხებულმა დატოვა.

თითქოს, სჯობდა, ახლავე პირდაპირ წასულიყო ფიოდორ პავლოვიჩის აქვე ახლოს მდებარე სახლში, გაეგო, ხომ არაფერი მოხდა, და თუ რამე მოხდა, კერძოდ, რა; მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება, მიემართა თუ არა პოლიციის უფროსისათვის. მაგრამ უკვე კარგად ბნელოდა. ფიოდორ პავლოვიჩს კი ჭიშკარი მაგრად ჩარაზული ექნებოდა და ისევ ხმაურის ატეხვა მოუწევდა. ფიოდორ პავლოვიჩს პერხოტინი შორიდან იცნობდა. ვთქვათ, ხმა მიაწვდინა და კარი გაუღეს, გაიგო, რომ იქ არაფერი მომხდარა, ფიოდორ პავლოვიჩი კი დამცინავი კაცი ბრძანდება, მის ყბაში მტერი ჩავარდა, ხვალ მთელ ქალაქს შეუყრის, ყველას შეატყობინებს, შუაღამისას სახლში როგორ უვარდებოდა უცნობი ჩინოვნიკი პერხოტინი, რომ გაეგო, მოკლა თუ არა სახლის პატრონი ვინმემ. სკანდალი! პერხოტინს ამქვეყნად ყველაზე მეტად სკანდალის ეშინოდა. მაგრამ გრძნობა, რომლითაც ახლა იყო შეპყრობილი, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ასეთი სიფრთხილისათვის თავი დატუქსა და სასწრაფოდ გაემართა, ფიოდორ პავლოვიჩისაკენ კი არა, ქალბატონ ხოხლაკოვასაკენ. ის ფიქრობდა, თუ ქალბატონი ხოხლაკოვა არ დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ამა და ამ საათზე მან დმიტრი ფიოდოროვიჩს სამი ათასი მანეთი მისცა, მაშინ პერხოტინი პირდაპირ წავიდოდა პოლიციის უფროსთან, ფიოდორ პავლოვიჩთან გავლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს ხვალისათვის გადადებდა და შინ დაბრუნდებოდა. ახლა ის წარმოიდგინეთ, როგორია ღამის 11 საათზე ახალგაზრდა კაცი მივიდეს სრულიად უცნობ, მაღალი წრის ქალბატონთან, გააღვიძოს, ლოგინიდან ააყენოს იმიტომ, რომ დაუსვას ერთი უცნაური კითხვა. ეს ხომ ფიოდორ პავლოვიჩთან მისვლაზე არანაკლები სკანდალი იქნებოდა. მაგრამ ხანდახან მსგავს სიტუაციებში ასე ემართებათ ხოლმე წესიერ და ფლეგმატურ ადამიანებს. თუმცა იმ წუთებში პიოტრ ილიჩი სულაც არ იყო ფლეგმატური! ის შემდგომ, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იგონებდა, როგორ შეიპყრო დაუძლეველმა მოუსვენრობამ, რომელიც თანდათან დაეუფლა, წამებად გადაექცა, დაბოლოს, გადაადგმევინა თავისი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი. რასაკვირველია, მთელი გზა პერხოტინი თავს ლანძღავდა, იმ ქალბატონთან რომ მიდიოდა, მაგრამ თავისთვის კბილების კრაჭუნით იმეორებდა: „მივიყვან ამ საქმეს ბოლომდე, მივიყვან!“ - მიიყვანა კიდეც.
ზუსტად 11 საათზე ხოხლაკოვას სახლს მიადგა. ეზოში დაუყოვნებლად შეუშვეს, მაგრამ კითხვას - ღვიძავს თუ არა ქალბატონს, მეეზოვემ ზუსტად ვერ უპასუხა - ამ დროს, ჩვეულებრივად, იძინებენ ხოლმეო. „მაღლა მოახსენეთ თქვენს შესახებ და თუ ინებებენ, მიგიღებენო“ - დაუმატა მეეზოვემ. პერხოტინი მაღლა ავიდა, მაგრამ აქ საქმე უფრო გართულდა, ლაქიამ არ მოისურვა ქალბატონის შეწუხება და მოახლე იხმო. პიოტრ ილიჩმა მოახლეს ფრიად თავაზიანად, მაგრამ დაჟინებით სთხოვა: ქალბატონს მოახსენეთ, ჩინოვნიკ პერხოტინს ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმის გამო სურს თქვენი ნახვა, საქმე მნიშვნელოვანი რომ არ იყოს, არ შეგაწუხებდით-თქო - „სწორედ ასე, ზუსტად ამ სიტყვებით მოახსენეთ“, - დასძინა პერხოტინმა. მოახლე მოსახსენებლად გავიდა, პერხოტინი მოსაცდელში დარჩა. ქალბატონი ხოხლაკოვა ჯერ არ დაწოლილიყო, მაგრამ უკვე საძინებელში იმყოფებოდა. მიტიას წასვლის შემდეგ გაღიზიანებული უკვე წინასწარ გრძნობდა, რომ ამ ღამით ვერ გადაურჩებოდა მისთვის ჩვეულ შაკიკს. მოახლის მოხსენებამ ძალიან გააკვირვა და გაჯავრებულმა უარი განაცხადა ჩინოვნიკის მიღებაზე, მიუხედავად იმისა, ასეთ უდროო დროს

მისთვის უცნობი „აქაური ჩინოვნიკის“ მოულოდნელმა ვიზიტმა ძალზე დააინტერესა მისი ქალური ცნობისმოყვარეობა. პიოტრ ილიჩი ჯორივით გაჯიუტდა: მან მოახლეს კვლავ განსაკუთრებული დაჟინებით გაუმეორა თხოვნა, კიდევ ერთხელ მოეხსენებინა ქალბატონისათვის და „სიტყვა-სიტყვით“ გადაეცა, რომ ის „განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეზეა მოსული და, შესაძლოა, ქალბატონმა შემდეგ კიდეც ინანოს, ახლა თუ არ მიიღებს“. „მე მაშინ ისე ვიყავი, თითქოს მთიდან თავდაღმართში თავშეუკავებლად ვეშვებოდი“, - მოგვიანებით ჰყვებოდა პერხოტინი. მოახლემ კვლავ გაკვირვებით გადახედა მას და ქალბატონთან მოსახსენებლად გაბრუნდა. ქალბატონი ხოხლაკოვა ძალიან განაცვიფრა და დააფიქრა ამ ამბავმა, მან მოახლე გამოკითხა, როგორი იყო ეს ჩინოვნიკი შესახედავად და გაიგო, რომ იგი „კარგად ჩაცმული და ფრიად თავაზიანი ახალგაზრდა კაცია“. აქვე უნდა გაკვრით შევნიშნო, რომ პიოტრ ილიჩი საკმაოდ ლამაზი კაცი გახლდათ და ეს თავადაც კარგად იცოდა. ქალბატონმა ხოხლაკოვამ გადაწყვიტა მისი მიღება. ის უკვე საშინაოდ იყო გამოწყობილი და ამიტომ მხრებზე შავი შალი მოისხა და „ჩინოვნიკი“ სასტუმრო ოთახში მოიპატიჟა, იმ ოთახში, სადაც ამას წინათ მიტიას მასპინძლობდა. ოთახში შემოსულმა ქალბატონმა ხოხლაკოვამ სტუმარს მკაცრად და კითხვის ნიშნით გადახედა, ისე რომ, დაჯდომაც არ შესთავაზა, პირდაპირ მიახალა: „რა გნებავთ?“

- მე თქვენ შეგაწუხეთ, ქალბატონო, ჩვენი საერთო ნაცნობის, დმიტრი ფიოდოროვიჩ კარამაზოვის გამო, - ამ სახელის ხსენებაზე დიასახლისი საშინლად გაკაპასდა, კინაღამ არ აკივლდა. მან მრისხანედ შეაწყვეტინა პერხოტინს.

- კიდევ დიდხანს, დიდხანს უნდა ვეწამო ამ საზიზღარი ადამიანის გადამკიდე? - გახელებულმა იყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - როგორ გაბედეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, როგორ გაბედეთ, თქვენთვის უცნობი ქალბატონის შეწუხება ასეთ დროს მის საკუთარ სახლში... აქ მობრძანდით იმისათვის, რომ მელაპარაკოთ კაცზე, რომელიც ამ სამი საათის წინ აქვე, ამ ოთახში, მოვიდა ჩემს მოსაკლავად, თვალებს მიბრიალებდა და ისე გავიდა აქედან, როგორც არავინ გადის წესიერი ოჯახიდან. იცით რა, მოწყალეო ხელმწიფევ, მე თქვენ გიჩივლებთ, არაფრით გაპატიებთ ამას, ახლა კი ნება იბოძეთ და დატოვეთ აქაურობა... მე დედა ვარ, მე ახლავე... მე... მე...

- მოკვლა უნდოდა? თქვენი მოკვლაც უნდოდა?

- როგორ, მან უკვე მოკლა ვინმე? - სწრაფად იკითხა ქალბატონმა ხოხლაკოვამ.

- უმორჩილესად გთხოვთ, მომისმინოთ, ქალბატონო, მხოლოდ ერთი წუთი, ორიოდე სიტყვით აგიხსნით ყველაფერს, - მტკიცედ უპასუხა პერხოტინმა. - დღეს, 5 საათზე ბატონმა კარამაზოვმა ჩემგან ათი მანეთი ისესხა. ზუსტად ვიცი, მაშინ მას ფული არა ჰქონდა, ხოლო საღამოს 9 საათზე გამოცხადდა ჩემთან და ხელში ასმანეთიანების დასტა ეჭირა, დაახლოებით, ორი-სამი ათასი იქნებოდა. სახე და ხელები დასისხლიანებული ჰქონდა, გიჟსა ჰგავდა. ჩემს კითხვაზე, საიდანა აქვს ამდენი ფული, მითხრა, რომ თქვენგან ისესხა სამი ათასი მანეთი ოქროს საბადოებზე გასამგზავრებლად...

ქალბატონ ხოხლაკოვას სახეზე არაჩვეულებრივი და ავადმყოფური მღელვარება აღებეჭდა.

- ღმერთო! ალბათ თავისი მოხუცი მამა მოკლა! - იყვირა და ხელი ხელს შემოჰკრა, - კაპიკიც არ მიმიცია, ერთი კაპიკიც! ახლავე გავარდით, გაიქეცით!... გავათავოთ ლაპარაკი! გადაარჩინეთ მოხუცი, გაიქეცით მის მამასთან, გაიქეცით!

- მაპატიეთ, ქალბატონო, ე.ი. თქვენ მისთვის ფული არ მიგიციათ? თქვენ კარგად გახსოვთ, არ მიგიციათ?
- არა, არ მიმიცია! უარი ვუთხარი, რადგან არ შეუძლია ამის დაფასება. აქედან გაცოფებული გავარდა, სულ ფეხები მიბაკუნა, მეტაკა, ძლივს დავაღწიე თავი... იცით, კიდევ რა ქნა, მე თქვენ ამასაც გეტყვით, აღარაფერს დაგიმალავთ: შემაფურთხა, წარმოგიდგენიათ? რას ვდგავართ? აჰ, დაბრძანდით... მაპატიეთ, მე.... ანდა სჯობია გავარდით, გაიქეცით, იქნებ მიუსწროთ და გადაარჩინოთ მოხუცი საშინელი სიკვდილისაგან!
- მაგრამ ვაითუ უკვე მოკლა?
- აჰ, ღმერთო ჩემო, შეიძლება ასეცაა! რა ვიღონოთ? როგორ ფიქრობთ, რა გავაკეთოთ?
ხოხლაკოვამ პიოტრ ილიჩი დასვა და თავად მის პირდაპირ ჩამოჯდა. სტუმარმა მოკლედ, მაგრამ საკმაოდ გასაგებად უამბო ყველაფერი, ყოველ შემთხვევაში, ამ ისტორიის ის ნაწილი, რომლის მოწმეც თავად გახლდათ. მოუყვა ფენიასთან მისვლის შესახებაც და სანაყის ამბავიც შეატყობინა. ამ ნაამბობმა სასტიკად შეაძრწუნა აღგზნებული ქალბატონი, სმენის დროს შიგადაშიგ კიოდა და თვალებზე ხელებს იფარებდა.
- წარმოგიდგენიათ, მე ყველაფერ ამას წინასწარ ვგრძნობდი! ამის ნიჭი მაქვს. არ არსებობს, რამე გავიფიქრო და არ ახდეს. რამდენჯერ, რამდენჯერ შემიხედავს ამ კაცისათვის და გამიფიქრია: აი, ადამიანი, რომელიც მე მომკლავს. ჰოდა, ასეც მოხდა... უფრო სწორად, თუ ამას წინათ მე არ მომკლა და თავისი მამა მოკლა, ალბათ იმიტომ რომ, ამ საქმეში ჩემი მფარველი ღმერთი ჩაერია. გარდა ამისა, თავადაც შერცხვებოდა, რადგან აქ მე მას კისერზე ჩამოვკიდე დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილების ხატი. რა ახლოს ვიყავი მაშინ სიკვდილთან, მე ხომ სიკვდილის პირისპირ ვიდექი! იცით, პიოტრ ილიჩ (მაპატიეთ, თქვენ, მგონი, თქვით, რომ პიოტრ ილიჩი გქვიათ)... იცით, მე სასწაულის არ მჯერა, მაგრამ იმ ხატმა ნამდვილად სასწაული მოახდინა - ეს ჩემთვის გამაოგნებელია, მე კვლავ გამიჩნდა რწმენა. თქვენთვის ალბათ ცნობილია ბერი ზოსიმას სახელი?... თუმცა, რას მივედ-მოვედები... წარმოგიდგენიათ, მან კისერზე ხატჩამოკიდებულმა შემაფურთხა... მხოლოდ შემაფურთხა, არ მომკლა. და... ხედავთ, სად გავარდა ჩვენ რა ვქნათ ახლა, რა ვიღონოთ, რას ფიქრობთ?
პიოტრ ილიჩი წამოდგა და განაცხადა, რომ წავა პირდაპირ პოლიციის უფროსთან და ყველაფერს მოუყვება, იმან კი თავისი საქმე იცის.
- აჰ, ის ხომ მშვენიერი, მშვენიერი ადამიანია, მე ვიცნობ მიხაილ მაკაროვიჩს. აუცილებლად მიდით მასთან. როგორ კარგად მოისაზრეთ ყველაფერი, პიოტრ ილიჩ, რა კარგად მოიფიქრეთ; იცით, მე თქვენ ადგილას ამდენს ვერ მოვიფიქრებდი!
- მეც კარგად ვიცნობ პოლიციის უფროსს, - შენიშნა პიოტრ ილიჩმა, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ცდილობდა, თავი დაეღწია ამ დაუცხრომელი დედაკაცისათვის, რომელიც წასვლის საშუალებას არ აძლევდა.
- იცით, იცით რა, - ტიტინებდა ის, - რასაც იქ ნახავთ, რასაც გაიგებთ... რაც გაირკვევა... რასაც უზამენ, რასაც მიუსჯიან, მოდით და შემატყობინეთ. ერთი ეს მითხარით, ჩვენთან სიკვდილით დასჯა ხომ აღარ არის? აუცილებლად მოდით, ღამის სამი საათიც რომ იყოს, ოთხიც, ხუთის ნახევარიც... შემაწუხეთ, გამაღვიძეთ, შემანჯღრიეთ, თუ ადგომა არ მოვინდომე. ღმერთო ჩემო, ან კი რა

დამაძინებს. იქნებ თქვენთან ერთად წამოვიდე კიდეც?...
- არა, არა, ქალბატონო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, ორიოდე სიტყვით თუ
დაწერთ ბარათს, რომ დმიტრი ფიოდოროვიჩისათვის კაპიკიც არ მიგიციათ,
შეიძლება ზედმეტი არ იყოს... ყოველი შემთხვევისათვის...
- აუცილებლად! - ბიუროსაკენ გაიქცა აღტაცებული ქალბატონი ხოხლაკოვა. -
იცით, მე თქვენ მაცვიფრებთ, მაოცებთ თქვენი საზრიანობით და საქმის ცოდნით...
თქვენ აქ მუშაობთ? რა სასიამოვნოა, თქვენ რომ აქ მუშაობთ...
ქალბატონი ხოხლაკოვა ამას ლაპარაკობდა და თან სწრაფად წერდა ქაღალდზე
შემდეგ სტრიქონებს:
„არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არ მიმიცია საცოდავი (ახლა ის მართლაც
საცოდავია) დმიტრი ფიოდოროვიჩ კარამაზოვისათვის არანაირი ფული, არც სამი
ათასი და არც ერთი კაპიკი, არასოდეს, არასოდეს! ვფიცავ ყველაფერს, რაც
წმინდაა ამქვეყნად.
ხოხლაკოვა“.
- აი, ბარათიც! - სასწრაფოდ მიტრიალდა ის პიოტრ ილიჩისაკენ. - წადით,
გადაარჩინეთ. ეს თქვენი მხრიდან დიდი გმირობა იქნება.
მან პიოტრ ილიჩს სამჯერ გადასწერა ჯვარი. ის კი არა და, წინკარამდეც კი
გააცილა.
- როგორი მადლობელი ვარ თქვენი! ვერც წარმოიდგენთ, როგორი მადლობელი
ვარ, პირველად მე რომ შემატყობინეთ. როგორ მოხდა, ჩვენ რომ აქამდე არ
შევხვდით ერთმანეთს? ჩემთვის დიდი პატივი იქნება მომავალშიც გაგიწიოთ
მასპინძლობა. ისიც ძალიან სასიამოვნოა, აქ რომ მუშაობთ... ასეთი
პუნქტუალური, ასეთი საზრიანი... თქვენ მათ აუცილებლად უნდა დაგაფასონ,
ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგონ, ვინა ხართ. მე თქვენთვის ყველაფერს
გავაკეთებ, რაც შემეძლება. დამიჯერეთ... ოო, მე ისე მიყვარს ახალგაზრდობა! მე
ახალგაზრდობაზე შეყვარებული ვარ. ახალგაზრდობა - საფუძველია ჩვენი
ტანჯული რუსეთისა, მისი იმედი... ო, წადით, წადით!...
პიოტრ ილიჩი გავარდა, თორემ ქალბატონი ხოხლაკოვა კიდევ არ გაუშვებდა. ისე
კი, ქალბატონმა ხოხლაკოვამ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა,
რამდენადმე შეუმსუბუქა იმის შიში, რომ ამ საზიზღარ საქმეში გაერია.
მოგეხსენებათ, გემოვნება ნაირგვარია. „ისე, კაცმა რომ თქვას, არც ისე ხნიერია, -
სიამოვნებით გაიფიქრა მან, - პირიქით, მე შეიძლება მისი ქალიშვილი
მგონებოდა.“
ხოლო, რაც შეეხება ქალბატონ ხოხლაკოვას, ის განსაკუთრებით მოიხიბლა
ახალგაზრდა კაცით. „როგორი მცოდნეა, როგორი აკურატული, თანაც რა კარგი
მანერები და გარეგნობა აქვს. რომ ამბობენ, თითქოს თანამედროვე
ახალგაზრდობამ არაფერი იცისო, აი, მაგალითი“ და ა.შ. და ა.შ. ქალბატონი
ხოხლაკოვა ისე იყო ახალგაზრდა კაცით მოხიბლული, ის „საშინელი შემთხვევაც“
კი გადაავიწყდა, მხოლოდ დაწოლისას, ანაზდად გაახსენდა, „როგორ ახლოს იყო
სიკვდილთან“ და ჩაილაპარაკა: „რა საშინელებაა, რა საშინელება!“ მაგრამ მალე
ჩაეძინა ღრმა და ტკბილი ძილით. მე ახლა არ დავწვრილმანდებოდი ამ ეპიზოდის
აღწერით, რომ ახალგაზრდა ჩინოვნიკისა და ჯერ კიდევ არც თუ ხნიერი ქვრივის
ეს ექსცენტრული შეხვედრა შემდგომში არ გამხდარიყო ამ ახალგაზრდა,
პუნქტუალური და აკურატული კაცის კარიერის დასაბამი, რომელსაც დღესაც
გაოცებულები იგონებენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი და ჩვენც მის შესახებ

განსაკუთრებულად მოგახსენებთ, როცა ძმებ კარამაზოვების გრძელ ამბავს დავამთავრებთ.

II განგაში

ჩვენი პოლიციის უფროსი გახლდათ გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, ამჟამად ნადვორნი სოვეტნიკი[110] მიხაილ მაკაროვიჩ მაკაროვი. ამ ქვრივს ქალაქში კაცური კაცის სახელი ჰქონდა. მხოლოდ სამი წლის წინათ გადმოვიდა ჩვენს ქალაქში და უკვე „საზოგადოების გამაერთიანებლის“ წოდება დაიმსახურა. მისი, მუდამ სტუმრებით სავსე სახლი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ამ სახლის პატრონს საზოგადოების გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. ყოველდღიურად ვინმე სადილობდა მასთან, ერთი-ორი კაცი მაინც. მარტო სუფრას არ მიუჯდებოდა. საგანგებო წვეულებებსაც აწყობდა, ხანდახან სავსებით მოულოდნელი მიზეზის გამო. სუფრაზე არცთუ ისე განსაკუთრებული კერძები შემოჰქონდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, სიუხვით გამოირჩეოდა. ძალზე გემრიელი კულებიაკები მზადდებოდა, ღვინო ხარისხით არ ბრწყინავდა, მაგრამ რაოდენობით საკმაოზე მეტი იყო. წინა ოთახში, სადაც ბილიარდი იდგა, კედლებზე ეკიდა ინგლისური სადოღე ცხენების შავჩარჩოიანი სურათები, რომლებიც, საყოველთაოდ ცნობილია, ნებისმიერი უცოლო კაცის საბილიარდოს აუცილებელ მორთულობას წამოადგენს. ყოველ საღამოს ბანქოს თამაშობდნენ, ერთ მაგიდაზე მაინც. აქ ძალზე ხშირად საცეკვაოდ თავს იყრიდა ჩვენი ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, დედიკოები და ქალიშვილები. მიხაილ მაკაროვიჩი, მართალია, ქვრივი იყო, თავისი ოჯახი ჰყავდა: მასთან ცხოვრობდა მისი დაქვრივებული ასული ორი მოზრდილი ქალიშვილითურთ. განათლებული და მხიარული გოგონები იყვნენ, შესახედავადაც არა უშავდათ რა, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ გოგონებს მზითვად არარა გააჩნდათ, მაინც მათი ბაბუის სახლს მაღალი წრის ახალგაზრდობა არ აკლდა. მიხაილ მაკაროვიჩი თავისი საქმის არც ისე დიდი სპეციალისტი გახლდათ, მაგრამ თანამდებობას სხვაზე ნაკლებად არ ასრულებდა. პირდაპირ რომ ვთქვათ, იგი საკმაოდ გაუნათლებელი კაცი იყო, ამავე დროს, ცოტა არხეინიც კი, ისიც არ უნდოდა კარგად სცოდნოდა, რა მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული მის ადმინისტრაციულ ხელისუფლებას. იმპერიაში განხორციელებული თანამედროვე რეფორმები არათუ არ შეეძლო სრულად გაეაზრებინა, არამედ მცდარადაც კი ესმოდა. ეს უნიჭობით კი არ მოსდიოდა, არამედ არხეინი ხასიათის გამო - არასოდეს ეცალა, გულიანად ჩასწვდომოდა და გაეაზრებინა ისინი. „მე, ბატონებო, ბუნებით უფრო სამხედრო პირი ვარ, ვიდრე ერისკაცი“, - ამბობდა ხოლმე საკუთარ თავზე. მას ჯერ კიდევ ვერაფერი გაეგო სრულად საგლეხო რეფორმების საფუძვლებისა; წლები დასჭირდა რაღაც-რაღაცებში გასარკვევად, ისიც პრაქტიკულად თუ მოუწევდა მათთან შეხება. ამ დროს, თავად წარმოადგენდა მემამულეს. პიოტრ ილიჩმა დანამდვილებით იცოდა, ამ წუთებში მიხეილ მაკაროვიჩთან ვინმე სტუმარს რომ შეხვდებოდა, მაგრამ არ იცოდა, სახელდობრ, ვის. დიახაც, ამ დროს მასთან ისხდნენ და იარალაშს თამაშობდნენ პროკურორი და საერო ექიმი ვარვინსკი, კაცი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო პეტერბურგიდან, სადაც ბრწყინვალედ

დაამთავრა სამედიცინო აკადემიის კურსი. პროკურორი, უფრო სწორად, პროკურორის ამხანაგი, რომელსაც ჩვენთან ყველა პროკურორს ეძახდა, იპოლიტ კირილოვიჩი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდათხუთმეტი წლის კაცი, განსაკუთრებულად გამოირჩეოდა. ეს თავმოყვარე, გულფიცხი, საკმაოდ ჭკვიანი და კეთილი პიროვნება ჭლექით იყო დაავადებული. ცოლად ერთი მსუქან-მსუქანი და უშვილო ქალბატონი ჰყავდა. პროკურორის ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ საკუთარ თავზე იმაზე მეტი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე ამის უფლებას მისი ჭეშმარიტი ღირსებები აძლევდა. ამის გამო მუდმივად მოუსვენარი ჩანდა. გარდა ამისა, მას პრეტენზია ჰქონდა, რომ შესანიშნავად ერკვეოდა ადამიანის ფსიქოლოგიაში და დამნაშავისა და დანაშაულის შეცნობის განსაკუთრებული ნიჭი გააჩნდა. ამიტომ ამჟამინდელი სამსახურის გამო თავს დაჩაგრულად თვლიდა და დარწმუნებული იყო, რომ იქ, უმაღლეს სფეროებში, ვერ შეძლეს მისი ჯეროვანი შეფასება, რადგან მტრები ჰყავდა. ცხოვრების მძიმე წუთებში იმუქრებოდა კიდეც, რომ გადავიდოდა სისხლის სამართლის საქმის ვექილად. კარამაზოვების მოულოდნელმა საქმემ მამის მკვლელობის შესახებ იგი ერთიანად გამოაცოცხლა: „ასეთი საქმე შეიძლება მთელ რუსეთში გახდეს ცნობილიო“. მაგრამ მე ახლა მოვლენებს წინ გავუსწარი.
მეზობელ ოთახში ქალიშვილებთან ერთად იჯდა ჩვენი ქალაქის სასამართლოს ახალგაზრდა გამომძიებელი ნიკოლაი პარფენოვიჩ ნელიუდოვი. ისიც ორი თვე იქნებოდა, რაც პეტერბურგიდან ჩამოვიდა. მოგვიანებით, ქალაქში ყველა გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ ეს პირები იმ „დანაშაულის“ ღამეს თითქოს საგანგებოდ შეიკრიბნენ აღმასრულებელი ხელისუფლების სახლშიო. ამ დროს კი საქმე გაცილებით უბრალოდ და ბუნებრივად აეწყო. იპოლიტ კირილოვიჩის ცოლს ორი დღე კბილის ტკივილი აწუხებდა, ამიტომ პროკურორი ცოლის ოხვრა-კვნესას გაექცა და თავი შეაფარა მიხაილ მაკაროვიჩის სახლს. ახალგაზრდა ექიმს კი საღამოს სხვა საქმე არა ჰქონდა და ბანქოს სათამაშოდ შეიარა. ნელიუდოვსაც ჯერ კიდევ სამი დღის წინ ჰქონდა დაგეგმილი, ამ საღამოს მიხაილ მაკაროვიჩს რომ სტუმრებოდა, ვითომ შემთხვევით, ისე, სხვათაშორის, მოულოდნელად და ვერაგულად გაეოცებინა უფროსი ქალიშვილი ოლგა მიხაილოვნა მისი საიდუმლოს ცოდნით. საიდუმლო კი ის იყო, რომ იმ დღეს ოლგას დაბადების დღე იყო, ქალიშვილი ამ თარიღს ადგილობრივ საზოგადოებას უმალავდა და არავინ მოიწვია სტუმრად. ბევრს იცინებდნენ იმის თაობაზე, რომ ქალი ასაკს მალავდა, ეშინოდა მისი გამჟღავნებისა, ხვალ კი მისი საიდუმლოს მფლობელი ყმაწვილი კაცი მთელ ქალაქს მოსდებდა ამ ამბავს და ა.შ. და ა.შ. უყვარდა ამ ლამაზ ჯეელს ასეთი ოინები და ამიტომაც ადგილობრივმა ქალებმა ონავარა შეარქვეს, მას კი ეს თიკუნი ძალიან მოსწონდა. ეს დაბალი, სუსტი და ნაზი აღნაგობის, კარგი გვარიშვილობის და კარგი აღზრდა-განათლების მქონე ახალგაზრდა კაცი ცოტა დარდიმანდი იყო, თუმცა არასოდეს არავის აწყენინებდა და არც არასოდეს კარგავდა ზომიერების გრძნობას. თხელ-თხელ, ჩამოთლილ თითებზე ყოველთვის რამდენიმე განსაკუთრებულად დიდი ბეჭედი უბრწყინავდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არაჩვეულებრივად სერიოზული ხდებოდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის საქმიანობას და ვალდებულებებს. უნარი ჰქონდა, დაკითხვის დროს საგონებელში ჩაეგდო დაბალი ფენის ბოროტმოქმედები და მკვლელები, რითაც მათში პატივისცემას თუ არა, გაკვირვებას მაინც აღძრავდა ხოლმე.

როცა პიოტრ ილიჩი პოლიციის უფროსის ბინაში შევიდა, სახტად დარჩა. აღმოჩნდა, რომ იქ ყველამ ყველაფერი იცოდა. მოთამაშეებს ბანქო მიეტოვებინათ და ამ თემის გარშემო ლაპარაკობდნენ. ნიკოლაი პარფენოვიჩიც გამოსულიყო მათთან და ისიც საბრძოლოდ იყო განწყობილი. აქ შეიტყო პიოტრ ილიჩმა, რომ, მართლაც, ამ ღამით საკუთარ სახლში მოკლეს და გაძარცვეს ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვი. ეს ამბავი კი შემდეგნაირად გაუგიათ.
ღობესთან სანაყით თავგატეხილი გრიგორის მეუღლეს, მარფა იგნატიევნას ლოგინში ღრმა ძილით ეძინა და დილამდე ასე იქნებოდა, რომ მეზობელ ოთახში უგონოდ მწოლარე სმერდიაკოვის საშინელ, ეპილეპტიკურ ღრიალს არ გაეღვიძებინა. ეს ზუსტად ის ღრიალი იყო, რომელიც ყოველთვის ბნედის წინ დაეწყებოდა ხოლმე სმერდიაკოვს და რომლის გაგონებაც შიშის ზარს სცემდა მარფას. ბურანში მყოფი წამოხტა და სმერდიაკოვთან შევარდა. იქ სიბნელეში ავადმყოფი საშინლად ხვრინავდა და ბორგავდა. მარფას შეეშინდა და აყვირდა, ქმრის მოხმობა დააპირა, მაგრამ ანაზდად გაახსენდა, რომ, როცა ადგა, გრიგორი ლოგინში ვერ დაინახა. ქალი საწოლს მივარდა და მოსინჯა, მაგრამ საწოლში არავინ იწვა. იქნებ სადმე გავიდა, მაგრამ სად? - გაიფიქრა მარფამ, წინკარში გავარდა და მორიდებულად დაუწყო ძახილი ქმარს. პასუხი ვერ მიიღო, მაგრამ სადღაც ბაღის სიღრმიდან ღამის სიჩუმეში კვნესა შემოესმა. ერთხანს დაყურადდა; კვნესა განმეორდა. ეჭვი არ იყო, კვნესა ბაღიდან ისმოდა. „ღმერთო ჩემო, ზუსტად ისე ისმის, როგორც მაშინ, ლიზავეტას დროს!“ - გაუელვა აფორიაქებულ თავში მარფას. ფრთხილად ჩავიდა კიბის საფეხურებზე და უცებ თვალი მოჰკრა ბაღის ღია კარს. „საწყალი, ნამდვილად იქ არის“, - გაიფიქრა ქალმა და ბაღის კარს მიუახლოვდა. უცებ გარკვევით გაიგონა გრიგორის საშინლად დასუსტებული ხმა: „მარფა, მარფა!“ „ღმერთო, მიშველე, შენ დამიფარე უბედურებისაგან“, - ჩურჩულით თქვა მარფამ და იქით გაიქცა, საიდანაც კვნესა ესმოდა. აი, ასე ნახა გრიგორი. მაგრამ ღობესთან კი არა, სადაც მიტიამ სანაყი ჩაარტყა თავში გრიგორის, არამედ იქიდან ოცი ნაბიჯის მოშორებით. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, თურმე გრიგორი გონზე მოსვლის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ფოფხვა-ფოფხვით მიიწევდა წინ და გზადაგზა გონს კარგავდა ხოლმე. მარფამ მაშინვე შეამჩნია, გრიგორის დასისხლიანებული სახე და არაადამიანური ხმით იკივლა. გრიგორი ენას ძლივს აბრუნებდა: „მოკლა... მამა მოკლა... რა გაკივლებს, სულელო... გავარდი, ვინმეს დაუძახე...“ მაგრამ მარფა არ ჩერდებოდა და კვლავ გაჰკიოდა. უცებ მარფას თვალში მოხვდა, რომ ბატონის ფანჯარა ღიაა და იქიდან სინათლე გამოდის. გაიქცა იქითკენ და ფიოდორ პავლოვიჩს დაუწყო ძახილი, მაგრამ როცა ფანჯარაში შეიხედა, საშინელი სანახაობა გადაეშალა: თავიდან ფეხებამდე სისხლში ამოსვრილი ბატონი იატაკზე გულაღმა გაუნძრევლად ეგდო. მაგიდაზე ანთებულ სანთლის შუქზე კარგად ჩანდა სისხლი და მოკლულის სახე. შიშისაგან შეძრწუნებული მარფა ფანჯარას გაშორდა, ბაღიდან გავარდა, ჭიშკრის ურდული გადასწია და მეზობელთან, მარია კონდრატიევნასთან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. დედა-შვილს უკვე ეძინა, მაგრამ მარფას ბრახუნსა და კივილზე გაიღვიძეს და ფანჯარასთან მოცვივდნენ. მარფამ წივილ-კივილით აუხსნა, რაც მოხდა და დახმარება სთხოვა. სწორედ ამ დროს მათთან ღამეს ათევდა მოხეტიალე ფომა. ისიც უცებ ააყენეს და სამივე დანაშაულის ადგილისაკენ გაეშურა. გზაში მარია კონდრატიევნამ გაიხსენა, რომ ცხრა საათისათვის ბაღიდან საშინელი ღრიალი

შემოესმა - რასაკვირველია, ეს გრიგორის ყვირილი იქნებოდა, როცა ის ღობეზე ამძვრალ მიტიას ფეხებზე ჩამოეკიდა და ღრიალებდა: „მამის მკვლელოო!“ „მხოლოდ ერთი კაცის ხმა ისმოდა და უცებ დადუმდაო“, - გზადაგზა სხაპასხუპით ლაპარაკობდა მარია კონდრატიევნა. როცა გრიგორისთან მიირბინეს, ხელი მოჰკიდეს გრიგორის, ასწიეს და ფლიგელში გადაიყვანეს. ოთახში სანთელი აანთეს და დაინახეს, რომ თვალებგადმობრუნებული და დუჟმორეული სმერდიაკოვი ისევ ისე ბორგავდა საწოლში. როცა გრიგორის წყალნარევი ძმრით მოჰბანეს ჭრილობა, გრიგორი გონს მოვიდა და იკითხა: „ბატონი მკვდარია?“ ქალები და ფომა ბატონის ოთახისაკენ გაემართნენ, ბაღში შესულებს არათუ ბატონის ოთახის ფანჯარა დახვდათ ღია, არამედ კარიც, მაშინ როდესაც, ამ უკანასკნელს ერთი კვირის განმავლობაში, საღამოობით, ბატონი გულდაგულ კეტავდა ხოლმე, გრიგორსაც კი არ აძლევდა ამ კარზე დაკაკუნების ნებას, რაც არ უნდა მომხდარიყო. ღია კარის დანახვაზე ფომა და ქალები შეშინდნენ და ოთახში არ შევიდნენ, „ვაითუ, რამე შარს გადავეყაროთო“. ფლიგელში მიბრუნებულებს გრიგორიმ სთხოვა, ახლავე ყოველივე პოლიციის უფროსისათვის შეეტყობინებინათ. სწორედ ამის შემდეგ მიირბინა მარია კონდრატიევნამ პოლიციის უფროსის სახლში და ააფორიაქა იქ მყოფი საზოგადოება. ხუთი წუთის შემდეგ პიოტრ ილიჩის მისვლამ, არა მარტო მისმა ეჭვებმა და ვარაუდებმა, არამედ უშუალო მოწმეობამ დაადასტურა საერთო ვარაუდი, ვინ შეიძლება ყოფილიყო მკვლელი (თუმცა პიოტრ ილიჩს უკანასკნელ წუთამდე არ სურდა ამის დაჯერება).

გადაწყვიტეს ენერგიული მოქმედება. ქალაქის ბოქაულის თანაშემწეს მაშინვე დაევალა ოთხი ისეთი პიროვნების შერჩევა, რომელიც დაესწრებოდა დანაშაულის ადგილზე ძიებას. შემდეგ, ყველა წესის დაცვით, რასაც ახლა არ დავუწყებ აღწერას, შევიდნენ ფიოდორ პავლოვიჩის სახლში და ადგილზე ჩაატარეს მოკვლევა. ფიცხი ხასიათის მქონე საერო ექიმმა თავად გამოიჩინა ინიციატივა - პოლიციის უფროსთან, პროკურორთან და გამომძიებელთან ერთად წასულიყო. მოკლედ: თავგატეხილი ფიოდორ პავლოვიჩი მკვდარი დახვდათ. ის მოკლული იყო რაღაცის თავში დარტყმით, მაგრამ რით? - ალბათ იმავე იარაღით, რითაც თავი გაუტეხეს გრიგორის. აუცილებელი სამედიცინო დახმარების შემდეგ გრიგორიმ საკმაოდ დალაგებულად, მაგრამ მიკნავებული ხმით აუწყა, როგორ მიიღო დაზიანება. დაიწყეს ფარნით ძებნა და ღობესთან, ბაღის ბილიკზე, სპილენძის სანაყი იპოვეს. იმ ოთახში, სადაც ფიოდორ პავლოვიჩი იწვა, არავითარი უწესრიგობა არ შეინიშნებოდა, მაგრამ შირმებს იქით, საწოლთან, იატაკზე იპოვეს დიდი, სქელი კონვერტი წარწერით: „სამი ათასი საჩუქრად ჩემს სათაყვანებელ ანგელოზს, გრუშენკას, თუ ის ჩემთან მოსვლას გადაწყვეტს“, იქვე მიწერილი იყო, ალბათ მოგვიანებით, თავად ფიოდორ პავლოვიჩის მიერ: „ჩემს ვარიკას“. კონვერტი სამი ბეჭდით იყო დალუქული, მაგრამ უკვე ვიღაცას გაეხსნა და ფული ამოეღო. იქვე იატაკზე ეგდო კონვერტის შესაკრავი ვარდისფერი ბაფთა. პიოტრ ილიჩის ჩვენების დროს პროკურორისა და გამომძიებლის განსაკუთრებული ინტერესი ერთმა გარემოებამ გამოიწვია, სახელდობრ: ვარაუდმა, რომ შესაძლოა დმიტრი ფიოდოროვიჩმა განთიადისას თავი მოიკლას, რადგან ამის შესახებ თავად განუცხადა პიოტრ ილიჩს, პისტოლეტიც მისი თანდაწრებით დატენა, ბარათიც დაწერა და ჯიბეში ჩაიდო, ხოლო როცა პიოტრ ილიჩი, რომელსაც კიდევ არ სურდა ამის დაჯერება, დმიტრი ფიოდოროვიჩს

დაემუქრა, რომ წავიდოდა და ვინმეს შეატყობინებდა, რათა აღეკვეთა ეს თვითმკვლელობა, მან ჩაიცინა და უპასუხა: „ვერ მოასწრებო“. მაშასადამე, ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად აჩქარებაა საჭირო, მანამ უნდა გამგზავრებულიყვნენ მოკროეში, სანამ ის თავს მოიკლავდა. „ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი! - იმეორებდა განსაკუთრებულად აღგზნებული პროკურორი, - ზუსტად ასე ემართებათ ხოლმე ამნაირ თავზეხელაღებულებს, რომელთა დევიზია: დღეს გემოზე ვიქეიფებ, ხვალ კი ტყვიას ვიხლი შუბლში“. დუქნიდან ღვინისა და სურსათ-სანოვაგის წაღების ამბავმა სულ გააცოფა პროკურორი. „გახსოვთ, ბატონებო, ის ჭაბუკი, ვაჭარი ოლსუფიევი რომ მოკლა და ათას-ნახევარი გაიტაცა, იმ წამსვე, ფული არც დაუმალავს ისე, ჯერ პირდაპირ სადალაქოში წავიდა და გალამაზდა, მერე ქალებს მიაკითხა“. მაგრამ ყველაფერს გამოძიება აყოვნებდა, ფიოდორ პავლოვიჩის სახლის ჩხრეკვასა და ნაირ-ნაირ ფორმალობას ბევრი დრო მიჰქონდა, ამიტომ მოკროეში, ორი საათით ადრე, იმ დილით ხელფასის ასაღებად ჩვენს ქალაქში ჩამოსული უბნის ბოქაული, მავრიკი მავრიკიევიჩ შმერცოვი გააგზავნეს. მას დაევალა, რომ მოკროეში ჩასვლისას განგაში არ აეტეხა, მხოლოდ ბოროტმოქმედისათვის ედევნებინა თვალყური, სანამ იქ სათანადო პირები არ ჩავიდოდნენ. გარდა ამისა, მოემზადებინა თანამოწმეები, გზირები და ა.შ. და ა.შ. ასეც მოიქცა შმერცოვი - მოკროეში ინკოგნიტოდ ჩავიდა, მხოლოდ ძველ ნაცნობს, ტრიფონ ბორისოვიჩს გაუმხილა საიდუმლო, ისიც ნაწილობრივ. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა შუშაბანდში გამოსულმა მიტიამ ტრიფონ ბორისოვიჩი ნახა, რომელიც მას ეძებდა. ამავე დროს, მიტიამ უმალ შეამჩნია ტრიფონ ბორისოვიჩის ლაპარაკსა და საქციელში რაღაც ცვლილებები რომ მოხდა. ასე და ამგვარად, არც მიტიამ და არც არავინ იცოდა, რომ მათ უთვალთვალებდნენ. პისტოლეტების ყუთი ტრიფონ ბორისოვიჩს კარგა ხნის მოპარული და მყუდრო ადგილას გადამალული ჰქონდა. მხოლოდ ხუთი საათისათვის, თითქმის განთიადისას, ორი ეკიპაჟითა და ორი სამცხენათი ჩამოვიდა უფროსობა: პოლიციის უფროსი, პროკურორი და გამომძიებელი, ექიმი ფიოდორ პავლოვიჩის სახლში დარჩა, ის დილისათვის ცხედრის გაკვეთას აპირებდა. გარდა ამისა, ექიმი ლაქია სმერდიაკოვის მდგომარეობითაც დაინტერესდა: „ავზნიანის ასეთი მძაფრი და ასეთი გამუდმებული კრუნჩხვები, რომლებიც უკვე ორი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მეორდება, იშვიათი შემთხვევაა და მეცნიერებისათვის საინტერესო“, - გადაულაპარაკა მოკროეში მიმავალ თავის პარტნიორებს აღგზნებულმა ვარვინსკიმ. მათ კი სიცილ-სიცილით მიულოცეს აღმოჩენა. პროკურორსა და გამომძიებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდათ იმ წუთებში ექიმის მიერ ნათქვამი, სმერდიაკოვი დილამდე ვერ გაატანსო.

ახლა კი ამ გრძელი, მაგრამ, მე მგონი, აუცილებელი ახსნა-განმარტების შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენი თხრობის იმ მომენტს, წინა წიგნში რომ გავჩერდით.

III ტანჯვის გზებზე სულის ფორიაქი. ტანჯვა პირველი

მიტია იჯდა და გაოგნებული შესცქეროდა გარშემო მყოფთ, მას არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. უცებ წამოხტა, ხელები მაღლა ამართა და იღრიალა:

- უდანაშაულო ვარ! ამ სისხლში ხელი არ გამისვრია! მამაჩემის სიკვდილში ბრალი არ მიდევს... მინდოდა მოკვლა, მაგრამ არ მომიკლავს! მე არა!
მაგრამ როგორც კი ყვირილი დაამთავრა, ფარდის უკანა მხრიდან გრუშენკა გამოვარდა და პოლიციის უფროსს ფეხებში ჩაუვარდა.
- ეს მე ვარ, წყეული და შეჩვენებული, მე ვარ დამნაშავე! - გულის განმგმირავი ხმით კიოდა ხელებგაწვდილი და აცრემლებული გრუშენკა, - ჩემი გულისათვის მოკლა!.. ეს მე გავაწამე, მე მივიყვანე აქამდე! ის, საცოდავი, განსვენებული მოხუციც, მე დავტანჯე! ეს მე ვარ დამნაშავე, პირველ რიგში, მე ვარ მთავარი დამნაშავე!
- დიახაც, შენ ხარ დამნაშავე! შენა ხარ მთავარი ბოროტმოქმედი! ამძუვნებულო და გარყვნილო დედაკაცო, შენ ხარ მთავარი დამნაშავე! - დაიღრიალა პოლიციის უფროსმა, მაგრამ ის მალე დააშოშმინეს. პროკურორმა ხელი სტაცა მას.
- ეს უკვე უწესრიგობაა, მიხაილ მაკაროვიჩ, - იყვირა მან, - თქვენ ძიებას ხელს უშლით... საქმეს აფუჭებთ... - აღელვებული ლაპარაკობდა ის.
- რაღაც ზომები უნდა მივიღოთ, სასწრაფოდ, რაღაც ზომები! - ძალიან გაცხარდა ნიკოლაი პარფენოვიჩი, - სხვაგვარად შეუძლებელია!..
- ერთად გაგვასამართლეთ! - შეშლილივით აგრძელებდა შეძახილებს კვლავ მუხლებზე დამხობილი გრუშენკა. - ერთად დაგვსაჯეთ, მე მასთან ერთად გავიზიარებ სასიკვდილო განაჩენს!
- გრუშა, ჩემო სიცოცხლევ, სისხლო ჩემო, ჩემო სალოცავო! - გრუშენკას გვერდით მიტიაც დაემხო მუხლებზე და მაგრად მოჰხვია ქალს ხელი. - არ დაუჯეროთ მას, - ყვიროდა მიტია, - მას არაფერში მიუძღვის ბრალი!
შემდგომში მიტია იგონებდა, რამდენიმე კაცმა როგორ მოაშორა ძალით გრუშენკას, როგორ წაიყვანეს გრუშენკა და თავად როგორ მოეგო გონს მაგიდასთან. მის უკან და გვერდით ბალთიანი მამაკაცები ჩამწკრივდნენ. წინ, დივანზე კი სასამართლოს გამომძიებელი ნიკოლაი პარფენოვიჩი იჯდა და ეხვეწებოდა, მაგიდაზე მდგარი ჭიქიდან წყალი მოესვა: „ცოტას გამოგაფხიზლებთ, დაგამშვიდებთ, ნუ გეშინიათ, ნუ ღელავთ!“ - ეუბნებოდა განსაკუთრებული თავაზიანობით. მიტია კი უცებ, ეს კარგად ახსოვს მას, დაინტერესდა გამომძიებლის თითებზე გაკეთებული დიდი ბეჭდებით, ერთი ამეთვისტოსთვლიანი იყო, მეორეს კი გამჭვირვალე და მბრწყინავი ყვითელი თვალი ჰქონდა ჩასმული. მოგვიანებით, გაკვირვებული იგონებდა, მიუხედავად იმდროინდელი მძიმე მდგომარეობისა, როგორ მოხდა, რომ მთელი იმ საშინელი დაკითხვის განმავლობაში, ამ ბეჭდებმა მისი ყურადღება ისე მიიპყრო, თვალს ვერ აცილებდა მათ და ვერაფრით შეძლო, მათი თავიდან ამოგდება. მიტიას გვერდით, მარცხნივ, მაქსიმოვის ადგილას ახლა პროკურორი დაბრძანდა, ხოლო მარჯვნივ, იქ, სადაც ადრე გრუშენკა იჯდა, ერთი ახალგაზრდა, ლოყებღაჟღაჟა კაცი მოკალათდა, მას ტანზე ძალზე გაცვეთილი მონადირის პიჯაკი ეცვა, მალე მის წინ მაგიდაზე სამელნე და ქაღალდი გაჩნდა. ეს კაცი საქმის მწარმოებელი აღმოჩნდა, რომელიც გამომძიებელს ახლდა. პოლიციის უფროსი კი ოთახის მეორე ბოლოში, ფანჯარასთან მჯდარი კალგანოვის გვერდით იდგა.
- მიირთვით წყალი! - უკვე მეათედ, მოკრძალებული ხმით უმეორებდა გამომძიებელი მიტიას.
- დავლიე, ბატონებო, დავლიე... მაგრამ... რა, ბატონებო, გამანადგურეთ დამსაჯეთ, გადაწყვიტეთ ჩემი ბედ-იღბალი! - იყვირა მიტიამ და

თვალებდაჭყეტილი მიაცქერდა გამომძიებელს.
- მაშ ასე, თქვენ დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ მამათქვენი არ მოგიკლავთ? - თავაზიანად, მაგრამ დაჟინებით შეეკითხა გამომძიებელი.
- არ მომიკლავს! სხვის სისხლში გასვრილი მაქვს ხელი, სხვა მოხუცის, მაგრამ მამაჩემი არ მომიკლავს. დავსტირი მას! მოვკალი, მოვკალი მოხუცი... მაგრამ ძალზე ძნელია, ამ სისხლის გამო პასუხი ვაგო სხვა მკვლელობაზე, საშინელ მკვლელობაზე, რომელშიც ბრალი არ მიმიძღვის... საშინელი ბრალდებაა, ბატონებო, მეხივით დამეცა თავზე! მაგრამ ვინ მოკლა მამა, ვინ მოკლა? ვის შეეძლო მოეკლა, მე თუ არ მომიკლავს? სასწაულია, სისულელეა, შეუძლებელია!
- დიახ, ვის შეეძლო მოეკლა, - დააპირა დაწყება გამომძიებელმა, მაგრამ პროკურორმა, იპოლიტ კირილოვიჩმა (პროკურორის ამხანაგმა, მაგრამ ამას იქით მოკლედ, პროკურორად მოვიხსენიებთ), გადახედა გამომძიებელს და მიტიას უთხრა:
- თქვენ ტყუილუბრალოდ წუხართ გრიგორი ვასილევიჩის გამო, იგი ცოცხალია, გონს მოვიდა და, მიუხედავად მძიმე დარტყმებისა, რომლებიც მას მიაყენეთ, ვფიქრობ, გადარჩება, ყოველ შემთხვევაში, ექიმი ამას ამბობს.
- ცოცხალია? როგორ, ის ცოცხალია? - იღრიალა უცებ მიტიამ და ხელი ხელს შემოჰკრა. სახე სიხარულისაგან გაუბრწყინდა. - ღმერთო, მადლობას გწირავ ამ დიდი სასწაულისათვის, დიდი მადლობა, რომ შეისმინე ცოდვილი და ბოროტი კაცის ლოცვა-ვედრება!.. დიახ, დიახ, ეს ჩემმა ლოცვამ უშველა, მთელი ღამე ვევედრებოდი ღმერთს! - მიტიამ პირჯვარი სამჯერ გადაიწერა. მას სიხარულისაგან სუნთქვა ეკვროდა.
- სწორედ გრიგორიმ გვითხრა, რომ... - უნდოდა გაგრძელება პროკურორს, მაგრამ მიტია უცებ წამოხტა.
- ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, ბატონებო, თუ ღმერთი გწამთ, გრუშენკასთან გავალ...
- როგორ გეკადრებათ! ახლა არაფრით არ შეიძლება! - კინაღამ იყვირა ნიკოლაი პარფენოვიჩმა და ისიც წამოხტა. მიტიას პოლიციელები გარს შემოეხვივნენ, თუმცა ის თავისით დაჯდა სკამზე.
- ბატონებო, ძალიან ვწუხვარ! ერთი წუთით მინდოდა მასთან მისვლა... მინდოდა შემეტყობინებინა, რომ ჩამოვიბანე ის სისხლი, რომელიც მთელი ღამე მიღრღნიდა გულს, მეთქვა, რომ აღარა ვარ მკვლელი! ბატონებო, ის ხომ ჩემი საცოლეა! - მოწიწებით წარმოთქვა გრძნობამორეულმა მიტიამ და ყველას გადახედა. - ოო, მადლობა შენ, უფალო! ოო, როგორ უცებ აღმადგინეთ, როგორ გამახარეთ, რომ იცოდეთ! ის მოხუცი ხომ ჩემი გამზრდელია, ბატონებო, ვარცლში მაბანავებდა ხოლმე, ის იყო ჩემი ნამდვილი მამა, მას შემდეგ, რაც სამი წლის ბავშვი ყველამ მიმატოვა!
- მაშ, თქვენ... - ისევ დააპირა დაწყება გამომძიებელმა.
- ნება მიბოძეთ, ბატონებო, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი წუთით, - შეაწყვეტინა მიტიამ, ორივე იდაყვი მაგიდაზე დადო და თავი ხელებში ჩარგო. - მაცალეთ, ცოტა გონს მოვიდე, ცოტა ამოვისუნთქო, ბატონებო. ყველაფერი ეს შემაძრწუნებელია, საშინელებაა, რამდენს შეიძლება გაუძლოს ადამიანმა, ბატონებო!
- კიდევ მოსვით ცოტა წყალი... - კვლავ თავაზიანად შეთავაზა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
მიტიამ სახეს ხელები მოაშორა და გაიცინა. ძალიან მხნედ გამოიყურებოდა, უცებ

გარდაიქმნა კაცი. ხმის ტონალობაც შეეცვალა. ახლა მაგიდასთან ნაცნობებს
შორის ისე იჯდა, როგორც თანასწორი თანასწორებთან, თითქოს არაფერი
მომხდარიყო. აქვე მინდა აღვნიშნო: როცა ჩვენს ქალაქში პირველად ჩამოვიდა
მიტია, პოლიციის უფროსის ოჯახმა გულთბილად მიიღო, მაგრამ შემდეგ და
შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო თვეებში, თითქმის აღარ დადიოდა მათთან,
რისთვისაც პოლიციის უფროსი, როცა მიტიას სადმე შეხვდებოდა ხოლმე ქუჩაში,
უბღვერდა და მხოლოდ თავაზიანობის გამო თუ მიესალმებოდა. მიტია ამას
კარგად ამჩნევდა. პროკურორს შორიდან იცნობდა, თუმცა მის ცოლს, ნერვიულ
და ფანტაზიორ ქალს, ხანდახან ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ თავადაც არ
იცოდა, რატომ დადიოდა იქ. ეს ქალი ძალზე ალერსიანად ექცეოდა და
რატომღაც ყოველთვის აინტერესებდა მიტიას ასავალ-დასავალი. გამომძიებელს
კი ჯერ კარგად ვერ იცნობდა, თუმცა ორჯერ სადღაც შეხვედრია და უსაუბრიათ
კიდეც, ორივეჯერ საუბარი, რასაკვირველია, ქალებს შეეხებოდა.
- ნიკოლაი პარფენოვიჩ, ვხედავ, თქვენ დახელოვნებული გამომძიებელი
ბრძანდებით, - სიცილ-სიცილ უთხრა მიტიამ, - მაგრამ ახლა მე თავად
მოგეხმარებით. ბატონებო, მე ახლა აღვდექი... ნუ გეწყინებათ, მე თუ ასე
უბრალოდ და პირდაპირ მოგმართავთ. გარდა ამისა, ცოტა ნასვამიცა ვარ, ამას
გულახდილად გეუბნებით. ნიკოლაი პარფენოვიჩ... მე მგონი, მქონდა ბედნიერება
ჩემს ნათესავთან, მიუსოვთან შეგხვედროდით. ბატონებო, ბატონებო, ვიცი, რომ
ამჟამად თქვენი თანასწორი არ ვარ, მესმის ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. ვინა
ვარ ახლა თქვენთვის! ბრალი მედება... თუ გრიგორიმ ასეთი ჩვენება მოგცათ..
ბრალად მედება - საშინელი დანაშაული! შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი
რამ - მესმის ყველაფერი! კეთილი, ბატონებო, მზად ვარ, ჩვენ ყველაფერს უცებ
გავარკვევთ. მომისმინეთ, მომისმინეთ, ბატონებო, ვინაიდან ვიცი, რომ
უდანაშაულო ვარ, ყველაფერს უცებ მოვათავებთ! ასე არ არის? ხომ ასეა?
მიტია სხაპასხუპით და ბევრს ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ნერვიულად და
ექსპანსიურად, თითქოს ყველაზე ახლო მეგობრებს უზიარებდა გულის ნადებს.
- მაშასადამე, ჯერჯერობით ჩავწეროთ, რომ თქვენ რადიკალურად უარყოფთ
ბრალდებას, - დაბეჯითებით განაცხადა გამომძიებელმა, მიუბრუნდა მწერალს და
გადაუჩურჩულა, რა უნდა ჩაეწერა.
- ჩაწეროთ? თქვენ წერას აპირებთ? ჩაწერეთ, თანახმა ვარ, ბატონებო... ნებას
გაძლევთ, ბატონებო... მხოლოდ... მოიცათ, მოიცათ, ასე ჩაწერეთ: „აყალმაყალის
ატეხვაში დამნაშავე ვარ, საწყალი მოხუცის ცემა-ტყეპაშიც დამნაშავე ვარ“.
გარდა ამისა, იქ, სადღაც გულის კუნჭულში დამნაშავე ვარ - მაგრამ ამის ჩაწერა
არაა საჭირო, - მოულოდნელად მიუბრუნდა მწერალს, - ეს უკვე ჩემი პირადი
ცხოვრებაა, ბატონებო, ეს თქვენ არ გეხებათ, იმიტომაცაა გულის ნადები... მაგრამ
მოხუცი მამის მკვლელობაში - უდანაშაულო ვარ! ამის გაფიქრებაც კი მზარავს!
თავზარდამცემი რამაა! ყველაფერს დაგიმტკიცებთ, უცბად დარწმუნდებით
ყველაფერში. თავად ბევრს იცინებთ, ბატონებო, თქვენი ეჭვების გამო, სიცილით
დაიხოცებით!..
- დამშვიდდით, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - შეახსენა გამომძიებელმა, თითქოს
თავისი სიმშვიდით უნდოდა დაეჩაგრა გახელებული მიტია. - სანამ დაკითხვას
გავაგრძელებთ, მე მინდოდა, რასაკვირველია, თუ თქვენი ნებაც იქნება, გამეგო
თქვენი პასუხი იმის თაობაზე, რომ თქვენ, მგონი, არ გიყვარდათ განსვენებული
ფიოდორ პავლოვიჩი, მასთან გამუდმებული შეხლა-შემოხლა გქონდათ... აქვე, ამ

თხუთმეტი წუთის წინ განაცხადეთ კიდეც, რომ გინდოდათ მისი მოკვლა: „არ მომიკლავს, - წამოიძახეთ თქვენ, - მაგრამ მინდოდა მოკვლაო!“
- ეს მე წამოვიძახე? შესაძლებელია, ბატონებო! დიახაც, საუბედუროდ, მინდოდა მისი მოკვლა, ბევრჯერ მინდოდა... საუბედუროდ, ჩემდა სავალალოდ!
- გინდოდათ. თუ შეიძლება, აგვიხსენით, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდით, ასე რატომ გეჯავრებოდათ მამათქვენი?
- აგიხსნით, ბატონებო! - მიტიამ კოპები შეკრა და დანაღვლიანებულმა თავი ჩაქინდრა. - მე ხომ ჩემს გრძნობებს არასოდეს ვმალავდი, ამის შესახებ მთელმა ქალაქმა იცოდა - სამიკიტნოში ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ამას წინათ მონასტერში ბერი ზოსიმას სენაკშიც განვაცხადე... იმავ საღამოს კინაღამ მართლა შემომაკვდა. დავემუქრე, კიდევ მოვალ და მოწმეების თანდასწრებით მოგკლავ-მეთქი... ქვეყანა მოწმეა! მთელი თვეა ამას გავყვირი, ყველა მოწმეა!.. ფაქტი სახეზეა, ფაქტი მეტყველებს, ყვირის, მაგრამ - გრძნობა, ბატონებო, გრძნობა სხვა რამეა... იცით, რას გეტყვით, ბატონებო, - გააგრძელა დაღვრემილმა მიტიამ, - მე მგონია, არ გაქვთ უფლება, ჩემი გრძნობების შესახებ დამკითხოთ. მიუხედავად იმისა, უფლებამოსილება გაქვთ მონიჭებული, კარგად მესმის ეს, და მაინც ჩემი გრძნობები ჩემი პირადი საქმეა, ინტიმური, მაგრამ... ვინაიდან ჩემს გრძნობებს არ ვფარავდი ადრე... მაგალითად, სამიკიტნოში, ყველას ყველაფერს ვუყვებოდი, არც ახლა დავფარავ რაიმეს. მესმის, ბატონებო, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ ბევრი საშინელი სამხილი გაგიჩნდებათ: ყველას ვეუბნებოდი, რომ მოვკლავდი და უცებ მართლაც მოკლეს. ხომ შეიძლებოდა, მე მომეკლა? ხა-ხა! მიპატიებია, ბატონებო, მიპატიებია. თავად ეპიდერმამდე[111] შეძრწუნებული ვარ - ვინ მოკლა, მე თუ არ მომიკლავს-მეთქი? ასე არ არის? მე თუ არა, მაშ ვინ, ვინ? ბატონებო, - უცებ იღრიალა მიტიამ, - მინდა ამის ცოდნა, მოვითხოვ თქვენგან, მითხრათ: სად მოკლეს? როგორ მოკლეს? რით მოკლეს? მითხარით, - სწრაფად ჩამოთვალა მან კითხვები და პროკურორსა და გამომძიებელს გადახედა.
- ვნახეთ თავის კაბინეტში, თავგატეხილი გულაღმა ეგდო იატაკზე, - მოახსენა პროკურორმა.
- საშინელებაა ეს, ბატონებო, - ანაზდად შეკრთა მიტია და მაგიდაზე დაყრდნობილმა მარჯვენა ხელით სახე დაიფარა.
- გავაგრძელოთ, - შეაწყვეტინა ნიკოლაი პარფენოვიჩმა. - მაშ ასე, მითხარით, რატომ გეჯავრებოდათ მამა? თქვენ სადღაც გითქვამთ, მიზეზი ეჭვიანობა იყოო?
- დიახ, ეჭვიანობა, მაგრამ არა მარტო ეგ.
- ფულის თაობაზე დავა?
- დიახ, მაგისთვისაც.
- როგორც მე ვიცი, სამი ათასზე გქონდათ დავა, რომელიც თითქოს მემკვიდრეობაში დაგაკლოთ.
- რომელ სამზეა ლაპარაკი! მეტი, გაცილებით მეტი, - იყვირა მიტიამ, - ექვსზე მეტი, შესაძლოა ათზე მეტიც. ყველას ვეუბნებოდი, ყველასთან ვჩიოდი! მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, სამი ათასს დავყაბულებოდი და შევრიგებოდი. მაშინ ძალიან მჭირდებოდა სამი ათასი. ასე რომ, იმ სამი ათასს, რომელიც მას ბალიშის ქვეშ ჰქონდა გადამალული გრუშენკასათვის, იმ ფულს მე ჩემგან მოპარულად ვთვლიდი, ბატონებო, ჩემად მიმაჩნდა, ჩემს საკუთრებად...
პროკურორმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გამომძიებელს და თვალი

ჩაუკრა.
- ჩვენ ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით, - ჩაილაპარაკა მაშინვე გამომძიებელმა, - თქვენი ნებართვით, ამას ოქმში შევიტანთ: თქვენ თვლით, რომ ფული, რომელიც კონვერტში იდო, თქვენ გეკუთვნოდათ.
- ჩაწერეთ, ბატონებო, ჩემთვის გასაგებია, ეს რომ კვლავ ჩემი სამხილია, მე სამხილების არ მეშინია, მე თავად ვლაპარაკობ ჩემს შესახებ! ასე მგონია, ბატონებო, სულ სხვა კაცი გგონივართ, ვიდრე სინამდვილეში ვარ, - დასძინა დამწუხრებულმა. - ახლა თქვენ გელაპარაკებათ კეთილშობილი ადამიანი, უკეთილშობილესი პიროვნება, მთავარია - ეს არ გამოგრჩეთ მხედველობიდან - ეს ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენი კაცი ყოველთვის იყო და არის უკეთილშობილესი არსება, შინაგანად, სიღრმეში, მოკლედ, ამაზე კარგად გამოთქმა არ მეხერხება... ამიტომაც, მთელი ჩემი ცხოვრება ვიტანჯებოდი იმისათვის, რომ კეთილშობილება მწყუროდა, ვიყავი, ასე ვთქვათ, კეთილშობილებისათვის ტანჯული, კეთილშობილების ფარნით მაძიებელი, დიოგენეს ფარნით. ამავე დროს, მთელი ცხოვრება სისაძაგლეს ჩავდივარ, როგორც ყველა, ბატონებო... უფრო უპრიანი იქნება, მხოლოდ მე, ბატონებო, ყველა კი არა, მხოლოდ მე; შევცდი, მხოლოდ მე, მე!.. ბატონებო, თავი ამტკივდა ძალიან, - დაიღრიჯა შეწუხებული მიტია, - იცით რა, ბატონებო, არ მომწონდა მისი უწმაწური გარეგნობა, ბაქიობა, მისი აგდებული დამოკიდებულება ყოველგვარი სიწმინდის მიმართ, ცინიზმი და ურწმუნობა, ყოველივე ეს საზიზღრობა იყო, საზიზღრობა! თუმცა ახლა, როცა აღარ არის, სხვანაირად ვფიქრობ.
- როგორ სხვანაირად?
- არა, სხვანაირად კი არა, ვნანობ, ასე რომ მეზიზღებოდა.
- სინანულის გრძნობა გეუფლებათ?
- არა, სინანულის არა, ეს არ ჩაწეროთ. მე თავად არ ვარ კარგი კაცი, ბატონებო, არც მე გამოვირჩევი სილამაზით, ამიტომაც არ მქონდა უფლება ის ჩამეთვალა საზიზღრობად, აი, რა! ეს თუ გინდათ, ჩაწერეთ.
ამის თქმის შემდეგ მიტიამ ძალიან მოიწყინა. უკვე კარგა ხანი იყო, გამომძიებლის კითხვები ხასიათს უფუჭებდა. სწორედ ამ წუთებში მოხდა ერთი მოულოდნელი რამ. საქმე ის იყო, რომ წეღან როცა გრუშენკა წაიყვანეს, არც ისე შორს წაუყვანიათ ამ ცისფერი ოთახიდან, სადაც დაკითხვა მიმდინარეობდა, ის მესამე ოთახში იმყოფებოდა. ეს პატარა, ერთფანჯრიანი ოთახი იმ დიდი ოთახის შემდეგ მდებარეობდა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ღრეობდნენ მოქეიფეები. ოთახში გრუშენკასთან ერთად მაქსიმოვიც იმყოფებოდა. ეს ერთობ შეშინებული არსება გრუშენკას არ სცილდებოდა, თითქოს შველას მისგან ელოდა. კართან ვიღაც კაცი იდგა, რომელსაც მკერდზე ბალთა ეკიდა. გრუშენკა ტიროდა, მაგრამ უცებ წამოხტა, ხელი ხელს შემოჰკრა და მთელი ხმით იყვირა: „ვაი, ჩემს დღეს, ვაი!“ და მიტიას ოთახისაკენ გავარდა. ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, ხელი ვერავინ შეუშალა. როცა მიტიას გრუშენკას ხმა შემოესმა, შეაკანკალა, წამოხტა, მანაც იყვირა და თავდავიწყებით, კისრისტეხით გავარდა მის შესახვედრად. მაგრამ მათ შეხვედრის საშუალება არ მისცეს, თუმცა ერთმანეთს თვალი შეავლეს. მიტია გააკავეს: ის თავგამოდებული იბრძოდა, უნდოდა, პოლიციელებს ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სამი თუ ოთხი კაცი მაინც დასჭირდა მის გაკავებას. გრუშენკაც დაიჭირეს, მიტიას ესმოდა, როგორ კიოდა ქალი და ხედავდა, როგორ იწვდიდა მისკენ ხელებს, როცა

ოთახიდან გაყავდათ. ამ სცენის შემდეგ მიტია გონს მოვიდა. ისევ ძველ ადგილას, მაგიდასთან, გამომძიებლის პირდაპირ დაჯდა და აყვირდა:
- რა გინდათ მისგან, რატომ აწვალებთ? ის ხომ უდანაშაულოა, უდანაშაულო!..
პროკურორმა და გამომძიებელმა მიტიას დამშვიდება დაუწყეს. ამასობაში რაღაც დროც გავიდა, ასე ათი წუთი; ოთახში აღელვებული მიხაილ მაკაროვიჩი დაბრუნდა და პროკურორს ხმამაღლა მიმართა:
- ქალი ქვემოთ ჩაიყვანეს. ნება მომეცით, ბატონებო, ორიოდე სიტყვა ვუთხრა ამ უბედურს! რასაკვირველია, თქვენი თანდასწრებით, ბატონებო, თქვენი თანდასწრებით!
- მოწყალება მოიღეთ, მიხაილ მაკაროვიჩ, - უპასუხა გამომძიებელმა, - ამ შემთხვევაში ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, მისმინე, შვილო, - დაიწყო მიხაილ მაკაროვიჩმა, მისი აღელვებული სახე გამოხატავდა ამ უბედური კაცის მიმართ მამობრივ თანაგრძნობას, - ახლა შენი აგრაფენა ალექსანდროვნა ქვევით, ფუნდუკის პატრონის ქალიშვილებთან ჩავიყვანე, მასთან ერთად მაქსიმოვია, დავამშვიდე, გესმის? დავამშვიდე და გავაგებინე, რომ შენ ახლა თავი უნდა გაიმართლო, ამიტომ ვთხოვე, ხელი არ შეგიშალოს, დარდზე დარდი არ მოგიმატოს, თორემ შეიძლება შენც დაიბნე და შენს თავს ავნო, საკუთარ თავზე სწორი ჩვენება არ მისცე, გამიგე? მოკლედ ველაპარაკე და მან ყველაფერი გაიგო. ის, ჩემო კარგო, კეთილი და გონიერი დედაკაცია, ჩემი ბებერი ხელების კოცნა დააპირა, შენზე მევედრებოდა. თავად გამომგზავნა შენთან და დამაბარა, ჩემი დარდი არ გქონდესო. ახლა მე ქვევით უნდა ჩავიდე და გავაგებინო, რომ შენ დამშვიდდი. ასე რომ, დამშვიდდი. მის წინაშე დამნაშავე ვარ, ბატონებო, ის ქრისტიანი ადამიანია, უწყინარი არსება, არაფერში ბრალი არ მიუძღვის. აბა, რას მაბარებ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, მასთან, ხომ იქნები მშვიდად?
კეთილმა კაცმა ცოტა ზომაზე მეტი ილაპარაკა, მაგრამ, ეტყობოდა, გრუშენკას მწუხარებამ ისე აუჩუყა გული, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მიტია წამოხტა და ეცა მას.
- მაპატიეთ, ბატონებო, მაპატიეთ, ნება მიბოძეთ, ნება მიბოძეთ! - ყვიროდა ის, - ანგელოზი კაცი ხართ, ანგელოზი, მიხაილ მაკაროვიჩ, უსაზღვროდ მადლობელი ვარ თქვენი! აწი, დავმშვიდდები, დავშოშმინდები, გავმხიარულდები კიდეც და ვიცინებ, რადგან მეცოდინება, რომ ისეთი მფარველი ანგელოზი, როგორიც თქვენა ხართ, მის გვერდით მეგულებით. ახლავე ყველაფერს მოვათავებ და როგორც კი გავთავისუფლდები, უმალ მასთან გავჩნდები, დამიცადოს! ბატონებო! - მიუბრუნდა ის გამომძიებელსა და პროკურორს, - ახლა გულს გაგიხსნით, ყველაფერს გეტყვით, ყველაფერს უცებ მოვათავებთ, მხიარულად მოვათავებთ, ბოლოს კი ყველა ერთად გემოზე ვიცინებთ, ხომ ასეა? ბატონებო, ეს ქალი - ჩემი გულის მეუფეა! ნება მიბოძეთ, ამის შესახებ გითხრათ, არაფერი მაქვს დასამალი... ვხედავ, კეთილშობილ ხალხთან მაქვს საქმე: რომ იცოდეთ, ეს ქალი ჩემი თვალისჩინია, ჩემი სიწმინდე! ხომ გაიგონეთ მისი კივილი: „შენთან ერთად სასჯელსაც მივიღებო!“ მე მისთვის არაფერი მიმიცია, ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, ვარ კი მისი სიყვარულის ღირსი, რა ფასი მაქვს, სამარცხვინო შესახედაობის, ერთ მოუქნელ და საზიზღარ პიროვნებას წარმოვადგენ, ნუთუ ასეთ ქალს უნდა ვუყვარდე, ნუთუ ასეთი ქალი ჩემთან ერთად კატორღაში უნდა ეწამოს?! ჩემი გულისათვის ფეხებში ჩაგივარდათ ამაყი და უდანაშაულო ქალი! როგორ არ უნდა

მიყვარდეს ის, როგორ არ უნდა მივისწრაფოდე მისკენ?! ბატონებო, მაპატიეთ! ახლა უკვე დამშვიდებული ვარ!
მიტია სკამზე დაეცა, ორივე ხელით სახე დაიფარა და აქვითინდა. მაგრამ ეს ცრემლები ბედნიერი კაცის ცრემლები იყო. ის უცებ მოვიდა აზრზე. მოხუცი პოლიციის უფროსი ძალიან კმაყოფილი დარჩა, მგონი იურისტებიც: მათ იგრძნეს, დაკითხვა რომ ახალ ფაზაში შედიოდა. პოლიციის უფროსის გაცილების შემდეგ მიტია უფრო გამხიარულდა.
- ახლა, ბატონებო, თქვენს განკარგულებაში ვარ. და... თუ არა ეს წვრილმანები, აქამდე ყველაფერი მოთავებული გვექნებოდა. მე ისევ წვრილმანებზე ვლაპარაკობ. ბატონებო, თქვენს განკარგულებაში ვარ, მაგრამ, გეფიცებით, საჭიროა ურთიერთნდობა - მე თქვენ უნდა გენდოთ, თქვენ - მე. თუ არადა, ჩვენ ვერასოდეს მოვათავებთ. თქვენთვის ვამბობ. საქმეს შევუდგეთ, ბატონებო, საქმეს და, რაც მთავარია, ჩემს სულში ხელების ფათურს შეეშვით, წვრილმანებით ნუ გამაწამებთ, შემეკითხეთ საქმისა და ფაქტების გარშემო, ყველა კითხვაზე გიპასუხებთ. წვრილმანები ეშმაკსაც წაუღია!
ამას ხმამაღლა ამბობდა მიტია. დაკითხვა კვლავ გაგრძელდა.

IV ტანჯვა მეორე

- თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაგვაიმედეთ თქვენი მზადყოფნით, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - ყოჩაღად დაიწყო აშკარად კმაყოფილმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა და დიდი, გადმოკარკლული ღია ნაცრისფერი თვალები, საიდანაც ამ ერთი წუთის წინ სათვალეები მოიხსნა, სიამოვნებისაგან აუკიაფდა, - თქვენ სამართლიანად შენიშნეთ ურთიერთნდობის შესახებ, ურომლისოდაც ხანდახან შეუძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი საქმის წარმოება, როცა ეჭვმიტანილს ნამდვილად სურს, იმედი აქვს და შეუძლია კიდეც გაიმართლოს თავი. ჩვენ, ჩვენდა თავად, ყველა ღონეს ვიხმართ, თქვენ თავადაც კარგადა ხედავთ, როგორ მიგვყავს ეს საქმე... თქვენ ხომ თანახმა ხართ, იპოლიტ კირილოვიჩ? - მიმართა მან პროკურორს.
- ოო, უეჭველად, - დაეთანხმა პროკურორი, თუმცა იგი აღტკინებულ ნიკოლაი პარფენოვიჩთან შედარებით გაცილებით ცივად გამოიყურებოდა.
აქვე მინდა აღვნიშნო: ნიკოლაი პარფენოვიჩი იპოლიტ კირილოვიჩის გაცნობისთანავე მისდამი განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა და გულითა და სულით დაუახლოვდა. ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელმაც ნამდვილად ირწმუნა, რომ „სამსახურში დაჩაგრული“ იპოლიტ კირილოვიჩი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ორატორული ტალანტის მქონე პიროვნებას წარმოადგენდა და ღრმად სჯეროდა, ამის გამო პროკურორი გულნატკენი რომ უნდა ყოფილიყო. ასევე, ახალგაზრდა ნიკოლაი პარფენოვიჩი გახლდათ ამქვეყნად ერთადერთი კაცი, რომელიც გულწრფელად შეიყვარა ჩვენმა „გულნატკენმა“ პროკურორმა. აქეთობისას, გზაში, ამ საქმის თაობაზე მათ მოითათბირეს და ახლა ნიკოლაი პარფენოვიჩის გამჭრიახი ჭკუა უცებ უგებდა თავისი უფროსი მეგობრის ყოველგვარ მინიშნებას, უთქმელადაც, მხოლოდ სახის გამომეტყველებითა თუ თვალის ჩაკვრით.
- ბატონებო, ნება მიბოძეთ, ჯერ მე ვილაპარაკო, წვრილმანი კითხვებით ნუ

შემაწყვეტინებთ, ყველაფერს უცებ მოვყვები, - ჩქარობდა მიტია.
- მშვენიერია, ბატონო. დიდი მადლობელი დაგრჩებით. მაგრამ, ვიდრე მოვისმენდეთ თქვენს შეტყობინებას, მანამდე ნება მოგვეცით, ერთი ფაქტის კონსტატირება მოვახდინოთ, რომელიც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. საქმე ეხება ათ მანეთს, რომელიც თქვენ გუშინ ხუთ საათზე გამოართვით პიოტრ ილიჩ პერხოტინს და სამაგიეროდ დაუტოვეთ პისტოლეტები.
- დავაგირავე, ბატონებო, დავაგირავე ათ მანეთად, მერე რა მოხდა? ასე იყო. როგორც კი დავბრუნდი ქალაქში, მაშინვე დავაგირავე.
- საიდან დაბრუნდით, ქალაქგარეთ იყავით?
- დიახ, აქედან ორმოცი ვერსის დაშორებით, ბატონებო, თქვენ ეს არ იცოდით?
პროკურორმა და გამომძიებელმა ერთმანეთს გადახედეს.
- კარგი იქნება, თუ თქვენ თხრობას გუშინდელი დღის სრული აღწერით დაიწყებთ. გთხოვთ, გაგვაგებინოთ, როდის წახვედით ქალაქიდან და როდის დაბრუნდით, ყველა ფაქტი.
- ეგრე გეთქვათ თავიდანვე, - ხმამაღლა გაიცინა მიტიამ, - თუ ინებებთ, ეს ამბავი უნდა დავიწყოთ გუშინდლიდან კი არა, გუშინწინისწინა ამბებით, დილიდან. მაშინ მიხვდებით, სად, როგორ და რატომ გავემგზავრე. ამ სამი დღის წინ, დილით, მე მივედი აქაურ ვაჭართან, სამსონოვთან, 3 ათასი მანეთის სასესხებლად, - ეს უცებ ავიხირე, ბატონებო, უცებ ავიჩემე...
- უკაცრავად, შეგაწყვეტინებთ, - თავაზიანად უთხრა პროკურორმა, - უცებ რატომ დაგჭირდათ ასეთი თანხა, მაინცდამაინც სამი ათასი?
- ეხ, ბატონებო, ასე ნუ დაწვრილმანდებით! როგორ, როდის, რისთვის, რატომ ამდენი ფული და არა ამდენი. შეეშვით იწილო-ბიწილო კითხვებს... ასე ხომ სამი ტომი არ გეყოფათ ჩემი საქმის აღსაწერად, შეიძლება ეპილოგიც დაგჭირდეთ!
მიტიამ, ყველაფერი ეს კეთილგანწყობილი და ფამილიარული ტონით წარმოთქვა, ისეთი კაცივით, რომელსაც სრული სიმართლის თქმა სურს და კეთილი ზრახვები გააჩნია.
- ბატონებო, - უცებ რაღაც გაახსენდა მიტიას, - ძალიან გთხოვთ, არ მისაყვედუროთ ჩემი უკმეხობის გამო. დამიჯერეთ, სრულად ვგრძნობ ამ საქმის სერიოზულობას. არ გეგონოთ, სიმთვრალე მალაპარაკებდეს. უკვე გამოვფხიზლდი. მაგრამ მთვრალიც რომ ვიყო, მაინც არაფერია. მე ხომ ასეთი კაცი ვარ:
ვფხიზლდები და ჭკუას მოვალ - ბრიყვი ვხდები.
გამოვტყვრები, გავბრიყვდები - ვჭკვიანდები.
ხა-ხა! ისე კი, ბატონებო, კარგად ვხდები, ჯერ ჩემთვის უხერხულია თქვენთან ასე შეთამამებული ხუმრობა, ვიდრე ყოველივე არ გაირკვევა. ნება მიბოძეთ, დავიცვა საკუთარი ღირსება. ახლა ძალიან კარგად ვხედავ ჩემსა და თქვენს შორის სხვაობას: თქვენთვის ახლა მე ბოროტმოქმედი ვარ, მაშასადამე, არათანასწორი, თქვენ დავალებული გაქვთ, თვალყური მადევნოთ, თავზე ხელს ხომ არ გადამისვამთ იმის გამო, გრიგორის თავი რომ გავუტეხე, ხომ არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს კაცი, რომელიც მოხუცებულს სანაყით თავს გაუხეთქავს. ამისათვის ალბათ ნახევარი წლით მაინც ვირის აბანოში მიკრავთ თავს, შეიძლება ერთი წლითაც, დასაწყნარებლად, ალბათ ამას სასამართლო გადაწყვეტს, მაგრამ უფლებები არ უნდა ჩამომართვან, ხომ არ ჩამომართმევენ უფლებებს, პროკურორო? მაშ ასე, ბატონებო, მე კარგად ვხედავ თქვენსა და ჩემს შორის

სხვაობას... მაგრამ იმაშიც უნდა დამეთანხმოთ, რომ თქვენი კითხვებით, შესაძლებელია, ღმერთსაც კი აერ-დაერიოს ჭკუა-გონება: საით წახვედიო, როგორ მიხვედიო, როდის მიხვედიო, სად შეხვედიო? თუ ამდენ კითხვას ერთბაშად მომაყრით, ასე ხომ შეიძლება დავიბნე, თქვენ კი ყველა ჩემს შეცდომას დანაშაულად დააფიქსირებთ, მაშინ რა გამოვა? არაფერიც არ გამოვა! დაბოლოს, თუკი მე ტყუილების ლაპარაკი დავიწყე, დამაცადეთ და მაპატიეთ, ბატონებო, თქვენ ხომ განათლებული და კეთილშობილი ხალხი ხართ. ჩემს თხოვნას ასე დავამთავრებ: ბატონებო, თავი დაანებეთ ამ ჩინოვნიკურ დაკითხვას, მხედველობაში მაქვს წვრილმანებში კირკიმალი: „როდის ადექი, რა ჭამე, სად გადააფურთხე?“ დამნაშავის ყურადღება რომ მოადუნოთ და შემდეგ უცებ აჯახოთ: „ვინ მოკალი, ვინ გაძარცვე?“ ხა-ხა! ესაა თქვენი მეთოდები, ასე გაქვთ დაწესებული, ამაზეა თქვენი ეშმაკობა აგებული! ასეთი ხრიკებით თქვენ გლეხუჭების გაბრუებას თუ შეძლებთ, ჩემთან არაფერი გამოგივათ. მე ყველაფერი კარგად მესმის, თავად ვმსახურობდი, ხა-ხა-ხა! ნუ გამიწყრებით, ბატონებო, მაპატიებთ ამ კადნიერებას? - იყვირა მან და შეხედა მათ განსაცვიფრებელი გულახდილობით, - რაკი მიტკა კარამაზოვმა თქვა, უნდა აპატიოთ, რაც ჭკვიან კაცს არ ეპატიება, ის მიტკას ეპატიება! ხა-ხა!
ნიკოლაი პარფენოვიჩი უსმენდა და ისიც იცინოდა, პროკურორი არ იცინოდა, თვალმოუშორებლად აკვირდებოდა მიტკას, თითქოს არ უნდოდა გამორჩენოდა არც ერთი მისი სიტყვა, არც ერთი მოძრაობა, სახეზე სულ მცირე ცვლილებებიც კი.
- თავიდან ჩვენ ასეც დავიწყეთ, - უპასუხა კვლავ მოცინარმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - ვცდილობდით, ისეთი კითხვებით არ დაგვებნიეთ, როგორიცაა: დილას როდის ადექით, რა ჭამეთ და ა.შ. გეკითხებოდით მხოლოდ არსებითზე.
- მესმის, ყველაფერი გავიგე და შევაფასე, დიდად ვაფასებ თქვენს ჩემდამი კეთილშობილურ დამოკიდებულებას. ჩვენ აქ სამი კეთილშობილი პიროვნება ვსხედვართ და, დაე, ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც ეს განათლებულ და ღირსეულ აზნაურებს შეგვეფერება. ყოველ შემთხვევაში, ნება მომეცით, თქვენ ჩაგთვალოთ ჩემს საუკეთესო მეგობრებად ჩემი ღირსების ამ საშინლად დამამცირებელ წუთებში! ხომ არ გეწყინებათ ეს, ბატონებო, ხომ არ გწყინთ?
- პირიქით, თქვენ ისე მშვენივრად თქვით ყველაფერი, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - დინჯად დაეთანხმა ნიკოლაი პარფენოვიჩი.
- იმ წვრილმანებს კი, ბატონებო, იმ მზაკვრულ წვრილმანებს შეეშვით, - იყვირა აღტაცებულმა მიტიამ, - თორემ არ ვიცი, რა გამოვა, ასე არ არის?
- დიახ, თქვენს გონივრულ რჩევას კვალდაკვალ გავყვები, - უცებ ლაპარაკში პროკურორი ჩაერთო, - მაგრამ ჩემს კითხვაზე უარს ვერ ვიტყვი. ჩვენთვის ძალზე არსებითი და აუცილებელია იმის გაგება, რისთვის დაგჭირდათ ზუსტად ასეთი რაოდენობის თანხა, სამი ათასი მაქვს მხედველობაში?
- რისთვის დამჭირდა? იმისათვის, ამისათვის... ვალი უნდა გამესტუმრებინა.
- ვისი ვალი?
- ამაზე შეგნებულად არ გიპასუხებთ, ბატონებო! არა იმიტომ, რომ არ შემიძლია თქმა ან მეშინია რამესი, არამედ იმიტომ, რომ ეს უბრალო საქმეა, უმნიშვნელო რამ, თანაც პრინციპის გამო: ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა და არავის მივცემ უფლებას, ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს. ასეთია ჩემი პრინციპი. თქვენი კითხვა საქმეს არ ეხება, ხოლო რაც საქმეს არ ეხება, ის ჩემი პირადი ცხოვრებაა! ვალი უნდა გადამეხადა, ღირსების ვალი, ვის - ამას არ გეტყვით.

- ნება მოგვეცით, ჩავწეროთ ეს, - თქვა პროკურორმა.
- ძალიან დამავალებთ. ასეც ჩაწერეთ: არ გეტყვით, არ გეტყვით. ჩაწერეთ ასე, ბატონებო, რომ უნამუსობადაც მიმაჩნია ამისი თქმა. ვხედავ, ბევრი დრო გაქვთ, წერეთ!
- მოწყალეო ხელმწიფევ, ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ შეგახსენოთ და გაგაფრთხლოთ, თუ არაფერი იცით ამის თაობაზე, - განსაკუთრებულად მკაცრი ტონით თქვა პროკურორმა, - თქვენ სრული უფლება გაქვთ, არ უპასუხოთ ჩვენ კითხვებს. ჩვენ არა გვაქს უფლება, გაიძულოთ, თუკი თქვენ გარკვეული მიზეზის გამო არა გსურთ პასუხი გაგვცეთ. ეს თქვენი პირადი საქმეა. მაგრამ ჩვენი საქმეა განგიმარტოთ, თუ რა ზიანის მოყენება შეუძლია ამა თუ იმ ჩვენებაზე უარის თქმას. ახლა გთხოვთ, გავაგრძელოთ.
- ბატონებო, მე კი არა მწყინს... მე... - აბურტყუნდა პროკურორის შეგონებებით შეცბუნებული მიტია, - ბატონებო, ის სამსონოვი, ვისთანაც მე მაშინ გახლდით...
რასაკვირველია, ახლა არ შევუდგებით იმის ზედმიწევნით თხრობას, რაც მკითხველისათვის უკვე კარგადაა ცნობილი. მიტიას აუჩქარებლად უნდოდა ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა, მაგრამ ამავე დროს ჩქარობდა. მისი მონაყოლის მიხედვით კეთდებოდა ჩანაწერი, აუცილებლობის შემთხვევაში აჩერებდნენ. მიტიას ეს აღაშფოთებდა, პროტესტს აცხადებდა, მაგრამ ემორჩილებოდა, ხანდახან კი აყვირდებოდა ხოლმე: „ბატონებო, ეს ღმერთსაც კი გამოიყვანს წყობიდან“, ან „ბატონებო, იცით თუ არა თქვენ, რომ ტყუილუბრალოდ მაღიზიანებთ?“ მაგრამ მიუხედავად ამისა, მეგობრული, ექსპანსიური განწყობილება არ შესცვლია. ამგვარად მოუთხრო მათ, ამ სამი დღის წინ როგორ „გააბითურა“ სამსონოვმა (ის ახლა უკვე ხვდებოდა, რომ მაშინ მწარედ მოატყუეს). გამომძიებლისა და პროკურორის განსაკუთრებული ინტერესი გზის ფულის უქონლობის გამო ოქროს საათის ექვს მანეთად გაყიდვის ფაქტმა გამოიწვია, რომელიც აქამდე მათთვის უცნობი იყო. და მიუხედავად მიტიას უსაზღვრო უკმაყოფილებისა, საჭიროდ ჩათვალეს ეს ფაქტი ზუსტად ჩაეწერათ, როგორც მეორადი დადასტურება იმ გარემოებისა, რომ მკვლელობის წინა დღეებში ეჭვმიტანილს გროშ-კაპიკიც არ გააჩნდა. მიტია თანდათან იბოღმებოდა. ამის შემდეგ მან აღწერა ლიაგავისთან გამგზავრება, სოფლის დახუთულ ქოხში გატარებული ღამე და სხვა ამბები, მოყოლა დაამთავრა ქალაქში დაბრუნებით. უცებ, არავის არ უთხოვია ისე, მიტიამ დაიწყო დაწვრილებითი აღწერა, როგორ ეჭვიანობდა გრუშენკაზე, როგორ ტანჯავდა მას ეჭვები. დამსწრე საზოგადოება მას გულდასმით, ხმაამოუღებლად უსმენდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს იმ ფაქტის მიმართ, თუ როგორ მოაწყო მიტიამ სათვალთვალო პუნქტი ფიოდორ პავლოვიჩის მეზობლის, მარია კონდრატიევნას ეზოში და როგორ ატყობინებდა სახლის ამბებს სმერდიაკოვი. ამ გარემოებას ჩანაწერში საგანგებოდ გაუსვეს ხაზი. აღელვებული მიტია თავის ეჭვიანობის შესახებ ყველაფერს ჰყვებოდა, თუმცა შინაგანად რცხვენოდა, ასე სახალხოდ რომ გამოაფინა თავისი ინტიმური გრძნობები, მაგრამ ალბათ დაძლია სირცხვილი, ალალ-მართალი რომ გამოსულიყო. თხრობის დროს გამომძიებლის და განსაკუთრებით პროკურორის მიტიასადმი გულცივმა და მკაცრმა დამოკიდებულებამ ძალიან დააბნია მიტია. „ამ ლაწირაკ ნიკოლაი პარფენოვიჩთან, რომელთანაც ერთად ჯერ კიდევ ამას წინათ ქალებზე ვლაზღანდარაობდი და ამ ჭირიან პროკურორთან არ ღირს გულახდილი

ლაპარაკი, - ნაღვლიანად გაიფიქრა მიტიამ, - სამარცხვინოა! - „ითმინე, იყუჩე, დადუმდი," - ლექსად დაასრულა ფიქრი. მაგრამ ისევ მოიკრიბა ძალა და განაგრძო თხრობა. როცა ხოხლაკოვაზე დაიწყო საუბარი, ისევ გამხიარულდა, მოუნდა ამ ქალბატონზე ერთი ანეკდოტის მოყოლა, რომელსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მაგრამ გამომძიებელმა გააჩერა და სთხოვა, „უფრო არსებითზე" ილაპარაკეთო. დასასრულს, მიტიამ აღწერა თავისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა, როცა ხოხლაკოვასაგან გამოდიოდა, თუ როგორ გაიფიქრა: „ამას სჯობს, ვინმეს კისერი გამოვჭრა და ისე ვიშოვო სამი ათასიო". ეს თქვა თუ არა, გააჩერეს და ის ნაფიქრალი ჩაიწერეს. მიტიას კრინტი არ დაუძრავს, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბოლოს თხრობა იმ ადგილამდე მივიდა, როცა მიტიამ მოულოდნელად შეიტყო, რომ თურმე გრუშენკამ მოატყუა, იმის მაგივრად, რომ სამსონოვთან შუაღამემდე მჯდარიყო, ქალი მაშინვე შინ დაბრუნებულა. „ბატონებო, მე თუ მაშინ ფენია არ მოვკალი, მარტოოდენ იმიტომ, რომ არ მეცალა," - კვლავ წამოროშა მიტიამ. ეს მომენტიც სიტყვა-სიტყვით ჩაიწერეს. ერთხანს წარბშეკრული მიტია დუმდა და ის-ის იყო, დააპირა თხრობის გაგრძელება იმის შესახებ, თუ როგორ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მამამისის სახლისაკენ, რომ გამომძიებელმა შეაწყვეტინა. მან გახსნა დივანზე დადებული დიდი პორტფელი და სპილენძის სანაყი ამოიღო.
- გეცნობათ ეს საგანი? - აჩვენა მიტიას.
- დიახ! - მწარედ ჩაეცინა მას, - როგორ არ მეცნობა! შემახედეთ... ეშმაკმა დალახვროს, საკმარისია!
- თქვენ ამის შესახებ არაფერი გითქვამთ, - შენიშნა გამომძიებელმა.
- ეშმაკმა დალახვროს! ნუთუ გგონიათ, შეგნებულად არ ვთქვი, უმაგისოდ როგორ იქნება? უცებ თავიდან ამომვარდა.
- კეთილი ინებეთ და მოგვახსენეთ, სად იშოვეთ ეს?
- ვინებებ, ბატონებო, ვინებებ.
და მიტია მოჰყვა, როგორ დაავლო ხელი სანაყს და როგორ გაიქცა.
- რა მიზანი გქონდათ, როცა ეს საგანი აიღეთ?
- რა მიზანი უნდა მქონებოდა? არავითარი მიზანი! ხელი ვტაცე და გავიქეცი.
- რისთვის, თუ რაიმე მიზანი არ გქონდათ?
მიტია ჯავრისაგან აღარ იყო. მან დაჟინებით შეხედა „ლაწირაკს" და მწარედ ჩაეცინა. საქმე ის იყო, რომ მას სულ უფრო და უფრო რცხვენოდა, ასე გულახდილად, გრძნობამორეული რომ მოუთხრობდა „ამნაირ ადამიანებს" თავისი ეჭვიანობის ამბებს.
- მიმიფურთხებია მაგ სანაყისათვის! - უცებ წამოროშა მიტიამ.
- და მაინც.
- ალბათ ძაღლის მოსაგერიელებლად. ბნელოდა... ისე, ყოველ შემთხვევისათვის.
- ადრეც დაგქონდათ ხოლმე რაიმე იარაღი, როცა ღამღამობით გარეთ გადიოდით, თუ სიბნელის ასეთი შიში გქონდათ?
- ფუი, დალახვროს ეშმაკმა! ბატონებო, თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია! - იყვირა გაცოფებულმა მიტიამ, სახეაწითლებული მწერლისაკენ მიბრუნდა და უღრიალა:
- ჩაწერე ახლავე... ამ წუთში... „ხელი წავავლე სანაყს და გავვარდი მამაჩემის ფიოდორ პავლოვიჩის მოსაკლავად... და თავში ვრეხვე-თქო!" ხომ კმაყოფილი ხართ, ბატონებო? გული იჯერეთ? - თქვა მიტიამ და გამომწვევად შეხედა

გამომძიებელსა და პროკურორს.
- კარგად გვესმის, ახლა ამნაირ ჩვენებას იმიტომ იძლევით, ჩვენზე გაღიზიანებული ხართ. არ მოგწონთ ჩვენი კითხვები, წვრილმანად გეჩვენებათ, მაგრამ ჩვენთვის სწორედ ეს კითხვებია არსებითი, - მშრალად ჩაილაპარაკა პასუხად პროკურორმა.
- როგორ გეკადრებათ, ბატონებო! დიახ, ავიღე სანაყი... ასეთ შემთხვევაში რისთვის ავლებენ ხოლმე რაღაც საგნებს ხელს? ვერაფერს გეტყვით. ხელი ვტაცე და გავიქეცი. მეტი არაფერი. სირცხვილია, ბატონებო, passons[112] თორემ გეფიცებით, მეტს აღარაფერს გეტყვით!
მიტია მაგიდას დაებჯინა და თავზე ხელები წაივლო. იჯდა და კედელს მიშტერებოდა, ცდილობდა, თავს მორეოდა. ახლა ძალიან უნდოდა, წამომხტარიყო და გამოეცხადებინა, რომ მეტს არაფერს აღარ იტყოდა, „თუნდაც სიკვდილი მიესაჯათ“.
- იცით რა, ბატონებო, -ამოღერღა მან, თავს ძლივს იკავებდა, - იცით, რას გეტყვით. გისმენთ და მაგონდება ერთი რამ... ხანდახან მესიზმრება ხოლმე ერთი სიზმარი, ხშირად ვნახულობ ამ სიზმარს, განმეორდება ხოლმე - თითქოს ვიღაცა მომდევს, ისეთი ვინმე, ვისიც ძალიან მეშინია, დამდევს სიბნელეში, ღამე ყველგან დამეძებს, მე კი ვიმალები ხან სად, ხან სად, სამარცხვინოდ ვიმალები, რაც მთავარია, მან ყოველთვის იცის ჩემი სამალავი, ცდილობს, გამაწამოს, თითქოს ვერ მნახულობს, რომ ჩემი ტანჯვით დატკბეს... თქვენც ახლა ზუსტად ასე იქცევით! რაღაც ამგვარად!
- ეს თქვენ ხედავთ ასეთ სიზმრებს? - დაინტერესდა პროკურორი.
- დიახ, ასეთ სიზმრებს ვხედავ... ამის ჩაწერასაც ხომ არ ინებებთ? - ჩაეცინა მიტიას.
- არა, ჩაწერა არაა საჭირო, ისე კი საინტერესო სიზმრები გქონიათ.
- ახლა ეს არაა სიზმარი! ეს რეალიზმია, ბატონებო, რეალიზმი, ნამდვილი ცხოვრება... მე მგელი ვარ, თქვენ მონადირეები, მომიქსიეთ მწევარ-მეძებრები.
- თქვენ ტყუილუბრალოდ მოიტანეთ ასეთი შედარება! - ნიკოლაი პარფენოვიჩი ცდილობდა, შერბილებული ტონით ეპასუხა.
- სულაც არა, ბატონებო, სულაც არა! - ისევ აღელდა მიტია, თუმცა მას შემდეგ, რაც თავს ნება მისცა, გამოეხატა თავისი აღშფოთება, თანდათან სიკეთე მოეძალა, - თქვენ შეიძლება არ გჯეროდეთ თქვენი კითხვებით გატანჯული ბოროტმოქმედის ან განსასჯელის, მაგრამ კეთილშობილი ადამიანის, ბატონებო, კეთილშობილი გრძნობების (ამას ხმამაღლა ვაცხადებ!) არ შეიძლება არ გჯეროდეთ... უფლებაც არა გაქვთ ამის... მაგრამ -
დადუმდი გულო,
ითმინე, იყუჩე, დადუმდი![113]
რა გაეწყობა, გავაგრძელოთ? - დაამთავრა კოპებშეკრულმა მიტიამ.
- ცხადია, დიდად დაგვავალებთ, - უპასუხა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.

V ტანჯვა მესამე

მიტია, მართალია, ნაწყენი ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა,

არაფერი დავიწყებოდა, არც ერთი წვრილმანი არ გამორჩენოდა. მოყვა, როგორ გადაევლო მამის ბაღის ღობეს, როგორ მიუახლოვდა ფანჯარას და რა მოხდა ფანჯარასთან. ზუსტად და გასაგებად, გამოწვლილვით აღწერა ბაღში ყოფნის დროს მასში აღძრული, იმ ეჭვით გამოწვეული, შემაშფოთებელი გრძნობები, მამასთან იყო თუ არა იმ წუთებში გრუშენკა. მაგრამ ყველაზე მეტად ის ეუცნაურა, ამჯერად პროკურორი და გამომძიებელი ძალზე თავდაჭერილები რომ უსმენდნენ, ცივად შესცქეროდნენ და გაცილებით ნაკლებ კითხვას უსვამდნენ. მიტიამ მათი გამომეტყველებიდან ვერაფერი გაიგო. „ალბათ დაბოღმილები არიან, - ფიქრობდა ის თავისთვის, - ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!“ როცა იმის მოყოლა დაიწყო, თუ როგორ დააპირა მამამისისათვის კაკუნით შეეტყობინებინა გრუშენკას მოსვლის ნიშანი, მას რომ კარი გაეღო, ამ დეტალს პროკურორმა და გამომძიებელმა ყურადღება სულაც არ მიაქციეს, თითქოს ვერ მიხვდნენ, რა დატვირთვა ჰქონდა ამ შემთხვევაში სიტყვა „ნიშანს“. მიტიამ ესეც შეამჩნია. დაბოლოს, როცა ჰყვებოდა იმ ამბავს, როგორ გამოყო მამამ ფანჯრიდან თავი, მის დანახვაზე როგორ აღევსო მიტიას ზიზღით გული, როგორ ამოიღო ჯიბიდან სანაყი, მიტიამ თითქოს განგებ შეწყვიტა თხრობა. ის იჯდა, კედელს შეჰყურებდა და გრძნობდა, როგორ დაჟინებით შესცქეროდნენ ისინი.

- მაშ ასე, - თქვა გამომძიებელმა, - თქვენ იარაღი ამოიღეთ... რა მოხდა შემდეგ?

- შემდეგ? შემდეგ მოვკალი... ხელი ვტაცე კეფაში და თავი გავუხეთქე... თქვენ ხომ ასე გსურთ, ასე გაწყობთ! - მიტიას ანაზდად თვალები ბრაზით აეხთო. მასში განელებულმა რისხვამ უცებ მთელი ძალით იფეთქა.

- ჩვენ ასე გვგონია, - თქვა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - თქვენ რას გვეტყვით?

მიტიამ თვალები დახარა და დიდხანს დუმდა.

- ჩემი აზრით კი, ბატონებო, ეს ასე იყო, - მშვიდად დაიწყო მან, - არ ვიცი, ვისმა ცრემლმა მიშველა, შესაძლოა, დედაჩემის სული შეევედრა ღმერთს, იქნებ რომელიმე ნათელი სული მეამბორა იმ წუთებში შუბლზე - არ ვიცი, მაგრამ ეშმაკს ვძლიე. ფანჯარას მოვშორდი და ღობისაკენ გავიქეცი... მამამ, როცა დამინახა, შეეშინდა, იყვირა და უკან დაიხია - ეს ძალიან კარგად მახსოვს. მე ბაღი გავირბინე, ღობესთან მივედი... ამ დროს წამომეწია გრიგორი. მე უკვე ღობეზე ვიჯექი...

მიტიამ, როგორც იქნა, შეხედა მსმენელებს. ისინი გულგრილად უყურებდნენ. მიტიას რაღაცნაირმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

- ბატონებო, თქვენ მგონი დამცინით! - უცებ შეწყვიტა მოყოლა მიტიამ.

- რატომ გგონიათ ასე? - შენიშნა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.

- ერთი სიტყვაც არ გჯერათ ჩემი და ამიტომ! მე მესმის, რა მძიმე მდგომარეობაში ვარ: იქ, სადღაც, თავგატეხილი მოხუცი გდია, მე კი გიყვებით, თუ როგორ მინდოდა მისი მოკვლა, როგორ წავავლე ხელი სანაყს და შემდეგ უცებ მოვშორდი ფანჯარას... ნამდვილი პოემაა! ლექსად! შეიძლება დაუჯეროთ ვაჟკაცის სიტყვას! ხა-ხა! დაცინვა გყვარებიათ, ბატონებო!

ის მთელი ტანით ისე შემობრუნდა სკამზე, რომ სკამი აჭრაჭუნდა.

- თქვენ ხომ არ შეგიმჩნევიათ, - ანაზდად დაიწყო ლაპარაკი პროკურორმა ისე, რომ სულაც არ მიუქცევია ყურადღება მიტიას საყვედურებისათვის, - არ შეგინიშნავთ, როცა ფანჯარას მოშორდით, ღია იყო თუ არა ბაღში გამავალი კარი?

- არა, არ იყო ღია.

- არა?
- დაკეტილი იყო, ვის უნდა გაეღო? აა, კარი, მოითმინეთ! - უცებ გონს მოეგო მიტია, - თქვენ რა, კარი ღია დაგხვდათ?
- ღია იყო.
- ვის შეეძლო გაეღო, თუ თქვენ არ გაგიღიათ? - ძალიან გაუკვირდა მიტიას.
- კარი ღია იყო და მკვლელიც, აუცილებლად, იმ კარიდან არის შესული. შევიდა, მოკლა და იმავე კარიდან გამოვიდა, - პროკურორი ნელ-ნელა, მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა სიტყვებს, - ეს ჩვენთვის სავსებით ნათელია. მკვლელობა კი ალბათ ოთახში მოხდა, ფანჯარასთან კი არა. ოთახის დათვალიერებამ და გვამის შემოწმებამ ეს დაადასტურა. ამაში საეჭვო არაფერია. მიტია გაოგნებული უსმენდა.
- შეუძლებელია, ბატონებო! - იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა მიტიამ, - მე... მე არ შევსულვარ... მე ნამდვილად არ შევსულვარ. ისიც ზუსტად ვიცი, კარი იმ დროს დაკეტილი იყო, მანამ მე ბაღში ვიყავი. მე მხოლოდ ფანჯარასთან ვიდექი, ის ფანჯარაში დავინახე, სხვა არაფერი, არაფერი... ყველა დეტალი მახსოვს. რომც არ მახსოვდეს, მაინც ვიცი, რადგან ნიშნები მარტო მე და სმერდიაკოვმა ვიცოდით, ცხადია, მიცვალებულმაც, ის კი შესაბამისი ნიშნის გარეშე კარს არავის გაუღებდა!
- ნიშნები? რა ნიშნებზეა ლაპარაკი? - ხარბად, თითქმის ისტერიული ცნობისმოყვარეობით წარმოთქვა პროკურორმა და უცებ დაკარგა თავდაჭერილობის უნარი. ეს მან შეპარვით, ძალზე ფრთხილად იკითხა. მიხვდა, რომ მიტიას რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი სამხილი წამოსცდა და დიდად შეშინდა - ვაითუ, გადაიფიქროს ამ ფაქტის სრულად გამხელაო.
- თქვენ არ იცოდით?! - დაცინვით თვალი ჩაუკრა მიტიამ და ღვარძლიანად ჩაიღიმა, - იქნებ არც გითხრათ? მერე ვისგან გაიგებთ? ამ ნიშნების შესახებ ვიცოდით მე, სმერდიაკოვმა და თავად მიცვალებულმა. მეტმა არავინ. შესაძლოა, კიდევ იცოდა ვინმემ მაღლა ზეცაში, მაგრამ ის ხომ არ გეტყვით. ფაქტი კი მეტად საინტერესოა, ყველანაირი კუდი შეიძლება გამოაბა, ხა-ხა! მშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონებო, არაფერს დაგიმალავთ. თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე! თქვენ ისეთ განსასჯელთანა გაქვთ საქმე, რომელიც საკუთარ თავს თავად დაადანაშაულებს, თავის საზიანოდ მისცემს ჩვენებებს! რამეთუ მე სინდისის რაინდი ვარ, თქვენ კი - არა!
პროკურორმა ეს შეურაცხყოფა გადაყლაპა, მას იმ წუთებში მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, როგორმე გაეგო ეს ახალი ფაქტი. მიტიამ გამოწვლილვით აღწერა ყველაფერი, რაც იმ ნიშნებთან იყო დაკავშირებული, ისიც თქვა, რომ ეს ნიშნები ფიოდორ პავლოვიჩმა სმერდიაკოვისათვის მოიგონა. შემდეგ აუხსნა, რამდენი დაკაკუნება რას ნიშნავდა. ყოველივე ამას ის მაგიდაზე კაკუნით უხსნიდა. როდესაც ნიკოლაი პარფენოვიჩმა იკითხა: თქვენ რა, ფანჯარაზე იმ ნიშნით დაუკაკუნეთ მამათქვენს, რომელიც აღნიშნავდა „გრუშენკა მოვიდაო“, მიტიამ დაუდასტურა - სწორედაც მაგ ნიშნით.
- აი, ასე იყო ეს, ახლა ააგეთ ახალი ხუხულა! - მიტია გაჩუმდა და ზიზღით შეაქცია ზურგი მათ.
- ეს ნიშნები მხოლოდ თქვენმა გარდაცვლილმა მამამ, მსახურმა სმერდიაკოვმა და თქვენ იცოდით? მეტმა არავინ? - კიდევ ერთხელ ჰკითხა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.

- დიახ, მსახურმა სმერდიაკოვმა და კიდევ ზეცაში. ასე ჩაწერეთ, კიდევ მაღლა ზეცაში-თქო; ეს არ იქნება ზედმეტი ჩანაწერი. გარდა ამისა, ღმერთი თქვენც დაგჭირდებათ.
რასაკვირველია, ყველაფერი ჩაწერეს. როცა ამას იწერდნენ, პროკურორს ანაზდად ახალი აზრი მოუვიდა თავში და ჩაილაპარაკა:
- თუკი სმერდიაკოვმა ეს ნიშნები იცოდა, თქვენ კი რადიკალურად უარყოფთ ყველაფერს, რაც მამათქვენის მკვლელობას შეეხება, იქნებ მან დაუკაკუნა მამათქვენს და კარი გააღებინა, შემდეგ კი ჩაიდინა დანაშაული?
მიტიამ დაცინვით და ამავე დროს ზიზღით გადახედა მას. ისე დიდხანს და დაჟინებით შესცქეროდა, რომ პროკურორმა თვალი აარიდა.
- ყოჩაღ, კვლავ გამოიჭირეთ ეშმაკი მელაკუდა! - როგორც იქნა, თქვა მიტიამ, - ზედ კუდზე წაავლეთ ხელი, ჰი-ჰი! მიგიხვდით, პროკურორო! თქვენ გეგონათ, რომ მე ახლა წამოვხტებოდი და ჩავეჭიდებოდი ამ თქვენს ნაკარნახევ ვერსიას, მთელი ხმით ავყვირდებოდი: „სწორედ სმერდიაკოვია მკვლელი-მეთქი!“ აღიარეთ, ხომ ასე გეგონათ, აღიარეთ და გავაგრძელებ.
მაგრამ პროკურორმა არ აღიარა. იგი მდუმარედ იცდიდა.
- შეგეშალათ, არა, სმერდიაკოვს ხელს არ დავადებ! - თქვა მიტიამ.
- ეჭვიც არა გაქვთ მასზე?
- თქვენ კი გაქვთ ეჭვი?
- ეჭვი მასზეც იყო.
მიტია იატაკს ჩააშტერდა.
- ხუმრობა იქით იყოს, - თქვა კოპებშეკრულმა მიტიამ, - ყური დამიგდეთ: თავდაპირველად რომ შემოხვედით, ერთი კი გამიელვა გონებაში: „სმერდიაკოვი!“ შემდგომშიც, როცა ამ მაგიდასთან ვიჯექი და გაშმაგებული გიმტკიცებდით, მამაჩემი არ მომიკლავს-მეთქი, ჩემთვის სულ ვფიქრობდი: „სმერდიაკოვი, სმერდიაკოვი!“ - ამეკვიატა ეს ფიქრი. ახლაც გავიფიქრე მასზე, მაგრამ ეს წამიერად მოხდა, მაშინვე უარვყავი ეს აზრი: „არა, სმერდიაკოვი ამას არ ჩაიდენდა-მეთქი!“ არ არის, ბატონებო, ის მაგის კაცი!
- სხვაზე ხომ არ გაქვთ რაიმე ეჭვი? - ფრთხილად შეაპარა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- არა, არ ვიცი, აქ უფრო უზენაესის ხელი ურევია, ანდა სატანის, მაგრამ... სმერდიაკოვი, არა მგონია! - დაბეჯითებით განაცხადა მიტიამ.
- კი მაგრამ, ასე დაჟინებით რატომ უარყოფთ, რომ სმერდიაკოვი არაა მკვლელი?
- მე ასე მგონია, ასეთი შთაბეჭდილება მაქვს მასზე. ვინაიდან სმერდიაკოვი უჯიშო და მშიშარა არსებაა. უბრალოდ მშიშარა კი არა, არამედ მხდალზე მხდალი, ყველა ამქვეყნიური ორფეხა არსების სიმხდალე მასში ერთადაა თავმოყრილი. ის ბატის ნაშობია. ჩემთან ლაპარაკის დროს შიშისაგან ცახცახებდა, ეშინოდა, არ მომკლასო, მაშინ, როცა ერთხელაც კი არ მომიღერებია მისთვის მუშტი. ფეხებში მივარდებოდა და ტიროდა, ჩექმებს მიკოცნიდა და მევედრებოდა: „ნუ მაშინებთო!“ გესმით: „ნუ მაშინებთო!“ - რას ნიშნავს ეს? მე კი ხანდახან საჩუქარსაც კი ვაძლევდი. ესაა ავადმყოფი, ავზნიანი ბატი, ჭკუანაკლული, რვა წლის ბიჭის ჭკუა აქვს. განა ის კაცია? არა, ბატონებო, სმერდიაკოვი არაა მაგის ჩამდენი, გარდა ამისა, არც ფულის მოყვარულია, ჩემგან საჩუქრებსაც არ იღებდა... რაში სჭირდებოდა მას მოხუცის მოკვლა? ის შეიძლება მისი შვილიც იყოს, ნაბიჭვარი, იცით თქვენ ეს ამბავი?

- ჩვენთვის ცნობლია ეს ლეგენდა. მაგრამ თქვენც ხომ მისი შვილი იყავით და არაერთხელ გითქვამთ, რომ სურვილი გქონდათ მისი მოკვლის.
- ეგ ჩემს ბოსტანში ნასროლი კენჭია! საზიზღარი კენჭი! არ მეშინია! ბატონებო, ცოტა ულამაზოა თქვენგან ჩემზე ასე ლაპარაკი, ვინაიდან ამის შესახებ თავად განვაცხადე. მე არამარტო მინდოდა, შემეძლო კიდეც მომეკლა, გარდა ამისა, თავზე დავიბრალე, რომ კინაღამ არ მოვკალი-მეთქი! მაგრამ ხომ არ მომიკლავს, ხომ გადამარჩინა ჩემმა მფარველმა ანგელოზმა, ამას რატომ არ ითვალისწინებთ... ამიტომაა ულამაზო თქვენი საქციელი, ბატონებო, ამიტომ! რადგანაც მე არ მომიკლავს, არ მომიკლავს, არა! გესმით პროკურორო: მე არ მომიკლავს!
ბოღმისაგან კინაღამ გაიგუდა. მთელი დაკითხვის განმავლობაში ერთხელაც კი არ ყოფილა ასე აღშფოთებული.
- ბატონებო, სმერდიაკოვმა რა გითხრათ? - უცებ თქვა მიტიამ და გაჩუმდა, - შემიძლია ასეთი კითხვა დაგისვათ?
- თქვენ ყველაფრის კითხვის უფლება გაქვთ, - მკაცრად და ცივად მიუგო პროკურორმა, - ყველაფრის, რაც საქმის ფაქტობრივ მხარეს ეხება, ჩვენ კი, გიმეორებთ, ვალდებული ვართ, პასუხი გავცეთ თქვენს ყველა კითხვას. ჩვენ მოვინახულეთ სმერდიაკოვი, იგი უგონოდ იწვა ლოგინში, უკვე მეათედ გაუმეორდა გულყრა. მისი ავადმყოფობა იქ მყოფმა ექიმმაც დაადასტურა, თანაც განაცხადა, შეიძლება დილამდე ვერც გაატანოსო.
- მაშინ გამოდის, მამა ეშმაკმა მოკლა! - ისე წამოსცდა მიტიას, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც ეპარებოდა ეჭვი: „სმერდიაკოვია მკვლელი თუ არაო“.
- ჩვენ ამ ფაქტს კიდევ დავუბრუნდებით, - გადაწყვიტა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - ახლა ხომ არ ინებებთ, გააგრძელოთ თქვენი ჩვენება.
მიტიამ შესვენება მოითხოვა. მას თავაზიანად დართეს ნება. დასვენების შემდეგ გააგრძელა, მაგრამ, ეტყობოდა, უმძიმდა ლაპარაკი, შეძრწუნებული იყო, ზნეობრივად შეურაცხყოფილი. ამასთან ერთად, პროკურორი, თითქოს განგებ, ყველა „წვრილმანზე“ გამოეკიდებოდა ხოლმე, რაც ძალზე აღიზიანებდა. როგორც კი მიტიამ უამბო, ღობეზე გადამჯდარმა როგორ ჩაარტყა მის ფეხზე ჩამოკიდებულ გრიგორის თავში სანაყი, შემდეგ როგორ ჩამოხტა ღობიდან და მივიდა თავგატეხილთან, პროკურორმა გააჩერა და სთხოვა, უფრო დაწვრილებით აეწერა ის ფაქტი, ეჩვენებინა, როგორ იჯდა ღობეზე. ამან მიტია ძალიან გააკვირვა.
- როგორ ვიჯექი და ჩვეულებრივად, გადამჯდარი, ერთი ფეხი აქეთ მქონდა, ერთი იქეთ...
- სანაყი?
- სანაყი ხელში.
- ჯიბეში არ გედოთ? თქვენ ეს კარგად გახსოვთ? ხელი მაგრად მოიქნიეთ?
- შეიძლება მაგრად, თქვენ ეს რატომ გაინტერესებთ?
- ხომ არ ინებებთ, სკამზე ისე დაჯდეთ, როგორც ღობეზე იყავით გადამჯდარი და თვალსაჩინოებისათვის გვანახეთ, ხელი საით მოიქნიეთ, რომელ მხარეს?
- თქვენ რა, დამცინით? - იკითხა მიტიამ და მედიდურად გადახედა პროკურორს, რომელსაც, თითქოს არაფერიო, თვალიც არ დაუხამხამებია. მიტია მობრუნდა, სკამს გადააჯდა და ხელი მოიქნია:
- აი, ასე ჩავარტყი! ასე მოვკალი! კიდევ რა გნებავთ?

- მადლობთ, ახლა ნუ დაიზარებთ და აგვიხსენით: რატომ ჩამოხტით უკან ბაღში, რა მიზნით, რა გინდოდათ?
- ჯანდაბას თქვენი თავი... გონდაკარგულთან მივედი... რა ვიცი, რატომ მივედი!
- ასე აღელვებული და გასაქცევად გამზადებული?
- დიახ, აღელვებული და გასაქცევად გამზადებული.
- დახმარება გსურდათ?
- რა დახმარება... შესაძლოა დახმარებაც მინდოდა, არ მახსოვს.
- არ გახსოვთ? ხომ არ გინდათ თქვათ, რომ რაღაცნაირად თავგზააბნეული იყავით?
- არა, ყველაფერი მახსოვს, ყველა წვრილმანი. ჩამოვხტი, რომ დამეხედა, ცხვირსახოცით სისხლი მოვწმინდე.
- ჩვენ ვნახეთ თქვენი ცხვირსახოცი. იმედი გქონდათ გონდაკარგულის მოსულიერების?
- არ ვიცი, უბრალოდ მინდოდა გამეგო, ცოცხალი იყო თუ არა.
- უბრალოდ დარწმუნება გსურდათ? მერე რა მოხდა?
- მე ექიმი არ ვარ, როგორ უნდა გამეგო. გამოვიქეცი, ვფიქრობდი, მოვკალი-მეთქი, ის კი მოსულიერებულა..
- ძალიან კარგი, ჩემო ბატონო, - დაამთავრა პროკურორმა, - რაც მინდოდა, გავიგე. დიდი მადლობა. კეთილი ინებეთ და გააგრძელეთ.
ვაი რომ, ამ დროს მიტიას თავში არ მოუვიდა, ეთქვა, თუმცა ეს ძალიან კარგად ახსოვდა, რომ სიბრალულის გამო ჩამოხტა. როცა მოკლულს დახედა, სიბრალულისაგან აღმოხდა: „ვაიმე, მოხუცო, რა ვქნა ახლა, რაღას გიშველი“. მისი ჩვენებიდან კი პროკურორმა მხოლოდ ერთი დასკვნა გააკეთა, „აღელვებული“ მიტია იმიტომ დაბრუნდა, რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ცოცხალი იყო თუ არა მისი დანაშაულის „ერთადერთი“ მოწმე, რომ ასეთ წუთებში რაოდენ გულცივი და ანგარიშიანი იყო მისი საქციელი და სხვა და ა.შ. პროკურორი კმაყოფილი დარჩა, რომ „წვრილმანებით“ შეძლო ნერვებმოშლილი ადამიანის გაღიზიანება და ისიც გატყდა“.
მიტიამ რის ვაივაგლახით გააგრძელა. მაგრამ ახლა ნიკოლაი პარფენოვიჩმა გააჩერა:
- როგორ მოხდა, რომ ასე ხელებგასისხლიანებული და სისხლითვე მოთხვრილი თავ-პირით მიუვარდით გრუშენკას მოახლეს, ფედოსია მარკოვას?
- მე სულაც არ შემიმჩნევია, სისხლში რომ ვიყავი ამოთხვრილი! - მიუგო მიტიამ.
- ეს დასაშვებია, ასეთ დროს ვერ ამჩნევენ ხოლმე, - გადახედა პროკურორმა გამომძიებელს.
- სწორედაც რომ ვერ შევამჩნიე, მშვენივრად ბრძანეთ, პროკურორო, - უცებ შეაქო მიტიამ. შემდეგ მოყვა - მოულოდნელად როგორ გადაწყვიტა „განზე გადგომა“ და „გაბედნიერებულებისათვის გზის დათმობა“. მაგრამ როგორც ადრე, ახლა უკვე აღარ შეეძლო, გული სრულიად გადაეშალა და მოეთხრო „თავისი სულის დედოფლის შესახებ“, რადგან უკვე გულს ურევდნენ ეს გულქვა, „ბაღლინჯოებივით სისხლის მწოველი“ ადამიანები. ამიტომაც იყო, რომ განმეორებით კითხვებზე მოკლედ და უხეშად უპასუხა:
- თავის მოკვლა გადავწყვიტე. აზრი აღარ ჰქონდა ჩემს სიცოცხლეს. თავისით წამოიჭრა ეს საკითხი. გრუშენკას ჩამოუვიდა ძველი სიყვარული, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინ მიატოვა და გული დაუკოდა. ჩამოვიდა, რომ ხუთი წლის

წინანადელი წყენა ქორწინებით გამოესყიდა. მე მივხდი, რომ აწი ჩემთვის ყველაფერი დასრულდა... ამას კიდევ დაემატა ეს სირცხვილი, გრიგორის სისხლი... რაღა აზრი ჰქონდა ჩემს სიცოცხლეს? ამიტომ წავედი დაგირავებული პისტოლეტების გამოსასყიდად, რომ დამეტენა და დილისათვის სიცოცხლე მომესწრაფა...
- მანამდე კი მთელი ღამე ღრეობა?
- დიახ, გადავწყვიტე ღამე უკანასკნელი ღრეობა გამემართა. ეჰ, ეშმაკმა დაგლახვროთ, ბატონებო, მორჩით რაღა. ალბათ თავის მოკვლა მინდოდა, აქვე სოფლის გარეთ, დილის 5 საათისათვის. ჯიბეში ბარათიც მედო, პერხოტინთან დავწერე, პისტოლეტის დატენვის შემდეგ. აი, ეს ბარათიც, წაიკითხეთ. ამას თქვენთვის არ ვყვები! - ზიზღით დასძინა მან, ჯიბიდან ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო; გამომძიებლებმა ბარათი ინტერესით წაიკითხეს და როგორც წესია, საქმეს დაურთეს.
- პერხოტინთან ისე მიხვედით, ხელები მაინც არ დაიბანეთ? არ გეშინოდათ, ვინმეს ეჭვი რომ შეჰპარვოდა?
- რა მეეჭვებოდა? ვისაც რა უნდოდა, ის ეფიქრა, ჩემთვის სულ ერთი იყო, მე აქეთ მოვდიოდი, დილის 5 საათისათვის კი თავის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი, ხელს ვერ შემიშლიდნენ. მამაჩემი რომ არ მოეკლათ, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა და აქ არც თქვენ ჩამობრძანდებოდით. ვაი, რომ ეს ეშმაკმა გააკეთა, აქ ეშმაკის ხელი ურევია, ალბათ მისი დახმარებითაც შეიტყვეთ თქვენ ასე მალე ყველაფერი! სასწრაფოდ ჩამობრძანდით! სასწაულია, ფანტაზიაა!
- ბატონმა პერხოტინმა გადმოგვცა, თქვენ რომ მასთან მისულხართ, ხელებში... გასისხლიანებულ ხელებში... ფული გჭერიათ... დიდი ფული... ასმანეთიანების დასტა. ეს მისმა მსახურმა ბიჭმაც დაადასტურა!
- ასე იყო, ბატონებო, მახსოვს, ასე იყო.
- ახლა გაგვიჩნდა ასეთი კითხვა. ხომ ვერ გვეტყვით, - მოწიწებით დაიწყო ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - საიდან გაგიჩნდათ ამდენი ფული, მაშინ, როცა, როგორც საქმიდან ჩანს, თქვენ სახლში არ გაგივლიათ?
პროკურორს ასე პირდაპირ დასმული კითხვა არ მოეწონა, მაგრამ არ შეაწყვეტინა გამომძიებელს.
- არა, არ შემივლია, - უპასუხა მიტიამ, ერთი შეხედვით ძალიან მშვიდად, მაგრამ თავი დახარა და იატაკს ჩააცქერდა.
- ნება მიბოძეთ, კითხვა გაგიმეოროთ, - შეპარვით გააგრძელა გამომძიებელმა, - უცებ ამდენი ფულის შოვნა როგორ მოახერხეთ, როცა, როგორც თავად აღიარეთ, იმ დღის ხუთი საათისათვის...
- მჭირდებოდა ათი მანეთი, ამიტომაც დავაგირავე პერხოტინთან პისტოლეტები, შემდეგ გავემართე ხოხლაკოვასთან სამი ათასის სასესხებლად, მან კი არ მომცა და ა.შ. და ა.შ. - უხეშად მოუჭრა მიტიამ, - ე.ი. მჭირდებოდა ათი მანეთი და უცბად ათასები გამიჩნდა, არა? იცით რას გეტყვით, ბატონებო, თქვენ ახლა ორივეს იმის შიში გაქვთ: ვაითუ, თქვას სად იშოვაო? ასეც ვიზამ: არაფერსაც არ გეტყვით, ბატონებო, გამოიცანით, არაფერსაც არ გეტყვით, - მტკიცედ განაცხადა მიტიამ. გამომძიებლები ცოტა ხანს დუმდნენ.
- გაიგეთ, ბატონო კარამაზოვ, ჩვენთვის ამისი ცოდნა აუცილებელია, - წყნარად და აუჩქარებლად ჩაილაპარაკა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- მესმის, მაგრამ მაინც არ გეტყვით.

ახლა პროკურორმა დაიწყო ლაპარაკი. მან შეახსენა, რომ ეჭვმიტანილს, რასაკვირველია, უფლება აქვს, არ უპასუხოს მისთვის არასასურველ კითხვებს, მაგრამ ამით შეიძლება მან საკუთარ თავს ავნოს, რადგან ასეთ მნიშვნელოვან კითხვაზე დუმილი მისთვის შეიძლება საზიანო გახდეს...
- და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ბატონებო! მორჩით, ერთხელ უკვე მოვისმინე ეს შეგონება! - კვლავ მოუჭრა მიტიამ, - კარგადაც ვიცი, რა საქმეც მბრალდება და რა მნიშვნელობა აქვს ამ პუნქტს, მაგრამ მაინც არ გეტყვით.
- ჩვენ რა გვენაღვლება, ბატონო ჩემო, ეს თქვენი საქმეა, ამით თქვენ თავს ავნებთ, - შენიშნა ანერვიულებულმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- იცით რა, ბატონებო, ხუმრობა იქეთ იყოს, - თქვა მიტიამ, სწრაფად ახედა და დაჟინებით მიაშტერდა ორივეს, - თავიდან ვგრძნობდი, ამ პუნქტზე რომ ერთმანეთს შუბლებით შევასკდებოდით. წეღან, როცა ჩვენების მიცემა დავიწყე, ყოველივე ეს სადღაც შორეულ ნისლებში დაცურავდა. მე ისე გულუბრყვილო ვიყავი, „ურთიერთნდობის გარემოს შექმნაც“ კი გთხოვეთ. ახლა კი ვხედავ, რომ ჩვენ შორის არავითარ ურთიერთნდობას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მაინც მივადგებოდით ამ წყეულ ბარიერს! და აი, მივადექით კიდეც! შეუძლებელია, არაფერი გამოვა! თუმცა მე თქვენ არ გადანაშაულებთ, თქვენ ხომ მარტო ჩემს სიტყვებს არ დაუჯერებთ, ყველაფერი გასაგებია!
დადარდიანებული მიტია გაჩუმდა.
- ხომ არ შეგიძლიათ, გვითხრათ ისე, რომ არ დაარღვიოთ თქვენი გადაწყვეტილება, არ თქვათ მთავარი საკითხი. ხომ არ მიგვანიშნებდით იმ მიზეზებზე, რომ თქვენთვის ასეთ საჭირბოროტო და ასეთ საშიშ მომენტში დუმილს არჩევთ?
მიტიამ სევდიანად, რაღაცნაირად მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა.
- მე გაცილებით კეთილი ვარ, ვიდრე თქვენ გგონიათ, ბატონებო. მე თქვენ გეტყვით, რა მიზეზია, მიგანიშნებთ, თუმცა თქვენ ამისი ღირსი არა ხართ. იმიტომ ვდუმვარ, ბატონებო, ეს ჩემთვის ძალზე სამარცხვინო ამბავია. პასუხი კითხვაზე: საიდან გაჩნდა ამდენი ფულიო, შეიცავს ჩემთვის იმდენად სამარცხვინო რამეს, რომელსაც ვერ შეედრება მამის მკვლელობა და გაძარცვა, მე რომც მომეკლა და გამეძარცვა ის. აი, ამიტომ არ შემიძლია გიპასუხოთ. მრცხვენია! თქვენ რა, ამის ჩაწერას აპირებთ?
- დიახ, ჩვენ ამას ჩავწერთ, - თავაზიანად ჩაილაპარაკა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- არ უნდა ჩაწეროთ ჩემი „სირცხვილის“ შესახებ. მე ეს ჩემი გულკეთილობის გამო გითხარით, შემეძლო არ მეთქვა, უბრალოდ გიფეშქაშეთ, თქვენ კი ჩემს შეცდომას ცოდვად მითვლით. წერეთ, წერეთ, რაც გინდათ, ის ქენით, - ზიზღით დასძინა მან, - არ მეშინია თქვენი... ვამაყობ კიდეც, თქვენზე უკეთესი რომ ვარ.
- ხომ არ გვეტყოდით, რომელ სირცხვილზეა ლაპარაკი? - კვლავ დაშაქრული ხმით ჰკითხა გამომძიებელმა.
პროკურორი საშინლად შეიჭმუხნა.
- არა, არა, c'est fini[114], ნუ შეწუხდებით. გასვრა აღარ ღირს. ისედაც ძალზე გავჭუჭყიანდი თქვენთან ურთიერთობით. თქვენ ამად არ ღირხართ, არც თქვენ და არც სხვა... კმარა, ბატონებო, მე ვწყვეტ ჩვენებას.
ისე მტკიცედ იყო ნათქვამი, გამომძიებელმა თავი დაანება, მაგრამ იპოლიტ კირილოვიჩის გამოხედვიდან მიხვდა, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმედი

დაკარგული.
- ის მაინც მოგვახსენეთ, რა რაოდენობის თანხა გეჭირათ ხელში, როცა ბატონ პერხოტინთან მიბრძანდით, რამდენი მანეთი იყო?
- არც ამის თქმა შემიძლია.
- მაშინ ბატონ პერხოტინს თქვენ უთხარით, რომ სამი ათასიაო, თითქოს ის ქალბატონმა ხოხლაკოვამ გადმოგცათ?
- შეიძლება ვუთხარი, გეყოფათ, ბატონებო, არ გეტყვით, რამდენი იყო.
- მაშინ ის მოგვიყევით, როგორ წამოხვედით იქიდან, როგორ იმგზავრეთ, რა მოიმოქმედეთ აქ ჩამოსვლის შემდეგ?
- ამის შესახებ აქაურებს ჰკითხეთ, თუმცა ამას მეც მოვყვები.
და დაიწყო მოყოლა. აქ დაწვრილებით არ მოვიყვან მის მონათხრობს. ჰყვებოდა მშრალად და ჩქარა. თავის ამაღლებულ სიყვარულზე არაფერი უთქვამს. ის კი ახსენა, რომ თავისმოკვლის სურვილმა გადაუარა „ახალი ფაქტების გამოისობით“. ლაპარაკობდა მოტივაციის გარეშე, ზოგადად. თუმცა ამ დროს არც გამომძიებლებს შეუწუხებიათ ის: აშკარად ეტყობოდათ, რომ ეს ამბავი მათთვის არსებითი არ იყო.
- ჩვენ ამ ფაქტებს გადავამოწმებთ, შემდეგ კვლავ დავუბრუნდებით ამ ამბებს, როცა თქვენი თანდასწრებით მოწმეებს დავკითხავთ, - დაასრულა დაკითხვა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - ახლა გთხოვთ, ამოალაგოთ ყველა ნივთი მაგიდაზე, რაც თან გაქვთ, განსაკუთრებით ფული.
- ფული, ბატონებო? გასაგებია, კარგად მესმის, რომ ასეა საჭირო. მიკვირს, აქამდე რომ არ დაინტერესდით. მართალია, არსად წავსულვარ, ცხვირწინ გიზივართ; აი, ჩემი ფული, დათვალეთ, აიღეთ, სულ არის მგონი.
მან ჯიბეებიდან ამოიღო, რაც ფული ჰქონდა, ხურდაც კი, ორი აბაზიანი ჟილეტის გვერდითი ჯიბიდან ამოაძვრინა. დაითვალეს, აღმოჩნდა რვაას ოცდათექვსმეტი მანეთი და ორმოცი კაპიკი.
- სულ ეს არს?
- სულ.
- ახლა იქნებ ინებოთ და გვითხრათ: როცა ჩვენებას იძლეოდით, თქვენ განაცხადეთ, რომ სამასი მანეთი პლოტნიკოვების დუქანში დატოვეთ, ათი პერხოტინს მიეცით, ოცი მეეტლეს და ორასი აქ წააგეთ, დანარჩენი...
ნიკოლაი პარფენოვიჩმა ყველაფერი ჩამოთვალა. მიტია სიამოვნებით ეხმარებოდა. ყველა კაპიკი მოიგონეს და გაითვალისწინეს. გამომძიებელმა სასწრაფოდ შეაჯამა ყველაფერი.

- ამ რვაას მანეთთან ერთად, გამოდის, თავდაპირველად დაახლოებით ათას ხუთასი მანეთი გქონიათ, არა?
- გამოდის, - მოუჭრა მიტიამ.
- სხვები ამტკიცებენ, თითქოს თქვენ გაცილებით მეტი გქონდათ?
- დე, ამტკიცონ!
- თქვენც ამტკიცებდით.
- მეც ვამტკიცებდი.
- ჩვენ კიდევ გადავამოწმებთ ამ ციფრს სხვა, ჯერ დაუკითხავი მოწმეების ჩვენებების მიხედვით; თქვენ ფულის დარდი ნუ გექნებათ, ის შეინახება, სადაც საჭიროა და გადმოგეცემათ საქმის დამთავრების შემდეგ... ცხადია, მას მერე, თუ აღმოჩნდება, რომ თქვენ გაქვთ მათზე უცილობელი უფლება. ახლა კი...
გამომძიებელი ადგა და მიტიას მტკიცედ განუცხადა, რომ „იძულებულია და ვალდებულიც“, მოუწყოს საგანგებო ჩხრეკა „როგორც ტანსაცმლის, ისე ყველაფრის...“
- როგორც გენებოთ, ბატონებო, ყველა ჯიბეს ამოვატრიალებ, თუ გნებავთ.
და ჯიბეების ამოტრიალება დააპირა.
- მოგიხდებათ ტანსაცმლის გახდა.
- როგორ თუ გახდა?! ეშმაკმა დაგლახვროთ! განა ისე არ შეიძლება გაჩხრეკა?
- არაფრით არ შეიძლება, დმიტრი ფიოდოროვიჩ. მოგიწევთ ტანსაცმლის გახდა.
- როგორც გენებოთ, - დამორჩილდა დაბოღმილი მიტია, - ოღონდ აქ არა, ფარდის იქით. ვინ გამჩხრეკს?
- ცხადია, ფარდის იქით, - თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა გამომძიებელმა. მისი სახის გამომეტყველება განსაკუთრებულ სერიოზულობას გამოხატავდა.

VI პროკურორმა მიტია გამოიჭირა

მიტიასათვის რაღაც მოულოდნელი და განსაცვიფრებელი რამ დაიწყო. ის ადრე ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ვინმე გაბედავდა და ასე მოექცეოდა მიტია კარამაზოვს! ყველაზე დამამცირებელი ის იყო, რომ მას სერთუკის გახდა არ აკმარეს და მოსთხოვეს გახდა გაეგრძელებინა. კი არ სთხოვეს, არამედ თითქმის უბრძანეს; ის ამას კარგად მიხვდა. მიტია სიამაყისა და მათდამი ზიზღის გამო უსიტყვოდ დამორჩილდა. ფარდის უკან ნიკოლაი პარფენოვიჩი, პროკურორი და კიდევ რამდენიმე მამაკაცი შეჰყვნენ. „ცხადია, ძალის დასატანებლად, - გაიფიქრა მიტიამ, - შესაძლოა, კიდევ სხვა რამისათვის.“
- ნუთუ პერანგიც უნდა გავიხადო?! - იკითხა აღშფოთებულმა მიტიამ, მაგრამ ნიკოლაი პარფენოვიჩმა არ უპასუხა: ის პროკურორთან ერთად გართული იყო სერთუკის, პანტალონის, ჟილეტისა და ქუდის დათვალიერებით. ეტყობოდათ, ძალიან დაინტერესებულები იყვნენ ჩხრეკით: „როგორ უცერემონიოდ იქცევიან, - გაუელვა მიტიას თავში, - თავაზიანობაც კი გადაავიწყდათ.“
- მე თქვენ გეკითხებით, საჭიროა თუ არა პერანგის გახდა? - უფრო უხეშად გაიმეორა გაღიზიანებულმა მიტიამ.
- ნუ შეწუხდებით, ჩვენ გეტყვით, როცა საჭირო იქნება, - რაღაცნაირად მედიდურად უთხრა ნიკოლაი პარფენოვიჩმა. ყოველ შემთხვევაში, მიტიას ასე

მოეჩვენა.
ამ დროს პროკურორმა და გამომძიებელმა ხმადაბალი თათბირი გამართეს. სერთუკზე, განსაკუთრებით მის უკანა მარცხენა მხარეს, მათ აღმოაჩინეს გამხმარი სისხლის დიდი ლაქა. სისხლი პანტალონსაც ეცხო. გარდა ამისა, ნიკოლაი პარფენოვიჩმა დამსწრეების თვალწინ ხელით მოსინჯა საყელო და ყოშები, სერთუკისა და პანტალონის ყველა ნაკერი, ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა, ალბათ ფულს. რაც მთავარია, ისინი არ მალავდნენ ეჭვს, რომ მიტიას შეეძლო, სადმე ტანსაცმელში ჩაეკერებინა ფული. „ვითომ ვიღაც ვიგინდარა ქურდი ვიყო და არა ოფიცერი“, - ბუზღუნებდა თავისთვის მიტია. ისინი ხომ თავიანთ აზრებს ერთმანეთს აშკარად, დაუფარავად უზიარებდნენ. მაგალითად, ერთმა ჩხრეკის დამსწრე, საქმის მწარმოებელმა ნიკოლაი პარფენოვიჩს ყურადღება გაამახვილებინა ქუდზე, რომელიც მაშინვე გულდასმით ხელებით მოსინჯეს: „გახსოვთ, ბატონებო, გრიდენკა-მწერალი, - შენიშნა საქმის მწარმოებელმა, - ზაფხულში კანცელარიის თანამშრომლებისათვის ფულის ჩამოსატანად რომ გაემგზავრა და იქიდან დაბრუნებისას კი განაცხადა: სიმთვრალეში დავკარგეო, - ხომ გახსოვთ, მაშინ სად ვუპოვეთ? სწორედ ქუდის ამ ნაკერებში ჰქონდა გადამალული და ამოკერილი“. გამომძიებელსა და პროკურორს ეს ფაქტი კარგად ახსოვდათ, ამიტომ მიტენკას ქუდი გვერდზე გადადეს და გადაწყვიტეს, რომ მას და სხვა ტანსაცმელს შემდეგ კიდევ ერთხელ გულდაგულ დაათვალიერებდნენ.
- ერთი წუთით, - იყვირა უცებ ნიკოლაი პარფენოვიჩმა, როცა პერანგის მარჯვენა სახელოს ყოშის შიგნითა მხარე სისხლით დასვრილი ნახა, - რა არის ეს, სისხლია?
- სისხლია, - მოკლედ მოუჭრა მიტიამ.
- ვისი სისხლია... რატომაა სახელოს შიგნით?
მიტიამ უამბო, როგორ დაესვარა ყოში, როდესაც გრიგორის დასტრიალებდა თავს, შემდეგ კი, როცა პერხოტინთან ხელს იბანდა, როგორ დაიკაპიწა სახელო.
- ამ პერანგს თან წავიღებთ, ეს მნიშვნელოვანი რამაა... ნივთიერი მტკიცება. - ამის გაგონებაზე მიტია გაჭარხლდა და გაცოფდა.
- მე რა, ტიტველი დავრჩე? - იყვირა მან.
- ნუ ღელავთ, ჩვენ როგორმე გამოვასწორებთ ამ ამბავს, ახლა კი, ნება იბოძეთ და წინდებიც გაიხადეთ.
- თქვენ არ ხუმრობთ? ნუთუ ესეც აუცილებელია? - მიტიას თვალები გაუფართოვდა.
- ჩვენ სახუმაროდ არ გვცალია, - მკაცრად მოუჭრა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- მეტი რა გზაა, თუ ასეა საჭირო... მე... - ჩაიბურტყუნა მიტიამ, საწოლზე დაჯდა და წინდების გახდა დაიწყო. აუტანელ უხერხულობას განიცდიდა: ყველა ჩაცმულია, ის კი შიშველი. უცნაური ის იყო, რომ გაშიშვლებულმა მიტიამ თავად იგრძნო თავი დამნაშავედ, რაც მთავარია, თავად დარწმუნდა, რომ ყველაზე უღირსია ამქვეყნად და მათ უფლება აქვთ, აბუჩად აიგდონ იგი. „როცა ყველა გახდილია, კაცს ისე არ გერიდება, როცა მარტო შენ ხარ გახდილი და ყველა ჩაცმული შემოგცქერის - სამარცხვინოა! - გაუელვა თავში მიტიას. - თითქოს სიზმარში ვარ, სიზმარში კი ხანდახან ვყოფილვარ ხოლმე ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში“. წინდების გახდა ძალიან გაუჭირდა: ისინი არც თუ ისე სუფთა ჰქონდა, ქვედა საცვალიც ასევე საკმაოდ ჭუჭყიანი ეცვა და ეს ყველამ იხილა. ამას გარდა, მას ძალიან არ უყვარდა თავისი ფეხები, მთელი ცხოვრების მანძილზე ფეხის ცერები საშინლად მახინჯი ეჩვენებოდა. განსაკუთრებით, მარჯვენა ფეხის ცერა თითზე

გადმოდებული ფრჩხილი. ახლა ამას ყველა ნახავს. აუტანელი სირცხვილისაგან უფრო და უფრო უხეში გახდა. სასწრაფოდ გაიძრო პერანგიც.
- იქნებ ინებებთ და კიდევ სადმე მოძებნით რამეს, თუ არ გრცხვენიათ?
- არა, ჯერ არ არის საჭირო.
- ახლა რა, ასე ტიტველი ვიდგე?
- დიახ, ჯერჯერობით ასეა საჭირო... აქ დაბრძანდით. შეგიძლიათ საბანი აიღოთ და მასში გაეხვიოთ, მე კი... ყველაფერ ამას დავალაგებ.
ყველა ნივთი დამსწრე მოწმეებსაც აჩვენეს და დათვალიერების აქტი შეადგინეს. ბოლოს ნიკოლაი პარფენოვიჩი ოთახიდან გავიდა. მიტიას ტანსაცმელი ვიღაცეებმა გაიტანეს. პროკურორიც მათ მიჰყვა. მიტიასთან დარჩნენ ჩხრეკის დასამოწმებლად მოწვეული გლეხები. იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ მიტიას. მიტიას შესცივდა და საბანში გაეხვია. შიშველ ფეხებზე ვერაფრით მოახერხა საბნის გადაფარება. გამომძიებელი დიდხანს არ ჩანდა, „აუტანელად დიდხანს“, „ძაღლადაც არ მაგდებს“, კბილებს აკრაჭუნებდა მიტია. „ის ნაგავი პროკურორიც რომ წავიდა, ალბათ ზიზღისაგან არ სიამოვნებს შიშველი კაცის ყურება“. მიტიას მაინც იმედი ჰქონდა, რომ მის ტანსაცმელს სადღაც იქვე გაჩხრეკდნენ და დაუბრუნებდნენ. ძალიან გაბრაზდა, როცა გამომძიებელი სხვა ტანსაცმელით დაბრუნდა, რომელიც ვიღაც გლეხს მოჰქონდა.
- აი, ტანსაცმელიც, - უბოდიშოდ განაცხადა მან, ეტყობოდა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი საქმიანობით, - ეს ბატონმა კალგანოვმა შემოგწირათ ამ ამბავთან დაკავშირებით. აი, სუფთა პერანგიც. ყველაფერი ეს მას თან ჰქონდა ჩემოდანში. ქვედა საცვალი და წინდები თქვენი ჩაიცვით.
მიტია უცებ აფეთქდა.
- არ მინდა სხვისი ტანსაცმელი! - იღრიალა მან, - მომიტანეთ ჩემი!
- ეს შეუძლებელია.
- დამიბრუნეთ ჩემი სამოსი, ეშმაკსაც წაუღია კალგანოვი და მისი ტანსაცმელი!
მიტიას დიდხანს არწმუნებდნენ. როგორც იქნა, დაამშვიდეს. მას შეაგნებინეს, რომ რადგან ტანსაცმელი სისხლით არის მოსვრილი, ის ნივთიერი მტკიცებაა და უფლება არა აქვთ, საქმის დამთავრებამდე დაუბრუნონ. მიტია, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა და ხმაამოუღებლად, ჩქარ-ჩქარა შეუდგა ჩაცმას. ჩაცმის დროს შენიშნა, რომ ტანსაცმელი, რომელსაც იცვამდა, მის ძველ ტანსაცმელზე გაცილებით მდიდრული იყო და არავითარი სურვილი არ ჰქონდა მისი „ხმარების“. გარდა ამისა, „სამარცხვინოდ ვიწროა, ტაკიმასხარას დავემგვანები... თქვენდა გასახარადო!“
მიტიას კვლავ დაუწყეს შეგონება: თქვენ აქაც ყველაფერს აზვიადებთ. რადგან კალგანოვი თქვენზე ოდნავ მაღალია, შესაძლებელია, პანტალონი გქონდეთ ცოტა გრძელიო. მაგრამ სერთუკი მხრებში მართლაც ვიწრო მოუვიდა.
- ეშმაკმა დალახვროს, ვერ ვიკრავ, - აბუზღუნდა ისევ მიტია, - დამდეთ პატივი და კალგანოვს გადაეცით, რომ მე მისთვის ტანსაცმელი არ მითხოვია და რომ ჩემდა დაუკითხავად გამომაწყეს ტაკიმასხარად.
- მან ეს იცის და ნანობს... ტანსაცმელი კი არ ენანება, არამედ ამ შემთხვევის გამო... - ჩაიბურტყუნა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- მიმფურთხებია მისი სინანულისათვის! ახლა რა ვქნა? აქ კიდევ დიდხანს ვიჯდე?
ისევ „იმ ოთახში“ დაბრუნება შესთავაზეს. სიბრაზისაგან კოპებშეკრული მიტია გამოვიდა და ცდილობდა, არავისთვის შეეხედა. ამ გლეხებისა და ტრიფონ

ბორისოვიჩის წინაშეც კი სხვის ტანსაცმელში თავს უხერხულად გრძნობდა. ტრიფონ ბორისოვიჩის სახემ კარებში უცებ გაიელვა და უმალვე გაქრა. „ჩემი ჩაცმულობის სანახავად შემოიჭყიტა“, - გაიფიქრა მიტიამ. ისევ იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზედაც ამას წინათ იჯდა. გონებაში რაღაც კოშმარი და სისულელე უტრიალებდა, ეჩვენებოდა, რომ უკვე თავის ჭკუაზე აღარ იყო.
- ახლა ისღა დაგრჩენიათ, გამროზგოთ, ასე არ არს?! მე მგონი, სხვა აღარაფერი დაგრჩათ, - კბილების კრაჭუნით მიმართა მიტიამ პროკურორს. გამომძიებლისაკენ გახედვაც არ უნდოდა, არათუ მასთან ლაპარაკი. „ჩემს წინდებს ძალიან გულმოდგინედ ათვალიერებდა, ის კი არა, ამ ნაძირალამ განგებ გადმობრუნებაც კი უბრძანა, ყველასათვის რომ დაენახვებინა, როგორი ბინძური საცვლები აქვსო!“
- ახლა მოწმეების დაკითხვას შევუდგებით, - თქვა გამომძიებელმა, თითქოს მიტიას კითხვას უპასუხა.
- დიახ, - უპასუხა ფიქრებშიწასულმა პროკურორმა.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ თქვენი ინტერესების დასაცავად, - გააგრძელა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - მაგრამ თქვენგან მივიღეთ რადიკალური უარი იმის თაობაზე, რომ აგეხსნათ, საიდან გქონდათ ამდენი თანხა. ამჟამად ჩვენ...
- რა თვალია თქვენს ბეჭედში? - შეაწყვეტინა უცებ მიტიამ და თითქოს რაღაც ფიქრებიდან გამოსულმა გამომძიებელს მარჯვენა ხელზე გაკეთებული სამი ბეჭდიდან ერთ-ერთზე მიუთითა.
- ბეჭედში? - იკითხა გაკვირვებულმა გამომძიებელმა.
- დიახ, ამ ბეჭედში... შუა თითზე რომ გაქვთ, რომელი ქვაა? - რაღაცნაირი გაღიზიანებით, უზნეო ბავშვივით დაიჟინა მიტიამ.
- ეს კვამლა ტოპაზია, - გაიღიმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - გინდათ, ახლოს ნახოთ, მოვიხსნი...
- არა, არ არის საჭირო! - იყვირა გააფთრებულმა მიტიამ, უცებ გონზე მოსულმა და საკუთარ თავზე გაბრაზებულმა, - არ მოიხსნათ, არ არის საჭირო... ეშმაკმა.. ბატონებო, თქვენ მე სულში ჩამაფურთხეთ! ნუთუ თქვენ ფიქრობთ, მამაჩემი რომ მომეკლა, მართლა შემეძლო ამის დამალვა, მეცრუა და მეეშმაკა თქვენი თავგზის ასაბნევად? არა, დმიტრი კარამაზოვი ასეთი კაცი არ არის, ის ამ ამბავს ვერ აიტანდა. მე რომ დამნაშავე ვყოფილიყავი, ვფიცავ არ დავუცდიდი თქვენს მოსვლას და მზის ამოსვლამდე სიცოცხლეს მოვისწრაფებდი, როგორც მქონდა დაგეგმილი, გათენებასაც არ დავუცდიდი. ვგრძნობ ამას. ოცი წლის განმავლობაში არ მისწავლია იმდენი, რამდენიც ამ დაწყევლილ ღამეს გავიგე!.. განა ასეთი, ამნაირი ვიქნებოდი ახლა, ამ წუთებში, თქვენ პირისპირ მჯდარი, მე რომ მამის მკვლელი ვყოფილიყავი, როცა გრიგორის შემთხვევითი მკვლელობა არ მაძლევდა მთელი ღამე მოსვენებას, - არა, შიშისაგან კი არა! არც მოსალოდნელი სასჯელის გამო! სირცხვილისაგან! თქვენ კი გინდათ, რომ მე თქვენნაირ ცინიკოსებს, რომლებიც ვერაფერს ხედავენ და არაფერი სჯერათ, თქვენნაირ თვალებდავსებულ თხუნელებსა და ცინიკოსებს, გული გადაგიშალოთ და გაგიმჟღავნოთ ჩემი კიდევ ერთი სამარცხვინო და საძაგელი ქმედება, თუნდაც ამან გადამარჩინოს თქვენი ბრალდებისაგან? არა, მიჯობს, კატორღაში მიკრან თავი! ვინც გააღო მამაჩემის ოთახის კარი და შევიდა იქ, მან მოკლა და გაძარცვა ის. არ ვიცი, ვინ იყო ამის ჩამდენი? მე დაბნეული ვარ და ვიტანჯები, მაგრამ ის

ნამდვილად ვიცი, რომ დმიტრი კარამაზოვს ეს არ ჩაუდენია, იცოდეთ ეს, - აი, მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ, ახლა კი კმარა, თავი დამანებეთ... გადამასახლეთ, დამსაჯეთ, ოღონდ ნუღარ მაღიზიანებთ. აწი ვდუმვარ, უხმეთ თქვენს მოწმეებს!

მიტიამ თავისი უეცარი მონოლოგი დაამთავრა. მან მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო - კრინტი აღარ დაეძრა. პროკურორი თვალს არ აცილებდა მას. როგორც კი მიტია გაჩუმდა, პროკურორმა დინჯად და ცივად დაიწყო ლაპარაკი:

- სწორედ იმ გაღებული კარის შესახებ, რომელიც თქვენ ახლახან ახსენეთ, მინდა შეგატყობინოთ ერთი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი რამ როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის. ის გვითხრა თქვენს მიერ თავგატეხილმა და შემდეგ გონზე მოსულმა გრიგორი ვასილევმა. მან დაბეჯითებით განაცხადა, რომ, როცა ის პარმაღზე გამოვიდა და ბაღიდან რაღაც ხმაური შემოესმა, გადაწყვიტა ბაღში გასვლა. ბაღში შესასვლელი კუტიკარი ღია დახვდა. სანამ ის სიბნელეში თქვენ, გაქცეულს მოგკრავდათ თვალს, მანამ გრიგორიმ გაიხედა მარცხნივ და, მართლაც, დაინახა ღია ფანჯარა, მაგრამ დაინახა, აგრეთვე მასთან უფრო ახლო მანძილზე, ბოლომდე მოღიავებული კარი, რომლის შესახებაც თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენი იქ ყოფნის პერიოდში დაკეტილი იყო. არ დაგიმალავთ და გრიგორი დარწმუნებულია, რომ თქვენ იმ კარიდან გამოვარდით, თუმცა მას საკუთარი თვალით არ დაუნახიხართ იქიდან გამოსული და პირველად მაშინ შეგნიშნათ, როცა მისგან კარგა მოშორებით ბაღში გარბოდით ღობის მიმართულებით.

პროკურორი ჯერ კიდევ შუა ლაპარაკში იყო, რომ უცებ მიტია წამოხტა.

- სისულელეა! - იღრიალა გაავებულმა მიტიამ, - უნამუსო სიცრუეა! მას არ შეეძლო ღია კარის დანახვა, ვინაიდან კარი მაგრად იყო დაკეტილი... ტყუის!

- თავს მოვალედა ვთვლი, გაგიმეოროთ: ის დაბეჯითებით ამტკიცებს ამას. ჩვენ რამდენჯერმე ჩავეკითხეთ!

- სწორედ მე გავუმეორე კითხვა რამდენჯერმე! - სწრაფად დაადასტურა გამომძიებელმა.

- ტყუილია, ტყუილი! ეს ან ცილისწამებაა, ანდა გიჟის ჰალუცინაციები, - ისევ აყვირდა მიტია, - უბრალოდ ბოდავს, სისხლის დაკარგვის და ჭრილობის გამოისობით; როცა გონს მოვიდა, ყველაფერი მოეჩვენა... ჰოდა, ბოდავს.

- კი მაგრამ, მან ხომ ღია კარი ფლიგელიდან ბაღში გასვლის დროს დაინახა და არა გონზე მოსვლის შემდეგ.

- სიცრუეა, სიცრუა-მეთქი, ეს შეუძლებელია! ის ჩემზე ნაწყენია და ცილს მწამებს... მას არ შეეძლო დაენახა... მე კარიდან არ გამოვვარდნილვარ, - მიტიას ბოღმა ახრჩობდა.

პროკურორი გამომძიებელს მიუბრუნდა და დინჯად გადაულაპარაკა:

- აჩვენეთ.

- თქვენთვის ეს საგანი ნაცნობია? - გამომძიებელმა მიტიას წინ დაუდო სქელი ქაღალდისაგან გაკეთებული საკანცელარიო კონვერტი, რომელსაც კიდევ ეტყობოდა სამი ბეჭედი. კონვერტი ცარიელი იყო, ერთი მხრიდან გახეული. მიტია გულდასმით დააცქერდა მას.

- ეს... მამაჩემის კონვერტია ალბათ, - ჩაიბურტყუნა მან, - ის, რაშიც სამი ათასი იდო... აწერია რამე, მანახეთ: „ჩემს ვარიკას“... აი: სამი ათასი, - იყვირა მან, - ხედავთ, სამი ათასი?

- როგორ არ ვხედავთ, მაგრამ ფული შიგ არ იდო. ეს კონვერტი იატაკზე ცარიელი ეგდო, საწოლთან, შირმის იქით.
მიტია რამდენიმე წუთი გაოგნებული იდგა.
- ბატონებო, ეს სმერდიაკოვის ჩადენილია! - რამდენადაც შეეძლო იყვირა მან, - მისი მოკლულია, ფულიც მისი წაღებულია! მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, სად ჰქონდა კონვერტი დამალული მოხუცს... ახლა ყველაფერი ნათელია, ეს მისი ნახელავია!
- მაგრამ თქვენც ხომ იცოდით, სად იდო კონვერტი, ის ხომ ბალიშის ქვეშ იდო.
- არასოდეს მცოდნია: მე ის არასოდეს მინახავს, ახლა პირველად ვხედავ, ადრე მის შესახებ მხოლოდ სმერდიაკოვისაგან გამეგონა... მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, სად მალავდა მოხუცი, მე არაფერი ვიცოდი... - მიტიას საშინლად ეკვროდა სუნთქვა.
- ახლახან თქვენ არ გვითხარით, რომ კონვერტი განსვენებულ მამათქვენს ბალიშის ქვეშ ედოო. სწორედ ასე თქვით, ბალიშის ქვეშო. მაშასადამე, თქვენ იცოდით, სად იდო.
- ასეც ჩავწერეთ! - დაადასტურა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- სისულელეა, რაღაც აბდაუბდა! მე არ ვიცოდი, რომ ბალიშის ქვეშ იდო. შესაძლოა ბალიშის ქვეშ არც დებულა... მე ისე წამოვროშე, ბალიშის ქვეშ იდო-მეთქი... სმერდიაკოვმა რა თქვა? თქვენ მას ჰკითხეთ, სად იდო? სმერდიაკოვმა რა თქვა? ესაა მთავარი... მე კი რაღაცა წამოვროშე... არც მიფიქრია, ისე წამოვაყრანტალე, თქვენ კი ახლა... განა არ იცით, ხანდახან კაცი რაღაცას წამოროშავს ხოლმე. ისე კი, მხოლოდ სმერდიაკოვისთვის იყო ცნობილი, მხოლოდ მან და სხვამ არავინ იცოდა, მას ჩემთვისაც არ უთქვამს, სად იდო! ეს მან გააკეთა; უეჭველად მან მოკლა, ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, - სულ უფრო და უფრო გაშმაგებული ღრიალებდა მიტია, გაცხარებული და გამწარებული გაუთავებლად იმეორებდა ერთსა და იმავეს, - შეიგნეთ ეს, ხალხო, ახლავე დააპატიმრეთ, სასწრაფოდ. სასწრაფოდ... სწორედ მან მოკლა, მას შემდეგ, რაც მე გამოვიქეცი და გრიგორი უგონოდ დავტოვე, ახლა ყველაფერი ნათელია... იმიტომ რომ მხოლოდ მან იცოდა ნიშნები, მამაჩემი კი ნიშნების გარეშე კარს არავის გაუღებდა...
- თქვენ კვლავ გავიწყდებათ ერთი გარემოება, - ისევ ისე თავშეკავებულად და გამარჯვებულის კმაყოფილებით შენიშნა პროკურორმა. - ნიშნები რად უნდოდა, როცა კარი უკვე ღია იყო, ჯერ კიდევ თქვენი ბაღში ყოფნის დროს...
- კარი, კარი! - ბურტყუნებდა მიტია და მიშტერებოდა პროკურორს. ის ძალაგამოცლილი დაეშვა სკამზე. ყველა დუმდა.
- დიახ, კარი!.. ეს ფანტომია! ღმერთი ჩემს წინააღმდეგაა! - იყვირა მან და გაოგნებული მიაშტერდა ერთ წერტილს.
- ხედავთ, - მედიდურად განაცხადა პროკურორმა, - თავად განსაჯეთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ერთი მხრიდან არის ჩვენება, რომ კარი ღია იყო, საიდანაც თქვენ გამოვარდით, რაც თქვენთვისაც და ჩვენთვისაც დამთრგუნველი რამაა; მეორე მხრივ - თქვენი გაუგებარი, დაჟინებული და გაკერპებული დუმილი იმის თაობაზე, საიდან გაგიჩნდათ ეს ფული, მაშინ როცა, როგორც თავად განაცხადეთ, სამიოდ საათის წინ დააგირავეთ პისტოლეტები, რომ აგეღოთ ათი მანეთი! ამიტომ თავად გადაწყვიტეთ: ვის დავუჯეროთ და რა ვქნათ? ტყუილად გაქვთ ჩვენ მიმართ პრეტენზია, თითქოს ჩვენ „გულცივი ცინიკოსები ვართ და დაგცინით“, თითქოს

ჩვენ არ შეგვიძლია ვენდოთ თქვენს გულწრფელობას... კარგად დაფიქრდით და შედით ჩვენს მდგომარეობაში...
მიტია წარმოუდგენლად აღელდა. იგი გაფითრებული იჯდა.
- კეთილი! - ანაზდად შესძახა მან, - გეტყვით ჩემს საიდუმლოს, გამოგიტყდებით, საიდან მქონდა ფული!.. გამოგიტყდებით ჩემი სირცხვილის შესახებ, რომ შემდგომში აღარც თქვენ და აღარც ჩემი თავი არ დავადანაშაულო...
- დაგვიჯერეთ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - რაღაცნაირად დაშაქრული ხმით მიმართა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - ახლა თქვენი ყოველი გულწრფელი და სრული აღიარება შემდგომში საგრძნობლად შეამსუბუქებს თქვენ ხვედრს, გარდა ამისა...
ამ დროს პროკურორმა მაგიდის ქვემოთ ფეხი გაჰკრა მას და ისიც დროულად გაჩუმდა, თუმცა მიტია მას აღარც უსმენდა.

VII მიტიას დიდი საიდუმლო. გააბიაბრუეს

- ბატონებო, - დაიწყო აღელვებულმა მიტიამ, - ეს ფული... გულწრფელად გეუბნებით... ეს ფული ჩემი იყო.
პროკურორი და გამომძიებელი სახტად დარჩნენ, ამას ნამდვილად არ მოელოდნენ.
- როგორ თუ თქვენი?! - იკითხა გამომძიებელმა, - როცა ჯერ კიდევ დღის ხუთი საათისათვის, თქვენი აღიარებით...
- ეჰ, ეშმაკმა დალახვროს იმ დღის ხუთი საათი და ჩემი აღიარება. საქმეც ის არის, ფული მართლა ჩემი იყო, უფრო სწორად ჩემ მიერ მოპარული... ჩემი კი არა, ჩემ მიერ მოპარული, ათას ხუთასი მანეთი იყო, მე ის თან დამქონდა, მუდამ თან მქონდა...
- საიდან გქონდათ?
- კისერზე მეკიდა, ბატონებო, კისრიდან ჩამოვიღე, აი, ამ კისრიდან... აქ მეკიდა კისერზე, ჭინჭში გახვეული, უკვე დიდი ხანია, ერთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც, ჩემდა სამარცხვინოდ, ასე დავატარებდი!
- კი მაგრამ ვისგან... მიითვისეთ?
- თქვენ გინდათ თქვათ, ვის „მოვპარე“? პირდაპირ მითხარით. დიახ, მე ვთვლი, რომ ის ფული მოვიპარე, გნებავთ, მართლაც „მივითვისე“, მაგრამ, ჩემი აზრით, მოვიპარე. აი, გუშინ საღამოს კი ნამდვილად, საბოლოოდ მოვიპარე.
- გუშინ საღამოს? მაგრამ ახლა თქვით, რომ ერთი თვეა, რაც... ვიშოვეო!
- დიახ, მაგრამ მამაჩემისათვის კი არ მომიპარავს, მამაჩემისათვის არა, თქვენ ნუ ღელავთ, მამაჩემისათვის არ მომიპარავს, ეს იმ ქალბატონს მოვპარე. დამაცადეთ და ყველაფერს მოვყვები, ნუ შემაწყვეტინებთ. ჩემთვის ძალიან მძიმეა ამაზე ლაპარაკი. ამ ერთი თვის წინ დამიბარა კატერინა ივანოვნამ, ჩემმა ყოფილმა საცოლემ... ხომ იცნობთ?
- რა თქმა უნდა.
- ვიცი, რომ იცნობთ. კეთილშობილი პიროვნებაა, კეთილშობილთა შორის უკეთილშობილესი, მაგრამ მე უკვე დიდი ხანია ვძულვარ, დიდი ხანია, დიდი ხანი... დამსახურებულადაც, ღირსი ვარ მისი სიძულვილისა!
- კატერინა ივანოვნას? - იკითხა გაკვირვებულმა გამომძიებელმა. პროკურორიც

განაცვიფრა ამ ცნობამ.
- არ ახსენოთ მისი სახელი. მე ნაძირალა ვარ, რომ ვახსენე მისი სახელი. დიახ, ვიგრძენი, რომ ვძულდი მას... დიდი ხანია... თავიდანვე, ჯერ კიდევ მას შემდეგ, იქ ჩემს სახლში რომ მოვიდა. კმარა, კმარა, ამის გაგების ღირსი თქვენ არა ხართ, არ არის საჭირო... მხოლოდ ის მინდა მოგიყვეთ, რომ ამ ერთი თვის წინ მან თავისთან მიხმო და გადმომცა სამი ათასი მანეთი, მოსკოვში თავისი დისა და კიდევ ერთი ნათესავისათვის გადასაგზავნად (ვითომ ამის გაკეთებას თავად ვერ შეძლებდა). მე კი... ეს მოხდა სწორედ ჩემი ცხოვრების იმ საბედისწერო მომენტში, როცა მე... ერთი სიტყვით, სხვა შევიყვარე. ის ახლა ქვემოთ გიზით, გრუშენკა... მაშინ ხელი დავავლე გრუშენკას და აქ, მოკრეოში წამოვიყვანე. აქ კარგად მოვილხინეთ და იმ სამი ათასის ნახევარი დავამღერეთ, ე.ი. ათას ხუთასი მანეთი, ხოლო მეორე ნახევარი შევინახე. ეს სწორედ ის ფული იყო, რომელიც კისერზე ჩამოკიდებული დამქონდა ავგაროზის მაგივრად, გუშინ კი ჩამოვიხსენი და დავაპირე მისი დამღერებაც. რაც დამრჩა, რვაასი მანეთი თქვენ ხელთაა, ნიკოლაი პარფენოვიჩ, ეს არის გუშინდელი ათას ხუთასი მანეთიდან დარჩენილი თანხა.
- მოითმინეთ, რაღაც ეგრე არ არის, ამ ერთი თვის წინ თქვენ აქ დახარჯეთ სამი ათასი მანეთი და არა ათას ხუთასი, ამის შესახებ ყველამ იცის.
- ეგ ვინ იცის? ვინ დაითვალა? ვის ჩავაბარე ანგარიში?
- თვითონ არ ეუბნებოდით ყველას, ზუსტად სამი ათასი დავხარჯეო.
- მართალია, ასე ვამბობდი, მთელ ქალაქს ვუამბე, მთელი ქალაქი ამის შესახებ ჭორაობდა, ყველა ასე თვლიდა, მოკროეშიც ასე ეგონათ, თითქოს სამი ათასი გავფლანგე. მაგრამ მე ახლა გეუბნებით, რომ სამი ათასი კი არა, მხოლოდ ათას ხუთასი მანეთი დავხარჯე, დარჩენილი ათას ხუთასი მანეთი ავგაროზად კისერზე ჩამოვიკიდე; ასე იყო ეს, ბატონებო, აი, საიდან გაჩნდა გუშინ ეს ფული...
- პირდაპირ სასწაულია... - კვლავ თავაზიანად წარმოთქვა გამომძიებელმა.
- იქნებ მითხრათ, - თქვა პროკურორმა, - ხომ არავისათვის გაგინდიათ ამის შესახებ ადრე... ათას ხუთასი მანეთი რომ თქვენთვის დაიტოვეთ ამ ერთი თვის წინ...
- არავისათვის მითქვამს.
- საოცარია, ნუთუ არავის გაანდეთ?
- არავის.
- რატომ მალავდით? რატომ გაასაიდუმლეთ ეს ამბავი? უფრო გასაგებად გეტყვით: ახლა, როცა ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, გაგვანდეთ თქვენი საიდუმლო, თქვენ მიერ „სამარცხვინოდ“ წოდებული, არსებითად - შედარებისათვის რომ ვთქვათ - თქვენ მიერ სხვისი სამი ათასის მითვისება დროებითი მოვლენა იყო, ამიტომ ეს საქციელი შეიძლება ჩაითვალოს ძალზე ქარაფშუტობად, მაგრამ არცთუ ისე სამარცხვინო რამედ, თუ თქვენს ხასიათს გავითვალისწინებთ... იგი ნამდვილად საძრახისი საქციელია, მაგრამ არა სამარცხვინო... ე.ი. მე რა მინდა გითხრათ - თქვენ მიერ ქალბატონ ვერხოვცევას სამი ათასის გაფლანგვის თაობაზე, თქვენი აღიარების გარეშეც, ყველას გვქონდა ეჭვი, ამ ერთი თვის განმავლობაში ყველა ლაპარაკობდა ამ ლეგენდის შესახებ... მიხაილ მაკაროვიჩიც დამემოწმება, მანაც გაიგო ეს ამბავი. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს ლეგენდა კი არ არის, არამედ ჩვენი ქალაქის ჭორია. გარდა ამისა, დადის ხმები, თუ არ მეშლება, თქვენ თავად გაუმჟღავნეთ ვიღაცას, რომ ის ფული

ქალბატონ ვერხოვცევასი იყო... ამიტომაც მიკვირს და გამკვირვებია, თქვენ რომ
უკანასკნელ წუთებამდე ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდით და საიდუმლოდ
ინახავდით იმ გადანახულ ათას ხუთას მანეთს... დაუჯერებელია ისიც, რომ ამ
საიდუმლოს აღიარება თქვენთვის ასეთი მტანჯველი ყოფილიყო... სულ ახლახან
რომ განწირული ხმით გაჰყვიროდით, მიჯობს კატორღა, ვიდრე ამის აღიარებაო...
პროკურორი გაჩუმდა. ძალიან აღელვებული ჩანდა, წყენას ვერაფრით ფარავდა,
წყენას კი არა ბრაზს, იმიტომაც გადმოანთხია ასე არეულ-დარეულად და
უთავბოლოდ ყველაფერი, რასაც ფიქრობდა ისე, რომ არც კი უზრუნია ნათქვამის
ფორმაზე.
- სამარცხვინო ათას ხუთასი მანეთი კი არ იყო, არამედ ის, რომ სამი ათასიდან
ათას ხუთასი მანეთი მოვტეხე, - მტკიცედ წარმოთქვა მიტიამ.
- მერე რა, - გაიცინა გაღიზიანებულმა პროკურორმა, - რა არის ამაში
სამარცხვინო? დასაძრახი, თუ გნებავთ, და სამარცხვინო ისაა, რომ სამი ათასი
მიითვისეთ, ხოლო უკვე მითვისებულ ფულს რა უქენით, ეს უკვე თქვენი საქმე იყო.
ისე კი, რატომ მოიქეცით ასე, რატომ შეინახეთ ათას ხუთასი მანეთი? რისთვის და
რა მიზნისათვის გააკეთეთ ასე, იქნებ ეს აგვიხსნათ?
- ღმერთო ჩემო, სწორედ მიზანია ყველაფრის თავი და თავი! - იყვირა მიტიამ, -
სწორედ ისაა სისაძაგლე, ყველაფერი ეს რომ ანგარებით ჩავიდინე, ეს
ანგარიშიანობაა თავისმომჭრელი საქციელი... და ეს სისაძაგლე კი მთელ ერთი
თვის განმავლობაში გრძელდებოდა!
- გაუგებარია.
- მიკვირს თქვენი. მოდით, კიდევ ერთხელ აგიხსნით, იქნებ მართლა გაუგებარია.
მისმინეთ: მე მივითვისე სამი ათასი მანეთი, რომელიც გადმომცეს, ენდნენ ჩემს
სინდის-ნამუსს, მე კი ის ავიღე და დავამღერე. მეორე დღეს მივდივარ იმ
ქალბატონთან და ვეუბნები: „კატია, დამნაშავე ვარ, შემომეხარჯა შენი სამი
ათასი-მეთქი“, - განა ეს კარგია? არა, არ იქნებოდა ლამაზი - ეს იქნებოდა
უსინდისობა და სულმოკლეობა, მხეცი და მხეცივით თავშეუკავებელი ადამიანის
საქციელი, ასეა ხომ ეს? მაგრამ ქურდობა მაინც არ იქნებოდა, ამას პირდაპირ
ქურდობას ვერ დაარქმევ, ხომ მართალი ვარ, დამეთანხმეთ! დავამღერე, ხომ არ
მომიპარავს! ახლა სხვა, უფრო კარგი შემთხვევა განვიხილოთ. კარგად დამიგდეთ
ყური, თორემ შეიძლება კვლავ ავურ-დაურიო - რაღაც თავბრუ მეხვევა - მაშ ასე,
მეორე შემთხვევა: საქეიფოდ ვხარჯავ მხოლოდ გადმოცემული თანხის ნახევარს,
ათას ხუთას მანეთს. მეორე დღეს მივდივარ მასთან, ვუბრუნებ დარჩენილ
ნახევარს და ვეუბნები: „კატია, მე, საზიზღარმა და გარეწარმა კაცმა, დავხარჯე
შენ მიერ გადმოცემული ფულის ნახევარი, ქეიფში შემომეხარჯა, აი, ეს
დარჩენილი ნახევარი დაიბრუნე, თორემ ამასაც დავამღერებ. წაიღე და ცოდვას
ამარიდე!“ ვინ ვიქნები ასეთ შემთხვევაში? ვინც გინდა ის, მხეცი, გარეწარი,
მაგრამ არა ქურდი, რადგან ქურდი დარჩენილ ნახევარს უკან არ დააბრუნებდა,
იმასაც მიითვისებდა. ამ დროს მევალე გაიფიქრებს: თუ ნახევარი დააბრუნა,
დანარჩენ ნახევარსაც დააბრუნებს, ქვას გახეთქავს, მთელი ცხოვრება იმუშავებს,
ფულს იშოვის და ვალს დააბრუნებსო. ასე და ამგვარად, ეს უსინდისობაა, მაგრამ
არა ქურდობა, არა ქურდობა!
- დავუშვათ, რაღაც განსხვავება არის, - ცივად ჩაიცინა პროკურორმა, - მაგრამ
მაინც უცნაურია, თქვენ რომ ამაში საბედისწერო განსხვავებას ხედავთ!
- დიახ, მე ვხედავ მათში საბედისწერო განსხვავებას! გარეწარი შეიძლება იყოს

ყველა, დიახაც, ყველა გარეწარია, მაგრამ ქურდი ყველა არ არის, მხოლოდ ზეგარეწარი შეიძლება იყოს ქურდი. თუმცა მე ამ დეტალებში ვერ ვერკვევი... ვიცი, რომ ქურდი გარეწარზე უარესია, მე ასე მჯერა. მისმინეთ: მთელი ერთი თვის განმავლობაში ფულს თან დავატარებდი, ყოველდღე ვიმეორებდი, ხვალ უკან დავუბრუნებ და გარეწარი აღარ ვიქნები-მეთქი, მაგრამ გადაწყვეტილება ვერა და ვერ მივიღე. ყოველდღე თავს ვეუბნებოდი: „გადაწყვიტე, გადაწყვიტე, გარეწარო“, მაგრამ მთელი ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილება ვერ მივიღე, ასე იყო ეს! კარგია, როგორ ფიქრობთ, კარგია ეს?!

- დავუშვათ, არ არის მთლად კარგი, მე ეს კარგად მესმის, ამას არ გედავებით, - თავშეკავებით უპასუხა პროკურორმა, - გვეყოფა ამ დეტალებსა და განსხვავებებზე დავა. თუ თქვენი ნება იქნება, გადავიდეთ საქმეზე. იცით რა, თქვენ ჯერ არ გინებებიათ აგეხსნათ, თუმცა ჩვენ უკვე რამდენჯერმე გკითხეთ, თავდაპირველად რატომ მოახდინეთ იმ სამი ათასის დანაწევრება, როცა ნახევარი ქეიფში დახარჯეთ და ნახევარი გადამალეთ? რისთვის გადამალეთ, რაში აპირებდით იმ ათას ხუთასი მანეთის გამოყენებას? მე ამ კითხვაზე პასუხს დაჟინებით მოვითხოვ, დმიტრი ფიოდოროვიჩ.

- დიახ, მართლაც! - იყვირა მიტიამ და ხელი შუბლზე მიირტყა, - მაპატიეთ, გაგაწვალეთ, მთავარი არ აგიხსენით, თორემ თქვენ უცებ მიხვდებოდით ყველაფერს, რამეთუ სწორედ მიზანი, მიზანი იყო ჩემი სირცხვილი! ყველაფერი განსვენებული მოხუცებულის ბრალია, ის აგრაფენა ალექსანდროვნას აცდუნებდა, მე ვეჭვიანობდი, მეგონა, ქალი ჩემსა და მამაჩემს შორის ყოყმანებს-მეთქი. ყოველდღე იმის ფიქრში ვიყავი - ერთიც ვნახოთ და ქალმა გადაწყვიტა ჩემს ტანჯვას ბოლო მოუღოს და მითხრას: „მე შენ მიყვარხარ, წამიყვანე, თუნდაც ცხრა მთას იქით წამოგყვებიო!“ და მე კი ამ დროს ჯიბეში მხოლოდ ერთი აბაზი მიგდია. რა უნდა ვქნა, რითი წავიყვანო, ხომ დავიღუპები-მეთქი. მაშინ გრუშას წესიერად არ ვიცნობდი, მეგონა, მხოლოდ ფული აინტერესებდა და ჩემს სიღატაკეს არ მაპატიებდა. ამიტომაც ფული როგორც კი ხელში ჩამივარდა, სამი ათასიდან ნახევარი ჭინჭში გავახვიე, მშვიდად ამოვკერე, მიზანდასახულად ვკონკავდი, მთვრალი კი არ ვიყავი, სულ მთლად ფხიზელმა გავაკეთე. შემდეგ კი დარჩენილი თანხის დასამღერებლად გავეშურე! განა ეს საძაგლობა არ არის, ბატონებო! ახლა გასაგებია?

პროკურორს ხმამაღლა გაეცინა, გამომძიებელსაც.

- მე რომ მკითხოთ, საკმაოდ ზნეობრივი და კეთილგონიერი გადაწყვეტილება მიგიღიათ, თავი შეიკავეთ და სულ არ დახარჯეთ, - ჩაიქირქილა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - რა არის ამაში ცუდი?

- ცუდი ის არის, რომ მოვიპარე! ღმერთო ჩემო, გამაგიჟებთ გაუგებლობით! მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ კისერზე ჩამოკიდებულ ჭინჭში გახვეულ ფულს დავატარებდი, ყოველდღიურად ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ქურდი ხარ, ქურდი!“ ამის გამო იყო, რომ იმ ხანად, მთელი ერთი თვის განმავლობაში ნერვებმოშლილი ვიყავი, ხან სამიკიტნოში ავტეხე ჩხუბი, ხან მამაჩემს თავ-პირი დავუმტვრიე. ჩემს ძმა ალიოშასაც კი ვერ გავუმხილე ამ ათას ხუთასი მანეთის ამბავი, იმდენად გარეწრად და ქურდად ვგრძნობდი თავს! მაგრამ ისიც იცოდეთ, სანამ მე ამას დავატარებდი, ყოველდღე, ყოველსაათს ჩემს თავს ვეუბნებოდი: „არა, დმიტრი, შესაძლოა, შენ, ჯერ კიდევ არა ხარ ქურდი.“ რატომ? იმიტომ რომ ხვალ შეიძლება კატიასთან წახვიდე და უკან დაუბრუნო ეს ათას ხუთასი მანეთი.

მხოლოდ გუშინ მოვიგლიჯე კისრიდან ჩემი ავგაროზი, როცა ფენიადან პერხოტინთან გავვარდი. როგორც კი მოვიგლიჯე, იმავ წუთს საბოლოოდ თავი ქურდად ვიგრძენი, ქურდად და სინდისგარეცხილ კაცად. რატომ? იმიტომ რომ ავგაროზთან ერთად ჩემი ოცნებაც - მივსულიყავი კატიასთან და მეთქვა: „გარეწარი ვარ, მაგრამ ქურდი არა ვარ“ - მოვიგლიჯე! ახლა გაიგეთ, გაიგეთ!
- მაინცდამაინც გუშინ რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება? - ჰკითხა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- რატომ? სასაცილოა ამის კითხვა: იმიტომ რომ ჩემს თავს სიკვდილი მივუსაჯე, აქ გამთენიისას, დილის ხუთი საათისათვის თავი უნდა მომეკლა. „სულ ერთი არ არის, - ვფიქრობდი, - გარეწრად მოვკვდები თუ კეთილშობილად-მეთქი!“ არა, თურმე არ ყოფილა სულ ერთი! დამიჯერებთ, ბატონებო, მე ამ ღამეს ის კი არ მაწუხებდა, რომ მოხუცი მსახური შემომაკვდა და წინ ციმბირი მელოდა, და მერე როდის? - როცა ჩემს სიყვარულს ფრთები შეესხა და ზეციერის მადლი გადმოვიდა ჩემზე! ოო, არა, ესეც მაწუხებდა, მაგრამ ისე არა; მაინცდამაინც ისე არა, როგორც ის წყეული შეგრძნება იმისა, რომ კისერზე ჩამოკიდებული, ჭინჭში გახვეული ფული ჩამოვიგლიჯე და გავფლანგე; ის, რომ ახლა საბოლოოდ გავხდი ქურდი! ეხ, ბატონებო, გულის ტკივილით ვიმეორებ: ბევრი რამ გავიგე ამ ღამეს! გავიგე, რომ არათუ გარეწრად ყოფნაა გაუსაძლისი, არამედ გარეწრად სიკვდილიც აუტანელია... დიახ, ბატონებო, კაცი პატიოსნად უნდა მოკვდე!..
სახეგაფითრებულ მიტიას გაწამებული გამომეტყველება ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად გაცხარებული ლაპარაკობდა.
- დმიტრი ფიოდოროვიჩ, მე თქვენი თანდათან მესმის, - დაყვავებით და თითქმის თანაგრძნობით თქვა პროკურორმა, - მაგრამ ეს ყველაფერი თქვენი ნების ბრალია, ჩემი აზრით, ყველაფერი თქვენი ნერვების, ავადმყოფი ნერვების გამოა ასე, ბატონო ჩემო. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ამ ერთი თვის განმავლობაში ამდენ ტანჯვას არ სჯობდა, წასულიყავით და დაგებრუნებინათ ის ათას ხუთასი მანეთი პატრონისათვის. რატომ არ გამოიყენეთ ის კომბინაცია, რომელიც ასე ბუნებრივად მოისაზრეთ, რატომ არ აუხსენით მას, როგორც ჩვენ აგვიწერეთ, მაშინდელი თქვენი მდგომარეობა და არ სთხოვეთ თქვენთვის საჭირო თანხა. ის ისეთი დიდსულოვანი ქალია, თქვენი კეთილშობილი აღიარების შემდეგ გაიგებდა რა თქვენს გამოუვალ მდგომარეობას, არ დაგიკავებდათ საჭირო თანხას, მით უმეტეს, თუ თქვენ დოკუმენტურად გააფორმებდით ვალს ან თუნდაც ისეთსავე გარანტიას მისცემდით, როგორიც ვაჭარ სამსონოვს და ქალბატონ ხოხლაკოვას შესთავაზეთ. თქვენ ხომ ახლაც ღირებულად მიგაჩნიათ ის გარანტია?
მიტია უცებ გაწითლდა.
- ნუთუ თქვენ ასეთ ნაძირალად მთვლით? ნუთუ ამას სერიოზულად ამბობთ? - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან და თვალებში მიაშტერდა პროკურორს. თითქოს არ სჯეროდა, რაც მისგან გაიგონა.
- გარწმუნებთ, სავსებით სერიოზულად ვამბობ... რატომ გგონიათ, რომ არასერიოზულად ვამბობ? - გაიკვირვა თავის მხრივ პროკურორმა.
- საზიზღრობაა ყველაფერი! ბატონებო, იცით თუ არა თქვენ, რომ მაწამებთ. კეთილი, მე თქვენ ახლა ყველაფერს გეტყვით, გამოგიტყდებით ჩემს ინფერნალურობაში[115]. მინდა, რომ შეგარცხვინოთ, თქვენ თავად გაოცდებით, თუ როგორ საზიზღრობამდე შეიძლება დავიდეს ადამიანის გრძნობების კომბინაცია. თქვენ თავად კარგად მოგეხსენებათ, მე მქონდა ასეთი კომბინაცია,

სწორედ ის, რის შესახებაც წეღან თქვენ ლაპარაკობდით, პროკურორო! დიახ, ბატონებო, გამიჩნდა ასეთი აზრი ამ დაწყევლილი ერთი თვის განმავლობაში, თითქმის გადაწყვეტილი მქონდა კატიასთან მისვლა, იმდენად გავთახსირდი! მაგრამ მივსულიყავი მასთან და მომეყოლა ჩემი ღალატის შესახებ, ამ ღალატის ბოლომდე ხორცის შესხმისათვის მეთხოვა საჭირო თანხა (მეთხოვა, გესმით, მეთხოვა!) და მაშინვე მისგან წამოსული გავქცეულიყავი სხვასთან, მის მეტოქესთან, მისთვის ყველაზე საძულველ და საძაგელ ქალთან, - ღმერთმა დამიფაროს, თქვენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ, პროკურორო!
- არა, ჭკუიდან არ შევშლილვარ, ცხადია, ცხელ გულზე კარგად ვერ მოვიაზრე... ქალური ეჭვიანობის თაობაზე... თუკი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჰქონდა ადგილი ეჭვიანობას, როგორც თქვენ ამტკიცებთ... თუმცა, მართლაც, არ არის გამორიცხული ამდაგვარი რამ, - გაიცინა პროკურორმა.
- ეს ისეთი საზიზღრობა იქნებოდა, - გაშმაგებულმა მიტიამ მაგიდაზე მუშტი დაარტყა, - ამას ისეთი საშინელი სუნი აუვიდოდა, რომ არ ვიცი! იცით თუ არა თქვენ, მას შეეძლო ჩემთვის მოეცა ფული, მომცემდა კიდეც, ალბათ მომცემდა, შური რომ ეძია და ამ შურისძიებით დამტკბარიყო, რადგან ვძულვარ, რადგან ისიც ინფერნალური სულია და მრისხანე დედაკაცია! მე კი ფულს ავიღებდი, დიახ, ულაპარაკოდ ავიღებდი, შემდეგ კი მთელი სიცოცხლე... ო, ღმერთო ჩემო! მაპატიეთ, ბატონებო, მე იმიტომ ვყვირი, ასეთი აზრი ამას წინათ გამიჩნდა, ამ სამი დღის წინ, იმ ღამეს, როცა ლიაგავისთან გაწამაწიაში ვიყავი. გუშინაც, გუშინ მთელი დღის განმავლობაში აკვიატებული მქონდა, ეს კარგად მახსოვს, სანამ ის ამბავი მოხდებოდა...
- რომელი ამბავი? - დაინტერესდა ნიკოლაი პარფენოვიჩი, მაგრამ მიტიას ეს კითხვა არ გაუგია.
- მე თქვენ საშინელ რამეში გამოგიტყდით, - დაასკვნა დამწუხრებულმა მიტიამ, - შეაფასეთ ეს, ბატონებო. არა, კი არ შეაფასეთ, არამედ დააფასეთ, და თუ ის თქვენი ყურადღების მიღმა დარჩება, მაშინ გამოდის, ოდნავადაც არა მცემთ პატივს, ბატონებო, აი, რას გეტყვით: სირცხვილისაგან მოვკვდები, თქვენნაირებს გული რომ გადავუშალე! დიახ, მე თავს მოვიკლავ! ვხედავ, კარგად ვხედავ, რომ ჩემი ოდნავადაც არ გჯერათ! თქვენ რა, ამის ჩაწერასაც აპირებთ? - იყვირა შეშინებულმა მიტიამ.
- დიახ, თქვენ ახლახან რომ თქვით, - გაკვირვებით შეხედა ნიკოლაი პარფენოვიჩმა მიტიას, - უკანასკნელ მომენტამდე ვაპირებდი ქალბატონ ვერხოვცევასთან მისვლასო... გარწმუნებთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენებაა, დმიტრი ფიოდოროვიჩ, ამ შემთხვევისათვის... განსაკუთრებით თქვენთვის, განსაკუთრებით თქვენთვისაა მნიშვნელოვანი.
- მოწყალება გაიღეთ, ბატონებო, - ხელები გაშალა მიტიამ, - ამას მაინც ნუ ჩაწერთ, გრცხვენოდეთ! მე ხომ ჩემი გული ორად გავხლიჩე, თქვენ კი გინდათ, ისარგებლოთ და ხელები აფათუროთ ამ ორად გახლეჩილ ნაწილებში... ღმერთო, მიშველე!
სასოწარკვეთილმა მიტიამ ხელები სახეზე აიფარა.
- აგრერიგად ნუ წუხართ, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - უთხრა პროკურორმა. - ყველაფერს, რასაც ახლა ჩავწერთ, მოგვიანებით წაგიკითხავთ. რაზედაც თანახმა არ იქნებით, როგორც თქვენ ისურვებთ, ისე შევცვლით. ახლა კი ერთ კითხვას მესამედ გიმეორებთ: ნუთუ არავისათვის იყო ცნობილი, თქვენ რომ ის ფული

ჭინჭში ჩაკერებული დაგქონდათ? პირდაპირ გეუბნებით, ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.
- არავინ, არავინ-მეთქი, მე თქვენ უკვე გითხარით, თუ არადა თქვენ არაფერი არ გაგიგიათ! თავი დამანებეთ.
- კი, ბატონო! ეს ამბავი ჯერ კიდევ ადრე უნდა გაცხადებულიყო. ახლა კი, თავად განსაჯეთ: ჩვენ გვყავს ათობით მოწმე იმისა, რომ თქვენ თავად ავრცელებდით ხმებს სამი ათასის შესახებ, რომელიც ადრე აქ დახარჯეთ, სამი ათასზე და არა ათას ხუთას მანეთზე. ის კი არა, გუშინდელი ფულის გამოჩენის გამოც უკვე ბევრი ლაპარაკობს, რომ კვლავ სამი ათასი ჩამოიტანეთ...
- ათობით კი არა, ასობით მოწმე გყავთ, ორასი მოწმე, ორასმა კაცმა მოისმინა, ათასმა გაიგონა! - აყვირდა მიტია.
- ხომ ხედავთ, ყველა ადასტურებს, ყველა. ნუთუ თქვენთვის არაფერს ნიშნავს სიტყვა „ყველა“?
- არაფერსაც არ ნიშნავს, მე მოვიტყუე და ყველამ აიტაცა ეს ტყუილი.
- რისთვის „ტყუოდით“, როგორ ახსნით?
- ეშმაკმა უწყის. ვტრაბახობდი, შეიძლება... დიახ... დახეთ, რამდენი ფული დავხარჯე-მეთქი... შეიძლება იმის გამოც, რომ ის ჭინჭში გახვეული ფული დამევიწყებინა... დიახ, სწორედაც მაგიტომ... ეშმაკმა დაგლახვროთ... მერამდენედ უნდა დამისვათ ეს კითხვა? მოვიტყუე, ჰოდა, რახან ერთხელ მოვიტყუე, აღარ მინდოდა გადამეთქვა. რისთვის ტყუის ხოლმე ზოგჯერ ადამიანი?
- ეს ძალიან ძნელი სათქმელია, დმიტრი ფიოდოროვიჩ, რისთვის ტყუის ხოლმე ადამიანი, - დიდაქტიკური ტონით მიუგო პროკურორმა. - ერთი ეს მითხარით, დიდი იყო ის, როგორც თქვენ უწოდებთ, ავგაროზი, რომელიც კისერზე გეკიდათ?
- არა, არ იყო დიდი.
- მაინც რამხელა იქნებოდა?
- ორად მოკეცილი ასმანეთიანის სიდიდის.
- ხომ არ გვაჩვენებდით იმ ჭინჭის ნაჭრებს? ალბათ თანა გაქვთ.
- რას მიედ-მოედებით... თან რად უნდა მქონდეს.
- მაშინ ნება იბოძეთ და გვითხარით: სად და როდის მოიხსენით ის კისრიდან? თქვენ, როგორც აქ განაცხადეთ, სახლში არ გაგივლიათ?
- ფენიადან წამოსულმა, სანამ პერხოტინთან მივიდოდი, გზაში ჩამოვიგლიჯე და ფული ამოვიღე.
- სიბნელეში?
- რად მინდოდა სინათლე? ერთი წამის საქმე იყო.
- მაკრატლის გარეშე, ქუჩაში?
- მოედანზე მგონი. რა საჭირო იყო მაკრატელი? ძველი ჩვარი უცებ გაიფხრიწა.
- შემდეგ რა უყავით იმ ჭინჭს?
- იქვე დავაგდე.
- სად?
- იქვე მოედანზე, მგონი, მოედანზე. ეშმაკმა უწყის, სად. რატომ გაინტერესებთ?
- ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, დმიტრი ფიოდოროვიჩ: ნივთიერი მტკიცებაა, თქვენთვის სასარგებლო, რატომ არ გინდათ ამის გაგება? ვინ დაგეხმარათ ამ ერთი თვის წინ, როცა ჭინჭში ფული ჩააკერეთ?
- არავინ დამხმარებია, თავად ამოვკერე.

- თქვენ კერვა იცით?
- ჯარისკაცმა კერვა უნდა იცოდეს, კერვას დიდი ცოდნა არ უნდა.
- სად იშოვეთ ქსოვილი, უფრო სწორად ჭინჭი, რაშიდაც ამოკერეთ?
- დამცინით?
- სულაც არა, სულ არ გვეცინება, დმიტრი ფიოდოროვიჩ.
- არ მახსოვს, სად ავიღე, ალბათ სადღაც ვიპოვე.
- როგორ, ნუთუ არ გახსოვთ?
- არა, ღმერთმანი, არ მახსოვს, შესაძლოა ძველ თეთრეულს მოვახიე.
- ძალიან საინტერესოა: ხვალ შესაძლებელი იქნება თქვენს ოთახში მოინახოს ის ნივთი, დავუშვათ პერანგი, რომელსაც ჩამოახიეთ. რა ნაჭერი იყო, ტილო თუ მიტკალი?
- ეშმაკმა უწყის! მოითმინეთ... მე კი არ მოვახიე. ჭინჭი კოლენკორის იყო... მგონი ჩემი დიასახლისის ჩაჩი იყო.
- დიასახლისის ჩაჩი?
- დიახ, სადღაც დავითრიე.
- ეგ როგორ დაითრიეთ?
- იცით რა, ახლა მახსენდება: ერთხელ მისი ჩაჩი ავიღე, ჩუმად ავიღე, ჩვარად გამოსაყენებლად, კალამი მინდოდა გამეწმინდა. სადღაც ეგდო და ავიღე, უსარგებლო ნივთი იყო. იმის ნაგლეჯები სადღაც სახლში ეყარა და როცა ათას ხუთასი მანეთი დამრჩა, ავიღე და მასში ჩავკერე. კოლენკორის ძველმანი იყო, ათასჯერ განარეცხი.
- ეს თქვენ ნამდვილად გახსოვთ?
- არ ვიცი, ნამდვილად თუ არა. მგონი, ჩაჩი იყო, ერთი მაგისიც...
- მაშინ თქვენს დიასახლისს უნდა ახსოვდეს, ასეთი ნივთი რომ დაკარგა?
- არც მოუკითხავს. ძველი ჩაჩი იყო-მეთქი, ძველმანი ჩვარი, კაპიკის ფასიც არ ჰქონდა.
- ნემსი და ძაფი სად იშოვეთ?
- მე ვწყვეტ ჩვენებას, მეტს არაფერს ვიტყვი. საკმარისია! - ბოლოს და ბოლოს გაბრაზდა მიტია.
- საოცარია პირდაპირ, ასე მალე როგორ დაგავიწყდათ, სად გადააგდეთ ის... ავგაროზი.
- გაეცით ბრძანება, ხვალ მოედანი გამოხვეტონ და იპოვით, - ჩაიცინა მიტიამ, - კმარა, ბატონებო, გეყოფათ, - გაწამებული ხმით წარმოთქვა მან, - ყველაფერი ნათელია: თქვენ ჩემი არ გჯერათ! ერთი სიტყვისაც არ გჯერათ! ჩემი ბრალია, თქვენ რა შუაში ხართ. არ უნდა მეთქვა. რატომ, რატომ შევირცხვინე თავი ჩემი აღიარებით! თქვენთვის ეს სასეირო იყო, თქვენს თვალებში ვხედავ. ეს თქვენ მაიძულეთ, რომ მეთქვა! გიხაროდენ, გიხაროდენ... წყეულიმც იყავით, მწამებლებო!
მიტიამ თავი დახარა და ხელებში ჩარგო. პროკურორი და გამომძიებელი დუმდნენ. ერთი წუთის შემდეგ მიტიამ თავი ასწია და რაღაცნაირად უაზროდ შეხედა მათ. სახეზე სასოწარკვეთა აღბეჭდოდა. ხმაგაკმენდილი იჯდა ისე, თითქოს საკუთარი თავი აღარ ახსოვდა. საქმე კი მოსათავებელი იყო: ამიერიდან მოწმეების დაკითხვას უნდა შესდგომოდნენ. უკვე დილის რვა საათი იქნებოდა. სანთლები კარგა ხნის წინ ჩააქრეს. მიხაილ მაკარიჩი და კალგანოვი, რომლებიც დაკითხვის მსვლელობის დროს ხშირად შემოდიოდნენ და გადიოდნენ, ახლა

ოთახიდან გავიდნენ. პროკურორიც და გამომძიებელიც ძალიან გადაღლილები ჩანდნენ. ავდრიანი დილა გათენდა, მთელი ცა ღრუბლებით იყო მოქუფრული, კოკისპირულად წვიმდა. მიტია ფანჯარას უაზროდ მიშტერებოდა.
- შეიძლება ფანჯარაში გადავიხედავ? - ანაზდად იკითხა მან.
- რამდენიც გნებავთ, - მიიღო პასუხი.
მიტია ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის პატარ-პატარა მომწვანო მინებს წვიმის წვეთები ესხმოდა. პირდაპირ ტალახიანი გზა მოჩანდა, შორს კი, წვიმის წყვდიადში, ჩაშავებული, უსახური ქოხმახების რიგი, რომლებიც ბურუსში უფრო შავად და ღატაკად გამოიყურებოდნენ. მიტიას „ოქროსკულულებიანი ფებოსი“ გაახსენდა, როგორ უნდოდა მისი პირველი სხივის გამოჩენისთანავე თავის მოკვლა. „ისე კი, სიკვდილი ასეთ დილას აჯობებდა“, - ჩაიცინა მან და თავის „მწამებლებს“ მიუბრუნდა.
- ბატონებო! - შესძახა მან, - ვხედავ, ჩემი საშველი არ არის. მაგრამ გრუშენკა? მითხარით რამე მის შესახებ, გევედრებით, ნუთუ ისიც ჩემთან ერთად უნდა დაიღუპოს? ის ხომ უდანაშაულოა. გუშინ როცა ყვიროდა, „ყველაფერი ჩემი ბრალიაო“ - თავის ჭკუაზე არ იყო. ის არაფერ შუაშია, მას ბრალი არაფერში მიუძღვის! მთელი ღამე დარდი მკლავს... ნუთუ არ შეგიძლიათ, მითხრათ: რას უპირებთ მას?
- ნუ ღელავთ ამ საკითხზე, დმიტრი ფიოდოროვიჩ, - უმალვე საქმიანად უპასუხა პროკურორმა, - ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი მნიშვნელოვანი მოტივი, რაც მოგვცემდა უფლებას, შევაწუხოთ ის არსება, რომლითაც თქვენ აგრერიგად დაინტერესებული ხართ. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომშიაც ასე გაგრძელდება... პირიქით, ყოველ ღონეს ვიხმართ, რაც ჩვენ შესაძლებლობებშია, რომ არაფერი შეეხოს მას. ასე რომ გულდამშვიდებული ბრძანდებოდეთ.
- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, მე ასეც ვიცოდი, მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც პატიოსანი და სამართლიანი ხალხი ხართ. გულიდან ტვირთი მომხსენით. ახლა რას ვაპირებთ? მე მზად ვარ.
- საჩქაროდ უნდა დაიკითხოს მოწმეები და ყველაფერი ეს თქვენი თანდასწრებით უნდა მოხდეს, ამიტომ...
- მანამდე ჩაი ხომ არ დაგველია? - შეაწყვეტინა ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - მე მგონი დავიმსახურეთ!
გადაწყვიტეს, ქვემოთ ჩაი თუ მზად ექნებოდათ (ალბათ იმიტომ, რომ მიხაილ მაკაროვიჩი ქვემოდ ჩავიდა ჩაის დასალევად), თითო ჭიქა დალიონ და შემდეგ კი „გააგრძელონ და გააგრძელონ“. ნამდვილი ჩაი და „საუზმე“ უფრო მოგვიანებით, თავისუფალი დროისათვის გადადეს. ქვემოთ ჩაი ადუღებული აღმოჩნდა და სასწრაფოდ ამოუტანეს. როცა გამომძიებელმა ჩაი შესთავაზა, მიტიამ ჯერ უარი თქვა, მაგრამ შემდეგ თვითონ მოითხოვა და ხარბად დაეწაფა. საერთოდ, მიტიას საოცრად გაწამებული გამომეტყველება ჰქონდა. მისი გოლიათური ჯანისათვის ერთი ღამის ქეიფსა და ძლიერ განცდებს თავისი კვალი მაინც დაემჩნია. სკამზე ძლივს იჯდა, მის თვალწინ საგნები თითქოს მიდი-მოდიოდნენ და ციბრუტივით ტრიალებდნენ. „ცოტაც და ბოდვას დავიწყებ“, - გაიფიქრა მან.

VIII მოწმეების ჩვენება. ბაღანა

მოწმეთა დაკითხვა დაიწყო. ამჟამად ჩვენ ისე დაწვრილებით აღარ გავაგრძელებთ თხრობას, როგორც აქამდე ვაკეთებდით. მთლიანად გამოვტოვებთ იმ ნაწილს, როდესაც გამომძიებელი თითოეულ გამოძახებულ მოწმეს აფრთხილებდა, რომ ჩვენება უნდა იყოს გულახდილი და მართალი, შემდეგ ფიცის ქვეშ ყველაფერი უნდა გაემეორებინა, დასასრულს ხელი უნდა მოეწერა ოქმზე და ა.შ. მხოლოდ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, მთავარი პუნქტი, რომელზედაც დაკითხულების ყურადღებას ამახვილებდნენ, იყო სამი ათასი მანეთის საკითხი, ე.ი. არკვევდნენ, ამ ერთი თვის წინ, მოკროეში, პირველი ქეიფის დროს, და წუხელ, მეორე ქეიფის დროს, დმიტრი კარამაზოვს სამი ათასი ჰქონდა თუ ათას ხუთასი მანეთიო. საუბედუროდ, ყველა მოწმემ ერთხმად მისცა მიტიას საწინააღმდეგო ჩვენება, არც ერთი დამოწმება მისთვის სასარგებლო არ ყოფილა. ზოგიერთმა ისეთი გამაოგნებელი ფაქტებიც დაუმატა, რომლებიც მიტიას ნათქვამს სრულიად უარყოფდა. პირველად ტრიფონ ბორისიჩი დაკითხეს. ის დამკითხველების წინაშე ყოველგვარი შიშის გარეშე წარდგა. ეჭვმიტანილზე მკაცრი და უკმაყოფილო ტონით ლაპარაკობდა. ამით უნდოდა ეჩვენებინა, თუ როგორი ღირსეული და განსაკუთრებულად სამართლიანი კაცი იყო. ცოტას ლაპარაკობდა, თავშეკავებულად ელოდა კითხვებს, პასუხობდა ზუსტად და საზრიანად. მან მტკიცედ და დაბეჯითებით განაცხადა, რომ ამ ერთი თვის წინ შეუძლებელი იყო აქ, მოკროეში, დმიტრი კარამაზოვს სამი ათასზე ნაკლები დაეხარჯა, ყველა მოკროელი გლეხი აღიარებს „მიტრი ფიოდოროვიჩის“ ნათქვამს - სამი ათასი დავხარჯეო, „მარტო ბოშა ქალებს რამდენი უფეშქაშა. ათას მანეთზე მეტი იქნებოდაო.“
- ხუთასიც არ იქნებოდა, - შენიშნა ამის თაობაზე დაღვრემილმა მიტიამ, - მაშინ არ დამითვლია, მთვრალი ვიყავი, სამწუხაროდ...
ამჯერად მიტია გვერდით, ფარდისაკენ ზურგშექცეული იჯდა და კუშტად უსმენდა მოწმეების გამოსვლას. მისი გადაღლილი და ნაღვლიანი სახე მეტყველებდა: „ეჰ, რაც გინდათ ის ილაპარაკეთ, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია!“
- ათასზე მეტი მიეცით ბოშებს, მიტრი ფიოდოროვიჩ, - მტკიცედ უარყო ტრიფონ ბორისოვიჩმა, - აქეთ-იქეთ ფანტავდით მაშინ ფულებს, ისინი კი იღებდნენ. ბოშები ხომ ქურდი და ყალთაბანდი ხალხია, ცხენიპარიები. გააძევეს ისინი აქედან, თორემ თავად იტყოდნენ, რამდენი ფული აგწაპნეს. მე მაშინ თქვენ ხელში ფული დავინახე - დათვლით არ დამითვლია, ჩემთვის არ მოგიციათ, ეს მართალია, მაგრამ კარგად მახსოვს, ის ათას ხუთას მანეთზე ბევრად მეტი იყო... რის ათას ხუთასი! როგორმე ჩვენც გვინახავს ფული, ვიცით რა და როგორ...
გუშინდელი თანხის შესახებ ტრიფონ ბორისოვიჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ ეტლის გაჩერებისთანავე დმიტრი ფიოდოროვიჩმა პირადად მითხრა: სამი ათასი ჩამოვიტანეო.
- ვითომ, ტრიფონ ბორისიჩ?! - დააპირა შეწინააღმდეგება მიტიამ, - ნუთუ პირდაპირ მოგახარე - სამი ათასი ჩამოვიტანე-მეთქი?
- ბრძანეთ, მიტრი ფიოდოროვიჩ, ანდრეის თანდასწრებით თქვით. ის აქ არის, ჯერ არ წასულა, დაუძახეთ მას. იქ, დარბაზში კი, როცა გუნდი მღეროდა, სახალხოდ იყვირეთ, რომ მეექვსე ათასს ვტოვებ აქო, ალბათ იმ ძველ სამ ათასსაც გულისხმობდით, სხვანაირად არ შეიძლება გაგება. სტეპანმა და სემიონმაც

გაიგონეს, პიოტრ ფომიჩ კალგანოვმაც, იგი მაშინ ალბათ თქვენ გვერდით იდგა, შესაძლოა მასაც ახსოვს...
გამომძიებლები ექვსი ათასის შესახებ ჩვენებას განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ. ახალი რედაქცია მოეწონათ: სამი მაშინ, სამი ახლა, სულ ექვსი. ნათელი იყო: სულ ექვსი ათასი ჰქონებია.
ტრიფონ ბორისოვიჩის მიერ დასახელებული პირები - გლეხები, სტეპანი და სემიონი, მეეტლე ანდრეი და პიოტრ ფომიჩ კალგანოვი - ყველა დაკითხეს. გლეხებმა და მეეტლემ უყოყმანოდ დაადასტურეს ტრიფონ ბორისიჩის ჩვენება. გარდა ამისა, ანდრეის ჩვენებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და ჩაიწერეს ანდრეისა და მიტიას საუბარი გზაში, როდესაც მიტიამ ანდრეის უთხრა: „სად მოვხვდები, ნეტა დღეის შემდეგ, ზეცაში თუ ჯოჯოხეთში, შემინდობენ თუ არა ჩემს ცოდვებს საიქიოში?“ ამის მოსმენის შემდეგ „ფსიქოლოგ“ პროკურორს ჩაეღიმა და ბრძანა ამ ჩვენების „საქმეში შეტანა“.
დასაკითხავად გამოძახებული კალგანოვი მოღუშული, უხალისოდ შემოვიდა. პროკურორსა და გამომძიებელს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს პირველად ხედავდა, თუმცა კარგად იცნობდა და ხშირადაც შეხვედრია მათ. მან ჩვენება იმით დაიწყო, რომ განაცხადა: „ამ ამბის შესახებ არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე“, მაგრამ ექვსი ათასის შესახებ გაგონილი ჰქონდა, იმ დროს მიტიას გვერდით მდგარა. კალგანოვმა აღნიშნა, მიტიას ფული ხელში ეჭირა, მაგრამ „ვერ გეტყვით, რამდენი“. ისიც დაადასტურა, მიტია პოლონელებმა ბანქოს თამაშის დროს მოატყუესო. განმეორებითი შეკითხვების შემდეგ კალგანოვმა უპასუხა, რომ პოლონელების გაძევების შემდეგ მიტიასა და აგრაფენა ალექსანდროვნას შორის დამოკიდებულება დათბა, ქალმა უთხრა კარამაზოვს, მიყვარხარო. აგრაფენა ალექსანდროვნაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ვინმე მაღალი წრის ქალბატონზე, ერთხელაც არ მოუხსენიებია, როგორც „გრუშენკა“. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა კაცი აშკარად ვერ ფარავდა დაკითხვის პროცესისადმი ზიზღს, იპოლიტ კირილოვიჩი მაინც დიდი ხნის განმავლობაში უსვამდა კითხვებს და მხოლოდ მისგან შეძლო, შეეტყო მიტიას იმღამინდელი „რომანის“ წვრილმანები. მიტიას კალგანოვი ერთხელაც არ გაუჩერებია. ბოლოს და ბოლოს კალგანოვი გაუშვეს და ისიც დაუფარავი უკმაყოფილებით გაშორდა იქაურობას.
დაკითხეს პოლონელებიც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გვერდით ოთახში დასაძინებლად დაწვნენ, მთელი ღამე არ უძინიათ. როცა ხელისუფლების წარმომადგენლები მოვიდნენ, მაშინვე ადგნენ და ჩაიცვეს, მიხვდნენ, რომ მათი დაკითხვის გარეშე გამომძიებლები აქედან არ წავიდოდნენ. დაკითხვაზე თავი ღირსეულად ეჭირათ, თუმცა ცოტა დამფრთხალები ჩანდნენ. პატარა პანი, გვარად მუსიალოვიჩი, გადამდგარი მეთორმეტე კლასის ჩინოვნიკი აღმოჩნდა, ციმბირში ვეტერინარად უმუშავია, ხოლო პან ვრუბლიოვსკი - დანტისტი, რუსულად კბილის ექიმი - თავისუფალ პრაქტიკას ეწეოდა. როცა მათ ნიკოლაი პარფენოვიჩმა დაკითხვა დაუწყო, ისინი გვერდზე მდგარ მიხაილ მაკაროვიჩს პასუხობდნენ, ის ეგონათ ყველაზე მაღალი ჩინის უფროსი, მიმართვის დროს „პან პოლკოვნიკად“ მოიხსენიებდნენ. მხოლოდ რამდენიმე შენიშვნისა და მიხაილ მაკაროვიჩის შეგონების შემდეგ შეაგნებინეს მათ, რომ პასუხი ნიკოლაი პარფენოვიჩს უნდა გასცენ. დაკითხვის დროს ნათელი გახდა - თურმე პანები რუსულად საკმაოდ რიგიანად ლაპარაკობდნენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი სიტყვის გამოთქმას. პან მუსიალოვიჩი გრუშენკასთან ადრინდელი და

ახლანდელი დამოკიდებულების შესახებ საკმაოდ გულახდილად და ამაყად ყვებოდა. ამის გამო მიტიამ მოთმინება დაკარგა და დაიყვირა, რომ „ამ ნაძირალას“ არ მისცემს უფლებას, მისი თანდასწრებით ასე ილაპარაკოს. პან მუსიალოვიჩმა მაშინვე ყურადღება მიაქცია სიტყვა „ნაძირალას“ და მოითხოვა ის ოქმში შეეტანათ. მიტია ამაზე უფრო მეტად განრისხდა.
- დიახაც, ნაძირალა ხარ, სალახანა! ესეც დაუმატეთ, ჩაწერეთ. მიუხედავად იმისა, რომ ოქმში შეგაქვთ ეს სიტყვები, მე მაინც ვუწოდებ მას ნაძირალას! - ყვიროდა მიტია.
მართალია, ყველაფერი ეს ნიკოლაი პარფენოვიჩმა ოქმში შეატანინა, მაგრამ ამავე დროს გამოიჩინა საქებარი ფხიანობა და განკარგულების გაცემის უნარი: მიტიას მკაცრი დატუქსვის შემდეგ უმალვე შეწყვიტა საქმის სამიჯნურო მხარესთან დაკავშირებული გამოკითხვა და გადავიდა უშუალოდ არსებით საკითხებზე. ასეთი კი აღმოჩნდა პანების ერთი ჩვენება, რომელმაც გამომძიებლების არაჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია: საქმე ეხებოდა იმ ამბავს, თუ როგორ დააპირა მიტიამ პან მუსიალოვიჩის მოსყიდვა, როცა მას სამი ათასი შესთავაზა, ოღონდ კი აქედან გადაკარგულიყო, თან ეფიცებოდა: შვიდას მანეთს ახლა და ორი ათას სამას მანეთს ხვალ დილას ქალაქში მოგცემ, ახლა აქ, მოკროეში, მეტი არა მაქვს და ხვალ ქალაქში გაგისტუმრებო. ამაზე მიტია გაცხარდა და განაცხადა, არაფერი მაგდაგვარი არ მითქვამსო, მაგრამ როდესაც პან ვრუბლიოვსკიმაც დაადასტურა პან მუსიალოვიჩის ჩვენება, ერთხანს ჩაფიქრდა და თქვა, შეიძლება დავპირდი კიდეც, ისე აღელვებული ვიყავი, არაფერს დავიშურებდიო. პროკურორი ჩვენების ამ ნაწილს ჩააფრინდა: ძიებისათვის სავსებით ნათელი გახდა (როგორც ეს ბოლოს დაასკვნეს), რომ ბოლო ხანებში მიტიას ხელთ ჩავარდნილი იმ სამი ათასის ნახევარი ან მისი ნაწილი, მას ან ქალაქში, ან აქვე, მოკროეში, აქვს გადამალული. ასე და ამგვარად, ძიებისათვის ის უხერხული მდგომარეობა, ეჭვმიტანილს მარტო რვაასი მანეთი რომ უპოვეს ხელზე, რომელიც მიტიასათვის ერთადერთი და მცირე, მაგრამ სასარგებლო ნივთმტკიცება იყო, გაქრა, აზრი დაკარგა.
- საიდან იშოვიდით დარჩენილ ორი ათას სამას მანეთს მეორე დღეს პანისათვის გადასაცემად, თანაც პატიოსან სიტყვას აძლევდით მაშინ, როცა თვითონ ამტკიცებდით ახლახან, რომ მხოლოდ ათას ხუთასი მანეთი გქონდათ. - ჰკითხა პროკურორმა.
- „პოლონელისათვის“ ფულის მიცემა კი არ მსურდა, ვაპირებდი მისთვის შემეთავაზებინა ჩერმაშნიის მამულის მფლობელობაზე ჩემი უფლების შესახებ ფორმალური აქტი, რომელიც ადრე სამსონოვსა და ხოხლაკოვას შევთავაზე, - მტკიცედ უპასუხა მიტიამ. პროკურორს ჩაეცინა მიტიას მიერ ასეთი გულუბრყვილო გამოსავლის პოვნის გამო.
- თქვენ გეგონათ, ის დათანხმდებოდა იმ აქტს, ნაღდი ორი ათას სამასი მანეთის სანაცვლოდ?
- აუცილებლად დათანხმდებოდა, - ცხარედ მოუჭრა მიტიამ, - მას არამარტო ორი ათას სამასი მანეთის შოვნის შანსი უჩნდებოდა, არამედ ოთხი ათასის და ექვსისაც კი! მას შეეძლო, შეეკრიბა თავის ვექილ-მექილები, პოლონელები და არათუ სამი ათასს, არამედ მთელ ჩერმაშნიას წაართმევდნენ ბებერს.
ცხადია, მუსიალოვიჩის ჩვენება სიტყვა-სიტყვით შეიტანეს ოქმში. ასე დამთავრდა პოლონელების დაკითხვა. ბანქოს თამაშის დროს თაღლითობაზე

არაფერი თქმულა; ნიკოლაი პარფენოვიჩი იმდენად იყო პანებით კმაყოფილი, არ მოინდომა მათი წვრილმანებით შეწუხება, მან ეს ჩათვალა ბანქოს თამაშის დროს მთვრალი მამაკაცების უბრალო შეხლა-შემოხლად - განა იმ ღამეს სხვა ცოტა რამ უმსგავსობა მოხდაო... ასე რომ, ის ორასი მანეთი პანებს ხახვივით შერჩათ.
გამოიძახეს მოხუცი მაქსიმოვი. ის მორიდებულად შემოვიდა, პატარ-პატარა ნაბიჯებით, თმაგაჩეჩილი და სევდიანი გამომეტყველებით. აქამდე ქვემოთ, ჩუმად იჯდა გრუშენკას გვერდით. „ცოტაც და ზლუქუნს დაიწყებდა, თვალებს კუბოკრული ცხვირსახოცით იწმენდდაო“, - მოგვიანებით ყვებოდა მასზე მიხაილ მაკაროვიჩი. იქით გრუშენკას მოუწია მისი დაშოშმინება და ნუგეშისცემა. შემოსვლისთანავე აცრემლებულმა აღიარა: დამნაშავე ვარ, რადგან დმიტრი ფიოდოროვიჩს „ათი მანეთი ვესესხე ჩემი გაჭირვების გამო და ახლა მზადა ვარ, უკან დავაბრუნო...“ ნიკოლაი პარფენოვიჩის კითხვაზე: ხომ არ შეგიმჩნევიათ, რამდენი ფული ეჭირა ხელში დმიტრი ფიოდოროვიჩს, თქვენ ხომ ახლოს იდექით, როცა სესხულობდით, - მაქსიმოვმა გადაჭრით თქვა, ასე „ოცი ათასი მაინც იქნებოდა, ბატონო“.
- თქვენ ადრე სადმე გინახავთ ოცი ათასი? - ჰკითხა გაღიმებულმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა.
- როგორ არა, ბატონო, მხოლოდ ოცი ათასი კი არა, შვიდი ათასი, მაშინ, როცა ჩემმა მეუღლემ სოფელი დააგირავა. შორიდან შემახედა, თავი მოიწონა ჩემთან. ძალიან მსხვილი დასტა იყო, სულ ფერად-ფერადი ტკიცინები... დმიტრი ფიოდოროვიჩსაც ფერად-ფერადები ეჭირა...
ის მალე გაუშვეს. ბოლოს გრუშენკას ჯერიც დადგა. ეტყობოდა, გამომძიებლებს ეშინოდათ, გრუშენკას დანახვაზე მიტიას აყალ-მაყალი არ აეტეხა და ამიტომ ნიკოლაი პარფენოვიჩმა ეჭვმიტანილს რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა. პასუხად მიტიამ მორჩილად დახარა თავი და ამით აგრძნობინა, რომ „ექსცესებს ადგილი არ ექნებაო“. გრუშენკა თავად მიხაილ მაკაროვიჩმა შემოიყვანა. ქალი მკაცრი და დაღვრემილი სახით შემოვიდა, მშვიდად ჩამოჯდა იმ სკამზე, რომელზეც გამომძიებელმა მიუთითა. ძალიან გაფითრებული ჩანდა, ეტყობოდა, სციოდა. ის მჭიდროდ იყო გახვეული თავის მშვენიერ შალში, მაგრამ მაინც ტანში რაღაცნაირად ამცივნებდა. მართლაც, ამ დღიდან დაეწყო ავადმყოფობა, რომელმაც ხანგრძლივი დროით ჩააგდო ლოგინად. გრუშენკას მკაცრმა შესახედაობამ, პირდაპირმა და სერიოზულმა გამოხედვამ, დარბაისლურმა მიხვრა-მოხვრამ მის მიმართ ყველა კეთილად განაწყო. ნიკოლაი პარფენოვიჩი რამდენადმე „მოიხიბლა“ კიდეც. მოგვიანებით, როცა ამ ამბებს იხსენებდა, ნიკოლაი პარფენოვიჩი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რამდენად „მშვენიერი რამ“ იყო გრუშენკა, მიუხედავად იმისა, ადრე რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და ყოველთვის „მაზრის ჰეტერად“ მიაჩნდა. „გრუშენკას მაღალი წრის ქალის მანერები აქვსო“, - ერთხელ ქალების საზოგადოებაში წამოროშა, რამაც ძალიან გაანაწყენა ისინი. თუმცა შემდეგ ყველაფერი „ცელქობად“ ჩაუთვალეს, რითაც ნიკოლაი პარფენოვიჩი ძალიან კმაყოფილი დარჩა. გრუშენკამ შემოსვლისთანავე მიტიას გადახედა. მიტია შეშფოთებული უყურებდა მას, მაგრამ ქალის მშვიდმა გამომეტყველებამ დააწყნარა. თავდაპირველი აუცილებელი შეგონებებისა და კითხვების შემდეგ გამომძიებელმა ძალზე თავაზიანად, ენის ბორძიკით ჰკითხა: „რა დამოკიდებულება გქონდათ გადამდგარ პორუჩიკ დმიტრი ფიოდოროვიჩ კარამაზოვთანო?“ ამაზე ქალმა აუჩქარებლად

და დამაჯერებლად უპასუხა:
- ნაცნობი იყო, როგორც ნაცნობს, ისე ვღებულობდი შინ.
დანარჩენ საინტერესო კითხვებზე პირდაპირ და გულახდილად განაცხადა, რომ, მართალია, დრო და დრო მიტია მოსწონდა, მაგრამ არ ჰყვარებია, მხოლოდ მისი ცდუნება უნდოდა, მახეში გაბმა, ისევე, როგორც იმ „ბებრისა“. ხედავდა, მიტია როგორ ეჭვიანობდა ფიოდორ პავლოვიჩზე და საერთოდ სხვებზეც, ეს კი ძალიან ართობდა. ფიოდორ პავლოვიჩთან მისვლის სურვილი არასოდეს გასჩენია, მხოლოდ მასხარად იგდებდა. „ამ ბოლო ხანებში მაგათთვის არ მცხელოდა; სხვა კაცს ველოდი, ადრე გული რომ მატკინა... ეს კი, - დაასკვნა მან, - თქვენთვის საინტერესო არაა, ამაზე პასუხს მაინც არ გაგცემთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი საქმეა.“
ნიკოლაი პარფენოვიჩს ძალა არ დაუტანებია, გინდა თუ არა, მოყევი შენი „სამიჯნურო“ თავგადასავალიო, და სერიოზულ კითხვებზე გადავიდა, უფრო სწორად მთავარ საკითხზე - სამი ათასის გარშემო. გრუშენკამ დაამოწმა: ამ სამი თვის წინ მიტიამ აქ, მოკროეში, მართლაც, დახარჯა სამი ათასი მანეთი, თუმცა, თავად მე თვალით არ მინახავს, სამი იყო თუ რამდენი, ამის შესახებ მიტიამ მითხრა.
- ერთხელ გითხრათ პირადად, თუ სხვისი თანდასწრებით თქვა და თქვენ გაიგონეთ? - დაინტერესდა პროკურორი.
გრუშენკამ ამაზე განაცხადა, რომ პირადადაც უთხრა მიტიამ ამის შესახებ და სხვისთვის მისი ნათქვამიც სმენია.
- ერთხელ გითხრათ პირადად თუ რამდენჯერმე? - დაინტერესდა კვლავ პროკურორი და მიიღო პასუხი, რამდენჯერმეო.
პროკურორი პასუხით ძალიან კმაყოფილი დარჩა. შემდეგი კითხვებით გაირკვა: თურმე გრუშენკასათვის ცნობილი ყოფილა, საიდან ჰქონდა მიტიას ფული, რომ ეს ფული კატერინა ივანოვნამ დმიტრი ფიოდოროვიჩს მოსკოვში გასაგზავნად გადასცა.
- თქვენთვის თუა ცნობილი, რომ ამ ერთი თვის წინ მან მთლიანად კი არ დახარჯა სამი ათასი, არამედ ნაკლები, რომ დმიტრი ფიოდოროვიჩმა ამ თანხის ნახევარი თავისთვის გადაინახა?
- არა, არასოდეს არ გამიგონია, - თქვა გრუშენკამ.
შემდგომი გამოკითხვით ცნობილი გახდა, რომ მთელი ამ თვის განმავლობაში მიტია წუწუნებდა თურმე, კაპიკიც არ მაქვსო. „მამამისისგან ელოდა, რამეს მომცემსო“, - დასძინა გრუშენკამ.
- ხომ არ უთქვამს თქვენთვის... ისე, სხვათაშორის, ან გაღიზიანების დროს, რომ მამას მოკლავდა, - უცებ ჰკითხა გამომძიებელმა.
- ვაი, რომ უთქვამს! - ამოიოხრა გრუშენკამ.
- ერთხელ თუ რამდენჯერმე?
- რამდენჯერმე.
- თქვენ გჯეროდათ, რომ იგი მუქარას შეასრულებდა?
- არა, არასოდეს მჯეროდა! - მტკიცედ უპასუხა გრუშენკამ, - მისი კეთილშობილების იმედი მქონდა.
- ბატონებო, ერთი წუთით, - იყვირა ანაზდად მიტიამ, - ერთი სიტყვა მათქმევინეთ აგრაფენა ალექსანდროვნას თანდასწრებით, მხოლოდ ერთი სიტყვა.
- ბრძანეთ, - ნება დართო ნიკოლაი პარფენოვიჩმა.

- აგრაფენა ალექსანდროვნა, - სკამიდან წამოდგა მიტია, - გჯეროდეს ღმერთის და ჩემი: გუშინ მოკლული მამაჩემის სისხლში ბრალი არ მიმიძღვის!
თქვა ეს და დაჯდა. გრუშენკა წამოდგა, ხატისაკენ გაიხედა და პირჯვარი გადაიწერა.
- დიდება, შენ ღმერთო! - წარმოთქვა მან გულში ჩამწვდომი ხმით და სანამ დაჯდებოდა, ნიკოლაი პარფენოვიჩს მიუბრუნდა: - გჯეროდეთ მისი! ვიცნობ მას: საოინოდ ყველაფერს წამოროშავს, მხოლოდ სამასხარაოდ, ან სიჯიუტის გამო, მაგრამ სინდისის წინააღმდეგ არასოდეს წავა, არ მოიტყუებს, პირდაპირ პირში მოგახლის სიმართლეს, გჯეროდეთ მისი!
- გმადლობ, აგრაფენა ალექსანდროვნა, გმადლობ მხარდაჭერისათვის! - წარმოთქვა ხმააკანკალებულმა მიტიამ.
კითხვაზე, წუხელ მიტიას რა თანხა ექნებოდაო, გრუშენკამ განაცხადა, რომ არ იცოდა რამდენი, მხოლოდ არაერთხელ გაიგონა, როცა მიტია სხვებს ეუბნებოდა - სამი ათასი ჩამოვიტანეო. ხოლო ის, თუ სად იშოვა ეს ფული, მხოლოდ მას გაუმხილა - კატერინა ივანოვნას „მოვპარეო“. ამაზე გრუშენკას უთქვამს, რომ მას ფული არ მოუპარავს და ხვალვე უკან უნდა დაუბრუნოს. პროკურორის დაჟინებულ კითხვას, რომელ ფულზე თქვა, კატერინას მოვპარეო, გუშინდელზე თუ ერთი თვის წინ აქ დახარჯულ სამი ათასზეო, - გრუშენკამ განაცხადა, რომ ის ლაპარაკობდა ამ ერთი თვის წინ დახარჯულ ფულზე, „მე ასე გავიგეო.“
როგორც იქნა, გრუშენკას დაკითხვა დამთავრდა. უცებ ნიკოლაი პარფენოვიჩმა თავი გამოიდო და გრუშენკას თავისი სამსახური შესთავაზა: თქვენ ახლა თავისუფლად შეგიძლიათ ქალაქში დაბრუნება, მე ჩემი მხრიდან შემიძლია დახმარება გაგიწიოთ, ცხენები გიშოვოთ, გამცილებელი გაგაყოლოთ, მე მზად ვარ... გემსახუროთ...
გრუშენკა გავიდა. მიტია დამშვიდდა, ერთხანს მხნედაც კი გამოიყურებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. თანდათან, უფრო და უფრო მისი სხეული ფიზიკურმა უძლურებამ მოიცვა. დაღლილობისგან თვალები ეხუჭებოდა. ბოლოს და ბოლოს მოწმეების დაკითხვა დასრულდა. საბოლოო ოქმის რედაქტირებას შეუდგნენ. მიტია წამოდგა, კუთხეში, ფარდასთან ხალიჩაგადაფარებულ სამეურნეო ზანდუკთან მივიდა, წამოწვა და მყისვე ჩაეძინა. რაღაცნაირად უცნაური სიზმარი ეზმანა, მომხდართან არაფერი კავშირი რომ არ ჰქონდა: თითქოს სადღაც, სტეპში, ადრე რომ მსახურობდა იქ, ორცხენიან საზიდარზე ვიღაც გლეხთან ერთად ზის და ტალახიან შარას მიუყვებიან. სცივა მიტიას, ამინდი ნოემბრის დასაწყისისას ჰგავს, მსხვილი და სველი ფანტელები მიწაზე დაცემისთანავე ქრება. საზიდარს ქერაწვერმოშვებული გლეხი ყოჩაღად მართავს. არც ისე ბებერია, ასე ორმოცდაათი წლის იქნება, ნაცრისფერი გლეხური ზუბუნი აცვია. შორიახლოს სოფელი მოჩანს, შავ-შავი ქოხებით, ნახევარზე მეტი ქოხებისა გადამწვარია, მხოლოდ დანახშირებული ბოძები დგას. სოფლის შესასვლელში დედაკაცები ჩამწკრივებულან, უამრავი დედაკაცი, ყველა გამხდარი და დამჭლევებული, გარუჯულ სახეებზე მიწისფერი ადევთ. მათ შორის გამოირჩევა ერთი, რომელიც გვერდით დგას, გაძვალტყავებული, მაღალი, პირხმელი, სახედაგრძელებული, შესახედავად ასე ორმოცი წლის დედაკაცი, შეიძლება ოცისაც იყოს, მას ხელში ატატებული ბავშვი უტირის. ქალს ძუძუ-მკერდი ისე დაჩუტული მოუჩანს, ალბათ წვეთი რძე არ ექნება. ტირის და ჩხავის ჩვილი, ხელები გაუშვერია, შიშველ-ტიტველი მომუშტული ხელები, სიცივისაგან

გალურჯებული.
- რატომ ტირის? რა ატირებს? - იკითხა მიტიამ, როცა საზიდარმა დედაკაცებს ჩაუარა.
- ბაღანაა, - უპასუხა მას გლეხმა, - ბაღანა ტირის, - მიტიას უკვირს გლეხის მიერ თავისებურად, გლეხურად ნათქვამი „ბაღანა“ და არა ბავშვი. მოეწონა, გლეხმა ბაღანა რომ თქვა. ეს სიტყვა, თითქოს, რაღაც უფრო მეტ სიბრალულს გამოხატავდა.
- რა ატირებს? - ბრიყვივით გაჯიუტდა მიტია. - რატომა აქვს ბავშვს ხელები შიშველი, რატომ არაფერში გაახვევენ.
- გაითოშა ბაღანა, გაეყინა ტანსაცმელი და აღარ ათბობს.
- რატომაა ასე? რატომ? - კვლავ სულელივით ამოჩემებული კითხვა დასვა მიტიამ.
- ღატაკები არიან, სახლ-კარი გადაეწვათ, ლუკმა-პური აღარა აქვთ, მათხოვრობენ.
- არა, არა, - თითქოს კვლავ ვერაფერი გაიგო მიტიამ, - შენ ეს მითხარი: რატომ დგანან აქ უსახლკარო დედები, რატომაა ასე ღარიბი ხალხი, რატომაა ასე შიშველ-ტიტველი ბაღანა, რატომაა მოტიტვლებული სტეპი. რატომ არ ეხვევიან ისინი ერთმანეთს და არ კოცნიან, რატომ არ მღერიან ისინი სალაღობო სიმღერებს, რატომ არიან ასე გაშავებულები უბედურებისაგან, რად არ აჭმევენ ბაღანას?!
თავისთვის გრძნობდა, თუმცა სულელურ და უაზრო კითხვებს სვამდა, სწორედ ასეთი კითხვების დასმა რომ სურდა, რომ სწორედ ასეთი კითხვების დასმა იყო საჭირო. იმასაც გრძნობდა, გული რომ რაღაც უცნაურად აუჩუყდა და ტირილი მოუნდა, ისეთი რამის გაკეთება მოუნდა, ბაღანას რომ აღარ ეტირა, აღარ ეტირა მის გაძვალტყავებულ ყარაჩა დედას, რომ ამ წუთიდან აღარ დაღვრილიყო არც ერთი კურცხალი. რომ ახლავე, დაუყოვნებლივ და ყველაფრის მიუხედავად, კარამაზოვული მოუთმენლობით, ყოველი ღონე უნდა ეხმარა ამის გამოსასწორებლად.
- ამიერიდან შენთან ვარ, აწი არასოდეს მიგატოვებ, მთელი ჩემი ცხოვრება შენთან დავრჩები, - ესმოდა ყურში გრუშენკას გრძნობით აღსავსე სიტყვები. უცებ აინთო მიტიას გული და რაღაც ნათლისაკენ დაიწყო სწრაფვა. ძალიან მოუნდა ცხოვრება, სიცოცხლე, გაუთავებელი სვლა ახალი სინათლისაკენ, რომელმაც თავისკენ დაუწყო ხმობა: ჩქარა, სასწრაფოდ, ახლავე, ამ წუთში!
- რაა? საით? - წამოიძახა მან, თითქოს გონწასული მობრუნდაო, თვალები გაახილა და სახეგაბადრული ზანდუკზე წამოჯდა. თავზე ნიკოლაი პარფენოვიჩი ადგა. ის ოქმის გასაცნობად და ხელის მოსაწერად იწვევდა: მიტია მიხვდა, რომ ერთი საათი ან უფრო მეტი მაინც ეძინა. გამომძიებელს არ უსმენდა. ის გააოცა იმან, თავქვეშ ბალიში რომ ედო, რომელიც დაძინების წინ არ უნახავს.
- ვინ ამომიდო თავქვეშ სასთუმალი? ვინ იყო ის ღვთისნიერი? - ისეთი აღფრთოვანებული, მადლიერი და გულაჩუყებული ხმით შესძახა, თითქოს რაღაც დიდი რამ უწყალობეს. კეთილ კაცს თავი არ გაუმხელია, ალბათ ვინმე მოწმეთაგანს ან გამომძიებლის მწერალს შეეცოდა და თავქვეშ ბალიში ამოუდო. მიტიას თვალებზე ცრემლები მოადგა. მაგიდასთან მივიდა და განაცხადა, რომ ხელს მოაწერს ყველაფერს, რასაც ისინი ინებებენ.
- მე კარგი სიზმარი ვნახე, ბატონებო, - ძალზე უცნაურად თქვა ეს და პირისახეზე რაღაცნაირი სიხარული აღებეჭდა.

IX მიტია წაიყვანეს

ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ ნიკოლაი პარფენოვიჩმა საგანგებოდ მიმართა ბრალდებულს და წაუკითხა „დადგენილება“, სადაც ეწერა: ამა და ამ წლის ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ საოლქო სასამართლოს გამომძიებელმა დაკითხა ესა და ეს პიროვნება (მიტია), როგორც ეჭვმიტანილი ამა და ამ საქმეში (ყველა ბრალდება დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი) და რადგან ეჭვმიტანილმა თავი დამნაშავედ არ ცნო მისთვის წაყენებულ ბრალდებებში, მაგრამ თავის გასამართლებელი ვერაფერი წარმოადგინა, ხოლო მოწმეები (ესა და ესა) და გარემოებები (ასეთი და ასეთი) სრულად ამხელენ მას, ამიტომ იხელმძღვანელა რა „სასჯელთა დებულების“ ამა და ამ მუხლებით, დაადგინა: იმისათვის, რომ გამოირიცხოს ამა და ამის (მიტიას) მიერ გამოძიებისა და სასამართლოსათვის თავის არიდება, დაპატიმრებული იქნეს ის, რის შესახებაც ბრალდებულს გამოეცხადოს, ხოლო ამ დადგენილების ოქმი გადაეცეს პროკურორის ამხანაგს და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, მიტიას გამოუცხადეს, რომ ამ წუთიდან ის პატიმარია, ახლა მას ქალაქში გაამგზავრებენ და ერთ არასასიამოვნო ადგილას გამოამწყვდევენ. მიტიამ ყველაფერი ყურადღებით მოისმინა და მხრები აიჩეჩა.

- რას ვიზამ, ბატონებო, მე თქვენ არ გადანაშაულებთ, მზად ვარ... მესმის, თქვენ რომ სხვა გზა არა გაქვთ.

ნიკოლაი პარფენოვიჩმა თავაზიანად აუხსნა, რომ ახლავე მას, აქ მყოფი მაზრის ბოქაულის თანხლებით, ქალაქში გაამგზავრებენ.

- ერთი წუთით, - უცებ შეაწყვეტინა მიტიამ რაღაცნაირი მოუთმენლობით და ყველას მიმართა, - ბატონებო, როგორი სასტიკები ვართ, ნამდვილი მხეცები. ყველას სიამოვნებას გვანიჭებს ადამიანებისათვის ტკივილის მიყენება, ტირილამდე მიგვყავს ადამიანები, დედები და ჩვილი ბავშვები, მაგრამ თქვენ შორის - ახლა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ - მე ყველაზე საზიზღარი ვინმე ვყოფილვარ! დე, ასე იყოს! თითქმის ყოველდღიურად მკერდში მჯიღს ვიცემდი, პირობას ვდებდი, რომ გამოვსწორდებოდი და მაინც ყოველდღე სულ ახალ და ახალ საძაგლობას ჩავდიოდი. კარგად მესმის, რომ ჩემნაირებს თავში ჩარტყმა უნდა, ბედისწერამ უნდა ჩაურაკუნოს თავში, კისერში ქამანდი უნდა გამოსდოს და მოაშთოს. ვერასოდეს, ვერასოდეს შევძლებდი ჩემი თავის მორევას! და აი, გავარდა მეხი. ვღებულობ ჩემს თავზე ბრალდებით მოყენებულ სატანჯველს და საქვეყნოდ შერცხვენას, მინდა ვიტანჯო და ტანჯვით განვიწმინდო. იქნებ მეც შევძლო განწმენდა, ჰა, რას იტყვით, ბატონებო? მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ შეისმინეთ: მე მამაჩემის სისხლი არ დამიღვრია, ამ საქმეში ბრალი არ მიმიძღვის! სასჯელს იმიტომ კი არ ვღებულობ, რომ ის მოვკალი, არამედ იმიტომ რომ, მოკვლა მინდოდა და შესაძლოა მომეკლა კიდეც... მიუხედავად ამისა, მე თქვენთან ბრძოლას ვაპირებ, ამას პირში გეუბნებით. ბოლომდე ვიბრძოლებ, იქ კი ყველაფერს ღმერთი გადაწყვეტს! მშვიდობით, ბატონებო, ნუ გამინაწყენდებით იმის გამო, რომ გიყვირეთ, მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ბრიყვი ვიყავი... ერთი წუთის შემდეგ პატიმარი ვხდები, ახლა კი დმიტრი კარამაზოვი, ჯერ კიდევ თავისუფალი პიროვნება, უკანასკნელად გიწვდით ხელს. ყველას გემშვიდობებით, ყველას!

ხმა აუკანკალდა. მართლაც გაუწოდა ხელი მასთან ყველაზე ახლოს მდგომ ნიკოლაი პარფენოვიჩს, რომელმაც საჩქაროდ ხელები უკან წაიღო. მიტიამ ეს მაშინვე შეამჩნია და შეკრთა, გაწვდილი ხელი უმალვე დაუშვა.
- გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, - მორცხვად გაიმართლა თავი ნიკოლაი პარფენოვიჩმა, - ქალაქში გავაგრძელებთ. მე კი, ჩემი მხრივ, ცხადია, გისურვებთ ყოველივე კარგს... რაც კი თქვენ გამართლებას შეეხება. მე თქვენ, როგორც პიროვნებას, გთვლით უფრო უბედურ კაცად, ვიდრე დამნაშავედ... ჩვენ, აქ დამსწრე პირები, თუკი უფლება მაქვს ვილაპარაკო ყველას მაგივრად, მზადა ვართ, გცნოთ კეთილშობილ კაცად, მაგრამ!.. ეს კეთილშობილი ახალგაზრდა კაცი ისეთი ვნებებითაა შეპყრობილი, რაც ყოველგვარ ზომიერებას აჭარბებს...
საუბრის დასასრულს ჩია ტანის ნიკოლაი პარფენოვიჩი გაიბღინძა. ანაზდად მიტიას თავში ერთმა აზრმა გაუელვა, ახლა მოვა ეს „ბიჭი“, ხელს გამიყრის, გვერდზე გამიყვანს და გააგრძელებს ამასწინანდელ მუსაიფს „გოგოებზეო“. ხდება ხოლმე ხანდახან ასე, თვით ეშაფოტზე გასაყვან ბოროტმოქმედსაც კი გაუელვებს თავში ისეთი აზრები, რომლებსაც არსებულ ვითარებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.
- ბატონებო, თქვენ ხომ ძალზე კეთილები და კაცთმოყვარენი ხართ - შეიძლება, უკანასკნელად გამოვეთხოვო გრუშენკას? - იკითხა მიტიამ.
- რასაკვირველია, მაგრამ სხვისი თანდასწრებით... ერთი სიტყვით, ახლა მეთვალყურეობის გარეშე არ შეიძლება...
- ნება თქვენია, დაესწარით!
შემოიყვანეს გრუშენკა, მაგრამ გამოთხოვება ხანმოკლე და მცირესიტყვიანი იყო, რამაც ნიკოლაი პარფენოვიჩი არ დააკმაყოფილა. გრუშენკამ მიტიას მდაბლად დაუკრა თავი.
- გითხარი, შენი ვარ-მეთქი, მარად შენი ვიქნები, სადაც არ უნდა გადაგასახლონ, შენთან ვიქნები. მშვიდობით, უდანაშაულოდ დაღუპულო კაცო!
ქალს ბაგეები აუთრთოლდა და თვალთაგან ცრემლები დასცვივდა.
- მაპატიე, გრუშა, მაპატიე ჩემი სიყვარულის გამო, მაპატიე, რადგან ჩემი სიყვარულით შენც დაგღუპე!
მიტიას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ უცებ გაჩუმდა, გატრიალდა და გავიდა. მის გარშემო უმალვე გაჩნდნენ ვიღაცები, ვისაც ევალებოდა პატიმრის თვალყურის დევნება. ქვემოთ პარმაღთან, სადაც წუხელ ანდრეის სამცხენა ეტლი გაჩერდა, იდგა ორი საზიდარი. ჯმუხი და ჩაფსკვნილი, სახეგაფიჟვინებული მავრიკი მავრიკიევიჩი რაღაცით გაღიზიანებული ჩანდა, რაღაც მოულოდნელად მომხდარი უწესრიგობით. ბრაზობდა და ვიღაცას უყვიროდა. მიტიაც უხეშად მიიწვია საზიდარზე დასაჯდომად. „ადრე, როცა სამიკიტნოში ღვინოზე ვპატიჟებდი, მაშინ სულ სხვა სახე ჰქონდა“, - გაიფიქრა მიტიამ და საზიდარზე ავიდა. პარმაღიდან ჩამოვიდა ტრიფონ ბორისოვიჩი. კართან გლეხებმა, დედაკაცებმა და მეეტლეებმა მოიყარეს თავი, ყველა მიტიას მიშტერებოდა.
- მაპატიეთ, ღვთის შვილებო! - იყვირა მიტიამ.
- ჩვენც გვაპატიე, - გაისმა ხმები.
- შენც მაპატიე, ტრიფონ ბორისიჩ!
ტრიფონ ბორისიჩი არც მობრუნებულა, ძალიან დაკავებული ჩანდა. ისიც რაღაცას ყვიროდა და ფაციფუცობდა. აღმოჩნდა, რომ მეორე საზიდარზე, სადაც მავრიკი მავრიკიევიჩი ორ გზირთან ერთად უნდა დამჯდარიყო, ჯერ კიდევ

ყველაფერი რიგზე არ იყო. ერთი კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მეორე სამცხენას მართვა, ზუბუნს იცვამდა და გაცხარებული კამათობდა: მე კი არა, აკიმმა უნდა წაიყვანოს საზიდარიო. მაგრამ აკიმი არ ჩანდა; მის დასაძახებლად ვიღაც გაგზავნეს; კაცი დაჟინებული ითხოვდა, ცოტა კიდევ მოიცადეთო.
- ეს რა უსირცხვილო ხალხი გვყავს, მავრიკი მავრიკიევიჩ! - წამოიძახებდა ხოლმე ტრიფონ ბორისიჩი, - აკიმმა ამ სამი დღის წინ ხუთი შაური მოგცა, შენ კი ის ფული დაამღერე და ახლა ყვირი. მავრიკი მავრიკიევიჩ, პირში უნდა გითხრათ, ძალიან კარგად ექცევით ამ საძაგელ ხალხს!
- რად გვინდა მეორე საზიდარი? - ლაპარაკში ჩაერთო მიტია, - ერთით წავიდეთ, მავრიკი მავრიკიჩ, რისი გეშინია, ხომ არ გადმოვხტები, ბადრაგი რისთვისაა?
- მოწყალეო ხელმწიფევ, თუ აქამდე არ იცოდით, ისწავლეთ ჩემთან ლაპარაკი. მე თქვენი მეგობარი არა ვარ, კეთილი ინებეთ და თავაზიანად მელაპარაკეთ. თქვენი რჩევებიც სხვისთვის შეინახეთ... - ისე გაცხარებით უთხრა მავრიკი მავრიკიევიჩმა, თითქოს გული მოიოხა.
მიტია გაყუჩდა. გაწითლდა. უცებ ძალიან შეამცივნა. წვიმამ კი გადაიღო, მაგრამ ცა შავი ღრუბლებით იყო მოქუფრული. ქარი პირდაპირ სახეში სცემდა. „მგონი მაციებს“, - გაიფიქრა მიტიამ და კვლავ შეაჟრჟოლა. როგორც იქნა, საზიდარზე მავრიკი მავრიკიევიჩი აბრძანდა, ჩამოჯდა და თავისი სხეულით მიტია შეავიწროვა. რაღაც ხასიათზე ვერ იყო, ეტყობოდა, ძალიან არ მოსწონდა მასზე დაკისრებული მოვალეობა.
- მშვიდობით, ტრიფონ ბორისიჩ! - იყვირა ისევ მიტიამ და თავად მიხვდა, რომ ეს ყვირილი კეთილმოსურნეობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ბრაზით, უნებურად მოუვიდა. ტრიფონ ბორისიჩი ამაყად იდგა, ხელები უკან დაეწყო და მიტიას მიშტერებოდა. პასუხის ღირსადაც არ გახადა.
- მშვიდობით, დმიტრი ფიოდოროვიჩ! - უცებ გაისმა კალგანოვის ხმა, რომელიც მოულოდნელად გამოხტა საიდანღაც. მან ეტლთან მიირბინა და დმიტრის ხელი გაუწოდა. თავშიშველა იყო. მიტიამ მოასწრო და ხელი მაგრად ჩამოართვა.
- მშვიდობით, კეთილო ადამიანო, არ დაგივიწყებ სიკეთეს! - გულმხურვალედ შეჰყვირა მიტიამ. ამ დროს ეტლი დაიძრა და მათი ხელები ერთმანეთს დასცილდა. გაისმა ზანზალაკების წკარუნი - მიტია წაიყვანეს.
კალგანოვი წინკარში შევარდა, კუთხეში ჩამოჯდა, თავი ჩაღუნა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. დიდხანს იჯდა ასე და ტიროდა, როგორც პატარა ბიჭუნა, თითქოს ოცი წლის ახალგაზრდა კაცი არ ყოფილიყო. არ სჯეროდა მიტიას დამნაშავეობა. „ეს რა ხალხია, ამის შემდეგ ესენი ადამიანები არიან?!“ - დადარდიანებული, თითქმის სასოწარკვეთილი გაიძახოდა ის. ამ წუთებში სიცოცხლე აღარ უნდოდა. „ღირს კი, ღირს?!“ - გაიძახოდა თავისთვის გულნატკენი ჭაბუკი.

კარი მეოთხე

წიგნი მეათე. ბიჭუნები

I კოლია კრასოტკინი

ნოემბრის დამდეგს ყინვა თერთმეტ გრადუსამდე ავიდა. გზები მოიყინა. გაყინული მიწა ღამით ხორხოშელა თოვლმა დაფარა და „მშრალმა და სუსხიანმა“ ქარბუქმა ჩვენი ქალაქის მოწყენილ ქუჩებში თოვლი მიხვეტ-მოხვეტა, განსაკუთრებული კორიანტელი ბაზრის მოედანზე დააყენა. ნისლიანი დილა გათენდა და თოვა შეწყდა. მოედანთან არმისული, პლოტნიკოვების დუქნის ახლოს, როგორც გარედან, ისე შიგნიდან, ერთი ძალიან სუფთა სახლი იდგა. სახლი ჩინოვნიკ კრასოტკინის ქვრივს ეკუთვნოდა. თავად გუბერნიის ყოფილი მდივანი კრასოტკინი თოთხმეტი წლის წინათ გარდაცვალა. ოცდაათ წელს მიტანებული, დღემდე საკმაოდ სანდომიანი, ნაზი და მხიარული ხასიათის ქვრივი „საკუთარი კაპიტალით“ პატიოსან და თავდაჭერილ ცხოვრობას ეწეოდა. ეს ქალბატონი თვრამეტი წლის ასაკში დაქვრივდა, ქმართან მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა და მისგან ერთადერთი ბიჭი დარჩა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი ახალგაზრდობა ქვრივმა საკუთარი პირმშოს გაზრდას შესწირა. დედას შვილი თავდავიწყებით უყვარდა, მასთან ერთად უფრო მეტი ტანჯვა-წამება ჰქონდა გადატანილი, ვიდრე სიხარული. მთელი ცხოვრება ყოველდღიურ შიშში გაატარა: ვაითუ, გამიცივდეს და ავად გამიხდესო, ვაითუ იცელქოს და სკამიდან გადმოვარდესო და ა.შ. და ა.შ. როცა კოლიამ ჯერ სკოლაში, შემდეგ პროგიმნაზიაში დაიწყო სიარული, დედამისი მასთან ერთად სწავლობდა ყველა საგანს, რომ დახმარებოდა. გაიცნო ყველა მასწავლებელი, მათი მეუღლეები, ალერსიანად ექცეოდა და ელაქუცებოდა კოლიას ამხანაგებს, მოსწავლეებს, რომ კოლიასათვის არავის ევნო, არ დაეცინათ და ხელი არ ეხლოთ. საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბიჭებმა დედამისის გამო მართლა დაუწყეს კოლიას დაცინვა - დედიკოს ბიჭი შეარქვეს... მაგრამ კოლიამ მოახერხა თავის დაცვა. გულადი და „ძალიან ჯანიანი“ ბიჭი იყო. სულ მალე კლასში, როგორც შეუპოვარ, მოხერხებულ და ფხიან ყმაწვილს, ისე იცნობდნენ. კარგადაც სწავლობდა. ხმები დადიოდა, რომ არითმეტიკა და მსოფლიო ისტორია მასწავლებელ დარდანელოვზე უკეთაც კი იცისო. თუმცა ბიჭი ყველას ქედმაღლურად უყურებდა, ცხვირაბზეკილი დადიოდა, მაგრამ კარგი ამხანაგობა შეეძლო, ბიჭებში არ ყოყლოჩინობდა. მოსწავლეების პატივისცემას ჯეროვნად იღებდა, მაგრამ თავი მუდამ მეგობრულად ეჭირა. რაც მთავარია, ზომიერების გრძნობას არ კარგავდა, დროზე შეეძლო თავის შეკავება, უფროსებთან ურთიერთობაში არასოდეს გადავიდოდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც უსაქციელობა ბუნტში, უწესრიგობასა და უკანონობაში გადაიზრდება ხოლმე. ამასთან ერთად, ბიჭს ცელქობა ძალიან უყვარდა, არც ერთ მარჯვე შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ არ ეეშმაკა. ის იმდენად ცელქი კი არ იყო, რამდენადაც თავის გამოსაჩენად ოინების მოგონება, სასწაულების მოხდენა, სანახაობის მოწყობა უყვარდა. ძალიან პატივმოყვარე გახლდათ.

დედასაც კი დაუდგა ბატონად, ძალზე დესპოტურად ექცეოდა. დედა დაემორჩილა, ისედაც ფეხქვეშ ეგებოდა, მხოლოდ ერთი რამის გაფიქრება უკლავდა გულს, რომ შვილს მაინცდამაინც არ უყვარდა. გაუთავებლად ეჩვენებოდა, რომ კოლია მისდამი გულგრილობას იჩენდა. რამდენჯერმე, ისტერიკით შეპყრობილმა, აქვითინებულმა ქალმა შვილს უსაყვედურა მისდამი ცივი დამოკიდებულების გამო. ბიჭს ასეთი რაღაც-რაღაცები არ სიამოვნებდა და რაც უფრო მეტად ითხოვდნენ მისგან გულახდილობას და სინაზეს, მით უფრო ჯიუტი ხდებოდა. მაგრამ ამას განგებ კი არ აკეთებდა, უნებურად მოსდიოდა - ასეთი ხასიათი ჰქონდა. დედა ცდებოდა, შვილს ის ძალიან უყვარდა, მხოლოდ გადამეტებული დედაშვილური „ლაციცი“, როგორც თვითონ კოლია იტყოდა ხოლმე, ძალიან ეზარებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ ერთი წიგნებით სავსე კარადა დარჩათ. კოლიას კითხვა უყვარდა და ამ წიგნებიდან რამდენიმე უკვე წაკითხული ჰქონდა. დედამისი ხანდახან გაკვირვებული უყურებდა შვილს, რომელიც ბავშვებთან თამაშის მაგივრად საათობით წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ასე რომ, კოლიას უკვე წაკითხული ჰქონდა ბევრი ისეთი წიგნი, რომელიც მის ასაკს არ შეეფერებოდა. უკანასკნელ ხანებში, თუმცა ბიჭი თავისი ცელქობით დასაშვებ ზღვარს არ გადადიოდა, კოლიამ უცებ ისეთი ოინების მოწყობა დაიწყო, რამაც დედამისი არცთუ უსაფუძვლოდ შეაშფოთა. ეს ოინები უზნეობის კატეგორიას არ განეკუთვნებოდა, მაგრამ საკმაოდ თავგანწირულ და თავზეხელაღებულ ხასიათს იღებდა. სწორედ იმ ზაფხულს, ივლისის არდადეგების დროს, დედამ შვილი დასასვენებლად მეზობელ მაზრაში, ჩვენი ქალაქიდან ასე სამოცდაათი ვერსის დაშორებით, ერთ-ერთ ნათესავთან წაიყვანა. ამ ოჯახის უფროსი რკინიგზის სადგურში მუშაობდა (ეს ის სადგური იყო, რომლიდანაც ივან კარამაზოვი მოსკოვს გაემგზავრა). იქ ყოფნისას კოლია კარგად გაეცნო რკინიგზას, დაწვრილებით შეისწავლა მისი განაწესი, უნდოდა, შინ დაბრუნების შემდეგ თავისი ცოდნით პროგიმნაზიის მოსწავლეები გაეოცებინა. იქ კოლია რამდენიმე ბიჭს დაუახლოვდა. ბიჭებიდან ზოგი კოლიას მეზობლად ცხოვრობდა, ზოგიც სადგურთან ახლოს. სულ თორმეტ-თხუთმეტ წლამდე ასაკის, ექვსმა-შვიდმა ბიჭმა მოიყარა თავი, ორი მათგანი ჩვენი ქალაქის მკვიდრი იყო. ბიჭები ერთად თამაშობდნენ და ანცობდნენ. მეოთხე თუ მეხუთე დღეს მათ შორის ატყდა დავა და ერთ მანეთზე დანიძლავდნენ. მათ შორის ყველაზე უმცროსმა, კოლიამ უკვე ცნობილი პატივმოყვარეობის და თავხედური გამბედაობის გამო (ამიტომაც არ უყვარდათ ის უფროს ბიჭებს), ბიჭებთან დადო ნიძლავი, რომ, როცა ღამის თერთმეტ საათზე მატარებელი ჩამოდგებოდა, ის ლიანდაგებს შორის გაუნძრევლად დაწვებოდა მანამ, სანამ მატარებელი არ გაივლიდა. რასაკვირველია, წინასწარ შეისწავლეს რკინიგზა, რომ დაედგინათ, შეიძლებოდა თუ არა ლიანდაგებს შორის ისე დაწოლა, მატარებელი გავლისას მწოლარე ადამიანს რომ არ შეხებოდა. მაგრამ როგორია შენს თავზე გამავალი მატარებლის ქვეშ წოლა! კოლიამ დაიჟინა, რომ დავწვებიო. მას დაუწყეს დაცინვა, ბაქია და მკვეხარა უწოდეს, მაგრამ კოლია უფრო გაჯიუტდა. რაც მთავარია, თხუთმეტი წლის ბიჭები მას, როგორც „ლაწირაკს“, ისე ექცეოდნენ და ქედმაღლურად უყურებდნენ, პირველ ხანებში მასთან ამხანაგობასაც არ კადრულობდნენ. ეს კი კოლიასნაირი ბიჭისათვის ძალზე მტკივნეული რამ იყო. ბოლოს და ბოლოს დათქვეს, საღამოს წასულიყვნენ სადგურიდან ერთი კილომეტრის მოშორებით, ისეთ ადგილას, სადაც სადგურიდან გამოსვლის შემდეგ მატარებელი საკმაოდ

მაღალი სიჩქარით მოძრაობდა. დათქმული დროისათვის ბიჭებმა თავი მოიყარეს. უმთვარო ღამე იყო, ირგვლივ წყვდიადი სუფევდა. საჭირო მომენტში კოლია ლიანდაგებს შორის დაწვა. ნიძლავში მონაწილე, დანარჩენი ხუთი ბიჭი შიშისაგან სუნთქვაშეკრულები და სინანულით აღვსილები რკინიგზის გადმოღმა ბუჩქებში იცდიდნენ. როგორც იქნა, სადღაც შორიდან გაისმა მატარებლის ხმა, რომელიც სადგურიდან გამოვიდა. წყვდიადში ორმა წითელმა ფარანმა იელვა და მორახრახე ურჩხული გამოჩნდა. „ადექი, გაიქეცი, მოშორდი ლიანდაგებს!“ - დაუყვირეს კოლიას შეშინებულმა ბიჭებმა, მაგრამ უკვე გვიან იყო: მატარებელი კოლიას მიუახლოვდა და გაიარა. ბიჭები კოლიას მისცვივდნენ: ის გაუნძრევლად იწვა. დაუწყეს ჯღრევა და აყენება დაუპირეს. კოლია უცებ წამოდგა და რკინიგზიდან გადავიდა, ქვემოთ მათ განუცხადა, გაუნძრევლად იმიტომ ვიწექი, თქვენი შეშინება მინდოდაო. სიმართლე კი სულ სხვა რამ იყო. როგორც მოგვიანებით კოლია დედამისს გამოუტყდა, ცოტახნით გონება დაუკარგავს. სადგურიდან კოლია სახლში ფერდაკარგული დაბრუნდა. მეორე დღეს ავად გახდა, ნერვული კანკალი დაეწყო, მაგრამ თავი ძალზე მხიარულად და კმაყოფილად ეჭირა. ეს ამბავი არა მარტო ამ მაზრაში გახმაურდა, ჩვენს ქალაქამდეც მოაღწია. ჯერ პროგიმნაზიის მოსწავლეებმა შეიტყვეს, შემდეგ მასწავლებლებამდეც მივიდა ხმა. კოლიას დედა სკოლაში დირექციასთან სათხოვნელად მივარდა, რომ ბავშვი არ დაესაჯათ. კოლია ერთმა გავლენიანმა და პატივცემულმა მასწავლებელმა დარდანელოვმა დაიცვა და ეს საქმე ისე ჩაფარცხა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ეს მასწავლებელი, დარდანელოვი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და უცოლო კაცი, დიდი ხანია შეყვარებული იყო ქალბატონ კრასოტკინაზე. ერთხელ, ერთი წლის წინათ, დიდი მოწიწებით, დელიკატურად ხელიც კი სთხოვა: მაგრამ ქალმა სასტიკი უარი სტკიცა, რადგან თანხმობა შვილის ღალატად მიიჩნია. თუმცა დარდანელოვს ქალისაგან ზოგიერთი იდუმალი მინიშნების წყალობით, რაღაც იმედი ჰქონდა, რომ ეს მშვენიერი, მაგრამ ძალზე პატიოსანი და ნაზი ქვრივი არც თუ ისე გულგრილად იყო მისდამი განწყობილი. კოლიას ნაგიჟრულმა ოინებმა და ამ საქმეში დარდანელოვის აქტიურმა ჩარევამ კიდევ უფრო გაალხო ეს ყინული და ქალბატონმა კრასოტკინამ, გადაკვრით, შორეული მომავლისათვის დარდანელოვს იმედი განუმტკიცა. დარდანელოვი თავად წარმოადგენდა სიწმინდისა და დელიკატურობის ფენომენს და ამიტომაც ეს იმედი მისი ბედნიერებისათვის საკმარისი გახდა. მას კოლია უყვარდა, თუმცა დამამცირებლად თვლიდა, მასთან ეპირფერა. კლასში მის მიმართ მუდამ მომთხოვნი და მკაცრი იყო. კოლიასაც შორს ეჭირა მისგან თავი, თავაზიანად და გულცივად ექცეოდა, გაკვეთილები მუდამ მზად ჰქონდა, კლასში მეორე მოწაფედ ითვლებოდა და კლასელები, ყველანი, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსოფლიო ისტორიაში კოლია ისე მაგარია, შეიძლება დარდანელოვიც კი ჩაჭრასო. ოდესღაც მართლაც მოხდა ასეთი შემთხვევა. ერთხელ, როცა კოლიამ მასწავლებელს ჰკითხა: „ვინ დააარსა ტროაო?“ - დარდანელოვმა ზოგადი ფრაზებით უპასუხა, ილაპარაკა ხალხებზე, მათ გადასახლებებზე, მითებზე, მაგრამ კონკრეტულად, ვინ დააარსა ტროა, ვერ უპასუხა, ის კი არადა, კითხვა უაზროდ და ფუჭადაც კი ჩათვალა. მაშინ დარწმუნდნენ ბიჭები, რომ დარდანელოვმა ტროას დამაარსებლების შესახებ არაფერი იცოდა. კოლიას კი, ტროას დამაარსებლების შესახებ სმარაგდოვის წიგნში ჰქონდა ამოკითხული. ეს წიგნი მამამისის მიერ

დანატოვარ კარადაში აღმოაჩინა. კლასელები ძალიან დაინტერესდნენ, ვინ დააარსა ტროა, მაგრამ კრასოტკინმა საიდუმლო არ გათქვა და ამის შემდეგ მისი ყოვლისმცოდნეობის შესახებ ამბავი ფართოდ გავრცელდა.
რკინიგზის შემთხვევის შემდეგ დედა-შვილის ურთიერთობაში რაღაც ცვლილება მოხდა. როცა ანა ფიოდოროვნამ (კრასოტკინის ქვრივმა) გაიგო შვილის თავგანწირვის შესახებ, კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. საშინელი ისტერიული შეტევები დაეწყო, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში პერიოდულად უმეორდებოდა. ამან კოლია სერიოზულად შეაშფოთა და დედას პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ მსგავს საქციელს აღარასოდეს გაიმეორებდა. ხატის წინ მუხლმოდრეკილმა დაიფიცა მამის სული, როგორც ეს დედამისმა სთხოვა. გარდა ამისა, „ვაჟკაცი“ კოლია ექვსი წლის ბიჭუნასავით ატირდა და ის დღე დედა-შვილმა ხვევნა-კოცნასა და ტირილში გაატარა. მეორე დღეს კოლიას კვლავ „უგრძნობელს“ გაეღვიძა, თუმცა უფრო უთქმელი, უბრალო, თავდაჭერილი და ფიქრიანი გახდა. თვე-ნახევარიც არ გასულა, კოლია ისევ ხათაბალას გადაეყარა. მისი სახელი ჩვენმა მოსამართლემაც კი გაიგო. ახლა სულ სხვანაირი რამ მოხდა, სასაცილო და სულელური, თუმცა ის კოლიამ კი არ ჩაიდინა, არამედ იგი ამ საქმეში გარეული აღმოჩნდა. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს მოგითხრობთ. კოლიას დედა კვლავ შიშისაგან იტანჯებოდა, დარდანელოვს კი მისი განგაში კვლავ სულ უფრო და უფრო იმედს ჰმატებდა. აღსანიშნავია, რომ კოლიას არ გამოჰპარვია დარდანელოვისა და დედამისის ურთიერთობა და, ცხადია, ამ „გრძნობის“ გამო ძალიან ეჯავრებოდა მასწავლებელი; ადრე ჰყოფნიდა თავხედობა, დედის თანდასწრებითაც კი ხმამაღლა გამოეხატა ეს ზიზღი, რომ ამით ეგრძნობინებინა, ვიცი, რაც უნდა შენგან დარდანელოვსო. მაგრამ რკინიგზაზე მომხდარი ამბის შემდეგ დარდანელოვის მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა: მასზე ერთ გადაკრულ სიტყვასაც აღარ ამბობდა, პირიქით, დედასთან პატივისცემით მოიხსენიებდა. მგრძნობიარე ანა ფიოდოროვნამ ეს დიდი მადლიერების გამოხატვად მიიღო. ისე კი, თუ ვინმე სტუმარი კოლიას თანდასწრებით დარდანელოვს ახსენებდა, ანა ფიოდოროვნა სირცხვილისაგან წამოჭარხლდებოდა, ხოლო წარბებშეჭმუხნული კოლია ფანჯარაში გაიხედავდა, ან ჩექმის ლანჩას ჩააცქერდებოდა, ანდა თავის ძაღლს, პერეზვონს გასძახებდა ხოლმე. ეს ძაღლი ამ ერთი თვის წინ სადღაც იპოვა, სახლში მოიყვანა და რატომღაც საიდუმლოდ ჰყავდა დამალული, არც ერთ ამხანაგს არ ანახებდა. ძაღლს დესპოტურად ექცეოდა, რაღაც-რაღაცებს ასწავლიდა და იქამდე მიიყვანა, რომ სახლში კოლიას არყოფნის დროს გაუთავებლად ყეფდა, ხოლო როცა კოლია შინ დაბრუნდებოდა, აწკმუტუნდებოდა, გიჟივით დახტოდა, ელაქუცებოდა, მიწაზე გორავდა, ხანდახან კი მკვდარივით გაიტრუნებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ყველაფერს იმეორებდა, რასაც კი კოლია ასწავლიდა, ბრძანების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ აღტაცებისა და მადლიერების გამოსახატავად.
სხვათა შორის, დამავიწყდა მეთქვა: კოლია კრასოტკინი ის ყმაწვილი იყო, რომელსაც ჩვენი მკითხველებისათვის უკვე ნაცნობმა ბიჭუნამ, გადამდგარი შტაბს-კაპიტნის, სნეგირიოვის ვაჟმა ილუშამ დანა ბარძაყში გაურჭო მაშინ, როცა საკუთარ მამას გამოესარჩლა, როცა მისი თანაკლასელები მამამისს დაცინვით „წვერებცანცარად“ მოიხსენიებდნენ.

II ბავშვები

მაშ ასე, იმ სუსხიანსა და ქარიან ნოემბრის დილას კოლია კრასოტკინი სახლში იჯდა. კვირა დღე იყო და სკოლაში გაკვეთილები არ ტარდებოდა. საათმა უკვე თერთმეტჯერ დარეკა. კოლია გადაუდებელი საქმის გამო სახლიდან უნდა წასულიყო, მაგრამ ამ დროს უფროსებიდან შინ აღარავინ იმყოფებოდა, რადგან ყველანი ერთ მეტად გადაუდებელი და ორიგინალური გარემოების გამოისობით შინიდან გაკრეფილიყვნენ. კრასოტკინის ქვრივს სახლის ერთი ნაწილი, ოროთახიანი ბინა, გაქირავებული ჰქონდა. იმჟამად იქ ცხოვრობდა ექიმის მეუღლე ორი მცირეწლოვანი ბავშვითურთ. ეს ქალი ანა ფიოდოროვნას კბილა და მისი კარგი მეგობარი გახლდათ. ამ ქალბატონის ქმარი ერთი წლის წინ ჯერ ორენბურგს გაემგზავრა, შემდეგ ტაშკენტს, მაგრამ აგერ უკვე ნახევარი წელი იქნებოდა, მის შესახებ აღარაფერი ისმოდა. რომ არა კრასოტკინას ქვრივი, რომელიც მწუხარებას უმსუბუქებდა ექიმის მეუღლეს, ეს ქალი დარდისაგან მოკვდებოდა. ჰოდა, თითქოს ჯიბრზე, ამდენ გაჭირვებას ახალი დაემატა. წუხელ ექიმის ცოლს მისმა ერთადერთმა მოსამსახურემ, კატერინამ განუცხადა, რომ შეიძლება ამ დილით იმშობიაროს. სასწაული ის იყო, რომ სახლში კატერინას ფეხმძიმობა ვერავინ შეამჩნია. განცვიფრებულმა ექიმის ცოლმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ წაეყვანა ფეხმძიმე მოახლე სპეციალურ ადგილას, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ბებიაქალის სახლში. მისთვის ეს მოახლე ერთობ ძვირფასი ვინმე იყო. ექიმის მეუღლემ დაუყოვნებლივ შეასრულა თავისი ჩანაფიქრი - მოახლე ბებიაქალთან წაიყვანა და თავადაც თავზე დაადგა. დილით კი ქალბატონ კრასოტკინას მეგობრული დახმარება დასჭირდა და სთხოვა, მავანთან და მავანთან მისულიყო რაღაც-რაღაცების სათხოვნელად და მფარველობის აღმოსაჩენად. ასე და ამგვარად, არც ერთი ქალბატონი შინ არ ბრძანდებოდა, ხოლო კრასოტკინების მოახლე აგაფია ბაზარში იყო წასული და კოლია დარჩა სახლის ერთადერთ დარაჯად და მცირეწლოვანი „ბუთხუზა“ გოგო-ბიჭის მცველად. კოლიას სახლში ყოფნის არ ეშინოდა, მასთან პერეზვონი იყო, რომელსაც წინკარში „გაუნძრევლად“ წოლა ჰქონდა ნაბრძანები. ძაღლი კოლიას წინკარში ყოველი შესვლა-გამოსვლის დროს თავს წამოწევდა ხოლმე და კუდს ორჯერ მაგრად დაჰკრავდა იატაკს, ყურადღების მისაქცევად, მაგრამ სასუველი სტვენის ხმა არ ისმოდა. პატრონი საწყალ ძაღლს მრისხანედ გადახედავდა და ისიც კვლავ მორჩილად გაიტრუნებოდა. თუ რამე აწუხებდა ახლა კოლიას, ესენი „ბუთხუზები“ იყვნენ. მოახლე კატერინას თავგადასავალს კოლია, რასაკვირველია, ზიზღით უყურებდა. დაობლებული ბავშვები კი ძალიან უყვარდა და მათ რაღაც საბავშვო წიგნი მიუტანა საკითხავად. უფროსი ნასტია რვა წლის იქნებოდა და კითხვა ძალიან უყვარდა, ხოლო შვიდი წლის კოსტიას - მოსმენა. კრასოტკინს, ცხადია, შეეძლო უფრო საინტერესო თამაშებით გაერთო ისინი, ან დამალობანათი ან ჯარიკაცობანათი. ადრე ხშირად აკეთებდა ხოლმე ამას, არ თაკილობდა მათთან თამაშს. კლასში ხმა გავარდა, კრასოტკინი შინ პატარა ბავშვებთან ცხენობანას თამაშობს, თავდახრილი ჩორთით დარბისო. კრასოტკინი ამაყად იგერიებდა ამ ბრალდებას. მან განაცხადა, რომ ჩვენს დროში

თანატოლებთან, ცამეტი წლის ბიჭებთან ცხენობანას თამაში მართლაც სამარცხვინოა, ხოლო „ბუთხუზებს“ იმიტომ ეთამაშება, უყვარს ისინი და არ აპირებს ვინმეს ანგარიში ჩააბაროს თავისი გრძნობების თაობაზე. კოლია „ბუთხუზებსაც“ ძალიან უყვარდათ. ახლა კოლიას მათთან სათამაშოდ არ ეცალა. რაღაც საქმე ჰქონდა გასაკეთებელი, საიდუმლოებით მოცული საქმე. ამასობაში კი დრო გადიოდა და აგაფია არსად ჩანდა. კოლიას მისი მოსვლის იმედი ჰქონდა, ბავშვები რომ მასთან დაეტოვებინა. უკვე მერამდენედ შეიხედა მდგმურების ბინაში და შეწუხებულმა შეათვალიერა ბავშვები, რომლებიც, მისი ბრძანების თანახმად, წიგნის კითხვით იყვნენ დაკავებულები, მის დანახვაზე ყოველთვის სახე გაებადრებოდათ ხოლმე და ელოდნენ, როდის შევიდოდა მათთან კოლია და რაიმე სასაცილო ოინს უჩვენებდა. მაგრამ კოლია ძალიან მოუსვენრად იყო და ბავშვების თავი არ ჰქონდა. თერთმეტ საათზე კი საბოლოოდ, მტკიცედ გადაწყვიტა, თუ ათ წუთში წყეული აგაფია არ გამოჩნდებოდა, ის თავის საქმეზე წავიდოდა, ცხადია, „ბუთხუზებს“ პირობას ჩამოართმევდა, რომ მარტოდ დარჩენილნი არ იცელქებდნენ, არ შეშინდებოდნენ და არ იტირებდნენ. ამ ფიქრებში გართულმა ჩაიცვა თავისი დაბამბული, ზღვის კატის ბეწვის საყელოიანი ზამთრის პალტო, მხარზე აბგა გადაიკიდა და მიუხედავად იმისა, რომ დედამისი „ასეთ სიცივეში“ გარეთ გასვლის დროს, ყოველთვის კალოშების ჩაცმას სთხოვდა, კოლიამ კალოშებს ზიზღით გადახედა და ჩექმების ამარა გავიდა. როცა პერეზვონმა პატრონი ჩაცმული დაინახა, უფრო მაგრად დაიწყო კუდის იატაკზე ცემა, ტანი ნერვიულად აუთამაშდა და მუდარით წაიყმუვლა. ამ სურათის შემყურე კოლიამ დაასკვნა, რომ ძაღლისათვის ახლა ყურადღების მიქცევა დისციპლინას ავნებდა და ცხოველი ერთი წუთით იმავ მდგომარეობაში დატოვა. მერმე უცებ დაუსტვინა. ძაღლი გიჟივით წამოიჭრა და აღტაცებული მივარდა კოლიას. კოლიამ წინკარი გაიარა და ბავშვების ოთახის კარი გააღო. ბავშვები მაგიდასთან თავ-თავიანთ ადგილას ისხდნენ, მაგრამ არ კითხულობდნენ და რაღაცაზე ცხარედ დავობდნენ. „ბუთხუზებმა“ ხშირად იცოდნენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ საჭირბოროტო საკითხზე კამათი. მათი დავის დროს, ნასტია, როგორც უფროსი, ყოველთვის იმარჯვებდა ხოლმე; კოსტია კი, თუ არ ეთანხმდებოდა, კოლიასთან გარბოდა საჩივლელად, საბოლოო გადაწყვეტილება მას უნდა გამოეტანა. მისი სიტყვა ორივესთვის კანონი იყო. იმ წუთსაც კოლია დააინტერესა ბავშვების დავამ, კართან დადგა და ყური დაუგდო. ბავშვებმა დაინახეს, კოლია რომ უსმენდა და უფრო აზარტით გააგრძელეს კამათი.

- არასოდეს, არასოდეს დავიჯერებ, - ცხარედ ტიტინებდა ნასტია, - რომ ბებია ქალები ბავშვებს ბოსტანში, კვლებს შორის კომბოსტოში პოულობენ, ახლა ამ ზამთარში კვლებს რა უნდა. ამიტომ ბებია ქალი ვერაფრით ვერ მოუყვანდა კატერინას გოგონას.

- ეჰეი! - ჩაილაპარაკა თავისთვის კოლიამ.

- ან არადა, რაღა მაინცდამაინც მხოლოდ იმათთვის მოჰყავთ ხოლმე, ვინც გათხოვილია.

კოსტია დაჟინებული, სერიოზული გამომეტყველებით უსმენდა ნასტიას და ფიქრობდა.

- რა შტერი ხარ, ნასტია, - როგორც იქნა მტკიცედ თქვა კოსტიამ, - როგორ შეიძლება კატერინას ბავშვი ჰყავდეს, როცა ის გაუთხოვარია?

ნასტია ძალიან გაცხარდა.
- შენ გაგებაში არა ხარ, - შეაწყვეტინა გაღიზიანებულმა ნასტიამ, - შეიძლება მას ქმარი ჰყავდა, მაგრამ ახლა ციხეშია, კატერინამ კი ბავშვი დაბადა.
- როგორ, განა მისი ქმარი ციხეშია? - სერიოზულად იკითხა კარგმა ბიჭმა კოსტიამ.
- ანდა, შეიძლება ასეც იყო, - სწრაფად მოუჭრა ნასტიამ, რომელსაც სულ გადაავიწდა თავისი პირველი ჰიპოთეზა, - შენ მართალი ხარ, მას ქმარი არ ჰყავს, მაგრამ გათხოვება უნდოდა. ჰოდა, დაიწყო ფიქრი, როგორ იშოვოს ქმარი. იფიქრა, იფიქრა და ქმრის მაგივრად ბავშვი გაუჩნდა.
- თუ მასეა, კი ბატონო, - დაეთანხმა დამარცხებული კოსტია, - მაგრამ შენ ეს ადრე არ გითქვამს, მე საიდან მეცოდინებოდა.
- ესენი ვინ ყოფილან, - წარმოთქვა კოლიამ და ოთახში შევიდა, - მე ვხედავ, თქვენ საშიში ხალხი ხართ!
- პერეზვონიც აქაა? - გაიკრიჭა კოსტიამ და თითების ტკაცუნით დაუწყო ძაღლს მოხმობა.
- ბუთხუზებო, ძალიან მიჭირს, - სერიოზულად დაიწყო კრასოტკინმა, - თქვენი დახმარება მჭირდება: აგაფიამ ალბათ კისერი მოიტეხა, აქამდე კიდევ არ ჩანს. მე კი აუცილებლად უნდა წავიდე, ხომ გამიშვებთ?
შეწუხებულმა ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, ვერაფრით გაეგოთ, რას ითხოვდნენ მათგან.
- უჩემოდ ხომ არ იცელქებთ? კარადაზე ხომ არ აძვრებით? რამეს ხომ არ მოიტეხთ? შიშისაგან ხომ არ იღრიალებთ?
ორივე ბავშვს სახეზე შიში აღებეჭდა.
- თუ ჭკვიანად იქნებით, მე თქვენ ერთ რაღაცას განახებთ, სპილენძის ზარბაზანს, რომლისგანაც ნამდვილი დენთის გასროლა შეიძლება.
ბავშვებს სახეები უცებ გაებადრათ.
- გვანახე რა ზარბაზანი, - ჩაილაპარაკა სახეგაბრწყინებულმა კოსტიამ.
კოლიამ თავის აბგაში ხელი ჩაყო, იქიდან პატარა ბრინჯაოს ზარბაზანი ამოიღო და მაგიდაზე დადო.
- განახებთ! შეხე თვლებიც კი აქვს, - მან სათამაშო მაგიდაზე გააგორა, - სროლაც შეუძლია, საფანტს ჩატენი და გაისვრის.
- კაცსაც მოკლავს?
- ყველას მოკლავს, ოღონდ უნდა დაუმიზნო, - კრასოტკინმა დაუწყო ახსნა, როგორ უნდა ჩაიტენოს დენთი, ანახა დენთის ჩასატენი ნახვრეტი და უთხრა, რომ გასროლის შემდეგ უკუგორება ხდება. ბავშვები დიდი ინტერესით უსმენდნენ. განსაკუთრებით იმან გააოცა ორივე, რომ ზარბაზანს უკუგორება შეუძლია.
- დენთი გაქვთ? - იკითხა ნასტიამ.
- მაქვს.
- გვანახეთ, - მუდარით სთხოვა ნასტიამ.
კრასოტკინმა კვლავ ჩაყო ხელი აბგაში და იქიდან პატარა ქისა ამოიღო, რომელშიაც მართლა ეყარა დენთი, ხოლო ქაღალდში გახვეული ჰქონდა საფანტის რამდენიმე მარცვალი. მან ქისა გახსნა და მცირეოდენი დენთი ხელისგულზე დაიყარა.
- ოღონდ ამის ცეცხლთან მიტანა არ შეიძლება, თორემ აფეთქდება და გარშემო ყველას დახოცავს, - ეფექტის მოსახდენად გააფრთხილა კრასოტკინმა.
ბავშვები დენთს მოწიწებული შიშით ათვალიერებდნენ, რაც უფრო უძლიერებდათ

სიამოვნებას. კოსტიას საფანტი უფრო მოეწონა.
- საფანტი არ იწვის? - იკითხა მან.
- საფანტი არა.
- მაჩუქეთ ცოტა საფანტი, - შეეხვეწა ის.
- ცოტა საფანტს გაჩუქებ, აჰა, აიღე, მხოლოდ დედას არ ანახო, სანამ მე არ დავბრუნდები, თორემ იფიქრებს, რომ ეს დენთია და შეეშინდება. შეიძლება გაგტყიპოთ კიდეც.
- დედა ჩვენ არასოდეს გვცემს, - მაშინვე შენიშნა ნასტიამ.
- ვიცი, მე ისე ვთქვი. დედას ნურასოდეს მოატყუებთ. მაგრამ ჩემს მოსვლამდე დღევანდელ ამბავს ნუ მოუყვებით. მაშ ასე, ბუთხუზებო, ხომ მაძლევთ უფლებას, წავიდე? ხომ არ იტირებთ?
- ვი-ტი-რებთ, - თითქმის ტირილით თქვა კოსტიამ.
- ვიტირებთ, აუცილებლად ვიტირებთ, - სხაპსხუპით დაუდასტურა შეშინებულმა ნასტიამ.
- ეჰ, ბავშვებო, ბავშვებო, როგორი მშიშრები ხართ. რა ვქნა, არ ვიცი, ბარტყებო, მომიწევს თქვენთან ჯდომა. დრო კი, ვაი, როგორ გადის!
- უბრძანეთ პერეზვონს თავი მოიმკვდარუნოს, - სთხოვა კოსტიამ.
- მეტი გზა არა მაქვს, მომიწევს პერეზვონის საქმეში ჩართვა. აბა, პერეზვონ! - კოლიამ დაუწყო ბრძანებები ძაღლს. ძაღლმა რაც იცოდა, ყველაფრის კეთება დაიწყო. ეს იყო გაბანჯგვლული, მონაცრისფრო-მოიისფრო ბეწვიანი ჩვეულებრივი ეზოს ძაღლი. მარჯვენა თვალი ელამი ჰქონდა, მარცხენა ყური კი რატომღაც გაჭრილი. წკმუტუნებდა, დახტოდა, უკანა თათებზე დადიოდა, თათებაწეული იატაკზე გორაობდა, მკვდარივით გაიტრუნებოდა. სწორედ ამ მდგომარეობაში იყო, როცა კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ქალბატონ კრასოტკინას ორმოციოდე წლის, სქელ-სქელი მოახლე, სახენაყვავილარი აგაფია. იგი სურსათ-სანოვაგით დატვირთული მოვიდა ბაზრიდან. აგაფია შეჩერდა და ძაღლს დაუწყო ყურება. კოლიამ წარმოდგენა არ შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ სულმოუთქმელად ელოდა აგაფიას. პერეზვონი კიდევ რამდენიმე ხანს გააჩერა მომკვდარუნებული. ბოლოს, როგორც იქნა, დაუსტვინა, ძაღლი წამოხტა და სიხარულისაგან აცმუკდა, მასზე დაკისრებული დავალებების შესრულებით კმაყოფილი.
- მომწყდი თავიდან! - ზიზღით მიაძახა აგაფიამ ძაღლს.
- დედაკაცო, რატომ დააგვინე? - მრისხანედ მიმართა კოლიამ.
- ვინაა შენი დედაკაცი, ლაწირაკო!
- ლაწირაკი?
- დიახ, ლაწირაკი. შენ ვინ გეკითხება, მე დავაგვიანებ თუ არა, - აბუზღუნდა ღუმელთან მოფუსფუსე აგაფია, უკმაყოფილო და გაბრაზებული ხმით კი არა, კმაყოფილი, შესაძლებლობა რომ მიეცა, გაეკენწლა მხიარული ბატონი.
- მისმინე, ჩერჩეტო ბებრუხანავ, - დაიწყო კოლიამ და დივნიდან წამოდგა, - დაიფიცე ყველაფერი, რაც წმინდაა ამ ქვეყნად, და კიდევ სხვა რამეც, რომ ჩემი არყოფნის დროს ამ ბავშვებს ყურადღებას არ მოაკლებ? მე მივდივარ.
- რატომ უნდა დავიფიცო? - გაეცინა აგაფიას, - ისედაც მივხედავ.
- არა, სანამ არ დაიფიცებ, სანამ არ იტყვი - „სული წამიწყდესო“! - მანამ არ წავალ.
- ნუ წახვალ რა, აი დარდი! გარეთ ყინავს, იჯექი სახლში.
- ბუთხუზებო, - მიმართა კოლიამ ბავშვებს, - ეს ქალი თქვენთან დარჩება ჩემს

მოსვლამდე, ან დედათქვენის გამოჩენამდე, ისიც საცაა უნდა მოვიდეს. აგაფია გასაუზმებთ, ხომ აჭმევ ბავშვებს რამეს, აგაფია?
- შეიძლება.
- აბა, ნახვამდის, ბარტყებო, გულდამშვიდებული მივდივარ, - შენ კი, ბებოჯან, - ხმადაბლა და მედიდურად უთხრა აგაფიას, როცა გვერდით ჩაუარა, - იმედია, შენებურად არ გაბერავ ბავშვებს კატერინას შესახებ დედაკაცური ჭორებით, ესენი ჯერ პატარები არიან. აბა, პერეზვონ!
- მეხი კი დაგაყარე, - თქვა ამჯერად უკვე გულმოსულმა აგაფიამ. - სასაცილო ვინმეა! მარტო ამისათანა სიტყვებისთვისაა მისატყეპი.

III მოწაფე

კოლია უკვე აღარ უსმენდა. როგორც იქნა, სახლიდან გააღწია. როცა ჭიშკარს გასცდა, მიიხედ-მოიხედა, მხრები აიჩეჩა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „კარგად ყინავს!“ ის ჯერ პირდაპირ გაუდგა გზას, შემდეგ მარჯვნივ, ბაზრის მოედნისაკენ შეუხვია. მოედანთან არმისული ერთი სახლის ჭიშკართან გაჩერდა, ჯიბიდან სასტვენი ამოიღო და დაუსტვინა, ვიღაცას ნიშანი მისცა. ცდა დიდხანს არ დასჭირდა. ეზოდან ლოყებღაჟღაჟა ბიჭი გამოვიდა, რომელსაც თბილი, სუფთა და, შეიძლება ითქვას, კოხტა პალტო ეცვა. ეს ბიჭი, სმუროვი, მდიდარი ჩინოვნიკის შვილი, მოსამზადებელ კლასში სწავლობდა (კრასოტკინზე ორი კლასით დაბლა). მგონი, მშობლები კრასოტკინთან, როგორც ყველაზე თავზეხელაღებულ ბიჭთან, ურთიერთობას უშლიდნენ. ახლაც ეტყობოდა, სმუროვი სახლიდან გამოიპარა. თუ გახსოვთ, ეს სმუროვი იმ მოსწავლეებს შორის იმყოფებოდა, რომლებიც ორი თვის წინ ილუშას ქვებს ესროდნენ. მაშინ მან უამბო ალიოშას ილუშას ამბები.
- უკვე ერთი საათი იქნება, თქვენს მოლოდინში ვარ, კრასოტკინ, - სერიოზულად უთხრა სმუროვმა და ბიჭებმა მოედნისაკენ გასწიეს.
- დამაგვიანდა, - უპასუხა კრასოტკინმა, - ერთი გარემოების გადამკიდე. შენ ხომ არ მოგხვდება ჩემთან შეხვედრის გამო?
- კარგი რა, როდის იყო, მცემდნენ? პერეზვონიც წამოიყვანეთ?
- კი.
- იქ მოგყავთ?
- დიახ, იქ.
- კარგი იქნებოდა, ჟუჩკაც რომ ყოფილიყო.
- ჟუჩკა აღარ შეიძლება, ჟუჩკა გაქრა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
- მოდი, ასე გავაკეთოთ, - უცებ შეჩერდა სმუროვი, - ილუშკა ხომ ამბობს, ჟუჩკა ბანჯგვლიანი იყო, მონაცრისფრო-იისფერი ბეწვი ჰქონდაო, როგორიც პერეზვონს, - რა მოხდება, ავდგეთ და ვთქვათ, რომ ეს ის ჟუჩკაა, იქნებ დაიჯეროს?
- მოწაფევ, ერიდე სიცრუეს, კეთილი საქმისთვისაც კი. რაც მთავარია, იმედი მაქვს, არ გამოგიცხადებია იქ ჩემი მისვლის ამბავი?
- ღმერთმა დამიფაროს, მე ხომ ყველაფერი მესმის. მაგრამ პერეზვონით მას ვერ დააშოშმინებ, - ამოიოხრა სმუროვმა, - იცით რა: მამამისმა, წვერებცანცარა

კაპიტანმა, გვითხრა რომ დღეს ერთ შავცხვირა ლეკვს მოუყვანს, ნამდვილ ჯიშიანს. ფიქრობს, ამით იქნებ დაამშვიდოს ილუშა, თუმცა არა მგონია.
- ის როგორ არის, ილუშა?
- ვაი რომ ცუდად, ცუდად! მგონი, ჭლექი აქვს. გონზე კია, მაგრამ ისევ მძიმედ სუნთქავს, მძიმედ, ძალიან ცუდად სუნთქავს. ამას წინათ წამოდგომა და გავლა უთხოვია, ჩააცვეს, თითქოს ცოტა გაუვლია, მაგრამ წონასწორობას კარგავდა თურმე. „ეჰ, ხომ გითხარი, მამაჩემო, ცუდი ჩექმებია-მეთქი, მათში ადრეც მიჭირდა სიარულიო,“ - უთქვამს. მას ეგონა, ჩექმების ბრალი იყო, ფეხზე რომ ვერ დგებოდა და არა სისუსტისა. ერთ კვირასაც ვერ გაატანს. ჰერცენშტუბე დადის მათთან. ისინი ისევ გამდიდრდნენ, ახლა ბევრი ფული აქვთ.
- თაღლითები.
- ვინ არიან თაღლითები?
- ვინ და ექიმები, და მთელი სამედიცინო არამზადების ბანდა, ზოგადად, რასაკვირველია, კერძოდაც. მე მედიცინას საერთოდ უარვყოფ, უსარგებლო დაწესებულებაა. ამ საკითხს ვიკვლევ. ერთი მითხარი, ეს რა გულჩვილობა შემოგაწვათ მთელ კლასს, ყველა ერთად რომ დადიხართ ავადმყოფის სანახავად?
- ყველა არა, მხოლოდ ათი კაცი დავდივართ, ყოველდღიურად. ეს ბევრი არ არის.
- ყველაზე მეტად ამ ღონისძიებაში ალექსეი კარამაზოვის როლი მაკვირვებს. მის ძმას დღეს თუ არა, ხვალ საშინელი დანაშაულისათვის გაასამართლებენ, მას კი თქვენთან სენტიმენტალობებისათვის სცალია.
- რა შუაშია სენტიმენტალობა. განა ახლა შენ თვითონ არ მიდიხარ ილუშასთან შესარიგებლად.
- შესარიგებლად? სასაცილო გამონათქვამია. ისე კი, მე არავის მივცემ უფლებას, გააანალიზოს ჩემი საქციელი.
- როგორ გაეხარდება ილუშას შენი ნახვა! მას წარმოდგენაც არა აქვს, შენ რომ მიხვალ. რატომ, რატომ აქამდე არ მოინდომე მასთან მისვლა? - ანაზდად იყვირა გაცხარებულმა სმუროვმა.
- ძვირფასო ბიჭუნავ, ეს ჩემი საქმეა და არა შენი. მე ჩემით მივდივარ მასთან, თქვენ კი იქ კარამაზოვმა მიგათრიათ. მე მგონი, რაღაც განსხვავება არის. გარდა ამისა, საიდან იცი, იქნებ მე შესარიგებლად სულაც არ მივდივარ? სულელური გამოთქმაა.
- კარამაზოვი რა შუაშია, ის არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩვენებმა თავად დაიწყეს მასთან სიარული. რასაკვირველია, პირველად კარამაზოვთან ერთად მივიდნენ. არაფერი ისეთი სულელური არ მომხდარა. ჯერ ერთი მივიდა, მერმე - მეორე. მამამისს ძალიან გაეხარდა. იცი, ის შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს, ილუშა თუ მოკვდება. ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა და ჩვენი ილუშასთან შერიგება. ილუშა წამდაუწუმ შენ გკითხულობს, მეტს არაფერს ამბობს. იკითხავს და გაჩუმდება. მამამისი ან ჭკუიდან გადავა ან თავს ჩამოიხრჩობს. ადრეც გიჟივით დადიოდა. ისე კი, კეთილშობილი კაცია, ალბათ მაშინ რაღაც შეეშალა. ყველაფერი იმ მამისმკვლელის ბრალია, მაშინ რომ გალახა.
- და მაინც კარამაზოვი ჩემთვის გამოცანაა. ჯერ კიდევ ადრე შემეძლო მისი გაცნობა, მაგრამ ზოგჯერ ასეთ საკითხებში ამაყი ვარ. გარდა ამისა, მასზე რაღაც წარმოდგენა უკვე შემექმნა, რომელიც კიდევ გადასამოწმებელი და გასარკვევი მაქვს.

კოლიამ მედიდური გამომეტყველება მიიღო და დადუმდა; სმუროვიც ჩუმად იყო. სმუროვი კოლიას მოწიწებით ექცეოდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდა მასთან თავის გატოლება. ახლა კი ძალიან დააინტერესა კოლიას ნათქვამმა, ილუშასთან „ჩემი ნებით“ მივდივარო. ამაში რაღაც საიდუმლოებას ხედავდა, რაღა მაინც და მაინც დღეს მოინდომა კოლიამ წამოსვლაო. ამასობაში ბაზრის მოედანზე გავიდნენ. მოედანზე ბევრი საზიდარი იდგა და გასაყიდად მორეკილი ნაირ-ნაირი შინაური ფრინველის გნიასი იკლებდა იქაურობას. ჩარდახიან დახლებთან მდგარი ქალაქელი დედაკაცები ათასნაირ წვრილმანს ყიდდნენ. ასეთ საკვირაო ვაჭრობას ჩვენს ქალაქში ბაზრობას ეძახდნენ. ბაზრობები წელიწადში მრავალჯერ იმართება ხოლმე. პერეზვონი არხეინად მოცუნცულებდა და ხან მარჯვნივ გადაუხვევდა და ხან მარცხნივ, ხან რას დასუნავდა და ხან რას. თუკი გზაზე სხვა ძაღლები შეხვდებოდნენ, ერთმანეთს განსაკუთრებული მონდომებით, ძაღლური წეს-ჩვეულებების მიხედვით ყნოსავდნენ.
- მე მიყვარს რეალიზმის თვალყურის დევნება, სმუროვ, - ანაზდად წარმოთქვა კოლიამ, - დაკვირებიხარ, როგორ ხვდებიან და ყნოსავენ ერთმანეთს ძაღლები? მათ ხომ საერთო ბუნების კანონი აქვთ.
- კი, რაღაცნაირად სასაცილო.
- არა, სულაც არაა სასაცილო, არა ხარ მართალი. ბუნებაში სასაცილო არაფერია, როგორადაც უნდა ეჩვენებოდეთ ეს პირობითობებით შეზღუდულ ადამიანებს. ძაღლებს რომ ჰქონდეთ განსჯისა და კრიტიკის უნარი, ისინიც შეძლებდნენ ადამიანებში სასაცილო რამეების აღმოჩენას, განსაკუთრებით, მბრძანებლებსა და ქვეშევრდომებს შორის არსებულ სოციალურ დამოკიდებულებებში; ამას კი იმიტომ ვიმეორებ, ღრმად ვარ დარწმუნებული, ადამიანებს რომ მეტი სისულელის ჩადენა ძალუძთ. ეს რაკიტინის მოსაზრებაა, მშვენიერი აზრია. მე სოციალისტი ვარ, სმუროვ.
- რა არის სოციალისტი?
- როცა ყველა თანასწორუფლებიანია, როცა ყველას საერთო ქონება აქვს. არ არსებობს ქორწინება, ხოლო რელიგია და კანონები, ვისაც როგორ გაეხარდება, და კიდევ რაღაც-რაღაცები. შენ ჯერ პატარა ხარ ამისათვის, გაიზრდები და გაიგებ. ცივა, ხომ იცი.
- დიახ, თორმეტი გრადუსია. წეღან მამაჩემმა შეხედა თერმომეტრს.
- შენ თუ დაკვირვებიხარ, სმუროვ, როცა შუა ზამთარში თხუთმეტი ან თვრამეტი გრადუსი ყინვაა, ისე არ ცივა, როგორც ახლა, ზამთრის დასაწყისში, თორმეტ გრადუსზე, როცა პირველი ყინვიანი დღეებია და თოვლიც ცოტაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებისათვის ყველაფერი ჩვევაა, ყველაფერში, სახელმწიფო და პოლიტიკურ ურთიერთობებშიც კი, ჩვევა მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შეხე, რა სასაცილო გლეხია.
კოლიამ ერთ აყლაყუდა, კეთილი სახის ტყაპუჭიან გლეხზე მიუთითა, რომელიც გათოშილ ხელებს საზიდარს უტყაპუნებდა. ქერა წვერი ყინვისაგან ჰქონდა დათრთვილული.
- კაცო, წვერი გაგყინვია! - ხმამაღლა იყვირა კოლიამ, როცა გლეხს გვერდით გაუარა.
- წვერი ბევრსა აქვს გაყინული, - მშვიდად და დამრიგებლური ტონით მიუგო გლეხმა.
- შეეშვი, - უთხრა სმუროვმა.

- რა მოხდა, არ სწყინს, კაი კაცია. მშვიდობით, მატვეი.
- მშვიდობით.
- შენ მართლა მატვეი ხარ?
- კი, შენ რა, არ იცოდი?
- არა, ისე ვთქვი.
- ყოჩაღ, სკოლაში სწავლობ?
- კი.
- სახლში გცემენ ხოლმე?
- არც ისე, ხანდახან.
- გტკივა?
- ცხადია!
- რას იზამ, ასეთია ცხოვრება! - ამოიოხრა გლეხმა.
- მშვიდობით, მატვეი.
- მშვიდობით, კარგი ბალღი ხარ.
ბიჭებმა გზა გააგრძელეს.
- კარგი კაცი იყო, - უთხრა კოლიამ სმუროვს, - მიყვარს ხალხთან საუბარი და ყოველთვის მოხარული ვარ, თუ ვინმეს ჯეროვანს მივუზღავ.
- რატომ მოიტყუე, სახლში გვცემენო? - ჰკითხა სმუროვმა.
- რაღაცით ხომ უნდა მესიამოვნებინა.
- რით?
- იცი რას გეტყვი, სმუროვ, არ მიყვარს, როცა გაუთავებელ კითხვებს მისვამენ და პასუხს ერთი თქმით ვერ იგებენ. სხვანაირად ვერ აგიხსნი. გლეხების აზრით, მოსწავლეებს სკოლაში სცემენ: ის რა მოსწავლეა, სკოლაში თუ არ ტყეპავენ? ჰოდა, მე რომ მეთქვა, ჩვენ არ გვირტყამენ-მეთქი, მას ეწყინებოდა. თუმცა ამას შენ მაინც ვერ გაიგებ. ხალხთან ლაპარაკი უნდა იცოდე.
- გთხოვ, ძალიან ნუ დაიფასებ თავს, თორემ ისევ ისე არ მოხდეს, როგორც ბატის ამბავზე გადაგხდა.
- შენ რა, გეშინია?
- რა გაცინებს, კოლია, ღმერთმანი, მეშინია. მამაჩემი ძალიან გაბრაზდა. სასტიკად ამიკრძალა შენთან სიარული.
- არხენად იყავი, ამჟამად არაფერი მოხდება. გამარჯობა, ნატაშა, - გასძახა კოლიამ ერთ ჩარდახიან დახლთან მდგარ ქალს.
- ვინ არის შენი ნატაშა, მე მარია მქვია, - ყვირილითვე უპასუხა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა.
- კარგია, მარია რომ გქვია, მშვიდობით.
- უყურე ამ ლაწირაკს, ჯერ მიწას არ ასცილებია და უკვე...
- არ მცალია ახლა შენთვის, არ მცალია, დღეის სწორს მომიყევი, - დაუქნია ხელი კოლიამ, თითქოს ეს ქალი ჩააცივდა კოლიას და არა თვითონ.
- რა მაქვს შენთვის მოსაყოლი? მე ხომ არაფერი მითქვამს, შენ გადამეკიდე, შე ცინგლიანო, შენა, - აკივლდა ისევ მარია, - წკეპლით გაქვს ეგ გვერდები ასაჭრელებელი, შენ ხომ ცნობილი შარისთავი ხარ!
იქ დამსწრე მოვაჭრე დედაკაცებმა სიცილი დააყარეს. ანაზდად, არც აცია და არც აცხელა და საიდანღაც გამოვარდა ერთი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ნოქარს ჰგავდა, ჩვენი ქალაქის მკვიდრი არ ჩანდა, ჩამოსული იყო ალბათ. ლურჯი ხიფთანი ეცვა და წინაფრიანი ქუდიდან მუქი ქერა თმა მოუჩანდა. სახე

გაფითრებული და ნაყვავილარი ჰქონდა. რაღაცნაირად უაზროდ და რეგვენივით იქცეოდა და კოლიას მუშტებს უქნევდა.
- კარგად გიცნობ, ვინცა ბრძანდები, - დაბოღმილი გაჰყვიროდა ის, - კარგად გიცნობ!
კოლია გაშტერებული უყურებდა, რაღაც ვერ გაიხსენა, როდის ჰქონდა ამ კაცთან შეხლა-შემოხლა. რამდენჯერმე ჰქონდა ქუჩაში ჩხუბი, მაგრამ ყველა შემთხვევა ხომ არ ემახსოვრებოდა.
- მიცნობ? - ირონიულად ჰკითხა კოლიამ.
- გიცნობ! გიცნობ! - ბრიყვივით დაიჩემა მეშჩანინმა.
- შენთვის უფრო კარგი. ახლა არ მცალია, მშვიდობით!
- რას მატრაბაზობ? - იყვირა მეშჩანინმა, - ისევ არ იშლი შენსას? ისევ მატრაბაზობ?
- შენი საქმე არ არის, ძმობილო, მე ვმატრაბაზობ თუ არა, - გაჩერდა კოლია და გააგრძელა მისი თვალიერება.
- როგორ თუ ჩემი საქმე არ არის?
- აი ასე, შენი საქმე არ არის!
- აბა, ვისი საქმეა? ვისი? თქვი, ვისი?
- ეს, ძმობილო, ახლა ტრიფონ ნიკიტიჩის საქმეა, შენი კი არა.
- ეგ რომელი ტრიფონ ნიკიტიჩის? - შტერივით გაიკვირვა მეშჩანინმა და კვლავ გაბრაზებული უყურებდა კოლიას. კოლიამ ზვიადად გადახედა.
- ამაღლებაზე ყოფილხარ? - მკაცრად და დაჟინებით ჰკითხა კოლიამ.
- რა ამაღლებაზე? რისთვის? არა, არ ვყოფილვარ, - უცებ გაშტერდა ახალგაზრდა კაცი.
- საბანაევს იცნობ? - უფრო დაჟინებით და მკაცრად გააგრძელა კოლიამ.
- ვინ საბანაევს? არა, არ ვიცნობ.
- მაშინ ეშმაკსაც წაუღიხარ! - მოუჭრა უცებ კოლიამ, მარჯვნივ შებრუნდა და ამრეზილმა გააგრძელა გზა. თითქოს ამბობდა: ისეთ შტერს როგორ ველაპარაკო, რომელიც საბანაევსაც არ იცნობსო.
- სდექ! ვინ საბანაევი? - გონს მოეგო ახალგაზრდა კაცი, ისევ და ისევ ძალზე აღელვებული, - ეს რას მიედ-მოედება? - ბრიყვული გამომეტყველებით მიუბრუნდა იგი ბაზრის ქალებს.
ქალები აკისკისდნენ.
- ჭკვიანი ბიჭია.
- რომელ, რომელ საბანაევზე ამბობდა? - ისევ ამოჩემებით იმეორებდა ახლგაზრდა კაცი და თან მარჯვენა ხელს იქნევდა.
- შეიძლება იმ საბანაევზე, რომელიც კუზმიჩევებთან მსახურობს, იქნებ იმაზე, - უცებ მიხვდა ერთი დედაკაცი.
ახალგაზრდა კაცმა გაკვირვებით გადახედა მას.
- კუზმიჩევთან? - ჩაერთო მეორე დედაკაცი, - მერე ტრიფონი რა შუაშია? იმას კუზმა ჰქვია და არა ტრიფონი, იმ ბიჭმა კი ტრიფონ ნიკიტიჩი ახსენა, ალბათ ის არაა.
- ის არც ტრიფონია, არც საბანაევი, ის ჩიჟოვია, - ლაპარაკში ახლა მესამე ქალი ჩაერთო, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და უსმენდა, - მას ალექსეი ივანოვიჩი ჰქვია ჩიჟოვი, ალექსეი ივანიჩი.
- სწორს ამბობს, მართლა ჩიჟოვია, - დაბეჯითებით დაუდასტურა მეოთხე ქალმა. გაოცებული ახალგაზრდა კაცი ხან ერთ ქალს უყურებდა, ხან მეორეს.

- კი მაგრამ, რატომ მეკითხებოდა, რატომ, ხალხო! - თითქმის სასოწარკვეთილი ყვიროდა, - „საბანაევს იცნობო?“ ეშმაკმა იცის, ვინ არის საბანაევი.
- გონებაჩლუნგი ხარ, არ გესმის, რა გითხრეს, საბანაევი კი არა, ჩიჟოვიო, ალექსეი ივანოვიჩ ჩიჟოვი! - დამაჯერებელი ტონით უყვირა კიდევ ერთმა მოვაჭრე დედაკაცმა.
- ვინ ჩიჟოვი? ეგ რომელი? თქვი, თუ იცი.
- აყლაყუდა, ტურტლიანი, ზაფხულში აქ, ბაზარში, იჯდა.
- რა ჭირად მინდა ეგ ჩიჟოვი, ხალხო, ჰა?
- აბა, მე რა ვიცი, რად გინდა.
- შენსას რას გაიგებს კაცი, ვინ გინდა და ვინ არა, - თქვა სხვა ქალმა, - თვითონ უნდა იცოდე, რაში გჭირდება, შენ არ ატეხე აყალმაყალი? შენ გკითხა იმ ბიჭმა, ჩვენ ხომ არა, რა სულელი კაცი ხარ. ნუთუ მართლა არ იცნობ?
- ვისა?
- ჩიჟოვს.
- ეშმაკმა დალახვროს ისიც და შენც! ერთი მაგრად მივბეგვავ, აი, რას ვიზამ! მასხარად ამიგდო!
- ვისა, ჩიჟოვს მიბეგვავ? გაბედავ კი! ბრიყვო!
- რა შუაშია ჩიჟოვი, მასთან რა საქმე მაქვს, ავყია და ბოროტო დედაკაცო, იმ ლაწირაკს კი გავუბრტყელებ გვერდებს, იმას! აქ მომიყვანეთ, აქ მომიყვანეთ, დამცინა, მასხარად ამიგდო!
ქალები ხარხარებდნენ. კოლიამ გზა გააგრძელა გამარჯვებული კაცის გამომეტყველებით. სმუროვი გვერდით მიჰყვებოდა და თან უკან-უკან იყურებოდა ბაზრის მოყაყანე ხალხისაკენ. მასაც ეცინებოდა, მაგრამ თან ეშინოდა, აქაოდა კოლიასთან ერთად რაიმე შარს არ გადავეყაროო.
- რომელ საბანაევზე ჰკითხე? - უთხრა კოლიას, თუმცა პასუხი წინასწარ იცოდა.
- აბა, რა ვიცი რომელზე? ახლა ისინი საღამომდე იყაყანებენ. მიყვარს საზოგადოების ნებისმიერი ფენის ბრიყვების გამოფხიზლება. შეხე, ეგე, კიდევ ერთი რეგვენი, იმ გლეხზე გეუბნები. დაიმახსოვრე, არის ასეთი გამოთქმა: „არავინ არის ისე სულელი, როგორიც ფრანგი სულელი“, მაგრამ ვერც რუსული ფიზიონომია ფარავს თავს. ნუთუ ამ ბრიყვს სახეზე არ აწერია, ბრიყვი რომაა, აი, იმ გლეხზე გეუბნები, ჰა?
- კოლია, თავი დაანებე, წავიდეთ.
- არაფრის დიდებით, ახლა ხასიათზე ვარ. ჰეი! გამარჯობა, კაცო!
ზორბა გლეხკაცი ზანტად მოდიოდა, ეტყობოდა, ცოტა გადაკრულშიც იყო. უბრალო მრგვალი სახე ჰქონდა, ოდნავ შეჭაღარავებული წვერით. თავი ასწია და ბიჭს შეხედა.
- გაგიმარჯოს რა, თუ არ ხუმრობ, - აუჩქარებლად უპასუხა მან.
- თუ ვხუმრობ?
- ხუმრობ და იხუმრე, ღმერთი იყოს შენი შემწე. არა უშავს, შეიძლება. ხუმრობა ყოველთვის შეიძლება.
- მაპატიე, ძმობილო, გეხუმრე.
- ღმერთმა შეგინდოს.
- შენ თუ შემინდობ?
- მიპატიებია. წადი.
- ვხედავ, ჭკვიანი კაცი ხარ.

- შენზე ჭკვიანი, - მოულოდნელად და კვლავ ამაყად უპასუხა კაცმა.
- ეჭვი მეპარება, - თქვა სახტად დარჩენილმა კოლიამ.
- ჭეშმარიტებას მოგახსენებ.
- მგონი, მართალი ხარ.
- ასეა, ასე, ძმობილო.
- მშვიდობით.
- მშვიდობით.
- გლეხები სხვადასხვანაირები არიან, - ცოტა ხნის შემდეგ უთხრა კოლიამ სმუროვს, - რა ვიცოდი, ჭკვიანს თუ გადავეყრებოდი. მე ყოველთვის ვაფასებ ჭკვიან გლეხკაცს.
შორს ტაძრის საათმა თორმეტის ნახევარი დარეკა. ბიჭები აჩქარდნენ, შტაბს-კაპიტან სნეგირიოვის სახლამდე დარჩენილი საკმაოდ დიდი მანძილი სწრაფად გაიარეს. გზაში თითქმის ხმა არ ამოუღიათ. სახლამდე ოციოდე ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი, როცა კოლიამ სმუროვი გააჩერა და უთხრა, წინ წასულიყო და მასთან კარამაზოვი გამოეგზავნა.
- ნიადაგის წინასწარ მოსინჯვა მინდა, - აუხსნა სმუროვს.
- რითვის გამოვგზავნო, - წინააღმდეგობის გაწევა დააპირა სმუროვმა, - შემოდი, ყველას ძალიან გაეხარდება შენი დანახვა. ამ ყინვაში გაცნობა უხერხული არაა?
- მე თავად ვიცი, ამ ყინვაში რისთვისაც მინდა მისი მოსვლა, - დესპოტურად მოუჭრა კოლიამ (მას უყვარდა ხოლმე „პატარებთან“ ასე მოქცევა) და სმუროვი ბრძანების შესასრულებლად გაიქცა.

IV ჟუჩკა

კოლია მედიდური გამომეტყველებით მიყრდნობოდა ღობეს და ალიოშას გამოჩენას უცდიდა. დიდი ხანია სურდა ალიოშას გაცნობა. ბიჭებისაგან მის შესახებ ბევრი რამ სმენოდა, მაგრამ აქამდე, ყოველთვის, როცა ბიჭები ალიოშაზე ყვებოდნენ ხოლმე, კოლია თავის დამოკიდებულებას მის მიმართ აგდებული და გულგრილი გამომეტყველებით გამოხატავდა, „აკრიტიკებდა“ კიდეც ყველა მის ნამოქმედარს. ისე კი, თავად ძალიან სურდა მისი გაცნობა. რაღაც იყო ბიჭების მონაყოლში ალიოშას შესახებ ისეთი, რაც კოლიას თვალში მას სიმპათიურსა და მიმზიდველს ხდიდა. ასე რომ, ახლა ამ წუთებს კოლიასათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ჯერ ერთი, თავი არ უნდა შეერცხვინა და თავისი დამოუკიდებლობა დაემტკიცებინა: „თორემ იფიქრებს, რახან ცამეტი წლისა ვარ, ისეთივე პატარა ბიჭი ვარ, როგორებიც ესენი არიან. ნეტა, რა უნდა ამ ბიჭებისაგან? ვკითხავ, როცა ვნახავ. ცუდია, ასე დაბალი რომ ვარ. ტუზიკოვი ჩემზე უმცროსია და ნახევარი თავით ჩემზე მაღალია. მართალია, გამომეტყველება გონიერი კაცისა მაქვს, თუმცა სახით უშნო ვარ, მაგრამ ჭკვიანი. ისე კი გული ნაკლებად უნდა გადავუშალო, თორემ, თუ თავიდან ჩავეხუტე, რამე არ გაიფიქროს... ფუი, რა საზიზღრობა იქნება, თუ რამეს გაიფიქრებს!“
აფორიაქებული კოლია ყველანაირად ცდილობდა, დამოუკიდებელი კაცის შესახედაობა მიეღო. მისთვის მთავარი სატანჯველი ტანმორჩილობა იყო, იმდენად „უშნო“ სახე კი არ აწუხებდა, რამდენადაც სიმაღლე. შინ, კედელზე, ჯერ

კიდევ შარშანდლიდან ფანქრით მონიშნული ჰქონდა თავისი სიმაღლე. ორ თვეში ერთხელ აღელვებული მიუახლოვდებოდა ხოლმე კედელს და იზომებოდა. უნდოდა გაეგო, რამდენი მოიმატა? მაგრამ ვაი, რომ მატება ერთობ მცირე იყო, ეს კი გულს უკლავდა. რაც შეეხება სახეს, იგი სულაც არ ჰქონდა „უშნო“. პირიქით, საკმაოდ სანდომიანი, თეთრი პირისახის, ფერმკრთალი და ჭორფლიანი ბიჭუნა გახლდათ. მისი ნაცრისფერი, პატარა, მაგრამ ცოცხალი და თამამი თვალები ხანდახან ემოციისაგან აუელვარდებოდა ხოლმე. ფართო ღაწვები, არც ისე სქელი, მაძღარი წითელი ტუჩები და პაჭუა, აპრეხილი ცხვირი ჰქონდა. „როგორი პაჭუა ცხვირი მაქვს, ნამდვილი პაჭუა!“ - ბუტბუტებდა ხოლმე სარკესთან მდგარი კოლია და ყოველთვის უკმაყოფილო იყო. „მგონი, არც ჭკვიანური გამომეტყველება მაქვს?“ - ზოგჯერ ამასაც გაიფიქრებდა, ამაშიც კი ეპარებოდა ეჭვი. ისე, კაცმა რომ თქვას, მას გონება სიმაღლესა და გარეგნობაზე ფიქრით მაინცდამაინც არ ჰქონდა დაკავებული. პირიქით, როგორადაც უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო სარკეში თავისი პერსონის მზერით, ყოველივეს მალე ივიწყებდა და კარგახანს არ ახსენდებოდა თავისი გარეგნობა; როგორც თავად ამბობდა, „მთელი არსებით გადავვარდები ხოლმე ჩემს იდეებსა და რეალურ ცხოვრებაშიო“.

ალიოშა მალე გამოჩნდა და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა კოლიას; კოლიამ შორიდან შენიშნა, ალიოშა გახარებული რომ მოდიოდა. „დავიჯერო, ასე უხარია ჩემი ნახვა?“ - სიამოვნებით გაიფიქრა კოლიამ. აქვე უნდა აღვნიშნო: მას შემდეგ, რაც ალიოშა დავტოვეთ, იგი ძალიან შეიცვალა. ახლა მორჩილის სამოსი აღარ ეცვა და ბრწყინვალედ შეკერილ სერთუკში იყო გამოწყობილი, თმები მოკლედ ჰქონდა შეჭრილი და თავზე მრგვალი შლაპა ეხურა. მშვენივრად გამოიყურებოდა, ახლა ის ნამდვილად ლამაზი მამაკაცი იყო. მის სანდომიან სახეს მუდამ მშვიდი ღიმილი ეფინა. კოლიას ძალიან გაუკვირდა უპალტოო ალიოშას დანახვა. ეტყობა, ჩქარობდა. ალიოშამ კოლიას პირველმა გაუწოდა ხელი.

- აი, თქვენც მოხვედით, ყველა მოუთმენლად გელოდით.

- იყო მიზეზები, რომლის შესახებაც ახლა მოგახსენებთ. ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. დიდი ხანია, ამ დროს ველოდი, თქვენზე ბევრი რამ მსმენია, - ჩაიბურტყუნა კოლიამ, მას სუნთქვა ეკვროდა.

- დიახ, ჩვენ ისედაც გავიცნობდით ერთმანეთს, მეც ბევრი მსმენია თქვენზე, მაგრამ აქ ცოტა დაგაგვიანდათ.

- მითხარით, რა მდგომარეობაა ახლა აქ?

- ილუშა ძალიან ცუდადაა, მალე მოკვდება.

- რას მეუბნებით! ეს მედიცინა უსინდისობაა და მეტი არაფერი, - იყვირა გაცხარებულმა კოლიამ.

- ილუშა ხშირად, ძალიან ხშირად გახსენებთ, ძილშიაც კი ბოდავს თქვენს სახელს. ეტყობა, ადრე თქვენ მისთვის ძალიან ძვირფასი იყავით... იმ შემთხვევამდე... დანა მაქვს მხედველობაში. კიდევ ერთი მიზეზია... მითხარით, ეს თქვენი ძაღლია?

- ჩემია, პერეზვონი.

- ჟუჩკა არა, ხომ? - დანანებით თქვა ალიოშამ და კოლიას თვალებში ჩახედა, - ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა?

- ვიცი, თქვენ ყველას ჟუჩკა გინდათ, გამიგია, - მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა კოლიამ, - მისმინეთ, კარამაზოვ, მე თქვენ დაწვრილებით აგიხსნით ყოველივეს, უფრო სწორად, მაგისთვისაც ვარ მოსული, მაგრამ წინასწარ მინდოდა თქვენთან

მოლაპარაკება, სანამ იქ შემოვიდოდი, ამიტომაც გამოგიხმეთ, - ცოცხლად დაიწყო კოლიამ, - ამ გაზაფხულზე ილუშა მოსამზადებელ კლასში შევიდა. ყველასათვის ცნობილია, რა არის მოსამზადებელი კლასი - პატარა ბიჭუნები. ილუშა ბიჭებმა მაშინვე აითვალწუნეს. მე ორი კლასით მაღლა ვსწავლობდი. ცხადია, ყველაფერს შორიდან ვუყურებდი. კარგად ვხედავდი, ეს თვალებანთებული, ამაყი, პატარა და სუსტი ბიჭუნა როგორი დაუმორჩილებელი იყო, ჩხუბობდა კიდეც ბიჭებთან. მე კი ასეთი ბიჭები მიყვარს. ბიჭები ილუშას დღითიდღე უფრო და უფრო მეტად დასცინოდნენ. მაშინ მას ძალიან ძველი პალტო ეცვა, კოჭებამდე მოკლე შარვალი, პირდაფჩენილი ჩექმები. სწორედ ამის გამო იგდებდნენ ხოლმე მასხარად და ამცირებდნენ. ასეთი რამეები კი არ მიყვარს და ბიჭებს მაგარი ჭოჭი მივეცი. ხანდახან წამოვუთაქებ ხოლმე, ისინი კი მაღმერთებენ, იცით თუ არა ეს თქვენ, კარამაზოვ? - ექსპანსიურად დაიტრაბახა კოლიამ, - საერთოდ მე პატარები მიყვარს. შინ ამ კისერზე ორი ბალღი მაზის ხოლმე, დღესაც იმათ გამო შემაგვიანდა. ამის შემდეგ ილუშას შეეშვნენ და ჩემი მფარველობის ქვეშ ავიყვანე. ვიცოდი, რომ ამაყი ბიჭი იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ მონად დამიდგა. ყველა ჩემს სურვილს ასრულებდა, ყველაფერში მბაძავდა, როგორც ღმერთს, ისე მიყურებდა. შესვენების დროს ჩემთან გაჩნდებოდა ხოლმე და ერთად ვსეირნობდით. კვირა დღეებსაც ერთად ვატარებდით. გიმნაზიაში დასცინიან ხოლმე იმ დიდ ბიჭებს, რომლებიც პატარებთან მეგობრობენ. ჩემთვის ეს სულელური პირობითობაა. ასეთია ჩემი ფანტაზია და ბასტა! ხომ მართალი ვარ? მე მას ვასწავლი და ვავითარებ - რატომ არ შემიძლია ვინმეს რაიმე ვასწავლო, თუკი ბავშვი მომწონს? აი, თქვენ, კარამაზოვ, ხომ გაუყადრეთ თავი ამ ბიჭ-ბუჭებს? ე.ი. თქვენ გსურთ, ზემოქმედება მოახდინოთ მომავალ თაობაზე, განავითაროთ ის და იყოთ გამოსადეგი. გამოგიტყდებით, როდესაც თქვენი ხასიათის ამ მხარის შესახებ მითხრეს, ყველაზე მეტად ამით დავინტერესდი. მაგრამ ახლა ისევ ილუშას ამბავი გავაგრძელოთ: ბოლო ხანებში თანდათან შევატყვე, ბიჭი რაღაცნაირად მგრძნობიარე და სენტიმენტალური რომ ხდებოდა, მე კი დაბადებიდან სასტიკად ვერ ვიტან გადამეტებულ ფერებას. გარდა ამისა, მაკვირვებდა მისი ხასიათის ურთიერთგამომრიცხავი თვისებები: ერთი მხრივ, თავმოყვარეობა და, მეორე მხრივ, ჩემდამი მონური მორჩილება. იყო ხოლმე შემთხვევა, თვალები აენთებოდა და გაჯიქდებოდა, არაფერში მეთანხმებოდა, მეკამათებოდა, ქვას შეაგდებდა და თავს შეუშვერდა, როცა რაიმე იდეებზე ვესაუბრებოდი, იგი არათუ მეთანხმებოდა, არამედ ვხედავდი, პირდაპირ ჩემი მოწინააღმდეგე ხდებოდა. მიჯანყდებოდა, ვინაიდან ჩემდამი მის ნაზ დამოკიდებულებას ცივად ვხვდებოდი. მის ყველა ალერსიან გამოხდომას ცივად იმიტომ ვხვდებოდი, რომ გამომეწვრთნა. განგებ ვიქცეოდი ასე, მე ასე მწამდა. მინდოდა მისი ხასიათის გაკაჟება, გაწონასწორება, მისი ადამიანად ჩამოყალიბება... შემდეგ კი... თქვენთვის, რასაკვირველია... ყველაფერი გასაგებია ერთხელაც ვხედავ, რამდენიმე დღის განმავლობაში დაბნეული და დანაღვლიანებული დადის. ვხვდები, რომ ჩვენი ურთიერთობა კი არ აწუხებს, არამედ რაღაც უფრო დიდი რამ. ნეტა, რა აწუხებს-მეთქი? - ვფიქრობდი ჩემთვის. შევუჩნდი და მითხრა, რომ თქვენი გარდაცვლილი მამის (მაშინ ცოცხალი იყო) ლაქია, სმერდიაკოვი გაუცვნია. მას ამ ბრიყვისათვის ერთი სულელური ხუმრობა უსწავლებია. სულელური კი არა, სასტიკი და საზიზღარი ხუმრობა - აიღე პურის გული, შიგ ქინძისთავი ჩადე და რომელიმე ქუჩის ძაღლს გადაუგდე, ისეთს,

რომელიც შიმშილისაგან საჭმელს კი არ ღეჭავს, პირდაპირ ყლაპავს. და უყურე, რით დამთავრდება ეს ამბავიო. ჰოდა, პურის გულისაგან გაუკეთებიათ ქინძისთავგაყრილი ლუკმა და გადაუგდიათ იმ ბანჯგვლიანი ჟუჩკასათვის, რომლის გულისთვისაც ახლა ერთი ამბავია ატეხილი. ის ჟუჩკა ერთი ეზოს ძაღლი იყო. საკვებს არავინ აძლევდა და მთელი დღე უაზროდ ყეფდა (კარამაზოვ, განა თქვენ მოგწონთ ძაღლების უაზრო ყეფა? მე ვერ ვიტან). ჟუჩკა თურმე საჭმელს ეცა და სულმოუთქმელად გადაყლაპა. გადაყლაპა, დაიწკმუტუნა, ერთი დაიკლაკნა და წკმუტუნ-წკმუტუნით გაიქცა. მირბოდა და წკმუტუნებდა, მირბოდა და წკმუტუნებდაო - ასე ამიწერა ეს ამბავი ილუშამ. როცა ამაში გამომიტყდა, აკანკალებული ტიროდა და მეხვეოდა: „გარბის და წკმუტუნებს, გარბის და წკმუტუნებსო“, - მარტო ამ სიტყვებს იმეორებდა, ძალიან შეაწუხა ამ სურათმა. ვხედავდი, რომ საშინლად იტანჯებოდა. მე ყველაფერი სერიოზულად მივიღე. რაც მთავარია, მინდოდა, მისთვის ჭკუა მესწავლებინა, ჯერ კიდევ ძველი ამბების გამო და, ვაღიარებ, ამიტომ ვიეშმაკე - განსაკუთრებულად აღშფოთებულად მოვაჩვენე თავი და დავტუქსე: „შენ საზიზღარი საქციელი ჩაიდინე, ნამდვილი ნაძირალა ხარ, ამ ამბავს არავის ვეტყვი, მაგრამ ჯერჯერობით შენთან ურთიერთობას ვწყვეტ. ამაზე კიდევ ვიფიქრებ და ჩემს გადაწყვეტილებას სმუროვის (ეს ის ბიჭია, დღეს ჩემთან ერთად რომ მოვიდა, ჩემი ერთგული კაცია) საშუალებით შეგატყობინებ, გავაგრძელებ კვლავ შენთან ძმაკაცობას, თუ სამუდამოდ დაგშორდები, როგორც უსინდისო კაცს“. ჩემმა ნათქვამმა ძალიან შეაწუხა. მივხვდი, რომ ცოტა გადავამლაშე, ძალიან მკაცრად მოვექეცი, მაგრამ რას იზამ, ასეთი იყო მაშინ ჩემი განწყობა. ერთი დღის შემდეგ სმუროვი მივუგზავნე და დავაბარე, რომ „ამას იქით ხმას აღარ გავცემდი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. მე მიზნად მქონდა, რამდენიმე დღე გარიყული მყოლოდა, მერე კი თუ დავინახავდი მისი მხრიდან მონანიებას, შევურიგდებოდი. ეს იყო ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, რა ქნა, როგორ მოიქცა, როცა გაიგო სმუროვისაგან ჩემი დანაბარები? მას ბრაზისაგან თვალები ანთებია და უყვირია: „გადაეცი კრასოტკინს, აწი ყველა ძაღლს ქინძისთავიან ლუკმებს გადავუგდებ, ყველა ძაღლს, ყველას!“ „აჰა, - გავიფიქრე ჩემთვის, - ამაყმა ბიჭუნამ თავი აიშვა, ჭკუა უნდა ვასწავლო.“ ამის შემდეგ ყოველი შეხვედრის დროს ირონიულად ვიღიმოდი და ზურგს ვაქცევდი. ამას დაემთხვა ის ამბავიც, მამამისს რომ გადახდა, გახსოვთ ალბათ წვერცანცარას შესახებ? ამ დროისათვის უკვე სულ ადვილი იყო მისი მწყობრიდან გამოყვანა. როცა ბიჭებმა ჩვენი განშორების ამბავი გაიგეს, მიესივნენ და დაცინვა დაუწყეს: „წვერცანცარა, წვერცანცარაო!“ ამას მათ შორის ბატალიები მოჰყვა, რასაც ახლა ძალიან ვნანობ, რადგან ბიჭებმა ილუშა მაგრად სცემეს. ერთხელ სკოლიდან გამოსვლისას ეზოში ილუშამ ბიჭებს ჩხუბი აუტეხა. შორიდან ვადევნებდი თვალყურს. გეფიცებით, არ მახსოვს, მაშინ რომ მისთვის დამეცინოს, პირიქით, შემეცოდა კიდეც, ცოტაღა მაკლდა და მის დასაცავად გავვარდებოდი. მაგრამ როგორც კი დამინახა, არ ვიცი, რა ეტაკა, ამოიღო ჯაყვა, მეცა და თეძოში ჩამცა, აი აქ, მარჯვენა ფეხზე. არ გავნძრეულვარ, გამოგიტყდებით, კარამაზოვ, ხანდახან გულადი ვარ; მხოლოდ ზიზღით ვუყურებდი და თვალებით ვეუბნებოდი: „კიდევ დამარტყი, ეს იყოს მთელი ჩვენი მეგობრობის საფასური, მოდი, მე შენს განკარგულებაში ვარ-მეთქი“. მაგრამ მეორედ აღარ დაურტყამს, შეშინებულმა დანა ხელიდან გააგდო, თავი ვეღარ შეიკავა, აღრიალდა და გაიქცა. ჩემგან ეს ამბავი არავის გაუგია და სხვებსაც

ვუბრძანე, კრინტი არავისთან დაეძრათ, უფროსობას რომ არ გაეგო. დედაჩემსაც მანამ არ გაუგია, სანამ არ შემიხორცდა. იარა მსუბუქი იყო, ოდნავ გაფხაჭნილი. შემდგომში შევიტყვე, რომ იმ დღეს ის ბიჭებს ქვებს ესროდა და თქვენ კი თითზე გიკბინათ - ხომ გესმით, როგორ მდგომარეობაში იყო! რა ვქნა, დავაშავე: ავადმყოფი არ მოვინახულე, არ მივედი, არ ვაპატიე და არ შევურიგდი. ახლა ძალიან ვნანობ. მაგრამ ამის მიზეზები მქონდა. აი, ასე იყო ეს ამბავი... მე მაინც მგონია, სულელურად მოვიქეცი...

- ო, როგორ სამწუხაროა, - შესძახა აღელვებულმა ალიოშამ, - მე რომ მცოდნოდა თქვენი და ილუშას ურთიერთობების შესახებ, მე თვითონ მოვიდოდი თქვენთან სათხოვნელად, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყავით მის სანახავად. დამიჯერეთ, სიცხიანი ავადმყოფი თქვენს სახელს ბოდავს ხოლმე. მე არ ვიცოდი, თუ ამდენად ძვირფასი იყავით მისთვის! ნუთუ ვერსად იპოვეთ ჟუჩკა? მამამისმა და ბიჭებმა ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული გადააქოთეს იმ ძაღლის ძებნაში. იცით, ჩემი თანდასწრებით ატირებულმა ავადმყოფმა რამდენჯერმე გაუმეორა მამამისს: „ამის გამო ვარ ავად, მამა. მე მაშინ ჟუჩკა მოვკალი, ღმერთმა არ მაპატია და დამსაჯა,“ - ეს აზრი აკვიატებული აქვს. როგორმე, სადმე რომ გვაპოვნინა ჟუჩკა და გვენახვებინა, ილუშა შეიძლება სიხარულისაგან გამოჯანმრთელდეს კიდეც. ყველას თქვენი იმედი გვქონდა.

- მაინც რატომ გქონდათ ჩემი იმედი, მაინცდამაინც მე რატომ უნდა მომეძებნა ჟუჩკა? - იკითხა განსაკუთრებული ინტერესით კოლიამ, - მაინცდამაინც ჩემი იმედი რატომ გქონდათ და არა სხვისი?

- ხმა გავრცელდა, თითქოს ჟუჩკას თქვენ ეძებდით და როცა იპოვიდით, მიუყვანდით ილუშას. მგონი სმუროვი ამბობდა რაღაც ამდაგვარს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით, დაგვერწმუნებინა ილუშა, რომ ჟუჩკა ცოცხალია, თითქოს ბავშვებმა სადღაც ნახეს. ბიჭებმა საიდანღაც ცოცხალი კურდღელი მოუყვანეს. მან დახედა კურდღელს, გაიღიმა და ბიჭებს სთხოვა, მინდორში გაეშვათ. ასეც გავაკეთეთ. შემდეგ მამამისმა პატარა ლეკვი მოუყვანა, სადღაც ეშოვა, ეგონა, დაამშვიდებდა, მაგრამ, მე მგონი, უარესად გახდა...

- ერთი ეს მითხარით, კარამაზოვ, ვინ არის მამამისი? მე არ ვიცნობ. ვინ არის თქვენი აზრით: მასხარაა, ჯამბაზი?

- არა, არა! ეს არის დიდად მგრძნობიარე პიროვნება, მაგრამ ძალიან დაჩაგრული. ტაკიმასხარაობა ამნაირი ადამიანებისათვის ღვარძლიანი ირონიაა მათ მიმართ, ვისაც პირში სიმართლეს ვერ ეუბნებიან, მათდამი განუწყვეტელი და დამამცირებელი შიშის გამო. დამიჯერეთ, კრასოტკინ, ასეთი ტაკიმასხარაობა განსაკუთრებით ტრაგიკულია. ახლა მისთვის ამქვეყნად ილუშაზე ძვირფასი არაფერია. ილუშა რომ მოკვდეს, შეიძლება დარდისაგან ჭკუიდან გადავიდეს, თავი მოიკლას. მის შემხედვარეს, ამაში ეჭვი არ მეპარება!

- თქვენი კარგად მესმის, კარამაზოვ, ვხედავ, იცნობთ ამ ადამიანს, - თქვა გულში ჩამწვდომი ხმით კოლიამ.

- მე კი, როცა ძაღლთან ერთად დაგინახეთ, მეგონა, ჟუჩკა მოიყვანა-მეთქი.

- მოითმინეთ, კარამაზოვ, იქნებ მოიძებნოს ის ძაღლი, ეს კი პერეზვონია. ახლა მას ილუშასთან შევიყვან. იქნებ ცოტა ხასიათზე მოვიყვანო. ეს ძაღლი იმ ლეკვზე მეტად გაამხიარულებს. მოიცადეთ, კარამაზოვ, ახლა თქვენ რაღაცას შეიტყობთ. ღმერთო ჩემო, რამდენ ხანს დაგაკავეთ! - იყვირა უცებ კოლიამ, - თქვენ ხომ მარტო სერთუკით ხართ ამისთანა სიცივეში, მე კი გაკავებთ; ხედავთ, ხედავთ,

როგორი ეგოისტი ვარ! ოო, ჩვენ ხომ ყველანი ეგოისტები ვართ, კარამაზოვ!
- ნუ წუხდებით, მართალია, ახლა ძალიან ცივა, მაგრამ მე მცივანა არ ვარ. წავიდეთ. ხო, რა გქვიათ, მე ვიცი, რომ კოლია, კიდევ?
- ნიკოლაი, ნიკოლაი ივანოვიჩ კრასოტკინი, ან, როგორც იტყვიან ხოლმე, კრასოტკინის შვილი, - რატომღაც გაიცინა კოლიამ და დაუმატა:
- ისე კი, რასაკვირველია, მე მძულს ჩემი სახელი, ნიკოლაი.
- რატომ?
- ტრივიალურია, შაბლონური...
- თქვენ ცამეტი წლის ხართ?
- თოთხმეტის, ორ კვირაში თოთხმეტისა გავხდები, ძალიან მალე. ერთ ჩემს სისუსტეში უნდა გამოგიტყდეთ, კარამაზოვ, ეს ისე, პირველი ნაცნობობისათვის, უკეთ რომ გამიცნოთ: ვერ ვიტან, როცა წლოვანებას მეკითხებიან, უფრო ვერ ვიტან... როცა ჩემს თავზე მეკითხებიან; მაგალითად, არსებობს ასეთი ჭორი, რომ თითქოს წინა კვირას მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებთან მე ყაჩაღობანას სიამოვნებით ვთამაშობდი. რომ ვთამაშობდი, ეს სიმართლეა, მაგრამ სიამოვნებით რომ ვთამაშობდი, ეს ცილისწამებაა. ეჭვიც არ მეპარება, ამის შესახებ თქვენ უკვე ყველაფერი იცით, მაგრამ იცოდეთ, რომ მე ჩემი სიამოვნებისათვის კი არ ვთამაშობდი, არამედ ბავშვების გულისთვის, ვინაიდან მათ უჩემოდ ვერაფრის მოგონება ვერ შეძლეს. ჩვენთან კი ყოველთვის უყვართ ასეთი ჭორების გავრცელება. ეს ჭორიკანების ქალაქია, გარწმუნებთ.
- გინდაც თქვენი სიამოვნებისათვის გეთამაშათ, რა არის ამაში ცუდი?
- საკუთარი სიამოვნებისათვის... აი, თქვენ, ცხენობანას ხომ არ ითამაშებთ?
- აა, თქვენ ასე მსჯელობთ, - გაეღიმა ალიოშას, - მაგალითად, თეატრში ხომ დადიან მოზრდილები, იქ კი სხვადასახვა გმირის თავგადასავლები თამაშდება - ხან ყაჩაღობენ, ხან ომობენ - განა ეს ერთი და იგივე არ არის? დასვენების დროს, როცა ახალგაზრდობა ყაჩაღობანას ან ომობანას თამაშობს - ესაა ხელოვნებისაკენ სწრაფვა, ახალგაზრდის სულში გაღვიძებული ხელოვნების მოთხოვნილება. ხანდახან ეს თამაშები უფრო კარგადაა დადგმული, ვიდრე თეატრალური წარმოდგენები. მხოლოდ ერთი განსხვავებაა, თეატრში მსახიობების საყურებლად მიდიან, თამაშის დროს კი ახალგაზრდები თავად არიან აქტიორები. მაგრამ ეს უფრო ბუნებრივად ხდება.
- თქვენ ეგრე გგონიათ? ასეთია თქვენი მრწამსი? - დაჟინებით ჩააცქერდა ალიოშას კოლია, - იცით, თქვენ საკმაოდ საინტერესო აზრი გამოთქვით; შინ როცა დავბრუნდები, ვიფიქრებ ამაზე. გამოგიტყდებით, ველოდი, თქვენგან რაღაცის სწავლა რომ შეიძლებოდა. მე თქვენთან მოვედი, რომ რაღაც ვისწავლო, კარამაზოვ, - გულში ჩამწვდომი და ექსპანსიური ხმით დაასკვნა კოლიამ.
- მე კიდევ თქვენგან, - გაუღიმა ალიოშამ და ხელი ჩამოართვა.
კოლია ალიოშას გაცნობით ძალზე კმაყოფილო დარჩა. იგი გააოცა იმან, რომ ალიოშა მას, არა მარტო როგორც ტოლი ტოლს, ისე კი არ ელაპარაკებოდა, არამედ როგორც „დიდ კაცს“.
- ახლა ერთ ოინს გაჩვენებთ, კარამაზოვ, ეს თეატრალური სანახაობაა, - ნერვიულად ჩაიცინა კოლიამ, - მე ამით მოვედი.
- ჯერ მარცხნივ, სახლის პატრონთან შევიდეთ, იქ ბიჭებს პალტოები აქვთ დატოვებული, რადგან ოთახში სივიწროვეა და ცხელა.
- არა, მე ერთი წუთით შემოვალ, ცოტა ხანს ჩამოვჯდები, პალტოს არ გავიხდი.

პერეზვონი აქ დარჩება, წინკარში და თავს მოიმკვდარუნებს: „აბა, პერეზვონ, მოკვდი!“ - ხედავთ, იგი მოკვდა. მე ჯერ შევალ, ვითარებას გავეცნობი და შემდეგ დავუსტვენ: „პერეზვონ, ჩემთან!“ - ნახავთ, როგორ გიჟივით შემოვარდება. მხოლოდ საჭიროა, სმუროვმა წინასწარ გაუღოს კარი. ამას მე ვეტყვი, ნახავთ, რა ოინი გამოვა.

V ილუშას საწოლთან

ჩვენთვის ნაცნობ ოთახში, სადაც ჩვენთვის უკვე ცნობილი გადამდგარი შტაბს-კაპიტნის ოჯახი ბინადრობდა, მართლაც დახუთული ჰაერი და სივიწროვე სუფევდა იქ შეკრებილი მრავალრიცხოვანი ხალხის გამოისობით. რამდენიმე ბიჭუნა ილუშას საწოლთან იჯდა. სმუროვსა და სხვა ბიჭუნებს არ სურდათ, ეღიარებინათ ის ფაქტი, რომ ალიოშამ შეარიგა ისინი ილუშასთან, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო. ალიოშამ ისინი, ერთიმეორეს მიყოლებით, ყოველგვარი გულისამაჩუყებელი ახსნა-განმარტებების გარეშე, ვითომ არასაგანგებოდ და ისე, შემთხვევით მიიყვანა ილუშასთან. ილუშას ამ ვიზიტებმა დიდი შვება მოუტანა, ძალიან შეუმსუბუქა ტანჯვა-წამება, როცა მეგობრული დამოკიდებულება და თანაგრძნობა იგრძნო იმ ბიჭებისაგან, რომლებსაც თავის მტრად თვლიდა. მას გული აუჩვილდა. მხოლოდ კრასოტკინი არ ჩანდა და ეს მძიმე ტვირთად აწვა გულზე. მისთვის ყველაზე მწარედ მოსაგონარი ის იყო, რომ კრასოტკინს, თავის ერთადერთ მეგობარსა და მფარველს, დანა გაუყარა. ასე ფიქრობდა გონიერი ბიჭუნა სმუროვი (ის პირველი მივიდა ილუშასთან შესარიგებლად). როცა სმუროვმა კრასოტკინს შეატყობინა - „ერთი საქმის თაობაზე“ ალიოშას შენი ნახვა უნდაო, კრასოტკინმა მოკლედ მოუჭრა: გადაეცი „კარამაზოვს“, თავადაც ვიცი, როგორ მოვიქცე და არავის რჩევებს არ ვსაჭიროებ, თუ ავადმყოფთან წავალ, თავად გადავწყვეტ, როდის წავიდე და როდის არა, ვინაიდან მე „ჩემი ანგარიშები“ მაქვსო. ეს ამ ორი კვირის წინ მოხდა. ამიტომაც ალიოშა მასთან აღარ წასულა. ცოტა ხანი დააცადა და შემდეგ კვლავ ორჯერ მიუგზავნა სმუროვი. კრასოტკინმა სმუროვი ორივეჯერ უხეშად გამოისტუმრა და თან ალიოშასთან დააბარა: თუ არ შემეშვებით, საერთოდ აღარ მოვინახულებ ილუშას, თავს ნუღარ მომაბეზრებთო. სმუროვმა გუშინ საღამომდე არ იცოდა კრასოტკინის გადაწყვეტილება ილუშასთან წასვლის შესახებ. გუშინ საღამოთი კი, როცა კრასოტკინი სმუროვს ემშვიდობებოდა, მოულოდნელად განუცხადა, ხვალ დილით სახლში დალოდებოდა, რადგან მასთან ერთად სნეგიროვებთან წასვლას აპირებდა, თანაც დაუმატა, არ გაებედა და არავისთვის გაემხილა ეს ამბავი, ვინაიდან სურდა, ყველასთვის მოულოდნელი ყოფილიყო მისი გამოჩენა. სმუროვმა სურვილი შეუსრულა. მას იმედი ჰქონდა, რომ კრასოტკინი ჟუჩკას იპოვიდა და ილუშას მიუყვანდა, რადგან ერთხელ კრასოტკინმა უთხრა: „სახედრები ხართ ყველა, თუკი ის ძაღლი ცოცხალია და თქვენ კი აქამდე ვერსად მოძებნეთო“. როცა სმუროვმა მოგვიანებით შეაპარა თავისი იმედის შესახებ, კრასოტკინი ანაზდად აფეთქდა: „მე რა, გიჟი ვარ, მთელ ქალაქში სხვისი ძაღლები ვძებნო, როცა ჩემი ძაღლი, პერეზვონი მყავს? განა შეიძლება, კაცს იმის იმედი ჰქონდეს, რომ ქინძისთავის გადაყლაპვის შემდეგ ძაღლი გადარჩებოდა?

გულჩვილობაა და მეტი არაფერი!“

ამასობაში უკვე ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ილუშა კუთხეში, ხატებს ქვემოთ მდგარი საწოლიდან აღარ ამდგარა. სკოლაში მას მერე არ ყოფილა, რაც ალიოშას ხელზე უკბინა. იმ დღიდან ავად გახდა, თუმცა ერთი თვის განმავლობაში ხანდახან წამოდგებოდა და ოთახში გადი-გამოდიოდა ხოლმე - ოთახიდან წინკარამდე და უკან. უკანასკნელ ხანებში ძალა ისე გამოელია, მამამისის გარეშე ვეღარ მოძრაობდა. მამა თავზე დაჰკანკალებდა, სმასაც კი დაანება თავი, ჭკუიდან იშლებოდა იმის შიშით, რომ დღეს თუ ხვალ მისი ბიჭი ხელიდან გამოეცლებოდა. ხშირად, როცა დაუძლურებულ ილუშას ლოგინში ჩააწვენდა ხოლმე, გამოვარდებოდა წინკარში, სადმე ბნელ კუთხეში კედელს შუბლს მიადებდა და გულამოსკვნილი ქვითინებდა, თან ცდილობდა, დაბალ ხმაზე ეტირა, ილუშას რომ არ გაეგონა.
ოთახში დაბრუნების შემდეგ შტაბს-კაპიტანი თავისი ძვირფასი ბიჭუნას გართობასა და დამშვიდებას იწყებდა. უყვებოდა ზღაპრებს, სასაცილო ანეკდოტებს, აჯავრებდა სასაცილო ადამიანებს, ვინც კი ოდესმე ცხოვრებაში შეხვედრია, ცხოველებსაც კი ბაძავდა, მათსავით ყვიროდა და ყმუოდა. ილუშას მამის პრანჭვა-გრეხვა და ტაკიმასხარაობა არ მოსწონდა, მაგრამ ცდილობდა, არ გამოეხატა თავისი უკმაყოფილება. მას გული სტკიოდა საზოგადოებაში მამის დამცირებული მდგომარეობის გამო და გამუდმებით აგონდებოდა ის „საშინელი დღე“ და „წვერცანცარა“. ილუშას დაიკოს, კუტ და უწყინარ ნინასაც არ უყვარდა მამამისის ხუმრობები (რომ აღარაფერი ვთქვათ, ვარვარა ნიკოლაევნაზე, რომელიც უკვე კარგა ხანი იყო, პეტერბურგში დაბრუნდა სწავლის გასაგრძელებლად), სამაგიეროდ, ჭკუიდან გადამცდარ დედილოს ძალიან ართობდა ყოველივე და გულიანადაც იცინოდა, როცა მისი ქმარი რაღაც-რაღაცების გათამაშებას დაიწყებდა ხოლმე. მხოლოდ ასეთი რაღაცები ართობდა დედილოს, დანარჩენ დროს გაუთავებლად წუწუნებდა, ტიროდა და ჩიოდა, რომ ყველამ დაივიწყა, არავინ პატივს არ სცემს, ყველა გულს სტკენს და ა.შ. თუმცა ბოლო ხანებში ის თითქოს შეიცვალა, ჩაფიქრებული ხშირად მიაშტერდებოდა ხოლმე ილუშას. უფრო სიტყვაძუნწი გახდა, ჩაჩუმდა და ცდილობდა, ხმადაბლა ეტირა, რომ არავის გაეგონა. ცოლის ასეთმა ცვლილებამ შტაბს-კაპიტანი საგონებელში ჩააგდო. თავდაპირველად, დედილო ბიჭების ხშირმა სიარულმა შეაწუხა, ბრაზობდა კიდეც, მაგრამ შემდგომ ბავშვების მხიარულმა ჟრიამულმა და ლაპარაკმა ისე გაახალისა, რომ თუ ბიჭები აღარ მივიდოდნენ, ალბათ მოიწყენდა კიდეც. როცა ბავშვები რაიმეს ჰყვებოდნენ ან თამაშს იწყებდნენ, ის იცინოდა და აღტაცებული ტაშს უკრავდა. ზოგიერთ ბავშვს თავისთან იხმობდა და ჰკოცნიდა. განსაკუთრებით სმუროვი შეუყვარდა. რაც შეეხება შტაბს-კაპიტანს, ის ბიჭების გამოჩენამ ძალიან გაახარა, გული სიამით ევსებოდა, როცა ბიჭები ამხიარულებდნენ ავადმყოფს და ილუშას გამოჯანმრთელების იმედი უჩნდებოდა. მას უკანასკნელ ხანებამდე ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი შვილის განკურნებაში, მიუხედავად ამისა, ხანდახან საშინელი შიში შეიპყრობდა ხოლმე ილუშას გამო. ის პატარა სტუმრებს გულაჩუყებული ხვდებოდა, თავს დასტრიალებდა, ემსახურებოდა, მზად იყო, კისერზე შეესვა. ერთხელ, როცა ეს დააპირა, ილუშამ თამაში არ მოუწონა და გადააფიქრებინა. სნეგიროვი სტუმრებს სხვადასხვა ნუგბარით - ნამცხვრითა და ტკბილეულით, ხილითა და თხილით, ჩაითა და ბუტერბროდით უმასპინძლდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნო, იმ პერიოდში ფული ჰქონდა. ალიოშას თხოვნით, კატერინა ივანოვნას მიერ გამოგზავნილი

ორასი მანეთი აიღო. შემდეგ კი, როცა კატერინა ივანოვნამ დაწვრილებით შეიტყო მათი მდგომარეობისა და ილუშას ავადმყოფობის შესახებ, თავად ეახლა სნეგიროვებს, ოჯახის ყველა წევრი გაიცნო და ისიც კი მოახერხა, მოაჯადოვა ჭკუიდან გადამცდარი დიასახლისი. აქედან მოყოლებული, კატერინა ივანოვნა გულუხვად ეხმარებოდა ამ ოჯახს, შტაბს-კაპიტანი კი იმდენად იყო დაბეჩავებული მოსალოდნელი უბედურებით, შვილის უიმედო მდგომარეობით, რომ მორჩილად იღებდა მოწყალებას. მთელი ამ დროის განმავლობაში, კატერინა ივანოვნას მოწვევით, ექიმი ჰერცენშტუბე მუდმივად და აკურატულად, დღეგამოშვებით დადიოდა ავადმყოფთან და ნაირ-ნაირი წამლებით ჭყიპავდა მას, მაგრამ მის ვიზიტებს არავითარი შედეგი არ მოჰქონდა. სამაგიეროდ, ამ დღეს, ამ კვირა დილას, შტაბს-კაპიტანთან ახალი ექიმის მოლოდინში იყვნენ, რომელიც მოსკოვიდან იყო ჩამოსული და სახელგანთქმულ მკურნალად ითვლებოდა. ის კატერინა ივანოვნამ საგანგებოდ მოიწვია და საკმაოდ დიდ ჰონორარსაც უხდიდა, მაგრამ ილუშას გულისათვის კი არა, სულ სხვა მიზნით, რომლის შესახებაც ქვემოთ, საჭირო ადგილას მოგახსენებთ. ჰოდა, რაკი ექიმი უკვე ჩვენს ქალაქში იმყოფებოდა, კატერინამ გადაწყვიტა, მისთვის ილუშაც ეჩვენებინა. ამის შესახებ შტაბს-კაპიტანი წინასწარ გააფრთხილა. შტაბს-კაპიტანს კრასოტკინის მოსვლის თაობაზე გული არაფერს უთქვამდა, თუმცა დიდი ხანია სურდა, რომ ეს ბიჭუნა, რომლის გულისთვისაც მისი ილუშა ასე იტანჯებოდა, მათთან მისულიყო. როცა კრასოტკინმა კარი შეაღო, შტაბს-კაპიტანი და ბიჭუნები ილუშას საწოლს შემოხვეოდნენ და პატარა, კარგი ჯიშის ლეკვს უყურებდნენ. წინა დღეს დაბადებული ლეკვი იყო, მაგრამ სნეგიროვმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ შეუკვეთა ილუშასათვის. ფიქრობდა - ვინიცობა, ჟუჩკას გაქრობით (შესაძლოა სიკვდილითაც) დადარდიანებული ბავშვი გაერთოს და დაწყნარდესო. ილუშამ ჯერ კიდევ სამი დღით ადრე იცოდა, პატარა ძაღლის ლეკვს რომ აჩუქებდნენ, უბრალოს კი არა, სუფთა სისხლის, ჯიშიანი ძაღლის ლეკვს მოუყვანდნენ (რასაც, აუცილებლად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა) და მამას დელიკატურად თავს აჩვენებდა, რომ დიდად კმაყოფილი იქნებოდა ამ საჩუქრის მიღებით. ყველამ, მამამისმაც და ამხანაგებმაც ნათლად იხილეს, რომ ლეკვის დანახვამ ილუშას მხოლოდ მწარე მოგონებები აღუძრა მის მიერ ნაწამებ ჟუჩკაზე. ლეკვი მის გვერდით იწვა და რაღაცას ფათურობდა. ილუშა საცოდავად იღიმებოდა და გამხდარი, ფერდაკარგული ხელით ეფერებოდა ლეკვს. ეტყობდა, ლეკვი მოსწონდა, მაგრამ... ის ჟუჩკა მაინც არ იყო! აი, ჟუჩკა და ლეკვი ერთდროულად რომ ყოფილიყვნენ, მაშინ იქნებოდა სრული ბედნიერება!

- კრასოტკინი! - იყვირა უცებ ერთ-ერთმა ბიჭუნამ, რომელმაც პირველმა დაინახა ოთახში შემოსული კოლია. ყველა აფორიაქდა, ბიჭებმა გაიწ-გამოიწიეს და საშუალება მისცეს, ილუშას დაენახა ის. შტაბს-კაპიტანი სასწრაფოდ მიეახლა კოლიას.

- მობრძანდით, მობრძანდით... ძვირფასო სტუმარო! - მიეგება ის ლაქარდიანი ენით, - ილუშეჩკა, ბატონი კრასოტკინი მობრძანდა შენთან...

კრასოტკინმა ერთბაშად გამოავლინა ზრდილობის წესების მთელი თავისი ცოდნა. ჯერ სასწრაფოდ ჩამოართვა ხელი მასპინძელს, შემდეგ მიუბრუნდა სავარძელში მჯდარ სნეგიროვის მეუღლეს (რომელიც იმ წუთებში ძალიან უკმაყოფილო იყო, ვინაიდან ბავშვები ჩამოეფარნენ და აღარ აძლევდნენ საშუალებას, ლეკვისთვის ეცქირა) და საგანგებოდ, ფეხის ფეხზე შემოკვრით

მიესალმა, მერმე ნინოჩკასკენ შემობრუნდა და იგივე გაიმეორა. ამ ზრდილობიანმა საქციელმა ავადმყოფ ქალბატონზე არაჩვეულებრივად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.
- როგორ კარგად აღზრდილი ყმაწვილია, - ხმამაღლა აღნიშნა მან და გაკვირვებისაგან ხელები გაშალა, - სხვებს კი არა ჰგავს, ესენი ოთახში ერთმანეთს ასხედან, ისე შემოდიან.
- ეგ როგორ, დედილო, ერთმანეთს როგორ ასხედან? - თუმცა ალერსიანად, მაგრამ მორიდებულად წარმოთქვა კაპიტანმა, ვაითუ „დედილომ“ კიდევ რამე არ წამოროშოსო.
- როგორ და წინკარში ერთი მეორეს შემოაჯდება და კეთილშობილ ოჯახში ასე ამხედრებულები შემოაბოტებენ. ასეთ სტუმრებს რა ვუთხარი!
- ეს ვინ გააკეთა, დედილო, ვისზე ამბობ?
- აი, ეს ბიჭი ამ ბიჭზე ამხედრებული შემოვიდა დღეს ოთახში, აი ის ამაზე...
კოლია უკვე ილუშას საწოლთან იდგა. ავადმყოფი კიდევ უფრო გაფითრდა, საწოლზე წამოიმართა და ახალმოსულს დაჟინებით მიაცქერდა. კოლიას თავისი პატარა მეგობარი უკვე ორი თვე არ ენახა და მის წინ გაოგნებული იდგა: ვერც კი წარმოიდგენდა, ასეთ გამხდარ და გაყვითლებულ სახეს, სიცხისაგან ანთებულ და საშინლად გაფართოებულ თვალებს და გაძვალტყავებულ ხელებს თუ იხილავდა. გაკვირვებული და დამწუხრებული შესცქეროდა ილუშას, რომელიც ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა და გამომშრალი ბაგეები უთრთოდა. კოლია მასთან მივიდა, ხელი გაუწოდა და დაბნეულად თქვა:
- როგორა ხარ... ძველო?
კოლიას რაღაცნაირად ხმა ჩაუწყდა, სითამამემ უღალატა, სახე დაემანჭა და ბაგეებთან რაღაც აუკანკალდა. ილუშამ ავადმყოფურად გაუღიმა, მას ძალა არ ჰყოფნიდა, რამე ეთქვა. კოლიამ მოულოდნელად ხელი ასწია და თავზე გადაუსვა.
- ა-რ-ა მი-შავს! - ჩაიდუდუნა მან, თითქოს გასამხნევებლად, თავადაც არ იცოდა, რატომ თქვა ასე. ერთხანს ორივე დადუმდა.
- ეს რა, ახალი ლეკვი გყავს? - უცებ გრძნობადაცლილი ხმით იკითხა კოლიამ.
- კ-ი-ი-ი! - ჩურჩულით წარმოთქვა ილუშამ, სუნთქვა უჭირდა.
- შავი დრუნჩი აქვს, ავი იქნება, დასაბმელი, - ისე მრავალმნიშვნელოვნად და მტკიცედ განაცხადა კოლიამ, თითქოს ამქვეყნად ამ ძაღლის ლეკვისა და მისი დრუნჩის გარდა სხვა საგულისხმო რამ არაფერი არსებობდა. მთავარი კი ყელში მომდგარი ტირილი იყო, რომლის დაძლევასაც ცდილობდა, რომ „ბალღივით“ არ აბღავლებულიყო, მაგრამ ვერა და ვერ დაეძლია თავი, - გაიზრდება და დაბმა მოგიწევს, ეს ნამდვილად ასე იქნება.
- ვეებერთელა გაიზრდება! - შესძახა ერთ-ერთმა ბიჭუნამ.
- ცნობილია, მედელიანური ძაღლის ჯიში კარგა ზორბა იზრდება, აი, ამხელა, დაახლოებით ხბოს სიმაღლის, - გაისმა ერთდროულად რამდენიმე ხმა.
- ხბოს ხელა, ნამდვილად ხბოს ხელა, ბატონებო, - წამოხტა შტაბს-კაპიტანი, - საგანგებოდ შევარჩიე ასეთი, ყველაზე ავი ჯიშის, მაგის მშობლები ძალიან დიდები და ძალიან ავები არიან. სიმაღლით, აი, ამხელები, იატაკიდან... დაბრძანდით აი აქ, ილუშას საწოლზე, გნებავთ აგერ სკამზე, ძალიან გთხოვთ, ძვირფასო სტუმარო, ნანატრო სტუმარო... ალექსეი ფიოდოროვიჩთან ერთად მობრძანდით?
კრასოტკინი საწოლზე, ილუშას ფეხებთან ჩამოჯდა. ის წინასწარ ემზადებოდა,

თამამად დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ახლა სულ დაიბნა.
- არა... მე პერეზვონთან ერთად მოვედი... პერეზვონი ჩემს ძაღლს ჰქვია. სლავური
სახელია. გარეთ მიცდის... დავუსტვენ და შემოვარდება. მეც ძაღლთან ერთად
ვარ, - მიუბრუნდა იგი ილუშას, - გახსოვს ჟუჩკა, ძველო? - უცებ აჯახა მან.
ილუშას სახე დაეღრიცა, დანაღვლიანდა. კართან მდგარი ალიოშა მოიღუშა და
შეეცადა, კოლიასათვის მალულად ენიშნებინა, რომ ჟუჩკაზე არ ელაპარაკა,
მაგრამ კოლიამ მისი ნიშნები ვერ შეამჩნია.
- სად არის... ჟუჩკა? - იკითხა დამწუხრებულმა ილუშამ.
- ეჰ, ძმობილო, შენი ჟუჩკა ფაფუ! გაქრა!
ილუშა გაჩუმდა და კვლავ დაჟინებული მიაცქერდა კოლიას. ალიოშამ კოლიას
მზერა დაიჭირა, ისევ შეეცადა, ენიშნებინა რამე, მაგრამ მან თვალი მოაშორა,
თითქოს არაფერი დაუნახავს.
- სადღაც გაიქცა და დაიკარგა. ანდა როგორ არ დაიკარგებოდა ამნაირი საუზმის
შემდეგ, - დაუნდობლად გააგრძელა კოლიამ, ამასობაში თავადაც რაღაცნაირად
სუნთქვა შეეკრა, - სამაგიეროდ, მე პერეზვონი მყავს, სლავური სახელი აქვს, შენ
მოგიყვანე...
- არ მინდა! - თქვა ილუშამ.
- არა, არა, აუცილებლად უნდა ნახო... გაერთობი. საგანგებოდ მოგიყვანე..
ისეთივე ბანჯგვლიანია, როგორც ის... ნება მიბოძეთ, ქალბატონო, შემოვიყვანო
აქ ჩემი ძაღლი, - მოულოდნელად მიმართა მან ქალბატონ სნეგიროვას უკვე
რაღაცნაირად გადაჭარბებული მღელვარებით.
- არ მინდა, არა! - სასოწარკვეთილი ხმით იყვირა ილუშამ და წყენით აღევსო
თვალები.
- თქვენ... - უცებ წამოხტა კუთხეში მდგარი ზანდუკიდან შტაბს-კაპიტანი, - თქვენ..
სხვა დროს... - კვლავ ენადაშაქრულმა თქვა შტაბს-კაპიტანმა, მაგრამ კოლიამ
სასწრაფოდ დაჟინებით უბრძანა სმუროვს: „სმუროვ, გააღე კარი!“ - და როგორც
კი მან კარი გააღო, კოლიამ დაუსტვინა. პერეზვონი გიჟივით შემოვარდა ოთახში.
- იხტუნე, პერეზვონ, იმუშავე! იმუშავე! - იღრიალა კოლიამ და თან ფეხზე
წამოდგა. ძაღლი უკანა თათებზე დადგა და ილუშას საწოლის წინ მთელი ტანით
გაიჭიმა. მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ ელოდა: ილუშა შეკრთა, უცებ
ძაღლისკენ გაიწია და გაქვავებული მიაშტერდა.
- ეს ხომ... ჟუჩკაა! - იყვირა მან უცებ ტანჯვისა და ბედნიერებისაგან ჩახლეჩილი
ხმით.
- შენ რა, სხვა გეგონა? - წკრიალა, ბედნიერი ხმით შეჰყვირა კრასოტკინმა,
ძაღლისკენ დაიხარა, ხელი მოჰხვია და ილუშასკენ მისწია.
- შეხე, ძველო, თვალელამა, მარცხენა ყური მოჭრილი აქვს, ზუსტად ის ნიშნები,
როგორადაც შენ ამიწერე. შენი მონაყოლის მიხედვით ვეძებდი! მალე ვიპოვე! ის
ხომ უპატრონო იყო, ქუჩის ძაღლი! - იგი შემობრუნდა და შტაბს-კაპიტანს, მის
მეუღლესა და ალიოშას დაუწყო ახსნა, მერმე ისევ ილუშას მიუბრუნდა, -
ფედოტოვების ეზოს წინ ვნახე, ეტყობა, იქ მიეჩვია, მაგრამ არ აჭმევდნენ,
სოფლიდან გამოქცეული დამშეული ძაღლია... მე მოვნახე... გამოდის, ძველო
მაშინ შენი მიგდებული პური არ გადაყლაპა, თორემ აუცილებლად მოკვდებოდა,
უეჭველად! ეტყობა, გადმოფურთხება მოასწრო, რაკი ცოცხალია. შენ კი ვერ
შეამჩნიე, რომ გადმოაფურთხა. ალბათ გადმოფურთხებისას ნემსი ენაში შეერჭო,
ამიტომაც აწკმუტუნდა და გაიქცა. შენ კი გეგონა, გადაყლაპა. ალბათ ძალიან

წკმუტუნებდა, რადგან ძაღლებს მეტისმეტად ნაზი კანი აქვთ პირის ღრუში... ადამიანზე უფრო ნაზი, ამიტომაც ძალზე მტკივნეული იქნებოდა! - გაჰყვიროდა სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული კოლია.
ილუშა ხმას ვერ იღებდა. იგი კოლიას რაღაცნაირად გადმოკარკლული თვალებით შესცქეროდა, პირდაფჩენილი და ზეწარივით თეთრი. რომ სცოდნოდა კრასოტკინს, როგორი მტანჯველი შთაბეჭდილება შეეძლო მოეხდინა ავადმყოფი ბავშვის ჯანმრთელობაზე მის მიერ მოგონილ ოინს, მაშინ ალბათ არ გააკეთებდა იმას, რაც ჩაიდინა. მაგრამ ოთახში ეს მხოლოდ ალიოშას ესმოდა. რაც შეეხება შტაბს-კაპიტანს, ის ნამდვილ პატარა ბიჭუნად გადაიქცა.
- ჟუჩკა, მაშ, ესაა ჟუჩკა? - ნეტარი ხმით იძახდა ის, - ილუშეჩკა, ეს ხომ ჟუჩკაა, შენი ჟუჩკა! დედილო, ეს ხომ ჟუჩკაა! - იგი თითქმის ტიროდა.
- მე კი, ვერ მივხვდი! - დანანებით წამოიძახა სმუროვმა, - ყოჩაღ, კრასოტკინ, მე ხომ ვამბობდი, კრასოტკინი აუცილებლად იპოვის ჟუჩკას-მეთქი, ხომ იპოვა!
- იპოვა, იპოვა! - მხიარულად შეეხმიანა ვიღაც.
- ყოჩაღ, კრასოტკინ! - გაისმა კიდევ სხვა ხმა.
- ყოჩაღ, ყოჩაღ! - ერთხმად იყვირეს ბიჭებმა და ტაში დასცხეს.
- მოიცათ, მოიცათ, - მთელი ხმით იყვირა კრასოტკინმა, უნდოდა, ყველას ხმა გადაეფარა, - ახლავე მოგითხრობთ, როგორ მოხდა ყველაფერი. მთავარი ისაა, როგორ მოხდა, სხვა არაფერი! როცა ვიპოვე, სახლში წავიყვანე და გადავმალე. ცხრაკლიტულში მყავდა ჩაკეტილი, უკანასკნელ ხანამდე არავის ვაჩვენებდი. ორი კვირის წინ სმუროვმა გაიგო, მაგრამ დავარწმუნე, რომ ეს პერეზვონი იყო. ის ვერ მიხვდა. როცა მეცალა, ჟუჩკას სხვადასახვა ილეთს ვასწავლიდი. თქვენ ხომ ნახეთ, ხომ ნახეთ, რამდენი რამ იცის! ამას იმიტომ ვაკეთებდი, შენთან გაწრთვნილი რომ მომეყვანა და მეთქვა: შეხე, ძველო, როგორი გახდა შენი ჟუჩკა! ერთი ნაჭერი საქონლის ხორცი ხომ არა გაქვთ, ისეთ რამეს განახვებთ, სიცილით დაწყდებით, - პატარა ხორცის ნაგლეჯი, ნუთუ არა გაქვთ?
შტაბს-კაპიტანი გარეთ გავარდა, ქოხის მეპატრონეებთან, სადაც სნეგიროვების სადილი იხარშებოდა. კოლიას კი, ძვირფასი დრო რომ არ დაეკარგა, ხმამაღლა უბრძანა პერეზვონს: „მოკვდი!“ უცებ ძაღლი აწრიალდა, ზურგზე დაწვა და ოთხივე თათით მაღლაამართული გაუნძრევლად გაიტრუნა. ყველა იცინოდა, ილუშა კი კვლავ სიმწრის ღიმილით შესცქეროდა. პერეზვონის „სიკვდილი“ ყველაზე მეტად „დედილოს“ მოეწონა. მან გადაიკისკისა და ძაღლს თითების ტკაცუნით მოხმობა დაუწყო.
- პერეზვონ, პერეზვონ!
- არაფრის გულისათვის არ ადგება, არაფრის დიდებით, - ამაყად იყვირა გამარჯვებულმა კოლიამ, - ყველამ რომ დაუძახოს, არ გაინძრევა. აი, ჩემს დაძახილზე კი მყისვე წამოხტება. - ჰატ, პერეზვონ!
ძაღლი წამოხტა, ახტა, დახტა და სიხარულისაგან აწკმუტუნდა. ამასობაში შტაბს-კაპიტანი შემოვარდა. ხელში მოხარშული საქონლის ხორცის ნაჭერი ეჭირა.
- ცხელი ხომ არ არის? - სხაპასხუპით და საქმიანად იკითხა კოლიამ და ხორცის ნაჭერი გამოართვა, - არა, არ არის ცხელი, თორემ ძაღლებს არ უყვართ ცხელი საჭმელი. ახლა უყურეთ ყველამ. ილუშეჩკა, შეხედე, შეხედე რა, ძველო, რატომ არ უყურებ? მე მისთვის მოვიყვანე, ის კი არ უყურებს!
ახალი ოინი იმაში მდგომარეობდა, რომ უძრავად მდგარ, დრუნჩგამოწეულ ძაღლს კოლიამ ცხვირზე გემრიელი ხორცის ნაჭერი დაუდო. საცოდავი ძაღლი

გაუნძრევლად უნდა მდგარიყო ცხვირზე დადებული გემრიელი ხორცის ნაჭრით მანამ, სანამ პატრონი არ უბრძანებდა, თუნდაც ნახევარი საათის განმავლობაში. მაგრამ ამჟამად პერეზვონი მხოლოდ ერთი წუთი გააჩერეს.
- ეცი! - უყვირა კოლიამ ძაღლს და ხორცის ნაჭერმა უმალ პერეზვონის ცხვირიდან პირში გადაინაცვლა. პუბლიკა, რასაკვირველია, ამ სურათს აღფრთოვანებული შეხვდა.
- ნუთუ ამდენხანს იმიტომ არ მოდიოდით, რომ ძაღლი გაგეჩრთვნათ, ნუთუ ამიტომ! - საყვედურით შესძახა უკმაყოფილო ალიოშამ.
- სწორედაც მაგიტომ, - უბრალოდ უპასუხა კოლიამ. - მე მსურდა იგი მთელი თავისი ეშხით მეჩვენებინა!
- პერეზვონ, პერეზვონ! - გამხდარი თითების ტკაცუნით მოიხმო ილუშამ თავისკენ ძაღლი.
- ეგრე არა! ის შენს ლოგინზე თავად ამოხტება. მიდი, პერეზვონ! - კოლიამ ხელი ილუშას საწოლზე დაატყაპუნა და უცბად პერეზვონი ილუშას საწოლზე აღმოჩნდა. ილუშამ მას ორივე ხელი მოჭხვია, სამაგიეროდ, პერეზვონმა ლოყა გაულოკა. ილუშა მიეხუტა, ლოგინზე გადაწვა და თავი ძაღლის გაბანჯგვლულ ბეწვებში ჩამალა.
- ღმერთო, ღმერთო! - თავისთვის იძახდა შტაბს-კაპიტანი.
კოლია ისევ ილუშას საწოლზე ჩამოჯდა.
- ილუშა, მე შენ კიდევ ერთ რაღაცას გაჩვენებ. ის პატარა ზარბაზანი მოგიტანე. გახსოვს, ჯერ კიდევ ადრე გეუბნებოდი მის შესახებ, შენ კი ინატრე; „ნეტა მანახაო!“ ახლა მოგიტანე.
კოლიამ ბრინჯაოს ზარბაზანი სასწრაფოდ დააძრო ჩანთიდან. იმიტომ ჩქარობდა, რომ თავად ძალიან ბედნიერი იყო. სხვა დროს ცოტას შეიცდიდა, სანამ პერეზვონით გამოწვეული ეფექტი ჩაცხრებოდა, მაგრამ ახლა იჩქარა, აღარ შეეძლო დაყოვნება: „ისედაც ბედნიერებო, ჰა, თქვენ კიდევ ერთი ბედნიერება!“ თვითონაც ძალიან კმაყოფილი იყო.
- ეს ნივთი დიდი ხნის წინ ჩინოვნიკ მოროზოვთან ვიხილე. გავიფიქრე, ამას ილუშასათვის რამეში გადავუცვლი-მეთქი. ის ნივთი მას არ სჭირდებოდა, ძმისაგან დარჩენოდა. ვთხოვე, გადაეცვალა ერთ წიგნში. ეს წიგნი მამაჩემის კოლექციიდან იყო; „მუჰამედის ნათესავი ანუ სამკურნალო პამპულაობა“ - ასეთი სახელწოდება ჰქონდა, ასი წლის წინათაა გამოცემული მოსკოვში, უხამსობაა - ჯერ კიდევ მაშინ გამოიცა, როცა ცენზურა არ არსებობდა. მოროზოვი ამნაირი ლიტერატურის დიდი მოტრფიალეა. მადლობაც კი გადამიხადა...
კოლიას ზარბაზანი ხელში ეჭირა. ყველას შეეძლო, დამტკბარიყო ზარბაზნის ყურებით. ილუშამ წამოიწია, მარჯვენა ხელით ისევ პერეზვონს ეხვეოდა, თან აღტაცებული ათვალიერებდა სათამაშოს. ეფექტმა კულმინაციას მიაღწია, როცა კოლიამ განაცხადა, რომ მას დენთიც აქვს და ახლავე შეუძლია ამ ზარბაზნიდან გასროლა, „თუკი ქალბატონები არ შეწუხდებიანო“. „დედილომ“ დაუყოვნებლივ მოითხოვა, ეჩვენებინათ მისთვის სათამაშო. მოთხოვნა უმალ შეუსრულეს. ბრინჯაოს გორგოლაჭებიანი ზარბაზანი მას ძალიან მოეწონა და კალთაში მისი აქეთ-იქეთ გორება დაიწყო. როდესაც სთხოვეს, ნება მოგვეცით, ზარბაზანი გავისროლოთო, მაშინვე დასთანხმდა, არც კი იცოდა, რას ეკითხებოდნენ. კოლიამ ყველას დაანახა საფანტი და დენთი. შტაბს-კაპიტანმა, როგორც ყოფილმა სამხედრომ, თავის თავზე აიღო მუხტის მომზადება - მხოლოდ მცირე

რაოდენობის დენთი გადმოყარა, საფანტი სხვა დროს გამოვიყენოთო, ასე განაცხადა. ზარბაზანი იატაკზე დადეს, ლულის ტუჩი სიცარიელისაკენ მიმართეს, შტაბს-კაპიტანმა ამნთებში ცოტა დენთი ჩატენა და ცეცხლი მოუკიდა. გაისმა ბრწყინვალე გასროლა. დედილოს ჯერ შეეშინდა, შემდეგ სიცილი ატეხა. ბიჭები აღფრთოვანებულები შესცქეროდნენ, მაგრამ გახარებული ილუშას შემყურე ყველაზე მეტად ნეტარებდა შტაბს-კაპიტანი. კოლიამ ზარბაზანი, დენთი და საფანტი ილუშას გადასცა.
- ეს შენია, დიდი ხანია, შენი სახელი ჰქვია, - კიდევ გაიმეორა ბედნიერებით აღსავსე კოლიამ.
- მე მაჩუქეთ რა! სჯობს მე მაჩუქოთ! - უცებ პატარა ბავშვივით აწრიალდა დედილო. მას სახეზე შიში და შეშფოთება აესახა: ვაითუ, არ მაჩუქონო. კოლია დაიბნა. შტაბს-კაპიტანი აღელდა.
- დედილო, დედილო! - მივარდა იგი მას, - შენია ეს ზარბაზანი, მაგრამ ახლა ცოტა ხანს ილუშას ათხოვე, რადგან ზარბაზანი ილუშას აჩუქეს, ის ხომ ისედაც შენი იქნება. ილუშა ყოველთვის მოგცემს უფლებას, ზარბაზნით ითამაშო, საერთო იქნება, საერთო...
- არა, არ მინდა საერთო, არა! მე მინდა, მარტო მე მეკუთვნოდეს, - აწუწუნდა დედილო და სატირლად მოემზადა.
- დედა, აიღე, აიღე, შენი იყოს! - უცებ იყვირა ილუშამ, - კრასოტკინ, შეიძლება ზარბაზანი დედას ვაჩუქო? - ისე მუდარით მიმართა კოლიას, თითქოს ეშინოდა, არ გამიბრაზდეს, მის ნაჩუქარს სხვას რომ ვჩუქნიო.
- რასაკვირველია, შეიძლება! - მაშინვე დაეთანხმა კოლია, ილუშას ზარბაზანი გამოართვა და მოკრძალებით გადასცა დედილოს. გულაჩუყებული ქალი ატირდა.
- ჩემი ძვირფასი ილუშეჩკა, აი, ვის უყვარს თავისი დედიკო! - შესძახა აცრემლებულმა დედილომ და კალთაში ზარბაზნის აქეთ-იქეთ გორებას შეუდგა.
- დედილო, ხელი მომეცი, მინდა გეამბორო, - ქმარი მივარდა და ხელზე ემთხვია.
- იცით, კიდევ ვინ არის ყველაზე ძვირფასი ყმაწვილი, აი, ეს კეთილი ბიჭია! - თქვა მადლიერმა ქალბატონმა და კრასოტკინზე მიუთითა.
- ილუშა, დენთს, რამდენსაც გინდა, იმდენს მოგიტან. ახლა ჩვენ დენთს თავად ვაკეთებთ ხოლმე. ბოროვიკოვმა იცის შემადგენლობა: ოცდაოთხი წილი გვარჯილა, ათი წილი გოგირდი და ექვსი წილი არყის ხის ნახშირი ერთად უნდა დანაყო, დაასხა წყალი და მიღებული ცომი სადოლე ტყავზე მოზილო, - სულ ეს არის და დენთიც მზადაა.
- სმუროვი მომიყვა თქვენ მიერ დამზადებული დენთის შესახებ, ოღონდ მამამ მითხრა, ეს არ არის ნამდვილი დენთიო, - უთხრა ილუშამ.
- როგორ თუ არ არის? - გაწითლდა კოლია, - კარგად იწვის, თუმცა რა ვიცი...
- არა, არა უშავს, - ანაზდად დამნაშავესავით წამოხტა შტაბს-კაპიტანი, - მართალია, მე ვთქვი, ნამდვილი დენთი ასე არ მზადდება-მეთქი, მაგრამ არა უშავს, შეიძლება ეგეთი შემადგენლობითაც დამზადდეს.
- არ ვიცი, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. ჩვენ პომადის ქვის ქილაში ავანთეთ და კარგად იწვოდა, ბოლომდე დაიწვა, მხოლოდ მცირე ნამწვი დარჩა. ის ხომ რბილი ნარევია, მაგრამ თუ სადოლე ტყავზე მოზელთ... თუმცა თქვენ უკეთ გეცოდინებათ, მე რა ვიცი... ისე კი, ბულკინს ამ დენთის გულისათვის მამამისისგან მაგრად მოხვდა, გაიგე ეს ამბავი? - უცებ კოლია ილუშას მიუბრუნდა.
- კი, მიამბეს, - უპასუხა ილუშამ. ის, დიდად კმაყოფილი, ინტერესით უსმენდა

კოლიას.
- ერთხელ ჩვენ მთელი ერთი ბოთლი დენთი დავამზადეთ, ბულკინი საწოლის ქვეშ მალავდა. როგორღაც მამამისს უნახავს. ხომ შეიძლება აფეთქდესო, უთქვამს და თავის შვილიკო გემოზე მიუტყეპია. უნდოდა, ჩემზე გიმნაზიაში ეჩივლა. ახლა ბულკინს ჩემთან აღარ უშვებენ, აღარც სხვები მეკარებიან. სმუროვსაც აკრძალული აქვს ჩემთან ურთიერთობა. ცნობილი პიროვნება გავხდი, თავზეხელაღებული კაცის სახელი გამივარდა, - ირონიულად ჩაიცინა კოლიამ, - ეს ჯერ კიდევ რკინიგზის ამბავიდან დაიწყო.
- დიახ, ჩვენ გვსმენია ამ პასაჟის შესახებ! - შესძახა შტაბს-კაპიტანმა, - როგორ გაძელით ლიანდაგზე, ნუთუ არ შეგეშინდათ, როცა მატარებელმა გადაგიარათ. გეშინოდათ?
შტაბს-კაპიტანი გულისამრევად ელაქუცებოდა კოლიას.
- ი-სე რა! - არხეინად უპასუხა კოლიამ, - ყველაზე მეტად, მაინც, ჩემი რეპუტაცია იმ დაწყევლილმა ბატმა შელახა, - მიუბრუნდა ისევ ილუშას. თუმცა მოყოლის დროს კოლიას არხეინად ეჭირა თავი, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, ბოლომდე მორეოდა თავს და შიგადაშიგ ხმის ტონალობა უვარდებოდა.
- ხო, ბატის შესახებაც ვიცი! - გაიცინა გაბადრულმა ილუშამ, - მიამბეს, მაგრამ ერთი რამ კარგად ვერ გავიგე, ნუთუ მართლა მოსამართლემ გაგასამართლათ?
- სულელური რამ მოხდა, უმნიშვნელო საკითხს დიდი კუდი გამოაბეს, - რიხიანად დაიწყო კოლიამ, - ერთხელ მოედანზე მოვდივარ და ვხედავ, ბატები მორეკეს. შევჩერდი და ბატებს დავუწყე ყურება. უცებ ერთი აქაური ბიჭი, ვიშნიაკოვი, ახლა პლოტნიკოვებთან ხელზე მოსამსახურედ რომ მუშაობს, მომიახლოვდა და მეუბნება: „რას მიშტერებიხარ მაგ ბატებსო?“ შევხედე, ასე ოცი წლის მაინც იქნება, ნამდვილი რეგვენის გამოხედვა აქვს. მე უბრალო ხალხის წინააღმდეგი არ ვარ, მიყვარს ხალხთან... ჩვენ დავშორდით ხალხს - ეს აქსიომაა, - თქვენ, მგონი გეცინებათ, კარამაზოვ?
- არა, ღმერთმა დამიფაროს, მთელი გულისყურით გისმენთ, - ისე უბრალოდ უპასუხა ალიოშამ, რომ კოლიას ეჭვები გაეფანტა.
- კარამაზოვ, ჩემი თეორია მარტივი და გასაგებია, - სხაპასხუპით გააგრძელა გამხნევებულმა კოლიამ. - მე მჯერა ხალხის, მზად ვარ, ყოველთვის სამართლიანად მოვექცე მათ, მაგრამ არაფრის დიდებით არ შეიძლება მათი განებივრება, es sine qua[116]. თუმცა მე ხომ ბატის ამბავს ვყვებოდი. ჰოდა, მივუბრუნდი იმ რეგვენს და ვუთხარი: „ჩემთვის ვფიქრობ, ნეტა ეს ბატი რას ფიქრობს-მეთქი?“ შემდეგ ვეუბნები: „ხედავ, იმ ქერით სავსე ტომრებით დატვირთულ ურემს. ტომრიდან ქერი იბნევა, ბატს კი კისერი დაუგრძელებია და ბორბლის ქვეშ კენკავს - ხედავ?“ - „კარგად ვხედავო“, - მპასუხობს. „ახლა ჩვენ ეს ურემი რომ ოდნავ წინ დავძრათ, ის ბორბალი ბატს კისერს გადაუჭრის თუ არა?“ - „აუცილებლად გადაუჭრისო“, - თქვა და სიამოვნებისაგან გაიკრიჭა. „მაშ, რაღას უყურებ, წამო“. - „წამო!“ დიდი შრომა არ დაგვჭირვებია: ის ურმის წინ, აღვირის ახლოს დადგა, მე გვერდით, რომ ბატისათვის მიმართულება მიმეცა. ბატის პატრონი ამ დროს ვიღაცასთან ლაპარაკით იყო გართული. მე ბატისთვის ხელიც არ მიხლია, მან ბორბლის ქვეშ დაყრილი ქერისაკენ თავად წაიგრძელა კისერი და კენკვა განაგრძო. მე თვალი ჩავუკარი ყმაწვილს და მანაც აღვირი მოქაჩა. გაისმა ბატის კრიახი, ბორბალმა ბატს კისერზე გადაუარა! ბედი არ გინდა, იქ დამსწრე გლეხებმა დაგვინახეს და ერთი დავიდარაბა ატყდა: „განგებ გააკეთეთ!“ - „არა,

განგებ არ გაგვიკეთებია!“ - „არა, განგებ!“ - ყაყანებდნენ ისინი და ბოლოს გადაწყვიტეს: „მომრიგებელ მოსამართლესთან წავიდეთო!“ მეც მტაცეს ხელი: „შენც აქ იყავი და ხელს უწყობდი, ამ ბაზარში ყველა გიცნობს, ვინცა ხარო!“ მართლაცდა, ამ ბაზარში ყველა მიცნობდა, - ამაყად დაუმატა კოლიამ. - წაგვიყვანეს მოსამართლესთან, თან მოაქვთ ბატი. ვხედავ, რომ ჩემი თანამზრახველი ყმაწვილი ძალიან შეშინდა და აღრიალდა - როგორც დედაკაცი, ისე ტიროდა. ბატის პატრონი კი გაჰყვიროდა: „ასე ხომ შეიძლება ყველა ბატი გაჟლიტოო!“ ცხადია, მოწმეებიც გამოჩნდნენ. მომრიგებელმა მოსამართლემ გადაწყვეტილება უცებ მიიღო: დამნაშავემ ბატის პატრონს ერთი მანეთი გადაუხადოს, ხოლო ბატი თან წაიღოს. მომავალში კი ასეთი ხუმრობა აღარ გაბედოთო. ის ყმაწვილი დედაკაცივით მოთქვამდა: „მე არაფერ შუაში ვარ, ამან წამაქეზაო,“ და ხელს მე მადებდა. მე კი ცივად განვაცხადე: მე კი არ წავაქეზე, მხოლოდ ჩემი აზრი გამოვთქვი, ჩემი ვარაუდი-მეთქი. მოსამართლე ნეფედოვს გაეცინა, მაგრამ მერე უცებ საკუთარ თავზე გაბრაზდა და მითხრა: „ახლავე თქვენი სკოლის უფროსობას შევატყობინებ, შემდგომში ასეთი ვარაუდები რომ აღარ გაგიჩნდეთ და უფრო მეტი დრო გაკვეთილების მომზადებასა და წიგნების კითხვას მოანდომოთო.“ ამ ხუმრობის თაობაზე მას სკოლისათვის არ შეუტყობინებია, მაგრამ ამბავი ძალიან გახმაურდა და სკოლის უფროსობის ყურამდეც მიაღწია. ჩვენთან ხომ ვერავის ვერაფერს გამოაპარებ! ყველაზე მეტად აღშფოთდა კლასიკური ლიტერატურის მასწავლებელი, კოლბასნიკოვი, დარდანელოვმა კი ისევ დამიცვა. ეს კოლბასნიკოვი ყველაზე ბოღმა ვინმეა. ილუშა, შენ ხომ გაიგე კოლბასნიკოვის ცოლის შერთვის ამბავი, მიხაილოვების ქალი მოიყვანა, ერთი მაჯლაჯუნა რამ, სამაგიეროდ, მზითვად ათასი მანეთი მიიღო. მესამეკლასელებმა ეპიგრამაც კი მოუგონეს:

მესამეკლასელებს გვაკვირვებს ერთად,
ბინძური კოლბასნიკოვის ცოლის შერთვა.

გაგრძელება კიდევ უფრო სასაცილოა. მერე მოგიტან მთლიანად. დარდანელოვზე ცუდს არაფერს ვიტყვი: იგი განათლებული და მცოდნე პიროვნებაა. ასეთ ხალხს პატივს ვცემ, იმიტომ კი არა, რომ მე დამიცვა...

- მიუხედავად იმისა, რომ შენთან ჩაიჭრა ტროას დამაარსებლის თაობაზე! - ლაპარაკში ჩაერთო სმუროვი, რომელსაც ეტყობოდა, ამ წუთებში კრასოტკინით ამაყობდა. მას ბატის ამბავიც ძალიან მოეწონა.

- ნუთუ მართლა ჩაიჭრა? - ლაქუცით ჰკითხა შტაბს-კაპიტანმა. - არ იცოდა ტროას დამაარსებელი? ჩვენ ამის შესახებ გვსმენია, რომ ჩაჭერით, მაშინ ილუშეჩკამ ყველაფერი მიამბო...

- მაგან ყველაფერი იცის, მამა, ჩვეს შორის ყველაზე მცოდნე ეგ არის! - თქვა ილუშეჩკამ, - თავს იკატუნებს, თორემ ჩვენთან პირველი მოსწავლეა, ყველა საგანში...

უსაზღვროდ ბედნიერი ილუშა თვალებში შესციცინებდა კოლიას.

- ტროას შესახებ ყველაფერი სისულელე იყო, წვრილმანი, მე თავად ამ საკითხს არაფრად ვთვლი, - ამაყი თავმდაბლობით განაცხადა კოლიამ. მას ხმა უკვე დაწმენდილი ჰქონდა, თუმცა მაინც ღელავდა: გრძნობდა, ძალზე აღგზნებული რომ იყო. ბატის შესახებ ამბავი გადაჭარბებული გულახდილობით მოყვა, ალიოშა მთელი ამ თხრობის განმავლობაში დუმდა და სერიოზულად უსმენდა. თავზეშეყვარებულ ბიჭუნას გულმა რეჩხი უყო: „ნუთუ იმიტომ დუმს, რომ

ვეჯავრები. ფიქრობს, მე მის შექებას ველი? თუ ასე ფიქრობს, მაშინ მე...“
- მე ეს საკითხი ძალიან უბრალო რამედ მიმაჩნია, - კიდევ ერთხელ ამაყად გაიმეორა კოლიამ.
- მე ვიცი, ვინ დააარსა ტროა, - სავსებით მოულოდნელად განაცხადა ძალიან კარგი შესახედაობის, მორცხვმა და გაუბედავმა თერთმეტი წლის ბიჭუნამ, გვარად კარტაშოვმა, რომელსაც აქამდე კრინტი არ დაუძრავს. ის კართან ახლოს იჯდა. გაკვირებულმა კოლიამ მედიდურად გადახედა მას. საქმე ის იყო, რომ კითხვა „ვინ დააარსა ტროა?“ ყველა კლასში იდუმალებით მოცულად ითვლებოდა. ის რომ გცოდნოდა, ამისათვის სმარაგდოვი უნდა წაგეკითხა. მაგრამ სმარაგდოვი კოლიას გარდა არავის ჰქონდა. ერთხელ კარტაშოვმა, კოლიასთან სტუმრობის დროს, როცა კოლია მიბრუნდა, უჩუმრად გამოაძრო კოლიას წიგნებიდან სმარაგდოვი, გაშალა და სწორედ ის ადგილი შეხვდა, სადაც ტროას დამაარსებლების შესახებ ეწერა. ეს დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ კარტაშოვს ერიდებოდა სახალხოდ განეცხადებინა, ვინ იყვნენ ტროას დამაარსებლები, ეშინოდა, კოლიას დასაცინი არ გამხდარიყო. ახლა რატომღაც თავი ვერ შეიკავა და თქვა. ისედაც დიდი ხანია, აპირებდა თქმას.
- ვინ დააარსა? - ზვიადად გადმოხედა მას კოლიამ, რომელმაც კარტაშოვს შეატყო, რომ მართლა იცოდა და მოსალოდნელი შედეგისათვის მოემზადა. საერთო განწყობილებაში ბზარი გაჩნდა.
- ტროა დააარსეს ტევკროსმა, დარდანოსმა, ილოსმა და ტროსმა, - უცებ ჩამოაწიკწიკა და სახე გაუჭარხლდა, ისე გაწითლდა, რომ შეგეცოდებოდა. ერთხანს ბიჭები კარტაშოვს მიაშტერდნენ, შემდეგ მზერა ყველამ კოლიაზე გადაიტანა. ის ირონიულად უყურებდა ამ თავხედ ბიჭუნას.
- ეგ როგორ, ყველამ ერთად დააარსა? - როგორც იქნა, პატივი დასდო და თქვა კოლიამ, - ან საერთოდ რას ნიშნავს ქალაქის ან სახელმწიფოს დაარსება? მივიდნენ და ყველამ თითო აგური დადო?
გაისმა სიცილი. დამნაშავე ბიჭუნა უფრო გაწითლდა. ის დუმდა, ცოტაც და ტირილს დაიწყებდა. კოლიაც ერთ ხანს გამომწვევად გაჩუმდა.
- ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიცაა ერის ჩამოყალიბება, რომ განმარტო, პირველ რიგში, უნდა იცოდე, რა რას ნიშნავს, - მკაცრი ტონით არიგებდა კოლია კარტაშოვს. - მე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ამ დედაკაცურ ჭორებს, საერთოდ, მსოფლიო ისტორიას მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ, - უბოდიშოდ დასძინა მან, ახლა უკვე ყველას მიმართავდა.
- მსოფლიო ისტორიას? - რაღაცნაირი შიშით იკითხა შტაბს-კაპიტანმა.
- დიახ, მსოფლიო ისტორიას. ესაა ადამიანური სიბრიყვეების შემსწავლელი მეცნიერება, მეტი არაფერი. მე მხოლოდ მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას ვცემ პატივს, - წაიტრაბახა კოლიამ და თვალი ალიოშასაკენ გააპარა: მას აქ მყოფთა შორის მხოლოდ ალიოშას შიში ჰქონდა, რას გაიფიქრებდა ის. ალიოშა ჩუმად იყო და ისევ სერიოზულად ეჭირა თავი. ალიოშას ახლა რამე რომ ეთქვა, ამით ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. მისი ასეთი დუმილი, შესაძლოა, ზიზღსაც კი გამოხატავსო, გაიფიქრა კოლიამ და უარესად გაღიზიანდა.
- ახლა ეს კლასიკური ენები; სიგიჟეა და მეტი არაფერი... თქვენ, მგონი, კვლავ არ მეთანხმებით, კარამაზოვ?
- არ გეთანხმებით, - თავშეკავებული ღიმილით უპასუხა ალიოშამ.

- მე რომ მკითხოთ, სკოლებში კლასიკური ენების სწავლება პოლიციური სასჯელია, ამისთვისაა შემოღებული, - კოლია კვლავ აღელდა და თანდათან ისევ სუნთქვა ეკვროდა, - მოსაწყენია და იმიტომაა შემოღებული, რომ ბავშვები გამოათაყვანონ. იყო მოწყენილობა და იფიქრეს, რა გაეკეთებინათ ისეთი, რომ უფრო მეტი მოწყენილობა გამეფებულიყო. იყო უაზრობა და იფიქრეს, რა გაეკეთებინათ ისეთი, რომ უფრო მეტი უაზრობა გაბატონებულიყო? ჰოდა, ადგნენ და მოიგონეს კლასიკური ენები. აი, ასეთი აზრი მაქვს მათზე და, იმედია, არასოდეს შევიცვლი, - უკმეხად დაამთავრა კოლიამ. ორივე ღაწვზე წითელი ლაქები გაუჩნდა.
- ეს მართლა ასეა, - წკრიალა ხმით დაეთანხმა სმუროვი, რომელიც გულმოდგინედ უსმენდა კოლიას.
- თავად კი პირველი მოსწავლეა ლათინურში! - უცებ წამოიყვირა ერთმა ბიჭმა.
- დიახ, მამა, ეგ ახლა ლაპარაკობს ასე, კლასში კი მაგაზე უკეთესად ლათინური არავინ იცის, - დაადასტურა ილუშამ.
- მერე რა მოხდა? - კოლიამ ჩათვალა, რომ თავი უნდა დაეცვა, თუმცა ქებაც ძალიან ესიამოვნა. - ლათინურს ვიზუთხავ, ვინაიდან დედას დავპირდი, კურსს დავამთავრებ-მეთქი. ჩემი აზრით, რასაც ხელს მოკიდებ, ყველაფერი კარგად უნდა აკეთო, მაგრამ კლასიციზმი და ყველაფერი ეს საძაგლობა ძალიან მეჯავრება... არ მეთანხმებით, კარამაზოვ?
- რატომაა „საძაგლობა“? - ისევ გაეცინა ალიოშას.
- რატომ და ყველა კლასიკოსი მსოფლიოს ყველა ენაზეა თარგმნილი, გამოდის, კლასიკოსების შესასწავლად კი არ არის შემოღებული ლათინური, არამედ პოლიციური სასჯელისათვის და ბავშვების გამოსათაყვანებლად. განა ეს საძაგლობა არ არის?!
- ვინ გაგანათლათ ამ საკითხებში? - შესძახა გაკვირვებულმა ალიოშამ.
- ჯერ ერთი, მე თავად გამეგება რაღაც-რაღაცები, სხვისი განათლების გარეშეც, მეორეც, რომ იცოდეთ, მესამეკლასელებს ზუსტად ამას გვეუბნებოდა მასწავლებელი კოლბასნიკოვი...
- ექიმი მოვიდა! - შესძახა აქამდე ჩუმად მყოფმა ნინოჩკამ.
მართლაც, ეზოს ჭიშკართან ქალბატონ ხოხლაკოვას კარეტა გაჩერდა. შტაბს-კაპიტანი დილიდან ელოდა ექიმს და თავქუდმოგლეჯილი გავარდა სტუმრის შესახვედრად. დედილომ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. ალიოშა ილუშასთან მივიდა და სასთუმალი გაუსწორა. ნინოჩკა შეწუხებული ადევნებდა თვალს, როგორ უსწორებდა ალიოშა ილუშას ლოგინს. ბიჭები სასწრაფოდ გამოეთხოვნენ ილუშას, ზოგიერთი დაჰპირდა, რომ საღამოსაც მოინახულებდა. კოლიამ პერეზვონი იხმო და ისიც ჩამოხტა საწოლიდან.
- მე ჯერ არ წავალ, აქ ვიქნები! - საჩქაროდ ჩაულაპარაკა ილუშას კოლიამ, - წინკარში მოვიცდი. როგორც კი ექიმი წავა, ისევ შემოვალ, პერეზვონსაც შემოვიყვან.
ამასობაში ექიმიც შემოვიდა - დათვის ქურქით შემოსილი მედიდური შესახედაობის კაცი, გრძელი, მუქი ბაკენბარდებით და გაპრიალებული ნიკაპით. როცა ზღურბლს გადმოაბიჯა, შეჩერდა, თითქოს დაეჭვდა: იქ მოვხვდი თუ არაო. „რა არის ეს? სად ვარ?“ - ჩაიბურტყუნა მან და არც დაუპირებია ქურქის გახდა და ზღვის კატის ბეწვის ქუდის თავიდან მოხდა. აქ თავმოყრილმა ბრბომ, სიღარიბემ, თოკზე ჩამოკიდებულმა სარეცხმა დააბნია იგი. შტაბს-კაპიტანი საცოდავად

ქედდახრილი შეეგება.
- თქვენ აქ მობრძანდით, ბატონო, პატივი დაგვდეთ, - ელაქუცებოდა ექიმს, - თქვენ ჩემთან ხართ, ბატონო, ჩემთან...
- სნე-გი-რო-ვი? - ხმამაღლა და მედიდურად ჩამარცვლა ექიმმა, - ბატონი სნეგიროვი თქვენ ბრძანდებით?
- დიახ, ბატონო!
- გასაგებია!
ექიმმა კვლავ ზიზღით მოავლო თვალი ოთახს და ქურქი მხრებიდან გადაიგდო. ყველას თვალში ეცა მის კისერზე ჩამოკიდებული ორდენი. შტაბს-კაპიტანმა ჰაერში დაიჭირა ქურქი. ექიმმა ქუდის მოხდაც ინება.
- სად არის პაციენტი? - ხმამაღლა და დაბეჯითებით იკითხა მან.

VI ნაადრევი განვითარება

- როგორ ფიქრობთ, რას იტყვის ექიმი? - სულმოუთქმელად ჩაილაპარაკა კოლიამ,
- ისე კი, რა საზიზღარი სიფათი ჰქონდა, არა? ჭირივით მეზიზღება მედიცინა!
- ილუშა დიდხანს ვერ გაატანს. მე მგონი, ეს გარდაუვალია, - სევდანარევი ხმით უპასუხა ალიოშამ.
- თაღლითები, მედიცინა თაღლითობაა და მეტი არაფერი! მე მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, კარამაზოვ. დიდი ხანია, მინდოდა თქვენი გაცნობა. დასანანია, ასეთ სამწუხარო სიტუაციაში რომ გავიცანით ერთმანეთი...
კოლიას კიდევ უნდოდა ეთქვა უფრო გულმხურვალე და ექსპანსიური რამეები, მაგრამ თითქოს რაღაც თრგუნავდა. ალიოშამ ეს შეამჩნია, გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.
- მე თქვენში კარგა ხანია ვხედავ იშვიათ არსებას, - ჩაიბურტყუნა კოლიამ, მას შიგადაშიგ სიტყვა უწყდებოდა და ენა ებმოდა. - გაგონილი მქონდა, მისტიკოსი რომ იყავით და მონასტერში მორჩილად იდექით. ვიცი, მისტიკოსი ხართ, მაგრამ... ამან ხელი არ შემიშალა. სინამდვილესთან შეხება განგკურნავთ... თქვენნაირ ნატურებს სხვაგვარად არ მოსდით.
- რას ეძახით მისტიკოსს? რისგან უნდა განვიკურნო? - ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ალიოშას.
- ღმერთი და მისთანანი.
- როგორ, თქვენ ღმერთი არა გწამთ?
- პირიქით, ღმერთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. რასაკვირველია, ღმერთი მხოლოდ ჰიპოთეზაა... მაგრამ... ვაღიარებ, რომ იგი წესრიგისათვის საჭიროა... მსოფლიო წესრიგისათვის... ღმერთი რომ არ ყოფილიყო, აუცილებელი იყო მისი შექმნა[117], - დასძინა კოლიამ, და გაწითლდა. მან უცებ წარმოიდგინა: ახლა ალბათ ალიოშა ფიქრობს, კოლიას მთელი თავისი ცოდნა-განათლების გამომჟღავნება სურს და უნდა მაჩვენოს, როგორი „დიდი“ ვინმეაო. „მე კი სულაც არ მინდა, წარმოვაჩინო ჩემი ცოდნა“, - უკმაყოფილოდ გაიფიქრა კოლიამ და ანაზდად ხასიათი წაუხდა.
- გამოგიტყდებით, არ მიყვარს ამ საკითხზე დავა, - გააგრძელა მან, - ხომ

შეიძლება ღმერთი არ გწამდეს და კაცობრიობა გიყვარდეს, თქვენ როგორ ფიქრობთ? ვოლტერს ღმერთი არ სწამდა, მაგრამ კაცობრიობა უყვარდა? („ისევ, ისევ!“ - გაიფიქრა თავისთვის).
- ვოლტერს ღმერთი სწამდა, მაგრამ, მე მგონი, არასაკმარისად, ასევე მგონია, მაინცდამაინც დიდად არც კაცობრიობა უყვარდა, - დინჯად, აღუშფოთებლად და სავსებით ბუნებრივად წარმოთქვა ალიოშამ, თითქოს თავის თანატოლს ან წლებით უფროსს ელაპარაკებოდა. კოლია გააოცა ალიოშას საკუთარ თავში დაურწმუნებლობამ ვოლტერთან დაკავშირებით, თითქოს ის პატარა კოლიას აძლევდა უფლებას, გადაეწყვიტა ეს საკითხი.
- ნუთუ თქვენ წაიკითხეთ ვოლტერი? - ჰკითხა ალიოშამ.
- არა, თითქმის, არა... თუმცა „კანდიდი“ წაკითხული მაქვს, რუსულ თარგმანში.. ძველი, ჩიქორთული თარგმანი იყო, სასაცილო რამ... (ისევ, ისევ!)
- ყველაფერი გაიგეთ?
- დიახ, ყველაფერი... უფრო სწორად... რატომ გგონიათ, რომ ვერ გავიგებდი? იქ რასაკვირველია, ბევრი უწმაწურობაა... ისიც ცხადია, მესმის, რომ რომანი ფილოსოფიურია და იდეის გასატარებლად არის გამიზნული... - თქვა უკვე საბოლოოდ დაბნეულმა კოლიამ, - მე სოციალისტი ვარ, კარამაზოვ. გამოუსწორებელი სოციალისტი, - უცებ არც აცივა, არც აცხელა და მიახალა კოლიამ.
- სოციალისტი? - გაეცინა ალიოშას, - როდის მოასწარით? თქვენ ხომ მხოლოდ ცამეტი წლისა ხართ, არა?
კოლიამ კოპები შეკრა.
- ჯერ ერთი ცამეტის კი არა, თოთხმეტი წლისა ვარ, ორი კვირის შემდეგ შემისრულდება, - გაცხარდა ის, - მეორეც, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს ასაკს? მთავარია ჩემი მრწამსი და არა ის, რამდენი წლის ვარ, ასე არ არის?
- როცა წლები მოგემატებათ, თავად მიხვდებით, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის მრწამსზე ასაკი. მე ისე მომეჩვენა, თითქოს თქვენ საკუთარ აზრებს არ ლაპარაკობთ. - უბრალოდ და მშვიდად უპასუხა ალიოშამ, მაგრამ აღელვებულმა კოლიამ შეაწყვეტინა.
- მომიტევეთ, თქვენ გნებავთ მორჩილება და მისტიციზმი, კი ბატონო. იმაში მაინც დამეთანხმეთ, ქრისტიანულმა რწმენამ მხოლოდ მდიდრებსა და წარჩინებულებს რომ გაუწია სამსახური დაბალი ფენების დასამონებლად. განა სწორს არ ვამბობ?
- ახლა ვხვდები, სად ამოიკითხეთ ეს. გარდა ამისა, აუცილებლად ვიღაცამ დაგმოძღვრათ! - შესძახა ალიოშამ.
- როგორ გეკადრებათ, რატომ უნდა წამეკითხა აუცილებლად? არც არავის დავუმოძღვრივარ. მე თავადაც შემიძლია... თუ გაინტერესებთ, მე ქრისტეს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ის ნამდვილად ჰუმანური პიროვნება გახლდათ და ჩვენს დროში რომ ეცხოვრა, რევოლუციონერებს მიემხრობოდა, შესაძლოა, მათ შორის მნიშვნელოვანი როლიც ეთამაშა... აუცილებლად ასე იქნებოდა.
- ვინ გაგანათლათ ასე? რომელ ბრიყვს გადაეყარეთ? - შესძახა ალიოშამ.
- მომიტევეთ, ძნელია სიმართლის დამალვა. მე ერთი რამის გამო ხშირად მიწევს ბატონ რაკიტინთან საუბარი, მაგრამ... ამბობენ, ამას მხცოვანი ბელინსკიც ლაპარაკობდაო.
- ბელინსკი? რაღაც არ მახსოვს. ეს მას არსად უწერია.
- შეიძლება არ უწერია, მაგრამ, ამბობენ, თქვაო, მე ერთმა ვინმემ მითხრა... თუმცა

ეშმაკსაც...
- საერთოდ ბელინსკი წაკითხული გაქვთ?
- არა... არა... არაფერი წამიკითხავს, მაგრამ... ის ადგილი ტატიანას შესახებ, თ
რატომ არ გაჰყვა ის ონეგინს[118], წავიკითხე.
- რატომ არ გაჰყვა ონეგინს? ნუთუ თქვენ ეს... გესმით?
- უკაცრავად, თქვენ მე ბიჭუნა სმუროვი ხომ არ გგონივართ, - დაიჭყანა
გაღიზიანებული კოლია, - თუმცა, არ გეგონოთ, თითქოს მე დიდი
რევოლუციონერი ვიყო. ხშირად არ ვეთანხმები ხოლმე ბატონ რაკიტინს. რაც
შეეხება ტატიანას, მე არც ქალების ემანსიპაციის მომხრე ვარ. მე ვაღიარებ, რომ
დედაკაცი სხვაზე დამოკიდებული არსებაა და უნდა მორჩილი იყოს. es femmes
fricottent[119], როგორც ნაპოლეონი ამბობდა, - ჩაეცინა რატომღაც კოლიას, - ამაში
მაინც ვეთანხმები ამ ფსევდოდიადი კაცის მოსაზრებას. კიდევ ვფიქრობ, რომ
სამშობლოდან ამერიკაში გაქცევა უსინდისობაა, უსინდისობაზე უარესი -
სისულელე. რატომ უნდა წახვიდე კაცი ამერიკაში, როცა აქაც შეიძლება
სარგებლობა მოუტანო კაცობრიობას? სწორედ ახლა. უამრავ დარგში შეიძლება
ნაყოფიერი მოღვაწეობა. ასე ვუპასუხე.
- რას ნიშნავს, უპასუხეთ? თქვენ რა, ვინმე გიწვევდათ ამერიკაში წასასვლელად?
- ვაღიარებ, უნდოდათ ჩემო დაყოლიება, მაგრამ უარი ვთქვი. ეს, ცხადია, ჩვენ
შორის უნდა დარჩეს, კარამაზოვ, იცოდეთ, არავის უთხრათ. მე მხოლოდ თქვენ
გაგიმხილეთ. სულაც არ მინდა მესამე განყოფილების ხელში ჩავარდნა და ჯაჭვის
ხიდთან გაკვეთილების მიღება.
მუდამ გემახსოვრება
სახლი ჯაჭვის ხიდთან![120]
გახსოვთ! შესანიშნავია! რატომ გეცინებათ? ხომ არ გგონიათ, ვცრუობ? („ვაითუ,
გაიგო, მამაჩემის კარადაში „კოლოკოლის“[121] მხოლოდ ერთი ნომერი რომ
გვაქვს და მეტი არაფერი, არაფერი წამიკითხავს?“ - ანაზდად შიშით გაუელვა
კოლიას თავში)
- არა, არ მეცინება და არც მგონია, რომ ცრუობთ. საქმეც ის არის, ამას არ
ვფიქრობ, ვაი რომ, ყოველივე ეს წმინდა წყლის სიმართლეა! ერთი ეს მითხარით,
პუშკინი თუ წაგიკითხავთ, „ონეგინი“ მაინც... სულ ახლახან ტატიანაზე
ლაპარაკობდით?
- არა, ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ მინდა წავიკითხო. მე სულაც არ ვარ
ჩამორჩენილი აზრების კაცი, კარამაზოვ. ყოველთვის მაქვს სურვილი, მოვუსმინო
როგორც ერთ მხარეს, ისე მეორეს. რატომ მკითხეთ?
- ისე.
- მითხარით, კარამაზოვ, ძალიან გძულვართ? - უცებ წამოროშა კოლიამ და
ალიოშას წინ გაეჭიმა, თითქოს პოზიცია დაიკავა, - პირში მითხარით, ყოველგვარი
მიკიბ-მოკიბვის გარეშე.
- მძულხართ? თქვენ? - ალიოშამ გაკვირვებულმა შეხედა. - რატომ? მე მხოლოდ ის
მწყინს, თქვენნაირ მშვენიერ ნატურას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყია
ცხოვრება, გონება ასეთი სისულელეებით რომ აქვს დანაგვიანებული.
- ჩემი ნატურა ნუ შეგაწუხებთ, - შეაწყვეტინა უკმაყოფილო კოლიამ. - მე რომ
ეჭვიანი ვარ, ამას წყალი არ გაუვა, სიბრიყვემდე ეჭვიანი, საზიზღარი ეჭვიანი.
თქვენ რომ ამას წინათ გაიცინეთ, მომეჩვენა, თითქოს...
- არა, მე სხვა რამეზე გამეცინა. იცით, რაზე: ამას წინათ წავიკითხე ერთი უცხოელი

გერმანელის აზრი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის შესახებ: „ანახეთ რუს მოსწავლეს ვარსკვლავეთის რუკა, რომელზეც მას ადრე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და ხვალ იგი მას შესწორებულს დაგიბრუნებთ“. არავითარი ცოდნა და საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა - აი, რა უნდოდა ეთქვა გერმანელს რუს მოსწავლეებზე.

- ვახ, ეს ხომ ნაღდად ასეა! - გადაიხარხარა ანაზდად კოლიამ, - „სწორისიმო“, წყალი არ გაუვა! ბრავო, გერმანელს! მაგრამ ჩუხნამ[122] არ გაითვალისწინა კარგი მხარე, ჰა, თქვენ როგორ ფიქრობთ? საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა ახალგაზრდობით მოსდით, თუ საჭირო იქნება, მისი გამოსწორება შეიძლება, მაგრამ, სამაგიეროდ, ბავშვობიდანვე დამოუკიდებელი სული, თამამი აზროვნება და მრწამსი, ნაცვლად ავტორიტეტებისადმი კოლბასნიკოვური მონური თაყვანისცემისა - განა ეს ცუდი რამეა?! მაგრამ გერმანელს მაინც კარგად შეუნიშნავს! ბრავო, გერმანელს! თუმცა გერმანელები უნდა მოვახრჩოთ. დაე, ისინი ძლიერები იყვნენ მეცნიერებაში, მაინც უნდა მოვახრჩოთ...

- რატომ უნდა მოვახრჩოთ? - გაეღიმა ალიოშას.

- კარგით, რაღაც სისულელე წამოვროშე, გეთანხმებით. ხანდახან აუტანელი ბავშვი ვარ. როცა რამე მახარებს, თავს ვერ ვიკავებ და ათასნაირ სისულელეს ვჩმახავ ხოლმე. ჩვენ აქ რაღაც წვრილმანებზე ვლაყბობთ, იქ კი ექიმი რაღაც დიდხანს შეყოვნდა. თუმცა არაა გამორიცხული, „დედილოსა“ და კუტ ნინოჩკასაც რომ სინჯავდეს. მე ნინოჩკა მომწონს. გამოსვლისას ყურში ჩამჩურჩულა: „რატომ აქამდე არ მოდიოდით ჩვენთანო?“ საყვედურით აღსავსე ხმით. ასე მგონია, იგი ძალიან კეთილი და ძალიან საცოდავი ადამიანია.

- დიახ, დიახ, თქვენ ამიერიდან აქ ხშირად ივლით და თავად გაიცნობთ როგორი არსებაა იგი. თქვენთვის აუცილებელია იცნობდეთ ასეთ არსებებს, რომ შემდგომში შეძლოთ, დააფასოთ ბევრი სხვა რამ, რასაც ამნაირ არსებებთან ურთიერთობით შეიტყობთ, - შენიშნა აღელვებულმა ალიოშამ, - ეს საუკეთესო საშუალება იქნება თქვენს გარდასაქმნელად.

- ჰოი, როგორ ვნანობ, აქამდე რომ არ მოვედი! - დანანებით აღმოხდა კოლიას.

- სამწუხაროა! თავად ნახეთ, როგორი სიხარული მიანიჭეთ საცოდავ ბიჭუნას! ის ძალიან იტანჯებოდა თქვენს მოლოდინში!

- ნუ მეუბნებით! გული მიკვდება. თუმცა, ახია ჩემზე! არ მოვდიოდი ჩემი ეგოისტური თავმოყვარეობისა და აუტანელი თავგასულობის გამო, რომლისაგანაც მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში თავი ვერ დამიღწევია, თუმცა გამუდმებით ვებრძვი. მე ახლა კარგად ვხედავ, რომ დიდი უსინდისო ვინმე ვარ, კარამაზოვ!

- არა, თქვენ კარგი ბიჭი ხართ, თუმცა ცოტა გაუკუღმართებული აზროვნება გაქვთ. ახლა კარგად მესმის, რატომ გქონდათ ასეთი გავლენა ამ კეთილშობილ და ავადმყოფურად მგრძნობიარე ბიჭზე! - უპასუხა აღგზნებულმა ალიოშამ.

- ამას ჩემზე ამბობთ? - იყვირა კოლიამ, - მე სულელს კი მეგონა, რამდენჯერმე გამიელვა თავში, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომ თქვენ გძულდით! რომ იცოდეთ, როგორ ვაფასებ თქვენს აზრს!

- ნუთუ მართლა ასეთი ეჭვიანი ხართ? ასეთ ასაკში! როცა იქ, ოთახში გისმენდით, ჯერ კიდევ მაშინ გავიფიქრე, როგორი ეჭვიანია-მეთქი.

- გაიფიქრეთ? როგორი ყოვლისმხილველი თვალი გაქვთ, თქვენ დაინახეთ, ყველაფერი დაინახეთ! ნიძლავს ვდებ, ეს მაშინ მოხდა, როცა ბატზე ვყვებოდი.

სწორედ მაშინ მომეჩვენა, თითქოს მე თქვენ უსაზღვროდ გძულდით, ვინაიდან თავს ვიწონებდი, ამიტომაც მეც შემჯავრდით და სისულელეების ჩმახვა დავიწყე. მეორედ მომეჩვენა მაშინ, როცა გითხარით: „რომ არ ყოფილიყო ღმერთი, აუცილებელი იქმნებოდა მისი შექმნა-მეთქი“, გავიფიქრე, ძალიან ხომ არ ვიჩქარე ჩემი განათლებულობის წარმოჩენა, მით უმეტეს, ეს ფრაზა წიგნიდან ამოკითხული მაქვს-მეთქი. მაგრამ გეფიცებით, თავის მოწონება ამპარტავნობის გამო კი არ მსურდა, არამედ ისე, თავადაც არ ვიცი, რატომ. ალბათ სიხარულისაგან, ღმერთმანი, სიხარულის გამო იქნებოდა... თუმცა ეგეც სამარცხვინო მაჩვენებელია, როცა კაცი თავისი სიხარულით ყველას თავს აბეზრებს. ეს კარგად მესმის. მაგრამ ახლა დავრწმუნდი, თქვენ არ გძულვართ და ყველაფერი მომეჩვენა. იცით, კარამაზოვ, მე ძალიან უბედური ვარ. ხანდახან ისეთ სისულელეებზე ვფიქრობ, ღმერთმა იცის, რაზე, თითქოს ყველა მე დამცინის, მთელი მსოფლიო. ასეთ წუთებში მზად ვარ, დავარღვიო ყოველგვარი წესი და რიგი.

- და გააწვალოთ გარშემომყოფნი, - გაიცინა ალიოშამ.

- დიახ, ვაწამებ გარშემომყოფებს, განსაკუთრებით დედას. კარამაზოვ, მითხარით, ახლა ძალიან სასაცილო ვარ.

- ნუ ფიქრობთ ამაზე, საერთოდ თავი დაანებეთ ასეთ რამეებზე ფიქრს! - შესძახა ალიოშამ. - ზოგადად, რას ნიშნავს, იყო სასაცილო? რამდენჯერ ჩავარდნილა ადამიანი სასაცილო მდგომარეობაში, ან ასეთად მოსჩვენებია თავი? ამასთან, ახლა თითქმის ყველა ნიჭიერი ადამიანი შეშინებულია იმით, რომ სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს და ამიტომ ისინი ძალიან უბედურები არიან. მე მხოლოდ ის მაკვირვებს, თქვენ რომ ასე ადრე დაგეწყოთ ამის შეგრძნება, თუმცა უკვე დიდი ხანია ბევრს ვამჩნევ ამას. ახლა ბავშვებიც კი იტანჯებიან ამისგან. ეს რაღაცნაირი სიგიჟეა. თავმოყვარეობა ეშმად იქცა და ყველა თაობაში ჩასახლდა, სწორედაც რომ ეშმაკად იქცა, - გაიმეორა ალიოშამ და სულაც არ გასცინებია, როგორც ეს შეიძლებოდა, ეფიქრა მასზე მიშტერებულ კოლიას. - თქვენც ყველასავით ხართ, - დაასკვნა ალიოშამ, - უფრო სწორად, როგორც ბევრი სხვა. მხოლოდ, არ არის საჭირო, ისეთი იყოთ, როგორიც სხვები არიან.

- მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასეთია?

- დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასეთია. მხოლოდ თქვენ ეცადეთ, იყოთ განსხვავებული. თქვენ ხომ ისედაც სხვანაირი კაცი ხართ, სხვებს არ ჰგავხართ. აი, ახლახან არ შეგრცხვათ და გამოტყდით, რომ ჩაიდინეთ ურიგო და სასაცილო საქციელი. ჩვენს დროში ამნაირ რამეს ვინმე აღიარებს? არავინ, არც მოთხოვნილება გააჩნიათ, კრიტიკულნი იყვნენ საკუთარი თავის მიმართ. იყავით ისეთი, რომ სხვებს არ ჰგავდეთ; თუნდაც მარტო თქვენ იყოთ მათგან განსხვავებული, მაინც დარჩით გამორჩეული.

- შესანიშნავია! მე თქვენში არ შევმცდარვარ. თქვენ ადამიანის დამშვიდების უნარი გაგაჩნიათ. ოჰ, როგორ მოვისწრაფოდი თქვენკენ, კარამაზოვ. უკვე დიდი ხანია მსურდა თქვენთან შეხვედრა! ნუთუ თქვენც ფიქრობდით ჩემზე? წეღან თქვით, რომ თქვენც გიფიქრიათ ჩემზე?

- დიახაც, მე მსმენოდა თქვენ შესახებ და მიფიქრია კიდეც თქვენზე... და თუ ნაწილობრივ ამ კითხვის დასმა თავმოყვარეობამ გაიძულათ, ამასაც არა უშავს.

- იცით, კარამაზოვ, ჩვენი საუბარი სიყვარულის ახსნას ჰგავს, - რაღაცნაირად სუსტი და დარცხვენილი ხმით ჩაილაპარაკა, - განა ეს სასაცილო არ არის, ჰა?

- სულაც არ არის სასაცილო, სასაცილოც რომ იყოს, არა უშავს, რადგან კარგია, - თქვა სახეგაბრწყინებულმა ალიოშამ.
- იცით რა, კარამაზოვ, დამეთანხმებით, ალბათ ახლა თქვენც გრცხვენიათ ჩემთან... თვალებში გეტყობათ, - რაღაცნაირად ეშმაკური, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი კაცის სიცილი აუტყდა კოლიას.
- რისი უნდა მრცხვენოდეს?
- აბა, რატომ გაწითლდით?
- იმიტომ რომ თქვენ ისე გააკეთეთ, რომ გავწითლებულიყავი! - გაეცინა ალიოშას და მართლაც მთელ სახეზე ალმური მოეკიდა, - კარგი, ცოტა მრცხვენია, არ ვიცი, რატომ, ღმერთმა უწყის... არაფერი მესმის... - ბურტყუნებდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ალიოშა.
- ო, როგორ მიყვარხართ და როგორ ვაფასებ ამ წუთებს სწორედ იმის გამო, რომ თქვენც რაღაცის გრცხვენიათ და თქვენც ზუსტად ჩემნაირ მდგომარეობაში ხართ! - შეჰყვირა აღფრთოვანებულმა კოლიამ. მასაც ღაწვები უხურდა და თვალები უბრწყინავდა.
- მისმინეთ, კოლია, სხვათა შორის, თქვენ ცხოვრებაში ძალიან უბედური კაცი იქნებით, - უცებ რატომღაც თქვა ალიოშამ.
- ვიცი, ვიცი. საოცარია პირდაპირ, როგორ ყველაფერი წინასწარ იცით! - მაშინვე დაეთანხმა კოლია.
- მაგრამ ზოგადად ცხოვრებისა მაინც მადლიერი იქნებით.
- სწორედაც! ვაშა! თქვენ წინასწარმეტყველი ხართ! ჩვენ უსათუოდ დავმეგობრდებით, კარამაზოვ. იცით რა, ყველაზე მეტად ის მახარებს, თქვენ ჩემთან, როგორც ტოლი ტოლთან ისე რომ ხართ. ჩვენ კი ტოლები არ ვართ, არა, თქვენ გაცილებით მაღლა დგახართ! მაგრამ ჩვენ დავმეგობრდებით. იცით, მე ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ჩვენ ან უცებ სამუდამოდ დავმეგობრდებით, ან მტრებად დავცილდებით ერთმანეთს საუკუნოდ-მეთქი!“
- როცა ამას ამბობდით, რასკვირველია, მაშინაც გიყვარდით! - მხიარულად თქვა ალიოშამ.
- მიყვარდით, ძალიან მიყვარდით, მიყვარდით და თქვენზე ვოცნებობდი! როგორ ყველაფერი წინასწარ იცით? აგერ ექიმიც, ღმერთო, ნეტა რას იტყვის, როგორი სახე აქვს.

VII ილუშა

ჩაცმულ-დახურული ექიმი ქოხიდან გამოვიდა. ისეთი უკმაყოფილო და ზიზღიანი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეშინოდა, რამეზე არ გავისვაროო. წამით თვალი მოავლო წინკარს და თან ალიოშას და კოლიას მკაცრად გადახედა. ალიოშამ კარიდან ხელი დაუქნია მეეტლეს და კარეტა გამოსასვლელ კარს მოადგა. ექიმს წელში მოხრილი შტაბს-კაპიტანი კვალდაკვალ გამოჰყვა და უხერხული მანჭვა-გრეხით გააჩერა უკანასკნელი სიტყვის სათქმელად. საცოდავს სახეზე მკვდრის ფერი ედო და შეშინებული გამოიყურებოდა.

- თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ... ნუთუ? - თითქოს დაიწყო და
ვერ დაამთავრა, სასოწარკვეთილებისაგან მხოლოდ ხელები გაშალა, ტაში
შემოკრა და ექიმს მუდარით შეაცქერდა, თითქოს ექიმის ახლა ნათქვამ სიტყვებს
ბავშვის ბედის რამენაირად შეცვლა შეეძლო.
- რა ვქნა? ღმერთი არა ვარ, - დაუდევრად, მაგრამ მისთვის ჩვეული
დამაჯერებელი ტონით განაცხადა ექიმმა.
- ექიმო... თქვენო აღმატებულებავ... მალე მოხდება, მალე?
- ყვე-ლა-ფრი-სათვის მზად უნდა იყოთ, - ყოველი მარცვალი გამოთქმით
წარმოთქვა ექიმმა, შემდეგ თვალი აარიდა და კარეტისაკენ გადადგა ნაბიჯი.
- თქვენო აღმატებულებავ, ღვთის გულისათვის! - ისევ შეაჩერა შეშფოთებულმა
შტაბს-კაპიტანმა, - თქვენო აღმატებულებავ!.. ნუთუ აღარაფერი, აღარაფერი
უშველის?
- ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, - მოუთმენლად ჩაილაპარაკა ექიმმა, - თუმცა,
ჰმ, - უცებ შეჩერდა ის, - თუ შეძლებთ და ავადმყოფს გა-ა-გზა-ვნით... ახლავე და
დაუყოვნებლივ (ეს სიტყვები „ახლავე და დაუყოვნებლივ“ ექიმმა მკაცრად კი არა,
ისე მრისხანედ წარმოთქვა, რომ შტაბს-კაპიტანი შეკრთა) სი-რა-კუ-ზა-ში, მაშინ...
შესაძლოა, ახალმა კე-თი-ლის-მყო-ფელ-მა კლი-მა-ტურ-მა ჰავამ... რაიმე შედეგი
გამოიღოს...
- სირაკუზაში! - ისე შეჰყვირა შტაბს-კაპიტანმა, თითქოს ვერაფერი გაიგო.
- სირაკუზა! ეს ხომ სიცილიაშია, - ხმამაღლა განმარტა კოლიამ, ყველასათვის
გასაგები რომ ყოფილიყო. ექიმმა მას გადახედა.
- სიცილიაში! ღმერთო ჩემო, თქვენო აღმატებულებავ, - დაიბნა შტაბს-კაპიტანი, -
თქვენ ხომ თავად იხილეთ! - მან ორივე ხელი გაშალა, უნდოდა ეთქვა,
აქაურობაო, - მერე დედილო, ოჯახი?
- ა-რა, ოჯახი სიცილიაში არა, ოჯახი კავკასიაში უნდა გაგზავნოთ, ადრეულ
გაზაფხულზე... ქალიშვილი კავკასიაში, მეუღლემაც... კავკასიის წყლების კურსი
რომ ჩაიტაროს, რევმატიზმებზე შეიძლება უშველოს... ამის შემდეგ კი
აუცილებელია მისი პარიზში, ექიმ ლე-პელ-ლეტიესთან გაგზავნა, მე შემიძლია მას
წერილი მივწერო, მაშინ... შეიძლება რამე ეშველოს...
- ექიმო, ექიმო! თქვენ ხომ ყველაფერ ამას ხედავთ! - ისევ ხელები გაშალა შტაბს-
კაპიტანმა და წინკარის შიშველმორებიან კედელს მიუთითა.
- ეს კი ჩემი საქმე არ არის, - გაიცინა ექიმმა, - მე მხოლოდ ის გითხარით, რაზედაც
პასუხის გასცემა შეუძლია მეცნიერებას უკანასკნელი საშუალებების შესახებ,
დანარჩენი... ჩემდა სამწუხაროდ...
- ნუ შიშობთ, მკურნალო, ჩემი ძაღლი თქვენ არ გიკბენთ, - ხმამაღლა შეაწყვეტინა
კოლიამ, როცა ექიმის შეშფოთებული მზერა შეამჩნია კარის ზღურბლთან მდგარი
პერეზვონის მხარეს. კოლიას ინტონაციაში მუქარამ გაიჟღერა. როგორც
მოგვიანებით კოლიამ აღნიშნა, ექიმის მაგივრად სიტყვა „მკურნალი“
შეგნებულად ვთქვი, ექიმის დასამცირებლადო.
- რა-ო? - ექიმმა თავი მაღლა ასწია და გაკვირვებულმა კოლიას შეხედა, - ეს ვინ
არის? - უცებ მიმართა მან ალიოშას, თითქოს მისგან თხოულობდა ანგარიშს.
- ეს პერეზვონის პატრონია, მკურნალო, ნუ შეგაწუხებთ ჩემი პიროვნება, - კვლავ
გამოთქმით თქვა კოლიამ.
- რაო? - ჩაილაპარაკა ექიმმა, ვერ გაიგო, რას ნიშნავდა პერეზვონი.
- რაო და თხაო. მშვიდობით, მკურნალო, კიდევ შევხვდებით სირაკუზაში.

- ვინ არის ეს? ვინაა? - ანაზდად ძალიან გაცხარდა ექიმი.
- ეს აქაური მოსწავლეა, ექიმო, ონავარა ბიჭუნაა, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, - სერიოზულად და ჩქარ-ჩქარა უთხრა ალიოშამ. - კოლია, გაჩუმდით! - უყვირა მან კრასოტკინს, - ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ექიმო, - კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა მოუთმენლად.
- გასატყეპია, გა-სა-ტყე-პი, როზგით უნდა აუჭრელო ტანი, - ფეხების ბაკუნით გაჰყვიროდა გაკაპასებული ექიმი.
- იცით, მკურნალო, ჩემმა პერეზვონმა კბენაც იცის! - ჩაილაპარაკა კოლიამ მთრთოლვარე ხმით და თვალები აენთო. - ეცი, პერეზვონ!
- კოლია, კიდევ ერთი სიტყვა რომ გავიგო, სამუდამოდ დაგკარგავ! - ხმამაღლა უბრძანა ალიოშამ.
- მკურნალო, ამქვეყნად ერთი კაცია, ვისაც ნიკოლაი კრასოტკინი ემორჩილება, ეს სწორად ის კაცია, - მიუთითა კოლიამ ალიოშაზე, - მე მხოლოდ მას ვემორჩილები, მშვიდობით!
ის ადგილს მოსწყდა, კარი გააღო და ოთახში შევიდა. პერეზვონი უკან მიჰყვა. ექიმი ხუთ წამს მაინც გახევებული იდგა და ალიოშას უყურებდა, მერმე უცებ გადააფურთხა და სასწრაფოდ კარეტისაკენ გაემართა, თან გზადაგზა იმეორებდა: „ეს, ეს ვინ ყოფილა, ვერაფერი გავიგე, რა ხდება!“ შტაბს-კაპიტანი სასწრაფოდ ეახლა მას და დაჯდომაში დაეხმარა. როცა ალიოშა ოთახში შევიდა, კოლია უკვე ილუშას საწოლთან იდგა. ილუშას მისი ხელი ეჭირა და მამას უხმობდა. ერთი წუთის შემდეგ შტაბს-კაპიტანი დაბრუნდა.
- მამა, მამა! მოდი აქ... ჩვენ... - ლუღლუღითა თქვა ძალზე აღგზნებულმა ილუშამ შემდეგ ვეღარ გააგრძელა, გამხდარი ხელებით მამას და კოლიას შემოეხვია და ორივეს მიეკრა. შტაბს-კაპიტანი აქვითინდა და სხეული აუცახცახდა, კოლიასაც ტუჩ-ნიკაპის კანკალი აუტყდა.
- მამა, მამა! როგორ მებრალები, მამა! - კვნესით აღმოხდა ილუშას.
- ილუშეჩკა... ძვირფასო... ექიმმა თქვა... მალე გამოჯანმრთელდებაო... მალ ბედნიერები ვიქნებით... ექიმმა... - ლაპარაკის დაწყება დააპირა შტაბს-კაპიტანმა.
- ეხ, მამა! მე ხომ ვიცი, რაც გითხრა ახალმა ექიმმა ჩემზე... მე ხომ ყველაფერს ვხედავდი! - წამოიძახა ილუშამ, ისევ მაგრად ჩაეხუტა ორივეს და მამის მკერდში ჩამალა თავი.
- ნუ ტირი, მამა... როცა მე მოვკვდები, აიყვანე ვინმე კარგი ბიჭი, თავად შეარჩიე, დაარქვი ილუშა და გიყვარდეს ჩემ მაგივრად.
- სუ, ძველო, გამოჯანმრთელდები! - ანაზდად უყვირა კრასოტკინმა.
- მამა, მამა, არასოდეს დამივიწყო, - გააგრძელა ილუშამ, - მოდი ხოლმე ჩემს საფლავზე... იცი, კიდევ რა მინდა, მამა, ჩვენს ლოდთან დამასაფლავე, იქ, სადაც ჩვენ გვიყვარდა სეირნობა. საღამოობით მოდით ხოლმე შენ და კრასოტკინი... პერეზვონთან ერთად... მე კი თქვენ დაგელოდებით... მამა, მამა!
ილუშა გაჩუმდა. ერთხანს სამივენი ჩუმად იყვნენ ერთმანეთს გადახვეულები და ხმას არ იღებდნენ. სავარძელში უხმოდ ტიროდა ნინოჩკა. უცებ დედილომ რომ დაინახა, ყველა ტირისო, თავადაც ცრემლი წასკდა.
- ილუშეჩკა, ილუშეჩკა! - მოთქვამდა ის.
ანაზდად კრასოტკინმა თავი გაითავისუფლა ილუშას მკლავებიდან.
- მშვიდობით, ძველო, შინ სადილად დედა მელოდება, - სხაპასხუპით თქვა მან. - ვნანობ, რომ არ გავაფრთხილე! ალბათ ძალიან ღელავს... ნასადილევს ისევ

შენთან გამოვქანდები, მთელი დღე აქ ვიქნები, საღამოც. კიდევ იმდენი რამა მაქვს მოსაყოლი, ძალიან ბევრი! პერეზვონსაც მოვიყვან, ახლა კი ჩემთან ერთად წამოვა, თორემ ყმუილს დაიწყებს და შეგაწუხებს, ნახვამდის!
კოლია წინკარში გავარდა. მას არ უნდოდა ოთახში ტირილი. როგორც კი წინკარში მარტო დარჩა, აქვითინდა. ასეთ მდგომარეობაში დახვდა იგი ალიოშას.
- კოლია, თქვენ უნდა შეასრულოთ დაპირება, აუცილებლად უნდა მოხვიდეთ, თორემ ილუშას ძალიან ეწყინება, - დაჟინებით უთხრა ალიოშამ.
- აუცილებლად მოვალ! ვაი, როგორ ვნანობ, აქამდე რომ არ მოვდიოდი, - ტირილით წაიდუდუნა მან. მას უკვე აღარ რცხვენოდა რომ ტიროდა. ამ დროს ოთახიდან შტაბს-კაპიტანი გამოვარდა და კარი მიკეტა. სახე შეშლილივით ჰქონდა, ტუჩები უკანკალებდა. ის ორივე ახალგაზრდის წინაშე დადგა და ხელები მაღლა აღმართა.
- არ მინდა კარგი ბიჭი! არ მინდა სხვა ბიჭი! - უცნაური ჩურჩულით წარმოთქვა მან და კბილები ააღრჭიალა. - რამეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ...
მან ვეღარ დაამთავრა, თითქოს სუნთქვა შეეკრა, მერხის წინ ილაჯგამოცლილი მუხლებზე ჩაიკეცა, თავში ხელები წაიშინა და აქვითინდა. შიგადაშიგ ჩუმად კრუსუნებდა, ეტყობოდა, ცდილობდა, მისი ხმა მეზობელ ოთახში არ გაეგოთ. კოლია გარეთ გავარდა.
- მშვიდობით, კარამაზოვ, თქვენ ხომ მოხვალთ? - მკვახედ შესძახა ალიოშას გაბრაზებულმა კოლიამ.
- საღამოს აუცილებლად ვიქნები.
- ეს რაო, რა თქვა, იერუსალიმო... რას ნიშნავს?
- ეს ბიბლიური ფრაზაა: „რამეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ“, ე.ი. თუკი დავივიწყებ ჩემთვის ყველაზე ძვირფასს, თუკი გავცვლი სხვაზე, მაშინ დამლახვროს...
- საკმარისია, მესმის! აუცილებლად მოდით! წავედით, პერეზვონ! - ახლა უფრო მრისხანედ იღრიალა კოლიამ და დიდი და ჩქარი ნაბიჯებით შინისაკენ გაეშურა.

წიგნი მეთერთმეტე. ძმა ივან ფიოდოროვიჩი

I გრუშენკასთან

ალიოშა ტაძრისწინა მოედნისკენ გაემართა. იქვე მახლობლად, ვაჭარ მოროზოვას სახლში გრუშენკა ცხოვრობდა. გრუშენკამ ჯერ კიდევ დილაადრიან გამოუგზავნა ფენია, რომელმაც ქალბატონის დაჟინებული თხოვნა გადასცა - დღესვე აუცილებლად მინახულეო. ფენიამ თავის მხრიდან დაუმატა: ქალბატონი გუშინდელს აქეთ ძალზე შეშინებულიაო. მიტიას დაპატიმრების შემდეგ, ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, ალიოშამ მოროზოვების სახლში სიარულს მოუხშირა, ხან მიტიას დავალებით, ხანაც საკუთარი სურვილით მიდიოდა ხოლმე. მიტიას დაპატიმრების შემდეგ, მესამე დღეს გრუშენკა ლოგინად ჩავარდა და თითქმის ხუთი კვირა ფეხზე არ დამდგარა. ამ ხუთი კვირიდან ერთი კვირა გონზე არ მოსულა. სახეზე ძალიან შეიცვალა, შეიფერთხა და გაყვითლდა. ახლა უკვე ორი კვირაა, რაც მოკეთდა და სახლიდან გასვლაც შეძლო. ალიოშას აზრით, გრუშენკას სახე უფრო მიმზიდველი გაუხდა, ამიტომ ძალიან სიამოვნებდა ხოლმე გრუშენკას ნახვა. ქალის გამოხედვამ რაღაც უფრო მტკიცე და საზრიანი გამომეტყველება მიიღო. ეტყობოდა, რაღაცნაირმა სულიერმა გადატრიალებამ მას რაღაც შეუცვლელი და გადამჭრელი, მაგრამ კეთილშობილური გადაწყვეტილება მიაღებინა. წარბებს შორის, შუბლზე, მცირე ზომის შვეულა ნაოჭებმა მის ლამაზ სახეს, ერთი შეხედვით, ფიქრიანი და მკაცრი ადამიანის ელფერი შესძინა. ძველებური თავქარიანობის კვალიც აღარ აჩნდა. ალიოშას ყველაზე უცნაურად ის ეჩვენებოდა, რომ ამდენმა უბედურებამ, რაც ამ ქალს, როგორც საშინელი ბოროტმოქმედის უკვე აღიარებულ საცოლედ გახდომამ მოუტანა, აგრეთვე, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და გარდაუვალი სასამართლო განაჩენის მოლოდინმა გრუშენკას უწინდელი ახალგაზრდული სილაღე არ დაუკარგა. მისი თვალების ადრინდელი ამაყი მზერა ახლა თვინიერმა გამოხედვამ შეცვალა, თუმცა... თუმცა ხანდახან თვალები კვლავ ბოროტად აუელვარდებოდა ხოლმე, როცა ძველი სადარდებელი შეუჩნდებოდა, რომელიც მის გულში კი არ მიჩუმათებულიყო, არამედ დღითიდღე იზრდებოდა. ეს სადარდებელი კატერინა ივანოვნა გახლდათ, რომლის სახელსაც გრუშენკა ავადმყოფობის დროსაც კი აბოდებდა. ალიოშამ იცოდა, რომ გრუშენკა მასზე ეჭვიანობდა, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე პატიმრობაში მყოფი მიტია კატერინას ერთხელაც არ ენახა, თუმცა ნებისმიერ დროს შეეძლო მისი მონახულება. ყველაფერი ეს ალიოშას ძალზე მძიმე მოვალეობად გადაექცა, რადგან გრუშენკა მხოლოდ მას ენდობოდა და განუწყვეტლივ ეკითხებოდა რჩევებს; ალიოშას კი ხანდახან სათქმელი არაფერი ჰქონდა.

გრუშენკას ბინაში შეფიქრიანებული შევიდა. ქალი შინ დახვდა. მიტიასაგან ნახევარი საათის მოსული იყო. გრუშენკა ისე სწრაფად წამოხტა მაგიდასთან მდგარი სავარძლიდან, რომ ალიოშა მიხვდა, როგორ მოუთმენლად ელოდა. მაგიდაზე ბანქოს ქაღალდები ელაგა - ვიღაცას დურაჩკას სათამაშოდ დაერიგებინა. მაგიდის მეორე მხარეს, ტყავის დივანზე გაშლილ ლოგინზე მაქსიმოვი იწვა. მას ხალათი ეცვა და თავზე ქაღალდის ჩაჩი ეხურა. ეტყობოდა,

სუსტად გრძნობდა თავს, თუმცა დაშაქრული იღიმებოდა. ეს უსახლკარო მოხუცი ამ ორი თვის წინათ გრუშენკამ მოკროედან წამოიყვანა და მას შემდეგ გრუშენკას ბინიდან ფეხი არ მოუცვლია. მაშინ, როცა საშინელ თოვლ-ჭყაპში მოკროედან ჩამოვიდნენ, შეშინებული მაქსიმოვი დივანზე ჩამოჯდა და ჩუმად შეჰყურებდა გრუშენკას მორიდებული და მუდარით აღსავსე ღიმილით. იმ წუთებში საშინლად დამწუხრებულ გრუშენკას ციება დაეწყო და მაქსიმოვი აღარც კი ახსოვდა. მოგვიანებით, შემთხვევით გაიხედა მისკენ და მიაშტერდა: მაქსიმოვი საცოდავად შესციცინებდა თვალებში. გრუშენკამ ფენიას უხმო და უბრძანა, დაეპურებინა მაქსიმოვი. მაქსიმოვი მთელი დღე გაუნძრევლად იჯდა დივანზე. ღამით, როცა ფენიამ დარაბები დახურა, ქალბატონს ჰკითხა:
- ქალბატონო, ეს კაცი ამ ღამეს აქ გაათევს?
- კი, დივანზე დაუგე ლოგინი, - უპასუხა გრუშენკამ.
მაქსიმოვის დაწვრილებით გამოკითხვის შემდეგ გრუშენკამ გაიგო, რომ ახლა მას აღარსად ჰქონდა წასასვლელი. „ჩემმა კეთილისმყოფელმა, ბატონმა კალგანოვმა თავშესაფარზე პირდაპირ გამომიცხადა უარი და ხუთი მანეთი მაჩუქაო“. - „რას ვიზამ, დარჩი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს“, - გადაწყვიტა გრუშენკამ და თანაგრძნობით გაუღიმა. გრუშენკას ღიმილზე მოხუცს ტანში გააჟრჟოლა და ტუჩები აუთრთოლდა ყელში მომდგარი სამადლობელი ტირილისაგან. ასე შემორჩა მას შემდეგ გრუშენკასთან ეს მოხეტიალე, სამადლოდ სარჩენი მოხუცი. მას არც გრუშენკას ავადმყოფობის დროს დაუტოვებია სახლი. ფენიასა და მოხუცებულ მზარეულს ის სახლიდან არ გაუგდიათ, ყოველდღე აჭმევდნენ და დივანზე უგებდნენ ლოგინს. რაც დრო გადიოდა, გრუშენკა სულ უფრო ეჩვეოდა მას. როცა მიტიასაგან ბრუნდებოდა ხოლმე (მიტიასთან სიარული კი, ჯერ კარგად გამოჯანმრთელებული არ იყო, მაშინ დაიწყო), დარდის გასაქარვებლად მაქსიმოვს მიუჯდებოდა და ათას წვრილმანზე ელაპარაკებოდა, ოღონდ კი თავის მწუხარებაზე არ ეფიქრა. მოხუცი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა და ამიტომ უფრო იქცა იგი გრუშენკასათვის საჭირო კაცად. ალიოშას გარდა, გრუშენკა შინ არავის იღებდა, ისიც ყოველდღე არ დადიოდა და თუ მოვიდოდა, დიდხანს არ რჩებოდა. მოხუცი ვაჭარი ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ ჩავარდა ლოგინად, როგორც ქალაქში ამბობდნენ, „ორი პარასკევი დარჩაო“. მართლაც, მიტიას გასამართლების შემდეგ, ერთი კვირის თავზე, ბარათი წაიღო. გარდაცვალებამდე სამი კვირით ადრე, როცა აღსასრული იგრძნო, მოუხმო თავისთან შვილებს და უბრძანა, ცოლ-შვილთან ერთად გადმოსახლებულიყვნენ მაღლა სართულზე და ამიერიდან მის გარშემო ეტრიალათ. მსახურებს კი უბრძანა, რომ გრუშენკა ამიერიდან მასთან აღარ შემოეშვათ და თუ მოვიდოდა, გადაეცათ; „ხანგრძლივ და მხიარულ სიცოცხლეს გისურვებ და ჩემი დარდი ნუღარ გექნება, დამივიწყეო“. გრუშენკა არ ივიწყებდა, ყოველდღე კაცს აგზავნიდა და მის მდგომარეობას კითხულობდა ხოლმე.
- როგორც იქნა, მოხვედი! - იყვირა გრუშენკამ, ბანქო დაყარა და მხიარულად მიესალმა ალიოშას, - მაქსიმუშკა მაშინებდა, აღარ მოვაო. მე კი ძალიან მჭირდები! მაგიდასთან დაჯექი; რას მიირთმევ, ყავას?
- სიამოვნებით, - თქვა ალიოშამ და სუფრას მიუჯდა, - ძალიან მომშივდა.
- ამ წუთში, ფენია, ფენია, ყავა! - გასძახა გრუშენკამ. - უკვე დიდი ხანია, დუღს, შენ გელოდი. ცხელ-ცხელი ღვეზელებიც მოიტანე. ალიოშა, იცი, ამ ღვეზელებზე დღეს რა გადამხდა?! მიტიას წავუღე საპყრობილეში, მან კი უკან გადმომიგდო, პირი არ

დააკარა. ერთი ღვეზელი იატაკზე დააგდო და გასრისა. მე ვუთხარი: „ღვეზელს დარაჯს დავუტოვებ; თუ საღამომდე არ შეჭამ, მაშასადამე, საკუთარი ბოღმით იკვებები-მეთქი!“ და წამოვედი. ისევ წავიჩხუბეთ, წარმოგიდგენია. როცა არ უნდა მივიდე, ყოველთვის ვჩხუბობთ.
აღელვებული გრუშენკა სხაპასხუპით ყვებოდა. მაქსიმოვი მორიდებულად იჯდა და თვალებდახრილი იკრიჭებოდა.
- დღეს რატომ წაიჩხუბეთ? - ჰკითხა ალიოშამ.
- სულ რომ არ ველოდი, ისე! წარმოგიდგენია, „ძველზე“ იეჭვიანა; „რატომ არჩენო, შენ რა, იმისი რჩენა დაიწყეო?“ გაუთავებლად ეჭვიანობს! ძილშიაც და ჭამის დროსაც. გასულ კვირას კუზმაზედაც კი იეჭვიანა.
- მან ხომ იცოდა „ძველის“ შესახებ?
- საქმეც ეგ არის. თავიდან ყველაფერი იცოდა და დღევანდელი დღის ჩართვით არაფერი დამიმალავს, დღეს კი ლანძღვა დამიწყო. თქმაც კი მიჭირს, ისე უწმაწურად ილანძღებოდა. რეგვენი! ჩემს შემდეგ რაკიტკა მივიდა. იქნებ რაკიტკა აღიზიანებს, ჰა? როგორ ფიქრობ? - დასძინა მან რაღაცნაირად დაბნეულმა.
- უყვარხარ, ძალიან უყვარხარ, მთავარი ესაა. გაღიზიანების მიზეზი კი იცი, რაც არის.
- ხვალ სასამართლოა და გაღიზიანებული იქნება, აბა რა. მე მასთან იმიტომ მივედი, ხვალის შესახებ ჩემი მოსაზრება რომ მეთქვა. ალიოშა, ხვალინდელი დღის ძალიან მეშინია! შენ ამბობ, გაღიზიანებულიაო, მე რა, ნაკლებად ვარ გაღიზიანებული? ის კი პოლონელზე მელაპარაკება! ტუტუცი! კიდევ კარგი, მაქსიმუშკაზე არ ეჭვიანობს.
- ჩემი ცოლიც, ჩემი ცოლიც ძალიან ეჭვიანობდა, ბატონებო, - თავისი სიტყვა მაქსიმოვმაც თქვა.
- ერთი შენცა ხარ რა, - უნებლიეთ გაეცინა გრუშენკას, - შენზე ვისთან უნდა ეეჭვიანა?
- მოახლე გოგონებთან, ჩემო ქალბატონო.
- კარგი ერთი, ხმა გაიკმინდე, მაქსიმუშკა, სიცილის ხასიათზე არ ვარ, ბრაზი მახრჩობს. ღვეზელებს თვალი ნუ დაადგი, არ გაჭმევ, ვერც ბალზამს მიირთმევ, გაწყენს. ახლა ეს გამიხდა საზრუნავი, პირდაპირ მოწყალების სახლი მაქვს, - გაიცინა გრუშენკამ.
- თქვენი წყალობით მიდგას სული, ჩემო ქალბატონო, მე ხომ არარაობა ვარ, - თქვა ცრემლნარევი ხმით მაქსიმუშკამ, - სჯობს, თქვენი წყალობა იმათ მოხმარდეთ, ვინც ჩემზე მეტად საჭირონი არიან.
- ეჰ, ყველა საჭიროა, მაქსიმუშკა, ვინ რა იცის, ვინ ვის რაში გამოადგება. ნეტა, ის პოლონელი საერთოდ არ არსებულიყო, ალიოშა, ისიც ავად გამხდარა. იმასთანაც ვიყავი. აი, ახლა მიტიას ჯიბრზე მას გავუგზავნი ღვეზელებს, არ გამიგზავნია არაფერი, მიტია კი შარსა მდებს - უგზავნიო, ახლა კი განგებ გაუგზავნი, ჯიბრზე! აი, ფენიაც, წერილით! ასეც ვიცოდი, პოლონელებისგანაა, ისევ ფულს მთხოვენ.
პან მუსიალოვიჩს მართლაც გამოეგზავნა მისთვის დამახასიათებელი გრძელი და დაღვარჭნილი ფრაზებით სავსე წერილი, რომელშიაც გრუშენკას სესხად სამ მანეთს სთხოვდა. წერილს თან ახლდა ხელწერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ვალდებულებას კისრულობს, სამი თვის განმავლობაში გადაიხადოს ვალი. ხელწერილს ხელს აწერდა პან ვრუბლიოვსკიც. ამდაგვარი წერილები ხელწერილებითურთ გრუშენკას ყოფილი მიჯნურისაგან ბევრი ჰქონდა

მიღებული. ეს გამოძალვები უკვე ორი კვირაა, გრძელდებოდა, მას აქეთ, რაც გრუშენკა გამოჯანმრთელდა. გრუშენკამ იცოდა, ორივე პანი მისი ავადმყოფობის დროს ამბის გასაგებად რომ დადიოდა. პირველი წერილი, რომელიც გრუშენკამ მათგან მიიღო, ძალიან გრძელი, საშინლად გაუგებარი და მაღალფარდოვანი იყო, დიდ საფოსტო ფორმატზე დაწერილი და დიდი საგვარეულო ბეჭდით დამოწმებული. გრუშენკამ ნახევარიც ვერ წაიკითხა და მოისროლა, ვერაფერი გაუგო. გარდა ამისა, მაშინ წერილების თავი არც ჰქონდა. ამ წერილს მეორე მოჰყვა, რომელშიც პან მუსიალოვიჩი გრუშენკას სესხად ორი ათას მანეთს სთხოვდა, ძალიან მოკლე ვადით. გრუშენკამ ეს წერილიც უპასუხოდ დატოვა. ამას მოჰყვა წერილების მთელი წყება, ყოველდღე თითო წერილი, თითოეული მათგანი ძალიან სერიოზული და მაღალფარდოვანი სტილით იყო დაწერილი და სათხოვარი თანხა თანდათან კლებულობდა - ჯერ ასამდე დავიდა, შემდეგ ოცდახუთამდე, მერე ათამდე. დაბოლოს, გრუშენკამ წერილი მიიღო, რითაც ორივე პანი მხოლოდ ერთ მანეთს სთხოვდა, წერილს თან ახლდა ორივე პანის ხელმოწერილი თამასუქი. გრუშენკას შეეცოდა და თავად მივიდა მათთან. საშინელ გაჭირვებაში, თითქმის სიღატაკეში იხილა ისინი. არც საჭმელი ჰქონდათ, არც შეშა და არც პაპიროსი. სახლის პატრონის დიდი თანხა მართებდათ. ორასი მანეთი, რომელიც მიტიას მოკროეში მოუგეს, ერთბაშად სადღაც გაუფლანგავთ. ყველაზე მეტად გრუშენკა იმან გააკვირვა, ორივე პანი ნამეტნავად ქედმაღლურად, დიდებული ეტიკეტითა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით რომ შეხვდა. გრუშენკას ამაზე გაეცინა და თავის ნამიჯნურალს ათი მანეთი უფეშქაშა. ეს ყველაფერი მიტიას სიცილ-კისკისით უამბო. მაშინ მიტიას არ უეჭვიანია. მაგრამ ამის შემდეგ პანები გრუშენკას აღარ მოეშვნენ, ყოველდღე წერილებით ბომბავდნენ და ფულს სთხოვდნენ. ისიც ყოველთვის ცოტ-ცოტას უგზავნიდა. ახლა კი უეცრად მიტიამ იეჭვიანა.

- მე სულელმა, მიტიასთან რომ მივდიოდი, ერთი წუთით მასთანაც შევირბინე, ავად გამხდარა ჩემი პანი, - დაიწყო ისევ გრუშენკამ სხაპასხუპით მოყოლა, - ეს კი სიცილ-კისკისით მიტიას ვუამბე: წარმოგიდგენია-მეთქი, ჩემმა პანმა გიტარაზე ძველი სიმღერები მიმღერა, უნდა რომ ამაღელვოს, ცოლად რომ გავყვე. მიტია წამოხტა და გინება დაიწყო... არა, მე ახლა ამ ღვეზელებს იმ პანს გავუგზავნი! ფენია, იმათ გამოგზავნილ გოგოს სამი მანეთი მიეცი და ქაღალდში გახვეული ათი ღვეზელი გაატანე, შენ კი, ალიოშა, მიტიას მოუყევი, რომ პანებს ღვეზელები გავუგზავნე.

- არაფერსაც არ მოვუყვები, - ღიმილით თქვა ალიოშამ.

- შენ რა, გგონია, რომ ის იტანჯება; მან განგებ იეჭვიანა, მისთვის ყველაფერი სულერთია, - მწარედ ჩაილაპარაკა გრუშენკამ.

- რას ნიშნავს, განგებ? - ჰკითხა ალიოშამ.

- რა სულელი ხარ, ალიოშა, არაფერი გესმის, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ჭკუის პატრონი ხარ. ის კი არ მწყინს, რომ იეჭვიანა, პირიქით, მეწყინებოდა, საერთოდ რომ არ ეჭვიანობდეს. ასეთი ვარ. მე ეჭვიანობაზე არ ვბრაზდები, თავად ვარ გულქვა ადამიანი, თავად შემიძლია ეჭვიანობა. მე ის მწყინს, რომ სულ არ ვუყვარვარ, ახლა კი განგებ იეჭვიანა, აი, ეს მწყინს. ბრმა ხომ არა ვარ, განა ვერ ვხედავ?! ამას წინათ კატკაზე დამიწყო ლაპარაკი: ასეთი და ასეთიაო, ჩემთვის ექიმი მოსკოვიდან გამოიწერა სასამართლოზე დასასწრებადო. მაშასადამე, უყვარს, რადგან სულაც არ ერიდება, ისე აქებს და ადიდებს ჩემთან, თანაც

უსირცხვილოდ თვალებში შემომცქერის! ჩემ წინაშე თვითონაა დამნაშავე და უნდა, ისე გამოიყვანოს, თითქოს მის წინაშე მე მიმიძღოდეს ბრალი, აქაოდა: „ადრე თუ შენ პოლონელთან იყავი, ახლა მე შემიძლია კატკასთან ვიყოო“. აი, რა უნდა! უნდა, დამნაშავე მე გამომიყვანოს, ყველაფერი მე გადმომაბრალოს. განგებ შემომიჩნდა, განგებ, გეუბნები შენ, მხოლოდ მე...
გრუშენკამ არ დაამთავრა, რას აპირებდა, ცხვირსახოცი თვალებზე აიფარა და გულამოსკვნილი ატირდა.
- მიტიას კატერინა არ უყვარს, - მტკიცედ განაცხადა ალიოშამ.
- უყვარს თუ არ უყვარს, ამას მე თვითონ მალე მივხვდები, - თქვა ბოღმით აღსავსე ხმით გრუშენკამ და თვალებიდან ცხვირსახოცი მოიშორა. სახე მოქცეოდა. ალიოშამ დამწუხრებულმა შენიშნა, როგორ გაუხდა ქალს თვინიერი, წყნარი და მხიარული გამომეტყველება ბოროტი და კუშტი.
- გვეყოფა ამ სისულელეებზე ლაპარაკი! - უცებ მოჭრა გრუშენკამ. - ამის გამო არ მოგიწვიე, ალიოშა, გეთაყვა, ხვალ რა იქნება, ხვალ? ეს მაწუხებს! მხოლოდ ეს არის ჩემი დარდი! ვუყურებ სხვებს და ვხედავ, არავის არაფერი აწუხებს, არავინ ამაზე არ ფიქრობს, არავინ! შენ ფიქრობ ამის შესახებ რამეს? ხვალ ხომ სასამართლოა! მითხარი, როგორ გაასამართლებენ? ის ხომ ლაქიამ მოკლა, ლაქიამ! ღმერთო ჩემო! ნუთუ ლაქიის ბრალი მან უნდა ზღოს, არავინ დაიცავს? ლაქია, საერთოდ, დაკითხეს?
- მკაცრად დაკითხეს, - შენიშნა ალიოშამ, - მაგრამ ყველამ დაასკვნა, რომ დამნაშავე არ არის. ამჟამად ძალიან ავადაა. მას შემდეგაა ავად, ავი ზნე სჭირს. ნამდვილად ავადაა.
- ღმერთო ჩემო, მიდი იმ ადვოკატთან და ყველაფერი უამბე. ამბობენ, პეტერბურგიდან ჩამოიყვანეს და სამ ათასს უხდიანო.
- იმ ადვოკატს ფულს მე, ივანი და კატია ვუხდით, ხოლო ექიმი კატიამ გამოიწერა ორი ათასად მოსკოვიდან. ადვოკატი ფეტიუკოვიჩი მეტსაც მოითხოვდა, მაგრამ ეს ამბავი მთელ რუსეთში ისე გახმაურდა, ყველა ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა, ფეტიუკოვიჩი სამი ათასს უფრო სახელისათის დაყაბულდა. ამ საქმის შემდეგ მას ძალიან გაუვარდება სახელი. გუშინ ვნახე.
- რაო, რაო მერე? უთხარი რამე? - ეცა გრუშენკა.
- მომისმინა და არაფერი თქვა. მითხრა, რომ უკვე ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული მოსაზრება. მაგრამ დამპირდა, რომ ჩემს სიტყვებსაც გააანალიზებს.
- რას ნიშნავს, გააანალიზებს! ოხ, ეგ გაიძვერები! დაღუპავენ მიტიას! ერთი ეს მითხარი, ექიმი რად უნდოდა იმ ქალბატონს, რატომ გამოიწერა?
- როგორც ექსპერტი. უნდათ მიტიას შეურაცხადობის დადგენა, რომ ჭკუიდან გადასვლის მომენტში მოკლა მამა და არაფერი ახსოვს, - წყნარად გაიღიმა ალიოშამ, - მაგრამ დარწმუნებული ვარ, მიტია ამას არ დათანხმდება.
- ეჰ, ეგ ხომ მართლაც ასე იქნებოდა, თუ ნამდვილად მან მოკლა! - შესძახა გრუშენკამ, - ჭკუიდან გადასული იქნებოდა მაშინ, აბა რა, სულ მთლად შეშლილი. ეს ყველაფერი ჩემი ბრალია, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე! მაგრამ მას ხომ არ მოუკლავს, არ მოუკლავს! ისე კი ყველას ჰგონია, რომ მან მოკლა, მთელ ქალაქს. ფენიამაც კი ისეთი ჩვენება მისცა, თითქოს მისი მოკლული იყოს. მედუქნეებს, იმ ჩინოვნიკს, ადრე სამიკიტნოშიც კი მოუსმენიათ მაგის მუქარა! ყველა მის წინააღმდეგაა, დამდგარან და ენას იქავებენ.
- დიახ, ჩვენებების რიცხვმა იმატა, - შენიშნა დამწუხრებულმა ალიოშამ.

- გრიგორის კი, გრიგორი ვასილიჩს, დაუჩემებია და თავისას გაიძახის, კარი ღია იყოო, ვერაფრით გადაათქმევინებ. რამდენჯერმე ვიყავი მასთან, თავად ველაპარაკე. ილანძღება კიდეც!
- დიახ, შესაძლოა, ეს ყველაზე მთავარი ჩვენებაა მიტიას საწინააღმდეგოდ.
- ის ამბავი, რომ მიტია ჭკუიდან გადავიდა, ახლაც მგონი ასეა, - უცებ რაღაცნაირი შეშფოთებითა და საიდუმლო გამომეტყველებით დაიწყო გრუშენკამ, - იცი რა, ალიოშკა, დიდ ხანია ამის შესახებ მინდოდა მეთქვა შენთვის. ყოველდღე დავდივარ მასთან და გაკვირვებული ვარ. ერთი მითხარი, როგორ ფიქრობ, რაზე ლაპარაკობს ახლა ის, თუ იცი? ქაქანებს, ქაქანებს და მე კი ვერაფერს ვიგებ. მგონია, რაღაც ძალიან ჭკვიანურს ამბობს და მე, ბრიყვს, არაფერი გამეგება-მეთქი. ამას წინათ ვიღაც ბაღანაზე დაიწყო ლაპარაკი, უფრო სწორედ ბავშვზე. „რატომაა ასე ღარიბი ეს ბაღანაო?“ „ბაღანას გულისათვის მე ახლა ციმბირში წავალ, მე არ მომიკლავს, მაგრამ მე აუცილებლად მჭირდება ციმბირში წასვლაო“. რას ნიშნავს ეს, ვინ არის ის ბაღანა - ვერაფერი გავიგე. მხოლოდ ავტირდი, ისე კარგად ლაპარაკობდა, ისიც ტიროდა და მეც მატირებდა, უცებ მაკოცა და პირჯვარი გადაიწერა. რა იყო ეს, ალიოშა, გამაგებინე, რას ნიშნავს „ბაღანა“.
- ეს რაკიტინის სიარულის შედეგი უნდა იყოს, - გაეცინა ალიოშას, - თუმცა... რაღაც რაკიტინს არ ჰგავს. გუშინ მასთან არ ვყოფილვარ, დღეს ვაპირებ.
- არა, რაკიტკა არაფერ შუაშია, ივან ფიოდოროვიჩი ურევს ტვინს. ამ ბოლო ხანებში მოუხშირა მასთან სიარულს, დიახ... - ჩაილაპარაკა გრუშენკამ და ენაზე იკბინა. ალიოშა გაოცებული მიაშტერდა გრუშენკას.
- ივანი მასთან დადის? იგი ხომ არ დადიოდა? მიტიამ თავად მითხრა, ივანი ერთხელაც არ ყოფილა ჩემთანო.
- ხედავ... ხედავ, როგორი ვარ! წამოვაყრანტალე! - თქვა შეშინებულმა გრუშენკამ და გაწითლდა. - მოიცა, ალიოშა, არაფერი თქვა, რაც არის, არის, რახან წამომცდა, ყველაფერს გეტყვი: ივანი ორჯერ იყო მასთან - პირველად, როცა მოსკოვიდან ჩამოვიდა, მე ჯერ კიდევ ავად ვიყავი, მეორედ ამ ერთი კვირის წინ მოინახულა. მიტიას სთხოვა, ამის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა, განსაკუთრებით შენთვის, მალულად იყო მისული.
ალიოშა ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, ამ ცნობამ გააოგნა.
- ივანი ჩემთან მიტიას შესახებ არაფერს ლაპარაკობს, - თქვა მან დინჯად, - საერთოდ ამ ბოლო ხანებში ჩვენ ძალიან ცოტას ვლაპარაკობთ. როცა მასთან მივდივარ, ყოველთვის უკმაყოფილოა ჩემი სტუმრობით. უკვე სამი კვირაა, არ მინახავს. ჰმ... ის თუ ამ ერთი კვირის წინ იყო, მაშინ... ამ ერთი კვირის განმავლობაში მიტიას მართლაც შეეტყო რაღაცნაირი ცვლილება...
- დიახ, ცვლილება, ცვლილება! - უცებ ეს სიტყვა აიტაცა გრუშენკამ, - მათ რაღაც საიდუმლო აქვთ! მიტიამ თავად გამიმხილა, რომ საიდუმლო აქვთ, და იცი, ისეთი საიდუმლო, რისგანაც მიტიამ მოსვენება დაკარგა. ადრე მხიარული იყო, არა, ახლაც მხიარულია, მაგრამ ხანდახან, როცა აუტყდება თავის ქნევა, დაიწყებს ოთახში ბოლთის ცემას და მარჯვენა ხელის თითებით თმების წეწვას, მაშინ ვიცი, რომ რაღაცა ტანჯავს, რაღაცა ლოდივით აწევს მის სულს... ამას კარგად ვხვდები!.. თორემ მხიარული იყო; თუმცა ახლაც მხიარულია!
- შენ თქვი, რომ გაღიზიანებულიაო?
- კი, გაღიზიანებულია, თუმცა მხიარულადაცაა. ხან ერთიანად დაძაბულია, მერე უცებ გამხიარულდება ხოლმე ცოტა ხნით, შემდეგ ისევ აფორიაქდება. იცი რა,

ალიოშა, ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ წინ ასეთი საშინელება ელის, ის კი
ხანდახან ისეთ უბრალო რამეზე ხარხარებს, თითქოს ბავშვი იყოს.
- ის მართლა გითხრა ივანის შესახებ, რომ ჩემთვის არაფერი გეთქვა? ასე თქვა:
არაფერი უთხრაო?
- ზუსტად ასე: არაფერი უთხრაო. ყველაზე მეტად შენი ეშინია მიტიას. მიტომაცაა
ეს საიდუმლო, თავად თქვა, რომ საიდუმლოა... ალიოშა, გენაცვალე, მიდი ერთი
და გამოსტყუე, რა საიდუმლო აქვთ ასეთი, შემდეგ მოდი და მითხარი, - უცებ
ვედრებით შესთხოვა გრუშენკამ, - გამაგებინე, რა მელის მე უბედურს! ამიტომაც
მოგიხმე.
- შენ გგონია, საიდუმლო შენ გეხება? მაშინ რაღა აზრი ჰქონდა შენთვის იმის
თქმას, რომ საიდუმლო აქვთ.
- არ ვიცი. შეიძლება კიდეც უნდოდა თქმა და ვერ მოახერხა, ვერ გაბედა. მხოლოდ
გამაფრთხილა - საიდუმლოაო, მაგრამ რა საიდუმლო, არ უთქვამს.
- შენ თვითონ რას ფიქრობ?
- რას ვფიქრობ? ჩემი ბოლო მოვიდა. სამივემ ჩემი აღსასრული მოამზადა,
ვინაიდან კატკაა ჩვენ შორის. ყველაფერი კატკას ბრალია, ყველაფერი მისგან
მოდის. „ასეთი და ისეთიაო“, მაშასადამე, მე არა ვარ მისნაირი. ამას ის პირში
მეუბნება, წინასწარ მაფრთხილებს. ჩემი მოშორება უნდა, მთელი საიდუმლო
ამაშია! ეს საიდუმლო ამ სამეულის მოგონილია - მიტკასი, კატკასი და ივან
ფიოდოროვიჩის. ალიოშა, დიდი ხანია, მინდა გკითხო: ამ ერთი კვირის წინ მიტკამ
მითხრა, რომ ივანს კატკა უყვარს, იმიტომაც დადის მასთან ასე ხშირ-ხშირადო.
მართალია ეს? ნამუსიანად მითხარი, ნუ დამინდობ.
- არ მოგატყუებ. მე ვფიქრობ, ივანს კატერინა არ უყვარს.
- მაშინ მეც ასე ვიფიქრე! მატყუებს ეგ უსინდისო! წეღანაც იმიტომ იეჭვიანა, რომ
შემდგომში ყველაფერი მე გადმომაბრალოს. ის ხომ ბრიყვია, მას ხომ არაფრის
დამალვა არ შეუძლია, გულახდილი კაცია... მხოლოდ მე, მხოლოდ მე! „შენ გჯერა,
რომ მე მოვკალი“ - ამას მე მეუბნება, მე, მე მსაყვედურობს! ღმერთმა დაიფაროს!
დამაცადოს იმ კატკამ, სასამართლოზე ერთ-ორ სიტყვას ისეთს ვეტყვი... იქ მე
ყველაფერს ვიტყვი!
გრუშენკა ისევ ატირდა.
- ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრა, გრუშენკა, - თქვა ალიოშამ და
წამოდგა, - უპირველეს ყოვლისა, ამქვეყნად შენზე მეტად მას არავინ უყვარს, ეს
აუცილებლად უნდა დამიჯერო. კარგად ვიცი, ამას წყალი არ გაუვა! მეორე ის,
რომ მე მისგან საიდუმლოს გამოტყუებას არ შევეცდები. თუ თვითონ გამიმხელს,
მაშინ ვეტყვი, რომ შენ დაგპირდი ამის თქმას, ამის შემდეგ მოვალ შენთან და
მოგიყვები. მხოლოდ, მე ასე მგონია... კატერინა აქ არაფერ შუაშია. საიდუმლო
ალბათ სხვა რამეს ეხება. ეს ნამდვილად ასე იქნება. მე ასე მგონია. ახლა კი
მშვიდობით!
ალოიშამ გრუშენკას ხელი ჩამოართვა. ქალი ისევ ტიროდა. ალიოშა მიხვდა, რომ
მისი დამაიმედებელი სიტყვები ქალმა ნაკლებად ირწმუნა. მაგრამ ისიც კარგი
იყო, გრუშენკამ დარდი რომ გაუზიარა და გული მოიოხა. ალიოშას ეცოდებოდა
გრუშენკა, არ უნდოდა მისი ასეთ მდგომარეობაში დატოვება, მაგრამ
ეჩქარებოდა. დღეს კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

II მტკივანი ფეხი

პირველ რიგში, ქალბატონ ხოხლაკოვასთან იყო მისასვლელი. ალიოშა სასწრაფოდ გაემართა მისი სახლისკენ, რათა ეს საქმე დროულად მოეთავებინა, მიტკასთან მისვლა რომ არ დაჰგვიანებოდა. ქალბატონი ხოხლაკოვა უკვე მესამე კვირაა, კოჭლობდა: რატომღაც ფეხი გაუსივდა და, მიუხედავად იმისა, რომ წოლითი რეჟიმი არ ჰქონდა დანიშნული, მაინც მომხიბლავ, მაგრამ არაგამომწვევ დეზაბილიეში გამოწყობილი თავის ბუდუარში ტახტზე იწვა. ამას წინათ ალიოშას, ქალბატონ ხოხლაკოვას შემხედვარეს, ჩაეცინა. რადგან ამ ბოლო ხანებში ამ ქალბატონმა, მიუხედავად ავადმყოფობისა, ერთობ კოხტაობა დაიწყო: მის ტუალეტს ნაირ-ნაირი თავსამკაულები და ბაფთები დაემატა. ალიოშა ხვდებოდა, რამაც გამოიწვია ეს ცვლილებები, მაგრამ ცდილობდა, თავიდან გამოედევნა ეს ფუჭი ეჭვები. უკანასკნელ ხანებში ქალბატონ ხოხლაკოვასთან სტუმრობას ახალგაზრდა ჩინოვნიკმა, პერხოტინმა მოუხშირა. ალიოშა, უკვე ოთხი დღე იყო გასული, რაც არ გამოჩენილა და როგორც კი სახლში შევიდა, პირდაპირ ლიზასკენ წასვლა დააპირა, რადგან გოგონას ალიოშასთან საქმე ჰქონდა. ჯერ კიდევ გუშინ ლიზამ ალიოშასთან თავისი მოახლე გააგზავნა და დააბარა, ალიოშა დაუყოვნებლივ მისულიყო მასთან, „ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამო“. ამან ალიოშა რატომღაც დააინტერესა. სანამ მოახლე ლიზას მოახსენებდა ალიოშას მობრძანებას, ქალბატონმა ხოხლაკოვამ ვიღაცისაგან შეიტყო მისი მოსვლის ამბავი და სასწრაფოდ გამოგზავნა მოახლე, რომ სტუმრისათვის ეთხოვა, პირველად მასთან შესულიყო, „მხოლოდ ერთი წუთით“. ალიოშამ გადაწყვიტა, პირველ რიგში, ქალბატონ ხოხლაკოვას თხოვნა დაეკმაყოფილებინა, რადგან ის მაინც არ მოისვენებდა და ყოველ წუთს ვიღაცას შემოაგზავნიდა მის დასაძახებლად. ქალბატონი ხოხლაკოვა ტახტზე წამოწოლილი დახვდა, განსაკუთრებულად, საგანგებოდ გამოწყობილი და, ეტყობოდა, საკმაოდ აღგზნებულიც ბრძანდებოდა. ალიოშას აღტაცებული შეძახილებით შეხვდა.

- საუკუნეა უკვე, მთელი საუკუნე, არ მინახიხართ! აჰ, მაპატიეთ, მთელი კვირაა ალბათ, თუმცა ოთხი დღის წინ არ იყავით, ოთხშაბათს?! თქვენ, დარწმუნებული ვარ, Lise-თან მოხვედით, გინდოდათ, უჩუმრად შეპარულიყავით მასთან, მე რომ არ გამეგო. ძვირფასო, ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, რომ იცოდეთ, როგორ მაწუხებს ჩემი ქალიშვილის ამბავი! მაგრამ ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით. ეს მთავარი საკითხია, მაგრამ მასზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკოთ. ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, მე თქვენ Lise-ს სრულიად განდობთ, ბერი ზოსიმას სიკვდილის შემდეგ - ღმერთმა გაანათლოს მისი სული! (ქალბატონმა ხოხლაკოვამ პირჯვარი გადაიწერა) - მისი სიკვდილის შემდეგ თქვენ გიყურებთ, როგორც სქიმოსანს, თუმცა ახლა ძალიან მოხდენილად ატარებთ კოსტიუმს. სად იშოვეთ ასეთი კარგი მკერავი? მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი, ამაზე მოგვიანებით. მომიტევეთ, ხანდახან ალიოშას რომ გეძახით, მე უკვე დავბერდი და ამის უფლება მაქვს, - კეკლუცად გაიღიმა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, - მაგრამ ესეც შემდეგ იყოს! მთავარი არ დამავიწყდეს, მთავარი. გამახსენეთ, გეთაყვა, თუ

ლაპარაკში სხვა რამეზე გადავერთე, მითხარით: „მთავარი-თქო?“ მაგრამ ვიცი კი, ახლა რა არის მთავარი? ალექსეი ფიოდოროვიჩ, მას შემდეგ, რაც Lise-მ უარი განაცხადა თავის დანაპირებზე, ბავშვურ დანაპირებზე, გამოგყოლოდათ ცოლად, თქვენ, რასაკვირველია, მიხვდით, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში სავარძელს მიჯაჭვული ავადმყოფი გოგონას ქარაფშუტული ფანტაზია, - მადლობა ღმერთს, ახლა იგი უკვე დადის. ეს ახალი ექიმი, რომელიც კატიამ მოსკოვიდან მოიწვია თქვენი უბედური ძმისათვის, რომელსაც ხვალ... ხვალ რა ვქნათ! მარტო ამის გაფიქრებაც მკლავს, ხვალინდელი დღე რომ გამახსენდება! რაც მთავარია, ცნობისმოყვარეობისაგან... ერთი სიტყვით, ეს ექიმი გუშინ ჩვენთან იყო და Lise გასინჯა... მარტო ვიზიტისათვის 50 მანეთი გადავიხადე. მაგრამ ეს ის არ არის, კვლავ იმაზე არ ვლაპარაკობ... სულ მთლად დავიბენი. ვჩქარობ. ნეტა სად მეჩქარება? თავადაც არ ვიცი. ამ ბოლო დროს რაღაც ვერა ვარ კარგად. ტვინი არეულ-დარეული მაქვს. მე ვგრძნობ, რომ თქვენ მალე მოწყენილობისაგან აქედან მოკურცხლავთ. ოჰ, ღმერთო ჩემო! რას ვსხედვართ ასე? ყავა, იულია, გლაფირა, ყავა!

ალიოშამ საჩქაროდ მადლობა მოახსენა და დაუმატა, რომ ახლახან მიირთვა ყავა.

- ვისთან?

- აგრაფენა ალექსანდროვნასთან.

- ეს... ეს იმ ქალთან! ოჰ, ეს ხომ მან დაღუპა ყველა, თუმცა რა ჩემი საქმეა, ამბობენ, ახლა ის წმინდანი გამხდარა, მაგრამ უკვე გვიანაა. სჯობდა ადრე, როცა საჭირო იყო, ახლა კი რა მნიშვნელობა აქვს? გაჩუმდით, გაჩუმდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, მე კიდევ იმდენი რამე მაქვს სათქმელი, მეშინია, ვერ მოვასწრებ. ეს საშინელი პროცესი... აუცილებლად დავესწრები, ვემზადები, დარბაზში სავარძლით შემიტანენ, ჯდომა რომ შემეძლოს, ჩემთან კიდევ ხალხი იქნება. გარდა ამისა, მე ხომ მოწმე ვარ. ნეტა, როგორ ვილაპარაკებ, როგორ ვილაპარაკებ! არ ვიცი, რას ვიტყვი. ჯერ უნდა დამაფიცონ, ასე არ არის?

- ასეა, მაგრამ არა მგონია, თქვენი მოსვლა აუცილებელი იყოს.

- მე ხომ ჯდომა შემიძლია; ოჰ, თქვენ მე მაბნევთ! ეს პროცესი, ეს ველური საქციელი, შემდეგ კი ყველა ციმბირში მიდის, სხვები ქორწინდებიან, ყველაფერი ეს სწრაფად ხდება, სწრაფად, ყველაფერი იცვლება და საბოლოოდ არაფერი, ყველა ბერდება და აღსასრულს ელის. დე, ასე იყოს, დავიღალე. ეს კატია - cette charmante personne[123], მან ყველა ჩემი იმედი დაამსხვრია; ახლა ის თქვენს ერთ ძმას ციმბირში გაჰყვება, თქვენი მეორე ძმა კი კატიას გაედევნება უკან და სადმე მეზობელ ქალაქში იცხოვრებს. და ასე ყველა ერთმანეთს დატანჯავს. მარტო ამის გაფიქრებაც გონებას მიმღვრევს. რაც მთავარია, ეს გამოხმაურება: პეტერბურგისა და მოსკოვის ყველა გაზეთმა მილიონჯერ დაწერა. ხო, მართლა, წარმოგიდგენიათ, ჩემზედაც დაწერეს, თურმე მე თქვენი ძმის „ლამაზი მეგობარი“ ვყოფილვარ. არ მინდა ახლა ცუდი სიტყვა ვთქვა, წარმოგიდგენიათ, თუ წარმოგიდგენიათ!

- შეუძლებელია! სად დაწერეს ასე?

- ამ წუთში გაჩვენებთ. გუშინ მივიღე და წავიკითხე. ესაა პეტერბურგის გაზეთი „სლუხი“. ამ გაზეთმა წელს დაიწყო გამოსვლა. მე კი ჭორები ძალიან მიყვარს და გამოვიწერე. და აი, რა მივიღე: როგორი ჭორი არსებობს თურმე. აი, აქ, ამ ადგილას წაიკითხეთ.

ქალბატონმა ხოხლაკოვამ ბალიშის ქვეშ შეყო ხელი, გაზეთი გამოაძრო და ალიოშას გადასცა.
ქალბატონი ხოხლაკოვა არათუ უბრალოდ განერვიულებული იყო, არამედ ერთიანად განადგურებული და, მართლაც, გამორიცხული არ იყო, ტვინი არეულ-დარეული ჰქონოდა. საგაზეთო შეტყობინება ყვითელი პრესისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით გამოირჩეოდა და ცხადია, მასზე ძალიან ცუდად უნდა ემოქმედა. მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ქალბატონ ხოხლაკოვას ამ წუთებში არ შეეძლო ერთ საკითხზე გაემახვილებინა ყურადღება, რადგან მეორე წუთში მას შეეძლო დაევიწყებინა საგაზეთო სტატია და გადამხტარიყო სულ სხვა თემაზე. ეს პროცესი რუსეთში საკმაოდ გახმაურდა, ამის შესახებ ალიოშამ კარგად იცოდა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რანაირი სასწაული ცნობები და კორესპონდენციები არ წაიკითხა ალიოშამ ამ ორი თვის განმავლობაში თავის ძმაზე, კარამაზოვებზე და საკუთარ თავზე. ერთ-ერთი გაზეთი იტყობინებოდა, თითქოს ალიოშა ამ ამბის შემდეგ ისე შეშინდა, გასქიმოსანდა და ბერად აღიკვეცაო; მეორე გაზეთი ამ ცნობას უარყოფდა და წერდა: პირიქით, ალიოშამ და ბერმა ზოსიმამ მონასტრის საგანძური გატეხეს და მონასტრიდან გაიქცნენო. გაზეთ „სლუხში“ გამოქვეყნებულ ცნობას სათაურად ჰქონდა: „სკოტოპრიგონევსკიდან (ვაი რომ, ჩვენს ქალაქს ასე ჰქვია, რაც მართალია, მართალია, მე დიდი ხანი გიმალავდით მის სახელს) კარამაზოვის პროცესის შესახებ“. მცირე მოცულობის ცნობაში ქალბატონ ხოხლაკოვას შესახებ პირდაპირ არაფერი ეწერა, საერთოდ, ყველა სახელი დაფარული იყო. იტყობინებოდნენ, რომ ბოროტმოქმედი, რომლის პროცესიც მალე უნდა ჩატარდეს, წარმოადგენს არმიის გადამდგარ კაპიტანს, ერთ უქნარა და თავხედ მებატონეს, ქალების დიდ მოტრფიალეს, რომელიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა „მარტოხელა მოწყენილ ქალბატონებზე“. ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი, ერთი „მოწყენილი ქვრივი“, რომელიც თავს იახალგაზრდავებდა, თუმცა მოზრდილი ქალიშვილი ჰყავდა, ბოროტმოქმედით ისე მოხიბლულა, რომ დანაშაულის ჩადენამდე ორი საათით ადრე სამი ათას მანეთსაც კი სთავაზობდა ბორიტმოქმედს, რომ მასთან ერთად ოქროს საბადოებზე გაქცეულიყო. მაგრამ ბოროტმა მკვლელმა სწორედ სამი ათასის გულისათვის მამის მოკვლა არჩია ოქროს საბადოებზე ამ ქალბატონთან ერთად გაქცევას. ეგონა, ყველაფერი ხახვივით შერჩებოდა და მამის მკვლელობა ამჯობინა ციმბირში ამ მოწყენილ, ორმოცი წლის ქვრივთან სიამტკბილობას. როგორც წესი, ეს ორაზროვანი კორესპონდენცია კეთილშობილი კაცის აღშფოთებული შეძახილებით მთავრდებოდა იმის გამო, თუ რაოდენ უზნეობაა მამისმკვლელობა და ბატონყმობა. ალიოშამ წერილი ინტერესით წაიკითხა, შემდეგ ფურცელი დაკეცა და ქალბატონ ხოხლაკოვას დაუბრუნა.
- ჩემზეა, აბა ვისზე? - განაზებული ხმით წარმოთქვა მან, - ნამდვილად ჩემზეა, განა მე არ ვპირდებოდი მას ერთი საათით ადრე ოქროს საბადოებს, მაგრამ მასთან ერთად გაქცევას სულაც არ ვაპირებდი! განა ამიტომ ვთავაზობდი? ეს მან განგებ დაწერა! შეუნდოს ღმერთმა, როგორც მე შევუნდობ ამ ცილისწამების გამო, ეს ხომ... ეს იცით, ვინ დაწერა? ეს თქვენი მეგობრის, რაკიტინის ნახელავია.
- შესაძლებელია, - თქვა ალიოშამ, - თუმცა მე არაფერი გამიგია.
- ისაა, ის, სხვა არავინ! მე ხომ სახლიდან გავაგდე... ხომ იცით ამის შესახებ?
- ვიცი, რომ თქვენ დაითხოვეთ სახლიდან, მაგრამ რატომ - ეს მე... ყოველ

შემთხვევაში, თქვენგან არ გამიგია.
- მაშასადამე, მან გითხრათ! რაო, ძალიან მლანძღავს, ძალიან?
- დიახ, გლანძღავთ, მაგრამ ის ყველას ლანძღავს. კი მაგრამ, რატომ უთხარით
უარი მიღებაზე - ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს. საერთოდ, ძალიან
იშვიათად ვხვდები. ჩვენ არ ვმეგობრობთ.
- რაც არის, არის, გეტყვით, გაგანდობთ ყველაფერს, სხვა გზა არა მაქვს,
მოვინანიებ, ვინაიდან, იყო რაღაც მომენტი, როცა მე ვიყავი დამნაშავე. ოღონდ
ცოტა დამნაშავე, მცირედი დამნაშავე, ისე პაწაწუნა დამნაშავე, რომ შეიძლება
ითქვას, სულ არ ვიყავი დამნაშავე. იცით რა, გეთაყვა, - კეკლუცად თქვა
ქალბატონმა ხოხლაკოვამ და სახეზე იდუმალებით მოცული ღიმილი აღებეჭდა, -
იცით რა, მე ვეჭვობ... მაპატიეთ, ალიოშა, თქვენ მე როგორც შვილს, ისე
გიყურებთ... არა, არა, პირიქით, როგორც მამას... იმიტომ, რომ დედაშვილობა ან
არ გამოდგება... მე თქვენთან ისე ვარ, როგორც მამა ზოსიმასთან აღსარებაზე, ეს
უფრო რაღაცას ჰგავს და ამ სიტუაციასაც ძალიან უხდება; ახლახან მე ხომ თქვენ
სქიმოსანი გიწოდეთ. ჰოდა, ამ საწყალმა ახალგაზრდა კაცმა, თქვენმა მეგობარმა
რაკიტინმა (ღმერთო ჩემო, მე მასზე გაბრაზებაც არ შემიძლია! კი არ ვბრაზობ,
ნაწყენი ვარ, ისიც ძალიან არა), ამ ფუქსავატმა ჭაბუკმა, წარმოგიდგენიათ, ჩემი
შეყვარება მოინდომა. მე ეს ამბავი გვიან შევამჩნიე. მანამდე კი, ამ ერთი თვის
წინ, მან ჩემთან სიარულს მოუხშირა, თითქმის ყოველდღე დადიოდა. მართალია,
ადრეც ვიცნობდით ერთმანეთს. არაფერი ვიცოდი... ანაზდად გონება გამეხსნა და
რაღაცას მივხვდი. თქვენ ალბათ ისიც მოგეხსენებათ, რომ მე ამ ერთი თვის წინ
გავიცანი ერთი აქაური ახალგაზრდა ჩინოვნიკი, თავმდაბალი, ლამაზი და
ღირსეული ახალგაზრდა კაცი, პიოტრ ილიჩ პერხოტინი. იგი ჩემი ოჯახის ხშირი
სტუმარი გახდა. თქვენც ხშირად შეხვედრიხართ აქ. ხომ მართლა ღირსეული და
სერიოზული ადამიანია?! იგი ჩემთან მოდის სამ დღეში ერთხელ, ყოველდღე კი
არა (თუნდაც ყოველდღე დადიოდეს). ყოველთვის კარგად ჩაცმულია ხოლმე.
ალიოშა, საერთოდ, მე მიყვარს ახალგაზრდები, ნიჭიერი და თავდაჭერილი
ახალგაზრდები, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მას კი თითქმის
სახელმწიფოებრივი აზროვნება აქვს, ისე ლამაზად საუბრობს. მე აუცილებლად,
აუცილებლად გავუწევ რეკომენდაციას. ესაა მომავალი დიპლომატი. იმ საშინელ
დღეს სიკვდილს გადამარჩინა. თქვენი მეგობარი რაკიტინი კი ისეთი ჩექმებით
მოდიოდა, დამიჯდებოდა წინ და ფეხებს ხალიჩაზე გაჭიმავდა, რომ... ერთი
სიტყვით, მან რაღაცნაირი გადაკრული ლაპარაკი დამიწყო, ერთხელ წასვლისას
კი საშინლად მაგრად მომიჭირა ხელი. როგორც კი ხელი მომიჭირა, უმალვე ფეხი
ამტკივდა. ის და პიოტრ ილიჩი ადრეც ხვდებოდნენ ხოლმე ჩემთან ერთმანეთს.
რაკიტინი სულ კბენდა და კბენდა, ეტყობოდა, რაღაც ბოღმა ჰქონდა მისი. მე
ვუყურებდი მათ პაექრობას და ჩემთვის გუნებაში მეცინებოდა. ერთხელაც
ჩემთვის ვზივარ, არა, ვწევარ და მოულოდნელად ჩემთან შემოდის მიხაილ
ივანოვიჩი. შემოდის და წარმოგიდგენიათ, მოაქვს ჩემთან თავისი ლექსი, პატარა
ლექსი მტკივან ფეხზე, ჩემს მტკივან ფეხზე, ლექსად აღწერა ჩემი მტკივანი ფეხი.
მოიცათ, როგორ იყო:
ვაი ფეხი, ვაი ფეხი,
ცოტა წამომტკივდა ფეხი... -
რაღაც ამდაგვარი, - არ შემიძლია ლექსების დამახსოვრება, - აი, აქ მიდევს, - მერე
განახებთ, მშვენიერი, მშვენიერი რამ იყო, არა მხოლოდ ფეხის შესახებ, იყო კიდევ

რაღაც დამრიგებლური, მშვენიერი იდეა, მხოლოდ ესაა, ახლა დამავიწყდა. ერთი
სიტყვით, ალბომში შესატანი ლექსია! მე, რასაკვირველია, მადლობა მოვახსენე
და ისიც ძალიან კმაყოფილი დარჩა. ამ დროს ოთახში შემოვიდა პიოტრ ილიჩი,
მიხაილ ივანოვიჩს არ ესიამოვნა მისი დანახვა. მივხვდი, რომ მან რაკიტინს
რაღაცაში ხელი შეუშალა, ვინაიდან ლექსის წაკითხვის შემდეგ ვიგრძენი,
რაკიტინს რაღაცის თქმა უნდოდა. ამ დროს კი პიოტრ ილიჩი გამოჩნდა. არ
დავაყოვნე და პიოტრ ილიჩს ლექსი წავაკითხე, მაგრამ ავტორი არ
დამისახელებია. დარწმუნებული ვარ, ღრმად მჯერა, ის მაშინვე მიხვდა, ვინ იყო
ავტორი, თუმცა დღემდე არ აღიარებს; ამას განგებ აკეთებს. პიოტრ ილიჩმა
როგორც კი ლექსი წაიკითხა, სიცილი აუტყდა და დაიწყო ლექსის გაკრიტიკება:
რა უმსგავსო ლექსია, ალბათ ვინმე სემინარისტის შეთხზულიაო, - თანაც ამას
ისეთი აზარტით ამბობდა, ისეთი აზარტით! თქვენი მეგობარი კი, იმის მაგივრად,
რომ მასაც გასცინებოდა, საშინლად დაიბოღმა... ღმერთმანი, მეგონა,
წაიჩხუბებდნენ: „ეს მე დავწერე, ეს ხუმრობით არის დაწერილი, ვინაიდან,
საერთოდ, ლექსების წერას სამარცხვინო საქმიანობად ვთვლი... ოღონდ ჩემი
ლექსი კარგია. თქვენს პუშკინს ქალის ფეხების გულისათვის ძეგლის დადგმას
უპირებენ, მე კი ეს ლექსი რაღაც მიმართულებით მაქვს დაწერილი, თქვენ
ბატონყმობის მომხრე ხართ; თქვენ ჰუმანურობის ნატამალიც არ გაგაჩნიათ,
თქვენ ვერც ერთი თანამედროვე იდეა ვერ გაითავისეთ, განვითარება თქვენ არ
შეგხებიათ, თქვენ ჩინოვნიკი და მექრთამე ხართო!“ აქ უკვე მე ჩავერთე და
ყვირილით დავუწყე თხოვნა. კარგად მოგეხსენებათ, პიოტრ ილიჩი არც ისე
მორიდებული კაცია, მაგრამ უცებ თავაზიანი გახდა: უსმენდა, უყურებდა მას
დაცინვით, თან ებოდიშებოდა: „მე არ ვიცოდი, ლექსი თუ თქვენი დაწერილი იყო.
რომ მცოდნოდა, ამას როგორ ვიტყოდი, პირიქით, შეგაქებდით... პოეტები
ნერვიული ხალხი ხართო...“ მოკლედ, მშვიდად და თავაზიანად გაამასხარავა. ეს
მან მოგვიანებით ამიხსნა, მაშინ რაკიტინს ყველაფერი დაცინვით ვუთხარიო. მე
კი მეგონა, სერიოზულად ეუბნებოდა. მაშინ, როგორც ახლა, ვიწექი ჩემთვის და
ვფიქრობდი: კარგი იქნება, ახლა ერთი ვიკივლო და მიხაილ ივანოვიჩი სახლიდან
დავითხოვო, ჩემს სახლში ჩემს სტუმარს ასე უხეშად რომ უყვირის-მეთქი. გინდ
დაიჯერეთ და გინდ არა, ვიწექი, თვალები დახუჭული მქონდა და ვფიქრობდი:
კარგი იქნებოდა თუ არა, ვერაფრით გადამეწყვიტა და ვიტანჯებოდი, გულს სულ
ბაგა-ბუგი გაუდიოდა: ვიკივლო თუ არ ვიკივლო?! ერთი ხმა ჩამესმის - იკივლეო,
მეორე მეუბნება - არ იკივლოო! როგორც კი ამ მეორე ხმამ მითხრა ეს, ვიკივლე
და გული წამივიდა. ამას ერთი აურზაური მოჰყვა. მე უცებ ავდექი და რაკიტინს
ვუთხარი: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ, მოგახსენოთ, რომ მე ამას
იქით აღარ მსურს თქვენი ჩემს სახლში ხილვა-მეთქი. აი, ასე გავაძევე. ოჰ,
ალექსეი ფიოდოროვიჩ! თავადაც კარგად ვიცი, ცუდად რომ მოვიქეცი,
ყველაფერი გავითამაშე, სულაც არ ვიყავი მასზე გაბრაზებული, მაგრამ მთავარი
ის არის, მეგონა, რომ ასე აჯობებდა, კარგი იქნებოდა ასეთი სცენა... ოღონდ
დამიჯერეთ, ეს სცენა მაინც ნატურალური გამოვიდა, მე ავტირდი კიდეც,
შემდგომშიც რამდენიმე დღე ვტიროდი. ერთ მშვენიერ დღეს, ნასადილევს კი
უცბად ყველაფერი გადამავიწყდა. რაკიტინმა ჩემთან სიარულს თავი დაანება,
ორი კვირის განმავლობაში არ მოსულა. ჩემთვის ვფიქრობდი: ნუთუ სულ აღარ
მოვა? გუშინ კი, როცა მოულოდნელად ეს გაზეთი მივიღე და წავიკითხე, ოხვრა
აღმომხდა; ეს ხომ მისი დაწერილია, აქედან წასული შინ მივიდა და დაწერა,

გააგზავნა და დაუბეჭდეს. სწორედ ორი კვირის წინ მოხდა. მხოლოდ ერთი რამაა ყველაზე საშინელი, ალიოშა - რაზედაც ახლა ვბჟუტურებ სულ არაა საჭირო, რაც საჭიროა, იმაზე არაფერს ვამბობ! რა ვქნა, უნებურად მომდის!
- დღეს ძალიან ვჩქარობ, ძმასთან მაგვიანდება, - მორიდებულად თქვა ალიოშამ.
- სწორედაც, სწორედაც! მე თქვენ ყველაფერი გამახსენეთ! მისმინეთ, რა არის აფექტი?
- რა აფექტი? - გაიკვირვა ალიოშამ.
- სასამართლოს აფექტი. ისეთი აფექტი, რომლის გამოც ყველაფერს აპატიებენ. რაც არ უნდა ჩაიდინო - ყველაფერს მოგიტევებენ.
- რაზე ამბობთ ამას?
- აი, რაზე: ეს კატია... ოჰ, ეს საყვარელი, საყვარელი არსება, ვეღარ გავიგე, ვინ უყვარს. ამას წინათ აქ იჯდა და ვერაფერი გამოვტყუე. ჩემთან სულ ზერელედ საუბრობს, მხოლოდ ჩემს ავადმყოფობაზე, სხვა არაფერზე. ისეთი ტონით მელაპარაკება, რომ რამდენჯერმე ჩემს თავს ვუთხარი: რაც გინდა, ის გიქნია, ღმერთი იყოს შენი მფარველი-მეთქი... ხო, მართლა, აფექტის შესახებ: ის ექიმი ჩამოვიდა. თქვენ ხომ იცით, ექიმი რომ ჩამოვიდა. როგორ არ გეცოდინებათ?! ის ექიმი გიჟებისაა, თქვენ რომ გამოიწერეთ, თქვენ კი არა, კატიამ! ყველაფერი კატიამ! ჰო, არის თავისთვის კაცი, სულაც არ არის გიჟი, მაგრამ უცებ აფექტი მოსდის. მას ახსოვს თავი და იცის, რას აკეთებს, მაგრამ უცებ აფექტი... ალბათ დმიტრი ფიოდოროვიჩიც აფექტში იყო. მას შემდეგ, რაც ახალი სასამართლოები გაიხსნა, ახლა შევიტყვეთ აფექტის შესახებ. ეს ახალი სასამართლოების დამსახურებაა. ჩემთან ის ექიმი მოვიდა და გამომკითხა იმ საღამოსა და ოქროს საბადოების შესახებ: როგორ გამოიყურებოდა დმიტრი ფიოდოროვიჩიო? აფექტში იყო თუ არაო? სწორედაც - მოვიდა და ყვიროდა: ფული, ფულიო, ჩქარა სამი ათასი მომეციო, შემდეგ წავიდა და მოკლა. ამბობდა, არ მინდა მოვკლაო, მაინც წავიდა და მოკლა. სწორედაც, ამის გათვალისწინებით აპატიებენ, რომ არ უნდოდა და მოკლა.
- კი მაგრამ, რომ არ მოუკლავს, - უხეშად გააწყვეტინა ალიოშამ. მოუთმენლობამ და გაღიზიანებამ უფრო და უფრო მოიცვა იგი.
- ვიცი, მკვლელი მოხუცი გრიგორია...
- ვინ გრიგორი? - იყვირა ალიოშამ.
- ის, ის, ის გრიგორი, რომელსაც დმიტრი ფიოდოროვიჩმა ჩაარტყა, ის დავარდა, შემდეგ ადგა, ნახა კარი ღია, შევიდა სახლში და მოკლა ფიოდორ პავლოვიჩი.
- რისთვის, რისთვის?
- აქაც აფექტი. როცა დმიტრი ფიოდოროვიჩმა მას თავში ჩაარტყა, გონება დაკარგა, მერმე გამოფხიზლდა და აფექტში აღმოჩნდა, წავიდა და მოკლა. რაც შეეხება იმას, რომ თავად ამბობს, არ მომიკლავსო, შეიძლება ეს არც ახსოვდეს. მხოლოდ იცით რა: უკეთესი იქნებოდა, დმიტრი ფიოდოროვიჩის მოკლული იყოს. ეს ალბათ ასეცაა, თუმცა მე ვამბობ, გრიგორიმ მოკლა-მეთქი. ალბათ მაინც დმიტრი ფიოდოროვიჩმა მოკლა, ეს გაცილებით, გაცილებით უკეთესია! იმიტომ კი არაა კარგი, შვილმა მამა რომ მოკლა; მე კი არ ვაქებ, პირიქით, შვილებმა მამებს პატივი უნდა სცენ, მაგრამ მაინც უკეთესი იქნებოდა, თუ ის იქნებოდა მკვლელი. მაშინ თქვენ სატირალიც არ გექნებოდათ, რადგან მან ისე მოკლა, არც ახსოვს, ან ყველაფერი ახსოვს, მაგრამ არ იცის, როგორ ჩაიდინა. დაე, მას აპატიონ; ეს ძალიან ჰუმანური იქნება, ყველა დაინახავს ახალი სასამართლოების

სიკეთეს. არც კი ვიცოდი ეს, ამბობენ, ეს წესი დიდი ხანია აქვთო, მე კი გუშინ გავიგე. ისე გამიკვირდა, მაშინვე მომინდა თქვენთან კაცის გამოგზავნა; გარდა ამისა, როგორც კი აპატიებენ, სასამართლოდან პირდაპირ ჩემთან მოიყვანეთ სადილად, ნაცნობ-მეგობრებს მოვიწვევ და შევსვათ ახალი სასამართლოების სადღეგრძელო. არა მგონია, რომ ის საშიში პიროვნება იყოს. მე მოვიწვევ მრავალ სტუმარს, მისი კაცად ქცევა ყოველთვის შეიძლება; ამას გარდა, ნებისმიერ სხვა ქალაქში შეუძლია იმუშაოს მომრიგებელ მოსამართლედ ან რაღაც ამდაგვარად, ვინაიდან ის, ვინც საკუთარ თავზე გამოსცდის უბედურებას, ყველაზე კარგი მსაჯული ხდება. რაც მთავარია, ვინ არ არის ახლა აფექტში?! მე, თქვენ, ყველა განა აფექტში არ ვართ? რამდენი მაგალითია: ზის თავისთვის კაცი და მღერის რომანსს, უცებ მას რაღაც არ მოეწონება, აიღებს პისტოლეტს და კლავს პირველ შემხვედრს, შემდეგ კი მას აპატიებენ. ამის შესახებ ახლახან წავიკითხე და შემდგომში ექიმებმა ყველაფერი დამიდასტურეს. მაპატიეთ ჩემი Lise აფექტშია, ამის გამო ჯერ კიდევ გუშინ ვტიროდი, სამი დღე ვტიროდი, დღეს კი დავრწმუნდი, რომ აფექტშია. ოჰ, Lise ძალიან მტანჯავს! მე მგონი, ჭკუა დაკარგა. რატომ გიხმოთ? ეს მან გიხმოთ, თუ თქვენ თავად მოხვედით?
- დიახ, მან მიხმო, ახლა მასთან შევალ, - უცებ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ალიოშამ და წამოდგა.
- აჰ, ძვირფასო, ძვირფასო, ალექსეი ფიოდოროვიჩ, სწორედ ეს არის, მგონი, ყველაზე მთავარი. - იყვირა ქალბატონმა ხოხლაკოვამ და ატირდა, - ღმერთია მოწმე, რომ გულწრფელად განდობთ ჩემს ქალიშვილს, არც იმას არა უშავს, რომ მან ჩემს დაუკითხავად გიხმოთ. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენს ძმას ივანს ასე ადვილად მე ჩემს ქალიშვილს ვერ ვანდობ, თუმცა კვლავ ვთვლი მას რაინდული ღირსებებით შემკულ ახალგაზრდად. წარმოგიდგენიათ, თურმე ამას წინათ ყოფილა Lise-თან, მე კი არაფერი ვიცოდი.
- ეგ როგორ, როდის? - ძალიან გაუკვირდა ალიოშას. არც დამჯდარა, ისე უსმენდა.
- ახლავე გიამბობთ. ალბათ ამიტომაც დაგიძახეთ, ვინაიდან აღარ მახსოვს, რისთვის დაგიძახეთ. საერთოდ, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ივან ფიოდოროვიჩი ჩემთან ორჯერ ბრძანდებოდა სტუმრად. პირველად, როგორც ნაცნობი, უბრალო ვიზიტით მეახლა, მეორედ, ეს უკვე ამას წინათ მოხდა, ჩემთან კატია სტუმრობდა და მის სანახავად შემოიარა. რასაკვირველია, სულაც არ გამაჩნდა იმის პრეტენზია, რომ მას ჩემთან ხშირ-ხშირად უნდა ევლო. ვიცი, უჩემოდაც რამდენი საქმე აქვს, vous comprenez, cette affaire et la mort terrible de votre papa[124], მაგრამ ახლახან მოულოდნელად შევიტყვე, ჩვენთან კიდევ ერთხელ ყოფილა, ჩემთან კი არა, Lise-თან, ამ ექვსი დღის წინ. მოსულა, ხუთ წუთს მჯდარა და წასულა. მე კი ეს ამბავი სამი დღის შემდეგ გლაფირასაგან შევიტყვე, ამან ძალიან გამაოგნა. მაშინვე Lise-ს ვუხმე. მას გაეცინა და მითხრა: ივან ფიოდოროვიჩს ეგონა, გეძინათ და ჩემთან შემოვიდა თქვენი ჯანმრთელობის საკითხავადო. ცხადია, ეს ასეც იქნებოდა. მაგრამ Lise, Lise, ღმერთო ჩემო, როგორ ვწუხვარ მასზე! წარმოგიდგენიათ, ერთ ღამეს, ამ ოთხი დღის წინ, თქვენი წასვლის შემდეგ მოულოდნელად კრუნჩხვები დაეწყო, აყვირდა, ბორგავდა და ისტერიკაში ჩავარდა! ნეტა რატომ მე არ მემართება ისტერიკები? მეორე დღესაც გაუმეორდა, მესამე დღესაც, და აი, გუშინ კი აფექტი... უცებ აკივლდა: „ვერ ვიტან ივან ფიოდოროვიჩს, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ჩვენს სახლში აღარ მიიღოთ, მისი ფეხი არ ვნახო აქო!“ მოულოდნელობისაგან გავშტერდი და

შევეწინააღმდეგე: როგორ უნდა უთხრა უარი მიღებაზე ასეთ ღირსეულ, განათლებულ და უბედურ ადამიანს, ვინაიდან ის ამბავი, რაც თქვენ გადაგხდათ, უბედურებაა, ბედნიერება ხომ არ არის? უცებ მან ჩემს სიტყვებზე დამცინავად გადაიხარხარა. გამეხარდა, რომ გავაცინე, იქნებ შეტევებმა გადაუაროს-მეთქი, მით უმეტეს, რომ თავად მინდოდა, უარი მეთქვა ივან ფიოდოროვიჩისათვის ამ უცნაური ვიზიტების გამო, რომელიც ჩემი ნებართვის გარეშე ხდებოდა და ახსნა-განმარტება მომეთხოვა მისგან. დღეს დილით ლიზამ გაიღვიძა თუ არა, იულიას გაუჯავრდა და, წარმოგიდგენიათ, სილაც კი გააწნა. ეს ხომ შემზარავი რამაა, მე ჩემს მოახლეებს თქვენობით მივმართავ ხოლმე. ერთი საათის შემდეგ ვხედავ, ლიზა იულიას ფეხებზე ეხვევა და უკოცნის. მე კი შემომითვალა: აღარასოდეს შემოვალ შენთანო. როცა მასთან მივლასლასდი, მეცა, ატირდა და კოცნა დამიწყო. ისე გამომისტუმრა, სიტყვაც არ უთქვამს. ასე რომ, კვლავ გაურკვევლობაში ვარ. ახლა, ძვირფასო ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენი იმედიღა დამრჩა, რა თქმა უნდა, თქვენს ხელშია ჩემი ბედ-იღბალი. ერთი სათხოვარი მაქვს - მიდით ლიზასთან და ყველაფერი დაწვრილებით შეიტყვეთ, თქვენ ეს კარგად გეხერხებათ, შემდეგ მოდით ჩემთან და უბედურ დედას გამაგებინეთ ყველაფერი, ვინაიდან, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, მე შეიძლება მოვკვდე, უბრალოდ მოვკვდე, ან სახლიდან გავიქცე. ძალ-ღონე აღარ მყოფნის, მოთმინება შემიძლია, მაგრამ შეიძლება ისიც დავკარგო, მაშინ კი... მაშინ საშინელება მოხდება. ოო, ღმერთო ჩემო, პიოტრ ილიჩ, როგორც იქნა! - შეჰყვირა უცებ მან და სახე გაებადრა პერხოტინის დანახვაზე, - დაგაგვიანდათ, დაგაგვიანდათ! დაბრძანდით და მოყევით, როგორაა საქმე, რას ამბობს ადვოკატი? სად მიდიხართ, ალექსეი ფიოდოროვიჩ?
- Lise-თან.
- ხო, მართლა! ხომ არ დაგავიწყდათ, არ დაგავიწყდეთ, რაც გთხოვეთ, ეს ბედია, ბედი!
- რასაკვირველია, არ დამავიწყდება, თუ შევძელი... ისედაც დამაგვიანდა, - ჩაიბურტყუნა ალიოშამ და სასწრაფოდ დაემშვიდობა მათ.
- არა აუცილებლად, აუცილებლად შემომიარეთ, არავითარი „თუ შევძელი...“ თუ არა და, მოვკვდები! - ყვირილით დაადევნა ქალბატონმა ხოხლაკოვამ, მაგრამ ალიოშა უკვე ოთახიდან გასული იყო.

III ალქაჯი

ალიოშას ლიზა ნახევრადმწოლიარე დახვდა იმ სავარძელში, რომლითაც ადრე დაატარებდნენ ხოლმე, როცა სიარული არ შეეძლო. მის დანახვაზე ლიზა არც განძრეულა, მხოლოდ თავისი გამჭოლი მზერა მიაპყრო. თვალები რაღაცნაირად აღგზნებული ჰქონდა, პირისახე გაყვითლებული. ალიოშას გაუკვირდა, ამ სამ დღეში როგორ შეცვლილიყო ლიზა, ცოტა გამხდარიც კი ეჩვენა. ლიზამ ხელი არ გაუწოდა. ალიოშა თავად შეეხო მის თხელ-თხელ, ჩამოთლილ თითებს, რომლებიც გაუნძრევლად ედო ლამაზ კაბაზე და მერმე ჩუმად ჩამოჯდა მის პირდაპირ.

- ვიცი, რომ საპატიმროში მიგეჩქარებათ, - უხეშად თქვა ლიზამ, - თქვენ კი ორი საათი დედაჩემმა დაგაყოვნათ. რაო, ჩემზე და იულიაზე გიამბოთ ალბათ.
- როგორ მიხვდით? - ჰკითხა ალიოშამ.
- ყურს გიგდებდით. რას მომაშტერდით? მინდოდა და ყურს გიგდებდით, არაფერია ამაში ცუდი, საბოდიშო არაფერი მაქვს.
- რაღაცით ხართ შეწუხებული?
- პირიქით, ძალიანაც გახარებული ვარ. სწორედ ახლა ჩემთვის ვფიქრობდი, უკვე მერამდენეჯერ: რა კარგი ვქენი, რომ უარი გითხარით ცოლობაზე. თქვენ ქმრად არ ივარგებთ: მე თქვენ ცოლად გამოგყვებით, მერე, როცა სხვა ვინმეს შევიყვარებ და მასთან წერილს გაგატანთ, თქვენ წაიღებთ, აუცილებლად წაიღებთ და უკან პასუხსაც მომიტანთ. ორმოცი წლისაც ჩემი სასიყვარულო ბარათების აქეთ-იქეთ ტარებაში იქნებით.
ლიზამ უცებ გაიცინა.
- რაღაცნაირად გაავებული ხართ, თუმცა, ამავე დროს, გულწრფელიც, - გაეცინა ალიოშას.
- გულწრფელობა იმაში გამოიხატება, რომ თქვენი არ მრცხვენია, არათუ არ მრცხვენია, არამედ არც მინდა, მრცხვენოდეს სწორედ თქვენი. ალიოშა, რატომ არ გცემთ პატივს? ძალიან მიყვარხართ, მაგრამ პატივს არ გცემთ. მე რომ თქვენ პატივს გცემდეთ, განა ასე ურცხვად ვილაპარაკებდი? ასე არ არის?
- ასეა.
- თქვენ გჯერათ, მე რომ თქვენი არ მრცხვენია?
- არა, არ მჯერა.
ლიზას ნერვიული სიცილი აუტყდა, მერე სხაპასხუპით ალაპარაკდა.
- თქვენს ძმას, დმიტრი ფიოდოროვიჩს, საპატიმროში კანფეტი გავუგზავნე. ალიოშა, იცით, თქვენ რა კარგი ხართ! საშინლად მეყვარებით იმისათვის, რომ დამრთეთ ნება, აღარ მყვარებოდით.
- დღეს რისთვის მომიხმეთ, Lise?
- მინდოდა, თქვენთვის ერთი ჩემი სურვილი მეთქვა. ძალიან მინდა, ვინმემ მტანჯოს, შემირთოს ცოლად, მომატყუოს და მიმატოვოს. მე არ მინდა ბედნიერი ვიყო.
- უწესრიგობა შეგიყვარდათ?
- დიახაც, უწესრიგობა მსურს. მინდა, სახლს ცეცხლი წავუკიდო. ხანდახან წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ უჩუმრად მივიპარები რომელიმე სახლთან და ცეცხლს ვუკიდებ, სახლი იწვის, ხალხი კი ცდილობს, ჩააქროს ცეცხლი. მე ვიცი და ვდუმვარ. რას ვბჟუტურებ! ოჰ, როგორი მოწყენილობაა!
მან ზიზღით ჩაიქნია ხელი.
- მდიდრულად ცხოვრობთ, - ჩუმად თქვა ალიოშამ.
- უკეთესია ღარიბი ვიყო?
- უკეთესია.
- ამის შესახებ თქვენმა ბერმა დაგმოძღვრათ. ტყუილია ყველაფერი. სჯობს, მე ვიყო მდიდარი, სხვები ღარიბები, მე კანფეტებს ვჭამ და ნაღებს ვსვამ, სხვას არაფერს მივცემ, ოჰ, არაფერი მითხრათ, არაფერი! - მან ისევ ჩაიქნია ხელი, თუმცა ალიოშას არც დაუპირებია რამის თქმა, - ამის შესახებ ადრეც მეუბნებოდით, ზეპირად მახსოვს. როგორი მოსაწყენია ყველაფერი. ღარიბი რომ ვიყო, ვიღაცას მოვკლავ - თუმცა, შეიძლება, მდიდარმაც მოვკლა ვინმე, - რაღაც

ხომ უნდა გავაკეთო! იცი, მკა მიყვარს, ჭვავის მკა. მე თქვენ ცოლად გამოგყვებით, თქვენ კი გლეხი გახდით, ნამდვილი გლეხი, კვიცი გვეყოლება, არ გინდათ? თქვენ კალგანოვს იცნობთ?
- ვიცნობ.
- ის აქეთ-იქეთ დაეხეტება და ოცნებობს. ამბობს: ცხოვრებას ოცნება სჯობია, ოცნება ყველაზე მხიარულ რამეებზე შეიძლება, ცხოვრება მოწყენილობააო. მალე ცოლის შერთვას აპირებს, მეც კი ამიხსნა სიყვარული. თქვენ შეგიძლიათ ჩიკორის დაბზრიალება?
- შემიძლია.
- ის ჩიკორივითაა, უნდა დააბზრიალო და გაუშვა, შემდეგ ურტყა და ურტყა მათრახი: გავყვები მას ცოლად და მთელი ცხოვრება ჩიკორივით ვატრიალებ. თქვენ არ გეთაკილებათ ჩემთან ერთად ჯდომა?
- არა.
- ძალიან მიბრაზდებით, მე რომ სიწმინდეებზე არ ვლაპარაკობ. არ მინდა, წმინდანი ვიყო. საიქიოში რა სასჯელს მომისჯიან ყველაზე დიდი ცოდვისათვის? თქვენ ეს აუცილებლად გეცოდინებათ.
- ღმერთი განსჯის, - თქვა ალიოშამ და დაჟინებით ჩააცქერდა ლიზას თვალებში.
- მე ასე მინდა. როცა იქ მივალ და ისინი ჩემს განსჯას დაიწყებენ, მათ თვალწინ გადავიხარხარებ. იცით, ძალიან მინდა, სახლი დავწვა, ალიოშა, ჩვენი სახლი. თქვენ რა, ჩემი სულ არ გჯერათ?
- რატომაც არა? არიან ასეთი ბავშვები, ასე 12 წლამდე ასაკისანი, მანია აქვთ, უნდათ, რაიმე დაწვან, აკეთებენ კიდეც. ავადმყოფობაა ასეთი.
- ტყუილია, ტყუილი. დაე, იყვნენ ასეთი ბავშვები, მაგრამ მე სხვა რამეს ვამბობ.
- თქვენ ბოროტება სიკეთე გგონიათ: ეს წუთიერი კრიზისია, ეს ალბათ თქვენი ადრინდელი დაავადების ბრალია.
- თქვენ კი მე გძულვართ! მე უბრალოდ სიკეთის ქმნა არ მსურს, მსურს სულ ბოროტება ვაკეთო, ეს დაავადება არ არის.
- რატომ უნდა აკეთოთ ბოროტება?
- არსად რომ აღარაფერი დარჩეს. რა კარგი იქნება, როცა ყველაფერი განადგურდება! იცით, ალიოშა, მე ხანდახან ვფიქრობ, ბევრი საშინელი ბოროტება ჩავიდინო, ჩუმ-ჩუმად ვაკეთო ავი, მერე, როცა უცებ ყველა გაიგებს, გარს შემომერტყმებიან და დაიწყებენ ჩემზე თითით ჩვენებას, მაშინ ყველას თვალებში შევხედავ და ეს ძალიან სასიამოვნო იქნება. რატომაა ეს ასე სასიამოვნო, ალიოშა?
- ასეა. ესაა მოთხოვნილება რაიმე კარგის განადგურების, ან როგორც თავად თქვით, დაწვისა და გადაბუგვის. ასეც ხდება ხოლმე.
- განა მხოლოდ ვამბობ ამას, გავაკეთებ კიდეც.
- მჯერა.
- ოჰ, როგორ მიყვარხარ იმისათვის, რომ გჯერა ჩემი. თქვენ სულაც არ მატყუებთ, არ მატყუებთ. ხომ არ ფიქრობთ, მე ამას განგებ ვლაპარაკობ, თქვენ რომ გაგაღიზიანოთ.
- არა, არ ვფიქრობ... თუმცა შეიძლება ასეცაა, ხანდახან ასეთი მოთხოვნილებებიც გაქვთ.
- ხანდახან მაქვს. მე თქვენ არასოდეს მოგატყუებთ, - ჩაილაპარაკა ლიზამ და თვალები რაღაცნაირად აუკიაფდა.

ახლა ალიოშას ყველაზე მეტად მისი სერიოზულობა აკვირვებდა: ხუმრობის ნატამალიც არ ეტყობოდა, როცა ადრე ყველაზე „სერიოზულ“ წუთებშიც კი სახემოცინარი მუდამ ხუმრობის გუნებაზე იყო ხოლმე.
- არის წუთები, როცა ადამიანებს უყვართ ბოროტების ჩადენა, - თქვა ფიქრებში წასულმა ალიოშამ.
- დიახაც, დიახ! თქვენ ჩემი ფიქრები გაიმეორეთ, სწორედაც უყვართ, უყვართ და ყოველთვის უყვართ, და არა რაღაც „წუთებში“. იცით რა, ამის თაობაზე ადამიანები მიეჩვივნენ სიცრუის თქმას და დღემდე ცრუობენ. ყველა ამბობს, რომ სძულს ბოროტება, სინამდვილეში კი ყველას უყვარს.
- თქვენ ისევ ცუდ ლიტერატურას კითხულობთ?
- ვკითხულობ. დედა კითხულობს და ბალიშქვეშ მალავს, მე კი ვპარავ.
- როგორ არ გრცხვენიათ, თავს ასე რატომ ინადგურებთ?
- მე მინდა, თავი გავინადგურო. აქ ერთი ბიჭი ცხოვრობს, რომელიც ლიანდაგებს შორის დაწვა და მატარებელმა გადაუარა. ბედნიერი კაცია! ახლა თქვენს ძმას ასამართლებენ მამის მკვლელობის გამო, ამიტომ იგი ყველას უყვარს, როგორც მამის მკვლელი.
- უყვართ მამის მკვლელობისათვის?
- დიახ, უყვართ, ყველას უყვარს! ყველა ამბობს, რომ ეს საშინელებაა, მაგრამ გულში კი ყველას ძალიან უყვარს. მეც მიყვარს.
- თქვენს სიტყვებში სიმართლის მარცვალი არის, - ჩუმად ჩაილაპარაკა ალიოშამ.
- ოჰ, ეს როგორი აზრები გაქვთ! - აღმოხდა აღტაცებულ ლიზას, - მონაზონს! თქვენ ვერც დაიჯერებთ, როგორ პატივს გცემთ, ალიოშა, თქვენ არასოდეს ტყუით. მე თქვენ ერთი ჩემი სასაცილო სიზმარი უნდა გიამბოთ: ხანდახან ეშმაკები მესიზმრებიან. ვითომ ერთხელ, ღამით, სანთლით განათებულ ჩემს ოთახში ვზივარ, ირგვლივ კი ეშმაკები არიან, ყველა კუთხე-კუნჭულში, მაგიდის ქვეშ, იღება კარი და ოთახშიც იჭყიტებიან, კარს იქით ჯგროდ შეკრებილან, ყველას ოთახში შემოსვლა და ჩემი წაყვანა უნდა. მიახლოვდებიან და ხელს მტაცებენ. უცებ პირჯვარს ვიწერ, ისინი შეშინებულები უკან იხევენ, მაგრამ სულ არ მიდიან, ზოგი კართან დგას და ზოგიც კუთხეში მიყუჟული იცდის. ანაზდად მინდება ღმერთის ხმამაღლა ლანძღვა, ვიწყებ გინებას და ისინი გახარებულები ისევ გარს მეხვევიან, კვლავ უნდათ ხელი წამავლონ, მაგრამ მე ისევ პირჯვარს ვიწერ და ისინი უკან იხევენ. ძალიან სასაცილო რამაა, სუნთქვა მეკვრის ხოლმე.
- მეც დამსიზმრებია ზუსტად ეგეთი სიზმარი, - უცებ თქვა ალიოშამ.
- ნუთუ? - იკივლა გაკვირვებულმა ლიზამ, - მოიცათ, ნუ იცინით, ალიოშა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია: განა შეიძლება ორ სხვადასხვა ადამიანს ერთი და იგივე სიზმარი დაესიზმროს?
- ასეა, შეიძლება.
- ალიოშა, გეუბნებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია-მეთქი, - გააგრძელა ისევ ძალზე გაკვირვებულმა ლიზამ, - სიზმარი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის, რომ ორივემ ზუსტად ერთი და იგივე ვნახეთ. მე თქვენ არასოდეს მატყუებთ, ახლაც გთხოვთ, არ მომატყუოთ: ეს მართლა ასე იყო? ხომ არ დამცინით?
- მართლა ასე იყო.
ეტყობოდა, ლიზა რაღაცამ ძალიან შეაშფოთა, ნახევარი წუთი ხმა არ ამოუღია.
- ალიოშა, მოდით ხოლმე ჩემთან, ხშირ-ხშირად მოდით ხოლმე, - თქვა უცებ ლიზამ.

- მე ყოველთვის ვივლი თქვენთან, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, - მტკიცედ უპასუხა ალიოშამ.
- ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით, - თქვა ისევ ლიზამ. - ჩემს თავს და თქვენ. ამქვეყნად მხოლოდ თქვენ. თქვენ უფრო სიამოვნებით გეუბნებით, ვიდრე საკუთარ თავს. მე თქვენი სულ არ მრცხვენია. ალიოშა, რატომაა, რომ მე თქვენი სულ არ მრცხვენია? ალიოშა, მართალია, რომ ურიები სააღდგომოდ ბავშვებს იპარავენ და ხოცავენ?
- არ ვიცი.
- ერთი წიგნი მაქვს, იქ წავიკითხე, სადღაც ერთი ურია გაასამართლეს, რომელმაც ოთხი წლის ბავშვს ჯერ ყველა თითი დააჭრა, შემდეგ კედელზე გააკრა და ლურსმნებით მიაჭედა. სასამართლოზე განაცხადა, ბიჭი მალე, ოთხი საათის შემდეგ მოკვდაო. რა მალე! ჰყვებოდა: ბავშვი კვნესოდა, სულ კვნესოდა, მე კი ვიდექი, ვტკბებოდი ამ სურათითო! ხომ კარგია!
- კარგია?
- კარგია, აბა რა. ხანდახან წარმოვიდგენ ხოლმე, რომ მე ვაცვი ჯვარს ის ბავშვი. კედელზე მილურსმული კიდია, მე მის პირდაპირ ვზივარ და ანანასის კომპოტს მივირთმევ. ძალიან მიყვარს ანანასის კომპოტი. თქვენ გიყვართ?
ალიოშა დუმილით შესცქეროდა ლიზას. უცებ ლიზას ფერმკრთალი სახე დაეღრიჯა და თვალები აენთო.
- იცით რა, როცა იმ ურიაზე წავიკითხე, მთელი ღამე ვქვითინებდი. წარმომიდგენია, როგორ კვნესოდა და ყვიროდა ბავშვი (ოთხი წლის ბავშვს ხომ ყველაფერი ესმის), მე კი აზრი კომპოტის შესახებ თავიდან არ მცილდება. დილით წერილი გავუგზავნე ერთ კაცს, აუცილებლად ჩემთან მოსვლას ვთხოვდი. მოვიდა. მოვუყევი იმ ბავშვისა და კომპოტის შესახებ, ყველაფერი ვუამბე, ყველაფერი და ისიც ვუთხარი, რომ „ეს ყველაფერი კარგია“. მან გაიცინა და თქვა, რომ ეს, მართლაც, ძალიან კარგია. შემდეგ ადგა და წავიდა. მხოლოდ ხუთი წუთი იჯდა. როგორ ფიქრობთ, ალიოშა, იმ წუთებში ვძულდი, ვძულდი? მითხარით, მითხარით, ვძულდი თუ არა? - წამოიმართა სავარძელზე თვალებანთებული ლიზა.
- ერთი ეს მითხარით, - თქვა აღელვებულმა ალიოშამ, - თქვენი თხოვნით მოვიდა ის კაცი?
- დიახ.
- წერილი გაუგზავნეთ?
- წერილი.
- ბავშვის შესახებ გინდოდათ გეკითხათ?
- არა, ბავშვის შესახებ არა, მაგრამ როგორც კი შემოვიდა, ბავშვის შესახებ ვკითხე. მან მიპასუხა, გაიცინა, ადგა და წავიდა.
- ეს კაცი თქვენ პატიოსნად მოგექცათ, - წყნარად თქვა ალიოშამ.
- ვძულდი? დამცინოდა?
- არა, შესაძლოა, მასაც სჯერა ანანასის კომპოტის, ახლა ისიც ძალიან ავადაა, Lise.
- დიახ, სჯერა! - აუკიაფდა თვალები ლიზას.
- მას არავინ ეჯავრება, - გააგრძელა ალიოშამ. - მას მხოლოდ არავისი სჯერა. მაგრამ რადგან არავისი სჯერა, მაშასადამე, ყველა ეჯავრება.
- ცხადია, მეც? მეც?
- თქვენც.

- კარგია, - რაღაცნაირად კბილებში გამოცრა ლიზამ, - როცა გადიოდა და იცინოდა, მე ვიგრძენი, რომ კარგია, როცა ვინმეს ეჯავრები. თითებწაჭრილი ბიჭიც კარგია და ვინმეს რომ ეჯავრები, ისიც...
თქვა ეს და რაღაცნაირად ბოროტად და ღვარძლიანად შესცინა ალიოშას თვალებში.
- იცით, ალიოშა, იცით, მე მინდოდა... ალიოშა, მიშველეთ რამე! - ლიზა წამოხტა, მივარდა ალიოშას და ორივე ხელით მოეხვია. - გადამარჩინეთ, - თითქმის ამოიოხრა მან, - განა მე შემიძლია ვინმეს ვუთხრა ის, რაც თქვენ გითხარით? მართალს ვამბობდი, მართალს! აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავ, ყველაფერი მეზიზღება! აღარ მინდა სიცოცხლე, რადგან ყველაფერი მეზიზღება! ყველაფერი მეზიზღება, ყველაფერი! ალიოშა, სულ ცოტათი მაინც რატომ არ გიყვარვარ! - დაასრულა გაშმაგებულმა ლიზამ.
- არა, მიყვარხარ! - მხურვალედ უპასუხა ალიოშამ.
- მიტირებთ, მიტირებთ?
- გიტირებ.
- იმიტომ ხომ არა, რომ მე თქვენი ცოლობა არ მოვინდომე, ისე, უბრალოდ მიტირებთ, ხომ?
- ჰო.
- მე მხოლოდ თქვენი ცრემლები მინდა. დაე, დანარჩენებმა დამსაჯონ და ფეხებით გადამთელონ, ყველამ, ყველამ, არავის გამოკლებით! რადგან არავინ მიყვარს. გესმით, არავინ! პირიქით, ყველა მეზიზღება! წადით, ალიოშა, დროა, ძმასთან დაგაგვიანდებათ! - და უცებ გაეცალა ალიოშას.
- როგორ დაგტოვოთ? - თქვა შეშინებულმა ალიოშამ.
- წადით ძმასთან, თორემ მალე საპატიმროს დაკეტავენ. წადით, აი, თქვენი შლაპა! აკოცეთ მიტიას, წადით, წადით!
მან თითქმის ძალით გააგდო ოთახიდან ალიოშა, რომელიც დამწუხრებული და გაოგნებული უყურებდა. ამ დროს მან მარჯვენა ხელში ბარათი იგრძნო, პატარა ბარათი, კარგად შეკრული და დაბეჭდილი. ბარათს დახედა და უმალ ამოიკითხა ადრესატი: ივან ფიოდოროვიჩ კარამაზოვს. ალიოშამ მყის ახედა ლიზას. მას თითქმის განრისხებული სახე ჰქონდა.
- გადაეცით, აუცილებლად გადაეცით! - გაშმაგებული, ერთიანად აკანკალებული ბრძანებდა ის, - დღესვე, ახლავე, თორემ თავს მოვიწამლავ! მე თქვენ ამისათვის დაგიბარეთ!
და სასწრაფოდ მოხურა კარი. გაიჩხაკუნა საკეტმა. ალიოშამ წერილი ჯიბეში ჩაიდო და კიბისაკენ გაემართა. ქალბატონ ხოხლაკოვასთან არ შეუვლია, არც გახსენებია. ლიზამ, როგორც კი ალიოშა გაისტუმრა, მაშინვე გააღო საკეტი, კარი ოდნავ გამოწია, თითი კარის ღრიჭოში ჩადო და მთელი ძალით მოიწეწკა. ათი წამის შემდეგ თითი გამოიღო, ჩუმად, ნელა მივიდა თავის სავარძელთან, წელგამართული ჩაჯდა მასში და ჩალურჯებულ თითსა და ფრჩხილის ქვემოდან გამოჟონილ სისხლს დაუწყო თვალიერება. ტუჩები უკანკალებდა და თავისთვის ჩქარ-ჩქარა ჩურჩულებდა:
- საზიზღარო, საზიზღარო, საზიზღარო, საზიზღარო!

IV ჰიმნი და საიდუმლო

უკვე კარგა გვიანი იყო (მოგეხსენებათ, რა მოკლეა ნოემბრის დღე), როცა ალიოშამ საპატიმროს ჭიშკარზე ზარი ჩამოჰკრა. იცოდა, მიტიასთან დაუბრკოლებლად რომ შეუშვებდნენ. ჩვენს ქალაქშიც ყველაფერი ისე იყო, როგორც ყველგან. თავდაპირველად, ვიდრე წინასწარი გამოძიება დასრულდებოდა, მიტიასთან ნათესავებისა და ახლობლების შესვლას რაღაც გარკვეული ფორმალობების დაცვა სჭირდებოდა, რაც შემდგომში არათუ შესუსტდა, არამედ მიტიასთან მომსვლელი ზოგიერთი პირისათვის გარკვეული გამონაკლისიც კი დაწესდა. ხანდახან ტუსაღთან შეხვედრა ხდებოდა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ერთი ერთზე, სხვა პირის დაუსწრებლად. ამ გამონაკლისით სარგებლობდნენ მხოლოდ გრუშენკა, ალიოშა და რაკიტინი. გრუშენკას თავად პოლიციის უფროსი მიხაილ მაკაროვიჩი სწყალობდა. მოხუცს გული სტკიოდა იმის გახსენებაზე, მოკროეში თავისი რისხვა რომ დაატეხა, უყვირა და გალანძღა გრუშენკა. შემდეგ, როცა საქმის არსში გაერკვა, გრუშენკას შესახებ აზრი შეეცვალა. უცნაური კი ის იყო: თუმცა მას მიტიას დამნაშავეობაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაინც, რაც დრო გადიოდა, მიტიასადმი მისი დამოკიდებულება სულ უკეთესი და უკეთესი ხდებოდა. „კარგი გულის კაცია და გაუთავებელი ლოთიფოთობით თავი დაიღუპაო," - ამბობდა ხოლმე მიტიაზე. მიტიასადმი მისი ადრინდელი აგრესიული დამოკიდებულება რაღაცნაირი სიბრალულით შეეცვალა. რაც შეეხება ალიოშას, პოლიციის უფროსი მას დიდი ხანია იცნობდა და ძალიანაც უყვარდა. რაკიტინი კი, რომელმაც ბოლო ხანებში ძალზე მოუხშირა პატიმართან სიარულს, პოლიციის უფროსის ქალიშვილების ახლო ნაცნობი იყო და, როგორც იტყვიან, ყოველდღე ატალახებული ჰქონდა მათი სახლის კარი. გარდა ამისა, რაკიტინი ციხის ზედამხედველის, კეთილი და ჭარმაგი მოხუცის სახლში ბავშვებს გაკვეთილებს უტარებდა. ციხის ზედამხედველს და ალიოშასაც ძველი ნაცნობობა აკავშირებდათ. მას ძალიან უყვარდა ხოლმე ალიოშასთან „ბრძნულ თემებზე" საუბარი. ეს ზედამხედველი ივან ფიოდოროვიჩს კი არათუ პატივს სცემდა, არამედ ეშინოდა კიდეც მისი, განსაკუთრებით, მისი ლოგიკური მსჯელობებისა, თუმცა თავადაც ფილოსოფოსობდა, რასაც, რასაკვირველია, „საკუთარი ჭკუა-გონების წყალობით მიაღწია". ალიოშასადმი განსაკუთრებული სიმპათიები ჰქონდა. უკანასკნელ ხანებში მოხუცი აპოკრიფულ სახარებას ჩასჯდომოდა და თავის ახალგაზრდა მეგობარს თითქმის ყოველთვის უზიარებდა კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ადრე მონასტერშიც კი დადიოდა და მასთან და მღვდელ-მონაზვნებთან ერთად საათობით კამათობდა ხოლმე. ასე რომ, ალიოშას საპატიმროში რომც დაგვიანებოდა, საკმარისი იყო ციხის ზედამხედველთან მისულიყო, იმ წუთში შეუშვებდნენ მიტიასთან. გარდა ამისა, ალიოშას უკვე საპატიმროს ყველა დარაჯი იცნობდა. ყარაული კი, თუკი უფროსის ნებართვა ექნებოდა, წინ როგორ დაუდგებოდა ალიოშას გატარებას. მიტია, როცა ვინმე მოაკითხავდა, თავისი საკნიდან ქვემოთ, პაემნისათვის გამოყოფილ ადგილას ჩამოჰყავდათ ხოლმე. როცა ალიოშა ოთახში შევიდა, რაკიტინს გადაეყარა, რომელიც უკვე წასვლას

აპირებდა. მიტია და რაკიტინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მიტია აცილებდა მას და რაღაცაზე ხარხარებდა, ხოლო რაკიტინი ბუზღუნებდა. ამ ბოლო ხანებში რაკიტინს ალიოშასთან შეხვედრა აღარ სიამოვნებდა, არც კი ელაპარაკებოდა, სალამსაც ძლივს აძლევდა. როცა ალიოშა დაინახა, გვერდზე გაიხედა, თითქოს ძალიან დაკავებული იყო დიდი, დათბილული, ბეწვისსაყელოიანი პალტოს შეკვრით. შემდეგ გულმოდგინედ შეუდგა თავისი ქოლგის ძებნას.
- არაფერი დამრჩეს! - ჩაიბურტყუნა რაკიტინმა მარტოოდენ იმიტომ, რომ რაღაცა ეთქვა.
- სხვისიც არ გააყოლო ხელს! - გაეხუმრა მიტია და გადაიხარხარა. უცებ რაკიტინი გაცხარდა.
- ეგ შენს კარამაზოვებს უთხარი, მებატონეთა ჯილაგს, რაკიტინს კი არა! - აყვირდა ბრაზისაგან აკანკალებული რაკიტინი.
- რა გეტაკა? ხუმრობა არ იცი? - იყვირა მიტიამაც, - ფუ, ეშმაკმა დაგლახვროს! ყველა ასეთია, - მიუბრუნდა ის ალიოშას და მიმავალ რაკიტინზე ანიშნა, - ჯერ იჯდა მშვიდად, იცინოდა, მხიარულობდა, ახლა უცებ გაცხარდა! შენ სალამიც არ გითხრა, საბოლოოდ დაგემდურა? რატომ დაგაგვიანდა? კი არ გელოდი, მთელი დილის განმავლობაში მწყუროდა შენი ნახვა. არა უშავს! ავინაზღაურებ.
- ძალიან შემოგეჩვია? ხომ არ დაუმეგობრდი? - ჰკითხა ალიოშამ და კარზე მიუთითა, საიდანაც რაკიტინი გავიდა.
- მიხეილს დავუმეგობრდი? არა, რას ამბობ, ეგ ხომ ღორია! ის თვლის, რომ მე... ნაძირალა ვარ. ხუმრობა არ ესმის - მაგისი უბედურება ესაა. არასოდეს ესმის ხუმრობა. გულცივი კაცია, ცივი, როგორც ამ ციხის კედლები. მაგრამ ჭკვიანია, ჭკვიანი. ეეხ, ალიოშა, მგონი, აღარაფერი მეშველება, თავი დავკარგე!
მიტია მერხზე ჩამოჯდა და გვერდით ალიოშა მოისვა.
- ჰო, ხვალ უკვე სასამართლოა. ნუთუ არაფრის იმედი არ გაქვს, ძმაო? - შიშით თქვა ალიოშამ.
- რას ამბობ? - რაღაც უაზროდ შეხედა მიტიამ, - ჰო, სასამართლო! ჩვენ აქამდე სულ სისულელეებზე ვლაპარაკობდით, ამ სასამართლოზე კი, რაც ყველაზე მთავარია, შენთვის არაფერი მითქვამს. დიახ, ხვალ სასამართლოა, მაგრამ მე სასამართლო არ მქონდა მხედველობაში, როცა გითხარი, თავი დავკარგე-მეთქი. თავი კი არ დამიკარგავს, რაც თავში მქონდა, ის დავკარგე. რა კრიტიკულად მიყურებ?
- ამას რაზე ამბობ, მიტია?
- იდეებზე, იდეებზე, ალიოშა! ეთიკა. მითხარი, რა არის ეთიკა?
- ეთიკა? - გაუკვირდა ალიოშას.
- ჰო რა, მეცნიერებაა ასეთი?
- დიახ, არის ასეთი მეცნიერება... მხოლოდ... ვაღიარებ, არ შემიძლია აგიხსნა, რა მეცნიერებაა.
- რაკიტინმა კი იცის. ბევრი რამ იცის რაკიტინმა, ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი! ის ბერად არ აღიკვეცება. პეტერბურგში აპირებს გამგზავრებას და იქ სადმე რედაქციაში, კრიტიკის განყოფილებაში მუშაობას. იქნებ ქვეყანას გამოადგეს და კარიერაც გააკეთოს. ოხ, მაგნაირები ხომ კარიერის გაკეთების ოსტატები არიან! ეშმაკსაც წაუღია ეთიკა! მე დავიღუპე, ალიოშა, ღვთისნიერო კაცო! მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ, მთელი სულითა და გულით. როგორი იყო კარლ ბერნარი?

- კარლ ბერნარი? - ისევ გაიკვირვა ალიოშამ.
- არა, კარლი კი არა, შემეშალა, კლოდ ბერნარი. ეს რა არის? ქიმიაა, თუ იცი?
- ეგ მგონი მეცნიერია, - უპასუხა ალიოშამ, - ოღონდ გამოგიტყდები, მის შესახებაც არაფერი ვიცი. გამიგია, რომ არის ასეთი მეცნიერი.
- ეჰ, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია, მეც არ ვიცი, - შეიგინა მიტიამ, - ვინმე ნაძირალა იქნება ალბათ, ყველა ნაძირალაა. რაკიტინი კი გაძვრება, რაკიტინი ნემსის ყუნწში გაძვრება, ისიც ბერნარია. ოხ, ბერნარებო! რაღაც ძალიან მომრავლდნენ!
- რა გემართება? - ჩააცივდა ალიოშა.
- ჩემზე სტატიის დაწერა უნდა, ჩემი საქმის შესახებ, რომ ამით ლიტერატურაში სახელი დაიმკვიდროს. თავად მითხრა, შენთან ამიტომ დავდივარო. სტატიაში სურს გაატაროს იდეა: „არ შეეძლო არ მოეკლა, გარემოებამ აიძულაო“, ასე ამიხსნა. სტატიას სოციალისტური ელფერი ექნებაო. ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი, მაგისი სოციალიზმი, ჩემთვის ყველაფერი სულერთია. ჩვენი ძმა ივანი არ უყვარს, სძულს, არც შენ გწყალობს. მე კი არ ვაგდებ, ვინაიდან ჭკვიანი კაცია. დიდი მომავალი ელის. ახლახან ვუთხარი: „კარამაზოვები ნაძირალები კი არა, ფილოსოფოსები არიან, შენ კი, მიუხედავად იმისა, რომ ნასწავლი ხარ, მაინც გლეხუჭა დარჩი-მეთქი“. ბოროტად ჩაეცინა. მე კი ვეუბნები: „დე აზრებუს non est disputandum[125]. ხომ კარგად ვუთხარი? კლასიციზმი გამოვიყენე, - ანაზდად გადაიხარხარა მიტიამ.
- ერთი ეს მითხარი, თავი რატომ დაკარგე, წეღან რომ თქვი? - შეაწყვეტინა ალიოშამ.
- რატომ დავკარგე? ჰმ! არსებითად... გულახდილად რომ გითხრა - ღმერთი მეცოდება, აი, რატომ!
- რას ნიშნავს ღმერთი გეცოდება?
- წარმოიდგინე: ამ თავში, ნერვებში, უფრო სწორად, ტვინის ნერვებს (ეშმაკმა დალახვროს!)... პაწაწუნა კუდები აქვს. როცა ეს კუდუნები ათრთოლდებიან... ხედვას იწყებ, რაღაცას თვალებით შეხედავ, აი ასე, ისინი ათრთოლდებიან, კუდუნები... როგორც კი ათრთოლდებიან, მაშინვე წარმოიქმნება გამოსახულება, უმალ კი არ წარმოიქმნება, არამედ რაღაც მომენტში, ერთი წამი გავა, გამოცხადდება რაღაც მომენტი, მომენტი კი არა, - ჯანდაბას მომენტი, - გამოსახულება, საგანი ან მოვლენა, ეშმაკმა დალახვროს - აი, ამიტომ მე ჯერ ვჭვრეტ, შემდეგ ვაზროვნებ... იმიტომ რომ კუდები არსებობენ და არა იმიტომ, რომ სული გამაჩნია და ვარ რაღაც მსგავსება და ხატება. ყველაფერი ეს სისულელეა. ესენი გუშინ მიხეილმა ამიხსნა, ძალიან მეჭაშნიკა, თითქოს ჩემს გულში იჯდა. შესანიშნავი რამაა, ალიოშა, მეცნიერება! ახალი ადამიანი მოდის, მე ეს კარგად მესმის... და მაინც ღმერთი მეცოდება!
- ეს კიდევ კარგია, - თქვა ალიოშამ.
- რა, ღმერთი რომ მეცოდება? ქიმია, ძმაო, ქიმია. ვერაფერს გახდებით, თქვენო მაღალღირსებავ, ცოტა უნდა ჩაიჩოჩოთ, ქიმია მოდის! არ უყვარს რაკიტინს ღმერთი, ძალიან არ უყვარს! ეს მათთვის ყველაზე მტკივნეული ადგილია! მაგრამ მალავენ. ცრუობენ. თავი მოაქვთ. ვეკითხები: „კრიტიკის განყოფილებაში ამ იდეების გატარებას აპირებ-მეთქი?“ - „არ მომცემენ ამის ნებასო“, - ამბობს და იცინის. „ამის შემდეგ რა ქნას ადამიანმა, - ვეკითხები, - უღმერთოდ, საიქიო ცხოვრების გარეშე? გამოდის, ამიერიდან ყველაფერი ნებადართულია, ყველაფრის ჩადენა შეიძლება?“ - „შენ რა, არ იცოდიო?“ - მეუბნება და იცინის.

„ჭკვიანი კაცისათვის ყველაფერი ნებადართულია, ჭკვიან კაცს კიბოს დაჭერაც კი ემარჯვება, შენ კი მკვლელობა ჩაიდინე და ჩავარდი, აწი ციხეში ამოლპები!“ ამას მე მეუბნება. ნამდვილი ღორია! ადრე მაგნაირებს ახლოსაც არ ვიკარებდი, ახლა კი ვუსმენ. ისე, ბევრ რამეს ჭკვიანურს ამბობს. კარგადაც წერს. ამ ერთი კვირის წინ თავისი სტატია წამაკითხა, იქიდან სამი სტრიქონი საგანგებოდ ამოვიწერე, აქ მაქვს.
მიტიამ ჟილეტის ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ქაღალდი და წაიკითხა.
- „ეს საკითხი რომ გადაწყდეს, აუცილებელია, პირველყოვლისა, შენი პიროვნება დააყენო საკუთარი სინამდვილის ჭრილში“, - რამე გაიგე?
- ვერაფერიც ვერ გავიგე, - თქვა ალიოშამ.
იგი ინტერესით შესცქეროდა მიტიას და უსმენდა.
- მეც არაფერი მესმის. ბუნდოვანი და გაუგებარია, სამაგიეროდ, ჭკვიანურია. „ახლა ყველა ასე წერს, ვინაიდან ახლა ასეთი გარემოა“... ასე მომახსენა. გარემოს შიში აქვთო. ის ნაძირალა ლექსებსაც თხზავს, ხოხლაკოვას ფეხს უმღერა, ხა-ხა-ხა!
- გამიგია, - თქვა ალიოშამ.
- გაგიგია? არ წაგიკითხავს?
- არა.
- ის ლექსი მე მაქვს, წაგიკითხავ. შენ არ იცი, შენთვის არ მომიყოლია, ეს მთელი ისტორიაა. თაღლითი! ამ სამი კვირის წინ ჩემი გაჯავრება მოინდომა: „შენო, - მეუბნება, - სამი ათასის გულისათვის სულელურად ჩავარდი, მე კი ას ორმოცდაათ ათასს დავითრევ, ერთ ქვრივს შევირთავ და პეტერბურგში ქვითკირის სახლს ვიყიდიო“. მერე მომიყვა, როგორ აბამს ხოხლაკოვას. მას კი, ეტყობა, არც ახალგაზრდობაში ჰქონდა ჭკუა და ორმოცი წლის ასაკში ალბათ სულ დაკარგა. „ძალიან ვნებიანია, - ამბობს, - მეტისმეტად, სწორედ მაგაზე უნდა წამოვიკიდო, ცოლად შევირთავ, პეტერბურგში დავსახლდებით და იქ გაზეთის გამოცემას მივყოფ ხელსო“. ამას როცა ამბობდა, პირზე ავხორცული დუჟი ადგებოდა, ხოხლაკოვაზე კი არა, ას ორმოცდაათ ათასზე. თან მარწმუნებდა, მე მარწმუნებდა: დაჭყვება ჩემს ნებასო. სიხარულისაგან გაბრწყინებული იყო. მაგრამ მოულოდნელად ჭიტლაყი ამოჭკრეს და გამოაგდეს: პიოტრ ილიჩ პერხოტინმა აჯობა, ყოჩაღ! სიამოვნებით გადავკოცნიდი იმ ტუტუც დედაკაცს, სახლიდან რომ გამოაგდო! რაკიტინმა ჩემთან სიარულის დროს შეთხზა ეს ლექსი. „პირველად ვისვრი ხელს ლექსის წერით, სახეირო საქმისათვის თავი უნდა მოვაწონო. როცა კაპიტალს გამოვტყუებ იმ ჩერჩეტ დედაკაცს, მერე შევძლებ მოქალაქეობრივი სარგებლობის მოტანასო“. მაგნაირებს ხომ ყოველგვარ სისაძაგლეზე თავიანთი გამართლება აქვთ! „ისე კი პუშკინზე მაგარი ლექსი დავწერე, სახუმარო ლექსში მოქალაქეობრივი სევდა ჩავაქსოვეო“, - ბაქიობდა. რაც შეეხება პუშკინს, მესმის. მართლაც ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ სულ ფეხებს აღწერდა! მერე როგორ მოსწონდა თავისი ლექსები! პატივმოყვარეები არიან, ძალიან პატივმოყვარეები! ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ერთი სულდგმულის მტკივანი ფეხის მოსარჩენად თქმული“ - მაგარი ვინმეა!
სატრფოს ფეხი, ფეხუნა,
ცოტა შესიებულა,
ვერაფერი მოუხერხა
ექიმების კრებულმა.

ფეხის გამო არა ვწუხვარ,
მასზე პუშკინს უყვარს მღერა,
თავის გამო ვწუხვარ, რადგან
ვერა შევასმინე, ვერა.
გამიგებდა ცოტას მაინც,
მაგრამ ფეხმა შეუშალა,
ნეტა მალე მორჩეს ფეხი
რომ თავს შევასმინო რაღაც.
ღორი, ნამდვილი ღორი, ისე ორაზროვნად კი გამოუვიდა იმ სალახანას! მართლაც „მოქალაქეობრივი“ გაურია. ო, როგორ დაიბოღმა, როცა გამოაგდო. სულ კბილებს აკრაჭუნებდა!
- მან უკვე იძია შური, - თქვა ალიოშამ, - ხოხლაკოვას შესახებ კორესპონდენცია დაწერა.
და ალიოშა სხაპასხუპით მოუყვა გაზეთ „სლუხში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის შინაარსს.
- ეგაა, ნაღდი ეგა! - დაადასტურა კოპებშეკრულმა მიტიამ, - მაგის დაწერილია! ეს კორესპონდენციები... მე ხომ ვიცი... რამდენი სისაძაგლე დაწერა გრუშაზე იმაზეც, კატიაზე... ჰმ!
მიტია აღელდა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.
- ძმაო, ჩემი აქ დიდხანს დარჩენა არ შეიძლება, - თქვა ცოტახნის დუმილის შემდეგ ალიოშამ, - ხვალ საშინელი, დიადი დღე გათენდება შენთვის: ღმერთის სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგე... შენ კი, მიკვირს და გამკვირვებია, გადი-გამოდიხარ და საქმის გარდა, ღმერთმა უწყის, რაზე არ ლაპარაკობ...
- არა, ნუ გიკვირს, - ცხარედ შეაწყვეტინა მიტიამ, - მე რა, იმ დამპალზე ხომ არ ვილაპარაკებ? მკვლელზე? საკმაოდ გვილაპარაკია ჩვენ მასზე. აღარ მინდა იმ დამპალ სმერდიაკოვზე ლაპარაკი! მას ღმერთი გადაუხდის, აი, ნახავ, გაჩუმდი!
აღელვებული მიტია ალიოშასთან მივიდა და გადაკოცნა. მას თვალები უბრწყინავდა.
- რაკიტინი ამას ვერ გაიგებს, - რაღაცნაირად აღტაცებულმა დაიწყო მან, - შენ კი, შენ ყველაფერს გამიგებ. ამიტომ მინდოდა ასე ძალიან შენი ნახვა. იცი რა, დიდი ხანია, ამ ოთხ კედელს შუა შენთვის ბევრი რამის თქმა მსურდა, მაგრამ მთავარს არასოდეს ვამბობდი: თითქოს ჯერ ამისი დრო არ დამდგარა-მეთქი. ახლა დადგა ამის დრო და მინდა ჩემი გულისნადები გაგიზიარო. ძმაო, ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჩემში ახალი ადამიანი შევიგრძენი. ახალი ადამიანი აღდგა ჩემში! იჯდა ჩემში, მაგრამ თავს არასოდეს იჩენდა, ვიდრე ეს რისხვა არ დამატყდა. საშინელება! მერე რა, თუკი ოცი წლის განმავლობაში ჩაქუჩით ხელში მიწისქვეშა საბადოებში მომიწევს მუშაობა - ამის სულ არ მეშინია, ახლა მე სხვა რამ მაშინებს, მე მეშინია, ჩემში არ გაქრეს ის აღორძინებული ადამიანი. ალბათ შესაძლებელია, იქ, მიწისქვეშეთის საბადოებზე, ვინმე ჩემნაირ კატორღელ მკვლელს აღმოაჩნდეს ადამიანური გული და დავუმეგობრდე, რამეთუ იქაც შეიძლება ცხოვრება, სიყვარული და ტანჯვა! იქაც შეიძლება ააღორძინო და სული შთაბერო კატორღელის ჩამკვდარ გულს, წლობით ფერებ-ფერებით, ბოლოს და ბოლოს, გამოამზეურო სადღაც ჩაბუდებული უმაღლესი სული, წამებული არსება, აღმდგარი ანგელოზი და გმირი! ასეთი ხომ ბევრია, ასობით და ჩვენ, ყველა, მათ წინაშე დამნაშავეები ვართ! რატომ დამესიზმრა მაშინ, იმ წუთებში

„ბაღანა“? „რატომაა ასე ღატაკი ბაღანა?“ ეს წინასწარჭვრეტა მქონდა იმ
მომენტში! „ბაღანას“ გულისათვის წავალ. იმიტომ რომ ყველა ყველას გამო
დამნაშავე ვართ. ყველა „ბაღანას“ გამო, ვინაიდან არსებობენ როგორც პატარა,
ისე დიდი ბავშვები. ყველა „ბაღანაა“. ყველას გულისათვის წავალ, რადგან ვიღაცა
ხომ უნდა წავიდეს ყველასათვის. მე მამა არ მომიკლავს, მაგრამ უნდა წავიდე. არ
ვამბობ უარს! ყველაფერი ეს აქ მომივიდა თავში... აქ, ამ გაქუცულ კედლებში. ი
კი ისინი ბევრნი არიან, ასობით, მიწისქვეშეთის მკვიდრნი, ხელში მომარჯვებული
ჩაქუჩებით. დიახაც, ჩვენ, ბორკილდადებულნი და უფლებააყრილნი დიდი
მწუხარების შემდეგ სიხარულით აღვდგებით, რამეთუ სიხარულის გარეშე
ადამიანს სიცოცხლე არ ძალუძს, ღმერთს კი ყოფნა, ღმერთია სიხარულის
მომნიჭებელი, ეს მისი პრივილეგიაა, უზენაესი... ღმერთო, ლოცვაში ამოჰხად
ადამიანს სული! როგორ უნდა გავძლო მე მიწისქვეშეთში ღმერთის გარეშე?
ცრუობს რაკიტინი, როცა ამბობს: თუ ღმერთს დედამიწიდან განვდევნით, მას
მიწის ქვეშ შევხვდებითო! კატორღელისათვის გაუსაძლისია ღმერთის გარეშე
ყოფნა, უფრო მეტად აუტანელი, ვიდრე არაკატორღელისათვის! მაშინ კი ჩვენ,
მიწისქვეშეთის ბინადარნი, ტრაგიკულ ჰიმნს ვუგალობებთ ჩვენთვის სიხარულის
მომნიჭებელ ღმერთს! დიდება ღმერთს და მისგან მონიჭებულ სიხარულს!
მიყვარს ღმერთი!
როცა მიტია ამ უცნაურ სიტყვებს წარმოსთქვამდა, კინაღამ დაიხრჩო. გაფითრდა,
ტუჩები აუთრთოლდა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.
- არა, სიცოცხლე ყველგანაა, მიწისქვეშეთშიც არის სიცოცხლე! - დაიწყო მან
ისევ. - არ დაიჯერებ, ალექსეი, ახლა როგორ მინდა სიცოცხლე, არსებობისა და
შემეცნების როგორი წყურვილი დამებადა ამ საპატიმროს ოთხკედელშუა!
რაკიტინს ეს არ ესმის, მას ერთი დარდი აქვს, სახლი აიშენოს და მდგმურები
გაიჩინოს, მე კი შენ გელოდი. რა არის ტანჯვა? სულაც არ მეშინია მისი, თუნდაც
განუსაზღვრელად მძიმე იყოს. ახლა არ მეშინია, ადრე მეშინოდა. იცი რა, ხვალ,
შესაძლებელია, სასამართლოზე პასუხები არც გავცე... ასე მგონია, ჩემში ახლა
იმდენი ძალაა, რომ შევძლებ ყველანაირი ტანჯვა-წამების დაძლევას,
მარტოოდენ იმიტომ, რომ ყოველწუთს გავიმეორო და ვთქვა: ეს მე ვარ!
ათასნაირი ტანჯვის დროსაც ვიყვირო: - მე ვარ! ტკივილებისაგანაც რომ
ვიკრუნჩხებოდე - მე ვარ! გოდოლში ვზივარ, მაგრამ ვარსებობ, რადგან მე ვხედავ
მზეს, ხოლო მზეს თუ ვეღარ დავინახავ, მაშინ ხომ მეცოდინება, რომ ის არსებობს.
და თუკი ვიცი, რომ არსებობს - ეს უკვე მთელი ცხოვრებაა. ალიოშა, ჩემო
ქერუბინო, მომკლა კაცი ამ ნაირ-ნაირმა ფილოსოფიებმა, ეშმაკმა დალახვროს
ისინი! ჩვენი ძმა ივანი...
- რაო ივანმა? - ალიოშას უნდოდა შეეწყვეტინებინა, მაგრამ მიტიამ ვერ გაიგონა.
- შენ კარგად მოგეხსენება, ადრე ამნაირი ეჭვები არ მაწუხებდა, ეტყობა, ეს ჩემში
დაფარულად ინახებოდა. რადგან ჩემში ეს უცნობი იდეები ბობოქრობდა,
ამიტომაც ვლოთობდი, ვჩხუბობდი და ვგიჟობდი. ეს იდეები რომ ჩამეხშო, აყალ-
მაყალს ვტეხდი და ჩხუბი ანელებდა მათ ზემოქმედებას ჩემზე. ივანი რაკიტინი არ
არის, ის იდეას მალავს. ივანი სფინქსია და დუმს, სულ ჩუმადაა. მე კი ღმერთი
მაწამებს. მარტო ეს მტანჯავს. იქნებ ის არც არსებობს?! იქნებ რაკიტინი
მართალია და ეს იდეა კაცობრიობისათვის ხელოვნურადაა შემოგდებული? თუკი
არ არსებობს, მაშინ ადამიანი დედამიწის, მთელი სამყაროს ბატონ-პატრონი
ყოფილა. შესანიშნავია! მაგრამ უღმერთოდ როგორღა იქნება ადამიანი სათნო?

აი, საკითხი! სულ ეს მაფიქრებს. მაშინ ვინ შეიყვაროს ადამიანმა? ვისი მადლიერი იყოს, ვის უგალობოს ჰიმნი? რაკიტინი დამცინის, მიმტკიცებს, კაცობრიობის სიყვარული ღმერთის გარეშეც შეიძლებაო. მაგრამ ასე მხოლოდ წვინტლიანმა კაცუნამ შეიძლება ამტკიცოს, მე ამის გაგება არ შემიძლია. რაკიტინს რა უჭირს?! დღეს მეუბნება: „შენ ადამიანის უფლებების გაფართოებაზე შეიწუხე თავი, ან თუნდაც იმაზე, რომ საქონლის ხორცის ფასმა არ მოიმატოს; უბრალოდ, ამით უფრო მეტ სიყვარულს გამოიჩენ კაცობრიობის მიმართ, ვიდრე შენი ფოლოსოფიებითო“. მე ამის პასუხად ვაჯახე: „შენ ღმერთის გარეშე ხორცის ფასს ცეცხლს წაუკიდებ და ჯიბეებს გაისქელებ!“ გაჯავრდა. აბა, რა არის სათნოება? მიპასუხე, ალექსეი. მე ერთი სათნოება მაქვს და ჩინელს მეორე, მაშასადამე, ფარდობითი რამეა. ასეა? თუ არ არის ფარდობითი? ვერაგი კითხვაა! შენ ხომ არ დამცინებ, თუ გეტყვი, მე ამის გამო ორი ღამე არ მძინებია. მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს - იქ ხალხი როგორ ცხოვრობს, ამაზე ფიქრი რომ არ აწუხებს. ამაოება! ივანს ღმერთი არ სწამს. მე ვფიქრობ, ის მასონია. შევეკითხე კიდეც, ხმა არ ამოუღია. მისი წყაროსთავიდან მინდოდა წყლის დაჭაშნიკება - დუმს. მხოლოდ ერთხელ ერთი სიტყვა წამოსცდა.

- რა თქვა? - ინტერესით იკითხა ალიოშამ.

- მე მას ვეუბნები: თუ მასეა, გამოდის, ყველაფერი ნებადართულია-მეთქი? მან კოპები შეკრა და მითხრა: „მამაჩვენი, ფიოდორ პავლოვიჩი გოჭი იყო, მაგრამ სწორად აზროვნებდაო“. აი, ასე მომახალა, მეტი არაფერი უთქვამს. ის რაკიტინზე სუფთა კაცია.

- ხო, - მწარედ დაუდასტურა ალიოშამ, - როდის იყო ის შენთან?

- ამას მერე მოგიყვები, ახლა სხვა რამ მინდა გითხრა. მე შენთვის აქამდე ივანის შესახებ არაფერი მითქვამს. ბოლომდე ვინახავდი. როცა აქ ჩემი ამბავი დამთავრდება და განაჩენს გამომიტანენ, მაშინ მე რაღაც-რაღაცებს გიამბობ. ყველაფერს მოგიყვები. აქ შეიძლება ერთი საშინელი ამბავი მოხდეს... ამ საქმეში ჩემი მსაჯული შენ იქნები. ახლა გაჩუმდი, ნუ დამიწყებ გამოკითხვას. ახლა ამბობდი ხვალინდელ დღეზე, სასამართლოზე, მაგრამ თუ გჯერა, მე არაფერი ვიცი.

- შენ რა, იმ ადვოკატს არ ელაპარაკე?

- მერე რა! ადვოკატს ყველაფერი ვუამბე. თავაზიანი არამზადაა, დედაქალაქელი. ბერნარი! მაგრამ, ეტყობა, ჩემი ერთი სიტყვისაც არ სჯერა. დარწმუნებულია, მკვლელი მე ვარ. აზრზე ხარ - მე ამას კარგად ვხედავ. ვკითხე: „მაშ, რატომ ჩამოხვედით ჩემს დასაცავად?“ მიმიფურთხებია მაგათთვის. ახლა კიდევ ექიმი ჩამოუყვანიათ, გიჟად უნდათ გამომაცხადონ. არ მივცემ ნებას! კატერინას სურს, „თავისი მოვალეობა“ ბოლომდე შეასრულოს. არაფერს მოერიდება! - მიტიას მწარედ გაეცინა, - კატაა! სასტიკი ადამიანია! მან კარგად იცის, რაც მე მაშინ მოკროეში ვთქვი, „მრისხანე დედაკაცია-მეთქი!“ გრიგორი თავისას არ იშლის! ის პატიოსანი კაცია, მაგრამ ბრიყვი. ამქვეყნად ბევრი სიბრიყვის გამოა პატიოსანი. ეს რაკიტინის აზრია. გრიგორი ჩემი მტერია. ზოგიერთი სჯობს მტრად გყავდეს, ვიდრე მეგობრად. კატერინა მყავს მხედველობაში. ძალიან ვშიშობ, ძალიან - მეშინია, სასამართლოზე არ მოყვეს იმ 4,5 ათასის ამბავს, მე რომ მივეცი. ყველაფერს გადამიხდის, არაფერს შეირჩენს. არ მინდა მისი მსხვერპლი! სასამართლოზე შემარცხვენს! როგორმე მოვითმენ. მიდი მასთან, ალიოშა, სთხოვე, ამის შესახებ სასამართლოზე არ ილაპარაკოს. თუ არ შეიძლება? ეშმაკმა

დალახვროს, მაინც მოვითმენ! არ მეცოდება. რაც უნდა, ის ქნას. ახია მაგაზე. მე, ალექსეი, ჩემს სიტყვას ვიტყვი, - მან ისევ მწარედ ჩაიცინა, - მხოლოდ... მხოლოდ გრუშა, გრუშა, ღმერთო! - წამოიძახა ცრემლმორეულმა მიტიამ, - გრუშა მკლავს, მასზე ფიქრი მკლავს, ბოლოს მომიღებს! ის ახლახან აქ იყო...
- მომიყვა. აქედან გულნატკენი წავიდა.
- ვიცი. ეშმაკმა დალახვროს ჩემი უხასიათო თავი. ვიეჭვიანე! წასვლისას კი მოვინანიე, ვაკოცე. პატიება არ მითხოვია.
- რატომ არ სთხოვე? - წამოიძახა ალიოშამ.
ანაზდად მიტიამ გადაიხარხარა.
- ღმერთმა დაგიფაროს, საყვარელო ბიჭუნა, საყვარელი ქალისათვის ოდესმე ბოდიში მოგეხადოს ჩადენილი დანაშაულისათვის. განსაკუთრებით საყვარელი ქალისათვის, განსაკუთრებით, როგორადაც არ უნდა იყო დამნაშავე! ვინაიდან ქალი - ეშმაკმა უწყის მაგათი თავი, ქალებში მაინც ვერკვევი! აბა, ერთი სცადე, მის წინაშე დანაშაული აღიარე და მოუბოდიშე: „დამნაშავე ვარ, მაპატიე-თქო“, იმავ წუთში საყვედურებით აგავსებს! უბრალოდ არასოდეს გაპატიებს, დაგამცირებს და ფეხქვეშ გაგთელავს, ყველაფერს გაგიხსენებს, იმასაც კი დაგაბრალებს, რაც არ ჩაგიდენია - ასეთი დაუნდობელია ყველა, ყველა ანგელოზი, რომელთა გარეშეც ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია! ჩემო კარგო, მე შენ უბრალოდ, კაცურად გეტყვი: ყველა წესიერი კაცი ვიღაც დედაკაცის ლეჩაქის ყუნწს უნდა იყოს გამობმული. მე ასე მწამს: ეს რწმენა კი არ არის, გრძნობაა. მამაკაცი დიდსულოვანი უნდა იყოს, ეს მისთვის სულაც არ არის სამარცხვინო. გმირისთვისაც კი არაა სამარცხვინო, კეისარსაც არ დაამცირებდა! პატიება კი არასოდეს სთხოვო, არაფრის გულისთვის! ეს წესი გახსოვდეს: შენმა ძმამ, ქალებისაგან დაღუპულმა მიტიამ გასწავლა. არა, მე მირჩევნია, გრუშა პატიების თხოვნის მაგივრად, სხვა რამით მივიზიდო. მე მისი დიდი რიდი მაქვს, ალექსეი, დიდი რიდი! მაგრამ ამას ვერ ხედავს, მას ჩემი სიყვარული არ ჰყოფნის. მტანჯავს გრუშა თავისი სიყვარულით, მაწამებს. ადრე კი! ადრე მისი ინფერნალური ნაკვთები მტანჯავდა, ახლა კი ჩემმა სულმა და გულმა მისი სული და გული ერთიანად მიიღო და მისი საშუალებით ადამიანად ვიქეცი! ნეტა, ჯვარს თუ დაგვწერენ? არადა, ეჭვიანობა მომკლავს. ყოველდღე რაღაცნაირ სიზმრებს ვნახულობ... რა გითხრა გრუშამ ჩემზე?
ალიოშამ გაიმეორა გრუშას ამასწინანდელი მონაყოლი. მიტიამ გულდასმით მოუსმინა, ბევრი კითხვა დაუსვა და კმაყოფილი დარჩა.
- კარგია, ჩემს ეჭვიანობაზე რომ არ ბრაზობს, - წამოიძახა მან, - ნამდვილი ქალია! „მე თავადა მაქვს სასტიკი გულიო“, ხომ? მიყვარს ასეთი სასტიკი ქალები, თუმცა ვერ ვიტან, როცა ეჭვიანობენ, ვერ ვიტან! ჩხუბი მიწევს ხოლმე. მაგრამ სიყვარულით კი - უსაზღვროდ მეყვარება. ჯვარს თუ დაგვწერენ, ნეტა? კატორღამისჯილს ჯვრისწერის ნებას რთავენ? აი, კითხვა. გრუშას გარეშე მე ვერ ვიცოცხლებ...
მოღუშული მიტია ოთახში გავიდ-გამოვიდა. თანდათან სიბნელე ჩამოწვა. ანაზდად, მიტია აცმუკდა.
- ჰა, თქვა, რომ საიდუმლო აქვთო, არა? თითქოს ჩვენ სამს მის წინააღმდეგ საიდუმლო გვაქვს, „კატკაცაა“ ამ საქმეში გარეულიო? არა, ძმაო გრუშენკა, ეს ასე არ არის. შეგეშალა, ქალურმა სიბრიყვემ შეგაცდინა! ალიოშა, ჭირიმე, რაც არის, არის! გეტყვი ჩვენს საიდუმლოს!

მან აქეთ-იქეთ გაიხედა, სასწრაფოდ მივიდა ალიოშასთან და საიდუმლოდ, ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი, თუმცა გარშემო მისი მოსმენა სხვას არავის შეეძლო; მოხუცი დარაჯი კუთხეში მერხზე თვლემდა, ხოლო კარისკაცებამდე ხმა არ მიაღწევდა.
- ახლა მთელ ჩვენს საიდუმლოს გაგიმხელ! - ჩქარ-ჩქარა და ჩურჩულით დაიწყო მიტიამ, - მოგვიანებით ვაპირებდი თქმას, უშენოდ მაინც არაფერს გადავწყვეტდი. შენ ხომ ჩემთვის ყველაფერი ხარ. თუმცა ვამბობ ხოლმე, ივანი ჩვენზე ათი თავით მაღლა დგას, შენ ჩემი ქერუბინი ხარ. მხოლოდ შენი სიტყვა იქნება გადამწყვეტი. შეიძლება, შენ ხარ უმაღლესი ადამიანი და არა ივანი. იცი რა, აქ საქმე ეხება სინდისს, უმაღლესს სინდისს - საიდუმლო იმდენად მნიშვნელოვანია, მარტო მე ვერ გადავწყვეტ და შენს გადაწყვეტილებას ველი. ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, ვიდრე განაჩენი არ იქნება: როცა განაჩენს გამოიტანენ, შენთვის მომინდვია ჩემი ბედი. ახლა არ არის საჭირო. იჯექი და მისმინე. ყველაფერს არ გეტყვი, მხოლოდ იდეას გაგიმხელ, იმასაც, დაწვრილებით არა, შენ კი კრინტი არ დაძრა. არც კითხვა დამისვა და არც ჟესტებით გამოხატო რამე, თანახმა ხარ? თუმცა შენს თვალებს სად გავექცევი? ვშიშობ, შენი თვალები გამომიტანენ განაჩენს, ხმა რომც არ ამოიღო, მაინც ძალიან მეშინია! ალიოშა, გესმის: ივანი გაქცევას მთავაზობს. როგორ და რანაირად, ამას არ ვიტყვი, ყველა გაფრთხილებულია, ყველაფერი მოგვარდება. ახლა გაჩუმდი, არაფერი თქვა. უნდა, რომ ამერიკაში გრუშასთან ერთად გავიქცე. მე ხომ გრუშას გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ციმბირში კი მას ჩემთან ერთად არ გამოუშვებენ. განა კატორღამისჯილს ჯვარს დამწერენ? ივანმა თქვა, რომ არა. გრუშას გარეშე კი იქ, მიწისქვეშეთში, ჩაქუჩით ხელში როგორ გავძლო? მე ხომ იმ ჩაქუჩით თავს გავიხეთქავ! მეორე მხრივ, სინდისს რა ვუყო? ტანჯვას გავექცევი, განაჩენს უარვყოფ, განწმენდის გზას გვერდს ავუქცევ. ივანი მამშვიდებს, ამერიკაში „კეთილი გუნებით“ მეტ სარგებლობას მოიტან, ვიდრე მიწისქვეშეთშიო. მაგრამ ჩვენი მიწისქვეშეთის ჰიმნი სად უნდა აჟღერდეს? რა არის ამერიკა, ამერიკაც ხომ ამაოებაა! გარდა ამისა, მე ვფიქრობ, თაღლითობა ამერიკაში მაგრადაა გავრცელებული. ჯვარცმას გავურბივარ! ამიტომაც გეუბნები, ალიოშა, ამას მხოლოდ შენ გამიგებ, მეტი არავინ, სხვებისათვის ყველაფერი ეს სისულელეა, ბოდვაა, ჰიმნი მაქვს მხედველობაში. იტყვიან, ან გიჟია ან ჭკუიდან შეშლილაო. მე არც ჭკუიდან შევშლილვარ და არც გიჟი ვარ. ივანმაც გამიგო ჰიმნის შესახებ, კარგად გამიგო, მაგრამ პასუხს არ მცემს, დუმს. ჰიმნის არ სჯერა. არ თქვა, არაფერი მითხრა, ვხედავ, როგორ მიყურებ: შენ უკვე გადაწყვეტილება მიიღე! ჯერ ნურაფერს იტყვი, შემიწყალე, მე გრუშას გარეშე ვერ გავძლებ, სასამართლომდე მოიცადე!
მიტიამ თავისი სიტყვა გულის განმგმირავი ხმით დაამთავრა. ალიოშას მხრები ორივე ხელით ეჭირა და აღგზნებული და მომლოდინე მზერით ჩაშტერებოდა თვალებში.
- კატორღამისჯილებს ჯვარს სწერენ? - მუდარით გაიმეორა მესამედ.
ალიოშა ძალიან გაკვირებული უსმენდა, ის ერთობ ააღელვა მიტიას მონაყოლმა.
- ერთი რამ მითხარ, - თქვა ალიოშამ, - ივანი დაჟინებით გთხოვს და კიდევ ვის გაუჩნდა ეს აზრი პირველად?
- მან, მან მოიფიქრა, ის მოითხოვს! ჩემთან ჯერ სულ არ დადიოდა და ერთი კვირის წინ უცებ გამომეცხადა, პირდაპირ ამ საქმით დაიწყო. დაჟინებით

მოითხოვს. კი არ მთხოვს, მიბრძანებს. ეჭვი არ ეპარება, რომ უარს არ ვეტყვი, მიუხედავად იმისა, მასაც, როგორც შენ, გული გადავუშალე და ჰიმნზედაც ველაპარაკე. მან დაწვრილებით ამიხსნა, როგორ მოაწყობს ამ გაქცევას. უკვე ყველა ცნობა აქვს შეკრებილი, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს. სიგიჟემდე უნდა, ეს საქმე რომ გამოვიდეს. მთავარია ფული: ათასი გაქცევის მოწყობას ეყოფაო, ოცი ათასს ამერიკაში მატანს. ათი ათასად კი მშვენიერ გაქცევას მოვაწყობთო, - ასე მომახსენა.
- გთხოვა, რომ ჩემთვის არაფერი გეთქვა? - კვლავ შეეკითხა ალიოშა.
- დიახ, არავის უნდა ვუთხრა, განსაკუთრებით, შენ: შენ, არაფრისდიდებით! ეშინია
- მართალიც არის - შენ, როგორც სინდისი, ჩემს წინ აღიმართები. არ უთხრა, რაც მე გითხარი, არაფერი უთხრაო, დაჟინებული იმეორებდა!
- მართალი ხარ, - გადაწყვიტა ალიოშამ, - სანამ სასამართლოს განაჩენი არ იქნება, გადაწყვეტილების მიღება არ ღირს, სასამართლოს შემდეგ თავად გადაწყვეტ; იმ დროისათვის თავად აღმოაჩენ შენში ახალ ადამიანს, ის მიიღებს გადაწყვეტილებას.
- ახალი ადამიანი - ბერნარის მსგავსი, ის ხომ ბერნარულად გადაწყვეტს! ამიტომაც მეჩვენება, რომ თავად ვარ საზიზღარი ბერნარი! - მწარედ ჩაიცინა მიტიამ.
- მაგრამ, ძმაო, ნუთუ გამართლების იმედი სულ არა გაქვს?
მიტიამ ნერვიულად მხრები აიჩეჩა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.
- ალიოშა, გეთაყვა, შენი წასვლის დროა! - უცებ წარმოთქვა მიტიამ, - ეზოში ზედამხედველის ყვირილი გაისმა, მალე აქ მოვა. უკვე გვიანაა, წესს ნუ დავარღვევთ. აბა, გადამეხვიე და მაკოცე, ჯვარი გადამწერე, ჭირიმე, სახვალიოდ, ჯვარი გადამწერე...
ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი.
- ივანმა, - ანაზდად თქვა მიტიამ, - გაქცევა კი შემომთავაზა, მაგრამ თავად არ სჯერა მკვლელი რომ არ ვარ!
მიტიას ბაგეებთან სევდიანი ღიმილი გაუჩნდა.
- შენ ჰკითხე: გჯერა თუ არაო?
- არა, არ მიკითხავს, მინდოდა კითხვა, მაგრამ ვერ შევძელი. გამბედაობა არ მეყო. სულ ერთია, მე ხომ თვალებში ვამჩნევ. აბა, ღამე მშვიდობისა!
მათ ისევ სასწრაფოდ გადაკოცნეს ერთმანეთი, ალიოშამ წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ მიტია ისევ აყვირდა:
- დადექი ჩემ წინ, აი, ასე.
ის კვლავ მაგრად ჩაებღაუჭა ალიოშას ორივე ხელით მხრებში. სახე ისე გაუფითრდა, სიბნელეშიც კი საშინლად დაეტყო. ტუჩები მოეღრიცა და გაშტერებული მიაცქერდა ალიოშას.
- ალიოშა, ნუ დამიმალავ და სრული სიმართლე მითხარი, როგორც ღმერთის წინაშე იტყოდი: გჯერა, თუ არა, მე რომ მკვლელი ვარ? შენ, პირადად შენ, გჯერა? სრული სიმართლე თქვი, არ მომატყუო! - იყვირა გაშმაგებულმა მიტიამ.
ალიოშა შეტორტმანდა, გულში რაღაც ხანჯალივით ჩაესო.
- გეყოფა, რა მოგდის? - უთხრა დაბნეულმა ალიოშამ.
- სრული სიმართლე მინდა, სრული, არ მომატყუო! - გაიმეორა მიტიამ.
- არც ერთ წუთს არ შემპარვია ეჭვი იმაში, შენ რომ არ მოგიკლავს, - უცებ მკერდიდან აღმოხდა აკანკალებული ხმა ალიოშას და მარჯვენა ხელი მაღლა

ასწია, თითქოს ღმერთს იმოწმებდა. მიტიას ნეტარებისაგან სახე გაებადრა.
- უღრმესი მადლობა! - გაგრძელებით წარმოთქვა მან, თითქოს სული მოითქვაო, - ასე მგონია, ხელახლა ვიშვი... აზრზე ხარ: მეშინოდა შენთვის ამის კითხვა, შენთვისაც კი მეშინოდა ამ კითხვის დასმა! კარგი, კარგი, ახლა წადი, შენ მე ხვალისათვის იმედი ჩამისახე, ღმერთმა დაგლოცოს! წადი, ახლა წადი, და გიყვარდეს ივანი! - ამ სიტყვებით დაამთავრა.
ალიოშა აცრემლებული წამოვიდა. მიტიას ეჭვიანობამ, მისმა ასეთმა უნდობლობამ ალიოშას დაანახა, რა უთავბოლო მწუხარებითა და სასოწარკვეთით იყო შეპყრობილი მისი უბედური ძმა, რაზედაც ადრე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. უეცრად ღრმა და უსაზღვრო თანალმობამ გული გაუგმირა. დაკოდილი გული საშინლად ასტკივდა. „გიყვარდეს ივანი!“ - უცებ გაახსენდა მიტიას ბოლო სიტყვები. ამ დროს ივანთან მიდიოდა, დილიდან ძალიან უნდოდა ივანის ნახვა. მიტიაზე მეტად ივანზე წუხდა, ახლა კი, მიტიასთან შეხვედრის შემდეგ, უფრო მეტადაც, ვიდრე ოდესმე.

V შენ არა, შენ არა!

ივანთან მიმავალს, გზად კატერინას სახლთან უნდა გაევლო. სახლის ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. ალიოშა შედგა და შესვლა გადაწყვიტა. კატერინა, ერთ კვირაზე მეტი იქნებოდა, არ ენახა. ახლა უცებ გაიფიქრა, შესაძლოა, ხვალინდელი სასამართლოს გამო ივანი კატერინასთან იყოსო. დარეკა და როცა სადარბაზოს კიბეებზე ასვლას შეუდგა, ჩინური ფანრის უღიმღამო სინათლის შუქზე ზემოდან ჩამომავალი კაცი შენიშნა, რომელიც, როცა გაუსწორდა, ივანი აღმოჩნდა. ეტყობოდა, მას კატერინასთან ვიზიტი უკვე დაემთავრებინა.
- აჰ, ეს შენა ხარ, კარგად იყავი, მასთან მოხვედი?
- ჰო.
- არ გირჩევ, აღელვებულია, შენ კიდევ უფრო მეტად მოუშლი ნერვებს.
- არა, არა! - იყვირა უცებ გაღებულ კარში მდგარმა კატერინამ, - ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენ მასთან იყავით.
- დიახ, ვიყავი.
- ჩემთან ხომ არაფერი დაგაბარათ? შემოდით, თქვენც შემოდით ივან ფიოდოროვიჩ, აუცილებლად დაბრუნდით. გესმით!
კატერინას ხმაში ისეთი მბრძანებლური კილო იყო, რომ ივანი ერთხანს შეყოვნდა, მერმე ალიოშასთან ერთად უკან ასვლა გადაწყვიტა.
- ყურს გვიგდებდა! - წაიჩურჩულა გაღიზიანებულმა ივანმა თავისთვის, მაგრამ ალიოშამ გაიგონა.
- ნება მომეცით, პალტო არ გავიხადო, - თქვა ივანმა, როცა სასტუმრო ოთახში შევიდა, - არც დავჯდები. ერთ წუთზე მეტს არ დავრჩები.
- დაბრძანდით, ალექსეი ფიოდოროვიჩ, - თქვა კატერინამ, თავად კი ფეხზე იდგა. ქალი ამ ბოლო ხანებში ნაკლებად შეცვლილი ჩანდა, მხოლოდ მისი მუქი თვალები იმზირებოდა გაავებით. მოგვიანებით, ალიოშა იხსენებდა, რომ იმ

წუთებში კატერინა ძალიან ლამაზი მოეჩვენა.
- რაო, რა დაგაბარათ?
- მხოლოდ ერთი რამ, - თქვა ალიოშამ და პირდაპირ თვალებში შეხედა ქალს, - რომ თავი შეიბრალოთ და იმის შესახებ სასამართლოზე არაფერი თქვათ... - მას სიტყვა გაუწყდა, - რაც იყო თქვენ შორის... თქვენი პირველი ნაცნობობის ამბავი.. იმ ქალაქში.
- აჰა, იმ ფულის ამბავი, ის სამადლობელი მიწამდე მდაბლად თავის დაკვრა! - დააზუსტა ქალმა და მწარედ გაიცინა, - რაშია საქმე, მას ჩემი დარდი აქვს თუ თავისი - ჰა? მან დაგაბარა, რომ შევიბრალო - ვინ? ის თუ ჩემი თავი? ბრძანეთ, ალექსეი ფიოდოროვიჩ.
ალიოშა დაჟინებული შესცქეროდა კატერინას - ცდილობდა, გაეგო მისი სურვილი.
- თავიც და ისიც, - წყნარად უპასუხა მან.
- დიახ, დიახ, - რაღაცნაირად ბოროტად წარმოთქვა კატერინამ და ანაზდად გაწითლდა, - ალექსეი ფიოდოროვიჩ, თქვენ ჯერ არ მიცნობთ, - თქვა მუქარით, - მე თავად არ ვიცნობ ჩემს თავს! სასამართლოზე ხვალ ჩემი გამოსვლის შემდეგ თქვენ, შესაძლოა, ჩემი ჩაქოლვის სურვილი დაგებადოთ.
- თქვენ პატიოსნად მიეცით ჩვენება, - თქვა ალიოშამ, - მხოლოდ ესაა საჭირო.
- ქალი ხშირად არაა პატიოსანი, - ბოროტად გაიცინა მან, - ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ვფიქრობდი, როგორი შემზარავია ჩემთვის იმ ნადირისთვის ხელის შეხება... თითქოს ქვეწარმავალისათვის მოგიკიდია ხელი... აი, ახლა კი, ის ისევ ადამიანია ჩემთვის! მოკლა კი მან? მან მოკლა? - ისტერიულად იკივლა კატერინამ და სწრაფად მიბრუნდა ივანისკენ. ალიოშა უცებ მიხვდა, რომ კატერინას ეს კითხვა ადრეც ბევრჯერ დაუსვამს ივანისთვის, იქნებ ამ რამდენიმე წუთის წინათაც, სანამ ალიოშა მოვიდოდა, არა პირველად, არამედ მეასედ, და უკვე მერამდენედ მათი საუბარი ჩხუბით დამთავრდა.
- მე ვიყავი სმერდიაკოვთან... ეს შენ, შენ დამარწმუნე, რომ ის არის მამისმკვლელი. მე შენ დაგიჯერე! - გააგრძელა კატერინამ. ის ისევ ივანს მიმართავდა. ივანს ნაძალადევად ჩაეცინა. ალიოშა შეკრთა, როდესაც კატერინამ ივანს შენობით მიმართა. მას ვერც წარმოედგინა, თუ მათ ასეთი ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ.
- კარგი, საკმარისია, - მოუჭრა ივანმა, - მე წავალ. ხვალ მოვალ, - შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. უეცრად კატერინა რაღაცნაირად უხეშად ეტაკა ალიოშას და ორივე ხელში ხელები სტაცა.
- თან გაჰყევით, დაეწიეთ! ერთი წუთითაც არ დატოვოთ მარტო, - ხმადაბლა სხაპასხუპით მიაყარა მან, - ჭკუიდანაა გადასული. თქვენ არ იცით, რომ შეშლილია? მას შეტევები აქვს! ექიმმა მითხრა. წადით, დაედევნეთ...
ალიოშა წამოხტა და გამოუდგა. ივანი შორს არ წასულიყო.
- რა გინდა? - უცებ მობრუნდა ივანი, როცა დაინახა, რომ ალიოშა დაეწია, - გიბრძანა, უკან სდიეო! გიჟიაო. ზეპირად ვიცი ყველაფერი, - თქვა გაღიზიანებულმა.
- ის, რასაკვირველია, ცდება, მაგრამ იმაში მართალია, რომ შენ ავად ხარ, - თქვა ალიოშამ, - წეღან გიყურებდი, ძალიან ავადმყოფური სახე გაქვს, ძალიან, ივან!
ივანი შეუჩერებლად მიდიოდა, ალიოშა უკან მისდევდა.
- შენ იცი, ალექსეი ფიოდოროვიჩ, ჭკუიდან როგორ იშლებიან? - უცებ ჰკითხა

ივანმა, სრულიად წყნარი და მშვიდი ხმით, რომელშიაც გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობამ გაიჟღერა.
- არა, არ ვიცი; მგონია, არსებობს სიგიჟის სხვადასხვა სახეობა.
- საკუთარ თავზე თუ შეიძლება აწარმოო დაკვირვება, როგორ გიჟდები?
- არ მგონია, ასეთ მდგომარეობაში საკუთარ თავზე ვინმემ ობიექტური დაკვირება შეძლოს, - უპასუხა გაკვირვებულმა ალიოშამ. ივანი ნახევარი წუთით დადუმდა.
- თუ შენ ჩემთან რამე თემაზე გინდა ლაპარაკი, ნება იბოძე და შეცვალე თემა, - უცებ თქვა მან.
- ხო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ეს ბარათი შენთან გამომატანეს, - მორიდებულად თქვა ალიოშამ, ჯიბიდან ლამაზი კონვერტი ამოიღო და ივანს გადასცა. ისინი ფარანს მიუახლოვდნენ. ივანმა მაშინვე იცნო ხელწერა.
- აჰა, ეს იმ ალქაჯისგანაა! - ბოროტად ჩაეცინა ივანს და კონვერტი გახსნა. უცებ ბარათი ნაკუწ-ნაკუწ აქცია და ქარს გაატანა. ქაღალდის ნაფლეთები ჰაერში აფარფატდნენ.
- ჯერ თექვსმეტისაც არ არის და, მგონი, თავს მთავაზობს! - ზიზღით ჩაილაპარაკა ივანმა და გზა გააგრძელა.
- რას ნიშნავს, თავს გთავაზობს! - წამოიძახა ალიოშამ.
- როგორც გარყვნილი ქალები სთავაზობენ ხოლმე თავს მუშტარს.
- რას ამბობ, ივან, რას?! - გულმოდგინედ დაუწყო დაცვა გულნატკენმა ალიოშამ, - ჯერ ბავშვია, ბავშვზე რატომ ლაპარაკობ ასე აგდებულად. ის ხომ ავადმყოფია, ძალიან ავად არის. შეიძლება, ისიც ჭკუიდან იშლება... მე არ შემეძლო არ გადმომეცა შენთვის ეს წერილი... პირიქით, შენგან მინდოდა, ისეთი რამ მომესმინა... ის რომ გადამერჩინა.
- ჩემგან ვერაფერს შეიტყობ. თუ ბავშვია, მე მისი ძიძა არ ვარ. ჩუმად, ალექსეი, აღარ გააგრძელო. ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ.
ცოტა ხნით კვლავ დუმილი ჩამოვარდა.
- ის ახლა ღვთისმშობელს შეევედრება, რათა მან ურჩიოს, როგორ მოიქცეს ხვალ სასამართლოზე, - ანაზდად უხეშად და ბოროტად ალაპარაკდა ივანი.
- შენ... შენ კატერინა ივანოვნა გყავს მხედველობაში?
- დიახ, ჯერ ვერ გადაუწყვეტია მიტენკას გადამრჩენლად გამოვიდეს სასამართლოზე თუ დამღუპველად. ამისთვის უნდა ილოცოს, რომ ღვთისმშობელმა გზაზე დააყენოს. თავად ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ჯერ მზად არ არის. მასაც ძიძად ვუნდივარ, უნდა, რომ იავნანა ვუმღერო!
- კატერინას უყვარხარ, ძმაო, - სევდიანად თქვა ალიოშამ.
- შეიძლება, მხოლოდ მე მისი მოტრფიალე არა ვარ.
- ის იტანჯება. რატომ ეუბნები... ხანდახან ისეთ სიტყვებს, რატომ აიმედებ? - მორიდებული საყვედურით გააგრძელა ალიოშამ, - მე ხომ ვიცი, შენ მას იმედს აძლევდი, მაპატიე, ამას რომ გეუბნები, - დასძინა მან.
- არ შემიძლია, ახლა ისე მოვიქცე, როგორც საჭიროა, თავი დავანებო და ყველაფერი პირდაპირ პირში მივახალო! - თქვა გაღიზიანებულმა ივანმა, - ჯერ უნდა მოვიცადო, სანამ მკვლელს განაჩენს გამოუტანენ. მე რომ ახლა კატერინას თავი დავანებო, ის ხვალ იმ არამზადას სასამართლოზე დაღუპავს, ჩემზე რომ შური იძიოს, ვინაიდან სძულს ის, და კარგად იცის, როგორ სძულს. ყველაფერი ეს სიცრუეა, სიცრუეს კი სიცრუე მოსდევს! ჯერ კიდევ, სანამ მე მასთან კავშირი არ გამიწყვეტია, იმედი აქვს, არ დაღუპავს იმ მხეცს, რადგან იცის, როგორ მინდა ამ

უბედურებიდან მიტიას დახსნა. მაგრამ როდის, როდის გამოიტანენ იმ წყეულ განაჩენს!
ივანის ნათქვამმა სიტყვებმა, „მკვლელმა“ და „მხეცმა“ ალიოშას ძალიან ატკინა გული.
- როგორ შეუძლია მას მიტიას დაღუპვა? - ჰკითხა ალიოშამ, როცა ივანის ნათქვამი გააანალიზა, - რა შეუძლია თქვას მან ისეთი, რაც მიტიასათვის დამღუპველი იქნება.
- შენ ჯერ არაფერი იცი. მას ხელში მიტიას დაწერილი ისეთი დოკუმენტი აქვს, რომელიც მათემატიკური სიზუსტით ამტკიცებს, რომ მან მოკლა ფიოდორ პავლოვიჩი.
- შეუძლებელია! - შეჰყვირა ალიოშამ.
- რატომაა შეუძლებელი? მე თავად წავიკითხე.
- ასეთი დოკუმენტი არ შეიძლება არსებობდეს! - გაიმეორა გაცხარებულმა ალიოშამ, - შეუძლებელია, რადგან მიტია მკვლელი არ არის. მამა მას არ მოუკლავს, არ მოუკლავს!
უცებ ივანი შედგა.
- აბა, ვინ არის მკვლელი, ვინ, თქვენი აზრით, - ცივად ჰკითხა მან. რაღაცნაირმა ქედმაღლურმა ნოტამ გაიჟღერა მის ხმაში.
- შენ კარგად იცი, ვინ, - წყნარად და გულშიჩამწვდომი ხმით ჩაილაპარაკა ალიოშამ.
- ვინ? შენ რა, ისევ იმ ზღაპარს მიყვები ჭკუიდან შეშლილ ბნედიან იდიოტზე? სმერდიაკოვს გულისხმობ?
ალიოშამ უცებ იგრძნო, რომ კანკალმა აიტანა.
- შენ კარგად იცი, ვინ. - ძლივს აღმოხდა ალიოშას. მას სუნთქვა ეკვროდა.
- ვინ, ვინ?! - უკვე გაშმაგებული ყვიროდა ივანი. თავს ვეღარ იკავებდა.
- მე მხოლოდ ის ვიცი, - ისევ ჩურჩულით გააგრძელა ალიოშამ, - მამა შენ არ მოგიკლავს.
- „შენ არ მოგიკლავს!“ რას ნიშნავს, შენ არ მოგიკლავს? - გაშეშდა ივანი.
- შენ არა, შენ არ მოგიკლავს მამა! - მტკიცედ გაიმეორა ალიოშამ.
სიჩუმე ნახევარ წუთს გაგრძელდა.
- მე თავადაც კარგად ვიცი, რომ არ მომიკლავს, რას ბოდავ? - მწარედ ჩაიცინა ფერდაკარგულმა ივანმა. იგი დაჟინებით მიშტერებოდა ალიოშას. ორივენი ისევ ფარანთან იდგნენ.
- არა, ივან, შენ თვითონ შენი თავისთვის ბევრჯერ გითქვამს, რომ მკვლელი შენა ხარ.
- როდის მითქვამს?.. მე მოსკოვში ვიყავი... როდის მითქვამს? - წამოილუღლუღა ერთობ დაბნეულმა ივანმა.
- შენ ეს საკუთარ თავს ბევრჯერ უთხარი, როცა მარტო რჩებოდი ამ საშინელი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, - კვლავ წყნარად და გამოთქმით გააგრძელა ალიოშამ. ახლა ის თითქოს თავისი სურვილის გარეშე ლაპარაკობდა, ვიღაცის განუსაზღვრელი ნების ზეგავლენით, - შენ თავს ადანაშაულებდი და აღიარებდი, რომ მკვლელი სხვა არავინაა, თუ არა შენ. მაგრამ შენ არ მოგიკლავს, შენ გეშლება, გესმის ჩემი, შენ არა! მე ღმერთმა გამომგზავნა შენთან ამის სათქმელად.
ორივე გაჩუმდა. ხანგრძლივ ერთი წუთს გაგრძელდა ეს დუმილი. ორივე იდგა და

ერთმანეთს თვალებში შესცქეროდა. ორივეს ფერი ჰქონდა დაკარგული. ანაზდად ივანი ერთიანად აკანკალდა და ალიოშას მხარზე ხელი მაგრად სტაცა.
- შენ ჩემთან იყავი! - ჩურჩულით თქვა მან, - იმ ღამით შენ ჩემთან იყავი, როცა ის მოვიდა... გამოტყდი - შენ ის ნახე, ხომ?
- ვისზე ამბობ... მიტიაზე? - ჰკითხა გაოგნებულმა ალიოშამ.
- მიტიაზე არა, ეშმაკმა დალახვროს ნადირი! - გიჟივით იღრიალა ივანმა, - ნუთუ შენთვის ცნობილია, ის რომ ჩემთან დადის? როგორ გაიგე, გამოტყდი!
- ვინ ის? მე არ ვიცი, ვის გულისხმობ, - წაილუღლუღა შეშინებულმა ალიოშამ.
- არა, იცი... სხვანაირად შენ როგორ... შეუძლებელია, შენ რომ არ იცოდე...
მაგრამ უცებ მან თავი შეიკავა. იდგა და რაღაცას ფიქრობდა. უცნაური ჩაცინებისაგან ტუჩები მოექცა.
- ძმაო, - აკანკალებული ხმით დაიწყო ისევ ალიოშამ, - ასე იმიტომ ვთქვი, ვიცი, ჩემს სიტყვას დაუჯერებ, მე ეს ვიცი. „შენ არა-მეთქი“, იმიტომ გითხარი, რომ მთელი ცხოვრება გახსოვდეს. გესმის, მთელი ცხოვრება! მე ეს ღმერთმა დამავალა, შენთვის რომ გადმომეცა, თუნდაც ამ წუთიდან საბოლოოდ შემიძულო...
ამასობაში ივანი აზრზე მოვიდა. ახლა ის თავს სრულად ფლობდა.
- ალექსეი ფიოდოროვიჩ, - დაცინვით უთხრა მან, - მე წინასწარმეტყველებს და ეპილეპტიკებს ვერ ვიტან; განსაკუთრებით, ღმერთის მოციქულებს, თქვენთვის ეს, მგონი, კარგადაა ცნობილი. ამ წუთიდან მე თქვენთან ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს, სამუდამოდ. გთხოვთ, ახლავე, ამ გზაჯვარედინიდანვე გამეცალოთ. თქვენი სახლისაკენ გზა იმ შესახვევიდან იწყება. განსაკუთრებით უფრთხილდით დღეს ჩემთან მოსვლას! გასაგებია?
ის გაბრუნდა და მტკიცე ნაბიჯებით გაუყვა გზას ისე, რომ უკან არც მოუხედავს.
- ძმაო, - მიაძახა მიმავალს ალიოშამ, - თუ ამაღამ რამე დაგემართა, პირველ რიგში, ჩემზე იფიქრე!..
ივანმა არ უპასუხა. ალიოშა გზაჯვარედინზე, ფარანთან იდგა, მანამ, სანამ ივანი სრულებით არ მიიმალა სიბნელეში. მერმე გამობრუნდა და შესახვევისკენ თავის გზას გაუყვა. ისინი ბინას სხვადასხვა ადგილას ქირაობდნენ, არც ერთმა არ მოისურვა ფიოდორ პავლოვიჩის დაცარიელებულ სახლში ცხოვრება. ალიოშას ერთი მეშჩანინის ავეჯიანი ოთახი ჰქონდა ნაქირავები; ივანს კი, მისგან საკმაოდ მოშორებით, ერთი საკმაოდ კარგი სახლის ფლიგელის კომფორტული ნაწილი ეკავა. ეს სახლი ეკუთვნოდა არცთუ ღარიბ ჩინოვნიკის ქვრივს. მთელ სახლს ერთი გადაყრუებული, რევმატიზმიანი ბებრუხუნა ემსახურებოდა, რომელიც დილის 6 საათზე დგებოდა და საღამოს 6 საათზე იძინებდა. ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ივანი ნაკლებად მომთხოვნი გახდა და ძალიან შეუყვარდა განმარტოება. ის კი არადა, რომელ ოთახშიაც ეძინა, იმას თავად ალაგებდა, ხოლო ფლიგელის დანარჩენ ოთახებში იშვიათად შედიოდა. როგორც კი ივანი თავის სახლს მიუახლოვდა და დასარეკად მოემზადა, იგრძნო, მთელი სხეული სიბრაზისაგან უკანკალებდა. უცებ გამობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას ქალაქის მეორე, საპირისპირო მიმართულებით, თავისი სახლიდან ორი ვერსის მოშორებით მდებარე, ერთი პატარა, გვერდზე გადაქანებული, მორებიანი სახლისაკენ, რომელშიაც ფიოდორ პავლოვიჩის ყოფილი მეზობელი, მარია კონდრატიევნა სახლობდა. ეს ის მარია კონდრატიევნა იყო, რომელიც ფიოდორ პავლოვიჩის სამზარეულოში სუპის საჭმელად დაიარებოდა ხოლმე და

რომელსაც სმერდიაკოვი გიტარის თანხლებით სიმღერებს უმღეროდა. მარია კონდრატიევნას თავისი ძველი სახლი გაეყიდა და ახლა დედასთან ერთად ამ ქოხში ცხოვრობდა. ფიოდორ პავლოვიჩის სიკვდილის შემდეგ მან თავისთან გადაიყვანა ავადმყოფი, თითქმის მომაკვდავი სმერდიაკოვი. ახლა სწორედ სმერდიაკოვის სანახავად გაემართა ივანი, ერთი უეცრად აკვიატებული აზრით შეპყრობილი.

VI პირველი შეხვედრა სმერდიაკოვთან

ივანი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სმერდიაკოვთან სალაპარაკოდ უკვე მესამედ მიდიოდა. პირველად სმერდიკოვი იმ უბედურების შემდეგ ნახა და ელაპარაკა, როგორც კი მოსკოვიდან ჩამოვიდა, იმავ დღესვე. მოგვიანებით მოინახულა ამ ორი კვირის წინ. ახლა, მეორე მონახულების შემდეგ, ერთი თვე იყო გასული და ამ ხნის განმავლობაში სმერდიაკოვი არც უნახავს და არც რაიმე სმენია მასზე. ივანი მოსკოვიდან მამის გარდაცვალების მეხუთე დღეს დაბრუნდა, მიცვალებული კუბოშიც არ უნახავს: დაკრძალული დახვდა. ივანის დაგვიანების მიზეზი კი ის გახდა, რომ ალიოშამ და კატერინამ მისი ასავალ-დასავალის არა იცოდნენ რა. კატერინამ დეპეშა გაუგზავნა თავის დასა და დეიდას იმ იმედით, რომ ივანი ჩასვლისთანავე მათთან შეივლიდა. მაგრამ ივანმა იქ მხოლოდ მეოთხე დღეს შეიარა და როგორც კი დეპეშა წაიკითხა, თავქუდმოგლეჯილი ჩვენკენ გამოეშურა. ჩამოსვლისთანავე ალიოშას შეხვდა და ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა გაიგო, რომ ალიოშას მიტია აბსოლუტურად უდანაშაულო მიაჩნდა და ბრალს პირდაპირ სმერდიაკოვს სდებდა. ალიოშას ეს აზრი კი მკვეთრად განსხვავდებოდა ქალაქში გავრცელებული საერთო მოსაზრებისაგან. შემდგომში, როცა პროკურორსა და პოლიციის უფროსს ესაუბრა, როცა დეტალურად შეიტყო ბრალდებისა და დაპატიმრების ყველა წვრილმანი, უფრო გაკვირვებული დარჩა და ალიოშას მოსაზრება ჩათვალა, როგორც მიტიასადმი ძმური სიყვარულისა და თანალმობის გამოვლინება - მან კარგად იცოდა, როგორ ძლიერ უყვარდა ალიოშას მიტია. ისე კი, უკვე დროა, ორიოდე სიტყვა ითქვას მიტიას მიმართ ივანის დამოკიდებულების შესახებ: ივანს ის საერთოდ არ ჰყვარებია, დიდი, დიდი, ხანდახან მის მიმართ თუ რამეს გრძნობდა, თანალმობა იყო, ისიც ზიზღში გადასული დიდი სიძულვილით განზავებული. მიტიას თავისი აღნაგობით, თავიდან ფეხებამდე არასიმპათიურ პიროვნებად თვლიდა. კატერინას მიტიასადმი სიყვარულის გამო კი აღშფოთებას ვერ ფარავდა. მიუხედავად ამისა, ეჭვმიტანილი მიტია მან ჩამოსვლისთანავე მოინახულა. ამ შეხვედრის შემდეგ არათუ შეუმცირდა ეჭვი მიტიას დამნაშავეობაში, არამედ გაუძლიერდა კიდეც. მაშინ მიტია შეშფოთებული დახვდა, ავადმყოფურად აფორიაქებული. ის ძალიან ბევრს და უხეშად ლაპარაკობდა, რაღაცებს მიედ-მოედებოდა, ხან სმერდიაკოვს ადანაშაულებდა და ყველაფერს ერთმანეთში ურევდა. ყველაზე ხშირად იმ სამი ათასს ახსენებდა, რომელიც განსვენებულმა „მოჰპარა“. „ის ფული ჩემი იყო, ჩემი, - ამტკიცებდა ის, - რომც მომეპარა, მაინც მართალი ვიქნებოდი“. არც ერთ სამხილს, რომელიც მას

წაუყენეს, არ უარყოფდა, მაგრამ, როცა ფაქტებს თავის სასარგებლოდ განმარტავდა, ძალიან დაბნეულად და უაზროდ აკეთებდა ამას, თითქოს არც სურდა თავის მართლება ივანის ან საერთოდ ვინმეს წინაშე; პირიქით, ბრაზობდა, ამაყად უარყოფდა ბრალდებას, ცოფებს ყრიდა და ილანძღებოდა. გრიგორის ჩვენების თაობაზე, ღია კარის შესახებ, ღვარძლიანად იცინოდა და ამტკიცებდა: „ეშმაკმა გააღოო“. არც ერთი ლოგიკური გამამართლებელი საბუთი ამ ფაქტის გარშემო არ მოჰქონდა. ამ შეხვედრის დროს მან ივანს შეურაცხყოფაც კი მიაყენა, უხეშად მიახალა - ისეთმა კაცმა არ უნდა შეიტანოს ჩემში ეჭვი და დამკითხოს, რომელიც გამუდმებით ამტკიცებს: „ყველაფერი ნებადართულიაო“. საერთოდ, იმ დღეს ივანის მიმართ ძალიან არაკეთილგანწყობილი იყო. მაშინ მიტიასაგან წამოსვლის შემდეგ ივანი პირდაპირ სმერდიაკოვისაკენ გაემართა.

ჯერ კიდევ მატარებელში, როდესაც მოსკოვიდან მოემგზავრებოდა, ივანი სმერდიაკოვზე და მასთან უკანასკნელ საუბარზე ფიქრობდა. ბევრი რამ აწუხებდა მას, ბევრი რამ ეჩვენებოდა საეჭვოდ. მაგრამ, როდესაც დაკითხეს, არ გაუმხელია სმერდიაკოვთან საუბრის შინაარსი, მანამდე გადადო, სანამ სმერდიაკოვს არ ნახავდა. იმ დროს სმერდიაკოვი საავადმყოფოში იწვა. ექიმმა ჰერცენშტუბემ და საავადმყოფოს ექიმმა ვარვინსკიმ ივანს დაჟინებულ კითხვაზე მტკიცედ უპასუხეს, რომ სმერდიაკოვის ავადმყოფობაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ისინი ძალიან გააკვირვა ივანის კითხვამ: „იმ უბედურ დღეს ხომ არ მოიგონა ავადმყოფობა?“ ექიმებმა ივანს განუმარტეს, რომ ახლანდელი შეტევა ძალიან არაჩვეულებრივია, ის უკვე რამდენიმე დღე გრძელდება და მეორდება. პაციენტის სიცოცხლე დიდ საფრთხეში იყო, მხოლოდ ახლა, სახელდახელოდ მიღებული ზომების შემდეგ, შესაძლებელია ითქვას, ავადმყოფი გადარჩება, თუმცა არაა გამორიცხული (დასძინა ექიმმა ჰერცენშტუბემ), ჭკუიდან შეიშალოს, „თუ სამუდამოდ არა, საკმაოდ ხანგრძლივი დროით მაინცო“. ივანის მოუთმენელ კითხვაზე: „ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ახლაც გიჟია?“ მათ უპასუხეს: „ეს ჯერჯერობით ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით არ შეიძლება ითქვას, მაგრამ რაღაც არანორმალურობა ახლაც ეტყობაო“. ივანმა გადაწყვიტა, თვითონ გაეგო, რა ხასიათის არანორმალურობა სჭირდა სმერდიაკოვს და მისი ნახვა მოინდომა. ის ავადმყოფთან დაუბრკოლებლად შეუშვეს. სმერდიაკოვი ცალკე ოთახში იწვა, სადაც მეორე საწოლიც იდგა, რომელიც წყალმანკით დაავადებულ მომაკვდავ მეშჩანინს ეკავა, მას ორიოდე დღის სიცოცხლე თუ ეწერა კიდევ; ლაპარაკში ხელს ვერ შეუშლიდა. სმერდიაკოვი ივანის დანახვაზე უნდობლად გაიღრიჭა და პირველ წუთებში თითქოს დაფრთხა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ივანს ასე მოეჩვენა. მაგრამ ეს იყო წუთიერი რამ, პირიქით, დარჩენილ დროში ივანი სმერდიაკოვმა თავისი სიმშვიდით გააოცა. ერთი შეხედვით, სმერდიაკოვის განსაკუთრებული ავადმყოფური მდგომარეობა ეჭვს არ იწვევდა: ძალიან სუსტად გამოიყურებოდა, ნელ-ნელა ლაპარაკობდა, ენას ძლივს აბრუნებდა; ძალიან გამხდარი და გაყვითლებული ჩანდა. ამ ოცწუთიანი პაემნის დროს გაუთავებლად თავის ტკივილს და მთელი სხეულის მტვრევას უჩიოდა. საჭურისს გამომშრალი სახე დაპატარავებოდა, საფეთქლებზე თმები ასწეწოდა, ხოლო ქოჩრის ადგილზე რამდენიმე ღერი თმა ყალყზე ედგა. მხოლოდ მოჭუტული, თითქოს რაღაცის მანიშნებელი მარცხენა თვალი გეუბნებოდა, რომ ადრინდელ სმერდიაკოვთან გქონდა საქმე. „ჭკვიან კაცთან ლაპარაკი საინტერესოა“, - უცებ გაახსენდა ივან ფიოდოროვიჩს. ის მის ფეხებთან სკამზე ჩამოჯდა. სმედიაკოვი კრუსუნ-

კრუსუნით, მთელი სხეულით შეინძრა საწოლზე, მაგრამ ხმა არ ამოუღია, დუმდა, ისე იყურებოდა, თითქოს არაფერი აინტერესებდა.
- შეგიძლია ჩემთან საუბარი? - ჰკითხა ივანმა, - ძალიან ხომ არ დაგღლი?
- შევძლებ, ბატონო, - წაილუღლუღა სმერდიაკოვმა სუსტი ხმით, - დიდი ხანია, ჩამობრძანდით? - ისეთი შემწყალებელი ტონით დასძინა მან, თითქოს მორიდებული მნახველის გათამამება უნდაო.
- დღეს... თქვენ მიერ ჩადენილი მიქარვის გამოსასწორებლად.
სმერდიაკოვმა ამოიოხრა.
- რას ოხრავ, შენ ხომ იცოდი? - პირდაპირ მიახალა ივანმა.
სმერდიაკოვი დარბაისლურად დუმდა.
- როგორ შეიძლება, ეს არ მცოდნოდა, ბატონო? წინასწარ ყველაფერი ნათელი იყო. ოღონდ ის არ ვიცოდი, ბატონო, თუ ასე მოხდებოდა.
- რა არ იცოდი? თავს ნუ იკატუნებ! შენ თავად არ იწინასწარმეტყველე, რომ როგორც კი სარდაფში ჩახვიდოდი, ავი ზნე მოგივლიდა? პირდაპირ სარდაფი ახსენე.
- თქვენ ეგ დაკითხვაზე თქვით? - მშვიდად დაინტერესდა სმერდიაკოვი.
ივანი უცებ გაბრაზდა.
- არ მითქვამს, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი. შენ ახლა, ჩემო ძმაო, ბევრი რამ უნდა ამიხსნა, და ისიც იცოდე, ჩემო კარგო, ჩემი გაპამპულების უფლებას არავის მივცემ!
- რაში მჭირდება თქვენი გაპამპულება, როდესაც მთელი ჩემი იმედები თქვენზეა დამყარებული, მხოლოდ თქვენზე, როგორც ღმერთზე, ბატონო! - ისევ მშვიდად თქვა სმერდიაკოვმა და ერთი წუთით თვალები მილულა.
- უპირველეს ყოვლისა, - დაიწყო ივანმა, - მე კარგად ვიცი, რომ ავი ზნის დაწყების წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. გავიკითხე და ვერ მომატყუებ. არ შეიძლება წინასწარ დღე და საათი იცოდე. მაშინ, ერთი ის მითხარ, როგორ იწინასწარმეტყველე დღე და საათი, თანაც ზუსტად სარდაფში რომ მოხდებოდა ყველაფერი? როგორ შეძელი წინასწარ იმის გაგება, სწორედ იმ სარდაფში ჩასვლის დროს რომ დაგემართებოდა ბნედა, თუ განგებ არ მოიტყუე და ხალხს თავი მოაჩვენე ბნედამორეულად?
- სარდაფში ჩასვლა მაინც მომიწევდა, დღეში რამდენჯერმე ჩავდივარ, ბატონო, - აუჩქარებლად გააგრძელა სმერდიაკოვმა, - ისე კი, მართალს ბრძანებთ, ბნედის მოსვლის დროისა და საათის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ წინათგრძნობა შეიძლება გქონდეს.
- შენ კი დღე და საათი იწინასწარმეტყველე.
- ჩემი ავადმყოფობის ამბავი სჯობს აქაურ ექიმებთან გაარკვიოთ: ნამდვილად ავად ვარ, თუ არა, ამ თემაზე მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს.
- სარდაფი? სარდაფი როგორღა იწინასწარმეტყველე!

- რას დაგიჩემებიათ ეს სარდაფი! როცა სარდაფში ჩავდიოდი, ძალიან შეშინებული ვიყავი, ეჭვი მღრღნიდა, რადგან თქვენი წასვლის შემდეგ აღარავისაგან ველოდი მფარველობას. ჩავდიოდი სარდაფში და ვფიქრობდი: „აი, ახლა დამეწყება შეტევა, აი, ახლა ჩავვარდები-მეთქი“ და სწორედაც იმ ეჭვების გამოისობით მეტაკა სპაზმა ყელში, ბატონო... და ჩავვარდი. ყველაფერი ამის შესახებ და ჭიშკართან ამასწინანდელი ჩვენი საუბრის თაობაზე დაწვრილებით მოვუყევი ექიმ ჰერცენშტუბეს და გამომძიებელ ნიკოლაი პარფენოვიჩს. ამ უკანასკნელმა ყველაფერი ოქმში შეიტანა. ხოლო აქაურმა ექიმმა, ბატონმა ვარვინსკიმ, ყველას წინაშე დაბეჯითებით განაცხადა, რომ შეტევა სწორედ იმ გაფიქრებისა და იჭვისაგან დაიწყო: „ჩავვარდები, თუ არ ჩავვარდები“, რომ ფიქრობდა ავადმყოფიო. ზუსტად ასე ჩაწერეს, ბატონო, რომ ასე მოხდა და აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო კიდეც, მარტოოდენ ჩემი წინასწარი შიშის გამო, ბატონო.
თქვა ეს სმერდიაკოვმა და თითქოს დაღლილობისგან გაწამებულმა სული მოითქვა.
- შენ რა, ყველაფერი ეს ჩვენების დროს განაცხადე? - ჰკითხა ცოტა გაოცებულმა ივანმა. მას სურდა სმერდიაკოვის შეშინება იმით, რომ გამომძიებელს მოუყვებოდა იმდღევანდელი საუბრის შინაარსს. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურმე სმერდიაკოვმა თავად განაცხადა ამის შესახებ.
- რისი უნდა მეშინოდეს? დაე, ჭეშმარიტი სიმართლე ჩაწერონ, - მტკიცედ წარმოთქვა სმერდიაკოვმა.
- ჭიშკართან ჩვენი საუბარი სიტყვა-სიტყვით მოყევი?
- არა, არა, სიტყვა-სიტყვით არა, ბატონო.
- ისიც თქვი, რომ ავი ზნის მოგონება შეგიძლია, როგორც მაშინ მე მეტრაბახებოდი, ეგეც უთხარი?
- არა, არა, ეგ არ მითქვამს, ბატონო.
- ერთი ის მითხარი, რისთვის მაგზავნიდი მაშინ ჩერმაშნიაში?
- მეშინოდა, მოსკოვში არ გაემგზავროს-მეთქი, ჩერმაშნია კი ახლოსაა, ბატონო.
- ტყუი, შენ თავად მთავაზობდი: წადით, შორს ცოდვისაგანო!
- ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თქვენდამი მეგობრობითა და განუსაზღვრელი ერთგულებით იყო გამოწვეული, რადგან გული მიგრძნობდა, სახლში უბედურება უნდა დატრიალებულიყო, ბატონო, შემეცოდეთ. ჩემი თავი კი თქვენზე მეტად მეცოდებოდა, ბატონო. ამიტომაც გეუბნებოდით: შორს ცოდვისაგან-მეთქი, რომ მიმეხვედრებინეთ, შინ უბედურება დატრიალდება და მამის დასაცავად დარჩენილიყავით.
- მერე პირდაპირ ვერ თქვი, რეგვენო! - უცებ გაბრაზდა ივანი.
- როგორ შემეძლო ამის პირდაპირ თქმა, ბატონო? ჩემში შიში ლაპარაკობდა და თქვენ შეიძლებოდა გაჯავრებულიყავით. რასაკვირველია, მე იმის შიში მქონდა, დმიტრი ფიოდოროვიჩი რომ რაიმე სკანდალს მოაწყობდა და იმ ფულს წაიღებდა, რადგან თავისად თვლიდა, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, ან ვინ იფიქრებდა, ეს სკანდალი თუ სიკვდილით დამთავრდებოდა? მეგონა, გაიტაცებდა იმ სამი ათასს, რომელიც ბატონს ლეიბის ქვეშ ედო, პაკეტში ჩადებული, ბატონო, მან კი მოკლა, ბატონო. ამას როგორ უნდა მივმხვდარიყავი, ბატონო?
- თუკი თავად ამბობ, როგორ მივმხვდარიყავიო, მაშინ მე როგორღა მივხვდებოდი და დავრჩებოდი? რას მიედ-მოედები? - ცოტა ფიქრის შემდეგ თქვა ივანმა.

- იმიტომ უნდა მიმხვდარიყავით, რომ მე თქვენ ჩერმაშნიაში გაგზავნიდით და არა მოსკოვში.
- მერე როგორ უნდა მივმხვდარიყავი?
სმერდიაკოვი ძალიან გადაღლილი ჩანდა, იგი ერთ ხანს დადუმდა.
- იმიტომაც უნდა მიმხვდარიყავით, რომ ვინაიდან მოსკოვის მაგიერ ჩერმაშნიაში წასვლას გირჩევდით, მაშასადამე, უახლოეს დროში თქვენი აქ ყოფნა მინდოდა. მოსკოვი შორსაა, ხოლო ჩერმაშნია ახლოს. დმიტრი ფიოდოროვიჩს რომ სცოდნოდა, თქვენ აქ ახლოს იმყოფებოდით, ამდენს ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, რაიმე რომ მომხდარიყო, თქვენ ჩემი შველაც მალე შეგეძლოთ, ჩამოხვიდოდით და დამიცავდით, რადგან მე მაშინ გრიგორი ვასილევიჩის ავადმყოფობის შესახებაც გელაპარაკეთ და ჩემი სნეულების შემოტევის შიშიც გამოვთქვი. მაშინ აგიხსენით იმ დაკაკუნების შესახებაც, რომლის საშუალებითაც განსვენებულთან შესვლა შეიძლებოდა, ისიც გითხარით, ამ კაკუნის თაობაზე დმიტრი ფიოდოროვიჩსაც შევატყობინე-მეთქი. ვფიქრობდი, მაშინ ყველაფერს მიხვდებოდით, მიხვდებოდით, რომ ის აუცილებლად რაღაცას ჩაიდენდა და მეგონა, არათუ ჩერმაშნიაში, საერთოდ ფეხს არსად გაადგამდით.
„ნამეტანი დალაგებულად ლაპარაკობს, - გაიფიქრა ივანმა, - თუმცა ძლივს ლუღლუღებს; ნეტა, რა გონებრივ დაქვეითებაზე ლაპარაკობდა ჰერცენშტუბე?“
- ეშმაკობ, ძალიან ეშმაკობ, ეშმაკმა დალახვროს შენი თავი! - წამოიძახა გაბრაზებულმა ივანმა.
- მე კი, გამოგიტყდებით, მაშინ მომეჩვენა, თითქოს ყველაფერს მიხვდით, - სავსებით გულწრფელად მოიგერია სმერდიაკოვმა ივანის შეტევა.
- რომ მივმხვდარიყავი, მაშინ დავრჩებოდი კიდეც! - ისევ იყვირა აღშფოთებულმა ივანმა.
- მე კი, ჩემო ბატონო, მეგონა, ყველაფერი კარგად გაიგეთ და საჩქაროდ თავს უშველეთ, გაიქეცით, შორს ცოდვისაგან! შეშინებული გაეცალეთ აქაურობას, ბატონო.
- შენ ფიქრობ, რომ ყველა შენნაირი მხდალია?
- მაპატიეთ, ბატონო, ვიფიქრე, თქვენც ჩემნაირი ხართ.
- რასაკვირველია, უნდა მივმხვდარიყავი, - აღელდა ივანი, - დიახაც, მე ვგრძნობდი, რომ შენ რაღაც საძაგლობას ჩაიდენდი... ცრუობ, ისევ ცრუობ, - უცებ რაღაც გაახსენდა ივანს და აყვირდა, - გახსოვს, შენ ტარანტასთან მოხვედი და მითხარი: „ჭკვიან კაცთან მუსაიფიც საინტერესოაო“. მაშასადამე, შემაქე, გიხაროდა ჩემი წასვლა, იმიტომაც შემაქე, ხომ?
სმერდიაკოვმა ისევ ამოიოხრა. სახეზე თითქოსდა სიწითლემ გადაუარა.
- გამიხარდა ალბათ ის, - წარმოთქვა მან ისე, თითქოს სული ეხუთებაო, - რომ ჩერმაშნიაში წასვლა გადაწყვიტეთ და არა მოსკოვში. ჩერმაშნია ახლოსაა; ის სიტყვები შესაქებად კი არ გითხარით, არამედ გისაყვედურეთ, ბატონო. ვერ გამიგეთ მაშინ, ბატონო.
- რა მისაყვედურე?
- ის, რომ გრძნობდით მშობლის მოსალოდნელ უბედურებას და მიატოვეთ ის, არ მოინდომეთ ჩვენი დაცვა, ბატონო, ვინაიდან იმ სამი ათასის გულისათვის ყოველთვის შეიძლებოდა ვინმეს ჩემთვის შარი მოედო, ქურდობა ჩემთვის დაებრალებინა, ბატონო.
- ეშმაკმა დაგლახვროს! - ისევ შეიგინა ივანმა, - მოიცა: შენ კაკუნის ნიშნების

შესახებ გამომძიებელსა და პროკურორს ყველაფერი უთხარი?
- ყველაფერი, როგორც იყო, ბატონო.
ივანს ისევ გაუკვირდა.
- თუკი მე მაშინ რამეზე ვფიქრობდი, - დაიწყო ისევ ივანმა, - მხოლოდ იმ სისაძაგლის შესახებ, რაც შეიძლებოდა შენ ჩაგედინა. დმიტრის შეეძლო მოეკლა, მაგრამ მოპარვა - მაშინ ეს არ მჯეროდა. შენგან კი ყველაფერს ველოდი. შენ თავად გამომიტყდი, რომ შეგიძლია ავი ზნის გათამაშება, რატომ მითხარი მაშინ ეს?
- ჩემი გულუბყვილობის გამო. მე ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მომიგონია ავი ზნე, ეს ისე ვთქვი, მინდოდა თქვენთვის თავი მომეწონებინა, სისულელეა, ბატონო. მაშინ მე თქვენ ძალიან მიყვარდით და თავისუფლად ვიქცეოდი.
- მიტია პირდაპირ გადანაშაულებს, რომ შენ მოკალი და გაქურდე კიდეც.
- სხვა რაღა დარჩენია? - მწარედ გაიღრიჭა სმერდიაკოვი, - ამდენი სამხილის შემდეგ მას ვინღა დაუჯერებს? კარი ხომ გრიგორი ვასილევიჩმა ნახა ღია, ბატონო, ამის შემდეგ რაღა აქვს სათქმელი. ეჰ, ღმერთმა უშველოს! ხომ იცით, სული ტკბილია...
სმერდიაკოვი გაჩუმდა, მერმე თითქოს რაღაც გაახსენდა, დაუმატა:
- ახლა ისევ იმაზე: მას უნდა, ეს საქმე მე გადმომაბრალოს, მე მომაწეროს, ბატონო, ამის შესახებ გაგებული მაქვს, ბატონო, რაც შეეხება იმას, რომ ავი ზნის გათამაშება შემიძლია. მე თუ თქვენი მშობლის მოკვლას ვაპირებდი, განა წინასწარ გეტყოდით, ავადმყოფობის მოგონება შემიძლია-მეთქი? თუკი ასეთი მკვლელობა მქონდა ჩაფიქრებული, როგორი ბრიყვი უნდა ვყოფილიყავი, რომ წინასწარ ჩემს თავზე ასეთი სამხილი დამეტოვებინა, თანაც ვისთვის, მსხვერპლის ღვიძლი შვილისათვის, როგორ გეკადრებათ? განა ეს ჭეშმარიტებას ჰგავს? ეს რომ ასე ყოფილიყო, პირიქით, არაფერსაც არ ვიტყოდი, ბატონო. ახლა ჩვენი საუბარი არავის ესმის განგების გარდა, ბატონო, და თუკი თქვენ პროკურორსა და ნიკოლაი პარფენოვიჩს შეატყობინეთ რამე, ამით თქვენ ჩემი დაცვა გააძლიერეთ; რამეთუ რომელი ბოროტმოქმედი იქნება ასე გულუბრყვილო? გამოძიებას ამდენი გაეგება.
- მისმინე, - შეაწყვეტინა სმერდიაკოვის უკანასკნელი დასკვნით განცვიფრებულმა ივანმა და წამოდგა, - მე შენზე ეჭვი არ მაქვს და სასაცილოდაც კი ვთვლი შენს დადანაშაულებას. პირიქით, დიდი მადლობელი ვარ, რომ დამამშვიდე. ახლა მივდივარ, მაგრამ კიდევ მოგინახულებ. მშვიდობით, გამოჯანმრთელდი. ხომ არაფერი გინდა?
- ყველაფრისთვის დიდ მადლობას მოგახსენებ, ბატონო. მარფა იგნატიევნა არ მივიწყებს, ძველებურად კეთილგანწყობილია ჩემს მიმართ, ყველაფერი მოაქვს, რაც მჭირდება. კეთილი ადამიანები ყოველდღე მნახულობენ.
- ნახვამდის. შენ რომ ავადმყოფობის მოგონება შეგიძლია არსად ვიტყვი... არც შენ გირჩევ, ვინმეს უთხრა, - რატომღაც ანაზდად ჩაილაპარაკა ივანმა.
- კარგად მესმის, ბატონო, თუ თქვენ ამის შესახებ ჩვენებას არ მისცემთ, მაშინ მე და თქვენ იმდღევანდელ საუბარს ჭიშკართან არავისთან გავამხელ...
ივანი, როგორც კი ოთახიდან გამოვიდა და დერეფანში ათიოდე ნაბიჯი გაიარა, უცებ მიხვდა, სმერდიაკოვის ნათქვამ უკანასკნელ ფრაზაში რაღაც შეურაცხმყოფელი აზრი რომ იყო. უკან დაბრუნება მოუნდა, მაგრამ თავისთვის ჩაილაპარაკა: „სისულელეაო!“ - და ჩქარი ნაბიჯით დატოვა საავადმყოფო.

მთავარი ის იყო, იგი მართლა დაამშვიდა იმ გარემოებამ, რომ სმერდიაკოვი კი არ აღმოჩნდა დამნაშავე, არამედ მისი ძმა მიტია, როცა პირიქით უნდა მომხდარიყო. რატომ მოხდა ასე - არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, ის კი არა და, ზიზღს ჰგვრიდა თავისი შეგრძნებების გაანალიზება. მას უნდოდა რაღაც-რაღაცების სასწრაფოდ დავიწყება. შემდგომში, რამდენიმე დღის განმავლობაში ის სრულიად დარწმუნდა მიტიას დანაშაულში, როცა ახლოს და საფუძვლიანად გაეცნო ყველა დამამძიმებელ სამხილს. საქმეში იყო გამაოგნებელი ჩვენებები ყველაზე უბრალო მოწმეებისა, მაგალითად, როგორსაც ფენია და დედამისი წარმოადგენდნენ, პერხოტინზე, პლოტნიკოვების დუქნის მომსახურე პერსონალის და მოკროელი მოწმეების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ. ყველაზე დამამძიმებელი მაინც წვრილმანები იყო. გამომძიებელი და პროკურორი ისევე გააოცა ცნობამ საიდუმლო „კაკუნის“ შესახებ, როგორც გრიგორის ჩვენებამ ღია კარის თაობაზე. მარფა იგნატიევნამ ივანს პირდაპირ განუცხადა, სმერდიაკოვი იმ ღამეს ტიხარს იქით იწვა, „ჩვენი საწოლიდან თითქმის სამ ნაბიჯზეო“ და თუმცა მას, მარფას, კარგა მაგრა ეძინა, ხშირად ეღვიძებოდა და კვნესა ესმოდა: „სულ კვნესოდა, გაუთავებლად კვნესოდაო“. როცა ივანმა ექიმ ჰერცენშტუბესთან გამოთქვა თავისი ეჭვი, რომ სმერდიაკოვი სულაც არ ჰგავს ჭკუიდან გადასულს, მხოლოდ ძალიან დასუსტებულიაო. პასუხად ჰერცენშტუბეს გაეღიმა. „იცით, ახლა ის ძირითადად რითია დასაქმებული? - ჰკითხა მან ივანს, - ფრანგულ ვოკაბულებს[126] იზუთხავს; ბალიშქვეშ რვეული უდევს, სადაც ფრანგული სიტყვები რუსული ასოებით აქვს ვიღაცის მიერ ჩაწერილი, ხა-ხა-ხა!“
ბოლოს და ბოლოს ივანს ყველა ეჭვი გაუქრა. დმიტრის გახსენებაზე გული ერეოდა. მხოლოდ ერთი რამ ეჩვენებოდა უცნაურად: ალიოშას დაჟინება, მკვლელი მიტია კი არა, „ალბათ უფრო“ სმერდიაკოვიაო. ივანი ყოველთვის გრძნობდა, ალიოშას აზრს მისთვის დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ამიტომ ახლა ძალიან უკვირდა ალიოშასი.
უცნაური კიდევ ის იყო, რომ მასთან ალიოშას მიტიას შესახებ საუბარი არ სურდა, არასოდეს თავად არ იწყებდა, მხოლოდ ივანის კითხვებს პასუხობდა. ეს კარგად შენიშნა ივანმა. ისე კი, ივანი იმ დროს ძალიან გაიტაცა ერთმა გარემოებამ; მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ის მთელი არსებით შეიპყრო კატიას მიმართ მხურვალე და გიჟურმა ვნებამ. ახლა აქ ადგილი არა გვაქვს, აღვწეროთ ივანის იმჟამინდელი გატაცება, რომელმაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე წარუშლელი კვალი დააჩნია: ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი მოთხრობის, ახალი რომანის ქარგად, რომელსაც დავწერ თუ არა მომავალში, ჯერ კიდევ არ ვიცი. მაგრამ ახლა არ შემიძლია, არაფერი ვთქვა იმის შესახებ, რომ როცა კატერინასაგან წამოსულმა ივანმა ალიოშას უთხრა: „მე კატიას მოტრფიალე არა ვარო“, - მაშინ ძალიან ტყუოდა. მას გაგიჟებით უყვარდა კატერინა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხანდახან ისე სძულდა, მოკვლაც არ დაენანებოდა. აქ ერთმანეთს მრავალი მიზეზი დაემთხვა: მიტიას მდგომარეობით შეძრწუნებული კატერინა მოსკოვიდან ჩამოსულ ივანს ისე მივარდა, როგორც რომელიღაც თავის გადამრჩენელს. იმ წუთებში სასოწარკვეთილი ქალის გრძნობები შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ამ დროს კი გამოჩნდა კაცი, რომელსაც ის ადრე უყვარდა, - ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, - რომლის ჭკუა-გონებასა და გულისხმიერებას კატერინა მუდამ თავის თავზე მაღლა აყენებდა. მაგრამ თავდაჭერილმა ქალიშვილმა ბოლომდე არ გაიღო მსხვერპლი,

მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული კაცი ძალიან ხიბლავდა და კარამაზოვული ჟინით შეპყრობილი თავშეუკავებელი მიჯნური კი გაუთავებლად თავს დასტრიალებდა. ამასთან ერთად, კატერინას მუდამ სინდისი ქენჯნიდა იმის გამო, მიტიას რომ ღალატობდა და როცა ივანთან მისი კინკლაობა ჩხუბში გადაიზრდებოდა (ეს კი არც თუ იშვიათად ხდებოდა), ქალი თავს ვერ იკავებდა და ივანს ყოველივე ამას პირში მიახლიდა ხოლმე. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ივანს, როცა ალიოშას უთხრა: „სიცრუეს სიცრუეზე უმატებსო“. რასაკვირველია, მათ ურთიერთობაში ბევრი სიცრუე იყო, რაც ძალზე აღიზიანებდა ივანს... მაგრამ ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით მოგითხრობთ. ერთი სიტყვით, ივანს გარკვეული დროით გადაავიწყდა სმერდიაკოვი. ორი კვირაც არ გასულა ივანისა და სმერდიაკოვის პირველი შეხვედრიდან, რომ ივანს ისევ დაუკარგა მოსვენება იმ უცნაურმა კითხვებმა, რაც ადრე აწუხებდა. ის გაუთავებლად ეკითხებოდა თავს: იმ უკანასკნელ ღამეს მამის სახლში მოსკოვში გამგზავრებამდე რისთვის ჩავედი კიბეებზე ქურდულად და რატომ ვუსმენდი ფარულად, ქვემოთ რას აკეთებდა მამა? შემდგომ რატომ ვიგონებდი ყოველივე ამას ზიზღით, ან მეორე დილას გზაში რატომ მომერია სევდა, ხოლო როცა მატარებელი მოსკოვს მიუახლოვდა, რატომ ვუთხარი საკუთარ თავს: „შენ ნაძირალა ხარ!“ ერთხელ, როცა თავში გაუელვა აზრმა: ეს შემაწუხებელი ფიქრები იმდენად დაეუფლნენ ჩემს არსებას, რომ მზადა ვარ, კატერინაც კი დავივიწყოო. ამ დროს ქუჩაში ალიოშა შეხვდა და ჰკითხა;

- გახსოვს, ნასადილევს მიტია რომ შემოვარდა სახლში და მამა სცემა, მე კი ამის შემდეგ ეზოში გითხარი, „სურვილის უფლებას“ ვიტოვებ-მეთქი, გამოტყდი, გაიფიქრე თუ არა მაშინ, მე რომ მამას სიკვდილი მინდოდა?

- გავიფიქრე, - წყნარად უთხრა ალიოშამ.

- ალბათ ასეც იყო, ამას დიდი გამოცნობა არ უნდოდა. მაგრამ მაშინ არ გაგიელვა თავში, რომ მე მსურდა „ერთ საძაგლობას მეორე საძაგლობა გაენადგურებინა“, ე.ი. დმიტრის მამა მოეკლა, თანაც რაც შეიძლება მალე... მე კი წინააღმდეგი არ ვიქნებოდი ყოველივე ამაში მკვლელისათვის ხელი გამემართა?

ალიოშა გაფითრდა და მდუმარედ შესცქეროდა ძმას თვალებში.

- ამოღერღე! - იყვირა ივანმა, - მე მინდა, ვიცოდე, რას ფიქრობდი მაშინ. მე მსურს: სიმართლე, სიმართლე! - იგი გაჭირვებით ითქვამდა სულს და წინასწარ, რაღაცნაირად გაბოროტებული უყურებდა ალიოშას.

- მაპატიე, მაგრამ ეგეც გავიფიქრე, - ჩურჩულით თქვა ალიოშამ და ისე გაჩუმდა, რომ არაფერი „შემამსუბუქებელი გარემოება“ არ დაუმატებია.

- მადლობ! - მოუჭრა ივანმა, ალიოშას გასცილდა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა თავის გზას. ამის შემდეგ ალიოშამ შეამჩნია, ივანი აშკარად გაურბოდა მას, თითქოს შეიძულა კიდეც, ამიტომ ალიოშამ თავადაც შეწყვიტა ივანთან სახლში სიარული. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, როგორც კი ალიოშას დაშორდა, ივანი მაშინვე სმერდიაკოვისაკენ გაემართა.

VII მეორე ვიზიტი სმერდიაკოვთან

იმ დროისათვის სმერდიაკოვი საავადმყოფოდან გამოწერილიყო. ივანმა მისი ახალი ბინის მისამართი იცოდა. სმერდიაკოვი ცხოვრობდა მორებისაგან აშენებულ გვერდმოქცეულ სახლში, რომელიც წინკარით გაყოფილი ორი ქოხისაგან შედგებოდა. ერთი ქოხი მარია კონდრატიევნას და დედამისს ეკავა, მეორე მარტო სმერდიაკოვს. ღმერთმა უწყის, რა პირობით ცხოვრობდა სმერდიაკოვი მათთან: ქირას იხდიდა თუ მუქთად? შემდგომში ვარაუდობდნენ, სმერდიაკოვი მათთან ცხოვრობდა, როგორც მარია კონდრატიევნას საქმრო, რასაკვირველია, მუქთად. დედა-შვილი მას ძალიან აფასებდა და ისე უყურებდა, როგორც მათზე მაღლა მდგომ, პატივსაცემ პიროვნებას. ივანმა დააკაკუნა და კარი გაუღეს. მარია კონდრატიევნამ მას მარცხნივ, „თეთრი ქოხისაკენ“ მიუთითა, სადაც სმერდიაკოვი ცხოვრობდა. ივანი შევიდა. ოთახში შორენკეცის ღუმელი ენთო და ძალიან ცხელოდა. კედელზე გაკრული აქა-იქ დახეული ცისფერი შპალერის ქვეშ უამრავი ტარაკაა დაფაჩიფუჩობდა. ოთახში ბევრი ავეჯი არ იდგა: ორი მერხი კედლების გასწვრივ, ორი სკამი მაგიდასთან. უბრალო ხის მაგიდას ვარდისფერი, ზოლიანი სუფრა ეფარა. ორივე პატარა ფანჯრის რაფებზე თითო-თითო ყვავილის ქოთანი იდგა. კუთხეში ხატები ესვენა. მაგიდაზე ძველისძველი პატარა სამოვარი, ლანგარი და ორი ფინჯანი ელაგა. ეტყობოდა, სმერდიაკოვს ჩაი უკვე მიერთმია, სამოვარი აღარ ენთო... სმერდიაკოვი მაგიდასთან იჯდა, რვეულს ჩაჰყურებდა და თან კალმით რაღაცას ხაზავდა. მის წინ სტეარინის სანთლიანი შანდალი და სამელნე იდო. სმერდიაკოვის გამომეტყველებით, ივანი მიხვდა, რომ იგი სნეულებისგან უკვე გამოჯანმრთელებულიყო. სახე შევსებოდა და კარგი ფერი ედო, თმა წინ აქოჩრილი და საფეთქლებთან მიტყეპებული ჰქონდა. კარგად ნახმარი და გაცვეთილი, ჭრელი ბამბის ხალათი ეცვა. სათვალე ეკეთა, რომელიც ადრე ივანს მასზე არასოდეს ენახა. ასეთმა თითქოსდა უბრალო ვითარებამ ძალიან გააბრაზა ივანი; „სათვალიანი პირუტყვი!“ - გაიფიქრა თავისთვის. სმერდიკოვმა თავი აწია და სათვალის იქიდან დააკვირდა შემოსულს, შემდეგ სათვალე მოიხსნა, წამოიწია, მაგრამ რაღაცნაირად არათავაზიანად, ზანტად, მხოლოდ იმიტომ, რომ დაეცვა ზრდილობის რაღაც წესი, ურომლისოდაც არ შეიძლებოდა. ეს ყველაფერი მაშინვე შეამჩნია ივანმა. რაც მთავარია, სმერდიაკოვს ბოროტი, მტრული და დამცინავი გამოხედვა გაუხდა, თითქოს ეუბნებოდა: „რას დაეთრევი აქ, ჩვენ ხომ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, რაღა გინდაო?“ ივანმა თავი ძლივს შეიკავა.

- ცხელა აქ, - თქვა მან და პალტოს ღილები შეიხსნა.

- გაიხადეთ, ბატონო, - ნება დართო სმერდიაკოვმა.

ივანმა პალტო გაიხადა და იქვე მიაგდო, შემდეგ აკანკალებული ხელებით სკამი აიღო, მაგიდასთან სწრაფად მიაჩოჩა და დაჯდა. სმერდიაკოვმა მანამდე მოასწრო დაჯდომა.

- უპირველეს ყოვლისა, მარტო ვართ? - მკაცრად, სხაპასხუპით იკითხა ივანმა.

- ვერავინ ვერაფერს გაიგებს, ბატონო, თავად ნახეთ, წინკარი ყოფს ოთახებს.

- მისმინე, ჭირიმე: ის რა წამოროშე მაშინ ჩემი წამოსვლისას, უკანასკნელად რომ გნახე. რას ნიშნავს, მე თუ არ ვიტყვი, შენ რომ ავი ზნის მოგონება იცი, მაშინ არც შენ მოყვები ყველაფერს ჭიშკართან ჩვენი საუბრის შესახებ? რა ყველაფერზეა ლაპარაკი? რა გქონდა მხედველობაში? მემუქრებოდი? მე რა, შენთან რაღაც კავშირში ვარ და შენი მეშინია?

ივან ფიოდოროვიჩი ძალზე განრისხებული ლაპარაკობდა, ალბათ უნდოდა,

საგანგებოდ ეგრძნობინებინა სმერდიაკოვისათვის, რომ ქარაგმებით ლაპარაკი ეჯავრება და ღია თამაშს ამჯობინებს. სმერდიაკოვს თვალები ბოროტად აუციმციმდა, მარცხენა თვალი აუთამაშდა. მან მაშინვე ჩვეულებისამებრ თავშეკავებულად და დინჯად უპასუხა: „გინდა სიმართლე, აჰა, მიიღე იგიო“.
- მე ის მქონდა მხედველობაში, ასე იმიტომ მოგახსენეთ, ვიცოდი, თქვენთვის წინასწარ ცნობილი იყო, მამას რომ მოკლავდნენ და არაფერი იღონეთ მის დასაცავად, მიატოვეთ და გაწირეთ ის. შემდგომში ხალხს თქვენს გრძნობებზე და, შესაძლოა, კიდევ სხვა რაღაცის გამო ცუდი რომ არაფერი დასცდენოდა, აი, ამის შესახებ გპირდებოდით, უფროსებს არ განვუცხადებ-მეთქი.
მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს სმერდიაკოვმა წყნარად და თავდაჭერილად წარმოთქვა, მის ხმაში მაინც გაისმოდა რაღაცნაირად მტკიცე და დაჟინებული, ბოროტი და თავხედურად გამომწვევი კილო. ის ისე უტიფრად მიაშტერდა ივანს, ამ უკანასკნელს თვალები აუჭრელდა.
- რაო? რას ბოდავ? შენ ჭკუაზე ხარ?
- სავსებით საღ გონებაზე, ბატონო.
- მე რა, ვიცოდი მაშინ, მკვლელობა რომ მოხდებოდა? - იღრიალა ივანმა და მუშტი მაგიდას დაარტყა, - რას ნიშნავს: „კიდევ სხვა რაღაცის გამოო“? - ამოშაქრე, ნაძირალა!
სმერდიაკოვი დუმდა და ისევ უტიფრად ათვალიერებდა ივანს.
- თქვი, შე გარეწარო, რა „კიდევ სხვა“ გქონდა მხედველობაში? - ღრიალებდა ივანი.
- „კიდევ სხვაში“ იმას ვგულისხმობდი, რომ მაშინ თქვენ თვითონაც გსურდათ მამათქვენის სიკვდილი.
ივანი წამოხტა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მხარში მუშტი ისე მაგრად ჩაარტყა, სმერდიაკოვი კედელს მიეხეთქა. სმერდიაკოვმა ცრემლები გადმოღვარა და აკრუსუნდა: „გრცხვენოდეთ, ბატონო, უძლურ ადამიანს სცემთ!“ მან სახეზე თავისი ლურჯი, კუბოკრული ჟღვლინტიანი ცხვირსახოცი აიფარა და ჩუმად ატირდა. გავიდა ერთი წუთი.
- გეყოფა, შეწყვიტე ტირილი! - ბოლოს უბრძანა ივანმა და თავის ადგილას დაჯდა, - არ გამომიყვანო მოთმინებიდან.
სმერდიაკოვმა სახიდან ჩვარი მოიშორა. მისი დანაოჭებული სახის ყველა ნაკვთს ეტყობოდა ახლახან გადატანილი წყენა.
- მაშასადამე, არამზადავ, შენ მაშინ იფიქრე, რომ მე მიტიასთან ერთად მინდოდა მამის მოკვლა.
- მე მაშინ თქვენი ფიქრები არ ვიცოდი, ბატონო, - თქვა ნაწყენი ხმით სმერდიაკოვმა, - ამიტომაც გაგაჩერეთ ჭიშკართან, ამ საკითხში რომ გამომეცადეთ.
- რაო? გამომეცადეთო?
- დიახ, მინდოდა გამერკვია: გსურდათ თუ არა, რომ მამათქვენი მალე მომკვდარიყო?
ყველაზე მეტად ივანს აღაშფოთებდა სმერდიაკოვის დაჟინებული, კადნიერი ტონი. რომელზედაც უარს იგი არაფრით არ ამბობდა.
- შენ მოკალი ის! - უცებ იყვირა ივანმა.
სმერდიაკოვმა ზიზღით ჩაიქირქილა.
- მე რომ არ მომიკლავს, თქვენც კარგად იცით. მეგონა, თქვენ ჭკვიანი კაცი

იყავით და ამ თემაზე კრინტს აღარ დაძრავდით.
- კი მაგრამ, რატომ გაგიჩნდა, რატომ, ჩემზე ასეთი ეჭვი?
- როგორც თქვენთვის ცნობილია, შიშისაგან, ბატონო. ვინაიდან მაშინ ისეთი ვითარება იყო, ისე ვიყავი შეშინებული და შეძრწუნებული, ყველაში ეჭვი მეპარებოდა. თქვენი გამოცდაც დავაპირე, ბატონო, რამეთუ ვფიქრობდი, თუ თქვენც თქვენი ძმასავით მამის სიკვდილი გენდომებოდათ, მაშინ ამ საქმეს აღარაფერი ეშველება და მეც დამღუპავენ ესენი-მეთქი.
- ორი კვირის წინ სხვა რამეს ამბობდი.
- საავადმყოფოში, როცა გესაუბრებოდით, ამასვე ვგულისხმობდი, ვვარაუდობდი, თქვენ ზედმეტი სიტყვების გარეშეც გამიგებდით ყველაფერს, პირდაპირ საუბარი თავადაც არ გსურდათ, როგორც ჭკვიან კაცს შეეფერება.
- ხედავ შენ! ერთი ეს მიპასუხე, მიპასუხე, მოვითხოვ: რა იყო მიზეზი, როგორ მოვახერხე შენს საზიზღარ სულში ასეთი ეჭვის გაღვივება?
- მოკვლას თქვენ ვერასოდეს შეძლებდით, ბატონო, არც გინდოდათ, მაგრამ სხვას რომ მოეკლა, ამისი სურვილი კი გქონდათ.
- დამიხედეთ, როგორ მშვიდად და დაწყნარებული ლაპარაკობს! რატომ უნდა მდომოდა, რა ჯანდაბად მინდოდა?
- რა ჯანდაბად გინდოდათ, ბატონო? მემკვიდრეობა? - გესლიანად და შურისძიებით გამსჭვალული ხმით მიუგო სმერდიაკოვმა, - მამათქვენის სიკვდილის შემდეგ თოთოეულ ძმას ორმოცი ათასზე ნაკლები არ შეგხვდებოდათ, შეიძლება უფრო მეტიც. ხოლო თუ ფიოდორ პავლოვიჩი იმ ქალბატონს, აგრაფენა ალექსანდროვნას შეირთავდა, მაშინ, ჩემო ბატონო, ის ქალბატონი ჯვრისწერის შემდეგ მთელ ქონებას თავის სახელზე გაიფორმებდა, ვინაიდან ის გონიერი ქალია. ასე რომ, მამის სიკვდილის შემდეგ არც ერთ ძმას გროშ-კაპიკიც არ დაგრჩებოდათ. მაშინ კი, ჯვრისწერამდე რაღა აკლდა? საკმარისი იყო, იმ ქალბატონს ერთი თითი დაექნია, რომ მამათქვენი მასთან ერთად ეკლესიაში თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა.
ივანი თავს ძლივს იკავებდა.
- კეთილი, - თქვა მან ბოლოს და ბოლოს, - ხედავ, წყნარად ვზივარ, არ გირტყამ და არ გკლავ. გააგრძელე: შენი აზრით, მე ჩემი ძმა ამ საქმისათვის მინდოდა, მისი იმედი მქონდა?
- როგორ არ გექნებოდათ, ჩემო ბატონო, თუკი ის მოკლავდა, მაშინ იგი ყოველგვარ ჩინებს, წოდებრივ უფლებებსა და ქონებას დაკარგავდა და გადასახლებაში უკრავდნენ თავს, ხოლო იმისი წილი მემკვიდრეობა თქვენ და ალექსეი ფიოდოროვიჩს თანაბრად გადაგინაწილდებოდათ, 40-40 კი არ შეგხვდებოდათ, არამედ 60-60 ათასი თითოეულს. ცხადია, თქვენ მაშინ დმიტრი ფიოდოროვიჩის იმედი გქონდათ, ასეა ეს, ჩემო ბატონო!
- მიკვირს, ამდენს როგორ გითმენ! მისმინე, არამზადავ, მე თუ ვინმეს იმედი მქონდა, მხოლოდ და მხოლოდ შენი და არა დმიტრის, და გეფიცები, ვგრძნობდი კიდეც, შენ რომ რაღაც საზიზღრობას ჩაიდენდი... მაშინ... მე მახსოვს მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილებები!
- დიახ, ერთ მომენტში მეც გავიფიქრე, ჩემი იმედი აქვს-მეთქი, - დამცინავად გაიღრიჭა სმერდიაკოვი, - ასე რომ, თქვენ მაშინ ჩემს წინაშე თავი გამოააშკარავეთ, რადგან ჩემი იმედი გქონდათ და ამავე დროს გაემგზავრეთ, ე.ი. მაგრძნობინეთ, შეგიძლია მამაჩემი მოკლა, წინააღმდეგი არა ვარო.

- ნაძირალა! შენ ასე გაიგე!
- სწორედ ჩერმაშნიას გამო, ბატონო! სწორედაც! თქვენ მაშინ მოსკოვში გამგზავრებას აპირებდით და მამათქვენს ჩერმაშნიაში წასვლაზე უარი უთხარით. ჩემს ბრიყვულ თხოვნას კი დათანხმდით, ბატონო! რატომ დათანხმდით მაშინ ჩემს თხოვნას, რაში დაგჭირდათ? იმიტომ არჩიეთ მოსკოვში გამგზავრებას ჩერმაშნიაში წასვლა, რომ ჩემგან რაღაცას ელოდით.
- არა, ვფიცავ, არა! - იღრიალა ივანმა
- როგორ თუ არა, ბატონო? თქვენ რომ კარგი შვილი ყოფილიყავით, იმავ წუთში ტყავს გამაძრობდით იმ სიტყვების გამო და ჩამაბარებდით, სადაც საჭირო არს, ჩემო ბატონო. იმას მაინც გააკეთებდით ადგილზევე, კარგად მიმტყეპავდით. თქვენ კი, მაპატიეთ და სულაც არ გაბრაზებულხართ, მეგობრულად, ულაპარაკოდ შეასრულეთ ჩემი ბრიყვული თხოვნა და გაემგზავრეთ, ბატონო. ეს კი ძალიან უცნაური იყო, რადგან უნდა დარჩენილიყავით თქვენი მშობლის სიცოცხლის დარაჯად... ამის შემდეგ განა შეიძლებოდა, მე თქვენზე სხვა აზრი მქონოდა?
წარბებშეჭმუხნული ივანი იჯდა და ორივე მუშტით მუხლებს დაყრდნობილი კანკალებდა.
- დიახ, მართალი ხარ, სამწუხაროა, რომ მუშტებით მაგრა არ დაგისიე ეგ სიფათი, - მწარედ გაიცინა მან, - სხვაგან შენი წაყვანა არ შეიძლებოდა: ვინ დამიჯერებდა, ან რა უნდა მეთქვა, ხოლო ერთი კარგად რომ მიმებეგვე... სამწუხაროდ, ვერ მივხვდი; ცემა-ტყეპა ახლა აკრძალულია, მაგრამ ცხვირ-პირი ისე უნდა დამემტვრია, პატრონსაც ვერ ეცნე.
სმერდიაკოვი ძალზე კმაყოფილი შესცქეროდა მას.
- ჩვეულებრივად, ცხოვრებაში, - დაიწყო სმერდიაკოვმა მისთვის ჩვეული თვითკმაყოფილი დოქტრინული ტონით, როგორითაც ესაუბრებოდა ხოლმე გრიგორი ვასილევიჩს და აცოფებდა მას, როცა ფიოდორ პავლოვიჩის სუფრასთან რწმენაზე კამათობდნენ, - ჩვეულებრივად, ცხოვრებაში დღეს ადამიანის ცემა კანონით აკრძალულია, თითქოს აღარავის სცემენ, ბატონო, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, არათუ ჩვენთან, არამედ მთელ დუნიაზე, საფრანგეთის რესპუბლიკაშიც კი გრძელდება ცემა-ტყეპა ისევე, როგორც ეს ადამ და ევას დროს ხდებოდა, არც არასოდეს შეწყდება, ბატონო, თქვენ კი მაშინ განსაკუთრებული შემთხვევა გქონდათ, მაგრამ ვერ გაბედეთ, ბატონო.
- რაშია საქმე, შენ ფრანგულს რაღაც ძალიან მიეძალე? - ჰკითხა ივანმა და მაგიდაზე გაშლილ რვეულზე მიუთითა.
- რატომ არ უნდა ვისწავლო, ბატონო, ამით ხომ ჩემს განათლებულობას რაღაცას შევმატებ, შეიძლება ოდესღაც მეც მომიწიოს ევროპის იმ ბედნიერი ადგილების მონახულება, იქნებ მეც ვეღირსო.
- მისმინე, ნადირო, - ივანს თვალები აეხთო და მთელი ტანი აუკანკალდა, - მე შენი ბრალდებების არ მეშინია, რაც გინდა, ის თქვი. თუ ახლა ცემით არ მიგასიკვდილე, მარტოოდენ იმიტომ, რომ ეჭვი მაქვს, შენი ჩადენილია ეს ბოროტმოქმედება და სასამართლომდე უნდა გაცოცხლო. მე შენ კიდევ უფრო მეტად გამოგააშკარავებ.
- მე კი მგონია, სჯობდა ხმა არ ამოგეღოთ, ბატონო. რაც არ უნდა განაცხადოთ თქვენ ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულზე, არავინ დაგიჯერებთ. და თუ წამოიწყებთ, მაშინ მე ყველაფერს ვიტყვი, ჩემო ბატონო, რადგან იძულებული ვიქნები, თავი დავიცვა.
- შენა გგონია, მე ახლა შენი მეშინია?

- შეიძლება ჩემი სიტყვები სასამართლომ არ დაიჯეროს, მაგრამ პუბლიკა ხომ დაიჯერებს, ბატონო, თავი მოგეჭრებათ, ბატონო.
- რას ნიშნავს ეს, ისევ და ისევ „ჭკვიან კაცთან საუბარი სასიამოვნოაო“, ხომ? - თქვა ივანმა და კბილები გააკრაჭუნა.
- მართალს ბრძანებთ, ბატონო. ჰოდა, ჭკუას მოუხმეთ.
სიბრაზისაგან აკანკალებული ივანი წამოდგა, პალტო ჩაიცვა და სმერდიაკოვისაკენ არც გაუხედავს, არც პასუხი გაუცია, ისე გავარდა ქოხიდან. საღამოს გრილმა ნიავმა ცოტა გამოაცოცხლა. ცაზე ბადრი მთვარე ენთო. მის სულში საშინელი აზრებისა და შეგრძნებების კოშმარი დუღდა და გადმოდუღდა. „ახლა წავიდე და სმერდიაკოვზე განვაცხადო? მაგრამ რა ვთქვა: ის მაინც უდანაშაულოა. პირიქით, მე დამადანაშაულებს. მართლაცდა, რატომ გავემგზავრე მაშინ ჩერმაშნიაში? რისთვის? რისთვის? - ეკითხებოდა საკუთარ თავს ივანი, - ცხადია, რაღაცას ველოდი, ის მართალია...“ ივანს უკვე მერამდენეჯერ გაახსენდა, უკანასკნელ ღამეს როგორ უთვალთვალებდა კიბეებიდან თავის მამას. ეს გახსენება ისეთი მტანჯველი, ისეთი გულის განმგმირავი იყო, ადგილზე გაშეშდა: „დიახ, მე მაშინ ამას ველოდი, მართალია! დიახ, მინდოდა, სწორედაც რომ მინდოდა, მკვლელობა მომხდარიყო! მინდოდა მკვლელობა, მინდოდა?.. სმერდიაკოვი უნდა მოვკლა!.. ახლა სმერდიაკოვის მოკვლას თუ ვერ გავბედავ, სიცოცხლე აღარ ღირს!..“ ივანს სახლში არ გაუვლია, პირდაპირ კატერინას მიადგა. კატერინა ძალიან შეაშფოთა ივანის ხილვამ: მას გიჟის სახე ჰქონდა. ივანმა სიტყვასიტყვით, დაწვრილებით უამბო სმერდიაკოვთან საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ კატერინა ამშვიდებდა, ვერაფრით შეძლო მისი დაშოშმინება. ივანი ოთახში გადი-გამოდიოდა და შიგადაშიგ უცნაურად ლაპარაკობდა. დაბოლოს, როგორც იქნა, ჩამოჯდა და მაგიდას დაეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო და უცნაური აფორიზმი ამოღერღა:
- თუ სმერდიაკოვმა მოკლა, მაშინ, რასაკვირველია, მე მისი თანამძრახველი გამოვდივარ, რამეთუ მე ვაქეზებდი. ვაქეზებდი თუ არა - ჯერ კიდევ არ ვიცი. ხოლო თუ მან მოკლა და არა დმიტრიმ, მაშინ, ცხადია, მეც მკვლელი ვარ.
კატერინამ ეს მოისმინა, ჩუმად ადგა და საწერი მაგიდისაკენ გაემართა. მაგიდაზე მდგარი პატარა ზარდახშა გახსნა და რაღაც ქაღალდი ამოიღო. ქაღალდი ივანს ცხვირწინ დაუდო. ეს დოკუმენტი, როგორც შემდგომში ივანმა ალიოშას განუცხადა, „მათემატიკური მტკიცებულება“ იყო იმისა, რომ მამა დმიტრიმ მოკლა. ამ წერილს მთვრალი მიტია კატერინას სწერდა. წერილი იმ დღეს იყო დაწერილი, როცა მონასტერში მიმავალ ალიოშას მიტია მინდორში შეეფეთა. ალიოშა იმ დროს კატერინასაგან მოდიოდა, იმ სცენის შემდეგ, როცა გრუშენკამ კატერინას შეურაცხყოფა მიაყენა. იმ დღეს მიტია ალიოშასთან განშორების შემდეგ გრუშენკასთან გაეშურა; ცნობილი არ არის, ნახა თუ არა მან გრუშენკა, მაგრამ ღამით სამიკიტნოში აღმოჩნდა და ერთი გემოზეც გამოთვრა. მთვრალმა საწერ-კალამი და ქაღალდი მოითხოვა და თავისდა საზიანოდ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი შექმნა. ეს იყო აფორიაქებული, მთვრალი კაცის დაწერილი აბდაუბდა, სიტყვაუხვი წერილი, მართლაც „მთვრალი“ წერილი. წერილი შინდაბრუნებული, განსაკუთრებულად აღგზნებული მთვრალი კაცის მონოლოგს ჰგავდა, ცოლს ან ოჯახის რომელიმე წევრს რომ უყვება, ვიღაცამ როგორ მიაყენა მას შეურაცხყოფა, როგორი არამზადაა მისი შეურაცხმყოფელი და, პირიქით, როგორი მშვენიერი ადამიანია თავად და რომ თავის შეურაცხმყოფელს დედას

უტირებს და ა.შ. და ა.შ. - ყველაფერ ამას ის გრძელ-გრძელი, არეულ-დარეული ფრაზებით წერდა, თან აღგზნებული და აცრემლებული მაგიდას მუშტებს უბრახუნებდა. წერილის დასაწერი ფურცელი, რომელიც სამიკიტნოში მისცეს, ცუდი ხარისხის საწერი ქაღალდის ბინძური ნაგლეჯი იყო, რომლის უკანა მხარეს რაღაც ანგარიში ეწერა. მთვრალი კაცის მრავალსიტყვაობას, ეტყობოდა, ადგილი აღარ ეყო და ნაწერით არათუ ფურცლის სუფთა გვერდი იყო სავსე, არამედ უკანა მხარეც - ერთხელ ნაწერზე ხელმეორედ დაეწერა. აი, ეს წერილი:

„საბედისწერო კატია! ხვალ ვიშოვი ფულს და დაგიბრუნებ შენს ვალს - სამი ათას მანეთს, მერე კი მშვიდობით - უმრისხანესო ქალო, მშვიდობით, ჩემო სიყვარულო! დავასრულოთ ყველაფერი! ხვალ ყველასა ვთხოვ, თუ ვერ ვიშოვი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, მივალ მამაჩემთან, თავს გავუხეთქავ, ავიღებ ბალიშის ქვეშ გადამალულ ფულს, ოღონდ კი ივანი წავიდეს სახლიდან. კატორღაში წავალ, იმ სამი ათასს კი დაგიბრუნებ. შენ კი მაპატიე, მუხლმოდრეკილი გევედრები, ვინაიდან უსინდისოდ მოგექეცი, მაპატიე. არა, სჯობს, არ მაპატიო: ჩემთვისაც უკეთესია და შენთვისაც! შენს სიყვარულს კატორღაში წასვლას ვამჯობინებ, რადგან სხვა მიყვარს, რომელიც დღეს შენ კარგად გაგიცვნია, განა შენ ამიერიდან პატიებას შეძლებ? მოვკლავ ჩემს გამქურდველს! ყველას გაგშორდებით, წავალ სადმე აღმოსავლეთში, არავის ნახვა არ მინდა, არც გრუშენკასი, რამეთუ მარტო შენ არა ხარ ჩემი მტანჯველი, ისიც ჩემი სულთამხუთავია, მშვიდობით!

P.S. გწყევლი და მაინც გაღმერთებ! გულით ვგრძნობ ამას. მრთელი ერთი სიმიღა დამრჩა და ალბათ ის ხმიანობს. სჯობდა, გული ორად გამსკდომოდა! სიცოცხლეს მოვისწრაფებ, მაგრამ მანამდე ძაღლს ჩავაძაღლებ. წავგლეჯ სამი ათასს და შენ მოგიგდებ. იმ ძაღლს ლეიბის ქვეშ უდევს, ვარდისფერი ბაფთით შეკრული. მე ქურდი არ ვარ, მაგრამ ჩემს გამქურდველს მოვკლავ. კატია, ზიზღით ნუ მიყურებ: დმიტრი ქურდი არ არის, იგი მკვლელია! მამა მოკლა და თავი დაიღუპა, რომ ფეხზე დადგეს და შენი დიდგულობა აღარ ითმინოს. და აღარც შენ უყვარდე.

P.S. ფეხებს გიკოცნი, მშვიდობით!

P.SS. კატია, ღმერთს შეევედრე, რომ ვინმემ ფული მასესხოს. მაშინ არ იქნება სისხლი. არ მომცემენ - სისხლი დაიღვრება! მომკალი თუ შეგიძლია!

შენი მონა და მტერი

დ. კარამაზოვი“.

„დოკუმენტის“ წაკითხვის შემდეგ ივანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მიტია იყო მკვლელი და არა სმერდიაკოვი. მაშასადამე, თუ სმერდიაკოვმა არ მოკლა, მაშინ არც ის, ივანი არის მკვლელი. ამ წერილს ივანმა მათემატიკური მნიშვნელობა მიანიჭა. ამის შემდეგ არავითარი ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მიტია დამნაშავე იყო. სხვათაშორის, ივანს იმის ეჭვი, რომ მიტიამ სმერდიაკოვთან ერთად მოკლა მამა, არასოდეს ჰქონია, ეს არავითარი ფაქტით არ დასტურდებოდა. ამ დოკუმენტმა ივანი სავსებით დაამშვიდა. მეორე დღეს ზიზღით გაიხსენა სმერდიაკოვი და მისი დაცინვა. რამდენიმე დღის შემდეგ უკვირდა კიდეც, სმერდიაკოვის ეჭვებმა რომ დაბოღმა. მან გადაწყვიტა, არაფრად ჩაეგდო ეს ამბავი და დაევიწყებინა. ამასობაში ერთი თვე გავიდა. ივანი სმერდიაკოვს აღარ კითხულობდა, მაგრამ ერთი ორჯერ ყური მოჰკრა, რომ იგი ძალიან ავადაა, თავის ჭკუაზე აღარაა. „სიგიჟით დაასრულებს თავის სიცოცხლეს,“ - თქვა ერთხელ ექიმმა ვარვინსკიმ და ივანს ეს კარგად დაამახსოვრდა. ამ თვის ბოლო კვირაში

ივანმა თავი ძალიან ცუდად იგრძნო. სასამართლოსათვის კატერინას მიერ მოსკოვიდან გამოწერილმა ექიმმა რამდენჯერმე გასინჯა. სწორედ ამ დროისათვის ივანსა და კატერინას შორის დამოკიდებულება უკიდურესად გამწვავდა. ეს იყო ორი, ერთმანეთზე შეყვარებული მტერი. კატერინას მყისიერი, მაგრამ მგზნებარე „გულის მობრუნება“ მიტიასაკენ ივანს ცოფებს აყრევინებდა. უცნაური ის იყო, რომ ჩვენ მიერ ამას წინათ აღწერილ, კატერინას სახლში მომხდარ სცენამდე, როცა მიტიას დავალებით ალიოშა კატერინას ესტუმრა, ივანს ამ ერთი თვის განმავლობაში კატერინასგან ერთხელაც არ მოუსმენია დაეჭვება მიტიას დამნაშავეობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქალს ხანდახან მიტიასკენ „გული მოუბრუნდებოდა“ ხოლმე, რაც ივანს მეტისმეტად აღიზიანებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ივანი დღითი დღე გრძნობდა მიტიასადმი სიძულვილს, იმასაც ხვდებოდა, რომ ეს მზარდი სიძულვილი კატიას გამო კი არ გაუჩნდა, არამედ იმიტომ, რომ მიტიამ მამა მოკლა! ამას აშკარად გრძნობდა და აცნობიერებდა. ამის მიუხედავად, სასამართლომდე ათი დღით ადრე ივანი მიტიასთან მივიდა და წინასწარ მოფიქრებული გაქცევის გეგმა შესთავაზა. გარდა ამ ძირითადი მიზეზისა, რომელმაც ეს ნაბიჯი გადაადგმევინა, კიდევ იყო ერთი რამ, სმერდიაკოვის ნათქვამისაგან მის გულზე გაჩენილი შეუხორცებელი ნაკაწრი, თითქოს ივანს აწყობდა მიტიას დადანაშაულება: „მიტიას წილი მემკვიდრეობა თქვენზე და ალიოშაზე გადანაწილდება და ორმოცი ათასიდან სამოც ათასამდე გაიზრდებაო“. მან გადაწყვიტა, თავისი წილი ოცდაათი ათასი დაეხარჯა მიტიას გაქცევის ჩასაწყობად. როცა მიტიასაგან შინ ბრუნდებოდა, ძალიან დამწუხრებულად და შერცხვენილად გრძნობდა თავს: უცებ მიხვდა, რომ სხვა რამ მიზეზით უნდოდა მიტიას გაქცევის ორგანიზება, და არა იმიტომ, რომ თავისი წილი მემკვიდრეობიდან ოცდაათი ათასი შეეწირა ამ საქმისათვის: „იმიტომ ხომ არა, რომ გუნებაში მეც ისეთივე მკვლელი ვარო?“ - ეკითხებოდა თავს. რაღაც შორეული, მაგრამ მწველი შეგრძნება უღრღნიდა გულს. რაც მთავარია, მთელი ამ ხნის განმავლობაში საშინლად შეელახა თავმოყვარეობა, მაგრამ ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით. ალიოშასთან განშორების შემდეგ, როგორც კი დააპირა თავის ბინაში ზარის დარეკვა, უცებ გადაიფიქრა და სმერდიაკოვთან წასვლა გადაწყვიტა. ამ წუთებში უცებ ყელში მობჯენილ გულისწყრომას დაჰყვა. უეცრად კატერინას ნათქვამი გაახსენდა, ალიოშას თანდასწრებით რომ მიაძახა: „ეს შენ, მხოლოდ შენ დამარწმუნე, რომ ის (მიტია) მკვლელია!“ გაახსენდა ეს და გაქვავდა: მას კატერინასათვის არასოდეს უთქვამს, მიტია მკვლელიაო, პირიქით, საკუთარ თავში ეპარებოდა ეჭვი, ასეც უთხრა მაშინ კატერინას სმერდიაკოვიდან დაბრუნებულმა. კატერინამ კი, წინ დაუდო „დოკუმენტი“ და დაუმტკიცა ძმის დანაშაული. ახლა კი კატერინამ მიაძახა: „მე თავად ვნახე სმერდიაკოვიო!“ როდის ნახა? ივანმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. გამოდის, კატერინაც არაა დარწმუნებული მიტიას დამნაშავეობაში! ნეტავ, რა უთხრა სმერდიაკოვმა? რა, რა უნდა ეთქვა მას კატერინასათვის? საშინელმა რისხვამ შეიპყრო. არ ესმოდა, როგორ მოითმინა ამ ნახევარი საათის წინ ეს სიტყვები და არ აყვირდა. ივანმა ხელი გაუშვა ზარს და სმერდიაკოვისაკენ გაეშურა. „მოვკლავ, ახლა კი შეიძლება შემომაკვდეს!“ - ფიქრობდა ის გზაში.

VIII მესამე და უკანასკნელი შეხვედრა სმერდიაკოვთან

ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, სუსხიანი და მშრალი ქარი ამოვარდა, ისეთი, როგორიც იმდღევანდელ დილას ქროდა, და დაიწყო წვრილი, ხშირი და მშრალი თოვა. თოვლი მიწას ეფინებოდა, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდა, რადგან მაშინვე დაუბერავდა ქარი და თოვლის კორიანტელს აყენებდა. მალე ნამდვილი ქარბუქი ამოვარდა. ქალაქის იმ ნაწილში, სადაც სმერდიაკოვი ცხოვრობდა, თითქმის არ იყო ფარნები. ივანი ქარბუქს არ ეპუებოდა და ღამის წყვდიადში მიაბიჯებდა. ინსტიქტურად იკვლევდა გზას. თავი სტკიოდა და საშინლად უცემდა საფეთქლები. გრძნობდა, რომ ხელის მტევნების კრუნჩხვები ეწყებოდა. მარია კონდრატიევნას სახლამდე არმისულს გზაში ერთი გალეშილი, დაბალი ტანის გლეხი შემოხვდა, რომელსაც დაბებკილი ზუბუნი ეცვა და ფეხარეული, ბუზღუნ-ბუზღუნითა და გინებ-გინებით მოდიოდა. უცებ გინება შეწყვიტა და ხრინწიანი ხმით შემოსძახა:

ეჰ, წავიდა ვანკა პიტერს,
მე მას აღარ დავუცდი!

სიმღერას ლექსის ამ მეორე სტრიქონზე წყვეტდა და კვლავ ვიღაცის გინებას იწყებდა, შემდეგ ისევე იმავე სიმღერას იმეორებდა. ივან ფიოდოროვიჩმა ანაზდად იგრძნო, რომ დანახვისთანავე განიმსჭვალა მთვრალისადმი სიძულვილით. ძალიან მოუნდა გლეხისათვის თავში წათაქება. ამასობაში ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, მთვრალი შებანცალდა და ივანს მთელი ძალით დაეჯახა. გაშმაგებულმა ივანმა მხარი გაჰკრა. გლეხი გადავარდა, მოყინულ მიწაზე ზღართანი მოადინა, მწარედ ამოიკვნესა: ვაიო! და დადუმდა. ივანი მიუახლოვდა. მთვრალი გულაღმა ეგდო, გაუნძრევლად და უგრძნობლად. „გაიყინება!“ - გაიფიქრა ივანმა და სმერდიაკოვისაკენ გააგრძელა გზა.

კარი მარია კონდრატიევნამ გაუღო. ხელში სანთელი ეჭირა. მან ივანს ჩაუჩურჩულა, რომ პაველ ფიოდოროვიჩი (სმერდიაკოვი) ავადაა, წევს, თითქმის თავის ჭკუაზე არ არის, ჩაიზედაც უარი განაცხადაო.

- აღგზნებულია? - უხეშად იკითხა ივანმა.

- პირიქით, წყნარადაა, ბატონო, მხოლოდ დიდხანს ნუ გაუბამთ საუბარს... - სთხოვა მარია კონდრატიევნამ.

ივანმა კარი გააღო და ოთახში შევიდა.

ქოხში ამასწინანდელივით ცხელოდა. ოთახს რაღაც ცვლილებები ეტყობოდა: ერთ-ერთი მერხი გაეტანათ და მის ადგილას დიდი ტყავის დივანი იდგა. მასზე ლოგინი იყო გაშლილი და საკმაოდ სუფთა ბალიშები ელაგა. ლოგინზე მჯდარ სმერდიაკოვს ისევ ის ხალათი ეცვა. მაგიდა დივანთან გადაეტანათ, ამიტომ ოთახში სივიწროვე იგრძნობოდა. მაგიდაზე სქელი, ყვითელგარეკანიანი წიგნი იყო გადაშლილი, მაგრამ სმერდიაკოვი არ კითხულობდა. იჯდა და არაფერს აკეთებდა. დიდხანს და ჩუმად უყურებდა ივანს, ეტყობოდა, სულაც არ გაჰკვირვებია მისი დანახვა. სახეზე ძალიან შეცვლილი ჩანდა, გამხდარი და გაყვითლებული იყო. თვალები ჩავარდნოდა და ქვედა ქუთუთოები გალურჯებული ჰქონდა.

- შენ, მგონი, მართლა ავადა ხარ? - შეჩერდა ივანი, - დიდხანს არ შეგაწუხებ, პალტოსაც არ გავიხდი. სად დავჯდე?

მაგიდასთან სკამი მიაჩოჩა და სმერდიაკოვის პირდაპირ ჩამოჯდა.
- რას მომშტერებიხარ? ხმა ამოიღე. მე მხოლოდ ერთი კითხვა მინდა დაგისვა. მანამ არ წავალ, სანამ პასუხს არ მივიღებ: აქ კატერინა ივანოვნა იყო?
სმერდიაკოვი დიდხანს დუმდა, ისევ ჩუმად შესცქეროდა ივანს, შემდეგ უცებ ხელი ჩაიქნია და გვერდზე გაიხედა.
- რა იყო? - იყვირა ივანმა.
- არაფერი.
- რა არაფერი?
- იყო, მერე რა, თქვენთვის სულ ერთი არ არის. თავი დამანებეთ, ბატონო.
- არა, არ დაგანებებ! თქვი, როდის იყო?
- არ მახსოვს, დამავიწყდა, - ზიზღით ჩაიცინა სმერდიაკოვმა, ისევ ივანისაკენ მიაბრუნა თავი და საშინლად მძულვარე თვალებით მიაშტერდა. მაშინაც ასე უმზერდა, ამას წინათ, როცა ერთი თვის წინ ივანმა მეორედ მოინახულა.
- არც თქვენ გამოიყურებით კარგად, ლოყები ჩაგცვენიათ, ადამიანის ფერი არ გადევთ, - უთხრა მან ივანს.
- ჩემს ჯანმრთელობას თავი დაანებე და რასაც გეკითხები, იმაზე გამეცი პასუხი.
- თვალები გაგყვითლებიათ, თვალის თეთრი გარსი სულ ყვითელი გაქვთ. ძალიან ხომ არ იტანჯებით?
მან ჯერ ზიზღით ჩაიცინა, შემდეგ უცებ გადაიხარხარა.
- შენ გესმის თუ არა, რაც გითხარი, პასუხის გარეშე აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი! - იყვირა საშინლად გაღიზიანებულმა ივანმა.
- რას ჩამაცივდით, ბატონო, რატომ მაწვალებთ? - გატანჯული ხმით წარმოთქვა სმერდიაკოვმა.
- ეშმაკმა დაგლახვროს! შენი დარდი არა მაქვს. მიპასუხე, რასაც გეკითხები და მოგეშვები.
- მე არაფერი მაქვს სათქმელი! - თქვა და თავი დახარა სმერდიაკოვმა.
- გარწმუნებ, გაიძულებ, ყველა კითხვაზე პასუხი გამცე!
- რა გაწუხებთ? - ანაზდად ისევ დაჟინებით მიაცქერდა სმერდიაკოვი, მაგრამ ამჟამად სიძულვილით კი არა, არამედ რაღაც განსაკუთრებული ზიზღით, - ის ხომ არა, ხვალ რომ სასამართლო იწყება? თქვენ ხომ არაფერი არ დაგემართებათ, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნეთ თავი ამაში! წადით შინ და მშვიდად დაიძინეთ, ნურაფრის გეშინიათ.
- შენი არაფერი მესმის... რატომ უნდა მეშინოდეს ხვალინდელი დღის? - გაიკვირვა ივანმა და უცებ, მართლაც, რაღაცნაირი შიშისაგან გააჟრჟოლა. სმერდიაკოვმა თავიდან ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერა.
- არ გესმით? - გააგრძელა მან საყვედურით, - ჭკვიანი კაცი მაინც არ იყოთ, რა კომედიას თამაშობთ?
ივანი ჩუმად შესცქეროდა სმერდიაკოვს. მარტოოდენ ამნაირი მოულოდნელი ტონი, რაღაცნაირად არაჩვეულებრივად ქედმაღლური, რომლითაც ახლა ყოფილი ლაქია მიმართავდა მას, ძალიან უჩვეულოდ ეჩვენებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ტონით წინა შეხვედრის დროს არ ლაპარაკობდა.
- გარწმუნებთ, ნურაფრის გეშინიათ. თქვენზე არაფერს ვიტყვი, სამხილი არ არის. თქვენ რა, ხელები გიკანკალებთ? რა მოგდით თითებზე? მიბრძანდით შინ, თქვენ არ მოგიკლავთ.
ივანი შეკრთა. მას ალიოშა გაახსენდა.

- ისედაც ვიცი, მე რომ არ... - წაილუღლუღა მან.
- იცით? - ისევ იმ ტონით გააგრძელა მან.
ივანი წამოხტა და მხარში წაავლო ხელი.
- ყველაფერი თქვი, ნაგავო, ყველაფერი!
სმერდიაკოვს წარბიც არ შეუხრია. ის მხოლოდ არანორმალური სიძულვილით შესცქეროდა მას.
- რახან ასეა, სწორედაც თქვენ მოკალით, - ღვარძლიანად ჩაიჩურჩულა მან.
ივანი სკამზე დაეშვა, ერთხანს რაღაცაზე ჩაფიქრდა. შემდეგ ბოროტად ჩაეცინა.
- შენ ისევ შენსას აგრძელებ, ხომ? ისევ ის დაგიჟინია, ამას წინათ რომ მითხარი?
- დიახ, მაშინაც მანდ იდექით, ჩემს პირდაპირ და ყველაფერი კარგად გესმოდათ, ახლაც მშვენივრად გესმით.
- მე მხოლოდ ის მესმის, რომ გიჟი ხარ.
- ნეტა არ მოგბეზრდათ?! ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ, რა საჭიროა ამდენი თვალთმაქცობა, ასეთი კომედიის თამაში? თუ გსურთ, მარტო მე გადამაბრალოთ ყველაფერი და ამას პირში მეუბნებით? თქვენ მოკალით, თქვენა ხართ მთავარი მკვლელი, მე მხოლოდ თქვენი დამქაში ვიყავი, ერთგული მსახური, თქვენი სიტყვების გავლენით აღვასრულე ეს საქმე.
- აღასრულე? ნუთუ შენ მოკალი? - ტანში ჟრუანტელმა დაუარა ივანს.
თითქოს თავის ტვინში რაღაცა შეერყა ივანს და ტანში დავლილი ჟრუანტელისაგან აკანკალდა. ახლა უკვე სმერდიაკოვი უყურებდა მას გაოგნებული: ის გააოცა ასე შეშინებული ივანის დანახვამ.
- ეს როგორ, განა თქვენ არაფერი იცოდით? - უნდოდ წაილუღლუღა მან და ცალყბად გაუცინა ივანს.
ენაჩავარდნილი ივანი უყურებდა მას.
ეჰ, წავიდა ვანკა პიტერს,
მე მას აღარ დავუცდი, -
ანაზდად ჩაესმა ყურებში.
- იცი რა, ვშიშობ, შენ სიზმარი ხარ, მოჩვენება ზიხარ ჩემ წინაშე?
- არავითარი მოჩვენება აქ არა ზის, აქ ჩვენ ორნი ვართ და კიდევ ვიღაც მესამე. უეჭველია, ის ახლა აქ არის, ის მესამე, ჩვენ ორს შორის იმყოფება.
- ვინ ის? კიდევ ვინა? ვინ მესამე? - თქვა შეშფოთებულმა ივანმა და აქეთ-იქეთ დაიწყო ყურება. ოთახის ყველა კუნჭულს მოავლო თვალი.
- ეს მესამე - ღმერთია, ბატონო, განგება, ახლა აქაა, ჩვენ გვერდით, ოღონდ ნუ ეძებთ, მაინც ვერ იპოვით.
- ტყუი, შენ არ მოგიკლავს! - იყვირა გაცოფებულმა ივანმა, - შენ ან გიჟი ხარ ან ამასწინანდელივით ჩემი გაგიჟება გსურს!
სმერდიაკოვი კი წეღანდელივით სულაც არ ჰგავდა შეშინებულს, კვლავ გამომცდელი თვალით აკვირდებოდა ივანს. ვერაფრით გადაელახა უნდობლობა, მას კიდევ ეგონა, რომ ივანმა „ყველაფერი იცის“, მაგრამ ცდილობს, ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს ყველაფერში დამნაშავე მარტო სმერდიაკოვია, თავად კი არაფერ შუაშია.
- მოითმინეთ, ბატონო! - თქვა მან მისუსტებული ხმით, უცებ მაგიდის ქვემოდან მარცხენა ფეხი გამოიღო და ნიფხვის ტოტის დაკაპიწება დაიწყო. ფეხზე ტუფლი და გრძელი წინდა ეცვა, სმერდიაკოვმა აუჩქარებლად წინდის დამჭერი მოიხსნა და წინდა ბოლომდე ჩაიწია. ივანი მას უყურებდა და უცებ კონვულსიური კანკალი

აუტყდა.
- გიჟო! - იღრიალა ივანმა და უცბად სკამიდან წამოხტა, უკან დაიხია, კედელს მიენარცხა და სარგადაყლაპულივით კედელს გაეკრა. შიშისაგან ჭკუდან გადასულივით უყურებდა სმერდიაკოვს. სმერდიაკოვს კი სულაც არ გაჰკვირვებია შეშინებული ივანის მდგომარება და თავისთვის გააგრძელა წინდაში რაღაცის ძებნა. როგორც იქნა, იპოვა, რასაც ეძებდა და ამოათრია. ივანმა დაინახა, რომ ეს რაღაც ქაღალდები იყო, რაღაც ქაღალდების შეკვრა. სმერდიაკოვმა ის მაგიდაზე დადო.
- აი, ესეც! - თქვა მან წყნარად.
- რაა? - გამოეპასუხა აკანკალებული ივანი.
- კეთილი ინებეთ და შეხედეთ, ბატონო, - ისევ წყნარად წარმოთქვა სმერდიაკოვმა.
ივანმა მაგიდისაკენ ნაბიჯი გადადგა. მოჰკიდა კიდეც ხელი შეკვრას და გახსნა დააპირა, მაგრამ უცებ ხელიდან გააგდო, თითქოს რაღაც საზიზღარ უმსგავსობას შეეხო.
- თითები გიკანკალებთ, ბატონო, - შენიშნა სმერდიაკოვმა და თან დინჯად აშორებდა შეკვრას შემოხვეულ ქაღალდს. შეხვეულის შიგნით ფერად-ფერადი ასმანეთიანების სამი დასტა აღმოჩნდა.
- უკლებლივ აქ არის, ზუსტად სამი ათასი, დაითვალეთ და წაიღეთ, ბატონო, - მაგიდასთან მიიპატიჟა ივანი და ფულზე მიუთითა. ივანი სკამზე დაეშვა. მას სახეზე მიტკლის ფერი ედო.
- ძალიან შემაშინე... ამ წინდის გამო... - თქვა მან და რაღაცნაირად უცნაურად ჩაიცინა.
- დავიჯერო, არაფერი იცოდით, ნუთუ აქამდე არაფერი იცოდით? - კიდევ ერთხელ ჰკითხა სმერდიაკოვმა.
- არა, არ ვიცოდი. მე სულ დმიტრიზე ვფიქრობდი. ვაიმე! ძმაო! ძმაო! - აღმოხდა ივანს და თავზე ხელები წაივლო, - გამაგებინე, შენ მარტომ მოკალი, თუ დმიტრისთან ერთად?
- მხოლოდ თქვენთან ერთად; თქვენთან ერთად მოვკალი, ბატონო, დმიტრი ფიოდოროვიჩი კი უდანაშაულოა, ბატონო.
- კარგი, კარგი, ჩემზე მერე ვილაპარაკოთ. ნეტა რა მაკანკალებს... სიტყვებს ვეღარ ვაბამ ერთმანეთს.
- მაშინ ხომ ძალიან ყოჩაღი იყავით, ბატონო, როცა გაიძახოდით: „ყველაფერი ნებადართულიაო“, ახლა კი ასე შეგეშინდათ! - ლუღლუღებდა გაკვირვებული სმერდიაკოვი, - ლიმონათს ხომ არ მიირთმევთ, ახლავე ვუბრძანებ, მოიტანონ. გამოგაცოცხლებთ. მხოლოდ ამას წავაფარებ რამეს.
მან ფულის დასტებზე მიანიშნა და წამოდგომა დააპირა, რომ მარია კონდრატიევნასათვის გაეძახა: ლიმონათი დაამზადე და სტუმრს მოართვიო. მაგრამ სანამ გასძახებდა, ისეთი რაღაცის ძებნას შეუდგა, რითაც ფულის დასტებს დაფარავდა, მარიას რომ არ დაენახა. ჯერ ცხვირსახოცი ამოიღო, მაგრამ ძალიან დასვრილი აღმოჩნდა, შემდეგ მაგიდიდან ყვითელყდიანი წიგნი აიღო და ფულს გადააფარა. ივანმა მაშინვე წაიკითხა წიგნის სათაური: „ქადაგებანი ჩვენისა წმინდისა მამისა ისააკ სირინისა“.
- არ მინდა ლიმონათი, - თქვა მან, - ჩემზე მერე ვილაპარაკოთ. დაჯექი და მომიყევი... როგორ გააკეთე ეს? დაწვრილებით მოყევი...

- პალტო მაინც გაიხადეთ, თორემ გაიხვითქებით.
ივანმა პალტო გაიძრო და იქვე მერხზე მიაგდო.
- მოყევი, გეთაყვა, მოყევი!
იგი გაიტრუნა და ახლა უკვე დარწმუნებული უცდიდა, რომ სმერდიაკოვი ყველაფერს მოყვებოდა.
- როგორ გავაკეთე ეს, ბატონო? - ამოიოხრა სმერდიაკოვმა, - როგორ და ჩვეულებრივად, თქვენი სიტყვების მიხედვით...
- ჩემს სიტყვებზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ, - ისევ შეაწყვეტინა ივანმა, ოღონდ ადრინდებულად არ უყვირია. იგი დინჯად გამოთქვამდა სათქმელს, ეტყობოდა, თავს უკვე სრულად ფლობდა, - დაწვრილებით მიამბე, როგორ გააკეთე, თანმიმდევრობით, არაფერი დაგავიწყდეს. რაც მთავარია, ყველა წვრილმანი მაინტერესებს. გთხოვ.
- თქვენ რომ წახვედით, მე სარდაფში ჩავვარდი...
- ბნედა დაგემართა, თუ მოიგონე.
- ცხადია, მოვიგონე, ბატონო. ყველაფერი გავითამაშე. კიბეზე მშვიდად ჩავედი, სულ ბოლომდე, დავწექი და ავღრიალდი, მანამ ვბორგავდი, სანამ არ ამომიყვანეს.
- მოიცა! მას შემდეგ სულ თამაშობდი, საავადმყოფოშიც?
- არა, არა, ბატონო! მეორე დილით, სანამ საავადმყოფოში წამიყვანდნენ, ნამდვილად მომიარა ზნემ, ისე მაგრად, რომ დიდი ხანია ასეთი ძლიერი ფორმით არ მქონია. ორი დღე უგონოდ ვეგდე.
- კარგი, კარგი, გააგრძელე.
- დამაწვინეს საწოლზე, ტიხარს იქით. აგრეც ვიცოდი, როცა ავად ვხვდები ხოლმე, მაშინ მარფა იგნატიევნა ყოველთვის თავის ოთახში მაწვენს, ტიხარს იქით, ბატონო. ისინი ყოველთვის ზრუნავენ ჩემზე, დაბადებიდან მოყოლებული. მთელი ღამე ვკვნესოდი, მხოლოდ ხმადაბლა. სულ დმიტრი ფიოდოროვიჩის მოლოდინში ვიყავი.
- როგორ ელოდი, შენთან ელოდი?
- რატომ ჩემთან. სახლში ველოდი, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იმ ღამეს მოვიდოდა, ვინაიდან იმ დღეს არ ვუნახივარ, არავითარი ცნობა არ ჰქონდა ჩემგან. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად თავად მოდიოდა, ეზოში ღობიდან გადმოძვრებოდა ხოლმე, ასე იცოდა ხოლმე, ბატონო.

- რომ არ მოსულიყო?
- არაფერიც არ მოხდებოდა, ბატონო, იმის გარეშე ვერ გავბედავდი.
- კარგი, კარგი... გასაგებად ილაპარაკე, ნუ ჩქარობ, მთავარია, არაფერი
გამოგრჩეს!
- მე ველოდი, რომ ფიოდორ პავლოვიჩს მოკლავდა, ბატონო... დარწმუნებული
ვიყავი. წინასწარ შევამზადე... განსაკუთრებით, ბოლო დღეებში... რაც მთავარია
სასიგნალო ნიშანი იცოდა, როგორ შესულიყო სახლში. იმის მიხედვით, რამდენი
ეჭვი და ბოღმა ჰქონდა იმ დღეებში დაგროვილი, აუცილებლად უნდა მოსულიყო
და იმ ნიშნების გამოყენებით შესულიყო სახლში, ბატონო.
- მოიცა, მოიცა, - შეაწყვეტინა ივანმა, - მას რომ მოეკლა, ის ხომ ფულს თავად
წაიღებდა; შენ ასე არ ანგარიშობდი? ამის შემდეგ შენ რაღა დაგრჩებოდა? რაღაც
ვერ ვხვდები.
- ფულს ვერსად ნახავდა, ბატონო. მე ვუთხარი, ფული ლეიბის ქვეშ დევს-მეთქი,
მოვატყუე, ბატონო. ფული ადრე ზარდახშაში იდო, მაგრამ შემდეგ ფიოდორ
პავლოვიჩმა, რომელიც მენდობოდა, მიბრძანა: ფულიანი პაკეტი კუთხეში, ხატებს
უკან გადამალე, იქ რომ დევს, ვერავინ მიხვდება, განსაკუთრებით, მოჩქარე
კაციო. ასე რომ, ის ფულიანი პაკეტი ხატებს უკან იდო, ბატონო. ლეიბის ქვეშ
სასაცილოც იყო მისი შენახვა, ზარდახშა გასაღებით მაინც იკეტება. თქვენ კი
ყველას გეგონათ, თითქოს ფული ლეიბის ქვეშ იდო. სიბრიყვე იყო ასეთი
მსჯელობა. მკვლელობა დმიტრის რომ ჩაედინა, ის მაინც ვერაფერს იპოვიდა და
შეშინებული სასწრაფოდ იქაურობას გაეცლებოდა. ანდა დააპატიმრებდნენ. მე კი
მეორე დღეს, ან იმავე ღამეს თავისუფლად შემეძლო ფულიანი პაკეტის აღება,
ბატონო. ყველაფერი დმიტრი ფიოდოროვიჩს რომ დაბრალდებოდა, ამისი იმედი
ყოველთვის მქონდა.
- დავუშვათ, არ მოეკლა, მხოლოდ გაელახა?
- თუ არ მოკლავდა, მე, რასკვირველია, ფულის აღებას ვერ გავბედავდი. პაკეტი
თავის ადგილას დარჩებოდა. ასეთი ვარაუდიც მქონდა - თუ გონების
დაკარგვამდე მიბეგვავდა, მე კი ამასობაში ფულის აღებას მოვასწრებდი,
გონმოსულ ფიოდორ პავლოვიჩს ვეტყოდი, პაკეტს დმიტრი ფიოდოროვიჩის მეტი
არავინ წაიღებდა-მეთქი.
- მოიცა... დავიბენი. მაშასადამე, მაინც დმიტრიმ მოკლა, შენ კი ფული აიღე?
- არა, არა, მას არ მოუკლავს, ბატონო. რასაკვირველია, მე შემეძლო ახლა
თქვენთვის მეთქვა, დმიტრიმ მოკლა-მეთქი... არა, აღარ მინდა აწი თქვენი
მოტყუება, ვინაიდან... ვინაიდან, თუ თქვენ, მართლაც, აქამდე ვერ ხვდებოდით, მე
კი ახლა ამაში დარწმუნებული ვარ, მაინც ყველაფერში დამნაშავე თქვენ ხართ,
ბატონო, რადგან მკვლელობა რომ მოხდებოდა, კარგად იცოდით. მკვლელობა კი
თქვენ მე დამავალეთ, თავად ფეხი დაჰკარით და აქაურობას გაშორდით.
ამიტომაც მინდა, დღეს დაგიმტკიცოთ, რომ ყველაფრის თავი და თავი, მთავარი
მკვლელი თქვენ ხართ, ხოლო მე არამთავარი მკვლელი, მხოლოდ
შემსრულებელი. თქვენ ხართ კანონიერი მკვლელი, ბატონო, თქვენა!
- რატომ, რატომ ვარ მკვლელი? ღმერთო ჩემო! - ბოლოს და ბოლოს, თავი ვეღარ
შეიკავა ივანმა, სულ გადაავიწყდა, თავის თავზე ლაპარაკი საუბარის
დასასრულისათვის რომ გადადეს, - ჩერმაშნიაში გამგზავრებისათვის? სდექ,
ერთი ეს მითხარი, რად გინდოდა ჩემი თანხმობა, თუკი ჩერმაშნიას თანხმობად
თვლიდი? ამას როგორ ამიხსნი?

- როცა თქვენს თანხმობაში დავრწმუნდებოდი, მეცოდინებოდა, რომ ჩერმაშნიადან დაბრუნებული იმ დაკარგულ სამი ათასზე კრინტს არ დაძრავდით. თუკი პოლიცია რატომღაც დმიტრი ფიოდოროვიჩის მაგივრად მე დამადებდა ხელს, ან მის თანამონაწილედ გამხდიდა; პირიქით, სხვებისაგან დამიცავდით... ხოლო მემკვიდრეობის მიღების შემდეგ ისე დამაჯილდოვებდით, მთელი ცხოვრება უზრუნველად რომ მეცხოვრა, რადგან თუ არა მე, მამათქვენი აგრაფენა ალექსანდროვნას შეირთავდა და თქვენ გროშ-კაპიკიც არ შეგხვდებოდათ.
- აჰა! შენ შემდგომშიაც აპირებდი მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემს წვალებას! - კბილები გააკრაჭუნა ივანმა, - მაშინ რას იზამდი, მე რომ არ გავმგზავრებულიყავი და დამესმინე?
- რა უნდა გეთქვათ? ჩერმაშნიაში წასვლას მირჩევდაო? ეს ხომ სისულელე იქნებოდა, ბატონო! თქვენ რომ ჩვენი საუბრის შემდეგ აქ დარჩენილიყავით, არაფერიც არ მოხდებოდა, უკვე მეცოდინებოდა, თქვენ რომ თანახმა არ იყავით და მეც არაფერს მოვიმოქმედებდი. ჩერმაშნიაში გამგზავრებით კი დამარწმუნეთ იმაში, რომ არ მიჩივლებდით და არც იმ სამი ათასზე ამოიღებდით ხმას. ვერც ჩემს შევიწროებას შეძლებდით, რადგან შემეძლო სასამართლოზე გამეცხადებინა, რომ მე არც მკვლელი ვარ და არც ქურდი, ივან ფიოდოროვიჩი მაიძულებდა, ყველაფერი ეს ჩამედინა, მაგრამ მე არ დავთანხმდი-მეთქი. ამიტომაც მინდოდა თქვენი თანხმობა, რომ შემდგომში არაფერი გეთქვათ და არც დამამტკიცებელი საბუთი გექნებოდათ, მე კი ყოველთვის შევძლებდი თქვენს დაშინებას, ბატონო, შემეძლო თქვენი გამოააშკარავება; ვიტყოდი: მშობლის სიკვდილი უნდოდა-მეთქი და ამას ყველა დაიჯერებდა, თქვენ კი საქვეყნოდ თავი მოგეჭრებოდათ.
- კი მაგრამ, მე მქონდა მამაჩემის სიკვდილის სურვილი, მქონდა? - ისევ კბილები გააკრაჭუნა ივანმა.
- უეჭველად გქონდათ, ბატონო, თქვენი თანხმობით მოხდა ყველაფერი. თქვენ დამრთეთ ნება, ეს რომ ჩამედინა, ბატონო, - მტკიცედ შეხედა თვალებში სმერდიაკოვმა ივანს. ის ძალიან სუსტად გრძნობდა თავს, ხმადაბლა, დაღლილი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ შიგნიდან რაღაც უხილავი წვავდა მის სხეულს, რაღაც მიზანი ჰქონდა. ივანი ამას კარგად გრძნობდა.
- განაგრძე, - უთხრა მან სმერდიაკოვს, - გააგრძელე იმ ღამის შესახებ.
- შემდეგ! ვწევარ და მესმის, თითქოს ბატონმა იყვირა. მანამდე გრიგორი ვასილევიჩი ამდგარა და გარეთ გასულა. უცებ იმის ღრიალიც გავიგონე, მერე სიჩუმემ დაისადგურა და ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. ვიწექი და ველოდი, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მოთმენა აღარ შემეძლო. როგორც იქნა, წამოვდექი და ეზოში გავედი - ვხედავ, ბაღში გამავალი მარცხენა ფანჯარა ბატონს ღია აქვს. მე მარცხნივ გავუხვიე და დავაყურადე, მაინტერესებს, ცოცხალია თუ არა, მესმის, ბატონი აქეთ-იქეთ დაძრწის და ოხრავს, მაშასადამე, ცოცხალია. ეეჰ! - ჩემთვის გავიფიქრე. მივედი ფანჯარასთან და ბატონს შევეხმიანე: „ეს მე ვარ-მეთქი“. ბატონი მეუბნება „ის აქ იყო და გაიქცა!“ ე.ი. დმიტრი ფიოდოროვიჩი იყო აქო. „გრიგორი მოკლა!“ - „სად-მეთქი?“ - ვჩურჩულებ მე. „იქ კუთხეში“, - მიჩვენებს და ისიც ჩურჩულებს. „მოიცადეთ“, - ვუთხარი და ბაღის კუთხისაკენ წავედი გრიგორის საძებნელად. გალავანთან გრიგორი ვასილევიჩი ერთიანად სისხლში ამოსვრილი გდია. მაშასადამე, აქ დმიტრი ფიოდოროვიჩი ბრძანდებოდა-მეთქი,

გამიელვა თავში და გადავწყვიტე, სასწრაფოდ ყველაფერი მომეთავებინა. გრიგორი ვასილევიჩი, რომც ცოცხალი ყოფილიყო, ახლა უგონოდ იქნებოდა და ვერც ვერაფერს დაინახავდა. მხოლოდ ერთი რისკი იყო: უცებ მარფა იგნატიევნას არ გაღვიძებოდა. ანაზდად ვიგრძენი, ისე მოიცვა მთელი ჩემი არსება ამ სურვილმა, სუნთქვა შემეკრა. ისევ ფანჯარასთან მივედი და ბატონს ვეუბნები: „აგრაფინა ალექსანდროვნა აქ არის და თქვენი ნახვა სურს“. ის ბავშვივით შეკრთა და აწრიალდა: „სად არის? სად?“ - გაიძახოდა ის, ჯერ კიდევ არ სჯეროდა. „იქ დგას, კარი გააღეთ-მეთქი!“ ფანჯრიდან მიყურებს და აღარ იცის, დამიჯეროს თუ არა, გაღების ეშინია. მგონი, ჩემი შიში აქვს, გამიელვა თავში. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, როგორც შეპირებული ვიყავით, ისე დავუკაკუნე, ნიშანით - გრუშენკა მოვიდა. პაველ ფიოდოროვიჩი კი, აქამდე სიტყვებს რომ არ უჯერებდა, კაკუნზე კარს ეცა და გააღო. როცა შესვლა დავაპირე, მთელი ტანით გადამეღობა და არ მიშვებდა. „სად არის, სად არის?“ - მიყურებდა და მთელი სხეულით თრთოდა. ეჰეე, ვფიქრობ ჩემთვის: თუ ჩემი ამას ასე ეშინია - საქმე ცუდადაა! უცებ ფეხებში სისუსტე ვიგრძენი, იმის შიშით, რომ, ვაითუ, ოთახში არ შემიშვას ან ყვირილი ატეხოს და მარფა იგნატიევნა გააღვიძოს-მეთქი. ჩავჩურჩულე: „იქ არის, იქ, ფანჯარასთან, ნუთუ ვერ ხედავთ?“ - „შემოიყვანე, მიდი, შემოიყვანე!“ - „ეშინია, ყვირილის შეეშინდა და ბუჩქებში მიიმალა, მიდით და კაბინეტიდან დაუძახეთ!“ ის ფანჯარას მივარდა და სანთელი ფანჯრის რაფაზე დადო. „გრუშენკა, - აყვირდა, - გრუშენკა, აქ ხარ?“ ყვირის, მაგრამ ფანჯარაში გადაყუდება არ უნდა, არც დიდ მანძილზე ჩემგან მოშორება სურს, ეშინია, ჩემი ეშინია და არ მშორდება. „ეგე, ეგე, - ვეუბნები (მივედი ფანჯარასთან და თავი გავყავი), ბუჩქებში, გიცინით კიდეც, ხედავთ?“ დამიჯერა, უცებ ააკანკალა. ძალიან უყვარდა ის ქალი, ბატონო. ანაზდად მთელი ტანით გადაიზნიქა ფანჯრიდან. მე კი ამ დროს მაგიდაზე ხელი ვტაცე თუჯის პრეს-პაპიეს, სამი გირვანქა მაინც იქნებოდა წონით, მოვუქნიე და უკანიდან კეფაში ვთხლიშე. ხმა არ ამოუღია, იქვე მუხლებში ჩაიკეცა. კიდევ მეორედ, მესამედ ჩავარტყი, მესამე ჩარტყმაზე ვიგრძენი, რომ ბოლოს და ბოლოს, თავი ჩავუმტვრიე. გულაღმა დაეცა, სისხლში ცურავდა. საკუთარი თავი გულდაგულ დავათვალიერე, სისხლი ხომ არსად მაცხია-მეთქი; პრეს-პაპიე კარგად გავწმინდე და ისევ მაგიდაზე დავდე, მერე ხატთან მივედი, პაკეტი ავიღე, გავხსენი, ფული ამოვიღე და პაკეტი იატაკზე მოვისროლე, ვარდისფერი ბაფთა, რითაც პაკეტი იყო შეკრული, იქვე მივაგდე. აკანკალებული ბაღში გავედი, იმ ფუღუროიან ვაშლის ხესთან მივედი, რომელიც ადრე მქონდა შემზადებული. ფუღუროში ქაღალდი და ჩვარი მქონდა გადამალული. ფული ჯერ ქაღალდში გავახვიე, მერმე ჩვარში და ღრმად ჩავდე ფუღუროში. იქ ფული ორ კვირაზე მეტხანს იდო, შემდეგ კი, როცა საავადმყოფოდან გამოვედი, ამოვიღე. როგორც კი ყველაფერი მოვათავე, სახლში შევედი და დავწექი, თან ჩემთვის ვფიქრობდი: „ვაითუ, გრიგორი ვასილევიჩი მკვდარია, ეს ძალიან ცუდია. კარგი იქნება თუ გონზე მოვა, რადგან ისაა მოწმე, აქ რომ დმიტრი ფიოდოროვიჩი იყო. მაშასადამე, მკვლელიც ისაა და ფულიც მან წაიღო-მეთქი“. ეჭვით შეპყრობილმა მოუთმენლობისაგან ხმამაღლა დავიწყე კვნესა, მარფა იგნატიევნა რაც შეიძლება, მალე რომ გამეღვიძებინა. როგორ იქნა, გაიღვიძა, წამოდგა, ჩემთან მოსვლა უნდოდა, მაგრამ, როცა გრიგორი ვასილევიჩი საწოლში ვერ დალანდა - გარეთ გავარდა. ცოტა ხანში მომესმა მისი წივილ-კივილი. ასე გაგრძელდა მთელი ღამე, მე კი თანდათან

დავმშვიდდი.
სმერდიაკოვი გაჩუმდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ივანი დუმდა, ხმას არ იღებდა, არ განძრეულა, ლაქიისათვის თვალი არ მოუცილებია. სმერდიაკოვი მოყოლის დროს ხანდახან გადახედავდა ხოლმე მას, ძირითადად გვერდზე იყურებოდა. როცა თხრობა დაამთავრა, ეტყობა, თავადაც აღელდა და მძიმედ ამოიოხრა. სახეზე ოფლმა დაასხა. ვერაფრით მიხვდებოდი, გრძნობდა თუ არა სინანულს.
- მოიცა, მოიცა, - უცებ შენიშნა ივანმა, თითქოს რაღაცას მიხვდაო, - კარები? თუკი მან კარი მარტო შენ გაგიღო, მაშ როგორ დაინახა შენზე წინ ღია კარი გრიგორიმ? გრიგორიმ ხომ შენზე ადრე ნახა კარი გაღებული.
აღსანიშნავია, რომ კითხვებს ივანი დაწყნარებული ხმით სვამდა, რაღაცნაირი სხვანაირი ტონით, მის ხმაში სულ არ იგრძნობოდა ბრაზი. ვიღაცას ახლა კარი რომ შემოეღო, იტყოდა, რაღაც ჩვეულებრივ, მაგრამ საინტერესო საგანზე მუსაიფობენო.
- ის კარი, რომელიც გრიგორი ვასილევიჩმა ვითომ ღია ნახა, სინამდვილეში არ ყოფილა ღია, მოეჩვენა, - ჩაიქირქილა სმერდიაკოვმა, - ეგ ხომ ადამიანი არ არის, ჯიუტი სახედარია: მოეჩვენა, არ დაუნახავს და დაუჩემებია, კაცი ვერ გადაათქმევინებს აზრს. ეს ჩვენდა საბედნიეროდ მოხდა, კიდევ კარგი, რომ ეს მოიგონა, ესაა დმიტრი ფიოდოროვიჩის საბოლოოდ დამადანაშაულებელი სამხილი.
- მისმინე, - თქვა ივანმა ისე, თითქოს ისევ დაიბნა და თავს ძალას ატანდა, გონება მოეკრიფა, - მისმინე... კიდევ ბევრი რამის კითხვა მინდოდა, მაგრამ დამავიწყდა.. რაღაც ყველაფერი მავიწყდება, ვიბნევი... ჰო! ერთი ეს მითხარი: პაკეტი რატომ გახსენი და რატომ დააგდე იატაკზე? რატომ პაკეტიანად არ წაიღე ფული... როცა ჰყვებოდი, ისე მომეჩვენა, რომ აუცილებლად ასე უნდა გაგეკეთებინა... რატომ - ვერ ვხვდები.
- ერთი გარემოების გამო გავაკეთე ასე, ბატონო. ვინაიდან ჩემნაირი კაცი, რომელმაც წინასწარ ყველაფერი იცოდა, ვინც ეს ფული საკუთარი თვალით ნახა, ის კი არა, შესაძლებელია, თავადაც ჩადო პაკეტში, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა, როგორ დააწებეს პაკეტი, როგორ დალუქეს და დააწერეს, თუკი ის მკვლელი იქნებოდა, მკვლელობის შემდეგ იმ ფაციფუცში პაკეტის გახსნას არ დაიწყებდა, რადგან კარგად იცოდა, რა და რამდენი იდო პაკეტში. ასე არ არის, ბატონო? ის პაკეტს უბრალოდ, გაუხსნელად ჩაიდებდა ჯიბეში და სასწრაფოდ გასცილდებოდა იქაურობას. სულ სხვა საქმეა დმიტრი ფიოდოროვიჩი: მან პაკეტის შესახებ ყურმოკვრით იცოდა, თავად არ უნახავს. განა დამაჯერებელი არ არის - მკვლელმა პაკეტი ლეიბის ქვეშ იპოვა და გახსნა, რათა დარწმუნებულიყო, რამდენი ფული იდო შიგ, პაკეტი კი იქვე მოისროლა, არც უფიქრია იმაზე, რომ ის შეიძლება სამხილი გამხდარიყო. ეს ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ის უჩვეულო ქურდია, ადრე არასოდეს მოუპარავს, რადგან წარმოშობით ძირძველი აზნაური გახლავთ. ახლა თუ ქურდობა გადაწყვიტა, ის ამას ქურდობად არც თვლის, ამას წართმეულის უკან დაბრუნებას ეძახის. ამის შესახებ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა თავად დმიტრი ფიოდოროვიჩისაგან, როცა ის ყველგან ლაპარაკობდა: მამაჩემთან მივალ და ჩემს საკუთრებას უკან დავიბრუნებო. მე ეს აზრი პროკურორს დაკითხვის დროს ქარაგმულად ჩავაწვეთე, ისე, თითქოს თავად არაფერი მესმოდა, ისე, თითქოს ეს მისი საკუთარი აზრი იყო, მე კი არ მიკარნახია,

- ბატონი პროკურორი ჩემმა ქარაგმებმა აღტაცებაში მოიყვანა, ბატონო...
- დავიჯერო, ყველაფერი ეს მაშინ ადგილზე მოიფიქრე? - შეჰყვირა გაკვირვებისგან გაოგნებულმა ივანმა. ის კვლავ შიშით შესცქეროდა სმერდიაკოვს.
- ღმერთო ჩემო, იმ ფაციფუცში განა ამნაირი რამის მოფიქრება შეიძლებოდა? რასაკვირველია, ყველაფერი წინასწარ მქონდა მოფიქრებული.
- ჰოო... მაშასადამე, შენ თავად ეშმაკი გეხმარებოდა! - შესძახა ივანმა, - არა, შენ ბრიყვი არ ხარ, შენ გაცილებით ჭკვიანი ხარ, ვიდრე მე მეგონა...
ივანი აფორიაქებული წამოდგა, ალბათ იმიტომ, ოთახში რომ გაევლ-გამოევლო. საშინელი სევდა შემოაწვა. მაგრამ მაგიდას გზა ისე ჰქონდა ჩაკეტილი, მაგიდასა და კედელს შორის ძლივს გაეტეოდა კაცი. ამიტომ მობრუნდა და ისევ სკამზე ჩამოჯდა. შესაძლოა, იმ გარემოებამ, რომ ვერ გაიარ-გამოიარა, გააღიზიანა და ადრინდელივით გაშმაგებულმა იღრიალა:
- მისმინე, უბედურო და საზიზღარო კაცო! ნუთუ არ გესმის, თუ აქამდე არ მოგკალი, მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალ სასამართლოზე მჭირდები. ღმერთია მოწმე, - ივანმა მაღლა ასწია ხელი, - შეიძლება, მე დამნაშავე ვარ, შეიძლება, მე, მართლაც, მქონდა სურვილი... მამაჩემი რომ მომკვდარიყო, მაგრამ ვფიცავ, არც ისეთი დამნაშავე ვარ, როგორც შენ ფიქრობ. შესაძლოა, მე შენ არც არაფერზე წამიქეზებიხარ. არა, არ წამიქეზებიხარ! მაგრამ სულ ერთია, მე ჩემს თავზე ყველაფერს განვაცხადებ სასამართლოზე. ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს! ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს. ჩვენ ერთად გამოვცხადდებით სასამართლოზე! სასამართლოზე რაც არ უნდა ილაპარაკო ჩემზე, ყველაფერს დავადასტურებ - მე შენი არ მეშინია; არაფერს უარვყოფ! მაგრამ სასამართლოს წინაშე თავად უნდა აღიარო ყველაფერი! სრული სიმართლე უნდა თქვა, ერთად წავალთ! ასე იქნება ეს!
ივანი ამას ამაღლებული ტონით და დაბეჯითებით ლაპარაკობდა, მისი თვალების გამომეტყველებაში იგრძნობოდა, რომ ყველაფერი ეს, მართლაც, ასე მოხდებოდა.
- შეუძლოდ ბრძანდებით, ბატონო, ვხედავ, ნამდვილად ავად ხართ, თვალის გუგები სულ გაგყვითლებიათ, - დაცინვის გარეშე წარმოთქვა სმერდიაკოვმა ისე, თითქოს მართლა თანაუგრძნობდა.
- ერთად წავალთ! - გაიმეორა ივანმა, - თუ არ წამოხვალ, მაშინ მარტო ვაღიარებ.
სმერდიაკოვი დუმდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა.
- არაფერი ამდაგვარი არ მოხდება, არც თქვენ წახვალთ, ბატონო, - უაპელაციოდ, დაბეჯითებით უთხრა მან.
- შენ მე ჯერ კარგად არ მიცნობ! - დაუცაცხანა ივანმა.
- ძალიან სამარცხვინო იქნება თქვენთვის საკუთარი ფიქრების აღიარება. გარდა ამისა, აზრი არა აქვს, სრული უაზრობა იქნება, ბატონო. მე პირდაპირ განვაცხადებ, რომ არასოდეს არაფერი ამგვარი რამ თქვენთვის არ მითქვამს, რომ თქვენ ან ავადა ხართ (შესახედავად ეს კარგადაც ჩანს), ან ძმა შეგეცოდათ და მის გადასარჩენად საკუთარი თავი გინდათ გაწიროთ, მე კი ამ ბრალდებას მიგონებთ, რადგან თქვენთვის ჭიაღუა ვარ, კაცად არასოდეს მთვლიდით. ვინ დაგიჯერებთ, ერთი დამამტკიცებელი საბუთი მაინც გაქვთ?
- ერთი ეს მითხარი, ცხადია, ეს ფული იმიტომ მანახე, რომ შენს ნათქვამში დამარწმუნო.

სმერდიაკოვმა ფულის დასტებიდან ისააკ სირინის წიგნი აიღო და გვერდზე გადადო.
- ფული თან გაიყოლეთ, ბატონო, არ დაგავიწყდეთ, - ამოიოხრა სმერდიაკოვმა.
- რასაკვირველია, წავიღებ! გამაგებინე, რატომ მაძლევ, თუ ამის გულისათვის მოჰკალი? - თქვა გაკვირებულმა ივანმა და სმერდიაკოვს შეხედა.
- აღარ მჭირდება, ბატონო, - აკანკალებული ხმითა თქვა სმერდიაკოვმა და ხელი ჩაიქნია, - ადრე მეგონა, ამ ფულის საშუალებით ახალ ცხოვრებას დავიწყებდი მოსკოვში ან სადმე საზღვარგარეთ, მქონდა ასეთი ოცნება, ბატონო, უფრო იმიტომ, რომ „ყველაფერი ნებადართულია“. ეს თქვენგან მაქვს ნასწავლი, ბატონო, ადრე ბევრჯერ გამიმეორეთ: მარადიული ღმერთი თუ არ არსებობს, არც არავითარი სათნოება არ არსებობს და, საერთოდ, არცაა საჭირო იგი. თქვენ ამას დანამდვილებით ამბობდით. მეც ასე განვსაჯე.
- შენი ჭკუით მიხვედი ამ აზრამდე? - ცერად ჩაიცინა ივანმა.
- თქვენი ხელმძღვანელობით, ბატონო.
- ახლა რა, ღმერთი იწამე? ფულს რატომ მიბრუნებ?
- არა, მაინც არა მწამს, ბატონო, - ჩაილუღლუღა სმერდიაკოვმა.
- მაშინ რატომ მაძლევ?
- გეყოფათ... ისე, ბატონო! - კვლავ ხელი ჩაიქნია სმერდიაკოვმა, - თქვენ მაშინ გაუთავებლად ქადაგებდით, რომ ყველაფერი ნებადართულიაო, ახლა რატომ ხართ ასე დამფრთხალი? საკუთარი თავის დასმენაც კი გინდათ... მაგრამ არ ჩაიდენთ ამას! არაფერსაც არ იტყვით საკუთარ თავზე! - კვლავ მტკიცედ განაცხადა თავის ნათქვამში დარწმუნებულმა სმერდიაკოვმა.
- ნახავ თუ არა! - თქვა ივანმა.
- შეუძლებელია. ასეთი საქციელისათვის თქვენ ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით! ფულიც გიყვართ, პატივსაც რომ გცემენ, ისიც, ქალის მშვენიერების დიდი მოტრფიალეც ბრძანდებით, უფრო მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება გნებავთ, არავის რომ არ ეპირფერებოდეთ - ყველაზე მეტად ეს გსურთ, ბატონო. თქვენ ის კაცი არა ხართ, ცხოვრება რომ სამუდამოდ წაიხდინოთ, ასეთი სირცხვილის შესახებ სასამართლოზე არ ილაპარაკებთ, ბატონო. თქვენ ფიოდორ პავლოვიჩის შვილი ხართ, მისი ალიკვალი, ყველაზე მეტად თქვენ ჰგავხართ მას, პირწავარდნილი მამათქვენი ბრძანდებით.
- არა, შენ უჭკუო კაცი არ ხარ, - თქვა განცვიფრებულმა ივანმა და სახე წამოუჭარხლდა, - ადრე მეგონა, ბრიყვია-მეთქი. არა, ახლა შენ სერიოზული ხარ! - დასძინა მან და რაღაც სხვანაირად, ახლებურად გადახედა სმერდიაკოვს.
- ამას თქვენი ამპარტავნობა გაფიქრებინებდათ. აიღეთ ფული, ბატონო.
ივანმა სამივე დასტა აიღო და ჯიბეში ჩაიდო ისე, რომ არაფერში შეუხვევია,
- ხვალ სასამართლოზე წარვადგენ ამას, - თქვა მან.
- არავინ დაგიჯერებთ, ბატონო, რადგან თქვენ თქვენი ფულიც საკმარისი გაქვთ, შეგეძლოთ ზარდახშიდან ამოგეღოთ და სასამართლოზე მიგეტანათ, ბატონო.
ივანი ადგა.
- გიმეორებ, მე თუ ახლა არ მოგკალი, მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალისათვის მჭირდები, კარგად დაიმახსოვრე ეს, არ დაგავიწყდეს.
- მომკალით, ბატონო, მომკალით ახლა, - ანაზდად უცნაურად თქვა სმერდიაკოვმა და რაღაცნაირად გადახედა ივანს, - თქვენ ამასაც ვერ გაბედავთ, ბატონო, - დაუმატა მან და მწარედ ჩაიცინა, - ვერაფერსაც ვერ გაბედავთ, ადრე კი

თავი დიდ ვაჟკაცად მოგქონდათ!
- ხვალამდე! - შესძახა ივანმა და წასასვლელად დაიძრა.
- მოიცადეთ... დამანახეთ კიდევ ერთხელ!
ივანმა დააძრო ფულის დასტები და დაანახა სმერდიაკოვს. ის ათი წამის განმავლობაში ტკბებოდა მათი ყურებით.
- მიბრძანდით, - ჩაილაპარაკა მან და ხელი ჩაიქნია, - ივან ფიოდოროვიჩ! - კვლავ დაუძახა სმერდიაკოვმა მიმავალ ივანს.
- რა გინდა?- შემობრუნდა ივანი.
- მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
- ხვალამდე! - იყვირა ივანმა და ქოხიდან გავიდა.
გარეთ კვლავ ქარბუქი ბობოქრობდა. პირველი ნაბიჯები ყოჩაღად გაიარა, მაგრამ უცებ ბარბაცი დაიწყო. „ეს რაღაც ფიზიკურია“, - გაიფიქრა მან და ჩაეცინა. რაღაც სიხარული დაეუფლა მის სულსა და გულს. საკუთარ თავში უსაზღვრო სიმტკიცე იგრძნო: გათავდა მისი ყოყმანი, რომელიც ასე აწუხებდა უკანასკნელ ხანებში! გადაწყვეტილება მიღებულია და „ამიერიდან მას ვეღარაფერი შეცვლის“, - გაიფიქრა ბედნიერმა ივანმა. ამ დროს რაღაცას წამოედო და კინაღამ კისერი მოიტეხა. შედგა და დაიხედა. ივანის ფეხებთან აქეთობისას მის მიერ წაქცეული გლეხი ეგდო, ისევ იმ პოზაში, როგორადაც დატოვა, უგრძნობლად და გაუნძრევლად, სახეზე ნამქერი ჰქონდა მიყრილი. ივანმა სასწრაფოდ ხელი სტაცა და ზურგზე მოიკიდა. მარჯვნივ მდგარ სახლში სინათლე დაინახა და იქეთკენ გასწია. მივიდა და დარაბაზე დააკაკუნა. ოთახიდან სახლის პატრონის ხმა გაისმა. ივანმა სთხოვა, პოლიციამდე გლეხის მიტანაში დახმარებოდა და თან სამ მანეთსაც შეჰპირდა. სახლის პატრონმა ჩაიცვა და გამოვიდა. აღარ გავაგრძელებ დაწვრილებით იმის აღწერას, როგორ მიათრიეს გლეხი პოლიციამდე, როგორ გასინჯა იგი ექიმმა და როგორ გადაუხადა ივანმა ყველას ფული. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს საქმე ერთ საათს გაგრძელდა. მაგრამ ივანი ძალიან კმაყოფილი დარჩა. „მე რომ ხვალისათვის მტკიცე გადაწყვეტილება არ მიმეღო, - ფიქრობდა კმაყოფილი ივანი, - მაშინ ამ ლოთს არ გადავყვებოდი, გავუვლიდი გვერდზე და ფეხებზე დავიკიდებდი, გაიყინებოდა თუ არა ის... მაშასადამე, მე შემიძლია ვაკონტროლო ჩემი საქციელი! - კიდევ უფრო კმაყოფილმა გააგრძელა ფიქრი, - მათ კი ჰგონიათ, რომ ჭკუიდან ვიშლები!“ სახლთან მიახლოებისას თავში ერთი კითხვა დაებადა: „ხომ არ წავიდე ახლავე პროკუროთან და ყველაფერი განვაცხადო?“ ეს საკითხი უცებ გადაჭრა, გადაწყვიტა, ისევ შინ წასულიყო. „ხვალ გავაკეთებ ყველაფერს ერთად!“ - ჩაიჩურჩულა თავისთვის და ანაზდად მთელი ის თვითკმაყოფილება და სიხარული, რაც აქამდე ჰქონდა, გაუქრა. როცა ოთახში შევიდა, რაღაცა ყინულივით ცივი შეეხო მის გულს, თითქოს ეს იყო მოგონება, უფრო უპრიანი იქნება, შეხსენება, რაღაც მტანჯველისა და შემზარავის, რომელიც ადრეც და ახლაც ამ ოთახში ბინადრობდა. დაღლილ-დაქანცული დივანზე დაეშვა. ბებერმა მოახლემ სამოვარი შემოიტანა და ივანმა ჩაი აადუღა, თუმცა წვეთი არ დაულევია. მოახლე დილამდე გაათავისუფლა. ისევ დივანზე იჯდა და თავბრუ ეხვეოდა. გრძნობდა, ავად იყო. რული მოეკიდა, მაგრამ უცებ მოუსვენრად წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, ძილისაგან თავი რომ დაეღწია. რაღაც წუთებში ეჩვენებოდა, რომ აბოდებდა. ისევ ჩამოჯდა, მას ავადმყოფობა კი არ აწუხებდა, არამედ რაღაც მოჩვენებები, აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს რაღაცას ათვალიერებსო. ასე უკვე მერამდენედ დაემართა.

დაბოლოს, მისი მზერა ერთ წერტილს მიაშტერდა. ივანმა ჯერ გაიცინა, მერმე ბრაზისაგან გაწითლდა. დიდხანს იჯდა, თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და პირდაპირ, კედელთან მდგარ დივანთან ერთ წერტილს მიშტერებოდა. ეტყობოდა, იქ რაღაც აღიზიანებდა, რაღაც საგანი აწუხებდა და სტანჯავდა.

IX ეშმა. ივან ფიოდოროვიჩის კოშმარი

ექიმი არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, დადგა დრო მკითხველს რაღაც მაინც ვუთხრა ივანის დაავადების შესახებ. ერთ რამეს წინასწარ გეტყვით: ახლა, ამ საღამოს, ის თეთრი ცხელების დასაწყისის წინა პერიოდში იმყოფებოდა. ეს სნეულება ერთიანად მოსდებოდა ივანის დიდი ხნის განმავლობაში დასუსტებულ ორგანიზმს, თუმცა ავადმყოფობას ის სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინის არა გამეგება რა, მაინც გავბედავ და გამოვთქვამ ჩემს ვარაუდს - ივანმა, მართლაც, მთელი თავისი ნებისყოფის მობილიზებით დროებით შეძლო ამ დაავადების თავისჩენის გადავადება, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა, ბოლომდე დაეძლია ის. მან კარგად იცოდა თავისი ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ ახლა ძალიან არ უნდოდა, ავად გამხდარიყო, ახლა, როცა ასე სჭირდებოდა თავისი გაბედული და გადამწყვეტი სიტყის თქმა და „საკუთარ თავთან თავის გამართლება“. სხვათაშორის, მოსკოვიდან ჩამოსულ ექიმსაც კი ეჩვენა. ეს ის ექიმი გახლდათ, ადრე რომ მოგახსენეთ, კატერინამ თავისი ერთი ფანტაზიის გამო მოსკოვიდან რომ გამოიწერა. ექიმმა მოუსმინა, გასინჯა ივანი და დაუსვა დიაგნოზი: სავარაუდოა თავის ტვინის მოშლილობა. მას სულაც არ გაჰკვირებია ივანის ზიზღნარევი აღიარებები, რაშიც ექიმს გამოუტყდა. „თქვენს მდგომარეობაში მყოფ კაცს, სავსებით შესაძლებელია, ჰალუცინაციები ჰქონდეს, - დაასკვნა ექიმმა, - თუმცა სასურველია მათი შემოწმება... ისე კი, აუცილებელია, მკურნალობას სერიოზულად შეუდგეთ, ახლა არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება, თორემ მერე გვიან იქნება“. მაგრამ ივანმა ექიმის კეთილგონივრული რჩევა არ შეასრულა და სამკურნალოდ არ დაწვა. „ჯერჯერობით ფეხზე ვდგავარ, ძალ-ღონე მაქვს, თუ ილაჯი გამომელევა - სხვა საქმეა, მაშინ ვისაც უნდა, იმან მიმკურნალოს“, - გადაწყვიტა იმედდაკარგულმა. ჰოდა, ახლა იჯდა, თითქმის აცნობიერებდა გაურკვეველ მოლანდებებს და, როგორც ადრე აღვნიშნე, დაჟინებული მიშტერებოდა მოპირდაპირე კედელთან მდგარ რაღაც საგანს. უცებ იქ ვიღაც აღმოჩნდა, დივანზე მოკალათებული, ღმერთმა უწყის, როდის ჩამოჯდა, ვინაიდან, როცა ივანი ოთახში შემოვიდა, იქ არავინ მჯდარა. ეს იყო ვიღაც დარბაისელი ბატონი, უფრო უპრიანი იქნება, ვთქვათ, გარკვეული კატეგორიის რუსი ჯენტლმენი, არც თუ ისე ახალგაზრდა, „qui frisait la cinquantaine“[127], როგორც ფრანგები იტყვიან ხოლმე. საკმაოდ ხშირ, გრძელ, შავ-შავ თმასა და მოკლედ შეკრეჭილ წვერში აქა-იქ ჭაღარა ერია. ტანზე კოხტად მორგებულ პიჯაკს კარგი თერძის ხელი ეტყობოდა, მაგრამ იგი სამი წლის წინანდელი შეკერილი იქნებოდა, რის გამოც ახლა ძველმოდური ელფერი დაჰკრავდა. მაღალი წრის მამაკაცები ამნაირ პიჯაკებს უკვე ორი წელია, აღარ ატარებდნენ. პერანგი და გრძელი შარფივით ჰალსტუხი ისე ჰქონდა შერჩეული,

როგორც ეს ლაზათიანად ჩამცმელ მამაკაცებს შეშვენით, თუმცა თუ ახლოდან დააკვირდებოდი, პერანგი ცოტა ჭუჭყიანი იყო და გრძელი შარფი კი ოდნავ გაცვეთილი. კუბოკრული პანტალონი ტანზე შესანიშნავად ადგა, მაგრამ ძალიან ღია ფერის და ძალიან ვიწრო ჩანდა. ამნაირ პანტალონებს დღეს აღარავინ ატარებდა. სტუმარს თავზე ეხურა არათუ მოდიდან გადასული, არამედ სეზონისათვის შეუფერებელი თივთიკის შლაპა. ერთი სიტყვით, მისი გარეგნობა კარგ გემოვნებაზე და საკმაოდ მცირე ქონებრივ შესაძლებლობაზე მეტყველებდა. ეტყობოდა, ბატონყმობის დროინდელი მაღალი წრის განცხრომით მცხოვრები ნებიერა მემამულის ნაშიერი გახლდათ, ახლა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, თანდათან გაღატაკებული და უკვე ხანშიშესული, ხან ერთ მდიდარ ნაცნობ-მეგობართან, ხან მეორესთან სამადლოდ სარჩენად მიკედლებული. ასეთი, სხვის კარს სამადლოდ შეხიზნული, რბილი ხასიათის ჯენტლმენები ტკბილმოუბრობით გამოირჩევიან, შესანიშნავად შეუძლიათ ბანქოს თამაშის დროს პარტნიორობა, მაგრამ ძალიან არ უყვართ, როცა რამეს ავალებენ ხოლმე. როგორც წესი, ისინი მარტოხელები არიან, უცოლოები, ან ქვრივები. ზოგიერთს შვილებიც ჰყავს, მაგრამ ისინი, როგორც წესი, მამიდებთან ან დეიდებთან იზრდებიან. შვილების შესახებ არ ლაპარაკობენ, თითქოს რცხვენიათ მათი არსებობა. ისე არიან შვილებს გადაჩვეულები, რომ ხანდახან, როცა მათგან დღეობაზე ან შობას მოსალოც ბარათებს იღებენ, პასუხსაც არ უგზავნიან. მოულოდნელი სტუმრის ფიზიონომია კეთილგანწყობას გამოხატავდა, იგი მზად იყო, გარმოების შესაბამისად, ნებისმიერი თავაზიანი გამომეტყველება მიეღო. საათი არ ეკეთა, მაგრამ შავ ბაფთაზე ეკიდა კუს ჯავშნის ლორნეტი. მარჯვენა ხელის შუა თითს მასიური ოქროს, ოპალისთვლიანი ბეჭედი უმშვენებდა. დაბოღმილი ივანი დუმდა, არ სურდა ლაპარაკის დაწყება. სტუმარი კი იჯდა და მშვიდად იცდიდა, როგორც ოჯახს შეკედლებული ღარიბი ნათესავი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ზემოდან, მისთვის განკუთვნილი ოთახიდან, რათა ოჯახის უფროსთან ერთად ევახშმა. ისიც დუმდა და ელოდა, როდის დაიწყებდა უხასიათოდ მყოფი მასპინძელი საუბარს. მზად იყო ნებისმიერი თავაზიანი საუბრისათვის, ოღონდ კი მასპინძელს ლაპარაკი დაეწყო. ანაზდად მისმა სახემ შეწუხებული გამომეტყველება მიიღო.

- მისმინე, - დაიწყო მან, - ერთი რამ მინდა შეგახსენო: სმერდიაკოვთან ხომ იმიტომ წახვედი, კატერინა ივანოვნას შესახებ რომ გეკითხა. იქიდან კი ისე წამოხვედი, ამის თაობაზე არაფერი გაგიგია, დაგავიწყდა...

- ჰო, მართლა! - აღმოხდა უცებ ივანს და სახეზე შეწუხება დაეტყო, - დიახ, დამავიწყდა... თუმცა ახლა ყველაფერი სულერთია, ხვალ ყველაფერი გაირკვევა, - ჩაიბურტყუნა თავისთვის, - შენ კი, - მიმართა სტუმარს ბრაზმორეულმა ივანმა, - მე რა, ამას თავად ვერ გავიხსენებდი, ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობდი, შენ კი, რას გამოხტი, გინდა დამაჯერო, ვითომ შენ მიკარნახე ეს და მე არ გამხსენებია?

- ნუ დაიჯერებ, - ალერსიანად გაუღიმა ჯენტლმენმა, - ძალად რწმენა როგორ იქნება? რწმენისათვის არავითარი მტკიცება არ გამოდგება, განსაკუთრებით, მატერიალური. თომამ განა იმიტომ ირწმუნა, რომ აღმდგარი ქრისტე იხილა, არამედ იმიტომ, რომ მანამდე სურდა ამის დაჯერება. მაგალითისათვის, ავიღოთ სპირიტები... მე ძალიან მიყვარს ისინი... წარმოგიდგენია, ისინი ფიქრობენ, რომ რწმენისათვის სასარგებლონი არიან, რადგან თურმე საიქიოდან მათ ეშმაკები რქებს დაანახვებენ ხოლმე - „ეს ხომ მატერიალური მტკიცებაა იმისა, რომ საიქიო

არსებობსო“. საიქიო და მატერიალური მტკიცება, ხომ მაგარია! დასასრულ, თუ ეშმაკის არსებობა მტკიცდება, განა ეს ნიშნავს, რომ ღმერთიც არსებობს? მინდა იდეალისტების საზოგადოებაში ჩავეწერო, რომ ოპოზიციაში დავუდგე მათ: „რეალისტი ვარ, მაგრამ არამატერიალისტი-მეთქი, ჰი-ჰი!“

- მისმინე, - ანაზდად წამოდგა ივანი, - ახლა ჩემ ირგვლივ მოჩვენებებია... რასაკვირველია, ეს ჩემი ბოდვებია... იცრუე, რამდენიც გინდა, ჩემთვის სულერთია! შენ ამასწინანდელივით ვერ გამაგიჟებ. მე მხოლოდ რაღაცის მრცხვენია... ოთახში სიარული მსურს... ხანდახან ვერც გხედავ, არც შენი ხმა მესმის, როგორც ადრე, მაგრამ ყოველთვის ვხვდები, რასაც მოჩმახავ, იმიტომ რომ, ეს მე ვარ, ამას მე ვლაპარაკობ და არა შენ! არ ვიცი, წეღან მეძინა, თუ ცხადში გიხილე? აი, ახლავე დავასველებ პირსახოცს ცივ წყალში და თავზე მივიდებ, იქნებ კიდეც გაქრე.

ივანი ოთახის კუთხეში მივიდა, პირსახოცი აიღო, დაასველა, თავზე დაიდო და ბოლთის ცემას შეუდგა.

- კარგია, ერთმანეთს რომ შენობით ველაპარაკებით, - ისევ დაიწყო სტუმარმა.

- ბრიყვო, - გაიცინა ივანმა, - მე რა, შენ თქვენობით დაგიწყებ ლაპარაკს? ახლა კარგ ხასიათზე ვარ, მხოლოდ საფეთქლები მტკივა... კეფაც... ძალიან გთხოვ ამასწინანდელივით ფილოსოფოსობას ნუ დამიწყებ. თუ წასვლა არ გინდა, რაიმე მხიარული ტყუილები მაინც ილაპარაკე. იჭორავე, შენ ხომ ჩემთან შემოკედლებული ხარ, ჰოდა, გამართე. თავს კოშმარებს ნუ მახვევ! შენი არ მეშინია! მოგერევი. ვერ ეღირსები ჩემს გაგიჟებას!

- c'est charmant[128], შემოკედლებული! მართლაც ასეა. ვინ ვარ მე ამ დედამიწაზე, თუ არა ხიზანი? ისე კი, გისმენ და ცოტა მიკვირს; ღმერთმანი, მე მგონი, შენ უკვე ვიღაცად მიგაჩნივარ და არა მარტო შენს ფანტაზიად, ამას წინათ კი დაიჩემე...

- ერთი წუთითაც არ მიმაჩნიხარ რეალობად, - იყვირა რაღაცნაირად გახარებულმა ივანმა, - შენ სიცრუე ხარ, შენ ჩემი სნეულება და მოჩვენება ხარ. მხოლოდ არ ვიცი, როგორ მოგაშთო და ამიტომ იძულებული ვარ, გარკვეული დროით ავიტანო ეს ტანჯვა-წამება. შენ ჩემი ჰალუცინაცია ხარ. შენ ხარ ჩემი განსახიერება, თუმცა ჩემი ნაწილის... ყველაზე საზიზღარი და სულელური ფიქრებისა და გრძნობების ასლი. ამ მხრივ, შენ ჩემთვის საინტერესო ხარ, შენთან ურთიერთობის დრო რომ მქონდეს...

- უკაცრავად, მაპატიე, მაგრამ ახლა მე შენ გამოგააშკარავებ: წეღან ფარანთან ალიოშას რომ ეცი და უღრიალე: „შენ იმისგან გაიგე! როგორ გაიგე, რომ ჩემთან დადისო?“ ამას ხომ ჩემზე ამბობდი. მაშასადამე, იმ წუთში შენ გჯეროდა, გჯეროდა, მე რომ ვარსებობ, - ხმადაბლა ჩაიცინა ჯენტლმენმა.

- ეს ჩემი სისუსტის ბრალია... მაგრამ მე არ შემიძლია შენი რწმენა. მე არ ვიცი, მეძინა, თუ ფეხზე ვიდექი ამას წინათ. შესაძლოა, მაშინ სიზმარში გნახე და არა ცხადში...

- დღეს ალიოშას რატომ ელაპარაკე ასე უხეშად? ის კარგი ბიჭია; მე მის წინაშე დამნაშავე ვარ ბერი ზოსიმას გამო.

- ალიოშას თავი დაანებე! როგორ ბედავ, ლაქიავ! - ისევ გაიცინა ივანმა.

- ილანძღები და თან იცინი - კარგი ნიშანია. ისე კი, დღეს შენ გაცილებით თავაზიანი ხარ, ადრინდელთან შედარებით. ვხვდები, რატომაც: იმ დიდი გადაწყვეტილების გამო...

- ხმა-კრინტი იმ გადაწყვეტილების თაობაზე! - ყვირილით წამოხტა

გამძვინვარებული ივანი.
- გასაგებია, ყველაფერი მესმის, c'est noble, c'est charmant[129], შენ ხვალ ძმის დასაცავად წახვალ, საკუთარი თავი მსხვერპლად უნდა გაიღო... c'est chevaleressque.[130]
- ხმა ჩაიწყვიტე, თორემ პანღურს მიიღებ!
- ნაწილობრივ გამეხარდება კიდეც, რადგან ჩემი მიზანი მიღწეული იქნება, პანღური ჩემს რეალობას დაადასტურებს, მოჩვენებებს არ აპანღურებენ. ისე, ხუმრობა იქით იყოს: ჩემთვის სულ ერთია, რამდენიც გინდა, იმდენი ილანძღე, მაგრამ აჯობებდა, ცოტა ზრდილობიანი ყოფილიყავი, ჩემთან ურთიერთობაშიც კი. თორემ რას ჰგავს: ხან ბრიყვო, ხან ლაქიაო, რომ გაიძახი, ეს რა სიტყვებია?!
- როცა შენ გლანძღავ, ჩემს თავს ვლანძღავ! - ისევ გაიცინა ივანმა, შენ ხომ - მე ვარ, მხოლოდ სხვა სიფათით. იმას ლაპარაკობ, რაც მე ოდესღაც მიფიქრია... ვერაფერს ახალს ვერ მეტყვი!
- ჩემი აზრები თუ შენსას ემთხვევა, ჩემთვის ეს დიდი პატივია, - დელიკატურად და ღირსეულად წარმოთქვა ჯენტლმენმა.
- შენ მხოლოდ ჩემს ყველაზე ბინძურ და სულელურ აზრებს ლაპარაკობ. შენ ბრიყვი და უწმაწური ხარ, საშინელი რეგვენი. არა, მე შენი ატანა არ შემიძლია! რა ვქნა, რა ვქნა! - აწრიალდა ივანი.
- ჩემო მეგობარო, მე მაინც მინდა, ჯენტლმენი ვიყო, მინდა ასეთად მიცნობდნენ, - ოჯახში შემოკედლებული კაცის დამთმობი და უწყინარი ამბიციებით დაიწყო სტუმარმა, - მე ღარიბი ვარ, თუმცა... ვერ გეტყვი, რომ ძალიან პატიოსანი, მაგრამ... ჩვეულებრივ საზოგადოებაში აქსიომად ითვლება, რომ მე ღვთის საუფლოდან გაძევებული ანგელოზი ვარ. ღმერთმანი, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ოდესღაც ანგელოზი ვიყავი. თუკი ოდესღაც ეს მართლა იყო, ალბათ, ეს ისე დიდი ხნის წინათ, რომ დიდი ცოდვა არაა, თუ დამავიწყდა კიდეც. ახლა მე წესიერი კაცის რეპუტაციას ვუფრთხილდები, ვცდილობ, როგორც შემიძლია, ყოველთვის ვცდილობ, სასიამოვნო შთაბეჭდილება დავტოვო. ადამიანები გულწრფელად მიყვარს - ვაი, რომ ბევრი ცილი დამწამეს! როდესაც დრო და დრო თქვენთან გადმოვსახლდები ხოლმე, ჩემი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ეს მომწონს. მე ხომ შენსავით ფანტაზიორი ვარ, ამიტომაც მიყვარს თქვენებური მიწიერი რეალიზმი. თქვენ აქ ყველაფერი ზუსტად გაქვთ მოხაზული - აქ ფორმულა, იქ გეომეტრია, ჩვენში კი სულ რაღაცნაირი განუსაზღვრელი განტოლებებია! მე აქ დავსეირნობ და ვოცნებობ. მიყვარს ოცნება. ამავე დროს, დედამიწაზე ცრუმორწმუნე ვხდები - რას იცინი?! სწორედ ის მომწონს, რომ ცრუმორწმუნე ვხდები. აქ ყოფნის დროს ყველა თქვენს ჩვევას ვითვისებ: მიყვარს აბანოში სიარული, შეგიძლია, წარმომიდგინო, ვაჭრებთან და მღვდლებთან ერთად, ორთქლის აბანოში მონებივრე? ჩემი ოცნებაა, შვიდფუთიან ვაჭრის ცოლად ვიქცე, ოღონდ ისე, რომ ეს შეუქცევადი პროცესი იყოს, სამუდამოდ. მინდა ყველაფერი ის მჯეროდეს, რაც მას სწამს. ჩემი იდეალია - შევიდე ეკლესიაში და გულწრფელად დავანთო სანთელი. ღმერთმანი, არ ვტყუი. მაშინ დასრულდება ჩემი ტანჯვა. აქ ყოფნისას მკურნალობა შემიყვარდა: ამ გაზაფხულზე ყვავილის ეპიდემია მძვინვარებდა, წავედი და მეც ავიცერი - რომ იცოდე, იმ დღეს რა კმაყოფილი ვიყავი; სლავი ძმებისათვის შესაწირავად ათი მანეთიც კი გავიმეტე! მგონი, არ მისმენ. დღეს რაღაც შეუძლოდ ჩანხარ, - ჯენტლმენი ცოტა ხანს გაჩუმდა, - ვიცი, გუშინ რომ ექიმთან იყავი...

როგორ ხარ? რა თქვა ექიმმა?
- რეგვენო! - მოუჭრა ივანმა.
- სამაგიეროდ, შენ როგორი ჭკვიანი ხარ! ისევ ილანძღები? მე ეს ისე გკითხე, შენი დარდი სულაც არ მაქვს. შენი ნებაა, ნუ მიპასუხებ. ისევ რევმატიზმი დამეწყო...
- ბრიყვი, - ისევ თქვა ივანმა.
- შენ ისევ შენსას გაიძახი, მე კი შარშანს აქეთ ისეთი რევმატიზმი ავიკიდე, დღემდე თავს არ მავიწყებს.
- ეშმაკი და რევმატიზმი?!
- რატომაც არა, ხანდახან ადამიანადაც ხომ გარდავიქმნები ხოლმე. ყველა გარდაქმნას თავისი შედეგი ახლავს. satana sum et nihil humanum ame alienum puto.[131]
- როგორ, როგორ? satana sum et nihil humanum... ეშმაკის მხრიდან ურიგოდ ნათქვამი არ არის!
- მოხარული ვარ, ბოლოს და ბოლოს გასიამოვნე.
- ეგ გამოთქმა ჩემგან არ გაგიგია, - უცებ გაჩუმდა გაოგნებული ივანი, - ასეთი ფრაზა მე არასოდეს მომსვლია გონებაში...
- C'est du nouveau n'est ce pas?[132] ამჯერად პატიოსნად აგიხსნი ყოველივეს. ყური დამიგდე: ძილის დროს, როცა ადამიანს კოშმარები აწუხებს, კუჭის აშლილობის ან სხვა რაღაც-რაღაცების გამო, ხანდახან ისეთი მხატვრული შინაარსის სიზმრებს ხედავს, ერთმანეთთან დაკავშირებულ, მოულოდნელი წვრილმანებით აღსავსე ინტრიგებზე აგებულ ისეთ რეალურ და რთულ სინამდვილეს, ისეთ მოვლენებს ან მოვლენათა მთელ სამყაროს, რომ, გეფიცები, მათი შეთხზვა თავად ლევ ტოლსტოისაც კი გაუჭირდებოდა. ასეთ სიზმრებს მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭის მქონე პირები კი არ ხედავენ, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებიც, ჩინოვნიკები, ფელეტონისტები, მღვდლები... ამასთან დაკავშირებით, რაღაც ამბავი უნდა გიამბო: ერთი მინისტრი თავად გამომიტყდა, რომ ყველა საუკეთესო იდეა მას ძილის დროს მოუვიდა. ახლაც ასეა. მე, მართალია, შენი ჰალუცინაცია ვარ, მაგრამ, როგორც კოშმარის დროს, ახლაც ისეთ ორიგინალურ რამეებს გეუბნები, რაც შენ აქამდე თავში არ მოგსვლია. ასე რომ შენს აზრებს სულაც არ ვიმეორებ, ამავე დროს მე შენი კოშმარი ვარ და მეტი არაფერი.
- ტყუი. შენი მიზანია, დამარწმუნო, რომ ჩემი კოშმარი კი არა ხარ, არამედ დამოუკიდებლად არსებობ. ახლა კი თავად მიმტკიცებ, ჩემი სიზმარი რომ ხარ.
- ჩემო კარგო, დღეს ახალი მეთოდი გამოვიყენე, ამას მერე აგიხსნი. მოიცა, სად გავჩერდი? ჰო, მაშინ გავცივდი, თქვენთან კი არა, ჯერ კიდევ იქ...
- სად იქ? მითხარი, კიდევ დიდხანს აპირებ აქ დარჩენას, არ შეგიძლია მომწყდე თავიდან? - ამოიგმინა თითქმის სასოწარკვეთილმა ივანმა. იგი სიარულს შეეშვა და დივანზე ჩამოჯდა, ისევ მაგიდას დაეყრდნო და ორივე ხელი თავზე შემოიჭდო. მერმე იმედდაკარგულმა სველი პირსახოცი თავიდან მოიგლიჯა და შორს გადაისროლა: ეტყობა, არ უშველა.
- შენ ნერვები გაქვს მოშლილი, - მოურიდებლად უთხრა ჯენტლმენმა, თუმცა სრულიად მეგობრული ტონით, - ისიც კი გაბრაზებს, გაციება რომ მოვახერხე, ეს კი სავსებით ბუნებრივად მოხდა. მაშინ ერთი წარჩინებული პეტერბურგელი ქალბატონის სახლში დიპლომატიურ საღამოზე მეჩქარებოდა. ამ ქალბატონს მინისტრობა უნდოდა. ჰოდა, ფრაკი, თეთრი ჰალსტუხი, ხელთათმანები - ყველაფერი საშოვნი მქონდა, გარდა ამისა, ამ დროს, ღმერთმა უწყის, სად ვიყავი, თქვენთან, დედამიწაზე რომ მოვხვედრილიყავი, სივრცე უნდა გადმომეფრინა...

მართალია, ეს სწრაფად მოხდა - მოგეხსენება, მზის სხივიც კი დედამიწამდე რვა წუთს უნდება მოსვლას, მე კი, წარმოგიდგენია, აქ ფრაკში გამოწყობილი, მოღიავებული ჟილეტით მოვფრინავდი. მართალია, სულები არ იყინებიან, მაგრამ როცა ხორცს შეისხამენ, მაშინ... ერთი სიტყვით, თავქარიანულად მოვიქეცი და დავეშვი. იმ ტენიან სივრცეში კი, ეთერში, დედამიწის თავზე ისე ციოდა, ისეთი ყინვა იყო, ყინვასაც ვერ დაარქმევ: 150 გრადუსი ნულს ქვემოთ! სოფლის ქალებს ერთი ასეთი თავშესაქცევი აქვთ: ვინმე ახალბედას ოცდაათგრადუსიან ყინვაში ცულის ალოკვას სთავაზობენ: რეგვენს ცულზე იმავ წუთს ენა მიეყინება, აძრობისას ენა უტყავდება და უსისხლიანდება; ეს ოცდაათგრადუსიანი ყინვის დროს ხდება, რა მოხდება 150 გრადუსზე, ამ დროს ცულს თითი რომ მიადო, აღარაფერი შეგრჩება, იქ რომ... იქ რომ ცული აღმოჩენილიყო...
- იქ ცულს რა უნდა?- ზიზღით შეაწყვეტინა დაბნეულმა ივანმა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ეწინააღმდეგებოდა თავს, რომ არ დაეჯერებინა თავისი ბოდვა და საბოლოოდ არ გაგიჟებულიყო.
- ცული? - იკითხა გაკვირებულმა სტუმარმა.
- ჰო, ჰო, რა მოუვა იქ ცულს? - რაღაცნაირი გაშმაგებით და დაჟინებული სიჯიუტით უცებ იყვირა ივანმა.
- რა მოუვა სივრცეში ცულს? Quelle idee![133] თუ იქ მოხვდა, მაშინ, მე მგონია, თანამგზავრივით დაიწყებს ბრუნვას დედამიწის გარშემო. ასტრონომები გამოითვლიან ცულის ამოსვლისა და ჩასვლის დროს. გატცუკი კალენდარში შეიტანს, ასე მოხდება.
- ბრიყვი ხარ, საშინელი ბრიყვი! - ჭირვეულივით გაიმეორა ივანმა, - ცოტა ჭკვიანად მაინც მოიტყუე, თორემ მეტს აღარ დაგიგდებ ყურს. შენ გინდა რეალიზმის საშუალებით ჩემი მორევა, გინდა დამარწმუნო, რომ შენ არსებობ, მაგრამ მე არ მინდა დავიჯერო შენი არსებობა! არ მჯერა!!!
- არა, მე არ გატყუებ, ყველაფერი მართალია; სამწუხაროდ, სიმართლე არასოდეს არის დამაჯერებელი. მე ვხედავ, ჩემგან რაღაც დიდებულს ელი, შესაძლოა მშვენიერსაც. ძალიან ვწუხვარ, რადგან მე იმას გავცემ, რაც შემიძლია...
- ნუ ფილოსოფოსობ, სახედარო!
- რა მეფილოსოფოსება, როცა მთელი მარჯვენა მხარი მტეხს, ვოხრავ და ვკრუსუნებ. ყველა დარგის მედიკოსი მოვინახულე: დიაგნოზის დასმა კარგად ეხერხებათ, ავადმყოფობის ყველა სიმპტომი ხუთი თითივით იციან, მაგრამ მკურნალობის რა მოგახსენო. აქ ერთი სტუდენტი შემხვდა და მითხრა: თუ მოკვდებით, ის მაინც გეცოდინებათ, რითი მოკვდითო! ისევ და ისევ მათი მანერა, გაგაგზავნონ სპეციალისტებთან: ჩვენ მხოლოდ დიაგნოზს ვსვამთ, თუ მკურნალობა გინდათ, სპეციალისტს მიმართეთ და ის მოგარჩენთო! სულ გაქრნენ ამ ქვეყნიდან ძველი ექიმები, რომლებიც ყველა დაავადებას წამლობდნენ, ახლა მხოლოდ სპეციალისტები არიან და მათ შესახებ ყველაფერს გაზეთებიდან შეიტყობ. ცხვირი რომ აგტკივდეს, პარიზში გაგაგზავნიან, იქ ევროპული დონის სპეციალისტი გიმკურნალებთო. ჩახვალ პარიზში, გაგისინჯავს სპეციალისტი ცხვირს და გეტყვის, მე მხოლოდ მარჯვენა ნესტოს შემიძლია ვუმკურნალო, მარცხენა ნესტოს სპეციალისტი ვენაში ცხოვრობსო. რა მექნა? გადავედი ხალხურ საშუალებებზე. ერთმა გერმანელმა ექიმმა მირჩია, აბანოში ტანი მექისეს დააზელინე თაფლისა და მარილის ნარევითო. წავედი აბანოში და ერთიანად ამოვითხვარე, მაგრამ საშველი არ დამადგა. სასოწარკვეთილმა გრაფ

მატეის წერილი მივწერე მილანში. მან გამომიგზავნა წიგნი და წვეთები - არც ამ წამალმა მარგო. წარმოგიდგენია, გოფის მალცექსტრაქტმა მიშველა! შემთხვევით ვიყიდე, ნახევარი შუშა დავლიე და თითქოს არც არაფერი მტკიებია, გადავწყვიტე, გაზეთის საშუალებით „მადლობა“ გადამეხადა, მადლიერების გრძნობა გამეღვიძა, მაგრამ, წარმოგიდგენია, არც ერთმა რედაქციამ არ მიიღო! „ძალიან რეტროგრადული იქნება, არავინ დაიჯერებს, რადგან le diable n'existe point[134], გირჩევთ, ანონიმურად გამოაქვეყნეთო“. მაგრამ რა ფასი აქვს „მადლობას“, თუკი ის ანონიმური იქნება. გამეცინა და რედაქციის მუშაკებს ვუთხარი: „ჩვენს საუკუნეში რეტროგრადული ღმერთის რწმენაა, მე კი ეშმაკი ვარ, ჩემი რწმენა შეიძლება-მეთქი“. - „ყველაფერი გასაგებია, - მითხრეს, - ეშმაკის ვის არ სჯერა, მაგრამ მაინც არ შეიძლება, გაზეთს სახელს გაუტეხს. იქნებ ხუმრობის სახით გამოვაქვეყნოთო?“ ხუმრობა კი მე არ მოვინდომე, მიზანშეწონილად არ ჩავთვალე. მაინც არ დამიბეჭდეს. თუ დამიჯერებ, ეს ამბავი გულში ჩამრჩა. ჩემთვის ყველაზე საუკეთესო გრძნობა, როგორიცაა, მადლიერება, ფორმალურად აკრძალული მაქვს ჩემი სოციალური მდგომარეობის გამო.

- ისევ ფილოსოფიაში შეტოპე! - ზიზღით წაისისინა ივანმა.

- ღმერთმა დამიფაროს! ხანდახან დაწუწუნების უფლება ხომ მაქვს. მე გაბიაბრუებული კაცი ვარ. შენ ყოველ წუთს ბრიყვს მეძახი. ეს ალბათ ახალგაზრდობის ბრალია. მაგრამ, ჩემო მეგობარო, მარტო ჭკუაში არ არის საქმე! მე ბუნებისაგან მონიჭებული მაქვს კეთილი და მხიარული გული, „მე ხომ სხვადასხვა ვოდევილისაგან შევდგები“. მე მგონია, შენ ჭაღარა ხლესტაკოვად მთვლი, მაგრამ ჩემი ხვედრი გაცილებით სერიოზულია. რაღაც დასაბამამდელი განაწესით, რომელშიაც ჯერ კიდევ ვერაფრით გავრკვეულვარ, ჩემი დანიშნულება იყო ყველაფრის „უარყოფა“, ამ დროს, სინამდვილეში, მე კეთილი ვარ და უარყოფა არ ძალმიძს. არაო, წადი და უარყავი, უარყოფის გარეშე კრიტიკა არ არსებობს, არადა, რომელ ჟურნალს არა აქვს „კრიტიკის განყოფილება“? კრიტიკის გარეშე მხოლოდ „ოსანა“ იქნება. მაგრამ ცხოვრებისათვის მარტო „ოსანა“ საკმარისი არ არის, საჭიროა, ამ „ოსანამდე“ იჭვების დაძლევის შემდეგ მიხვიდე. თუმცა მე საქმეებში არ ვერევი; რაც მე არ შემიქმნია, იმაზე პასუხს ვერ ვაგებ. მნახეს რა, განტევების ვაცი! მაიძულეს კრიტიკის განყოფილებაში წერა, შედეგად კი ცხოვრება მივიღეთ. ჩვენთვის ეს კომედია გასაგებია: მე, მაგალითად, უბრალოდ და პირდაპირ მოვითხოვ ჩემს განადგურებას. არაო, მეუბნებიან, იყავი, შენ გარეშე არაფერი არ იქნება. ამქვეყნად ყოველივე კეთილგონივრულად რომ იყოს აწყობილი, არაფერიც არ მოხდებოდა. უშენოდ არაფერი განსაკუთრებული შემთხვევა არ მოხდება. მაგრამ საჭიროა, ასეთი განსაკუთრებული შემთხვევები. ჰოდა, ვმსახურობ გულის კანკალით, რომ ადგილი ჰქონდეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, ბრძანებით ჩავდივარ უგუნურებას. ადამიანები კი ამ კომედიას სერიოზულად იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ გონიერება ნამდვილად არ აკლიათ. სწორედ ეს არის მათი ტრაგედია. რასაკვირველია, იტანჯებიან, მაგრამ.. მაინც ცხოვრობენ, რეალურად ცხოვრობენ და არა ფანტასტიკურად; რამეთუ ტანჯვა არის ცხოვრება. ტანჯვის გარეშე რაა სიამოვნება - ყველაფერი ერთ გაუთავებელ პარაკლისად გადაიქცევა: ის წმინდა რამაა, თუმცა მოსაწყენი. მაგრამ მე? ვიტანჯები, თუმც არ ვცხოვრობ. მე ვარ იქსი განუსაზღვრელი განტოლებისა. ამ ცხოვრების რაღაც აჩრდილი ვარ, რომელმაც თავი და ბოლო

დაკარგა და აღარც ახსოვს, რა უწოდოს საკუთარ თავს. გეცინება ხომ?!... არა, შენ არ იცინი, ისევ ბრაზობ, შენ მუდამ ბრაზობ, შენთვის მთავარი ჭკუაა, მე კი ისევ და ისევ გიმეორებ: მთელ ჩემს ზევარსკვლავეთურ ცხოვრებას, მთელ ჩემს ჩინსა და პატივს გავცვლიდი იმაში, შვიდფუთიან ვაჭრის დედაკაცად რომ გადავიქცე და ღმერთს სანთლები დავუნთო.
- შენ ხომ ღმერთი არა გწამს? - ზიზღით ჩაიცინა ივანმა.
- როგორ გითხრა, სერიოზულად მეკითხები?..
- ღმერთი არსებობს თუ არა? - ისევ დაჟინებით იყვირა გაცხარებულმა ივანმა.
- აჰა, სერიოზულად? ღმერთმანი, ჩემო ძვირფასო, არ ვიცი, გესმის, რა დიდებული სიტყვა ვთქვი.
- არ იცი და ღმერთს კი ხედავ? არა, შენ თავისთავად არ არსებობ, შენ - მე ვარ, სხვა არავინ! შენ ნაგავი ხარ, შენ ჩემი ფანტაზია ხარ!
- მაშასადამე, მე და შენ ერთი ფილოსოფია გვაქვს, ასე უფრო სამართლიანი იქნება. je pense donc je suis[135], ეს დანამდვილებით ვიცი, დანარჩენი კი, რაც ჩემ გარშემოა, ეს სამყაროები, ღმერთი, თავად სატანაც კი, - ყოველივე ეს - ჩემთვის დაუმტკიცებელია - თავისთავად არსებობენ ისინი, თუ ჩემი ემანაციები არიან, ჩემი დასაბამამდელი და ერთპიროვნული „მეს“ თანმიმდევრული განვითარება... ერთი სიტყვით, თუ ახლა სასწრაფოდ არ გავკმინდე ხმა, შეიძლება გამლახო კიდეც.
- სჯობდა, რამე ანეკდოტი გეთქვა! - ავადმყოფურად ჩაილაპარაკა ივანმა.
- ანეკდოტი, კი ბატონო, სწორედ ჩვენს თემაზეა, თუმცა ანეკდოტი კი არა, ლეგენდაა. მე შენ ურწმუნობაში მდებ ბრალს: „ხედავ და არ გწამსო“. მაგრამ, ჩემო კარგო, მარტო მე ხომ არა ვარ ამგვარი, ახლა იქ, ჩვენთან ყველას გონება ამღვრეული აქვს თქვენი მეცნიერების წყალობით. ჯერ იყო ატომები, ხუთი გრძნობა, ოთხი სტიქიაო. ამას კიდევ რა უშავდა, ატომებს ძველი მსოფლიოც იცნობდა. მაგრამ, როგორც კი ჩვენთან შეიტყვეს, რომ აქ „ქიმიური მოლეკულა“ და „პროტოპლაზმა“ აღმოაჩინეთ და კიდევ, ეშმაკმა უწყის რა, ყველა კუდამოძუებული დარჩა. ერთი სუმბური ატყდა; მთავარი - ცრუმორწმუნეობა და ჭორებია; ჭორები ჩვენთან ისევეა გავრცელებული, როგორც თქვენთან, შეიძლება უფრო მეტადაც. ამას დაუმატე ენის მიტან-მოტანა, დასმენა, ჩვენთან არის ასეთი განყოფილებაც, სადაც ამდაგვარი „ცნობების“ დაგროვება ხდება. მაშ ასე, ეს უცნაური ლეგენდა შუა საუკუნეების დროინდელია - ჩვენს შუა საუკუნეებზეა ლაპარაკი და არა თქვენზე - არავის სჯერა ამ ლეგენდისა ჩვენთან, გარდა ვაჭრის შვიდფუთიანი ცოლებისა, რასაკვირველია, ჩვენებურ ვაჭრის ცოლებს ვგულისხმობ, თქვენსას კი არა. ყველაფერი, რაც თქვენთან არის, ჩვენთანაც არის. ამას ჩვენი მეგობრობის ხათრით გიმხელ, თუმცა ამისი თქმა აკრძალული მაქვს. ესაა ლეგენდა სამოთხის შესახებ. ოდესღაც აქ, დედამიწაზე, ცხოვრობდა ერთი ბრძენი და ფილოსოფოსი კაცი. „ყველაფერს უარყოფდა - კანონებს, სინდისს, რწმენას“, რაც მთავარია, საიქიო ცხოვრებას. მოკვდა და რომ ეგონა, პირდაპირ წყვდიადში გადავეშვები და გავცამტვერდებიო, მის წინაშე საიქიო ცხოვრება გადაიშალა. ძალიან გაუკვირდა და განრისხდა: „ეს ჩემს მრწამსს ეწინააღმდეგებაო“. სწორედ ამისთვის მიუსაჯეს... ე.ი. იცი რა, მაპატიე, მე ხომ იმას გადმოგცემ, რაც გამიგია, ეს ხომ ლეგენდაა... ჰოდა, მიუსაჯეს წყვდიადში კვადრილიონი კილომეტრის გავლა (ჩვენთან ახლა კილომეტრია საზომი) და როცა ამ მანძილს გაივლის, მაშინ გაუღებენ სამოთხის კარს და ყველაფერს

აპატიებენ...
- კიდევ რა ტანჯვა-წამება არსებობს საიქიოში, გარდა კვადრილიონისა, - შეაწყვეტინა რაღაცნაირად უცნაურად გამოცოცხლებულმა ივანმა.
- ტანჯვა-წამება? ნუ მკითხავ: ადრე ასეთიც იყო და ისეთიც, ამ ბოლო ხანებში უმეტესად ზნეობრივია, „სინდისის ქენჯნა“ და სხვა სისულელეები. ესეც თქვენგან იქნა გადმოღებული, „თქვენი შემსუბუქებული ზნე-ჩვეულებების“ ზეგავლენით. მერედა ვინ მოიგო?! მოიგეს უსინდისოებმა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ დასაკარგი, მათთვის სინდისის ქენჯნას რა მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც სინდისი საერთოდ არ გააჩნიათ. სამაგიეროდ, პატიოსანი ადამიანები დაზარალდნენ, ვისაც სინდისი და ღირსების გრძნობა კიდევ ჰქონდათ შერჩენილი... ასეთი შედეგები მოჰყვება ხოლმე მოუმზადებელ ნიადაგზე ჩატარებულ რეფორმებს, მითუმეტეს, თუ ეს რეფორმები სხვისგანაა გადმოღებული - მათ მხოლოდ ზიანი მოაქვთ! ძველებური კოცონი სჯობდა. ჰოდა, ეს კვადრილიონმისჯილი ერთხანს იდგა, მერმე მიიხედ-მოიხედა, გზაზე დაწვა და განაცხადა: „არსადაც არ წავალ, პრინციპულად არ წავალო!“ აიღე განათლებული რუსი ათეისტის სული და განაზავე სამი დღე-ღამის განმავლობაში ვეშაპის სტომაქში ნამყოფი იონა წინასწარმეტყველის სულში, - აი, ასეთი ხასიათი ჰქონდა გზაზე გაშოტილ ბრძენს.
- რაზე დაწვა?
- იქ ალბათ იყო ისეთი რამ, რაზედაც დაწვა. შენ ხომ არ დამცინი?
- ყოჩაღ! - იყვირა ივანმა ისევ იმ უცნაურად გამოცოცხლებული ხმით. ახლა ის რაღაცნაირი მოულოდნელი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, - მერე, ახლაც იქ წევს?
- საქმე ისაა, რომ აღარ. თითქმის ათასი წელი იწვა, შემდეგ ადგა და წავიდა.
- ნამდვილი სახედარი! - შესძახა ივანმა და ნერვიულად გადაიხარხარა. თითქოს კვლავ რაღაცაზე გამძაფრებული ფიქრობდა, - განა სულ ერთი არ იყო, ის ბრძენი დაუსრულებლად იწვებოდა, თუ კვადრილიონ ვერსს გაივლიდა? ამას ხომ ბილიონი წელი მოუნდებოდა?
- გაცილებით მეტი, სამწუხაროდ, თან არ მაქვს ქაღალდი და ფანქარი, ახლავე გამოვთვლიდით. ის ხომ უკვე დიდი ხანია მივიდა, ახლა იწყება ანეკდოტი.
- როგორ თუ მივიდა? განა ბილიონზე მეტი დრო გავიდა?
- შენ ხომ ახლანდელი დედამიწის განზომილებებით აზროვნებ! შესაძლოა, ეს დედამიწა ბილიონჯერ განმეორდა; რამდენჯერმე მოჭამა თავისი დრო, მოხდა გამყინვარება, დაიბზარა, ნაწილ-ნაწილ დაიშალა, შემდეგ ისევ წყალი მოედო ხმელს, შემდეგ ისევ კომეტა, შემდეგ მზე, შემდეგ მზისაგან დედამიწა - ეს ხომ განვითარებაა, შესაძლოა, ის უსასრულოდ მეორდება და ყოველთვის ერთი და იგივე სახით. უუმსგავსესი მოწყენილობაა...
- მერე, მერე, რა მოხდა, როცა მივიდა?
- როგორც კი სამოთხის კარი გაუღეს, შევიდა, ორი წამიც არ დაუყვია - საათის მიხედვით, საათის მიხედვით (თუმცა, ჩემი აზრით, ამხელა გზაზე საათი ნაწილ-ნაწილ უნდა დაშლილიყო), ორი წამი არ გასულა და შესძახა, რომ ამ ორ წამში არათუ კვადრილიონი კილომეტრის გავლა, არამედ კვადრილიონჯერ კვადრილიონის და კვადრილიონი კვადრილიონ ხარისხში კილომეტრი მანძილის გავლაც შეიძლებაო! ერთი სიტყვით, „ოსანა“ იგალობა, მაგრამ გადაამლაშა, რადგან ზოგიერთმა იქ მყოფმა, თავისი აზროვნების ხასიათით უფრო

კეთილშობილმა, მისთვის ხელის ჩამორთმევაც არ მოისურვა: ძალიან მალე
გახდა კონსერვატორიო. რუსული ხასიათი! ვიმეორებ: ლეგენდაა. როგორც
მომყიდეს, ისე ვყიდი. აი, როგორი წარმოდგენა აქვთ იქ ამდაგვარ საკითხებზე.
- ხომ გამოგიჭირე! - იყვირა თითქმის ბავშვივით აღტაცებულმა ივანმა.
ეტყობოდა, როგორც იქნა, რაღაც გაიხსენა, - ეს ანეკდოტი კვადრილონი წლების
შესახებ - ჩემი მოგონილია! მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ჯერ კიდევ გიმნაზიაში
ვსწავლობდი... ეს ანეკდოტი მაშინ შევთხზე და ერთ ამხანაგს მოვუყევი, გვარად
კოროვკინი იყო, ეს მოსკოვში მოხდა. ეს ისეთი დამახასიათებელი ანეკდოტია, არ
შეიძლება სადმე მომესმინა. მერე გადამავიწყდა... ახლა კი უნებურად გამახსენდა
- ეს მე გამახსენდა, შენ კი არ მომიყევი! როგორც სიკვდილმისჯილს დასჯის წინ
უნებურად ახსენდება ხოლმე ათასი რაღაც... სიზმარში გამახსენდა. ეს სიზმარი
შენ ხარ! შენ ზმანება ხარ, შენ არ არსებობ!
- შენ ისეთი აზარტით უარმყოფ, - გაეცინა ჯენტლმენს, - ეჭვი აღარ მეპარება, ჩემი
არსებობა რომ გჯერა.
- არავითარ შემთხვევაში, ერთი მეასედითაც არ მჯერა!
- მაგრამ ერთი მეათასედით ხომ გჯერა. ჰომეოპათიური წილი ხომ ყველაზე
ძლიერმოქმედია. აღიარე, რომ გჯერა, ერთი მეათიათასედით მაინც...
- არც ერთი წუთი! - იყვირა გაავებულმა ივანმა, - თუმცა მე მინდა შენი მჯეროდეს!
- ანაზდად უცნაურად დასძინა მან.
- ერიჰა! აი, მესმის აღიარება! მაგრამ მე კეთილი ვარ და ახლავე დაგეხმარები.
ყური მიგდე: ეს მე გამოგიჭირე, შენ კი არა! მე განგებ გიამბე შენი ანეკდოტი,
რომელიც გადავიწყებული გქონდა. ეს კი იმიტომ გავაკეთე, რომ ჩემი საბოლოოდ
აღარ გერწმუნა.
- ტყუი! შენი გამოჩენის მიზანია, დამიმტკიცო შენი არსებობა.
- რასაკვირველია. მაგრამ მერყეობა, მოუსვენრობა, რწმენისა და ურწმუნობის
ბრძოლა - ეს ხომ დიდი ტანჯვაა ისეთი პატიოსანი კაცისათვის, როგორიც შენ ხარ,
ამას თავის ჩამოხრჩობა სჯობია. ვიცოდი რა სადღაც გულის კუნჭულში ჩემი
არსებობა რომ გჯეროდა, ამიტომაც გიამბე შენი ანეკდოტი, რომ საბოლოოდ
დაგეკარგა ჩემდამი რწმენა. მე შენ მორიგეობით, რწმენასა და ურწმუნობას
შორის გატარებ, ამისთვის ჩემი მიზანი მაქვს. ასე ვთქვათ, ახალი მეთოდი, ჩემო
ბატონო, როცა შენ ჩემს არსებობას საბოლოოდ აღარ ირწმუნებ, უმალვე
დამიწყებ დარწმუნებას, რომ მე შენი სიზმარი კი არ ვარ, არამედ სინამდვილეში
ვარსებობ, შენი ამბავი ხომ კარგად ვიცი; ასე მივაღწევ ჩემს მიზანს. ჩემი მიზანი
კი კეთილშობილურია. მე შენში ჩავთესავ რწმენის უმცირეს მარცვალს,
რომლისგანაც გაიზრდება მუხა - ისეთი მუხა, რომ შენ ამ მუხაზე მჯდარი
მოინდომებ „მეუდაბნოე მამად ან უბიწო დედად“ გახდომას; რამეთუ შენ ეს
ძალიან, ძალიან გულით გსურს, იმარხულებ და სულის გადასარჩენად უდაბნოში
წაჩანჩალდები!
- ოო, შე არამზადა, ვითომ ჩემი სულის ცხონება გინდა?
- დიახ, ოდესღაც ხომ უნდა გავაკეთო კეთილი საქმე. ბრაზობ, ვხედავ, რომ
ბრაზობ!
- ტინგიცა! შენ ოდესმე გიცდუნებია ისეთები, რომლებიც უდაბნოში უკვე
ხავსმოკიდებულები, ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მარხულობენ და
ლოცულობენ?
- მაშ, მეტი რა მიკეთებია, ჩემო კარგო. მთელი სამყარო გავიწყდება, როცა ასეთ

ბრილიანტს ხვდები. ერთი ასეთ სულიერი ხანდახან მთელი თანავარსკვლავედის ტოლფასია - ჩვენ ხომ ჩვენი არითმეტიკა გვაქვს. ყველაზე ძვირფასი კი გამარჯვებაა! ზოგიერთი მათგანი კი, შენზე არანაკლებ განათლებული, თუმცა შენ ეს შეიძლება არც დაიჯერო, ერთსა და იმავე დროს იმდენ რწმენასა და ურწმუნობას ჭვრეტს, რომ, სიმართლე გითხრა, ხანდახან მეჩვენება კიდეც, კიდევ ერთი წვეთი რაიმე რომ დაემატოს - როგორც მსახიობი გორბუნოვი ამბობს, ადამიანი „კისერს მოიტეხს“.
- შენ ის თქვი, რამდენჯერ დარჩი ხელცარიელი?
- ჩემო მეგობარო, - სენტენციურად წარმოსთქვა სტუმარმა, - სჯობს, ხელცარიელი დარჩე, ვიდრე ხელების გარეშე, როგორც ამას წინათ ერთმა ავადმყოფმა მარკიზმა (ალბათ მასაც სპეციალისტი მკურნალობდა) თავის სულიერ იეზუიტ მამას აღსარებაზე უთხრა. თავად ვიყავი ამ აღსარების მოწმე - მშვენიერი რამ იყო! „დამიბრუნე ჩემი ხელებიო! - გულამომჯდარი ევედრებოდა ის პატერს. „შვილო ჩემო, - ეშმაკურად ამშვიდებდა პატერი, - ჩვენთვის შეუცნობელი განგების ძალით ყოველივე ანაზღაურდება, ხილულ უბედურებას განსაკუთრებული, თუმცა უხილავი სარგებელი მოსდევს ხოლმე. თუკი თქვენ მწარე ხვედრმა უხელოდ დაგტოვათ, ამისგან ერთი სარგებელი მაინც გაქვთ, აწი მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე ვეღარავინ გეტყვით, ხელცარიელი დარჩითო“. - „წმინდა მამაო, ეგ ვერაფერი შვებაა, - შესძახა სასოწარკვეთილმა მარკიზმა, - პირიქით, მე მთელი ჩემი სიცოცხლე აღტაცებული ვიქნებოდი, თუნდაც ყოველდღე ხელცარიელი დავრჩენილიყავი, ოღონდ კი ჩემი ხელები მქონოდა!“ - „შვილო ჩემო, -ამოიოხრა პატერმა, - ყველანაირი სიკეთის ერთბაშად მოთხოვნა არ შეიძლება, ეს უკვე განგების მიმართ სამდურავია, რომელმაც ასეთ დროსაც არ დაგივიწყათ; რამეთუ თუ თქვენ კვლავ იღაღადებთ ისე, როგორც ახლა აღმოგხდათ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება მზად ხართ, ხელცარიელი დარჩეთ, მაშინ თქვენი სურვილი არაპირდაპირ აღსრულებული გამოდის: რადგან ხელების დაკარგვით თქვენ, მართლაც, ხელცარიელი დარჩით...“
- ფუი, რა სისულელეა! - იყვირა ივანმა.
- ჩემო მეგობარო, მე მხოლოდ შენი გამხიარულება მინდოდა, ისე კი, გეფიცები, ეს ნამდვილი იეზუიტური კაზუისტიკაა. გეფიცები, ყოველივე ეს, როგორც მოგიყევი, სიტყვასიტყვით, ისე მოხდა. სულ ახალი ამბავია. მან ბევრი საზრუნავიც გამიჩინა. სახლში დაბრუნებულმა საცოდავმა ახალგაზრდა მარკიზმა იმ ღამესვე თავი მოიკლა; მე მასთან ვიყავი, უკანასკნელ წუთამდე თავს ვევლებოდი... რაც შეეხება იეზუტიური აღსარების ჯიხურებს, ისინი ჩემთვის, ჭეშმარიტად, ყველაზე დიდი გასართობი რამაა, განსაკუთრებით, როცა მოწყენილობა დამეუფლება ხოლმე. აი, კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა. მოხუც პატერთან მივიდა ახალგაზრდა ნორმანდიელი ქალი, ისეთი ლამაზი და ხორცსავსე - მღვდელს ნერწყვი მოადგა. ქალი დაიხარა და ჯიხურის ჭუჭრუტანიდან პატერს თავის ცოდვებზე ეჩურჩულებოდა. „რას მეუბნებით, შვილო ჩემო, ნუთუ კვლავ შესცოდეთ?.. - შეიცხადა პატერმა, - O, Santa Maria[136], ეს რა მესმის: ახლა სხვა კაცთან. კი მაგრამ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, როგორ არ გრცხვენიათ!“ - „Ah, mon pere[137], - უპასუხა ცოდვილმა და თან თვალებიდან მონანიების ცრემლებს ღვრიდა, - „Ca lui fait tant de plaisir et a moi si peu peinel“[138], არ მოგწონს? როგორი პასუხია! ამ დროს მე უკან დავიხიე: ეს ხომ ბუნების ყივილია, ეს თვით უბიწოებაზე მაღლა დგას! მაშინვე შევუნდე ცოდვები

და წასვლა დავაპირე, მაგრამ იძულებული გავხდი, დავრჩენილიყავი: მესმის, პატერი ჭუჭრუტანიდან ქალს პაემანს უნიშნავს - კაჟივით მოხუცია, ერთ წუთში მოერია ცდუნება! რას იზამ, ბუნებაა! ბუნებამ თავისი ქნა! რა ცხვირი აიბზუე, ისევ ბრაზობ? აღარ ვიცი, რით გასიამოვნო...

- დაიკარგე აქედან, შენ ჩემს ტვინში მოუშორებელი კოშმარივით ხმაურობ, - ამოიკვნესა თავის ხილვისაგან დაოსებულმა ივანმა, - ძალიან მომაბეზრე თავი, აუტანელი და მტანჯველია შენი ყურება! რას არ მივცემდი, შენ რომ თავიდან მოგიშორო!

- გიმეორებ, ცოტა ზომიერი გახადე შენი მოთხოვნები, ნუ ითხოვ ჩემგან „ყველაფერ დიდებულს და მშვენიერს“ და ნახავ, როგორ მეგობრულად შევეწყობით ერთმანეთს, - დამაჯერებლად წარმოთქვა ჯენტლმენმა. - შენ იმიტომ მიბრაზდები, ასე უბრალოდ რომ გამოგეცხადე, წითელ ფერებში, „მბზინავი და მგრგვინავი“, მზისგან შეტრუსული ფრთების გარეშე. შელახულია შენი ესთეტიკური გრძნობები და შენი სიამაყე: როგორ შეიძლებოდა, ასეთ დიდ ადამიანს ასეთი უხამსი ეშმაკი გამომცხადებოდაო? შენში, მართლაც, არის ის რომანტიკული ნაკადი, რომელსაც ჯერ კიდევ ბელინსკი დასცინოდა. რას იზამ, ახალგაზრდა კაცი ხარ. ამას წინათ, როცა შენთან მოსვლას ვაპირებდი, ვფიქრობდი, წარვდგები ახლა მე მის წინაშე კავკასიაში ნამსახურები, გადამდგარი ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკის სახით, რომელსაც ფრაკზე დაბნეული ექნება ლომისა და მზის ვარსკვლავი, მაგრამ შემეშინდა - ვაითუ, გამლახოს, როგორ გაბედე და ფრაკზე ლომისა და მზის ვარსკვლავი დაიბნიე და არა პოლარული ან სირიუსის ვარსკვლავიო. შენ კი დაგიჩემებია, ბრიყვი ხარ, ბრიყვიო. ღმერთმანი, მე სულაც არ მაქვს პრეტენზია, შენ გაგიტოლდე ჭკუით. ფაუსტთან მისულმა მეფისტოფელმა ასე განაცხადა, რომ სურვილი აქვს, ჩაიდინოს მხოლოდ სიავე, მაგრამ მხოლოდ სიკეთეს ჩადის. ეს ყველაფერი მისი ნებაა, მე პირიქით ვარ. შესაძლებელია, ბუნებაში ერთადერთი კაცი ვარ, ვისაც ჭეშმარიტება უყვარს და გულწრფელად სურს სიკეთე. იმ დროს იქ ვიყავი, როდესაც ჯვარცმულის პირიდან სიტყვა ზეცისაკენ მიისწრაფოდა და თან მიჰქონდა მის მარჯვენა მხარეს ჯვარზე გაკრული ყაჩაღის სული, მესმოდა „ოსანას“ მღაღადებელი ქერუბინების მხიარული ხმები და აღტაცებული სერაფიმების ყურთასმენის წამღები ღრიანცელი, რამაც შეძრა ზესკნელი და სრულიად სამყარო. ყველაფერს ვფიცავ, რაც ამქვეყნად წმინდაა, მინდოდა, გავრეულიყავი იმ ქოროში და სხვებთან ერთად მეყვირა: „ოსანა“. ის-ის იყო, დავაპირე ხმის ამოღება... შენ კარგად მოგეხსენება, როგორი მგრძნობიარე ვარ, როგორი არტისტული, მაგრამ საღმა აზრმა - ჩემი ბუნების ყველაზე უბედურმა თვისებამ - შემაკავა და ვძლიე წამიერ ცდუნებას! რა იქნებოდა, - გავიფიქრე ჩემთვის, - რა მოხდებოდა, მეც რომ „ოსანა“ აღმევლინა? იმავ წამს ამქვეყნად ყოველივე გაქრებოდა და აღარაფერი განსაკუთრებული აღარ მოხდებოდა. სწორედაც ამიტომ, ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობისა და სოციალური მდგომარეობის გამო იძულებული გავხდი, ჩემშივე ჩამეხშო ის მშვენიერი წამი და დავრჩენილიყავი სიბილწეში. სიკეთის პატივი ერთიანად ვიღაცის ხელშია მოქცეული, ჩემი ხვედრი კი სიბილწე და სისაძაგლეა. მე მუქთახორების პატივი არ მშურს, პატივმოყვარე არ გახლავარ. რატომაა, რომ ამა ქვეყნის წესიერ ადამიანებს შორის მხოლოდ მე ვარ შეჩვენებული, ყველას უნდა, ჭიტლაყი მკრას, ხანდახან ვინმეში განსახიერებულს ასეთი რამეც დამმართნია ხოლმე? მე კარგად

ვიცი, აქ რაღაც საიდუმლოა, მაგრამ არავის სურს ჩემთვის მისი გამხელა, რადგან რა წამსაც გავიგებ, რაშია საქმე, მაშინვე „ოსანას“ წამოვაყრანტალებ, იმავ წუთს გაქრება აუცილებელი მინუსი და მთელ სამყაროში კეთილგონიერება დაისადგურებს, მასთან ერთად, ცხადია, ყველაფერს ბოლო მოეღება, ჟურნალ-გაზეთებსაც კი, რადგან მათ აღარავინ გამოიწერს. ისიც ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს მეც შევურიგდები ჩემს ბედს, გავივლი ჩემს კვადრილიონს და შევიტყობ საიდუმლოს. მაგრამ სანამ ეს მოხდება, ბუზღუნ-ბუზღუნითა და გულის კანკალით ვასრულებ ჩემს მოვალეობას: წავწყმედ ათასებს, რათა ერთი გადავარჩინო. მაგალითად, რამდენი სული უნდა წამეწყმიდა, რამდენი პატიოსანი კაცის რეპუტაცია უნდა შემელახა, რომ მიმეღო ერთი წმინდა იობი, რისთვისაც მე ასე მწარედ დამგესლეს ჟამსა მას შინა! არა, სანამ საიდუმლოს ფარდა არ აეხდება, ჩემთვის ორი სიმართლე არსებობს: ერთი იქაური, მათი, რომელიც ჩემთვის უცნობია, მეორე ჩემი. ჯერ კიდევ კაცმა არ იცის, რომელი უფრო სუფთაა... შენ რა გძინავს?

- აბა რა! - ამოიკვნესა გაბოროტებულმა ივანმა, - რაც კი თავში ოდესმე სისულელე მომსვლია, რაზედაც თვეობით მიფიქრია, გონებაში გადამიხარშავს და უკუმიგდია, როგორც უვარგისი რამ - ახლა შენ გსურს მომაწოდო, როგორც სიახლე.

- მაინც ვერ მოვიგე შენი გული! მეგონა, ლიტერატურული თხრობით თავს მოგაწონებდი: „ოსანას“ შესახებ ხომ კარგად გამომივიდა? რა საჭიროა ახლა ასეთი სარკასტული ტონი a la[139] ჰაინე, ჰა, მართალი არა ვარ?

- არა, მე არასოდეს ვყოფილვარ ასეთი ლაქია! მიკვირს, როგორ შობა ჩემმა სულმა შენნაირი ლაქია?

- ჩემო მეგობარო, მე ვიცნობ ერთ მშვენიერ და ლამაზ ბატონიშვილს: ახალგაზრდა მოაზროვნეს, ლიტერატორს, ნატიფი ხელოვნების დიდ მოტრფიალეს, იგი ავტორია პოემისა, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა: „დიდი ინკვიზიტორი“. მე მხოლოდ ის მქონდა მხედველობაში!

- არ გაბედო „დიდ ინკვიზიტორზე“ ლაპარაკი, - იყვირა ივანმა და სახე წამოუწითლდა.

- მაშინ „გეოლოგიურ გადატრიალებაზე“? გახსოვს? ის ნამდვილი პოემა იყო!

- ხმა ჩაიწყვიტე, თორემ სულს გაგაფრთხობინებ!

- მე მომკლავ? არა, მაპატიე, მაინც დავასრულებ, რისი თქმაც მსურს. აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემს თავს ამ სიამოვნებებით გავმასპინძლებოდი. ძალიან მიყვარს ჩემი ახალგაზრდა, გულმხურვალე, სიცოცხლის წყურვილით შეპყრობილი მეგობრების ოცნებები! „იქ ახალი ადამიანები არიან, - გადაწყვიტე შენ ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე, როცა აქ ჩამოსვლას აპირებდი, - მათი სურვილია ყველაფრის განადგურება და ანთროპოფაგიის დაწყება. ბრიყვები, ჩემთვის არაფერი უკითხავთ! ჩემი აზრით, არაფრის დანგრევა არ არის საჭირო, მხოლოდ ღმერთის იდეა უნდა განადგურდეს კაცობრიობაში, აი, აქედან უნდა შევუდგეთ საქმეს! აქედან, აქედან უნდა დავიწყოთ - ბრმებო და უმეცრებო! თუ კაცობრიობა უკლებლივ განუდგება ღმერთს (მე მჯერა, ეს პერიოდი გეოლოგიური პერიოდის პარალელურად დადგება), მაშინ თავისთავად, ანთროპოფაგიის გარეშე, დაემხობა ადრინდელი მსოფლმხედველობა, რაც მთავარია, ადრინდელი ზნეობა, და მოვა ახალი დროება. ხალხი გაერთიანდება, რომ ცხოვრებისაგან მიიღოს ყველაფერი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიური ბედნიერებისა და

სიხარულისათვისაა საჭირო. ადამიანი გაზვიადდება, შეიპყრობს ტიტანური სიამაყე და თავს ღმერთკაცად წარმოიდგენს. აწი, ის თავისი ნებითა და მეცნიერების დახმარებით ყოველ წუთს შეძლებს ბუნების დამარცხებას. ამიერიდან ადამიანი ყოველ საათში იგრძნობს იმ უმაღლეს სიამოვნებას, რომელიც ადრე დანაპირებ ზეციურ სიამოვნებას შეუცვლის. ყველა გაიგებს, რომ საბოლოოდ მოკვდება, გაქრება, არავითარი აღდგომა არ უწერია, ამიტომ სიკვდილს ღმერთივით ამაყად და მშვიდად შეხვდება. მას სიამაყე აღარ მისცემს უფლებას, იწუწუნოს წუთისოფლის ხანმოკლეობაზე და შეიყვარებს მოყვასს ყოველგვარი საზღაურის გარეშე. სიყვარული იქნება მხოლოდ ამქვეყნიური და წუთიერი კმაყოფილება და წარმავალობის აღქმა ისევე გაამძაფრებს სიყვარულის ალს, როგორც ადრე საიქიო და უსაზღვრო სიყვარულის მოლოდინი“... და სხვა, და სხვა მისთანანი. ხომ კარგი რამეა!

ივანი იჯდა და ორივე ხელით ჰქონდა ყურები დაცული, თან იატაკს ჩასცქეროდა. მას მთელი სხეული უკანკალებდა. სტუმრის ხმა კვლავ ისმოდა.

- ახლა საქმე ის არის, ფიქრობდა ჩემი ყმაწვილი მოაზროვნე: შესაძლებელია თუ არა მომავალში ასეთი პერიოდის დადგომაო? თუ დადგება, მაშინ ყველაფერი გადაწყდება და კაცობრიობის საქმეც სამუდამოდ მოგვარდება. მაგრამ, რადგან ადამიანის ძვალსა და რბილში გამჯდარი სიბრიყვის გამო, შესაძლებელია, ასეთი რამ კიდევ ათას წელს არ განხორციელდეს, ამიტომ ყველას, ვინც შეიგნებს ამ ჭეშმარიტებას, შეუძლია, მოიწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მას სურს, ახალი საწყისების მიხედვით. აქედან გამომდინარე, მათთვის „ყველაფერი ნებადართულია“. უფრო მეტიც, თუ ეს პერიოდი სულაც არ დადგება, მაშინ, რადგან არც ღმერთი და არც უკვდავება არ არსებობს, ახალ ადამიანს უფლება აქვს, გახდეს ღმერთკაცი, თუნდაც ასეთი მთელ მსოფლიოში ერთადერთი იყოს. ცხადია, ამ ახალ ამპლუაში მას შეუძლია, გულარხეინად გადაახტეს მონაკაცის დამაბრკოლებელ ყოველგარ ზნეობრივ ჯებირს, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის. ღმერთისათვის არავითარი კანონი არ არსებობს! სადაც ღმერთი დადგება - იქ იქნება უფლის ადგილი! სადაც მე დავდგები, იქ მაშინვე გაჩნდება პირველი ადგილი... „ყველაფერი ნებადართულია“ და შაბაშ! ყველაფერი ეს მშვენიერი რამაა; მაგრამ თუკი თაღლითობა გსურდა, რაში დაგჭირდა ჭეშმარიტების სანქცია? მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია თანამედროვე რუსი კაცი: უსანქციოდ თაღლითობას ვერ ბედავს, იმდენად უყვარს ჭეშმარიტება...

სტუმარს ლაპარაკში ეტყობოდა, თავისი მჭევრმეტყველება რომ ძალიან მოსწონდა, იგი თანდათან უმაღლებდა ხმას და დაცინვით გადახედავდა ხოლმე თავის მასპინძელს; მაგრამ დამთავრება ვერ მოასწრო: უცებ ივანმა ხელი სტაცა ჭიქას და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორატორს ესროლა.

- Ah, mais c'est bete enfin![140] - შესძახა სტუმარმა, დივანიდან წამოხტა და ტანსაცმლიდან ჩაის წვეთების ბერტყვას შეუდგა, - შენ რა, ლუთერის სამელნე გაგახსენდა! თავად ზმანებად მთვლი და სიზმარს თავადვე ჭიქას ესვრი! ეს რა დედაკაცური საქციელია! ტყუილად არ მეპარებოდა ეჭვი, თავს რომ იკატუნებდი, ყურები დაიცავი, სინამდვილეში კი მისმენდი...

გარედან ფანჯრის ჩარჩოზე მტკიცე და დაჟინებული კაკუნი გაისმა. ივანი დივანიდან წამოხტა.

- გესმის, გირჩევნია, კარი გააღო, - იყვირა სტუმარმა, - შენი ძმაა, ალიოშა. შენთვის ძალიან მოულოდნელი და საინტერესო შეტყობინება აქვს. ამაზე პასუხს

ვაგებ!
- ხმა ჩაიწყვიტე, ქოსატყუილა, შენზე ადრე ვიცოდი, ალიოშა რომაა. წინასწარ ვგრძნობდი, ცხადია, ტყუილად არ მოვიდოდა, რაიმე „ამბით“ იქნება მოსული!... - გიჟივით შესძახა ივანმა.
- გაუღე, გაუღე კარი. გარეთ ქარბუქია, ის კი შენი ძმაა. Monsieur, sait-il le temps qu'il fait? C'est a ne pas mettre un chien de-hors...[141]
კაკუნი გაგრძელდა. ივანს ფანჯარასთან მისვლა უნდოდა, მაგრამ თითქოს ხელ-ფეხს რაღაც უკრავდა. მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, გაერღვია ეს ხუნდები, მაგრამ ამაოდ. კაკუნი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ბოლოს და ბოლოს ივანმა თავი აიშვა და დივანზე ახტა. ის გიჟივით აქეთ-იქეთ იყურებოდა. ორივე სანთელი თითქმის ბოლომდე ჩამწვარიყო, ჭიქა, რომელიც წეღან ესროლა სტუმარს, ისევ მის წინ, მაგიდაზე იდო, ხოლო მოპირდაპირე მხარეს მდგარ დივანზე აღარავინ იჯდა. ფანჯრის რაფაზე კვლავ დაჟინებული კაკუნი ისმოდა, მაგრამ არც ისე ხმამაღალი, როგორც ძილში მოეჩვენა, პირიქით, ძალიან მორიდებული.
- ეს სიზმარი არ იყო! არა, ვფიცავ, ეს არ იყო სიზმარი, ეს ყველაფერი ახლა მოხდა!
- იყვირა ივანმა, ფანჯარას ეცა და სარკმელი გამოაღო.
- ალიოშა, ხომ გითხარი, არ მოხვიდე-მეთქი! - გაავებულმა უყვირა ძმას, - ორიოდ სიტყვით: რა გინდა? ორიოდ სიტყვით, ამოშაქრე?
- ერთი საათის წინ სმერდიაკოვმა თავი ჩამოიხრჩო, - ამოსძახა მან გარედან.
- პარმაღთან მოდი, ახლავე გაგიღებ კარს, - თქვა ივანმა და ალიოშასთვის კარის გასაღებად წავიდა.

X „ეს მან თქვა“

შემოსვლისთანავე, ალიოშამ ივანს უთხრა, რომ დაახლოებით ამ ორი საათის წინ მასთან მარია კონდრატიევნამ მიირბინა და აცნობა, რომ სმერდიაკოვმა თავი მოიკლა - „ოთახში სამოვარის წამოსაღებად შევედი და კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდებული ვნახეო“. ალიოშას კითხვაზე: „შეატყობინეთ თუ არა, სადაც საჭიროაო?“ - მას უთქვამს: „ჯერ არავისათვის მითქვამს, პირდაპირ თქვენკენ გამოვეშურე, მთელი გზა თავქუდმოგლეჯილი მოვრბოდიო.“ იგი გიჟს ჰგავდა და ვერხვის ფოთოლივით თრთოდაო, ჰყვებოდა ალიოშა. როცა ალიოშა მარია კონდრატიევნასთან ერთად ქოხში შესულა, სმერდიაკოვი კვლავ კედელზე ჩამოკიდებული დახვედრია. მაგიდაზე ბარათი უნახავთ: „საკუთარი ნებით ვიკლავ თავს, ბრალს ნურავის დასდებთ“. ალიოშას ბარათი იქვე დაუტოვებია და თავად პოლიციის უფროსთან გაქცეულა, მისთვის ყველაფერი მოუყოლია, „იქიდან კი პირდაპირ შენთან წამოვედიო“, დასძინა ალიოშამ, თან ივანს სახეში დაჟინებით შეაცქერდა. ალიოშა ამ ამბის თხრობის დროს ივანს თვალს არ აცილებდა, მას ძალიან აშფოთებდა მისი სახის გამომეტყველება.
- ძმაო, - უცებ იყვირა ალიოშამ, - შენ მგონი მართლა ავად ხარ! ისე მიყურებ, თითქოს არ გესმის, რას ვლაპარაკობ.
- კარგია, რომ მოხვედი, - თქვა ფიქრებში წასულმა ივანმა ისე, თითქოს არც

გაუგონია ალიოშას შეძახილი, - მე ვიცოდი, რომ თავი ჩამოიხრჩო.
- ვინ გითხრა?
- არ ვიცი, ვინ მითხრა. ვიცოდი კი. მე ვიცოდი? დიახ, მან მითხრა, სულ ახლახან მეუბნებოდა...
ივანი შუა ოთახში იდგა და კვლავ თავდახრილი და დაფიქრებული ლაპარაკობდა.
- ვინ მან? - ჰკითხა ალიოშამ და უნებურად ირგვლივ მიმოიხედა.
- გაპარულა.
ივანმა თავი ასწია და მშვიდად გაიღიმა.
- მას შენი შეეშინდა, მტრედო. შენ ხომ „სუფთა ქერუბინი“ ხარ. ასე არ გეძახის დმიტრი. ქერუბინი... აღტაცებული სერაფიმების ყურთწამღები გნიასი! ვინ არის სერაფიმი? შესაძლოა მთელი თანავარსკვლავედი. შეიძლება, ეს თანავარსკვლავედი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რაღაც ქიმიური მოლეკულაა... არსებობს ლომისა და მზის თანავარსკვლავედი, შენ ეს იცი?
- ძმაო, დაჯექი! - უთხრა შეშინებულმა ალიოშამ, - ჩამოჯექ, თუ ღმერთი გწამს, აგერ, დივანზე. შენ, მგონი, გაბოდებს, წამოწექი, თავი ბალიშზე დადე, აი ასე, გინდა პირსახოცს თავზე დაგადებ? იქნებ გეამოს?
- მომეცი პირსახოცი, წეღან იქ დავაგდე.
- აქ არ არის. ნუ ღელავ, ვიცი, სად დევს, აგერაა, - თქვა ალიოშამ მას შემდეგ, როცა ოთახის სხვა კუთხეში, ივანის ტუალეტის მაგიდასთან ნახა ჯერ კიდევ უხმარი, დაკეცილი პირსახოცი. ივანმა უცნაურად გადახედა პირსახოცს; თითქოს წამიერად მეხსიერება დაუბრუნდა.
- მოიცა, - წამოიწია იგი, - ახლახან, ერთი საათის წინ, სწორედ ეს პირსახოცი ავიღე იქიდან, დავასველე და თავზე მივიდე, შემდეგ, აი იქ მივაგდე... რატომ არის მშრალი? სხვა პირსახოცი მე არ მქონია.
- შენ ეს პირსახოცი გქონდა თავზე მიდებული? - ჰკითხა ალიოშამ.
- დიახ, ერთი საათის წინ ეგ მედო თავზე და ოთახში ბოლთას ვცემდი.... სანთლები ასე რატომ დაიწვა? რომელი საათია?
- თორმეტი ხდება.
- არა, არა და არა! - უცებ აყვირდა ივანი, - ეს სიზმარი არ ყოფილა! ის აქ იყო, აგერ იჯდა! აი, იმ დივანზე. როცა შენ ფანჯარაზე დააკაკუნე მე მას ჭიქა ვესროლე... აი ეს... მოიცა, მე ადრეც დამსიზმრებია, მაგრამ ახლა არ მძინებია, ეს სიზმარი არ იყო. ეს ადრეც მომხდარა. ალიოშა, ახლა მე ისეთ სიზმრებს ვნახულობ... ეს სიზმრები კი არა, ცხადია: დავდივარ, ვლაპარაკობ და ვხედავ... თან მძინავს. ის ნამდვილად აქ იყო, აგერ იჯდა, აი, ამ დივანზე... ის ძალიან ბრიყვია, ალიოშა, ძალიან ბრიყვი, - გადაიხარხარა ივანმა და ოთახში სიარულს შეუდგა.
- ვინ არის ბრიყვი? ვისზე ლაპარაკობ, ძმაო? - ისევ ჰკითხა შეწუხებულმა ალიოშამ.
- ეშმაკი! შემოჩვეული მყავს. უკვე ორჯერ იყო, არა, სამჯერ. დამცინის, თითქოს მასზე იმიტომ ვბრაზობ, რომ იგი უბრალო ეშმაკი მგონია და არა ბრწყინვალე, შერუჯულფრთებიანი სატანა, მეხის გრიალივით მოვლენილი ამ დედამიწაზე. იგი სატანა არ არის, ტყუის, ის თვითმარქვია, უბრალო ეშმაკუნაა, საზიზღარი ეშმაკი. აბანოში დაიარება. რომ გახადო, აუცილებლად უპოვი კუდს, დანიურ ძაღლს რომ აქვს, ისეთს, ერთი არშინის სიგრძის მურა კუდი... ალიოშა, შეციებული ჩანხარ, შენ ხომ თოვლში იარე, ჩაი გინდა? რა? ცივია? გინდა ვუბრძანებ, აადუღოს? ჩ’ ესტ ა’ ნე პას მეტტრე უნ ცჰიენ დეჰორს...
ალიოშა სასწრაფოდ მივარდა პირსაბანთან და პირსახოცი დაასველა. ივანი

დაითანხმა, კვლავ დამჯდარიყო და სველი პირსახოცი თავზე დაადო. თავად გვერდით მოუჯდა.
- ამას წინათ ლიზაზე რას მეუბნებოდი? - ისევ ივანმა დაიწყო (იგი უფრო და უფრო მოდიოდა ლაპარაკის ეშხზე), - მე მომწონს ლიზა. მაშინ მასზე რაღაც საზიზღრობა გითხარი, ვიცრუე, მე ის მომწონს... ყველაზე მეტად ხვალ კატიას მდგომარეობა მაშინებს... მომავლის გამო. ის ფიქრობს, თითქოს მე ვეჭვიანობ და მიტიას დაღუპვა მინდა! დიახ, იგი ასე ფიქრობს! მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! ხვალ იქნება გოლგოთა, მაგრამ სახრჩობელა არა. არა, მე თავს არ ჩამოვიხრჩობ. ალბათ ვერასოდეს შევძლებ თავის მოკვლას! ალბათ ჩემი უნამუსობის გამო? მხდალი ნამდვილად არ ვარ. სიცოცხლე მწყურია ძალიან. საიდან ვიცოდი, სმერდიაკოვმა თავი რომ ჩამოიხრჩო? ხო, ეს ამბავი იმან მითხრა...
- შენ დარწმუნებული ხარ, აქ რომ ვიღაც იჯდა? - ჰკითხა ალიოშამ,
- აი, იმ დივანზე, კუთხეში. შენ მას გააგდებდი. შენ ის ისედაც გააგდე: როგორც კი გამოჩნდი, გაქრა. ალიოშა, მე მიყვარს შენი სახე, იცოდი თუ არა, შენი სახე რომ მიყვარდა? ის კი - თავად მე ვარ, ალიოშა, თავად მე. ყველაფერი ის, რაც ჩემშია, უმსგავსო, საზიზღარი და ამაზრზენი! დიახ, მე „რომანტიკოსი“ ვარ, ეს მანაც შენიშნა... მაგრამ ეს ცილისწამებაა... ის ძალიან ბრიყვია და ამით სარგებლობს. ის თვალთმაქცი და ვირეშმაკაა, მან კარგად იცის, რას შეუძლია ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა. მაჯავრებს, თითქოს მე მისი მჯერა და ამიტომაც ვუსმენ. ბალღივით გამაბრიყვა. ისე კი მან ჩემს შესახებ ბევრი ისეთი რამ იცის, რასაც საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელ ხოლმე. ალიოშა, იცი რას გეტყვი, - ძალიან სერიოზულად და თითქმის კონფიდენციალურად დაუმატა მან, - მე ძალიან მინდა, რომ იგი ნამდვილად ის იყოს და არა მე!
- გატყობ, ძალიან გაგაწვალა, - თქვა ალიოშამ და თანაგრძნობით გადახედა ძმას.
- სისხლი გამიშრო! თანაც საკმაოდ მარჯვედ: „ნამუსი! რაა ნამუსი? მე თავად ვქმნი მას. მაშ, რატომ ვწვალობ? ჩვეულების გამო. შვიდი ათასი წლის განმავლობაში შეძენილი მსოფლიო ადამიანური ჩვეულების გამო. მაშ, მოდი, გადავეჩვიოთ და ღმერთები გავხდებითო“. ეს მან თქვა, ეს მისი სიტყვებია!
- შენი არა, შენი არა, ხომ? - თავშეუკავებლად იღრიალა ალიოშამ და ძმას პირდაპირ თვალებში შეხედა, - დაე, მისი იყოს, შეეშვი და დაივიწყე! დაე, მას გაჰყვეს ყველაფერი თან, რასაც შენ ახლა წყევლი, წავიდეს და ნუღარასოდეს მოვა!
- დიახ, მაგრამ ბოროტია. სულ დამცინოდა. ძალიან თავხედურად მექცეოდა, ალიოშა, - ამბობდა გაგულისებული ივანი, - ცილს მწამებდა, ბევრი რამ დამაბრალა, რა არ მომიგონა. „ზნეობრივი გმირობა გინდა ჩაიდინო, საქვეყნოდ გინდა გამოაცხადო, მამისმკვლელი რომ ხარ, შენი ჩაგონებით რომ მოკლა ლაქიამ მამაშენიო“...
- ძმაო, - შეაწყვეტინა ალიოშამ, - ნუ მიაქცევ ყურადღებას: შენ არ მოგიკლავს. ეს ტყუილია!
- ამას ის ამბობს, იმან კი იცის. „შენ სიკეთე გინდა ჩაიდინო, მაგრამ სიკეთის თავად არ გჯერა - ესაა, რომ გაცოფებს და გტანჯავს, ამიტომაც ხარ ასეთი შურისმაძიებელიო“. ამას ჩემზე ამბობს, მე მეუბნება, მან კი იცის, რასაც ამბობს.
- ამას შენ ამბობ, შენ, ის კი არა! - შესძახა დამწუხრებულმა ალიოშამ, - შენ ავად ხარ, გაბოდებს და თავს იწამებ!
- არა, მან იცის, რასაც ამბობს. შენო, მეუბნება, სიამაყის გამო მიხვალ

სასამართლოში, მიხვალ და განაცხადებ: „მე ვარ მკვლელი, ნუ შემომცქერით გაოგნებულები, თქვენ ტყუით! მიმიფურთხებია თქვენი აზრისათვის, მე მძულს თქვენი შიში“. ამას ჩემზე ამბობს. უცებ მომიბრუნდა და მეუბნება: „იცი, შენ ძალიან გინდა, რომ შეგაქოონ, თქვან: გინახავთ სადმე ასეთი ბოროტმოქმედი მკვლელი, რომელსაც ამნაირი დიდსულოვანი გრძნობები გააჩნია, ძმის გადასარჩენად მოვიდა და ყველაფერი აღიარაო!“ ეს კი ტყუილია, ალიოშა! - იყვირა უცებ ივანმა და თვალები აენთო, - მე არ მინდა ბრბოს ხოტბა-დიდება! მან იცრუა, ალიოშა, მოიტყუა, ყველაფერს გეფიცები! ჭიქა ვესროლე, ზედ სიფათზე მივამსხვრიე.
- კარგი, ძმაო, დამშვიდდი! - სთხოვდა ალიოშა.
- არა, მას წამება უყვარს, სასტიკი არსებაა, - არ უსმენდა და ისევ თავისას აგრძელებდა ივანი, - მე ყოველთვის წინასწარ ვგრძნობდი, რისთვის მოდიოდა. მეუბნება: „მართალია, შენ სიამაყის გამო მიეშურებოდი იქ, მაგრამ იმის იმედიც ხომ გქონდა, რომ სმერდიაკოვს ამხილებდნენ და კატორღაში გაამწესებდნენ, მიტიას გაამართლებდნენ, შენ კი მარტოოდენ ზნეობრივად გაგკიცხავდნენ (ამ დროს ის იცინოდა), ზოგიერთები შეგაქებდნენ კიდეცო. მაგრამ ახლა რა, სმერდიაკოვი მოკვდა, თავი ჩამოიხრჩო - ამიერიდან შენ აღარავინ დაგიჯერებს! შენ კი მაინც მიდიხარ, აუცილებლად წახვალ, გადაწყვეტილება მიღებული გაქვს და წახვალ. რატომ მიდიხარ?“ საშინელებაა, ალიოშა, მე ასეთ კითხვებს ვერ ავიტან. ვინ გამიბედავს ასეთი კითხვების დასმას?
- ძმაო, - შეაწყვეტინა შიშისგან შეწუხებულმა ალიოშამ, რომელსაც კიდევ ჰქონდა იმედი, გონზე მოიყვანდა ივანს, - როგორ შეეძლო მას შენთვის ეთქვა რამე სმერდიაკოვის სიკვდილის შესახებ ჩემს მოსვლამდე, მაშინ, როცა ჯერ არავინ იცოდა ეს ამბავი და არც იმის დრო იყო, ვინმეს რამე გაეგო.
- მან თქვა, - დაბეჯითებით განაცხადა ივანმა ისე, რომ ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი თავის ნათქვამში, - რომ იცოდე, ის მხოლოდ ამის შესახებ ლაპარაკობდა. „კარგი იქნებოდა, რომ შენ სათნოების გჯეროდეს: რომც არ დამიჯერონ, პრინციპის გულისათვის მაინც წავალო. მაგრამ შენ ხომ მამაშენივით გოჭუნა ხარ, რა არის შენთვის სათნოება? რისთვის უნდა მიეთრიო იქ, თუ შენი მსხვერპლი არავითარ შედეგს არ მოიტანს? საქმეც ისაა, რომ შენ თავად არ იცი, რისთვის მიდიხარ! შენ ბევრ რამეს გაიღებდი, რომ გცოდნოდა, რისთვის მიდიხარ! შენ გგონია, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული გაქვს? შენ ჯერ არაფერი გადაგიწყვეტია. დღეს მთელი ღამე იჯდები და იმკითხავებ: წახვიდე, თუ არ წახვიდე? მაგრამ შენ მაინც წახვალ, თავადაც იცი, რომ წახვალ, როგორადაც არ უნდა იყოყმანო, გადაწყვეტილების მიღება შენზე არ არის დამოკიდებული. წახვალ, რადგან ვერ გაბედავ, არ წახვიდე. რატომ ვერ გაბედავ, - ეს თავად გამოიცანი, ესეც შენი გამოცანაო!“ ადგა და წავიდა. როგორც კი მოხველ, ის წავიდა. მხდალი მიწოდა, ალიოშა! Le mot de l'enigme[142], ჩემი სიმხდალე ყოფილა. „შენნაირი არწივები ზეცაში ვერ იფრენენო!“ დაუმატა მან, დიახ, ეს მან დაუმატა! სმერდიაკოვიც ამას ამბობდა. ის უნდა მოკვდეს! კატიას ვეჯავრები, უკვე ერთი თვეა, ამას ვგრძნობ, ამის შემდეგ ლიზასაც შევძულდები! „იმიტომ მიდიხარ, რომ შეგაქონო“, - ეს საზიზღარი სიცრუეა! შენც გეჯავრები, ალიოშა. ახლა მე შენ კვლავ შეგიძულებ. ის მხეციც მეჯავრება, ის მხეციც. არ მინდა იმ მხეცის გადარჩენა, დაე, ამოლპეს კატორღაში! ჰიმნს მღერის! ხვალ მივალ, წარვდგები მათ წინაშე და პირდაპირ სახეში მივაფურთხებ.

ივანი გიჟივით წამოხტა, თავიდან პირსახოცი მოიძრო და კვლავ ოთახში დაიწყო
წრიალი. ალიოშას ივანის ამასწინანდელი სიტყვები გაახსენდა: „თითქოს ცხადში
მძინავს... დავდივარ, ვლაპარაკობ, ვხედავ, თან მძინავსო.“ ახლა ზუსტად იგივე
მეორდებოდა. ალიოშა ივანს არ შორდებოდა. ერთი პირობა, თავში აზრმა
გაუელვა, გავარდნილიყო და ექიმი მოეყვანა, მაგრამ ივანის მარტო დატოვების
შეეშინდა. მასთან დამრჩენი არავინ ჩანდა. ივანი თანდათან კარგავდა
მეხსიერებას. გაუთავებლად ლაპარაკობდა, მაგრამ უკვე არეულ-დარეულად.
სიტყვებს გარკვევით ვეღარ ამბობდა. უცებ ძალიან შებარბაცდა, მაგრამ ალიოშამ
ხელი შეაშველა და დაიჭირა. ივანმა ალიოშას საშუალება მისცა, საწოლამდე
მიეყვანა. ალიოშამ რის ვაივაგლახით გახადა და დააწვინა. თვითონ ორი საათი
თავთან ეჯდა. ავადმყოფს ღრმად და გაუნძრევლად ეძინა, თანაბრად და წყნარად
სუნთქავდა. ალიოშამ ბალიში აიღო და იქვე გაუხდელად მიწვა დივანზე.
ჩაძინებამდე ღმერთს ივანი და მიტია შეავედრა. მისთვის ივანის ავადმყოფობის
მიზეზი გასაგები ხდებოდა: „ამაყი გადაწყვეტილებისაგან ტანჯვა და სინდისის
ქენჯნა!“ ღმერთი, რომელიც ივანს არ სწამდა, თავისი სიმართლით მის გულსა და
სულს დაუფლებოდა, ის კი არ ემორჩილებოდა. „დიახ, - გაუელვა დივანზე
მწოლიარე ალიოშას, - დიახ, თუ სმერდიაკოვი მოკვდა, მაშინ ივანის ჩვენებას
აღარავინ დაიჯერებს; მაგრამ ის მივა და იტყვის! - ალიოშას ჩაეღიმა, - ღმერთი
გაიმარჯვებს! ან აღდგება სიმართლის ნათელში, ან... დაიღუპება სიძულვილში,
შურს იძიებს საკუთარ თავზე და ყველაზე იმის გამო, რომ ემსახურა იმას, რისი
რწმენაც არ ჰქონდა“, - მწარედ დასძინა ალიოშამ და კვლავ ღმერთს შეავედრა
ივანი.

წიგნი მეთორმეტე. სასამართლო შეცდომა

I საბედისწერო დღე

ჩემ მიერ აღწერილი ამბის შემდეგ, მეორე დღეს, დილის ათ საათზე გაიხსნა ჩვენი საოლქო სასამართლოს სხდომა და დაიწყო დმიტრი კარამაზოვის გასამართლება.
წინასწარ მოგახსენებთ: დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ვერ შევძლებ სრულყოფილად და თანმიმდევრულად გადმოგცეთ ყოველივე ის, რაც სასამართლოზე მოხდა. ჩემი აზრით, ყველაფერი რომ გავიხსენო და ყოველივე ჯეროვნად განვმარტო, მაშინ ამას ერთი წიგნიც არ ეყოფა, შეიძლება ძალიან დიდი წიგნიც. ამიტომ ნუ მიწყენთ, თუ მარტო იმას გადმოგცემთ, რამაც მე შემაძრწუნა და რაც განსაკუთრებით დამამახსოვრდა. შესაძლებელია, მაშინ მეორეხარისხოვანი საკითხი მთავარ საკითხად მომეჩვენა, შეიძლება გამომრჩეს ყველაზე მკვეთრად გამოხატული, აუცილებელი ნიუანსები... თუმცა აჯობებს, ბოდიშის მოხდას შევეშვა და გადმოგცეთ ისე, როგორც მოვახერხებ, მკითხველი კი თავად მიხვდება, რომ მე, რაც შემეძლო, ის გავაკეთე.
უპირველეს ყოვლისა, ვიდრე სასამართლოს დარბაზში შევალთ, გავიხსენებ იმას, რამაც იმ დღეს განსაკუთრებით გამაოცა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, თურმე ამ ამბავს სხვა ბევრიც გაუოცებია. სახელდობრ, რა იყო გასაოცარი: ყველამ იცოდა, რომ ამ საქმემ ძალიან ბევრი დააინტერესა, ხალხი მოუთმენლად ელოდა, როდის დაიწყებოდა პროცესი. ჩვენს საზოგადოებაში ორი თვის განმავლობაში ამ თემის გარშემო აღელვებულები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ და ნაირ-ნაირ ვარაუდს გამოთქვამდნენ. აგრეთვე, ყველამ იცოდა, ეს საქმე რომ მთელ რუსეთში გახმაურდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინათ, თუ იგი ასე ფართოდ და ასე გამაღიზიანებლად შეძრავდა ყველას და ყველაფერს, არა მარტო ჩვენთან, არამედ საყოველთაოდ, მთელ რუსეთში - ეს კი იმ სასამართლოზე წარმოჩნდა. იმ დღეს ჩვენს ქალაქს სტუმრები ეწვივნენ არა მარტო ჩვენი გუბერნიიდან, არამედ რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან, მოსკოვიდან და პეტერბურგიდანაც კი ჩამოვიდნენ იურისტები, მრავალი წარჩინებული წრის წარმომადგენელი - ქალბატონები და ბატონები. ყველა ბილეთი სასწრაფოდ გასაღდა. განსაკუთრებულად პატივსაცემი და დარბაისელი მამრობითი სქესის გვამთათვის იმ მაგიდის უკან, რომელსაც სასამართლოს წევრები ესხდნენ, გამოყოფილი იყო განსაკუთრებული ადგილები. იქ მათთვის რბილი სავარძლები იდგა. ასეთი რამ ადრე ჩვენთან არასოდეს მომხდარა. დარბაზში ძალიან ბევრი ქალი იჯდა, როგორც ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ისე ჩამოსული. ისინი პუბლიკის ნახევარს მაინც შეადგენდნენ. ყოველმხრიდან ჩამოსული იურისტების რაოდენობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, აღარ იცოდნენ, ვინ სად მოეთავსებინათ, რადგან უკვე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. მე თავად ვნახე დარბაზის ბოლოში, ესტრადის უკან, დროებით, სახელდახელოდ, როგორ მოაწყვეს განსაკუთრებულად გადატიხრული ადგილი, სადაც შეუშვეს ყველა ჩამოსული იურისტი. მათ ბედნიერად მიაჩნდათ თავი, ფეხზე დასადგომი ადგილი რომ მაინც იშოვეს, რადგან ამ გამოყოფილი ადგილიდან სკამები გაიტანეს, ფეხზე დგომით

გაცილებით მეტი რომ დატეულიყო. იქ თავმოყრილი ბრბო სასამართლო პროცესის მანძილზე ერთმანეთს მიხუტებული იდგა. ზოგიერთი მანდილოსანი სასამართლოზე ერთობ გადაპრანჭული მობრძანდა, მაგრამ ქალების უმეტესობას არავითარი მოკაზმულობა არ ეკეთა. მათ სახეებზე შეგეძლოთ ამოგეკითხათ ისტერიული, ხარბი და ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა. უეჭველად ხაზგასასმელია ისიც, რომ აქ თავმოყრილი საზოგადოების თითქმის ყველა ქალი, ან მათი უმრავლესობა მიტიას ქომაგობდა, მისი გამართლება უნდოდა. ალბათ ამის მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოება მიტიას იცნობდა, როგორც ქალების დიდ მოტრფიალეს. ისიც იცოდნენ, პროცესს ორი მეტოქე ქალი რომ დაესწრებოდა. ერთი მათგანი, კატერინა ივანოვნა, ყველას აინტერესებდა; მიტიასა და მისი სიყვარულის შესახებ უამრავ საოცარ და არაჩვეულებრივ ამბავს ყვებოდნენ, განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს კატერინას ამბიციურობასა (ის ჩვენს ქალაქში ცხოვრების პერიოდში არავისთან ყოფილა სტუმრად) და მის „არისტოკრატიულ კავშირებს“. ამბობდნენ: იგი აპირებს მთავრობას თხოვნა გაუგზავნოს, რათა ნება დართონ, დამნაშავეს კატორღაში გაჰყვეს და ჯვარი დაიწეროს მასზე სადმე მიწისქვეშა მაღაროშიო. არანაკლები მღელვარებით ელოდებოდნენ სასამართლოზე კატერინას მეტოქის, გრუშენკას გამოჩენას. ერთი სული ჰქონდათ, სასამართლოს წინაშე როდის შეხვდებოდა ეს ორი მეტოქე ერთმანეთს - არისტოკრატი ამაყი ქალიშვილი და ჰეტერა. კატერინასაგან განსხვავებით, გრუშენკას ყველა ქალი იცნობდა. ადრეც ჰყავდათ ნანახი „ფიოდორ პავლოვიჩისა და მისი უბედური ვაჟის დამღუპველი“ და თითქმის ყველას უკვირდა, როგორ შეუყვარდა ასე ძალიან მამა-შვილს „ამისთანა ჩვეულებრივი, თითქმის ულამაზო, რუსი მეშჩანინის ქალი.“ ერთი სიტყვით, დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ჩემთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ჩვენი ქალაქის რამდენიმე ოჯახში სერიოზული შეხლა-შემოხლა გაიმართა ამ ნიადაგზე. ბევრი ქალი ქმარს, ამ საშინელ საქმესთან დაკავშირებით, სასტიკად წაეჩხუბა. ბუნებრივია, ამის შემდეგ ყველა განაწყენებული ქმარი სასამართლოს დარბაზში მოვიდა განსასჯელის მიმართ არათუ არაკეთილგანწყობილი, არამედ გაბოროტებულიც კი. საერთოდ, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ, ქალებისაგან განსხვავებით, მამაკაცების უმრავლესობა განსასჯელის წინააღმდეგ იყო განწყობილი. დარბაზში კაცების უმეტესობა მკაცრი, კოპებშეკრული სახეებით იჯდა, მათ შორის ზოგიერთს აშკარად გაბოროტებული გამომეტყველება ჰქონდა. ისიც მართალია, მიტიამ ჩვენს ქალაქში ცხოვრების მანძილზე მოახერხა, პირადი შეურაცხყოფა მიეყენებინა ბევრი მათგანისათვის. რასაკვირველია, დამწრეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მიტიას ბედ-იღბალი ფეხებზე ეკიდათ, მაგრამ განსახილველი საქმის მიმართ გულგრილი მაინც არავინ ყოფილა, ყველა მოუთმენლად ელოდა, როგორ დასრულდებოდა პროცესი. მამაკაცების უმრავლესობას ძალიან სურდა, დამნაშავეს ღირსეული სასჯელი მიეღო. ამას ვერ ვიტყვი იურისტებზე, რადგან მათთვის მთავარი იყო საქმის არა ზნეობრივი მხარე, არამედ თანამედროვე იურიდიული ასპექტები. ყველა მოუთმენლად ელოდა სახელოვანი ფეტიუკოვიჩის გამოსვლას. იგი საქვეყნოდ აღიარებული ვექილი გახლდათ და ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა ის პროვინციაში ჩადიოდა გახმაურებული სისხლის სამართლის დამნაშავის დასაცავად. მის მიერ მოგებული საქმეების ამბავი მთელ რუსეთს მოედებოდა ხოლმე და ხალხის მეხსიერებაში დიდხანს რჩებოდა. ქალაქში ჩვენი

პროკურორისა და სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ რამდენიმე ანეკდოტი დადიოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ პროკურორს ძალიან ეშინოდა ფეტიუკოვიჩთან პაექრობისა. თურმე მათ, ჯერ კიდევ პეტერბურგიდან, თავიანთი კარიერის დასაწყისიდან მოყოლებული, მტრობა აკავშირებდათ. ჩვენი თავმოყვარე იპოლიტ კირილოვიჩი თავს განაწყენებულად თვლიდა, რადგან პეტერბურგში სათანადოდ ვერ შეაფასეს მისი ტალანტი. ახლა კი კარამაზოვის საქმის ხელში ჩაგდებით, სულიერად გამხნევდა და ოცნებობდა, ძველ სარბიელზე სახელი აღედგინა, მხოლოდ ეს იყო, ფეტიუკოვიჩის ეშინოდა. მაგრამ ეს ხმები სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ჩვენი პროკურორი ის კაცი არ იყო, რომელიც საშიშროების წინაშე სულიერად ეცემა ხოლმე. პირიქით, ისეთ პირთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა თავმოყვარეობა უფრო მატულობს და ფრთებს ისხამს, რაც უფრო მეტი საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან. ისიც უნდა ითქვას, ჩვენი პროკურორი ნამეტანი ფიცხი და ავადმყოფურად მგრძნობიარე პიროვნება ბრძანდებოდა. ზოგიერთ საქმეში მთელი გულითა და სულით ისე ჩაეფლობოდა, ისე მიჰყავდა საქმე, გეგონებოდა ამ საქმეზე იყო დამოკიდებული მისი მომავალი ბედ-იღბალი და ავლადიდება. ამის გამო იურისტების წრეებში დასცინოდნენ, რადგან პროკურორმა ასეთი ხასიათის გამოისობით გაითქვა სახელი, საყოველთაოდ თუ არა, ცოტა იმაზე მეტად მაინც, ვიდრე მის თანამდებობას შეეფერებოდა ჩვენს სასამართლოში. იურისტებს განსაკუთრებით ამხიარულებდათ მისი გატაცება ფსიქოლოგიით. ჩემი აზრით კი, ყველა ცდებოდა: პროკურორი, როგორც კაცი და ინდივიდი, სერიოზული პიროვნება იყო. მაგრამ თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდან ამ ავადმყოფურად თავმოყვარე ადამიანმა ვერა და ვერ შეძლო სათანადოდ თავის გამოჩენა.

რაც შეეხება ჩვენი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი განათლებული, ჰუმანური, თავისი საქმის მცოდნე და თანამედროვე იდეების მქონე ადამიანი გახლდათ. თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, თუმცა კარიერაზე ფიქრით თავს არ იწუხებდა. ცხოვრების მთავარ მიზნად მოწინავე ადამიანად ყოფნა მიაჩნდა. ამასთან ერთად, გავლენიანი ნაცნობების ფართო წრე და საკმაო ქონებაც გააჩნდა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, იგი კარამაზოვების საქმეს დიდი ინტერესით უყურებდა, მაგრამ ზოგად ასპექტებში. მას ეს საქმე აინტერესებდა, როგორც მოვლენა, მისი კლასიფიკაცია, როგორც ჩვენი სოციალური საფუძვლების პროდუქტი და რუსული ელემენტის მახასიათებელი, და ა.შ. და ა.შ. მომხდარი ფაქტის ტრაგიკულობას და მასში მონაწილე პიროვნებების ბედს საკმაოდ გულგრილად და განყენებულად უდგებოდა, თუმცა ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო.

სასამართლოს წევრების გამოჩენამდე ხალხით გაივსო დარბაზი, რომელიც ქალაქის ერთადერთი საუკეთესო, ფართო, მაღალჭერიანი და კარგი აკუსტიკის მქონე ნაგებობა იყო. სასამართლოს წევრების მაგიდის გვერდით, მარჯვენა მხარეს, ოდნავ შემაღლებულ ადგილას ნაფიც მსაჯულთათვის მაგიდა და ორ რიგად განლაგებული სავარძლები იდგა. მარცხნივ გამოყოფილ ადგილას განსასჯელი და მისი დაცვა უნდა დამსხდარიყვნენ. დარბაზის შუაგულში, სასამართლოს წევრების ახლოს მდგარ მაგიდაზე „ნივთიერი მტკიცებები“ ელაგა: ფიოდორ პავლოვიჩის გასისხლიანებული თეთრი ხალათი; საბედისწერო სპილენძის ფილთაქვა, სავარაუდოდ, რითაც ჩადენილი იქნა მკვლელობა; მიტიას პერანგი გასისხლიანებული სახელოებით; ჯიბესთან სისხლის ლაქებით

მოთხვრილი სერთუკი - იმ ჯიბეში მაშინ მიტიამ სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ჩაიტენა; გამხმარი სისხლით გახეხეშებული და უკვე გაყვითლებული ცხვირსახოცი; მიტიას თავის მოსაკლავად დატენილი პისტოლეტი, რომელიც პერხოტინთან ჰქონდა დაგირავებული და რომელიც მოკროეში ტრიფონ ბორისოვიჩმა ჯიბიდან უჩუმრად ამოაცალა; კონვერტი, რომელშიაც გრუშენკას სახელზე სამი ათასი იდო; კონვერტის შესაკვრელი წითელი ბაფთა და უამრავი ბევრი სხვა ნივთი, რაც აღარ მახსენდება. ცოტა მოშორებით, დარბაზის სიღრმეში, დამსწრე საზოგადოებისათვის განკუთვნილი ადგილები იწყებოდა. ბალუსტრადის წინ რამდენიმე სავარძელი იდგა იმ მოწმეებისათვის, რომელთათვისაც ჩვენების მიცემის შემდეგ დარბაზში დარჩენა სავალდებულო იყო. ათ საათზე დარბაზში სასამართლოს წევრები შემოვიდნენ: თავმჯდომარე, ერთი წევრი და ერთიც საპატიო მომრიგებელი მოსამართლე. რასაკვირველია, პროკურორიც მაშინვე გამოჩნდა. ასე, ორმოცდაათ წელს მიღწეული, საშუალო ტანის, სასამართლოს თავმჯდომარე, აგებულებით ერთი ჯმუხი და ჩაფსკვნილი კაცი იყო, სახეზე ისეთი ფერი ედო, ეტყობოდა, ბუასილი აწუხებდა, მოკლედ შეკრეჭილი მუქი ფერის ჭაღაშერეული თმა ჰქონდა და მკერდზე წითელი ბაფთა ეკეთა, არ მახსოვს, რომელი ორდენის. პროკურორი გაფითრებული მომეჩვენა, მწვანე ფერი გადაჰკრავდა, თუმცა მარტო მე არ მომჩვენებია ასე, სხვებმაც აღნიშნეს. რატომღაც ამ ერთ ღამეში ძალიან შეფერთხილიყო, თორემ ამ სამი დღის წინ ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. პირველი კითხვა თავმჯდომარემ სასამართლოს ბოქაულს დაუსვა: ყველა ნაფიცი მსაჯული გამოცხადდა თუ არა?.. როგორც ვხედავ, ასე გაგრძელება არ ღირს, ვინაიდან, ჯერ ერთი, სასამართლოზე ბევრი რამ ვერ გავიგონე; მეორე, ზოგიერთ საკითხს ბოლომდე არ ჩავწვდი; მესამე, ზოგი რამ გადამავიწყდა. რაც მთავარია, ყველაფერი რომც გავიხსენო, რაც იქ ითქვა და მოხდა, მაშინ არც დრო მეყოფა და აღარც ადგილი. ერთი რამ ვიცი, დაცვამ და პროკურორმა ნაფიცი მსაჯულების კანდიდატურებიდან არც თუ ბევრს მისცეს აცილება. კარგად მახსოვს, ნაფიცი მსაჯულების გუნდი თორმეტი კაცისგან შედგებოდა - ოთხი ჩვენებური ჩინოვნიკი, ორი ვაჭარი, ექვსი ჩვენი ქალაქელი გლეხი და მეშჩანინი. მახსოვს, ჩვენს საზოგადოებაში, ჯერ კიდევ სასამართლომდე, გაკვირვებულები კითხულობდნენ, განსაკუთრებით ქალები: „ნუთუ ასე ფაქიზი, რთული და ფსიქოლოგიური საქმე ვიღაც ჩინოვნიკებსა და გლეხუჭებს უნდა ანდონ, რას გაუგებენ ისინი ამ საქმეს?“ ისე კი, მართლაც, მსაჯულებად არჩეული ეს ოთხი ჩინოვნიკი ღარიბ-ღატაკი, დაბალი ჩინის ჭაღარა მოხელეები იყვნენ (მხოლოდ ერთი მათგანი იყო შედარებით ახალგაზრდა). ისინი ჩვენი საზოგადოებისათვის ნაკლებად იყვნენ ცნობილნი. მცირეხელფასიანები, ბებერი და შეუხედავი ცოლებისა და შიშველ-ტიტველი შვილების პატრონები, შესაძლოა, ხანდახან თავისუფალ დროს ბანქოს თამაშში თუ ატარებენ ხოლმე და, რასაკვირველია, არასოდეს ერთი წიგნიც არ ჰქონდათ წაკითხული. ორი ვაჭარი, თუმცა დარბაისლური შეხედულება ჰქონდათ, უცნაურად სიტყვაძუნწი და ზანტი ჩანდა; ერთი გერმანულ ყაიდაზე ჩაცმული და წვერგაპარსული გახლდათ; მეორეს, ჭაღარაწვერებიანს, მკერდზე წითელი ბაფთით რაღაც მედალი ეკიდა. მეშჩანინებზე და გლეხებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენი მენახირე მეშჩანინები თითქმის იგივე გლეხები არიან, „გუთნისდედობასაც“ კი ეწევიან. ორ მათგანს გერმანული ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ისეთი ჭუჭყიანი და შეუხედავი, რომ დანარჩენი ოთხისაგან ამით გამოარჩევდით. ასე რომ, მათ

შემყურე კაცს მართლაც შეიძლებოდა გაგჩენოდა აზრი: „ამნაირებმა ასეთ საქმეს რა უნდა გაუგონო?“ მიუხედავად ამისა, მათი მკაცრი და პირქუში სახეები უცნაურად სასტიკ შთაბეჭდილებას ახდენდა.
როგორც იქნა, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გადამდგარი მრჩევლის, ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვის მკვლელობის შესახებ საქმის მოსმენა დაიწყო. სასამართლოს ბოქაულს განსასჯელის შემოყვანა უბრძანეს და აი, დარბაზში მიტიაც გამოჩნდა. ხალხი გაისუსა, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. არ ვიცი, სხვამ რა გაიფიქრა, მაგრამ ჩემზე მიტიას გამომეტყველებამ უსიამოო შთაბეჭდილება დატოვა. რაც მთავარია, იგი პროცესზე ნამდვილი ფრანტივით გამოპრანჭული მოვიდა, ტანთ ემოსა ახალთახალი პეჩიანი სერთუკი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მან თურმე ეს სერთუკი საგანგებოდ შეუკვეთა თავის მოსკოველ თერძს, რომელსაც მისი ზომები კიდევ შერჩენოდა. სერთუკის ქვეშ გაქათქათებული თეთრეული უჩანდა, ხელებზე კი თეთრი ლაიკის ხელთათმანები ეცვა. მისთვის ჩვეული გრძელ-გრძელი ნაბიჯებით, სარგადაყლაპულივით, მხოლოდ წინ იყურებოდა, ისე გაიარა დარბაზი და შეუდრეკელი გამომეტყველებით დაჯდა თავის ადგილას. მას თან შემოჰყვა დამცველი, სახელგანთქმული ფეტიუკოვიჩი. ამან დარბაზში დიდი მითქმა-მოთქმა და ჩურჩულ-კურკური გამოიწვია. ეს იყო მაღალ-მაღალი და ხმელ-ხმელი მამაკაცი, გრძელი და წვრილი ფეხებით, მეტისმეტად ჩამოქნილი, ფერმკრთალი თითებით, წვერგაპარსული და უბრალოდ გადავარცხნილი მოკლე თმით. ხანდახან ტუჩები ისე მოექცეოდა ხოლმე, ვერ გაიგებდი, ვინმეს უღიმოდა თუ დასცინოდა. შესახედავად ორმოცი წლის იქნებოდა. სახე სანდომიანი ექნებოდა, რომ არა პატარა და არაფრისმთქმელი თვალები, რომლებიც ერთმანეთთან ისე ახლოს ჰქონდა, რომ მათ მხოლოდ ნატიფი, ოდნავ მოგრძო ცხვირის თხელი ძვალი ჰყოფდა. ერთი სიტყვით, ეს ფიზიონომია მკვეთრად ჩამოჰგავდა რაღაც ფრინველს, რაც გაოცებას იწვევდა. ის ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხში იყო გამოწყობილი. მახსოვს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მიტიას პირველი დაკითხვა, როცა მან მიტიას ვინაობა, წოდება და მისთანები ჰკითხა. მიტიამ ისე უხეშად, მოულოდნელად ხმამაღლა უპასუხა, რომ თავმჯდომარემ თავი აიქნია და გაკვირვებულმა გადახედა. შემდეგ იმ პირთა სია წაიკითხეს, რომლებიც დასაკითხად იყვნენ მოწვეულნი - მოწმეები და ექსპერტები. სია საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ოთხი მოწმე არ გამოცხადდა: მიუსოვი, რომელიც იმჟამად პარიზში იმყოფებოდა და რომლის ჩვენებაც წინასწარი გამოძიების დროს ჰქონდათ აღებული; ქალბატონი ხოხლაკოვა და მემამულე მაქსიმოვი ავადმყოფობის გამოისობით; სმერდიაკოვი მოულოდნელი გარდაცვალების გამო, ამის შესახებ პოლიციამ ცნობა წარმოადგინა. ცნობამ სმერდიაკოვის თვითმკვლელობის შესახებ დარბაზში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რასაკვირველია, დამსწრე საზოგადოებიდან ყველამ არ იცოდა ეს ამბავი. ყველაზე განსაცვიფრებელი მიტიას მოულოდნელი გამოხდომა იყო: როგორც კი სმერდიაკოვის სიკვდილის ამბავი გამოცხადდა, მიტია ადგილიდან წამოხტა და იღრიალა:
- ძაღლი ძაღლურად ჩაძაღლდა!
მახსოვს, მასთან დამცველი მივარდა, ხოლო თავმჯდომარემ კი მუქარით მიმართა, რომ მკაცრ ზომებს მიიღებდა, თუ კიდევ განმეორდებოდა მსგავსი რამ. მიტიამ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თავის ქნევით, თუმცა სულაც არ ნანობდა თავის საქციელს, რამდეჯერმე გაუმეორა ვექილს:

- მეტს აღარ ვიზამ, აღარ! წამომცდა! მეტს აღარ ვიზამ!
რასაკვირველია, ეს მოკლე ეპიზოდი, ნაფიც მსაჯულთა და პუბლიკის აზრით, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო განსასჯელის სასარგებლოდ: ამით გამჟღავნდა მისი ხასიათი, რითაც საკუთარი თავი თავად წარადგინა. დარბაზი ამ შთაბეჭდილებების ქვეშ იყო, როცა მდივანმა საბრალდებო დასკვნა წაიკითხა.
იგი საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა, მაგრამ დაწვრილებითი. ჩამონათვალი მოიცავდა მთავარ მიზეზებს, რის გამოც ბრალი ედებოდა მავანს და რის გამოც ეს საქმე უნდა გადასცემოდა სასამართლოს და ა.შ. მიუხედავად ამისა, ამ აქტმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მდივანმა აქტი გარკვევით, ხმამაღლა და მკაფიოდ ჩაიკითხა. მთელი ეს საბედისწერო ტრაგედია, ყოველი თავისი წვრილმანით, ყველას თვალწინ გადაეშალა. მაგონდება, როცა ბრალდების წაყენების შემდეგ თავმჯდომარემ მიტიას ხმამაღლა და დაბეჯითებით ჰკითხა:
- განსასჯელო, აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ?
უცებ მიტია წამოდგა:
- თავი დამნაშავედ მიმაჩნია, რომ ვლოთობდი და ვმრუშობდი, - მოულოდნელად რაღაცნაირად იყვირა მან, თითქმის შეშლილი ხმით, - ვუსაქმურობდი და დებოშებს ვაწყობდი. სწორედ იმ მომენტში, როცა გადავწყვიტე პატიოსანი კაცი გავმხდარიყავი, ბედმა მიმუხთლა. მაგრამ იმ მოხუცის, ჩემი მამისა და მტრის სიკვდილში ბრალი არ მიმიძღვის! არც ქურდობაში ვარ დამნაშავე, არა და არა! დმიტრი კარამაზოვი შეიძლება არამზადა იყოს, მაგრამ ქურდი არა!
მიტიამ დაამთავრა და აკანკალებული დაჯდა. თავმჯდომარემ, ისევ დამრიგებლური ტონით, მოკლედ მოუჭრა, რომ უპასუხოს მხოლოდ კითხვებს და თავი დაანებოს საქმესთან კავშირის არმქონე გაშმაგებულ შეძახილებს. შემდეგ ბრძანა: ახლა შევუდგეთ სასამართლო გამოძიებას! დასაფიცებლად შემოიყვანეს მოწმეები. მაშინ ვნახე ისინი, ყველა ერთად. აღსანიშნავია, რომ განსასჯელის ძმებს არ დააფიცებინეს, მათ ჩვენების მიცემა ფიცის გარეშეც შეეძლოთ. მღვდლისა და თავმჯდომარის შეგონების შემდეგ მოწმეები გაიყვანეს და, შესაძლებლობის მიხედვით, სხვადასხვა ადგილას დასვეს. შემდეგ დაიწყო მათი ცალ-ცალკე გამოძახება.

II საშიში მოწმეები

არ ვიცი, იყვნენ თუ არა პროკურორისა და დაცვის მოწმეები თავმჯდომარის მიერ რამენაირ ჯგუფებად დაყოფილი, ან რანაირი თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო მათი გამოძახება. ალბათ ასეთი რამ წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული. მხოლოდ ის ვიცი, პირველად პროკურორის მოწმეების დაკითხვა დაიწყო. ვიმეორებ, სულ არ ვაპირებ, ყველა დაკითხვა თავიდან ბოლომდე აღვწერო. ასეთი აღწერა ზედმეტი იქნებოდა, ვინაიდან პროკურორმა და დაცვამ მოწმეთა მიერ ადრე მიცემული და სასამართლოზე წარმოთქმული ყველა ჩვენება თავთავიანთ სასარგებლოდ გააშუქეს. ეს ორი შესანიშნავი გამოსვლა კი მე ნაწილობრივ ჩაწერილი მაქვს და თავის დროზე მოგახსენებთ ისევე, როგორც პროცესის ერთ განსაკუთრებულ და სრულიად მოულოდნელ ეპიზოდს, რომელსაც ადგილი ჰქონდა კამათის დაწყებამდე და რომელმაც, უცილობლად,

დიდი გავლენა მოახდინა სასამართლოს მიერ გამოტანილ სასტიკ და საბედისწერო განაჩენზე. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, ეს ყველამ თავიდანვე შეამჩნია: სასამართლომ პირველი წუთებიდანვე ნათლად გამოკვეთა ამ „საქმის“ რაღაცნაირი განსაკუთრებულობა, სახელდობრ ის, რომ ბრალდება გაცილებით არგუმენტირებული იყო, ვიდრე დაცვა. ეს მაშინვე გამოჩნდა, რა წამსაც ამ საშინელი სასამართლოს დარბაზში დაიწყო ფაქტების გამომზეურება და დაჯგუფება. თავიდანვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს საქმე სულაც არ არის სადავო და რომ კამათი ფორმალურ სახეს მიიღებს, ვინაიდან ბოროტმოქმედი დამნაშავეა, აშკარადაა დამნაშავე - ამას წყალი არ გაუვა! მე იმასაც ვფიქრობ, რომ ყველა ის ქალიც კი, რომელსაც მოუთმენლად სურდა განსასჯელის გამართლება, სრულიად დარწმუნებული იყო მიტიას დამნაშავეობაში. მე ისიც მგონია, მათ ალბათ გულიც კი დასწყდებოდათ, მიტიას დანაშაული რომ არ დამტკიცებულიყო, რადგან მაშინ ეფექტი არ ექნებოდა დასასრულს, როცა ბოროტმოქმედს გაამართლებდნენ. მიტიას რომ გაამართლებდნენ, ეს რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ყველა ქალს უკანასკნელ წუთებამდე სჯეროდა: „დამნაშავეა, მაგრამ გაამართლებენ ჰუმანურობის, ახალი იდეების, ახალი გრძნობების გამო, რომლებიც ახლა მოდაშიაო“. ისინი ამისთვის მოისწრაფოდნენ აქეთ ასე მოუთმენლად. მამაკაცებს უფრო აინტერესებდათ პროკურორისა და განთქმული ფეტიუკოვიჩის პაექრობა. ყველას უკვირდა: რით უშველის ასეთ არეულ-დარეულ და უვარგის საქმეს ისეთი ტალანტიც კი, როგორიც ფეტიუკოვიჩია? ამიტომაც დაძაბულნი ადევნებდნენ თვალს მის ყოველ წარმატებას. მაგრამ ფეტიუკოვიჩი ბოლო წუთებამდე, სანამ თავისი მოხსენებით არ გამოვიდა, მათთვის გამოცანად დარჩა. გამოცდილი ხალხი მიხვდა, რომ მას რაღაც სისტემა ჰქონდა შემუშავებული, რაღაც წინასწარ დასახული მიზანი, მაგრამ რა - ჯერჯერობით ვერ გაეგოთ. მისი თვითდაჯერებულობა და თავისი შესაძლებლობების მტკიცე რწმენა თვალში გეცემოდა. გარდა ამისა, ყველამ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ფეტიუკოვიჩი ჩვენთან ყოფნის მოკლე დროში, სულ რაღაც სამ დღეში, საქმეს საოცრად კარგად გაეცნო და „დაწვრილებით შეისწავლა“. აღტაცებულები ყვებოდნენ, თუ როგორ „გააბრიყვა“ და დააბნია პროკურორის მოწმეები, რაც მთავარია, მოახერხა მათი რეპუტაციის შელახვა და ჩვენებების ეჭვქვეშ დაყენება. თუმცა მიაჩნდათ, იგი ამას აკეთებდა რაღაცა თამაშისათვის, ასე ვთქვათ, თავისი იურიდიული ცოდნის გამოსაბრწყინებლად, რომ არავის ეთქვა, დაწესებული ადვოკატური ხერხებიდან რაიმე გამორჩაო: რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რაიმე დიდ, საბოლოო შედეგს ამ მოწმეების გაბრიყვებით და რეპუტაციის შელახვით იგი ვერ მიაღწევდა. ეს ალბათ თავადაც კარგად ესმოდა. ამიტომ თადარიგში უნდა ჰქონოდა რაღაც ისეთი რამ, დაცვისათვის გადამალული იარაღი, რომელსაც მაშინ გამოაჩენდა, როცა დრო მოვიდოდა. ჯერჯერობით კი, გრძნობდა რა თავის ძალას, იგი თითქოს თამაშობდა და ლაღობდა. ასე მაგალითად, როცა ფიოდორ პავლოვიჩის კამერდინერი, გრიგორი ვასილევიჩი, თავის ფუნდამენტურ ჩვენებას იძლეოდა „ბაღში გამავალი ღია კარის“ შესახებ, დამცველი მოწმეს ჩააცივდა და აღარ უშვებდა. ერთი რამ უნდა ითქვას, გრიგორი ვასილევიჩი სასამართლოს წინაშე ისე წარდგა, რომ არც სასამართლოს სიდიდემ შეაცბუნა და არც დამსწრე საზოგადოების სიმრავლემ. თავი მშვიდად, თითქმის ზვიადადაც კი ეჭირა. ჩვენებას ისე დამაჯერებლად იძლეოდა, თითქოს მარფა იგნატიევნას

ესაუბრებოდა, ცხადია, უფრო მოწიწებით. მისი დაბნევა შეუძლებელი იყო. პირველად პროკურორმა დაჰკითხა. მას კარამაზოვების ოჯახის შესახებ ყველა წვრილმანი აინტერესებდა. მოწმემ ოჯახური ურთიერთობები ნათლად წარმოაჩინა. იგი გულუბრყვილო რომ იყო, კარგად ჩანდა: დაკითხვის დროს არავისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება არ გამოუხატავს. მაგალითად, მიუხედავად თავისი ყოფილი ბატონის მიმართ დიდი პატივისცემისა, განაცხადა, რომ ბატონი მიტიას წინაშე დამნაშავე იყო, რომ მან „ისე ვერ გაზარდა თავისი შვილები. მიტიას პატარაობიდან მე რომ არ ვყოლოდი, ტილები შეჭამდნენ, - დაუმატა, როცა მიტიას ბავშვობაზე ყვებოდა, - არც ის იყო ლამაზი, მამამ შვილს დედულის გამო რომ აწყენინაო“. პროკურორის კითხვაზე, რა საფუძველზე ამტკიცებთ, რომ მამამ შვილი ანგარიშში მოატყუაო, გრიგორი ვასილევიჩმა, ყველას გასაკვირად, ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერ წარმოადგინა, მაგრამ მაინც თავისას იმეორებდა: არ იყო ფიოდორ პავლოვიჩი მართალი, შვილი ანგარიშში მოატყუა, „კიდევ რამდენიმე ათასი უნდა გადაეხადა მისთვისო“. ამ კითხვას - მართალია თუ არა ის, რომ ფიოდორ პავლოვიჩმა მიტიას დედულის საფასური დააკლო - პროკურორი ყველა მოწმეს განსაკუთრებული დაჟინებით ეკითხებოდა, არ გამოუტოვებია არც ალიოშა და არც ივანი, მაგრამ ვერც ერთმა მოწმემ ზუსტი ცნობა ვერ მისცა; ყველა აღნიშნავდა ფაქტს, მაგრამ რამენაირად ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი ვერავის მოჰქონდა. გრიგორის აღწერილმა ეპიზოდმა, როდესაც დმიტრი სადილობის დროს მამას მიუვარდა, მასზე ხელი აღმართა და დაემუქრა, რომ დაბრუნდებოდა და მოკლავდა მას, დარბაზზე მძიმე შაბეჭდილება დატოვა, რადგან მოხუცმა მსახურმა ეს ამბავი მშვიდად, ზედმეტი სიტყვების გარეშე, თავისებური კილოთი თქვა და ძალიან დამაჯერებლადაც გამოუვიდა. მიტიას მისამართით კი ის თქვა, რომ დიდი ხანია, აპატია იმდღევანდელი გარტყმა და აღარ არის მასზე გაბრაზებული. გარდაცვლილი სმერდიაკოვის ხსენებაზე პირჯვარი გადაიწერა და განაცხადა: უნარიანი კაცი იყო, მაგრამ ბრიყვი და სნეულებით დაჩაგრული, აგრეთვე, უღმერთო; უღმერთობა კი ფიოდორ პავლოვიჩმა და მისმა უფროსმა ვაჟმა ასწავლეს. სმერდიაკოვის პატიოსნება დაბეჯითებით დაადასტურა. ისიც კი გაიხსენა, როცა ოდესღაც სმერდიაკოვმა ბატონის მიერ დაკარგული ფული იპოვა, კი არ გადამალა, ბატონს მიურბენინა, ბატონმა კი მას „ოქრო აჩუქა“ და მას შემდეგ ყველაფერში ენდობოდაო. ბაღში გამავალი კარი რომ ღია ნახა, ამას დაჟინებით ამტკიცებდა. მას ბევრი კითხვა დაუსვეს, ყველას ვეღარ ვიგონებ. როგორც იქნა, დაკითხვა დამცველმა დაიწყო. დამცველს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა გრიგორის აზრი იმ პაკეტის შესახებ, რომელშიაც მის ბატონს სამი ათასი მანეთი ჰქონდა გადანახული „ყველასათვის ცნობილი პიროვნებისათვის“. „თქვენ თავად ის პაკეტი ნანახი გქონდათ, - ჰკითხა დამცველმა, - თქვენ ხომ წლების განმავლობაში ასე ახლოს იყავით თქვენს ბატონთან?“ გრიგორიმ უპასუხა, რომ არ უნახავს და არც არაფერი გაუგია არავისაგან მანამ, „სანამ მის შესახებ ყველამ არ დაიწყო ლაპარაკი“. ამ კითხვას პაკეტის თაობაზე ფეტიუკოვიჩი ყველას დაჟინებით უსვამდა, ყველა მოწმეს, ვისაც კი შეიძლებოდა რამე სცოდნოდა ამის გარშემო - ისევე, როგორც პროკურორი მიტიას დედულის შესახებ. მაგრამ ყველასაგან ერთ პასუხს იღებდა, რომ პაკეტი არავის უნახავს, თუმცა ბევრს მის შესახებ გაგონილი ჰქონდა. დამცველის ეს ამოჩემება ყველამ შენიშნა.

- თუ ნებას დამრთავთ, ახლა შემიძლია გკითხოთ, - უცებ, სრულიად მოულოდნელად ჰკითხა ფეტიუკოვიჩმა, - რისგან შედგებოდა ის ბალზამი, უფრო სწორედ ის ნაყენი, რომლითაც იმ საღამოს დაიზილეთ წელი? თქვენ ეს წინასწარი გამოძიების დროს განაცხადეთ.
გრიგორიმ დამცველს უაზროდ გადახედა, ერთხანს დუმდა, შემდეგ ჩაიბურტყუნა:
- სალბი ერია.
- მარტო სალბი? ხომ არ გახსოვთ, კიდევ რისგან შედგებოდა?
- კიდევ მრავალძარღვა.
- წიწაკაც ხომ არა? - კვლავ ინტერესით ჰკითხა ფეტიუკოვიჩმა.
- დიახ, წიწაკაც იყო.
- და ა. შ. ყველაფერი ეს კი არაყზე იყო დაყენებული?
- სპირტზე.
დარბაზში აქა-იქ სიცილი გაისმა.
- ხედავთ, სპირტიც ყოფილა. როცა ზურგი დაიზილეთ, თქვენ, რასაკვირველია, რაც ბოთლში დარჩა, თქვენი მეუღლის მიერ ნათქვამი შელოცვის შემდეგ გადაჰკარით. ასე იყო ხომ?
- დიახ, დავლიე.
- მაინც რამდენი დალიეთ? დაახლოებით? ერთი სირჩა თუ მეტი?
- ერთი ჭიქა იქნებოდა.
- ერთი ჭიქა. იქნებ ჭიქა-ნახევარი?
გრიგორი გაჩუმდა. იგი თითქოს რაღაცას მიხვდა.
- ჭიქა-ნახევარი სუფთა სპირტი - კარგი რამეა, არა? შეიძლება „სამოთხის კარიც ღია მოგეჩვენოთ“, არათუ ბაღში გამავალი კარი?
გრიგორი კვლავ დუმდა. დარბაზში კი სიცილი გაისმა. თავმჯდომარე შეიშმუშნა.
- თქვენ ხომ არ გაიხსენებთ, - უფრო და უფრო ჩააცივდა ფეტიუკოვიჩი, - იმ დროს ბურანში ხომ არ იყავით, როცა ბაღში გამავალი კარი ნახეთ ღია?
- ფეხზე ვიდექი.
- ეს არაფრის დამამტკიცებელი არ არის (დარბაზში ისევ და ისევ სიცილი გაისმა). იმ მომენტში შეძლებდით გეპასუხათ, რომელი წელია ახლა?
- არ ვიცი.
- ჩვენი წელთაღრიცხვის რომელი წელია ახლა, ქრისტეს დაბადების შემდეგ, იცით?
გრიგორი დაბნეული იდგა და გაშტერებული შესცქეროდა თავის მტანჯველს. ალბათ უცნაურად ეჩვენებოდა ის, რომ, მართლაც, არ იცოდა, რომელი წელი იყო ახლა.
- იქნებ ის მაინც მითხრათ, რამდენი თითი გაქვთ ხელზე?
- მე ერთი პატარა კაცი ვარ, - უცებ ხმამაღლა და მკაფიოდ წარმოთქვა გრიგორიმ, - თუ ბატონს ნებავს ჩემი დაცინვა, უნდა მოვითმინო.
ფეტიუკოვიჩი ცოტა დაცხრა, მაგრამ ახლა თავმჯდომარე ჩაერთო და დამცველს დამრიგებლური ტონით შეახსენა, რომ ასეთი შეუსაბამო კითხვები არ უნდა დასვას. ფეტიუკოვიჩმა მოუსმინა, თავი ღირსეულად დაუკრა და განაცხადა, დაკითხვა დავამთავრეო. ცხადია, ამის შემდეგ პუბლიკასაც და ნაფიც მსაჯულებსაც რაღაც ეჭვი გაუჩნდებოდათ ამ კაცის ჩვენების ჭეშმარიტებაში, რადგან სპირტის საშუალებით მკურნალობის შედეგად მას, მართლაც, შესაძლოა, სამოთხის კარიც ღია მოსჩვენებოდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მან არ იცოდა,

რომელი წელია ახლა ქრისტესშობის შემდეგ. ასე რომ, დამცველმა თავის მიზანს მიაღწია. მაგრამ გრიგორის დაკითხვის დამთავრებამდე ერთი ამბავი მოხდა. თავმჯდომარემ განსასჯელს კითხვით მიმართა, ხომ არაფერი შენიშვნა გაქვთო მოცემული ჩვენების გარშემო?

- ბაღის კარს გარდა, ყველაფერი მართალი თქვა, - ხმამაღლა იყვირა მიტიამ, - ტილებს რომ მაცლიდა, დიდი მადლობელი ვარ, გალახვა რომ მაპატია, იმისათვისაც დიდი მადლობა; მოხუცი მთელი თავის სიცოცხლე პატიოსნად ცხოვრობდა და ძაღლივით ერთგული იყო მამაჩემისა.

- განსასჯელო, სიტყვები შეარჩიეთ, - მკაცრად შენიშნა თავმჯდომარემ.

- მე ძაღლი არა ვარ, - ჩაიბუზღუნა გრიგორიმ.

- მე ვარ ძაღლი, მე! - იყვირა მიტიამ, - თუ გეწყინა, ბოდიშს გიხდი: მხეცივით სასტიკად მოგექეცი! ეზოპესაც სასტიკად მოვექეცი.

- რომელ ეზოპეს? - მკაცრად იკითხა თავმჯდომარემ.

- პიერო... მამაჩემი, ფიოდორ პავლოვიჩი.

თავმჯდომარემ ისევ და ისევ მკაცრი, დამრიგებლური ტონით უთხრა მიტიას, ცოტა დაკვირებულად შეერჩია გამონათქვამები.

- ასე თქვენ საკუთარ თავს ვნებთ.

ზუსტად ასევე მოხერხებულად მოიქცა დამცველი მოწმე რაკიტინის დაკითხვის დროს. აღსანიშნავია, რომ რაკიტინი პროკურორისათვის ძალზე მნიშვნელოვან მოწმეს წარმოადგენდა. აღმოჩნდა, თურმე მას ყველაფერი სცოდნია, განსაცვიფრებლად ბევრი რამ. ყველასთან ნამყოფი იყო, ყველასთან ნასაუბრები, ყველაფერი ჰქონდა ნანახი, შეეძლო, დაწვრილებით აღეწერა ფიოდორ პავლოვიჩისა და კარამაზოვების ბიოგრაფიები. მართალია, იმ პაკეტის შესახებ, რომელშიაც სამი ათასი ინახებოდა, მასაც მიტიასაგან ჰქონდა მოსმენილი, სამაგიეროდ, წვრილად აღწერა სამიკიტნოში მიტიას თავგადასავლები, გაიხსენა ყველა მისი მაკომპრომატირებელი სიტყვები და ჟესტები და „წვერცანცარა“ შტაბს-კაპიტნის, სნეგიროვის ამბავი. იმ განსაკუთრებული პუნქტის თაობაზე - ჰქონდა თუ არა ფიოდორ პავლოვიჩს შვილის ვალი მიტიას დედულთან დაკავშირებით - რაკიტინმაც ვერაფერი თქვა და მხოლოდ საერთო ხასიათის ზიზღნარევი ფრაზებით დაკმაყოფილდა: „ამ უთავბოლო კარამაზოვშჩინაში ვინ გაარკვევს, ვინაა დამნაშავე, ან ვინ დაითვლის, ვის ვისი მართებს?“ განსახილველი დანაშაულის მთელი ტრაგედია მან ისე დახატა, როგორც რუსეთის მოუწესრიგებლობის გამო ჯერ კიდევ გაბატონებული ბატონყმობის ადათ-წესების პროდუქტი. ერთი სიტყვით, მას თავისი აზრების გამომზეურების საშუალება მისცეს. ამ პროცესის შემდეგ რაკიტინი შესამჩნევი პიროვნება გახდა; პროკურორისათვის ცნობილი იყო, რომ მოწმე ამ დანაშაულის შესახებ სტატიას ამზადებდა ჟურნალისათვის და თავის ძირითად სიტყვაში (რასაც ქვემოთ ვიხილავთ) პროკურორი ამ სტატიიდან ახდენდა ციტირებას, ე.ი. რაკიტინის სტატიას წინასწარ იცნობდა. მოწმის მიერ დახატულმა სურათმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და საბედიწერო გამოდგა, მან მნიშვნელოვნად გაამაგრა „ბრალდების“ პოზიცია. საერთოდ კი რაკიტინის მონაყოლმა პუბლიკა მონუსხა. მისი ნაამბობი გამოირჩეოდა აზრის თავისუფალი გამოხატვითა და არაჩვეულებრივად კეთილშობილური აღმაფრენით. აქა-იქ ერთი-ორი აღფრთოვანებული ტაშიც კი გაისმა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ითქვა ბატონყმობისა და უწესრიგობისაგან განაწამებ რუსეთზე. მაგრამ რაკიტინმა, ჯერ

კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ერთი შეცდომა დაუშვა, რითაც კარგად ისარგებლა დამცველმა. როდესაც რაკიტინი გრუშენკას შესახებ იძლეოდა პასუხებს, თავისი წარმატებებით ფრთაშესხმულმა, რასაც, რასაკვირველია, კარგად გრძნობდა, თავს ნება მისცა, მის შესახებ რამდენიმე აგდებული სიტყვა ეთქვა, როგორც „ვაჭარ სამსონოვის ხასაზე“. შემდგომში რას არ მისცემდა, რომ თავისი სიტყვები უკან წაეღო, რადგან სწორედ იმ სიტყვებზე გამოიჭირა ფეტიუკოვიჩმა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ რაკიტინმა კარგად ვერ გამოთვალა, ასეთ მოკლე დროში თუ შეძლებდა ფეტიუკოვიჩი საქმის გაცნობას და ასეთნაირ ინტიმურ წვრილმანებში ჩაწვდომას.

- თუ შეიძლება, გამაგებინეთ, - თავაზიანი და მოკრძალებული ღიმილით დაიწყო დამცველმა, - თქვენ, რასაკვირველია, ის რაკიტინი ბრძანდებით, რომელმაც უსამღვდელოესობისადმი მიძღვნილ, ეპარქიის მიერ გამოშვებულ ბროშურაში, „აწ განსვენებული ბერი მამა ზოსიმას ცხოვრება“, ღრმა რელიგიური აზრებით გადმოეცით წმინდა მამის ცხოვრება? ამას წინათ ეს ბროშურა სიამოვნებით წავიკითხე.

- მე იგი დასაბეჭდად არ დამიწერია... ის მოგვიანებით დასტამბეს, - ჩაიბურტყუნა მოულოდნელობისაგან შემცბარმა და დამორცხვებულმა რაკიტინმა.

- ძალიანაც კარგი! თქვენი კატეგორიის მოაზროვნეს შეუძლია და ვალდებულიცაა, ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას ფართოდ შეეხოს. მისი უსამღვდელოესობის წყალობით ეს ყველასათვის საჭირო ბროშურა გავრცელდა და გარკვეული სარგებლობაც მოიტანა... მე კი, იცით, რა მაინტერესებს: თქვენ ახლახან განაცხადეთ, რომ ქალბატონ სვეტლოვასთან ძალიან ახლოს იყავით? (Nota bene. თურმე გრუშენკას გვარი „სვეტლოვა“ ყოფილა. ეს პირველად იმ დღეს გავიგე)

- მე არ შემიძლია, პასუხი ვაგო ყველა ჩემს ნაცნობზე... მე ახალგაზრდა კაცი ვარ.. ვინ აგებს პასუხს ყველა იმათზე, ვისაც ხვდება, - ანაზდად გაწიწმატდა რაკიტინი.

- მესმის, კარგად მესმის! - ისე შეწუხებულმა შესძახა ფეტიუკოვიჩმა, თითქოს მზად იყო, სასწრაფოდ ბოდიში მოეხადა, - თქვენ, ისე როგორც მრავალი სხვა, შესაძლებელია, დაინტერესებულიყავით ისეთი ახალგზრდა და ლამაზი ქალის ნაცნობობით, რომელიც სიამოვნებით ღებულობდა სტუმრად თავისთან აქაურ საუკეთესო ახალგაზრდობას, მაგრამ... მე მხოლოდ ერთი რამის გაგება მსურს: მართალია თუ არა, ამ ორი თვის წინ სვეტლოვას ძალიან უნდოდა უმცროსი კარამაზოვის, ალექსეი ფიოდოროვიჩის გაცნობა და მხოლოდ იმისათვის, თუ თქვენ მას ბერულ სამოსში გამოწყობილს მიუყვანდით, ოცდახუთ მანეთს გადაგიხდიდათ დავალების შესრულებისთანავე? როგორც ცნობილია, სწორედ იმ უბედური შემთხვევის დღეს, რა საქმესაც ახლა განვიხილავთ, საღამოს, თქვენ მიიყვანეთ ალექსეი კარამაზოვი სვეტლოვასთან და მისგან მიიღეთ დაპირებული ოცდახუთი მანეთი, ეს მაინტერესებდა, თქვენგან გამეგო?

- ეს ხუმრობა იყო... მე არ მესმის, რატომ გაინტერესებთ ეს ამბავი. მე ის ხუმრობით ავიღე... შემდეგ უკან რომ დამებრუნებინა...

- ე.ი. აიღეთ. მაგრამ აქამდე არ დაგიბრუნებიათ... თუ დააბრუნეთ?

- ეს... - ბურტყუნებდა რაკიტინი, - მე არ შემიძლია, ასეთ კითხვებს ვუპასუხო.. რასაკვირველია, დავუბრუნებ.

საქმეში თავმჯდომარე ჩაერია, მაგრამ დამცველმა განაცხადა, ბ-ნ რაკიტინის დაკითხვა დავამთავრეო. ბ-ნ რაკიტინი სცენიდან ერთიანად დამჟავებული

ჩამოვიდა. შთაბეჭდილება მისი კეთილშობილების შესახებ საპნის ბუშტივით გასკდა. ფეტიუკოვიჩმა იგი ისეთი თვალებით გააცილა, თითქოს პუბლიკას ეუბნებოდა: „დახეთ ვინაა ეს თქვენი კეთილშობილი ბრალდების მოწმეო!“ მახსოვს, იმ დროს, როცა რაკიტინმა გრუშენკა შეამკო, როგორ გიჟივით წამოხტა მიტია და იღრიალა „ბერნარ!“ ხოლო როდესაც რაკიტინის დაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ განსასჯელს მიმართა: ხომ არ გსურთ, რაიმე შენიშვნა გამოთქვათო, მაშინ მიტიამ რიხიანად შეჰყვირა:
- ეგ ჩემგან, პატიმრისაგანაც, ახლაც კი ფულს სესხულობს ხოლმე! ბერნარი საზიზღარი კარიერისტი და ათეისტია, უსამღვდელოესობა მოატყუა!
მიტია ისევ დაარიგეს, წესიერად ილაპარაკეო, რაკიტინი კი საბოლოოდ თავლაფდასხმული დარჩა. საქმეს არც შტაბს-კაპიტან სნეგირიოვის დაკითხვამ უშველა, მაგრამ ეს უკვე სხვა მიზეზით მოხდა. მიუხედავად წინასწარი გაფრთხილებისა, ის სასამართლოზე გალეშილი მთვრალი მოვიდა, დახეული და ჭუჭყიანი ტანსაცმლით და ტალახიანი ჩექმებით. კითხვაზე, რა შეურაცხყოფა მოგაყენათ მიტიამო, მან უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე.
- ღმერთმა ხელი მოუმართოს, ბატონებო. ილუშეჩკამ ნება არ დამრთო. ღმერთი იქ გადამიხდის.
- ვინ არ დაგრთოთ ნება? ვინ ახსენეთ?
- ილუშეჩკამ, ჩემმა ბიჭმა, ასე მითხრა: „მამა, მამიკო, როგორ დაგამცირა, როგორაო!“ ლოდთან მითხრა. ახლა კი კვდება...
უცებ შტაბს-კაპიტანი აქვითინდა და იქვე, თავმჯდომარის ფეხებთან მოადინა ზღართანი. იგი სასწრაფოდ გაიყვანეს. პუბლიკამ სულ სიცილ-კისკისით გააცილა. პროკურორის მიერ მომზადებული სცენა არ შედგა.
დამცველი ყველა საშუალებას ხმარობდა და საქმის უკანასკნელ წვრილმანამდე ცოდნით აკვირვებდა დამსწრე საზოგადოებას. მაგალითად, შესაძლებელი იყო, ტრიფონ ბორისოვიჩის ჩვენებას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა, ეს კი მიტიასათვის ძალიან ცუდი იქნებოდა. მან მიტიას უკანასკნელ კაპიკამდე გამოუთვალა კატასტროფამდე ერთი თვით ადრე, მოკროეში პირველი ჩამოსვლის დროს დახარჯული ფული. მისი აზრით, მაშინ იქ მიტიას სამი ათასზე ნაკლები არ დაუხარჯავს, „მარტო ბოშა ქალებზე რამდენი გადაყარა! ჩვენს გლეხებს ხურდა ფულს კი არ აძლევდა, სულ ოცდახუთიანებს ჩუქნიდა. გარდა ამისა, რამდენი მოჰპარეს! ვინც მოჰპარა, იმის კვალს ვინღა მიაგნებს, სად დაიჭერ ქურდს, ან რა მათი ბრალია, როცა თავად ფანტავდა ფულებს! ჩვენი ხალხი ყაჩაღია, ცოდვაზე უარს არ იტყვის. გოგოებს, ჩვენს გოგოებს, რამდენი მისცა! მას შემდეგ ჩვენებურები გამდიდრდნენ, მანამდე ღარიბ-ღატაკები იყვნენ!“ ერთი სიტყვით, მან მიტიას არც ერთი მაშინდელი დანახარჯი არ შეარჩინა, ყველაფერი უანგარიშა. ასე და ამგვარად, იმის ვარაუდი, რომ მაშინ მხოლოდ ათას ხუთასი მანეთი დაიხარჯა და დანარჩენი კი მიტიამ გადამალა, უაზრო გახდა. „თავად, საკუთარი თვალით ვიხილე მის ხელში სამი ათასი მანეთი, მე რა ფულის რაოდენობა შემეშლებოდა!“ - ამაყად გაიძახოდა ტრიფონ ბორისოვიჩი, იგი ყველა ღონეს ხმარობდა, უფროსებისათვის თავი მოეწონებინა. მაგრამ, როცა დამცველმა დაკითხვა გააგრძელა, თითქმის არ დაუწყია მისი ჩვენებების უარყოფა, მხოლოდ ერთი რამ გაიხსენა - როცა პირველი ღრეობის დროს მოკროეში მეეტლე ტიმოფეიმ და გლეხმა აკიმმა წინკარის იატაკზე მთვრალი მიტიას მიერ დაკარგული ასი მანეთიანი იპოვეს და ტრიფონ ბორისოვიჩს

გადასცეს, მან კი ფულის მპოვნელებს თითო მანეთიანი ჩამოურიგა. „რა უყავით მაშინ ის ფული, დაუბრუნეთ ბატონ კარამაზოვს თუ არა?“ ტრიფონ ბორისოვიჩმა გამოძრომა სცადა, მაგრამ გლეხების დაკითხვის შემდეგ ასმანეთიანის პოვნა აღიარა და ისიც დაუმატა, რომ „დმიტრი ფიოდოროვიჩს მაშინ სრულად დავუბრუნე ის ასი მანეთი, მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, შეიძლება აღარც კი ახსოვსო.“ ვინაიდან გლეხების დაკითხვამდე იგი უარყოფდა ფულის პოვნის ფაქტს, ამიტომ მის მიერ დაგვიანებულმა აღიარებამ, ფული მთვრალ მიტიას დავუბრუნეო, დიდი ეჭვი გამოიწვია. ამგვარად, პუბლიკას ეჭვი შეეპარა პროკურორის კიდევ ერთ საშიშ მოწმეშიც, რომელიც საკმაოდ შელახული რეპუტაციით წავიდა. ასევე მოხდა პოლონელების დაკითხვის დროსაც. მათ პროცესზე თავი ამაყად ეჭირათ. ხმამაღლა განაცხადეს, რომ „ტახტს ემსახურებოდნენ“, რომ „პან მიტიამ“ მათი სამი ათასით მოსყიდვა დააპირა და რომ ის სამი ათასი მის ხელში თავად იხილეს. პან მუსიალოვიჩი ლაპარაკის დროს წინადადებებში ძალიან ბევრ პოლონურ სიტყვას ხმარობდა, გრძნობდა, ასე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პროკურორსა და თავმჯდომარეზე. დასასრულს, იგი მთლიანად პოლონურ ენაზე გადავიდა. მაგრამ ფეტიუკოვიჩმა ისინი საკუთარ დაგებულ მახეში გააბა: როგორ არ ვირეშმაკობდა კვლავ დაკითხვაზე გამოძახებული ტრიფონ ბორისოვიჩი, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მისი ბანქოს დასტა პან ვრუბლიოვსკიმ შეცვალა, ხოლო პან მუსიალოვიჩმა ბანქოს არევის დროს ითაღლითა და ბანქოს ქაღალდი გამოცვალა. ეს დაადასტურა კალგანოვმაც, როცა თავის ჩვენებას იძლეოდა. ორივე პანი შერცხვენილი წავიდა, პუბლიკამ მათ სიცილიც კი დააყარა.
ამის შემდგომ ყველაფერი ზუსტად ასევე განმეორდა ყველა მეტ-ნაკლებად საშიში მოწმის დაკითხვის დროსაც. ფეტიუკოვიჩმა ცალ-ცალკე, თითოეულ მათგანს თავი მოსჭრა და ცხვირჩამოშვებულები გაუშვა. მაყურებლები და იურისტები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს დამცველის ოსტატობას, მაგრამ მხოლოდ ის აგდებდათ საგონებელში, რა გამოვიდოდა აქედან, რადგან ყველა დარწმუნებული იყო ბრალდების უცილებლობაში, რაც სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. მაგრამ ამ „დიდი მაგის“ გულდაჯერებულობისა და სიმშვიდის შემხედვარენი რაღაცას ელოდნენ, ბოლოს და ბოლოს, „ასეთი კაცი“ პეტერბუგიდან ტყუილად ხომ არ ჩამოვიდოდა. ეს ის კაცი არ იყო, აქედან ხელმოცარული დაბრუნებულიყო.

III სამედიცინო ექსპერტიზა და ერთი გირვანქა თხილი

განსასჯელს არც სამედიცინო ექსპერტიზამ უშველა. მგონია, ფეტიუკოვიჩსაც არ ჰქონდა ამის დიდი იმედი, როგორც ეს შემდგომში გაირკვა. ექსპერტიზა მხოლოდ და მხოლოდ კატერინა ივანოვნას დაჟინებული თხოვნით მოეწყო. მან მოსკოვიდან საგანგებოდ მოიწვია სახელგანთქმული ექიმი. რასაკვირველია, დაცვა ამით არაფერს წააგებდა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება სარგებელიც კი ენახა. ისე კი, ეს სამედიცინო ექსპერტიზა, ნაწილობრივ კომიკური გამოვიდა, ექიმებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო. ექსპერტები იყვნენ:

მოსკოვიდან მოწვეული ცნობილი ექიმი, ექიმი ჰერცენშტუბე და ახალგაზრდა მკურნალი ვარვინსკი. ეს ორი უკანასკნელი საქმეში ფიგურირებდნენ, როგორც პროკურორის მოწმე ექსპერტები. პირველად დაიკითხა ექიმი ჰერცენშტუბე. ამ ჭაღარა, მელოტ, საშუალო სიმაღლის, სამოცდაათი წლის ჩაფსკვნილ მოხუცს ჩვენს ქალაქში აფასებდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. იგი კეთილსინდისიერი მკურნალი, ღვთისმოსავი და კარგი ადამიანი გახლდათ, რომელიღაც ჰერნგუტერი[143] ან „მორავიელი ძმა“ - ზუსტად არ ვიცი. ჩვენს ქალაქში უკვე კარგა ხანია ცხოვრობდა და ძალიან ღირსეულად ეჭირა თავი. ეს კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი ღარიბ-ღატაკებსა და გლეხობას მუქთად მკურნალობდა, თავად დადიოდა მათ ქოხებში და წამლის ფულსაც კი უტოვებდა ხოლმე. ამასთან ერთად, ვირივით ჯიუტი იყო; თუ რამეს აიკვიატებდა, ვერაფრით გადაათქმევინებდი. სხვათა შორის, უკვე მთელი ქალაქისათვის ცნობილი გახდა, რომ სახელგანთქმულმა მოსკოველმა ექიმმა ჩვენს ქალაქში ორი-სამი დღით ყოფნისას თავს უფლება მისცა და აგდებულად ილაპარაკა ექიმ ჰერცენშტუბეს პროფესიონალიზმზე. მოსკოველი ექიმი ავადმყოფთან ერთ ვიზიტში ოცდახუთ მანეთს იღებდა, მაგრამ ჩვენი ქალაქის ზოგიერთმა მკვიდრმა გაიხარა მისი ჩამოსვლით, არ დაიშურა ფული და ეწვია მას რჩევების მისაღებად. ცხადია, ყველა ამ ავადმყოფს ადრე ჰერცენშტუბე მკურნალობდა. ჰოდა, ამ სახელგანთქმულმა ექიმმა ყველასთან უხეშად გააკრიტიკა მისი მკურნალობის მეთოდები. ბოლოს ისე აიშვა თავი, ავადმყოფთან რომ მივიდოდა, პირდაპირ ეკითხებოდა: „ერთი ის მითხარით, აქამდე ვინ გაწვალათ, ჰერცენშტუბემ ხომ? ხა, ხა, ხა!“ რასაკვირველია, ეს ამბავი ჰერცენშტუბემ გაიგო. მაშ ასე, სამივე ექიმი სასამართლომ ერთმანეთის მიყოლებით დაკითხა. ექიმმა ჰერცენშტუბემ პირდაპირ განაცხადა: „განსასჯელის არანორმალურობა თავისთავად ცხადია“. შემდეგ, როცა თავისი მოსაზრებები წარმოადგინა, რაც მე აქ არ მომყავს, დასძინა, რომ არანორმალურობა არა მარტო განსასჯელის ადრე ჩადენილ ქმედებებში ჩანდა, არამედ დღეს დარბაზში შემოსვლისასაც ნათლად გამოჩნდაო. შემდეგ მოხუცმა ექიმმა სრულიად დაუფარავად, მისთვის ჩვეული გულუბრყვილობით თქვა: როცა განსასჯელი სასამართლოს დარბაზში შემოვიდა, „ასეთი ვითარებისათვის არაჩვეულებრივი და უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, ჯარისკაცივით სარგადაყლაპული მოაბიჯებდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა, იმის მაგივრად, მარცხნივ გაეხედა, სადაც ქალები ისხდნენ, რადგან იგი დიდი მექალთანე ბრძანდებოდა და უნდა დაინტერესებულიყო, თუ რას იტყოდნენ მასზე ეს ქალებიო“, - დაასკვნა მოხუცმა თავისებური აქცენტით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მას რუსული სიტყვების დიდი მარაგი ჰქონდა და სიამოვნებითაც ლაპარაკობდა, მაგრამ რატომღაც ყოველ ფრაზას გერმანულ ყაიდაზე აწყობდა. ეს მას არასოდეს არ აწუხებდა, ვინაიდან მთელი თავისი ცხოვრება თვლიდა, რომ სანიმუშო რუსულით მეტყველებდა - „რუსებზე უფრო უკეთესადაცო“. რუსულ ანდაზებსაც ხშირად ხმარობდა, ყველას არწმუნებდა, რომ რუსული ანდაზები მსოფლიოში საუკეთესო და გამომსახველობითი ანდაზებიაო. ერთსაც დავუმატებდი, როცა ის ლაპარაკობდა, იბნეოდა და ხშირად ავიწყდებოდა სიტყვები, რომლებიც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ რატომღაც იმ დროს მეხსიერებიდან ამოუვარდებოდა ხოლმე. თუმცა იგივე ემართებოდა მას გერმანულად საუბრისასაც, ამ მომენტში ის სახის წინ ხელს აიქნევდა ხოლმე, თითქოს ამით სურდა თავის მეხსიერებაში ეპოვა იმ წუთებში გადავიწყებული

სიტყვა. მისმა ნათქვამმა - განსასჯელს დარბაზში შემოსვლისას ქალებისაკენ უნდა გაეხედაო - ხალხში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ჰერცენშტუბე ჩვენი ქალაქის ხანდაზმულ ქალებსაც ძალიან უყვარდათ: მიუხედავად იმისა, რომ უცოლო იყო, ღვთისმოსავი და პატიოსანი კაცი გახლდათ და ქალებს უყურებდა, როგორც უმაღლეს და იდეალურ არსებებს. ამიტომ მისი მოულოდნელი შენიშვნა ყველას ძალიან უცნაურად მოეჩვენა.
როცა მოსკოველი ექიმის დაკითხვის ჯერი დადგა, მან საკმაოდ უკმეხად და დაჟინებით დაადასტურა, რომ ისიც განსასჯელის სულიერ მდგომარეობას „ძალზე“ არანორმალურად თვლის. შემდეგ მან ბევრი ილაპარაკა „აფექტისა“ და „მანიის“ შესახებ და ასეთი დასკვნა გააკეთა: აქ მოყვანილი ჩვენებების მიხედვით, განსასჯელი დაპატიმრებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე უეჭველად ავადმყოფურ აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თუ დანაშაული ჩაიდინა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მას აცნობიერებდა, მაინც ეს მოხდა უნებურად, რადგან მას ძალა არ ჰყოფნიდა, შებრძოლებოდა ავადმყოფურ ზნეობრივ აღტყინებას, რომლითაც ის იყო შეპყრობილი. მაგრამ გარდა აფექტისა, ექიმი მანიაზეც მიუთითებდა. ეს კი პირდაპირი მაჩვენებელია შეშლილობისა (N. B. მე ახლა ჩემი სიტყვებით გადმოგცემთ, ექიმი კი სპეციალური მეცნიერული ტერმინებით ლაპარაკობდა). „ყოველი მისი ქმედება ჯანსაღი აზრისა და ლოგიკის საპირისპიროა, - გააგრძელა მან, - მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც არ მინახავს, მხედველობაში მაქვს თავად ბოროტმოქმედება მთელი თავისი საშინელებებით, მაგრამ სამი დღის შემდეგაც, ჩემთან ლაპარაკის დროს, მას გაურკვეველი, გაყინული მზერა ჰქონდა. უადგილო ადგილას იცინოდა. მუდმივად უმიზეზოდ ღიზიანდებოდა და უცნაურ სიტყვებს წამოისროდა ხოლმე: „ბერნარი, ეთიკა“ და სხვა, რასაც არაფერთან ჰქონდა კავშირი.“ მაგრამ ექიმი მიტიას აშკარა მანიაკალურობას იმაში ხედავდა, რომ განსასჯელი განსაკუთრებული გაღიზიანების გარეშე ვერ ლაპარაკობდა იმ სამი ათასის შესახებ, რომლის გამოც თავს მოტყუებულად თვლიდა, ხოლო სხვა დანარჩენ მარცხსა და წყენას საკმაოდ მშვიდად იგონებდა. დაბოლოს, არსებული ცნობების მიხედვით, ყოველთვის, ადრეც და ახლაც, როცა საქმე იმ სამი ათასს ეხებოდა, იგი თითქმის შეურაცხადი ხდებოდა. ამავე დროს, იმასაც ადასტურებენ, რომ მას ყველა იცნობდა, როგორც ხელგაშლილ და უანგარო ადამიანს. „რაც შეეხება ჩემი მეცნიერი თანამოძმის აზრს იმის თაობაზე, განსასჯელს დარბაზში შემოსვლის დროს ქალებისათვის უნდა ეყურებინა და ასე თვალებგაშტერებულს არ უნდა ევლოო, - ირონიულად დასძინა სიტყვის დასასრულს მოსკოველმა ექიმმა, - ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ასეთი დასკვნა არათუ არასერიოზულია, არამედ რადიკალურად მცდარიც არის; შეიძლება მე სავსებით ვეთანხმებოდე აზრს, რომ ნორმალური განსასჯელი იმ სასამართლო დარბაზში შესვლისას, სადაც მისი ბედი წყდება, თვალებგაშტერებული არ უნდა შედიოდეს, ეს მართლაც მისი არანორმალურობის მაჩვენებელია, მაგრამ, ამავე დროს, ვამტკიცებ, მარცხნივ, ქალებისაკენ კი არ უნდა გაეხედა, პირიქით, მისი მზერა მარჯვნივ, თავისი დამცველისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომელზედაც ახლა დამოკიდებულია მთელი მისი მომავალი ცხოვრება“. თავისი მოსაზრებები მან მტკიცედ და ღრმა დაჯერებულობით გამოთქვა. განსაკუთრებული კომიზმი ამ ორი ექსპერტის აზრთა სხვაობას ექიმი ვარვინსკის მოულოდნელმა დასკვნამ შესძინა, რომელიც მათ შემდეგ დაკითხეს. მისი აზრით, განსასჯელი ახლაც ნორმალურია და მაშინაც

სრულ ჭკუაზე ბრძანდებოდა, თუმცა დაპატიმრებამდე, მართლაც, იქნებოდა ნერვიულ და საშინლად აღგზნებულ მდგომარეობაში, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო სხვადასხვა, ისეთი აშკარა მიზეზის გამო, როგორიცაა: ეჭვიანობა, ბოღმა, უთავბოლო სიმთვრალე და ა. შ. მაგრამ ასეთ ნერვიულ მდგომარეობაში არ შეიძლება დავინახოთ რაიმე განსაკუთრებული „აფექტი“, რაზედაც ახლახან აქ იყო ლაპარაკი. რაც შეეხება იმას, საით უნდა ყოფილიყო განსასჯელის მზერა მიმართული, მარჯვნივ თუ მარცხნივ, „ჩემი მოკრძალებული მოსაზრებით“, ალბათ მაინც პირდაპირ უნდა გაეხედა, რადგან პირდაპირ თავმჯდომარე და სასამართლოს წევრები ისხდნენ, რომელთა ხელთ არის ახლა მისი ბედი. „ასე რომ, სწორედ პირდაპირ ყურებით დაამტკიცა მან თავისი ნორმალურობა,“ - რაღაცნაირად გაცხარებულმა დაამთავრა ახალგაზრდა ექიმმა თავისი „მოკრძალებული“ ჩვენება.
- ბრავო, ექიმო! - ადგილიდან წამოიძახა მიტიამ, - სწორედ ეგრეა!
რასაკვირველია, მიტია მაშინვე გააჩუმეს, მაგრამ ახალგაზრდა ექიმის აზრმა გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა როგორც სასამართლოზე, ისე პუბლიკაზე, რადგან, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მის აზრს ყველა დაეთანხმა. თუმცაღა, ექიმმმა ჰერცენშტუბემ, როცა როგორც მოწმე, ისე დაიკითხა, ყველასათვის მოულოდნელად მიტიას სასარგებლოდ ილაპარაკა. როგორც ჩვენი ქალაქის ძველი მაცხოვრებელი, იგი კარამაზოვების ოჯახს კარგად იცნობდა. მან დაკითხვის დროს „ბრალდებისათვის“ რამდენადმე საინტერესო ჩვენება მისცა, მაგრამ უცებ თითქოს რაღაცას მიხვდა, დასძინა:
- ეს საწყალი ახალგაზრდა კაცი უფრო უკეთეს ხვედრს იმსახურებდა, რადგან ბავშვობიდანვე და მას შემდეგაც კარგი გულის ადამიანი იყო, მე ეს კარგად ვიცი. მაგრამ რუსული ანდაზის არ იყოს: „თუ კაცს ერთი ჭკუა აქვს, ძალიან კარგია, თუ სტუმრად მეორე ჭკვიანი ადამიანი მოუვა, უფრო უკეთესი, რადგან მაშინ ორი ჭკუა იქნება და არა ერთი...“
- ერთი ჭკუა კარგია, ორი უკეთესი, - მოუთმენლად უკარნახა პროკურორმა, რომელმაც უკვე კარგა ხანია, იცოდა მოხუცის უთავბოლო და ნელ-ნელა ლაპარაკის ჩვევა, ამ დროს მას სულაც არ აწუხებს ხოლმე, რომ ხალხი ელოდება ან საერთოდ რას იტყვიან მასზე. პირიქით, ძალიან აფასებს თავის მოუხეშავ, თვითკმაყოფილ გერმანულ ოხუნჯობას. მას ხომ ხუმრობა უყვარს.
- დიახ, დიახ, მეც მაგას ვამბობ, - ჯიუტად განაგრძო მან, - ერთი ჭკუა კარგია, ორი უკეთესი. მაგრამ მას მეორე არ ესტუმრა, თავისი კი გაუშვა... როგორაა ეს, სად გაუშვა? ის სიტყვა სად გაუშვა თავისი ჭკუა, დამავიწყდა, - ამბობდა ის და თან სახის წინ ხელს იქნევდა, - ხო, შპაცირენ.
- სასეირნოდ?
- დიახ, სასეირნოდ, ეგ მინდოდა მეთქვა. მისი ჭკუა სასეირნოდ წავიდა, უღრან ადგილას მივიდა, იქ დაიკარგა. მე ის ჯერ კიდევ სულ პატარაობიდან მახსოვს. კეთილშობილი და მგრძნობიარე ყმაწვილი იყო, მამამისის მიერ მოსამსახურეებთან უკანა ეზოში მიგდებული, სადაც ფეხშიშველა, ერთღილიანი პანტალონებით დარბოდა...
ანაზდად, რაღაცნაირი მგრძნობიარე და გულში ჩამწვდომი ნოტა გაისმა კეთილი მოხუცის ხმაში. ფეტიუკოვიჩმა ყურები ცქვიტა, თითქოს რაღაც იყნოსა, იგი დაჟინებით მიაცქერდა მოხუცს.
- ხო, მართლა, მაშინ მეც ახალგაზრდა კაცი ვიყავი... მე... მაშინ ორმოცდახუთ

წლის ვიყავი, აქ ახალი ჩამოსული. მაშინ ძალიან შემეცოდა ბიჭუნა. ჩემთვის გავიფიქრე: რა მოხდება, რომ მას ერთი გირვანქა... რა ერთი გირვანქა, დამავიწყდა რა ჰქვია იმას... ბავშვებს რომ ძალიან უყვართ, რა ჰქვია... - ისევ თავთან დაიწყო ხელების ქნევა ექიმმა, - ხეზე იზრდება, მერე კრეფენ და ყველას ჩუქნიან...

- ვაშლი?

- არა, არა! გირვანქა, გირვანქა, ვაშლი ცალობით იყიდება და არა გირვანქობით. არა, ის ბევრია და პატარები, პირში იდებენ და ამტვრევენ!..

- თხილი?

- დიახ, დიახ, თხილი! მაგას ვამბობდი, - ისე მშვიდად თქვა ექიმმა, თითქოს აქამდე სიტყვას არ იგონებდა, - მე მას ერთი გირვანქა თხილი მივუტანე, რადგან ბავშვისათვის თხილი ჯერ არავის მიეტანა. მივუტანე და ვუთხარი: „ბიჭუნა! „Gott der Vater!“[144] - მან გაიცინა და მითხრა: „Gott der Vater. - Gott der Sohn“[145]. ბავშვმა კიდევ გაიცინა და ტიტინით დაუმატა: Gott der Sohn. Gott der heilige Geist[146]. მან კიდევ ერთხელ გაიცინა და როგორც შეეძლო თქვა: „Gott der heilige Geist.“ მე წამოვედი. მესამე დღეს, როცა მათ სახლს გავუარე, მომესმა მისი ყვირილი: „ბიძია, Gott der Vater. Gott der Sohn.“ მხოლოდ დაავიწყდა „Gott der heilige Geist.“ მაგრამ გავახსენე და ისევ ძალიან შემეცოდა. ამის შემდეგ წაიყვანეს და ოცდასამი წელი არ მინახავს. ერთხელ ვზივარ ჩემს კაბინეტში, მაშინ უკვე კარგად გაჭაღარავებული ვიყავი და ვხედავ, ოთახში შემოდის სისხლ-ხორცით სავსე ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ვერაფრით ვიცანი. მან ხელი მაღლა ამართა და სიცილით თქვა: „Gott der Vater. Gott der Sohn und Gott der heilige Geist!“ მე ახლა თქვენ გეახლეთ იმ ერთი გირვანქა თხილის გამო მადლობის სათქმელად, რადგან იმ დროს ჩემთვის არავის უყიდია თხილი თქვენ გარდაო.“ მაშინვე გამახსენდა ჩემი ბედნიერი ახალგაზრდობა, ეზოში მოტანტალე ფეხშიშველა ბიჭუნა და გული ამიჩუყდა. „მადლიერი კაცი ყოფილხარ, თუკი მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდა შენთვის ბავშვობაში მორთმეული ერთი გირვანქა თხილი-მეთქი“, - ვუთხარი, მოვეხვიე და დავლოცე. ის იცინოდა, თან ჩემთან ერთად ტიროდა... რამეთუ რუსები იქ იცინიან, სადაც უნდა ტიროდნენ. ის ნამდვილად ტიროდა, ეს ჩემი თვალით ვნახე. ახლა კი, ვაი, რომ ასე მოხდა!

- ახლაც ვტირი, გერმანელო, ახლაც თვალები ცრემლით მაქვს სავსე, ღვთისნიერო კაცო! - ანაზდად ადგილიდან წამოიყვირა მიტიამ.

თქვენ რაც გინდათ, ის თქვით, ამ ეპიზოდმა კი პუბლიკაზე ძალიან კარგად იმოქმედა. მაგრამ ყველაზე დიდი ეფექტი მიტიას სასარგებლოდ კატერინა ივანოვნას ჩვენებამ მოახდინა, რომლის შესახებაც ახლა მოგახსენებთ. საერთოდ, როცა ა’ დეცჰარგე –ს, დაცვის მოწმეების დაკითხვა დაიწყო, მაშინ მიტიას თითქოს ბედმა გაუღიმა. ყველაზე აღსანიშნავი ისაა, რომ დამცველი ამას სულაც არ ელოდა. მაგრამ კატერინას დაკითხვამდე ალიოშა გამოიძახეს. მან უცებ ისეთი ფაქტი გაიხსენა, რამაც ბრალდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წყალი შეუყენა.

IV მიტიას ბედმა გაუღიმა

ყველაფერი ეს ალიოშასათვისაც მოულოდნელად მოხდა. იგი ფიცის გარეშე დაკითხეს. მახსოვს, დაკითხის დაწყებიდანვე ალიოშას მიმართ ყველა განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი. ნათლად ჩანდა, ამას წინ უძღოდა მის შესახებ ხალხში გავრცელებული კეთილი კაცის სახელი. ალიოშა ჩვენებას უბრალოდ, დინჯად იძლეოდა. ლაპარაკის დროს აშკარად იგრძნობოდა მისი დიდი სიმპათიები უბედური ძმის მიმართ. მართალია, ერთ-ერთი კითხვის დროს მან ძმა დაახასიათა, როგორც თავშეუკავებული და ვნებებს აყოლილი კაცი, მაგრამ, ამავე დროს, როგორც კეთილშობილი, ამაყი და დიდსულოვანი პიროვნება, ადამიანი, რომელსაც შეუძლია სხვისთვის გაიღოს მსხვერპლი, თუკი ამის საჭიროება იქნება. მან აღიარა, რომ მიტია ბოლო ხანებში გრუშენკას სიყვარულისა და მამამისისა და გრუშენკას ურთიერთობის გამო აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გულისწყრომით უარყო იმის ვარაუდი, თითქოს მიტიამ მამა გაქურდვის მიზნით მოკლა, თუმცა დაუმატა: ის სამი ათასი მიტიას თითქმის მანია ფიქსად ექცა, რადგან მიაჩნდა, რომ მამამ მას ეს თანხა დედის მემეკვიდრეობიდან დააკლო. მიუხედავად იმისა, რომ მიტია სულაც არ იყო ანგარებიანი კაცი, ამ სამი ათასის გახსენებაზე მას ნორმალური ლაპარაკიც არ შეეძლო, ამ დროს იგი ნამდვილ გიჟს ემსგავსებოდა ხოლმეო. ორი არსების მეტოქეობის თაობაზე (ეს პროკურორის სიტყვებია, იგი კატიასა და გრუშენკას გულისხმობდა), მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა, მხოლოდ რამდენიმე კითხვა დატოვა უპასუხოდ.

- როდისმე თქვენს ძმას წამოსცდენია, მამის მოკვლას რომ აპირებდა? - ჰკითხა პროკურორმა, - თქვენ უფლება გაქვთ, არ მიპასუხოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით, - დასძინა მან.

- პირდაპირ არ უთქვამს, - უპასუხა ალიოშამ.

- ეს რას ნიშნავს? მიგანიშნათ?

- ერთხელ მითხრა, მამა ძალიან მძულს და სულ იმის შიში მაქვს, უკანასკნელ წუთებში... როცა ზიზღი ზედა ზღვარს მიაღწევს... შეიძლება შემომაკვდესო.

- თქვენ დაიჯერეთ ეს?

- მეშინია კიდეც თქმა, დავიჯერე-მეთქი. მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც უმაღლესი გრძნობა საბედისწერო წუთებში ყოველთვის გადაარჩენდა მას. ასე მოხდა კიდეც, მას მამა არ მოუკლავს, - მტკიცედ და ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად განაცხადა ალიოშამ. პროკურორი შეკრთა, როგორც საბრძოლო ბედაური განგაშის სიგნალის გაგონებაზე.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე მჯერა თქვენი რწმენის სიწრფელე, მჯერა, რომ იგი განპირობებული არ არის თქვენი უბედური ძმისადმი სიყვარულით. თქვენს ოჯახში დატრიალებულ უბედურებასთან დაკავშირებით, თქვენეული შეხედულებები ჩვენთვის წინასწარი გამოძიებიდანაა ცნობილი. არ დაგიმალავთ და გეტყვით, იგი განსაკუთრებულია და საპირისპირო სხვა ჩვენებებთან შედარებით, რომლებიც პროკურატურაში დაგვიგროვდა. ამიტომაც საჭიროდ ვთვლი, ახლა უკვე დაბეჯითებით გკითხოთ: რის საფუძველზე ჩამოგიყალიბდათ შეხედულება ძმის უდანაშაულობის შესახებ და, პირიქით, სხვა პირის დამნაშავეობაზე, ვისზედაც წინასწარ გამოძიებას პირდაპირ მიუთითეთ?

- წინასწარი გამოძიების დროს მე მხოლოდ კითხვებს ვპასუხობდი, - წყნარად და

მშვიდად მიუგო ალიოშამ, - სმერდიაკოვისათვის ხელი პირდაპირ არ დამიდია.
- და მაინც მასზე მიუთითეთ?
- მე მაშინ ვთქვი ჩემი ძმის, დმიტრის აზრი. ჯერ კიდევ დაკითხვამდე ვიცოდი, რაც დაპატიმრების დროს მოხდა, როცა მიტიამ სმერდიაკოვი დაასახელა. მე მჯერა მიტიას უდანაშაულობა. და თუ მან არ მოკლა, მაშინ...
- სმერდიაკოვმა? რატომ მაინც და მაინც სმერდიაკოვმა? და მაინც რატომ ხართ ასე დარწმუნებული ძმის უდანაშაულობაში?
- მე არ შემიძლია, არ დავუჯერო ჩემს ძმას. ვიცი, ის არ მომატყუებს. სახეზედაც შევატყვე, რომ არ ტყუოდა.
- მხოლოდ სახეზე? და ესაა თქვენი დამამტკიცებელი საბუთი.
- მე სხვა საბუთი არ გამაჩნია.
- არც სმერდიაკოვის დამნაშავეობის შესახებ გაგაჩნიათ რაიმე საბუთი, გარდა თქვენი ძმის ნათქვამისა და მისი სახის გამომეტყველებისა?
- დიახ, სხვა არ გამაჩნია.
პროკურორმა დაკითხვა შეწყვიტა. ალიოშას პასუხებმა პუბლიკას იმედები გაუწბილა. სმერდიაკოვის შესახებ ჩვენს ქალაქში სასამართლომდე ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაცამ რაღაც თქვაო, ვიღაცამ მას ხელი დაადოო, ალიოშასაც ასახელებდნენ, თითქოს მას გააჩნდა დამამტკიცებელი საბუთები ძმის სასარგებლოდ და ლაქიის დანაშაულში მხილებისათვისო. ახლა კი - სასამართლოზე აღმოჩნდა, რომ ალიოშას არავითარი ამდაგვარი საბუთი არ ჰქონდა, ის მხოლოდ ზნეობრივ მოსაზრებებს გამოთქვამდა, რაც, რასაკვირველია, ბუნებრივია განსასჯელის ღვიძლი ძმისათვის.
დაკითხვა ფეტიუკოვიჩმა გააგრძელა. დამცველის კითხვაზე: როდის უთხრა განსასჯელმა ალიოშას, რომ მამა სძულდა და შეეძლო მისი მოკვლა, ეს უშუალოდ მკვლელობის წინ ხომ არ იყოო, ალიოშა, სანამ უპასუხებდა, მოულოდნელად შეკრთა, თითქოს იმ წამს რაღაც გაახსენდა:
- მე ახლა მახსენდება ერთი გარემოება, რომელიც კინაღამ სულ გადამავიწყდა? მაშინ ყოველივე გაურკვეველი იყო, ახლა კი...
და აღფრთოვანებულმა ალიოშამ დაიწყო გახსენება. ეტყობოდა, მოულოდნელად წამოუტივტივდა ეს ეპიზოდი გონებაში. გაახსენდა მიტიასთან ის ბოლო შეხვედრა საღამოს, ხესთან, მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, როცა მიტია „მკერდის ზედა ნაწილში“ მჯიღს იბრაგუნებდა და რამდენჯერმე თქვა, რომ მას გააჩნია საშუალება, აღიდგინოს შელახული ღირსება, ეს საშუალება კი აქა აქვს, მკერდზე... „მაშინ მე გავიფიქრე, რადგან იგი მკერდზე ირტყამს მჯიღს, ალბათ გულს გულისხმობს-მეთქი, - გააგრძელა ალიოშამ, - რომ საკუთარ თავში მონახავდა ძალას, რითაც შეძლებდა იმ საშინელი სირცხვილის ჩამორეცხვას, რომელიც ელოდა და რომელსაც მაშინ მეც კი არ მიმხელდა. ვაღიარებ, მაშინ გამიელვა აზრმა, რომ ის ამას მამაზე ამბობდა, რომ მას სირცხვილისაგან ტანში ზარავდა იმის გაფიქრებაც კი, როგორ უნდა მისულიყო მამასთან და ჩაედინა რაღაც ძალადობა. ის ამ დროს რაღაცას მაჩვენებდა მკერდზე. მაგონდება, მაშინ ჩემთვის გავიფიქრე, რომ გული სულაც არ იყო იმ ადგილას, სადაც მაჩვენებდა, გული გაცილებით ქვემოთ ჰქონდა, ის კი მჯიღს გულს ზემოთ ირტყამდა, აი აქ, კისრის ქვემოთ, სულ ამ ადგილს მიმანიშნებდა. მაშინ ჩემი ფიქრი სისულელედ მომეჩვენა. ახლა კი მგონია, მიტია სწორედ იმ ქისაზე მიმანიშნებდა, რომელიც კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული და რომელშიაც ათას ხუთასი მანეთი ჰქონდა

შენახული!..“
- ზუსტად აგრეა! - ანაზდად წამოიყვირა მიტიამ, - ასე იყო, ალიოშა, ასე, მე მაშინ სწორედ იმას ვურტყამდი მჯიღს!
ფეტიუკოვიჩი საჩქაროდ მივარდა მიტიას და დამშვიდება სთხოვა, შემდეგ ალიოშას ჩააფრინდა. ალიოშა, ამ გახსენებით აღტაცებული, გულმხურვალედ გამოთქვამდა თავის ვარაუდს: ალბათ მიტიას ის ესირცხვილებოდა, რომ მას შეეძლო კატერინა ივანოვნასათვის კისერზე ჩამოკიდებული ათას ხუთასი მანეთის, ანუ ვალის ნახევარის დაბრუნება, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ამ ფულის სხვა მიზნისათვის გამოყენება, კერძოდ გრუშენკას წასაყვანად, თუკი ქალი ამაზე დათანხმდებოდა...
- ეს ასეა, ზუსტად ასეა, - იძახდა აღგზნებული ალიოშა, - მაშინ ჩემი ძმა ყვიროდა: ნახევარი, ნახევარი სირცხვილი მაინც (მან რამდენჯერმე გაიმეორა: ნახევარიო!) შემიძლია ჩამოვირეცხო, მაგრამ ისეთი უბედური ვარ ჩემი ხასიათის გამო, რომ ამას ვერ ვაკეთებ... წინასწარ ვიცი, ვერ შევძლებ, ძალა არ მეყოფა ამის გასაკეთებლადო!
- თქვენ კარგად გახსოვთ, არ გეშლებათ, იგი მჯიღს იმ ადგილას ირტყამდა? - ჩააცივდა ფეტიუკოვიჩი.
- ნათლად და ცხადად! სწორედ მაშინ გავიფიქრე: ნეტა, ასე მაღლა რატომ ირტყამს, გული ხომ დაბლაა-მეთქი, მაშინ ჩემი მოსაზრება სისულელედ მომეჩვენა... კარგად მახსოვს, სისულელედ ჩავთვალე... უცებ გამიელვა თავში ალბათ ახლაც იმიტომ გამახსენდა. ეს როგორ დამემართა, აქამდე რატომ არ გავიხსენე. სწორედ იმ ჭინჭის ქისაზე მიმანიშნებდა, მასში რომ რაღაც თანხა ჰქონდა, მაგრამ პატრონს უკან არ უბრუნებდა! სწორედ მოკროეში დაპატიმრების დროსაც იგი ამის შესახებ გაჰყვიროდა - მე ეს კარგად ვიცი, ყველაფერი წვრილად გადმომცეს, თავის ყველაზე სამარცხვინო საქციელად თვლის იმას, რომ საშუალება ჰქონდა, კატერინა ივანოვნასათვის უკან დაებრუნებინა ნახევარი (სწორედ ნახევარი!) ვალი მაინც და არ დარჩენილიყო მის თვალში ქურდად, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, ფულთან განშორებას ქურდად დარჩენა ამჯობინა! არადა, როგორ იტანჯებოდა, როგორ, ამ ვალის გამო! - ხმამაღლა დასძინა ალიოშამ.
რასაკვირველია, დაკითხვაში პროკურორიც ჩაერთო. მან ალიოშას სთხოვა, კიდევ ერთხელ აეწერა ის შეხვედრა და რამდენჯერმე დაჟინებით ჰკითხა: ზუსტად ახსოვს თუ არა, როდესაც განსასჯელი მკერდში მჯიღს იცემდა, რაღაცას მიანიშნებდა, თუ უბრალოდ ირტყამდა მუშტს მკერდზეო?
- მუშტს არა! - შესძახა ალიოშამ, - თითებით, სწორედაც თითებით მიმანიშნებდა, აი აქ, ძალიან მაღლა... როგორ დამავიწყდა ეს დეტალი!
თავმჯდომარემ მიტიას მიმართა - რა შეგიძლიათ თქვათ ამ ჩვენების გარშემოო? მიტიამ დაადასტურა, ყველაფერი ზუსტად ეგრე იყოო, ის ალიოშას ყელსქვემოთ აჩვენებდა იმ ადგილს მკერდთან, სადაც ათას ხუთასი მანეთი ჰქონდა ჩამოკიდებული. ცხადია, ეს სამარცხვინო ამბავი იყო, „სირცხვილი, რომელსაც არ უარვყოფ, ყველაზე სასირცხვილო აქტი ჩემს ცხოვრებაში!“ - ყვიროდა მიტია. „შემეძლო დაბრუნება და არ დავაბრუნე, ყველაზე დიდი სირცხვილი კი ის იყო, წინასწარ ვიცოდი, რომ არ დავაბრუნებდი! ალიოშა მართალია! გმადლობ, ალიოშა!“
ასე დასრულდა ალიოშას დაკითხვა. ამ დაკითხვის შედეგად, ყველაზე

მნიშვნელოვანი ის გარემოება იყო, რომ ერთი ფაქტი მაინც წარმოჩნდა, ერთადერთი ყველაზე მცირე მტკიცება, მაგრამ რაღაც მტკიცება, რომ არსებობდა ჭინჭის ქისა, რომელშიც ათას ხუთასი მანეთი იდო. მაშასადამე, განსასჯელი არ ტყუოდა მოკროეში წინასწარი დაკითხვას დროს, როცა განაცხადა, ეს ათასხუთასი მანეთი „ჩემი იყოო“. გახარებულმა და წამოჭარხლებულმა ალიოშამ მისთვის გამოყოფილ ადგილს მიაშურა. იგი კიდევ დიდხანს თავისთვის ბუტბუტებდა: „როგორ გადამავიწყდა! როგორ გადამავიწყდა! ან ახლა რამ გამახსენა!“

დაიწყო კატერინა ივანოვნას დაკითხვა. მისმა გამოჩენამ დარბაზი გამოაცოცხლა. ქალებმა ლორნეტები და ბინოკლები მოიმარჯვეს, მამაკაცებიც აწრიალდნენ, ზოგიერთი ფეხზეც კი წამოდგა, კარგად რომ დაენახა. მოგვიანებით, ყველა ამტკიცებდა: როცა კატერინა გამოჩნდა, მიტიას „მიტკლისფერი“ დაედოო. ერთიანად შავებში ჩაცმული კატერინა მორიდებულად მიუახლოვდა მისთვის გამოყოფილ ადგილს. ვერ იტყოდი, ღელავსო, პირიქით, გამბედაობა იგრძნობოდა მის ნაღვლიან და დაღვრემილ გამოხედვაში. აქვე უნდა დავუმატო, მოგვიანებით ზოგიერთები ამტკიცებდნენ: იმ წუთებში კატერინა საოცრად კარგად გამოიყურებოდაო. მან ლაპარაკი წყნარად დაიწყო. დარბაზში მისი სიტყვები მკაფიოდ ისმოდა. აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ძალიან ცდილობდა, თავი მშვიდად ეჩვენებინა. თავმჯდომარემ ფრთხილად, დიდი მოწიწებით დაუწყო კითხვების დასმა, თითქოს ეშინოდა, საწყენი არაფერი წამოსცდენოდა და უნდოდა, თანაგრძნობა გამოეხატა ქალის დიდი უბედურების გამო. კატერინამ თავიდანვე დაუფარავად განაცხადა, რომ ის დიდი ხანია, რაც განსასჯელის დანიშნული იყო, „სანამ თავად მან არ მიმატოვაო...“ - წყნარად დაუმატა მან, როცა იმ სამი ათასის შესახებ ჰკითხეს, რომელიც მან მიტიას ანდო ნათესავებისათვის გადასაგზავნად, კატერინამ მტკიცედ თქვა: „ის ფული მისთვის პირდაპირი დანიშნულებით არ მიმიცია; მე მაშინ ვგრძნობდი ფული რომ ძალიან სჭირდებოდა... იმ მომენტში... მე მას იმ პირობით მივეცი, რომ თუ სურვილი ექნებოდა, მთელი ერთი თვის განმავლობაში გადაეგზავნა. შემდგომშიც ტყუილად გაიწამა თავი ამ ვალის გამო...“

მე აქ არ მოვიყვან ყველა კითხვას, რომელიც კატერინას დაუსვეს, მხოლოდ შევეცდები, გადმოვცე მისი ჩვენების არსი.

- მე მტკიცედ მჯეროდა, ის ყოველთვის მოასწრებდა ამ სამი ათასის გადაგზავნას, როგორც კი მამამისი ფულს მისცემდა, - განაგრძო კატერინამ, - ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული მის უანგარობასა და პატიოსნებაში. დიდად პატიოსანი პიროვნებაა... ფულის საკითხებში. მას ღრმად სწამდა, მამამისი სამი ათას მანეთს რომ მისცემდა, ამის შესახებ რამდენჯერმე უთქვამს. მე ვიცოდი მამა-შვილის ცუდი დამოკიდებულების შესახებაც, ყოველთვის მჯეროდა და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მამამისმა ის დაჩაგრა. მე არ მახსოვს არც ერთი მუქარა, რომელიც მას ოდესმე გამოეთქვას მამამისის მისამართით, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანდასწრებით. მაშინაც კი, ჩემთან რომ მოსულიყო, დავაწყნარებდი იმ სამი ათასის ვალის თაობაზე, მაგრამ ის ჩემთან აღარ მოდიოდა... მე თავად... მე თავად ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი... არ შემეძლო მისი მოხმობა... და არც არავითარი უფლება მქონდა მომეთხოვა ვალი, - დაუმატა მან და ხმაზე შეეტყო, რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება რომ მიიღო, - ერთხელ მე თავად მივიღე მისგან ფულადი სესხი, გაცილებით მეტი რაოდენობის, ისე რომ,

არც კი ვიცოდი, ოდესმე მომავალში შევძლებდი თუ არა მის გადახდას...
მის ხმაში გაისმა რაღაც გამოწვევის მსგავსი. სწორედ ამ დროს დაკითხვა გააგრძელა ფეტიუკოვიჩმა.
- ეს აქ არ მომხდარა, ეს ხომ თქვენი ნაცნობობის დასაწყისში მოხდა? - ფრთხილად მიუახლოვდა ფეტიუკოვიჩი, ეტყობოდა, თავისთვის სასარგებლო რამ იყნოსა (ფრჩხილებში შევნიშნავ: მიუხედავად იმისა, რომ ფეტიუკოვიჩი პეტერბურგიდან ნაწილობრივ კატერინას მიერაც იყო ჩამოყვანილი, მან არაფერი იცოდა ხუთი ათასი მანეთის ეპიზოდის შესახებ. კატერინამ ეს ამბავი დამცველს დაუმალა! ეს კი ძალიან საკვირველი იყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თავად კატერინამ უკანასკნელ წუთებამდე არ იცოდა: მოჰყვებოდა თუ არა პროცესზე ამ ეპიზოდს).
არასოდეს, არასოდეს დამავიწყდება ეს წუთები! კატერინამ დაიწყო მოყოლა: მან დაწვრილებით ყველაფერი აღწერა, მთლიანად ის ამბავი, რომელიც მიტიამ ალიოშას უამბო. არც „მიწამდე თავის დაკვრა“ გამორჩენია, არც მიზეზები, რამაც ის მიტიასთან მიიყვანა, არც მამამისის თავგადასავალი, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია იმის თაობაზე, მიტიამ მისი დის პირით რომ შემოუთვალა, „ფულის წასაღებად კატერინა ივანოვნა მობრძანდეს ჩემთანო.“ ეს მან დიდსულოვნად დამალა და არ შერცხვა, თავი ისე გამოეყვანა, ახალგაზრდა ოფიცერთან სასოწარკვეთილებით მოცული, მაგრამ რაღაც იმედის მქონე, ფულის სათხოვნელად რომ მივიდა. ეს რაღაც სასწაული იყო. როცა ამას ვისმენდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა, მაციებდა და მაცხელებდა. მდუმარე დარბაზი ხარბად ყლაპავდა კატერინას ყოველ სიტყვას. ეს იყო უმაგალითო შემთხვევა, ასეთი თავნება და ამპარტავანი ქალიშვილისაგან არავინ ელოდა ამდაგვარ აღიარებას, ასეთ მსხვერპლსა და თავდადებას. რისთვის? ვისთვის? იმისათვის, რომ მოღალატე და შეურაცხმყოფელი გადაერჩინა, სასამართლოსთვის მასზე კარგი წარმოდგენა შეექმნა! მართლაც, ოფიცერი, რომელმაც თავისი უკანასკნელი ფული, ხუთი ათასი, მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების სარჩო, თავის მდაბლად დაკვრით გადასცა უბიწო ქალიშვილს, ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა. მაგრამ... გული მითქვამდა! ვგრძნობდი შემდგომში, რაც მოხდებოდა (და მოხდა კიდეც, მოხდა!). პროცესის დამთავრების შემდეგ ღვარძლიანად ჭორაობდნენ: ამ ეპიზოდს რაღაც აკლია, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც ოფიცერმა ქალიშვილი „თითქოს თავის მდაბლად დაკვრით“ გაუშვაო. ეჭვი ეპარებოდათ იმაში, რომ ამ ადგილას რაღაც ბოლომდე არ იყო თქმული. „ბოლომდე სრული სიმართლე რომც თქმულიყო, - ამბობდნენ ჩვენი ქალაქის ყველაზე ღირსეული ქალები, - კაცმა არ იცის, ქალიშვილი ქალისათვის ეს კეთილშობილური ნაბიჯი, გადადგმული თუნდაც მამის რეპუტაციის გადასარჩენად, გამამართლებელია თუ არა?“ ნუთუ ასეთმა გონიერმა და ავადმყოფურად წინდახედულმა ქალმა, როგორსაც კატერინა წარმოადგენდა, წინასწარ ვერ განსაზღვრა, რას იტყოდნენ მასზე? იცოდა, რასაც იტყოდნენ, მაგრამ მაინც ყველაფერი თქვა! ცხადია, ეს ბინძური ეჭვები კატერინას ნაამბობის სრული სიმართლის თაობაზე მოგვიანებით გაჩნდა, თავდაპირველად ყველა შეძრწუნდა. რაც შეეხება სასამართლოს წევრებს, ისინი კატერინას მოწიწებით უსმენდნენ და მორცხვად დუმდნენ. პროკურორსაც კი ამ თემის ირგვლივ ერთი კითხვა არ დაუსვამს. ფეტიუკოვიჩმა ღრმა პატივასცემის ნიშნად თავი მდაბლად დაუკრა... ძალიან გახარებული იყო! დაცვამ ბევრი რამ შეიძინა: კაცი, რომელიც

კეთილშობილურ საქციელს სჩადის, უკანასკნელ ხუთი ათასს უანგაროდ გასცემს, შემდეგ კი სამი ათასის გულისათვის საკუთარ მამას კლავს - ეს ორი ამბავი ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ყოველ შემთხვევისათვის, ფეტიუკოვიჩს გაქურდვის მუხლის მოხსნა შეეძლო. „საქმე“ რაღაც სხვა კუთხით გაშუქდა. მიტიას მიმართ რაღაც სიმპათიები გაჩნდა. ის კი... მოგვიანებით იგონებდნენ, კატერინას ჩვენების დროს ერთი-ორჯერ ფეხზე წამოხტა, შემდეგ უკან დაენარცხა და სახე ორივე ხელებით დაიფარა. როცა კატერინამ ჩვენება დაამთავრა, მიტიამ მოთქმით შესძახა:
- კატია, რატომ დამღუპე!
და ხმამაღლა ატირდა. თუმცა თავს მალე მოერია და ისევ იყვირა:
- ახლა კი ნაღდად მომისჯიან!
შემდეგ ერთ ადგილას გაშეშდა, კბილი კბილს დააჭირა და გულხელი დაიკრიფა. კატერინა დარბაზში მისთვის განკუთვნილ ადგილზე ჩამოჯდა. სახეზე მიტკლის ფერი ედო და თავჩაქინდრული იჯდა. მის მეზობლად მსხდომნი შემდგომში ყვებოდნენ, რომ მას დიდი ხნის განმავლობაში მთელი სხეული უკანკალებდა. დასაკითხად გრუშენკა გამოიძახეს.
ახლა მე ვუახლოვდები იმ უეცრად მომხდარ კატასტროფულ მომენტს, რომელმაც, შესაძლებელია, მართლაც, დაღუპა მიტია. რადგან დარწმუნებული ვარ, და არა მარტო მე, პროცესის შემდეგ ყველა იურისტი ამას ამბობდა - რომ არ ყოფილიყო ეს ეპიზოდი, დამნაშავის მიმართ, სულ მცირე, რაღაც შეწყალებას მაინც გამოიჩენდნენო, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით, ახლა კი ორიოდე სიტყვას გრუშენკაზე გეტყვით.
დარბაზში ისიც შავებში გამოწყობილი გამოცხადდა, მხრებზე თავისი მშვენიერი შალი ჰქონდა მოგდებული და თავისებური, ნარნარი და უხმო სიარულით, ოდნავ რწევა-რწევით, როგორადაც მსუქან ქალებს სჩვევიათ ხოლმე, მიუახლოვდა ბალუსტრადას. ის დაჟინებული მისჩერებოდა თავმჯდომარეს და ერთხელაც არ გაუხედავს არც მარჯვნივ და არც მარცხნივ. ჩემი აზრით, გრუშენკა ძალიან კარგად გამოიყურებოდა, სულაც არ იყო ფერმიხდილი, როგორც შემდგომ ირწმუნებოდნენ ქალები. იმასაც ამბობდნენ, რომ გაავებული და დაძაბული სახე ჰქონდაო. მე კი ვფიქრობ, გრუშენკას აღიზიანებდა ჩვენი სკანდალური პუბლიკის ცნობისმოყვარე და ზიზღნარევი მზერა. ეს ქალი ამაყი პიროვნება იყო. ვერ იტანდა მისდამი ვინმეს მხრიდან სიძულვილის გამოვლინებას. როგორც კი ვინმეს სიძულვილს იგრძნობდა, მაშინვე რისხვა შეიპყრობდა და სამაგიეროს გადახდის სურვილით აღივსებოდა ხოლმე. ამავე დროს, მასში შეიმჩნეოდა რაღაც შიში და ამ შიშის გამო შინაგანი სირცხვილის გრძნობა, ამიტომაც, არაა გასაკვირი, არათანაბრად რომ ლაპარაკობდა - ხან გაბრაზებული, ზიზღნარევი და უხეში ტონით, ხანაც მის ხმაში გაიჟღერებდა საკუთარი თავის განმკიცხველი და საკუთარი დანაშაულის გამო გულწრფელი სინანული. ხანდახან ისე იტყოდა, თითქოს თავგანწირული უფსკრულისაკენ მიექანებოდა: „აწი ყველაფერი სულერთია, რაც უნდა, ის მოხდეს, მე მაინც ვიტყვიო...“ ფიოდორ პავლოვიჩთან თავისი ნაცნობობის შესახებ მან მოკლედ მოჭრა: „არაფერი ისეთი, განა ჩემი ბრალია, ის რომ გადამეკიდა?“ ერთი წუთის შემდეგ დაუმატა; „ყველაფერი ჩემი ბრალია, მე დავცინოდი ერთსაც და მეორესაც - მამასაც და შვილსაც - მე მივიყვანე ისინი ამ მდგომარეობამდე, ყველაფერი ჩემ გამო მოხდა.“ როცა საქმე სამსონოვს შეეხო: „ვისი რა საქმეა, - იმ წამსვე უხეშად მოიგერია მან, - ის ჩემი

კეთილისმყოფელი იყო, მან შიშველ-ტიტველი წამომიყვანა, როცა მშობლებმა სახლიდან გამომაგდეს.“ თავმჯდომარემ თავაზიანად შეახსენა, კითხვებს პირდაპირ უპასუხეთ, არაა საჭირო ზედმეტი წვრილმანებიო. გრუშენკა გაწითლდა და თვალები აენთო.
ფულიანი პაკეტი პირადად თვალით არ უნახავს, მხოლოდ იმ „უკეთურისგან“ ჰქონდა გაგონილი, რომ ფიოდორ პავლოვიჩს შენთვის პაკეტი აქვს გამზადებული, რომელშიაც სამი ათასი მანეთი დევსო. „მე ყველაფერი ეს სისულელედ მიმაჩნდა, ვიცინოდი, არავითარ შემთხვევაში იქ წამსვლელი არ ვიყავი...“
- ვის გულისხმობდით „უკეთურში“? - ჰკითხა პროკურორმა.
- ვისა და იმ ლაქიას, სმერდიაკოვს, თავისი ბატონი რომ მოკლა და გუშინ კი თავი ჩამოიხრჩო.
რასაკვირველია, უმალვე ჰკითხეს: რის საფუძველზე ლაპარაკობთ ასე დაბეჯითებით სმერდიაკოვის დანაშაულზეო. მაგრამ მასაც არავითარი საფუძველი არ აღმოაჩნდა.
- ასე მითხრა დმიტრი ფიოდოროვიჩმა, იმისი კი გჯეროდეთ. ისე კი, ყველაფერი ამ ქალის ბრალია, დიახაც, ყველაფრის მიზეზი ეგ არის, - თითქოს ზიზღისაგან შეაჟრჟოლა, ისე დაუმატა გრუშენკამ. მის ხმაში ბოროტმა კილომ გაიჟღერა...
კვლავ დაინტერესდნენ, ვისზე იყო ლაპარაკიო.
- ამ ქალბატონზე, კატერინა ივანოვნაზე მოგახსენებთ. ერთხელ თავისთან მიმიწვია, შოკოლადით გამიმასპინძლდა, ჩემი მოთაფლვა უნდოდა. სირცხვილის ნატამალიც არ გააჩნია, დიახაც...
ამ სიტყვების გაგონებაზე თავმჯდომარე გამკაცრდა და გრუშენკას მოუწოდა, შეერბილებინა თავისი გამონათქვამები, მაგრამ ეჭვიანი ქალი ისე გაწიწმატებული იყო, უკვე არაფერს დაგიდევდა...
- მოკროეში დაპატიმრების დროს, - გაიხსენა პროკურორმა, - ყველამ ნახა და გაიგონა, თუ როგორ გამოვარდით მეორე ოთახიდან და იყვირეთ: „ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, შენთან ერთად წამოვალ კატორღაშიო!“ გამოდის, თქვენ იმ წუთებში გჯეროდათ, რომ ის მამისმკვლელი იყო...?
- იმჟამინდელი ჩემი გრძნობები არ მახსოვს, - უპასუხა გრუშენკამ, - მაშინ ყველა ყვიროდა, მამისმკვლელიაო, მე კი იმ წუთებში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მან ჩემი გულისათვის მოკლა მამა. მაგრამ როგორც კი თქვა, ბრალი არ მიდევსო, მაშინვე დავუჯერე, ახლაც მჯერა და ყოველთვის დარწმუნებული ვიქნები, ეს ის კაცი არ არის, რომ მოიტყუოს...
დაკითხვა ფეტიუკოვიჩმა გააგრძელა. სხვათაშორის, კარგად მახსოვს, მან გრუშენკას რაკიტინზე და იმ ოცდახუთი მანეთის შესახებ ჰკითხა, „რისთვისაც მან თქვენთან ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვი მოიყვანაო“.
- რა არის იმაში გასაკვირი, ფული რომ აიღო, - ზიზღნარევი სიცილით თქვა გრუშენკამ, - ის ხომ ყოველდღე ჩემთან იჯდა და ფულზე მეჯიჯღინებოდა, თვეში ოცდაათ მანეთამდე მაინც გამომტყუებდა ხოლმე, ეს ფული გართობისათვის უნდოდა, თორემ ჭამა-სმისათვის უჩემოდაც შოულობდა.
- რა იყო მიზეზი თქვენი გულუხვობისა ბატონი რაკიტინის მიმართ? - დაინტერესდა ფეტიუკოვიჩი, მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარის აწრიალება შენიშნა.
- ის ხომ ჩემი დეიდაშვილია, დედაჩემი და მაგის დედა ღვიძლი დები არიან.

გაუთავებლად მეხვეწებოდა, არ გამემხილა ჩვენი ნათესაობა, ძალიან რცხვენოდა ამის.
ეს ახალი ფაქტი ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამის შესახებ არც ქალაქში და არც მონასტერში არავინ არაფერი იცოდა, მიტიამაც არა იცოდა რა. შემდგომში ჰყვებოდნენ, რაკიტინს სახე ჭარხალივით გაუხდაო. გრუშენკამ ჯერ კიდევ დარბაზში შემოსვლამდე გაიგო, რომ რაკიტინმა ჩვენება მიტიას საწინააღმდეგოდ მისცა და ამიტომაც იყო მასზე დაბოღმილი. ბატონი რაკიტინის ამასწინანდელი მოხსენებით გამოწვეული ეფექტი, მისი კეთილშობილება და შეხედულებები ბატონ-ყმობის და რუსეთის სამოქალაქო მოწყობის თაობაზე - ყველაფერი ეს საზოგადოებრივი აზრის თვალში გაქრა და გაცამტვერდა. ფეტიუკოვიჩი ძალიან კმაყოფილი დარჩა: ბედმა ისევ გაუღიმა. ისე კი გრუშენკას დაკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა და არც შეეძლო მას რაიმე ახალი ეთქვა. პუბლიკაზე მან საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ასობით ზიზღნარევმა მზერამ გააცილა ის, როდესაც ჩვენების მიცემა დაამთავრა და კატერინასაგან კარგა მოშორებით ჩამოჯდა დარბაზში. სანამ გრუშენკას დაკითხვა მიმდინარეობდა, მიტიას ხმა არ ამოუღია, იგი თავდახრილი იჯდა და იატაკს ჩასცქეროდა.
დარბაზში შემოვიდა მოწმე ივან ფიოდოროვიჩი.

V უეცარი კატასტროფა

აქვე მინდა მოგახსენოთ, ივანი ალიოშამდე გამოიძახეს, მაგრამ სასამართლოს ბოქაულმა თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ იგი შეუძლოდ გახდა რაღაც შეტევის გამო, ამიტომ ჯერჯერობით მოწმედ ვერ გამოვა, როგორც კი გამოჯანმრთელდება, მზადაა, ჩვენება მისცესო. ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ყველაფერი შემდგომში გახდა ცნობილი. პირველ წუთებში მისი გამოჩენა თითქმის შეუმჩნეველი დარჩა: მთავარი მოწმეები უკვე დაკითხულები იყვნენ, განსაკუთრებით, ორი მეტოქე ქალი; ჯერჯერობით პუბლიკის ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო. პუბლიკა ცოტა გადაიღალა კიდეც. დასაკითხი კიდევ რამდენიმე მოწმე დარჩა, რომელთაც არაფერი განსაკუთრებულის დამატება არ შეეძლოთ. დრო კი გადიოდა. უზადოდ ჩაცმული ივანი საოცრად ნელა, დავდახრილი შემოვიდა. არავისაკენ გაუხედავს. კოპებშეკრული, ღრმა ფიქრებში იყო წასული. გამომეტყველება ავადმყოფური ჰქონდა: სახეზე მომაკვდავი კაცის მსგავსად მიწისფერი ედო. მან ამღვრეული თვალებით გადახედა დარბაზს. უცებ ალიოშა სკამიდან წამოხტა და ამოიკვნესა: ვაი! ეს კარგად მახსოვს. მაგრამ ამას ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება.
მოსამართლემ ივანს შეატყობინა, რომ იგი ფიცგარეშე მოწმეა, მისი ნებაა, კითხვას პასუხს გასცემს თუ არა, ყველა ჩვენება საკუთარი სინდისით უნდა იყოს ნაკარნახევი და ა.შ. და ა.შ. ივანი თვალებამღვრეული მიშტერებოდა მოსამართლეს; უცებ სახეზე ღიმილი მოეფინა და როგორც კი მისმა შემხედვარე გაკვირვებულმა თავმჯდომარემ მოათავა თავისი სიტყვა, გადაიხარხარა.
- კიდევ რა? - ხმამაღლა იკითხა მან.

დარბაზი გაიტრუნა, თითქოს რაღაც იგრძნეს. თავმჯდომარე აღელდა.
- თქვენ... იქნებ ჯერ არ გამოჯანმრთელებულხართ? - თქვა მან და თვალებით სასამართლოს ბოქაულის ძებნა დაიწყო.
- ნუ წუხდებით, თქვენო აღმატებულებავ, მე საკმაოდ ჯანმრთელი ვარ და შემიძლია, ძალიან საინტერესო რამ გიამბოთ, - სავსებით თავაზიანად და მშვიდად უპასუხა ივანმა.
- თქვენ რაიმე განსაკუთრებული შეტყობინება გაქვთ? - კვლავ უნდობლად გააგრძელა თავმჯდომარემ.
ივანმა თავი დახარა, ერთხანს შეყოვნდა, შემდეგ ისევ ასწია თავი და ენაბლუსავით უპასუხა:
- არა, არა მაქვს... არაფერი განსაკუთრებული.
დაკითხვა დაიწყო. ივანი თითქოს უხალისოდ, მოკლედ და რაღაცნაირი ზიზღნარევი ტონით პასუხობდა. პასუხები უბრალო და გასაგები იყო. ბევრ კითხვაზე უპასუხა, რომ არაფერი იცოდა მის შესახებ. მიტიასა და მამის ფულადი ანგარიშების თაობაზეც ვერაფერი თქვა. „არავითარი კავშირი არ მქონია," - აღნიშნა მან. მუქარა მამის მოკვლის შესახებ განსასჯელისაგან ჰქონდა გაგებული, ხოლო ფულიანი პაკეტის თაობაზე სმერდიაკოვისაგან.
- ყველაფერი ერთი და იგივეა, - უცებ გადაღლილი გამომეტყველებით თქვა, - მე არაფერი განსაკუთრებული არ შემიძლია მოვახსენო სასამართლოს.
- მე ვხედავ, ავად ბრძანდებით და მესმის თქვენი განცდები... - დაიწყო მოსამართლემ.
როცა მოსამართლემ დააპირა პროკურორისა და დამცველისათვის მიემართა, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები, ივანმა უცებ გატანჯული ხმით ითხოვა:
- გამიშვით რა, თქვენო აღმატებულებავ, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს.
ნებართვისათვის არც დაუცდია, უცებ მობრუნდა და დარბაზიდან გასვლა დააპირა. მაგრამ ოთხიოდე ნაბიჯიც არ გადაუდგამს, გაჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო და უკან, თავის ადგილას დაბრუნდა.
- მე, თქვენო აღმატებულებავ, იმ გლეხის გოგოსავითა ვარ... გახსოვთ, რომ გაიძახოდა, „მინდა ავდგები და მინდა დავჯდებიო", საქორწინო კაბით ფეხდაფეხ უკან დასდევდნენ, ჯვრის დასაწერად რომ წაეყვანათ, ის კი გაუთავებლად იმეორებდა: „მინდა ავდგები, მინდა დავჯდებიო", ეს რომელიღაც ჩვენს კუთხეში იციან...
- რა გინდათ მაგითი თქვათ? - მკაცრად იკითხა თავმჯდომარემ.
- აი, რა, - ანაზდად ივანმა ჯიბიდან ფულის დასტა დააძრო, - აი, ფული. ეს ის ფულია, რომელიც იმ პაკეტში იდო, - მან მაგიდაზე მიანიშნა, რომელზეც ნივთიერი მტკიცებები ელაგა, - რისი გულისთვისაც მამაჩემი მოკლეს. სად დავდო? ბატონო სასამართლოს ბოქაულო, გადაეცით.
ბოქაულმა ფულის დასტა გამოართვა და თავმჯდომარეს გადასცა.
- ეს ფული თქვენთან როგორ გაჩნდა... თუ ეს ნამდვილად ის ფულია? - ჰკითხა გაკვირვებულმა თავმჯდომარემ.
- სმერდიაკოვმა გადმომცა, მკვლელმა, გუშინ. მე მანამდე ვიყავი მასთან, ვიდრე თავს ჩამოიხრჩობდა. სმერდიაკოვმა მოკლა მამა, მიტიას არ მოუკლავს, მან მოკლა, მე კი ვასწავლე, როგორ მოეკლა... ვის არ სურს მამის სიკვდილი?!
- თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? - უნებურად აღმოხდა თავმჯდომარეს
- სწორედაც სრულ ჭკუაზე ვარ... საზიზღარ ჭკუაზე, სწორედ იმნაირ ჭკუაზე ვარ, რა

ჭკუაზე თქვენ და ეს სიფათები... ბრძანდებით! - და იგი უცებ პუბლიკისაკენ
შემობრუნდა, - მამა მოკლეს, თავად კი თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს
შეეშინდათ, - ზიზღისა და ბოროტებისაგან კბილები გააკრაჭუნა, - ერთმანეთს
თავს აწონებენ მატყუარები! ყველას სურს მამის სიკვდილი. ერთი ნაძირალა
მეორე ნაძირალას სჭამს... მამის მკვლელობა რომ არ დამტკიცდეს - ყველა
ნაწყენი და გაბოროტებული წავა აქედან შინ... სანახაობა! „პური და სანახაობა!“
თუმცა მეც კარგი ვინმე ვარ! მომეცით წყალი! გაქვთ აქ ერთი ყლუპი წყალი,
დამალევინეთ, ღვთის გულისათვის! - უცებ მან თავზე ხელები იტაცა.
სასამართლოს ბოქაული უმალვე მასთან გაჩნდა. ალიოშა წამოხტა და დაიყვირა:
„არ დაუჯეროთ, ავადაა, თეთრი ცხელება აქვს“. კატერინაც სასწრაფოდ წამოდგა
და შიშისაგან გაშეშებული მიშტერებოდა ივანს. ფეხზე წამომდგარი მიტია
რაღაცნაირი უცნაური ღიმილით ხარბად უყურებდა და უსმენდა ძმას.
- დამშვიდდით, გიჟი არ ვარ, მე მხოლოდ მკვლელი ვარ! - დაიწყო ისევ ივანმა, -
მკვლელს კი მჭევრმეტყველება არ მოეთხოვება... - უცებ დაუმატა მან და
არანორმალურად გადაიხარხარა.
აშკარად დაბნეული პროკურორი თავმჯდომარისაკენ დაიხარა. სასამართლოს
წევრებიც შეწუხებულები ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ფეტიუკოვიჩი
ყურდაცქვეტილი უსმენდა ყველაფერს. დარბაზი რაღაცის მოლოდინში
გაიტრუნა. თავმჯდომარე უცებ აზრზე მოვიდა.
- მოწმევ, თქვენი სიტყვები გაუგებარია და აქ ასე ლაპარაკი დაუშვებელია. თუ
შეგიძლიათ, დამშვიდდით და გვიამბეთ... თუ რაიმე სიმართლე გაქვთ სათქმელი,
რით შეგიძლიათ დაგვიმტკიცოთ თქვენი აღიარება... უკეთუ არ ბოდავთ?
- საქმეც ის არის, რომ მოწმეები არ მყავს. სულძაღლი სმერდიაკოვი საიქიოდან
არ გამოგიგზავნით ჩვენებას... პაკეტით. თქვენ ხომ სულ პაკეტები გინდათ,
თითქოს ერთი არ იყოს საკმარისი. მოწმეები არ მყავს... ერთის გარდა, -
ეშმაკურად ჩაიცინა მან.
- ვინაა თქვენი მოწმე?
- კუდიანი, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ სხვა ფორმით! le diable n'existe point!
[147] ყურადღებას ნუ მიაქცევთ, საზიზღარი ეშმაკუნაა, - თქვა მან, უცებ სიცილი
შეწყვიტა და კონფიდენციალურად დაუმატა, - ის, ალბათ, ახლაც აქ არის სადმე,
შეიძლება იმ მაგიდის ქვეშაც იყოს, სადაც ნივთმტკიცებები ალაგია, აბა, სად
იჯდება, იქ თუ არა? მისმინეთ: მე მას ვუთხარი, არ მინდა გაჩუმება-მეთქი, ის კი
გეოლოგიური გადატრიალების შესახებ მელაპარაკებოდა... რა სიბრიყვეა!
გაათავისუფლეთ რა, მხეცი.... მან ჰიმნი იმღერა, ვინაიდან მას არ უჭირს! სულ
ერთია, ვინმე მთვრალი მამაძაღლი იღრიალებს „გაემგვზავრა ვანკა პიტერსო“, მე
კი წამიერ სიხარულში მივცემ კვადრილიონ კვადრილიონს. თქვენ მე არ
მიცნობთ! ოჰ, რამდენი სიბრიყვეა აქ! წამიყვანეთ მე მის მაგივრად!
რაღაცისათვის ხომ მოვედი... რა სისულელეა, რატომაა ყველაფერი ასე
სულელური...
მან ისევ ნელ-ნელა, თითქოსდა შეფიქრიანებული მზერა მოავლო დარბაზს.
მაგრამ დარბაზში უკვე ყველა ღელავდა. ალიოშამ წამოხტომა და ივანთან
მისვლა დააპირა, მაგრამ ამასობაში ბოქაულმა ხელი სტაცა ივანს.

- ეს კიდევ რაღაა? - იყვირა მან და პირდაპირ სახეში დაჟინებით მიაცქერდა ბოქაულს. მერმე უცებ მხრებზე ხელები წაავლო და იატაკზე დაანარცხა. ამ დროს პოლიციელები შემოცვივდნენ და სტაცეს ივანს ხელი. ივანმა გიჟივით მორთო ღრიალი. სანამ ის დარბაზიდან გაჰქონდათ, მას ღრიალი არ შეუწყვეტია და ათასნაირ აბდაუბდა ფრაზას გაჰყვიროდა.
დარბაზში ერთი ღრიანცელი ატყდა. ყველაფერი თანმიმდევრობით აღარ მახსოვს, თავადაც აღელვებული ვიყავი და თვალი ყველაფერს ვერ მივადევნე. მხოლოდ ის მახსოვს, რომ შემდგომში ყველა დაწყნარდა, ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. სასამართლოს ბოქაულს მოხვდა, მაგრამ მან თავი იმართლა, მოწმე მანამდე ჯანმრთელი იყო, ერთი საათის წინ ექიმმაც კი გასინჯა, როცა მსუბუქად შეუძლოდ გახდაო; დარბაზში შემოსვლამდეც ნორმალურად ლაპარაკობდა, ასე რომ, წინასწარ რამის განსაზღვრა არაფრით არ შეიძლებოდა, თანაც თავად დაჟინებით მოითხოვდა ჩვენების მიცემასო. სანამ ყველა დაწყნარდებოდა და გონს მოვიდოდა, ამ ამბავს მეორე სცენა მოჰყვა: კატერინას ისტერიკა დაემართა, იგი ხმამაღლა გაჰკიოდა და ქვითინებდა, მაგრამ წასვლას არ აპირებდა, იხვეწებოდა - დარბაზიდან არ გამიყვანოთო. ანაზდად მან კივილით მიმართა თავმჯდომარეს:
- მე მსურს, კიდევ რაღაც შეგატყობინოთ, სასწრაფოდ, სასწრაფოდ! ინებეთ ეს ქაღალდი, ეს წერილია... წაიკითხეთ... ჩქარა, ჩქარა! ეს ამ ნადირის დაწერილია ამის, ამის! - მან მიტიაზე მიუთითა, - ეს მან მოკლა მამამისი, ამაში თავად დარწმუნდებით. ამ წერილში იგი მწერს, როგორ მოკლავს მამას! ის კი ავადაა, ავად, მას თეთრი ცხელება სჭირს!
ასე გაჰკიოდა თავგზააბნეული ქალი. სასამართლოს ბოქაულმა კატერინას თავმჯდომარისაკენ გაწვდილი ქაღალდის ფურცელი გამოართვა. კატერინა სკამზე დაეცა და ათრთოლებული უხმოდ აქვითინდა. იგი კანკალმა აიტანა და თან ყოველნაირად ცდილობდა ხმამაღალი ტირილისაგან თავის შეკავებას, დარბაზიდან რომ არ გაეძევებინათ. თავმჯდომარისათვის გადაცემული ქაღალდი ის წერილი იყო, მიტიამ სამიკიტნოდან რომ გაუგზავნა კატერინას და რომელსაც ივანი „მათემატიკურ მნიშვნელობას“ ანიჭებდა. ვაი რომ, მართლაც, მას მიენიჭა „მათემატიკური მნიშვნელობა“ და რომ ეს წერილი არა, ასე არ დაიღუპებოდა მიტია, ანუ ასეთი მკაცრი არ იქნებოდა მისი სასჯელი! ვიმეორებ, ძალიან ძნელი იყო ყველა წვრილმანისათვის თვალყურის მიდევნება. ახლაც ყველაფერი თვალწინ ისე მიდგას, როგორც ერთი დიდი აურზაური. ალბათ თავმჯდომარემ ახალი დოკუმენტი გააცნო სასამართლოს დანარჩენ წევრებსაც: პროკურორს, დამცველსა და ნაფიც მსაჯულებსაც. ის კი მახსოვს, როცა მოწმის დაკითხვა დაიწყო, მოსამართლემ კატერინას თავაზიანად ჰკითხა: დამშვიდდით თუ არა? კატერინამ სხაპასხუპით წამოიძახა:
- მზადა ვარ, მზად! ხელს არაფერი მიშლის გიპასუხოთ, - დაუმატა მან, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ძალიან შიშობდა, ყურს არ დამიგდებენო. მას სთხოვეს, დაწვრილებით აეხსნა, რა წერილი იყო ეს და როგორ გარემოებაში მიიღო ის?
- წერილი სწორედ ბოროტმოქმედების ჩადენის წინ მივიღე. ის სამიკიტნოშია დაწერილი დანაშაულამდე ერთი-ორი დღით ადრე - ნახეთ, ის რაღაც ანგარიშზეა დაწერილი! - სუნთქვაშეკრული გაჰკიოდა ის, - მაშინ მე მას ვძულდი, ვინაიდან თავად ჩაიდინა საზიზღარი საქციელი, ამ ძროხას რომ გადაეკიდა... კიდევ იმიტომ, რომ ჩემი სამი ათასი მართებდა... დიახ, მას ბრაზი ახრჩობდა იმ სამი

ათასის და მის მიერ ჩადენილი უმსგავსო საქციელის გამო! იმ სამი ათასის ამბავი კი ასე იყო - მე ძალიან გთხოვთ, კარგად მომისმინოთ: სამი კვირით ადრე, სანამ მამას მოკლავდა, იგი დილით ჩემთან მოვიდა. ვიცოდი, ფული სჭირდებოდა, ისიც ვიცოდი, რისთვისაც სჭირდებოდა - ამ ძროხის შეცდენა სურდა, სადღაც უნდოდა გაეტყუებინა. ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდი, რომ მღალატობდა და ჩემი მიტოვება სურდა. სწორედ ამ დროს თვითონ მივეცი მას ფული, თავად შევთავაზე იმ მიზეზით, ვითომ მსურდა, ეს ფული ჩემი დისათვის მოსკოვში ფოსტით გადაეგზავნა. როცა ვაძლევდი, სახეში ჩავაცქერდი და ვუთხარი, შეგიძლია ეს ფული, როცა ისურვებ, მაშინ გადააგზავნო, „თუნდაც ერთი თვის შემდეგ-მეთქი“. მიხვდა, როგორ არ მიხვდა, მე ხომ პირდაპირ ვუთხარი: „შენ ფული გჭირდება იმისათვის, რომ ამ ძროხასთან მიღალატო, აჰა, აიღე, მე თავად გაძლევ, აიღე, შენ თუ ასეთი სინდისგარეცხილი ხარ-მეთქი!“ მისი მხილება მინდოდა. და იცით, რა მოხდა? მან აიღო, წაიღო და თავის ძროხასთან ერთად ერთ ღამეში დაამღერა... მაგრამ ის კარგად მიხვდა, ძალიან კარგად ესმოდა, რომ მე ყველაფერი კარგად ვიცოდი, გარწმუნებთ, ყველაფერს მიხვდა, მაშინვე, როცა ფული მივეცი და ვცდიდი მას: ნუთუ ისეთი უსინდისო იქნები და ფულს აიღებ-მეთქი? თვალებში ვუყურებდი, ისიც თვალებში მიყურებდა და ყველაფერი ესმოდა, ყველაფერი და მაინც აიღო, აიღო და წავიდა!

- მართალი ხარ, კატია! - იყვირა უცებ მიტიამ, - თვალებში გიმზერდი და ვგრძნობდი, ჩემი შერცხვენა რომ გინდოდა, და მაინც ავიღე, ავიღე შენი ფული! გძულდეთ სალახანა, ყველას გძულდეთ, დავიმსახურე!

- განსასჯელო, - იყვირა თავმჯდომარემ, - კიდევ ერთ სიტყვას იტყვით და ვუბრძანებ, დარბაზი დაგატოვებინონ.

- ეს ვალი სტანჯავდა მას, - სხაპასხუპით განაგრძო აკანკალებულმა კატიამ. - მართალია, მას უნდოდა ჩემთვის მისი დაბრუნება, ნამდვილად უნდოდა, მაგრამ ამ ძროხისათვის ფული სჭირდებოდა და რა ექნა, ამიტომაც მოკლა მამა, ფული კი მაინც არ დააბრუნა, ამ ქალბატონთან წავიდა იმ სოფელში, სადაც დააპატიმრეს. იქ კვლავ გაფლანგა ის ფული, რომელიც მოკლულ მამას მოჰპარა. მკვლელობამდე ერთი დღით ადრე კი ეს წერილი მომწერა, მთვრალმა მომწერა. იმავ წამს მივხვდი, წერილი დაბოღმილი კაცის დაწერილი რომ იყო. მან კარგად იცოდა, მე რომ ამ წერილს არასოდეს არავის ვანახებდი, მამამისის მოკვლის შემთხვევაშიც კი, თორემ ამას როგორ დაწერდა. კარგად იცოდა, მე რომ მასზე შურს არ ვიძიებდი და არ დავღუპავდი! წაიკითხეთ, ყურადღებით წაიკითხეთ, თქვენ თავად დაინახავთ, როგორ აღწერა მან წერილში ყველაფერი: როგორ მოკლავდა მამას და სად ჰქონდა იმ უბედურს ფული გადამალული. ნახეთ, კარგად ნახეთ, ერთი ფრაზა არ გამოგრჩეთ: „მოვკლავ, ოღონდ კი ივანი გაემგზავროსო“. ე.ი. წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, როგორ მოკლავდა, - აი, ასე ღვარძლიანად და ექიდნურად ჰკარნახობდა კატერინა სასამართლოს. კარგად ჩანდა, რომ მას ეს საბედისწერო წერილი დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი, - მთვრალი რომ არ ყოფილიყო, ამ წერილს ასე არ დაწერდა. ნახეთ, იქ ყველაფერი წინასწარ არის აღწერილი ზუსტად ისე, როგორც მოხდა, როგორც მოკლა, მთელი პროგრამა!

ასე თავგზაარეული ერთსა და იმავეს იმეორებდა კატერინა და, რასაკვირველია, ამ როლში თავს შერცხვენილად გრძნობდა, თუმცა, ცხადია, ამ ერთი თვის განმავლობაში მოსალოდნელ შედეგს ყოველივეს წინასწარ ჭვრეტდა, როცა

ხანდახან დაბოღმილი გაიფიქრებდა ხოლმე: „ხომ არ წავუკითხო ეს წერილი სასამართლოსო?“ ახლა კი თავი ვეღარ ალაგმა და თავშუკავებლად გადაეშვა უფსკრულში. მახსოვს, სასამართლოს მდივანმა წერილი პუბლიკას მაშინვე წაუკითხა. წერილმა შემაძრწუნებელი რეაქცია გამოიწვია. მიტიას ჰკითხეს: „თქვენი დაწერილია ეს წერილი?“
- ჩემია, ჩემი, - შესძახა მიტიამ, - მთვრალი რომ არ ვყოფილიყავი, არ დავწერდი!... ჩვენ ბევრი რამისათვის გვძულდა ერთმანეთი, კატია, მაგრამ გეფიცები, გეფიცები, მე კიდეც მძულდი და კიდეც მიყვარდი, შენ კი - არა!
ის თავის სკამზე დაეცა და სასოწარკვეთილებისაგან ხელებს იმტვრევდა. პროკურორმა და დამცველმა ჯვარედინი დაკითხვა დაიწყეს. მთავარი კითხვა იყო: „რამ გაიძულათ, ამ დოკუმენტს აქამდე რომ მალავდით, რატომ არ ანახეთ აქამდე იგი სასამართლოს?“
- დიახ, დიახ, ახლახან მოვიტყუე, ჩემდა სამარცხვინოდ, ვიცრუე, მისი გადარჩენა მინდოდა, რადგან მას ასე ვძულდი და ასე ვეზიზღებოდი, - შეშლილივით გაჰკიოდა კატია, - დიახ, საშინლად ვძულდი, ყოველთვის ვეზიზღებოდი, იმ დღიდან, რა დღესაც იმ ფულისათვის, მადლობის ნიშნად ლამის ფეხებში ჩავუვარდი. მე ეს დავინახე... მაშინვე ვიგრძენი, მაგრამ დიდხანს არ მჯეროდა მის თვალებში რამდენჯერ ამომიკითხავს: „შენ მაინც ჩემთან შენი ფეხით მოხვედიო“. ვაი რომ, ვერ გაიგო, ვერ მიხვდა ვერაფერს, რატომ მივედი მასთან, მას მხოლოდ უხამსობა უტრიალებს თავში! ის მხოლოდ თავისი თავით ზომავს ყოველივეს, მისი აზრით, ყველა მაგისნაირია, - კბილების კრაჭუნით წაისისინა უკვე გაშმაგებულმა კატიამ, - ჩემი ცოლად შერთვა კი იმიტომ მოინდომა, რომ მემკვიდრეობას დახარბდა, დიახაც, სწორედ ამიტომ, ამიტომ! ყოველთვის მქონდა ამისი ეჭვი! ოო, ეს ნამდვილი ნადირია! მას ეჭვი არ ეპარებოდა, ჩემი იმჟამინდელი თავის დამცირების გამო, გამუდმებულ შიშში რომ ვეყოლებოდი. ამისათვის ვძულდი და ამის გამო გადაწყვიტა ჩემი ცოლად შერთვა, თავზე რომ დამჯდომოდა და როგორც სურდა, ისე გამოვეყენებინე - აი ამიტომ უნდოდა ჩემი ცოლად მოყვანა! ეს ყველაფერი ასე იყო, ასე! მე ვცდილობდი, დამემარცხებინა იგი ჩემი სიყვარულით, უსაზღვრო სიყვარულით, მზად ვიყავი, მისი ღალატიც კი ამეტანა, მაგრამ ვერაფერს გავხდი, მან ვერაფერი გაიგო. საერთოდ, მას შეუძლია კი რამის გაგება?! ეს ხომ ნადირია! ეს წერილი წინა დღეს მივიღე, საღამოს, სამიკიტნოდან მომიტანეს, იმ დილას კი, იმ დღის დილას, მე ვაპირებდი ყველაფერი მეპატიებინა მისთვის, ყველაფერი, ღალატიც კი.
რასაკვირველია, თავმჯდომარემ და პროკურორმა კატერინას დამშვიდება დაუწყეს. მე დარწმუნებული ვარ, ყველას რცხვენოდა ნერვებაშლილი ქალის ამნაირი აღსარების მოსმენა. მახსოვს, როგორ ამშვიდებდნენ: „ჩვენ გვესმის, თქვენთვის რა მძიმეა ეს ყველაფერი, დაგვიჯერეთ, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ“, კიდევ მრავალი გულის გამამხნევებელი სიტყვა უთხრეს კატერინას, მაგრამ ჩვენება მაინც ამოქაჩეს ისტერიით შეპყრობილ ქალს. ბოლოს კატერინამ დაწვრილებით უამბო, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ივანი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში იმის გამო, რომ ფიქრობდა, როგორ ეშველა ამ „ნადირი და მკვლელი“ ძმისთვის.
- ივანი თავს იწამებდა, - ისტერიულად გაჰკიოდა კატერინა, - უნდოდა, რამენაირად შეემსუბუქებინა მისი დანაშაული. გამომიტყდა, რომ მასაც სძულდა მამა და, შესაძლოა, მასაც სურდა მამის სიკვდილი. ოო, ეს არის უაღრესად,

დიდად პატიოსანი პიროვნება! იგი თავისმა სინდის-ნამუსმა გააწამა! ჩემთან ყოველდღე დადიოდა და ყველაფერს მიყვებოდა, მე მისი ერთადერთი მეგობარი ვარ. მაქვს პატივი, განვაცხადო, მე მისი ერთადერთი მეგობარი ვარ! - ეს მან ისე იყვირა და ისე დააბრიალა თვალები, თითქოს ვიღაც ედავებოდა, - მან სმერდიაკოვი ორჯერ მოინახულა. ერთხელ მითხრა: თუ მიტიას მამა არ მოუკლავს და ეს სმერდიაკოვმა გააკეთა (ეს არაკი, სმერდიაკოვი რომ არის მკვლელი, ჩვენს ქალაქში დიდი ხანია დადის), მაშინ მეც დამნაშავე ვარ, რადგან სმერდიაკოვმა იცოდა, მე რომ მამა არ მიყვარდა და, შესაძლოა, ფიქრობდა კიდეც, მეც რომ მსურდა მამის სიკვდილიო. მაშინ მე ამოვიღე ეს წერილი და წავაკითხე. იგი ვერ შეჰგუებოდა აზრს, რომ მისი ღვიძლი ძმა მამის მკვლელია! ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ამ ნიადაგზე ავად გახდა. ამ ბოლო ხანებში, როცა ჩემთან მოდიოდა, ბოდავდა. ვხედავდი, როგორ ერეოდა გონება. დადიოდა და თავისთვის ლაპარაკობდა. ეს ქუჩაშიც ბევრმა შეამჩნია. მოსკოვიდან ჩამოსულმა ექიმმა ჩემი თხოვნით გასინჯა და მითხრა, რომ მალე თეთრი ცხელება დაეწყებოდა, - ყველაფერი კი ამის გულისათვის, ამ ნადირის გამო მოხდა! გუშინ კი, როცა სმერდიაკოვის სიკვდილი გაიგო, ამ ამბავმა ისე გაანადგურა, ჭკუიდან შეიშალა... ყველაფერი ამ ნადირის გამო მოხდა, იმისათვის, რომ ეს ნადირი გადაერჩინა!

აბ, რა თქმა უნდა, ასეთი აღსარება ადამიანმა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება თქვას - ისიც სიკვდილის წინ, ან ეშაფოტზე ასვლისას. კატია საკუთარ თავს არ ღალატობდა. ისევ ის კატია იყო, ისევ ის მიზანდასახული კატია, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა მრუშთან მივარდა, მამა რომ გადაერჩინა; ისევ ის ამაყი და უბიწო კატია, რომელმაც ახლახან ყველას წინაშე თავისი ქალწულებრივი კლდემამოსილება მსხვერპლად გაიღო და გაამხილა „მიტიას კეთილშობილური საქციელი“, რომ როგორმე შეემსუბუქებინა მისი მოსალოდნელი მძიმე ხვედრი. აი, ახლაც მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ახლა სხვისათვის და, შესაძლებელია, მხოლოდ ახლა, ამ წუთებში, პირველად იგრძნო, სრულად გაიცნობიერა, როგორი ძვირფასია მისთვის ეს ადამიანი! ახლა მან თავი ივანისათვის გადადო, შეეშინდა, ვაითუ, ივანმა თავისი ჩვენებით - მამის მკვლელი მე ვარ და არა მიტია, თავს რამე არ ავნოს, არ შეებღალოს რეპუტაცია და არ შეელახოს სახელიო! და უცებ თავში საშინელმა აზრმა გამიელვა - იტყუებოდა თუ არა კატერინა, როცა აღწერდა თავის ადრინდელ დამოკიდებულებას მიტიასთან - აი, ეს იყო საკითხავი! არა, არა!.. იგი შეგნებულად ცილს არ სწამებდა მიტიას, როცა გაჰკიოდა, მიტიას ვძულვარ იმჟამინდელი სამადლობელი მიწამდე თავის დაკვრის გამოო! კატიას თავად სჯეროდა, ის ღრმად იყო დარწმუნებული ამაში, რომ სწორედ ამ სამადლობელი თავის დაკვრის შემდეგ ადრე მასზე ალალად შეყვარებულმა მიტიამ შეიძულა ის. თავად კატერინამაც ხომ მხოლოდ და მხოლოდ სიამაყის გამო, შელახული თავმოყვარეობის გამოისობით შეიყვარა მიტია ისტერიული და მტანჯველი სიყვარულით. ეს სიყვარული უფრო შურისძიებას ჰგავდა. იქნებ ეს მტანჯველი სიყვარული გარდაქმნილიყო ნამდვილ სიყვარულად, რაც კატიას ძალიან სურდა, მიტიას ღალატით რომ არ დაეკოდა მისთვის გული, გულმა კი ვერ აპატია. შურისძიების წამი უცებ დადგა. გამწარებულ ქალში ყველა წყენამ ერთად მოიყარა თავი და მოულოდნელად გადმოიღვარა. კატერინამ გაყიდა მიტია, მაგრამ გაყიდა საკუთარი თავიც! როგორც კი კატიამ ლაპარაკი დაამთავრა, დაძაბულობა მოეხსნა, მაგრამ

სირცხვილმა გაანადგურა. ისევ ისტერიკა დაეწყო, დაეცა, ხმამაღლა აქვითინდა და აკივლდა. იგი გაიყვანეს. სწორედ იმ დროს, როცა ის გაჰყავდათ, გრუშენკა კივილით მივარდა მიტიას. მისი შეკავება ვერავინ შეძლო.
- მიტია! - გაჰკიოდა ის, - დაგღუპა შენმა გველმა, მიტია! დახეთ, რა გააკეთა! - იძახდა და ბრაზისგან კანკალებდა. თავმჯდომარის ბრძანებით, გრუშენკა გააკავეს და დარბაზიდან გაყვანა დაუპირეს. ის არ ემორჩილებოდა, ცდილობდა თავის დაღწევას და ისევ მიტიასთან მიბრუნებას. მიტიამაც იღრიალა და გრუშენკასკენ გაიწია, მაგრამ ისიც გააკავეს.
დარწმუნებული ვარ, სეირის საყურებლად მოსული ჩვენი ქალბატონები კმაყოფილი დარჩნენ. ძალზე მდიდრული სანახაობა იხილეს. მახსოვს, შემდეგ მოიწვიეს მოსკოველი ექიმი. მე მგონი, სასამართლოს თავმჯდომარემ მანამდე გაგზავნა ბოქაული, რომ მას ეზრუნა, ივანისთვის დახმარება აღმოეჩინათ. ექიმმა სასამართლოს მოახსენა, რომ ავადმყოფს თეთრი ცხელების ყველაზე მწვავე შეტევა აქვს და აუცილებელია სასწრაფოდ მისი ჰოსპიტალიზირებაო. დამცველისა და პროკურორის კითხვებზე მან დაადასტურა: პაციენტი ამ სამი დღის წინ გავსინჯე და გავაფრთხილე, რომ შესაძლებელია უახლოეს ხანში თეთრი ცხელება დაგეწყოს-მეთქი, მაგრამ მან მკურნალობაზე უარი განაცხადა. „ის, მართლაც, არ იყო სრულ ჭკუაზე, თავად გამომიტყდა, რომ თვალნათლივ ხედავს მოჩვენებებს, ქუჩაში ისეთ ადამიანებს ხვდება, რომლებიც დიდი ხნის გარდაცვლილები არიან, რომ ყოველ ღამე სტუმრად მასთან დადის სატანა,“ - დასძინა ექიმმა. ჩვენების მიცემის შემდეგ ცნობილმა ექიმმა დარბაზი დატოვა. კატერინას წარმოდგენილი წერილი ნივთიერ მტკიცებებს დაურთეს. თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: გაგრძელდეს სასამართლო პროცესი და ორივეს (კატერინასი და ივანის) მოულოდნელი ჩვენება ოქმში იქნეს შეტანილი.
სასამართლო პროცესს მეტს აღარ აღვწერ. შემდგომში გამოსული მოწმეების ჩვენებები ადრე მიცემული ჩვენებების განმეორება და დადასტურება იყო, თუმცა, ცხადია, დამახასიათებელი ნიუანსებით. მაგრამ ერთს გავიმეორებ - პროკურორის სიტყვაში ყველაფერი ერთ წერტილში იყრიდა თავს. ამის შესახებ ქვემოთ მოგიყვებით. მომხდარი უბედურებით ყველა ისე იყო აღგზნებული და დამუხტული, რომ ერთი სული ჰქონდათ, როდის დაიწყებოდა კვანძის გახსნა, პროკურორის და დამცველის გამოსვლები და გამოცხადდებოდა განაჩენი. ფეტიუკოვიჩს ეტყობოდა, შეაძრწუნა კატერინას ჩვენებამ. სამაგიეროდ, პროკურორი მეცხრე ცაზე იყო. როცა სასამართლო მოკვლევა დამთავრდა, შესვენება გამოცხადდა, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს თავმჯდომარემ სასამართლო კამათის დაწყება გამოაცხადა. ალბათ უკვე საღამოს რვა საათი იქნებოდა, როცა პროკურორმა თავისი საბრალდებო მოხსენება დაიწყო.

VI პროკურორის მოხსენება. დახასიათება

იპოლიტ კირილოვიჩმა საბრალდებო მოხსენება ნერვიული კანკალით დაიწყო, შუბლსა და საფეთქლებზე ცივი ოფლი ასხამდა. ტანში სულ მაციებდა და

მაცხელებდაო, მოგვიანებით იგონებდა ის. ამ მოხსენებას თავის უმთავრეს საქმედ თვლიდა, მთელი თავისი ცხოვრების უმთავრეს საქმედ, გედის სიმღერად. მართლაც, სამწუხაროდ, ცხრა თვის შემდეგ იპოლიტ კირილოვიჩი ჩქარი ჭლექით გარდაიცვალა, ასე რომ, ეტყობოდა, თავის აღსასრულს გრძნობდა, ამიტომ შეადარა თავი გედს, რომელიც სიკვდილის წინ მღერის. ამ მოხსენებაში მთელი თავისი გული და სული, ჭკუა და უნარი ჩააქსოვა. ყველასათვის მოულოდნელად, აღმოჩნდა, რომ მოქალაქეობრივი გრძნობებიც გააჩნდა და „წყეული“ კითხვებიც აწუხებდა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი, რამდენის მორევასაც თავად საცოდავი იპოლიტ კირილოვიჩი შეძლებდა. მოხსენება გულწრფელობით გამოირჩეოდა: იპოლიტ კირილოვიჩს ნამდვილად სჯეროდა განსასჯელის დამნაშავეობა; ის თანამდებობიდან გამომდინარე კი არ ადანაშაულებდა მიტიას, როგორც პროკურორი კი არ მოითხოვდა მართლმსაჯულების აღსრულებას, არამედ ჭეშმარიტად შეპყრობილი გახლდათ სურვილით - „გადაერჩინა საზოგადოება“ ამნაირი დამნაშავეებისაგან. იპოლიტ კირილოვიჩის მიმართ მტრულად განწყობილმა ჩვენი ქალაქის ქალთა საზოგადოებამაც კი აღიარა, რომ მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროკურორმა გაბზარული და ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ლაპარაკი, მისი ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა და უფრო და უფრო ჟღერადი ხდებოდა. ასე გაგრძელდა მოხსენების დასასრულამდე, მაგრამ როგორც კი დაამთავრა, ლამის გულწასული დაეცა.
„ბატონებო, - მიმართა ნაფიც მსაჯულებს ბრალმდებელმა, - ამ საქმემ მთელ რუსეთში დიდი გამოძახილი ჰპოვა. თითქოსდა რა არის აქ საკვირველი, რა არის აღსაშფოთებელი? ჩვენ ამნაირ საქმეებს ხომ მიჩვეულები ვართ! საშინელება ის არის, ასეთი საზარელი საქმეები რომ აღარ გვაღელვებს! შემაშფოთებელია ეს ჩვენი განწყობილება და არა ამა თუ იმ ინდივიდუუმის ესა თუ ის ჩადენილი ბოროტმოქმედება. სად ვეძებოთ ჩვენი გულგრილობის ან, უფრო სწორად, ნელთბილი დამოკიდებულების მიზეზები ამნაირი საქმეების, ეპოქის დამახასიათებელ ასეთ ნიშანთა მიმართ, რომლებიც შესაშურ მომავალს არ გვიწინასწარმეტყველებს? ჩვენს ცინიზმში, ჩვენი ჯერჯერობით უმწიფარი, მაგრამ უდროოდ დაჩაჩანაკებული საზოგადოების გონებისა და წარმოსახვის უნარის გამოფიტვაში ხომ არა? საფუძვლიანად შერყეულ ჩვენს ზნეობრივ საწყისებში ან სულაც იმაში ხომ არა, რომ ზნეობა საერთოდ არ გაგვაჩნია? მე ამ საკითხებს ვერ გადავჭრი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან მტანჯველია. ყოველ მოქალაქეს არათუ ჰმართებს, არამედ ვალდებულიცაა, გაითავისოს ისინი და იტანჯოს ამის გამო. ჩვენმა ჯერ კიდევ ახალბედა და მორიდებულმა პრესამ, საზოგადოებას რაღაც სამსახური გაუწია, რადგან მის გარეშე ვერასოდეს გავიგებდით ასე სრულად აღვირახსნილთა და ზნედაცემულთა მიერ ჩადენილ იმ საშინელებათა შესახებ, რასაც გაუთავებლად აღწერენ თავის ფურცლებზე ჟურნალ-გაზეთები. აბა, რას ვკითხულობთ თითქმის ყოველდღიურად? ვაი რომ, ისეთ ამბებს, რომლებთან შედარებით, ახლანდელი საქმე არაფერია და თითქმის ჩვეულებრივსაც წარმოადგენს. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, ჩვენი რუსული, ეროვნული სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა დამადასტურებელია რაღაც საზოგადო, საერთო უბედურებისა, რომელიც მუდამ თან გვდევს და რომელთანაც ბრძოლა, როგორც საერთო ბოროტებასთან, უკვე საკმაოდ ძნელია. თუნდაც ის შემთხვევა გავიხსენოთ, როდესაც ერთმა მაღალი წრის ბრწყინვალე ოფიცერმა, რომელიც ის-ის იყო, იწყებდა თავის ცხოვრებასა და კარიერას,

როგორ უსინდისოდ, ჩუმ-ჩუმად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ყელი გამოსჭრა თავის კეთილისმყოფელ წვრილ მოხელეს და მის მოახლეს, მოიპარა სავალო დოკუმენტი და ფული: „მომავალი კარიერისა და სიამოვნებისათვის გამომადგებაო.“ ყელგამოჭრილ ცხედრებს თავქვეშ სასთუმალი ამოუდო და წავიდა. ანდა მამაცობისათვის ჯვრებით დაჯილდოებული იმ ახალგაზრდა გმირის ამბავი გავიხსენოთ, რომელმაც სიცოცხლეს ყაჩაღურად გამოასალმა თავისი ბელადისა და კეთილმოსურნის დედა. როცა ის თავის ამხანაგებს ამ მკვლელობის ჩასადენად აქეზებდა, ცინიკურად არწმუნებდა მათ, რომ „იმ ქალს ისე უყვარდა, როგორც ღვიძლი შვილი და ამიტომ მის ყველა რჩევას შეასრულებდა და არავითარ სიფრთხილეს არ გამოიჩენდა.“ ამის გამკეთებელი ნამდვილი მხეცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს დროში ასეთები ერთეულებს აღარ წარმოადგენენ. სხვამ შეიძლება ყელი არ გამოგღადროს, მაგრამ გონებაში გაუელვოს ამდაგვარმა სურვილმა, როცა ღამის მყუდროებაში, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ფიქრობს: „საერთოდ, რა არის პატიოსნება, ანდა სისხლით ნათესაობა, დამკვიდრებული პირობითობა ხომ არ არის?“ ასეთი კაცი ისევე სინდისგარეცხილია, როგორც ის, ზემოთნახსენები მხეცი. შესაძლოა, ვინმემ დამადანაშაულოს, რომ მე ავადმყოფი, ისტერიული და ცილისმწამებელი კაცი ვარ, რაღაც-რაღაცები მეჩვენება, ვბოდავ და ვამლაშებ. დაე, ასე იყოს, დაე! - ღმერთო ჩემო, მოხარული ვიქნები, რომ ვცდებოდე! ნუ დამიჯერებთ, ჩამთვალეთ ავადმყოფად, ოღონდ ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ: ჩემს ნათქვამში მეათედი, თუნდაც მეოცედი სიმართლე რომ ერიოს, განა ეს საშინელება არაა?! ხედავთ, ბატონებო, ხედავთ, როგორ ხოცავს ერთურთს ჩვენი ახალგაზრდობა და არც ერთს არ უჩნდება ჰამლეტის კითხვა: „რა გველის იქ?“ ასეთი კითხვა აზრადაც არ მოსდით, თითქოს ჩვენი სულის უკვდავებისა და საიქიო ცხოვრების შესახებ გაგებაში არ არიან და არც არაფერი უნდათ, გაიგონ. ანდა ყურადღება მიაქციეთ ჩვენში დაბუდებულ გარყვნილებას, ჩვენს ავხორცებს. ფიოდორ პავლოვიჩი, ამ მიმდინარე პროცესის მსხვერპლი, მათთან შედარებით უბიწო ჩვილივით გამოჩნდება. არადა, ჩვენ ხომ ვიცნობდით მას, „ის ხომ ჩვენ შორის ცხოვრობდა...“ შესაძლებელია, ოდესმე რუსული ფსიქოლოგია შეისწავლონ დიდმა მოაზროვნეებმა, ჩვენთანაც და უცხოეთში, რადგანაც ეს თემა ამად ღირს. ამის შესწავლა შესაძლებელია დაიწყოს მოგვიანებით, მოცალეობის ჟამს, როცა ყველაფერი ეს, ახლანდელი ტრაგიკული უთავბოლოობა გაივლის, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მისი გაანალიზება, გონივრულად და მიუკერძოებლად მისი განხილვა, ვიდრე ახლა მე და ჩემნაირი ადამიანები შევძლებთ ამას. ახლა ჩვენ ან შეძრწუნებულები ვართ, ან არადა თავი ისე მოგვაქვს, თითქოს შეწუხებულები ვიყოთ, სინამდვილეში სიამოვნებით ვადევნებთ თვალს ამ სანახაობას, როგორც ჩვენი ცინიკურ-მცონარული ყოფის შემძრავი ძლიერი და ექსცენტრული შეგრძნებების მოყვარულები, ანდა საშინელი მოჩვენებებით დამფრთხალი ბალღებივით თავებს ბალიშებს ქვეშ ვმალავთ, სანამ ეს საზარელი ზმანებები არ გაქრება და შემდგომში არ გადაგვავიწყდება ისინი რაიმე თამაშებით გამხიარულებულებს. მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დავიწყოთ ფხიზელი და გააზრებული ცხოვრება, ოდესმე ხომ უნდა შევავლოთ თვალი საკუთარ თავს, როგორც საზოგადოების ნაწილს, რაღაც ხომ უნდა გავიაზროთ ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, ანდა ოდესღაც ხომ უნდა დავიწყოთ ფიქრი: ვინ ვართ და რანი ვართ. ჩვენი დიდი მწერალი[148] თავისი

დიდებული ნაწარმოების ფინალში, სადაც რუსეთი განსახიერებულია, როგორც იდუმალი მიზნისაკენ მსრბოლი ბედაურებშებმული სამცხენა, აღტაცებული იძახის: „ოი, სამცხენავ, ფრთაშესხმულო, ნეტავ ვინ შეგქმნა!“ - და აღტაცებული ამაყად დასძენს, რომ ამ დაოთხებით მსრბოლავ სამცხენას მსოფლიოს ხალხები მოკრძალებით უთმობენ გზას. დაე, ასე იყოს, ბატონებო, დაუთმონ გზა, კეთილი, მოკრძალებით იქნება ეს თუ სხვაგვარად, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მე მგონია, გენიალური მხატვარი, როცა ასე ამთავრებდა თავის ნაწარმოებს ან ყმაწვილური გულუბრყვილო კაზმულსიტყვაობის შეტევა ჰქონდა, ანდა, უბრალოდ, მაშინდელი ცენზურის ეშინოდა. რამეთუ, თუკი იმ სამცხენაში მის გმირებს, სობაკევიჩებს, ნოზდრევებს და ჩიჩიკოვებს შევაბამთ, მაშინ მეეტლე, ვინც უნდა იყოს, ასეთი ცხენებით ვერანაირ სასიკეთო ადგილამდე ვერ მიაღწევს! თანაც ისინი ძველებური ცხენები იყვნენ, რომლებიც დღევანდელებთან ვერ მოვლენ, ახლანდელები უფრო მაგარი...“

ამ ადგილას იპოლიტ კირილოვიჩს სიტყვა გააწყვეტინა დარბაზში ატეხილმა ტაშმა. პუბლიკას რუსული სამცხენას გამოსახვის ლიბერალიზმი მოეწონა. მართალია, ტაში აქა-იქ რამდენიმე კლაკიორმა[149] შემოჰკრა, ამიტომ თავმჯდომარემ საჭიროდ არ ჩათვალა პუბლიკისათვის „დარბაზიდან გაძევების“ მუქარით მიემართა, მხოლოდ მკაცრად გადაიხედა კლაკიორების მხარეს. კირილოვიჩი კი ამ ტაშმა გაამხნევა, რადგან მას ადრე აპლოდისმენტები არასოდეს დაუმსახურებია! აქამდე ამ კაცს არავინ უსმენდა და მოულოდნელად შესაძლებლობა მიეცა, თავისი აზრი მთელი რუსეთის გასაგონად გამოეთქვა!

„მართლაცდა, - განაგრძო მან, - რას წარმოადგენს კარამაზოვების ოჯახი, რომელმაც, სამწუხაროდ, ასეთი ცუდი სახელი გაითქვა მთელ რუსეთში? შესაძლებელია, ცოტას ვამლაშებ, მაგრამ მგონია, ამ ოჯახის სურათში თითქოს აქა-იქ გაიელვებს ხოლმე რაღაც საერთო ძირითადი ელემენტები ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტური საზოგადოებისა - რასაკვირველია, ყველა ელემენტი არა, გაიელვებს ხოლმე მხოლოდ ნაწილი, ისიც მიკროსკოპული სახით, „ვითარცა მზე ერთ წვეთ წყალში“, მაგრამ რაღაცა ხომ მაინც აირეკლა, რაღაც ხომ დაეტყო. გაიხსენეთ ის უბედური, აღვირახსნილი და მრუში ბერიკაცი, „ოჯახის მამა“, ასე სავალალოდ რომ დაასრულა თავისი არსებობა. წარმოშობით ძირძველმა აზნაურმა, ახალგაზრდობაში სხვის კარდაკარ სამადლოდ სარჩენად მოსიარულემ, მოულოდნელი და შემთხვევითი ქორწინების შედეგად პატარა კაპიტალი მიიღო. წვრილმანი თაღლითი და ლაქუცა ტაკიმასხარა დაბადებიდან არცთუ ისე უჭკუო იყო, განსაკუთრებით მევახშის ნიჭი დაჰყვა. წლითიწლობით, კაპიტალის ზრდასთან ერთად, იგი გაყოჩაღდა, დაჩაგრული კაცის კომპლექსი და პირფერობა გაუქრა, მხოლოდ უფრო დამცინავი, ბოროტი ცინიკოსი და თახსირი პიროვნება გახდა. სულიერების ნიშან-წყალიც არ გააჩნდა, მარტოოდენ სიცოცხლის განსაკუთრებული სურვილი ასაზრდოებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ მრუშობით მიღებული სიამოვნებით ცხოვრობდა, ცხოვრებაში სხვა სიამოვნებას ვერ ხედავდა და ამასვე უქადაგებდა თავის შვილებსაც. არავითარი მამობრივი გრძნობა არ გააჩნდა. თავისი შვილები მსახურებს სამოახლოში გააზრდევინა და როცა ვინმე შვილებს თავიდან მოაშორებდა, გახარებული რჩებოდა კიდეც და შემდეგ სამუდამოდ ივიწყებდა მათ. ბერიკაცის ზნეობრივი ცხოვრების წესი დამყარებული იყო შემდეგ გამოთქმაზე - apres moi le deluge[150] - ანტიმოქალაქეობრივ ლოზუნგზე, საზოგადოებისაგან სრულ და მტრულ

განცალკევებაზე: „თუნდაც მთელი ქვეყანა ცეცხლში გაეხვიოს, ოღონდ კი მე ამ ცეცხლმა გამათბოსო“. ის კარგად გრძნობდა თავს, სავსებით კმაყოფილი იყო, დიდი სურვილი ჰქონდა, კიდევ ოცი-ოცდაათი წელი ეცოცხლა. საკუთარ შვილს ანგარიშში ატყუებდა, დედისეულ მემკვიდრეობას სრულად არ უბრუნებდა. ის კი არადა, შვილის ფულითვე მისთვის საყვარლის წართმევაც კი მოიწადინა. არა, მე არ ვაპირებ, დავუთმო განსასჯელის დაცვა პეტერბურგიდან ჩამობრძანებულ მაღალნიჭიერ ვექილს. თავად ვიტყვი სიმართლეს. მე კარგად მესმის ის უკმაყოფილობის გრძნობა, რომელიც მამის მიმართ გულში დაუგროვდა შვილს. გვეყოფა, საკმარისია, დავამთავროთ ამ საცოდავ მოხუცზე ლაპარაკი, მას სამაგიერო მიეზღო. მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ფიოდორ პავლოვიჩი თანამედროვე მამების ერთ-ერთი წარმომადგენელია. ხომ არ გამინაწყენდება საზოგადოება, თუ ვიტყვი, რომ ის ერთ-ერთია მრავალრიცხოვან თანამედროვე მამათა შორის? თუმცა, ვაი რომ, ბევრი თანამედროვე მამა ისე აშკარად ცინიკურად არ ლაპარაკობს, როგორც ის გამოხატავდა თავის აზრებს, ისინი უფრო კარგად აღზრდილები, უფრო მეტად განათლებულები არიან, მაგრამ თავიანთი არსით, თითქმის ისეთივე ფილოსოფია გააჩნიათ, როგორიც მას ჰქონდა. დაე, ჩამთვალეთ პესიმისტად, როგორც გენებოთ. ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ყველაფერს მაპატიებთ. წინასწარ დავთქვათ: თქვენ ჩემი არ გჯერათ, ნუ დამიჯერებთ, მაგრამ გამოთქმის საშუალება მომეცით და ზოგიერთი რამ ჩემი ნათქვამიდან დაიმახსოვრეთ. ახლა ამ ბერიკაცის შვილებზე მოგახსენებთ, მის სამ ნაშიერზე: ერთ-ერთი აგერ, თქვენ წინაშე ზის საბრალდებო სკამზე. მას შეეხება ჩემი გამოსვლა; დანარჩენ ორზე კი გაკვრით მოგახსენებთ. ამ ორი შვილიდან უფროსი ბრწყინვალე განათლების მქონე და საკმაოდ ჭკვიანი თანამედროვე ახალგაზრდაა, მაგრამ იმდენად ურწმუნოა, რომ მან ცხოვრებაში ბევრი რამ უარყო და ხაზი გადაუსვა ისევე, როგორც მისმა მშობელმა მამამ. ის ჩვენთვის, ყველასათვის ნაცნობი პიროვნებაა, თავის დროზე ჩვენმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო. ეს ყმაწვილი თავის აზრებს არასოდეს მალავდა, პირიქით, პირიქით. ამიტომ მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, მასზე გულწრფელად ვილაპარაკო, რასაკვირველია, არა როგორც კერძო პირზე, არამედ როგორც კარამაზოვების ოჯახის წევრზე. გუშინ საღამოს ქალაქგარეთ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ერთმა ავადმყოფმა იდიოტმა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული გახლდათ ამ საქმესთან. მე ვლაპარაკობ სმერდიაკოვზე, ამ ოჯახის ყოფილ მსახურზე და, შესაძლოა, ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვის უკანონო შვილზე. იგი წინასწარი გამოძიების დროს თვალცრემლიანი, ისტერიულ მდგომარეობაში მყოფი მიყვებოდა, თუ როგორი შეძრწუნებული იყო ივან კარამაზოვის სულიერი თავშეუკავებლობით. „მისთვის ამქვეყნად ყველაფერი ნებადართულია, ამიერიდან აღარაფერია აკრძალულიო, აი, ასეთ რამეებს მასწავლიდაო“, - თქვა მან. მე მგონია, ამ იდიოტს ამნაირმა თეზისებმა საბოლოოდ გადაუბრუნა ჭკუა-გონება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ჭკუიდან შეშლისთვის ხელი შეეწყო ან ავ ზნეს, რომელიც ბავშვობიდან სჭირდა, ან იმ უბედურებას, რაც მათ ოჯახში დატრიალდა. მაგრამ ამ იდიოტს თავში ერთი მეტად საინტერესო აზრი მოუვიდა, რომელიც ღირსებას შეჰმატებდა სხვა, მასზე ჭკვიან დამკვირვებელსაც. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ. მან მითხრა: „თუკი რომელიმე შვილი ხასიათით ჰგავს ფიოდორ პავლოვიჩს, ესაა ივან ფიოდოროვიჩი!“ აქ მე შევწყვეტ ივან ფიოდოროვიჩზე

ლაპარაკს, რადგან არადელიკატურად მიმაჩნია მისი გაგრძელება. ცხადია, მე არ მსურს, გავაკეთო რაიმე სამომავლო დასკვნები, არ მინდა, ახალგაზრდა კაცს დავჩხავლო მარტოოდენ დამღუპველი აღსასრული. ჩვენ დღეს ის ვიხილეთ ამ დარბაზში, დავინახეთ, რომ სიმართლის უშუალო ძალა ჯერ კიდევ მოქმედებს მის ახალგაზრდა გულზე, ოჯახისადმი ერთგულების გრძნობა ჯერ კიდევ არ ჩაუხშვია ურწმენობასა და ზნეობრივ ცინიზმს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო და არა ჭეშმარიტად მტანჯველ აზრებთან ჭიდილში. ახლა მესამე ვაჟზე ვილაპარაკოთ. ამ ღვთისმოსავი და თვინიერი ყმაწვილი კაცის მსოფლმხედველობა აბსოლუტურად საპირისპიროა მისი ძმის დამყაყებული მრწამსისაგან. ის ცდილობს, მიეკედლოს „ხალხურ საწყისებს“, ან იმას, რასაც ჩვენში ამ ბრძნულ ცნებას უწოდებს ზოგიერთი თეორეტიკოსი. თქვენთვის უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ის მონასტერში ცხოვრობდა და კინაღამ მონაზვნად აღიკვეცა. მე ასე მგონია - იგი რაღაც გაუცნობიერებლად და ნაადრევად შეიპყრო გამოუთქმელმა სასოწარკვეთამ, რომელშიაც ახლა ჩვენი საცოდავი საზოგადოების ბევრი წევრია ჩავარდნილი, ირგვლივ გამეფებული ცინიზმისა და საზოგადოების გახრწნის შიშით. ისინი ამ უბედურებას ევროპულ განათლებას აბრალებენ და ამიტომაც, როგორც თავად აცხადებენ, „მშობლიურ მიწას“ ეხუტებიან, როგორც მკერდგამშრალ დედას ეხუტება მოჩვენებებისაგან დამფრთხალი ბალღი, რომ მის მკერდთან მშვიდად მიიძინოს და მთელი ცხოვრება ასე იძინოს, ოღონდ კი შემდგომში აღარ იხილოს ის გულშემზარავი საშინელებები. მე, ჩემდა თავად, ყოველივე კარგს ვუსურვებ ამ ნიჭიერ და კეთილ ახალგაზრდას, ხალხური საწყისებისაკენ მიმართული ყმაწვილური სული და მისწრაფებები მომავალში არ გადაექცეს (როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე), ზნეობრივი თვალსაზრისით პირქუშ მისტიციზმად, ხოლო, მოქალაქეობრივი გაგებით, ჩლუნგ შოვინიზმად - ერისათვის ამ ორ თვისებას მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე მცდარად გაგებულ და ფუჭად შეძენილ, ევროპული განათლებისაგან გამოწვეულ ნაადრევ ზნედაცემულობას, რაც მის უფროს ძმას სჭირს“.
შოვინიზმისა და მისტიციზმის ხსენებაზე აქა-იქ ისევ ტაში გაისმა. ცხადია, იპოლიტ კირილოვიჩმა ცოტა გადაამლაშა, ნათქვამს ძალიან ცოტა კავშირი ჰქონდა განსახილველ საქმესთან, ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყველაფერი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. მაგრამ, რა ექნა, ჭლექიან და გაბოროტებულ კაცს ცხოვრებაში ამჯერად ძალიან მოუნდა, ერთხელ მაინც რაღაც ეთქვა. შემდგომში ჩვენთან იმასაც ამბობდნენ, ივან ფიოდოროვიჩის დახასიათება ძალიან არადელიკატური გამოუვიდა, ბოღმა იგრძნობოდა, ალბათ იმიტომ, რომ ერთი-ორჯერ საჯარო კამათის დროს ივანმა მას პირში ბურთი ჩასჩარა და ახსოვდა რა ეს, იპოლიტ კირილოვიჩმა შურისძიება გადაწყვიტაო. არ ვიცი, შეიძლებოდა თუ არა ასეთი დასკვნის გამოტანა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჯერ შესავალი იყო, შემდეგ პროკურორი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.
„ახლა თქვენ წინაშე განსასჯელის სკამზე ზის ამ თანამედროვე ოჯახის პირმშო, - გააგრძელა იპოლიტ კირილოვიჩმა, - აქ ჩვენ წინაშე გადაიშალა მთელი მისი ცხოვრება და საქმენი საგმირონი. დღეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ გამოაშკარავდა. თავისი ძმების „ევროპეიზმისა“ და „სახალხო საწყისების“ საპირისპიროდ, ის განასახიერებს უშუალოდ რუსეთს - ცხადია, არა ყველა რუსს, ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა რომ ასეთი ვიყოთ! და მაინც აქ, ამ დარბაზში, რუსეთის სუნი ტრიალებს, დედა-რუსეთის ხმა გვესმის. დიახ, ჩვენ ძალიან

უშუალოები ვართ, კეთილისა და ბოროტის საოცარ შენარევს წარმოვადგენთ, ჩვენ გვიყვარს განათლება და შილერი, ამავე დროს, ჩვენ შეგვიძლია სამიკიტნოებში ალიაქოთის ატეხვა და ჩვენი თანამეინახე ლოთების წვერებით თრევა. დიახ, ხანდახან ჩვენც შეგვიძლია კარგები და მშვენიერები ვიყოთ, ცხადია მაშინ, როცა თავად კარგად და მშვენივრად ვგრძნობთ თავს. პირიქით, ჩვენ შეპყრობილები ვართ - სწორედაც შეპყრობილები - კეთილშობილი იდეებით, მხოლოდ ერთი პირობით, თუ ისინი თავისთავად განხორციელდება, თუ მზამზარეულს მოგვართმევენ, რაც მთავარია, მუქთად, უსასყიდლოდ, ჩვენ რომ არაფრის გაღება არ დაგვჭირდეს. რაიმეს გაღება კი ძალიან არ გვიყვარს, სამაგიეროდ, გვიყვარს აღება, ეს ყველაფერს ეხება. მოგვეცით, მოგვეცით ამა სოფლის ყველანაირი სიკეთე (სწორედაც ყველანაირი, ცოტა არ გვაკმაყოფილებს), განსაკუთრებით, ჩვენს ზნე-ჩვეულებებს ნუ შეეწინააღმდეგებით და დაგიმტკიცებთ, როგორი კარგები და მშვენიერები ვართ. ჩვენ არ ვართ გაუმაძღრები, არა, მაგრამ თუ ბლომად ფულს შემოგვთავაზებთ, რაც შეიძლება ბევრ ფულს, თქვენ ნახავთ, როგორი დიდსულოვნები გავხდებით, ხელის ჭუჭყისადმი ზიზღით გამსჭვალულები, როგორ მივფანტ-მოვფანტავთ ამ ფულს თავაშვებულ ქეიფსა და დროსტარებაში. და თუ არ მოგვცემთ ფულს, მაშინ განახებთ, როგორ შეიძლება მისი შოვნა, როცა ის ძალიან გინდა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ საქმეს და გავიხსენოთ „მსახურებს მიგდებული ფეხშიშველა ბიჭუნა“, როგორც ამას წინათ თქვა აქ გამოსულმა ჩვენი ქალაქის პატივცემულმა მოქალაქემ, სამწუხაროდ, წარმოშობით უცხოელმა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ - არავის დავუთმობ განსასჯელის დაცვას-მეთქი! მე ბრალმდებელიც ვარ და დამცველიც. დიახ, ბატონებო, ჩვენც კაცნი ვართ, ადამიანები, და როგორმე შევძლებთ, ავწონ-დავწონოთ, როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე ბავშვობის პირველ შთაბეჭდილებებს ოჯახზე. შემდეგ ეს ბიჭუნა დავაჟკაცდა და ოფიცერი გახდა. შფოთიანი ხასიათისა და გაუთავებელი დუელების გამო იგი დასაჯეს და გაამწესეს ჩვენი კურთხეული რუსეთის შორეულ სასაზღვრო ქალაქში. იქაც გაუთავებელ ქეიფს მიჰყო ხელი, მაგრამ მოგეხსენებათ - დიდ ხომალდს დიდი სანაოსნო არე სჭირდებაო. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სახსრები და სახსრები. და აი, მამასთან დიდი დავის შემდეგ გადაწყდა, რომ მამამისი გაუგზავნიდა უკანასკნელ ექვსი ათასს და მეტს აღარაფერს მისცემდა. მამამისმა ეს დაპირება შეასრულა. აქვე მინდა აღვნიშნო: არსებობს დოკუმენტი, განსასჯელის წერილი, სადაც ის ამ ექვსი ათასის მიღების შემდეგ უარს ამბობს დანარჩენ ქონებაზე და ამით მამასთან დავას მემკვიდრეობის თაობაზე დასრულებულად აცხადებს. ამ დროს იგი ხვდება ახალგაზრდა, ფრიად განათლებულ და მშვენიერი ხასიათის ქალიშვილს. არა, მე ახლა არ შევუდგები იმ დეტალების განმეორებას, რომლებიც აქ მოვისმინეთ: აქ საქმე ღირსებასა და თავდადებას ეხება, ამიტომ ხმას არ ამოვიღებ. ფუქსავატი და გარყვნილი, მაგრამ ჭეშმარიტი კეთილშობილებისადმი და უზენაესი იდეალებისადმი მიდრეკილი ახალგაზრდა კაცის ხატებამ განსაკუთრებული სიმპათიურობით გაიელვა დღეს ჩვენ წინაშე. მაგრამ აქვე მოულოდნელად დავინახეთ მედლის უკანა მხარე. ისევ და ისევ, არ გამოვთქვამ ვარაუდებს და თავს შევიკავებ ანალიზისაგან - რა და რატომ მოხდა. მაგრამ ხომ იყო რაღაც მიზეზი, ყოველივე ასე რომ მომხდარიყო. სწორედ ეს ქალბატონი, დიდი ხნის

გულისწყრომისაგან თვალცრემლიანი, გვიცხადებს, თურმე განსასჯელმა თავიდანვე შეიძულა ის, წინდაუხედავი და თავშეუკავებელი, მაგრამ ამაღლებული და შესანიშნავი, სწრაფვათა გამო. ამ ქალიშვილმა თავის საქმროს, დღევანდელ განსასჯელს, ყველაზე ადრე შეამჩნია ისეთი დამცინავი ღიმილი, რომელსაც მხოლოდ მისგან ვერ აიტანდა. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა საქმროს ღალატის შესახებ (ვაჟი როცა ღალატობდა, დარწმუნებული იყო, რომ ქალი მისგან ყველაფერს მოითმენდა), ქალიშვილმა მას განგებ შესთავაზა სამი ათასი მანეთი; ამით ნათლად, სავსებით აშკარად აგრძნობინა: ფულს იმიტომ აძლევდა, რომ იცოდა, სხვასთან რომ ღალატობდა; „ვნახოთ, აიღებ თუ არ აიღებ, ნუთუ ასეთი ცინიკოსი ხარ,“ - ეუბნებოდა მას ქალიშვილის საყვედურით აღსავსე და გამომცდელი თვალები. საქმრო უყურებდა და ხვდებოდა, რაც ჰქონდა გუნებაში ქალიშვილს (მან აქვე, თქვენ წინაშე, აღიარა, რომ ყველაფერს მიხვდა), მაინც მიითვისა ის სამი ათასი მანეთი და ორ დღეში დაამღერა თავის ახალ შეყვარებულთან ერთად! რომელს დავუჯეროთ? პირველ ლეგენდას - უმაღლესი კეთილშობილების გამოვლენას, როცა შენი არსებობისათვის საჭირო უკანასკნელ სახსარს აძლევ გაჭირვებულს, თუ მედლის უკანა მხარეს, ესოდენ ამაზრზენს? ჩვეულებრივად, ცხოვრებაში ასე ხდება ხოლმე, ორ ურთიერთგამომრიცხავი სიმართლის დროს უნდა ეძებო შუალედური; ამ შემთხვევაში ეს ნამდვილად არ გამოდგება. შესაძლებელია, ის პირველ შემთხვევაში გულწრფელად კეთილშობილურად მოიქცა, მაგრამ მეორე შემთხვევაში ხომ ნაღდად საზიზღარი საქციელი ჩაიდინა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ბუნების ადამიანები ვართ, კარამაზოვული დიდი ბუნების - მე სწორედ ის მინდა ვთქვა, - უნარი შეგვწევს, ერთმანეთს შევუთავსოთ ურთიერთგამომრიცხავი რამეები და ერთდროულად განვჭვრიტოთ ორივე სკნელი - ზესკნელი, უზენაესი იდეალების სამყარო და ქვესკნელი, ყოველივე სიმდაბლისა და სისაძაგლის ბუდე. გაიხსენეთ ახალგაზრდა მოწმე ბ-ნი რაკიტინი, რომელსაც ღრმად და ძალიან კარგად ჰქონდა შესწავლილი კარამაზოვების ოჯახი და აქ გამოთქმული მისი ბრწყინვალე აზრი: „ამ აღვირახსნილი და თავაშვებული ნატურებისათვის ზნეობრივი დაცემის განცდა ისევე აუცილებელია, როგორც უმაღლესი კეთილშობილების შეგრძნებაო“, - ეს, მართლაც, ასეა: სწორედ მათ მუდმივად და განუწყვეტლივ სჭირდებათ ეს არაბუნებრივი ნარევი. ორი სკნელი, ორი უკიდურესობა, ერთსა და იმავე დროს - მათ გარეშე ჩვენ უკმაყოფილების გრძნობა გვიპყრობს და უბედურები ვართ, ჩვენი არსებობა არასრულია. ჩვენ დიდბუნებოვანები ვართ, ვითარცა დედა რუსეთი, ყოველივეს ვიტევთ და ყოველივეს შევეთვისებით! ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ჩვენ ახლახან ვახსენეთ ის სამი ათასი მანეთი და ამიტომ ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, თანმიმდევრობა დავარღვიო. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ასეთი ხასიათის კაცმა როგორ და რა ვითარებაში შეძლო ფულის აღება, როგორი სირცხვილი ჭამა, რა დამცირება გადაიტანა და ამის შემდეგ იგი იმავე დღეს, რა დღესაც კატერინა ივანოვნას ფული გამოართვა, წავიდა შინ, ჩვრისაგან საკუთარი ხელით გამოკერა ქისა და ათას ხუთასი მანეთი გადამალა, ქისა კისერზე ჩამოიკიდა და შემდეგ მთელი თვე ასე დადიოდა, მიუხედავად განსაკუთრებული გაჭირვებისა და ათასნაირი ცდუნებისა! არც სამიკიტნოებში ქეიფის დროს, არც მაშინ, როცა ის ქალაქიდან გაემგზავრა, ღმერთმა უწყის სად, მისთვის აგრერიგად საჭირო თანხის საშოვარზე, რომ თავისი სატრფო მეტოქის, საკუთარი მამის ცდუნებისათვის

აერიდებინა, - მას ხელის ხლებაც არ გაუბედავს კისერზე ჩამოკიდებული ქისისათვის. მარტოოდენ იმის გამო მაინც ხომ უნდა გაეხსნა ქისა და დარჩენილიყო ქალაქში თავისი სატრფოს ერთგულ დარაჯად, რომ ქალი მარტო არ დაეტოვებინა მეტოქე-მამის ცდუნების პირისპირ მანამ, სანამ დადგებოდა ის სანუკვარი წუთი, როცა ქალი ეტყოდა: „შენი ვარო“ და მასთან ერთად, რაც შეიძლებოდა, მალე გაშორდებოდა იმ საბედისწერო ვითარებას. მაგრამ არა და არა! იგი არ მიეკარა თავის ავგაროზს, რა იყო მიზეზი? ჩვენ ასე გვგონია, უპირველესი მიზეზი გახლდათ ის, რომ, როცა ქალი ეტყოდა: „შენი ვარ და სადაც გინდა, იქ წამიყვანეო“, ხომ უნდა ჰქონოდა რაღაც თანხა. მაგრამ ეს პირველი მიზეზი, განსასჯელის ნათქვამის მიხედვით, დაჩრდილა მეორე მიზეზმა. სანამ ეს ფული კისერზე ჩამოკიდებული დამაქვს - „მხოლოდ სალახანა ვარ და არა ქურდი“, რადგანაც ყოველთვის შემიძლია, მივიდე ჩემ მიერ შეურაცხყოფილ საცოლესთან და ჩავუთვალო იმ ფულის ნახევარი, რომელიც მოტყუებით მივითვისე და ვუთხრა: „ხედავ, სულ კი არ შევჭამე შენი ფული, ნახევარი უკან მოგიტანე და ამით დავამტკიცე, რომ მე სუსტი ხასიათის, უზნეო ადამიანი ვარ, ასე ვთქვათ, სალახანა (ისევ განსასჯელის სიტყვებს ვიმეორებ), მხოლოდ სალახანა და არა ქურდი, რადგან ქურდი ამ ნახევარსაც არ მოგიტანდა, იმასაც მიითვისებდაო.“ ფაქტის განსაცვიფრებელი განმარტებაა! ერთხელ ეს ყველაზე შლეგი არსება, მაგრამ სუსტი ნებისყოფის კაცი, ისეთ სამარცხვინო სიტუაციაში ჩავარდნილი ვერ უძლებს ცდუნებას და იღებს სამი ათას მანეთს, მეორედ კი იგივე ადამიანი საკუთარ თავში ისეთ სტოიკურ სიმტკიცეს აღმოაჩენს, შეძლებს თავის დაძლევას და ხელს არ ახლებს კისერზე ჩამოკიდებულ ათასობით მანეთს! ნუთუ ეს რამენაირად შეესაბამება ჩვენ მიერ აქ განხილულ ხასიათს? არა, ბატონებო, ახლა ჩემს თავს უფლებას მივცემ, გითხრათ, როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში ნამდვილი დმიტრი კარამაზოვი, თუკი მას ნაღდად ეკიდა კისერზე ფულიანი ქისა. პირველივე ცდუნების დროს, რაიმეთი რომ ესიამოვნებინა თავისი სატრფოსათვის, ვისთან ერთადაც დაამღერა იმ ფულის ნახევარი, ის მოხსნიდა ქისას თავს და ერთ ასმანეთიანს მაინც მოაკლებდა. თავს კი იმით გაიმართლებდა, რომ სულ ერთია, ათას ხუთას მანეთს მიუტანდა, თუ ათას ოთხას მანეთს, „მე ხომ სალახანა ვარ, ქურდი კი არა, რადგან ქურდი სულ წაიღებდა, მე კი ათას ოთხას მანეთს უკან დავუბრუნებო.“ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გახსნიდა ქისას, კიდევ ამოიღებდა მეორე ასმანეთიანს, შემდეგ მესამეს, მეოთხეს და ა.შ. თვის დასასრულისათვის ბოლოსწინა ასმანეთიანს ამოიღებდა და საკუთარ თავს ეტყოდა - ერთ ასმანეთიანს მაინც ხომ დავუბრუნებ, ამ შემთხვევაში იგივე შემიძლია ვუთხრა: „სალახანა ვარ და არა ქურდი, ოცდაცხრა ასმანეთიანი დავხარჯე, მაგრამ ერთი ხომ მაინც უკან დაგიბრუნე, ქურდი ამასაც არ გააკეთებდაო“. დასასრულს, როცა ბოლო ასმანეთიანსაც მიადგებოდა, დახედავდა მას და თავისთვის იტყოდა: „ამის დაბრუნებას რაღა აზრი აქვს, მოდი, ამასაც დავხარჯავო!“ აი, ასე მოიქცეოდა ნამდვილი დმიტრი კარამაზოვი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ! კისერზე ჩამოკიდებული ქისის ლეგენდა სინამდვილეს ისე ეწინააღმდეგება, რომ მისი წარმოდგენაც დაუშვებელია. ყველაფრის ვარაუდი შეიძლება, ამის კი არა. ჩვენ ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით“.

იპოლიტ კირილოვიჩმა თანმიმდევრულად აღნიშნა ყველაფერი, რაც გამოძიებისათვის ცნობილი იყო მამასა და შვილს შორის ქონებრივი დავისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და, კიდევ და კიდევ, დასკვნის

გამოტანისას, განაცხადა: არსებული მონაცემების მიხედვით, არ არსებობს სულ მცირედი შესაძლებლობაც კი, განისაზღვროს მემკვიდრეობის გაყოფის დროს ვინ ვის დააკლო ან ვინ ვის გადაამეტა. ხოლო რაც შეეხებოდა მიტიას აკვიატებულ სამი ათასს, პროკურორი სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ საუბრის დროს შეეხო.

VII ისტორიული მიმოხილვა

„მედიკოსების ექსპერტიზა ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ განსასჯელი სრულ ჭკუაზე არ არის და მანიაკია. მე კი ვამტკიცებ, განსასჯელი ჯანმრთელია, მაგრამ ყველაზე საშინელი სწორედ ესაა: ის რომ სრულ ჭკუაზე არ ყოფილიყო, ალბათ უფრო გაცილებით ჭკვიანად მოიქცეოდა. რაც შეეხება მანიაკალურობას, ამას შეიძლება დავეთანხმო, მხოლოდ ერთ პუნქტში, სადაც ექსპერტიზას მოჰყავს განსასჯელის აზრი, თითქოს მამამისს მისთვის გადაუხდელი დარჩა სამი ათასი მანეთი. მიუხედავად ამისა, შეიძლება მოინახოს შეუდარებლად გასაგები თვალსაზრისი, რომლის საშუალებითაც აიხსნება განსასჯელის გამუდმებული მანიაკალური აჩემება იმ სამი ათასის თაობაზე და აიხსნება არა მისი არანორმალურობით, არამედ სხვა რამით. ჩემდა თავად, მე სავსებით ვეთანხმები ახალგაზრდა ექიმს, რომელიც თვლის, რომ განსასჯელს ნორმალური გონებრივი შესაძლებლობები გააჩნია და იგი მხოლოდ ბოღმისაგან გაბოროტებული პიროვნებაა. საქმე სწორედ ეს არის და არა ის სამი ათასი. განსასჯელის მუდმივი და გაშმაგებული გაბოროტება ფულთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ სხვა განსაკუთრებული რამ იწვევდა მის რისხვას. ამ რისხვის მიზეზი - ეჭვიანობა იყო.
აქედან იპოლიტ კირილოვიჩი შეუდგა იმ საბედისწერო ვნებების მხატვრულ ასახვას, რომლებიც განსასჯელს გრუშენკას მიმართ აღეძრა. მოყოლა იქიდან დაიწყო, როცა მიტია „ახალგაზრდა ქალბატონის“ საცემრად გაეშურა (ამ დროს პროკურორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს განსასჯელის სიტყვებიაო). „მაგრამ, ცემის მაგივრად, ფეხებში ჩაუვარდა, - ასე დაიწყო ეს რომანი. ამავე დროს, ქალს თვალი ბერიკაცმაც, განსასჯელის მამამაც დაადგა - საოცარი და საბედისწერო დამთხვევა მოხდა, ორი მამაკაცის გული ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე ქალის მიმართ სიყვარულით აღენთო, მიუხედავად იმისა, რომ ერთიცა და მეორეც ამ ქალს ადრე იცნობდა, ორივე თავშეუკავებელმა, კარამაზოვულმა ვნებამ შეიპყრო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს ქალის აღიარება: „ორივეს დავცინოდიო“. დიახ, მას ორივეს გაპამპულება მოუნდა, ადრე არ ჰქონდა ასეთი სურვილი, მაგრამ შემდეგ აეკვიატა ეს განზრახვა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მამაც და შვილიც, დამარცხებულები, გრუშენკას ფეხებში ჩაუვარდნენ. ვერცხლისმოყვარე ბერიკაცმა ქალს ჯერ სამი ათასით მოხიბლვა დაუპირა, პაკეტით ფული გაუმზადა - ოღონდ კი ჩემთან მოდიო, ხოლო როცა არაფერი გამოუვიდა, შეუთვალა - თავს ბედნიერად ჩავთვლი, შენს ფეხქვეშ გაგიფინო მთელი ჩემი ქონება და სახელი, თუკი ცოლობაზე უარს არ მეტყვიო. ამის შესახებ უტყუარი ცნობები გაგვაჩნია. რაც შეეხება განსასჯელს, მისი ტრაგედია ყველასათვის თვალსაჩინოა. მაგრამ როგორ „თამაშს“ თამაშობდა ეს

ახალგაზრდა ქალბატონი. უბედურ ახალგაზრდა კაცს ეს მაცდური ოდნავ იმედსაც არ აძლევდა. იმედი, ნამდვილი იმედი, მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გაუჩნდა მას, როდესაც განსასჯელი თავისი მწამებლის წინაშე მუხლებზე დამხობილი და მამის სისხლში ხელებგასვრილი იდგა. ასეთ მდგომარეობაში დააპატიმრეს. „მეც, მეც მასთან ერთად გამამწესეთ კატორღაში, მე მივიყვანე ის ამ ზომამდე, ყველაზე დიდი დამნაშავე მე ვარო!“ - გულწრფელი სინანულით გაჰკიოდა ეს ქალი განსასჯელის დაპატიმრების დროს. ნიჭიერმა ახალგაზრდა კაცმა (ისევ ბატონ რაკიტინზე მოგახსენებთ), რომელმაც იკისრა, აღეწერა ეს საქმე, რამდენადმე შემოკლებულად, მაგრამ ზუსტად განსაზღვრა ამ ქალბატონის ხასიათი: „ნაადრევმა გულის გატეხვამ და იმედის გაცრუებამ, ქალწულობის დაკარგვამ და მაცდუნებელი საქმროს ღალატმა, სიღარიბემ და პატიოსანი ოჯახის მიერ შერისხვამ, შემდგომში მდიდარი ბერიკაცის მფარველობამ, ვისაც ეს ქალბატონი ახლაც თავის მწყალობლად თვლის, შეიძლება, ბევრი კარგი თვისების მქონე ახალგაზრდა ქალს ჯერ კიდევ ყმაწვილქალობიდანვე დაუგროვა ბოღმა, ჩამოუყალიბა ანგარებიანი და მევახშური ხასიათი, საზოგადოების მიმართ დამცინავი დამოკიდებულება და შურისძიების გრძნობა.“ ასეთი დახასიათების შემდეგ, გასაგებია, ამგვარ პიროვნებას გაეპამპულებინა მამაცა და შვილიც მხოლოდ რაღაც ბოროტი თამაშისათვის. იმ პერიოდში განსასჯელი ახალგაზრდა კაცის უიმედო სიყვარულს, ზნეობრივ დაცემას, საცოლის ღალატს, მინდობილი ფულის მითვისებით გამოწვეულ განცდებს დაემატა მამის მიმართ გაუთავებელი ეჭვიანობის გრძნობა, რამაც საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა და უმართავი გახადა! მისთვის ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ შლეგი ბერიკაცი მისი სიყვარულის საგანს იმ სამი ათასით აცდუნებდა, რომელსაც განსასჯელი თავისი დედის დანატოვარ მემკვიდრეობად თვლიდა და რის გამოც გაუთავებლად ლანძღავდა მამას. დიახ, გეთანხმებით, ერთობ ძნელი გადასატანია ყოველივე ეს! ასეთ გარემოებაში, მართლაც, შესაძლებელია, კაცი მანიაკი გახდე. საქმე ფული კი არ იყო, საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ ფულით, ასეთი საშინელი ცინიზმით ინგრეოდა მისი ბედნიერება!“

შემდეგ იპოლიტ კირილოვიჩი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ თანდათან ყალიბდებოდა განსასჯელი მამისმკვლელად. იგი კვალდაკვალ მიჰყვა ფაქტებს.

„თავდაპირველად მხოლოდ სამიკიტნოებში გავყვიროდით ამის შესახებ - მთელი თვის განმავლობაში ვიყვირეთ. ჩვენ ძალიან გვიყვარს თავის გამოჩენა, პირველ შემხვედრსვე გადავუშლით ხოლმე გულს, არ დავუმალავთ ყველაზე ინფერნალურ და საშიშ იდეებსაც კი, მაგრამ, ამავე დროს, მაშინვე ვთხოულობთ მათგან კეთილგანწყობას, ჩვენი საზრუნავისა და შიშის გაზიარებას, ყველაფერში კვერის დაკვრას და არავითარ წინააღმდეგობას. თუ არა, ბრაზი გვიპყრობს და შეგვიძლია, სამიკიტნოში ყველაფერი მივლეწ-მოვლეწოთ (ამას მოაყოლა შტაბს-კაპიტან სნეგიროვთან დაკავშირებული ამბავი). იმ ერთი თვის განმავლობაში ვინც კი განსასჯელი ნახა და მოუსმინა, დარწმუნდებოდა, ასე გახელებული კაცის მუქარას შეიძლება მალე საქმე მოჰყოლოდა. (შემდეგ პროკურორმა აღწერა მონასტერში კარამაზოვების ოჯახის შეხვედრა, ალიოშასთან ლაპარაკი და ფიოდორ პავლოვიჩის სახლში ძალადობის უმსგავსო სცენა, როცა განსასჯელი ნასადილევს მამას მიუვარდა) ახლა დაჟინებით იმის მტკიცებას არ დავიწყებ, - გააგრძელა იპოლიტ კირილოვიჩმა, - რომ ამ სცენამდე განსასჯელს

მოფიქრებული და გადაწყვეტილი ჰქონდა მამის მოკვლა. მაგრამ ამ იდეამ რომ რამდენჯერმე გაუელვა თავში - ამის შესახებ ჩვენ გაგვაჩნია ფაქტები, მოწმეთა ჩვენებები და განსასჯელის აღიარება. გამოგიტყდებით, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, - დასძინა იპოლიტ კირილოვიჩმა, - მე დღემდე ვყოყმანობდი, განსასჯელისათვის ბრალად დამედო სავსებით შეგნებული წინასწარგანზრახული მკვლელობა. მართალია, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე იმ საბედისწერო მომენტს, მხოლოდ წარმოიდგენდა, როგორც შესაძლებლობას, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი შესრულების ვადა და გარემოებები. ვყოყმანობდი, მხოლოდ დღემდე, იმ საბედისწერო დოკუმენტამდე, რომელიც ქალბატონმა ვერხოვცევამ წარმოგვიდგინა. თქვენ თავად მოისმინეთ, ბატონებო, მისი შეძახილი: „ეს გეგმაა, ესაა მკვლელობის პროგრამა!“ აი, ასე უწოდა ამ ქალბატონმა უბედური განსასჯელის მიერ სიმთვრალეში დაწერილ წერილს. მართლაც, ამ წერილში ნათლად ჩანს წინასწარგანზრახულობა და მკვლელობის პროგრამა. წერილი დაწერილია დანაშაულის ჩადენამდე ორი დღით ადრე. ასე და ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, თავისი საშინელი ჩანაფიქრის შესრულებამდე ორი დღით ადრე განსასჯელი ფიცით აცხადებდა, რომ, თუ ხვალ ფულს ვერ იშოვნიდა, მოკლავდა მამას და აიღებდა მისი ბალიშის ქვეშ ამოდებულ „წითელბაფთიან პაკეტს, ოღონდ კი ივანი ქალაქიდან წასულიყო“. - აქედან ნათლად ჩანს, რომ ყველაფერი კარგადაა მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი, ყოველივე აღასრულა ისე, როგორც წერილში ეწერა! წინასწარგანზრახულობა უეჭველია, დანაშაული უნდა ჩადენილიყო გაქურდვის მიზნით, ეს პირდაპირაა გაცხადებული, შავით თეთრზე წერია და ხელიც მოწერილია. განსასჯელი თავის ხელმოწერაზე უარს არ აცხადებს. შეიძლება ვინმე შემედავოს, წერილი ხომ მთვრალმა დაწერაო. მაგრამ ეს საქმეს არ ამსუბუქებს, ეს იმის დამადასტურებელია, რაც ფხიზელმა ჩაიფიქრა, მთვრალმაც ის დაწერა. ფხიზელს ეს აზრი გონებაში რომ არ გაევლო, მთვრალი ამას არ დაწერდა. იქნებ ისიც მითხრათ: თავის განზრახვის შესახებ რა აყვირებდა სამიკიტნოში? ვინც ასეთი საქმის ჩადენას წინასწარგანზრახვით აპირებს, ის დუმს და ხმამაღლა არ ყვირისო. მართალია, მაგრამ ის მაშინ ყვიროდა, როცა ჯერ არ ჰქონდა გეგმა და წინასწარგანზრახულობა. მხოლოდ სურვილი ჰქონდა და მასში მისწრაფება მწიფდებოდა. მოგვიანებით, ნაკლებად ყვიროდა. იმ ღამეს სამიკიტნოში, როცა მთვრალი წერილს წერდა, ის ჩვეულებრივად არ ხმაურობდა, არც ბილიარდი უთამაშია, იჯდა თავისთვის კუთხეში და არავისთვის ხმა არ გაუცია, მხოლოდ ერთი ნოქარი წამოაგდო თავისი ადგილიდან, მაგრამ ეს უნებლიეთ მოუვიდა, რადგან ჩვევად ჰქონდა სამიკიტნოში შესვლისას აყალ-მაყალის ატეხვა. რასაკვირველია, როცა განსასჯელი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა, იგი იმის შიშს უნდა შეეპყრო, რომ მან წინასწარ დიდი ხმაური ატეხა, რაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი საიდუმლოს გამოსააშკარავებლად სავსებით საკმარისი იქნებოდა. მაგრამ რაღას იზამდა, ფაქტს ვერსად გაექცეოდა, ნათქვამს უკან ვეღარ დააბრუნებდა. საბოლოოდ, მხოლოდ იმის იმედიღა რჩებოდა - როგორც ადრე - იქნებ ბედს გაეღიმა და ყველაფერი კეთილად დამთავრებულიყო. ჩვენ ჩვენი ბედის ვარსკვლავის იმედი გვქონდა, ბატონებო! ამას გარდა, არც ის მინდა დავუკარგო, იგი ბევრს ეცადა, რომ ეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა და სისხლი არ დაეღვარა. „ხვალ ყველას ვთხოვ სამი ათასს, - წერდა ჩვეული მანერით, - თუ ვერ ვიშოვი, სისხლი

დაიღვრება.“ თქვენ წინაშეა მთვრალი კაცის ნაწერი და ამ ნაწერის მიხედვით სიფხიზლეში აღსრულებული დანაშაული!“
ამის შემდეგ იპოლიტ კირილოვიჩმა გამოწვლილვით აღწერა ფულის საშოვნელად მიტიას მიერ გაწეული ყველა მცდელობა, როგორმე თავიდან აეცილებინა ბოროტმოქმედება. დოკუმენტების მიხედვით აღწერა მიტიას ვიზიტი სამსონოვთან და ლიაგავისთან ჩასვლა. „გაწამებული, თავლაფდასხმული, მშიერი (ამ მოგზაურობისათვის მან საათიც კი გაყიდა, თუმცა ამ დროს კისერზე ქისით ათას ხუთასი მანეთი ეკიდა - ვითომ ასეა, ვითომ!), თანაც ეჭვებით შეპყრობილი, ვაითუ, ჩემი არყოფნის დროს სატრფო ფიოდორ პავლოვიჩთან გაიქცესო, იგი ქალაქში ბრუნდება. მადლობა ღმერთს! ქალი ფიოდორ პავლოვიჩთან არ გაქცეულა. მან თავად მიაცილა ქალი მის მფარველ სამსონოვთან (ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ სამსონოვზე ჩვენ არ ვეჭვიანობთ. ეს საკითხი ამ საქმის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა!). შემდეგ სათვალთვალო პოსტზე გარბის და იქ შეიტყობს, რომ სმერდიაკოვს ბნედა დაემართა, მეორე მსახურიც ავადაა - მაშასადამე, გზა თავისუფალია, „ნიშნები“ ცნობილია - როგორი ცდუნებაა, ჰა! მიუხედავად ამისა, იგი თავს კვლავ ებრძვის, ეძებს გამოსავლის გზებს; იგი ფულის სათხოვნელად გაემართება ჩვენს ქალაქში ყველასათვის დიდად პატივსაცემ ქალბატონ ხოხლაკოვასთან. ამ ქალბატონს უკვე დიდი ხანია განსასჯელის ბედი აწუხებდა, ამიტომაც სტუმარს რამდენიმე კეთილგონივრული რჩევა მისცა: თავი დაანებოს ამ უმსგავსო სიყვარულს, სამიკიტნოებში გაუთავებელ ღრეობებს, ახალგაზრდული ენერგიის უნაყოფო ხარჯვას და გაემგზავროს ციმბირში ოქროს საბადოებზე, „იქ ნახავს გამოსავალს თქვენი მჩქეფარე ენერგია, თქვენი თავგადასავლების მოყვარული რომანტიკული სულიო.“ მერმე პროკურორმა აღწერა ამ საუბრის დასასრული და ის მომენტი, როცა განსასჯელმა მოულოდნელად შეიტყო, რომ თურმე გრუშენკა სულაც არ ყოფილა სამსონოვთან. აღწერა, როგორ გააშმაგა უბედური იმის გაფიქრებამ, რომ, შესაძლოა, ახლა გრუშენკა ფიოდორ პავლოვიჩთან ყოფილიყო. ყურადღება მიაქცია რა ამ საბედიწერო შემთხვევას, იპოლიტ კირილოვიჩმა დაასკვნა: მოახლეს რომ მოესწრო და ეთქვა, გრუშენკა ახლა მოკროეში თავის „ძველ“ სიყვარულთან ერთად არისო - არაფერიც არ მოხდებოდა. მაგრამ შიშისაგან გაოგნებული მოახლე პირჯვარს იწერდა და ღმერთს ევედრებოდა. განსასჯელმა მარტოოდენ იმიტომ არ მოკლა ის, რომ იგი მოღალატე სატრფოს საძებნელად თავქუდმოგლეჯილი გავარდა. ეს მომენტი კარგად დაიმახსოვრეთ: მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელი თავის ჭკუაზე აღარ იყო, იქიდან სპილენძის სანაყი მაინც გამოიყოლა. რატომ მაინცდამაინც სანაყი და არა სხვა იარაღი? იმიტომ რომ, თუ ჩვენ მთელი თვის განმავლობაში ამდაგვარ სურათს წარმოვიდგენდით და ამისთვის ვემზადებოდით, მაშინ როგორც კი თვალწინ რაღაც იარაღის მსგავსი გაგვიელვებდა, უმალვე ხელი უნდა გვეტაცა მისთვის, როგორც იარაღისათვის. იმის შესახებ აზრი, რომ რაიმე ამგვარი საგანი იარაღად გამოდგებოდა, ჩვენ მთელი თვის მანძილზე თავში გვიტრიალებდა. ამიტომაც იყო, ასე უცებ რომ მივიღეთ გადაწყვეტილება. ამიტომაც მოხდა, რომ არცთუ უნებურად, თითქმის შეგნებულად წაავლო ხელი ამ საბედისწერო სანაყს. ის უკვე მამამისის ბაღშია - ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ არის, მოწმე არავინაა. შუაღამე, წყვდიადი და ეჭვით შეპყრობილი კაცი... იმის გაფიქრებაც კი, რომ გრუშენკა ახლა აქაა, მამამისთან, მის მეტოქესთან, მის მკლავებში გაყუჩებული და, შესაძლოა, ერთად

დასცინიან კიდეც - სუნთქვას უკრავდა და სულს უხუთავდა. მარტო ეჭვი კი არ აწუხებდა, ეჭვის დარდი ვიღას ჰქონდა, როცა ტყუილი აშკარაა: გრუშენკა აქაა, ამ ოთახში, საიდანაც სინათლე გამოდის, ის იქ არის, შირმის იქით მიმალული - და ამ დროს კი თურმე უბედური განსასჯელი ფანჯარასთან ფეხაკრეფით მიიპარა, ოთახში მორიდებულად შეიხედა, ნანახს მშვიდად შეეგუა და ღირსეულად გაეცლა იქაურობას - შორს უბედურებისაგან, საშინელი და უზნეო შემთხვევისაგანო - ამაში უნდათ ჩვენი დარწმუნება, ჩვენი, ვინც უკვე კარგად ვიცით განსასჯელის ზნე და ხასიათი, მისი იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობა, და ყველაფერი ეს ჩვენთვის ცნობილია ფაქტების მეშვეობით. რაც მთავარია, აშკარაა, რომ განსასჯელმა იცის ნიშანი, რომლის გამოყენების შემთხვევაში მას კარს გაუღებენ!“ - ამ ადგილას იპოლიტ კირილოვიჩმა „ნიშნის“ თაობაზე შეწყვიტა ლაპარაკი და საჭიროდ ჩათვალა, ისევ სმერდიაკოვის შესახებ ელაპარაკა, რათა ერთხელ და სამუდამოდ, სრულიად გაებათილებინა ეჭვები სმერდიაკოვის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე. ეს მან საკმაოდ საფუძვლიანად გააკეთა და ყველა მიხვდა, მიუხედავად ამ ვარაუდის მიმართ მისი აშკარა უარყოფითი დამოკიდებულებისა, იგი ამ მოსაზრებას მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

VIII ტრაქტატი სმერდიაკოვზე

„უპირველეს ყოვლისა, საიდან გაჩნდა ეს ეჭვი? - ასეთი კითხვით დაიწყო იპოლიტ კირილოვიჩმა, - პირველი, ვინც იყვირა, სმერდიაკოვმა მოკლაო, თავად განსასჯელი იყო. ეს მოხდა დაპატიმრების დროს, თუმცა დღემდე არ წარმოუდგენია ამ ბრალდების დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი - არათუ ფაქტი, არამედ რაიმე, რაღაც ჭკუასთან ახლო, გადაკრული ნათქვამიც კი ასეთი ფაქტის შესახებ. შემდგომში ეს ბრალდება დაადასტურა სამმა პიროვნებამ: განსასჯელის ორმა ძმამ და ქალბატონმა სვეტლოვამ. შუათანა ძმამ თავისი ეჭვი მხოლოდ დღეს გამოთქვა, ავადმყოფურ მდგომარეობაში მყოფმა, თეთრი ცხელების შეტევისა და ჭკუიდან გადასვლის წუთებში. ადრე, ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იგი სავსებით იზიარებდა აზრს განსასჯელის დამნაშავეობის თაობაზე, არც კი უცდია, რაიმე საწინააღმდეგო ვერსიის წამოყენება ამ საკითხის გარშემო. მაგრამ ჩვენ ამის შესახებ მოგვიანებით ვილაპარაკებთ. განსასჯელის უმცროსმა ძმამ ამას წინათ გამოგვიცხადა, რომ სმერდიაკოვის დამადანაშაულებელი ფაქტები და დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნია, დასკვნას იმის შესახებ, რომ სმერდიაკოვი მკვლელია, აკეთებს განსასჯელის ნათქვამის მიხედვით, „მისი სახის გამომეტყველების“ მჯერაო - ასეთი კოლოსალური მტკიცება ორჯერ წარმოთქვა აქ განსასჯელის უმცროსმა ძმამ. რაც შეეხება ქალბატონ სვეტლოვას, მან თავისი აზრი უფრო კოლოსალურად გამოთქვა: „რასაც განსასჯელი იტყვის, დაიჯერეთ, ის ისეთი კაცი არ არის, რომ მოიტყუოსო.“ აი, ასეთი ფაქტობრივი მტკიცებები გააჩნია ამ სამ პირს. ისინი ძალზე დაინტერესებულნი არიან განსასჯელის ბედით. სხვათა შორის, ხმები

სმერდიაკოვის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე ფართოდ იყო გავრცელებული და არც ახლა ჩამქრალა - მაგრამ განა შეიძლება ამის დაჯერება, ოდნავ წარმოდგენაც კი?“
აქ იპოლიტ კირილოვიჩმა საჭიროდ ცნო, მოკლედ დაეხასიათებინა განსვენებული სმერდიაკოვი, რომელმაც „სიცოცხლე მოისწრაფა სიშმაგის შეტევისა და შეშლილობის მომენტში“. მან სმერდიაკოვი წარმოადგინა, როგორც გონებასუსტი, დაბალი განვითარების მქონე პიროვნება, რომელსაც გონება აურია მისი ჭკუისათვის ძნელად მოსანელებელმა ფილოსოფიურმა იდეებმა და შეაძრწუნა ზოგიერთმა თანამედროვე მოძღვრებამ ვალდებულებისა და მოვალეობის შესახებ. ამისი პრაქტიკა მას სახეზე ჰქონდა - თავისი ბატონის, შესაძლოა, მამის, ფიოდორ პავლოვიჩის თავაშვებული ცხოვრება, ხოლო თეორიას აზიარა ბატონის შუათანა ვაჟმა, ივან ფიოდოროვიჩმა, მასთან სხვადასხვაგვარი ფილოსოფიური საუბრის დროს. ივან ფიოდოროვიჩი თავს ნებას აძლევდა, ასე შეექცია ხოლმე თავი - ალბათ მოწყენილობის ან დაცინვის მოთხოვნილების გამო. სმერდიაკოვი თავად მომიყვა, როგორი მძიმე სულიერი მდგომარეობა ჰქონდა უკანასკნელ დღეებში ბატონის სახლში, - თქვა იპოლიტ კირილოვიჩმა, ამას სხვებიც ადასტურებენ: განსასჯელი, მისი ძმა და მსახური გრიგორი - ყველა, ვინც კი მას ახლოს იცნობდა. გარდა ამისა, ბავშვობიდანვე ავი ზნით დაშინებული ლაქია „ქათამივით მფრთხალი იყო“. „ფეხებში მივარდებოდა და ფეხებს მიკოცნიდაო“, - შეგვატყობინა თავად განსასჯელმა ჯერ კიდევ მანამ, სანამ გაიცნობიერებდა ამდაგვარი განცხადების მის საწინააღმდეგოდ შემობრუნების საშიშროებას. „ესაა ბნედიანი ქათამი,“ - არ იშურებდა ის სმერდიაკოვის მიმართ მისთვის დამახასიათებელ გამოთქმებს. ამ დროს კი სწორედ მას განსასჯელი (ამას თავად ადასტურებს) თავის ნდობით აღჭურვილ პირად ირჩევს, ისე დააშინებს, რომ ის თანხმდება მისი მსტოვარი, შინიდან ამბების გამომტანი გახდეს. ასე და ამგვარად, სმერდიაკოვი თავისი ბატონის მოღალატე ხდება. ის განსასჯელს ატყობინებს ფულიანი პაკეტის არსებობის შესახებ და იმ პირობით ნიშნებს, რომლის საშუალებითაც შეიძლება ფიოდორ პავლოვიჩის სახლში შესვლა. ანდა როგორ არ შეეტყობინებინა: „მომკლავდა, ჩემო ბატონო, უკან არ დაიხევდა, აუცილებლად მომკლავდაო“, - განაცხადა გამოძიების დროს შეშინებულმა და აკანკალებულმა სმერდიაკოვმა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მისი მწვალებელი უკვე დაპატიმრებული იყო და მას ვეღარაფერს დააკლებდა. „ყოველ წუთს ეჭვი ეპარებოდა ჩემში, ჩემო ბატონო, მე კი შიშისაგან სული მძვრებოდა, ვცდილობდი, რამენაირად ჩამეხშო მისი რისხვა, ვჩქარობდი, შემეტყობინებინა ისეთი საიდუმლო, რომელიც ჩემს ერთგულებას დაამტკიცებდა და ცოცხალი დავაღწევდი თავს“. აი, ესეც მისი სიტყვებია, ჩაწერილი მაქვს და კარგად მახსოვს: „ხანდახან ისე მიყვიროდა, შიშისაგან მუხლებზე დავემხობოდი ხოლმე“. ბუნებით სმერდიაკოვი პატიოსანი ახალგაზრდა კაცი იყო და თავისი ბატონის ნდობა ჯერ კიდევ მაშინ დაიმსახურა, როცა ეზოში ნაპოვნი ფული დაუბრუნა. ამიტომაც იყო ალბათ, რომ საწყალი სმერდიაკოვი ძალიან განიცდიდა, როცა ბატონს ღალატობდა, რომელსაც თავის კეთილისმყოფელად თვლიდა. ღრმად პატივცემული ფსიქიატრების აზრით, ავი ზნით გატანჯული სმერდიაკოვი ყოველთვის იყო მიდრეკილი გამუდმებული ავადმყოფური თვითბრალდებისაკენ. ის ხშირად ვინმეს წინაშე, ან რაღაცის გამო, თავს „დამნაშავედ“ თვლიდა, გამუდმებით სინდისის ქენჯნას განიცდიდა, ხშირად

სრულიად უმიზეზოდ უგონებდა საკუთარ თავს სხვადასხვა ცოდვას და დანაშაულს. განა შეიძლება, ასეთი დაშინებული სუბიექტი ნამდვილი დამნაშავე და ბოროტმოქმედი გახდეს?! გარდა ამისა, იგი კარგად გრძნობდა, რომ მის გარშემო შექმნილი ვითარების გამო რაღაც არასასიკეთო რამ ელოდა. როცა ივან ფიოდოროვიჩი კატასტროფის წინ მოსკოვში გამგზავრებას აპირებდა, სმერდიაკოვმა მას დარჩენა სთხოვა, ამავე დროს, მხდალი ბუნების გამო ვერ გაბედა ნათლად და კატეგორიულად გამოეთქვა თავისი შიში. მარტოოდენ ქარაგმებით დაკმაყოფილდა. მაგრამ ქარაგმები ვერ გაუგეს. აქვე ისიც აღსანიშნავია - იგი ივან ფიოდოროვიჩში თავის დამცველს ხედავდა, იმის გარანტიას, რომ თუ სახლში დარჩებოდა, უბედურება არ მოხდებოდა. გაიხსენეთ მიტიას „მთვრალი“ წერილი: „მოვკლავ ბებერს, როგორც კი ივანი წავაო“. მაშასადამე, ივან ფიოდოროვიჩის სახლში დარჩენა ყველას სიმშვიდისა და წესრიგის გარანტიად მიაჩნდა. და აი, ისიც მიემგზავრება, სმერდიაკოვს თითქმის მაშინვე ავი ზნე ემართება. ეს სავსებით გასაგებიცაა. აქ ისიც აღსანიშნავია, შიშისა და სასოწარკვეთისაგან დათრგუნული სმერდიაკოვი უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებულად გრძნობდა ავადმყოფობის მოახლოებას. ავადმყოფობა ყოველთვის ემართებოდა ხოლმე ზნეობრივი დაძაბულობის ან რაიმე ელდის შედეგად. რასაკვირველია, ბნედის მოვლის დღისა და საათის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ავი ზნისაკენ მიდრეკილი ავადმყოფები წინასწარ ამას გრძნობენ ხოლმე. ამას გვაუწყებს მედიცინა. ჰოდა, როგორც კი ივან ფიოდოროვიჩი სახლიდან გავიდა, დაუცველობის შიშით დადარდიანებულ სმერდიაკოვს საოჯახო საქმის გამო სარდაფში ჩასვლა მოუწია. სარდაფის კიბეებზე ერთი ფიქრი აეკვიატა: „ახლა რომ ბნედა დამემართოს, რა მეშველება?“ სწორედ ამ ფიქრებში იყო, როცა ყელში სპაზმა დაეწყო, რომელიც ავი ზნის წინამორბედია. უცებ გონება დაკარგა და სარდაფის იატაკზე მოადინა ზღართანი. სწორედ ამ ბუნებრივ შემთხვევითობაში ეპარებათ ეჭვი, მას თვალთმაქცობად თვლიან, თითქოს მან განგებ მოიგონა ავადმყოფობა! მაგრამ იბადება კითხვა: თუ განგებ მოიგონა, რატომ? რა ჰქონდა მიზნად? მე მედიცინაზე აღარაფერს ვამბობ; მეცნიერება ტყუის, მეცნიერები ცდებიან, ექიმებმა ტყუილ-მართალის დადგენა ვერ შეძლეს - დე, ასე იყოს, კი ბატონო! მაგრამ ერთ კითხვაზე გამეცით პასუხი: რისთვის სჭირდებოდა მას ეს თვალთმაქცობა? იმისათვის ხომ არა, რომ, რახან მკვლელობა ჰქონდა ჩაფიქრებული, წინასწარ თავისი ავადმყოფობით მიეპყრო სახლში მყოფთა ყურადღება? იცით, რას გეტყვით, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, იმ საბედისწერო დღეს ფიოდორ პავლოვიჩის სახლში ხუთი კაცი იმყოფებოდა: ფიოდორ პავლოვიჩი, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავი არ მოუკლავს; მისი მსახური გრიგორი, რომელიც თავად ძლივს გადაურჩა სიკვდილს; გრიგორის ცოლი, მოახლე მარფა იგნატიევნა, რომლის მკვლელად ჩათვლა, უბრალოდ, სირცხვილია. დაგვრჩა კიდევ ორი კაცი: განსასჯელი და სმერდიაკოვი. მაგრამ, რაკი განსასჯელი ამტკიცებს, რომ მას არ მოუკლავს, მაშასადამე სმერდიაკოვმა მოკლა. სხვა გზა არა გვაქვს, რადგან სხვას ვეღარავის დავადებთ ხელს. სწორედ აქედან შეიქმნა ის „ეშმაკური“ და კოლოსალური ბრალდება იმ საცოდავ თვითმკვლელ იდიოტზე! სწორედ იმიტომ, რომ სხვას ხელი ვერ დაადეს! სულ ცოტაოდენი ეჭვი რომ ჰქონოდათ ვინმე სხვა მეექვსე პირზე, მაშინ, დარწმუნებული ვარ, თვით განსასჯელს შერცხვებოდა სმერდიაკოვისათვის

ბრალი დაედო, რადგან ამ მკვლელობაში სმერდიაკოვის დადანაშაულება ნამდვილი აბსურდია.
ბატონებო, თავი დავანებოთ ფსიქოლოგიას, მედიცინას, ლოგიკასაც კი და დავუბრუნდეთ ფაქტებს, მხოლოდ შიშველ ფაქტებს. ვნახოთ, რას გვეუბნებიან ისინი. დავუშვათ, სმერდიაკოვმა მოკლა, მაგრამ როგორ? მარტო თუ განსასჯელთან ერთად? ჯერ განვიხილოთ შემთხვევა, როცა სმერდიაკოვმა მარტომ მოკლა. თუ მოკლა, ალბათ, რაღაც ანგარიში ჰქონდა, რაღაც სარგებელი უნდა მიეღო. რადგან მას არ გააჩნდა მკვლელობის ისეთი მოტივები, როგორიცაა სიძულვილი, ეჭვიანობა და ა.შ. და ა.შ., რომლებიც განსასჯელს ჰქონდა, სმერდიაკოვი აუცილებლად ფულისათვის მოკლავდა, იმ სამი ათასის გამო. მან ხომ თავისი თვალით ნახა, როგორ ჩადო ის ბატონმა პაკეტში. ჰოდა, კაცმა მკვლელობა ჩაიფიქრა და წინასწარ შეატყობინა სხვა პირს - ეს პირი კი გახლდათ ფიოდორ პავლოვიჩის მკვლელობაში უაღრესად დაინტერესებული ჩვენი განსასჯელი - ფულისა და ნიშნების შესახებ ყველაფერი: სად იდო პაკეტი, რა ეწერა პაკეტზე, რაში იყო შეხვეული იგი, და, რაც მთავარია, შეატყობინა ის ნიშნები, რომელთა საშუალებითაც ბატონთან შესვლა შესაძლებელი იქნებოდა. ის რა, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ თავი გაეყიდა?! თუ თავის შემცვლელს ეძებდა, რომელიც მოისურვებდა ბატონის მოკვლას და ფულის წაღებას? დიახ, თქვენ შეიძლება მითხრათ, მან განსასჯელს შიშის გამო შეატყობინა ყველაფერიო. მაგრამ ეს რა გამოდის? განა შეიძლება, კაცმა ასეთი მხეცური საქმე ასე უყოყმანოდ გადაწყვიტოს, შემდეგ სისრულეში მოიყვანოს და, ამავე დროს, ის ისეთ ცნობებს აწვდიდეს სხვას, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ მან იცის და ვერც ვერავინ ვერასოდეს გაიგებს? არა, ბატონო, როგორი მშიშარაც უნდა იყოს კაცი, თუკი ასეთი საქმეს ჩაიფიქრებს, არავის არაფერსაც არ შეატყობინებს, განსაკუთრებით, ფულისა და ნიშნების ამბავს, რადგან ეს იქნებოდა თავის წინასწარი გაცემა. საგანგებოდ რაღაცას მოიგონებს, იცრუებს, თუკი მაინცდამაინც მისგან რაიმე ინფორმაციას მოითხოვენ, მაგრამ ამას დამალავს! პირიქით, კვლავ ვიმეორებ, ფულის თაობაზე რომ ხმა არ ამოეღო, ხოლო ამის შემდეგ მოეკლა და ის ფული წაეღო, ამქვეყნად კაციშვილი ვერ დასდებდა ბრალს გაძარცვის მიზნით მკვლელობაში, რადგან სახლში ფულის არსებობის შესახებ მის გარდა არავის არაფერი ეცოდინებოდა. მისთვის რომც ბრალი დაედოთ, მკვლელობის მოტივად აუცილებლად სხვა რამეს ჩათვლიდნენ. მაგრამ რადგან მას თავიდან მკვლელობის მოტივები არ ჰქონდა, პირიქით, ითვლებოდა, რომ იგი ბატონის სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა, მასზე ეჭვს ყველაზე ნაკლებად მიიტანდნენ, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე მოტივი გაჩნდებოდა. ეჭვს კი ისეთ კაცზე მიიტანდნენ, რომელიც ჯერ კიდევ მკვლელობამდე გამუდმებით იყვირებდა, რომ ჰქონდა ასეთი მოტივები. ერთი სიტყვით, თუ ვინმეზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა, ასეთი მხოლოდ მოკლულის შვილი, დმიტრი ფიოდოროვიჩი შეიძლება ყოფილიყო. სმერდიაკოვი მოკლავდა და გაქურდავდა, შვილს კი ბრალს დასდებდნენ - მკვლელ-სმერდიაკოვს, რასაკვირველია, აწყობდა ეს. მაგრამ განა შეიძლებოდა გულში მკვლელობის მატარებელ სმერდიაკოვს დმიტრისათვის შეეტყობინებინა რაიმე ფულიანი პაკეტისა და ნიშნების შესახებ?! განა ეს ლოგიკურია?!
დადგა ის დღეც, როცა სმერდიაკოვს მკვლელობა უნდა ჩაედინა. ამ დღეს მან ყველას თავი მოაჩვენა, თითქოს ავი ზნე დაემართა და კიბიდან პირდაპირ

სარდაფში მოადინა ზღართანი, რატომ? ალბათ იმიტომ, როცა მსახური გრიგორი, რომელიც იმ დღეს მკურნალობის დაწყებას აპირებდა, გაიგებდა რა მის ამბავს, მკურნალობაზე უარი ეთქვა და სახლს დარაჯად დასდგომოდა. ეს ერთი! მეორე ის, რომ, როცა ბატონი შეიტყობდა, სახლის მოდარაჯე აღარავინააო, შეშინებულიყო და უფრო უნდო და ფრთხილი გამხდარიყო. დაბოლოს, ეს უკვე ძალზე მნიშვნელოვანია - ალბათ იმიტომ, რომ ბნედამორეული სმერდიაკოვი მაშინვე სამზარეულოდან, სადაც ის მარტო ათევდა ხოლმე ღამეს და სადაც მას ცალკე შესასვლელ-გამოსასვლელი ჰქონდა, გადაეყვანათ ფლიგელის მეორე მხარეს, გრიგორის ოთახში, ტიხარს იქით, გრიგორისა და მარფას საწოლებიდან სამი ნაბიჯის დაშორებით, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა ხოლმე მისი ავადმყოფობის დროს, ბატონისა და მარფა იგნატიევნას გადაწყვეტილებით. იქ, ტიხარს იქით მწოლიარეს, ხალხისათვის ნამდვილ ავადმყოფად რომ მოეჩვენებინა თავი, უნდა დაეწყო კვნესა, მაშასადამე, მთელი ღამის განმავლობაში არ დააძინებდა ცოლ-ქმარს (ეს გრიგორისა და მისი ცოლის ჩვენებებიდანაც ჩანს), - ყველაფერი ასე იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ასადგომად მოსახერხებელი დრო შეერჩია და ბატონი მოეკლა!

შეიძლება ვინმემ მითხრას, სწორედაც იმიტომ მოაჩვენა თავი ავადმყოფად ხალხს, რომ მასზე არაფერი ეფიქრათ, ხოლო განსასჯელს იმიტომ შეატყობინა ფულისა და დათქმული ნიშნების შესახებ, რომ ის ეცდუნებინა - მოსულიყო, მამა მოეკლა და ფული წაეღო. ამ დროს, რაღა თქმა უნდა, დმიტრი ფიოდოროვიჩი ხმაურს ატეხდა, ყველაფერს მილეწ-მოლეწავდა, მოწმეებსაც გააღვიძებდა; აი, სწორედ მაშინ ადგებოდა სმერდიაკოვი და წავიდოდა - მაგრამ სად, რის გასაკეთებლად წავიდოდა? მეორედ ხომ არ წავიდოდა ბატონის მოსაკლავად და ფულის წამოსაღებად. ბატონებო, დაგვცინით თუ რა? მე ასეთი ვარაუდის გაფიქრებისაც კი მრცხვენია. განსასჯელი კი სწორედ ამას ამტკიცებს: როცა სახლიდან გამოვედი, გრიგორის თავ-პირი დავუმტვრიე და ერთი დავიდარაბა ავტეხე, სმერდიაკოვი ადგა და ბატონი მოკლა, ფული წაიღოო. მე იმაზე აღარაფერს ვამბობ, როგორ შეძლო სმერდიაკოვმა ყოველივე იმის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორ მოვიდოდა გახელებული ბატონიშვილი მხოლოდ იმისათვის, რომ ფანჯარაში შეეხედა, დათქმული ნიშნების გამოყენებით მამა აბუჩად აეგდო, კარი გაეღებინებინა და შემდეგ სმერდიაკოვის მოსაკლავად და გასაძარცვავად დაეტოვებინა იგი! ბატონებო, მე სავსებით სერიოზულად ვაყენებ საკითხს: რა მომენტში შეასრულა სმერდიაკოვმა მკვლელობა? მიმითითეთ ამ მომენტზე, სხვა მხრივ მისი დადანაშაულება არ შეიძლება.

„შესაძლოა, ზნემ მართლა მოუარა. შემდეგ ავადმყოფი გონს მოვიდა და როცა ხმაური გაიგონა, ადგა“ - მერე რა? გამოიხედა და გადაწყვიტა: ბარეღამ მოვკლავო? მოკლედ, ბატონებო, ყოველგვარ ფანტაზიას თავისი საზღვარი გააჩნია.

„ეგება, - მომიგონ გამჭრიახმა ადამიანებმა, - ისიც ხომ არ არის გამორიცხული, რომ ისინი შეთანხმებულები ყოფილიყვნენ, იქნებ ერთად მოკლეს და ფული გაიყვეს, მაშინ რაღა?“

დიახაც, ყურადსაღები ეჭვია, კოლოსალური სამხილებით განმტკიცებული: ერთი კლავს და მთელ საქმეს თავის თავზე იღებს, მეორე, თანამზრახველი კი მხართეძოზე წამოწოლილა და ავი ზნით შეპყრობილად მოაქვს თავი - იმისათვის, რომ წინასწარ ყველას ეჭვი აღუძრას, დააფრთხოს ბატონი და გრიგორი. საინტერესოა, რა მოტივებმა აიძულა თანამზრახველები, მოეფიქრებინათ ასეთი სულელური გეგმა? იქნებ სმერდიაკოვის მხრიდან ეს არ იყო აქტიური თანამშრომლობა და მხოლოდ პასიური თანაგრძნობა იყო; შესაძლოა, დაშინებული სმერდიაკოვი დათანხმდა, მხოლოდ წინააღდეგობა არ გაეწია მკვლელობისათვის, მაგრამ რაკი გრძნობდა, მაინც მას დაადანაშაულებდნენ, ხელი რატომ არ შეუშალა მკვლელობას და არ ატეხა განგაში; იქნებ დმიტრი კარამაზოვს სთხოვა ნებართვა, ამ პერიოდში თავი ავი ზნით შეპყრობილად მოეჩვენებინა, „შენ კი, როგორც გინდა, ისე მოკალი, მე ამ საქმეში არ გავერევიო“. ვთქვათ, ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ ამ ამბავს, სმერდიაკოვის ბნედას, სახლში აურზაური უნდა გამოეწვია, დმიტრი კი ამნაირ პირობას არაფრით არ უნდა დათანხმებოდა. მაგრამ მე ამასაც დავუშვებ - ვთქვათ, იგი ამ პირობას დათანხმდა; მაშინ გამოვიდოდა ისე, რომ დმიტრი კარამაზოვი ნამდვილი მკვლელი და ამ საქმის მოთავე აღმოჩნდებოდა, ხოლო სმერდიაკოვი პასიური მონაწილე, მონაწილეც არა, მხოლოდ თავისი უნებისყოფობისა და მშიშრობის გამო თანამოზიარე. ეს სასამართლოსათვის ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა. ჩვენ კი რას ვხედავთ? როგორც კი განსასჯელი დააპატიმრეს, მან ყველაფერი

სმერდიაკოვს გადააბრალა, მხოლოდ ის დაადანაშაულა. თავის თანამონაწილედ კი არ დაასახელა, არამედ მარტო მას დაადო ხელი: მაგან მოკლა და გაძარცვა მამაჩემი, ეგ საქმე მხოლოდ მისი ჩადენილიაო! აბა, ერთი მითხარით, ეს როგორი თანამზრახველობაა, როცა ერთი მეორეს ადანაშაულებს - ასეთი რამ არასოდეს ხდება! ახლა დახეთ, როგორ რისკზე მიდის კარამაზოვი: მთავარი დამნაშავე თვითონაა, სმერდიაკოვი მხოლოდ თანამზრახველია, ის ბოროტმოქმედების ჩადენის მომენტში ტიხარს იქით ლოგინში იწვა, კარამაზოვი კი ლოგინში მწოლიარეს ადებს ხელს. ხომ შეიძლებოდა, ის, ლოგინში მწოლიარე, გაბრაზებულიყო და თავდაცვის მიზნით მართალი ეთქვა: არა, ბატონო, ორივე ვმონაწილეობდით, მაგრამ მე არ მომიკლავს, მე მხოლოდ ხელი არ შევუშალე, მეშინოდა და იმიტომო. სმერდიაკოვს არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რომ სასამართლო გაარკვევდა ამ საქმეში მისი მონაწილეობის წვლილს და თუ მასაც დასჯიდნენ, ეს სასჯელი გაცილებით მცირე იქნებოდა, ვიდრე მკვლელისა, რომელმაც სცადა, ყველაფერი მისთვის გადაებრალებინა. ამიტომაც ალბათ იგი აღიარებდა ყველაფერს. მაგრამ ამის თაობაზე ჩვენ არაფერი ვიცით. სმერდიაკოვს სიტყვაც არ დაუძრავს თანამშრომლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელმა მას ბრალი პირდაპირ დასდო და მთელი გამოძიების პროცესში მხოლოდ მასზე მიუთითებდა, როგორც ერთადერთ მკვლელზე. ამას გარდა, სმერდიაკოვმა გამოძიებას მოახსენა, რომ განსასჯელს ფულიანი პაკეტისა და დათქმული ნიშნების შესახებ მან შეატყობინა. მას რომ არ ეთქვა, იგი ვერაფერსაც ვერ გაიგებდა. ის რომ მართლა მისი თანამზრახველი ყოფილიყო, ასე ადვილად შეატყობინებდა გამოძიებას ამ ამბავს?! პირიქით, ყველაფერს დამალავდა, აუცილებლად დაამახინჯებდა ფაქტებს. მას კი არაფერი დაუმალავს და არც არაფერი დაუმახინჯებია. ასე შეიძლება მხოლოდ უდანაშაულო კაცი მოიქცეს, რომელსაც არ ეშინია, რომ თანამზრახველად ჩათვლიან. ბოლოს ისე მოხდა, რომ ავი ზნით გამოწვეული ავადმყოფური მელანქოლიისა და გადატანილი კატასტროფის შედეგად, სმერდიაკოვმა თავი ჩამოიხრჩო. ჩამოხრჩობამდე ბარათი დატოვა: „სიცოცხლეს საკუთარი სურვილით და ნებით ვისწრაფებ. ბრალი არავის დასდოთ.“ განა არ შეიძლებოდა, დაემატებინა, მკვლელი მე ვარ და არა კარამაზოვიო. მაგრამ არ დაუმატა; ერთზე ეყო სინდისი და მეორეზე არა?

დღეს კი რა ხდება: წეღან აქ ფული მოიტანეს, სამი ათასი მანეთი - „ზუსტად ის, იმ პაკეტში რომ იდო, რომელიც ახლა მაგიდაზე დევს ნივთიერ მტკიცებებთან ერთად, გუშინ სმერდიაკოვმა მომცაო“. ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენ თავად კარგად გახსოვთ ეს სევდიანი სცენა. არ დავიწყებ ახლა მის დაწვრილებით აღწერას, მაგრამ თავს ნებას მივცემ, გამოვთქვა ორი-სამი მოსაზრება ყველაზე უმნიშვნელო საკითხებზე. - სწორედაც იმიტომ, რომ ისინი უმნიშვნელნი არიან და ალბათ ყველას თვალში არ მოხვდა ან გადაავიწყდა. უპირველეს ყოვლისა, თურმე სმერდიაკოვმა სინდისის ქენჯნის გამო გუშინ ფული გადასცა ივან ფიოდოროვიჩს და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო (რადგან სინდისის ქენჯნის გარეშე ის ფულს არავის დაუბრუნებდა). როგორც ივან კარამაზოვმა მოგვახსენა, მხოლოდ გუშინ საღამოს გამოუტყდა სმერდიაკოვი ჩადენილ დანაშაულში. მაგრამ რატომ დუმდა აქამდე? კარგი, ბატონო, ვთქვათ, აღიარა, მაგრამ რატომ სიკვდილის წინ დაწერილ წერილში არ თქვა სიმართლე, მით უმეტეს, იცოდა, რომ მეორე დღეს უდანაშაულო კაცი საშინელი სამსჯავროს წინაშე უნდა

წარმდგარიყო? მარტოოდენ ფული არაფრის დამამტკიცებელი არ არის. მაგალითად, ჩემთვის და კიდევ ორი კაცისათვის ცნობილია, რომ ერთი კვირის წინ ივან კარამაზოვმა საგუბერნიო ქალაქში გადასახურდავებლად გადააგზავნა ორი ხუთათასიანი ხუთპროცენტიანი ბილეთი, ე.ი. სულ ათი ათასი. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი შემთხვევისათვის ყველას შეიძლება აღმოაჩნდეს ფული. ასე რომ, ძნელია იმის მტკიცება, რომ ის ფული აუცილებლად სმერდიაკოვის მიერ გადაცემული ფულია. ახლა ის ვთქვათ: როცა ივან კარამაზოვმა გუშინ ნამდვილი მკვლელისაგან ასეთი მნიშვნელოვანი ცნობა მიიღო, რატომ იყო ასე მშვიდად? რატომ არ შეატყობინა მაშინვე იქ, სადაც ჯერ არს? რატომ გადადო ეს საქმე მეორე დღისათვის? მე მგონი ვხვდები, ვხვდები რატომაც: უკვე ერთი კვირაა, იგი შეწუხებულია თავისი ჯანმრთელობით, თავად გამოუტყდა ახლობლებსა და ექიმს, რომ რაღაც ხილვები აწუხებდა, ქუჩაში გარდაცვლილ ადამიანებს ხვდებოდა. ახლაც კი, სანამ თეთრი ცხელების შეტევა დაეწყებოდა, როცა მოულოდნელად შეიტყო სმერდიაკოვის სიკვდილი, უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა: „კაცი მოკვდა, მასზე გადაბრალება შეიძლება და ძმასაც გადავარჩენ. ფული ხომ მაქვს დასტებად, ვიტყვი, რომ იგი სიკვდილის წინ სმერდიაკოვმა გადმომცა“. თქვენ, რასაკვირველია, იტყვით, რომ ეს არაპატიოსანი საქციელია. განა ტყუილის თქმა უსინდისობა არ არის, თუნდაც ეს მკვდარზე იყოს ნათქვამი და ძმის გადასარჩენად გაკეთებული?! მაგრამ იქნებ მან შეუგნებლად იცრუა, იქნებ წარმოიდგინა, რომ ასე უნდა მომხდარიყო, როცა შეიტყო ლაქიის მოულოდნელი სიკვდილის გამაოგნებელი ამბავი? თქვენ თავად იხილეთ ამასწინანდელი სცენა, რა დღეში იყო ეს ადამიანი. ფეხზე იდგა, ლაპარაკობდა, მაგრამ სად იყო მისი გონება? მის ავადმყოფურ ჩვენებას მოჰყვა დოკუმენტი, რომელიც ქალბატონმა ვერხოვცევამ სასამართლოს წარმოუდგინა. ეს იყო განსასჯელის წერილი ქალბატონ ვერხოვცევასადმი, დანაშაულის ჩადენამდე ორი დღით ადრე დაწერილი. წერილში განსასჯელს დაწვრილებით აქვს აღწერილი დანაშაულის ხორცშესხმის პროგრამა. მაშ, რისთვის ვეძებთ სხვა პროგრამას და სხვა შემდგენელს? ყველაფერი ისეთი თანმიმდევრობითაა შესრულებული, როგორც წერილშია აღწერილი პროგრამის შემდგენელის მიერ. დიახ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, „ყოველივე დაწერილის მიხედვით აღსრულდა!“ არა, ბატონებო, არა! ჩვენ არ მოვშორებივართ მამის სახლის ფანჯარას მოკრძალებული და შეშინებული, თანაც ღრმად დარწმუნებული, რომ იქ იმ წუთებში ჩვენი შეყვარებული არ იყო. ეს ტყუილია და არაფერი აქვს სიმართლესთან საერთო. იგი სახლში შევიდა და აღასრულა თავისი ბინძური საქმე. როცა იხილა მისთვის საძულველი პიროვნება, ბოღმით შეპყრობილმა და გააფთრებულმა მოკლა იგი სპილენძის სანაყის ერთი დარტყმით. შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდა, ქალი მამასთან არ იყო, მას არ დავიწყებია ბალიშქვეშ გადამალული ფულიანი პაკეტი. ბალიშქვეშ ხელი შეჰყო და აიღო, აი, ეს პაკეტი, რომელიც ახლა თქვენ წინაშე მაგიდაზე დევს სხვა ნივთიერ მტკიცებებთან ერთად. ამას იმიტომ მოგახსენებთ, თქვენი ყურადღება რომ გავამახვილო ერთ გარემოებაზე, ჩემი აზრით, ძალიან დამახასიათებელზე. იგი რომ გამოცდილი მკვლელი ყოფილიყო, გაქურდვის მიზნით მოსული მკვლელი - განა ის გახეულ კონვერტს იატაკზე დაგდებულს დატოვებდა, როგორადაც ჩვენ დაგვხვდა მიცვალებულის გვერდით მიგდებული? მკვლელი სმერდიაკოვიც რომ ყოფილიყო, გაქურდვის მიზნით მისული, - ისიც კი წაიღებდა კონვერტს თან, ისიც კი არ

ეცდებოდა თავისი მსხვერპლის თავზე გაეხსნა იგი; რადგან კარგად იცოდა, კონვერტში რა იდო - განა მის თვალწინ არ მოხდა ფულის ჩადება და კონვერტის დალუქვა?! გარდა ამისა, კონვერტის წაღების შემთხვევაში არავის დაებადებოდა კითხვა, საერთოდ ქურდობა მოხდა თუ არა? მე თქვენ გეკითხებით, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მოიქცეოდა ასე თუ არა სმერდიაკოვი, დატოვებდა იგი გახეულ კონვერტს იატაკზე? არა, ასე მხოლოდ გაშმაგებული მკვლელი მოიქცეოდა, რომელსაც გონება რისხვისაგან ჰქონდა დაბინდული; მკვლელი, რომელიც არც ქურდი იყო და არც არასოდეს არაფერი მოეპარა. მან პაკეტი აიღო, როგორც თავისი პირადი საკუთრება, წართმეული უკან დაიბრუნა - რამეთუ სწორედ ასეთი მანიაკური, აკვიატებული აზრი ჰქონდა დმიტრი კარამაზოვს იმ სამი ათასზე. ჰოდა, როცა მან აიღო პაკეტი, რომელიც ადრე არასოდეს ენახა, რასაკვირველია, გახია ის, რათა დარწმუნებულიყო, რა იდო მასში. როდესაც შიგ ფული იხილა, ფული ამოიღო, პაკეტი იატაკზე დააგდო და თავად მოუსვა, ისე, რომ არც უფიქრია, როგორ კოლოსალურ სამხილს ტოვებდა. ამიტომ მკვლელობა კარამაზოვმა ჩაიდინა, და არა სმერდიაკოვმა. კარამაზოვმა არ გაიაზრა, არ აწონ-დაწონა ყველაფერი - სად ეცალა ამისთვის! თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, როცა უკან მამამისის მსახურის ღრიალი შემოესმა. მსახური წამოეწია, ხელი სტაცა და გააჩერა. განსასჯელმა მასაც სპილენძის სანაყი სთხლიშა თავში. მსახური უგონოდ დავარდა. კარამაზოვს შეეცოდა და დაიხარა, რომ ენახა, რა დღეში იყო. თქვენ წარმოგიდგენიათ, ის გვარწმუნებს, რომ სიბრალულის გამო დაიხარა გონდაკარგულ მსახურთან, რომ რაიმე ეშველა. ნუთუ იმ წუთებში რაიმე თანაგრძნობის გამოხატვა შეიძლებოდა? არა და არა! ის იმიტომ დაიხარა, რომ ენახა, მისი ბოროტმოქმედების ერთადერთი მოწმე ცოცხალი იყო თუ არა. სხვა ნებისმიერი გრძნობის გამოვლენა, სხვა ნებისმიერი მოტივი არაბუნებრივი იქნებოდა! დაიმახსოვრეთ, ის გრიგორის თავს ევლება, სისხლიან თავს ცხვირსახოცით უწმენდს და როცა დარწმუნდება, რომ იგი მკვდარია, გასისხლიანებული და თავგზააბნეული კარამაზოვი ისევ თავის შეყვარებულის სახლში გარბის. ვერც კი ამჩნევს, სისხლში რომ არის ამოსვრილი და შეიძლება, მის შემხედვარეს ვინმეს ეჭვი შეეპაროს რაიმეში! როგორც თავად განსასჯელი გვარწმუნებს, ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, სისხლში რომ იყო ამოსვრილი; ამის დაშვება შეიძლება, სავსებით შესაძლებელია, ასეთი რამ დამნაშავეებს ხშირად ემართებათ ხოლმე. მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა მას, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შეეძლო. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სად იყო ახლა გრუშენკა. სასწრაფოდ სურდა გაეგო, სად იყო ქალი და გარბოდა მისი სახლისკენ. იქ მისთვის უმნიშვნელოვანესი ამბავი შეიტყო: ქალი მოკროეში გამგზავრებულიყო თავის „ძველ“ და „შეუცვლელ“ მიჯნურთან!

IX ნაუცბადევი ფსიქოლოგია. გაჭენებული სამცხენა. პროკურორის სიტყვის ფინალი

თავისი გამოსვლის ამ ადგილიდან პროკურორმა, როგორც ჩანს, აირჩია თხრობის ისტორიული მეთოდი, რომელსაც მიმართავს ხოლმე ყველა ნერვიული ორატორი,

როცა საგანგებოდ ცდილობს, ჩაჯდეს მკაცრად შეზღუდულ ჩარჩოებში და მოთოკოს თავისი დაუოკებელი ხუშტურები. იპოლიტ კირილოვიჩმა განსაკუთრებულად ილაპარაკა გრუშენკას „ძველ“ და „შეუცვლელ“ სიყვარულზე და რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამ თემის ირგვლივ. „ყველას მიმართ სიგიჟემდე ეჭვიანი კარამაზოვი უცებ მოეშვა, იგი გრუშენკას ძველი სიყვარულის წინაშე უძლური აღმოჩნდა.“ ეს უფრო იმიტომ იყო უცნაური, რომ ადრე ის თითქმის არ აქცევდა ყურადღებას ამ საშიშროებას, რომელიც შეიძლებოდა მოვლენოდა ახალი მეტოქის სახით. მისი ფიქრით, მეტოქე ძალიან შორს იყო. კარამაზოვი კი დღევანდელი დღით ცხოვრობდა. შესაძლოა, იგი მას ფიქციადაც თვლიდა. ახლა კი ანაზდად თავისი ნატკენი გულით იგრძნო, შესაძლოა, ეს ქალი აქამდე იმიტომ ატყუებდა, იმიტომ მალავდა ამ ახალ მეტოქეს, რომ იგი მისი ფანტაზია, გამოგონილი ვინმე კი არ იყო, არამედ მისი ცხოვრების იმედი და სასოება გახლდათ. როდესაც ამას მიხვდა, უმალვე დაწყნარდა. რას ვიზამ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მე არ მაქვს უფლება, გვერდი ავუარო განსასჯელის სულიერების ამ მოულოდნელ გამოვლენას, რასაც, თითქოსდა, არ უნდა ეჩინა თავი. ანაზდად მას გაუჩნდა სიმართლის დაუოკებელი მოთხოვნილება, ქალისადმი პატივისცემის გრძნობა და მისი გულის თავისუფალი არჩევანის უფლების აღიარების სურვილი. ეს მოხდა მას შემდეგ, როდესაც ამ ქალის გამო საკუთარი მამის სისხლში ამოისვარა ხელები! ისიც არ არის გამორიცხული, რომ ამ მომენტში დაღვრილი სისხლი მოითხოვდა შურისძიებას, რადგან მას, ვინც უკვე სული წაიწყმიდა და ამქვეყნად თავი დაიღუპა, საკუთარი თავის მიმართ უნდა დაბადებოდა კითხვა: „რას წარმოადგენს ახლა ის იმ ქალისათვის, მისთვის ყველაზე საყვარელი და სულზე უტკბესი არსებისათვის, იმ „ძველ“ და „შეუცვლელ“ მიჯნურთან შედარებით, რომელმაც ცოდვები მოინანია და დაუბრუნდა ადრე მიტოვებულ სატრფოს ახალი სიყვარულითა და პატიოსანი წინადადებებით, განახლებული და მომავალი ბედნიერი ცხოვრების აღთქმით. თავად კი, უბედურმა, რა უნდა მისცეს მას, რა შესთავაზოს?“ კარამაზოვი მიხვდა ამას, მიხვდა, რომ ჩადენილმა ბოროტმოქმედებამ მას ყველა გზა დაუხშო, რომ ახლა ის სისხლის სამართლის დამნაშავეა და არა ჩვეულებრივი, ამქვეყნად ცხოვრების ღირსი ადამიანი! ამ აზრმა ის ერთიანად გასრისა და გაანადგურა. მოულოდნელად თავში ერთი გიჟური გეგმა მოუვიდა, რომელიც, თუ კარამაზოვის ხასიათს გავითვალისწინებთ, მისთვის ამ საშინელი მდგომარეობიდან ერთადერთი და ფატალური გამოსავალი უნდა ყოფილიყო. ეს გამოსავალი - თვითმკვლელობა იყო. იგი კისრისტეხით გავარდა ჩინოვნიკ პერხოტინთან მასთან დაგირავებული პისტოლეტების წამოსაღებად. გზადაგზა ჯიბიდან იმ ფულს იღებდა, რომლისთვისაც საკუთარი მამის სისხლში გაისვარა ხელები. დიახ, ახლა მას ფული ყველაფერზე მეტად სჭირდებოდა: ახლა კარამაზოვი კვდება, ახლა ის თავს იკლავს, ეს კი ყველას უნდა დაამახსოვრდეს! ტყუილად ხომ არა ვართ ჩვენ პოეტები, ტყუილუბრალოდ ხომ არ გავლიეთ ჩვენი ცხოვრება ქეიფსა და დროსტარებაში. „ახლავე იქ მივდივარ, იქ, გრუშენკასთან, ისეთ ღრეობას გავმართავ, ქვეყანას დაამახსოვრდეს, ჯერ რომ არავის გაუმართავს, ყველა მასზე რომ ლაპარაკობდეს. გახელებული ბოშური სიმღერებისა და ცეკვების, თავაშვებული ღრიანცელის თანხლებით, შევსვამ სადღეგრძელოს და მივულოცავ სათაყვანებელ ქალს ახალ ბედნიერებას, შემდეგ კი მის ფერხთით დამხობილი გავიხვრეტ შუბლს და მოვისწრაფებ სიცოცხლეს! ოდესმე მოიგონებს ის მიტია

კარამაზოვს, მიხვდება, როგორ უყვარდა იგი მიტიას და შეეცოდება!“ მრავალხატოვანება, სასიყვარულო თავდავიწყება, ველური, კარამაზოვული თავშეუკავებლობა და მგრძნობელობა - და კიდევ სხვა რაღაც, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, რომელიც მის სულში ყიოდა, ტვინს უჭყლეტდა და გულს უშხამავდა; ეს რაღაცა - ნამუსი იყო, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მისი სამსჯავრო, მისი სინდისის ქენჯნა! ახლა პისტოლეტი ყველასთან და ყველაფერთან შეარიგებს, პისტოლეტი ერთადერთი გამოსავალია, მას ვერაფერი შეცვლის, იქ კი - არ ვიცი, იმ წუთებში ფიქრობდა თუ არა კარამაზოვი, „იქ რა მოხდებოდა“, და შეეძლო კი კარამაზოვს ჰამლეტისებურად ეფიქრა, იქ რა მოხდებაო? არა, ბატონებო, ჰამლეტები იმათ ჰყავთ, ჩვენთან ჯერჯერობით კარამაზოვები არიან!“

აქ პროკურორი შეუდგა მიტიას მოკროეში გასამგზავრებლად მზადების დაწვრილებით მოყოლას. მიმდევრობით აღწერა პერხოტინთან ყოფნის, დუქნის და მეეტლეებთან ურთიერთობის სცენები. მოწმეების მიერ დადასტურებული მრავალი სიტყვა, გამოთქმა და ჟესტი ჩამოთვალა, რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. დიდი ზეგავლენა იქონია ფაქტების ერთობლიობამ. ამ გაშმაგებული და თავდაუზოგავი, საგონებელში ჩავარდნილი კაცის დანაშაული აშკარად გამოიკვეთა. „ის თავს აღარაფრისთვის ზოგავდა, - თქვა იპოლიტ კირილოვიჩმა, - რამდენჯერმე ყველაფრის აღიარება დააპირა, რაღაცნაირი ქარაგმებით ლაპარაკობდა და სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა (ამას მოწმეების ჩვენებები მოაყოლა). გზაში მეეტლესაც კი უთხრა: „იცი თუ არა შენ, რომ მკვლელი გიზის ეტლშიო!“ მაგრამ სათქმელი ბოლომდე მაინც არ თქვა: საჭირო იყო ჯერ სოფელ მოკროეში ჩასვლა და იქ დაასრულებდა თავის პოემას. მაგრამ იქ რა ელოდა ამ საცოდავს? მოხდა შემდეგი რამ: იგი პირველი წუთებიდანვე დარწმუნდა, რომ „შეუცვლელი“ მეტოქე სულაც არ არის შეუცვლელი, რომ მისგან არც ახალი ბედნიერების მილოცვას და არც ამის თაობაზე სადღეგრძელოს შესმას მოითხოვს ვინმე. თუმცა, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენთვის წინასწარი გამოძიებიდანაა ცნობილი ყველა ფაქტი. კარამაზოვის მეტოქეზე გამარჯვება გარდაუვალი აღმოჩნდა. აქედან დაწყებული, სწორედ ამ მომენტიდან, როცა განსასჯელი მიხვდა, რომ უპირატესობა მას მიანიჭეს, მის სულში ახალი ფაზა დაიწყო. ეს ყველაზე საშინელი ფაზაა, ყველა იმათ შორის, რომელიც მისმა სულმა უკვე გადაიტანა, ან უნდა გადაეტანა ოდესმე! ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, გადაჭრით შეიძლება ითქვას, - შესძახა იპოლიტ კირილოვიჩმა, - შეურაცხყოფილი ბუნება და გაბოროტებული გული თავისთავად უფრო შურისმაძიებელია, ვიდრე ნებისმიერი ამქვეყნიური მართლმსაჯულება! გარდა ამისა: მართლმსაჯულება და მიწიერი სასჯელი ამსუბუქებს ბუნების სასჯელს. ასეთ მძიმე წუთებში იგი ბოროტმოქმედის სულისათვის აუცილებელია, ის სასოწარკვეთისაგან თავის დაღწევაა. მე ვერც კი წარმოვიდგენ იმ საშინელ ზნეობრივ ტანჯვას, რომელიც ალბათ კარამაზოვმა განიცადა, როცა შეიტყო, რომ თურმე გრუშენკას მხოლოდ ის უყვარდა, მისი გულისათვის თქვა უარი თავის „ადრინდელ“ და „შეუცვლელ“ სიყვარულზე, რომ გრუშენკა მხოლოდ მას, „მიტიას“ უხმობს ახალი ცხოვრებისაკენ და მასთან ერთად სურს ბედნიერი ცხოვრება. და ეს გაიგო როდის? როცა ყველაფერი დასრულდა, როცა ყველაფერი შეუძლებელია! ბარემ აქვე გაკვრით შევეხები თქვენთვის მეტად საჭირო ერთ მნიშვნელოვან მომენტს განსასჯელის იმჟამინდელი მდგომარეობის ნამდვილი არსის ასახსნელად: უკანასკნელ

წუთებამდე, ვიდრე დააპატიმრებდნენ, ეს ქალი და ეს სიყვარული მისთვის წარმოადგენდა გამძაფრებულ სურვილს, მაგრამ მიუწვდომელ და განუხორციელებელ ოცნებას. მაგრამ რატომ, რატომ არ მოიკლა თავი მაშინ, რატომ გადადო თავის მოკვლის ვადა და საერთოდ გადაავიწყდა, სად ჰქონდა პისტოლეტი? სწორედ სიყვარულის ამ გაშმაგებულმა სურვილმა და იმედმა უცებ დააშოშმინა ის და დროებით გადააფიქრებინა ამ ნაბიჯის გადადგმა. მთელი ქეიფის განმავლობაში ის თვალს არ აცილებდა თავის შეყვარებულს, იმ წუთებში მისთვის ყველაზე მშვენიერ და მაცდუნებელ არსებას, - იგი მას ერთი წუთითაც არ მოსცილებია, ტკბებოდა მისი ცქერით და ფეხქვეშ ეგებოდა მას. ასეთ ვნებას შეეძლო, წუთიერად გადაევიწყებინა არათუ დაპატიმრების შიში, არამედ სინდისის ქენჯნაც! მაგრამ მხოლოდ წუთიერად, ვაი, რომ წუთიერად! მე წარმომიდგენია ბოროტმოქმედის მაშინდელი სულიერი მდგომარეობა, რომელიც უდავოდ იმყოფებოდა მისი დამთრგუნველი სამი ელემენტის მონურ მორჩილებაში: პირველი, ეს იყო, სიმთვრალე, დახუთული ჰაერი და ღრიანცელი, მოცეკვავეების ფეხების ბაკუნი, გამკივანი მღერა და გრუშენკა - ღვინისაგან ლოყებაღაჟღაჟებული გრუშენკა, მომღერალი, მროკავი, შექეიფიანებული და მისთვის მომღიმარი გრუშენკა! მეორე, გამამხნევებელი ოცნება, რომ საბედისწერო დასასრული ჯერ კიდევ შორსაა, ხვალამდე კიდევ აქვს დრო, მხოლოდ დილას შეიძლება მოვიდნენ მის დასაპატიმრებლად! მაშასადამე, კიდევ რამდენიმე საათი დარჩა, კიდევ ძალიან ბევრი! რამდენიმე საათში ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. მე მგონია, მას რაღაც იმის მსგავსი დაემართა, რაც სიკვდილმისჯილს ემართება ხოლმე ეშაფოტის წინ, ჩამოხრჩობამდე, როცა ჯერ კიდევ გასავლელია გრძელი ქუჩა, თანაც ტაატით, ათასობით ადამიანის წინ, შემდეგ მოსახვევია მეორე ქუჩაზე, მხოლოდ ამ ქუჩის ბოლოშია ის საშინელი მოედანი! მე ასე წარმომიდგენია, სიკვდილმისჯილი მსვლელობის დროს, სამარცხვინო ეტლზე მდგომი გრძნობს, რომ წინ კიდევ უსასასრულო ცხოვრებაა. და აი, პროცესია ჩაუვლის სახლებს, ეტლი ნელ-ნელა მიიწევს წინ - ეს არაფერია, მეორე ქუჩის შესახვევამდე ჯერ კიდევ შორსაა და ის მხნედ გადაჰყურებს, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, მასზე მიშტერებულ და მისდამი გულგრილ, ათასობით ცნობისმოყვარე ადამიანს. მას კიდევ ჰგონია, რომ ისიც მათსავით ადამიანია. აი, უკვე მეორე ქუჩის შესახვევი. ვაიმე! არა უშავს, არა უშავს, კიდევ მთელი ქუჩაა გასავლელი. რამდენ სახლსაც ჩაუვლიან, ფიქრობს: „კიდევ ბევრი სახლი დარჩაო“. და ასე გაგრძელდება ბოლომდე, სახრჩობელამდე. მე მგონია, კარამაზოვსაც ასეთი განცდები ექნებოდა. „იქ ალბათ ჯერ ვერ მოასწრეს, - ფიქრობდა ის, - ჯერ კიდევ შეიძლება რაიმეს მოფიქრება, კიდევ შეიძლება თავდაცვის გეგმის შედგენა, საწინააღმდეგო არგუმენტების მოაზრება, ახლა კი, ახლა გრუშენკა ისეთი მშვენიერია!..“ რაღაც საშინელება ტრიალებს მის სულში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ასწრებს, გადამალოს თანხის ნახევარი - სხვაგვარად ვერ ამიხსნია, სად შეიძლებოდა გამქრალიყო იმ სამი ათასის ნახევარი, რომელიც მან მამამისს მოჰპარა. ის მოკროეში პირველად არ იყო. ადრე იქ ორ დღეს ქეიფობდა. ამ ძველ ხის სახლს, თავისი ფარდულებით და შუშაბანდებით, იგი კარგად იცნობდა. ეჭვი მაქვს, დაპატიმრებამდე ფულის ნაწილი სწორედ სახლის რომელიმე ნაპრალში, ან იატაკის რომელიმე ფიცრის ქვეშ, ან სხვენის რომელიმე კუთხეში გადამალა. რისთვის? როგორ თუ რისთვის? წუთი-წუთზე შეიძლება კატასტროფა მოხდეს, ჩვენ კი ჯერ არ მოგვიფიქრებია,

როგორ შევხვდეთ მას, თუმცა ახლა ამის დრო არ გვაქვს, თავში რაღაც გვირაკუნებს, გული მისკენ მიიწევს, ფული კი - ყველა შემთხვევაში აუცილებელია! ფულიანი კაცი ყველგან კაცია. შესაძლებელია, ასეთ წუთებში ამგვარი ანგარიშიანობა ცოტა უჩვეულოდაც მოგეჩვენოთ? მაგრამ ხომ გახსოვთ, განსასჯელი თავად გვარწმუნებდა, რომ ტრაგედიამდე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, კიდევ ერთ საბედისწერო მომენტში, როგორ გადაინახა მან სამი ათასიდან ნახევარი, როგორ გამოკერა ჭინჭში და როგორ ჩამოიკიდა კისერზე. რასაკვირველია, თუ ეს ტყუილი არ არის, რასაც ახლა დავამტკიცებთ. მაშასადამე, ასეთი იდეა კარამაზოვისათვის უცხო არ არის, მას ამის შესახებ ნაფიქრი აქვს. როგორც მოგვიანებით განსასჯელი გამომძიებელს არწმუნებდა, მან ჭინჭის ქისაში (რომელიც არასოდეს არსებობდა) ათას ხუთასი მანეთი გადადო. შესაძლებელია, ქისის შესახებ ლეგენდა იქვე მოკროეში მოუვიდა აზრად, რადგან ორი საათის წინ მან ფულის ნახევარი იქვე გადამალა სადღაც, ისე, ყოველ შემთხვევისათვის, დილამდე მაინც თან რომ არ ჰქონოდა და მისთვისაც არ მოეღო ბოლო. გაიხსენენეთ ორი უკიდურესობა, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, კარამაზოვის ხასიათის ორი უკიდურესობა! იმ სახლში ჩვენ ვეძებეთ ფული, მაგრამ ვერსად ვნახეთ. შეიძლება ის ფული ახლაც იქ დევს, შეიძლება მეორე დღესვე გაქრა და ახლა უკვე განსასჯელს აქვს. განსასჯელი დააპატიმრეს, როცა ის გრუშენკას საწოლთან მუხლებზე დამხობილი იდგა. ქალი ლოგინზე იწვა, მას კი ხელები მისკენ ჰქონდა გაწვდილი. იმ წუთში მას არაფერი ესმოდა, ჩვენი შესვლაც არ გაუგია, გონებაშიც არ ჰქონდა მომზადებული რაიმე სათქმელად. მასზე და მის გონებაზე ერთდროულად მოხდა თავდასხმა.

ახლა ის მსაჯულთა წინაშე დგას, მათ წინაშე, ვინც უნდა გადაწყვიტოს მისი ბედი. ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ჩვენ ცხოვრებაში გვაქვს მომენტები, როცა შიში წინასწარ შეგვიპყრობს ხოლმე ადამიანის მომავალი ბედ-იღბლის გამო! ეს არის წუთი იმ ცხოველური თავზარდაცემის ჭვრეტისა, როცა დამნაშავე ხედავს, რომ ყველაფერი წაგებულია, მაგრამ კიდევ იბრძვის, კიდევ ცდილობს, წინააღმდეგობა გაგიწიოს. ეს ის წუთია, როცა თვითგადარჩენის ყველა ინსტინქტი ერთად იჩენს ხოლმე თავს, როცა დამნაშავე თავის გადასარჩენად გაწამებული და დაეჭვებული სახით მოგშტერებია, სწავლობს თქვენს სახეს, აზრებს, თქვენი გამოჭერა სურს, ცდილობს გამოიცნოს, საიდან დაუპირებ დარტყმას, რომ გონებაში მზად ჰქონდეს ათასნაირი პასუხი, მაგრამ ხმას არ იღებს, ეშინია არაფერი წამოსცდეს! ეს ადამიანის სულისათვის ყველაზე დამამცირებელი მომენტი, ეს ტანჯვის გზაზე სიარული და თავის გადარჩენის ცხოველური სურვილი - საშინელებაა და ხანდახან ისეთი შემაძრწუნებელი, რომ თვით გამომძიებელსაც კი აღეძვრება ხოლმე ბოროტმოქმედის მიმართ თანაგრძნობა! ჩვენ ამის მოწმეები ვიყავით მაშინ: ის ჯერ გაოგნდა და რამდენიმე ისეთი სიტყვა წამოსცდა, რომელიც მისთვის ძალზე საზიანო იყო - „სისხლი! დავიმსახურე!“ მაგრამ მან თავი მალე მოთოკა. რა თქვას, როგორ უპასუხოს - ჯერ ამისათვის მზად არ არის, მაგრამ მზადა აქვს ერთი დაუსაბუთებელი თავისმართლება: „მამაჩემის სიკვდილში ბრალი არ მაქვს!“ ესაა ჩვენი ფარი, ამ ფარს იქით, შესაძლებელია, ჩვენ ავაგოთ კიდევ რაიმე ბარიკადი. თავის საზიანოდ წამომცდარი სიტყვების შესახებ, რათა ჩვენი კითხვები გაებათილებინა, მან სასწრაფოდ მოგვცა ახსნა-განმარტება, რომ თავს დამნაშავედ თვლის მხოლოდ მსახურ გრიგორის სიკვდილში. „მისი სისხლი ჩემს კისერზეა, მაგრამ ვინ მოკლა მამაჩემი, ბატონებო, ვინ? ვის შეეძლო მისი

მოკვლა, თუ არა მე?“ წარმოგიდგენიათ, ამას ის ჩვენ გვეკითხება, ჩვენ, ვინც მასთან მოვედით ამ საკითხის გასარკვევად! „თუ არა მეო?“ - გესმით, ეს წინასწარ წამომცდარი სიტყვები, ეს ცხოველური ეშმაკობა, ეს უშუალობა და კარამაზოვული მოუთმენლობა? მე არ მომიკლავს, ჩემზე ტყუილად ფიქრობთო: „მინდოდა მომეკლა, ბატონებო, მინდოდა, - აღიარა მან სასწრაფოდ (ძალიან ჩქარობდა, ძალიან), - მაგრამ უდანაშაულო ვარ, მე არ მომიკლავსო!“ იმაში გვეთანხმება, რომ მოკვლა უნდოდა: დახე, როგორი გულახდილი ვარ, ამიტომაც უნდა დამიჯეროთ, მე რომ არ მომიკლავსო. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე წარმოუდგენლად გულუბრყვილო და დაუფიქრებელი ხდება. ამ დროს გამოძიებამ ერთი უბრალო კითხვა შეაპარა: „სმერდიაკოვი ხომ არ მოკლავდაო?“ და სწორედ ის მოხდა, რასაც ველოდით: ის სასტიკად დაიბოღმა, დაიბოღმა იმიტომ, რომ ჩვენ დავასწარით, მოულოდნელად გამოვიჭირეთ. მას ხომ სურდა, მოემზადებინა, შეერჩია და გამოეყენებინა მომენტი, როცა შესაძლებელი იქნებოდა სმერდიაკოვისათვის დანაშაულის გადაბრალება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, იგი კვლავ უკიდურესობაში გადავარდა და თავად დაგვიწყო მტკიცება, რომ სმერდიაკოვს არ შეეძლო მოეკლა, რომ მას მაგის თავი არ აქვს. მაგრამ არ დაუჯეროთ, ეს მისი ეშმაკური სვლაა: იგი სულაც არ აპირებს სმერდიაკოვზე უარის თქმას, პირიქით, იგი მას დაასახელებს, ვინაიდან ვიღაცას ხომ უნდა დაადოს ხელი, მაგრამ ამას სხვა დროს გააკეთებს, ახლა კი ეს არ გამოვა. მან შეიძლება სმერდიაკოვი ხვალ დაასახელოს, ან შეიძლება რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მომენტს შეარჩევს, მაშინ შემოგვძახებს: „თუ გახსოვთ, სმერდიაკოვზე მე თავად ვამბობდი უარს, მაგრამ ახლა დავრწმუნდი: ისაა მკვლელი, ნამდვილად ისაა!“ მანამდე კი იგი გაღიზიანებული უარყოფს ყველაფერს, მოუთმენლობა და რისხვა უკარნახებს მას ყველაზე უვარგის და საეჭვო პასუხს იმ ვითარების ასახსნელად, თუ როგორ უყურებდა იგი მამას ფანჯრიდან და როგორ ღირსეულად გაშორდა იქაურობას. რაც მთავარია, მან იმ მომენტში არ იცის, გრიგორი გონს რომ მოვიდა და ჩვენება მოგვცა. ჩვენ ვიწყებთ ჩხრეკას და დათვალიერებას. დათვალიერება აცოფებს მას, მაგრამ იმედსაც აძლევს, ვინაიდან ჩვენ სამი ათასი ვერსად ვნახეთ, მხოლოდ ათას ხუთასი მანეთი ვიპოვეთ. ეჭვი არ არის, როცა ის დაბოღმილი უარყოფდა ყველაფერს და ხმაგაკმენდილი იჯდა, მას თავში მოუვიდა აზრი ჭინჭის ქისის შესახებ. ცხადია, ის გრძნობს, ამ გამონაგონს დამაჯერებლობა რომ აკლია, ეს კი ძალიან აწვალებს, საშინლად ტანჯავს, სურს, რაც უნდა დაუჯდეს, დამაჯერებელი გახადოს ის, ისე შეთხზას, სარწმუნო რომანი გამოვიდეს. ასეთ შემთხვევაში გამოძიების უპირველესი საქმე, ყველაზე მთავარი ამოცანაა - არ მისცეს ეჭვმიტანილს მომზადების საშუალება, მოულოდნელად გამოიჭიროს ისე, რომ დამნაშავემ თავისუფლად გამოთქვას თავისი იდეები, რაც შეიძლება არადამაჯერებლად და ურთიერთგამომრიცხავად. თუ გსურს, დამნაშავე აიძულო, ასე ილაპარაკოს, მას უნდა მოულოდნელად, თითქოს შემთხვევით შეატყობინო რომელიმე ახალი ფაქტი, საქმის რაიმე ვითარება, რომელიც თავისი მნიშვნელობით კოლოსალურია, რომელიც მას აქამდე არც უვარაუდია და არც არაფრით შეეძლო მისი გათვალისწინება. ასეთი ფაქტი ჩვენ გამზადებული გვქონდა, დიახ, წინასწარ შერჩეული: ეს იყო გონსმოსული მსახურის, გრიგორის ჩვენება, სადაც მოწმე აცხადებს, რომ ეჭვმიტანილი სახლის ღია კარიდან გამოვარდა. ეს კარი განსასჯელს გადავიწყებული ჰქონდა, გრიგორიმ რომ ის იქ დაინახა, ვერაფრით

წარმოიდგენდა. კოლოსალური ეფექტი გამოვიდა. იგი წამოხტა, აყვირდა: „ის სმერდიაკოვმა მოკლა, სმერდიაკოვმა!“ - სწორედ მაშინ გასცა თავისი ფარული იდეა, თავისი ძირითადი ჩანაფიქრი, ყველაზე დაუჯერებელი ფორმით, რადგან სმერდიაკოვს შეეძლო მოეკლა მხოლოდ მას შემდეგ, როცა კარამაზოვმა გრიგორის ჩაარტყა და გაიქცა. როცა ჩვენ მას შევატყობინეთ, გრიგორიმ კარი მანამ ნახა ღია, ვიდრე თქვენ მას თავს დაესხმოდით და სახლიდან გამოსვლისას გაიგონა ტიხარს იქეთ მწოლიარე სმერდიაკოვის კვნესა - ეს იყო მისთვის გამანადგურებელი დარტყმა. შემდგომში ჩემმა თანამშრომელმა, მახვილგონიერმა ნიკოლაი პარფენოვიჩმა მითხრა, თუ როგორ შეეცოდა იმ მომენტში განსასჯელი. სწორედ მაშინ, საქმე რომ გამოესწორებინა, განსასჯელმა გაგვიმხილა იმ ყბადაღებული ჭინჭის ქისის ამბავი - აქაოდა, გაიგეთ, სინამდვილეში რაში იყო საქმეო! ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მე ადრე უკვე მოგახსენეთ, რატომ ვთვლი ბოროტმოქმედების ჩადენამდე ერთი თვით ადრე ჭინჭის ქისაში გადანახულ ფულს არათუ უაზრობად, არამედ ყველაზე არადამაჯერებელ გამოგონებად, რომელიც ასეთ მომენტში უნდა თქმულიყო. სპეციალურად რომ დავნიძლავებულიყავით, რა იქნებოდა ასეთი შემთხვევისათვის ყველაზე დაუჯერებელი ვერსია, მაშინაც ვერ მოვიგონებდით ამაზე უარესს. ამ დროს მოზეიმე რომანისტი შეიძლება გააცამტვერო და ხმა გააკმენდინო ათასნაირი წვრილმანით, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი სინამდვილე, და რომლებიც თითქოსდა იმდენად უმნიშვნელო და უსარგებლო რამაა მათთვის, რომ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი უბედური ვაიმთხზველები - ისინი მათ თავშიც არ მოუვათ ხოლმე. დიახაც, ასეთ წუთებში ამნაირი წვრილმანებისათვის ვის სცალია, როცა თავში გრანდიოზული იდეები მოსდით - ამ დროს კი ვიღაცა ბედავს და ასეთ წვრილმანს სთავაზობს! სწორედ ახლა შეიძლება მისი გამოჭერა! განსასჯელს ვეკითხებით: „თუ შეიძლება გვითხრათ, სად იშოვეთ მასალა ამ ქისისათვის, ვინ შეგიკერათ ის?“ - „თავად შევკერე“. - „ტილო სად იშოვეთ?“ განსასჯელი ბრაზობს, იგი ამას მისთვის საწყენ წვრილმანად თვლის და დამიჯერეთ, რომ იგი ამ დროს გულწრფელია! ყველა ასეთია! „ჩემს პერანგს მოვახიე“. - „შესანიშნავია, ჩემო ბატონო, ალბათ ხვალ თქვენს გარდერობში ვიპოვით იმ პერანგს, რომელსაც ნახევი ექნება“. თქვენ წარმოგიდგენიათ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ჩვენ რომ ეს პერანგი გვეპოვნა (ან რატომ არ უნდა გვეპოვნა, თუკი ასეთი პერანგი მართლაც არსებობდა), - ეს ხომ ფაქტი იქნებოდა, ხელმოსაკიდი ფაქტი, მისი ჩვენების მართებულობის დამამტკიცებელი! მაგრამ ამის გააზრება მას არ სურს. - „აღარ მახსოვს, შეიძლება პერანგიდან არც მომიხევია და დიასახლისის ჩაჩისაგან შევკერე.“ - „ეგ რომელი ჩაჩისაგან?“ - „დიასახლისს გამოვართვი, მას სადღაც ეგდო კოლენკორის ძველმანი“. - „თქვენ ეს კარგად გახსოვთ?“ - „არა, კარგად არ მახსოვს...“ თან ბრაზობს, ბოღმა ახრჩობს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ: რატომ არ უნდა ახსოვდეს? ყველაზე მძიმე წუთებში, როცა ადამიანი დასასჯელად მიჰყავთ, მას სწორედ ასეთი წვრილმანები უფრო ამახსოვრდება. შეიძლება ყველაფერი დაავიწყდეს, მაგრამ გზაში დანახული მწვანე სახურავი ან ჯვარზე შემომჯდარი ჭკა სამუდამოდ დაამახსოვრდება. როცა ის ქისას კერავდა, ალბათ თავის ახლობლებს ემალებოდა და ამიტომ აუცილებლად უნდა დამახსოვრებოდა ტანჯვა, რომელსაც ის ნემსით კემსვის დროს განიცდიდა: ვაითუ, ვინმე შემოვიდეს და დამინახოსო; პირველ კაკუნზევე გიჟივით წამოხტებოდა და

ტიხარს მოეფარებოდა (მისი ბინა ხომ გადატიხრულია)... ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, რისთვის ვლაპარაკობ ყოველივე ამ წვრილმანზე! - შესძახა უცებ იპოლიტ კირილოვიჩმა, - იმიტომ, რომ განსასჯელი დღემდე დაჟინებით იმეორებს ამ უაზრობას! იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, ამ ორი თვის განმავლობაში, მან არაფერი აგვიხსნა, არც ერთი დამაჯერებელი რეალური გარემოება არ დაუმატებია თავისი ფანტასტიკური ჩვენებებისათვის; ეს ყველაფერი წვრილმანია და ენდეთ ჩემს პატიოსნებასო! ჩვენ ძალიან გვინდა, მისი გვჯეროდეს, ძალიან გვინდა, ვენდოთ მას და მის სინდის-ნამუსს! ჩვენ რა - მხეცები ხომ არა ვართ, ადამიანის სისხლი რომ გვწყუროდეს?! მიგვანიშნეთ განსასჯელის გამამართლებელი თუნდაც ერთი ფაქტი და ჩვენ სიხარულით გავითვალისწინებთ მას, მაგრმ ეს ფაქტი უნდა იყოს არსებითი, რეალური და არა ისეთი, როგორიც განსასჯელის ძმამ თქვა: მე მისი სახის გამომეტყველების მჯერაო; ანდა ის, როცა მიტია სიბნელეში მკერდზე მჯიღს ირტყამდა, აუცილებლად კისერზე ჩამოკიდებულ ქისას გულისხმობდაო. ჩვენ სიხარულით მივიღებთ ახალ ფაქტს და პირველი უარვყოფთ ჩვენს ბრალდებას. მანამდე კი ფაქტები სულ სხვას ღაღადებენ და ჩვენ დაჟინებით ვაცხადებთ, რომ ვერაფერზე უარს ვერ ვიტყვით.“
აქედან პროკურორი ფინალზე გადავიდა. ის აღშფოთებისაგან აკანკალებული ღაღადებდა, „გაქურდვის მიზნით“, შვილის ხელით საკუთარი მამის დაღვრილი სისხლის გამო. მას კვლავ მოჰყავდა სხვადასხვა ტრაგიკული და აღმაშფოთებელი ფაქტი. „და რაც უნდა მოგახსენოთ დღეს თავისი ნიჭიერებით ცნობილმა განსასჯელის დამცველმა, - აქ უკვე თავი ვერ შეიკავა პროკურორმა, - როგორი მჭევრმეტყველებითაც არ უნდა გადმოგცეთ გულის განმგმირავი სიტყვები, რომელიც თქვენს გულჩვილობაზე იქნება გათვლილი, არ დაგავიწყდეთ და გაიხსენეთ, რომ თქვენ აქ წარმოადგენთ ჩვენი მართლმსაჯულების ტაძარს. გაიხსენეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი სიმართლის და ყოველთა წმიდათა დამცველები, ჩვენი წმინდა რუსეთის, მისი საფუძველთა საფუძველის, რუსული ოჯახების დამცველები! მოცემულ მომენტში თქვენ აქ განასახიერებთ რუსეთს, განა მარტო ამ დარბაზში გაჟღერდება თქვენი განაჩენი, არამედ მთელ რუსეთში, სრულიად რუსეთის მოქალაქეები მოგისმენენ თქვენ, როგორც მათი ინტერესების დამცველებსა და მსაჯულებს, და იმისდა მიხედვით, როგორ განაჩენს გამოიტანთ, გამხნევდებიან ან დამწუხრდებიან ისინი. ნუ გააწამებთ რუსეთს, ნუ გაუწბილებთ მოლოდინს, ჩვენი ბედისწერის ეტლი გამალებული მიქრის, შესაძლოა, დაღუპვისკენაც კი. უკვე კარგა ხანია, მთელი რუსეთი იხვეწნება და მოგვიწოდებს - შეჩერდეს ეს თავაწყვეტილი და მოურიდებელი ჭენება. თუკი სხვა ხალხები ჯერჯერობით გვერდს უქცევენ ამ თავპირის მტვრევით მქროლავ ეტლს, ალბათ, არა მისდამი პატივისცემის გამო, როგორც ეს უნდოდა პოეტს, არამედ თავზარდაცემულები და შეშინებულები არიან - ეს გახსოვდეთ. ჯერჯერობით შეშინებულები, შესაძლოა, ზიზღითაც გვერიდებიან, მაგრამ ერთიც ვნახოთ და აღარ აგვიქციეს გვერდი და მკერდით წინ გადაეღობნენ ამ მქროლავ ჩვენებას, და თავად შეაჩერეს ჩვენი აღვირახსნილობის ეს შლეგური ჭენება განათლებულობის, ცივილიზაციისა და საკუთარი თავის გადასარჩენად! ეს საგანგაშო ხმები ევროპიდან უკვე გაისმა. ისინი უფრო და უფრო ძლიერდება. ნუ აცდუნებთ მათ, მამისმკვლელისათვის თქვენ მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გაამძაფრებს ჩვენდამი მათ სულ უფრო მზარდ სიძულვილს!“
ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მართალია, იპოლიტ კირილოვიჩმა ძალიან

შეტოპა, მაგრამ პათეტიკურად კი დაასრულა - მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სიტყვის დამთავრების შემდეგ სასწრაფოდ გავიდა მეორე ოთახში და იქ კინაღამ გული წაუვიდა. დარბაზში ტაში არ დაუკრავთ, მაგრამ სერიოზული ხალხი ამ გამოსვლით კმაყოფილი დარჩა. მხოლოდ ქალები არ იყვნენ მაინცდამაინც კმაყოფილები, თუმცა პროკურორის მჭევრმეტყველება ყველას მოეწონა. ისინი ფეტიუკოვიჩზე დიდ იმედს ამყარებდნენ; „ბოლოს და ბოლოს, ის გამოვა სიტყვით და გამარჯვებაც მას დარჩებაო!“ პროკურორის გამოსვლის განმავლობაში ყველა მიტიას შესცქეროდა. იგი ჩუმად იჯდა, თავდახრილი, მუშტებშეკრული და ტუჩმოკუმული. მხოლოდ ხანდახან თუ აწევდა თავს და დაყურადდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა პროკურორმა გრუშენკაზე დაიწყო ლაპარაკი. როცა პროკურორმა გაიხსენა რაკიტინის აზრი გრუშენკაზე, მიტიას სახეზე ზიზღნარევი და ღვარძლიანი ღიმილი აღებეჭდა და საკმაოდ ხმამაღლა თქვა: „ბერნარი!“ როცა იპოლიტ კირილოვიჩი ყვებოდა, თუ როგორ დაჰკითხა და აწვალა მან მოკროეში ეჭვმიტანილი, მიტია თავაწეული, ყურადღებით უსმენდა. ერთ ადგილას წამოხტომაც კი დააპირა, რომ რაღაც ეყვირა, მაგრამ თავს სძლია და მხოლოდ ზიზღით შეიშმუშნა. როცა შემდგომში ჩვენი საზოგადოება სიტყვის ამ ნაწილს, სახელდობრ, მოკროეში დაკითხვის დროს პროკურორის გამარჯვებას იგონებდა, ისინი იპოლიტ კირილოვიჩს დასცინოდნენ: „ვერ მოითმინა კაცმა, თავი რომ არ შეექო და თავისი მოხერხებულობით არ ეტრაბახა“. სხდომა შეწყდა, მაგრამ ცოტა ხნით, ასე თხუთმეტი-ოცი წუთით. ხალხში სხვადასხვა შეძახილი გაისმა. ზოგიერთი მათგანი დამამახსოვრდა:

- სერიოზული გამოსვლა იყო! - თქვა ერთმა ბატონმა ერთ-ერთ ჯგუფში.
- ნამეტანი ფსიქოლოგიური, - გაისმა მეორე ხმა.
- ისე, ყველაფერი მართალი ითქვა, უტყუარი ჭეშმარიტება!
- დიახ, ის ამის ოსტატია.
- ყველაფერი კარგად შეაჯამა.
- ჩვენც კარგად გადმოგვწვდა, ჩვენც, - გაისმა მესამის ხმა, - გახსოვთ, სიტყვის დასაწყისში, ყველანი ფიოდორ პავლოვიჩისნაირები ხართო?
- ბოლოსაც. თუმცა იცრუა.
- დიახ, ბევრი რამ ნათელი არ იყო.
- ცოტა გადაამლაშა.
- უსამართლობაა, უსამართლობა, ბატონო.
- არა, არა, მაინც კარგად გამოვიდა. დიდხანს ელოდა კაცი და ბოლოს და ბოლოს თქვა თავისი სათქმელი, ჰი-ჰი!
- ნეტა დამცველი რას იტყვის?

მეორე ჯგუფში ასეთი ხმები გაისმოდა;

- პეტერბურგელი არ უნდა გაეკვირვა: „თქვენს გულჩვილობაზე იქნება გათვლილიო“, გახსოვთ?
- დიახ, ეს კარგად ვერ გამოუვიდა.
- იჩქარა.
- ნერვიული კაცია.
- ჩვენ აქ ვიცინით, ახლა განსასჯელსაც ვკითხოთ, რა დღეშია?
- მართლაც, რა დღეში იქნება მიტენკა?
- ნეტა, დამცველი რას იტყვის?

მესამე ჯგუფი:
- ეს ლორნეტიანი ქალბატონი ვინაა, კიდეში რომ ზის?
- ეს გენერლის ნაცოლარია, მე მას ვიცნობ.
- ის მეორე ლორნეტიანი?
- ვიღაც ვიგინდარაა.
- არა, პიკანტური რამაა.
- აი, მის ახლოს, ორი ადგილის შემდეგ რომ ზის ქერათმიანი, ის უკეთესია.
- ისე კი, მიტია მოკროეში მაგრა გამოიჭირეს, ჰა?
- ჰო, ჰო, მილიონჯერ აქვს მოყოლილი, ყველა ოჯახში ჰყვებოდა.
- ახლაც ვერ მოითმინა, უყვარს თავი.
- ცხოვრებისაგან გულნატკენი კაცია, ჰი-ჰი!
- ბოღმის ყულაბაა. ისე ბევრი რიტორიკა იყო, გრძელ-გრძელი ფრაზები.
- თანაც სულ რომ გვაშინებდა და გვაშინებდა. საბედისწერო ეტლი გახსოვთ? ან „იქ ჰამლეტები არიან, აქ კი მხოლოდ კარამაზოვებიო!“ ისე კი ხატოვანი ნათქვამი გამოუვიდა.
- ეს მან ლიბერალიზმს გადაჰკრა. ეშინია!
- დიახ, ადვოკატისაც ეშინია.
- დიახ, ბატონი ფეტიუკოვიჩი ალბათ რაღაცას იტყვის?

- რაც უნდა თქვას, ჩვენს ტეტიებს რას შეაგნებინებს?!.
- თქვენ ეგრე გგონიათ?
მეოთხე ჯგუფი:
- იმ საბედისწერო ეტლზე როგორ კარგად თქვა, როცა სხვა ერებზე ლაპარაკობდა.
- მართლაც, ისიც ხომ გახსოვს, სხვა ერები არ მოითმენენო.
- რას გულისხმობდა?
- გასულ კვირას ინგლისის პარლამენტში ერთმა დეპუტატმა კითხვა დაუსვა სამინისტროს: ხომ არ არის დრო, ბარბაროსი ერის საქმეში ჩავერიოთ და ჭკუაზე მოვიყვანოთო. იპოლიტი ამას გულისხმობდა, ამის შესახებ გასულ კვირას გველაპარაკებოდა.
- ვერ გაბედავენ ინგლისელები.
- რატომ ვერ გაბედავენ?
- ჩვენ ჩავკეტოთ კრონშტადტი და არ მივცეთ პური. სხვაგან სად იყიდიან?
- ამერიკაში? ახლა ამერიკაში ყიდულობენ.
- ტყუი.
ამ დროს ზარის ხმაც გაისმა, ყველა საჩქაროდ თავისი ადგილისაკენ გაეშურა. ფეტიუკოვიჩი კათედრაზე ავიდა.

X დამცველის სიტყვა. ჯოხი ორი ბოლოთი

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, როცა ცნობილი ორატორის პირველი სიტყვები გაისმა. პუბლიკა ვექილს გასუსული მიშტერებოდა. მან ლაპარაკი უბრალო, უშუალო და დამაჯერებლი ხმით დაიწყო, ყოველგვარი ქედმაღლობის, მჭევრმეტყველებისა და ადამიანის გრძნობებზე მოქმედი პათეტიკურობის გარეშე. ეს იყო ერთმანეთის თანამგრძნობთა ინტიმურ წრეში მოუბარი კაცის სიტყვა. მის მშვენიერ, სასიამოვნო და მაღალი ტემბრის ხმაში რაღაცნაირად გულწრფელი, ადამიანური კილო იგრძნობოდა. მაგრამ თავიდანვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მალე ორატორი ნამდვილ პათეტიკაზე გადავა და „ადამიანთა გულებზე რაღაც იდუმალი ძალით ზემოქმედებას მოახდენსო“. შესაძლოა, ის იპოლიტ კირილოვიჩზე ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ლაპარაკობდა გრძელ-გრძელი ფრაზების გარეშე, ზუსტად და გასაგებად. ერთი რამ არ მოეწონათ ქალებს, განსაკუთრებით სიტყვის დასაწყისში: ლაპარაკის დროს ის ისე იხრებოდა წელში, თითქოს პუბლიკას თავს უკრავდა, თანაც ზურგის ნახევარს ისე დრეკდა, გეგონებოდათ ამ თხელი და გრძელი ზურგის შუაში ისეთი შალნირი ჰქონდა ჩადგმული, რომლის საშუალებითაც ზურგი მოხრის დროს თითქმის მართ კუთხეს ქმნიდა. დასაწყისში ცოტა გაფანტულად ლაპარაკობდა, თითქოს უსისტემოდ, ცალკეული ფაქტები მოჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გაამთლიანა. მისი გამოსვლა ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი ნაწილი იყო კრიტიკა, ბრალდების უარყოფა, კრიტიკა ხანდახან მწარე და სარკასტულ ხასიათს ატარებდა. გამოსვლის მეორე ნაწილში ტონი და მეთოდი შეცვალა და უცებ პათეტიკური გახადა. დარბაზი თითქოს ამას უცდიდაო, აღტაცებული ახმაურდა. ფეტიუკოვიჩი პირდაპირ საქმეზე გადავიდა და თავიდან

განაცხადა, რომ, თუმცა იგი პეტერბურგში მოღვაწეობს, არა ერთხელ ჩასულა რუსეთის პროვინციულ ქალაქებში ისეთი განსასჯელების დასაცავად, რომელთა უდანაშაულობაში ის ან დარწმუნებული იყო, ან წინასწარ გრძნობდა მათ უდანაშაულობას. „ამ შემთხვევაშიც ასე დამემართა, - განმარტა მან, - ჯერ კიდევ პირველი საგაზეთო კორესპონდენციების წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომელმაც განსასჯელის სასარგებლოდ განმაწყო. ერთი სიტყვით, უპირველეს ყოვლისა, დამაინტერესა ერთ-ერთმა იურიდიულმა ფაქტმა, რამაც, თუმცა ხშირად მეორდება სასამართლო პრაქტიკაში, მაგრამ არასოდეს ასეთი სისრულითა და ასეთი დამახასიათებელი თავისებურებით არ შემხვედრია, როგორადაც განსახილველ საქმეშია. ამ ფაქტის ფორმულირება ფინალში უნდა გამეკეთებინა, ჩემი გამოსვლის დასასრულს, მაგრამ ჩემს მოსაზრებას თავიდანვე გამოვთქვამ, რადგან ჩვეულებად მაქვს, პირდაპირ განსახილველი საგნით დავიწყო და ბოლოსათვის არ შემოვინახო ეფექტებით პუბლიკაზე ზეგავლენის მოხდენის შანსი. ეს, ჩემი მხრიდან, შეიძლება წინდაუხედაობა იყოს, სამაგიეროდ, გულწრფელი ვიქნები. ჩემი მოსაზრება, ჩემი ფორმულა შემდეგში მდგომარეობს: განსასჯელის წინააღმდეგ არსებული ფაქტებიდან უმეტესობა კრიტიკას ვერ უძლებს, თუკი მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ! ჭორებმა და საგაზეთო სტატიებმა ჩემი მოსაზრება სულ უფრო და უფრო განმიმტკიცა. მოულოდნელად განსასჯელის დასაცავად მისი ახლო ნათესავებისაგან მივიღე მოწვევა. სასწრაფოდ აქეთ გამოვეშურე. აქ კი საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემი მოსაზრების სისწორეში. ახლა მე თქვენ წინაშე ვდგავარ იმისათვის, რომ გავაბათილო ფაქტების ეს საშინელი ერთობლიობა და ცალ-ცალკე გამოვამზეურო თითოეული საბრალდებო ფაქტის დაუმტკიცებლობა და ფანტასტიკურობა“.
ასე დაიწყო დამცველმა და უცებ ხმას აუწია:
- ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ეს ქალაქი ჩემთვის უცხოა. ყველა ის შთაბეჭდილება, რომელმაც ჩემზე ზეგავლენა მოახდინა, წინასწარ აკვიატებული არ მქონია. ამ დაუდგრომელი ხასიათის, თავშეუკავებელ კაცს ჩემთვის არაფერი საძრახისი უკადრებია, განსხვავებით ამ ქალაქის ასობით მკვიდრისაგან, რომლებიც მის მიმართ მტრულად არიან განწყობილები. რასაკვირველია, ვაღიარებ, აქაური საზოგადოების ზნეობრივი გრძნობები სამართლიანადაა გაღიზიანებული: განსასჯელი შფოთიანი და თავაშვებული კაცია. მაგრამ აქაური საზოგადოებისათვის ის მისაღები პიროვნება იყო, მას თავად დიდად ნიჭიერი პროკურორის ოჯახშიც კი თავაზიანად მასპინძლობდნენ (Nota bene. ამ სიტყვებს დარბაზში სიცილიც კი მოჰყვა, თუმცა უცებ ჩაცხრა. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ პროკურორი მიტიას მასპინძლობდა ხოლმე თავისი ნების გარეშე, ვინაიდან პროკურორის მეუღლეს მიტია საინტერესო კაცად მიაჩნდა. პროკურორის ცოლი ფრიად ქველმოქმედი და ღირსეული ქალი ბრძანდებოდა, მაგრამ უცნაური და თავნება, მას ზოგიერთ წვრილმანში სჩვეოდა ხოლმე მეუღლის სურვილის წინააღმდეგ წასვლა. ისე კი მიტია მათ სახლში იშვიათად დადიოდა). და მაინც გავბედავ და ვიტყვი, - გააგრძელა დამცველმა, - ჩემი ოპონენტის დამოუკიდებელი აზროვნებისა და სამართლიანი ხასიათის მიუხედავად, მას ჩემს უბედურ კლიენტზე, შესაძლოა, წინასწარ მცდარი შეხედულება შეჰქმნოდა. ეს კი ბუნებრივი რამაა: უბედურმა ბევრი რამ ისეთი გააკეთა, მასზე ცუდი აზრი უნდა ჩამოყალიბებულიყო; ეს გასაკვირი არ არის. შეურაცხყოფილი ზნეობრივი და, მით უფრო, ესთეტიკური გრძნობა ხანდახან ძალზე დაუნდობელია. რა თქმა უნდა,

ბრალმდებლის ფრიად ნიჭიერად წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენ მოვისმინეთ განსასჯელის ხასიათისა და ქმედებების მკაცრი ანალიზი, საქმისადმი მკვეთრი კრიტიკული მიდგომა, რაც მთავარია, საქმის არსის ასახსნელად მოწოდებულ იქნა ისეთი ფსიქოლოგიური სიღრმეები, რომ ამ სიღრმეებში ობიექტური ჩაწვდომა შეუძლებელია, როცა განსასჯელის პიროვნებაზე ასე საგანგებოდ ცუდი შეხედულება გაგაჩნია. მაგრამ არის საკითხები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში გაცილებით უარესია, უფრო დამღუპველი, ვიდრე საქმისადმი წინასწარგანზრახული ბოროტი დამოკიდებულება. სახელდობრ, ხანდახან შეიძლება გაგვიტაცოს რაღაც მხატვრულმა თამაშმა, მხატვრული შემოქმედების მოთხოვნილებამ, რაიმე რომანის შექმნის სურვილმა, მით უმეტეს, თუ ფსიქოლოგიური მონაცემებით უხვად დაგვაჯილდოვა ღმერთმა. ჯერ კიდევ პეტერბურგში, როცა აქეთ ვაპირებდი წამოსვლას, მაფრთხილებდნენ, თუმცა მე გაფრთხილების გარეშეც კარგად ვიცოდი, რომ აქ დამხვდებოდა ღრმა და დახვეწილი ფსიქოლოგიური ალღოს მქონე ოპონენტი, რომელიც უკვე კარგა ხანია ამ გამორჩეული თვისებებით სახელგანთქმულია ჩვენს ახალფეხადგმულ იურიდიულ სამყაროში. მაგრამ, ბატონებო, მართალია, ფსიქოლოგია ღრმა საგანია, ის ორბოლოიანი ჯოხივითაა (დარბაზში სიცილი გაისმა). მაპატიეთ, ეს ტრივიალური შედარება, მე ლამაზად ლაპარაკი არ მეხერხება. ავიღოთ ერთი მაგალითი ბრალმდებელის სიტყვიდან. როცა განსასჯელი ღამით ბაღში გარბოდა და ღობეზე გადაძრომა დააპირა, მან სპილენძის სანაყი ჩაარტყა თავში მის ფეხებს ჩაბღაუჭებულ ლაქიას. მერმე, იმავ წამს უკან მობრუნდა და მთელი ხუთი წუთის განმავლობაში თავს დასტრიალებდა გონდაკარგულს, უნდოდა, დაედგინა, ცოცხალი იყო თუ არა? ბრალმდებელს არაფრით არ სურს იმის დაჯერება, რომ განსასჯელი სიბრალულის გრძნობამ დააბრუნა. „არა, შეუძლებელია, ასეთ წუთებში ამნაირი გრძნობების გამოვლენა; არაბუნებრივია! იგი იმიტომ დაბრუნდა, რომ დარწმუნებულიყო, მკვდარი იყო თუ არა მისი დანაშაულის ერთადერთი მოწმე. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ ბოროტმოქმედება მისი ჩადენილია, რამეთუ მას სხვა მიზეზისა ან განცდის გამო უკან, ბაღში დაბრუნება არ შეეძლოო“. ესაა ფსიქოლოგია; მაგრამ ავიღოთ ისევ ეს ფსიქოლოგია და დავურთოთ ამ საქმეს, მაგრამ მეორე ბოლოდან, მაშინ მივიღებთ არანაკლებ დამაჯერებელ სურათს. მკვლელი ფიქრობს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და უკან ბრუნდება ბაღში, რომ დარწმუნდეს, ცოცხალია თუ არა მოწმე. შემდეგ მოკლულის კაბინეტში ბრუნდება, სადაც გახეული პაკეტი დატოვა, რომელზედაც ეწერა, რომ შიგ გრუშენკასათვის სამი ათასი იდო და რომელიც, ბრალმდებლის აზრით, კოლოსალური სამხილია. „მას რომ ეს პაკეტი თან წაეღო, ხომ ვერავინ გაიგებდა ამ პაკეტში გადანახული ფულის არსებობას და არც არავის შეეპარებოდა ეჭვი, რომ ფულისათვის მოკლა განსასჯელმა მამაო“. ეს სიტყვები ბრალმდებელს ეკუთვნის. რა გამოდის, ერთ ამბავში ბრალდებულმა ვერ გამოიჩინა სიფრთხილე, დაიბნა კაცი, შეეშინდა და გაიქცა, იატაკზე კი სამხილი დატოვა, ხოლო ორი წუთის შემდეგ, როცა ლაქიას თავში სანაყი ჩაარტყა და მოკლა კაცი, ამ დროს გამოიჩინა უსულგულობა და სიფრთხილე? დავუშვათ, დავუშვათ, რომ ყველაფერი, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. მაგრამ ნუთუ ასეთი ვითარების ფსიქოლოგიური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ წუთში კაცი თვალმახვილი და სისხლისმსმელია, როგორც კავკასიური არწივი, ხოლო მეორე წუთში თვალდავსებული და ფრთხილი, როგორც საცოდავი თხუნელა?

მაგრამ თუკი ასეთი სისხლისმსმელი, ულმობელი და ანგარიშიანი კაცი ვარ, რომ ჯერ კაცი მოვკალი, შემდეგ უკან მივბრუნდი იმის გასარკვევად, ცოცხალია თუ არა ჩემი ბოროტმოქმედების მოწმე, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა, ხუთი წუთის განმავლობაში ჩემს მსხვერპლს რომ თავს დავტრიალებდი, ხომ შეიძლებოდა ახალ-ახალი მოწმეები შემეძინა? რისთვის უნდა გამეწმინდა ჩემი ცხვირსახოცით მსხვერპლის სისხლიანი თავი, იმისთვის ხომ არა, რომ შემდეგ ეს ცხვირსახოცი ჩემ წინააღმდეგ სამხილად გამოეყენებინათ? არა, ბატონო, მე თუ ასეთი ანგარიშიანი და ქვისგულა კაცი ვარ, მაშინ უკეთესი არ იქნებოდა, უკან დაბრუნებულს კიდევ რამდენჯერმე მეთხლიშა დაზარალებულისათვის სანაყი, რათა დავრწმუნებულიყავი რომ სული ნამდვილად ამოხდა და მისი შიში, როგორც მოწმისა, აღარ მქონებოდა? დაბოლოს, უკან ვბრუნდები იმისათვის, რომ შევამოწმო, ცოცხალია თუ არა ჩემი მსხვერპლი და ამ დროს ბილიკზე ვტოვებ სამხილს, სწორედ იმ სპილენძის სანაყს, რომელიც ორ ქალს წავართვი. იმ ქალებს ხომ ყოველთვის შეუძლიათ, ამოიცნონ სანაყი და დაამოწმონ, რომ ის მე წამოვიღე მათგან. არა, იქ კი არ დამიტოვებია, არც დამვარდნია, არამედ მოვისროლე, სანაყი ხომ გონდაკარგული გრიგორიდან თხუთმეტ ნაბიჯს იქეთ იპოვეს. საკითხავია, რატომ მოვიქეცი ასე? სწორედ იმიტომ, რომ გავმწარდი, კაცი შემომაკვდა, ძველისძველი მსახური, ამიტომაც სიმწრისაგან შორს მოვისროლე ეს ცივი იარაღი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაშინ შორს რად გადავაგდებდი? თუკი იმ წუთებში სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა და გული მეტკინა, კაცი რომ შემომაკვდა, მაშინ, ცხადია, ეს იმიტომ მოხდა, რომ მე მამა არ მყავდა მოკლული: მამა რომ მომეკლა, უკან აღარ დავბრუნდებოდი მეორე თავგატეხილი კაცის სიბრალულის გამოისობით, მაშინ სიბრალულის გრძნობით კი არა, თავის გადარჩენის სურვილით ვიქნებოდი შეპყრობილი. ეს აუცილებლად ასეა! პირიქით, ვიმეორებ, თუ დავბრუნდებოდი, ლაქიას საბოლოოდ დავუთეთქვავდი თავ-პირს და სულს ამოვხდიდი, სიბრალულისაგან შეწუხებული კი არ დავუწყებდი ხუთი წუთის განმავლობაში ლოლიაობას. სიბრალულის კეთილი გრძნობა იმიტომ წარმოიშვა, რომ მანამდე ნამუსი სუფთა ჰქონდა. აი, ეს არის სულ სხვა ფსიქოლოგია. მე, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, განგებ მივმართე ფსიქოლოგიას, თვალსაჩინოდ რომ დამენახებინა თქვენთვის, თუ როგორ შეიძლება მისგან ყველანაირი შედეგის მიღება. საქმე მხოლოდ ის არის, ვის ხელში აღმოჩნდება ეს იარაღი. ფსიქოლოგია ყველაზე სერიოზულ ადამიანებსაც კი რომანის შესაქმნელად იზიდავს თავისკენ. ყველაფერი ეს უნებურად ხდება. მე მხედველობაში მაქვს, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, გადაჭარბებული ფსიქოლოგია. მისი ბოროტად გამოყენების ზოგიერთი ცდა.“
ამ დროს აქა-იქ დარბაზში სიცილი გაისმა, ცხადია, პროკურორის მისამართით. აქ აღარ შევეხები დამცველის გამოსვლის ყველა წვრილმანს, მხოლოდ ზოგიერთ ადგილს, ზოგიერთ მთავარ პუნქტს აღვნიშნავ.

XI თუ არ იყო ფული, არც ქურდობა მომხდარა

დამცველის გამოსვლის ერთმა პუნქტმა ყველა გააოცა. საქმე ეხება მის მიერ იმ

საბედისწერო სამი ათასის არსებობის სრულიად უარყოფას და, აქედან გამომდინარე კი, არმომხდარ ქურდობასაც.
„ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, - გააგრძელა დამცველმა, - ამნაირ საქმეში ნებისმიერ ახალ და არაწინასწარ ცუდად განწყობილ კაცს აოცებს ერთი დამახასიათებელი თავისებურება, სახელდობრ, მხედველობაში მაქვს ის, რომ კაცს ბრალი ედება ქურდობაში და ამავე დროს შეუძლებელია დამტკიცება, რა იყო მოპარული? ამბობენ, მოპარულია სამი ათასი მანეთი, მაგრამ არავინ იცის, ნამდვილად არსებობდა, თუ არა ეს ფული. თავად განსაჯეთ: უპირველეს ყოვლისა, როგორ გავიგეთ, სწორედ სამი ათასი რომ იყო, კი მაგრამ ვინ ნახა ის? თურმე ის უნახავს მხოლოდ სმერდიაკოვს, მან მისცა ასეთი ჩვენება, მანვე აღნიშნა, ფული წარწერიან კონვერტში იდოო. ყველაფერი ეს მან კატასტროფამდე შეატყობინა ბრალდებულს და მის ძმას ივან ფიოდოროვიჩს, ეს ამბავი იცოდა ქალბატონმა სვეტლოვამაც. მაგრამ ამ სამი პირიდან არც ერთს ფული თვალით არ უნახავს. იგი მხოლოდ სმერდიაკოვმა ნახა. თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი კითხვა იბადება: თუკი მართლა იდო ფული პაკეტში და ის სმერდიაკოვმა ნახა, როდის ნახა უკანასკნელად? იქნებ მას შემდეგ ბატონმა ამოიღო პაკეტიდან ფული და უკან ჩადო ზარდახშაში ისე, რომ სმერდიაკოვს არ შეატყობინა? არ დაგავიწყდეთ, რომ სმერდიაკოვმა თქვა, ფული ლოგინქვეშ იდოო, კერძოდ ლეიბქვეშო; განსასჯელს ლეიბი უნდა გადაებრუნებინა და ისე ეპოვნა პაკეტი, მაგრამ ლოგინი სულაც არ იყო არეულ-დარეული, ოქმში ეს ფაქტი გულმოდგინედ არის დაფიქსირებული. როგორ მოხდა, რომ მამის მოკვლის შემდეგ ბრალდებულმა, პაკეტის ძებნის დროს არაფერი არ აურ-დაურია, რაც მთავარია, სისხლიანი ხელებით არ დასვარა ლოგინზე ახლადგადაკრული თეთრეული? შეიძლება ვინმე შემომედაოს: იატაკზე რომ პაკეტი ეგდოო? ამ პაკეტის თაობაზე ლაპარაკი ღირს. წეღან ცოტა გაკვირებული დავრჩი: ფრიად ნიჭიერი ბრალმდებელი, თავის გამოსვლის დროს, როცა ამტკიცებდა სმერდიაკოვის მიერ მკვლელობის ჩადენის ვერსიის უაზრობას, ამ პაკეტს შეეხო, უცებ თავად - გესმით, ბატონებო, თავად - განაცხადა: „ეს პაკეტი რომ არ ყოფილიყო, ის რომ იატაკზე არ დარჩენოდა, როგორც სამხილი, მძარცველს თან რომ წაეღო, ამქვეყნად ვერავინ გაიგებდა ამ პაკეტისა და ფულის არსებობას და ვერც ვერავინ დააბრალებდა განსასჯელს ქურდობასო“. პროკურორის აზრით, თურმე ეს წარწერიანი ქაღალდის ნაგლეჯი ყოფილა იმის დამადასტურებელი, რომ ჩადენილია ქურდობა, „რადგან ეს რომ არა, ვერავინ მიხვდებოდა ჩადენილ ქურდობას“. ნუთუ იატაკზე დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი არის დამადასტურებელი იმისა, რომ პაკეტში ფული იდო და იგი განსასჯელმა მოიპარა?! მეუბნებიან: „სმერდიაკოვმა ხომ ნახაო“. კი ბატონო, ნახა, მაგრამ როდის ნახა უკანასკნელად, მისი განცხადებით, ფული კატასტროფამდე ორი დღით ადრე უნახავს! მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ, რატომ არ შემიძლია მე, დავუშვა ის ამბავი, რომ სახლში გამოკეტილმა ფიოდორ პავლოვიჩმა, როცა თავისი გულის ვარდის მოუთმენელ მოლოდინში იყო, გახსნა პაკეტი და ამოიღო ფული. „ხომ შეიძლება ქალმა პაკეტს არ დაუჯეროს, იქნებ სჯობდეს, ოცდაათი ცალი ფერად-ფერადი ასმანეთიანი პირდაპირ დავანახო, ამან იქნებ უფრო კარგად იმოქმედოს, უფრო დახარბდესო“, - გაიფიქრა ეს, გახსნა პაკეტი და იქვე, იატაკზე მიაგდო. ცხადია, მას ამ დროს შიში არ ექნებოდა, რომ ამას ვინმე სამხილად გამოიყენებდა. მომისმინეთ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, შეიძლება თუ არა, ვიქონიოთ ასეთი ვარაუდი, დავუშვათ

ასეთი ფაქტი? რა არის ამაში შეუძლებელი? თუკი რაიმე ამისი მსგავსი მოხდა, მაშინ ბრალდება გაქურდვის შესახებ თავისთავად ბათილდება: თუ არ იყო ფული, არც ქურდობა მომხდარა. თუ იატაკზე დაგდებული პაკეტი იმის მაჩვენებელია, რომ მასში ფული იდო და ის ფული განსასჯელმა წაიღო, მაშინ რატომ არ შეიძლება დავუშვათ, იატაკზე პაკეტი იმიტომ ეგდო, რომ იგი ფიოდორ პავლოვიჩმა კატასტროფამდე გახსნა, ფული ამოიღო და მიაგდო? ამის შემდეგ შეიძლება დაგებადოთ კითხვა: „მაშინ სად გაქრა ის ფული, რომელიც ფიოდორ პავლოვიჩმა ამოიღო პაკეტიდან და რომელიც მისი სახლის ჩხრეკის დროს ვერ აღმოაჩინეს?“ ამაზე ასე გიპასუხებთ, ბატონებო: ჯერ ერთი, ზარდახშაში ფულის ნაწილი ნახეს, მეორეც ის, რომ მას შეეძლო ეს ფული ამოეღო დილით, ან მკვლელობის წინ, რამდენიმე საათით ადრე და გადაეწყვიტა მისი სხვა დანიშნულებით გამოყენება, ან ვინმესთვის მიეცა, ან გაეგზავნა, საერთოდ შეეცვალა თავისი აზრი და მოქმედების გეგმა ამ ფულთან დაკავშირებით ისე, რომ არ ჩაეთვალა საჭიროდ, ყოველივე ამის შესახებ წინასწარ მოეხსენებინა სმერდიაკოვისათვის. თუკი ასეთი ვარაუდის შესაძლებლობა არსებობს, მაშინ როგორ შეიძლება დაჟინებით ამტკიცო, რომ განსასჯელმა მკვლელობა გაქურდვის მიზნით ჩაიდინაო? ასეთი ბრალდებები ბელეტრისტიკის სფეროს განეკუთვნება. თუ გვინდა დავამტკიცოთ, რომ რაღაც ნივთია მოპარული, ამისათვის უნდა მივუთითოთ, კერძოდ, რა ნივთია ეს, ან დავასაბუთოთ ამ ნივთის ნამდვილად არსებობა. ის ფული კი თვალით არავის უნახავს. ამას წინათ პეტერბურგში ერთი ახალგაზრდა მეწვრილმანე ვაჭარი, თითქმის ყმაწვილი, ასე თვრამეტი წლის იქნებოდა, ნაჯახით ხელში შევიდა რომელიღაც ფულის დასახურდავებელ კანტორაში, არაჩვეულებრივი უტიფრობით სიცოცხლეს გამოასალმა კანტორის პატრონი და გაიტაცა ათას ხუთასი მანეთი. ხუთი საათის შემდეგ იგი დააპატიმრეს. მას მოპარული ფული თან ჰქონდა, მხოლოდ თხუთმეტი მანეთი აკლდა, რომლის დახარჯვა მოესწრო. მკვლელობის შემდეგ კანტორაში დაბრუნებულმა ნოქარმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა, ჩვენებაში მან აღნიშნა არათუ მოპარული ფულის რაოდენობა, არამედ რამდენი ასმანეთიანი, ორმოცდაათმანეთიანი და ოცდახუთმანეთიანი და რამდენი ოქროს მონეტა იყო. მართლაც, დაპატიმრების დროს ქურდს აღმოაჩნდა ზუსტად დასახელებული ფულის ასიგნაციები და მონეტები. ამას მკვლელის სრული და ალალ-მართალი აღიარებაც დაემატა. აი, ამას ჰქვია, ბატონო მსაჯულნო, სამხილი! ასეთ დროს ნათლად ხედავ, ხელით გრძნობ ფულს და აღარც კითხულობ, არსებობდა თუ არა ის სინამდვილეში. ჩვენს შემთხვევაში ასეა? ამ დროს სასწორზე დევს ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე, მთელი მისი მომავალი ცხოვრება. შეიძლება ვინმემ თქვას: „განა განსასჯელი იმ დღეს არ ქეიფობდა და არ ფანტავდა ფულს, განა იმ ღამეს არ აღმოაჩნდა ათას ხუთასი მანეთი - საიდან გაჩნდა ის ფული?“ სწორედაც იმიტომ, მხოლოდ ათას ხუთასი მანეთი რომ აღმოაჩნდა, ხოლო მეორე ათას ხუთასი ვერსად ნახეს, ესაა დამამტკიცებელი იმისა, რომ ის ათას ხუთასი მანეთი იმ მოპარული ფულის ნაწილი არ იყო. დროის ათვლის მიხედვით (ათვლა კი ზედმიწევნით ზუსტად ჩატარდა), წინასწარმა გამოძიებამ გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ გრუშენკას სახლიდან წამოსული განსასჯელი ისე მივიდა ჩინოვნიკ პერხოტინთან, არც შინ შეუვლია და არც სხვაგან, მის შემდეგაც სულ ხალხის თვალწინ ტრიალებდა, ასე რომ, მას არ შეეძლო იმ სამი ათასი მანეთიდან ქალაქში სადმე გადაენახა ნახევარი.

ამიტომაც გამოთქვა ბრალმდებელმა ვარაუდი, რომ ფული შეიძლება სოფელ მოკროეს სამიკიტნოს კედლების ღრიჭოებშია გადამალულიო. იქნებ უდოლფის ციხე-სიმაგრის სარდაფებშია გადამალული, ბატონებო? ეს ხომ ფანტასტიკური და ბელეტრისტიკული ვარაუდია. ახლა, ბატონებო, ეს კარგად დაიმახსოვრეთ, თუ იმის ვარაუდი გაბათილდება, რომ მოპარული ფულის ნახევარი მოკროეში იყო გადამალული, მაშინ გაქურდვის ბრალდება საპნის ბუშტივით გასკდება, რამეთუ სად გაქრა მაშინ ის ათას ხუთასი მანეთი? სადაა, თუ დამტკიცებულია, რომ განსასჯელს არსად შეუვლია? ამდაგვარი ზღაპრული ვარაუდებით ხომ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე გავუმწაროთ! მეტყვით: „მან ხომ ვერ შეძლო აეხსნა, სად იშოვა ის ათას ხუთასი მანეთი, რომელიც მას აღმოაჩნდა, გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ მას იმ ღამემდე კაპიკიც არ ჰქონდა“. ვინ იცოდა? განსასჯელმა თავის ჩვენებაში ნათლად განმარტა, საიდან ჰქონდა ეს ფული. თუ გნებავთ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, თუ თქვენი ნება-სურვილი იქნება, მოგახსენებთ, რომ არაფერი შეუძლებელი ამ ჩვენებაში არ არის, თუ გავითვალისწინებთ განსასჯელის პიროვნებას. პროკურორს თავისი ზღაპარი მოსწონს: სუსტი ნებისყოფის ადამიანი, რომელიც თავისი საცოლისაგან ღებულობს მის მიერ ასე სამარცხვინოდ შემოთავაზებულ სამი ათას მანეთს, ვერ შეძლებდა ამ თანხის ნახევრის გადანახვას და ჭინჭის ქისაში გადამალვას, პირიქით, თუ შეინახავდა, ყოველი ორი დღის შემდეგ გახსნიდა ამ ქისას და თითო-თითო ასიანს დააძრობდა, ასე და ამრიგად, მთელ ფულს ერთ თვეში წირვას გამოუყვანდაო. გაიხსენეთ, როგორი ტონით იყო ეს ნათქვამი - გაბედეთ და შემედავეთო. მაგრამ იქნებ ასე არ იყო საქმე, როგორც თქვენ აგვიწერეთ, იქნებ იმ დროს მასში სხვა გმირი მოქმედებდა? საქმე ის არის, ჩემო ბატონო, თქვენ სულ სხვანაირი სახე შექმენით! შეიძლება ვიღაც შემეპასუხოს: „ხომ არიან იმის მოწმეები, კატასტროფამდე ერთი თვით ადრე სოფელ მოკროეში ის სამი ათასი, რომელიც ქალბატონ ვერხოვცევას გამოართვა, სულ რომ გაფლანგა. არ შეეძლო მას იმის ნახევრის გადამალვაო.“ მაგრამ ვინ არიან ეს მოწმეები? ამ მოწმეების უტყუარობის ხარისხი ამ პროცესზე გამომზეურდა. ამას გარდა, სხვისი ულუფა ყოველთვის უფრო მეტი გვეჩვენება ხოლმე. ბოლოს და ბოლოს არც ერთ მოწმეს განსასჯელის ფული არ დაუთვლია, მხოლოდ თვალით ნანახით საზღვრავენ. ხომ გახსოვთ, მოწმე მაქსიმოვმა როგორ თქვა, ოცი ათასი მაინც იქნებოდა განსასჯელს ხელშიო. ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, რადგან ფსიქოლოგიასაც ორი ბოლო აქვს, ნება მიბოძეთ, ახლა მეორე ბოლო გამოვიყენო და ვნახოთ, რა გამოვა.

კატასტროფამდე ერთი თვით ადრე ქალბატონმა ვერხოვცევამ ბრალდებულს ფოსტით გასაგზავნად სამი ათასი მანეთი ანდო. საკითხავია, სამართლიანია თუ არა ის მოსაზრება, რომ ფულის გადაცემა სამარცხვინო და დამამცირებელ ვითარებაში მოხდა, როგორც ამას წინათ აქ ითქვა? პირველი ჩვენების დროს ქალბატონი ვერხოვცევა ასე არ ამბობდა, ნამდვილად არ უთქვამს ასე; მეორე ჩვენებაში კი მოვისმინეთ ბრაზითა და შურისძიების გრძნობით გამოწვეული ისტერიული ყვირილი, დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი სიძულვილის ამოფრქვევა. მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ მოწმემ პირველ ჩვენებაში სიმართლე არ თქვა, უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, შესაძლოა, მეორე ჩვენებაც ტყუილი იყოს. ბრალმდებელს „არ უნდა და ვერც გაბედავს“ (მისი სიტყვებია) ილაპარაკოს ამ რომანის ირგვლივ. არც მე შევეხები, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, აღვნიშნო,

რომ ისეთი მაღალი ზნეობისა და სუფთა რეპუტაციის პიროვნება, როგორსაც დიდად პატივცემული ქალბატონი ვერხოვცევა წარმოადგენს, თუკი ასეთი პიროვნება თავს უფლებას აძლევს, სასამართლოზე თავისი პირველი ჩვენება შეცვალოს მხოლოდ ერთი მიზნით, რომ დაღუპოს ბრალდებული, მაშინ ნათელია, ახალი ჩვენება მიკერძოებისა და ემოციების გარეშე არ მომხდარა. ნუთუ ჩვენ წაგვართმევენ იმის უფლებას, ვიფიქროთ, რომ შურისძიებით შეპყრობილ ქალს ბევრი რამ ზედმეტი შეუძლია თქვას? დიახაც, ცოტა გადამეტებულად აგვიწერა მან ის სირცხვილი და დამცირება, რომელიც უნდა განეცადა განსასჯელს, როცა მას იმ სამი ათასს ანდობდა. პირიქით, ეს ფული განსასჯელს ქალბატონმა ვერხოვცევამ ისე შესთავაზა, რომ მისი აღება სავსებით შესაძლებელი იყო ისეთი ფუქსავატი კაცისათვის, როგორიც ჩვენი განსასჯელია, რადგან მისი ანგარიშით, მას იმედი ჰქონდა, მამამისისგან რომ მიიღებდა კუთვნილ სამი ათას მანეთს. ეს ქარაფშუტობა იყო მისი მხრიდან, მაგრამ სწორედაც ამ ქარაფშუტობის გამო სწამდა მას მტკიცედ, რომ მამა მას ფულს მისცემდა და, აქედან გამომდინარე, მას ნებისმიერ დროს შეეძლო მოსკოვში ფოსტით გადაეგზავნა ქალბატონ ვერხოვცევას მიერ ნანდობი თანხა. მაგრამ ბრალმდებელს არაფრით არ უნდა, დაუშვას, რომ განსასჯელმა იმ დღესვე გადადო გადმოცემული თანხის ნახევარი და შეინახა: „მას ისეთი ხასიათი აქვს, ამას ვერ გააკეთებდაო“. მაგრამ თავად თქვენ არ გაიძახოდით - კარამაზოვი ფართო გაქანების კაცია, თავად არ ახსენეთ ორი უკიდურესობა, რომლებშიაც თანაბრად შეუძლია კარამაზოვს გადავარდნაო. მართლაცდა, კარამაზოვი ისეთი ბუნების ადამიანია, რომელსაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა უცებ შეუძლია. მას შეუძლია თავაწყვეტილ ღრეობას უცებ შეეშვას, თუ სხვა მხრიდან რაიმე საფრთხე ელის. ეს სხვა მხარე სიყვარულია - დენთივით ანთებული ახალი სიყვარული. ასეთი სიყვარულისათვის კი ფულია საჭირო, ოო, გაცილებით მეტად საჭირო, ვიდრე დროსტარებისათვის! ერთიც ვნახოთ და ქალმა განუცხადა: „შენი ვარ, არ მინდა ფიოდორ პავლოვიჩიო,“ მან ხომ უნდა სტაცოს ხელი და სასწრაფოდ წაიყვანოს - მაგრამ რომ წაიყვანოს, რაღაც უნდა ჰქონდეს. ეს ხომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. კარამაზოვს ასეთი რამ შეეშლებოდა?! არა, ბატონო, ის სწორედ ამით იყო ავად, ამ საზრუნავით და რაა დაუჯერებელი, ამის შემდეგ თუ მან ყოველ შემთხვევისათვის გადაინახა ფული? ამასობაში დრო გადიოდა და ფიოდორ პავლოვიჩი განსასჯელს ფულს არ აძლევდა, პირიქით, სამი ათასი გადადო თავისთან შვილის სატრფოს, გრუშენკას მისატყუებლად. „თუ მამაჩემმა ფული არ მომცა, მაშინ კატერინა ივანოვნასათვის მე ქურდი ვიქნებიო,“ - ფიქრობდა ის. ამ დროს მას თავში ერთი აზრი მოუვა. რომ ის ათას ხუთასი მანეთი, რომელსაც კისერზე ჩამოკიდებული ჭინჭის ქისით დაატარებს, უკან დაუბრუნოს ქალბატონ ვერხოვცევას და უთხრას: „მე არამზადა ვარ, მაგრამ არა ქურდი“. ალბათ სწორედ ეს ორი მიზეზია, რისთვისაც იგი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ ფულს და ას-ასი მანეთის მოკლებით არ გამოუყვანია მისთვის წირვა. რატომ გგონიათ, რომ განსასჯელს ღირსების გრძნობა არ გააჩნდა? არა, ბატონო, ღირსების გრძნობა მას აქვს, შეიძლება არასწორად ესმის ეს, შესაძლოა, ხშირად ბევრ რამეში ცდება, მაგრამ ღირსების გრძნობა აქვს და გამძაფრებულადაც, ეს დაამტკიცა კიდეც. მაგრამ საქმე რთულდება, ბრალდებულს ეჭვის ჭია საშინლად უღრღნის ტვინს და ისევ ის ორი ადრინდელი საკითხი გაუსაძლის ტანჯვად ექცევა მის აგზნებულ გონებას: „თუ კატერინა ივანოვნას ფული დავუბრუნე, მაშინ რა ვქნა, უკაპიკოდ

სად წავიყვანო გრუშენკა?“ ამ ხნის განმავლობაში მისი თავზეხელაღებული საქციელი, ლოთობა და აყალმაყალი იმით იყო გამოწვეული, რომ თავად ვერ იყო კარგად, ძალიან უჭირდა, ყოველივე ამის გადატანა. ბოლოს და ბოლოს, ეს ორი საკითხი ისე გაუმძაფრდა, რომ სასოწარკვეთამდე მივიდა. მან მამასთან უმცროსი ძმა გაგზანა სამი ათასის სათხოვნელად, მაგრამ პასუხსაც არ დაუცადა, მამას მიუვარდა სახლში და ყველას თანდასწრებით სცემა. ამის შემდეგ ფულს სადღა იშოვიდა, გალახული მამა ფულს რაღას მისცემდა. სწორედ იმ დღეს, საღამოს, ირტყამდა იგი მჯიღს მკერდში, უფრო სწორად მკერდის ზედა ნაწილში, სადაც ქისა ეკიდა და ძმას ეფიცებოდა, რომ მას გააჩნია საშუალება, არ იყოს არამზადა, მაგრამ იგი ამას არ გამოიყენებს და დარჩება არამზადად, რადგან გრძნობს, არ ეყოფა ამისთვის სულიერი ძალა და ხასიათი. რატომ, რატომ არ სჯერა ბრალდებას ალექსეი კარამაზოვის ჩვენების, რომელმაც ასე ალალად, მოუმზადებლად და დამაჯერებლად ილაპარაკა? რატომ ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ სადღაც უდოლფის ციხესიმაგრის სარდაფებში არის გადამალული ფული? იმავ საღამოს, ძმასთან ლაპარაკის შემდეგ, განსასჯელი იმ საბედისწერო წერილს წერს, და თურმე სწორედ ეს წერილი არის ყველაზე მთავარი, განსასჯელის ქურდობაში ყველაზე კოლოსალური მხილება! „ყველას ვთხოვ, ყველას, თუ არავინ მომცემს ფულს, მოვკლავ მამას და ავიღებ ლეიბის ქვეშ გადამალულ მის ვარდისფერბაფთიან პაკეტს, ოღონდ კი ივანი გაემგზავროს“ - მკვლელობის სრული პროგრამაა, მაშ, ვინ მოკლავდაო? „ყველაფერი აღსრულდა, როგორც წერილში ეწერაო!“ - აღტაცებული აცხადებს ბრალდება. ჯერ ერთი, წერილი ღვინით გამომტყვრალი და გაღიზიანებული კაცის ნაწერია; მეორე ის, რომ პაკეტის შესახებ მას ცნობა მიღებული აქვს სმერდიაკოვისაგან, თავად მას პაკეტი არ უნახავს, მესამეც ისაა, რომ შეიძლება ის წერილი დაიწერა, მაგრამ შესრულდა თუ არა ყველაფერი მის მიხედვით, ამას დამტკიცება უნდა? იპოვა განსასჯელმა თუ არა პაკეტი ბალიშს ქვეშ, იყო თუ არა მასში ფული და საერთოდ არსებობდა კი ის ფული? გარდა ამისა, აბა კარგად გაიხსენეთ, ბატონებო, განა ფულისთვის გარბოდა მამასთან? ის თავქუდმოგლეჯილი საქურდავად კი არ გარბოდა, არამედ იმისთვის, რომ გაეგო, გრუშენკა იქ იყო, თუ არა. მე ის მინდა ვთქვა: განსასჯელი მამასთან წერილში აღწერილი პროგრამის შესასრულებლად კი არ მივარდა, ე.ი. წინასწარგანძრახული ქურდობის ჩასადენად, არამედ უნებური და უეცარი ეჭვიანობით გაცოფებული! შეიძლება ვინმემ მითხრას: „მაგრამ მაინც მივიდა, მოკლა და ფული წაიღო“. მოდით, ახლა იმაზეც ვილაპარაკოთ, მოკლა მან საერთოდ თუ რა? ქურდობის შესახებ ბრალდებას მე აღშფოთებული უარვყოფ: არ შეიძლება კაცს ქურდობა დააბრალო, თუ ზუსტად არ მიუთითებ, რა მოიპარა - ეს აქსიომაა! მაგრამ მოკლა თუ არა მან გაქურდვის გარეშე? განა ეს დამტკიცებულია? ესეც ბელეტრისტიკა ხომ არ არის?“

XII დიახ, არც მკვლელობა ყოფილა

„ნება მიბოძეთ, ბატონო მსაჯულნო, შეგახსენოთ: დღეს აქ ადამიანის ბედი წყდება და ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩვენ მოვისმინეთ, თავად როგორ

დაადასტურა ბრალდებამ, რომ თურმე ის უკანასკნელ დღემდე, დღევანდელ სასამართლომდე მერყეობდა, დაედო თუ არა განსასჯელისათვის წინასწარგანზრახულ მკვლელობაში ბრალი. მერყეობდა ამ საბედისწერო წერილის გამოჩენამდე, რომელიც დღეს წარმოუდგინეს სასამართლოს. „ყველაფერი აღსრულდა, როგორც წერილში ეწერაო!“ მე მაინც ჩემსას ვიმეორებ: ის მამასთან მივარდა მხოლოდ ერთი მიზნით, გაეგო, იქ იყო თუ არა ის ქალი. ეს ფაქტი სადავო არ არის. ქალი რომ სახლში დახვედროდა, არსადაც არ წავიდოდა, მასთან დარჩებოდა და აღარ აღსრულდებოდა წერილში ნაწერი. ის უნებურად, მოულოდნელად გამოვარდა ისე, რომ შეიძლება თავისი წერილი არც ახსოვდა. „სანაყი თან გაიყოლაო“, გახსოვთ ამ სანაყზე ბრალდებამ მთელი ფსიქოლოგია ააგო; რატომ ჩათვალა განსასჯელმა ეს სანაყი იარაღად, რატომ წაავლო ხელი, როგორც იარაღსო და ა.შ. და ა.შ. ამ წუთში ერთმა ჩვეულებრივმა აზრმა გამიელვა თავში - ვთქვათ, ეს სანაყი თაროზე გამოსაჩენ ადგილას არ დებულიყო და გდებულიყო სადმე კარადაში - მაშინ ხომ ვერ დაინახავდა განსასჯელი მას და იარაღის გარეშე გაიქცეოდა, ცარიელი ხელებით, და არავის მოკლავდა. როგორ შეგვიძლია განვაცხადოთ: სანაყი წინასწარგანზრახული შეიარაღების დამამტკიცებელია? კი, ბატონო, მაგრამ ხომ იმუქრებოდა სამიკიტნოში, მამას რომ მოკლავდა, ორი დღით ადრე კი, იმ საღამოს, როცა დაწერა „მთვრალი“ წერილი, ერთ ნოქარს წაეჩხუბა, „კარამაზოვს ხომ ჩხუბის გარეშე გაძლება არ შეეძლო“ - მეტყვის ვინმე. ამაზე გიპასუხებთ: თუ ასეთი მკვლელობა ჩაფიქრებული ჰქონდა, თანაც რაღაც გეგმით და თანმიმდევრობით, როგორც წერილშია აღწერილი, მაშინ ალბათ ნოქარს არ წაეჩხუბებოდა, იქნებ არც სამიკიტნოში შესულიყო, ვინაიდან კაცი, რომელიც ასეთ საქმეს ჩაიფიქრებს, წყნარ ადგილებს ირჩევს, შეუმჩნეველი რომ დარჩეს, რომ არავინ ნახოს და დაიმახსოვროს. ამას იგი ანგარიშით კი არ აკეთებს, არამედ ინსტინქტურად. ბატონო მსაჯულნო, ესაა ფსიქოლოგია ორი ბოლოს შესახებ, ჩვენც ცოტა რამ გაგვეგება ფსიქოლოგიაში. რაც შეეხება იმ ერთი თვის განმავლობაში ნაყვირებ მუქარებს, განა ცოტა რამეს იქადიან ხოლმე ბავშვები ან დუქნიდან გამოსული ლოთები ერთმანეთთან ჩხუბის დროს, როცა გაჰყვირიან - „მოგკლავ, შენიო...“ მაგრამ ხომ არ კლავენ. ანდა ის საბედისწერო წერილი ავიღოთ - განა ის არ ჰგავს დუქნიდან გამოსული მთვრალი კაცის ყვირილს: მოვკლავ ყველას, ჩავაძაღლებ! განა ასე არ შეიძლება მომხდარიყო?! რატომაა ეს წერილი საბედისწერო და, პირიქით, რატომ არ არის ის სასაცილო? იმიტომ რომ ნაპოვნია მოკლული მამის გვამი, იმიტომ რომ მოწმემ დაინახა, როგორ გარბოდა შეიარაღებული განსასჯელი ბაღში და თავად ეს მოწმე დაზარალებულია განსასჯელის მიერ; მაშასადამე, ყველაფერი აღსრულდა, როგორც წერილში ეწერა, ამიტომაც არ არის ეს წერილი სასაცილო და არის საბედისწერო. დიდება ღმერთს, მგონი მივედით იმ ადგილამდე, სადაც შეიძლება წერტილის დასმა: „რახან ბაღში იყო, მაშასადამე, მოკლა კიდეც“. ამ რამდენიმე სიტყვამ: რახან იყო, მაშასადამე, მოკლა კიდეცო - ყველაფერი გადაწყვიტა, ბრალდება დაადასტურა. კი ბატონო, იყო, მაგრამ იქნებ არ მოუკლავს? მე თანახმა ვარ, არ უარვყოფ, ფაქტების ერთობლიობა, ფაქტების დამთხვევა, მართლაც, ბევრისმეტყველია. მოდით, ახლა ეს ფაქტები ცალ-ცალკე განვიხილოთ: მაგალითად, რატომ არ უნდა ბრალდებას იმის დაჯერება, რომ განსასჯელი მაშინვე მოშორდა მამის ფანჯარას და გაეცალა იქაურობას? გაიხსენეთ ის სარკაზმული გამოთქმები, რომლითაც მოიხსენია აქ

ბრალდებამ იმ მომენტში მკვლელში აღძრული მოწიწება და „ღვთისმოსაობა“. იქნებ მართლა იყო ასეთი რამ, დავუშვათ, მოწიწება არა, მაგრამ ღვთის შიში? „იქნებ იმ წუთში დედაჩემმა ჩემთვის ილოცა“, - თქვა დაკითხვის დროს განსასჯელმა. მან იქაურობა მიატოვა, როგორც კი მამის სახლში ქალბატონ სვეტლოვას არყოფნაში დარწმუნდა. „მარტო ფანჯარაში შეხედვით ის ამაში ვერ დარწმუნდებოდა“, - მეტყვის ბრალდება. რატომ არ შეეძლო? ფანჯარა ხომ მას შემდეგ გაიღო, როცა განსასჯელმა დათქმული ნიშნებით დააკაკუნა. ამ დროს ფიოდორ პავლოვიჩს შეიძლება ისეთი რამე ეთქვა, ისეთი რამე წამოსცდენოდა, რაც განსასჯელს დაარწმუნებდა, იქ რომ სვეტლოვა არ იყო. მაინცდამაინც ისე რატომ უნდა მომხდარიყო, როგორადაც ბრალდებას წარმოუდგენია? ასეთ სიტუაციაში შეიძლება ადგილი ჰქონოდა ათასნაირ წვრილმანს, რომელიც ყველაზე დახვეწილ რომანისტსაც კი გამორჩებოდა. „კი მაგრამ, გრიგორიმ ხომ ნახა ღია კარი, მაშასადამე, განსასჯელი სახლში შესულა და ალბათ მან მოკლა კიდეც“ - კვლავ შემედავებიან. ახლა ამ კარის შესახებ მოგახსენებთ, ბატონო მსაჯულნო... კარგად მოგეხსენებათ, ღია კარის შესახებ ჩვენება მხოლოდ ერთმა კაცმა მისცა, ეს კაცი კი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ... დავუშვათ, კარი ღია იყო; ვთქვათ, განსასჯელმა გააღო ის, დაკითხვის დროს კი მოიტყუა თავდაცვის მიზნით - სავსებით გასაგებია მისი მდგომარეობის კაცისათვის - ისიც დავუშვათ, რომ ის შევიდა სახლში, იყო იქ, მერე რა მოხდა, თუ იქ იყო, აუცილებლად უნდა მოეკლა?! მას შეეძლო, სახლში შევარდნილიყო, ყველა ოთახი დაერბინა, მამამისისათვის ხელი ეკრა, გაერტყა კიდეც, მაგრამ როგორც კი დარწმუნდებოდა იმაში, რომ სვეტლოვა იქ არ იყო, გახარებული უკან გაიქცეოდა, გახარებული გაიქცეოდა იმიტომ, რომ გრუშენკა იქ არ დახვდა და მამა არ შემოაკვდა. ალბათ სწორედ ამიტომაც, ჩამოხტა ღობიდან მას შემდეგ, როცა აზარტში შესულმა გრიგორის თავი გაუტეხა, მივიდა გონდაკარგულთან და დახედა, რადგან მასში გაიღვიძა სუფთა გრძნობებმა - სიბრალულმა და თანაგრძნობამ, ვინაიდან გახარებული იყო იმით, რომ სძლია ცდუნებას და მამა არ მოკლა. საშინელი ხატოვნებით აგვიწერს ბრალმდებელი მოკროეში განსასჯელის სავალალო მდგომარეობას, როცა მას კვლავ გაუჩნდა სიყვარულის შანსი და ახალი ცხოვრების იმედის მარცვალი და ამ დროს კი მისთვის უკვე აღარ შეიძლება სიყვარული, რადგან ქალაქში მის მიერ მოკლული მამის გასისხლიანებული გვამი და მოსალოდნელი სასჯელი ელის. და მაინც ბრალმდებელმა დაუშვა სიყვარული და იგი თავისებური ფსიქოლოგიით ახსნა. ხომ გახსოვთ: „მთვრალი მდგომარეობა, დამნაშავე დასასჯელად მიჰყავთ, დასჯამდე დიდი დროა დარჩენილიო“ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ, ბატონო პროკურორო, კვლავ ვიმეორებ, სხვა სახე ხომ არ შექმენით? ნუთუ ისეთი სქელკანიანი და უსულგულოა განსასჯელი, რომ ერთდროულად შეეძლო ეფიქრა სიყვარულზეც და იმაზეც, თუ როგორ დაეძვრინა თავი სასამართლოზე, თუკი მართლა მის კისერზე იყო მამამისის სისხლი? არა, არა და არა! იმ მომენტში, როცა მან აღმოაჩინა, რომ ქალს ნამდვილად უყვარდა, თავისკენ იხმობდა და ახალ ბედნიერებას ჰპირდებოდა, - გეფიცებით, მაშინ ათჯერ მეტად უნდა გასჩენოდა თავის მოკვლის სურვილი და ამას გააკეთებდა კიდეც, მამის სისხლში რომ ჰქონოდა ხელები გასვრილი! არა, ბატონო, არა! არც ის დავიწყებია, სად ედო პისტოლეტები! მე განსასჯელს ვიცნობ: ბრალმდებლის მიერ მისთვის მიკერებული უსულგულობა შეუსაბამოა მისი ხასიათისათვის. ის აუცილებლად

თავს მოიკლავდა; მაგრამ იმიტომ არ მოიკლა თავი, „დედამისმა ილოცა მისთვის“ და მამის სიკვდილში ბრალი არ ედო. იმ ღამეს მოკროეში კარამაზოვს გრიგორის დარდი ჰქონდა და ღმერთს შესთხოვდა, რომ დარტყმა სასიკვდილო არ ყოფილიყო, დაზარალებული გონზე მოსულიყო და ამით სასჯელი თავიდან აეცილებინა. რატომ არ გვინდა, ვითარება ამგვარად ავხსნათ? ისეთი რა წყალგაუვალი მტკიცებები გაგვაჩნია, რომ განსასჯელი ტყუის? კვლავ მამამისის გვამზე მიმითითებენ: თუ ის გამოიქცა, არ მოკლა, აბა, ვინ მოკლაო?

გიმეორებთ, ბრალდების ლოგიკა ასეთია: ვის უნდა მოეკლა, თუ არა მას? სხვა არავინაა, ვისაც შეიძლება ბრალი დავდოთო. ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, განა ეს ასეა? ნუთუ სხვა ვინმეზე არ შეგვიძლია ეჭვის მიტანა? ჩვენ აქ მოვისმინეთ, ბრალდებამ როგორ სათითაოდ ჩამოთვალა ყველა, ვინც იმ ღამეს სახლში იყო - ხუთი კაცი აღმოჩნდა. სამი მათგანი სავსებით უდანაშაულოა: მოკლული, გრიგორი და მისი ცოლი. დარჩა ორი: განსასჯელი და სმერდიაკოვი. ბრალმდებელი პათოსით გაჰყვიროდა, განსასჯელი ხელს იმიტომ ადებს სმერდიაკოვს, სხვას ვერავის ვერ სდებს ბრალს, რომ არსებობდეს ვინმე მეექვსე, ან თუნდაც ვინმე მეექვსის აჩრდილი მაინც, განსასჯელი შეეშვებოდა სმერდიაკოვს, შერცხვებოდა მისი დადანაშაულება და იმ მეექვსეს დაადებდა ხელსო. მაგრამ, ბატონებო, რატომ არ შემიძლია მე საპირისპირო აზრის გამოტანა? არის ორი კაცი: განსასჯელი და სმერდიაკოვი - რატომ არ შემიძლია მე, ვთქვა: თქვენ ჩემს კლიენტს ბრალს იმიტომ სდებთ, რომ სხვას ვერავის ადანაშაულებთ? იმიტომ ვერ ადანაშაულებთ ვერავის, რომ წინასწარ აკვიატებულად გამორიცხეთ სმერდიაკოვი ეჭვმიტანილთა სიიდან. მართალია სმერდიაკოვს ადანაშაულებენ მხოლოდ განსასჯელი, მისი ორი ძმა და სვეტლოვა, მაგრამ ხომ არის ამის თაობაზე ზოგიერთი მოწმის ჩვენებაში გამოთქმული ეჭვები საზოგადოებაში მოარული რაღაც ხმების შესახებ. გარდა ამისა, ზოგიერთი ფაქტის შეჯერებისას, გაურკვეველია, რაღა მაინცდამაინც მკვლელობის დღეს დაემართა სმერდიაკოვს ბნედა. ამას კიდევ დაუმატეთ მისი უეცარი თვითმკვლელობა უშუალოდ სასამართლოს დაწყების წინ, განსასჯელის შუათანა ძმის დღევანდელი ჩვენება სასამართლოში, რომელსაც აქამდე სჯეროდა თავისი ძმის დამნაშავეობა, ახლა პროცესზე კი მოიტანა ფული და მანაც გამოაცხადა სმერდიაკოვი მკვლელად! კი, ბატონო, მე სავსებით ვეთანხმები სასამართლოსა და პროკურატურას, რომ ივან ფიოდოროვიჩი ავადაა, რომ მისი ჩვენება, შესაძლოა, თავგანწირული ცდაა, ბოდვებით მიღებული გადაწყვეტილება, გადაარჩინოს ძმა და ყველაფერი თვითმკვლელს გადააბრალოს! მაგრამ ისევ გაისმა სმერდიაკოვის სახელი, როგორც იდუმალებით მოცული რამ. მაინც არ არის რაღაც ბოლომდე თქმული, ბატონო მსაჯულნო, საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. შესაძლოა, პროცესის დასასრულამდე ყველაფერი გაირკვეს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გვაქვს! წეღან სასმართლომ გადაწყვიტა, გააგრძელოს სხდომა, ახლა კი, სანამ რაღაცას ველით, მე მინდა ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო ბრალდების მიერ ასე ნიჭიერად დახასიათებულ განსვენებულ სმერდიაკოვთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ ბრალმდებლის ტალანტს, არ შემიძლია, დავეთანხმო მას სმერდიაკოვის დახასიათებაში. მე გახლდით სმერდიაკოვთან, ვნახე იგი და ვესაუბრე, მაგრამ მან ჩემზე სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ის სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ თავისი

ბუნებითა და ხასიათით, ნურას უკაცრავად, ბატონებო, სულაც არ ჰგავდა ისეთ უსუსურ ადამიანს, როგორადაც ბრალმდებელმა დაგვიხატა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ის, რომ იგი სულაც არ ტოვებდა მფრთხალი კაცის შთაბეჭდილებას. მიამიტობის ნასახიც კი ვერ შევამჩნიე, პირიქით, მე იგი ისეთ კაცად მომეჩვენა, რომელსაც გულუბრყვილობა საფარად აქვს და კარგა გამჭრიახი გონებისაც ბრძანდება. ვაი რომ, ბრალდებამ იგი ჭკუასუსტად ჩათვალა. ჩემზე მან განსაკუთრებულად გამოკვეთილი შთაბეჭდილება მოახდინა: მე იქიდან წამოვედი ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ იგი ბოროტი, უსაზღვროდ პატივმოყვარე, შურისმაძიებელი და შურიანი კაცი იყო. მის შესახებ ზოგიერთი ცნობა შევაგროვე. თურმე მას სძულდა თავისი წარმოშობა, რცხვენოდა მისი, გამწარებული იგონებდა ხოლმე, „ჭკუასუსტის“ ნაშიერი რომ იყო. გრიგორისა და მის ცოლს, მის კეთილისმყოფელ გამზრდელებს, უდიერად ექცეოდა. მთელ რუსეთს წყევლიდა და დასცინოდა. საფრანგეთში გამგზავრებაზე ოცნებობდა, გაფრანგება უნდოდა, მაგრამ სულ იმის წუწუნში იყო, რომ ამის საშუალება არ გააჩნდა. ასე მგონია, მას საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარდა და თავზე ძალიან დიდი წარმოდგენაც ჰქონდა. განათლებულობად მიაჩნდა კარგი ჩაცმა-დახურვა, ქათქათა პერანგები და გაპრიალებული ჩექმები. თავს ფიოდორ პავლოვიჩის უკანონო შვილად თვლიდა (ამის ფაქტები არსებობს), შესაძლოა ამიტომაც სძულდა თავისი ყოფა, როცა მას თავისი ბატონის კანონიერი შვილების მდგომარეობას ადარებდა ხოლმე: იმათ სუყველაფერი, მე კი არაფერი, იმათ უფლებები, მემკვიდრეობა, მე კი მხოლოდ მზარეულობაო. იგი მომიყვა, როგორ ჩადო ფიოდორ პავლოვიჩთან ერთად ფული პაკეტში. ამ ფულის დანიშნულება, - თანხისა, რომელსაც შეეძლო, ძირეულად შეეცვალა მისი კარიერა, - მისთვის, რასაკვირველია, საძულველი რამ იყო. გარდა ამისა, მან საკუთარი თვალით ნახა ის სამი ათასი, სულ ფერად-ფერადი ასმანეთიანები (მე ამის შესახებ საგანგებოდ ვკითხე). არასოდეს, არასოდეს არ უნდა ანახოთ შურიან და პატივმოყვარე კაცს დიდი ფული, მან პირველად ნახა ამდენი ფული ერთად. ამ ფერად-ფერად ასიგნაციებს შეეძლო მასზე ცუდი ზეგავლენა მოეხდინა. აქ დიდად ნიჭიერმა ბრალმდებელმა არაჩვეულებრივი სიზუსტით დაგვიხატა ყველა პრო და ცონტრა ამ მკვლელობაში სმერდიაკოვის ბრალეულობის თაობაზე და კითხვაც დასვა: რაში სჭირდებოდა მას ავი ზნის მოგონება? კი ბატონო, შესაძლებელია, არც მოეგონა, ბნედა თავისთავად დამართოდა და თავისთავადაც წასვლოდა, ავადმყოფი გონს მოსულიყო, როგორც საერთოდ ემართებათ ხოლმე ბნედიანებს. ბრალდება კითხულობს: როდის ჩაიდინა სმერდიაკოვმა მკვლელობა? ამის თქმა საკმაოდ ადვილია. მას შეეძლო, გონზე მოსულიყო და ღრმა ძილისაგანაც გამოფხიზლებულიყო (რადგან ბნედის შემდეგ ავადმყოფები ღრმა ძილს ეძლევიან ხოლმე) სწორედ მაშინ, როცა მოხუცმა გრიგორიმ ღობეზე ამხტარ განსასჯელს ფეხში ხელი სტაცა და მთელი ხმით იღრიალა: „მამისმკვლელოო!“ ამ ღრიალს ღამის სიჩუმეში შეეძლო გაეღვიძებინა სმერდიაკოვი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე ღრმად აღარ ეძინა, ან შეიძლება სულაც მღვიძარი იყო. მას შეეძლო, საწოლიდან წამომდგარიყო და გაეხედა იმის გასაგებად, ვინ ყვიროდა და რა ხდებოდა ბაღში. ამასობაში ავადმყოფობისაგან არეულ-დარეულ მის გონებას ნელ-ნელა დაუბრუნდა სიფხიზლე. ბაღში გასვლისას იგი ღია ფანჯარასთან მდგომი და მისი დანახვით გახარებული ბატონისაგან იგებს საშინელ ამბავს. უცებ, ერთბაშად ხვდება, რაც მოხდა.

შეშინებული ბატონი დაწვრილებით უყვება ყველაფერს. თანდათან მის ავადმყოფ ტვინში იბადება აზრი - საშინელი, მაგრამ ძალიან მაცდუნებელი და ლოგიკური.: მოკლას ბატონი, წაიღოს სამი ათასი და ყველაფერი ბატონიშვილს გადააბრალოს: ვისზე უნდა იფიქროს, თუ არა ბატონიშვილზე, ვის უნდა დააბრალოს, თუ არა ბატონიშვილს?! ის იყო აქ! ფულის მოპარვის სურვილს, სიხარბეს შეიძლება ერთიანად შეეპყრო ის, ამას კიდევ დაუსჯელობის იმედიც დაუმატეთ. ოო, ასეთი უეცარი და მომნუსხველი სწრაფვები ხშირად იპყრობთ ხოლმე ისეთ მკვლელებს, რომლებმაც მკვლელობამდე ერთი წუთით ადრე არ იციან, რომ კაცს მოკლავენ! სმერდიაკოვს თავისუფლად შეეძლო, შესულიყო ბატონთან და თავისი გეგმა განეხორციელებინა. რით? რით და ნებისმიერი მაგარი საგნით, თუნდაც პირველი ქვით, რომელიც ხელში მოხვდა ბაღში. მაგრამ რატომ, რა მიზნით? სამი ათასი მისთვის ძალიან დიდი ფული იყო, სამი ათასით კარიერის გაკეთებაც შეეძლო. არა! მე ჩემს თავს არ ვეწინააღმდეგები: ფული, შესაძლოა, მართლაც, არსებობდა. შესაძლებელია, მისი მონახვა მხოლოდ სმერდიაკოვს შეეძლო, მარტო მან იცოდა, სად მალავდა ბატონი ფულს. „კი მაგრამ, იატაკზე რომ ეგდო გახეული პაკეტი?“ - იკითხავთ. წეღან, როცა ბრალმდებელი ამ პაკეტზე ლაპარაკობდა, ზედმიწევნით გონივრული მოსაზრება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ კარამაზოვისნაირ უჩვეულო ქურდს შეეძლო დაეტოვებინა იატაკზე გახეული პაკეტი და არა სმერდიაკოვისნაირს, სმერდიაკოვი არამც და არამც არ დატოვებდა ასეთ სამხილსო. ბატონო მსაჯულნო, ეს რომ მოვისმინე, უცებ მომეჩვენა, რაღაც ნაცნობ ამბავს ვისმენ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტად ასეთი მოსაზრება, ასეთი ვარაუდი გამოთქვა ამ ორი დღის წინ ჩემთან სმერდიაკოვმა, უფრო მეტიც, მაშინ მან გამაოცა; მომეჩვენა, რომ მას სურდა, გულუბრყვილო კაცად მოეჩვენებინა თავი და თან ცდილობდა, ჩემთვის თავს მოეხვია ეს აზრი, რომ მე თავად გამომეტანა ასეთი დასკვნა, თითქოს მკარნახობდა ამას. გამოძიებასაც ხომ არ მოახვია მან თავს თავისი მოსაზრება? მეტყვით: გრიგორის ცოლზე რაღას იტყვით? იმანაც ხომ გაიგონა, როგორ კვნესოდა მის გვერდით მთელი ღამე სმერდიაკოვი. დიახ, ესმოდა, მაგრამ ეს არგუმენტები საკმად სუსტია. მე ერთ ქალბატონს ვიცნობდი, რომელიც გაუთავებლად წუწუნებდა, მთელი ღამე მაღვიძებდა ეზოში ფინია ძაღლის ყეფა და ძილი მიტყდებოდაო, მაგრამ აღმოჩნდა - თურმე მთელი ღამის განმავლობაში საწყალ ფინიას ერთი-ორჯერ თუ დაუყეფია. ეს ბუნებრივია, როცა მძინარე კაცს უცებ კვნესა გააღვიძებს, იგი ბუზღუნ-ბუზღუნით მეორე გვერდზე გადაბრუნდება და ძილს გააგრძელებს. ორი საათის შემდეგ კვლავ შეიძლება გააღვიძოს რაღაცა ხმამ, მაგრამ იგი კვლავ ძილს შეიბრუნებს, გავა კიდევ ორი საათი და კვლავ გააღვიძებს კვნესა, მაგრამ იგი ისევ მიეცემა ძილს. ასე მთელი ღამის განმავლობაში შეიძლება სამჯერ გააღვიძონ. დილას კი ეს კაცი იბუზღუნებს, რომ მთელი ღამე ვიღაც კვნესოდა და გაუთავებლად აღვიძებდა. მას აუცილებლად ასეც უნდა მოსჩვენებოდა; ხოლო ძილის ის ორ-ორსაათიანი შუალედები, რომელთა განმავლობაშიაც მას ეძინა, გადაავიწყდა. ახსოვს მხოლოდ გაღვიძების წუთები და ჰგონია, რომ მთელი ღამე არ ეძინა. რატომ, რატომ არაფერი აღიარა სმერდიაკოვმა სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში? - კითხულობს ბრალმდებელი, - „როგორ ერთზე ეყო ნამუსი და მეორეზე არა“. მაგრამ მაპატიეთ, ნამუსი - მონახიებაა, მაგრამ თვითმკვლელს სინანულის გრძნობა შეიძლება სულაც არ აწუხებდეს, ის მხოლოდ სასოწარკვეთილებაშია

ჩავარდნილი. ხოლო სინანული და სასოწარკვეთა ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა. სასოწარკვეთილი კაცი შეიძლება გაბოროტებული და შეურიგებელი იყოს. სასოწარკვეთილ თვითმკვლელს განსაკუთრებულად სძულს ის ხალხი, ვისიც მთელი ცხოვრება შურდა. ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ერიდეთ სასამართლო შეცდომებს! რა არის დაუჯერებელი იმაში, რაც ახლა მე თქვენ მოგახსენეთ? იპოვეთ შეცდომები ჩემს მოსაზრებებში და დაამტკიცეთ მისი შეუძლებლობა და აბსურდულობა! მაგრამ თუ ჩემს ვარაუდებში არსებობს სარწმუნო მარცვალი, რაიმე სიმართლის მსგავსი, მაშინ თავი შეიკავეთ განაჩენისაგან. მაგრამ აქ მარტოოდენ მარცვალზე არ არის ლაპარაკი. მე გეფიცებით ყველა საფიცარს, დარწმუნებული ვარ ჩემ მიერ წარმოდგენილი მკვლელობის ვერსიის სისწორეში. რაც მთავარია, მაშფოთებს და მწყობრიდან გამოვყავარ იმ აზრს, რომ განსასჯელის საწინააღმდეგოდ ბრალდების მიერ წარმოდგენილი ზღვა ფაქტებიდან, არ არის არც ერთი რამენაირად ზუსტი და უცილობელი. უბედური განსასჯელი უნდა დაიღუპოს მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტების ერთობლიობის გამოისობით. დიახ, საშინელებაა ეს ერთობლიობა, ესაა გასისხლიანებული თითები და პერანგი, ესაა ღამის წყვდიადში თავგატეხილი მოხუცის ღრიალი: „მამისმკვლელოო!“ და კიდევ სხვადასხვაგვარი გამონათქვამები, ჩვენებები, ჟესტები და კივილ-წივილი - ამათ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ არა თქვენზე, ნუთუ თქვენც მოექცევით მათი ზეგავლენის ქვეშ და დაუშვებთ შეცდომას?! გახსოვდეთ, თქვენ მონიჭებული გაქვთ განუსაზღვრელი უფლება, ყველაფერი აწონ-დაწონოთ და გამოიტანოთ გადაწყვეტილება. მაგრამ რაც უფრო ძლიერია ძალაუფლება, მით უფრო საშინელია მისი ძალმომრეობა! მე არავითარ შემთხვევაში არ ვამბობ უარს ახლა აქ გამოთქმულ აზრებზე, მაგრამ, ვთქვათ, ერთი წუთით დავეთანხმე ბრალდებას იმაში, რომ ჩემს კლიენტს მამის სისხლში აქვს ხელები გასვრილი. ვიმეორებ, ეს მხოლოდ ვარაუდია, მე ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი მის უდანაშაულობაში, მაგრამ ვუშვებ, რომ განსასჯელი დამნაშავეა, მამისმკვლელია, მაგრამ, თქვენ გთხოვთ, მაინც გაითვალისწინოთ ჩემი მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, მე რომც დავუშვა ასეთი ვარაუდი. მე მინდოდა, თქვენთვის კიდევ ერთი რამ მეთქვა, რადგან ვგრძნობ თქვენს გულსა და გონებას შორის დიდი ბრძოლაა... მაპატიეთ ეს სიტყვა, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მე მსურს, ბოლომდე მართალი და გულწრფელი ვიყო. ვიყოთ ყველა გულწრფელი!..

ამ ადგილას დამცველს სიტყვა ძლიერმა ტაშის გრიალმა შეაწყვეტინა. მართლაც, უკანასკნელი ფრაზები მან ისეთი ალალ-მართალი ხმით წარმოთქვა, ყველამ იგრძნო, რომ კიდევ რაღაც სათქმელი დარჩა და ის, რასაც ახლა იტყოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იყო. მაგრამ თავმჯდომარე აპლოდისმენტებმა გააბრაზა და პუბლიკას დაემუქრა, რომ თუ კიდევ განმეორდება „მსგავსი შემთხვევა“, სასამართლოს დარბაზს „გავწმენდო“. დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა და ფეტიუკოვიჩმა რაღაცნაირად ახალი, გულშიჩამწვდომი ხმით გააგრძელა ლაპარაკი, ოღონდ სულ სხვანაირად, ვიდრე ადრე ლაპარაკობდა.

XIII გონებამრუში

„ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, სინამდვილეში ჩემს კლიენტს ფაქტების ერთობლიობა კი არ ღუპავს, - ხმამაღლა თქვა მან, - არამედ მხოლოდ ერთი ფაქტი: ესაა მოხუცი მამის ცხედარი! ეს რომ უბრალო მკვლელობა ყოფილიყო, თქვენ, თუკი თითოეულ ფაქტს ცალ-ცალკე განიხილავდით და არა ერთად, ფაქტების უბადრუკობის, დაუმტკიცებლობისა და ფანტასტიკურობის გამო, - უარყოფდით ამ ბრალდებას, ყოველ შემთხვევაში, ბევრ რამეში შეგეპარებოდათ ეჭვი. მიუხედავად განსასჯელის მიმართ წინასწარ შექმნილი ცუდი შეხედულებისა, რომელიც, ვაი რომ, დაიმსახურა მან, დასაღუპავად არ გაწირავდით მას! მაგრამ ეს ხომ უბრალო მკვლელობა არ არის, ესაა მამის მკვლელობა! ამ დროს ყველაზე კეთილგანწყობილი კაცისთვისაც კი ყველაზე უბადრუკი, ყველაზე დაუმტკიცებელი ფაქტიც კი ხდება არც ისე უბადრუკი და დაუმტკიცებელი. როგორ უნდა გაამართლო ასეთი ბრალდებული?! კაცმა მამა მოკლა და დაუსჯელი გავუშვათ?! - ყველა ამას გაიფიქრებს და ეს მოხდება უნებურად, ინსტინქტურად. დიახ, საზარელი რამაა მშობელი მამის სისხლის დაღვრა - შენი მოყვარული და შენთვის თავგანწირული ადამიანისა, რომელსაც შენი სატკივარი სტკიოდა, შენი ბედნიერებისათვის იტანჯებოდა და შენი წარმატებებით ხარობდა. ასეთი მამის მოკვლა, მართლაც, წარმოუდგენელია. ბატონებო, საზოგადოდ, ვინ არის მამა, ნამდვილი მამა, რა აზრი დევს ამ დიდებულ სიტყვაში, რა დიდებული იდეაა ჩადებული ამ ცნებაში? ჩვენ ახლა ნაწილობრივ შევეხეთ, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამა. საქმე, რომელსაც ახლა აქ განვიხილავთ, რომელმაც ჩვენი სულები ააფორიქა - ამ საქმეში მოხსენიებული მამა, განსვენებული ფიოდორ პავლოვიჩი კარამაზოვი, არ მიეკუთვნება ისეთი ნამდვილი მამების რიცხვს, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ეს უბედურებაა. დიახ, ზოგიერთი მამის ყოლა უბედურების ტოლფასია. მოდი, ახლა განვიხილოთ ეს უბედურება უფრო ახლოს - ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ნურაფრის მოგვერიდება, რამეთუ დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილებაა გამოსატანი. ახლა ჩვენ განსაკუთრებით არ უნდა გვეშინოდეს ზოგიერთი იდეის, რასაც ბალღებივით და მშიშარა დედაკაცებივით თავს არ უნდა ვარიდებდეთ, როგორც, ჩემდა საბედნიეროდ, ეს ახლახან აღნიშნა დიდად ნიჭიერმა ბრალმდებელმა. ჩემმა ოპონენტმა (ის ჩემი მოწინააღმდეგე იყო, ვიდრე მე ჩემ პირველ სიტყვას ვიტყოდი) თავისი მგზნებარე გამოსვლის დროს რამდენჯერმე შესძახა: „არა, არავის მივცემ უფლებას, დაიცვას განსასჯელი, მე არ დავუთმობ მის დაცვას პეტერბურგიდან ჩამობრძანებულ ვექილს, ბრალმდებელიც მე ვარ და ვექილიცო!“ რამდენჯერმე წამოიძახა მან ეს, თუმცა დაავიწყდა, გაეხსენებინა ის ამბავი, რომ, თუ ეს საშინელი განსასჯელი ოცდასამი წლის განმავლობაში მადლიერი იყო ერთი გირვანქა თხილის მჩუქებელი კაცისა, რომელმაც პატარა ბიჭს მამისეულ სახლში მიუალერსა და დაასაჩუქრა, მაშინ ხომ არ შეეძლო ამავე განსასჯელს 23 წლის მანძილზე დაევიწყებინა, როგორ დარბოდა საკუთარი მამის ეზოში „მსახურებს მიბარებული, ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი ბიჭი“, როგორც ეს კაცთმოყვარე ექიმმა ჰერცენშტუბემ შენიშნა. ბატონებო, რად გვინდა ამ „უბედურების“ წვრილად განხილვა, ან იმის განმეორება, რაც ყველამ კარგად იცის! რა იხილა ჩემმა კლიენტმა, როცა აქ

მამასთან ჩამოვიდა? რა საჭირო იყო, რისთვის დასჭირდა ბრალმდებელს ჩემი კლიენტი ისე დაეხასიათებინა, როგორც უსულგულო, ეგოისტი და მტარვალი ადამიანი? ის თავშეუკავებელი, უხიაგი და შფოთიანი კაცია. ჩვენ ახლა ამის გამო ვასამართლებთ მას, მაგრამ ვინაა დამნაშავე, ამ კარგი მიდრეკილებებისა და კეთილშობილი გრძნობების კაცმა ასეთი უმსგავსო აღზრდა რომ მიიღო? ვინმემ დაარიგა ჭკუა, ასწავლა რამე, აზიარა მეცნიერებას ან სიყვარულით გაუთბო გული? ჩემი კლიენტი მხოლოდ უზენაესის მფარველობის ქვეშ იზრდებოდა, როგორც ტყის მკვიდრნი. იქნებ კიდეც ნატრობდა ხოლმე, ენახა ამდენი ხნის უნახავი მამა?! იქნებ, უკვე მერამდენჯერ, როცა ბავშვობის მოგონებებს, როგორც კოშმარულ სიზმრებს, თავიდან იშორებდა, მთელი სულითა და გულით სურდა, გაემართლებინა მამა, ჩასულიყო მასთან და გულში ჩახუტებოდა! მერე რა? ჩამოვიდა, მას კი სადავო ფულის გამო ცინიკური ხითხითით დახვდნენ, უნდობლობა გამოიჩინეს და მზაკვრულად მოექცნენ; კონიაკით გამომთვრალი მამისაგან ყოველდღიურად მხოლოდ უაზრო, გულისამრევი ლაყბობა ესმოდა საყოფაცხოვრებო ადათ-წესებზე. ხედავდა მამას, რომელიც საკუთარ შვილს მისივე ფულით უპირებდა საყვარლის წართმევას - ბატონო მსაჯულნო, განა ეს ულმობლობა და საზიზღრობა არ არის?! აი, ასეთი მოხუცი ყველასთან ჩიოდა შვილისაგან უპატივცემულო და სასტიკი დამოკიდებულების შესახებ, ყველა საზოგადოებაში თავს სჭრიდა, ყველანაირ ცილს სწამებდა და ვნებდა მას, ყიდულობდა მის მიერ გაცემულ სავალო ხელშეკრულებებს, ციხეში რომ ჩაესვა! ბატონებო, აი, ასეთი, ერთი შეხედვით, გულქვა, შფოთისთავა და თავშეუკავებელი ხალხი, როგორიც ჩემი კლიენტია, სინამდვილეში ხშირად განსაკუთრებულად ფაქიზი გულის პატრონები არიან, მხოლოდ ერთია, რომ ამას ნაკლებად ამჟღავნებენ. ნუ გეცინებათ, ნუ გეცინებათ ჩემს ნათქვამზე! დიდად ნიჭიერი ბრალმდებელი წეღან დაუნდობლად დასცინოდა ჩემს კლიეტს იმიტომ, რომ თურმე მას შილერი უყვარს, ყველაფერ „მშვენიერსა და ამაღლებულს“ ეთაყვანებაო. მე სულაც არ მეჩვენება ეს სასაცილოდ. ბრალმდებელის ადგილას მე ამაზე არ გამეცინებოდა! დიახ, ასეთი გულის პატრონებს - ნება მიბოძეთ, დავიცვა ასეთი გულის პატრონები, რომლებზეც ძალიან ხშირად არასწორი წარმოდგენა აქვთ, - ასეთი გულის პატრონებს ხშირად სინაზე, მშვენიერება და სამართლიანობა სწყურიათ, თავიანთი სასტიკი და შფოთიანი ბუნების კონტრასტული თვისებები - სწყურიათ ქვეცნობიერად, მართლა სწყურიათ. გარეგნულად ვნებიანებსა და სასტიკებს ძალუძთ, ქალი უყვარდეთ სულიერი სიყვარულის უმაღლესი გამოვლინებით. ისევ გთხოვთ, ნუ იცინით ჩემს ნათქვამზე! ძალიან ხშირად სწორედ ასე ემართებათ ამნაირ ნატურებს! ოღონდ მათ არ შეუძლიათ თავიანთი უხეში ვნებების დაფარვა, - მხოლოდ ამას ამჩნევენ მასში ადამიანები, სწორედ ამით არიან გაოგნებულები და ვერ ხედავენ მათ შინაგან ადამიანურ ბუნებას. პირიქით ხდება ხოლმე, როცა ასეთი პირები კეთილშობილი და მშვენიერი არსების გვერდით აღმოჩნდებიან, მათი ვნებები უმალვე ცხრება, რადგან ასეთი არსების გვერდით გარეგნულად უხეში და სასტიკი პიროვნება განახლების, გამოსწორების შესაძლებლობას ეძებს, უნდა, უფრო ამაღლებული, უფრო უკეთესი და პატიოსანი გახდეს - „ამაღლებული და მშვენიერი“, როგორ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს ეს სიტყვები! წეღან მოგახსენეთ, არ შევეხები-მეთქი ჩემი კლიენტისა და ქალბატონ ვერხოვცევას რომანს. მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი: ახლახან ჩვენ აქ ჩვენება კი არ

მოვისმინეთ, არამედ გონებაარეული და შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ქალის კივილი. მას ნამდვილად არა აქვს უფლება, ილაპარაკოს ღალატზე, რადგან თავადაა მოღალატე! მას დაფიქრებისათვის ცოტა დრო რომ მაინც ჰქონოდა, ასეთ ჩვენებას არ მისცემდა! არ დაუჯეროთ მას, არა! არ არის ჩემი კლიენტი „მხეცი“, როგორადაც მან ის მოიხსენია! ჯვარცმულმა კაცთმოყვარემ, სანამ მას ჯვარზე გააკრავდნენ, თქვა: „მე ვარ მწყემსი კეთილი, კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისათვის,“[151] არც ერთი არ უნდა დაიღუპოს. ნურც ჩვენ დავღუპავთ ადამიანის სულს! წეღან დავსვი კითხვა: ვინ არის მამა-მეთქი, და იქვე დავუმატე, რომ ეს არის ძვირფასი სიტყვა და დიდებული სახელი. მაგრამ სიტყვას, ბატონებო, პატიოსნად უნდა მოვექცეთ, მე ვერ მივცემ თავს უფლებას, თავისი სახელი ვუწოდო საგანს, თუ იგი ამ სახელს არ ამართლებს: იმნაირი მამა, როგორსაც განსვენებული კარამაზოვი წარმოადგენდა, არ არის ღირსი, მამად იწოდებოდეს. ხოლო ისეთი მამის სიყვარული, რომელიც ვერ ამართლებს ამ სახელს, უაზრობაა და შეუძლებელი. არ შეიძლება სიყვარულის შექმნა არაფრიდან, არაფრიდან მხოლოდ ღმერთს შეუძლია შექმნას რაღაც. „მამანო, ნუ ატკენთ გულს შვილთა თქვენთა,“ - წერდა მოყვასისადმი სიყვარულით გულანთებული ერთ-ერთი მოციქული. ჩემი კლიენტის გულისათვის კი არ მომყავს ეს სიტყვები, არამედ ყველა მამის გასაგონად ვაცხადებ. ვინ მომცა უფლება, ჭკუა ვასწავლო მამებს? მაგრამ, როგორც ადამიანი და მოქალაქე, გევედრებით - vivos voco![152] ამქვეყნად მცირე დროით გვეძლევა სიცოცხლე და ამ მოკლე დროში ძალიან ბევრ უმსგავსობას ჩავდივართ, ერთმანეთს ათასნაირ უხამსობას ვეუბნებით. ამიტომ ვეცადოთ, ისეთი მომენტები შევარჩიოთ, როცა შევძლებთ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და ერთმანეთისათვის კეთილი სიტყვების თქმას. მეც ამას ვაკეთებ: სანამ აქ ვდგავარ, ვსარგებლობ ამ მომენტით. ტყუილუბრალოდ არ მოგვცა უზენაესის ნებამ ეს ტრიბუნა - აქედან მთელი რუსეთი გვისმენს. არა მარტო აქაურ მამებს მივმართავ, არამედ სრულიად რუსეთის მამებს მოვუწოდებ: „მამებო, ნუ ატკენთ გულს შვილთა თქვენთა!“ თავად შევასრულოთ ქრისტეს მცნებები, შემდეგ მივცეთ თავს უფლება, მოვთხოვოთ ჩვენს შვილებს მათი შესრულება. თუ არადა, ჩვენ არ ვიქნებით მათი მამები, ჩვენ მათი მტრები ვიქნებით, ისინი ჩვენი შვილები კი აღარ იქნებიან, არამედ ჩვენი მტრები გახდებიან, ჩვენს მტრებად კი მათ ჩვენვე ვაქცევთ! „და რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვისთ თქვენ“[153] - ეს ჩემი სიტყვები არ არის, ამას სახარება გვასწავლის. როგორ უნდა განვსაჯოთ ჩვენი შვილები, თუ ისინი იმავე საწყაულითვე მოგვიწყავენ, რა საწყაულითაც ჩვენ მივუწყავთ? ამას წინათ ფინეთში ერთ მოახლე გოგონაზე ეჭვი მიიტანეს, რომ მან ფარულად შობა ბავშვი. დაუწყეს თვალთვალი და სხვენის კუთხეში აგურებს უკან იპოვეს ზანდუკი, რომლის არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ზანდუკი გახსნეს და შიგ ახალშობილის ცხედარი აღმოაჩინეს, იქვე ძირში ესვენა ადრე მისგანვე შობილი ორი ჩვილის ჩონჩხი. ამ ქალის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ბატონებო, განა ამნაირ ქალს შეიძლება დედა ვუწოდოთ? ვინმე გაბედავს და მას უწოდებს წმინდა სახელს - დედას?! ბატონო მსაჯულნო, ვიყოთ გაბედულები, დაურიდებელნი, ასეთ წუთებში ვალდებულებიც კი ვართ, ასე მოვიქცეთ, ნუ შეგვეშინდება ზოგიერთი სიტყვისა და იდეის, ვითარცა მოსკოველი ვაჭრების ცოლები ძრწიან ჯოჯოხეთის „შანთებისა“ და „ალმოდებული ტბის“ გაგონებაზე. დავამტკიცოთ, რომ უკანასკნელი წლების პროგრესი ჩვენს

განვითარებასაც შეეხო და პირდაპირ ვთქვათ: „მარტოოდენ შვილის გაჩენა არ არის საკმარისი, რომ მამა გერქვას. მამა რომ იყო, ერთდროულად გამჩენიც უნდა იყო და აღმზრდელიც“. ოო, რასაკვირველია, არსებობს სიტყვა მამის სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ მამა თავისი შვილებისათვის ბოროტების განსახიერებაა, იგი მაინც თავისი შვილების მამად რჩება, რადგან მან გააჩინა ისინი. ამდაგვარი განმარტება ჩემთვის მისტიკურია, მე მისი გააზრება არ შემიძლია, მხოლოდ რწმენით შემიძლია მივიღო, უფრო სწორად, რწმენის გამო, როგორც მრავალი სხვა, რაც არ მესმის, მაგრამ რელიგია მოითხოვს ჩემგან, მწამდეს. ასეთ შემთხვევაში აჯობებდა, ეს ყოველივე სინამდვილის გარეთ დარჩეს. რეალურ ცხოვრებას არათუ თავისი სამართალი გააჩნია, არამედ ის დიდ მოვალეობებს გვაკისრებს, - რეალურ ცხოვრებაში თუ გვსურს ჰუმანურები, ნამდვილი ქრისტიანები ვიყოთ, ვალდებული ვართ, ცხოვრებაში ის მოსაზრებები გავატაროთ, რომლებიც ჭკუა-გონებითა და გამოცდილებით აწონილ-დაწონილი და ცხოვრების ანალიზითაა გამობრძმედილი. ერთი სიტყვით, ვიმოქმედოთ გონივრულად, რომ არ მივაყენოთ ადამიანს ზიანი, არ დავტანჯოთ და არ დავღუპოთ იგი. სწორედ მაშინ იქნება ჩვენი საქმიანობა არა მისტიკური, არამედ ნამდვილი ქრისტიანული მოღვაწეობა, გონივრული და ჭეშმარიტად კაცთმოყვარული მოღვაწეობა...“

ამ ადგილას დარბაზის სხვადასხვა მხრიდან კვლავ გაისმა აღფრთოვანებული მსმენელების ტაში, მაგრამ ადვოკატმა ხელი ასწია, თითქოს დარბაზს სთხოვდა, მაცალეთ სიტყვის დამთავრებაო. ყველა გაჩუმდა. ორატორმა განაგრძო:

„როგორ ფიქრობთ, ბატონო მსაჯულნო, ასეთი საკითხები ასცდებათ ჩვენს შვილებს, ჩვენს ახალბედა მოაზროვნე ყმაწვილკაცობას? არა, ბატონებო, არ ასცდებათ, და ნურც მოვთხოვთ მათ შეუძლებელ თავშეკავებას! უღირსი მამის შვილი, როცა საკუთარ მამას თავისი თანატოლების ღირსეულ მამებს ადარებს, მტანჯველი კითხვები აღეძვრება ხოლმე. ამ კითხვებზე მას ფორმალურად პასუხობენ: „შენ მისი სისხლი ხარ, მან გაგაჩინა, ამიტომაც უნდა გიყვარდეს“. ჭაბუკი თავისთვის ფიქრობს: „როცა ის მაჩენდა, ნუთუ ვუყვარდი, განა ჩემი გულისათვის გამაჩინა: მან იმ წუთებში არც იცოდა, ვინ ვიყავი, რომელი სქესი, ვნებამორეული, შესაძლოა, ღვინისაგანაც აღტყინებული არც ფიქრობდა, რას აკეთებდა ან ვის აკეთებდა. მხოლოდ მემკვიდრეობით გადმომცა ლოთობისადმი მიდრეკილება, მარტოოდენ ეს მადლი მიწყალობა... რისთვის უნდა მიყვარდეს იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ მშობა და შემდეგ კი მთელი ცხოვრება არ ვუყვარდი?“ შესაძლოა, ეს კითხვები უხეშად და სასტიკადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ მოსთხოვთ უმწიფარ გონებას შეუძლებლისაგან თავშეკავებას: „ნაჭინჭრალზე ჭინჭარი ამოვა“, - მთავარი ისაა, ნუ ვიქნებით ცრუმორწმუნეები და დოგმატიკოსები! საკითხი ისე გადავწყვიტოთ, როგორც ჩვენი გონება და კაცთმოყვარეობა გვიკარნახებს და არა ისე, როგორც მისტიკური გაგებითაა დაწესებული. როგორ გადავწყვიტოთ ეს? აი, ასე: დადგეს შვილი მამის წინაშე და ჰკითხოს: „მითხარი ერთი, მამაჩემო, რატომ უნდა მიყვარდე? დამიმტკიცე, რომ მე უნდა მიყვარდე“, - თუკი ამ მამას შესწევს ძალა და უნარი, უპასუხოს და დაუმტკიცოს შვილს, რატომ უნდა უყვარდეს მამა, მაშინ ეს იქნება ნორმალური ოჯახი, არა მისტიკურ ცრურწმენაზე დამყარებული, არამედ გონიერებაზე, თვითშეგნებასა და ჰუმანურობაზე აგებული ოჯახი. თუ ისე მოხდება, რომ მამა ვერ შეძლებს დამტკიცებას, - ასეთი ოჯახის საქმე გათავებულია: ის მამა აღარ

არის და შვილი თავისუფალია, მას უფლება აქვს, ჩათვალოს მამამისი მისთვის უცხო პირად, შეიძლება თავის მტრადაც კი. ბატონო მსაჯულნო, ეს ტრიბუნა უნდა იყოს საღი აზრისა და ჭეშმარიტების სკოლა!“

აქაც ორატორს ძალზე აღტაცებული პუბლიკის თავშეუკავებელმა ტაშის გრიალმა შეაწყვეტინა სიტყვა. რასაკვირველია, მთელი დარბაზი არ უკრავდა ტაშს, მაგრამ ნახევარი დარბაზი მაინც იქნებოდა. ტაშს უკრავდნენ დედები და მამები. ზემოთ, სადაც ქალები ისხდნენ, წივილ-კივილი ისმოდა. ისინი ცხვირსახოცებს იქნევდნენ. თავმჯდომარე თავგამოდებული რეკდა ზარს. ის დარბაზის საქციელით ძალიან გაღიზიანდა, მაგრამ დარბაზის „გაწმენდა“, რასაც ის იმუქრებოდა, მაინც ვერ გაბედა. ორატორს ტაშს უკრავდნენ და ცხვირსახოცებს უქნევდნენ უკან, განსაკუთრებულ ადგილებზე მსხდომი წარჩინებულები და ფრაკებში გამოწყობილი ჩინ-მედლიანი ხანდაზმული ჩინოვნიკებიც კი. ასე რომ, როცა ხმაური მიწყნარდა, თავმჯდომარე მხოლოდ ადრინდელი მუქარით დაკმაყოფილდა, ხოლო გამარჯვებულმა და აღელვებულმა ფეტიუკოვიჩმა სიტყვა გააგრძელა:

„ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, გახსოვთ ის საშინელი ღამე, რომლის შესახებაც აქ გაუთავებლად იყო საუბარი, როცა შვილი ღობიდან გადაძვრა და მამის სახლში პირისპირ დადგა თავისი გამჩენის, მტრისა და ავისმქმნელის წინაშე. თავგამოდებული ვამტკიცებ, რომ იგი იმ დროს ფულისთვის არ მისულა: უაზრობაა ქურდობის დაბრალება, ამის შესახებ ადრე დაწვრილებით გელაპარაკეთ. არც მოსაკლავად მივარდნია შვილი მამას, არა და არა! ამის განზრახვა რომ ჰქონოდა, წინასწარ რაიმე იარაღს შეარჩევდა, ხოლო რაც შეეხება სპილენძის სანაყს, მას ინსტინქტურად წაავლო ხელი და თან წამოიღო, თვითონაც არ იცოდა, რატომ. დავუშვათ, მან წინასწარდათქმული ნიშნების საშუალებით შეაღწია სახლში - მე ადრეც გითხარით, ერთი სიტყვისაც არ მჯერა ამ ლეგენდის, მაგრამ ერთი წუთით დავუშვებ ამ ვერსიას! ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ყველას გეფიცებით, რაც ჩემთვის წმინდაა და ძვირფასი, ფიოდორ პავლოვიჩი მამამისი კი არა და ვინმე სხვა ყოფილიყო, განსასჯელი დაირბენდა ოთახებს და როცა იქ გრუშენკას ვერ აღმოაჩენდა, თავქუდმოგლეჯილი უკან გაიქცეოდა, არავითარ ზიანს არ მიაყენებდა თავის მეტოქეს, ჰა, ჰა, გაერტყა, ან ხელი ეკრა, მეტი არაფერი, ვინაიდან მისი დარდი არ ექნებოდა, მისთვის აღარ ეცლებოდა. იმ მომენტში განსასჯელისათვის მთავარი იყო, გაეგო გრუშენკას ადგილსამყოფელი. მაგრამ ის ხომ მამაა მისი, მამა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, შვილს ბავშვობიდანვე რომ სძულებოდა. მთელი ცხოვრების მანძილზე მასზე დიდი მტერი განსასჯელს არავინ ჰყოლია, ახლა კი საყვარელი ქალის წართმევას უპირებდა! უცებ საშინელმა სიძულვილის გრძნობამ იფეთქა მასში და გონება დაუბნელა: ყველაფერი ერთი წუთში მოხდა! ეს იყო სიგიჟის შემოტევა, ჭკუიდან გადასვლის აფექტი, მაგრამ, ამასთანავე, შურისმაძიებელი ბუნების აფექტი, რომელიც არავის არასოდეს არ ჰპატიობს თავისი მარადიული კანონების დარღვევას. ამ შემთხვევაშიც მკვლელს არ მოუკლავს - მე ამას ვამტკიცებ, ხმამაღლა გავყვირი - არა, მან მხოლოდ ზიზღისაგან აღშფოთებულმა მოიქნია სანაყი, სულაც არ სურდა მისი მოკვლა, არც იცოდა, რომ მოკლავდა. ის საბედისწერო სანაყი რომ არ ჰქონოდა ხელში, შესაძლოა, მხოლოდ ეცემა მამა, მაგრამ არ მოკლავდა. როცა გაიქცა, არც კი იცოდა, რომ შემოაკვდა. ასეთ მკვლელობას, მკვლელობა არ ჰქვია. ასეთი მკვლელი არ არის მამისმკვლელი.

ასეთი მამის მოკვლას მამისმკვლელობას ვერ დაარქმევ. ასეთი მკვლელობა მხოლოდ ცრუმორწმუნეებმა შეიძლება ჩათვალონ მამისმკვლელობად! კვლავ და კვლავ მთელი ჩემი არსებით გეკითხებით, იყო კი, იყო ეს ნამდვილი მკვლელობა?! ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, ახლა ჩვენ გავასამართლებთ ამ კაცს, ის კი იტყვის: „ამ ადამიანებმა არაფერი გააკეთეს ჩემს გადასარჩენად, ჩემი აღზრდა-განათლებისათვის, რომ უკეთესი გავმხდარიყავი და ადამიანად ჩამოვყალიბებულიყავი. მათ არ მაჭამეს და არ მასვეს, არც არავის მოვუნახულებივარ საპყრობილეში, არავის უკითხავს, ხომ არ გცივა ან ხომ არ გშიაო, საბოლოოდ, კატორღაში მიკრეს თავი. მე ყველა ვალი გასტუმრებული მაქვს, ახლა არავისი აღარაფერი მმართებს უკუნითი უკუნისამდე. ისინი ბოროტები არიან, მეც ბოროტი გავხდები, ისინი დაუნდობლები არიან, მეც დაუნდობელი ვიქნები“. აი, ამას იტყვის ის, ბატონებო! გეფიცებით: თქვენი ბრალდება მას სინდისის ქენჯნას ააცილებს, ის წყევლა-კრულვით მოიხსენიებს მის მიერ დაღვრილ სისხლს და ამის გამო სულაც არ ექნება სინანულის გრძნობა. ამავე დროს, თქვენ მასში ჩაკლავთ მის კაცად გახდომის შესაძლებლობას, რამეთუ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება გაბოროტებული და დაბრმავებული იქნება. მაგრამ თქვენ გინდათ, დასაჯოთ ის ყველაზე სასტიკი სასჯელით, რომელიც შეიძლება ადამიანის გონებამ მოიგონოს, იმიტომ რომ გადაარჩინოთ და ააღორძინოთ მისი სული უკუნითი უკუნისამდე? თუ ასეა, დათრგუნეთ იგი თქვენი გულმოწყალებით! მაშინ დაინახავთ და გაიგონებთ, როგორ შეძრწუნდება მისი სული: „როგორ უნდა ავიტანო ამდენი წყალობა, ნუთუ მე მხვდა წილად ამდენი სიყვარული, ვარ კი ამის ღირსი?!“ - აი, ასეთი სიტყვები აღმოხდება მას! ოო, მე კარგად ვიცი, კარგად ვიცნობ ამ გულს, ამ ველურ, მაგრამ კეთილშობილ გულს, ბატონებო! იგი ქედს მოიხრის თქვენ წინაშე, მას სწყურია სიყვარულის ეს დიდებული აქტი, ის აანთებს და აღადგენს მის სულს სამარადისოდ. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი შეზღუდულობის გამო მთელ ქვეყანას ადანაშაულებენ. დათრგუნეთ ასეთი ადამიანი თქვენი გულმოწყალებით, შეიყვარეთ ის და იგი გაკიცხავს თავის თავს, რამეთუ მასში ჩაბუდებულია ძალიან დიდი სიკეთის ჩანასახი. მისი გული ფართოდ გააღებს კარს და შეძლებს, განჭვრიტოს, რაოდენ მოწყალეა ღმერთი და რამდენად მშვენიერები და სამართლიანები არიან ადამიანები. იგი შეძრწუნდება, მას შეიპყრობს სინანული და უსასრულო მოვალეობის გრძნობა, რომელიც ამიერიდან ელის მას. მაშინ ვეღარ იტყვის: „ვალმოხდილი ვარ“, არამედ იტყვის: „ყველას წინაშე მე ვარ დამნაშავე, ყველაზე უღირსი ამქვეყნად მე ვარ“. სინანულის ცრემლები გადმოსცვივა თვალთაგან და გრძნობამორეულს აღმოხდება: „ადამიანები ჩემზე უკეთესები არიან, რამეთუ მათ მოინდომეს და არ დამღუპეს, მათ გადაარჩინეს ჩემი სული!“ თქვენთვის ადვილია ამის გაკეთება, გულმოწყალების ამ აქტის შესრულება, რამეთუ ხელთ ოდნავ სიმართლის შემცველი სამხილიც არ გაგაჩნიათ. ასეთ ვითარებაში თქვენთვის ძალიან მძიმეა წარმოთქვათ: „დიახ, დამნაშავეა!“ სჯობს, გაათავისუფლოთ ათი დამნაშავე, ვიდრე ერთი უდანაშაულო ადამიანი დასაჯოთ - გესმით, გესმით ეს დიდებული ხმა, გასული საუკუნის ჩვენი დიადი ისტორიიდან? თქვენთვის ჩემი შეხსენების გარეშეც ცნობილია, რომ რუსული სასამართლო არა მარტო სასჯელია, არამედ დაღუპული ადამიანის ხსნაცაა! დაე, სხვა ხალხებს - კანონი და სასჯელი, ჩვენ - სული და გონი, გზასაცდენილთა სულიერი ხსნა და გადარჩენა! და თუ ეს ასეა, თუ

მართლა ასეთია რუსეთი და მისი სასამართლო, მაშინ - წინ, რუსეთო და ნუ გვაშინებთ, ნუ გვაშინებთ თქვენი ცოფმორეული სამცხენებით, რომლებსაც სხვა ხალხები ზიზღით გვერდს უქცევენ! ცოფმორეული სამცხენები კი არა, დიდებული რუსული ეტლი დინჯად და ზარზეიმით მიაღწევს თავის მიზანს. ახლა თქვენს ხელთაა ჩემი კლიენტის ბედ-იღბალი, თქვენს ხელთაა ჩვენი რუსული სიმართლის ბედიც. თქვენ გადაარჩენთ მას, თქვენ დაიცავთ მას, თქვენ დაამტკიცებთ, რომ არსებობს ხალხი, ვისაც ძალუძს მისი დაცვა და ეს ხალხი კარგი ხალხია!“

XIV ტეტიებმა თავი არ დააჩაგვრინეს

როგორც კი ფეტიუკოვიჩმა სიტყვა დაამთავრა, დარბაზს აღტაცებული პუბლიკის ტაშის გრიალმა გადაუარა. ახლა აზრი არ ჰქონდა მათ შეჩერებას: ქალები ტიროდნენ, ტიროდა ზოგიერთი მამაკაციც, წარმოიდგინეთ, ორ წარჩინებულ გვამსაც კი გადმოუვარდა კურცხალი. თავმჯდომარე დაშოშმინდა, ზარის რეკვაც კი შეანელა: „ასეთი ენთუზიაზმის ჩახშობა წმიდათაწმიდის ხელყოფის ტოლფასი იქნებოდა“ - გაჰკიოდნენ შემდგომ ქალები. ორატორი გულწრფელად გულაჩვილებული იდგა. ამ დროს წამოდგა იპოლიტ კირილოვიჩი, რომ კიდევ ერთხელ „გამოეთქვა საპირისპირო აზრები“. „როგორ? რას ჰგავს ეს? ამას კიდევ რამე აქვს სათქმელი?“ - აჩურჩულდნენ მისდამი სიძულვილით გამსჭვალული ქალები. მაგრამ ამ წუთში მთელი დუნიის ქალები, პროკურორის ცოლის მეთაურობითაც რომ აბუზღუნებულიყვნენ, მაინც ვერავინ დააკავებდა ჩვენს პროკურორს. მღელვარებისაგან აკანკალებულმა და გაფითრებულმა პირველი სიტყვები, პირველი ფრაზა ძლივს ამოღერღა; მას სუნთქვა ეკვროდა, ცუდად გამოთქვამდა, ენა ებმოდა. თუმცა მალე მოიკრიბა ძალა. პროკურორის ამ მეორე გამოსვლიდან მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ფრაზას.
„...ჩვენ გვისაყვედურეს, რომანებს თხზავენო. თავად დამცველმა რომანს რომანი მიაყოლა? ლექსებიღა აკლდა. ფიოდორ პავლოვიჩი საყვარლის მოლოდინში კონვერტს ხევს და იატაკზე აგდებსო. ისიც მოგვახსენა, რა თქვა ამ საოცარი შემთხვევის დროსო. განა ეს პოემა არ არის? სადაა იმის დამამტკიცებელი საბუთი, მან რომ ფული აიღო ან ვინ მოისმინა ის, რა თქვა მან? ჭკუასუსტი იდიოტი სმერდიაკოვი ლამის ბაირონის გმირად აქცია, ნაბიჭვრობის გამო საზოგადოებაზე შურის მაძიებელი. განა ეს ბაირონის სტილის პოემა არ არის?! ანდა შვილი, რომელიც მამას მიუვარდება, კლავს, მაგრამ ამავე დროს არ კლავს. ამას არც რომანი ჰქვია, არც პოემა, ესაა სფინქსი, რომელიც ისეთ გამოცანებს გვეკითხება, რომლის პასუხიც, ცხადია, თავად არ იცის. მოკლა, მაგრამ არც მოკლაო, მამაცხონებულო, თუ მოკლა, მაშინ როგორღა არ მოკლა - ვინმემ თუ გაიგეთ რამე? შემდეგ გვიქადაგა, რომ ჩვენი ტრიბუნა ჭეშმარიტების და საღი აზრების ტრიბუნააო და, ამავე დროს, ამ „საღი აზრების“ ტრიბუნიდან ფიცით გვთავაზობს ერთ აქსიომას, თურმე მამის მოკვლას მამისმკვლელობა რომ ვუწოდოთ, ამას ცრუმორწმუნეობა ჰქვიაო! მაგრამ თუ მამისმკვლელობა ცრუმორწმუნეობაა და თითოეული ბავშვი შეეკითხება თავის მამას: „მამა, რატომ უნდა მიყვარდე შენო?!“ - მაშინ რა გვეშველება, რა დაემართება ჩვენი

საზოგადოების საძირკველს, რა ელის ოჯახს? რუსული სასამართლოს მომავლისა და მისი დანიშნულების შესახებ ყველაზე წმინდა მცნებები დამახინჯებულად და ფუქსავატურად წარმოგვიდგინა, მარტოოდენ იმისათვის, რომ მიზნისათვის მიეღწია და გაემართლებინა ის, რისი გამართლებაც შეუძლებელია. გულმოწყალებით დათრგუნეთ იგიო, მოგვიწოდებს დამცველი. ბოროტმოქმედსაც ეს უნდა, ხვალვე ყველა საკუთარი თვალით იხილავს, როგორი დათრგუნული იქნება ის! ადვოკატი ძალიან მორიდებული ხომ არ ბრძანდება, განსასჯელის მხოლოდ გამართლებას რომ თხოულობს? რატომ არ მოითხოვს მამისმკვლელის სახელობის სტიპენდიის დაწესებას, რათა უკვდავყოს მისი სახელი შთამომავლობისათვის? დამცველს შესწორებები შეაქვს სახარებასა და რელიგიაში: ყველაფერი მისტიკაა, მხოლოდ ჩვენ გვაქვს ნამდვილი ქრისტიანობა, გონებრივი ანალიზითა და ჯანსაღი ცნებებით შემოწმებულიო. ჩვენ წინაშე წამომართეს „ცრუქრისტე“! „რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით თქვენ,“ - აღავლენს დამცველი და იქვე ასკვნის, რომ თურმე ქრისტე გვასწავლის იმ საწყაულით მიუწყათ, რომლითაც ჩვენ მოგვიწყავენ - ასეთი რამ გვესმის ჭეშმარიტებისა და საღი აზრების ტრიბუნიდან! ბატონებო, ჩვენ სახარებაში სადმე გამოსვლის წინ ვიხედებით ხოლმე იმისათვის, რომ, საჭიროებისამებრ, ამ ორიგინალური თხზულების ცოდნით თავი მოვიწონოთ, ეგებ, ეფექტის მოსახდენად რამეში გამოგვადგესო! მაგრამ ქრისტე ამას კი არ გვასწავლის, ის ბრძანებს, ისეთი რამ არ ვაკეთოთ, როგორსაც გაბოროტებული მსოფლიო სჩადისო. ის გვიქადაგებს, რომ ვიყოთ მიმტევებლები, თუ მარჯვენა ლოყაზე სილას გაგვაწნავენ, მარცხენა უნდა მივუშვიროთ და არა იმავე საწყაულით მივუწყათ, რა საწყაულითაც მოგვიწყავენ ჩვენი ავისმქნელები. აი, ამას ამბობს ჩვენი ღმერთი და არა იმას - თუ ჩვენ შვილებს მამის მოკვლას ავუკრძალავთ, ამას ცრუმორწმუნეობა ჰქვიაო. ამიტომ ამ ჭეშმარიტების და საღი აზრის კათედრიდან ჩვენ არ ვაპირებთ უფალი ღმერთის სახარების შესწორებას, რომელსაც დამცველი „ჯვარცმულ კაცთმოყვარეს“ უწოდებს, ნაცვლად მარლმადიდებლურ რუსეთში გავრცელებული „შენ ხარ უფალი ღმერთი ჩვენი!“-სა.

ამ დროს ლაპარაკში თავმჯდომარე ჩაერთო და ეშხში შესული პროკურორი ჩააჩუმა, სთხოვა, ნუ გადაამლაშებთ, ზღვარს ნუ გადახვალთ და ა.შ. და ა.შ. როგორც ამნაირ შემთხვევებში ამბობენ ხოლმე თავმჯდომარეები. გარდა ამისა, ამ დროს დარბაზი აღელდა, პუბლიკა ახმაურდა, აქა-იქ უკმაყოფილო შეძახილებიც კი გაისმა. ფეტიუკოვიჩი პროტესტს არ აცხადებდა. ის მხოლოდ წამოდგა, გულზე ხელი დაიდო და განაწყენებულმა, ღირსებით აღსავსე ხმით წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა. იგი კვლავ გაკვრით, მსუბუქი დაცინვით შეეხო „რომანებსა“ და „ფსიქოლოგიას“, საჭირო ადგილას გამოიყენა გამოთქმა: „იუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადამე, შენ მტყუანი ხარ“, რამაც საზოგადოების მოწონება და სიცილი გამოიწვია, რადგან იპოლიტ კირილოვიჩი სულაც არ ჰგავდა იუპიტერს. შენიშვნაზე, თითქოს დამცველი ნებას რთავს ახალგაზრდობას, ჩაიდინონ მამის მკვლელობა, ფეტიუკოვიჩმა ღირსეულად აღნიშნა, რომ თავს არ აკადრებს, ამნაირ ბრალდებას პასუხი გასცეს. რაც შეეხება „ცრუქრისტეს“ და იმას, რომ მან ქრისტე არ მოიხსენია ღმერთად და უწოდა მხოლოდ „ჯვარცმული კაცთმოყვარე“, რაც „მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოა და დაუშვებელია ჭეშმარიტებისა და საღი აზრების ტრიბუნიდან ამის განცხადება“ - ფეტიუკოვიჩმა

ამას „ინსინუაცია“ დაარქვა და დასძინა: როცა აქეთ მოემგზავრებოდა, იმის იმედი მაინც ჰქონდა, როგორც „პიროვნება, მოქალაქე და ერთგული ქვეშევრდომი, დაცული იქნებოდა ამგვარი ცილისწამებისაგან...“ ამ სიტყვებზე იგი თავმჯდომარემ შეაჩერა. ფეტიუკოვიჩმა თავი დაუკრა. მან დაასრულა თავის პასუხი. დარბაზმა მოწონების შეძახილებით გააცილა ის. ჩვენი ქალების აზრით, იპოლიტ კირილოვიჩი „საბოლოოდ განადგურდა“. ამის შემდეგ სიტყვა განსასჯელს მისცეს. მიტია ადგა და ბევრი არაფერი უთქვამს. როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გადაქანცული ჩანდა. დილანდელი სიმხნევე თითქმის გაჰქრობოდა. ეტყობოდა, ამ დღეს ისეთი დიდი რამ გადაიტანა, რაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებოდა, და რომელმაც ისეთი მნიშვნელოვანი რამ ასწავლა, რაც ადრე არ ესმოდა. აღარ ყვიროდა, ხმადაბლა ლაპარაკობდა. მის სიტყვებში რაღაც ახალი, გულშიჩამწვდომი, მოთვინიერებული და დამარცხებული კაცის ინტონაციები გაისმა.

„რა მოგახსენოთ, ბატონებო! ჩანს, ჩემი განკითხვის დღე დადგა. ვგრძნობ, ჩემს თავზე აღიმართა ღვთის ხელი. მოვიდა ჩემი აღსასრული! როგორც ღმერთის წინაშე მოვინანიებ ცოდვებს, თქვენც ისე მოგახსენებთ: „მამაჩემის სისხლში ხელი არ მირევია!“ უკანასკნელად გიმეორებთ: „მე არ მომიკლავს!“ თავაშვებულ ცხოვრებას ვეწეოდი, თუმცა სიკეთე მიყვარდა. ყოველ წუთს ვცდილობდი, გამოვსწორებულიყავი, მაგრამ ველური მხეცივით ვცხოვრობდი. მადლობელი ვარ პროკურორის, ბევრი რამ თქვა ჩემზე, რაც მე არ ვიცოდი, მაგრამ ტყუილია, თითქოს მე მოვკალი მამაჩემი, ამაში პროკურორი ცდება! დიდი მადლობა დამცველს, ცრემლმორეული ვუსმენდი მის გამოსვლას, მაგრამ არც ისაა მართალი - მე არ მომიკლავს მამაჩემი, არ იყო საჭირო ასეთი ვარაუდის მოყვანა! ექიმებს ნუ დაუჯერებთ, მე სრულ ჭკუაზე ვარ, მხოლოდ სული მაქვს დამძიმებული. თუ შემიწყალებთ და გამიშვებთ - თქვენთვის ვილოცებ. ღმერთის წინაშე ვიფიცებ, სიტყვას ვიძლევი, უკეთესი გავხდები, თუ გამასამართლებთ და რამეს მომისჯით - თავზე დაშნას გადავიტევხ და მის ნატეხებს დავკოცნი! ძალიან გთხოვთ, შემიწყალოთ, ნუ წამართმევთ ღმერთის რწმენას, ვიცი, ღმერთის წყევლას დავიწყებ! ძალიან მიჭირს, ბატონებო... ნუ გამწირავთ!“

ის სკამზე დაეცა, ხმა ჩაუწყდა, უკანასკნელი ფრაზა ძლივს წარმოთქვა. სასამართლო საკითხების დაყენების პროცედურას შეუდგა და მხარეებს სთხოვა დასკვნების გაკეთება. ამ ადგილს დაწვრილებით არ აღვწერ. როგორც იქნა, მსაჯულები სათათბიროდ გასასვლელად წამოდგნენ. თავმჯდომარე ძალიან გადაღლილი ჩანდა, ამიტომ მოკლედ მიმართა მათ: იყავით მიუკერძოებლები, ნუ აჰყვებით დაცვის მჭევრმეტყველურ გამოთქმებს, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ, გახსოვდეთ, თქვენ დიდი მოვალეობა გაკისრიათ“ და ა.შ. და ა.შ. მსაჯულები გავიდნენ და დარბაზში შესვენება გამოცხადდა. შეიძლებოდა ადგომა, გავლა-გამოვლა, შთაბეჭდილებების გაცვლა-გამოცვლა, ბუფეტში წახემსება. უკვე საკმაოდ გვიანი იყო, ნაშუაღამევის პირველი საათი, მაგრამ წასვლას არავინ აპირებდა. ყველა ისე იყო დაძაბული და განწყობილი, რომ არავის ჰქონდა ძილის თავი. გულის ფანცქალით ელოდნენ გადაწყვეტილებას, თუმცა გული ყველას არ უფანცქალებდა. ისტერიული მოუთმენლობით შეპყრობილ ქალებს გული მშვიდად ჰქონდათ: „გამართლება გარდაუვალიაო“. ისინი, ყველა, საერთო ენთუზიაზმის ეფექტური მომენტისათვის ემზადებოდნენ. გამოგიტყდებით, დარბაზში მყოფი მამაკაცების ძალიან დიდ რაოდენობასაც

სჯეროდა, რომ განსასჯელს გაამართლებდნენ. ზოგი გახარებული იყო, ზოგი დანაღვლიანებული, ზოგს უკვე ცხვირი ჰქონდა ჩამოშვებული, ისე არ უნდოდა მიტიას გამართლება! ფეტიუკოვიჩს წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მას ხალხი გარს ეხვია და მილოცვებს იღებდა, ყველას უნდოდა, მისთვის ესიამოვნებინა.
- არის, - თქვა მან ერთ ჯგუფში, როგორც შემდგომ ყვებოდნენ, - არის რაღაც უხილავი ძაფები დამცველსა და მსაჯულებს შორის. ეს კავშირი მყარდება ჯერ კიდევ დამცველის მოხსენების დროს. მე ის შევიგრძენი, ეს ასეა. საქმე მოგებულია, არხეინად ბრძანდებოდეთ.
- ნეტა რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ჩვენი ტეტიები? - თქვა დაღვრემილმა, სქელმა და ჩოფურა მემამულემ, როდესაც მოსაუბრეთა ერთ ჯგუფს მიუახლოვდა.
- იქ ხომ მარტო გლეხები არ არიან. მათ შორის ოთხი ჩინოვნიკია. - ჩინოვნიკები, ჰო, - თქვა ახლადმოსულმა გამგეობის წევრმა.
- თქვენ ნაზაროვს, პროხორი ივანოვიჩს იცნობთ, ვაჭარს, მედალი რომ ეკიდა, მსაჯულზე მოგახსენებთ?
- მერე რა?
- ჭკუის კოლოფია.
- რა ვიცი, სულ ჩუმადაა.
- ჩუმად რომ არის, საქმეც ეგ არის. მაგას პეტერბურგელი ვერაფერს ასწავლის, მაგის ჭკუა მთელ პეტერბურგს ეყოფა. თორმეტი შვილის მამაა, წარმოგიდგენიათ!
- რას ლაპარაკობთ, ნუთუ არ გაამართლებენ? - ყვიროდა ვიღაც ახალგაზრდა ჩინოვნიკი სხვა ჯგუფში.
- ნამდვილად გაამართლებენ, - მტკიცედ განაცხადა ვიღაცამ.
- სამარცხვინო იქნება, რომ არ გაამართლონ! - ხმამაღლა წამოიძახა ჩინოვნიკმა,
- ვთქვათ, მან მოკლა მამა, მაგრამ ყველა მამა მამა ხომ არ არის. ბოლოს და ბოლოს ის ხომ გაშმაგებული იყო... არ არის გამორიცხული, რომ სანაყი ისე მოექნია, შემთხვევით მოეხვედრებინა მამისათვის. ცუდია, ამ საქმეში ლაქიაც რომ ურევია. ეს ძალიან სასაცილო ეპიზოდია. დამცველის ადგილას მე ვიტყოდი: მოკლა, მაგრამ არაა დამნაშავე, ეშმაკმა დაგლახვროთ-მეთქი!
- მან მასეც თქვა, ოღონდ ეშმაკი არ უხსენებია.
- არა, მიხაილ სემენიჩ, თითქმის თქვა, - გააგრძელა მესამე ხმამ.
- მოიცათ, ბატონებო, დიდმარხვის წინ ხომ გაამართლეს ერთი მსახიობი ქალი, რომელმაც თავის საყვარლის კანონიერ ცოლს ყელი გამოსჭრა.
- ბოლომდე ხომ არ გამოსჭრა.
- მერე რა, სულერთია, ხომ დაიწყო.
- ბავშვებზე როგორ კარგად თქვა, არა? შესანიშნავად!
- შესანიშნავად.
- მისტიკაზე, მისტიკაზე როგორ ილაპარაკა, ჰა?
- გეყოფათ მისტიკაზე ლაპარაკი, - იყვირა ვიღაცამ, - თქვენ ისა თქვით, დღეის შემდეგ რა ეშველება იპოლიტს! ხვალ ცოლი მიტენკას გულისთვის თვალებს გამოსთხრის.
- აქ არის?
- არა, არ არის. აქ რომ იყოს, უკვე თვალებდათხრილი იქნებოდა. შინაა, კბილი სტკივა. ჰი-ჰი-ჰი!
მესამე ჯგუფი.

- მგონია, მიტენკას გაამართლებენ.
- წარმომიდგენია, ხვალ რას იზამს, მთელ სამიკიტნოს აიკლებს, ათი დღე ილოთებს.
- ეშმაკის ფეხია!
- დიახ, ეშმაკის გარეშე ეს საქმე არ მოხდებოდა. აბა, სხვაგან სად უნდა ყოფილიყო ეშმაკი, აქ თუ არა.
- ბატონებო, გეყოფათ ენამზიანობა. განა შეიძლება მამებს თავები გირებით უტეხონ. ასე სადამდე მივალთ?
- ეტლი გახსოვთ, ეტლი?
- როგორ არა, ოღონდ საზიდარი ეტლად აქცია.
- ხვალ თუ მოუნდა, ეტლს საზიდარად აქცევს, საჭიროების მიხედვით, „ყველაფერი საჭიროების მიხედვითაა“.
- ძალიან მოხერხებული ხალხი წამოვიდა. ბატონებო, სიმართლე არსებობს თუ არა ჩვენთან, რუსეთში, ჰა?
ამასობაში ზარის ხმა გაისმა. მსაჯულებმა ზუსტად ერთი საათი ითათბირეს, არც მეტი, არც ნაკლები. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა თავთავის ადგილას დაჯდა. ახლა აქ არ ჩამოვთვლი საკითხებს პუნქტების მიხედვით, აღარ მახსოვს. მახსოვს პირველი და მთავარი პასუხი თავმჯდომარის კითხვაზე: „დამნაშავეა თუ არა გაქურდვის მიზნით წინასწარგანზრახულ მკვლელობაშიო?“ (ტექსტი არ მახსოვს) ყველა გაიტრუნა. მსაჯულების მიერ გამოყოფილმა წარმომადგენელმა, ყველაზე ახალგაზრდა ჩინოვნიკმა, გასუსულ დარბაზში ხმამაღლა წარმოთქვა:
- დიახ, დამნაშავეა!
შემდეგ ყველა პუნქტზე ერთი და იგივე პასუხი მეორდებოდა: დამნაშავეა, დიახ, დამნაშავეა, შეწყნარების გარეშე! ამას უკვე აღარავინ ფიქრობდა, რაღაც შეწყნარებას ყველა ელოდა. დარბაზი დუმდა, თითქოს ყველა გაქვავდა - სასჯელის მომხრეებიც და გამართლების მოსურნენიც. ასე იყო მხოლოდ პირველ წუთებში. შემდეგ საშინელი აურზაური ატყდა. მამაკაცებს შორის ბევრი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ზოგიერთები ხელებსაც კი იფშვნეტდნენ, ვერ ფარავდნენ თავიანთ სიხარულს. უკმაყოფილოები ისე იყვნენ დათრგუნულები, მხრებს იჩეჩდნენ, ჩურჩულებდნენ, ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვნენ გონს. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა დღეში ჩაცვივდნენ ქალები! მე მეგონა, ბუნტი ატყდებოდა. ჯერ ყურებს არ უჯერებდნენ. მერმე დარბაზში გაისმა შეძახილები: რას ჰგავს ეს? რა ხდება, ხალხო? და წამოცვივდნენ თავიანთი ადგილებიდან. ალბათ ეგონათ, რომ ახლავე შესაძლებელი იყო ყველაფერი ამის შეცვლა და გადაკეთება. ამ დროს წამოდგა მიტია, ორივე ხელი წინ გაიშვირა და საშინელი, გულის გამგმირავი ხმით იღრიალა:
- ვფიცავ ღმერთს და მისი განკითხვის დღეს, უდანაშაულო ვარ მამაჩემის სიკვდილში! კატია, მიპატიებია შენთვის! ძმებო, მეგობრებო, დაინდეთ სხვაც!
მან ვეღარ დაამთავრა და ხმამაღლა აქვითინდა, რაღაცნარი, მისთვის უჩვეულო ხმით, რომელიც, კაცმა არ იცის, საიდან ამოსდიოდა. სადღაც მაღლა, ყველაზე უკანა კუთხეში ქალის გამკივანი ხმა გაისმა: ეს გრუშენკა იყო. მან წეღან ვიღაცას სთხოვა და კვლავ დააბრუნეს დარბაზში, სანამ სასამართლო კამათი დაიწყებოდა. მიტია გაიყვანეს. განაჩენის გამოცხადება მეორე დღისათვის გადაიდო. დარბაზი ხმაურით წამოიშალა. მე აღარ დამიცდია და არც აღარაფერი

მომისმენია. მხოლოდ რამდენიმე შეძახილი დამამახსოვრდა, უკვე გასასვლელის ზღურბლთან ნათქვამი.
- ოცი წელი საბადოებზე მოუწევს ყოფნა.
- არანაკლები.
- ასეა, ბატონებო, ჩვენმა ტეტიებმა თავიანთი გაიტანეს.
- მიტენკას კი ბოლო მოუღეს.

ეპილოგი

I მიტიას გადარჩენის გეგმა

მიტიას სასამართლოს შემდეგ, მეხუთე დღეს, დილაადრიან, ასე ცხრა საათი იქნებოდა, როცა ალიოშა კატერინასთან მივიდა ორივესთვის ერთ მეტად საჭირბოროტო საქმეზე მოსალაპარაკებლად. გარდა ამისა, მისთვის დანაბარები ჰქონდა გადასაცემი. ისინი ისხდნენ და საუბრობდნენ ზუსტად იმ ოთახში, სადაც ამას წინათ ალიოშამ გრუშენკა ნახა. გვერდით ოთახში ცხროშეპყრობილი ივანი იწვა. სასამართლოს შემდეგ კატერინამ ავადმყოფი და გონდაკარგული ივანი თავის სახლში გადააყვანინა. იგი არ მორიდებია არც მითქმა-მოქმას, არც გაკიცხვებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა საზოგადოების მხრიდან ამნაირ საქციელს. მისი თანმხლები ნათესავი ქალებიდან ერთ-ერთი სასამართლოში დატრიალებული ამბის შემდეგ სასწრაფოდ მოსკოვს გაემგზავრა, მეორე კი დარჩა. მაგრამ მასაც რომ მიეტოვებინა, კატერინა მაინც არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას, დარჩებოდა ავადმყოფის მოსავლელად და დღე და ღამე მის თავთით იჯდებოდა. ავადმყოფს ვარვინსკი და ჰერცენშტუბე მკურნალობდნენ. მოსკოველი ექიმი შინ დაბრუნდა, მან უარი განაცხადა, გამოეთქვა თავისი აზრი ავადმყოფობის შედეგების შესახებ. ჩვენი ექიმები, მართალია, ამხნევებდნენ კატერინასა და ალიოშას, მაგრამ ნათლად ჩანდა, ჯერ არ შეეძლოთ გამოჯანმრთელების მტკიცე გარანტიის მიცემა. ალიოშა ავადმყოფ ძმას დღეში ორჯერ მაინც ნახულობდა ხოლმე. ამჯერად ის კატერინასთან ძალიან უხერხული საქმის გამო მივიდა და ძალზე უჭირდა ამ თემაზე ლაპარაკის დაწყება. თანაც ჩქარობდა, რადგან კიდევ სხვა გადაუდებელი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, დილიდან კიდევ ერთ ადგილას იყო მისასვლელი. ისინი უკვე თხუთმეტი წუთი ლაპარაკობდნენ. გაფითრებული კატერინა გადაღლილი ჩანდა, ამავე დროს, ავადმყოფურად აღგზნებული: იგი გუმანით გრძნობდა, რისთვის იყო ახლა ალიოშა მასთან მისული.

- მისი გადაწყვეტილება ნუ გადარდებთ, - დაბეჯითებით უთხრა კატერინამ ალიოშას, - დღეს თუ არა ხვალ მივა იმ აზრამდე, რომ უნდა გაიქცეს! ეს უბედური, ეს ღირსებისა და სინდისის გმირი - დმიტრი ფიოდოროვიჩი კი არა, ის, იმ კარს მიღმა მწოლიარეზე, იმაზე მოგახსენებთ, ძმის გულისათვის თავი რომ გაწირა, - დაუმატა თვალებანთებულმა კატიამ, - მან დიდი ხნის წინ გამანდო დმიტრის გაქცევის გეგმა. იცით, ის უკვე კონტაქტში შემოდის... ზოგიერთი რამ უკვე გითხარით... გაქცევა ალბათ მესამე ეტაპზე უნდა მოხდეს, როცა გადასახლებულებს ციმბირში წაყვანას დაუპირებენ. იქამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი. ივან ფიოდოროვიჩი უკვე მოელაპარაკა მესამე ეტაპის უფროსს. ერთი რამაა გასარკვევი, ვინ გაჰყვება გადასახლებულებს ბადრაგის უფროსად, ამის წინასწარ გაგება შეუძლებელია. ხვალ შეიძლება დაწვრილებითი გეგმა განახოთ, რომელიც სასამართლომდე დამიტოვა ივან ფიოდოროვიჩმა, ვინიცობაა, რამე თუ მომივიდაო... ეს ზუსტად იმ ღამეს მოხდა, როცა თქვენ ჩვენს ჩხუბს წაესწარით: ის მაშინ კიბეებზე ჩადიოდა, მე კი, თქვენ რომ დაგინახეთ, უკან დავაბრუნე - გახსოვთ? თქვენ იცით, რატომ წავიჩხუბეთ მაშინ?

- არა, არ ვიცი, - უთხრა ალიოშამ.

- ცხადია, მაშინ მან დაგიმალათ: სწორედ ამ გაქცევის გეგმის გამო. მე ჯერ კიდევ

სამი დღით ადრე გამიმხილა ყველაფერი - ჰოდა, მას შემდეგ მთელი სამი დღის განმავლობაში ვჩხუბობდით. ჩხუბის მიზეზი კი ის იყო, რომ, როცა მან მითხრა, თუ დმიტრის მიუსჯიან, მაშინ ის იმ საძაგელ დედაკაცთან ერთად საზღვარგარეთ უნდა გაიქცესო, მე გავბრაზდი - ვერ გეტყვით რატომ, თავადაც არ ვიცი... რასაკვირველია, იმ დედაკაცის გამო, იმ საზიზღარი ქალის გამო, დმიტრისთან ერთად რომ უნდა გაქცეულიყო საზღვარგარეთ! - იყვირა უცებ კატერინამ და სიბრაზისაგან ტუჩები აუკანკალდა, - ალბათ ამიტომ, როცა ივან ფიოდოროვიჩმა დაინახა, როგორ გავბრაზდი იმ დედაკაცის გამო, გაიფიქრა, თითქოს მე დმიტრიზე ვეჭვიანობდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ კვლავ მიყვარდა დმიტრი. აი, ასე წარმოიშვა ეს უთანხმოება. მაშინ ახსნა-განმარტებები არ დამიწყია, არც ბოდიშის მოხდა შემეძლო. ჩემთვის ძალიან მძიმე იყო იმის ატანა, რომ კაცს, ვისაც დიდი ხნის წინ თავად განვუცხადე, დმიტრი აღარ მიყვარს და მხოლოდ შენ მიყვარხარ-მეთქი, ეჭვი ეპარებოდა ჩემს სიყვარულში! იმ დედაკაცზე გაბრაზებულმა ჯავრი ივან ფიოდოროვიჩზე ვიყარე! სამი დღის შემდეგ მან დალუქული კონვერტი მომიტანა და მითხრა, მხოლოდ მაშინ გამეხსნა, თუკი მას რაიმე მოუვიდოდა. ვაი რომ, იგი გრძნობდა თავის ავადმყოფობას! მან მითხრა, რომ კონვერტში დაწვრილებით არის აღწერილი მიტიას გაქცევის თანმიმდევრობა და თუ თავად მოკვდება ან ძლიერ ავად გახდება, მე უნდა გადავარჩინო დმიტრი. იქვე გადმომცა თითქმის ათი ათასი მანეთი, სწორედ ის, რომლის შესახებაც პროკურორმა ილაპარაკა თავის სიტყვაში. მაშინ ძალიან განმაცვიფრა ივან ფიოდოროვიჩის საქციელმა, რადგან მეგონა, ის ჩემზე ეჭვიანობდა, თითქოს მე კვლავ მიყვარდა დმიტრი და, ამავე დროს, ცდილობდა ძმის გადარჩენას და ამ საქმეს მე მანდობდა! ოო, ეს მისგან დიდი მსხვერპლის გაღება იყო! არა, თქვენთვის ასეთი მსხვერპლგაღება გაუგებარია, ალექსეი ფიოდოროვიჩ! გულაჩუყებული ლამის ფეხებში ჩავუვარდი, მაგრამ, როგორც კი გავიფიქრე, ის ამას მიტიას გადარჩენის გამო სიხარულის გამოხატვად ჩამითვლიდა (ამას აუცილებლად გაიფიქრებდა), იმდენად გავღიზიანდი, მისი ფეხების დაკოცვნის მაგივრად კვლავ სცენები მოვუწყე! ვაი, მე უბედურს! ასეთი ხასიათი მაქვს - საზიზღარი და უბედური ხასიათი! თქვენ იმასაც მოესწრებით, მე იმდენს მოვახერხებ, ისეთ ზომამდე მივიყვან მას, რომ ერთიც იქნება, მიმატოვებს და სხვა ქალთან წავა, ვისთანაც უფრო მშვიდად შეძლებს ცხოვრებას, როგორც დმიტრიმ გააკეთა, ისე, მაშინ კი... მაშინ მე ამას ვეღარ გადავიტან, თავს მოვიკლავ! იმ დღეს, როცა თქვენ ჩემთან მობრძანდით და მე გიხმეთ, მას კი ვუბრძანე, უკან დაბრუნებულიყო, ივან ფიოდოროვიჩმა ისეთი სიძულვილით ამომხედა, რომ რისხვამ შემიპყრო. გახსოვთ, როგორ გავკიოდი, რომ მან, მხოლოდ მან დამარწმუნა, დმიტრი მკვლელიაო! განგებ დავწამე ცილი, ერთხელ კიდევ რომ სტკენოდა გული. მას არასოდეს უთქვამს, ჩემი ძმა მკვლელიაო, პირიქით, მე ჩავჩიჩინებდი, მე ვარწმუნებდი ამაში! ყველაფრის თავი და თავი ჩემი სიშლეგეა! ეს მე, მე მოვამზადე და გავითამაშე ის საზიზღარი სცენა სასამართლოზე! მას უნდოდა, ჩემთვის დაემტკიცებინა თავისი კეთილშობილება, მიუხედავად იმისა, რომ მე მისი ძმა მიყვარდა, ის მაინც არ დაღუპავდა მას შურისძიებისა და ეჭვიანობის გამო. იმიტომაც მოიქცა ასე სასამართლოზე... ყველაფრის მიზეზი მე ვარ, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე!

კატერინასაგან ასეთი აღიარება ალიოშას არასოდეს მოესმინა. ის ხედავდა, როგორ აუტანელ ტანჯვას განიცდიდა ახლა ქალი. ეს იყო თავისი სიამაყის

დამთრგუნველი დიდგულა ადამიანის ტანჯვა და მწუხარებისაგან სულიერად დაცემა. ალიოშამ მისი ახლანდელი ტანჯვის კიდევ ერთი მიზეზი იცოდა, თუმცა კატერინა ალიოშასაგან მის დამალვას მიტიას გასამართლების შემდგომ დღეებში ძალიან ცდილობდა; მაგრამ ახლა ალიოშასათვის ძალიან მძიმე იქნებოდა, თუკი კატერინა იმდენად დაეცემოდა, რომ თავად დაიწყებდა ამ მიზეზზე ლაპარაკს. მისი ტანჯვის მიზეზი მიტიას სასამართლოზე მისი „მოღალატური“ საქციელი იყო. ალიოშა გრძნობდა, ქალს სინდისი რომ აწუხებდა და აიძულებდა, ცრემლებით, მოთქმით და ისტერიკით ალიოშას წინაშე დანაშაული ეღიარებინა. ალიოშას ამ წუთების ეშინოდა და ძალიან უნდოდა, შეემსუბუქებინა მისთვის ეს ტანჯვა. ამიტომ სულ უფრო რთული ხდებოდა იმ დავალების გადაცემა, რისთვისაც კატერინასთან იყო მისული. ალიოშამ ისევ მიტიაზე დააპირა ლაპარაკი.

- არაფერია, მისი დარდი ნუ გექნებათ! - კვლავ აკვიატებული და მკაცრი ტონით გააგრძელა კატიამ, - ეს ყველაფერი მისთვის წუთიერი რამაა, მე მას კარგად ვიცნობ, ძალიან კარგად. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გაქცევაზე უარს არ იტყვის. რაც მთავარია, იქამდე კიდევ ბევრი დროა დარჩენილი. მოასწრებს გადაწყვეტილების მიღებას. იმ დროისათვის ივან ფიოდოროვიჩიც გამოჯანმრთელდება და თავად მოაგვარებს ყველაფერს ისე, რომ მას არაფრის გაკეთება არ მოუწევს. ნუ ღელავთ, უარს არ იტყვის გაქცევაზე. ის ახლაც თანახმა იქნება, მას განა შეუძლია იმ დედაკაცის მიტოვება? მან კარგად იცის, კატორღაში ქალს არ გაატანენ, ამიტომაც მოინდომებს გაქცევას. აქ მთავარი ის არის, რომ მას თქვენი ეშინია, ეშინია, რომ თქვენ არ მოუწონებთ ასეთ საქციელს ზნეობრივი თვალსაზრისით. თქვენ მას დიდსულოვნად უნდა დართოთ ნება, თუკი ასე საჭირო იქნება თქვენი სანქცია, - ღვარძლიანად დაუმატა კატიამ, დადუმდა და ჩაიცინა.

- იქ თურმე ლაპარაკობს, - კვლავ გააგრძელა კატიამ, - რაღაც ჰიმნებზე, რაღაც მოვალეობაზე, რაღაც ჯვარზე, რომელიც უნდა ზიდოს. ამის შესახებ ადრე ივან ფიოდოროვიჩი მიყვებოდა ხოლმე. ნეტა იცოდეთ, როგორ ლაპარაკობდა! - უცებ აღმოხდა, - ნეტა იცოდეთ, როცა ამას მიამბობდა, როგორ უყვარდა ის საცოდავი იმ წუთებში და, შესაძლოა, იმავდროულად, როგორ სძულდა კიდეც! მე კი, ო, მე მისი ცრემლნარევი ნაამბობი ირონიული ღიმილით მოვისმინე! მხეცი და ნადირი ვარ! ჩემი ბრალია მისი ავადმყოფობა! მას კი, მსჯავრდადებულს - განა შესწევს უნარი იტანჯოს?! - დასძინა გაღიზიანებულმა კატიამ, - განა ასეთ კაცს შეუძლია, იტანჯოს?! ასეთი ხალხისათვის ტანჯვა უცხო ხილია!

მის სიტყვებში ზიზღნარევმა ბგერებმა გაიჟღერა. ამ დროს სასამართლოზე კატიამ უღალატა მიტიას. „იქნებ იმიტომაცაა, რახან მიტიას წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, ხანდახან ეზიზღება კიდეც“, - გაიფიქრა ალიოშამ. მას დიდი სურვილი ჰქონდა, მიტიასადმი სიძულვილი მხოლოდ „ხანდახან“ აღძროდა კატიას. ქალის უკანასკნელ სიტყვებში გამოწვევა იგრძნობოდა, მაგრამ ალიოშამ მხარი არ აუბა.

- დღეს იმიტომ გიხმეთ, მინდა მას მოელაპარაკოთ. თუ, თქვენი აზრით, გაქცევა უპატიოსნება და სიმხდალეა, ან... არაქრისტიანული საქციელი, ასე მიგაჩნიათ? - უფრო მეტად გამომწვევად თქვა კატიამ.

- არა, არა, მე ყველაფერს ვეტყვი მას... - წაილუღლუღა ალიოშამ, - მიტიამ გთხოვათ, დღეს მასთან მიხვიდეთ, - უცებ მიახალა ალიოშამ და დაჟინებით მიაცქერდა კატიას თვალებში. ქალი შეკრთა და ალიოშასაგან ოდნავ გვერდზე გახტა.

- მე... განა ეს შეიძლება? - ჩურჩულით თქვა გაფითრებულმა კატიამ.
- შეიძლება და საჭიროა კიდეც! - დაჟინებით თქვა გამოცოცხლებულმა ალიოშამ, - თქვენ მას ძალიან სჭირდებით, სწორედ ახლა სჭირდებით. ამ საკითხზე საუბარს არ დავიწყებდი, არ დაგტანჯავდით, აუცილებელი რომ არ იყოს. ის ავადაა, გიჟივითაა, ძალიან უნდა თქვენი ნახვა. შესარიგებლად კი არა, უბრალოდ რომ მიხვიდეთ, ზღურბლიდან მაინც დამენახოსო. იმ დღის მერე მას თავს ბევრი რამ გადახდა. გრძნობს, რამდენად დამნაშავეა თქვენ წინაშე. არა, ის თქვენგან პატიებას არ ითხოვს: „ჩემი პატიება არ შეიძლებაო“, - თავად ამბობს. გთხოვთ, მხოლოდ ზღურბლიდან მაინც დამენახოსო...
- თქვენ მე უცებ... - ჩაილუღლუღა კატიამ, - ბოლო დღეებია ვგრძნობდი, ამას რომ მეტყოდით... ასეც ვიცოდი, ვიცოდი, რომ დამიძახებდა!.. ეს შეუძლებელია!
- შეუძლებელია, მაგრამ უნდა მიხვიდეთ. დაფიქრდით, იგი პირველად მიხვდა და შეძრწუნდა იმით, თუ რაოდენ დიდი შეურაცხყოფა მოგაყენათ, პირველად თავის ცხოვრებაში, არასოდეს არ უთქვამს ასეთი რამ! მან მითხრა: თუ თქვენ უარს იტყვით მასთან მისვლაზე, მაშინ „მთელი ჩემი ცხოვრება უბედური ვიქნებიო“. გესმით? ოცი წლით კატორღამისჯილი კიდევ აპირებს, ბედნიერი იყოს - განა ცოდო არ არის?! დაფიქრდით, თქვენ უნდა მოინახულოთ ტყუილუბრალოდ დაღუპული კაცი, - გამომწვევად მიახალა ალიოშამ, - მისი ხელები სუფთაა, მათ სისხლი არ სცხია! მარტოოდენ მომავალი დაუსრულებელი ტანჯვის გამო უნდა მოინახულოთ ის! შებინდებისას მიდით... ზღურბლთან დადექით და მეტი არაფერი... თქვენ მოვალე ხართ, ვალდებული ხართ! - დაამთავრა ალიოშამ და განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „მოვალე“.
- მოვალე ვარ, მაგრამ... არ შემიძლია, - თითქოს ამოიკვნესა კატიამ, - იგი მზერას დამიწყებს... მე კი არ შემიძლია.
- თქვენი თვალები ერთმანეთს უნდა შეხვდეს. მომავალში ცხოვრებას როგორ აპირებთ, ახლა თუ არ გაბედეთ?
- სჯობს, მთელი ცხოვრება ვიტანჯო.
- თქვენ მოვალე ხართ, მიხვიდეთ, მოვალე! - ალიოშა კვლავ დაუნდობლად უსვამდა ხაზს სიტყვას „მოვალე“.
- კი მაგრამ, რატომ დღესვე, რატომ ახლავე?... მე არ შემიძლია ავადმყოფის მიტოვება...
- მცირე ხნით შესაძლებელია, ამას ხომ ცოტა დრო სჭირდება. თუ თქვენ არ მიხვალთ, ღამე მასაც დაემართება ცხელება. მე ხომ არ მოვატყუებ მას, შეიბრალეთ!
- თქვენ მე შემიბრალეთ, - მწარედ უსაყვედურა კატიამ და ატირდა.
- მაშასადამე მიხვალთ! - მტკიცედ თქვა ალოიშამ, როდესაც მისი ცრემლები იხილა, - მე წავალ და ვეტყვი, რომ მიხვალთ.
- არა, ძალიან გთხოვთ, ნუ ეტყვით! - იყვირა შეშინებულმა კატიამ, - მე მივალ, ოღონდ ამის შესახებ წინასწარ ნუ ეტყვით. მე შეიძლება მივიდე, მაგრამ არ შევიდე... ჯერ არ ვიცი...
მას ხმა ჩაუწყდა და მძიმედ სუნთქავდა. ალიოშამ წასვლა დააპირა.
- იქ რომ ვინმემ მნახოს? - უცებ წყნარად თქვა მან და გაფითრდა.
- სწორედაც, ამიტომ სჯობს ახლა მისვლა, რომ არავის შეხვდეთ. ახლა იქ არავინ იქნება, დარწმუნებული ვარ. ჩვენ გელით, - დაჟინებით თქვა ალიოშამ და ოთახიდან გავიდა.

II წუთიც და სიცრუე სიმართლედ იქცა

ალიოშა საჩქაროდ იმ საავადმყოფოსაკენ გაეშურა, სადაც მიტია იწვა. სასამართლოს შემდეგ, მეორე დღეს, მიტიას ნერვიული ციებ-ცხელება დაეწყო და ქალაქის საავადმყოფოს პატიმრების განყოფილებაში გაამწესეს. ალიოშასა და სხვების (ხოხლაკოვას, ლიზას და ა.შ.) თხოვნით, ვარვინსკიმ მიტია პატიმრების განყოფილებაში კი არ მოათავსა, არამედ ცალკე პატარა ოთახში, ზუსტად იქ, სადაც ადრე სმერდიაკოვი იწვა. რადგან დერეფნის ბოლოში მიტიას გუშაგი სდარაჯობდა, ხოლო ოთახის ფანჯრებს გისოსები ეკეთა, ვარვინსკის მშვიდად შეეძლო ყოფნა არაკანონიერი გადაწყვეტილების გამო. ის კეთილი და გულისხმიერი პიროვნება გახლდათ, კარგად ესმოდა, ისეთი კაცისათვის, როგორიც მიტია იყო, რა მძიმე იქნებოდა, უცებ მკვლელებისა და ქურდების საზოგადოებაში მოხვედრა, ის ამას თანდათან უნდა შეჰგუებოდა. ნათესავებსა და ნაცნობებს მიტიას ნახვის უფლება ნებადართული ჰქონდათ როგორც ექიმისა და ზედამხედველის, ისე პოლიციის უფროსის მიერ. მაგრამ ამ დღეებში მხოლოდ ალიოშამ და გრუშენკამ მოინახულა. მის ნახვას ორჯერ ძალიან ცდილობდა რაკიტინი, მაგრამ, მიტიას დაჟინებული თხოვნით, ვარვინსკიმ არ შეუშვა.
ალიოშას მიტია საწოლზე მჯდარი დახვდა. ტანზე საავადმყოფოს ხალათი ეცვა და მაღალი ტემპერატურის გამო თავი ძმარში დასველებული პირსახოცით ჰქონდა გაკრული. მან ძმას ჯერ უაზროდ გადახედა, შემდეგ მის გამომეტყველებას რაღაც შიში დაეტყო.
საერთოდ მიტია, სასამართლოდან მოყოლებული, ძალიან ფიქრიანი გახდა. ხანდახან საათობით დუმდა, გეგონებოდა, ისეა მტანჯველი და მძიმე ფიქრებით შეპყრობილი, ვეღარავის ამჩნევსო. როცა ფიქრებიდან გამოდიოდა, იწყებდა ლაპარაკს. უცებ ალაპარაკდებოდა და ყოველთვის არა იმის თაობაზე, რაც მას სურდა, ეთქვა. ხანდახან დამწუხრებული უყურებდა ძმას. გრუშენკასთან უფრო უადვილდებოდა ყოფნა, ვიდრე ალიოშასთან. მართალია, გრუშენკას თითქმის არ ელაპარაკებოდა, მაგრამ მისი დანახვა ყოველთვის ახარებდა. ალიოშა ჩუმად ჩამოჯდა მის გვერდით საწოლზე. მიტია აღელვებული ელოდა, რას ეტყოდა ძმა, თავად კითხვა ვერ გაუბედა. ის დარწმუნებული იყო, რომ კატია მასთან მოსვლას არ დათანხმდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, გრძნობდა, თუ ის არ მოვიდოდა, რაღაც მოუხდენელი მოხდებოდა. ალიოშას კარგად ესმოდა მისი.
- ტრიფონმა, - რაღაცნაირად აწრიალებული ალაპარაკდა მიტია, - ბორისიჩმა, ამბობენ, თავისი სახლის ყველა კუთხე-კუნჭული გადაქექა, ნოხები ამოატრიალა, ფიცრები ააგლიჯა, საკუჭნაო სულ ნაფოტ-ნაფოტ აქციაო, - განძს ეძებდა, იმ ფულს, პროკურორმა რომ ილაპარაკა, ვითომ მე მქონდა გადამალული. როგორც კი დაბრუნებულა შინ, მაშინვე გადაუქოთებია იქაურობა. ახია იმ თაღლითზე. აქ ერთმა ყარაულმა მიამბო გუშინ; იქაური ყოფილა.
- მიტია, - თქვა ალიოშამ, - კატერინა მოვა, მაგრამ არ ვიცი როდის, შეიძლება დღეს, შესაძლოა ამ დღეებში. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მოვა, აუცილებლად მოვა.
მიტია შეკრთა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. ამ ცნობამ მასზე ძალიან

იმოქმედა. ეტყობოდა, ძალზე აინტერესებდა მათი საუბრის წვრილმანები, მაგრამ ეშინოდა კითხვის დასმა: ვაითუ, რაიმე სასტიკი და საზიზღარი აქვს კატიას ჩემზე ნათქვამიო, ეს მისთვის დანის დარტყმის ტოლფასი იქნებოდა.
- სხვათაშორის, მან მითხრა, რომ მე გაქცევის თაობაზე აუცილებლად უნდა დაგიმშვიდო სინდისი. თუ იმ დროისათვის ივანი არ გამოჯანმრთელდება, მაშინ ის აიღებს ამ საქმეს თავის თავზე.
- შენ ამის შესახებ უკვე მითხარი, - შენიშნა ჩაფიქრებულმა მიტიამ.
- შენ კი უკვე გრუშას მოუყევი, - უპასუხა ალიოშამ.
- დიახ, - აღიარა მიტიამ, - ის დღეს დილით არ მოვა, - მან მორიდებულად გადახედა ძმას, - საღამოს მოვა. როცა გუშინ ვუთხარი, რას აპირებს კატია, გაჩუმდა, ტუჩები მოექცა. მხოლოდ ჩაიჩურჩულა: „ერთი მაგისიო!“ მიხვდა, რომ მნიშვნელოვანი რამაა. აღარ დამიწყია მისი წვალება. მე მგონი, უკვე სჯერა, კატიას ახლა ივანი რომ უყვარს და არა მე?
- ვითომ? - წამოსცდა ალიოშას.
- ვაი რომ, არა. ერთი ნაღდია, ამ დილით გრუშა არ მოვა, - კიდევ ერთხელ აღნიშნა მიტიამ, - მე მას ერთი დავალება მივეცი... მისმინე, ივანი ყველას გვჯობია, მან უნდა იცოცხლოს, ჩვენ კი არა. ის აუცილებლად გამოკეთდება.
- შენ წარმოიდგინე, კატია, მართალია, ძალიან შეწუხებულია ივანის ავადმყოფობით, მაგრამ ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მის გამოჯანმრთელებაში, - თქვა ალიოშამ.
- მაშასადამე, დარწმუნებულია, რომ მოკვდება. ეს მას შიშისაგან ჰგონია, რომ გამოჯანმრთელდება.
- ჩვენი ძმა ძლიერი აგებულებისაა. მეც იმედი მაქვს, მალე დადგება ფეხზე, - შენიშნა შეშფოთებულმა ალიოშამ.
- დიახ, გამოკეთდება. მაგრამ კატიას ეშინია, რომ მოკვდება. ბევრი საწუხარი აქვს საწყალს...
სიჩუმე ჩამოვარდა. მიტიას რაღაც მნიშვნელოვანი აწუხებდა.
- ალიოშა, გრუშა ძალიან მიყვარს, - ანაზდად აკანკალებული და ცრემლნარევი ხმით თქვა მიტიამ.
- შენ მას იქ არ გაგაყოლებენ, - უთხრა ალიოშამ.
- კიდევ რა მინდოდა მეთქვა, - გააგრძელა რაღაცნაირი ჟღერადი ხმით მიტიამ, - გზაში ან გადასახლებაში ვინმემ რომ ხელი მახლოს, ნებას არავის მივცემ, ვინმე შემომაკვდება და მეც მიმხვრეტენ. ოცი წელი, შენ აზრზე ხარ! აქ უკვე შენობით მომმართავენ, ყარაულებიც კი. დღეს ვიწექი და მთელი დღე თავს ვარწმუნებდი: მზად არ ვარ! ძალა არ მეყოფა, რომ მივიღო-მეთქი! მინდოდა „ჰიმნი“ მემღერა, აქ კი ყარაულის „შენობით“ მომართვა მაღიზიანებს. გრუშას გულისათვის ყველაფერს გადავიტან, ყველაფერს... გარდა ცემისა... მაგრამ იქ გრუშას არ გამოუშვებენ.
ალიოშას ჩაეღიმა.
- მისმინე, ძმაო, ერთხელ და სამუდამოდ, - უთხრა მან, - აი, რას გეტყვი ამის თაობაზე. კარგად იცი, რომ არ მოგატყუებ. შენ არც მზადა ხარ და არც გჭირდება ასეთი ტანჯვა. მოუმზადებელ კაცს ასეთი დიდმოწამებრივი ჯვარცმა არ გჭირდება. შენ რომ მამა მოგეკლა, მაშინ შეიძლება გული დამწყდომოდა, უარი რომ გეთქვა ამ სასჯელზე. მაგრამ შენ ხომ უდანაშაულო ხარ და ასეთი მძიმე სასჯელი შენთვის მეტისმეტია. შენ გინდა, ტანჯვით შვა შენში ახალი ადამიანი;

ჩემი აზრით კი, ის ახალი ადამიანი მუდამ, მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გახსოვდეს, სადაც არ უნდა გაიქცე და ეს სავსებით საკმარისი იქნება შენთვის. შენ თუ უარს იტყვი ამ დიდ ტანჯვაზე, ეს საწინდარი იქნება იმისა, რომ თავი უფრო მეტად ვალდებულად იგრძნო და ეს უწყვეტი შეგრძნებები დაგეხმარება მომავალში, რათა მთელი შენი ცხოვრების მანძილზე ხელი შეუწყო საკუთარი თავის აღორძინებას უფრო მეტად, ვიდრე ეს სასჯელის მოხდის შემთხვევაში მოხდებოდა. შენ ვერ აიტან იქაურ გარემოს და დაიწყებ დრტვინვას, ბოლოს იტყვი: „ამიერიდან ყველასთან ბარი-ბარში ვარო“. ეს ადვოკატმა კარგად აღნიშნა. ამგვარი ტვირთი ყველასთვის მძიმე არ არის, მაგრამ ზოგიერთისათვის აუტანელია... ასეთია ჩემი აზრი, თუ შენთვის რამე მნიშვნელობა აქვს მას. შენი გაქცევის შემთხვევაში ოფიცრებსა და ჯარისკაცებს თუ რაიმე ვნებას მიაყენებენ, მაშინ მე არ მოგცემდი გაქცევის უფლებას, - გაიღიმა ალიოშამ, - მაგრამ როგორც ამბობენ და მარწმუნებენ (თავად ეტაპის გამყოლმა უთხრა ივანს), დიდად არავის დასჯიან, ადვილად გადარჩებიანო. რასაკვირველია, კაცის მისყიდვა უპატიოსნებაა, მაგრამ მე ახლა განსჯას არ დავიწყებ, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, ჩემთვის კატიასა და ივანს რომ ეთხოვათ, ეს საქმე შენთვის ჩამეწყო, მეც წავიდოდი და ვინმეს მოვისყიდიდი; ამას გულწრფელად გეუბნები. ამიტომაც მე შენი მსაჯული არ ვარ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. იცოდე, მე არასოდეს განგსჯი. უცნაურიცაა, როგორ შეიძლება ამ საქმეში შენი მსაჯული ვიყო? მგონი, ყველაფერი გითხარი.

- სამაგიეროდ, მე დავგმობ ჩემს საქციელს! - შესძახა მიტიამ, - მე გავიქცევი, უშენოდაც გადაწყვეტილი მქონდა ეს: განა მიტკა კარამაზოვს შეუძლია არ გაიქცეს?! სამაგიეროდ, იქ უკუნითი უკუნისამდე გავკიცხავ ჩემს თავს და მოვინანიებ ცოდვებს! ასე არ ამბობენ იეზუიტები, არა? როგორც ახლა ჩვენ ვლაპარაკობდით, ჰა?

- ასეა, - გაუღიმა ალიოშამ.

- ამიტომაც მიყვარხარ, ყოველთვის ალალ-მართალი რომ ხარ და არაფერს მალავ! - მხიარულად შესძახა მიტიამ, - გამოდის, ჩემი ალიოშკა იეზუიტობაში გამოვიჭირე! ამისთვის უნდა გადაგკოცნო! ახლა სხვა რამეს გეტყვი, ჩემი სულის მეორე ნახევარსაც გადაგიშლი. აი, რა მოვიგონე და გადავწყვიტე; მე თუ ფულითა და პასპორტით ამერიკაში გაქცევას შევძლებ, მაშინ მხოლოდ იმის გაფიქრება გამამხნევებს, რომ იქ ბედნიერი და მხიარული არ ვიქნები. იქ ყოფნა ჩემთვის ნამდვილად მეორე კატორღა იქნება, აქაურზე არანაკლები! არანაკლები, ალიოშკა, ჭეშმარიტად არანაკლები! ეშმაკმა დალახვროს ამერიკა, უკვე მეჯავრება! ოღონდ კი გრუშა იყოს ჩემთან. მაგრამ შეხედე მას, რა უგავს ამერიკელს? ის რუსია, თხემით ტერფამდე რუსის დედაკაცი, ნოსტალგია შეიპყრობს, მე კი ყოველ წუთს უნდა ვუყურო მის ტანჯვას, ის ხომ ჩემი გულისთვის უნდა იტანჯოს, ის ხომ უდანაშაულოა. განა მე შევძლებ იქაური მდაბიოების ყურებას, თუმცა არაა გამორიცხული, ისინი ჩემზე უკეთესები იყვნენ. მეზიზღება ამერიკა, მეზიზღება! თუნდაც იქ ყველანი ჭკუისკოლოფა მექანიკოსები იყვნენ, მერე რა მოხდა - ეშმაკსაც წაუღია მათი თავი და ტანი, მაინც არ არიან ისინი ჩემი მოდგმისანი, ჩემი ჭკუის ადამიანები! მიყვარს რუსეთი, ალექსეი, რუსების ღმერთი მიყვარს, თუმცა თავად არამზადა ვარ! იქ სული გამძვრება! - ანაზდად აკანკალებული ხმით შეჰყვირა მან და ცრემლებით აუციმციმდა თვალები.

- ალექსეი, მე ასეთი რამ გადავწყვიტე, მისმინე! - გააგრძელა მან, როცა ცოტა დაწყნარდა, - როცა მე და გრუშა ამერიკაში ჩავალთ, სადმე შორეულ მხარეს დათვების გარემოცვაში განმარტოებულნი მიწის დამუშავებას შევუდგებით. ალბათ იქაც მოინახება რამე უკაცრიელი ადგილი! ამბობენ, იქ, სადღაც ჰორიზონტთან, წითელკანიანები ცხოვრობენ. იმ მხარეს წავალთ, უკანასკნელ მოჰიკანებთან ერთად ვიცხოვრებთ. ჩასვლისთანავე გრამატიკის სწავლას დავიწყებთ. სამი წლის განმავლობაში მხოლოდ მუშაობითა და სწავლით ვიქნებით დაკავებული. ამ სამ წელიწადში ინგლისურსაც ვისწავლით და ინგლისელებივით ავლაპარაკდებით. როგორც კი ენას ვისწავლით, მაშინვე დავტოვებთ ამერიკას! რუსეთში გამოვიქცევით, ოღონდ, როგორც ამერიკის მოქალაქეები. ნუ გეშინია, აქ არ ჩამოვალთ. სადმე შორს ვიცხოვრებთ, სამხრეთში ან ჩრდილოეთში. ამერიკაში ექიმს რაიმე მეჭეჭს გავაკეთებინებ, იქ ხომ ყველა მექანიკოსია. თუ არ გამიკეთებენ, ერთ თვალს დავითხრი, ჭაღარა წვერს მოვუშვებ (სანამ რუსეთში დავბრუნდები, ჭაღარაც შემერევა) - რომ არ მიცნონ. მიცნობენ და მიცნონ - დაე, გადამასახლონ, სულერთია, ე.ი. ბედი არ მქონია! აქაც, სადმე მიყრუებულ ადგილას, მიწას დავამუშავებთ, მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება ამერიკელის როლში ვიქნები, სამაგიეროდ, მშობლიურ მიწაზე მოვკვდები. ასეთია ჩემი გეგმა, ამას წყალი არ გაუვა. მოგწონს?
- მომწონს, - უთხრა ალიოშამ, არ უნდოდა წინააღმდეგობის გაწევა.
მიტია ერთი წუთით გაჩუმდა და უცებ ისევ ალაპარაკდა.
- ეჰ, სასამართლოზე როგორ გვიმტყუნეს? ხომ მაგრად გვიმტყუნეს!
- რომც არ ემტყუნათ, მაინც გაგასამართლებდნენ, - ამოიოხრა ალიოშამ.
- სწორი ხარ, თავი მოვაბეზრე აქაურ საზოგადოებას! ღმერთმა შეუნდოთ, მაგრამ ყველაფერი ეს მძიმე გადასატანია! - ამოიკვნესა მიტიამ.
ერთხანს ორივე დუმდა.
- ალიოშა, ნუ მომკალი! - უცებ შესძახა მიტიამ, - მითხარი, მოვა თუ არა ახლა! რა გითხრა? როგორ თქვა?
- თქვა, რომ მოვა, მაგრამ არ იცის, დღეს თუ სხვა დროს. მასაც უჭირს! - მორიდებულად შეხედა ალიოშამ ძმას.
- რა თქმა უნდა, რასაკვირველია, უჭირს! ალიოშა, მე შეიძლება ამ ნიადაგზე ჭკუიდან შევიშალო. გრუშა სულ მე შემომცქერის. ესმის ჩემი. უფალო, ღმერთო, შემეწიე; განა ბევრ რამეს გთხოვ? კატიას ნახვა მინდა! ნეტა თუ ვაცნობიერებ, რას ვითხოვ? ეს კარამაზოვული უტიფრობაა! არა, მე ტანჯვისთვის არ ვარ გაჩენილი! ნაძირალა ვარ, ამით ყველაფერია ნათქვამი!
- აი, ისიც! - შესძახა ალიოშამ.
მოულოდნელად, ზღურბლთან კატია გამოჩნდა. ერთი წუთით შეჩერდა და რაღაცნაირად დაბნეული უყურებდა მიტიას. შეშინებული და გაფითრებული მიტია სხარტად წამოხტა ფეხზე, მაგრამ უმალ მორიდებულმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებთან და ორივე ხელი მოუთმენლად გაიშვირა კატიასაკენ. როცა კატიამ ეს დაინახა, ისიც გამალებით მივარდა მას. ქალმა მიტიას ხელები ჩაავლო და თითქმის ძალით დასვა საწოლზე, თავადაც გვერდით მოუჯდა ისე, რომ ხელები არ გაუშვია მისთვის და აცახცახებული უჭერდა მათ. ორივემ რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ გაჩერდნენ და ისევ ჩუმად, დაჟინებით და რაღაცნაირად ღიმილმოსილები შესცქეროდნენ ერთმანეთს; ასე გავიდა ორი წუთი.

- მაპატიე თუ არა? - როგორც იქნა ამოღერღა მიტიამ, იმავ წუთს მიუბრუნდა ალიოშას და სიხარულისაგან სახემოღრეცილმა შეჰყვირა: - გესმის, რას ვეკითხები, გესმის!
- ამისთვის მიყვარდი, დიდსულოვანი კაცი რომ ხარ! - აღმოხდა უცებ კატიას, - არ გჭირდება შენ ჩემი პატიება, არც მე შენი. სულერთია, მაპატიებ თუ არა, ჩემს სულს მთელი ცხოვრება წყლულად დააჩნდები, მე კი შენს სულს - ასეცაა საჭირო... - იგი შეჩერდა და სული მოითქვა.
- რისთვის მოვედი? - აღელვებული კვლავ სხაპასხუპით ალაპარაკდა, - იმისათვის, რომ შენს ფეხებს მოვხვეოდი, ხელებზე ხელები მომეჭირა, აი, ასე, ტკივილამდე, გახსოვს, როგორც მოსკოვში გიჭერდი ხელს, რომ კვლავ გამემეორებინა: ჩემი ღმერთი ხარ და ჩემი სიხარული, რომ მეთქვა, როგორ სიგიჟემდე მიყვარხარ, - ამოიკვნესა კატიამ და უცებ ხარბად დაეწაფა მიტიას ხელს, მას თვალთაგან ცრემლები ღვარივით სდიოდა.
შეცბუნებული ალიოშა ჩუმად იდგა; ის არაფრით ელოდა იმას, რასაც ხედავდა.
- მიტია, სიყვარული წავიდა, - კვლავ განაგრძო კატიამ, - მაგრამ ტკივილამდე ძვირფასია, რომ წავიდა. ეს სამუდამოდ ჩაიბეჭდე გონებაში. მოდი ახლა, ერთი წუთით იყოს ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, - ჩაილუღლუღა მან და მწარედ გაეღიმა. მერმე ისევ თვალებგაბრწყინებულმა შეხედა მიტიას თვალებში, - ახლა შენც სხვა გიყვარს და მეც, მაგრამ მაინც მუდამ მეყვარები, შენც ასევე იქნები, იცი თუ არა ეს შენ? გესმის, უნდა გიყვარდე, მთელი შენი ცხოვრება უნდა გიყვარდე! - აკანკალებული და მუქარიანი ხმით შეჰკივლა მან.
- მეყვარები და... იცი, კატია, - მიტია ისევ ალაპარაკდა, ყოველ სიტყვაზე სულს ითქვამდა, - იცი, კატია, ხუთი დღის წინ, იმ საღამოსაც კი მიყვარდი... როცა შენ გული წაგივიდა და გაგიტანეს... მთელი ცხოვრება! ასეც იქნება, ასე იქნება მუდამ...
ასე უაზროდ და ჭკუიდან გადასულებივით ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს. შესაძლოა, ეს გრძნობები არ იყო ნამდვილი, მაგრამ ამ წუთებში მართალს ჰგავდა და ორივეს გულწრფელად სჯეროდა ეს.
- კატია, - უცებ იყვირა მიტიამ, - შენ გჯერა, რომ მე მოვკალი? ვიცი, არ გჯერა, მაგრამ მაშინ... როცა ჩემზე თქვი... ნუთუ მართლა გჯეროდა!
- არც მაშინ მჯეროდა! არასოდეს მჯეროდა! მეჯავრებოდი და თავი დავაჯერე, მხოლოდ ერთი წუთით... მაშინ, როცა ჩვენებას ვაძლევდი... თავი დავირწმუნე და დავიჯერე... ხოლო როცა ჩვენება დავამთავრე, იმ წამიდან აღარ მჯეროდა. მინდა, რომ იცოდე ეს ყველაფერი. სულ დამავიწყდა, მე ხომ აქ საკუთარი თავის დასასჯელად მოვედი! - რაღაცნაირი ახალი ინტონაციით წარმოთქვა ქალმა, სულაც არ ჰგავდა მის ცოტახნის წინანდელ სასიყვარულო ტიტინს.
- გიჭირს, ძალიან გაჭირვებული ხარ ახლა, ქალო! - ანაზდად თავშეუკავებლად წამოროშა მიტიამ.
- გამიშვი ხელი, - ჩუმად უთხრა ქალმა, - მე კიდევ მოვალ, ახლა მართლა ძალიან მიჭირს!...
ქალი როგორც კი წამოდგა, უცებ შეჰკივლა და უკან დაიხია. ოთახში მოულოდნელად, თუმცა ძალიან წყნარად გრუშენკა გამოჩნდა. მას არავინ ელოდა. კატია გამალებული გავარდა კარისაკენ, მაგრამ გაუსწორდა თუ არა გრუშენკას, შეჩერდა, სახეზე მიტკლისფერი დაედო და თითქმის ჩურჩულით ამოიკვნესა:

- მაპატიეთ!
გრუშენკამ ჯიქურ შეხედა, ერთხანს შეიცადა და მკვახე, გაავებული ხმით უპასუხა:
- ბოროტები ვართ მე და შენ, დედაო, როკაპები! ორივეს უკეთურება გვჭირს! სად შეგვიძლია პატიება? გადაარჩინე ეს კაცი და მთელი ცხოვრება შენზე ვილოცებ.
- პატიება არ გსურს?! - შლეგივით უყვირა მიტიამ გრუშენკას.
- არხეინად ბრძანდებოდე, შენთვის გადავარჩენ! - სწრაფად, ჩურჩულით თქვა კატიამ და ოთახიდან გავარდა.
- რა მოხდებოდა, გეპატიებინა მისთვის, მას შემდეგ, რაც თავად გთხოვა პატიება? - მწარედ შეჰყვირა ისევ მიტიამ.
- მიტია, არ გაბედო საყვედური, ამის უფლება შენ არა გაქვს! - უყვირა გაცხარებულმა ალიოშამ ძმას.
- მისი ამაყი ტუჩები ამბობდა ამას და არა გული, - ზიზღით თქვა გრუშენკამ, - გიშველოს და ყველაფერს ვაპატიებ...
გრუშენკა ისე გაჩუმდა, თითქოს რაღაც სათქმელი ბოლომდე არ თქვა. ის კიდევ არ იყო მოსული გონზე. როგორც შემდგომ გაირკვა, ისე მოულოდნელად შემოვიდა, არც ეგონა და არც იცოდა, კატიას თუ აქ ნახავდა.
- ალიოშა, დაეწიე! - ეცა მიტია ძმას, - რამე უთხარი... არ ვიცი, რა... მაგრამ ასე ნუ წავა!
- საღამომდე კიდევ შემოგივლი! - მიაყვირა ალიოშამ და კატიას გაედევნა. საავადმყოფოს გარეთ წამოეწია. კატია ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, როგორც კი ალიოშა გაუსწორდა, სულმოუთქმელად ალაპარაკდა:
- არა, არ შემიძლია ამ დედაკაცის წინაშე თავი დავისაჯო! „მაპატიე-მეთქი“ კი ვუთხარი, ვინაიდან მინდოდა თავი ბოლომდე დამესაჯა. მან კი არ შემინდო... ამისთვის მიყვარს ის! - გაბზარული ხმით დაუმატა კატიამ და თვალები ბოროტად აუციმციმდა.
- მიტია მას არ ელოდა, - ჩაიბურტყუნა ალიოშამ, - ის დარწმუნებული იყო, რომ დღეს გრუშენკა არ მოვიდოდა.
- ეჭვი არ მეპარება. თავი დავანებოთ ამას, - მოუჭრა კატიამ, - მისმინეთ: მე ახლა თქვენთან ერთად დაკრძალვაზე ვერ წამოვალ. მე მათ ყვავილები გავუგზავნე. ჯერჯერობით, მგონი ფული აქვთ. მომავლისთვის, თუ კიდევ დასჭირდებათ, მუდამ მხარში ამოვუდგები... ახლა დამტოვეთ, დამტოვეთ, ძალიან გთხოვთ, თქვენც დაგაგვიანდათ, უკვე მწუხრის ზარები რეკენ... გთხოვთ, დამტოვოთ!

III ილუშას დაკრძალვა. სიტყვა ლოდთან

ალიოშას მართლა დააგვიანდა. მას კარგა ხანს უცადეს, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს, ალიოშას გარეშე გადაესვენებინათ ეკლესიაში ლამაზი, ყვავილებით მორთულ-მოკაზმული სასახლე. ეს საწყალ ილუშეჩკას კუბო იყო. ის მიტიას განაჩენის გამოტანიდან ორი დღის შემდეგ აღესრულა. ალიოშას სახლის ჭიშკართან თავმოყრილი ილუშას ამხანაგები შეძახილებით შეეგებნენ. მის მოსვლას ყველა სულმოუთქმელად ელოდა და ძალიან გაუხარდათ ალიოშას

დანახვა. ასე, თორმეტი ბავშვი იქნებოდა, მხრებზე ყველას ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული. „მამა იტირებს, იყავით მამასთან“, - სიკვდილის წინ ანდერძად დაუბარა კლასელებს ილუშამ და ბიჭებმა ეს კარგად დაიმახსოვრეს. ჯგუფს კოლია კრასოტკინი მეთაურობდა.
- ძალიან გამეხარდა თქვენი დანახვა, კარამაზოვ! - შესძახა კოლიამ და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა, - აქ ერთი ვაი-ვიში და ცოდვა-ბრალის ტრიალია, ძალიან მძიმე სურათია. სნეგიროვი მთვრალი არ არის, დანამდვილებით ვიცით, პირში წვეთი არ ჩასვლია, მაგრამ ისე გამოიყურება, მაგარი ნასვამი გეგონება... თითქოს გულმაგარი ვარ, მაგრამ ამის ყურება ძალიან მიმძიმს. კარამაზოვ, თუ არ დაგაყოვნებთ, ერთი რამ მინდა გკითხოთ, ვიდრე შეხვალთ.
- რა იყო, კოლია? - შეჩერდა ალიოშა.
- თქვენი ძმა დამნაშავეა? მამათქვენი მან მოკლა თუ ლაქიამ? რასაც თქვენ მეტყვით, ჩემთვის ის იქნება სიმართლე. უკვე ოთხი დღეა, არ მასვენებს ეს კითხვა.
- მკვლელი ლაქიაა, ჩემი ძმა უდანაშაულოა, - უპასუხა ალიოშამ.
- ხომ გითხარით! - უცებ იყვირა სმუროვმა.
- გამოდის, უდანაშაულო მსხვერპლია! - შესძახა კოლიამ, - თუმცა ის ბედკრული კაცია, მაგრამ მაინც ბედნიერი! მშურს მისი!
- რას ლაპარაკობთ, როგორ შეიძლება, რატომ?
- ოჰ, ნეტა, ოდესმე შევძლო სიმართლისათვის მსხვერპლი გავიღო! - ენთუზიაზმით თქვა კოლიამ.
- მაგრამ არა ამნაირი საქმისათვის, ასე სამარცხვინო და საშინელი დასასრულით! - უთხრა ალიოშამ.
- რასაკვირველია... ჩემი სურვილია, მოვკვდე კაცობრიობისათვის, ხოლო რაც შეეხება სირცხვილს, განა სულერთი არ არის. თქვენ ძმას მე პატივს ვცემ!
- მეც! - ანაზდად ბიჭების ჯგუფში გაისმა იმ ყმაწვილის ხმა, რომელმაც ოდესღაც განაცხადა, ტროას დამაარსებელი ვიციო. მან ახლაც ზუსტად ისე იყვირა, როგორც მაშინ და ერთიანად ყურებამდე გაწითლდა.
ალიოშა ოთახში შევიდა. ილუშა თეთრი ფურფუშელებით გაწყობილ ცისფერ კუბოში იწვა, გულზე ხელებდაკრეფილი და თვალებდახუჭული. გამხდარი სახის ნაკვთები თითქმის არ შესცვლოდა და ყველაზე უცნაური ის იყო, ცხედარს სუნი არ სდიოდა. მიცვალებულს სერიოზული, ფიქრებშიწასული კაცის გამომეტყველება ჰქონდა. განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებოდა ერთმანეთს გადაჯვარედინებული ხელების თითები. მარმარილოდან ჩამოთლილი გეგონებოდა. ხელებში ყვავილები ეჭირა. სასახლე ერთიანად იმ ყვავილებით იყო მორთულ-მოკაზმული, რომელიც ლიზა ხოხლაკოვამ დილაუთენია გამოგზავნა. როცა ალიოშამ კარი შეაღო, შტაბს-კაპიტანი აკანკალებული ხელებით თავის ბიჭუნას ცხედარზე მიმოაბნევდა კატერინა ივანოვნას მიერ გამოგზავნილ ყვავილებს. მან ძლივს ახედა ალიოშას, საერთოდ არავის ყურება არ უნდოდა, თავის მტირალი, ჭკუადან გადასული ცოლისაც კი, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, ფეხზე ამდგარიყო და ახლოდან შეეხედა გარდაცვლილი შვილისათვის. ნინოჩკა ბიჭებმა კუბოსთან ახლოს დასვეს. ის იჯდა, თავი კუბოზე ედო და ჩუმად ტიროდა. სნეგიროვს გამოცოცხლებული, მაგრამ დაბნეული, ამასთან ერთად, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. მისი ჟესტები და ხანდახან წამოსროლილი სიტყვები არანორმალურობის

შთაბეჭდილებას ტოვებდა. „მამიკო, ჩემო ლამაზო, მამიკო!“ - ხანგამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე და ილუშას დააცქერდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ილუშა ცოცხალი იყო, მას ჩვევად ჰქონდა, შვილისათვის მიემართა ალერსიანი ხმით; „მამიკო, ჩემო ლამაზო, მამიკო!“
- მამიკო, ილუშას ხელიდან აიღე ის თეთრი ყვავილი და მომეცი! - უთხრა შტაბს-კაპიტანს ჭკუიდან გადასულმა „დედილომ“. მას ძალიან მოეწონა თეთრი ვარდი და მისი სახსოვრად დატოვება მოისურვა. ის სკამზე წრიალებდა და ხელგამოწვდილი დაჟინებით მოითხოვდა ყვავილს.
- არავისაც არ მივცემ, არაფერს არ მოგცემ! - მკაცრად დაუცაცხანა. - ეს ილუშასია და არა შენი. ყველაფერი მისია, აქ შენი არაფერია!
- მამა, მიეცი დედიკოს ყვავილი! - უცებ წამოწია ცრემლებით დანამული სახე ნინოჩკამ.
- არაფერსაც არ მივცემ, მაგას მით უმეტეს! მას ილუშა არ უყვარდა. ამას წინათ ილუშეჩკას ზარბაზანი წაართვა, ილუშამ კი აჩუქა, - ანაზდად შტაბს-კაპიტანს ხმა გაებზარა და ტირილი დაიწყო, გული აუჩუყდა იმის გახსენებაზე, როგორ აჩუქა ილუშამ დედას ზარბაზანი. საწყალი, სულით ავადმყოფი ქალი ატირდა და სახე ხელებით დაიფარა. ბიჭები ხედავდნენ, რომ მამა შვილის კუბოს არ შორდებოდა, არადა უკვე გამოსვენების ჟამი დადგა. უცებ ბიჭები კუბოს შემოეხვივნენ და ნელ-ნელა აწიეს.
- არ მინდა, სასაფლაოზე არ დამარხოთ! - მოულოდნელად იღრიალა სნეგიროვმა, - ლოდთან დავმარხავ, ჩვენს ლოდთან! ასე დამიბარა ილუშამ. არ მოგცემთ წაღების უფლებას!
ადრეც, სამი დღის განმავლობაში, შტაბს-კაპიტანს დაჟინებული ჰქონდა, ლოდთან დავმარხავო; მაგრამ საქმეში ჩაერივნენ ალიოშა, კრასოტკინი, ბიჭები, სახლის მეპატრონე ქალი და მისი და.
- ეს რა მოიგონა, ბინძურ ლოდთან დავმარხოთო, თითქოს თვითმკვლელი იყოს, - მკაცრად თქვა სახლის მეპატრონე მოხუცმა ქალმა, - სასაფლაოს მიწა ნაკურთხია, საფლავს ჯვარი ექნება. იქ ლოცვა შეიძლება, ეკლესიიდან გალობა ისმის. დიაკვნის ხმამაღალი ლოცვები ყოველთვის მივა მის ყურამდე, თითქოს ზედ მის საფლავზე კითხულობდნენ, ისე.
ბოლოს და ბოლოს, შტაბს-კაპიტანმა ხელი ჩაიქნია: „სადაც გინდათ, იქ წაასვენეთო!“ ბიჭებმა კუბო აწიეს, მაგრამ, როცა ილუშას დედას მიუახლოვდნენ, გაჩერდნენ და მის წინ დაასვენეს, მიცვალებულს რომ გამოსთხოვებოდა. როგორც კი ახლოდან დაინახა მისთვის ძვირფასი სახე, რომელსაც სამი დღის განმავლობაში გარკვეული მანძილიდან უცქერდა, ილუშას დედას მთელი სხეული აუკანკალდა და ისტერიკამ შეიპყრო, ჭაღარა თავს ხან წინ და ხან უკან, ხან აქეთ, ხან იქით იქნევდა, გაწევდა-გამოწევდა, გადაწევდა-გადმოწევდა.
- დედა, ჯვარი გადასახე, დალოცე და ეამბორე, - უკივლა მას ნინოჩკამ. გამწარებული ქალი კი ავტომატივით, ხან წინ გადმოაგდებდა თავს, ხან უკან, უცებ მუშტით დაიწყო მკერდზე ბრაგუნი. კუბო ნინოჩკასთანაც მიიტანეს. ნინოჩკა უკანასკნელად ეამბორა გარდაცვლილ ძმას. ალიოშამ გასვლისას სთხოვა სახლის მეპატრონე მოხუც ქალს, მიეხედა ბინაში დარჩენილებისათვის, მაგრამ მან არ დააცადა სიტყვის თქმა:
- ვიცით, ვიცით, აქ დავრჩებით, ქრისტიანები არა ვართ?! - მოთქმით უპასუხა მოხუცებულმა.

ეკლესიამდე შორი გზა არ ჰქონდათ გასავლელი, მხოლოდ სამასი ნაბიჯი თუ იქნებოდა. წყნარი და ნათელი დღე იდგა; ყინვა ოდნავ იკბინებოდა. ეკლესიიდან კვლავ მოისმოდა ზარების რეკვა. დაბნეული, თავშიშველი სნეგიროვი ცუნცულ-ცუნცულით მისდევდა კუბოს. ტანზე გაცვეთილი და მოკლე საზაფხულო პალტო ემოსა, ხელში ძველი, ფართოფარფლიანი, რბილი შლაპა ეჭირა. ის რაღაც გადაუჭრელი საზრუნავით შეპყრობილივით მოუსვენრად დაფაციფუცობდა, ხან უკნიდან შეაშველებდა ხოლმე ხელს კუბოს ტარებაში ბიჭებს, ხან გვერდიდან შემოურბენდა და თავისუფალ ადგილს ეძებდა, რომ კუბოსთვის ხელი წაევლო, მაგრამ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდა. უცებ ერთი ყვავილი კუბოდან თოვლზე ჩამოვარდა. ის სასწრაფოდ დაიხარა ასაღებად, თითქოს ამ ყვავილის დაკარგვას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

- პურის ყუა, პურის ყუა დაგვავიწყდა, - უცებ აყვირდა შეშინებული შტაბს-კაპიტანი. ბიჭებმა შეახსენეს: პურის ყუა ჯიბეში გიდევთო. მან სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი და პურის ყუა ამოიღო. ერთხანს დამშვიდდა.

- ილუშეჩკამ დამიბარა, ილუშეჩკამ, - დაიწყო ახსნა მან, - ერთხელ ღამე იწვა, მე გვერდით ვუჯექი, უცებ მითხრა; „როცა ჩემს საფლავს მიწას დააყრიან, მოაბნიე ჩემს საფლავზე პურის დაფშვნილი ნამცეცები. მოფრინდებიან ბეღურები და აჟღურტულდებიან. მე გავიგონებ მათ ხმას და გავმხიარულდები, მარტო აღარ ვიგრძნობ თავსო.“

- ძალიან კარგი, - უთხრა ალიოშამ, - ხშირად მოიტანეთ ხოლმე.

- ყოველდღე მოვალ, ყოველდღე! - ენამოჩლექით წარმოთქვა გამოცოხლებულმა შტაბს-კაპიტანმა.

როგორც იქნა, ეკლესიაში მივიდნენ და შუა დარბაზში დაასვენეს სასახლე. ბიჭები კუბოს გარს შემოერტყნენ და მთელი წირვის განმავლობაში ასე იდგნენ. ეკლესია საკმაოდ ძველი და ღარიბი იყო. ხატების უმრავლესობას მოჭედილობა არ გააჩნდა, მაგრამ ასეთ ეკლესიაში უკეთესად ვლოცულობთ ხოლმე. წირვის შემდეგ სნეგიროვი ცოტა დაწყნარდა, თუმცა დროდადრო მაინც შეიპყრობდა ხოლმე გაუცნობიერებელი და თავგზაამბნევი მოუსვენრობა: ხან კუბოსთან მივიდოდა და სუდარას და ყვავილებს ასწორებდა, ხან, როცა შანდლიდან ერთი სანთელი ჩამოვარდა, იმწამსვე მივარდა, აიღო და უკან ჩაარჭო სასანთლეში და ამ პროცესს ძალიან დიდხანს მოუნდა. ერთხანს დაშოშმინდა და შეფიქრიანებული, შეწუხებული სახით წყნარად იდგა კუბოს თავთან. სამოციქულოს კითხვის შემდეგ ალიოშას გადაუჩურჩულა, რომ ისე არ წაიკითხეს, როგორც საჭირო იყო, მაგრამ არ დაუზუსტებია, როგორ იყო საჭირო. მერმე ქერუბინების გალობას აჰყვა, მაგრამ არ დაუმთავრებია და მუხლებზე დაეცა, ეკლესიის იატაკს შუბლით მიეხუტა. საკმაოდ დიდხანს იყო ასე გაყუჩებული. ბოლოს, როცა მიცვალებულს წესი აუგეს და სანთლები ჩამოარიგეს, მწუხარებისაგან ჭკუადაკარგული მამა კვლავ აწრიალდა, მაგრამ გულის ამაჩუყებელმა, გამაოგნებელმა სულთათანამ გამოაფხიზლა და ააღელვა მისი სული. იგი ერთიანად მოიკუნტა და ქვითინი აუვარდა, ჯერ ცდილობდა, ხმადაბლა ეტირა, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ მოთოკა და აღრიალდა. როცა გამოთხოვების ჯერი დადგა და კუბოს სახურავის დახურვა დაუპირეს, სნეგიროვი კუბოს ორივე ხელით ჩაეჭიდა, ცდილობდა, არ მიეცა საშუალება კუბოზე სახურავის დამხობის და დაუწყო მიცვალებული ბავშვის ტუჩებს ხარბად კოცნა. ბოლოს და ბოლოს სნეგიროვი დააშოშმინეს, მაგრამ როცა კიბეებზე ჩაჰყავდათ, სასწრაფოდ

მობრუნდა და კუბოდან რამდენიმე ყვავილი ამოიღო. ყვავილებს ისე უყურებდა, თითქოს რაღაც ახალი იდეა მოუვიდა თავში, მთავარი კი გადაავიწყდაო. თანდათან ფიქრებში ისე გაერთო, აღარავის წინააღმდეგობას აღარ უწევდა, როცა კუბო ასწიეს და საფლავისკენ გაემართნენ. საფლავი გალავანთან იყო გათხრილი, იქვე, ეკლესიის სიახლოვეს. ალბათ კარგი ფასი ექნებოდა, კატერინა ივანოვნამ გადაიხადა. ჩვეულებრივი რიტუალის ჩატარების შემდეგ მესაფლავეებმა კუბო საფლავში ჩაუშვეს. სნეგიროვს ყვავილები ხელში ეჭირა და ღია საფლავის პირას იმდენად ახლოს იდგა, რომ ბიჭებს შეეშინდათ, არ ჩავარდესო, პალტოში ხელი წაავლეს და უკან დასწიეს. მას თითქოს არც ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. როცა საფლავის ამოვსება დაიწყეს, იგი შეწუხებული მიუთითებდა კუბოს ფიცრებზე დაცვენილ გორახებზე და თავისთვის ისე ბუტბუტებდა, ვერავინ ვერაფერს გაარჩევდა. მერმე უცებ გაჩუმდა. მას შეახსენეს, რომ პურის ყუა უნდა დაფშვნას და საფლავზე მიმოაბნიოს. ამან ძალიან ააღელვა, ჯიბიდან პური დააძრო, დაიწყო მისი დაფშვნა და ნამცეცების საფლავზე მიმობნევა: „ჩიტუნებო, მოდით, მოფრინდით, მიირთვით ბეღურებო!“ - ბუტბუტებდა ის. ანაზდად, ერთი ბიჭი მიხვდა, რომ თან ყვავილები გეჭიროს და თანაც პური ფშვნა, ცოტა უხერხული რამაა და სნეგიროვს შესთავაზა - ყვავილებს დაგიკავებთო, მაგრამ მან არ მისცა, დაფრთხა კიდეც, ყვავილები არ წამართვანო. შემდეგ, დარწმუნებული იმაში, რომ დანაბარები შეასრულა - პურის ნამცეცები საფლავს მოაყარა, უცებ მშვიდად მობრუნდა და შინისკენ წალასლასდა. გზადაგზა ნაბიჯს უმატებდა, ჩქარობდა, თითქმის გარბოდა. ბიჭები და ალიოშა ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მას.

- დედილოს ყვავილები, დედილოს ყვავილები! აწყენინეს დედილოს, - გზადაგზა ისმოდა მისი შეძახილები. ვიღაცამ დაუყვირა, შლაპა დაიხურეთ, გაცივდებითო, მან გაიგონა და გაბრაზებულმა შლაპა თოვლზე მოისროლა, თან იმეორებდა: „არ მინდა შლაპა, არ მინდა შლაპა!“ სმუროვმა შლაპა აიღო და უკან გაედევნა. ყველა ბიჭი ტიროდა, უკლებლივ ყველა, ყველაზე მეტად კოლია და ის ბიჭუნა, რომელმაც ტროა აღმოაჩინა. სმუროვიც ძალიან ტიროდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტნის შლაპა მიჰქონდა, უცებ სირბილ-სირბილში თოვლიან ბილიკზე ხელი წაავლო მოწითალო აგურის ნატეხს და გამწარებულმა ესროლა მათ თავზე გადაფრენილი ბეღურების გუნდს. ცხადია, ააცილა და ასე ტირილ-ტირილით გააგრძელა სირბილი. შუა გზაზე სნეგიროვი გაჩერდა, ერთხანს მონუსხულივით იდგა, შემდეგ სასწრაფოდ ეკლესიისაკენ მობრუნდა და საფლავის მიმართულებით გაქუსლა. ბიჭები წამოეწივნენ და გარს შემოერტყნენ. ის კი, გასავათებული და ღონემიხდილი, ტირილით დაემხო თოვლზე, მუშტებს მიწას ურტყამდა და ღრიალებდა: „მამიკო, ჩემო ილუშეჩკა, ჩემო ლამაზო ბიჭუნა!“ ალიოშამ და კოლიამ წამოაყენეს და დამშვიდებას შეეცადნენ.

- გეყოფათ, კაპიტანო, მამაკაცი არ ხართ?! - ბუტბუტებდა კოლია.

- ყვავილები გაგიფუჭდებათ, - უთხრა ალიოშამ, - დედილო კი ელოდება მათ, ის შინ ზის და ტირის, რადგან წეღან თქვენ მას ილუშას ყვავილი არ მიეცით. იქ ილუშას ლოგინი ისევ აგია...

- დიახ, დიახ, დედილოსთან! - უცებ კვლავ გაახსენდა დედილო, - ლოგინს აიღებენ, ლოგინს! - ისე შეშინებულმა დაუმატა მან, თითქოს სახლში ილუშას ლოგინი მართლა ალაგებული დახვდებოდა და შინისკენ გაიქცა. სახლთან უკვე ახლოს იყვნენ და ყველამ ერთად მიირბინა. სნეგიროვმა სასწრაფოდ შეაღო კარი

და ცოლს, რომელსაც ამას წინათ ასე სასტიკად წაეჩხუბა, მიახარა:
- დედილო, ძვირფასო დედილო, ილუშეჩკამ ყვავილები გამოგიგზავნა, შენი სნეული ფეხები! - იყვირა მან და გაუწოდა გაყინული და დამტვრეული ყვავილების კონა. მაგრამ ამ დროს ილუშას საწოლთან დალაგებული ჩექმები შენიშნა, ძველი, გახუნებული, გახეხეშებული და ალაგ-ალაგ დაკერებული ჩექმები. სნეგიროვმა ხელები მაღლა ამართა და იატაკზე დაემხო, ერთ ჩექმას ხელი სტაცა და ხარბად დაუწყო კოცნა, თან მოთქვამდა: „მამიკო, ილუშეჩკა, ლამაზო მამიკო, სად არის ახლა შენი ფეხები?“
- სად წაიღე ის? სად წაიღე? - გულის გამგმირავი ხმით იყვირა შეშლილმა ქალმა. უცებ ნინოჩკას ქვითინიც გაისმა. კოლია ოთახიდან გავარდა და მას ყველა დანარჩენი ბიჭი მიჰყვა. ოთახიდან ალიოშაც გავიდა. „დაე, გული მოიოხონ, - უთხრა მან კოლიას, - ახლა მაგათი ნუგეშისცემა შეუძლებელია. ცოტა მოვიცადოთ და მერე შევიდეთ!“
- დიახ, შეუძლებელია, ეს საშინელებაა, - დაემოწმა კოლია, - იცით, კარამაზოვ, - უცებ ხმადაბლა თქვა კოლიამ, არავის რომ არ გაეგონა, - ძალიან მტკივა გული, ძალიან, რომ შეიძლებოდეს მისი გაცოცხლება, არაფერს დავიშურებდი!
- მეც, მეც, - თქვა ალიოშამ.
- როგორ ფიქრობთ, საღამოს აქ უნდა მოვიდეთ? მაგრად გამოთვრება.
- ალბათ დათვრება. მოდი, მარტო მე და შენ მოვიდეთ, საკმარისი იქნება. ერთი საათი დავსხდეთ ნინოჩკასთან და ილუშას დედასთან. ყველა რომ მოვიდეს, შეიძლება ისევ ყველაფერი გაახსენდეთ, - თქვა ალიოშამ.
- იქ ახლა სახლის პატრონი სუფრას შლის, ქელეხზე, ალბათ მღვდელიც მოვა; შევბრუნდეთ, კარამაზოვ?
- აუცილებლად.
- უცნაურია, კარამაზოვ, ასე დიდი მწუხარება და უცებ რაღაც ბლინები. ყველაფერი ეს როგორ არაბუნებრივია ჩვენი რელიგიისათვის!
- სუფრაზე ორაგულიც ექნებათ, - ხმამაღლა შენიშნა ბიჭუნამ, რომელმაც ტროა აღმოაჩინა.
- სერიოზულად გთხოვთ, კარტაშოვ, სხვა დროს ლაპარაკში ნუ ჩაერევით თქვენი სულელური აზრებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენ არ გელაპარაკებიან და არც აინტერესებთ თქვენი არსებობა, - უთხრა გაღიზიანებულმა კოლიამ. კარტაშოვი გაწითლდა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაბედა. ამასობაში ბიჭები თოვლიან ბილიკს გაუყვნენ, ანაზდად სმუროვმა წამოიყვირა:
- ნახეთ, ილუშას ლოდი, რომლის გვერდითაც უნდოდა საწყალს დამარხვა!
ყველა შედგა, კრინტი არავის დაუძრავს. ალიოშას თვალწინ დაუდგა სნეგიროვის მოყოლილი ამბავი, როცა ატირებული ილუშა ეხვეოდა მამას და ყვიროდა: „მამა, მამიკო, როგორ დაგამცირა, როგორ!“ თითქოს რაღაცამ შეძრა მისი სული. მან სერიოზულად გადახედა ილუშას ამხანაგების ლამაზ და ნათელ სახეებს და მიმართა მათ:
- ბატონებო, ერთი რამ მინდა გითხრათ, აქ, სწორედ ამ ადგილას.
ბიჭებმა ადგილი გაუთავისუფლეს და რაღაცის მომლოდინე თვალებით ინტერესით მიაცქერდნენ მას.
- ბატონებო, ჩვენ მალე დავშორდებით ერთმანეთს. ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ ჩემი ძმების გამო. ერთს გადასახლება ელოდება, მეორე კი, ლოგინად ჩავარდნილი, თითქმის სიკვდილის პირასაა. სულ მალე ამ ქალაქს დავტოვებ,

შესაძლოა, ძალიან დიდი ხნითაც. ამიტომ განშორება მოგვიწევს. მოდით ახლა, ილუშას ლოდთან პირობა დავდოთ, რომ არასოდეს დავივიწყებთ ილუშას, ეს უპირველეს ყოვლისა, მეორე რიგში კი, რასაკვირველია, არასოდეს დავივიწყოთ ერთმანეთი. მომავალში, რაც უნდა შეგვემთხვეს, თუნდაც 20 წლის განმავლობაშიც ვერ შევხვდეთ ერთმანეთს, - მაინც გვახსოვდეს ეს დღე, როგორ დავმარხეთ საწყალი ბიჭი, ბიჭი, რომელსაც ადრე ქვებს ვესროდით - გახსოვთ, იქ ხიდთან? - შემდეგ კი როგორ შევიყვარეთ ყველამ. ის შესანიშნავი ბიჭუნა იყო, კეთილი და გულადი, მამის ღირსების დამცველი და მისი წყენის გამზიარებელი. მამის დამცირებამ გამოიწვია მისი ამბოხი. მოდით, ნუ დავივიწყებთ მას, ბატონებო, გვახსოვდეს მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე. მაშინაც კი, როცა დაკავებულები ვიქნებით მნიშვნელოვანი საქმეებით და მივაღწევთ გარკვეულ პატივს და ღირსებას და მაშინაც, როგორადაც არ უნდა ვიყოთ გაუბედურებულები, - ნუ დავივიწყებთ, როგორ ლამაზად ვიყავით გაერთიანებულები ასეთი დიდებული და კეთილი გრძნობით ამ საწყალი ბიჭუნას მიმართ. ამ გრძნობამ ჩვენ გაცილებით უკეთესები გაგვხადა, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ჩემო ჩიორებო - ნება მიბოძეთ, ასე მოგმართოთ - ჩემო ჩიორებო, იმიტომ, რომ თქვენ მართლა ჰგავხართ ამ პატარა და ლამაზ ჩიტუნებს. ახლა, როცა ვუყურებ თქვენს ლამაზ და კეთილ სახეებს - ჩემო ლამაზო ბიჭებო, შეიძლება, თქვენ მე ვერც გამიგოთ, რას გეუბნებით, ვინაიდან ხანდახან ცოტა გაუგებრად ვლაპარაკობ ხოლმე, მაგრამ დაიმახსოვრეთ ყველაფერი და შემდეგ ოდესმე დაეთანხმებით ჩემს სიტყვებს. იცოდეთ, მომავალი ცხოვრებისათვის არაფერია ისე ამაღლებელი და ძლიერი, ჯანსაღი და სასარგებლო გრძნობა, როგორც რომელიმე სასიამოვნო მოგონება, განსაკუთრებით ბავშვობის ხანასთან და მშობლიურ სახლთან დაკავშირებული. თქვენ ახლა ბევრს გეჩიჩინებიან კარგ აღზრდა-განათლებაზე, ყველაზე კარგი და მშვენიერი აღზრდა არის ბავშვობიდან გამოყოლილი ასეთი მშვენიერი და წმინდა მოგონება. თუ ადამიანი თავის ცხოვრებაში ბევრ ამდაგვარ მოგონებას მოუყრის თავს, მაშინ ჩათვალეთ, რომ ასეთ ადამიანს ცხოვრება გაუადვილდება. ერთი კარგი მოგონებაც რომ დაგვრჩეს მეხსიერებაში, იმასაც კი შეუძლია მომავალში ჩვენი გადარჩენა. შესაძლებელია, ოდესმე რამემ გაგვაბოროტოს, ვეღარ შევძლოთ ცუდი საქციელისაგან თავის შეკავება, დავცინოთ გაჭირვებული ადამიანის ცრემლებს, გავაბითურეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც აცხადებენ (როგორც ახლახან კოლიამ წარმოთქვა): „მინდა კაცობრიობის გამო ვიტანჯოო!“ მაგრამ როგორი ბოროტებიც არ უნდა გავხდეთ (ღმერთმა ნუ ქნას!), როცა გავიხსენებთ, თუ როგორ დავმარხეთ ილუშა, როგორი სიყვარულით გვიყვარდა ის უკანასკნელ დღეებში, და ამ ლოდთან ახლანდელ საუბარს, მაშინ როგორი სასტიკი ცინიკოსებიც არ უნდა ვიყოთ იმ დროისათვის, მაინც ვეღარ გავბედავთ, შინაგანად დავცინოთ იმ კეთილ და სათნო არსებას, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ამ წუთებში საკუთარ თავში გრძნობს! უფრო მეტსაც გეტყვით: არ არის გამორიცხული, ამ მოგონებამ ხელი აგვაღებინოს დიდი ბოროტების ჩადენაზე, დაგვაფიქროს და გვათქმევინოს: „დიახ, მე მაშინ კეთილი, პატიოსანი და მამაცი ვიყავი“. ერთი წუთით, დაე, ჩაგვეცინოს ჩვენთვის გუნებაში, ეს არაფერია! ადამიანი ხშირად იგდებს მასხარად სიკეთესა და სათნოებას; ეტყობა, ეს მაინც ქარაფშუტობის ბრალია; მაგრამ გარწმუნებთ, ბატონებო, როგორც კი ჩაგვეცინება, იმავ წუთს გული გვეტყვის; „არა, არ არის ეს დასაცინი თემა, ამაზე

სიცილი არ შეიძლება!“
- აუცილებლად ასე იქნება ყველაფერი, კარამაზოვ, მე თქვენი კარგად მესმის! - შესძახა თვალებგაბრწყინებულმა კოლიამ. ბიჭები ძალიან აღელდნენ, მათაც უნდოდათ რაღაცის თქმა, მაგრამ თავი შეიკავეს და გულაჩუყებულები შეაცქერდნენ ორატორს.
- ამას იმ შემთხვევისთვის მოგახსენებთ, ვაითუ, ცუდი კაცები გავხდეთ, - გააგრძელა ალიოშამ, - მაგრამ, რატომ უნდა გავხდეთ ცუდები, ბატონებო? უპირველეს ყოვლისა, ვიყოთ კეთილი და პატიოსანი ადამიანები და ამის შემდეგ არასოდეს, არასოდეს დავივიწყებთ ერთმანეთს. ამას ისევ და ისევ გიმეორებთ. ჩემდა თავად, მე პირობას ვიძლევი, ბატონებო, არც ერთ თქვენგანს არ დავივიწყებ; ყველას სახე დამამახსოვრდება და გამახსენდებით ოცდაათი წლის შემდეგაც. წეღან კოლიამ კარტაშოვს უთხრა, თითქოს ჩვენ არ გვინდა მისი ცხობა, „არ გვაინტერესებს არსებობს თუ არა ის?“ მაგრამ, ნუთუ მე დამავიწყდება ამქვეყნად კარტაშოვის არსებობა, ან ის, რომ ახლა გაჭარხლებული კი არ არის, როგორც მაშინ, როცა ტროა აღმოაჩინა, არამედ შემომცქერის კეთილი, მშვენიერი და ხალისიანი თვალებით. ბატონებო, ჩემო ლამაზო ბატონებო, ვიყოთ ისე დიდსულოვანი და გულადი, როგორიც ილუშა იყო; ჭკვიანი, გულადი და დიდსულოვანი, ვითარცა კოლია (ის უფრო ჭკვიანი იქნება, როცა გაიზრდება) და ვიყოთ ისე მორიდებული, მაგრამ ჭკვიანი და ლამაზი, როგორიც კარტაშოვია. ნეტა, რას გადავეკიდე, მხოლოდ ამ ორს! ბატონებო, თქვენ, ყველა, ჩემთვის ძვირფასი ხართ, თქვენ, ყველა, ჩემს გულში დაიდებთ ბინას. თქვენ კი გთხოვთ, ჩაიბეჭდოთ ჩემი სახე მეხსიერებაში! ხოლო მას, ვინც ჩვენ გაგვაერთიანა ამ კარგი და კეთილი გრძნობით, რომელსაც ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე ტკბილად მოვიგონებთ, საგანგებოდ მოვიგონებთ, ჩვენს ილუშეჩკას, კეთილ და ლამაზ ბიჭუნას, ჩვენთვის უძვირფასეს ადამიანს, სამარადისო ხსოვნა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!
- ამინ, ამინ, მარად და მარად!.. - შეჰყვირეს ბიჭებმა ერთად თავიანთი წკრიალა ხმებით. თვალები ყველას ცრემლებით ჰქონდა სავსე.
- არასოდეს დაგვავიწყდება მისი სახე, ტანსაცმელი, ძველი ჩექმები, მისი კუბო და მისი საბრალო ცოდვილი მამა. მუდამ გვემახსოვრება, როგორ ვაჟკაცურად აუჯანყდა მთელ კლასს მამის დასაცავად!
- მუდამ, მუდამ გვემახსოვრება! - იყვირეს ისევ ბიჭებმა, - გულადი ბიჭი და კეთილი ადამიანი!
- ოხ, როგორ მიყვარდა! - შესძახა კოლიამ.
- ბავშვებო, ჩემო ლამაზო მეგობრებო, ნუ შეგაშინებთ ცხოვრება! ცხოვრება მშვენიერია, როცა კეთილ და სამართლიან საქმეს აკეთებ.
- დიახ, დიახ, - შესძახეს აღფრთოვანებულმა ბავშვებმა.
- კარამაზოვ, ჩვენ თქვენ გვიყვარხართ, - იყვირა ვიღაცამ, მგონი, კარტაშოვი იყო.
- გვიყვარხარ, გვიყვარხარ, - აიტაცა ყველამ. ბევრს თვალებზე ცრემლები ადგა.
- ვაშა კარამაზოვს! - შეჰყვირა აღფრთოვანებულმა კოლიამ.
- ხსოვნა და არდავიწყება განსვენებულ ბიჭუნას! - გრძნობით დაუმატა ალიოშამ.
- სამარადისო ხსოვნა! - აიტაცეს ისევ ბიჭებმა.
- კარამაზოვ! - იყვირა კოლიამ, - რელიგია გვასწავლის, რომ ყველა მკვდრეთით აღვდგებით, ხორცს შევისხამთ და კვლავ ვიხილავთ ერთმანეთს, ნუთუ მართალია, ყველას ვიხილავთ, ილუშეჩკასაც?

- აუცილებლად აღვდგებით, აუცილებლად ვნახავთ ერთმანეთს, მხიარულად მოვუყვებით ერთმანეთს ყოველივეს, რაც თავს გადაგვხდება, - ღიმილით უპასუხა აღტაცებულმა ალიოშამ.
- რა კარგია! - აღმოხდა კოლიას.
- ახლა კი დავამთავროთ ლაპარაკი და შევიდეთ ქელეხზე. ნუ შეგრცხვებათ ბლინების ჭამა. ესაა ძველთაძველი, სამარადჟამო და კარგი წეს-ჩვეულება, - გაიცინა ალიოშამ, - წამოდით! უკლებლივ ყველა შევიდეთ.
- ერთად ვიაროთ მუდამ ასე ხელიხელჩაკიდებულებმა! ვაშა კარამაზოვს! - ისევ შესძახა აღტაცებულმა კოლიამ და კიდევ ერთხელ აიტაცეს ბიჭებმა ეს შეძახილი.

სქოლიო

სქოლიო 1-30

[1] ავტორს ნაწარმოები დილოგიად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, გაგრძელება ვერ შეძლო.

[2] „აწ განუტევებ...“ - ღვთისმოსავი სიმონის მიერ ტაძარში თქმული სიტყვები, როცა მან პირველად იხილა ჩვილი ქრისტე (ლუკას სახარება, 2,29).

[3] პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809-1865) - ფრანგი სოციალისტ უტოპისტი და ანარქისტი; მიხაილ ბაკუნინი (1814-1876) - რუსი რევოლუციონერი და ანარქისტი.

[4] Il faudrait les inventer - „მათი გამოგონება საჭირო იქნებოდა!“ (ფრანგ.) - ვოლტერის ცნობილი გამონათქვამის ირონიული პერიფრაზირება.

[5] „J'ai vu l'ombre d'un cocher, qui avec l'ombre d'une brosse frottait l'ombre d'une carrosse“ - „ვიხილე მეეტლის ჩრდილი, ჯაგრისის ჩრდილით რომ წმენდდა კარეტის ჩრდილს“ (ფრანგ.) - ნაწყვეტი ძმების: კლოდ, შარლ და ნიკოლ პეროების და მათი მეგობრის ბორენის „ენეიდებიდან“, ოდნავ შეცვლილი სახით.

[6] „თუ გინდა სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე ყველაფერი, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ და მოდი და გამომყევი მე“ - იხილეთ: მათეს სახარება 19,21, მარკოზის სახარება 10,21 და ლუკას სახარება 18,22.

[7] სინას მთასა და ათონის ნახევარკუნძულზე განლაგებულ მონასტრებში არსებული სამონასტრო ცხოვრება სამაგალითო იყო მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის.

[8] ქრისტეს სიტყვების ციტირება (ლუკას სახარება, 12,14).

[9] Un chevalier parfait! - ნამდვილი რაინდია! (ფრანგ.)

[10] chevalier? - რაინდი? (ფრანგ.)

[11] სტაროობრიადსტვო, სტოროვერიე - მე-17 საუკუნეში რუსულ ეკლესიაში წარმოშობილი მიმდინარეობა, მიმართული იყო პატრიარქ ნიკონის მიერ (1605-1681) დანერგილი სიახლის წინააღმდეგ. ამ სიახლის მიზანი იყო საეკლესიო წიგნებსა და წეს-ჩვეულებებში შესწორებების შეტანა.

[12] mater dolorosa - მწუხარე ღვთისმშობელი (ლათ.)

[13] ისპრავნიკი - მეფის რუსეთში სამაზრო პოლიციის უფროსი.

[14] ფილოსოფოსი დიდეროტი - დენი დიდრო (1713-1784) - ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი.

[15] მიტროპოლიტი პლატონი (პიოტრ ლევშინი) - მოსკოვის მიტროპოლიტი, ცნობილი მქადაგებელი, საეკლესიო მოღვაწე და მწერალი.

[16] ფსალმუნი 13,1. არაზუსტი ციტატა.

[17] იოანეს სახარება 8,44.

[18] „ჩეტი-მინეია“ - ყოველწლიური რუსული საეკლესიო კრებული, რომელშიაც ყოველი თვის დღეების მიხედვით აღწერილია წმინდანთა ცხოვრება და მათი ქადაგებანი.

[19] რაქელი - ბიბლიური პერსონაჟი; ციტატა მათეს სახარებიდან 2,18.

[20] ბაზაროვის სიტყვები ი. ტურგენევის რომანიდან „მამები და შვილები“.

[21] ულტრამონტანტობა (ლათ. ულტრა მონტის - მთებს გადაღმა) - XV საუკუნეში კათოლიკურ ეკლესიაში წარმოშობილი მიმდინარეობა, რომლის მომხრეების სურვილი იყო, ეკლესია სრულიად დაექვემდებარებინათ პაპისათვის და პაპს მისცემოდა ნებისმიერი სახელმწიფოს საერო საქმეებში ჩარევის უფლება.

[22] კალამბური, რომელიც აგებულია ულტრამონტანტობის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე - „მთებს გადაღმა“.

[23] ბერი ამ ფრაზაში აერთიანებს ორ ადგილს პავლე მოციქულის წიგნებიდან: კოლოსელთა მიმართ 3,1-2 და ფილიპელთა მიმართ 3,18-20.

[24] Regierender Graf von Moor - მმართველი გრაფი ფონ მოორი (გერ.)

[25] ესკაპადა (ფრანგ. ესკაპადე - ონავრობა, ცელქობა) - აქ: უსაქციელო გამოხდომა.

[26] plus de noblesse que de sincerite - მეტი კეთილშობილება, ვიდრე გულღიაობა (ფრანგ.).

[27] plus de sincerite que de noblesse - მეტი გულღიაობა, ვიდრე კეთილშობილება (ფრანგ.).

[28] ხლისტები - XVII საუკუნეში შექმნილი რელიგიური სექტა. ხლისტების მთავარი დოგმატის მიხედვით, ექსტაზური წეს-ჩვეულების შესრულების დროს, რომლის მიზანია ადამიანის სხეულის განწმენდა „ავი სულისაგან“, ადამიანში ხდება ღმერთის განსხეულება.

[29] მამუროვკა - მიწამაყვალისაგან დამზადებული სპირტიანი ნაყენი.

[30] ფანტომი (ფრანგ. ფანტომე) - მოჩვენება, ხილვა. აქ: არ დაიჯერო რასაც ხედავ.

სქოლიო 31-60

[31] ნ. ა. ნეკრასოვის ლექსი.

[32] ი. ვ. გოეთეს ლექსი „ღვთაებრივი“.

[33] An die Freude - სიხარულისთვის (გერ.)

[34] სილენი - ბახუსის თანამგზავრი.

[35] ა.ნ. მაიკოვის ლექსი „ბარელიეფი“.

[36] ფ. შილერის ლექსი „ელევზის დღესასაწაული“, მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონი. თარგმანი ხ. ვარდოშვილის.

[37] იგივე ლექსის მეშვიდე სტრიქონის პირველი ნახევარი.

[38] ფ. შილერის ლექსი „ჰიმნი სიხარულს!“ მეშვიდე და მეხუთე სტრიქონი. თარგმანი ი. ქემერტელიძის.

[39] სოდომი და გომორი - ბიბლიური ქალაქები, რომლის მცხოვრებლებიც ღმერთმა უზნეობისათვის და გარყვნილებისათვის დასაჯა.

[40] პოლ დე კოკი (1793-1871) - ფრანგი რომანისტი.

[41] ბურბონი - უხეში და გაუზრდელი ადამიანი. ასე უწოდებდნენ რუსეთში ოფიცრებს, რომლებმაც შეძლეს ჯარისკაცობიდან ოფიცრად გახდომა.

[42] ბალაამის სახედარი - ბიბლიური მოთხრობის მიხედვით ბალაამი თავის სახედართან ერთად მოაბის მეფის თხოვნით ისრაელის დასაწყევლად მიდიოდა. სახედარს გზაზე უფლის ანგელოზი გადაუდგა და გასაქანს არ აძლევდა. სახედარი გაჩერდა. რამდენიც არ ურტყა მას ბალაამმა, სახედარი ადგილიდან ვერ დაძრა, მაგრამ მოულოდნელად სახედარი ალაპარაკდა. იხილეთ: რიცხვნი, 22,21-31.

[43] ნ. ვ. გოგოლის მოთხრობა.

[44] კონტრავერსა - უთანხმოება, დავა, სადავო საკითხი.

[45] Tout cela c'est de la cochonnerie - ღორობაა ეს ყველაფერი (ფრანგ.)

[46] მარკიზ დე სადი (1740-1840) - ფრანგი მწერლის დონასიენ ალფონს, გრაფ დე სადის ლიტერატურული ფსევდონიმი, რომელიც თავის ნაწარმოებებში დახვეწილად აღწერდა გარყვნილებას და სისასტიკეს. მისი სახელიდან მოდის ტერმინი „სადიზმი“.

[47] il y a du Piron la-dedans - მასში პირონი იგრძნობა (ფრანგ.). ალექსის პირონი (1689-

1773) - ფრანგი პოეტი და დრამატურგი, რომელმაც სახელი გაითქვა უწმაწური ნაწარმოებებით, რის გამოც ის აკადემიის წევრად არ აირჩიეს. სიბერეში რელიგიაში გადავარდა და რელიგიურ პოეზიას ქმნიდა, მაგრამ ძველი დიდება ბოლომდე გაჰყვა.

[48] credo - მწამს (ლათ.)

[49] არბენინი - ლერმონტოვის დრამა „მასკარადის“ გმირი. ფიოდორ პავლოვიჩს ის პეჩორინში აერია.

[50] ლაოდოკია - ქალაქი მცირე აზიაში, სადაც მეოთხე საუკუნეში ჩატარდა საეკლესიო კრება. ამ კრებაზე მიღებული კანონები საღვთო სჯულში შევიდა.

[51] შეადარეთ ქრისტეს სიტყვებს მათეს სახარებიდან 16,18.

[52] c'est tragique - შემაძრწუნებელია (ფრანგ.)

[53] Den Dank, Dame, begehr ich nicht - არა მსურს თქვენი სამადლობელი, ო, ქალბატონო, (გერ.) - ციტატა შილერის ბალადიდან „ხელთათმანი“.

[54] ციტატა პუშკინის ლექსიდან „დემონი“.

[55] PRO და CONTRA - მომხრე და მოწინააღმდეგე.

[56] Merci, maman - გმადლობ, დედა. (ფრანგ.)

[57] „საშოს გამღები“ - ბიბლიური გამოთქმა. „გამოსვლა“ 13,2, 13,12, ან 34,19.

[58] ნაპოლეონ მესამის მამა ნაპოლეონ პირველი კი არ იყო, არამედ მისი ძმა ლუდოვიკი, ჰოლანდიის მეფე.

[59] professions de foi - სარწმუნოების აღსარება (ფრანგ.).

[60] იოანე მოწყალე - VI-VII საუკუნეში მოღვაწე ალექსანდრიის პატრიარქი.

სქოლიო 61-90

[61] ეპიტიმია - საეკლესიო სასჯელი.

[62] სქიმოსანი - ბერადაღკვეცილი, რომელსაც მიღებული აქვს სქიმა, ყველაზე მაღალი სამონაზვნო ხარისხი მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

[63] „Notre Dame de Paris“- „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“(ფრანგ.).

[64] დოფინი - საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის ტიტული.

[65] „Le bon jugement de la tres seinte et gracieuse Vierge Marie“ - „უწმინდესი და უსათნოესი ქალწული მარიამის მოწყალე მსჯავრი“ (ფრანგ.).

[66] bon jugement - მოწყალე მსჯავრი (ფრანგ.).

[67] ფსალმუნი 118,137

[68] ქრისტე

[69] იოანეს გამოცხადება 3,11

[70] შეადარეთ: მარკოზის სახარება 13,32.

[71] ფ. შილერის ლექსი „სურვილის“ დამამთავრებელი სტროფი.

[72] აუტოდაფე - რწმენის აქტი, რომლის დროსაც კოცონზე ერეტიკოსებს წვავდნენ.

[73] ამ ლექსის ავტორი ცნობილი არ არის, ფიქრობენ, რომ იგი ეკუთვნის ფ. დოსტოევსკის.

[74] შეადარეთ: მათეს სახარება 24,27 და ლუკას სახარება 17,24.

[75] ad majorem gloriam Dei - უფლის უფრო მეტად სადიდებლად (ლათ.).

[76] „ოსანა“ - გვიხსენ, გვიშველე! (ებრაული).

[77] ოდნავ შეცვლილი ციტატა ა. პუშკინის ტრაგედიიდან „ქვის სტუმარი“.

[78] gui pro gui - „ერთი მეორის მაგივრად“, არეულობა, გაურკვევლობა (ლათ.).

[79] ეშმა.

[80] აპოკალიფსში ლაპარაკია მხეცზე, რომელიც ადამიანებს მოევლინება სამყაროს დასასრულს. იოანეს გამოცხადება 13,4.

[81] იოანე ღვთისმეტყველი - აპოკალიფსის ავტორი.

[82] ეშმასთან.

[83] Dixi! - ვთქვი! (ლათ.) აქ ვთქვი და გავათავე!

[84] მასონები - საიდუმლო საზოგადოების წევრები, რომელთა მიზანი იყო სამართლიანი სამეფოს შექმნა თვითშემეცნებისა და თვითსრულყოფის გზით. საზოგადოება XVIII საუკუნეში შეიქმნა ინგლისში და იქიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

[85] Pater Seraphicus - მამა სერაფიმი - ი.ვ. გოეთეს „ფაუსტიდან“. სერაფიმი - ქრისტიანულ რელიგიაში უმაღლესი დასის ექვსფრთიანი ანგელოზია. აქ ივანს მხედველობაში ჰყავს ალიოშას მოძღვარი მამა ზოსიმა..

[86] მეფე გვიდონის მსახური. XVI საუკუნეში რუსეთში თარგმნილი ნაწარმოების გმირი. ეს თარგმანი რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მრავალჯერ გამოიცა.

[87] კათედრა ეკლესიაში, რომელზედაც ბიბლიას დებენ ხოლმე.

[88] იობის წიგნი 1.1.

[89] აბრაამი, სარა, ისაკი, რებეკა, იაკობი, ლაბანი, იოსებ მშვენიერი და იუდა - ძველი აღთქმის წიგნის - „დაბადების“ პერსონაჟები.

[90] აქ ნაგულისხმებია იაკობის ანდერძი: „არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არცა არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა.“ - წიგნი „დაბადება“. ამ სიტყვებს ქრისტიანები აღიქვამენ, როგორც ქრისტეს მოსვლის წინასწარმეტყველებას.

სქოლიო 91-120

[91] მხედველობაშია ბიბლიური მოთხრობა მეფე ახაშვეროშის ორი ცოლის: ამპარტავანი ვაშთის და თვინიერი ესთერის შესახებ. იხილეთ: წიგნი „ესთერი“.

ამ სიტყვებს ქრისტიანები აღიქვამენ, როგორც ქრისტეს მოსვლის წინასწარმეტყველებას.

[92] იხილეთ: ბიბლია, წიგნი „იონა წინასწარმეტყველი“.

[93] შეადარეთ: „ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს“, მათეს სახარება 20,26.

[94] ფსალმუნი 117,22.

[95] იხილეთ: ლუკას სახარება 16,19-26. „აბრამის წიაღი“, ის ადგილია, სადაც, ქრისტიანული გაგებით, ცხონდებიან წმინდანთა სულები.

[96] ანტიდორი - განსაკუთრებული სეფისკვერი, რომელიც ლიტურგიის დროს ურიგდებათ მლოცველებს.

[97] ეს ციტატა და ქვემოთ მოყვანილი სხვა ციტატა იოანეს სახარებიდანაა 2,1-10. კანა - ქალაქი გალილეაში, სადაც ქრისტემ მოახდინა პირველი სასწაული, როცა წყალი ღვინოდ გადააქცია.

[98] ფარულად (ლათ.)

[99] ციტატა ა. ს. პუშკინის პოემიდან „რუსლან და ლუდმილა“, ოდნავ შეცვლილი სახით.

[100] ციტატა რუსული ხალხური ისტორიული ლექსიდან „მასტრიუკ ტემრიუკოვიჩი“.

[101] ნაწყვეტი ფ.ი. ტიუტჩევის ლექსიდან „აღაპი“.

[102] ულისე- ოდისევსი

[103] ულანი - რევოლუციამდელი რუსეთის ან ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი ან ოფიცერი.

[104] ნაწყვეტი ი.ა. კრილოვის ლექსიდან „ეპიგრამა პოემაზე „L’art poetique“. პოემის ავტორია ფრანგი პოეტი და ლიტერატურის თეორეტიკოსი ნიკოლა ბუალო-დეპრეო (1636-1711).

[105] კ. ნ. ბატიუშკოვის ლექსის „მადრიგალი ახალ საფოზე“ პირველი სტროფის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი.

[106] ცნობილი ფრანგი პოეტის ა. პირონის ორტაეპიანი ლექსი „ჩემი ეპიტაფია“, რომელიც დაიწერა აკადემიაში პოეტის არარჩევისთან დაკავშირებით.

„აქ განისვენებს ადამიანი, რომელიც

არაფერს წარმოადგენდა, აკადემიკოსსაც კი“.

[107] 1772 წელს, პოლონეთის პირველი დაყოფის შედეგად, პოლონეთის მიწები გაინაწილა: რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ.

[108] კუთხე, სემპელი, პე - ბანქოს ერთ-ერთი თამაშის ტერმინები.

[109] საბოტიერო - ფრანგული ხალხური ცეკვა, ხის ქოშებით სრულდება.

[110] მეშვიდე კლასის მოხელე რუსეთში.

[111] ეპიდერმა - ადამიანის ან ცხოველის კანის ზედა ფენა.

[112] passons - გავიაროთ (ფრანგ.)

[113] ფ.ი. ტიუტჩევის ლექსიდან „Silentium!“ არაზუსტი ციტატა.

[114] c'est fini - ეს ბოლოა (ფრანგ.)

[115] ჯოჯოხეთური, სატანური, არაადამიანური.

[116] es sine qua - აუცილებელი პირობაა (ლათ.).

[117] ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის ვოლტერის სენტენცია.

[118] ა.ს. პუშკინის პოემის „ევგენი ონეგინი“ გმირები.

[119] es femmes fricottent - ქალის საქმე ქსოვაა (ფრანგ.)

[120] დ.დ. მინაევის (1835-1889) სატირიდან „მარილის ქალაქი“.

სქოლიო 121-153

[121] „კოლოკოლი“ - XIX საუკუნის რუსული ჟურნალი.

[122] რუსები ჩუხნებს პეტერბურგის ახლომახლო მცხოვრებ ესტონელებს და ფინელებს უწოდებდნენ.

[123] cette charmante personne - ეს მომხიბლავი პიროვნება (ფრანგ.).

[124] vous comprenez, cette affaire et la mort terrible de votre papa - თქვენ გესმით, ალბათ ეს საქმე და მამათქვენის საშინელი სიკვდილი (ფრანგ.).

[125] აზრებზე არ დავობენ (ლათ.).

[126] სიტყვებს.

[127] qui frisait la cinquantaine - ასე ორმოცდაათამდე (ფრანგ.)

[128] c'est charmant - შესანიშნავია (ფრანგ.)

[129] c'est noble, c'est charmant - ეს კეთილშობილებაა, ეს მშვენიერია (ფრანგ.).

[130] c'est chevaleressque - ეს რაინდობაა (ფრანგ.).

[131] satana sum et nihil humanum ame alienum puto - სატანა ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის (ლათ.)

[132] C'est du nouveau n'est ce pas? - რაღაც ახალია, ხომ მართალია? (ფრანგ.).

[133] Quelle idee! - როგორი იდეაა! (ფრანგ.).

[134] le diable n'existe point - ეშმაკი აღარ არსებობსო (ფრანგ.).

[135] je pense donc je suis - ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ (ფრანგ.) - ფრანგი ფილოსოფოსის რ. დეკარტეს ცნობილი აფორიზმი.

[136] O, Santa Maria - ო, წმინდაო მარიამ (ლათ.).

[137] mon pere - მამაო ჩემო (ფრანგ.)

[138] Ca lui fait tant de plaisir et a moi si peu peinel - ეს მას ისეთ დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ჩემთვის კი არაფერია (ფრანგ.).

[139] a la ჰაინე - ჰაინესნაირი. ჰ. ჰაინე - ცნობილი გერმანელი პოეტი.

[140] Ah, mais c'est bete enfin! - ოჰ, ეს სიბრიყვეა, ბოლოს და ბოლოს (ფრანგ.).

[141] Monsieur, sait-il le temps qu'il fait? C'est a ne pas mettre un chien de-hors... - თქვენთვის ცნობილია, მუსიე, გარეთ როგორი ამინდია? ასეთ ამინდში ძაღლს არ გააგდებენ (ფრანგ.).

[142] Le mot de l'enigme - გამოიცნო (ფრანგ.).

[143] ბოჰემიის (მორავიის) ძმების სექტის წევრი.

[144] Gott der Vater - მამა ღმერთი (გერ.).

[145] Gott der Vater. - Gott der Sohn - მამა ღმერთი, ძე ღმერთი (გერ.).

[146] Gott der Sohn. Gott der heilige Geist - ძე ღმერთი, ღმერთი სულიწმიდა (გერ.).

[147] le diable n'existe point - ეშმაკი არ არსებობს! (ფრანგ.)

[148] ნ. ვ. გოგოლი.

[149] კლაკიორი - დაქირავებული მაყურებელი თეატრში, რომელმაც ტაშისცემით ან ყვირილითა და სტვენით უნდა შექმნას შთაბეჭდილება სპექტაკლის ან მსახიობის წარმატებისა თუ ჩაფლავების შესახებ.

[150] apres moi le deluge - ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩება (ფრანგ.)

[151] იოანეს სახარება 10,11.

[152] vivos voco - ცოცხლებს მოგიწოდებთ (ლათ.).

[153] მათეს სახარება 7.2.

Table of Contents

ძმები კარამაზოვები
ავტორისაგან
კარი პირველი
- წიგნი პირველი. ერთი ოჯახის ისტორია
- წიგნი მეორე. უადგილო ადგილას თავშეყრა
  - I მონასტერში მისვლა
  - II ბებერი ტაკიმასხარა
  - III მორწმუნე დედაკაცები
  - IV ურწმუნო ქალბატონი
  - V ეგების, ეგების!
  - VI რატომ ცოცხლობს ასეთი ადამიანი!
  - VII სემინარისტი-კარიერისტი
  - VIII სკანდალი
- წიგნი მესამე. ავხორცები
  - I სალაქიოში
  - II ლიზავეტა სმერდიაშჩაია
  - III აღსარება ცხელ გულზე. ლექსებით
  - IV აღსარება ცხელ გულზე. ანეკდოტებით
  - V აღსარება ცხელ გულზე. „თავდაყირა“
  - VI სმერდიაკოვი
  - VII კონტროვერსა
  - VIII კონიაკის სმის დროს
  - IX ავხორცები
  - X ორივე ერთად
  - XI კიდევ ერთი შელახული რეპუტაცია

კარი მეორე
- წიგნი მეოთხე. ტანჯვა-ვაებანი
- წიგნი მეხუთე PRO და CONTRA
  - I პირი შეკრეს
  - II სმერდიაკოვი გიტარით
  - III ძმები ერთმანეთს ეცნობიან
  - IV ბუნტი
  - V დიდი ინკვიზიტორი
  - VI ჯერ კიდევ ძალიან გაურკვეველი
  - VII „ჭკვიან კაცთან მუსაიფიც საინტერესოა“
- წიგნი მეექვსე. რუსი ბერმონაზონი
  - I ბერი ზოსიმა და მისი სტუმრები
  - II ღვთივ განსვენებული მღვდელ-მონაზონის, ბერი ზოსიმას ცხოვრება, მისივე მონაყოლის მიხედვით, შედგენილი ალექსეი ფიოდოროვიჩ კარამაზოვის მიერ
  - III ამონაკრებები ბერი ზოსიმას საუბრებიდან და ქადაგებებიდან

კარი მესამე
- წიგნი მეშვიდე. ალიოშა

- წიგნი მერვე. მიტია
  - I კუზმა სამსონოვი
  - II ლიაგავი
  - III ოქროს საბადოები
  - IV სიბნელეში
  - V მოულოდნელი გადაწყვეტილება
  - VI მოვდივარ!
  - VII ძველი და შეუცვლელი მიჯნური
  - VIII ბოდვა
- წიგნი მეცხრე. წინასწარი ძიება
  - I ჩინოვნიკ პერხოტინის კარიერის დასაწყისი
  - II განგაში
  - III ტანჯვის გზებზე სულის ფორიაქი. ტანჯვა პირველი
  - IV ტანჯვა მეორე
  - V ტანჯვა მესამე
  - VI პროკურორმა მიტია გამოიჭირა
  - VII მიტიას დიდი საიდუმლო. გააბიაბრუეს
  - VIII მოწმეების ჩვენება. ბაღანა
  - IX მიტია წაიყვანეს
- კარი მეოთხე
- წიგნი მეათე. ბიჭუნები
- წიგნი მეთერთმეტე. ძმა ივან ფიოდოროვიჩი
  - I გრუშენკასთან
  - II მტკივანი ფეხი
  - III ალქაჯი
  - IV ჰიმნი და საიდუმლო
  - V შენ არა, შენ არა!
  - VI პირველი შეხვედრა სმერდიაკოვთან
  - VII მეორე ვიზიტი სმერდიაკოვთან
  - VIII მესამე და უკანასკნელი შეხვედრა სმერდიაკოვთან
  - IX ეშმა. ივან ფიოდოროვიჩის კოშმარი
  - X „ეს მან თქვა“
- წიგნი მეთორმეტე. სასამართლო შეცდომა
  - I საბედისწერო დღე
  - II საშიში მოწმეები
  - III სამედიცინო ექსპერტიზა და ერთი გირვანქა თხილი
  - IV მიტიას ბედმა გაუღიმა
  - V უეცარი კატასტროფა
  - VI პროკურორის მოხსენება. დახასიათება
  - VII ისტორიული მიმოხილვა
  - VIII ტრაქტატი სმერდიაკოვზე
  - IX ნაუცბადევი ფსიქოლოგია. გაჭენებული სამცხენა. პროკურორის სიტყვის ფინალი
  - X დამცველის სიტყვა. ჯოხი ორი ბოლოთი
  - XI თუ არ იყო ფული, არც ქურდობა მომხდარა

XII დიახ, არც მკვლელობა ყოფილა
XIII გონებამრუში
XIV ტეტიებმა თავი არ დააჩაგვრინეს
ეპილოგი
სქოლიო